

ნინო ხარატიშვილი
მერვე სიცოცხლე (ბრილკას)

* * *

დრონი მეფობენ და არა მეფენი.
ქართული ანდაბა

* * *

ვუძღვნი დიდებას,
1000 ამბავი და ერთი ლექსი რომ მაჩუქა.
ვუძღვნი მამას,
კითხვებით სავსე ჩანთა რომ დამიტოვა.
და დედას, რომელმაც მითხრა,
სად უნდა მეძებნა პასუხები.

პროლოგი ანუ დავიწყების პარტიტურა
2006

ამ ამბავს რამდენიმე დასაწყისი აქვს. არც კი ვიცი, რომელი ავირჩიო, რადგან ყოველი მათგანი დასაწყისია.

ამ ამბის დაწყება ბერლინის ერთი ძველი სახლის ბინაში შეიძლება, სრულიად ბანალურად, ორი შიშველი სხეულით ლოგინში. ოცდაშვიდი წლის მამაკაცით, უღმერთოდ ნიჭიერი მუსიკოსით, რომელიც თავის ნიჭს ჭირვეულობაში, დაუოკებელ ვნებასა და სასმელში ფლანგავდა.

ამ ამბის დაწყება თორმეტი წლის გოგოთიც შეიძლება, უარი რომ სტკიცა იმ სამყაროს, რომელშიც მანამდე ცხოვრობდა და ახალი დასაწყისის პოვნა გადანყვითა, თავისთვის და თავისი ამბისთვის.

შეიძლება უფრო შორს წასვლაც – სიღრმეში, ფესვებთან დაბრუნება და იქიდან დაწყება.

ან სულაც სამივე ამბით ერთდროულად დაწყება.

როცა ამან ბარონი, რომელსაც უბრალოდ „ბარონის“ სახელით იცნობდნენ, სიყვარულს მეფიცებოდა და მიხსნიდა, თუ როგორი გულგანგმირული იყო ამ გაუსაძლისი, უძლიერესი და უმსუბუქესი გრძნობით, როგორ გუგუნებდა და როგორ ღუმდა მისი სიყვარული ჩემდამი, ცოტა სწეული, უსუსური, ილუზიებს მოკლებული და გაქვავებული სიყვარული, – ამ დროს ჩემი თორმეტი წლის დისშვილი ბრილკა ამსტერდამის რომელიღაც სასტუმროდან გამოვიდა და სადგურისკენ წავიდა. თითქმის უფულოდ, ზურგზე ჩანთამოგდებული, თევზის სენდვიჩით ხელში. ვენაში აპირებდა გამგზავრებას და რეგიონულ მატარებელზე შაბათ-კვირის იაფფასიანი ბილეთი იყიდა.

სასტუმროს მისაღებში ხელნაწერი ბარათი დატოვა - ცეკვის ანსამბლთან ერთად სამშობლოში დაბრუნებას არ ვაპირებ და ტყუილად ნუ დამინწყებთ ძებნასო.

ბუსტად ამ დროს მოვუკიდე სიგარეტს და ხველა ამიტყდა - ნაწილობრივ იმის გამო, რისი მოსმენაც მომიხდა და კიდევ იმიტომ, რომ კვამლი გადამცდა. ამანმა, რომელსაც მე თვითონ არასდროს ვეძახდი „ბარონს“, მაშინვე ზურგზე მაგრად დამარტყა ხელი, ისე, რომ სუნთქვა შემეკრა და დაბნეული მომაჩერდა. მასზე ბევრად უფროსად ვგრძნობდი თავს, არადა სულ ოთხი წლით იყო ჩემზე უმცროსი. გარდა ამისა, ლამის ტრაგიკულ ფიგურად ჩამოვყალიბდი. თუმცა ამას დიდად ვერავინ მამჩნევდა, რადგან ამასობაში თვალში ნაცრის შეყრის დიდოსტატადაც ვიქეცი.

სახეზე ეწერა, რომ სასონარკვეთილი იყო - თავის აღსარებაზე ჩემს ასეთ რეაქციას არ ელოდა. მით უფრო, მას მერე, რაც შემომთავაზა - ორ კვირაში ტურნეს ვიწყებ და ჩემთან ერთად წამოდიო.

წამოწვიმა, ივნისი იყო, თბილი საღამო, მსუბუქი ღრუბლები პატარა ბამბის ქულებივით ამკობდნენ ცას.

როცა ბრილკამ თავისი ოდისეის პირველ მატარებელში შედგა ფეხი, მე შეტევამ გადამიარა, აივნის კარი გავაღე და დივანზე დავეგდე. კინალამ დავიხრჩვე.

უცხო ქვეყანაში ვცხოვრობდი. იმ ადამიანთა უმრავლესობასთან, რომლებიც ოდესღაც მიყვარდა და მეძვირფასებოდა, კონტაქტი განწყვეტილი მქონდა, მიწვეული პროფესორის ადგილი კი, რომელიც არსებობის საშუალებას მაძლევდა, სრულიად უცხო იყო ჩემთვის.

იმ საღამოს, როცა ამანმა მითხრა, მინდა შენთან ვიყო და ნორმალური გავხდეო, ჩემი გარდაცვლილი დის ერთადერთი ქალიშვილი ბრილკა ვენაში გაემგზავრა, თავის არჩეულ სამშობლოში, თავის პირად უტოპიაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადგილი უკავშირდებოდა ქალს, რომელიც ცოცხალი აღარ იყო.

ის, კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი ქალი, ბაბუაჩემის და, ბრილკასთვის კი - დედის მამიდა, მის წარმოსახვაში გმირად ქცეულიყო და ვენაში მის სიმღერებზე საავტორო უფლებების მოსაპოვებლად მიდიოდა.

მასში დაბუდებული სიცარიელისგან თავის დახსნისა და პასუხების პოვნის იმედით აედევნა იმ ლანდის კვალს. მაგრამ მაშინ ჯერ წარმოდგენაც არ მქონდა ამ ყველაფერზე.

როცა დივანზე დავჯექი და სახე ხელებში ჩავრგე, როცა თვალები მოვიფშვინტე და ცოტა ხნით ავირიდე ამანის მხერა, უკვე ვიცოდი, კიდევ მომიწევდა ტირილი. ოღონდ ჯერ არა, არა იმ დროს, როცა ბრილკა მატარებლით მიქროდა, ფანჯრიდან ძველ და ახალ ევროპას

შესცქეროდა და გულგრილობის კონტინენტზე ჩამოსვლის დღიდან პირველად იღიმებოდა. არ ვიცი, რა დაინახა ისეთი, რამაც ღიმილი მოჰგვარა, როცა პანანინა ხილებიან ქალაქს ტოვებდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, იღიმებოდა.

სწორედ ამ დროს გავიფიქრე, ტირილი არ ამცდებია-მეთქი. თავი რომ შემეკავებინა, შევბრუნდი, საძინებელში გავედი და მივწევი. ამანმაც არ დააყოვნა. რა იოლია დარდისგან განკურნება, როცა წამლად სხეულს ირჩევ, მით უფრო, თუ სწეულება ოცდაშვიდი წლის კაცს შეჰყრია.

კოცნამ მძინარე მზეთუნახავივით გამომადვიდა.

მერე ამანმა მუცელზე დამადო თავი, ჩემმა თორმეტი წლის დისშვილმა კი ნიდერლანდები დატოვა და გერმანიის საზღვარი გადაკვეთა, ლუდისა და სიმარტოვის სუნიტ გაჟღენთილი ვაგონით. ასობით კილომეტრით დაშორებული დეიდამისი ამ დროს არაფრის აზრზე არ იყო და სიყვარულობანას ეთამაშებოდა ოცდაშვიდი წლის აჩრდილს. იმედით სავსე ბრილკა გერმანიის გავლით მიიწევიდა წინ.

ამანს ჩაეძინა, მე კი ავდექი, სააბაზანოში გავედი, აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი და ავტირდი. წლების განმავლობაში ნაგროვები ცრემლით დავიტირე გაყალბებული სიყვარული და მონატრება იმ სიტყვების რწმენისა, ჩემს ცხოვრებას რომ განსაზღვრავდა ოდესღაც. მერე სამზარეულოში მოვუკიდე ახალ ღერს და ფანჯარაში გავიხედე. აღარ წვიმდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვიგრძენი, რომ რაღაც მოხდა, რაღაც დაიძრა ამ მაღალჭერიანი, მივიწყებული წიგნებით სავსე ბინის მიღმა, სადაც გულმოდგინედ დავახვავე ლამპები, ბეცა რომ ჩამენაცვლებინა, ნამდვილი სინათლის ილუზია შემექმნა. ჩემი პირადი გვირაბის განათება. თუმცა გვირაბი გვირაბად დარჩა. ის განათება კი ხანმოკლე, დროებითი ნუგეში იყო მხოლოდ.

ალბათ უნდა ითქვას, რომ ბრილკა ტანმალალი გოგო იყო, ჩემზე თითქმის ორი თავით მაღალი, რაც, ჩემი შესახედაობიდან გამომდინარე, არც ისე ძნელი წარმოსადგენია. თმა მოკლედ, ბიჭურად ჰქონდა აჩეხილი, ლენონისებრი სათვალე ეკეთა და ძველი ჯინსი ეცვა. ლამაზად მომრგვალებული კაკაოსფერი თვალებით მუდამ ვარსკვლავებს დაეძებდა, მისი გასაოცრად მაღალი შუბლი უამრავ დარდს მაღავდა. იმ დროს ამსტერდამში გასტროლზე ჩასულ თავის ანსამბლს გამოუპარა, სადაც ვაჟის პარტიებს ცეკვავდა. ჩვენი სამშობლოს ფოლკლორული ცეკვების ქალის ნარნარი პარტიებისთვის ცოტა უხეში იყო, პირქუში. დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ ნება დართეს, კაცის ტანსაცმელში გადაცმული გასულიყო სცენაზე და ველური ილეთები შეესრულებინა; ამ უფლებას შეენირა შარშან მისი ნაწნავი. ახლა შეეძლო მუხლებზე ხტუნვა და ხანჯლების ქნევა, რაც ყოველთვის უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ქალების სიზმრისეული ლივლივი. ბრილკა ცეკვავდა და ცეკვავდა თავდავიწყებით, კარგად გამოსდიოდა და ადრე რომ აშაყირებდნენ, იმ

ბიჭებსაც სჯობნიდა, ამიტომ ჰოლანდიელი მაყურებლის წინაშე სოლო პარტიით გამოსვლაც ანდეს. მან კი ამ დროს ანსამბლი მიატოვა და გზას გაუდგა პასუხების საძიებლად, იმ პასუხების, რომლებსაც ცეკვაშიც ვერ პოულობდა.

მეორე სადამოს დედაჩემმა დამირეკა, რომელიც სულ მემუქრებოდა, რომ მოკვდებოდა, თუ დროზე არ დავბრუნდებოდი სამშობლოში, საიდანაც დიდი ხნის წინათ გამოვიქეცი.

აკანკალებული ხმით შემატყობინა, „ბავშვი“ დაიკარგაო. უცებ ვერც მივხვდი, რომელ ბავშვს გულისხმობდა და მე რა შუაში ვიყავი.

- თავიდან მომიყვები, ზუსტად სად იმყოფებოდა?

- ამსტერდამში, რა დაგემართა? არ მისმენ? გუშინ გაპარულა და წერილი დაუტოვებია. ჯგუფის ხელმძღვანელმა დამირეკა. ყველაფერი გადაატრიალეს და...

- მოიცა, როგორ უნდა გამქრალიყო თერთმეტი წლის გოგო სასტუმროდან, მით უმეტეს, თუ...

- თორმეტი წლისაა უკვე! ნოემბერში გახდა თორმეტის. დაგავინწყდა, რა თქმა უნდა. აბა, რა?!

სიგარეტი მაგრად მოვქაჩე და მოსალოდნელი უბედურებისთვის მოვემზადე. დედაჩემს ისეთი ხმა ჰქონდა, მივხვდი, რომ ვერ მოვახერხებდი სწრაფად თავის დაძვრენას და გაუჩინარებას, რასაც ბოლო წლებში უდიდესი სიამოვნებით ვაკეთებდი. თავი უნდა დამეცვა გარდაუვალი საყვედურებისგან, რომლებიც ემსახურებოდა მიზანს, რომ ჩემთვის ნათელი გამხდარიყო, როგორი ცუდი შვილი ვიყავი და როგორი შეუძღარი ადამიანი. ეს ყველაფერი უიმისოდაც ძალიან კარგად ვიცოდი.

- კარგი, თორმეტის გახდა, მართლაც დამავინწყდა, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. პოლიციას შეატყობინეს?

- კი, აბა, რა გგონია? ეძებენ.

- მაშინ იპოვიან კიდევ. პატარა, განებივრებული გოგოა, ტურისტული ვიზა ექნება ალბათ, ჰოდა...

- ნუთუ ადამიანობის ნატამალიც აღარ შეგრჩა?

- მაპატიე, უბრალოდ, ხმამაღლა ვფიქრობ.

- მით უარესი, თუ ასე ფიქრობ.

- დედა!

- აუცილებლად დამირეკავენ. მაქსიმუმ ერთ საათშიო, ასე მითხრეს. ღმერთმა ქნას, იპოვონ, მალე იპოვონ. მერე შენ უნდა ჩააკითხო, სადაც უნდა იყოს, ძალიან შორს ვერც წავიდოდა და უნდა წამოიყვანო.

- მე...

- ის შენი დის შვილია და შენ წამოიყვან. შემპირდი, ძალიან გთხოვ!

- კი მაგრამ...

- დაიფიცე!

- ღმერთო ჩემო. კარგი, ჰო.
- და ღმერთს ნუ ახსენებ წამდაუნუმ.
- „ღმერთო ჩემოს“ თქმის უფლებაც აღარ მაქვს?
- შენთან ნაიყვან და მერე თვითმფრინავშიც ჩასვამ.

იმავე ღამეს იპოვეს ავსტრიის პატარა ქალაქში, ვენის მახლობლად. მატარებელს ელოდა გადასაჯდომად, როცა ავსტრიელმა პოლიციელებმა დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს. დედაჩემმა გამაღვიძა და მამცნო, მედლინგში უნდა წახვიდეო.

- სად?
- ქალაქის სახელია მედლინგი. ჩაინერე.
- კარგი.
- შენ ალბათ ისიც არ იცი, დღეს რა დღეა.
- ჩავინერე! სად ჯანდაბაშია ეს ქალაქი?
- ვენის მახლობლად.
- იქ რა უნდოდა?
- ალბათ, ვენაში უნდოდა ჩასვლა.
- ვენაში?
- ჰო, ვენაში. გენიშნა ალბათ.
- გასაგებია.
- პასპორტი წაიღე. იციან, რომ ბავშვს დეიდამ უნდა მიაკითხოს და

შენი სახელი ჩაინერეს.

- არ შეუძლიათ, თვითონ ჩასვან თვითმფრინავში?
- ნიცა!
- კარგი, ვიცვამ უკვე. დაწყნარდი.
- და დამირეკე, როგორც კი შეხვდები.

დედამ ყურმილი დაახეთქა.

ასე დაიწყო ეს ამბავი.

რატომ ვენა? რატომ დატრიალდა ეს ყველაფერი სწორედ იმ ღამის შემდეგ, როცა ვცდილობდი, ცრემლებს გავქცეოდი? ამას თავისი მიზეზი აქვს, ოღონდ მაშინ სულ სხვანაირად უნდა დამეწყო.

მე ნიცა მქვია. ჩემი სახელი შეიცავს სიტყვას, რომელიც ჩვენს მშობლიურ ენაზე „ზეცას“ ნიშნავს. „ცა“.

იქნებ მთელი ჩემი ცხოვრება სწორედ ამ ცის ძიება იყო, რომელიც დაბადებისთანავე შეპირებასავით მივიღე საგზლად. ჩემს დას დარია ერქვა. მისი სახელი „ქაოსს“ შეიცავს. „არია“. აფორიაქებას და აღელვებას. არევ-დარევას და აღარ დალაგებას. მე ვალში ვარ მასთან. მის ქაოსთან ვარ ვალში. ყოველთვის ვალში ვიყავი, მის ქაოსში მეძებნა ჩემი ცა. ან იქნებ ბრილკაა მთავარი. ბრილკა, რომლის სახელიც არაფერს ნიშნავს ჩემი ბავშვობის ენაზე; რომლის სახელიც აღუწერელი და დაუღდაუსმელია. ბრილკა, რომელმაც თვითონ დაირქვა ასე და იმდენი ქნა, რომ ბოლოს ყველამ დაივიწყა მისი ნამდვილი სახელი.

მართალია, შენთვის არასდროს მითქვამს, ბრილკა, მაგრამ ძალიან მინდა დაგეხმარო შენი ამბის სხვანაირად და ახლებურად დაწერაში, სულით და გულით მინდა. ჩემი სიტყვები ცარიელ სიტყვებად რომ არ დარჩეს და საქმიანად დაგიმტკიცო, ამიტომ ვწერ ამ ყველაფერს.

მხოლოდ ამიტომ.

ამ სტრიქონებს ვუმაღლი იმ საუკუნეს, რომელმაც ყველა მოატყუა და ყველას უღალატა, ყველა, ვისაც იმედი ჰქონდა. ამ სტრიქონებს ვუმაღლი დაუსრულებელ ღალატს, წყევლასავით რომ გადაუარა ჩემს ოჯახს. ამ სტრიქონებს ვუმაღლი ჩემს დას, რომელსაც ვერაფრით ვაპატიე, იმ ღამით უფროდ რომ გაფრინდა, ბაბუაჩემს, რომელსაც ჩემმა დამ გული ამოგლიჯა, ჩემს დიდ ბებიას - ოთხმოცდასამი წლისა პა-დე-დეს რომ ცეკვავდა ჩემთან ერთად, დედაჩემს, ღმერთს რომ დაეძებდა... ამ სტრიქონებს ვუმაღლი მიროს, რომლის სიყვარულიც სანამლავივით შხამიანი იყო, ვუმაღლი მამაჩემს, რომელიც წესიერად ვერც კი გავიცანი, ვუმაღლი შოკოლადის ფაბრიკანტს და თეთრ-წითელ ობერლეიტენანტს, ციხის საკანსაც და შუა საკლასო ოთახში დადგმულ საოპერაციო მაგიდასაც, ვუმაღლი წიგნს, რომელსაც არასდროს დავწერდი, რომ არა... ამ სტრიქონებს ვუმაღლი უთვალავ დაღვრილ ცრემლს, ვუმაღლი იმას, რომ სამშობლო მივატოვე საკუთარი თავის საპოვნელად და კიდევ უფრო დავიკარგე; მაგრამ უპირველესად შენ გიმაღლი ამ სტრიქონებს, ბრილკა.

გიმაღლი იმიტომ, რომ შენ იმსახურებ მერვე სიცოცხლეს. როგორც ამბობენ, ციფრი რვა უსასრულობის, მარადიული დინების ტოლფასია. მე შენ გჩუქნი ჩემს რვიანს. ჩვენ ერთი საუკუნით ვართ გადაჭაჭვულნი. წითელი საუკუნით. სამუდამოდ, რვიანივით. შენი ჯერია, ბრილკა. მე შენი გული ვიძვილე, ჩემი კი მოვისროლე. შენი იყოს ჩემი რვიანი, ბრილკა.

შენ ჯადოსნური ბავშვი ხარ. შენ უნდა გააპო ზეცა და ქაოსი, გაგვცდე ყველას, გაარღვიო ეს სტრიქონები, გაარღვიო მოჩვენებითი სამყაროც და რეალურიც, გაკვეთო სიყვარულისა და რწმენის ცვალებადობა, შეამოკლო ის სანტიმეტრები, ბედნიერებას რომ გვაშორებდა მუდამ, გაკვეთო ბედისწერა, რომელიც არასდროს არსებობდა.

მეც უნდა მძლიო და საკუთარ თავსაც.

ყველა ომი უნდა გადაიტანო. ყველა საზღვარი უნდა გადალახო. მე შენ გიძღვნი ყველა ღმერთს და ყველა გვირგვინს, ყველა ხანძარს, ყველა თავმოკვეთილ ოცნებას, ყველა ისტორიას. გაანგრეე ეს ყველაფერი, რადგან შენ ეს შეგიძლია. რვიანი, ბრილკა, რვიანზე იფიქრე. ამ ციფრში მოვიყრით თავს ყველანი, გადავიხლართებით და ყურს მიუვადებთ ერთმანეთს საუკუნოდ.

შენ შეძლებ ამას.

გახდი ის, ვინც ვიყავით ან არ ვიყავით. გახდი ლეიტენანტი, ბაგირზე მოცეკვავე, მებღვაური, მსახიობი, კინორეჟისორი, პიანისტი,

შეყვარებული, დედა, ექთანი, მწერალი, გახდი წითელი ან თეთრი, ან ლურჯი, გახდი ქაოსი და ზეცა, ისიც და მეც და ნუ იქნები ნურც ერთი, რაც მთავარია, ხშირად იცეკვე პა-დე-დე.

გადალახე ეს ამბავი და უკან მოიტოვე.

მე 1973 წლის 8 ნოემბერს დავიბადე საქართველოში, თბილისის მახლობლად, ერთი არაფრით გამორჩეული სოფლის კლინიკაში. პატარა ქვეყანაა. ლამაზიც არის, ვერ დაუვკარგავ, შენც დამეთანხმები, ბრილვა. მთებითა და ქვიანი სანაპიროთი შავ ზღვასთან შეერთებული. მართალია, სანაპირო ცოტა დაპატარავდა ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში უამრავი სამოქალაქო ომის, სულელური პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სიძულვილით სავსე კონფლიქტების წყალობით, მაგრამ რაღაც ნაწილი მაინც შემოგვრჩა. ალბათ, იცი ეს ლეგენდა, ბრილვა, მაგრამ კარგად რომ გაგაგებინო, რისი თქმაც მინდა, მაინც შეგახსენებ; ამ ლეგენდის მიხედვით ჩვენი ქვეყანა ასე შეიქმნა:

ერთ მშვენიერ, მზიან დღეს ღმერთი თავის შექმნილ დედამიწას ქვეყნებად ანაწილებდა (ეს ბაბილონის გოდოლის ამენებამდე ალბათ ბევრად ადრე უნდა მომხდარიყო) და ამისთვის შეჭიბრება მოაწყო, ადამიანები ხმამაღლა იქებდნენ თავს ღმერთის კეთილგანწყობის და, შესაბამისად, საუკეთესო მიწის მოსაპოვებლად (ვფიქრობ, იტალიელები აღმოჩნდნენ ყველაზე ნიჭიერები, ჩუქჩებმა კი ბევრი ვერაფერი მოახერხეს). დღის ბოლოს მსოფლიო უკვე ქვეყნებად იყო დანაწილებული, ღმერთი კი - დადლილი. ოღონდ ღმერთმა - ბრძენთა ბრძენმა უკუნითი უკუნისამდე - რაღა თქმა უნდა, თავისთვისაც შემოინახა სააგარაკოდ პატარა, მაგრამ ყველაზე ლამაზი მიწის ნაკვეთი, სადაც უამრავი მდინარე და ჩანჩქერი ეგულებოდა, გემრიელი ხილი და - ეტყობა, ესეც იცოდა - მსოფლიოში საუკეთესო ღვინო. როცა აღელვებული ადამიანები თავიანთი ახალი სამშობლოებისკენ გაემუწუნენ, ღმერთმა ხის ჩრდილში დასვენება დააპირა და იქ ერთ მფშვინავ კაცს წააწყდა (უღვაშიანი იქნებოდა უდავოდ და ღიპიანი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე წარმომედგინა ყოველთვის). მიწების დანაწილებას ის არ დასწრებია და ღმერთს გაუკვირდა. გააღვიძა კაცი და ჰკითხა, აქ რას აკეთებ და შენი სამშობლო რატომ არ გაინტერესებსო. კაცმა თბილად გაუღიმა (შეიძლება ერთი-ორი ჭიქა წითელი ღვინოც კი ჰქონდა უკვე გადაკრული) და უპასუხა (ამ ლეგენდის სხვადასხვა ვერსია არსებობს, მაგრამ ამას დავჭერდეთ), ისედაც კარგად ვარ, მზე ანათებს, დიდებული დღეა და რასაც უფალი გამიეტებს ჩემთვის, იმით დავკმაყოფილდებიო. და ამ უდარდელმა კაცმა, პატივმოყვარეობის ნატამალიც რომ არ გააჩნდა, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ღმერთზე, რომ მან, სიკეთით სავსემ უკუნითი უკუნისამდე, თავისი სააგარაკე სამოთხე აჩუქა, ანუ საქართველო, შენი, ჩემი და იმ ადამიანთა უმრავლესობის სამშობლო, რომელთაც ჩემი მონათხრობი შეეხება.

აი, ამით რა მიზნობა მეთქვა: დაუფიქრდი, ეს უდარდებლობა (იმავე სიზარმაცე) და პატივმოყვარეობის ნაკლებობა (იგივე არგუმენტების არქონა) ჩვენს ქვეყანაში ხომ ჭეშმარიტად ამაღლებულ თვისებებად მიიჩნევა. იმასაც დაუფიქრდი, რომ, მიუხედავად ღრმად ფესვებგადგმული ღმერთის რწმენისა, (ბუნებრივია, მართლმადიდებლური ღმერთის და სხვა არც ერთის), ეს ხელს არ უშლის ამ ქვეყნის შვილებს, ყველაფრის სჯეროდეთ, რაც ოდნავ მაინც ზღაპრულია, იდუმალებით მოცული, ან ლეგენდას წააგავს – და სულ არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ბიბლია იყოს.

მთაში ბინადარი დევი იქნება ეს თუ წყალ-ჭალის მოჩვენება, ადამიანისთვის უბედურების მომტანი ავი თვალი, თარსი შავი კატა, ყავის ნალექის ძალა თუ სიმართლე, რომელსაც მხოლოდ ბანქო ხდის ფარდას (როგორც იცი, დღეს უკვე ახალ მანქანებსაც ასხურებენ ნაკურთხ წყალს უბედური შემთხვევისგან თავის დასაცავად).

ამ ქვეყანას, ოდესღაც ოქროს კოლხეთს, ბერძნებისთვის ოქროს სანძისის სახით სიყვარულის საიდუმლო გაუტანებია, რადგან ასე უბრძანებია თავნება და გონის დაკარგვამდე შეყვარებულ მეფის ასულ მედეას.

ამ ქვეყანაში ადამიანის სანიმუშო თვისება, როგორც წმინდათაწმინდა სტუმართმოყვარეობაა, და არასახარბიელო თვისებები, როგორებიცაა სიზარმაცე, ოპორტუნიზმი და კონფორმიზმი, ერთნაირად ფასობს (თუმცა უმრავლესობა ასე სულაც არ ფიქრობს, ამაზეც ვთანხმდებით მე და შენ).

ამ ქვეყნის ენაში სქესის ნიშანი არ არსებობს (რაც სქესთა თანასწორობას სულაც არ გულისხმობს).

ამ ქვეყანამ წინა საუკუნეში, ცარიზმისა და რუსეთის ბატონობის 117 წლის შემდეგ, მოახერხა და ზუსტად სამი წლით დაამყარა დემოკრატია, სანამ ისევ არ დამარცხდა დიდწილად რუსი, მაგრამ ასევე ქართველი ბოლშევიკების ხელით და საქართველოს სოციალისტურ რესპუბლიკად, ანუ საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად არ გამოცხადდა.

ამ კავშირში იმყოფებოდა ქვეყანა შემდგომი სამოცდაათი წლის განმავლობაში.

ამას მოჰყვა რამდენიმე გადატრიალება, სისხლში ჩამხრჩვალ დემონსტრაციები, გაუთავებელი სამოქალაქო ომები, დაბოლოს, ასე ნანატრი დემოკრატია, თუმცა ეს განსაზღვრება პერსპექტივისა და ინტერპრეტაციის საკითხად რჩება.

მე მგონია, ჩვენს ქვეყანას შეუძლია, იყოს უაღრესად კომიკური (და არა მარტო ტრაგიკული), ჩვენს ქვეყანაში ძალიან იოლად ივინყებენ კიდევ და აინუნშიც არ აგდებენ საკუთარ ჭრილობებს, საკუთარ შეცდომებს, უფრო მეტიც, თვალს ხუჭავენ უსამართლოდ მიყენებულ ტკივილზე, ჩაგვრაზე, მარცხზე. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც

ვეჭახუნებთ სასმისებს და ვხალისობთ. ეს მართლაც რომ შთამბეჭდავია, თუ გავითვალისწინებთ იმ მწვავე მოვლენებს, წინა საუკუნეს რომ ახლდა, რომელთა შედეგებსაც დღემდე იშვიათ ადამიანები (რამდენიც უნდა მეკამათო!).

ეს ის ქვეყანაა, სადაც, მე-20 საუკუნის უდიდესი ჯალათების გარდა, უამრავი არაჩვეულებრივი ადამიანი დაიბადა, რომლებიც მე, პირადად, ძალიან მიყვარდა და მიყვარს. ზოგი მათგანი გაიქცა, ზოგს გზა აებნა, ზოგი ცოცხალი აღარ არის, ზოგი დაბრუნდა, ზოგის დიდებამ უკვე ჩაიარა, ზოგი ჯერ კიდევ ელის მას, მაგრამ ამ ადამიანთა უმრავლესობას არავინ იცნობს.

ეს ქვეყანა დღემდე მისტირის X-XIII საუკუნეების ოქროს ხანას და იმედოვნებს, რომ ოდესმე ისევ დაიბრუნებს წარსულ ბრწყინვალეობას (ასეა, ჩვენს ქვეყანაში პროგრესი იმავდროულად რეგრესსაც ნიშნავს).

ტრადიციები უდიდესი ანარეკლია იმისა, რაც ოდესღაც იყო. თავისუფლებისკენ ლტოლვა უცნობი ნაპირის უაზრო ძებნას დამსგავსებია, რადგან საერთო აზრის ჩამოყალიბებაც კი ვერ მოხერხდა თუნდაც ბოლო თვრამეტი წლის განმავლობაში იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება ამ თავისუფლებაში.

ასე რომ, ქვეყანა, სადაც ოცდათორმეტი წლის წინათ მოვევლინე მსოფლიოს, დღეს იმ მეფეს ჰგავს, რომელიც ჯერ კიდევ ბრწყინვალე გვირგვინითა და დიდებული მოსასხამით შემკული მბრძანებლობს, განკარგავს, თავის ნებაზე ატრიალებს ყველაფერს – და ვერ იჭერებს, რომ მისი ქვეშევრდომნი კარგა ხანია გაპარულან და მართლა დარჩენილი.

ნუ შექმნი პრობლემებს – ასეთია მთავარი მცნება ჩვენს ქვეყანაში. ასე მითხარი ერთხელ ჩვენი მგზავრობის დროს და დავიმახსოვრე (ყველაფერი მახსოვს, რაც იმ მგზავრობის დროს მითხარი, ბრილკა).

მე კი დავამატებდი:

ნება იბოძე და ისე იცხოვრე, როგორც შენმა მშობლებმა იცხოვრეს, ნუ განმარტოვდები. მართლობა საშიშია და უსარგებლო. ეს ქვეყანა აღმერთებს გაერთიანებებს და არ ენდობა ცალკე მდგომებს. გაერთიანდი კლანში, სამეგობროში, სანათესავოში, ინტერესთა წრეში – მართო მყოფი არაფრად ღირხარ.

შვილები გააჩინე, პატარა ქვეყანა ვართ და უნდა გავმრავლდეთ – ეს შეგონება პირველი მცნების ტოლფასია.

ყოველთვის იამაყე შენი ქვეყნით, მშობლიური ენა არასდროს დაივიწყო, შეგიძლია მოიხიბლო, აღფრთოვანდე, დაინტერესდე ნებისმიერი უცხო ქვეყნით, მაგრამ არასდროს ამჯობინო სამშობლოს, არასდროს.

უპოვე სხვა ეროვნების ადამიანებს ისეთი ნაკლი და თავისებურება, როგორიც საქართველოში სამარცხვინო იქნებოდა და აღშფოთდი ამაზე:

ხარბები არიან, ანუ არ სურთ ნაცნობ-მეგობრებს დაახარჯონ მთელი ფული, სტუმართმოყვარეობაში მოიკოჭლებენ, ანუ მზად არ არიან ყირაზე დადგნენ ყოველი მასპინძლობისას, უნიათონი არიან ჭამა-სმაში, ანუ გონის დაკარგვამდე არ თვრებიან, მუსიკალურები არ არიან – ასეთი თვისებები გამოდგება კრიტიკისთვის.

იყავი გახსნილი, ტოლერანტი, გაგებით მოეკიდე და დაინტერესდი სხვა კულტურებით, ოღონდ თუ ისინი შენი სამშობლოს განსაკუთრებულობას და განუმეორებლობას აფასებენ და აღიარებენ მუდამ.

იყავი მორწმუნე (ამ ბოლო 18 წლის განმავლობაში ისევ), იარე ეკლესიაში, არაფერს ჩაეძიო, რაც მართლმადიდებლურ ეკლესიას ეხება; დამოუკიდებლად არ იაზროვნო, ყოველთვის გადაინერე პირჯვარი, როცა ეკლესიას დაინახავ (შენი თქმით, ეს ახლა მოდაში ყოფილა!), ანუ დაახლოებით ათიათასჯერ დღეში, თუ დედაქალაქში იმყოფები. არაფერი გააკრიტიკო, რაც წმინდაა – ანუ თითქმის არაფერი, რაც ამ ქვეყანას ეხება.

იყავი უდარდელი და ხალისიანი, რადგან ეს არის ქვეყნის მენტალიტეტი, დაღვრემილები არ უყვართ ჩვენს მზიურ საქართველოში. ესეც კარგად მოგეხსენება.

ქმარს არასდროს უღალატო და თუ ქმარი გიღალატებს – აპატიე, ის ხომ მამაკაცია. რაც მთავარია, სხვებისთვის იცხოვრე. რადგან სხვებმა ყოველთვის უკეთ იციან, რა არის შენთვის უმჯობესი.

დაბოლოს, ისიც მინდა დავამატო, რომ წლების განმავლობაში ვიბრძოდი ამ ქვეყნისთვის და ვებრძოდი ამ ქვეყანას, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე მისი ჩანაცვლება, ამოძირკვა, ავი სულივით დამეპატრონა. განწმენდის ვერანაირმა რიტუალმა, განდევნის ვერანაირმა მექანიზმმა ვერ მიშველა. რადგან ყველგან, სადაც უნდა წავსულიყავი, რაც უნდა შორს ვყოფილიყავი ამ ქვეყნისგან, იმ ამაოდ დახარჯულ, მიმოფანტულ, გაფლანგულ, სინანულით აღსავსე სიყვარულს დავეძებდი, რომელიც იქ დავტოვე.

ჰო, ეს ის ქვეყანაა, სადაც არავითარი ძალისხმევის განწევა არ სურთ, სიამოვნებით მიიღებდნენ ყველაფერს საჩუქრად, რაკი ასეთი კეთილგანწყობილები, საყვარლები, მზიარელები და ხალისიანები არიან და სამყარო (თუ გაუმართლათ) ღიმილს არ იშურებს მათთვის.

მოკლედ, ამ ქვეყანაში მოვევლინე 1973 წლის 8 ნოემბერს მსოფლიოს. მსოფლიოს, რომელიც სულ სხვა რამეებით იყო დაკავებული და ჩემი მოსვლა დიდად არ შეუმჩნევია. უოთერგეითის სკანდალი, ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო კამპანია, სამხედრო გადატრიალება საბერძნეთში, ნავთობის კრიზისი და ელვისი არ ასვენებდნენ დასავლეთს, აღმოსავლეთი კი ამ დროს ბრეჟნევისა და საბჭოთა ნომენკლატურის ზეწოლის გამო ყრუ სტაგნაციაში იძირებოდა, რომლის

არსიც იყო ყველა საშუალებით ძალაუფლების შენარჩუნება და ამგვარად ნებისმიერი რეფორმის უარყოფა, აყვავებული კორუფციისა და შავი ბაზრისთვის თვალის მოხუჭვა.

ასე იყო თუ ისე, მსოფლიოს ორივე ნაწილში პირველად მოისმინეს „პინკ ფლოიდის“ The Great Gig in the Sky. დასავლეთში ღიად, აღმოსავლეთში მალულად.

და ვისოცკიმ ასე უმღერა იმ ეპოქას:

მარადიული ცირკი,

სადაც შეპირებები

საპნის ბუშტებივით სკდება,

იხარეთ, ვისაც შეგიძლიათ.

დიდი ცვლილებები?

სიტყვებია მხოლოდ.

ვერ ვიტან ამ ყველაფერს,

გული მერევა.

ჩემი დაბადებისა და ჩემი დის დაცემის მეტი იმ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. და ალბათ კიდევ ის, რომ დედაჩემს, მამამისთან გამუდმებულ ომში, თავისი ოჯახის წევრი ქალების იმედად მყოფს, მოთმინება გამოეღო და აყვირდა.

- ბოზი ხარ თუ ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს? - უდრიალა თურმე ბაბუაჩემმა, აცრემლებულმა დედამ კი ყვირილითვე უპასუხა:

- თუ ეგრეა, მაშინ ბოზისშვილი უფრო ვარ!

ორი საათის შემდეგ ჭინთვები დაეწყო.

ჩხუბში მონაწილეობდნენ: ჩემი ძლევა მოსილი ბაბუა, ინფანტილური ბებია და დედა, რომელიც სულ უფრო კარგავდა კონტროლს საკუთარ ცხოვრებაზე.

მეორე მოვლენა იმ დღისა ჩემზე ორწლინახევრით უფროსი დის ტვინის შერყევა იყო, რაც ზუსტად ჭინთვების დაწყების წინ მომხდარა.

რამდენიმე დღით ადრე ბაბუას ცხენსაშენში წაუყვანია და იქ ისე აღტაცებულა არაბული ბედაურებითა და პატარა დაღესტნური ცხენებით, რომ იმ დღეს, როცა მე უნდა გავჩენილიყავი, ბაბუას პონიზე შემოუსვამს და მხოლოდ მსუბუქად მოუკიდებია წელზე ხელი, პონის კი უცებ აუნყვეტია და ბავშვი გადმოუგდია. ეს ისე სწრაფად მომხდარა, რომ ბაბუაჩემს მისი დაჭერა ვერ მოუსწრია.

ჩემი და ჩამოვარდა და გოგრასავით დაენარცხა მიწას, რომელიც თივით კი იყო დაფარული, მაგრამ ჩემი ფუმფულა და ვარდისფერი დისთვის მაინც საკმაოდ მაგარი გამოდგა.

სასონარკვეთილი ბაბუაჩემი შვილიშვილს როცა მივარდა, მეჭინბეები დაადანაშაულა და დაემუქრა, „მთელ თქვენს იპოდრომს“ დავხურავო, სწორედ ამ დროს აკვნესდა დედაჩემი, დაქანცული ჩხუბითა და იმ შეურაცხყოფელი სიტყვებით, კიდევ დიდხანს რომ ისმოდა

ეფოსავით „მწვანე სახლში“, ჩემი ბავშვობის სახლში. ბებიაჩემი, რომელიც თავისი ქმრისა და ქალიშვილის ასეთი ხმაურიანი შეხლა-შემოხლის დროს – რაც საკმაოდ ხშირი იყო, – ნეიტრალურ პოზიციას იჭერდა და კიდევ უფრო აცოფებდა ორივეს, რაკი არც ერთის მხარეს არ იყო, – მაშინვე სამზარეულოში შევარდა, სადაც დედაჩემი იჯდა და სიტყვის უთქმელად ეცა კედელზე დაკიდებულ უზარმაზარ ტელეფონს.

სამშობიარო ტკივილები ზუსტად 8 საათს გრძელდებოდა.

დედაჩემი თავისი ფუმფულა დედის თანხლებით მივიდა სოფლის სამშობიაროში, იმავე დროს მიიყვანეს საავადმყოფოში ჩემი და დარიაც, რომელსაც უმეტესწილად დაროს, დარის ან დარიკოს ეძახდნენ.

„ააა!“ – ყვიროდა დარია. „ააა!“ – ყვიროდა დედამისიც. „დედაააა!“ – ტიროდა დარია და დედამისიც კვნესოდა: „დედაააა!“

ბაბუაჩემის საყვარელი საკოლექციო „ჩაიკა“ (მხოლოდ საბჭოთა ელიტისთვის განკუთვნილი „თოლია“, ოფიციალურად გაზ-13), რომელსაც ბავშვივით უვლიდა და ელოლიავებოდა, მეტისმეტად ნელი იყო სოფლის გზებისთვის, ამიტომ თავისი ქალიშვილის თეთრ ლადაში ჩაჯდა და თბილისის ერთ-ერთ ცნობილ საავადმყოფოში გააქანა დარია, სადაც მას მსუბუქი ტვინის შერყევა დაუდგინეს. მე კი, რამდენიმე კილომეტრის დაშორებით და რამდენიმე საათის შემდეგ – დამიდგინეს, რომ ნამდვილად მოვევლინე ამ ქვეყანას.

ჩემმა ხმამალაღმა ყვირილმა აიძულა დედაჩემი, თავი აენია, ჩემთვის შეეხედა და აღმოეჩინა, რომ არავის ვგავდი. მერე ისევ სამშობიარო სკამზე გადაწვა, სახელდახელოდ შეკონინებულს რომ ჰგავდა.

ბებიაჩემმა პირველმა ამიტაცა ხელში სრულიად დარწმუნებულმა, რომ მე „ზებუნებრივად განვითარებული ჰარმონიული მოთხოვნილებების ბავშვი“ ვიყავი, ასე განსაჯა, ბოლოს და ბოლოს, ჩხუბის დროს მოვევლინა ამ ქვეყანასო.

რაც შეეხება ჰარმონიის მოთხოვნილებას, მწარედ ცდებოდა.

ბაბუაჩემს, რომელმაც ჩემი და საავადმყოფოდან ისევ შინ წამოიყვანა – მას წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს, – ტელეფონით შეატყობინეს, რომ მე უკვე გავჩნდი, „მოცუცქნული და შავგვრემანი“ ვარ და ჯანმრთელობას არ ვუჩივი. ბაბუა აივანზე დაჯდა, თავისი ძველი მეზღვაურის კიტელი მოიხურა, რომელსაც მერე ხშირად ვერ ვიყოფდით მე და ჩემი და, და დიდხანს იქნია თავი.

როცა დედამისმა საზეიმო ნამცხვრის ცხობა დაიწყო, სარდაფიდან თავისი საყვარელი ხილის ლიქიორი ამოიტანა (ამჯერად ალუბლის) და ჩემი დაბადების აღნიშვნა განიზრახა, ბაბუა ისევ იქ იჯდა მდუმარედ, შვილის მორიგი ცოდვით გაოგნებულს არაფერი შეეძლო თავის ქნევის მეტი.

ჩემმა დაბადებამ იძულებული გახადა, კიდევ ერთი შვილიშვილისთვის მიეცა საკუთარი გვარი, ანუ „ჯაში“, იმიტომ რომ

უკანონო შვილი ვიყავი. ამჯერად არა მართო დებერტირის და სამშობლოს მოღალატის, როგორც ჩემი და, არამედ ჭეშმარიტი კრიმინალის, რომელიც ჩემი გაჩენის დროს ციხეში იჯდა.

„ეს ბავშვი ელენეს უსირცხვილობის, მისი გარყვნილების შედეგია, მისი ღირსებისთვის ბრძოლაში ჩემი საბოლოო მარცხის ნიშანი, ამიტომ სიხარულისა და ზეიმის არავითარი საფუძველი არ გამაჩნია. ეს გოგო განსახიერებაა ყველა იმ უბედურებისა, რაც დედამისმა თავს დაგვატეხა, თუმცა რა მაგის ბრალია“.

ასეთი იყო ბაბუაჩემის პირველი სიტყვები, როცა დედამისმა, ჩემმა დიდმა ბებიამ რამდენჯერმე მოსთხოვა, რამე გრძნობა მაინც გამოეხატა მეორე შვილიშვილის მიმართ.

ასეა, ამაში მართალიც იყო და ჩემი გაჩენის გარემოებათა გათვალისწინებით, ვერც გავამტყუნებ ამ სიტყვების გამო.

ის ხუთი დღე, დედასთან ერთად რომ გავატარე სამშობიაროში, სადაც ბებიამ ჩემი ყოველდღე მოდიოდა თავისი მოლოგინებული შვილის მოსანახულებლად ქათმის ბულიონითა და მწნილით ხელდამშვენებული, ბაბუაჩემი სახლში იჯდა და სანოლთან დარაჯობდა დარიას, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ არ აძლევდნენ ადგომის უფლებას, და ამიტომ ართობდა მას, ათას რამეს უყვებოდა, ეთამაშებოდა, მულტფილმებს აყურებინებდა (ტელევიზორი საგანგებოდ დაუდგა ოთახში). არც დარიამ იცოდა ჩემი არსებობის შესახებ და არც დედაჩემმა იცოდა, რომ მის უფროს შვილის ტვინის შერყევა ჰქონდა.

ჩვენი ძლევა მოსილი ბაბუას სამფლობელოში დარიას აღმერთებდნენ და თვალეზში შესციციებდნენ, აღტაცებისა და აღფრთოვანების გამოწვევა მისი ხვედრი იყო გარკვეულ დრომდე – თუმცა მე მოვლენებს გავუსწარი, დარია სათაყვანებელი მარგალიტის როლს ბრწყინვალედ ასახიერებდა წლების განმავლობაში.

ბაბუამ და ოჯახის თავმა ექსტრემალურად განსხვავებული როლები მოგვანიჭეს მე და ჩემს დას თავიდანვე, მაგრამ, მიუხედავად ამ გარემოებისა, სოფლის საავადმყოფოდან შინ მოყვანის დღიდანვე მე სამუდამოდ გავინადდე უპირატესობა: სტასიას უკიდევანო, დაუოკებელი სიყვარული მერგო წილად. მე, მხოლოდ და მხოლოდ მე. დიდმა ბებიამ მაჩუქა სიყვარული, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ ულუფებად, მალულად და ლამის გაუბედავად გასცემდა, არავისთვის ემეტებოდა, განსაკუთრებით საკუთარი შვილისთვის. მე კი მაჩუქა, უკვე დაჟინებით, ხმამაღლა, გონებადაბინდული ბავშვივით, ზღვარგადასულად. თითქოს მთელი ეს წლები მე მელოდებოდა, თითქოს ჩემთვის ინახავდა თავს.

იმ დღეს, როცა მე, მოცუცქნული, დაჭმუჭნილი და სრულიად შეუხედავი, შინ მიმიყვანეს, ანასტასია, ასეთი იყო მისი სრული სახელი, თავისი ხმაგაუმტარი ციხესიმაგრიდან დღის სინათლეზე გამოსულა ჩემი

მახინჯი უმდაბლესობის შესაგებებლად. ადარ ყოფილა ისეთი გულგრილი და გაუცხოებული, როგორც მანამდე, წლების განმავლობაში, რაღაც შეიცვალა თურმე უცებ, როცა ხელში ავუყვანივარ და თვალები დაუხუჭავს.

ხოლო როცა ბოლოს სომნამბულური მდგომარეობიდან გამოსულა და თავისი შვილთაშვილისთვის შეუხედავს, ასე უთქვამს თურმე: „ეს სხვანაირი ბავშვია. განსაკუთრებული. გაფრთხილება უნდა და დიდი თავისუფლება“.

ყველამ შუბლზე იტკიცა ხელი და ამოიკვნესა. უცნაური მოხუცი გამოცოცხლდა და არავინ იცოდა ზუსტად, კარგი იყო ეს თუ დამღუპველი.

ეტყობა, თავიდან ჩემთვისაც ნებადართული იყო უფროსი დის გაღმერთება.

წარსულში ხშირად მეკითხებოდნენ ხოლმე, ხომ არ ვიჩაგრებოდი მისი სილამაზის, მისდამი საყოველთაო სიყვარულის, მისით ყოველმხრივი აღფრთოვანების გამო. მაგრამ ეს ასე არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში, გარდატეხისას ბევრი სირთულე გვდევდა. კი ვანვალეზდით ერთმანეთს, ლამის ვტანჯავდით, შეცდომების პატიებას გვიჭირდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სიგიჟემდე გვიყვარდა ერთმანეთი.

პატარაობისას ყოველთვის ვმუნჯდებოდი ხოლმე, როცა დარია მიახლოვდებოდა, როცა ვერ გადაეწყვიტა, თავზე შემეხებოდა თუ ცხვირზე მოეთათუნებინა ხელი. სხვანაირად არც შემეძლო, ისევე ვაღმერთებდი დარიას, როგორც ყველა ჩვენ ირგვლივ. იქნებ მიგახვედრო, როგორი მომაჯადოებელი იყო, თუ ვიტყვი, რომ ოქროსფერი თმა ჰქონდა. მართლა ოქროსფერი.

ან, თუ ვიტყვი, რომ სხვადასხვაფერი თვალები ჰქონდა, დაუჯერებლად განსხვავებული და სრულიად გამოგნებული, ერთი ლაჟვარდისფერი და მეორე კაკლისფერი. ან რომ გასაგიჟებელი ღიმილი ჰქონდა და ისეთი მომხიბვლელი, ბავშვისთვის სრულიად შეუფერებელი, ჩახლეჩილი ხმა ნაწყენი ბუთქუნა ბიჭივით. მაგრამ ამით ძალიან გავამარტივებ ყველაფერს, ეს არ არის საკმარისი.

ის, რომ ბაბუაჩემს ასე ძალიან უყვარდა დარია და ჩემს დაბადებას ერთგვარ უსირცხვილობად მიიჩნევდა, რადგანაც ეს დარიას ერთპიროვნულ ბატონობას საფრთხეს უქმნიდა და მე ამას თავიდანვე ვგრძნობდი, არაფერს ცვლიდა. დარიასთან სიახლოვეს ვეძებდი მაინც, დარია მჭირდებოდა.

მე უშნო ბავშვი ვიყავი (ასეთ შემთხვევაში ბრძოლა გინევს სილამაზის მოსაპოვებლად).

ანასტასია, რომელსაც ყველა სტასიას ეძახდა, გამორჩეული ქალი იყო, თუმცა არც ისეთი თვალწარმტაცი და მზეთუნახავი, როგორც ქრისტინე, მისი უმცროსი და. მაგრამ იმ დროისთვის, როცა მე დავიბადე,

ჩემმა დიდმა ბებიამ სახე იცვალა და რაღაც სიურრეალურად, მთვარეულივით გალამაზდა. მან თავიდან აღმოაჩინა ბალეტი და ისევ გაახალგაზრდავება დაიწყო.

მართლა მაგარი წყვილი ვიყავით.

ძალიან მაღლიერი ვარ სტასიასი, თუმცა ბავშვობაში ისეთი ფაზებიც მქონია, როცა მისი გამოცოცხლების შეჩერება მდომებია. როცა მისი სიყვარული წყევლად მომჩვენებია და მინატრია, ეს სიყვარული თავისებურ საფასურად არ მიმელო ჩემი ბავშვობის სხვა უამრავი დანაკლისისთვის. მაგრამ მაინც მისი წყალობით ვისწავლე ცხოვრება, ვისწავლე, როგორ მეცეკვა ბაგირზე, როცა ჩემ ირგვლივ ცეცხლი გიზგიზებდა, ყველაზე მაღალ ხეებზე უფრო მაღლა, ყველა კოშკზე უფრო მაღლა გაბმულ ბაგირზე, მსუბუქად და უშიშრად – ჩამოვარდნის შემთხვევაში ხომ უბრალოდ მკლავების გაშლა კმარა გასაფრენად. მისი წყალობით ვისწავლე გინებაც (თითქმის დაუფასებელი თვისება: ერთი კარგად შეიკურთხო, როცა მთელი სამყარო თავზე გენგრევა). მისი წყალობით ვისწავლე გამოსავლის პოვნა გამოუვალი მდგომარეობისას, კედლებზე გადაძრომა, როცა ხიდები ინგრევა და ჯარისკაცივით სიცილი. განსაკუთრებით მაშინ, როცა არაფერია სასაცილო.

მისი წყალობით ბევრი წყევლა ავიცილე, როგორც მობეზრებული ტანისამოსი და მისივე წყალობით შევძელი ცრუ შარავანდედების გარღვევა. ამ ყველაფერს და ბევრ სხვა რამეს ვუმადლი სტასიას. მისგან დაიწყო კიდევ ყველაფერი...

კიდევ ერთი, რაც სტასიამ მისახსოვრა და რამაც ალბათ ყველაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ხალიჩის ამბავი იყო: ერთ წვიმიან დილას, მეორე თუ მესამე კლასში ვიყავი მაშინ, გაციების გამო შინ დავრჩი, „მწვანე სახლში“, და სტასიას წავაწყდი სხვენში, სამუდამოდ დაუმთავრებელი რომ დარჩა. იქ იყო აივანი, ტერასასავით ფართო, მაგრამ უმოაჯირო, სადაც ბავშვებს სასტიკად გვეკრძალებოდა გასვლა, თუმცა ძალიან მოგვწონდა იქაურობა და მაინც დავძვრებოდით ხოლმე ჩუმ-ჩუმად. სტასია ამ აივანზე იდგა და ბერტყავდა ჩრჩილების შეჭმულ ხალიჩას, ულამაზესი ბრონეულის ფერებით რომ იყო ნაქსოვი. ეს ხალიჩა მანამდე არასდროს მენახა.

– მანდ გაჩერდი. აქ არ მოხვიდე! – მიბრძანა სტასიამ, როცა დამინახა.

– რას აკეთებ?

– ამ ხალიჩის რესტავრირება გადავწყვიტე.

– რესტავრირება რას ნიშნავს? – ვიკითხე და მოჯადოებულებით გავშეშდი მის წინ.

– ძველ ხალიჩას განვაახლებ და ჩამოვკიდებ. ეს ხალიჩა ჩვენს დიდედას ეკუთვნოდა და ქრისტინეს ერგო მემკვიდრეობით. მას არასოდეს მოსწონდა და ამიტომ მე მომცა, თუმცა არც მე ვაფასებდი სათანადოდ, სანამ არ დავბერდი. კედლის ხალიჩაა, ძველისძველი.

- როგორ შეიძლება მერე ძველი რაღაც ისევ ახალი გახდეს?

- როგორ არა. ძველი შეიძლება განახლდეს, უბრალოდ, სხვანაირი იქნება, ზუსტად ისეთი ვეღარ გახდება, როგორც ოდესღაც იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. უკეთესიცაა და უფრო საინტერესოც, თუ რამე შეიცვლება. განვაახლოთ, ჩამოვკიდოთ და ვნახოთ, რა მოხდება.

- ჭო, მაგრამ რაში გვჭირდება? - ჩავუძიე მე.

- მთელი ისტორიაა ეს ხალიჩა... მასში უამრავი სხვადასხვა ამბავია ჩამალული. მოდი აქ, ფრთხილად, მომკიდე ხელი, აი, ასე, კარგი, ახლა შეხედე, ხედავ, როგორ არის მოხატული?

მე წითელ ფონზე გამოყვანილ ფერად ორნამენტს მივაჩერდი.

- აქ უამრავი ძაფია. თითოეული ძაფი ცალკეული ისტორიაა, გესმის? მოწინებით დავუქნიე თავი, თუმცა სულ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ გავუგე.

- შენც და მეც ცალკეული ძაფები ვართ, ერთად პატარა ხვეულს ვქმნით, დანარჩენ ძაფებთან ერთად კი - ორნამენტს.

ყველა ძაფი განსხვავებულია, სხვადასხვა სისქის, სხვადასხვა ფერის. ცალკეული ორნამენტები ძნელად აღსაქმელია, მაგრამ თუ ერთობლიობაში დააკვირდები, უამრავ ფანტასტიკურ რამეს აღმოაჩენ. აბა, შეხედე ამას. განა გასაოცარი არ არის? ეს ხვეული მართლაც რომ ზღაპრულია! ამას ემატება ქსოვის სიმჭიდროვე, მერე კიდევ თვლების რაოდენობა, ასევე ნაირ-ნაირი ფერები - ეს ყველაფერი ქმნის ხალიჩის თავისებურებას. მგონი, კარგი მაგალითია. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად და ბევრს ვფიქრობ ამაზე. ხალიჩები ისტორიებით არის ნაქსოვი. ამიტომ მოფრთხილება და მოვლა სჭირდებათ. ეს ხალიჩა წლების განმავლობაში სადღაც დამტვერილი ეგდო, ჩრჩილებისთვის განწირული. ახლა კი მას სიცოცხლეს დავუბრუნებთ და ის კი თავის ამბავს გვიამბობს. ეჭვი არ მეპარება, რომ მასში ჩვენც ვართ ჩაქსოვილი, თუმცა ეს ჩვენ აქამდე ვერც წარმოგვედგინა.

და სტასიამ მძიმე ხალიჩის ბერტყვა განაგრძო მთელი ძალით.

ეს გაკვეთილი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ახლა არც კი ვიცი, მაღლობელი უნდა ვიყო სტასიასი თუ არა, ამ აღმოჩენით განაჩენი რომ გამომიტანა და ამბების მაძიებლობა დამაკისრა, რადგან წლების განმავლობაში შეპყრობილივით ვცდებდი ამბებს ამბების მიღმა, როგორც ძვირფასი ხალიჩის ახალ შრეებს.

მოკლედ, ვინცებ, თან ცოტა თავსაც ვიმშვიდებ შეშინებული ბავშვივით, საყვარელ სათამაშოს გულში რომ იხუტებს. იმიტომ რომ მეშინია. არ ვიცი, რამდენად გავართმევ თავს იმას, რაც მინდა, გიამბო, რამდენად გავართმევ თავს, შენ, ბრილკა.

ამ ამბებისაც მეშინია. ამბების, პარალელურად რომ ვითარდება, ქაოტურად; ხან წინ რომ გამოდიან და ხან იმალებიან, ენაცვლებიან ერთმანეთს. იმიტომ რომ გადახლართულნი და გადაკვეთილნი არიან,

ზოგჯერ გვერდს უვლიან ერთმანეთს, ან გზას უღობავენ და უსაფრდებიან, ღალატობენ და თავგზას უბნევენ, კვალს ტოვებენ და შლიან, რაც მთავარია, კიდევ ათასობით სხვა ისტორიას იტყვენ.

არ ვიცი, რამდენად გავიგე მე თვითონ ყველაფერი და ჩაწვდი არსს, მაგრამ სხვა რა გზა მაქვს, იმედი უნდა ვიქონიო და უკიდურეს შემთხვევაში, თუ ყველა ბაგირი ჩამოწყდება, ყველა ხიდი დაინგრევა, კიდევ ერთხელ გავშლი მკლავებს და მარცხის თავიდან ასაცილებლად როგორმე შევძლებ ფრენას, იმედია.

სტასიათი დავიწყებ, რომ შენამდე მოვალწიო, ბრილკა.

XX საუკუნის დასაწყისში, ყინვიან ზამთარში მოვლენია ამ ქვეყანას. ნაწნავებს დაუნნავდი, ისეთი ხშირი თმა ჰქონიაო – ასე მიყვებოდნენ. და აჩხავლდა თუ არა, ცეკვაც დაიწყო თურმე. თან იცინოდაო, თითქოს მხოლოდ უფროსების დასამშვიდებლად ატირდა, მშობლების, მეანების, სოფლის ექიმის და არა იმიტომ, რომ ეტირებოდაო.

მისი პირველივე ნაბიჯები უკვე პა-დე-დეს ჰგავდა თურმე. და შოკოლადი ჰყვარებია თავიდანვე. და სანამ „მამას“ თქმას მოახერხებდა, „მადამ ბათერფლაი“ ნაუღიღინებია. გრამოფონიც ძალიან ადრე აღმოუჩენია და ჯერ წესიერად წერა-კითხვა კი არ შეეძლო, როცა უკვე უახლეს ფირფიტებს ისმენდა, თან მღეროდა და ცეკვავდაო. ელეონორა დუბე უყვარდა თურმე განსაკუთრებით. თავის ორივე დაბე ბევრად უფრო სხარტი და ენამოსწრებული ყოფილა. და ყველაზე ხალისიანი და საზრიანი.

თუმცა რას არ ჰყვებიან ხოლმე.

წიგნები უყვარდა და ხელოვნებაო, მაგრამ რაც მთავარია, სულ ცეკვავდაო. ასე ცეკვა-ცეკვით დაახვია თავბრუ თეთრი გვარდიის ობერლეიტენანტს ბურგომისტრის საახალწლო მეჯლისზე, თავის პირველ მეჯლისზე, თამამად და ბიჭვით იქცეოდა თურმე მამინ, ალბათ გამომწვევაც. ნაწნავები კი, გრძელი ნაწნავები, შემოხვეული რომ ჰქონია შარავანდედით უმშვენებდა ნატიფ თავს, ფაიფურივით შუბლს. სინათლეს ასხივებდა თურმე, ისე ასხივებდა, რომ ობერლეიტენანტმა შეიყვარა. სიყვარული უკვდავი იყო, რაღა თქმა უნდა, და მარადიული.

მარჯვედ დააჭენებდა ცხენს, მამაკაცურად, ამითაც მოუხდენია შთაბეჭდილება ობერლეიტენანტზე. თანაც უდიდესი. ქალთა უფლებებით დაინტერესებულს, ქორეოგრაფიული განათლების მიღება სურდა პარიზში, დიაგილევის საბალეტო დასში. იმ დროს ჩვიდმეტი წლის იყო და ობერლეიტენანტი მას ხელს სთხოვდა. მერე რევოლუცია დაატყდათ თავს და განშორების საფრთხე დაემუქრაო. როცა ობერლეიტენანტმა რუსეთში წასვლა დააპირა, ისე შეშინდა, რომ Ballet Russe-ც დაავიწყდა და ლურჯინდებიანი ქალებიც და ჯვარი დაიწერა. პატარა ეკლესიაში, თავისი დების და მამა სერაფიმეს თანდასწრებით. ქორწილის პირველი ღამე პატარა სასტუმროში გაუტარებიათ, გამოქვაბულის მონასტერთან

ახლოს, ველზე. მარტონი ყოფილან იმ დამით, იმ ქვაბულში, იმ ქვებთან. ასე მომხდარა ეს ამბავი.

წესით მაშინვე უნდა დაორსულებულიყო, მსგავს ისტორიებში ძირითადად ასე ხდება ხოლმე, მაგრამ არა ამჯერად.

ადრე სტასია გამუდმებით სთხოვდა თავის შოკოლადის მწარმოებელ მამას, პარიზში გამიშვი, რომ ცეკვის მშვენიერ ხელოვნებას დავეუფლოო, ის კი მუდამ პასუხობდა თურმე, არც მამაკაცურად ცხენზე ჯირითი შეგფერის და, მით უმეტეს, უცხო ქალაქში უხამსი მანჭვა-გრეხაო.

ასე რომ, პარიზის ნაცვლად თავის ქმართან გაემგზავრა პეტროგრადში.

და მხოლოდ დიდი ხნის მერე, დიდი გზააბნეულობისა და იმედგაცრუების შემდეგ დაბრუნებულია თავის თბილ სამშობლოში.

იქ, სადაც ათწლეულების მერე მეც უნდა დავბადებულებიყავი და შენც, ბრილვა. აქ მთავრდება ლეგენდა და იწყება ფაქტები. სტასიას ორი შვილი ეყოლა: პირველი ვაჟი, ის რომ დავაცდა, ქალიშვილი გაუჩნდა. მერე ისიც დაქალდა და გაგვამჩინა დარია და მე. დარიას კი შენ ეყოლე, ბრილვა. ის ქალები, ის ობერლეიტენანტები, მათი შვილები, ის გოგოები და ბიჭები ცოცხლები ადარ არიან, ლეგენდა კი ცოცხალია, ისევე როგორც მე და შენ. მოდი, ვცადოთ, ვნახოთ, რა გამოგვივა.

წიგნი პირველი. სტასია

არა, მე სხვა ქვეყნის ზეცა არ მეხურა,

არც სხვათა ფრთების ქვეშ ვეძებდი სიტბოს, –

მე მაშინ, ჰო, მაშინ ჩემს ხალხთან ვიყავი,

ჩემს ხალხთან, სადაც ის – ვაი რომ – იყო.

ახმატოვა

ზარი რომ დარეკეს, მის დებს არც კი უფიქრიათ კარი გაეღოთ. ისევ და ისევ ექაჩებოდა ვიღაც ზარის ზონარს, ის კი გაუნძრევლად იჯდა და ბაღს გასცქეროდა. დილიდან წვიმდა და ამან მისი განწყობა მთელი სამყაროსთვის დასანახი და გამჭვირვალე გახადა. წვიმამ, რუხმა ცამ, სველმა მიწამ გააშიშვლეს და მთელი სამყარო ჩაახედეს მის ჭრილობებში.

მამა შინ არ იყო, დედინაცვალის გასულიყო, პატარასთან ერთად, ქსოვილების საყიდლად მამას ახალი დიდებული ეტლით. დებს გასძახა, არავინ გამოეხმაურა. მერე ნელა წამოდგა და ზანტად ჩაუყვა საფეხურებს კარის გასაღებად.

ზღურბლთან თეთრუნიფორმიანი ახალგაზრდა კაცი იდგა. სტასიას ის არასდროს ენახა და ცოტა შემცბარმა უკან დაიხია მძიმე კაკლის ხის კარიდან.

- გამარჯობა, თქვენ ალბათ ანასტასია ბრძანდებით? ნება მომეცით გაგეცნოთ. სიმონ ჯაში, თეთრი გვარდიის ობერლეიტენანტი და მამათქვენის მეგობარი გახლავართ. შეთანხმებული ვარ მასთან, შეიძლება შემოვიდე?

ესე იგი, უბრალო ოფიცერი კი არა, ლეიტენანტი, თანაც ობერლეიტენანტი. უხმოდ დაუქნია თავი და ხელი გაუნოდა. წარმოსადეგი ვაცი იყო, მაღალი, მხარბუჯიანი, ჩამოქნილკიდურებიანი, თხელი მაჯები საკმაოდ ხშირი თმით ჰქონდა დაფარული, რაც სულ არ უხდებოდა ასეთ გამოპრანჭულ კაცს, თითქოს ბუნებამ უნიფორმიდან გამოაღწიაო.

იდეალურად მორგებული ქუდი მოიხადა, რომელიც სტასიას ცოტა სასაცილოდ მოეჩვენა, და სახლში შემოაბიჯა. კაციშვილი არ ჩანდა, გაუკვირდა კიდეც, თითქოს გამქრალიყო ყველა, მხოლოდ ახლაღა შეამჩნია.

სამზარეულოდან ყავისა და ნამცხვრის სურნელი გამოდიოდა, მაგრამ იქ არავინ იყო. სტუმარი მისაღებ ოთახში შეიპატიჟა, სადაც ბაღში გასასვლელი კარი გაღებულიყო. წვიმა ოთახში ასხამდა და ქარი გალუმპულ თეთრ ფარდებს აფრიალებდა. კარს მივარდა და სწრაფად დახურა. წვიმა საფრთხეს ნიშნავდა და ისევ ტირილს ანდომებდა, რაც წარმოუდგენელი იყო უცხო კაცის თანდასწრებით.

უცებ გაიაზრა, რომ კაცმა იცნო და სახელით მიმართა, თუმცა ოთხი დანი იყვნენ. არადა ისეთი ინტერესით მოავლო იქაურობას თვალი, ეტყობა, აქამდე არასდროს ყოფილა მათთან. ეს ხაფანგი იყო. ნამდვილად. ახლა მიხვდა, რატომ დაცარიელდა სახლი ასე მოულოდნელად. სწორედ ეს კაცი იყო მიზეზი. ის იყო მრისხანე ღმერთი, მისი სასჯელი. ის იყო გარდაუვალი მომავალი, ყასაბი, ჯალათი. სტასია გაფითრდა და ბარბაცით გავიდა ოთახიდან.

- ყველაფერი რიგზეა? - მიაძახა კაცმა.

- დიახ, დიახ. უბრალოდ, ყავას და ნამცხვარს მოვიტან. ხომ გნებავთ ყავა? - გამოსძახა სტასიამ სამზარეულოდან, სადაც კედელზე მიყრდნობილი კაბის სახელოთი იწმენდდა ცრემლს. აღარაფერი იქნება ისე, როგორც აქამდე იყო. ამას მაშინვე მიხვდა, უეცრად გააცნობიერა, რომ ბავშვობა დასრულდა. რომ მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, რომ ყველაფერი -

მისი ოცნებები, სურვილები, შეხედულებები ამ ადამიანით შემოიფარგლებოდა მალე, ამ თეთრი რუსული უნიფორმით, რომელიც ალბათ ქუთაისის მსუქან, უბირ გუბერნატორს ექვემდებარებოდა, რა საშინელებაა!

კინაღამ გული აერია, მაგრამ ყავას ორთქლი ასდიოდა და სიმეტრიულად დაჭრილი შოკოლადის ტორტი, მამის საკონდიტროდან მოტანილი, სტუმრისთვის შეთავაზებას ელოდა.

ასე იქცა შოკოლადის ტორტი მის პირველ მსხვერპლად, რომელიც სტასიამ თავის ჯალათს მიართვა. ისევე როგორც ღამლამობით სიცოცხლის ნაჩურჩულები ყველა დაპირების შეწირვა მოუწევდა მერე იმ სასიკვდილო განაჩენის აღმსრულებლისთვის, როცა არსებობის გაგრძელება მისი ცხოვრებით მოუხდებოდა, სადაც თავის ადგილს ვერ იპოვიდა, სადაც უცხო იქნებოდა, სადაც გზას ვერ გაიგნებდა. სტასიამ ტუჩი მოიკვნიტა და ტკივილის ჩახშობა სცადა.

ვერცხლის ლანგრით შეიტანა მდუღარე ყავა და ფაიფურის ჭურჭელი. კაცი ფეხიფეხგადადებული იჯდა მამის სავარძელში და ამწვანებულ ბაღს მისჩერებოდა, რომელიც თავსხმას გაეთელა და მინის პირას გაესწორებინა გაბაფხულის პატარა ყვავილებიანად, ახლახან რომ ამოზიდულიყვნენ, სიცოცხლესა და სითბოს მოწყურებულნი.

- რა შესანიშნავია. მამათქვენი ნამდვილი გენიოსია. თან როგორი კეთილი ადამიანია. როგორი მორიდებული. თავმდაბლობის განსახიერება. სადღა იპოვი ახლა ასეთ კაცს. ვინმე ხეს რომ რგავს, მთელ ქვეყანას ატყობინებს. დღეს აღარავინ სჩადის სიკეთეს, ყოველ შემთხვევაში ისე, რომ ზარ-ზეიმი არ გამართოს. მამათქვენი ასეთი ნამდვილად არ არის. მეამაყება, რომ მისი ნაცნობთა წრეს მივეკუთვნები. დედათქვენიც როგორი მომხიბვლელია.

- ის ჩემი დედინაცვალია.

- ოჰ.

- მიირთვით, ნუ გერიდებათ. კიდევ ბევრი გვაქვს. ტკბილეულის ნაკლებობას არ განვიცდით.

- დიახ, ვიცნობ მამათქვენის შემოქმედებას. უგემრილესი ნუშის ტორტები, ქლიავის მუსიც რა დიდებულია! უკეთესს ვერ ინატრებ.

- ნებას მომცემთ გკითხოთ, საიდან იცნობთ მამას?

- მე... თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთხელ დავეხმარე მას.

- ახლახან არ თქვით, როცა სიკეთეს აკეთებ, ამაზე არ უნდა ილაპარაკო. ესაა ჭეშმარიტად ფასეულიო, თუ სწორად მიგიხვდით.

- სიზუსტე გყვარებიათ.

- როგორც ჩანს, ასეთი ვარ.

- ზღაპრული ნამცხვარია. თქვენ რატომ არ მიირთმევთ?

- ისედაც ყოველდღე მივირთმევ. გმადლობთ.

- მე უბრალოდ დახმარება გავუწიე. არ მითქვამს, რომ ეს კარგი საქციელი იყო.

- დახმარება თავისთავად გულისხმობს კარგ საქციელს.

- ეს მხოლოდ თვალსაზრისზეა დამოკიდებული, არ მეთანხმებით? ყოველი ადამიანი თავისი გადმოსახედიდან აფასებს მოვლენებს, რაც შესაძლოა, სხვისას არ ემთხვეოდეს.

- ეს არ მიგულისხმია. არსებობს მოვლენები, რომლებიც ყველა ადამიანისთვის ერთნაირი უნდა იყოს. თვალსაზრისიც ერთი უნდა ჰქონდეთ.

- მაგალითად, რომელი?

- მაგალითად, ის, რომ მზე მშვენიერია და გაზაფხულს საოცრების მოხდენა შეუძლია, რომ ზღვა ღრმია, წყალი კი ალერსიანი, რომ მუსიკა ჯადოსნურია, როცა მას კარგად ასრულებენ, რომ კბილის ტკივილი სამინელებია და ბალეტი მსოფლიოში უმშვენიერესი რამ არის..

- გასაგებია. ცეკვა ყველაფერს გირჩევნიათ, არა?

- დიახ, ასეა.

- და მიგაჩნიათ, რომ მე ამას არ ვიზიარებ და ამიტომ არ მოგწონვართ?

- ეს საიდან უნდა ვიცოდე?

- ასე გგონიათ. ვარაუდობთ.

- არაფერსაც არ ვვარაუდობ.

- არ მჯერა.

- იცით რა? გამოგიტყდებით: ვფიქრობ, თქვენ ბევრ ჩემს შეხედულებას არ იზიარებთ, თუნდაც იმიტომ, რომ ჯარში მსახურობთ, მე კი სამხედრო სამსახურის მომხრე არ გახლავართ. რა არის აქ სასაცილო?

- ბოდიშს ვიხდი. ძალიან გამახალისეთ.

- რა შესანიშნავია. ერთი ჩვენგანი მაინც არის კარგ ხასიათზე.

- ჯირითობთ?

- რა?

- თუ ჯირითობთ-მეთქი?

- დიახ, რა თქმა უნდა, ვჯირითობ.

- ქალური სტილით ალბათ?

- მამაკაცურს ვამჯობინებ.

- დიდებულია! გაბედავთ ხვალ ჩემთან ერთად ჯირითს ველზე?

- ხვალ ბალეტის გაკვეთილი მაქვს.

- დაგელოდებით.

- არ ვიცი.

- ხომ არ შეგეშინდათ?

- რისი უნდა შემშინებოდა? თქვენი ნამდვილად არა.

- მაშ, შევთანხმდით?

- მომისმინეთ, მე არ ვიცი, რა გიამბოთ მამამ ჩემზე. მაგრამ ის ნამდვილად არ იქნება მართალი. არც ის ვიცი, რას შეგპირდათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვერც ამას შევასრულებ. თანახმა ვარ თქვენი და მამაჩემის რისხვა დავიმსახურო, მაგრამ თქვენს მოტყუებას არ ვაპირებ. მე თქვენ ვერ შეგიყვარებთ. რა გაცინებთ ისევ?

- იმაზე უკეთესი ხარ, ვიდრე მამათქვენმა დაგახასიათათ.

- რას შეგპირდათ?
- არაფერს. უბრალოდ ნება დამართო, გესტუმროთ ხოლმე ზოგჯერ.
- იმისთვის, რომ მერე ცოლად გამოგყვით და ვეღარ ვიცეკვო?
- იმისთვის, რომ ერთმანეთი გავიცნოთ.
- თქვენ ბევრად უფროსი ხართ. ეს შეუფერებელია.
- ოცდარვა წლის ვარ.
- მაინც ბევრად უფროსი ხართ. თერთმეტი წელი დიდი სხვაობაა ასაკში.
- ძალიან ახალგაზრდულად გამოვიყურები.
- ბაღეტის არაფერი გაგეგებათ.
- მიქელაძეებთან გამართულ კონცერტზე გიხილეთ, როგორ ცეკვავდით.
- მართლა?
- დიახ.
- მერე?
- საკმაოდ კარგად იცეკვეთ.
- საკმაოდ კარგად? მე ძალიან კარგად ვიცეკვე.
- შესაძლოა. თქვენ ხომ მიგაჩნიათ, რომ ვერ ვერკვევი.
- კი, მაგრამ ყველა დილექტანტს შეუძლია აზრის გამოთქმა.
- როგორი დიდსულოვანი ხართ.
- თქვენ ულვაშს არ ატარებთ.
- რა მოხდა მერე?
- ასე არ არის მიღებული.
- ახალი მოდით მიღებულია.
- მე კონსერვატიული ვარ.
- რაღაც არ გეტყობათ.
- თქვენ მე არ მიცნობთ.
- პირველად რომ გნახეთ, თოთხმეტი წლის იყავით და ძმები მაქსიმების სავიოლინე კონცერტს უსმენდით. გვერდიგვერდ ვისხედით და თქვენ ისე აგიჩუყდათ გული, რომ ატირდით და კაბის სახელოებით მოიწმინდეთ ცრემლები. აბრეშუმის ცხვირსახოცი არ გამოგიყენებიათ. მომეწონა. მერე კი დარბაზიდან გავარდით. ამის შემდეგ თვეები გავიდა და ცირკში დაგინახეთ, ბორცვებზე გაშლილ დიდ კარავში. შემწვარ ვაშლს მიირთმევდით და თითებს ილოკავდით. აბრეშუმის ცხვირსახოცი არ გამოგიყენებიათ. როგორც ეს მიღებულია. მერე უკვე საახალწლო მეჯლისზე გიხილეთ, გუბერნატორთან თქვენს პირველ მეჯლისზე. მომაჯადოებელი იყავით, როცა პირველ ცეკვას ასრულებდით, ოღონდ პარტნიორი გყავდათ ჩერჩეტი და ვერ გაცეკვებდათ. წამდაუნუმ ფეხზე გაბიჯებდათ, თქვენ კი ყოველ ჯერზე იჭყანებოდით. გარეთ გახვედით, კაბის კიდით მოიწმინდეთ ოფლის წვეთები შუბლიდან. არავითარი

აბრეშუმის ცხვირსახოცი. მერე ქვის კიბეზე ჩამოტყეფით და ცას ახედეთ. მაშინ გავიფიქრე, რომ დროა გაგიცნოთ.

- მე რატომ უნდა მინდოდეს თქვენი გაცნობა?

- იმიტომ რომ არც მე ვხმარობ ცხვირსახოცს.

- ეს რას ნიშნავს?

- ვისაც სამყაროსთან ურთიერთობისთვის რამის აფარება სჭირდება, თუნდაც აბრეშუმის ნივთის, ესე იგი, ცხოვრების ეშინია. ეშინია განიცადოს და ნამდვილად შეიგრძნოს ყველაფერი. მე კი ცხოვრება მეტისმეტად მოკლე მგონია და იმდენად საოცარი, რომ დასანანი იქნება, თუ მართლა არ დავინახავ, მართლა არ შევხვები, მართლა არ ვიცხოვრებ.

- ამით რისი თქმა გასურთ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვგავართ?

- არა, უბრალოდ მგონია, რომ ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს ცხოვრების მიმართ.

- მიუხედავად ამისა, არ გამოგყვებით არც ცოლად და არც მოსკოვში.

- მე ხომ მოსკოვში არა ვარ. მე აქ ვარ.

- თქვენ რუსებს ემსახურებით, მე არ მიყვარს რუსები. ამბობენ, რომ მალე ამბოხება იქნება. რუსეთში არეულობააო. ხმები დადის. გარდა ამისა, მამაც გაემგზავრა ერთ დღეს რუსეთში და იქიდან ცოლი ჩამოიყვანა, მეორედ იქორწინა. ვიცი, როგორც ხდება ხოლმე.

- მაინც როგორ?

- როგორ და, არცთუ სასიკეთოდ ჩვენთვის, ქალებისთვის.

- ნამდვილი ლურჯნინდოსანი ყოფილხართ.

- ეს რაღას ნიშნავს?

- ევროპაში არსებობენ ქალები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კაცების თანასწორნი არიან და თავიანთი უფლებებისთვის იბრძვიან. მათ ლურჯნინდოსნებს ეძახიან.

- მართლებიც არიან თუ იბრძვიან. თუმცა აშკარად სულელური სახელწოდებაა, მე თუ მკითხავთ.

- თუ ასეა, შეგვიძლია ნამდვილი დოდი მოვანყოთ ველზე. აბა, ვნახოთ, რამდენად თანასწორნი არიან კაცები და ქალები.

- სულ არ მგონია, რომ თანასწორნი არიან. ვფიქრობ, ქალები უკეთესები არიან.

- მით უკეთესი. ესე იგი, ხვალამდე.

- მოიცადეთ... თქვენ ხომ არც კი იცით, სად მიტარდება ბალეტის გაკვეთილები.

- გიპოვით როგორმე. მოკითხვა გადაეცით მამათქვენს. ნუ გამაცლიებთ. ნამდვილი ემანსიპირებული ქალბატონი ადგილიდან არ უნდა დაიძრას.

- როგორი ქალბატონი?

- ქალბატონი, რომელიც საკუთარი უფლებებისთვის იბრძვის.

ეშმაკურად გაიღიმა და მსუბუქი ნაბიჯით სწრაფად გავიდა ოთახიდან. სტასია გაქვავდა სკამზე და ვერ იჯერებდა რაც მოხდა. როგორ შეიძლებოდა საკუთარი ჯალათის მოწონება, როგორ შეიძლებოდა მასთან ფლირტი. როგორ შეიძლებოდა მისთვის იმაზე მეტი მსხვერპლის შეთავაზება, ვიდრე საჭირო იყო. როგორ შეიძლება მასთან ერთად მამაკაცური სტილით ჯირითი. მერე კი სიცილი აუტყდა. წვიმა შეწყდა და ყვავილებმა ამოხეთქა მიწიდან. სიცოცხლემ ისევ იფეთქა უამრავ ტკბილ დაპირებასთან ერთად. სტასიამ კარი გააღო და ბაღში გავარდა. მიწა სველი იყო და ფეხები ეფლობოდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, ატალახებულ ბაღში ჰა-დე-დე ეცეკვა.

ერთმანეთს შეხვდნენ და უდაბნოში იჯირითეს, ორივემ მამაკაცური სტილით. დარწმუნებული ვარ, ხალისიანი და თავდაჯერებული იყო ამ დროს სტასია. პატარობიდან იჭდა ცხენზე და ყველაზე მეტად ჯიშისანი ყაბარდოულების შეუკაზმავად ჭენება უყვარდა. უდაბნოს პირქუშ ლანდშაფტში სიამოვნებდა ყოფნა. ქვაში ნაკვეთ ძველისძველ ქალაქს ისე იცნობდა, როგორც საკუთარი ჟილეტის ჯიბეს. მიუხედავად იმისა, რომ იქ ხალხი იკარგებოდა ხოლმე, ქვის კიბეების, ერთმანეთთან დაკავშირებული გამოქვაბულებისა და სამალავების იმ იდუმალ ლაბირინთებში, სტასია ყოველთვის იკვლევდა გზას. იმ ქალაქიდან დასაბრუნებელ გზას, რომელიც საუკუნეების წინათ გამოუკვეთიათ უზარმაზარ კლდეში ქვეყნის ძლევაშოსილი მეფის ბრძანებით, და რომელიც ამასობაში მიტოვებულ მიდამოდ ქცეულიყო, სადაც აჩრდილები მღეროდნენ.

ჰო, თუ თვალებს მაგრად დახუჭავდი და თავში მოფუთფუთე ფიქრებს ჩაახშობდი, მათ ხმას გაიგონებდი. ობერლეიტენანტზე კი სტასიას ოსტატობამ უთუოდ კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდლება მოახდინა. ალბათ ათას რამეზე საუბრობდნენ და სტასია სულ ეჭიბრებოდა ჯირითში.

ამის მერე ყოველდღე უთანხმდებოდნენ ერთმანეთს და ერთად აჭენებდნენ ცხენებს. სტასია ისე იყო მოხიბლული იმ ერთად გატარებული საათებით ველზე, რომ ზოგჯერ ცეკვავც კი ავიწყდებოდა.

ჩვენი ჩვიდმეტი წლის სტასია შეყვარებული იყო, ბუნებრივია, ვერ აცდა ამას. თეთრი ობერლეიტენანტი ხარობდა სტასიას ნდობით, რომელიც დღიდან დღემდე, ყოველი ჯირითის მერე სულ უფრო მატულობდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ კარგად იქნებოდნენ ერთად, რომ მას სწორედ ასეთი თავნება ქალი სჭირდებოდა და ეს მტკიცე რწმენა უთუოდ სიამოვნებდა სტასიას.

სიმონ ჯაში შოკოლადის ფაბრიკანტის ოჯახსაც პატივს სცემდა და მისი სათაყვანებელი ქალის მამაც ასეთივე სიმპათიით პასუხობდა. ანასტასიას თავისი საბედოს არჩევისას წინააღმდეგობა არ უნდა შეხვედროდა, როგორც ეს მისი მეორე უფროსი დის შემთხვევაში ხდებოდა, რომლის ყოველი ახალი გატაცებაც მამის უკმაყოფილებას

ინვევდა. პირიქით, თეთრი ობერლეიტენანტი მამას საუკეთესო არჩევნად მიაჩნდა.

და რაკი არეული დრო იყო და კაცმა არ იცოდა, როგორ შემობრუნდებოდა ყველაფერი, სწრაფად უნდა ემოქმედათ. სასიყვარულო ამბებშიც.

თეთრი ობერლეიტენანტი პეტერბურგში სწავლობდა, კადეტთა სასწავლებელში, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა ბრწყინვალე მეჯლისებისა და ტკბილი ფრანგული აქცენტის პეტერბურგი და მხოლოდ ცოტა ხანს იბრძოდა რუსეთ-იაპონიის ომში, სადაც დაჭრეს, ობერლეიტენანტის წოდება მიანიჭეს და ისევ სამშობლოში გამოისტუმრეს. ამ ჭრილობამ გადაარჩინა პირველ მსოფლიო ომში განვევას. გამოჯანმრთელების შემდეგ თავისი მიყრუებული მშობლიური ქალაქის თავდაცვის სამსახურში გაამწესეს, სადაც ომის კორესპონდენტის ახარისხებდა. სიმონი არ ჩქარობდა, სხვაგან გადაყვანა ეთხოვა. პოლიტიკური სიტუაციაც გაურკვეველი იყო და თვითონაც ვერ გადაეწყვიტა, ჯერ ვერ ეპოვა საკუთარი იდეოლოგია, რომელიც მის მომავალს განსაზღვრავდა. იმ დროს უამრავი იდეოლოგია არსებობდა და პოლიტიკური დაჯგუფებები სოკოებივით მრავლდებოდა პატარა სხვენებში, დუქნების სარდაფებსა და ბნელ შიდა ეზოებში განლაგებულ ბინებში, ყოველ მათგანს ეგონა, რომ ყველა პრობლემის გადაწყვეტის გზა ჰქონდა ნაპოვნი ან ზუსტად იცოდა, როგორ უნდა უზრუნველყო ნათელი მომავალი ჩაგრული რუსი ხალხისთვის.

სიმონი შეძლებული ოჯახიდან იყო: მამამისმა, ცნობილმა ექიმმა, კარგი განათლება მისცა ერთადერთ ვაჟს. დემოკრატიულ-ლიბერალური აზროვნების წყალობით საკმაოდ ადრე ჩამოყალიბებულმა სიმონმა კადეტთა სკოლის სამხედრო წრეებში ლიბერალებთან გააბა ურთიერთობა და რამდენიმე შეკრებაშიც მიიღო მონაწილეობა. მაგრამ, იმავე დროს, კარგად ესმოდა, რომ ლიბერალები მეტისმეტად სუსტნი იყვნენ და ნაკლებად მიზანდასახულნი იმისთვის, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, სერიოზული წინააღმდეგობა გაეწიათ იმ საფრთხისთვის, რასაც სოციალიზმი წარმოადგენდა.

იმასაც კარგად ხედავდა, რომ სოციალისტები სულ უფრო იმაღლებდნენ ხმას, მეტად მომთხოვნები ხდებოდნენ და უშიშრად მოქმედებდნენ.

უამრავი შეთქმულების თეორია და ლეგენდა ვრცელდებოდა დაჯგუფებათა წინამძღოლების შესახებ, რომელთა უმრავლესობაც უკვე დაპატიმრებული იყო ან ქვეყნიდან გაძევებული.

სიმონს სულ არ მოსწონდა სოციალისტები, მეტისმეტად ძალისმიერი მეთოდები ჰქონდათ, ნაკლებად რაფინირებულნი იყვნენ, ზედმეტად ხმაურიანები მისი კონსერვატიული ყურისთვის, მაგრამ არც ის უნდოდა, რომ ბოლოს არასწორ მხარეს აღმოჩენილიყო. უნდა ემოქმედა.

გადანწყვეტილება უნდა მიეღო, მაგრამ ჯერ კიდევ ყოყმანობდა, მოვლენათა მიმდინარეობა გაურკვეველი იყო, ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

ჯერ კიდევ ფრონტზე ყოფნისას გაეცნო ზოგიერთ იდეას და დაჭრის მერე სამშობლოში გადმოყვანილმა „ძველი ბერძნების ფილოსოფიურ ტექსტთა კვლევის“ წრე დააფუძნა, რომ სხვა დაბნეულებთან და მაძიებლებთან ერთად მისულიყო აღმოჩენამდე, რომელიც წინ წაიყვანდა. სიმონ ჯამი არც რეფორმატორად აღიქვამდა თავს და არც რევოლუციონერად. ხელისუფლების ერთგული ჯარისკაცი იყო და მორჩილად იდგა სამხედრო სამსახურში, მისი მკაფიო იერარქიით, დისციპლინითა და ფუნქციების გადანაწილებით. მას მოსწონდა მარტივი სტრუქტურები, მოწესრიგებული ურთიერთობები, როცა ყველამ ზუსტად იცოდა თავისი ადგილი. სიმონი საღად ამროვნებდა. გალანტური იყო, მოქნილი, უფრო გულჩათხრობილი, ვიდრე მგზნებარე იდეებისა და მოქმედების კაცი. მას მეფის სანინააღმდეგოც არაფერი ჰქონდა, გლეხებსაც თანაუგრძობდა ცოტათი, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული მთავრობაში.

თუმცა შოკოლადის ფაბრიკანტს განსაკუთრებით სიმონ ჯამის ერთი უცნაური თავისებურება მოსწონდა, რის გამოც შესაფერისად მიაჩნდა სტასიასთვის: სიმონი მგრძნობიარედ აღიქვამდა თანამედროვეობას და წარსულს ეთაყვანებოდა, პუშკინის რუსეთს ეტრფოდა, ნაპოლეონის დროინდელ გრანდიოზულ მეჭლისებზე ოცნებობდა, გედების ტბა უჩუყებდა გულს. ჩემი დიდი ბაბუა ეტრფოდა ყველაფერს, რაც ღვთით კურთხეულ მეფეს ანუ ცარს, და აქედან გამომდინარე, მოწესრიგებულ სამყაროს ეხებოდა.

რამდენად უცნაური და გასაკვირიც უნდა ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა კაცისგან, ეს ყველაფერი ჩემი დიდი ბაბუას მსოფლმხედველობას ემთხვეოდა. სიმონის გული ძველ რუსეთს ეკუთვნოდა, ევროპულ ელიტას, მშვენიერ და ბრწყინვალე ცხოვრებას ძველ დროში – უფრო სწორად კი იმას, რასაც იგი ამაში გულისხმობდა.

ტრადიციულობა ჩემი დიდი ბაბუასთვის ნიშნავდა ელიტარული ფასეულობებით ცხოვრებას, თავმდაბლობას და უზადო მანერებს, რაც, არც მეტისმეტ განცხრომას და განსაკუთრებულ პურიტანიზმს არ გამოირიცხავდა. როცა ზუსტად იცი, რომელი საზოგადოებრივი ფენა რისთვისაა შექმნილი, ვის რა ადგილი ეკუთვნის საზოგადოებაში. დიდი ბაბუა წარმომავლობით გადატაკებულ ქართველ აზნაურობას ეკუთვნოდა, საკონდიტრო კურსები ყირიმის ერთ წარმატებულ საკურორტო სასტუმროში გაიარა, იქ ძალიან მალე გადაინაცვლა მონაფეოტიდან შოკოლათერიის ხელმძღვანელის პოზიციაზე და თავისი ოსტატობის წყალობით, ბევრი მდიდარი კლიენტი შეიძინა მაღალი წრიდან, მათი კეთილგანწყობით სარგებლობდა და ბოლოს მათივე

ხელშეწყობით გაემგზავრა ორი წლით ბუდაპეშტში შოკოლადის დიდოსტატთან, რომელიც ადრე ვენის სამეფო კარზე მსახურობდა.

ჩემმა დიდმა ბაბუამ ევროპაში დააგროვა გამოცდილება, დასავლეთ ევროპის რამდენიმე საუკეთესო საკონდიტრო მოიარა და თავისი უფროსების მოლოდინის მიუხედავად, მაინც სამშობლოში გადამწყვიტა დაბრუნება, საკუთარი სანარმოს დასაარსებლად.

დიდ ბაბუას ჯიბეში ელო რეცეპტი, რომელსაც რევოლუცია უნდა მოეხდინა შოკოლადის მომზადებაში. მან მაგიური საიდუმლო ფორმულა აღმოაჩინა, მე კი სამწუხაროდ, ზუსტი ინფორმაცია არ გამაჩნია იმის თაობაზე, თუ სად შექმნა მან თავისი შეუდარებელი შოკოლადის რეცეპტი. მაგრამ ეს რეცეპტი, ან უფრო სწორად, მის საფუძველზე მომზადებული ცხელი შოკოლადი საგანგებოდ უნდა წარმოვადგინო, ბრილვა, როგორც ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი.

რაკი შემადგენლობის გამჟღავნების უფლება არ მაქვს (არავითარ შემთხვევაში, არაფრით, არასდროს), ამიტომ სიტყვების პოვნა მომიწევს ერთ ალუნერელის აღსაწერად. სამწუხაროდ, არც ის ვიცი, ჩემმა დიდმა ბაბუამ ეს რეცეპტი სხვისგან მიიღო, თუ თვითონ შექმნა, ისე მალავდა, თითქოს სახელმწიფო საიდუმლო ყოფილიყო. თუმცა ერთი რამ უდავოა: სამშობლოში დაბრუნებისას თავისი მომავალი წარმატების საიდუმლო უკვე ჯიბეში ელო (მისი ჯადოსნური შოკოლადის გვერდითი მოვლენების შესახებ იმ დროს ჯერ არაფერი იყო ცნობილი).

თავდაპირველად ეს იყო ჩვეულებრივი ვენური ცხელი შოკოლადის რეცეპტი, რომელიც კაკაოსგან კი არა, შოკოლადისგან მზადდებოდა. ჯერ შოკოლადი უნდა გაგვეკეთებინა, მერე დაგედნო და ბოლოსდა შეგერიო სხვა ინგრედიენტები.

მაგრამ ამ შემადგენლობაში და მომზადების წესში იყო რაღაც ისეთი, რაც შოკოლადს სრულიად განსაკუთრებულს, განუმეორებელს, მიმზიდველს, გამაოგნებელს ხდიდა. სურნელიც კი ისეთი მაცდუნებელი ჰქონდა, ისეთი მძაფრი, რომ იქით გარბოდი, საიდანაც მოდიოდა, სხვანაირად არ შეგეძლო.

შოკოლადი ბლანტი იყო და შავი, როგორც ღამე ავდრის წინ, და მას პატარა ულუფებად მიირთმევდნენ, მომცრო ფინჯნებში ჩამოსხმულს – იდეალურ შემთხვევაში – ვერცხლის კოვზებით, ოღონდ ძალიან ცხელს არა.

შეუდარებელი გემო ჰქონდა, მისგან მიღებული სიამოვნება სულიერი ექსტაზის დარი იყო, არაამქვეყნიური გამოცდილების. იმ ნუგბართან ერთად დნებოდი, საოცარ აღმოჩენას უერთდებოდი, ივინყებდი მთელ სამყაროს შენ ირგვლივ და განუმეორებელი ბედნიერების გრძნობა გიპყრობდა. ყველაფერი კარგად იყო, როგორც კი ამ შოკოლადს გასინჯავდი.

ბუსტად საუკუნეების მიჯნაზე ჩამოვიდა ჩემი დიდი ბაბუა ბუდაპეტიდან სამშობლოში, საიდუმლო რეცეპტით ჯიბეში. ამაცობდა მიღწეულით და სჯეროდა, რომ პარიზისა თუ ვენის ხიბლისა და დახვეწილობის შემოტანას შეძლებდა ქართულ პროვინციაში და ადამიანების გემოვნებაზე გავლენას მოახდენდა და შეცვლიდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მონასტრის აღსაზრდელი მოიყვანა ცოლად. ღვთისმოსავი და უტყვი ქალი იყო, შეიძლება ითქვას, ნაღვლიანიც კი, სახელად ქეთევანი. რუსეთის იმპერიასთან საერთო არაფერი უნდოდა ჰქონოდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ფატალურ მოვლენად მიაჩნდა და მთელი ცხოვრება უარს ამბობდა რუსულად ლაპარაკზე. ბაბუას შეუყვარდა ქეთევანი, გარიგებით არ დაქორწინებულა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბედი არ სწყალობდათ. ქეთევანს სხვა ფასეულობები ჰქონდა, რუსეთში ხედავდა ყველა უბედურების სათავეს, ჩემს დიდ პაპას კი რუსეთი შანსად მიაჩნდა საქართველოსთვის, მისი აზრით, რუსებმა კავკასიას მსოფლიო კულტურისკენ გაუხსნეს გზა და ხალხის წერა-კითხვის უცოდინრობას და თავადაზნაურობის სიხარბეს ებრძოდნენ. პროცარისტული შეხედულებები ჰქონდა და ყველა პრივილეგიით სარგებლობდა, რასაც მისი კოლაბორაციული ცხოვრების წესი იძლეოდა. მისი ცოლი კი მაინც დაუღალავად ამტკიცებდა, საქართველო სხვა არაფერია, თუ არა კოლონია, სლავური კულტურა კი - კავკასიური კულტურის მშთანთქმელი.

- ჩვენ თვითონ მოვუხმეთ დიდ მეზობელს, მოვიპატიჟეთ, - ცდილობდა ბაბუაჩემი ცოლის გადარწმუნებას ქორწინების პირველ თვეებში.

- საშველად მოვუხმეთ და არა დასაპყრობად, - პასუხობდა ქეთევანი, - ნება მომეცი შეგახსენო, რომ ჩვენი მეფე ქანცგანყვეტილი იყო მუსლიმი მეზობლების დაუსრულებელი თავდასხმებით, გამოსავალს ვერ პოულობდა და ეგონა, ორი უბედურებიდან შედარებთ მცირეს ირჩევდა, როცა ცარს მფარველობის ხელშეკრულების დადება სთხოვა. ხაზს ვუსვამ, მფარველობის.

- კი მაგრამ, საყვარელო, ეს ხომ სინამდვილეში იმას ნიშნავდა, რომ ამის მერე დიდი რუსეთის ქვეშევრდომნი გავხდებოდით, ჩვენმა მეფემ იცოდა ეს, როცა რუსები შემოყავდა ქვეყანაში.

- მართალი ხარ, ძვირფასო, მაგრამ ეტყობა, არ იცოდა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამ მოწვევას ერთი-ორი წლით კი არა, რამდენიმე ასწლეულის განმავლობაში რომ გამოიყენებდა.

ქეთევანი უკან არ იხევდა.

- საყვარელო, არა მგონია, სწორი იყოს მუდმივად დავითისა და გოლიათის ამბის მოშველიება და პარალელის გავლება ჩვენს ქვეყანასთან. ვფიქრობ, ძალიან ვიმარტივებთ ყველაფერს, როცა ამას

კვერს ვუკრავთ. ძალიან ბევრმა ქართველმა გამოიყენა ეს სათავისოდ, ამაში ხომ მაინც მეთანხმები, ქეთევან?!

- ამ ქვეყანაში შეგუება ყოველთვის მოჩვენებითია და ამ შეგუების არსი ყოველთვის საკუთარისკენ სწრაფვაა. მე ჭეშმარიტ ქართველებს ვგულისხმობ და არა მოღალატეებს, - უპასუხა ქეთევანმა და მეუღლეს გამანადგურებელი მზერა სტყორცნა.

ქეთევანი ბაბუაჩემის საქმეებში არ ერეოდა, კარგი დიასახლისი იყო და საზოგადოებაშიც იცოდა თავის დაჭერა, ორი ქალიშვილი გაუჩინა, მაგრამ ცოლ-ქმრის სიყვარული და ერთმანეთისკენ ლტოლვა მეორე შვილის შექმნასთან ერთად გაქრა. ქეთევანმა რწმენას მიუძღვნა თავი, ლოცულობდა და მჭიდროდ დაუახლოვდა ეკლესიასა და მღვდლებს, მისმა ქმარმა კი ამ დროს თავისი შოკოლატერია გახსნა, რასაც მას შემდეგ ყველა „შოკოლადის ფაბრიკას“ უწოდებდა, ხოლო ჩემს დიდ ბაბუას - „შოკოლადის ფაბრიკანტს“. ბიზნესი ყვაოდა, მოგება წლიდან წლამდე იზრდებოდა და შოკოლადის ფაბრიკანტმა სახელი გაითქვა.

განზილებული იყო იმის გამო, რომ ცოლი მის წარმატებას არად აგდებდა, არც ოჯახის ფინანსური და სოციალური პრივილეგიებით სარგებლობა სურდა და არც მზარდი კეთილდღეობით ტკობა. მისგან ისეთივე მხარდაჭერას და მონონებას ელოდა, როგორსაც სხვებისგან იყო მიჩვეული. სამშობლოში დაბრუნებიდან ხუთი წლის შემდეგ უკვე ქალაქის ყველაზე ცნობილ საკონდიტროს ხელმძღვანელობდა და ფილიალების გახსნას გეგმავდა მთელ ქვეყანაში; იმედი ჰქონდა, რომ მერე, როცა წარმატების მწვერვალს მიაღწევდა, მთელ რუსეთის სამეფოს მოამარაგებდა შოკოლადის საუკეთესო ნაწარმით.

ათასნაირი სახეობის ღვთაებრივ ტორტებსა და ნამცხვრებს აცხობდნენ, ამზადებდნენ: შოკოლადის ტრიუფელს, მწარე შოკოლადს, რძიან შოკოლადს გარგარის ჟელეით, ნიგვზითა და ქიშმიშით, აგრეთვე ეგზოტიკურსაც, მაგალითად, შოკოლადის ტორტებს შავი პილპილით, პიტნიან შოკოლადს ალუბლის ლიქიორის შიგთავსით, შოკოლადის კექსებს ლელვის კრემით ან ნუგას საბამთროს ჟელეით.

შოკოლატერიამ მოახერხა ფრანგული პათისერიის, ავსტრიული ცხობის ტრადიციისა და აღმოსავლეთევროპული მრავალფეროვნების შერწყმა.

ყოველ დილით, ადრიანად, ექვს საათზე მიდიოდა საკონდიტროში და უზარმაზარ, თანამშრომლების მიერ სხვადასხვა სახეობის ნაწარმისთვის გამზადებულ შოკოლადის მასას საკუთარი ინგრედიენტებით აზავებდა, რის შედეგადაც იქმნებოდა განსაკუთრებული გემო. ვერავინ ახსნა ფორმულის საიდუმლო და სწორედ ამის გამო იყო მისი ნაწარმი ასეთი მიმზიდველი. კარგა ხნის განმავლობაში თავის სპეციალურ დანამატებს მხოლოდ მცირე დოზით აზავებდა შოკოლადის პროდუქტებში, როგორც

ფინალურ აკორდს, მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება ცხელი შოკოლადის მისეული რეცეპტი აღმოჩნდა.

რაკი ამ ჯადოსნური ფორმულის დიდმა წარმატებამ ხელი გაუშართა და პატივმოყვარეობით აღსავსე ექსპანსიის ოცნება ჩაუსახა, გეგმავდა, თავისი შემოქმედების გვირგვინი – ცხელი შოკოლადი – მხოლოდ დიდებისა და წარმატების მწვერვალზე მყოფს, თბილისში, მოსკოვში ან პეტერბურგში გამოეთანა სააშკარაობე, რომ სათითაოდ ყველა გაეოგნებინა.

მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, ან სწორედ ამის გამო, შოკოლადის ფაბრიკანტმა მემკვიდრის იმედით დაიფიცა, საკუთარი რეცეპტი ოჯახიდან არ გაეთანა და დროებით საიდუმლოდ შეენახა.

როგორც სტასია ამბობდა, ამ გადაწყვეტილებამ არა მარტო ჩვენი ოჯახი გადაარჩინა სამუდამო დაღუპვას, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა.

თავისი საქმიანობის გარდა, ჩემი დიდი ბაბუა, როგორც საპატიო მოქალაქე, ქალაქის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა, ადგილობრივი პოლიტიკის უმაღლეს წრეებში ტრიალებდა, დააარსა ქალაქში ერთადერთი მამაკაცთა კლუბი (ნამდვილ ევროპულ ყაიდაზე), სხვადასხვა ლიტერატურულ, თეატრალურ და ფილოსოფიურ წრეებს მფარველობდა, „ტრადიციისა და ღირსების საზოგადოების“ საბჭოს წევრი იყო და, ამავე დროს, ერთ-ერთი უმდიდრესი მოქალაქე გახლდათ პატარა ქალაქისა, რომელსაც „კავკასიის ნიცად“ გარდაქმნას უპირებდა, რაკი თბილისი უკვე კავკასიის პარიზად იყო მიჩნეული.

მის ცოლს ეს საგარეო ურთიერთობები ნაკლებად აწუხებდა, ბიბლიის კვლევა და ორი ქალიშვილის მკაცრად აღზრდა ერჩია. ყოველთვის დიდი ძალისხმევა იყო საჭირო მის დასარწმუნებლად, რომ რომელიმე საზოგადოებრივ ღონისძიებაში მიეღო მონაწილეობა და არც მოგზაურობა ეხალისებოდა მაინცდამაინც, რაც შოკოლადის ფაბრიკანტს სულ არ მოსწონდა. მისი გადაჭარბებული რელიგიურობაც აღიზიანებდა. გრძობდა, რომ ამის გამო შვილებთან კავშირს კარგავდა, რაკი ისინი დედისა და მორწმუნე გუვერნანტების მკაცრი მეთვალყურეობის წყალობით ასეთივე ღვთისმოშიშ, შებოჭილ და სრულიად არაევროპულ გოგოებად იზრდებოდნენ.

ფიქრობდა, რომ საკუთარ სახლში სასტიკად მარცხდებოდა ქალებთან ომში.

ვაჟი უნდოდა! ქალების უმრავლესობაში ყოფნა უბრალოდ სახიფათო გახდა მისთვის. მემკვიდრე სჭირდებოდა – მამაკაცი, რომელიც მის მხარდამხარ იბრძოლებდა საპირისპირო სქესთან. რაკი სარეცელს კარგა ხანია აღარ იყოფდა ცოლთან, იცოდა, რომ დიდი ოსტატობა და ბევრი დრო დასჭირდებოდა მის დასარწმუნებლად. თანაც ქეთევანს

ორივე მშობიარობა მძიმე ჰქონდა და ვერც კარგი ჯანმრთელობით დაიკვებინდა, ასე იოლად ვერ დაიყოლიებდა კიდევ ერთ ორსულობაზე.

ცოლს მრავალგზის აუხსნა, მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობას ეხება საკითხი, ბოლოს და ბოლოს, შოკოლადის ფაბრიკას მამაკაცი სჭირდება მემკვიდრედო, მაგრამ ქეთევანი გულგრილი რჩებოდა და იმით ანუგეშებდა, რომ მისი ორივე ქალიშვილი გათხოვდებოდა და საქმიანი სიძეების მეშვეობითაც მშვენივრად მოეწვებოდა ამ პრობლემას.

ამიტომ იძულებული გახდა, სხვა ხერხი ეხმარა ცოლის დასარწმუნებლად, რომ მისთვის მემკვიდრე გაეჩინა. გადანყვითა თავისი საუკეთესო ქმნილება, ცხელი შოკოლადი მოემზადებინა ქეთევანისთვის, რადგან რაც უფრო კონცენტრირებული იყო ინგრედიენტები, მით უფრო ძლიერი ზემოქმედება ჰქონდა ამ რეცეპტს.

პატარა სიმებიანი კვარტეტი საგანგებოდ მისთვის მოინვია დამთვალე რეზილებისთვის უკვე დაკეტილ შოკოლადის ფაბრიკაში. სანთლების შუქზე, თავისი შედევის დამატარებელი სურნელის გარემოცვაში უმშვენიერეს ფაიფურის ფინჯანში ჩამოსხმული, რაც კი თავის სანარმოში მოიძია, შოკოლადით გაუმასპინძლდა, თან დაჟინებით უმტკიცებდა, არწმუნებდა, როგორი აუცილებელი იყო მისთვის მამრობითი სქესის მემკვიდრე.

ისევე, როგორც ხშირად სხვებსაც მის მერე, ქეთევანსაც მოერია სიხარბე, და მომდევნო დღეებშიც შეევედრა ქმარს, კიდევ მოემზადებინა მისთვის ცხელი შოკოლადი. ასე რომ, ჩემმა დიდმა ბაბუამ შეძლო ულტიმატუმი წაეყენებინა თავის სასარგებლოდ: თუ დაორსულებას დათანხმდები, მომავალი ცხრა თვის განმავლობაში ყოველდღე მოგიზადებ ცხელ შოკოლადსო.

ქეთევანის წინააღმდეგობა დაძლეული იყო და მსოფლიოში უგემრიელესმა ნუგბარმა სხვა არჩევანი აღარ დაუტოვა, თუ არა დათანხმებოდა ქმრის შემოთავაზებას და იძულებით წასულიყო დათმობაზე.

ასე და ამგვარად, ცხრა თვის შემდეგ ისევ მშობიარე იწვა თავის საძინებელში, სოფლის ექიმისა და ორი ბებიაქალის გარემოცვაში. საათები გავიდა, სანამ ჯანმრთელი, კოხტა გოგო გამოაძვრინეს (დედამ ამოიკვნესა მხოლოდ, იმედგაცრუებულმა). ის იყო გაიფიქრა, ყველაფერმა კარგად ჩაიარაო, რომ შენუხებულმა ექიმმა დაიძახა, გრძელდება, მეორე ბავშვი მოდისო. მორიგი ჭინთვებისა და ყვირილის შემდეგ კიდევ ერთმა გოგომ გამოაღწია დღის შუქზე.

მაგრამ მეორე ბავშვი არა და არ ატირდა. ექიმმა დაასკვნა, რომ ფილტვები არ მუშაობდა, ბავშვი გალურჯებული იყო, სუნთქვა შეკვროდა და ისიც მაგრად ურტყამდა ზურგზე. დაბადებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე ახალშობილი გარდაიცვალა.

პირველი კი, რომელიც ანასტასიად მონათლეს, ჯან-ღონით სავსე ჩანდა და მთელი ხმით ტიროდა, დედის რძეს ითხოვდა.

ქეთევანი მალევე გარდაიცვალა ფილტვების ანთებით, რომელიც ახალნამშობიარებს დაემართა; უცბად, ბევრი ტანჯვის გარეშე, უკანასკნელად მისცა ანასტასიას ძუძუ და თვალი საბოლოოდ დახუჭა.

ეს პირველი ორი ტრაგედია ჩემი დიდი ბაბუას ცხოვრებაში ისე სწრაფად მიჰყვა ერთმანეთს, ისეთი საბედისწერო და დამანგრეველი აღმოჩნდა, რომ თვეების განმავლობაში მთელი სანარმო თავისი პირველი მოადგილისთვის მიუბარებია, სახლიდან გასვლაც კი უჭირდა თურმე. მხოლოდ დილაობით მიაბიჯებდა მძიმედ, ფეხებს ძლივს მიათრევდა საკონდიტროსკენ თავისი ინგრედიენტების შესაბავებლად, რაც ყველანაირ შოკოლადში შედიოდა.

მართალია, ბოლო წლებში მისი სიყვარული ცოლისადმი ისეთი სუფთა და ნათელი აღარ იყო, როგორც მათი ქორწინების დასაწყისში, ქეთევანი მაინც მისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად რჩებოდა; შვილების დედის დაკარგვა მძიმედ დააწვა და არც კი იცოდა, როგორ უნდა მიეხედა სამი გოგონასთვის მართოდ დარჩენილს.

იმ დროიდან მიეძალა უცნაური აზრები. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ცოლის სიკვდილში თვითონ მიუძლოდა ბრალი. კიდევ ერთხელ დაორსულება რომ არ დაეძალებინა, ქეთევანი ალბათ ცოცხალი დარჩებოდა და ბავშვის დაღუპვის ტრაგედიის გადატანაც არ მოუხდებოდა. იქნებ მის მათრობელ ქმნილებაში იყო რაღაც ფატალური? მისმა შოკოლადმა ხომ არ გამოიწვია უბედურება, ასეთი მონდომებით რომ უმზადებდა ცოლს თვეების განმავლობაში?

იქნებ იმდენად ძვირად ფასობდა, რომ საფასურიც მაღალი იყო გადასახდელი? იქნებ ისეთი ბედნიერებით და თავდავინყებით ასაჩუქრებდა ადამიანს, რომელიც მას აგემოვნებდა, რომ რეალობა მერე კიდევ უფრო მწარედ უხდიდა სამაგიეროს? იქნებ დაწყველილიც კი იყო? იქნებ ადამიანები არ იყვნენ მისი აღმოჩენის ღირსნი? იქნებ მისი თავდაპირველი განზრახვა – ცხელი შოკოლადი მხოლოდ წარმატების მწვერვალზე მყოფს გაეტანა გასაყიდად, გათვლა კი არა, წინათგრძნობა იყო, რომელიც აიძულებდა, ის რეცეპტი მხოლოდ მცირე დოზებით შეერია ნაწარმში?

იმავე დროს ეჭვიც შეეპარა, ბავშვურად ეჩვენა ასეთი ირაციონალური აზრები. მორწმუნეც კი არ იყო, ეკლესიისაც არ სჯეროდა და, მით უმეტეს, ცრურწმენების, ღატაკთა რელიგიად რომ მიიჩნევდა. გონს მოსასვლელად გადანყვითა, ყველაზე ძვირფასი, რაც ჰქონდა, ანასტასიასთვის ეანდერძა: ანასტასიას უნდა მიეღო მისგან მემკვიდრეობით ცხელი შოკოლადის რეცეპტი. დაიფიცა, რომ მის ქორწილში გადასცემდა რეცეპტს უძვირფასეს მზითვად.

თანდათან გამოფხიზლდა ფაბრიკანტი და ახალნამშობიარები გლეხის ქალი დაიქირავა, რომელიც ანასტასიას ძუძუს აჭმევდა. როგორც იქნა, მკაცრი, რელიგიური გუვერნიორები გაყარა და იპოვა ახალგაზრდა მომვლელი ქალი, რომელიც გულიანად და მოთმინებით უვლიდა გოგოებს.

უფროსი და, ლიდა, უკვე ექვსი წლის იყო და დედის სიკვდილი ალბათ ყველაზე მეტად განიცადა. ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდა დედამისს და სულ ცდილობდა, დამჯერი ყოფილიყო. ამიტომ მეტისმეტად მორიდებული, უტყვი და ღვთისმოშიში გახდა, თითქოს ბავშვი კი არა, უკვე ჩამოყალიბებული ქალი იყო.

მამას ბავშვის ცოტა ეშინოდა კიდევ, მისი მკაცრი გამოხედვის, გამობრძმედილი მორალის, დამთრგუნველი შეხედულებების.

მეორე და, ხუთი წლის მერი, მართალია, ჯერ გამოკვეთილ თვისებებს არ ავლენდა, მაგრამ ხშირად ავადმყოფობდა და უხასიათოდ იყო ხოლმე, მამა კი ვერაფრით შველოდა.

ორივეს დედა ენატრებოდა, მამა მათთვის უცხო იყო. რადგან დედის გარდაცვალებამდე მთელ დროს სამსახურში ატარებდა ან საზოგადოებრივ ვალდებულებებს ასრულებდა, ჩიბუხს ეწეოდა, ხმაურობდა, მეგობრებთან ერთად სიამოვნებით მიირთმევდა კონიაკს თავის კაბინეტში და ისეთ თემებზე საუბრობდა, რაც გოგონებს არ აინტერესებდათ.

ანასტასიაზე კი, ყველაზე უმცროსზე, რომელსაც სულ მალე სტასია შეარქვეს, ამ ყველაფერმა გავლენა არ იქონია. ძალიან პატარა იყო იმისთვის, რომ დედის დაკარგვა გაეცნობიერებინა, არავითარი მოგონება არ შემორჩა; მიუხედავად იმისა, რომ მძიმე გარემოებაში დაიბადა, ხალისიანი ბავშვი იყო. შთამბეჭდავად ხშირი თმა ჰქონდა, – როგორც უკვე ვთქვი, ჩვილსაც კი დაუნწავდი ნაწნავებს, და პატარობიდანვე გამოავლინა ძლიერი ხასიათი.

შოკოლადის მენარმემ გადანყვიტა, მასთან მიმართებით სწორად მოქცეულიყო, არ დაეშვა მისი გაუცხოება დების მსგავსად, და თავისი მსოფლმხედველობით აღეზარდა.

როცა დიასახლისი და დედა გამოიგლოვეს და პირველმა და უმძიმესმა წელმა ჩაიარა, შოკოლადის ფაბრიკანტმა გამხედლობა მოიკრიბა და გადანყვიტა, თავისი ოჯახისთვის ახალი სიცოცხლე შთაებერა.

ასე და ამგვარად, ჩემს დიდ ბაბუას შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში მზრუნველობა არ მოუკლია თავისი გოგონებისთვის. ანებივრებდა და ამქვეყნიური ცხოვრების მშვენიერ მხარეებს აზიარებდა, რასაც მათ დედა უკრძალავდა: პირის ჩატკბარუნებისა და გვიან დაძინების უფლებას აძლევდა, ბაზარშიც უშვებდა და მოხეტიალე ცირკშიც, გლეხის ბავშვებთან თამაშს არ უშლიდა, კვირას ეკლესიაში

წასვლას არ აძალებდა, არ უჯავრდებოდა, როცა ითხუპნებოდნენ და სახლში ონავრულად დაქროდნენ, საკონდიტროში მიჰყავდა და იმდენ შოკოლადს აჭმევდა, რამდენსაც მოერეოდნენ, შეეძლოთ საშინაო დავალებები თამაშის მერე შეესრულებინათ, ნანატრი ლამაზი კაბები და სათამაშოები ჩამოჰქონდა მათთვის მივლინებებიდან.

იმ წლებში შოკოლადის ფაბრიკანტის სახლში მსუბუქი, ლაღი ატმოსფერო სუფევდა, ის უმნიშვნელო არეულობაც კი, ოდესღაც ასეთ გაპრიალებულ სახლში რომ შეიმჩნეოდა უკვე, არავის უშლიდა ხელს, პირიქით: იქაურობას სიმყუდროვეს მატებდა.

სტასია ყოველთვის ტკბილად იგონებდა ადრეული ბავშვობის დღეებს და „გოგოების ბატონობის ხანას“ მათ ოჯახში.

მერე, როცა ერთ დღეს მამამ კიევში მივლინებიდან ახალი ცოლი ჩამოიყვანა, მაღალი ქალი, ცოტა ცივი, მაგრამ ძალიან შთამბეჭდავი სლავური გარეგნობის მქონე, რომელსაც სიტყვაც არ ესმოდა ქართულად, ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა. უქალოდ სახლი სახლი არ არისო, აღნიშნა მამამ, – და მეც ცოდვა ვარ მართო ცხოვრებისთვისო. არც უფიქრია, გოგონებისთვის დედა ჩაენაცვლებინა, მაგრამ ითხოვა, ლარისა ანუ ლარა მიხაილოვნა ოჯახის ახალ წევრად მიეღოთ და პატივისცემით მოჰყრობოდნენ.

მაგრამ ლარა მიხაილოვნა, რომელიც მოსკოველი არისტოკრატი იყო და ადრე ან გარდაცვლილ, გალოთებულ უკრაინელ ვაჭართან ყოფილა განქორწინებული, სულ არ აღმოჩნდა ადვილად მისაღები. ძალაუფლების მოყვარული ქალი იყო, მლიქვნელობას და თაყვანისცემას ჩვეული, ბრწყინვალე ცხოვრებისადმი მიდრეკილი, და ქართულ პროვინციაში გადმოსვლას უკადრისობდა. გოგოებისგან განსხვავებით, მამას არ ანუხებდა ლარას მძიმე ხასიათი. ალბათ ღამიღამობით ასაჩუქრებდა ახალ ქმარს თავისი საოცარი მონაცემებით, რის გამოც მის გვერდით გატარებული დღეების სისასტიკის დავინწყება ღირდა, ან სხვა სულიერი ნიჭით იყო დაჯილდოებული, რასაც მხოლოდ ქმართან ამუღავნებდა. სხვაგვარად შეუძლებელი იყო იმის ახსნა, თუ რატომ აავსო შოკოლადის ფაბრიკანტმა ძვირფასი საჩუქრებით თავისი ახალი ცოლი, რატომ აყენებდა მის ნება-სურვილს ყველაფერზე წინ და რატომ აძლევდა უფლებას, ისე მოჰყრობოდა მას, როგორც თავის საკუთრებას.

წინა წლების ხალისიანი, მყუდრო განწყობის ნაცვლად დამთრგუნველმა იერარქიულმა წესრიგმა დაისადგურა, სადაც ლარა განკარგავდა ყველაფერს.

გოგოები ცუდად აღზრდილებად მიიჩნია და დაუყოვნებლივ შეუდგა მათ გამოსწორებას. ჯერ უფროსები, ლიდა და მერი გაამწესა კეთილშობილ ქალთა მკაცრ სკოლაში, მერე ფორტეპიანოს მასწავლებელი დაიქირავა, რომელიც ამათ ორ დღეში ერთხელ

დაუღალავად ამეცადინებდა, ამას მოჰყვა კერძო მასწავლებელი, რომელიც რუსულში ავარჯიშებდა, რადგან, ლარას აზრით, მათ საბიზლარი აქცენტი ჰქონდათ.

თავად კი ამ დროს მეუღლის გვერდით ცხოვრებითა და მისი მდგომარეობის უპირატესობებით ტკბებოდა. კურორტებზე მიემგზავრებოდა, საზეიმო სადილებს მართავდა, მეკლისებს სტუმრობდა, საფრანგეთიდან იწერდა ქსოვილებს, ქუდებს იკერავდა, ორი ახალი მოსამსახურე გოგო აიყვანა, სამკაულსა და ათასგვარ ჩინური ფაიფურის ლარნაკებს ყიდულობდა, რაც გამორჩეულად უყვარდა.

ბაბუაჩემმაც გაიხარა, ეტყობა, ლარა სწორედ ისეთი ქალი იყო, როგორსაც ყოველთვის ნატრობდა თავის გვერდით. მისი შვილები სულ უფრო იშვიათად რომ იცინოდნენ, ჩუმები ხდებოდნენ და როგორც კი ლარა ბურგს შეაქცევდა, ენას უყოფდნენ, ამის შემჩნევა არ უნდოდა, რადგან ლარა საბოგადობაში მიღებული ქალი იყო, ფულის ყადრი იცოდა, ყურადღება სიამოვნებდა, მოგზაურობა, ძვირფასი სამკაულები, ჭორაობა უყვარდა, ეკლესიაში მხოლოდ სააღდგომოდ და სამობაოდ დადიოდა და მშვენივრად იცოდა, როგორ მოეხდინა ადამიანებზე შთაბეჭდილება, განსაკუთრებით მამრობით სქესზე.

დაქორწინებიდან ორი წლის შემდეგ გაჩნდა ქრისტინე, ნაბოლარა. სტასიაზე შვიდი წლით უმცროსი.

შოკოლადის ფაბრიკანტი მაინც ვაჟს ნატრობდა და იმედს არ კარგავდა, რომ მემკვიდრე ეყოლებოდა. მაგრამ აღარც ის იყო ახალგაზრდა და აღარც ლარა, და ყოველი ორსულობა უკვე ძალიან სარისკო ჩანდა. ასე რომ – გაუთავებელი მკურნალობისა და ძალისხმევის მიუხედავად – ქრისტინე ბაბუაჩემის მხრიდან მამრობითი სქესის მემკვიდრის გაჩენის უკანასკნელ მცდელობად დარჩა.

ქრისტინე კლასიკურ ნაბოლარად ჩამოყალიბდა: განებივრებული, გათავხედებული. დედამისს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ის იყო ერთადერთი პრინცესა მათ სახლში, მამა კი უბრალოდ თვალელებში შესციცილებდა. ვალიარებ: ქრისტინე ლამის არაამქვეყნიურად ლამაზი ბავშვი იყო. ყველა, ვინც ამ ოჯახს სტუმრობდა, დაუსრულებლად მის სილამაზებზე ლაპარაკობდა – რაც მშობლებს სიამაყით ავსებდა.

ღვთისმშობელს ჰგავს, როგორი გრაციოზულია, რა დახვეწილი ნაკვთები აქვს, როგორი ჩამოქნილი ტან-ფეხი!

ქრისტინე მართლაც სლავურ-კავკასიური კოლაბორაციის იდეალური განსახიერება იყო. მით უმეტეს, პატარაობიდანვე მშვენივრად იყენებდა უპირატესობას და მოხერხებულად აღწევდა სანადელს. შეიძლება მშობლების სახლში ამ ცვლილებების გამო ჩამოუყალიბდა სტასიას პროტესტის გრძნობა, რადგან, უტყვი და მონასტერზე მეოცნებე ლიდასგან და, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა და მოუსვენარი მერისგან განსხვავებით, ბევრად ადრე მიხვდა, რომ ამ ოჯახში თვითონ უნდა

მოეპოვებინა თავისი ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუმჩნეველი დარჩებოდა, იმ ბავშვის ჩრდილში მოექცეოდა, რომელთანაც სრულიად შემთხვევით ჰყავდა მამა საზიარო.

ამიტომ ძალიან მალე ისწავლა საკუთარი ამრის გამოთქმა, საკუთარ სურვილებსა და ოცნებებზე კონცენტრირება, ისეთი რამეების კეთება, რასაც ლარა და შესაბამისად, ქრისტინე არასდროს იზამდნენ, მაგალითად, ცხენზე ჯირითი ისწავლა მამაკაცური სტილით, ქალების უფლებებით დაინტერესდა, სამკაულს არ იკეთებდა, ფუფუნება დიდად არ იზიდავდა, და რაც მთავარია, ბაღების გაკვეთილებზე დაინყო სიარული, საბაღეთო კარიერაზე ოცნებობდა და პარიზში გამგზავრებას გეგმავდა.

დრო სწრაფად გადიოდა და პოლიტიკური სიტუაცია დღითი დღე უფრო იძაბებოდა მეფის რუსეთში. შოკოლადის ფაბრიკანტს უკვე აწუხებდა საკუთარი მომავალიც და შვილებისაც, რადგან კომუნისტები, ბოლო რვა წლის განმავლობაში რომ ფუთფუთებდნენ თითქოს, კარგს არაფერს იქადდნენ. და როგორც ქართული ელიტის სხვა წარმომადგენლებს, ბაბუაჩემსაც ეშინოდა პროლეტარიატის, რომელსაც, მართალია, სიამოვნებით უმართავდა ხელს, მაგრამ მაინც ნაკლებად უნდოდა მათთან სიახლოვე.

ჩემს დიდ ბაბუას არ სჭეროდა სოციალისტების, არც რევოლუციის, არც რადიკალური რეფორმების და თუმცა შეწუხებული ადევნებდა თვალყურს რუსეთის ახალ ამბებს, ყოველთვის ამბობდა, რომ მის სამშობლოში ბოლშევიკები ფეხს ვერ მოიკიდებდნენ („მესამე დასის“ პირველი ჩანასახი მაშინ უკვე აქტიურად მოქმედებდა საქართველოს დედაქალაქში და ოქტომბრის რევოლუციის თითქმის ერთი წლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოცხადდა).

ჩვენი საყვარელი ძველი ფასეულობების, სტაბილურობის მოთხოვნილების და ზომიერი ლიბერალიზმის მხარდაჭერის სიმონ ჯამისეული კარგად მოზომილი ნაზავი ბაბუაჩემს თავისი საქმიანობის გაგრძელების ერთგვარ გარანტიას აძლევდა. თანაც სიმონი სამხედრო იყო და საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა, წითლებსაც გამოადგებოდა და მისი ოჯახის მომავალი დაზღვეული იქნებოდა. რაკი მამრობითი სქესის მემკვიდრე არ ჰყავდა, შოკოლადის ფაბრიკანტს უნდოდა, კაცი მაინც დასდგომოდა მხარში, რადგან მომავალი უკვე კარზე აკაკუნებდა და არავინ უწყოდა, როგორი იქნებოდა ის.

მისი უფროსი ქალიშვილი ისეთი უტყვი, ჩაკეტილი და ეკლესიური იყო, რომ მამაკაცს ვერასდროს იპოვიდა. და ბაბუაჩემი თანდათან შეეგუა, რომ უფლისთვის უნდა დაეთმო ლიდა, რომელიც მას, როგორ ჩანს, მამრობითი სქესის არსებათა შორის ყველაზე მეტად უყვარდა – ნეტავ ღმერთს სქესი თუ აქვსო, ეკითხებოდა ზოგჯერ საღამოობით შოკოლადის ფაბრიკანტი საკუთარ თავს, როცა თავის კაბინეტში კონიაკს შეექცეოდა და თავის ფიქრებსა და დარდებს ეძლეოდა.

მეორე ქალიშვილიც, მაშინ უკვე ოცდაერთი წლის, ანუ გათხოვებისთვის მშვენიერ ასაკში, ასევე საკმაოდ რთული შემთხვევა იყო. ცხრამეტი წლისა ერთ შრომისმოყვარე ბანკირის შვილზე დაინიშნა და თითქოს არაფერი ედგა წინ ახალი საიმედო ოჯახის შექმნას, სანამ ერთ დღეს არ გამოაცხადა, ცოლად არ გავყვები, რადგან ქალაქის ყველა ქალს კუდში დასდევს და ქორწილის მერეც არაფერი შეიცვლებაო.

- კი მაგრამ, მერიკო, საყვარელო, ჩემო მზის სხივო, შეარგე საწყალ ბიჭს, გაიხაროს ცოტა. მამაკაცები სუსტი არსებანი ვართ, მეტი ყურადღება გვჭირდება, ვიდრე თქვენ, ქალებს, გაუშვი, გაიხედ-გამოიხედოს, ვის რას ავნებს ამით? კაცს ბევრი ცდუნება ხვდება ცხოვრების გზაზე, ძნელია გაძლება. მას შენ უყვარხარ და პატივს გცემს, ქალისთვის ხომ ეს არის უმთავრესი.

ასე ცდილობდა მაშინ შოკოლადის ფაბრიკანტი მეორე ქალიშვილის დარწმუნებას. ის კი მხოლოდ უკმაყოფილოდ ოხრავდა და ამბობდა, სულელი კი არა ვარო. ჩემს სიცოცხლეს ფანჯრიდან ვერ მოვისვრი, მარტო იმიტომ, რომ ჩემი მოშორება გინდათ სახლიდანო. ბანკირის შვილი მართლა მთელ ქალაქში ცნობილი მექალთანე იყო, მერის კი ძალა არ ეყოფოდა, ქმარი მოერჯულებინა და კაბაზე გამოეხა. ისიც მართალია, რომ ბაბუაჩემს ძალიან უნდოდა მერის გათხოვება, ბოლოს და ბოლოს, მოკავშირეებს ეძებდა იმ არეულ დროში, წინ რომ ელოდა, რა იყო ამაში დასაძრახი? მაგრამ, იმავდროულად, მერის დამოუკიდებელმა გადამწყვეტილებამ გააოცა და თავი დაანება.

მას მერე სამი წელი გავიდა და ვერავინ მოიძებნა მერის მოსაწონი. ერთი მეტისმეტად მოსაწყენი იყო, მეორე ძალიან ასაკოვანი, მესამეს საშინელი დედა ჰყავდა და ასე შემდეგ.

მაგრამ ყველაზე მეტ პრობლემას სწორედ სტასია ქმნიდა. და მაინც: ჩემს დიდ ბაბუას სხვაგვარად არ შეეძლო, გამორჩეულად უყვარდა თავისი მესამე ქალიშვილი და ძალიან აფასებდა. სტასია ყველაზე საზრიანი იყო, ყველაზე მოხერხებული, ყველაზე თავნება მის შვილებს შორის, ყველაზე მეტად სწორედ ის აგიჟებდა და აბრაზებდა. მაგრამ ბაბუას უყვარდა მისი ოინებიც, მისი არანორმალური ოცნებებიც და ცეკვის მანიაც. სტასიამ იცოდა რა უნდოდა, და პატარა ქრისტიანესგან განსხვავებით, ეს არ იყო უბრალო აკვიატება. მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა. შესაძლოა მამა თავის თავთან მსგავსებას ხედავდა მასში, ან იქნებ სინდისის ქენჭისგან ვერ გათავისუფლდა ცოლისა და სტასიას ტყუპისცალის სიკვდილის გამო, ან უბრალოდ უადვილდებოდა მასთან ურთიერთობა, რადგან უფროსი დებივით გაუცხოებული და უცნაური არ იყო.

იმდენად უყვარდა სტასია, რომ ხანდახან გული ეკუმშებოდა, არადა მამა სწორედ მას ეჩხუბებოდა ყველაზე ხშირად და ყველაზე ხმამაღლა, სტასია კი თავხედობდა და ზოგჯერ უდიერადაც ეპყრობოდა.

მაგრამ მამას სურდა, რომ სტასია აუცილებლად ბედნიერი ყოფილიყო, ისე ეცხოვრა, რომ ოცნებები აუსრულებელი არ დარჩენოდა – თუმცა წამითაც არ უფიქრია მართლა გაეშვა ბავშვი პარიზში, დასავლეთის სოდომსა და გომორში, რომ იქ ქარაფშუტა მოცეკვავე გამხდარიყო.

მით უფრო გაიხარა შოკოლადის ფაბრიკანტმა, როცა სტასიამ სიმონ ჯამის მხრიდან მასთან დაახლოების მცდელობა არ უარყო და ახალგაზრდა კაცის მიმართ წინააღმდეგობაც არ გამოიჩინა.

მანამდე სტასიას მამაკაცები არ აინტერესებდა, უარს ამბობდა ეკლესიაში სადღესასწაულო კაბების ჩაცმაზე, პარასკეობით დედინაცვალთან და დებთან ერთად მთავარ ქუჩაზე სასეირნოდ გასვლაზე – რაც ერთგვარ საქორწინო გამოფენას წარმოადგენდა, ხოლო სასკოლო და ქალაქის სხვა მეჭლისებზეც ცივად აქცევდა ზურგს მთარშიყე მამაკაცებს.

და ჩემმა დიდმა ბაბუამ დაიჯერა, რომ სიმონი მართლაც შეიძლებოდა ქვეულიყო ღუზად სტასიას ხასიათის უძირო ზღვაში.

მაგრამ აქ შეცდა.

* * *

რევოლუციები ყოველთვის უზრდელობით გამოირჩეოდა; ალბათ იმიტომ, რომ გაბატონებული კლასები ზედმეტად არ იწუხებდნენ თავს, ხალხს კარგი მანერები ესწავლა.

ტროცკი

გასაგებია, რატომაც ნუხდა ჩემი დიდი ბაბუა, არეული დრო იყო, ბრილკა. მეტისმეტად არეული.

იმ დროს, როცა ჩვენმა ჩვიდმეტი წლის სტასიამ თავისი თეთრგვარდიელი გაიცნო, სამი წლით ადრე დაწყებული პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა. მთლიანობაში, ოთხწლიანმა კომმარმა, რომელმაც ნახევარი მსოფლიო მოიცვა, 17 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეინირა და ორმოცამდე ქვეყანა ჩაითრია.

ჩვენმა პატარა ქვეყანამ და ჩვენმა მყუდრო ქალაქმა საშინელი შედეგები ძირითადად დიდი ჩრდილოელი მეზობლისა და „მფარველის“ მეშვეობით იწვნია: ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა პრობლემებმა იქ მწვერვალს მიაღწია. ათასობით ჯარისკაცი და გლეხი გამორბოდა ფრონტიდან ილუზიებდაკარგული და ახალი იდეოლოგიის, სოციალიზმის სენით შეპყრობილი ბრუნდებოდა სამშობლოში.

იმ დღეებში თეთრი ობერლეიტენანტი სიმონ ჯაში თავის ფილოსოფიურ წრეში ქადაგებდა და თან ჩაფიქრებული ენეოდა ჩიბუხს.

- როგორც ნებისმიერ სხვა ტოტალიტარულ ქვეყნას, რუსეთსაც საუკუნეებია არასრულფასოვნების კომპლექსი აწუხებს.

- ყველაზე მტკივნეული და იმავედროულად ყველაზე სახიფათო ალბათ საკუთარი იმპერიალიზმია, ალბათ ამიტომაც იყვნენ და ახლაც არიან ამდენად მგრძობიარენი სოციალისტური ნაშრომებისა და ნააზრევის მიმართ. პეტერბურგის მშვენიერებაც კი დამშეულ, სასიკვდილოდ განწირულ ყმებსა და ტუსაღებზეა დაფუძნებული, იძულებით რომ ააშენებინეს ასეთი დიდებული ქალაქი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება პარიზს ან ვენას.

ვიცნობ ამ ქვეყანას. მას ვემსახურებოდი. აქვს ეს კომპლექსი რუსეთის მაღალ საზოგადოებას. ეს კომპლექსი ქართულ მაღალ საზოგადოებაშიც შეიმჩნევა, მერწმუნეთ. ზედა ფენებს ისეთი დაღბენილი ცხოვრება აქვთ, რომ ამას არ შეეღვევიან, უმეტესწილად წერა-კითხვის უცოდინარი და დამონებული გლეხობა კი საზარელი სანახავია. პირადად მე არ მჯერა, რომ რევოლუცია ხალხის გამოძახილია, უფრო პრივილეგირებულთა სინდისის ქენჭით გამოღვიძებული მგონია, - დაურთო განსაკუთრებულად დაფიქრებულმა.

- ესე იგი შენ გგონია, ჩვენს განმათავისუფლებელ იმპერატორ ალექსანდრეს სწორედ ასეთი კომპლექსი ამოძრავებდა, როცა ბატონყმობა გააუქმა, ოღონდ ის ვერ გაითვალისწინა, რომ მისი ეს ნაბიჯი ეკონომიკური და რაც მთავარია, იდეოლოგიური მარცხით შეიძლებოდა დამთავრებულიყო? - იკითხა ერთმა მეტისმეტად მონდომებულმა მსმენელმა.

- დიახ, ასე მგონია. როდესაც მან გლეხები გაათავისუფლა, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა სოციალური უთანასწორობა საზოგადოებაში. და ისიც არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ ბოლო წლებში ათასობით ახალგაზრდა წავიდა დიდი ქალაქებიდან სოფლებში, გლეხობაში განათლების გასაზრცვლებლად, ოღონდ დაუინტერესებლობას, მორჩილებას და გაუგებრობას წააწყდნენ.

- და შენ ფიქრობ, რომ განმათავისუფლებელ იმპერატორს იმ თავდასხმით გადაუხადეს მადლობა?

- ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არ შემიძლია, ეს მხოლოდ ვარაუდი იქნებოდა ჩემი მხრიდან, - განაგრძო მსჯელობა სიმონმა და სავსებით მოიწონა საკუთარი თავი ამ როლში, როცა შთაბეჭდილებამოხდენილი თავყვანისმცემლების მზერა იგრძნო.

- შენი აზრით, იმ ულიანოვს კერძო ინტერესები ამოძრავებს? - იკითხა უღალთმიანმა ანარქისტმა ბოლო რიგიდან.

- რას გულისხმობ? და ფეხზე ადექი თუ შეიძლება, ვერ გხედავ.

- რას და, მისი ძმა ხომ ერთ-ერთი იყო იმ ხუთი შეთქმულიდან, რომლებსაც ალექსანდრე მეორეს მკვლელობა არ გამოუვიდათ და მერე სიკვდილით დასაჯეს.

წინა რიგებში რამდენიმე ახალგაზრდა კაცმა დემონსტრაციულად ამოიხვნეშა, აშკარად გალიზიანდნენ ჟღალთმიანის მატრაკვეცობით.

- ვერც ამაზე გიპასუხებ დანამდვილებით, მეგობარო, შემძლია მხოლოდ ვივარაუდო.

- და ნიკოლოზ მეორეზე რას იტყვი? - იკითხა მონდომებულმა მონაფემ (ყურადღებაც არ მიაქცია ლენინის ქცევის ფსიქოლოგიურ მოტივებს).

- ნიკოლოზ მეორემ ვერაფრით გააკეთა არჩევანი ღვთით ბოძებულ ავტოკრატისა და დასავლურ ლიბერალიზმს შორის და ამან დაღუპა. მას მერე კი, რაც იაპონიასთან დავმარცხდით, სრულმა აპათიამ შეიპყრო, რამაც გაასამმაგა აგრესია გლეხთა აჯანყებების მიმართ მთელ ქვეყანაში. და ამჯერად ზუსტად ვიცი, რასაც ვამბობ, ასეთ ვითარებაში არ უნდა დაერთო ნება 1905 წელს პეტერბურგში უიარაღო დემონსტრანტები ჩაეცხრილათ, საკმაოდ განათლებულია და ეს უნდა სცოდნოდა, სწორედ იმ ორასი დაღუპულის გამო მივიდა საქმე იქამდე, რომ მუშათა პირველი საბჭო შეიქმნა. ნამდვილი ლეგიტიმაცია მოახდინა. მე თუ მკითხავ, საკუთარი ხელით გადასცა მათ კობირი.

მონდომებულმა მონაფემ მრავლისმთქმელად დაუქნია თავი და რალაც ჩაიწერა. ეს მოეწონა სიმონს, მას უკვე ციტირებდნენ. კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილების მოსახდენად მიაყოლა:

- და მეორე საბედისწერო შეცდომაც დაუშვა ნიკოლოზმა, როცა ფრონტზე გლეხების გაგზავნა დაიწყო, ჯარისკაცების ნაკლებობის გამო. ვერ გათვალა, რომ გლეხები იქ ჯარისკაცების იდეოლოგიას გაეცნობოდნენ და სოციალისტური მსოფლმხედველობით მონინამლებოდნენ, ხოლო მშობლიურ სოფლებში დაბრუნების შემდეგ მონარქის საწინააღმდეგო იდეოლოგიის გავრცელებას დაიწყებდნენ.

სიმონმა ხაზგასმით ნელა გამოაბოლა და თვალი გადაავლო მსმენელებს.

ასე იყო თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, ბრილკა, - ხალხმრავალ უმართავ დემონსტრაციებს, დაუსრულებელ ძალადობას და სამი წლის ადრე დაწყებული ომის შედეგებს საბოლოოდ იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდება მოჰყვა იმ ყინვიან ზამთარში, როცა სტასიას ეგონა, რომ სიყვარული იპოვა. ბუნიმა შემოინახა ერთი იმდროინდელი მეეტლის სიტყვები:

„ხალხი ახლა უმწყემსოდ დარჩენილ ნახირს დაემსგავსა, ყველაფერს აბინძურებს და თავის თავს ანადგურებს“.

ასე ჩაანაცვლა ჩემი დიდი ბებუის სიყვარულის წელს რომანოვების 300-წლიანი ბატონობა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა და დროებითმა გარდამავალმა მთავრობამ.

ეს ყველაფერი კი, ბრილვა, მოხდა მეფის დროინდელი რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური დაყაჩაღების ფაქტიდან ზუსტად ათი წლის შემდეგ. ის ყაჩაღური თავდასხმა ივნისის ერთ ცხელ დღეს მოეწყო თბილისში, ერევნის (მერე ლენინის და ბოლოს თავისუფლების) მოედანზე:

10 საათი და ოცდაათი წუთი, მზიანი, კარდამონის, ყავის, მტვრისა და მიხაკის სუნით გაჟღენთილი უმშვენიერესი დილა, როგორც მართო თბილისშია ხოლმე.

ერევნის მოედანს ორი ეტლი მოადგა ორი კაზაკის, რუსეთის მეფის ცხენოსნების თანხლებით და მისივე პირადი წლიური ბიუჯეტით – მეოთხედი მილიონი რუბლით დატვირთული.

ეტლმა მარჯვნივ გახვევა დააპირა, ცენტრალური ბანკის დიდი კლასიციკური შენობისკენ, როდესაც რაღაც მრგვალი საგნები შეუკორდა ცხენებს ფეხებში. ამას მოჰყვა გამაყრუებელი ხმაური, ღრიალი, სისხლი. საიდანღაც გლეხის ბიჭები გაჩნდნენ და საშველად მოვარდნილი დაცვა ავტომატებით დაცხრილეს.

ამ კვამლში, ხმაურში, სისხლში შემოიჭრა ცხენზე ამხედრებული კაცი, ფულის ტომრები მიიტაცა და გააჭენა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მეფის რუსეთი ამ ფულს დაეძებდა, მთელი ქალაქი გადაატრიალეს, ბინები გაჩხრიკეს, ფული გაქრა და მოგვიანებით ფინეთში აღმოჩნდა, ლეიბში გამოკერილი. ამხანაგ ულიანოვის ხელში, რომლის მეშვეობით ის ფული გაათეთრეს და ისევ მეფის რუსეთში გადაგზავნეს, პარტიის სალაროში.

იმ ყაჩაღური დაჯგუფების წინამძღოლი ერთი ქართველი მენადის შვილია, დაბალი ფენის გამჭრიახი წარმომადგენელი, ოცდაორი წლის, სასულიერო სემინარიიდან გამოქცეული; ულიანოვი მას დიდად აფასებს, ეს უკვე ცოტა არ არის. მას ბევრი მეტსახელი აქვს, რადგან კარგა ხანია ცარისტული საიდუმლო პოლიცია დაეძებს ყაჩაღობის, ხანძრის გაჩენის და აგიტაციის გამო, ხელისუფლების წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულების სია გრძელდება – მაგრამ თავის ყველაზე ცნობილ მეტსახელს ჯერ არ ატარებს, რომლითაც ის ისტორიაში შევა, ჯერ არ ჰქვია ფოლადის კაცი.

ბამთარში ბოლშევიკები, დაახლოებით 5000 თავიანთი მხარდამჭერით, უმცირესობას წარმოადგენდნენ პოლიტიკურ მიმდინარეობათა ბღვაში. მაგრამ უკვე ოქტომბრის ბოლოს, როდესაც სტასია ჯერ კიდევ ბედნიერი დააჭენებდა ცხენს ველად, ბოლშევიკურ სამხედრო მთავრობას პეტროგრადის ყველა საფოსტო განყოფილება, ხიდი და სადგური დაეკავებინა. 25 ოქტომბერს დროებითი მთავრობის

სხდომა იმართებოდა ზამთრის სასახლეში. მხოლოდ რამდენიმე ასეული იუნკერი იცავდა, 130 ქალი არმიის ქალთა ბატალიონიდან და კიდევ რამდენიმე ასეული კაცი ინვალიდთა კავალერიიდან.

ბოლშევიკები, 2000 წითელარმიელის შემადგენლობით მთელი დღე წინ და უკან დადიოდნენ ზამთრის სასახლესთან. საღამოს კიდევ 3000 მეზღვაური გამოცხადდა წითელარმიელების მხარდასაჭერად. ზამთრის სასახლის წინ მოედანი გაივსო.

ავრორადან და პეტრე-პავლეს ციხესიმაგრიდან საზეიმოდ გაისროლეს ყუმბარები. იუნკრებმა მეზღვაურებს ცეცხლი გაუხსნეს, მაგრამ ამასობაში მატროსთა ნაწილმა დაუცველი გვერდითა შესასვლელებით შეაღწია სასახლეში და დროებითი მთავრობა დააპატიმრა. ეს მოხდა 1917 წლის 26 ოქტომბერს 2 საათზე, შუალამისას.

ამით დასრულდა „ზამთრის სასახლის იერიში“, რასაც ასე ხშირად იგონებდნენ და რისი ჩვენებაც უყვარდათ საბჭოთა პროპაგანდულ ფილმებში.

მხოლოდ ექვსი ადამიანი დაიღუპა.

- დროებითი მთავრობა სულ უფრო კარგავს ნდობას. ინფლაცია მატულობს რუსეთში. ეკონომიკა სტაგნაციაშია. როგორც ამბობენ, გახშირდა ყაჩაღობა, კონფლიქტები ჯარში, ქურდობა, მინების დატაცება და ათასგვარი კრიმინალური ქმედება. სურსათ-სანოვაგე აღარ იშოვება, ქვეყანა გაბანკროტების პირასაა უკვე. და ის ოპორტუნისტი კერენსკი, რომელიც დროებით მთავრობას უნდა უძღვებოდეს, სიმბოლოებით ცდილობს ძალის მოკრებას და დღითი დღე სულ უფრო კარგავს გადაწყვეტილების მიღების უნარს და ნდობას. უკეთესს რას ინატრებდნენ წითელები?

ღელავდა ჩემი დიდი ბაბუა, რომელიც გაზეთს ჩაჰყურებდა და დილის ყავას შეექცეოდა თავის შოკოლადის ფაბრიკაში, სადაც სიმონიც მიეწვია.

- არჩევნების დროს უთუოდ ორივე დიდ ქალაქს მიაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას ბოლშევიკები, პეტროგრადს და მოსკოვს, ფინანსებს თითქმის მთლიანად შეიარაღებასა და არმიის შექმნაში ჩადებენ. და თუ გაიმარჯვებენ, პეტროგრადის საბჭოს ჩაუდგებიან სათავეში; იმ უცნაური ტროცკის დანიშვნას აპირებენ, როგორც ჩანს, რომელსაც არ ვენდობი. ჩვენ ჩამორჩენილები ვართ, როგორც ყოველთვის. რუსებმა ეს ავად სახსენებელი რევოლუცია მოახდინეს უკვე, ჩვენ კი ისევ იმაზე ვიმტვრევთ თავს, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მომავალი, და ეს არ არის კარგი, სიმონ, ნამდვილად არ ვარგა.

ორივენი შავ ყავას სვამდნენ, შოკოლადის შიგთავსიან ნუშის ფუნთუშებს მიირთმევდნენ და მხოლოდ პოლიტიკაზე საუბრობდნენ, როგორც თითქმის ყოველდღე ბოლო კვირების განმავლობაში.

* * *

ქართული პოლიტიკური ცხოვრება შეწყდა, როგორც კი საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ შეერთების შედეგად და მას მერე, რაც ეროვნული იდენტობის შენარჩუნების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი შეთანხმება მიიღეს, ქართველებმა ყოველგვარი პოლიტიკური იდეები უკუაგდეს და მთლიანად გადაეშენენ რუსული ცხოვრების მორევეში.

«Кавказский Вестник»

ყველა იმ თეთრგვარდიელს, ნაციონალისტსა თუ ლიბერალს, ზოგიერთ მენშევიკსაც კი, ყოველდღიურად რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს თავიანთ ბინებში, სტასიას ქალთა გიმნაზიასთან ჯგუფ-ჯგუფად რომ ჩაივლიდნენ ხოლმე აღელვებული ჩურჩულით, ეტყობა, მაინც ერთი მიზანი აერთიანებდათ: დრო ეხელთათ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ. ევროპის ბალკონს, როგორც ირონიულ-პოეტურად უწოდებდნენ ჩვენს სამშობლოს, ბოლოს და ბოლოს, მონობისთვის უნდა დაეღწია თავი და დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებისთვის მიეღწია.

მაგრამ სტასიას ეს არ ადარდებდა. მხოლოდ გულგრილად იჩეჩავდა მხრებს და საბალეტო კარიერაზე ოცნებას განაგრძობდა. არაფრად აგდებდა მთელ იმ დისკუსიებს, ამქვეყნად ხომ იმდენი მშვენიერი და გასაგიჟებელი რამ არსებობდა – მით უმეტეს, როცა შეყვარების პირველ ნიშნებს გრძნობ, როცა საკუთარ მომავალს პარიზში, Ballets Russes-ში ხედავ. რაც უნდა სდომოდათ მამამისს, მის საქმროსა და მთელ ქვეყანას – თვითონ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება უნდოდა და პარიზი, ყველაზე მეტად კი: ცეკვა, ცეკვა და ცეკვა. თავ-პირი უმტვრევიათ იმ დაღვრემილ ბატონებს, მე ამასობაში ჩემს ოცნებას მივუახლოვდები ცეკვა-ცეკვით და იდა რუბინშტიეინის დარად შეჰყრებადეს როლს შევასრულებ Théâtre du Châtelet-შიო.

ყოველდღე ელოდა თავის თეთრ ობერლეიტენანტს, რომელსაც ნაშუადღევს უნდა გამოეველო მისთვის გიმნაზიაში და შეჯიბრების ჟინით შეპყრობილი ველზე საჭირითოდ წაეყვანა. რადგან იქ წყდებოდა ყოველგვარი ლაპარაკი პოლიტიკაზე. იქ ჩუმიდებოდა ყველაფერი და რჩებოდა მხოლოდ გულის ფეთქვა, ნიავი, ეჭო და ცხენების ფლოქვების ხმა წითელ მიწაზე.

ჩვენი ჩვიდმეტი წლის სტასია, რომელიც პირველად იყო შეყვარებული, რომელსაც სკოლაში ლათინურისა და ასტრონომიის სწავლა ერჩია ქსოვასა და ქარგვას – ცხენს დააჭენებდა, თავისუფალი იყო და ენერგიით სავსე, და ამას ვერც სოციალიზმი შეცვლიდა და ვერც დემოკრატია. ის უკვე გეგმებს აწყობდა, როგორ დაეყოლიებინა თავისი

რჩეული პარიზში გასამგზავრებლად და იქ ახალი, სულ სხვა ცხოვრების დასაწყებად.

და როცა ერთ საღამოს ხის ძირში ჩამომჯდარმა ოფიცერმა ჰკითხა, თუ შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ჩემი ცოლი გახდეს და ჩრდილოურ ქვეყანაში გამომყვე, სადაც ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებო, სტასიას ელდა ეცა.

შინაგანად გამოიტირა ის სხვა ცხოვრება, რომელზეც უარის თქმა მოუნევდა, რა გადამწყვეტილებაც უნდა მიეღო. ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ ან უსასრულოდ ხომ არ მოვიდოდა ამქვეყნად თავისი ოცნებების ასახდენად? ამქვეყნიური შესაძლებლობების გამოსაყენებლად? და როგორც ყოველთვის ასეთ წუთებში, სტასიას თავისი გარდაცვლილი ტყუპისცალი გაახსენდა, რომელსაც გუნებაში კიტის ეძახდა – ანა კარენინას პერსონაჟით, მღელვარე სასიყვარულო თავგადასავლის შემდეგ მაინც რომ პოულობს ნავსაყუდელს ლევინთან... – და კიდევ უფრო დაითრგუნა.

თეთრი ობერლეიტენანტი სულ სხვა რამეებზე იმტვრევდა თავს და გამოსავალს ეძებდა. დიდი ხანი იყო უკვე, რაც იდეოლოგიურადაც და ფინანსურადაც ჩიხში მოექცა და დღითი დღე სულ უფრო ეწურებოდა იმედი, რომ ლიბერალები მის ქვეყანას კომუნისტებისგან დაიცავდნენ. სახიფათოდ მიაჩნდა საქართველოში დარჩენა, აქაურ გაერთიანებებსა და კოალიციებს არ ენდობოდა.

უნდა ემოქმედა, რომელიმე მხარე უნდა აერჩია. მშობლიური ქალაქის ვიწრო საზღვრებში დარჩენა არ უნდოდა არავითარ შემთხვევაში. მის გარეთ ადამიანები მთელ ქვეყნებს ამენებდნენ ახლიდან, მას ამაში მონაწილეობის მიღება ენადა და არა პროვინციული ქალაქის გაბოლილ ოთახებში ვიღაც გიმნაზიელებთან დისკუსიების გამართვა იმის თაობაზე, რასაც სხვები აკეთებდნენ მისგან შორს.

დიადი დრო იყო, სწრაფად შეიძლებოდა კარიერის გაკეთება, და ასევე სწრაფად შეიძლებოდა მტერთა რიგებში აღმოჩენა. ეს კი სიმონს არც ერთ შემთხვევაში არ სურდა.

მაგრამ თუ მის სამშობლოში დემოკრატია დამარცხდებოდა, თუ ბოლშევიკები საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდნენ, მაშინ აქ მას შანსი არ ექნებოდა.

მეორე მხრივ, წითლებს დასახმარებლად განვდილი ნებისმიერი ხელი ესაჭიროებოდათ.

ასე იჭდა იქ თეთრი ობერლეიტენანტი, იმ გოგოს გვერდით, რომელიც ასე ხიბლავდა, და ვერ გაეხედა გამოსტყდომოდა, რომ მზად იყო გლახთა არმიამი, PKKA-ში შესულიყო, რომლის შექმნის ბრძანებაც თვით ტროცკიმ გასცა სწორედ იმ დროს.

ასე იყო თუ ისე – სტასია უხმოდ ტიროდა მუხის ძირას, უთუოდ მუხის ხე უნდა ყოფილიყო და უთუოდ ძალიან ბებერი. აუცილებლად. სიმონი

სტასიას ათრთოლებულ მხრებზე მოეხვია სანუგეშებლად. ბუნებრივია, პირველი კოცნა საოცარი იყო, ბრილკა, უეჭველად, რადგან ჩვენი ისტორიის პირველი კოცნა აუცილებლად მშვენიერი უნდა იყოს!

არ ვიცი, სტასიამ იმავე საღამოს მისცა თანხმობა თუ არა, ის კი უდავოა, რომ სამი დღის შემდეგ მამამისის კაბინეტში შევიდა, სადაც მუდამ შოკოლადისა და ლავანდის სურნელი ტრიალებდა, მის პირისპირ ტყავის მძიმე სავარძელში ჩაჯდა და შეატყობინა, რომ მეორე დღეს სიმონ ჯამთან აპირებდა დაქორწინებას.

შოკოლადის ფაბრიკანტმა თავისი საბუთებიდან თავი ასწია, საკითხავი სათვალე მოიხსნა, შვილს შეხედა და გაიცინა.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა, სტასიამ განაგრძო: ქორწილის გადახდა არ მინდა. ქორწილისა და მზითვისთვის განკუთვნილი ფული ჩემთვის მინდა გამოვიყენო და ცეკვის სწავლაზე დავხარჯო. რამდენადაც ვიცი, ეს ქორწინება შენი სურვილიცაა, მამა, და ახლა უბრალოდ შენს თანხმობას ველიო.

მამამ სიცილი ძლივს შეიკავა და მკაცრად უპასუხა, ვერ მოგართვით (ან რამე მსგავსი იმ დროის შესატყვისად), მთელი ქალაქის დასაცინი ვერ გავხდები მარტო იმიტომ, რომ ჩემს ქალიშვილს თავში უქრის. ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც წესი და რიგია: ჯერ ნიშნობა, გარკვეული დროის მერე კი შესაფერისი ქორწილი. ბოლოს და ბოლოს, ჩემი ქალიშვილებიდან პირველი თხოვდები - და ეს დიდი ზეიმით უნდა აღინიშნოსო.

მერე კი მომავალ სიძეს სერიოზულად უნდა დაველაპარაკო, დაუშვებელია, რომ ისეთმა პატივსაცემმა ახალგაზრდამ, როგორიც სიმონია, ცოლის დაკრულზე იცეკვოსო.

სტასიამ ეს ყველაფერი სრულიად მშვიდად მოისმინა, მამას უარიც კი უთხრა არომატულ თურქულ ყავაზე, ბოლოს ადგა და თქვა, ან ასე ვიქორწინებ, ან საერთოდ არ მინდა, თანაც სიმონი მალე პეტროგრადში მიემგზავრებაო. ეტყობა, ეს სიტყვები ისეთი დამაჯერებლობით წარმოთქვა, რომ მამა, მართალია, არ დაეთანხმა, მაგრამ აღარც შეეწინააღმდეგა და მეორე დილას უფროსი დის, ლიდას პირველი მეგლისისთვის შეკერილ სადა თეთრ კაბაში გამონცობილი სტასია საკურთხეველთან დადგა.

ალბათ დიდი ხანი დასჭირდა შოკოლადის ფაბრიკანტს, რომ თავი დაეძლია და საკუთარ ეჭვებს გამკლავებოდა, ვიდრე დაპირების ასრულებას და სტასიასთვის მზითვად რეცეპტის გატანებას გადანწყვეტდა. შეიძლება პირველი ცოლის სიკვდილის მერე განვლილმა წლებმა დაარწმუნა, რომ საქმიანი ალღო უფრო სანდო იყო, ვიდრე ცრურწმენა. ბოლოს და ბოლოს, სწორედ იმ რეცეპტმა უზრუნველყო მისი და მთელი ოჯახის კეთილდღეობა წლების განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ქალაქები არ დაუპყრია და ცხელი შოკოლადი აღარც გაუტანია

გასაყიდად. მაგრამ ამ ნაზავის მცირე დოზა უსაფრთხოდ ჩანდა, პირიქით, სიხარულს ანიჭებდა ადამიანებს, წამით ყველა სადარდებელს ავიწყებდა, და არც ფატალურ საფასურს ახდევინებდა ამაში.

ნამდვილად სწორად მოვიქციე, რეცეპტი საიდუმლოდ რომ შევინახეო, ფიქრობდა შოკოლადის ფაბრიკანტი სტასიას ქორწინების წინა დამით, თუმცა უკვე აღარ ახსოვდა ამის მიზეზი იგივე იყო თუ არა, რაც მაშინ, როცა ევროპიდან ბრუნდებოდა საიდუმლო რეცეპტით ჯიბეში და ოცნებობდა, როგორ ამოიღებდა თავის საუკეთესო ქმნილებას თბილისში, სანქტ-პეტერბურგში ან მოსკოვში, ჯადოქარივით ჯიბიდან, ყველას გააოგნებდა და თავისი საქმიანობისთვის საუკეთესო პირობებს მოიპოვებდა.

როცა გადანყვეტილება მიიღო, ცხელი შოკოლადი არ ეწარმოებინა, ისე კარგად და უსაფრთხოდ იგრძნო თავი, თითქოს ამით უბედურებას გადაურჩა, რომელიც გარდაუვალი იქნებოდა, საკუთარი გრძნობებისთვის რომ არ დაეჭერებინა. ამაში სრულიად დარწმუნებული იყო. თუმცა არასდროს იტყოდა ამას ხმამაღლა, მით უმეტეს, თავისი ქვეშევრდომების ან ცოლის წინაშე, და ზოგჯერ თვითონაც სასაცილოდ არ ჰყოფნიდა თავისი ვარაუდები. ეს ბნელი წინათგრძნობა ქვეცნობიერად სულ ჰქონდა ქეთევანისა და სტასიას ტყუპისცალის სიკვდილის შემდეგ. მოლოდინის მიუხედავად, არსად გამქრალა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა დროთა განმავლობაში და ურყევ რწმენად გადაიქცა.

მაგრამ სტასია არც მისი ქვეშევრდომი იყო და, მით უმეტეს, არც ლარა მიხაილოვნა. სტასია ალბათ ერთადერთი იყო, ვინც არ დასცინებდა, როცა ამ საიდუმლოს გაუმხელდა.

ამიტომ ქორწინების წინა დამეს გამბედაობა მოიკრიბა, საძინებლის კარზე მიუკაკუნა (სტასიას ეღვიძა, მღელვარებისგან მთელი დამე არ ეძინა) და სთხოვა, ჩაეცვა და გაჰყოლოდა. სტასიამ ჩაიკვა, მამამ ხელი ჩასჭიდა და შოკოლადის ფაბრიკისკენ წაიყვანა. ფეხით, ხმის ამოუღებლად მისეირნობდნენ.

ჩაკეტილი კარი გააღო, ელექტროშუქი აანთო (რაც მაშინ ჯერ კიდევ იშვიათობა იყო პატარა ქალაქში), სანარმოში შეიყვანა და დასვა. მერე შოკოლადის მომზადება დაიწყო. სტასიას ყურადღებით უნდა ედევნებინა თვალი, ინგრედიენტები ზუსტად დაემახსოვრებინა და შეზავების დროს ხმამაღლა ჩამოეთვალა. სტასიამ, რომელიც გაკვირვებული იყო მამის იდუმალი და მოწინებელი ქცევით, ყოველგვარი თავშეკავება დაივიწყა, როგორც კი ჯადოსნური სურნელი მოედო იქაურობას. მთელ ქვეყანაში ცნობილი კონდიტერის შვილი ყველანაირ ნუგბარს იყო მიჩვეული, მაგრამ ასეთი დამათრობელი სუნი პირველად იგრძნო.

მოჭადრობულივით ასახელებდა ინგრედიენტებს ერთმანეთის მიყოლებით, თავის ფიქრებში წასული იმეორებდა ყველას რაოდენობას,

გრძნობდა, როგორ უგროვდებოდა ნერწყვი პირში. მერე მამამ აიძულა, დაწვრილებით ჩაეწერა ყველაფერი, რაც გაიგონა, შემადგენლობა, მომზადებისთვის საჭირო დრო და – უმთავრესი – ზუსტი დოზირება. მაგიდაზე დაუდო კალამი და ფურცელი, და სტასიამ ძალიან სუფთად, თავისი ულამაზესი კალიგრაფიით ჩაიწერა მამამისის საიდუმლო; თან ყურადღება ძლივს მოიკრიბა ოთახში დატრიალებული სურნელით მონუსხულმა.

მერე მამამ პატარა, თხელი, ბუმბულივით მსუბუქი ფინჯანი დაუდგა და სტასია ვერცხლის კოვზით შეუდგა ბლანტი შავი სითხის შთანთქმას. მისი სასა არნახული სიამოვნებით დატკბა, დახვეწილმა გემომ გონება დაუბნელა, ენა წაერთვა. ყოველი კოვზი ირგვლივ ყველაფერს ავინწყებდა რამდენიმე წუთით.

– ღმერთო ჩემო, ეს რა იყო? – იკითხა, როცა დამშეული კატასავით გატლიკა მთელი ფინჯანი და ფრთხილად დადგა, – აქამდე რატომ არ გაგვასინჯე?

– იმიტომ რომ ეს რეცეპტი საიდუმლოა. მას მცირე დოზით ჩვენს ყველა შოკოლადიან ტკბილეულში ვამატებ, მაგრამ ეს რეცეპტი თავიდან მოგონილი იყო ცხელი შოკოლადისთვის, რომელიც ახლა გაგასინჯე. ოღონდ... – სუნთქვა შეიკრა და თვალი თვალში გაუყარა თავის ქალიშვილს, – ოღონდ ის საფრთხეს შეიცავს. ისევ გაჩუმდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა იმის ასახსნელად, რაც სიტყვებით ვერ გადმოიციემოდა.

– საფრთხეში რას გულისხმობ? – იკითხა სტასიამ, შოკოლადის გემოთი ჯერ კიდევ გაბრუებულმა.

– შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს, რასაც ახლა გეტყვი, მაგრამ უნდა დაიჯერო, უნდა ენდო ჩემს სიტყვებს, სტასია, ჩემო სიხარულო, დაიფიცე, რომ დამიჯერებ!

– კი მაგრამ, მამა...

– შემპირდი!

– კარგი, გპირდები. რა თქმა უნდა, გპირდები.

– ზედმეტ სიკეთეს ზედმეტი სიავის მოტანა შეუძლია. მე კი ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ეს შოკოლადი გაესინჯოს და კიდევ არ მოენდომებინოს და მეტიც: არ დახარბებოდეს. მაგრამ სიხარბე და ტკბობა ერთად შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. ძალიან გთხოვ, დაიმახსოვრე!

– ისეთი მაცდუნებელი გემო აქვს, რა გასაკვირია, რომ კიდევ მოგინდეს!

– არა, შენ არ გესმის. ამ შოკოლადის მიღება მხოლოდ მცირე ულუფებად შეიძლება, ინგრედიენტების უმცირესი დანამატიც კი უგემრიელესს ხდის შოკოლადის ნებისმიერ ნაწარმს, მაგრამ სუფთა სახით, ასეთი სახით, სტასია, შეიძლება უბედურების მომტანი გახდეს.

სტასია, რომელიც მამისგან ასეთ სიტყვებს არ იყო ჩვეული, რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორი სასოებით წარმოთქვა მან ეს ყველაფერი, გაოგნდა, მაგრამ არ შეიმჩნია და სცადა, რაც შეიძლება სერიოზული სახე მიეღო.

- უნდა დაიფიცო, რაც კი რამ წმინდაა შენთვის, რომ თვალისჩინივით გაუფრთხილდები ამ საიდუმლოს. ეს რეცეპტი ჩვენი ოჯახიდან არ უნდა გავიდეს. უცხომ არავინ უნდა მოიხმაროს. არასოდეს მოამზადო დაუფიქრებლად, გასართობად. განსაკუთრებულ იშვიათობად უნდა დარჩეს. აქ რომ გამეყიდა ეს შოკოლადი, ამდენი წლის განმავლობაში დიდი მოგებას ვნახავდი, მაგრამ უარი ვთქვი ამაზე.

- კი მაგრამ, რატომ მე? მე რატომ მაძლევ ამ რეცეპტს?

- როცა დაიბადე, დედაშენის ხსოვნა დავიფიცე, რომ შენ გიანდერძებდი ამ საიდუმლოს და...

- და?

- იმიტომ რომ შენ უბედურებას გადაურჩი და ასე მგონია... - წინადადება არ დაასრულა. სტასიამ კარგად ვერ გაიგო, მაგრამ კითხვის დასმა ვერ გაბედა. ის ახლა სულ სხვა ფიქრებით იყო გართული, და არა შოკოლადით გამონვეული უბედურებით, მამამისს რომ ეჩვენებოდა.

- მაგრამ ზოგჯერ...

- ზოგჯერ კი. ოღონდ ყურადღება მიაქციე, რომ ძალიან იშვიათად და მართლა განსაკუთრებულ შემთხვევაში.

იმ ღამით სტასიამ პირობა დადო და დაიფიცა, რომ რეცეპტს დაიბეპირებდა და ჩანაწერს გაანადგურებდა. როცა თავის ლოგინს დაუბრუნდა ისევ და მთელი გრძნობით სცადა იმ გემოს გახსენება, დაასკვნა, რომ ამ საიდუმლოთი ჭრილობების განკურნება, კატასტროფების თავიდან აცილება და ბედნიერების მინიჭება შეიძლებოდა.

მაგრამ ის ძალიან ცდებოდა.

ჯვრისწერის დღეს მერი, სტასიას მეორე და, ავადმყოფ დეიდას სტუმრობდა სოფელში, დედინაცვალმა შაკიკი მოიმიზეზა და მხოლოდ მორიდებულმა ლიდამ და ათი წლის ქრისტიანმა გულმოდგინებითა და დიდი თაიგულებით მიაცილეს სტასია საკურთხეველთან. მამა სერაფიმემ, ლიდას მოძღვარმა და ოჯახის ახლობელმა, წმინდა გიორგის პატარა ეკლესიაში აღასრულა ჯვრისწერა.

სიმონმა დაამშვიდა სიმამრი, რომ მოგვიანებით აუცილებლად გადაიხდიდა საკადრის ქორწილს, პირობა დადო, რომ ჭირშიც და ლხინშიც ცოლის გვერდით იქნებოდა და ზრუნვას არ მოაკლებდა. კლდეში გამოკვეთილი ქალაქის მახლობლად, ერთ სასტუმროში გაატარეს ქორწილის ღამე. მეორე დილას სტასიას უნაზესი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. გათხოვილი ქალის ღიმილი ჯერ არ გასჩენოდა, ცხენზე მოჭირითე ლაღი გოგოს ღიმილი კი უკვე გაჰქრობოდა.

ქორწილიდან ზუსტად ორ კვირაში სიმონმა ქალაქი დატოვა, ჯერ ეტლით მივიდა რკინიგზის სადგურამდე და შემდეგ მატარებლით განაგრძო გზა ჩრდილოეთის მიმართულებით, სტასია კი გათხოვილ ქალად დაბრუნდა შინ.

ეს ყველაფერი არეული 1918 წლის დასაწყისში მოხდა, ზუსტად იმ წელს, როცა ქართველი ვაცი, რომელსაც მაშინ უბრალოდ იოსებს, კობას ან მოფერებით სოსოს ეძახდნენ, ტროცკის მიერ შექმნილ წითელ არმიას ჩაუდგა სათავეში.

ზუსტად იმ წელს, როცა ბოლშევიკებმა დეკრეტი გამოსცეს სახელწოდებით – სოციალისტური სამშობლო გასაჭირშია, რომლის მე-8 პარაგრაფში ეწერა: „მტრის აგენტების, სპეკულანტების, მძარცველების, კონტრრევოლუციონერი აგიტატორების, გერმანელი ჯაშუშების დახვრეტა საჭიროა დანაშაულის ადგილზე“. ეს მოხდა ერთი წლით ადრე ჩეკას დაბადებამდე, რომელიც მერე НКВД-დ მონათლეს, ბოლოს კი КГБ უწოდეს.

* * *

რუსეთის მასებს რამე ძალიან მარტივი და მათი ტვინისთვის გასაგები უნდა დაანახო, კომუნიზმი კი – მარტივია.

ლენინი

ნეტავ რით არის ჩემი ამორძალი ახლა გართული – როდის მეღირსება ისევ მოვხვით მკლავები, არ მოგენატრე ჩემო მტრედო? საცხოვრებელი მოვძებნე ჩვენთვის ნევასთან ახლოს, ძალიან მოგეწონება – აქ კარგი ბალეტმაისტერის პოვნაც შეიძლება – იტყობინებოდა სიმონი ტელეგრამებით პეტროგრადიდან: ასეთი წვრილმანები ქალაქის ფოსტის მოხელეების უკმაყოფილებას იწვევდა და სტასიას ყველა აღშფოთებით აყოლებდა თვალს – მსგავსი რამ უბრალოდ მიუღებელი იყო.

მერე და მერე სტრიქონებმა სახე იცვალა და მათში წუხილი იკითხებოდა: „ჩემო მტრედო აქ არეულობაა არავინ იცის რა გველის თავს გაუფრთხილდი“ ან „ამ ქვეყანაში საშინელებები ხდება ჩემო მტრედო მაგრამ იძულებული ვარ...“ (დასასრული აკლდა).

მხოლოდ დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ მოახერხა სტასიამ თავისი მეუღლის საქმიანობის გარკვევა: PKKA-ში მსახურობდა და მისი სახელი პურით მომარაგებას უკავშირდებოდა.

1918 წლიდან რუსეთში დიდი შიმშილობა დაიწყო. PKKA-ს პურის კონფისკაცია ევალებოდა, რომლის წარმოებასაც გლეხები ვერ ასწრებდნენ და ქურდობისა და ყაჩაღობის საშიშროება დღითი დღე მატულობდა.

სწორედ იმ წელს, მაისში, საქართველო პირველად გამოცხადდა რესპუბლიკად. შოკოლადის ფაბრიკანტმა შვებით ამოისუნთქა და მაისის თვეში თბილისში პირველ ეკონომიკის მინისტრს შეხვდა თავისი წარმოების გაფართოებაზე სასაუბროდ. დიდი საკონდიტრო დედაქალაქში – ამ გეგმას თითქოს აღარაფერი ედგა წინ. ამის აღსანიშნავად შოკოლადის ფაბრიკანტმა საგანგებო ვახშამი გამართა თავისთან და პროვინციული ქალაქის ელიტა მიიწვია, რომ მომავალი ეგვიპტე, რომელიც ასე ბედნიერად ესახებოდა.

მოლაპარაკების მიხედვით სტასია უკვე თებერვალში უნდა ჩასულიყო ქმართან. თვეები გავიდა ლოდინში და როგორც კი ზაფხული დადგა, სტასიამ ველარ მოითმინა და მამას შეატყობინა, რომ ქმართან უნდოდა გამგზავრება და მის გვერდით ყოფნა, რაც უნდა მომხდარიყო; ცუკვის გაკვეთილები მოიცდისო. მამა არ ელოდა თავნება ქალიშვილისგან ასეთ მსხვერპლს, სცადა ენუგეშებინა. სხვა გარემოებებში ისურვებდა, რომ შვილი ქმრის გვერდით ყოფილიყო, როგორც გათხოვილ ქალს შეეფერებოდა. მაგრამ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩემი დიდი ბაბუა მისი გეგმების წინააღმდეგი იყო. გამგზავრებისთვის გაუთავებელმა ბრძოლამ, რომელიც ამ საუბარს მოჰყვა, ისე გამოფიტა სტასია, რომ საათობით იჯდა ბაღში დედამისის ძველ საქანელაზე და ერთ წერტილს მისჩერებოდა – იმის იმედით, რომ მისი ტანჯვის შემხედვარე მამას გული მოუღებებოდა.

– ყოველთვის ვაცების ჭკუაზე უნდა იარო. ეს რა ცხოვრებაა? არ ჯობდა, ძალღად დავბადებულებიყავი, უფრო თავისუფალი მაინც ვიქნებოდი, – შესჩივლა სტასიამ ლიდას, რომელმაც მხოლოდ თავი გააქნია შეძრწუნებულმა და უმცროს დას მკრეხელობა დასწამა.

როცა ივლისში არც ერთი ტელეგრამა აღარ მოვიდა, სტასიას ლიბერალური იდეალები საბოლოოდ შეეწირა ქმარზე დარდს. წავიდა წმინდა გიორგის ეკლესიაში, მოძებნა მამა სერაფიმე და დახმარება სთხოვა. მერე თურმე ორი საათი იდგა მუხლებზე იმ პატარა ეკლესიაში და ხმამაღლა ლოცულობდა: „ღმერთო, გვედრები, თუ ასე ინებებ, აღარც კი ვიცეკვებ, ან მხოლოდ მერე, როდესმე, ოღონდ სიმონი დამიბრუნე, ან ჯიუტ მამაჩემს შთააგონე, რომ შემიცოდოს და ქმართან გამოშვას. მგონი, მართლა მიყვარს, მართლა, და ეს ისეთი უსამართლობაა, ღმერთო, იმისთვის ხომ არ გამაჩენდი ასეთი აზრებითა და სურვილებით, მართო მორჩილება რომ გდომებოდა ჩემგან, გთხოვ, ჩემი თავისუფალი ნებაც ისევე აღასრულე, როგორც შენი. ვიცი, „მამაო ჩვენო“ უნდა მეთქვა ათ-ათჯერ და ყოველი აღდგომის მერე, ორშაბათობით წითელი კვერცხები მიმეტანა გარდაცვლილთათვის და ღვინო მომესხურებინა საფლავებზე. ქრისტიანულ მოვალეობებს დაუდევრად ვეპყრობოდი, მაგრამ სიამოვნებით ავანაზღაურებ

ყველაფერს, ოღონდ მომიტევე, გევედრები. მე ვფიქრობ, თუ ყველაფერი შენი შექმნილია, მაშინ ალბათ, ცეკვაც, არა?”

და ამ დროს ძლიერმა ქარმა შემოადლო ეკლესიის კარი. სტასია შეშინებული წამოხტა (ყოველ შემთხვევაში, მე ასე წარმოვიდგინე, რადგან ჩემი წარმოდგენით, ღმერთს მაშინვე უნდა შეესმინა სტასიას ვედრება).

კარში შავანაფორიანი სერაფიმე იდგა ფურცლით ხელში. სტასიას მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა, ხალიჩებით მოვაჭრე მზად არის თავისი ეტლით რკინიგზის სადგურამდე მივიყვანოსო. გზატკეცილით ვერ ვატარებ, მაგრამ თუ ამ არეულ დროში მატარებლით ხანგრძლივ მგზავრობას გაბედავს, ამის შესაძლებლობას მივცემო. და რაკი სიყვარული ღვთით ბოძებულია, უფლის მიერ ხელდასმული შეყვარებულების გაერთიანება კი ყველაზე საოცარი მოვალეობაა ამქვეყნად, მე ლოცვით შეგუნვეითო, აღუთქვა სერაფიმემ. სტასია კისერზე ჩამოეკიდა, სულ დაავინყდა, მღვდელი რომ იყო და გაპარვის გეგმა ჩურჩულით დააბუსტა მასთან.

გამგზავრებამდე სამი დღით ადრე სტასიას უკვე ყველაფერი გამზადებული და თავისი ნივთები ჩალაგებული ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე კუპიურა ამოაცალა მამას შარვლის ჯიბიდან და რამდენიმე სამკაული აიღო, რაც თავის მზითვად შეეძლო მიეჩნია და კაბაში ჩაიკერა.

გარიჟრაჟე გაიპარა სახლიდან ხალიჩებით მოვაჭრის ეტლით. დებსა და მამას წერილი დაუტოვა, რომელშიც იმედს გამოთქვამდა, რომ გაუგებდნენ.

იმ ხანგრძლივი მგზავრობის შესახებ, როცა სტასია სულ უფრო უახლოვდებოდა დაბამთრულ მხარეს, ძალიან ცოტა რამ არის ჩემთვის ცნობილი. მარტო ის ვიცი, მამამ კაცები დაადევნა, რომ დაებრუნებინათ, ხოლო სერაფიმემ მარხვისას მდუმარების აღთქმა მოიმიზეზა და მონასტერს შეაფარა თავი. ისიც ვიცი, რომ სტასიამ ჩააღწია სამი კვირის შემდეგ.

ერთ დროს ასეთი ძლიერი რუსეთის იმპერია ამასობაში სულ უფრო ეფლობოდა ქაოსში: კერძო საკუთრების, ბანკების, უძრავი ქონების ჩამორთმევას და სახელმწიფოსთვის გადაცემას, თავისუფალი ბაზრის წგრევას კატასტროფული შედეგები მოჰყვა. ასევე სასამართლოს ჩანაცვლებას ეგრეთ წოდებული სახალხო ტრიბუნალით.

მთელი ქვეყანა არეულობამ მოიცვა, იმიტომ რომ ამ რადიკალური რეფორმების გასატარებლად პროფესიონალები არ ჰყოფნიდათ.

ივლისში მიღებულმა საბჭოთა კონსტიტუციამ ქვეყნის ბევრ სოციალურ ფენას ჩამოართვა უფლებები. რევოლუციიდან სულ რაღაც რვა თვის შემდეგ მმართველობის ისეთი ფორმა დამკვიდრდა, რომ უეჭველად სამოქალაქო ომამდე უნდა მისულიყო საქმე: ძალაუფლების

კონცენტრაცია მმართველთა მცირე ჯგუფის ხელში, ინფორმაციისა და მრეწველობის მონოპოლიისკენ სწრაფვა და მოსახლეობის გარკვეული წრეების ჩაგვრა.

როცა სტასიამ პეტროგრადში ჩააღწია, ნიკოლოზ მეორე და მისი ცისფერსისხლიანი ოჯახის წევრები ცოცხლები აღარ იყვნენ. ეკატერინბურგის რომელიღაც სარდაფში გასროლილი ტყვიებით ანონიმურად დაესვა წერტილი ამ ისტორიას.

მაგრამ მაშინ სტასიამ ჯერ არაფერი იცოდა ამის შესახებ. არც ის იცოდა, სად ჯანდაბაში იყო სიმონ ჯაში. იმიტომ რომ მის ოფიციალურ მისამართზე, რომელიც უნდა გამხდარიყო მათი ერთობლივი „მშვენიერი საცხოვრებელი ნევასთან ახლოს“, მხოლოდ მთვრალ წითელარმიელებს წააწყდა, იქ შტაბი იყო და არა ბინა, და ამხანაგ ჯაშს იქ არაფერი ესაქმებოდა. სტასიამ პეტროგრადის ცივი ქუჩები შემოიარა კითხვა-კითხვით, უაქცენტო რუსულით, როგორც იმ დროს აბრეშუმის გზისპირა სამყაროს ყველა ქალბატონს ეკადრებოდა.

ბოლოს იძულებული შეიქნა, ტელეგრამა გაეგზავნა სახლში და მამისთვის შველა ეთხოვა, თუმცა ერთი სიკვდილი გაათავა.

სულ რაღაც ერთ საათში მიიღო პასუხი მამამისისგან: დარდით კინადამ მოკვკვდით – ეს როგორ გააკეთე მაგრამ მადლობა ღმერთს ცოცხალი ხარ – წადი თეკლასთან ჩემი ქუთაისელი ბიძაშვილის დავითის დეიდაშვილია – ფონტანკას ნაპირზე ცხოვრობს – უთხარი რომ ჩემი შვილი ხარ – სახლის ნომერი არ ვიცი – დიდი სახლი აქვს და ქალაქში იცნობენ – გაიკითხე – როგორც კი სამშვიდობოს იქნები შეგვეხმიანე.

სტასიას არასდროს სმენოდა ქალაქში-ყველასთვის-ცნობილი თეკლას შესახებ, რაც დიდად არაფერს ნიშნავდა, რადგან თითქმის ნახევარ ნათესაობას არ იცნობდა და მათ დაბადების დღეებზე, ქორწილებში და პანაშვიდებზე აღმოაჩენდა ხოლმე, სადაც მამის ხათრით დადიოდა.

სამ საათს დაეხეტებოდა დაბნეული და შეშინებული საგიჟეთად ქცეულ ქალაქში, სანამ ერთ მთვრალ ვაზაკს არ გადააწყდა, რომელიც მზად იყო, ურმით მიეყვანა ფონტანკამდე სტასია თავისი მცირედი ბარგიტურთ. სტასიას დარდისა და შიშისგან ქალაქის ღირსშესანიშნაობების აღქმის თავიც არ ჰქონდა და პირდაღებული შესცქეროდა ქუჩებს, ურმით რომ მიგრინინებდნენ.

ხიდებს ჯარისკაცები პატრულირებდნენ. გლეხები ურმებით მიეზიდებოდნენ ავეჯს; მაღაზიებთან რიგებს ბოლო არ უჩანდა, ხალხი შეწუხებული დაქროდა აქეთ-იქით. მდინარეც კი, თითქოს ამ უცნაურ ატმოსფეროს აყოლილი, ბნელი იყო, გაავებული, ხმაურიანი.

ისააკის დიდებული კათედრალის წინ უამრავი ხალხი შეკრებილიყო; იდგნენ ტრანსპარანტებით, ყაყანებდნენ და წამდაუნუმ მონოდებებს გაჰყვიროდნენ.

ფონტანკაზე - სალათისფერ და ლიმონისფერ სახლებიან და ეზოებიან სანაპიროზე - ხალხი ვოცონებს შესეოდა, სადაც საჭმელი იხარშებოდა. მეფის ქალაქის დახვეწილი დეკორაცია აბსურდულ კონტრასტს ქმნიდა ამ ქმედებასთან.

კაზაკს სამჯერ მოუხდა გაჩერება, ყველას ეკითხებოდა, ვინმე თეკლა სად ვნახო, და ის იყო, დამუნჯებულ სტასიას განუცხადა, სად მცალია ვიდაც მინათმფლობელის საძებნელადო, რომ ცეცხლთან მოფუსფუსე ერთ-ერთმა გოგომ გამოსძახა, ის ლამაზი ყვითელი სახლი მარცხნივ, მგონი, მისიაო. ის გოგო რომ არა, არც კი იცოდა სტასიამ, რა უნდა ექნა.

ფული გადაუხადა კაზაკს, ბარგი ჩამოტვირთა და კლასიციისტური ვილის უზარმაზარ ფოლადის კარზე დააკაკუნა, კი არ დააკაკუნა, დააბრაახუნა კარის უროთი, იმიტომ რომ ხალხის კოლონა მოემართებოდა პირდაპირ მისკენ ღრიანცელით და დროზე თუ არ უშველიდა თავს, ალბათ წალეკავდა. კარი რუსულთავსაფრიანმა დამფრთხალმა გოგომ გაუღო და უსიტყვოდ შეათრია სტასია სახლში. მერე ათასწიური საკეტით ჩარაბა კარი და ავეჯიც მიადგა.

სტასიამ ფრთხილად მიმოიხედა: ყველაზე ლამაზ სახლში იმყოფებოდა, სადაც კი ოდესმე ფეხი შეუდგამს. მშვენიერი დიდი შესასვლელიდან მარმარილოს ფართო კიბე მიუყვებოდა ზევით. იატაკზე საუცხოო შავ-თეთრი ფილები იყო დაგებული. გოგომ ნათელ, უზარმაზარ მისაღებ ოთახში დასვა, სადაც ერთი უსასრულოდ გრძელი მუხის მაგიდისა და ორი სკამის გარდა სხვა ავეჯი არ იდგა, როგორც გაოცებულმა შეამჩნია. იქ უნდა მოეცადა და ფეხი არ მოეცვალა.

ცოტა ხანში ნაბიჯების ხმა გაიგონა, ზემოთ, კიბის თავში, ქალი გამოჩნდა, ალბათ, ორმოცდაათ წელს მიტანებული, შეიძლება ცოტა მეტის ან ნაკლების, ბიოლოგიური ასაკი კოსმეტიკის სქელი ფენით იყო დაფარული. მკრთალი ვარდისფერი პენუარი ემოსა, ბუმბულებით მორთული საყელო რომ ამშვენებდა, როგორიც აღვირახსნილ კაბარეს მოცეკვავეს, ასე ხშირად რომ აფრთხილებდა მამა, მაგათ ერიდო. ეს არსება ეცა სტასიას და მკლავებში მოიმწყვდია.

- ღმერთო ჩემო, რამხელა გოგო ხარ, ბოლოს ჩემი ძვირფასი ბიძაშვილი ქუთაისში ვნახე, საახალწლო მეჯლისზე, თვალებს ვერ ვუჭერებ, რა გოგო ხარ, მამაშენის გამოხედვა გაქვს, ძალიან სერიოზული!

გლეხის გოგოს, სახლში შემორჩენილ ერთადერთ მოსამსახურეს, უბრძანა, მაგარი ჩაი დაეყენებინა და კარადაში შენახული მარაგიდან ცოტა ორცხობილა მოეტანა.

- ის ორცხობილა ხომ უკიდურესი შემთხვევისთვის არის, - ჩაიბურტყუნა გოგომ, ქალბატონის მკაცრმა მხერამ კი ხმა ჩაანწყვტინა.

- აბა, ეს რა არის, შენი აზრით? ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი სამშობლოდან ჩამოვიდა ასეთ დროს... გაინძერი! - მიაძახა ბოლოს.

თევკლას დიდი დრო არ დასჭირვებია, ცხელი ჩაითა და გამომშრალი ნამცხვრით გამასპინძლებისას, რაც სტასიას მსოფლიოს მერვე საოცრებად მოეჩვენა, მთელი თავისი ცხოვრება ეამბნა. სტასიამ კი დაასკვნა, რატომ არაფერი სმენოდა ადრე მთელ ქალაქში ცნობილი თევკლას შესახებ.

თევკლა, წარმოშობით აზნაური, ძალიან ადრე მიხვდა, რა უნდოდა ცხოვრებაში და როგორც უნდა მოეპოვებინა ეს. რაკი მის მშობლიურ ქალაქში, ჭორიკანა ქუთაისში, ფრთებს ვერ შლიდა, ძალიან ახალგაზრდა მისთხოვდა მდიდარ თბილისელ ვაჭარს, რომელიც ვენახებს ფლობდა და ქართული ღვინო რუსეთში გაჰქონდა გასაყიდად. მთხოვნელის პოვნა მაინცდამაინც არ უნდა გასძნელებოდა, რადგან, კარგად თუ დააკვირდებოდი – ნელსაცხებლის შრეებს თვალს თუ შეაჩვევდი – ძალიან დახვეწილი, ნატიფი ნაკვთები ჰქონდა, ნაზი სახე, ალერსიანი გმანებასავით, ამასთან ჩაპუტკუნებული, მადის აღმძვრელი სხეული, უზარმაზარი, მაღალი მკერდი კი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. მაგრამ უსიყვარულოდ გათხოვილა, მის ქმარს თავისი ვაზი უფრო ჰყვარებია, – გამოუტყდა თევკლა სტასიას, – ამიტომ პეტროგრადში, მაშინდელ პეტერბურგში ერთ-ერთი საქმიანი ვიზიტის დროს ალექსანდრე შეჰყვარებია: უსაზღვროდ, ძლიერ, უზომოდ. ალექსანდრე ოლენინი, მდიდარი პეტერბურგული დინასტიის შთამომავალი, რომელმაც მეცენატები, ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერები და პეტერბურგის ბიბლიოთეკის დამაარსებელი შვა, განათლებული იყო, ელეგანტური, თავისუფლად მოაზროვნე, „ამასთან ერთად, უღმერთოდ ლამაზი“ და მეფის არმიამი მსახურობდა.

თბილისში დაბრუნებისთანავე ამცნო თევკლამ ქმარს, რომ უარს იტყოდა ყველა პრივილეგიაზე და საქორწინო ბეჭდის გარეშე წავიდოდა სახლიდან, თუ ის გაუშვებდა, იმიტომ რომ უსაზღვროდ, ძლიერ, უზომოდ შეუყვარდა სხვა კაცი. ამას, რაღა თქმა უნდა, სკანდალი მოჰყვა. მისმა ქმარმა იმდენი ქნა, სახელი გაიტეხა, წლების განმავლობაში არ თანხმდებოდა განქორწინებაზე. რაკი შვილები არ ჰყავდათ, თევკლა ადგა და უბეჭდოდ გაემგზავრა პეტერბურგში, თუმცა ოფიციალურად ჯერ გაყრილი არ იყო ქმართან, და მეფის ქალაქში ანა კარენინობანას თამაში დაიწყო.

ოლენინი ღირსეული კაცი აღმოჩნდა, რადგან, გრაფ ვრონსკისგან განსხვავებით, შეყვარებული არ მიატოვა და პეტერბურგის საზოგადოებაში შეიყვანა, როგორც კანონიერი ცოლი. ამ საზოგადოებამ თავიდან არ მიიღო თევკლა, მაგრამ მან მალე იპოვა გზებიც, მეგობრებიც და საბოლოოდ ნამდვილი დაჯგუფებაც კი შექმნა, ალბათ, თავისი არაჩვეულებრივი ხასიათისა და ტემპერამენტის წყალობით. მისმა „უღმერთოდ ლამაზმა“ ალექსანდრემ ის უმშვენიერესი სახლი უყიდა და თავის დაუოკებელ თევკლასთან ერთად სიცოცხლით ტკბობას მიეცა.

შესაძლებლობა ჰქონდათ და თავს არ იზღუდავდნენ, ეპატიუებოდნენ ხელოვანებსა და „სხვადასხვა რჯულის შეშლილებს“, რომლებიც „აკრძალულად საინტერესონი“ იყვნენ, და ამით ოლენინების მეცენატურ ტრადიციასაც აგრძელებდნენ და ქველმოქმედებასაც მისდევდნენ. მთელი ევროპა მოიარეს და იხილეს ის ამაღელვებელი მშვენება, რასაც სამყარო სთავაზობს „თავდავინყებით შეყვარებულებს“.

- სულ რაღაც ორ წელს გაგრძელდა ჩემი და ალექსანდრეს ცოლქმრობა, - აღიარა სევდიანად თეკლამ. ქართველი ქმარი მხოლოდ კარგა ხნის მერე დასთანხმდა გაყრას, მაშინდა დაქორწინდნენ, ბოლოს და ბოლოს, თეკლა და მისი ალექსანდრე და თავიანთ სიყვარულს ბეჭედი დაუსვეს.

- პატარა ბავშვებივით ბედნიერები ვიყავით. ცხოვრებით ვტკბებოდით. ვიცი, ჩემი ცხოვრება სავსე იყო ბედნიერებით.

სამშობლოში ვი მას მერე აღარასდროს ჩასულა.

იმ ავად სახსენებელ 1904 წელს ალექსანდრე გმირულად დაიღუპა იაპონიასთან ომში. მისმა სიკვდილმა სამუდამოდ გატეხა თეკლა. წლები დასჭირდა ამის გადასატანად, მაგრამ მერე, მისი სახელის პატივსაცემად მცირე მემკვიდრეობა გამოიყენა როგორც შეძლო. სალონი, ლიტერატურულ-მუსიკალური წრე კვლავ აღადგინა თავის სახლში, კურორტებზე დადიოდა, ახალი მეგობრები შეიძინა და რაც მთავარია, კარგად დააბანდა ფული...

- თუმცა ალექსანდრეს და მე მაინც ძვირად დაგვიჯდა ჩვენი ბედნიერება: ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ ღმერთმა შვილი არ გვაღირსა.

ასე დაასრულა თავისი ცხოვრების აღწერა თეკლამ და ჩაის წრუპვას შეუდგა ძვირფასი ფაიფურის ფინჯნიდან, მოახლემ რომ გააჩინა საიდანდაც.

მერე დაქანცულმა და აძაგდაგებულმა სტასიამ მოკლედ უამბო პეტროგრაღში თავისი მოგზაურობის, თავისი ახლად გამომცხვარი მეუღლის, მისი აუხსნელი გაუჩინარების შესახებ და თავისი სასონარკვეთილი მდგომარეობა აღუწერა.

- თუ შეიძლება დავრჩები აქ რამდენიმე დღით, სანამ სიმონს ვიპოვი. არ შეგანუხებთ არანაირად. და სიამოვნებით დაგეხმარებით სახლის საქმეებშიც, - გაუბედავად წამოიწყო სტასიამ და მაშინვე გაჩუმდა, რადგან თეკლამ ხმამაღლა გადაიხარხარა.

- რა სახლის საქმეები, საყვარელო? რა თქმა უნდა, შეგიძლია დარჩე. ამხელა სახლია. მართალია, იმ ღორებმა ყველაფერი გაზიდეს, რაც ვი იპოვეს, მაგრამ სახლიდან არ გამაგდეს. ორი ლოგინი კიდევ შემომრჩა. თანაც, მგონი, დროებითია ეს ყველაფერი მაინც. ეს უტვინოები დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებენ ძალაუფლებას, ძალიან დიდია წინააღმდეგობა და მერე... მერე ისევ ძველებურად იქნება ყველაფერი. მიხარია, აქ რომ

ხარ, ანასტასია. რაც ეს იდიოტები ბობოქრობენ აქ, ბევრი ჩემი მეგობარი ქვეყნიდან გაიქცა ან თავიანთ სახლებში არიან შეყუჟული, ცოტა არ იყოს, მოვიწყინე მარტომ. ერთად კი ისევ გავერთობით, დიდებულისა! – აღტაცებით წამოიძახა თეკლამ.

* * *

ჭვრეტა იმ დროთა – უიმედო ჭვრეტაა ჩიხის,
ფუჭსიტყვაობა – რაიც დამრჩა – აზრს და გულს მიღრღნის,
და შეფურთხებით არ ვაღვიძებ დინობავრს მავნეს.
ბროდსკი

სახლი მართლაც რომ წარმოუდგენლად დიდი იყო. მაგრამ ავეჯის სიმცირის გამო უცნაურ, უფუნქციო სასახლეს ჰგავდა. წარსულის დამახინჯებულ მოგონებას.

ძველი შპალერი, აქა-იქ მაღალ ფანჯრებზე შემორჩენილი ძვირფასი ფარდები და ავეჯის შემონახული ნაწილი ადრინდელ ფუფუნებაზე ქმნიდა წარმოდგენას. თეკლა დიდ, საიდუმლო საკუჭნაოსაც ფლობდა, რომელსაც ბოლშევიკებმა ვერ მიაგნეს, არადა შესანიშნავი რამეებით იყო სავსე: ვენეციური პეპერონის მწნილი, არტიშოკები საბერძნეთიდან, შოკოლადი მოსკოვიდან, მარმელადი ყირიმიდან, ესპანური ლორი, ინგლისური ორცხობილები და ძვირფასი ღვინის, კონიაკისა და შამპანურის უამრავი ბოთლი.

მაშას, გლეხის გოგოს, რომელიც ალბათ უფრო უიმედობის გამო დარჩა ქალბატონთან, ვიდრე მისდამი კეთილგანწყობით, ყოველდღე გამოჰქონდა დელიკატესების პატარა ულუფა და პურის ყოველდღიურ რაციონთან და ორ-სამ კვერცხთან ერთად, ქალაქში ხეტიალისას რომ მოულობდა. ის ერთადერთი იყო, ვინც სახლიდან გადიოდა.

თეკლა უმეტეს დროს თავის ნახევრად ცარიელ საძინებელ ოთახში ატარებდა, მეორე სართულზე, ხშირად ისმოდა მისი სიმღერა ან მისი გრამოფონის ფირფიტების ხმა, ყოველთვის ფრანგული შანსონები ან რუსული რომანსები. ხან საბანში გახვეული იჯდა ხოლმე უზარმაზარ მისაღებ ოთახში და კითხულობდა რომელიმე სასიყვარულო რომანს, სახლში დიდი რაოდენობით რომ მოიპოვებოდა და რომლებითაც ბოლშევიკები, როგორც ჩანს, დიდად არ დაინტერესებულან.

ჩაი სახლში საკმარისად იყო, განსაკუთრებულ დღეებში კი – და ამას თეკლა წყვეტდა, რომელი დღე იყო ასეთი – ყავაც მოიძებნებოდა.

სტასიამ შეამჩნია, რომ თეკლა ყოველთვის რომელიმე ყელსაბამს ან ბეჭედს აჩეჩებდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა ხოლმე გლეხის გოგოს, როცა ის ქალაქში გასვლას აპირებდა.

ამის მერე მაშას უფრო მეტი პროდუქტი მოჰქონდა შინ, ვიდრე მართო კვერცხი და პური.

სტასია თეკლას ყოფილ საგარდერობო ოთახში დააბინავეს, რომელიც მისი მშობლიური სახლის სასადილო ოთახის ზომის იყო. თეკლამ მისცა კაბები, სურნელოვანი საპნები და ერთი წყვილი არაჩვეულებრივი ტყავის ჩექმაც. სიცივე სულ უფრო მატულობდა და სტასია მადლობელი იყო ასეთი საჩუქრებისთვის.

ისევე როგორც თავად სახლი, სახლის პატრონიც არ იმჩნევდა სამოქალაქო ომს, რომელიც გარეთ მძვინვარებდა. თეკლა ისე იცვამდა და იღებებოდა, თითქოს ყოველ საღამოს საზეიმო ვახშამს მართავდა, თითქოს ის-ის იყო, ძვირფასი კერძების სურნელი უნდა დატრიალებულიყო, დიდი კარი გაღებულიყო, ბრწყინვალე საზოგადოება ნაკადად შემოსულიყო, ორკესტრს დაკვრა დაეწყო, დახვეწილ ქალბატონებსა და ბატონებს კი თავდავინწყებით ჩარლსტონის ცეკვა, ზუსტად ისე, როგორც ადრე.

მისი სახლი უკვე თვეების წინ გაძარცვეს, მაგრამ თეკლამ მოახერხა ბოლშევიკების მოქრთამვა, რომ არ გაეგდოთ მაინც; ამაში ალბათ დიდი ფული გადაიხადა ან სხვა ფასეულობები, რადგან სწორედ ამ დროს ართმევდნენ საკუთრებას და საცხოვრებელი ფართებისთვის დაუნდობლად იბრძოდნენ.

გარე სამყაროსთან რაღაც კავშირს მაშას მემშვეობით ინარჩუნებდა. მაგრამ როგორც კი მაშა გარეთ მიმდინარე მოვლენებზე ანგარიშის ჩაბარებას დააპირებდა, თეკლა თავისი თეთრი, მოვლილი ხელით ანიშნებდა ხოლმე, გაჩუმდიო. თავს იტყუებდა, რომ უბრალოდ მოთმინება მართებდა, უნდა გაეძლო, ზამთარი გადაეტანა, მერე კი ეს იდიოტური პუტჩიც დამთავრდებოდა და ყველაფერი მოგვარდებოდა. თეკლას არ უნდოდა თავის მშვენიერ პეტერბურგთან (და არა პეტროგრადთან!) განშორება. მიუხედავად იმისა, რომ მისი უამრავი მეგობარი უკვე გაიქცა ქვეყნიდან ან უბრალოდ უკვალოდ გაქრა, ის ამ შესაძლებლობის განხილვაზეც კი უარს ამბობდა. იმედს არ კარგავდა და ეს იმედი ჰაერივით სჭირდებოდა.

თეკლას ენატრებოდა თავისი სალონი, ხმაურიანი შეხვედრები, გიტარასა და ფორტეპიანოზე დაკვრა, ბოშური სიმღერები და აღვირახსნილი ღამეები ქალაქის ნარჩევ საზოგადოებასთან ერთად. ამიტომ მვლისთვალეობა ახალგაზრდა ნათესავი მადლიერ გასართობად მოევლინა. საღამოობით ბანქოს თამაშობდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ გარედან შემოსულ ხმაურს, ყვირილს, ნაბიჯების ხმას, მონოდებებს, მუქარას, ჩხუბს და აყალმაყალს, არც გამუდმებულ სროლებს. მძიმე მართლობის გრძელმა ჩუმმა საღამოებმა იმ სახლში თანდათან დააახლოვა ისინი: სიტყვაძუნწი სტასია და ენად გაკრეფილი თეკლა. გრძელნაწნავიანი სადად ჩაცმული გოგო და გამოპრანჭული ბუმბულის ბოაშემოხვეული ქალი. მოლოდინმა გააერთიანა ისინი, უტყვ მოკავშირეებად აქცია გაურკვეველი დასასრულის მქონე ერთ დიდ

სპექტაკლში. იმ დროს, როცა გარეთ ასიათასობით მუშა „კომუნისტების დიქტატურის“ წინააღმდეგ იფიცებოდნენ, ფაბრიკა-ქარხნები იხურებოდა, შიმშილი კრიმინალთა თარეშს იწვევდა ქალაქში, პოგრომები მძვინვარებდა და პურის რაციონმა 100 გრამამდე დაიწია, როცა წარმატებით ამოქმედებული 4K აპატიმრებდა და ხვრეტდა, ეს ორნი ისხდნენ იქ, ჩაის სვამდნენ, თავს იმშვიდებდნენ, რომ საფრთხე სახლში ვერ შეაღწევდა, და პასიანსს შლიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ სტასიამ ველარ მოითმინა და ჩუმ-ჩუმად სახლიდან გაპარვა დაიწყო, თევლას კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად. წითლების თავშეყრის ადგილებში ეძებდა სიმონ ჯაშს, მაგრამ ვერავინ იპოვა, ვინც მას იცნობდა ან რამე ინფორმაცია მაინც ჰქონდა მის შესახებ.

შემოდგომა მოულოდნელად დაატყდა თეთრ ქალაქს, არც ისეთი თბილი და ალერსიანი, როგორსაც სტასია იყო მიჩვეული თავის სამშობლოში. სიმონისგან არაფერი ისმოდა, ლოდინი გაიწელა. ყველაფრის პარალიზება გამოიწვია, სხეული დამძიმდა და სული შიმში შებოჭა. სტასიას სძულდა ეს ლოდინი. საათობით იჯდა თავის ოთახში, ფანჯარასთან, და თვალს არ აშორებდა პატარა ნახვრეტს, თვითონ რომ ამოჭრა ქსოვილზე, რომლითაც ფანჯარა იყო დაფარული, და თვითონაც არ იცოდა, რისი იმედი ჰქონდა. ერთადერთი სისტემატური კონტაქტი, რომელსაც გარე სამყაროსთან ინარჩუნებდა, ტელეგრამები იყო, სახლში გაგზავნილი და სახლიდან გამოგზავნილი.

იყო დღეები, როცა სტასია ლამის ისტერიულ ეიფორიაში ვარდებოდა, ჩარბოდა ფართო კიბით სამხარეულოში, ანთებდა სანთლებს ან ნავთის ლამპებს, რახარუხს ტეხდა, ხმაურობდა, რაღაც ხმებს გამოსცემდა საკუთარი თავის დასარწმუნებლად, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჯერ კიდევ არსებობდა, რომ თვითონაც მოჩვენებად არ იქცა უკვე. მისაღებიდან სასტუმრო ოთახში შერბოდა, სტუმრებისთვის განკუთვნილ სააბაზანოში, მერე ისევ კიბეზე არბოდა, ისევ ჩამორბოდა და ბოლოს, საკუთარი ენერგიით გათამამებული და მისთვის დამახასიათებელი ხალისით ნაქეზებული, ცეკვას იწყებდა. ტრიალებდა, ხტუნავდა, დაქროდა და ცოტა ხნით ივიწყებდა მთელ სამყაროს. სამყაროს იმ სახლში და იმ სახლს გარეთ.

ყინვების მოახლოება ხალხს თითქოს კიდევ უფრო ამწარებდა და სისასტიკისკენ უბიძგებდა. აქა-იქ უკვე ცეცხლი ეკიდა მეზობელ სახლებსა და ადმინისტრაციულ შენობებს. სროლის ხმა ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ფონტანკას ნაპირზე, უზარმაზარ სახლში, იზოლაციის შემადრწუნებელი სიმშვიდე სუფევდა, გაყინული მშვიდობა და დაკონსერვებული წარსული, გარეთ კი, ქუჩებში, დიდებულ ბულვარებსა

და სანაპიროებზე, ანმყო გაბატონებულიყო, საშინელი, სისხლიანი, სახიფათო, დამშეული და მახინჯი.

ოქტომბრის მიწურულს თეკლა უცნაურმა აპათიამ შეიპყრო. თავის საძინებელში ჩაიკეტა და დღეების განმავლობაში არ გამოდიოდა. რა ხერხით არ სცადეს მისი გამოტყუება მაშამ და სტასიამ, მაგრამ ყველაფერზე უარს ამბობდა, გარდა იმ ცოტაოდენი საჭმელისა, მაშა რომ უდგამდა კართან. დიდხანს იფიქრა სტასიამ, როგორ გაეხალისებინა, როგორ დაეყენებინა ისევ ფეხზე და უცებ გაახსენდა: მამამისის შოკოლადი, ყველაფრის გარდამქმნელი, ბედნიერების მომნიჭებელი, რომლის რეცეპტიც ზედმიწევნით ახსოვდა.

მაშას საკუჭნაოს გასაღები სთხოვა, ამ სახლში ყოფნის განმავლობაში პირველად. იმან მხოლოდ მხრები აიჩეჩა თავისებურად, ჩემთვის სულერთიაო, და გასაღები მისცა. სტასიამ ყველაფერი იპოვა იქ. შაქრისა და კარაქის გარდა, მის განკარგულებაში იყო ყველაფერი, რაც შოკოლადის მოსამზადებლად ესაჭიროებოდა და მაშას სთხოვა, შავ ბაზარზე ეშოვა დანარჩენი – სამაგიეროდ, თავის ერთ-ერთ აბრეშუმის თავსაფარს შეჰპირდა, რომლისთვისაც მაშას თვალი დაედგა.

ღამით თეკლა ღვთაებრივმა სურნელმა გამოაღვიძა და სასწრაფოდ ჩავიდა სამზარეულოში, სადაც საერთოდ აღარ შედიოდა ხოლმე.

იქ სტასიას წააწყდა, რომელიც ქურასთან იდგა და რაღაც შავი მასის თქვეფით იყო გართული, და იმავე წუთს დაემონა თეკლა ამ გრძელნაწნავიან პატარა გოგოს. დაემონა ამ სანახაობას და ამ სურნელს, ამ დაპირებას რაღაცისას, რამაც სხვა ყველაფერი დაავიწყა. ეტყობა, სწორედ იმ დროს, როცა სამყარო თავზე ენგრეოდა ორივეს, ამ ჯადომ ლამის გამათგნებელი ზემოქმედება მოახდინა. და როცა ბოლოს შოკოლადი მიირთვა, თეკლასთვის ყველაფერი დამთავრდა.

იქიდან მოყოლებული, ძალღივით იხვეწებოდა და ყვიროდა და წვეტიან ჩეჩმებს თავისი სახლის მარმარილოს იატაკს უბაკუნებდა, ცრემლებს ღვრიდა ბავშვივით და ითხოვდა, რომ სტასიას მისთვის შოკოლადი მოემზადებინა.

ახალი წელი ნაძვის პატარა ტოტით, ერთი ბოთლი შამპანურით, ვექსისა და მარწყვის მარმელადის ნარჩენებით და სამი ნაჭერი ლორით აღნიშნეს მაგიდის დაფებით დაგმანული ფანჯრების მიღმა. ყინვა, რომელსაც შინ დაესადგურებინა, დაძაბულობისა და გაღიზიანების განწყობას ქმნიდა, ამას დაემატა მაშას განცხადება ახალი წლის პირველივე დღეს – ვოლგოგრადში გადაენწყვიტა საცხოვრებლად გადასვლა, თავის საქმროსთან. იქ იბრძვისო, მე კი ყელში ამომივიდა ასეთი „არაადამიანური“ გაჭირვება ამ „უღმერთო“ ქალაქში, როცა ქალბატონისგან დაფასებასაც ვერ ვეღირსეო. თეკლამ და სტასიამ არც კი იცოდნენ, როგორ უნდა აეტანათ უსასრულო რიგები პურის საშოვნელად, და საერთოდ სად მდებარეობდა შავი ბაზარი. ეჭვი არ

ეპარებოდათ, რომ მამას გარეშე შიმშილით დაიხოცებოდნენ, დაიღუპებოდნენ და ნამდვილად გაგიჟდებოდნენ. მაგრამ ამ დროს სტასიამ სიმონის წერილი მიიღო და ცოტა ხნით შვება იგრძნო, თუმცა გაბრაზდა კიდევ:

„ჩემო მტრედო, ვერ წარმოიდგენ, როგორ განვიცდი, ამდენი სადარდებელი რომ გაგიჩინე და როგორ ავლელდი, როცა შენი აქ ყოფნის ამბავი შევითყვე. მართლა ამორძალი მომიყვანია ცოლად, ასე თამამად როგორ გამოიარე ამხელა გზა ჩემთან შესახვედრად! ქედს ვიხრი შენ წინაშე, ჩემო მზის სხივო. ფრთხილად უნდა იყო. მამამენმა მომწერა, რომელიღაც ნათესავთან გაჩერებულხარ. ჩვენ მძიმედ მივინევთ წინ, აჯანყებას უამრავი მომხრე ჰყავს და ბევრიც ეხმარება, მაგრამ ჩვენ მაინც გვჭერა საბოლოო და სამართლიანი გამარჯვების! მინდა პირველივე შესაძლებლობა გამოიყენო და შინ დაბრუნდე. ოდესის გავლით წადი, ეს ჯერ კიდევ ყველაზე უსაფრთხო გზაა. პეტროგრადში შენი დარჩენა არ ივარგებს, მე კი ვეცდები, რაც შეიძლება მალე ჩამოვიდე შენს მოსანახულებლად. მიყვარხარ და ოცნებებში შენთან ვარ. შენი სიმონი“.

სტასიას ყვირილი უნდოდა, როცა ამ წერილს კითხულობდა. ოცნებებში კი არ უნდა ყოფილიყო მასთან, არამედ –

რეალობაში. ის მაინც მოეწერა, ყველაფერს მივაგდე და შენთან გავჩნდებიო, ეს იქნებოდა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. აკანკალებული ხელით მისწერა საპასუხო წერილი, უამბო უკანასკნელი თვეების ჯოჯოხეთის შესახებ და ალბათ ერთი-ორი დღით ჩასვლაც მოსთხოვა. და ხელი მოაწერა: „შენი ცოლი“, რაც მანამდე არასდროს გაუკეთებია.

მაშინვე მოეშვა, შვებით ამოისუნთქა, და როცა თეკლას ოთახიდან ლამაზი, მისთვის უცნობი და გამონაკლისის სახით არა გადამეტებულად დამტკბარი მელოდია მოესმა, – ცეკვა დაიწყო.

მისმა სხეულმა ახალი ცხოვრებისთვის გაიღვიძა, სისხლი გაუთბა, დაავიწყდა გამუდმებული შიმშილი, აუტანელი სიცივე, რომელიც შიმშილზე მეტად ანუხებდა, და დაბზრიალდა, მალლა ხტებოდა, ტრიალებდა, იზნიქებოდა, ხელებს შლიდა, ნაზად და მოქნილად, თან ხმამაღლა იცინოდა.

სამზარეულოდან გამოსულმა თეკლამ ტაში შემოჰკრა. სტასიამ ცეკვა შეწყვიტა და დაბნული ჩაიკეცა კიბესთან. შეიძლება ამ ცხოვრების ბევრი არაფერი გაეგებოდა თეკლას, მაგრამ სილამაზის შეცნობა ნამდვილად შეეძლო.

– დავიწყე ეგ კაცი, პოლიტიკით არის ტვინნაღრძობი. ასე უსირცხვილოდ როგორ მიგატოვა, შეხედე ერთი საკუთარ თავს, რას დაემსგავსე! ლოდინში კარგი არაფერია – ცეკვას უნდა მიხედო, საყვარელო!

და თავისი იისფერი პალტოს ფრიალით თავმომწონედ აფარფატდა კიბეზე.

* * *

მიზანი არ მაინტერესებს, მთავარია მოძრაობა.
ლუქსემბურგი

სამი დღის შემდეგ სტასიას პეტრე ვასილიევი ეწვია. ძველი ყაიდის კაცი, სამეფო ბალეტის ყოფილი სოლისტი. ხელი გაუწოდა და უთხრა:

- მხოლოდ თეკლას შეიძლებოდა აზრად მოსვლოდა ასეთ დროს ცეკვის მასწავლებლის აყვანა, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ცოტას მეც გავერთობი.

სახლის დიდი ცარიელი ოთახები შესანიშნავი სივრცე იყო სარეპეტიციოდ, პეტრე ვასილიევმა ახალი ფირფიტებიც მოიტანა გრამოფონისთვის.

ჭაღარა იყო, მაღალი, ნამდვილი ხელოვანი, დახვეწილი და მედიდური. სტასიას იმავე წამს შეუყვარდა და საათებს ითვლიდა მის მოსვლამდე.

მართალია, სტასიას კლასიკური ბალეტის სკოლა ჰქონდა გავლილი, მაგრამ ვასილიევი სულ სხვანაირი იყო, უმკაცრესი, მომთხოვნი. თავის ხელოვნებაში მხოლოდ საუკეთესოებს იცნობდა და უამრავ განთქმულ სცენაზე გამოსულა. რევოლუცია რომ არა - პეტრე ვასილიევი ალბათ ქალაქის საუკეთესო საბალეტო სკოლას უხელმძღვანელებდაო, - ფიქრობდა სტასია.

იმ კაცის დაუღალავმა დისციპლინამ, მისმა ტალანტმა, მისი ღირსების წყალობით და სტასიას მოწინებამ მისდამი და საათობით მონდომებულმა ვარჯიშმა, არაადამიანური სიცივის მიუხედავად, კვლავ დაუბრუნა მას პარიზის იმედი. ყველაფერი შესაძლებელი მოეჩვენა ისევ. სიმონთან ერთად თუ უიმისოდ.

ასე გაატარა სტასიამ ზამთარი ცეკვაში, გაუძლო ქარბუქებს, ყინვებს, ქარიშხლებს, ცივ დღეებსა და ღამეებს, დემონსტრაციებსა და შეტაკებებს, აჯანყებებს, გაფიცვებს და ისევ და ისევ - შიმშილს. სიმონი კი არ გამოჩენილა.

1919 წლის მარტში პეტროგრადის თითქმის ყველა ცნობილი ფაბრიკა გაიფიცა. მაშა საბოლოოდ წავიდა. მანამდე ყველაფერში გაარკვია სტასია, პურის საყიდლად წაიყვანა ორჯერ, ერთი ციმბირელ გოგოსთან დააკავშირა, რომელიც შავ ბაზარზე იცნობდა ვილაცებს და უკიდურეს შემთხვევაში დაეხმარებოდა; ასწავლა, როგორ უნდოდა მიწოლა, დაყვირება და რა უნდა ექნა ყურადღების მისაპყრობად. იმ დროში ამის ცოდნა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. მერე კი მშრალად, სრულიად უემოციოდ დაემშვიდობა აბღავლებულ თეკლას

და ზურგზე მომცრო ტომარამოკიდებული გავიდა კარში, რომელიც სტასიამ მისი წასვლისთანავე საგულდაგულოდ ჩარაბა.

აპრილში მიღებულ მორიგ წერილში სიმონი იტყობინებოდა, რომ პეტროგრადში ჩამოსვლას ისევ ვერ ახერხებდა. ჯერ კიდევ არ აძლევდნენ შვებულებას, რადგან მოსკოვზე იერიში იყო მოსალოდნელი და იქ აგზავნიდნენ. ზაფხულისთვის ჰპირდებოდა ჩასვლას.

ამასობაში შოკოლადის ფაბრიკანტმა რალაცნაირად მოახერხა და თავისი ქალიშვილს სურსათი გამოუგზავნა. ღმერთმა უწყის, რამდენი ვინმეს მოსყიდვა და დასაჩუქრება დასჭირდა საამისოდ. ამ სურსათმა და გაზაფხულის ამინდმა, ზამთრის სიცივეს რომ მოერია, ბოლოს და ბოლოს, ორივე ქალს ერთი-ორი კვირით შვება მოუტანა და ყოველდღე გადარჩენაზე ფიქრისგან გაათავისუფლა.

ცეკვაც არანაკლები საშველი იყო. დამქანცველი, მონოტონური ვარჯიში და პატარ-პატარა წარმატება. ყოველი გაკვეთილის შემდეგ სტასია ცოტა უფრო ბედნიერად, ლალად, უდარდელად გრძნობდა თავს. რომ არა მარტოხელა, მაგრამ დაუმარცხებელი თეკლა და დაუღალავი პეტრე ვასილიევი, რომელიც კვირაში სამჯერ ბეჭითად დადიოდა ფონტანკაზე მდებარე სახლში, სტასია უკვე დიდი ხნის წინ დაყრიდა ფარხმალს ან პირველივე მატარებელს გაჰყვებოდა სამხრეთისკენ, ან, უბრალოდ, დანვებოდა და აღარ ადგებოდა.

როცა სტასია პურის გრძელ რიგში იდგა ხოლმე, უსმენდა ხალხის გაცხარებულ კამათს ქვეყნის მომავალზე. ფრონტი დონთან, ფრონტი ხარკოვთან, ფრონტი ნოვგოროდთან, ფრონტი მინსკთან, ფრონტი ირკუტსკთან – მარტო ამ სიტყვა „ფრონტისგან“ უკვე ცუდად ხდებოდა. გლეხებს უნდოდათ, თავი დაენებებინათ მათთვის, მეტი არაფერი. კაზაკებს – დამოუკიდებლობა და თავიანთი საკუთრების დაცვა; მონარქისტებს არ უნდოდათ მენშევიკებთან საქმის დაჭერა, რადგან ისინი წითლებთან თანამშრომლობდნენ, მენშევიკები კი სულ უფრო უახლოვდებოდნენ ბოლშევიკებს, რომ თავი დაეღწიათ მონარქისტებისა და ლიბერალების ქაოსისგან, ამ დროს კი უპარტიოები, ანარქისტები და კრიმინალები ამ სიტუაციას სათავისოდ იყენებდნენ: საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და შავ ბაზარზე მდიდრდებოდნენ.

– იქნებ ერთად გავემგზავროთ საქართველოში, თეკლა. რაც უნდა იყოს, იქ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით, საჭმელი მაინც არ მოგვაკლდება, – უთხრა ერთ დილას სტასიამ წყალწყალა ჩაის სმის დროს სამზარეულოში (კარგ, მაგარ ჩაის, მამასგან განსხვავებით, ვერასდროს შოულობდა, ყოველთვის ატყუებდნენ).

– ეჰ, მე ახალი ცხოვრების დასაწყებად ნამდვილად აღარ ვვარგვივარ, საყვარელო, – უპასუხა თეკლამ.

- კარგი ერთი, თეკლა. ასეთი ასაკოვანიც არა ხარ... თან ახალი ცხოვრების დაწყებაზე არც არის ლაპარაკი, უბრალოდ, გამოვიზამთროთ, როგორც შენ ამბობ. სანამ ყველაფერი არ დამთავრდება.

- დამთავრდება კი? - იკითხა თეკლამ გულსაკლავად, სევდიანი ხმით. სტასია მიხვდა, რომ თეკლა არასდროს მიატოვებდა არც ამ ქალაქს და არც ამ სახლს და იმასაც მიხვდა, რომ თვითონაც ვერ შეძლებდა აქ თეკლას მართო დატოვებას.

ასე რომ, მომდევნო თვეებშიც ერთად ცხოვრობდნენ სტასია და თეკლა იმ უზარმაზარი სახლის ბნელ და ნესტიან იზოლაციაში, მხოლოდ კვირაში სამჯერ გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე პეტრე ვასილიევის ცეკვის გაკვეთილების დროს. მაგრამ სტასია დაიქანცა გამუდმებული შიშით და თავის დაცვით ადამიანებისგან, რომლებიც კარზე უბრაახუნებდნენ, თავშესაფარს ეძებდნენ ან, უბრალოდ, გაქურდვას უპირებდნენ. ასეთ მომენტებში სიამოვნებით გააწნავდა სილას თეკლას იმისთვის, რომ თავისი საყვარელი სახლის პატრონობა მას შეატოვა.

ზაფხულში სტასიას პეტროგრადში პატიმრობის ორი წელი შეუსრულდა. რამდენიმე დღის ნაცვლად სრული ორი წელიწადი გავიდა მას მერე, რაც სამშობლო და ოჯახი მიატოვა იმ კაცის საპოვნელად, სულ რამდენიმე დღით რომ ჰყავდა ქმრად. იყო დღეები, როცა არც კი ახსოვდა, რატომ ჩამოვიდა ამ ქალაქში.

ივლისის ერთ ცხელ, კოლოების წუილით გაყრუებულ საღამოს პეტრე ვასილიევი მოულოდნელად მოადგა მათ კარს. სახეგაბრწყინებულს, პერანგის ქვეშ გაბეთში გახვეული ბოთლი დაემალა.

- ძვირფასო ქალბატონებო, მინდა ჭიქა მოგიჭახუნოთ და დაგემშვიდობოთ! - შესძახა და ტრიუმფატორის ნაბიჯით გაემართა სამზარეულოსკენ. იქ ყირიმული ცქრიალა ღვინო სამ სასმისში ჩამოასხა და თეკლას და სტასიას განუცხადა, ზეგ ქვეყანას ვტოვებ და ამიტომ გაკვეთილებს ვეღარ ჩავატარებო.

- ბიძაშვილი მყავს ბადენ-ბადენში, მისი ქმარი წარმატებული ბანკირია, შემომთავაზა დაგეხმარებო, ჩემი ორი და უკვე იქაა. ვეღარ ვუძლებ აქაურობას. გზის ფულიც გამომიგზავნეს და საბუთებიც გამიკეთეს. კიდევ კარგი, რომ ჩემს ებრაელ ნათესავებს ბოლომდე ვერ დავესხლტი.

წლების მერე, როცა სტასიას აუშვიცი ან ბირკენაუ ესმოდა, ხშირად ახსენდებოდა პეტრე ვასილიევი, რომლის მუდერი რუსული სახელი მხოლოდ ფსევდონიმი იყო და იმედს იტოვებდა, რომ ისააკ აიბინდერი, როგორც სინამდვილეში ერქვა პეტრე ვასილიევს, იმ მილიონთა შორის არ აღმოჩნდებოდა.

პეტრე ვასილიევის წასვლის შემდეგ თითქოს აზრი და გემო დაეკარგა ყველაფერს. თეკლა თითქმის აღარ გამოდიოდა თავისი საძინებლიდან, სტასია კი სახლში დაბორიანებდა. თავიდან პეტრე ვასილიევის მკაცრი

მითითებების გარეშე ვარჯიშობდა, როგორც მან ასწავლა, მაგრამ თანდათან უფრო და უფრო უჭირდა, მისი ოცნება ისევ გაფერმკრთალდა, თითქოს სტასიას აუცილებლად მოკავშირეები ესაჭიროებოდა მის შესანარჩუნებლად. შავ ბაზარზე მეზღვაურების მაგარი თამბაქოს ყიდვა დაიწყო, წვრილ სიგარეტებად ახვევდა და ენეოდა (ეს ჩვევა მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეინარჩუნა; მაშინაც კი, როცა შეეძლო, უკეთესი სიგარეტი მოეწია, იაფი მაგარი თამბაქოსთვის აღარასდროს უღალატია).

ერთ დილას, პეტრე ვასილიევის წასვლიდან რამდენიმე კვირაში, უძილოდ გატარებული ღამის შემდეგ, თეკლას ოთახში შევიდა და ადრიანი დილის ბინდში სანოლის კიდეზე ჩამოუკვდა. თეკლა მისკენ ზურგით იწვა და ეძინა ან თავს იმძინარებდა. სტასიამ გააღვიძა.

- ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. სახლს ნებისმიერ შემთხვევაში წაგართმევენ ან შემოიჭრება უბრალოდ ვინმე და ვეღარ მოიშორებ. გუშინაც მომიწია ხორცის დანით დავმუქრებოდი, ორნი ცდილობდნენ სარდაფში შემოძრომას. იარაღი მაინც მქონოდა, უფრო შეეშინებოდათ, ვიდრე ჩემი დანის... მე ვეღარ ვუძლებ საათობით ამ რიგებში დგომას, გამუდმებულ შიშს, რომ ვიღაც შემოგვივარდება და ყელს გამოგვჭრის ორივეს. შენს ბარდახშაში ერთი ვერცხლის ბეჭედი დარჩა. შენი ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულია, მეფე კი მკვდარია. ამდენი ხანი არ მიჭერებდი... არადა მართალი ვიყავი. სულ ამბობდი, ნიკოლოზი აუცილებლად დაბრუნდება, ქვეყანას ამ საცოდავ ლოთებს არ შეატოვებსო, მაგრამ ეს არ მოხდა.. თითქმის ორი წლის წინ დახვრიტეს მეფე. ეკატერინბურგში. მისი შვილები, მისი ცოლი - ყველა მკვდარია. ომია. ყველგან ომია. აღარ იქნება ისე, როგორც ადრე. არასდროს. ვწუხვარ. მაგრამ რაშე უნდა ვიღონოთ, თეკლა. მე სახლში ვბრუნდები.

* * *

როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომს თავისი კანონები აქვს და ისინი ჰუმანურ კანონებად არასდროს მიიჩნეოდა.

ტროცკი

1920 წლის სექტემბრის დასაწყისში სტასიამ გასამგზავრებლად მზადება დაიწყო. ქმარს წერილი გაუგზავნა მოსკოვში, შტაბის მისამართზე, და ცივად აცნობა სამშობლოში დაბრუნების გეგმა, ისე დაემშვიდობა, სიტყვა „სიყვარულით“ აღარ გამოუყენებია. უკანასკნელი სამკაული გაყიდეს, თეკლას კარაკულის ქურქიც. ქრთამები დაარიგეს და კვირების ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, იმოვეს ბილეთები ოქტომბრის ბოლოსთვის ოდესის მატარებელზე, იქიდან გემით აპირებდნენ საქართველოში ჩასვლას. სტასიამ მძიმე ჩემოდანი იშოვა - თეკლას ძვირფასი ხელნაკეთი ჩემოდნები დიდი ხნის გაყიდული იყო,

წვიმისგან სველი და გათოშილი, მაგრამ გახარებული დაბრუნდა ლიმონისფერ სახლში, ფონტანკაზე.

- გამოგვივიდა, ბილეთები გვაქვს, მომავალ ორშაბათს შეგვიძლია გავემგზავროთ! - დაიძახა და უცებ დადუნდა, როცა უჩვეულო, გამყინავი სიჩუმე შეეფეთა. ფრთხილად შევიდა სამზარეულოში. იქიდან მაცდუნებელი სურნელი გამოდიოდა. ვერაფერი აღმოაჩინა, მაგრამ სურნელი იყო ნაცნობი, კარგად ნაცნობი.

ჩემად ავიდა ზევით. ყნოსვამ თევლას ოთახთან მიიყვანა. დააკაკუნა, პასუხი არ მიიღო, სახელურს დაანვა და დაძახული შევიდა ოთახში. თევლა კარისკენ ზურგით იწვა და მძინარეს ჰგავდა. სანოლთან იატაკზე ყავის ფინჯანი იდგა, შოკოლადის ნარჩენებს რომ გაეწება. რამდენი კვირა გავიდა მას შემდეგ, აღარც კი ახსოვდა, როდის მოუშადა ბოლოს ცხელი შოკოლადი თევლას. ფინჯანი იცნო, რომლითაც მაშინ შოკოლადი მიუტანა. ალბათ თევლამ შეინახა და თავიდან გააცხელა. ფინჯანი აიღო და დაყნოსა, ზღაპრული სუნი ჰქონდა, მაგიური, დამათრობელი, მაგრამ ამ ტკბილ სურნელებას კიდევ რაღაც შერეოდა, რაღაცნაირი, მეტალის სუნი.

სტასიამ ფინჯანი ნელა დადგა იატაკზე, მუხლები აუკანკალდა. თევლა გაუნძრევლად იწვა სანოლზე. შოკოლადში რაღაც იყო გარეული, რაღაც გარდაუვალი. ცივმა ოფლმა დაასხა, მამამისის სახე დაუდგა თვალწინ, დაფიქრებული რომ დაჰყურებდა იმ ღამეს, ქორწილის წინ, შოკოლადის ფაბრიკაში, მისი ხმა ჩაესმა, უბედურებაზე რომ ლაპარაკობდა, რაც მაშინ შეწუხებული და აფორიაქებული მამის ბოძვად მიიჩნია. ის სიტყვა ჩაესმა: უბედურება, რომლის მნიშვნელობა მაშინ საერთოდ ვერ გაიგო. ის სიტყვა მამამ ამ გარდაუვალობის დასახასიათებლად აირჩია, რასაც სიკვდილი ჰქვია? ამ ტკივილზე ლაპარაკობდა, ამ შიშზე, რომელსაც ახლა გრძნობდა სტასია, თევლას ზურგს რომ უყურებდა? სტასიამ გამოიწვია ეს უბედურება, როცა ეგონა, რომ თევლას მცირეოდენ სიხარულს მაინც მიანიჭებდა, თუ იცოდა თევლამ, რის ფასად დაუჯდებოდა ეს შავი ბედნიერება, ან თვითონ მოიხმარა შოკოლადი ისეთი საბედისწერო გარდევალობისთვის, როგორც მისი უცნაური აღსასრული იყო?

მეორე მხრიდან მიუახლოვდა სანოლს, რომ თევლასთვის სახეზე შეეხედა. რაღაც საშინელებას ელოდა, მაგრამ თევლა ისე გამოიყურებოდა, თითქოს მშვიდად სძინავსო. მის გვერდით თეთრი ფურცელი იდო: „მე მუდამ შენთან ვიქნები, საყვარელო. ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი ამ დაწყვეტილ დროში. ეს ცხოვრება, ცხოვრება, რომელიც გველის, საჩემო არ არის, იქ აღარ არის ჩემი ადგილი. ვიცოდი, რომ მეფე მკვდარია. თავიდანვე ვიცოდი, მაგრამ მაღლობელი ვარ, რომ ამდენ ხანს მიმალავდი. ძალიან დავიდალე. ნუ გამიბრაზდები. ცოტა ფული დაგიტოვე სამზარეულოში, საშაქრეში დევეს. ჩემს დაკრძალვას უნდა ეყოს და იმედია, შენს სახლში დაბრუნებასაც. თავს გაუფრთხილდი

და იცოდე, რომ თუ მარადიული ძილის მიღმა რამე არსებობს, იქიდან დაგიფარავ. მაპატიე და მიიღე ჩემგან ეს უკანასკნელი საჩუქარი“.

ბარათის ქვეშ საათი იდო. ოქროს ულამაზესი მაჯის საათი. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ აღიქვა სტასიამ, რომ წერილი თევლასა და მის მშობლიურ ენაზე იყო დაწერილი, ჩახვეული ასოებით, ყველა უცხოელს რაღაც საიდუმლო დამწერლობად რომ ეჩვენებოდა, სტასიას თითქმის რომ დავინწყებოდა უკვე; ამ დამწერლობის გამო სკოლაში ხელები გადაიტყავა, რადგან არაფრით არ გამოსდიოდა ლამაზად, კეთილშობილ ქალს რომ შეეფერებოდა, ისე წერა. თევლასთან თითქმის ყოველთვის რუსულად ლაპარაკობდა და ამ უკანასკნელმა წერილმა მტკივნეულად შეახსენა, რომ ველარასდროს დაელაპარაკებოდა ამ დამწერლობის შესატყვის ენაზე.

თვითონაც არ იცოდა, რამდენი საათი გაატარა თევლას უსიცოცხლო სხეულთან ჩახუტებულმა. ბოლოს, როცა შველა ითხოვა, სახლში ხალხი შემოვიცდა. უცხო ხალხი.

სამი დღის მერე თევლა ყოველგვარი პანაშვიდისა და მღვდლის გარეშე დაკრძალეს. პოგრომების შიშით ეკლესიებს კარები ჩაეკეტათ. სტასია დიდხანს იდგა საფლავთან, დიდხანს და თავშეუკავებლად ტიროდა. იქამდე ეს არ შეეძლო. არც მაშინ, როცა თევლას ცხედარს ეწვა გვერდით. ახლა კი, საფლავთან, თევლას გამოსათხოვარი წერილითა და ოქროს საათით ჯიბეში, ცრემლები მაინც წასკდა.

მეორე დღეს, ოდესსაც სტასია ჩემოდნით ხელში კიბეზე ჩადიოდა, ხალხი უკვე შეცვნილიყო, ველურებივით დარბოდნენ მთელ სახლში, ჯიბეებში იტენიდნენ, რაც დასატაცებელი დარჩა და ჩხუბით ინანილებდნენ ოთახებს.

სადგურზე აუხსნეს, რომ ოდესაში გასამგზავრებლად ნებართვა სჭირდებოდა. სტასიას არაფრის თავი აღარ ჰქონდა, აკანკალებულმა ყველა საბუთი წარადგინა, რაც ებადა, სიმონის PKKA-ს მონაწილის ასლიც კი, რომელიც რამდენიმე თვის წინ გამოუგზავნა ქმარმა ყოველი შემთხვევისთვის. თვალეებზე ცრემლმომდგარი იხვეწებოდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ბილეთების გამყიდველს ბოლოს მაინც შეეცოდა – ოდესაში ვერ წახვალ, მაგრამ როგორც წითელი ობერლეიტენანტის ცოლს, თავისუფლად შეგიძლია მასთან ჩასვლაო და მისი ადგილმდებარეობა ჰკითხა.

- მოსკოვში, - უპასუხა სასონარკვეთილმა სტასიამ და უღონოდ დაემუა ჩემოდანზე.

- დილის ექვს საათზე გადის მოსკოვის მატარებელი, ბილეთს გაგიცვლით, მოსკოვში კი თქვენი მეუღლე გამგზავრების უფლებას გაგიხერხებთ. მომეცით თქვენი ბილეთი.

გათიშულმა სტასიამ ორივე ბილეთი გაუნოდა.

- აქ ორია. ვინ მოდის თქვენთან ერთად? - იკითხა უნიფორმიანმა ქალმა.

- ის, ვინც მოდიოდა, ვეღარ წამოვა.

ვაგონში ჩუმად იჯდა და მატარებლის მონოტონურ ხმას აყურადებდა. განუწყვეტლივ თეკლას გაშემებულ სხეულზე და უბრალო პერანგზე ფიქრობდა, რომელიც ბოლოს ეცვა, უბრალო თეთრ ჩითის პერანგზე, თითქოს წარსულის ზმანებაში შესაბიჯებლად ჩაიცვა ის სადა ღამის პერანგი.

მოსკოვში ყველგან პროპაგანდისტული პლაკატები ეკიდა, რომელთა ნაწილზე თეთრფორმიანი თითგაშვერილი ჯარისკაცი იყო გამოსახული, ქვემოთ კი წარწერა: „თქვენ რატომ არ ხართ ჯარში?“ წითლების პლაკატებზე წითელფორმიანი ჯარისკაცი ეხატა, ასევე თითგაშვერილი და ზედ ეწერა: „შენ უკვე ჩაენერე მოხალისედ?“

სტასიას გაუმართლა. მოცემულ მისამართზე სიმონ ჯამს ყველა იცნობდა. ეს ყაზარმა იყო, სადღაც ქალაქის განაპირას. ქანცგანყვეტილი, გაყინული (დახეული ჩექმები გაზეთებით ჰქონდა ამოტენილი) სტასია ამ ყაზარმის დერეფანში იჯდა მას მერე, რაც ძლივს მიაღწია იქამდე დაქირავებული დროგით. ორმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა დიდი კათხით ჩაი მიუტანა და ცოტა არაყი, გიშველითო. ცხვირზე ხელმოჭერილმა დაღია არაყი და მართლაც იგრძნო შვება. სიმონი მუშა-მოსამსახურებთან შეხვედრაზე იმყოფებოდა რომელიღაც ფაბრიკაში და საღამოს უნდა დაბრუნებულიყო. მანამდე კი მის ოთახში შეიყვანეს, რომელსაც კიდევ ორ ჯარისკაცთან იყოფდა და ყველა საბანი დაახურეს, რაც კი იზოვეს.

ღრმად და დიდხანს ეძინა.

კაცმა გააღვიძა. მის ფერხხით იჯდა, თეძოებზე ეხვეოდა, მის მუცელზე დაედო თავი და სლუკუნებდა. სტასია ისეთი დაქანცული და გამოშიგნული იყო, ემოცია ვერ გამოხატა. მხოლოდ თმაზე უსვამდა ხელს. უცნაური იყო მისი ეს მდგომარეობა. ამდენ ხანს ელოდა ამას, ასჯერ და ათასჯერ ჰქონდა ეს სცენა დეტალებში წარმოდგენილი, ყოველდღე ესაუბრებოდა სიმონს თავის წარმოსახვაში, ასეთი უსასრულო, საშინელი, ცივი გზა გამოიარა მშვიერმა, ახლა კი თითქმის ვერაფერს გრძნობდა. აღარც გრძნობები შერჩა და აღარც სიტყვები. თითქოს პეტროგრადში გატარებულმა წლებმა, პეტრე ვასილიევმა და, უპირველეს ყოვლისა, თეკლამ წაიღეს ყველაფერი, რაც ქმრისთვის ემეტებოდა. გადაეხვივნენ ერთმანეთს, ბევრი არ ულაპარაკიათ, სიმონმა ფეხები დაუთბილა, ბორძი მიუტანა და მთელი ერთი პური, რაც სტასიას ორი წლის განმავლობაში ხელში აღარ სჭეროდა. მან ხარბად შეჭამა ყველაფერი და ცოტა ხანში ღრმად ჩაეძინა.

დილით რომ გაიღვიძა, მარტონი იყვნენ ოთახში, სიმონი ჩაცმული იწვა მის გვერდით და ეძინა. სტასია წამოჯდა და დიდხანს აკვირდებოდა.

იმდენი რამ უნდოდა ეთქვა, ეკითხა, აეხსნა, მაგრამ არ იცოდა, როგორ და საიდან დაეწყო. სიმონს უშფოთველად ეძინა, მისი რუხი შალის პალტო, ზედ რომ წითელი ვარსკვლავი მიეკერებიათ, აკურატულად იყო ჩამოკიდებული კედლის კაუჭზე. მისი ძველი და გაცვეთილი, მაგრამ სუფთა ჩექმები იატაკზე ეწყო.

სტასიას მოეჩვენა, რომ ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თუმცა უკვე ოცდაათს გადაცილებული იყო. სქელი ნაბლისფერი თმა, კეთილი ნაბლისფერი თვალები, ხშირი ნაწნამები და წარბები, გრძელი, მაგრამ სწორი ცხვირი, ლამაზი ტუჩები. ულვაში მოეზარდა. უყურებდა სტასია და გრძნობდა, რომ ძალიან გაუჭირდებოდა ამ წლების, ამ განმორების დავინწყება როდისმე, ვეღარ გახდებოდა ის ძველი სტასია, რომელსაც თავში უქროდა და ოცნებები მოსვენებას არ აძლევდა. ახლა ვეღარაფერს გრძნობდა, აღარაფერზე ოცნებობდა, აღარაფრის ძალა ჰქონდა. მისმა მძინარე სახემ ღიმილი კი დასტყუა, მაგრამ იმავე დროს უსასრულო სევდით აავსო.

გარედან ნაბიჯების ხმა მოესმა, ჯარისკაცების გადაძახილი, ეტყობა, მწყობრში დგებოდნენ.

– ადექი, მგონი, წასასვლელი ხარ, – გააღვიძა ქმარი სტასიამ. სიმონი წამოჭდა, გაოცებულმა შეხედა და თავი გააქნია.

– როგორმე გაძლებენ უჩემოდ, – თქვა და ტუჩში აკოცა სტასიას. ამ სიტყვებმა სტასია გააცოფა. სევდა უეცრად სიბრაზემ შეცვალა. მაშინ რატომ არ ჩამოვიდა არც ერთხელ, რატომ? თუ აქ მისი ყოფნა სულ არ იყო აუცილებელი, თუ ადამიანების სიცოცხლე არ იყო მასზე დამოკიდებული, რის და ვის გამო მიატოვა ამდენი ხნით, თანაც ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში? სტასიამ იგრძნო, როგორ მოაწვა თვალებზე ცრემლი, იმედგაცრუებულს, მაგრამ ხმა მაინც არ ამოიღო, არ უსაყვედურა, არ დაუყვირა, წყენა ჩაყლაპა და არ შეენიანა აღმდეგა, როცა ქმარმა ტანსაცმელი გახადა.

თავიდან გაუჭირდა დანებება, ყურს უგდებდა ნაბიჯების ხმას დერეფანში, გადაძახილს და ლაპარაკს ეზოში, თითქოს ვეღარ იხსენებდა, როგორ გამხდარიყო დამყოლი, როგორ მიეღო სიამოვნება, როგორ დაეღწია თავი დაძაბულობისა და შიშისგან. დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ქმართან სიყვარულს მისცემოდა. მაგრამ ეს აღარ ჰგავდა ქორწილის დამის ეიფორიას და აღტაცებულ მღელვარებას სასტუმროში. უბრალოდ იწვა, მოთმინებით და ჩუმად, თვალდახუჭული.

თუმცა ვერც ამან უშველა, მაინც თეკლას გაშეშებული ზურგი ედგა თვალწინ, უბრალო ჩითის პერანგი, ქათქათა ფურცელი, მას რომ ეძღვნებოდა, მაჯის საათი, რომელიც პერანგში ჩაიკერა.

– სახლში მინდა. ქვეყნიდან გასვლის უფლება მჭირდება. ოდესიდან გემით შეიძლება წასვლა, – წარმოთქვა ბოლოს და ბოლოს სტასიამ,

როცა შიშვლები იწვინ გვერდიგვერდ და ერთ რიტმში სუნთქავდნენ. ერთი წამით იფიქრა, ქმარი ეტყოდა, არ მინდა, რომ წახვიდე, დარჩი, ყველაფერს ვიზამ, ოღონდ ჩემთან იყავიო, მაგრამ მან სულ სხვა პასუხი გასცა:

- ჰო, დროა სახლში დაბრუნდე.
- კიდევ რამდენ ხანს უნდა იყო აქ?
- რას გულისხმობ?
- რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე? რისთვის დავქორწინდით?

- სტასია, ომია და არც ჩვენთან არის უკეთესი მდგომარეობა, მერნმუნე. მუდმივად მანვდიან ინფორმაციას და... - კიდევ კარგა ხანს ილაპარაკა ბოლშევიკების გამარჯვების აუცილებლობაზე, იმ ტერიტორიებზე, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა და რომლებიც მისახედი, ანუ თეთრებისთვის წასართმევი იყო, იმაზე, თუ რა გადახდათ მას და მის რაზმს მოსკოვში და სირთულეებზე, პარტიის ხელმძღვანელობაში არსებულ სირთულეებზე... სტასია ნახევრად არ უსმენდა, მის აზრს ვერ მიჰყვებოდა, არც კი იცოდა, რატომ უყვებოდა ამ ყველაფერს, მის სოციალისტურ შეხედულებებშიც ეჭვი ეპარებოდა. დაზეპირებულ ლექსს ჰგავდა მისი ნათქვამი. მის ხმაში ისეთი დაღლილობა იგძნობოდა, ისეთი სიცარიელე, ისეთი უსასობა - ეს მდგომარეობა ძალიან ეცნობოდა სტასიას. მაგრამ სიმონი უკან არ იხევდა, უნდოდა, მის თვალში ისევ ის საკუთარ თავსა და საქმეში დარწმუნებული ობერლეიტენანტი ყოფილიყო. არადა, - ფიქრობდა სტასია, - რამდენად გამარტივდებოდა ყველაფერი, ერთ-ერთ მათგანს მაინც რომ ეთქვა სიმართლე, მაშინ იქნებ ერთად ყოფნაც შესაძლებელი გამხდარიყო. რომ უცადათ მაინც.

1920 წლის ბოლოს სტასიამ, გუსტად სამი წლის შემდეგ, ისევ იხილა თავისი მშობლიური ქალაქი. მას დახვდნენ უფროსი და ლიდა, რომელსაც უმეტესი დრო წმინდა გიორგის ეკლესიაში გაეტარებინა, გაჭაღარავებული და დასევდიანებული მამა, გასუქებული დედინაცვალი და მომაკვდინებლად ლამაზი ქრისტინე, რომელსაც ახლახან თოთხმეტი წელი შესრულებოდა. მეორე დას, მერის, მაინც მოეხერხებინა შესაფერისი საქმროს პოვნა, ქუთაისელი ნოტარიუსის, და მას გაჰყოლოდა. სამშობლოში დაბრუნებულმა სტასიამ ჯერ არ იცოდა, რომ, ზემოთ ხსენებულთა გარდა, ოჯახის კიდევ ერთი წევრი არსებობდა - მის მუცელში.

ამ დროს ის უკვე თავის პირველ შვილზე იყო ფეხმძიმედ, ბაბუაჩემზე.

საკონდიტრო ჯერ კიდევ მუშაობდა, მაგრამ ოჯახს ყოველდღე ემუქრებოდა მთელი ქონების ჩამორთმევის საშიშროება. დემოკრატია საქართველოში მყარად ვერ დადგა ფეხზე. მუშები და გლეხები ყოველდღე აჯანყებას აწყობდნენ, ფაბრიკები იფიცებოდა, სოციალისტები მთავრობას ბოიკოტს უცხადებდნენ. კაცმა არ იცოდა, რას

მოიტანდა შემდეგი დღე, სხვადასხვა პარტიისა და დაჯგუფების პოლიტიკა იმდენად გაურკვეველი იყო, რომ ადამიანები დაბნეულნი იყვნენ, ვერ ხვდებოდნენ, ვინ უნდა აერჩიათ და რატომ. კანონები, მოთხოვნები, დაპირებები ყოველდღიურად იცვლებოდა.

ოჯახის წიაღში სტასიას დაბრუნება სათანადოდ აღნიშნეს. იყო ცრემლის ღვრა, ყელზე ჩამოკიდება, ჩვეულებრივ საკმაოდ გულცივი, აუღელვებელი ლარას მხრიდანაც კი. სტასიამ, რომელმაც ქმართან ხმა არ ამოიღო, თავის ოჯახის წევრებს, დანვრილებით და ამომწურავად უამბო პეტერბურგში მის მიერ გადატანილი გასაჭირისა და ბრძოლების შესახებ. მხოლოდ დასასრული დაუმალა მამინ და მართო მამას გაანდო ერთ საღამოს მის კაბინეტში, კონიაკის მოყლეუპვის შემდეგ. სანამ სტასია ხმის კანკალით ყვებოდა, მამა იატაკს თვალს არ ამორებდა. ოღონდ შოკოლადისა და სანამლავის შესახებ კრინტი არ დაუძრავს. არ უნდოდა მამამისს ჰგონებოდა, რომ დაუფიქრებლად მოიქცა, რომ თავისი ცოდნა ბოროტად გამოიყენა და, რაც მთავარია, მისთვის მიცემული პირობა არ შეასრულა. მაგრამ უფრო იმიტომ არ გაუმხილა, რომ ჯერ ვერ ეპოვა პასუხი შეკითხვაზე, შოკოლადი და შხამი იმ შემთხვევაში სულაც ერთი და იგივე ხომ არ იყო, პასუხის კი თვითონვე ეძინოდა..

როგორც იქნა, შინ დაბრუნდა. გადარჩა. მართალია, პარიზი ისევ ძალიან შორს იყო მისგან, თეკლამაც კი მიატოვა – თუ პირიქით? – და საბოლოოდ, მაინც არ დარჩა თავის ქმართან – სტასია ცოცხალი რომ იყო, ესეც კმაროდა.

ერთი კვირის შემდეგ სტასიამ გაარკვია თავისი ბედმეტი მგრძნობიარობის მიზეზი: ორსულობა.

ამ აღმოჩენამ უცნაური გრძნობები აღუძრა, ერთდროულად დაბნეულიც იყო და აღელვებულებიც. ვერ გაეგო, ამ სიტუაციაში უნდა გახარებოდა ეს ამბავი თუ არა. მაგრამ ლიდასა და მამის მზრუნველობის წყალობით მაინც გაუნელდა ტკივილი, დარდი და მწარე მოგონებები. ლიდა ერთგვარ მშვიდობის მტრედად იქცა ოჯახში. მოკაკული დაფაჩუნობდა სახლში, მითითებებს იძლეოდა, საკონდიტროში ეხმარებოდა, ქრისტინეს საშინაო დავალებებს ამზადებინებდა, მთელი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავდა და შინაგანად უკვე მზად იყო მონაზვნობისთვის, თუმცა საკუთრივ მონასტერში წასვლა მამის პროტესტის გამო მუდმივად ფერხდებოდა.

სადამოებით სტასია მამამისის კაბინეტში მოკალათებული გაზეთს ან წიგნს კითხულობდა ხოლმე, სანამ მამა საბუთების მონესრიგებით იყო დაკავებული. მის გვერდით უსაფრთხოდ გრძნობდა თავს.

– ადრე ყოველთვის იმდენად მეოცნებედ მიმაჩნდი, მეგონა ნამდვილ სიყვარულს ვერ შეძლებდი. მაგრამ ეტყობა შევცდი. თუმცა არც ერთი ქალი არ უნდა გაედევნოს ქმარს ამ სიშორეზე და არც ერთმა ქმარმა არ

უნდა მიატოვოს ცოლი ამდენი ხნით, – გამოუცხადა ერთ საღამოს მამამ და ჰკითხა, შოკოლადი ხომ არ გინდა, გამონაკლისის სახით მოგიმზადებო. სტასია ოთახიდან გავარდა და გული აერია.

მუცელი ეზრდებოდა და ეზრდებოდა, ამასობაში კი წითელმა ფრონტმა აზერბაიჯანში გადაინაცვლა. როცა ბოლშევიკები დარწმუნდნენ, რომ ინგლისი უარს ამბობდა აღმოსავლეთ მისადგომებზე, ანუ ნავთობისთვის შეჭიბრებაში მონაწილეობაზე, ოფიციალურად გამოაცხადეს ომი, რომელიც წითლების გამარჯვებითა და ქვეყნის გასაბჭოებით დამთავრდა. მეზობელი სომხეთიც თურქებთან ომით იყო დასუსტებული და წინააღმდეგობის განევა აღარ შეეძლო. ყირიმის დაიკავეს, კიევი უკვე წინა წლის თებერვალში ბოლშევიკებმა იგდეს ხელთ. საკითხავი ახლა ის იყო, როდემდე მოახერხებდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მანამდე ბოლშევიკების მიერ სუვერენულ ქვეყნად აღიარებული საქართველო.

მაგრამ უკვე 1921 წლის თებერვალში გაირღვა საზღვარი. ქართველი ბოლშევიკის – ფილიპე მახარაძის თაოსნობით საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადდა და რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს სამხედრო მხარდაჭერა ეთხოვა „მესამე დასისა“ და მენშევიკებისგან თავდასაცავად.

სულ რაღაც 9 დღე დასჭირდა მე-11 არმიას დედაქალაქის ასაღებად, ასე რომ, უკვე 25 თებერვალს წინააღმდეგობა დაძლეული იყო და ქვეყანა წითლებმა მიისაკუთრეს. „მესამე დასის“ მთავრობა ჯერ ქუთაისში გაიქცა, ცოტა ხნის მერე კი ქვეყნიდანაც.

სტასიას ორსულობის დროს ხორბლისა და იარაღის მთელი მარაგი და ასევე რკინიგზა წითლების გამგებლობაში გადავიდა. რუსეთის 37 გუბერნიაში ხალხი შიმშილით იხოცებოდა და დასავლეთის პრესა კანიბალიზმისა და ათასობით რაქიტინი ბავშვის შესახებ იტყობინებოდა. დაახლოებით ოთხი ლიტრი მზესუმზირის ზეთით და სამი ლიტრი არყით დახვრეტამისჯილი ადამიანის სიცოცხლის გამოსყიდვა შეიძლებოდა.

ასეთი ამბები ხდებოდა მაშინ, როცა ბაბუჩაქემი დედამისის მუცელში იჯდა და როცა აგვისტოს სიცხეში ამ სამყაროს მოველინა, მის ქვეყანას უკვე საბჭოთა საქართველო ერქვა. ორი კვირისა მონათლეს წმინდა გიორგის ეკლესიაში, ერთ-ერთში იმ მცირეთაგან, ჯერ კიდევ ხელუხლებელი რომ იყო, სახელად კონსტანტინე დაარქვეს, მაგრამ შემდგომში უკვე ყველამ „კოსტია“ დაუძახა.

კოსტიას დაბადებიდან ზუსტად ერთ წელიწადში, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე მამამისი მას პირველად იხილავდა, შოკოლადის ფაბრიკანტის საკუთრება, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფოს ხელში გადავიდა და უზარმაზარი სახლი ქალაქის ცენტრში ორად გაიყო; ზედა

სართულზე და დიდ სხვენში ორი მუშა შესახლდა ხე-ტყის მანუფაქტურიდან, თავიანთი ოჯახებით.

შოკოლათერია მთელ ქვეყანაში ცნობილ დაწესებულებად დარჩა კვლავაც, ოღონდ უკვე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, და ჩემი დიდი ბაბუა უკვე სახელმწიფოს სამსახურში იყო ჩამდგარი.

ამ დროიდან მოყოლებული ბაბუა შინაგანი პროტესტის ნიშნად თავის საიდუმლო ნაზავს შოკოლადში აღარ ამატებდა, რამაც მალე კლიენტების კლება გამოიწვია. აიძულებს, კაფეტერიაში დეკადენტური, კაპიტალისტური ინტერიერი შეეცვალა და პარტიისთვის მისაღები სტილი დაეცვა, რაც კლიენტების უმრავლესობას ნამდვილად არ უნდა მოსწონებოდა, რადგან საკონდიტროში იმისთვის დადიოდნენ, რომ ცოტათი მაინც დამტკბარიყვნენ პარიზული და ვენური ხიბლით და სულ არ სჭირდებოდათ დაპყრობილი საბჭოთა პროვინციის უიმედო რეალობა. შინამოსამსახურეები, რა თქმა უნდა, გაათავისუფლეს სახლიდან, ძიძის ყოლას არ ითვალისწინებდა ახალი პროლეტარული ცხოვრება, ასე რომ, ლიდა და სტასია მთელ თავიანთ დროს ბავშვის აღზრდას ახმარდნენ. სტასია ზოგჯერ ახერხებდა და გაურბოდა ყოველდღიურობას, საჭინბოდან ქირაობდა ყაბარდოულ ცხენს და ველზე დააჭენებდა.

სურსათის არჩევანი დღითი დღე მცირდებოდა, ტანსაცმელი ხუნდებოდა და ფერს კარგავდა, ქალაქის ერთადერთი საბალეტო სასწავლებელი კი – სტასიას ბოლო იმედი – დაიხურა. სამაგიეროდ, დაარსდა კომკავშირი, „სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი“, პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია, სადაც გამუდმებით პატრიოტულ სიმღერებს მღეროდნენ და ოქტომბრის რევოლუციას აღიდებდნენ, რომლის მიზანიც ახალგაზრდობის „პარტიის ერთგულ კომუნისტებად“ აღზრდა იყო.

* * *

მაშ, მწყობრში! არავინ მოდუნდეთ!

მე ყბედ ორატორებს ვაუნყებ:

– თქვენ, ეი! გეყოფათ!

დადუმდით!

სიტყვა აქვს ამხანაგ მაუზერს!

მაიაკოვსკი

სიმონ ჯაშმა თავისი ვაჟი მაშინ გაიცნო, როცა ის უკვე „დედას“ ამბობდა. და მან პირველად გამოიყენა კუთვნილი შვებულება. სადღაც დონთან დაბანაკებულ მის ბრიგადას გლეხების ჭკუაზე მოყვანა ევალეობდა, რომლებიც გაუთავებლად ჯანყდებოდნენ. სტასია და სიმონი სეირნობდნენ, მამას შოკოლადის ნამცხვარს მიირთმევდნენ, რომელიც

აღარ იყო ძველებურად გემრიელი, შვილს ეთამაშებოდნენ, ქალაქის პირველ კინოთეატრში დადიოდნენ, ცხენებსაც დააჭენებდნენ ერთად, მაგრამ სტასია ვერაფერს უხერხებდა იმ გარემოებას, რომ ასეთ ცხოვრებას ვერ ითავისებდა, რომ ეს კაცი მისთვის უცხო იყო და როდესაც ის გაემგზავრა, თითქოსდა შვებით ამოისუნთქა. მარტოს ოცნება მაინც შეეძლო ისეთ ცხოვრებაზე, როგორც ერთ დროს უნდოდა და რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მის მაშინდელ ყოფასთან.

როცა კოსტია ქალაქის პირველ სახელმწიფო საბავშვო ბაღში გაუშვეს, სიმონ ჯამი ისევ გამოეცხადა ცოლს. მოულოდნელად მარტის ერთ დილას – გამხდარი, წვერმოზრდილი ობერლეიტენანტი იდგა სახლის შესასვლელში და სტასიას ეძახდა. სამი დამტვრეული და ცუდად შეხორცებული ნეკნის გამო ფილტვების ემბოლია დამართნოდა და გადაეტანა, მას შემდეგ კოჭლობდა და ხელები უკანკალებდა. ვიღაც გლეხი დასხმოდა თავს ნიჩბით და სხეულის დაზიანების საფუძველზე, რამდენიმე თვით გაუთავისუფლებიათ ჯარიდან.

სტასია, რომელიც ამ დროს შვილისთვის გამზადებულ ფაფას გემოს უსინჯავდა და კოვზით ხელში გაემართა შესასვლელისკენ, იდგა და თავის ძალიან შეცვლილ, უეცრად დაბერებულ ქმარს აკვირდებოდა, თან კოვზს ფეხზე ირტყამდა წამდაუნუმ, რადგან ვერ ხვდებოდა, სხვა რა უნდა ექნა. კაცი, რომელიც მისი შვილის მამა იყო, რომელსაც ისურვებდა, რომ თავის ვალდებულებებზე მეტად ჰყვარებოდა, საცოდავად იდგა მის წინაშე, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებდა სიტყვა დაეძრა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და არ იცოდნენ, რა ეთქვათ.

ჩემმა დიდმა ბაბუამ შესთავაზა ახალდაქორწინებულებს – აბა, რა ჰქვია წყვილს, შვიდ წელიწადში სულ რამდენჯერმე რომ გაიყვეს სარეცელი – სოფელში გადასულიყვნენ საცხოვრებლად, მშობლიური ქალაქის მახლობლად, რომ ერთმანეთისთვის და ბავშვისთვის დაეთმოთ დრო. ერთი მეგობარი ჰყავდა, რომლისთვისაც აგარაკი არ ჩამოერთმიათ, უბრალო ტრადიციული ქართული სახლი, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში, მაგრამ ამქვეყნიური აურზაურისგან საკმაოდ მოშორებით. იქ უნდა დაახლოვებულიყვნენ ისევ, სიმონი გამოჯანმრთელებულიყო. სახლის პატრონი ხელს არ შეუშლიდათ, ქალაქში იყო წამოსული და მათ მხოლოდ რამდენიმე ქათმისთვის, ორი ძროხისა და ბაღისთვის უნდა მიეხედათ.

სახლის უბრალოება, ბუნების სიმშვიდე, პოლიტიკისგან მონყვეტა, ყოფითი საქმიანობა კეთილგანწყობილი გლეხები სამეზობლოში – ეს ყველაფერი ზედგამოჭრილი იყო ცოლ-ქმრისთვის. ბოსტანში მუშაობა, საქონლის მოვლაც კი ეხალისებოდა სტასიას თავიდან, რაღაც ახალი მაინც იყო. ძალიან უნდოდა, თავიდან დანყების შესაძლებლობა მიეცა თავისი ოჯახისთვის. ეგონა მოახერხებდნენ, რაღაც მაინც ჰქონდათ შემორჩენილი იმ პირველი, ბავშვური, მშფოთვარე და განსაკუთრებული

სიყვარულისგან. სოფელში ცხენებიც ჰყავდათ, შეიძლებოდა ენათხოვრათ და ეჭირითათ. დასაწყისისთვის მშვენიერიყო, ფიქრობდა სტასია, ჭირითი ხომ ორივეს უყვარდა. მაგრამ სიმონი ისეთი ჯანგატეხილი იყო, ისეთი ქანცგანყვეტილი, რომ ცხენზეც კი ვერ ჯდებოდა. უმეტეს დროს მდუმარედ ატარებდა, უხალისოდ გაჰყურებდა არემარეს, შიგადაშიგ შვილს უღიმოდა და სტასიას შეუხსენებლად არც კი ჭამდა. რალაც ჩაკვდა მასში სამუდამოდ, მაგრამ სტასიას ჯერ კიდევ არ უნდოდა, არ შეეძლო ამის დაჯერება.

ამ პერიოდში რუსეთში გახშირდა სასამართლო მედიცინის დასკვნები:

„გვამი № 1: თავის ქალა მთლიანად დაღუპილი, ქვედა ყბა ჩამტვრეული. გვამი № 2: თავის ქალაზე ორი ნატყვიარი. გვამი № 3: თავის ქალა და ძვლები მეტალის საგნით დამსხვრეული. გვამი № 4: სამხედრო ჩაცმულობა, სამი ნატყვიარი თავის ქალაზე. № მე-5 გვამს რაც შეეხება, ნამდვილად ეპისკოპოსია, სიკვდილის მიზეზი ძნელი დასადგენია, რადგან, როგორც ჩანს, ცოცხლად იყო დამარხული“.

სიმონ ჯაშმა საკმაოდ კარგად იცოდა ეს ყველაფერი, საკმარისზე მეტადაც. ვერც ლამაზი ცხენები დაავიწყებდა ამ ყველაფერს, ვერც ცოლის ენერგია და ვერც შვილის სიყვარული.

სტასია ყოველდღე ცდილობდა, ხალისიანი, გაბრწყინებული სახე მიეღო, სულ ერთი იყო, სარეცხს რეცხავდა თუ ბოსელს ასუფთავებდა, კარტოფილს თლიდა თუ პატარა კოსტიას ზღაპარს უყვებოდა. ამას ისეთივე გულმოდგინებით ცდილობდა, როგორც თავისი ოჯახის გადარჩენას. მაგრამ ამაოდ. სიმონი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. გვიან დგებოდა, დიდხანს სვამდა მაგარ ყავას, რომელსაც სიმამრი უგზავნიდა ქალაქიდან სამ კვირაში ერთხელ, კითხულობდა გაზეთს, რომელიც ყოველთვის ორი დღის დაგვიანებით აღწევდა სოფელამდე, ჭამდა, რასაც თეფშზე დაუდებდნენ, თითქოს არაფრის სურვილი და მოთხოვნილება აღარ ჰქონდა, მერე სასეირნოდ მიდიოდა და უკვე მოსაღამოვებულზე ბრუნდებოდა სახლში.

ვახშმის მერე მეგობარ გლეხთან გადადიოდა ბანქოს სათამაშოდ და როცა ღამით ბრუნდებოდა, სტასიას ეღვიძა ხოლმე უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ თვალდახუჭული იწვა საწოლში და ნატრობდა, რომ ქმარს მისი გაღვიძება მონდომებოდა, თავისი ფიქრები და დარღები გაეზიარებინა, მისთვისაც ეკითხა, რა ანუხებდა, მეორე დღე დაეგეგმა, რამე მაინც, მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა. როგორც ყოველთვის, უსიცოცხლო, გამოცარიელებული და გულგრილი წვებოდა ცოლთან საწოლში, ზურგს აქცევდა და მაშინვე იძინებდა.

ერთადერთი, ვისაც ცოცხალი ეთქმოდა ამ დროს, კოსტია იყო. რომელიც იზრდებოდა და ყოველი ახალი აღმოჩენით ხარობდა, სიარულს და ლაპარაკს სწავლობდა, იცინოდა და ტიროდა, იმ პატარა

სოფელმა მისთვის მთელი სამყარო ჩაანაცვლა. და თუ საკუთარ თავში ჩაღრმავებული მშობლები ზოგჯერ მაინც გაიცინებდნენ ხოლმე, ისიც კოსტიას დამსახურებით – რამე სასაცილოს ჩაიდენდა ან ისეთ რამეს იტყოდა, რასაც პატარა ბავშვისგან არ ელოდნენ.

მართალია, სოფლად ცხოვრებას მხოლოდ რამდენიმე თვით გეგმავდნენ და სიმონი თითქოს მალე ახალ სამსახურში უნდა გადაეყვანათ, ასე არ მოხდა. რატომღაც არც სიმონს ეჩქარებოდა ახალი სამსახურის დანყება, ეტყობა, ხელმძღვანელობაც მშვენივრად ძლებდა უიმისოდ. ასე რომ, შვებულება უსასრულოდ გაინელა, როგორც სტასიას ეჩვენებოდა. სიმონი მცირე სამხედრო პენსიას სისტემატურად იღებდა და სტასიას მამის ხელშეწყობითა და მათი მოკრძალებული მოთხოვნილებების წყალობით მშვენივრად გაჰქონდათ თავი. სოფლად გატარებული სამი წელი ჯაშების ოჯახისთვის უსასრულოდ განწელილი, და რაც მთავარია, მდუმარე აღმოჩნდა.

ხანდახან სტასია ოჯახის მოსანახულებლად ჩადიოდა კოსტიასთან ერთად და ყოველ ჯერზე მზად იყო, აღარასდროს დაბრუნებულიყო სოფელში და იმ მიყრუებულ პატარა ხის სახლში. მაგრამ შოკოლადის ფაბრიკანტის სახლიც აღარ იყო ისეთი, როგორიც ადრე. ფული არ ჰყოფნიდათ. ინფლაციამ საქართველომდე ჩააღწია. პარტიამ კოლმეურნეობისა და ინდუსტრიალიზაციის პროექტი წამოიწყო, სივინროვეში ცხოვრობდნენ. ხე-ტყის მანუფაქტურის მუშებსა და მათ ოჯახებს ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ შოკოლადის ფაბრიკანტის ოჯახთან. საცხოვრებელი ფართი არ ჰყოფნიდათ და გახშირდა ჩხუბი უკმაყოფილებისგან, თითქოს კიდევ უფრო გასუქებულ ლარასა და მუშების ცოლებს შორის.

პოლიტიკურმა სიტუაციამ და სოციალურ კიბეზე ჩამოქვეითებამ მამას ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია და ხასიათიც შეეცვალა. უფრო ფეთქებადი, ბუზღუნა და მოუთმენელი გახდა. ლიდა ცდილობდა ოჯახური ბედნიერების შენარჩუნებას, მაგრამ ისე კარგად აღარ გამოსდიოდა. მერის ქმარმა სამსახური დაკარგა, მერი სულ უფრო ხშირად გამორბოდა მშობლიურ ქალაქში და ლიდას და სტასიას ყოფილ ოთახში ეძინა.

ერთადერთი ქრისტინე, ყველაზე უმცროსი, იფურჩქნებოდა თითქოს იმ უიმედო დროში. უკვე თექვსმეტი წლისა იყო და დღითი დღე სულ უფრო მშვენიდებოდა, იმდენად, რომ გარეთ მარტოს ველარ უშვებდნენ. გიმნაზიელი თუ დაოჯახებული, ხნიერი თუ ახალგაზრდა კომკავშირელი – ყველა მამაკაცი ჩერდებოდა, ზოგი სტვენით აცილებდა, ზოგი ანონიმურ წერილებს სწერდა და მერე, საკლასო ოთახში ფანჯრიდან შეფრიალებული ამ წერილებით ერთობოდა ხოლმე ქრისტინე თანაკლასელებთან ერთად. სოფლად ცხოვრების მესამე წელიწადს სტასიას სასოწარკვეთილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ყოველი თეფში, რომელსაც რეცხავდა და ყოველი კვერცხი, რომელიც

საქათმიდან უნდა გამოეტანა, უსამართლო სასჯელად ეჩვენებოდა. ისე იყო გამწარებული, რომ სიმონის ჩუმად ყოფნას დაცინვად აღიქვამდა, მის ჩაკეტილობას წმინდა წყლის პროვოკაციად.

ბოგჯერ ბოსელში შედიოდა, თივაზე წვებოდა და გულამოსკვნით ტიროდა. იყო დღეები, როცა თავისი აგრესია პატარა კოსტიამაც გადაჰქონდა, რომელსაც სულ არ აინტერესებდა მშობლების ცივი ურთიერთობა და მაინც უსაზღვრო სიყვარულსა და ყურადღებას მოითხოვდა მათგან.

- ამის ატანა აღარ შემიძლია. ვეღარ გცნობ. უნდა წავიდე, თორემ აქ ვიხრჩობი. შენ სულ არ მენებარები, თუ რამე არ შეეცვალეთ სასწრაფოდ, აუცილებლად შემძულდები!

ისევ ფხიზლად იწვა სტასია ლოგინში, როცა ნასვამი სიმონი მეზობელ გლეხებთან ბანქოს თამაშის მერე დაბრუნდა, არყის სუნი ასდიოდა. ის-ის იყო ლოგინში ჩანვა და ზურგი უნდა ექცია მისთვის, რომ ეს სიტყვები უთხრა მშვიდად, ჩუმად, დაფიქრებით.

- მაინც რისი შეცვლა გინდა? - ჩაეკითხა სიმონი ასევე მშვიდად, ჩუმად და დაფიქრებით.

- მე არ ვარ გლეხის ქალი, ასე ცხოვრება არ შემიძლია, საერთოდ არც მინდოდა ასე ცხოვრება. არასდროს! - უპასუხა სტასიამ ამჭერად უფრო ხმამაღლა და სწრაფად.

- ვაცი მოვკალი, - თქვა უცებ სიმონმა.

- ომი იყო.

- არა, ომში არა, თავს კი არ ვიცავდი.

- რას გულისხმობ? - შეეკითხა სტასია, რომელიც ნელ-ნელა ხვდებოდა, რა გაანდო მას მისთვის უცნობმა ქმარმა.

- ყირიმში, პატარა კოხტა ქალაქში გაგვაგზავნეს, ტაგანროგთან. იმ რეგიონში აჯანყებებს ბოლო არ უჩანდა. უამრავი აჯანყება, ისევ და ისევ. არა, მე მესმის. ამათ კულაკების განადგურება უნდათ, როგორც კლასის. უნდათ, რომ სოფლის მეურნეობას მთლიანად სახელმწიფო განაგებდეს. გლეხმა ხორბალი დაბალ ფასად გაყიდოს, პარტიამ იყიდოს და ძვირად გაყიდოს, მოგება კი შვიარადების ინდუსტრიასა და ფაბრიკების მშენებლობას მოხმარდეს, ეს არის ამათთვის სამეურნეო რეფორმა, იმას კი არ ფიქრობენ, რომ გლეხი არ არის თავისი პროდუქტის იაფად გაყიდვით დაინტერესებული. რაღად უნდა მოსავალი, თუ ასეც და ისეც გაღატაკება არ ასცდება. ურჩევნია, თავი არ მოიკლას მუშაობით. ჩვენამდე უამრავი რაზმი გაგზავნეს იქ, მაგრამ გლეხები მიწას არ თმობდნენ და უნდოდათ, ისევ თვითონ დაედოთ ფასი თავიანთ საქონელზე, რატომ უნდა მიეყიდათ სახელმწიფოს უფრო იაფად, მარტო იმიტომ, რომ სახელმწიფოა?

ამიტომ არ წყდებოდა დარბევა, საკუთრების ჩამორთმევა, გადასახლება. ორი დღის ჩასული ვიყავით სოფელში, როცა რაიონულ

ცენტრში გაგვაგზავნეს. იქ სოფლებს სამმართველო დაეკავებინათ და კომისრებს მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ. ამას ერთი გლეხი მეთაურობდა, რომელიც ადრე სიმინდისა და ხორბლის ნათესების მეტწილს ფლობდა. ორნი ვიყავით - ბრიგადირი და მე, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩასმული; არმიის შემოსვლამდე იქაურობა უნდა დაგვეზვერა. უხმაუროდ უნდა მოგვეგვარებინა ყველაფერი, ისედაც საკმაო არეულობა იყო იმ რეგიონში. მეთაურთან მშვიდობიანად დალაპარაკება ვცადეთ, დათვივით ვაცი იყო, უზარმაზარი. მთელი ცხოვრება მინას ამუშავებდა და სისხლში ჰქონდა გამჭდარი სიჭიუტე. უკან დახევას არ აპირებდა. მისი გადარწმუნება ვცადე, ვუთხარი, რომ აზრი აღარ ჰქონდა წინააღმდეგობას, რომ მთელ მის მხარეში მიწები უკვე ჩამორთმეული იყო და მაინც ვედარსად გაყიდიდა მოსავალს, რომ თავისი ამბოხით მხოლოდ საფრთხეს უქმნიდა მთელ სოფელს. ის კი სულ იმეორებდა, ფეხებზე მკიდია წყეული კომუნისტები, არ ვაპირებ, ამდენი წლის ნაჭაფი იმ ღორებს დავუტოვო.

ბრიგადირმა, რომელიც თან მახლდა - მოხალისეთაგან იყო - აშკარად მოთმინება დაკარგა. იარაღი არ წაგვიღია, თორემ ვერ შევიდოდით სოფელში, მე კომისარად ვასაღებდი თავს და არმიამე სიტყვაც არ დაგვცდენია, მაგრამ იმ ღორმა უცებ პატარა პისტოლეთი დააძრო და მოულოდნელად შუა ბრძოლის ველზე აღმოვჩნდით. საიდანლაც გაჩნდა ნიჩბები და ცელები, მიხვდით, რომ წამის შემდეგ სისხლი დაიღვრებოდა, ამიტომ ბრიგადირს პისტოლეთი გამოვვლიტე ხელიდან, ღმერთმა უწყის, საიდან მოიტანა, მასვე დავუმიბნე და დამშვიდება მოვთხოვე. მეგონა, საფრთხე აცილებული იყო და ისევ მოლაპარაკებას დავუბრუნდი. მაგრამ ბრიგადირმა ლანძღვა დამიწყო, აყვირდა, მოლალატე მეძახა, და როცა ჩემკენ წამოვიდა, გავისროლე. არ ვიცი, როგორ, არ ვიცი, რატომ, შეიარაღებული არ იყო, მომიახლოვდა და ისევ ვესროლე.

იმავე ღამეს დავბრუნდი ტაგანროგში და ჩემს უფროსს მოვახსენე. ყველაფრისთვის მზად ვიყავი, მაგრამ ასეთ გადანწყვეტილებას თუ მიიღებდა, წამდვილად არ ველოდი. თითქოს გაუხარდა ამ ამბის გაგება, ხელი ჩამომართვა და მომილოცა. წარმოიდგინე, სტასია. მომილოცა. მხოლოდ მეორე დღეს შევიტყვე: სოფელში მეჭრილან და ამოუხოცავთ ყველა, გლეხებს წითელარმიელი მოუკლავთო. უფლება მიეცათ ასე მოქცეულიყვნენ. ვინც წინააღმდეგობას უწევდა და ოჯახებს იცავდა, დახვრიტეს, დანარჩენები გადაასახლეს. ამიტომ შევძელი შენთან დაბრუნება. ამიტომ შევძელი ამდენ ხანს აქ დარჩენა, შენთან, სტასია, კაცისმკვლელი რომ გავხდი, ამიტომ.

სტასიამ წელზე ხელი მოხვია და თავი მხარზე დაადო, მაგრად ჩაეხუტა და ბოლოს მთლიანად გადაეფარა. მაინც ეცოდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებსა და თვეებში თანაგრძნობის

მარაგი გამოელია. ამდენ ხანს ელოდა, როდის დაინწყებდა სიმონი ლაპარაკს. როგორც თავისი შვილის პირველ სიტყვებს ელოდა, მის პირველ დედას, მაგრამ როცა ალაპარაკდა, სტასიას ბრაზმა თითქოსდა უფრო იმატა.

„არა, არა, არ მინდა ამის გაგონება, რატომ მიყვები ამ ყველაფერს? რაში მჭირდება, რა უნდა ვუქნა? სულ ამ წყეული ომის ბრალია, აქ უნდა დარჩენილიყავი, ჩემთან, არიდებოდი ამ ომს ან სხვა სამსახური მოგეძებნა, არ უნდა გაგენიერე იმისთვის, რომ შენ გამოგკიდებოდი, ჯოჯოხეთში აღმოვჩენილიყავი და იმ ადამიანის თვითმკვლელობის მონმე გავმხდარიყავი, რომელიც ასე შემიყვარდა. შენ თვითონ მოინდომე ასე. შენ ჩამაგდე ამ მდგომარეობაში, აქ გამომამწყვდიე, და სამი წელი ხმასაც არ მცემდი. სამწუხაროა, რაც დაგემართა, შენც და იმ გლეხებსაც, სამწუხაროა, რომ მთელი მსოფლიო გაგიჟდა, მაგრამ მე რა ვქნა? ამის წარმოდგენაც არ შემეძლო. მომხიბვლელ, მშვიდ და თავდაჯერებულ ახალგაზრდა კაცს გავყევი ცოლად, ახლა კი დამუნჯებული, დამუნხრებული, გამოფიტული, დაბერებული კაცი შემრჩა ხელთ, რომელსაც უამრავი ჭრილობა აქვს და უნდა ვუმკურნალო ვიდეც, მაგრამ ძალა აღარ მყოფნის, უბრალოდ, აღარ შემიძლია. შენ არც მე წამიყვანე მოსკოვში და არც თვითონ ჩამოხვედი ჩემთან პეტროგრადში. როცა დაბრუნდი, არც კი გიკითხავს ჩემთვის, ძალიან ხომ არ დავიგვიანეო?!“ ეს იყო რისი თქმაც უნდოდა სტასიას სიმონისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად საფეთქლები დაუკოცნა, მკერდზე მოეფერა და გახდა დაუნყო. სიმონმაც მიიღო მისგან ეს ნუგეში. თვეების განმავლობაში არ მიჰკარებიათ ერთმანეთს და იმითიც კმაყოფილი იყო, რომ მისმა სიტყვებმა მათ სხეულებს შორის აღმართული კედელი მაინც გაარღვია.

სიმონის აღსარებამ მათი ურთიერთობა შეცვალა, სტასია კი დააორსულა. დაძაბულობამ იკლო და დუმილი დაირღვა.

მაგრამ, სამწუხაროდ, სტასია დამუნჯებულ, დამუნხრებულ, დაჭრილ კაცს მხიარულ, მომხიბვლელ, მშვიდ და თავდაჯერებულ ჭაბუკად ვეღარ გადააქცევდა. როცა ლენინის გარდაცვალების წელს ცოლ-ქმარს გოგო შეეძინა, ისინი ჯერ კიდევ ვერ უმკლავდებოდნენ ერთმანეთის მიმართ წყენას, იმედგაცრუებას და სიმონის განმარტოებას.

1924 წელს, როცა კიტი დაიბადა, მარტო მოსკოვში თორმეტი შრომითი ბანაკი და კიდევ 56 სხვა სატუსალო არსებობდა. ბუხარინმა განაცხადა: „ღიახ, ჩვენ ახალ ინტელიგენციას გამოვანრობთ ისე, როგორც ფაბრიკაში“. ხოლო ტროცკი, რომელიც ლენინის საქმის გამგრძელებლად მოიაზრებოდა, ისე იყო თავისი „პერმანენტული რევოლუციის იდეით“ შეპყრობილი, რომ ვერც შეამჩნია, როგორ დაიწყო ჩვენმა თანამემამულემ, ბანკების ყოფილმა მძარცველმა ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

კიტი კი, რომელიც დედამისის დაღუპული ტყუპისცალის სახელს ატარებდა, სიცოცხლეს მთელი ძალით დაეწაფა. ისეთი გაუმაძღარი და მჩხავანა იყო, თითქოს ორი ადამიანის ნაცვლად ცხოვრობდა.

სიმონი უკვე იშვიათად გადიოდა სასეირნოდ და ხანდახან თავის ცოლსაც აპყრობდა მაღლიერ მზერას. და როცა სტასიამ იფიქრა, ყველაფერი უკეთესობისკენ მიდისო, ჯერ ერთი-ორი ოფიციალური წერილი მიიღეს, მერე კი ზამთრის ერთ საღამოს კომისარი გამოეცხადათ სიმონ ჯაშის მომავალზე სალაპარაკოდ. ყავისფერი შალის პიჯაკი ცოტა ვიწრო ჰქონდა, პატარა მისაღებ ოთახში იჯდა და სტასიას მირთმეულ ღვინოს სვამდა.

- ორი თვის წინ ამხანაგი ლენინი გარდაიცვალა. ჩვენი მამა და ყველაზე ვაშკაშა ვარსკვლავი საბჭოთა ცაზე. ლენინს გაუმარჯოს! - ჭიქა ასწია. ობერლეიტენანტმა მიუჭახუნა.

- თქვენ თქვენს მოვალეობებს ყოველთვის სამაგალითოდ ასრულებდით. ამის შესახებ ინფორმირებულები ვართ.

ამხანაგო, ამიტომაც დაწინაურება გელით. ხომ გინდათ, კვლავაც ემსახუროთ სამშობლოს? უთუოდ გინდათ. თვალეებზე გატყობთ, - კაცმა სიგარეტს მოუკიდა.

- ასე რომ თქვენი ახალი დანიშნულების ზუსტ ადგილს მოსკოვში შეიტყობთ, სადაც მომავალი თვის პირველ რიცხვში უნდა გამოეცხადდეთ.

სტასიამ თვალეები დახუჭა და თავბრუსხვევა იგრძნო. წამების განმავლობაში, სანამ ქმარი პასუხს გასცემდა, ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი. მაგრამ მაშინვე გაიგონა სიმონის სიტყვები:

- დიახ, რა თქმა უნდა.

- კი მაგრამ, ჩვენ?

თავი ვერ შეიკავა სტასიამ.

- რას გულისხმობთ?

- იმას, რომ ისევ ღმერთმა უწყის, სად აგზავნიან და მე აქ ორი ბავშვით ისევ წლები უნდა ველოდო? იმის იმედით, რომ ჩემი შვილები როდისმე მაინც ნახავენ მამას?

სიმონმა უკმაყოფილოდ შეხედა, მაგრამ სტასიასთვის სულ ერთი იყო.

- თქვენ, ამხანაგო, როგორც მისმა ცოლმა, მხარი უნდა დაუჭიროთ ქმარს, რომელიც სამშობლოსა და სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის საქმეს ასე ღირსეულად ემსახურება, და ხელი არ უნდა შეუშალოთ.

- ეს არ არის მისი სამშობლო, - წამოსცდა სტასიას და კედლისკენ მიაბრუნა სახე, რადგან სიმონის მზერა ვეღარ აიტანა.

- ჯერ კიდევ ძალიან დაბნეული ჩანხართ, ამხანაგო. წვიმიან ღამით მძიმე მშობიარობას თუ გავითვალისწინებთ, გასაგებიცაა...

სტასიას სუნთქვა შეეკრა. ამ კაცმა ყველაფერი იცოდა. ტყუილად ეგონათ, რომ მარტონი იყვნენ ამ სამი წლის განმავლობაში, არასდროს ყოფილან მარტო. სადაც უნდა წასულიყვნენ, სიმონი მათ ვერსად

გაექცეოდა. მისმა ქმარმა კაცი მოკლა და კიდევ უნდა მოეკლა. ეს დაუნდობელი სიცხადით გააცნობიერა უცებ სტასიამ. სიმონმა ერთხელ გამოავლინა თავისი ნიჭი – თუნდაც უბედური შემთხვევის გამო – და ახლა ისინი ამ ნიჭის მძევლები გახდნენ. სიმონს გახედა, ჩვეულებრივზე მეტად გაფითრებული იჭდა მაგიდასთან და თავს იცავდა, არც წინააღმდეგობას უწევდა, არც კი იძვროდა.

თვალთ დაუბნელდა, სტასიამ თვალეები მოჭუტა, თავი ასტკივდა, ცდილობდა, გამოსავალი მოეძებნა. თავისთვის. თავისი შვილებისთვის. ცდილობდა წარმოედგინა, როგორი მომავალი ელოდათ, მომავალი, რომელიც იმ ანმყოს გაგრძელება უნდა ყოფილიყო, იმ უსასოო ყოფის, იმ გაუფასურებული სიყვარულის და ერთმანეთის გაუტანლობის, იმ მდუმარების, ჩვეულებრივი ცოლქმრული ცხოვრების ბანალურობის.

თვალი მოავლო იქაურობას, ძველი ავეჯით განწყობილ ღარბულ ოთახს. გახედა ეზოში სიბნელეში თეთრი დროშებივით აფრიალებულ სარეცხს, დაკემსილ სუფრას დახედა, თავის დახეულ საშინაო ფეხსაცმელს, შვილის საცოდავად მიმოხეულ სათამაშოებს გახედა და წარმოიდგინა საკუთარი თავი ათი წლის მერე, ალბათ, ისევ იქ, სადაც იმყოფებოდა, კიდევ უფრო გაცვეთილი ფეხსაცმელი, ცოტა განში გასული თეძოები, წაბლისფერ ნაწნავში მეტი ჭადარა რომ ექნებოდა.

* * *

რეპრესიები – აღმზრდელობითი ღონისძიებები.
წარწერა პლაკატზე

სტასიამ სიმონს ბარგი ჩაულაგა, და ერთგვარი კმაყოფილებაც კი იგრძნო ამ დროს, როდესაც თითქოს სხვათა შორის უთხრა:

– მე შენს სანახავად არ ჩამოვალ არც მოსკოვში და არც არსად. ამჯერად შენ უნდა ჩამოგვაკითხო, თუ ჩემი ან ბავშვების ნახვა მოგინდება. აქ აღარ დავრჩები. ბავშვებთან ერთად მამაჩემთან გადავალ, სანამ სიაში ჩამსვამენ ბინის მისაღებად. როგორც გავიგე, ბინებს კერძო პირებს აღარ აძლევენ, მაგრამ რაკი შენ ახლა ასეთი პატივსაცემი ამხანაგი ბრძანდები, შეიძლება მე მეტი შანსი მქონდეს. უნდა მოვშორდე აქაურობას. მძულს ეს კარ-მიდამო, ეს ძროხები – ბოსლის სუნით აქოთებული ჩემი ხელები და ატალახებული მიწა ფეხქვეშ.

– სტასია, მე სხვა არჩევანი არ მქონდა. ვმიშობ, სხვა გზა აღარც არსებობს. ის გზა, სხვები რომ დაადგნენ, სოლოვეცკის კუნძულებამდე მიდის, საიდანაც ჯერ არავინ დაბრუნებულა. სიამოვნებით აგარიდებდი ამ ყველაფერს, მერწმუნე, მიუხედავად იმისა, რომ აღარ შემიძლია, ეს დაგიმტკიცო.

ოთხი დღის შემდეგ თეთრ-წითელი ობერლეიტენანტი ღამის მატარებლით გაემგზავრა დედაქალაქში, იქიდან კი სოციალიზმის

დედაქალაქისკენ განაგრძო გზა. საგანმანათლებლო ბანაკში გადაიყვანეს, სადაც მას „კონტრრევოლუციონერთა და საბოტაჟის მომწყობთა გამოვლენისა და დამარცხებისთვის“ უნდა მოემზადებინა ახალგაზრდა, ურყევი და ღირსეული ჩევისტები, იმ კავშირის წევრები, მთელ საბჭოეთის ყველაზე მძლავრ და შიშისმომგვრელ ორგანიზაციად რომ ყალიბდებოდა უკვე.

იმავე დროს ჩვენმა თანამემამულე იოსებმა, სოსომ თუ კობამ, რომელიც ორი წლით ადრე – მაშინ უკვე მძიმედ ავადმყოფი ლენინის გაფრთხილებების მიუხედავად – პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს, დაჯანბნა ლევ ტროცკის მიერ მართული ოპოზიცია და პარტიის მე-15 ყრილობაზე თავისი ძალაუფლება გაამყარა.

სტასია შვილებთან ერთად მამამისის ორად გაყოფილ სახლში გადავიდა. ქრისტინეს ოთახი გათავისუფლებულიყო. კიტის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე ვინმე რამაზ იოსებიძეს გაჰყოლოდა ცოლად: მასზე ოცი წლით უფროსს, გემოვნებიანს, საზოგადოებაში აღიარებულ თამადას, ხელოვნების დამფასებელს, მოქეიფეს და ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ და გავლენიან სასიძოს მთელ დედაქალაქში.

იოსებიძეც ჩევისტი იყო, ჩვენი სხვა თანამემამულის თანამშრომელი და დაახლოებული პირი. ის მეორე ცნობილი იყო თავისი პენსნითი და ძირითადად დადიოდა ჩეკას უნიფორმაში, მხედრულ შარვალსა და მაუდის კიტელში გამოწყობილი. დაბალი, სრულიად მელოტი კაცი, რომელმაც წლების წინათ რა არ იღონა მთელ ამიერკავკასიასა და რუსეთში, რომ ბოლშევიკურ პარტიაში სახელი მოეხვეჭა, მერე კი ისევ საქართველოში დაბრუნდა; იმ დროს ჯერ კიდევ მოკრძალებულ ბინაში ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩაზე, ცოტა ხანში კი დიდებული ვილა აიშენა ორი ქუჩის მოშორებით. თავისი უფროსისგან განსხვავებით, რამაზი წარმოსადეგი აღნაგობის კაცი იყო – სიმაღლეში მეტრი და ოთხმოცდაცამეტი, ნახევრად მელოტი, შთამბეჭდავი ღიპი ჰქონდა, დიდი, კეთილი, მუქი ნაბლისფერი თვალებით და უზარმაზარი ხელები. პოლიტიკური შეხედულებებისა და ამბიციების გარდა, მეგობრებს კიდევ ერთი რამ ჰქონდათ საერთო: ორივე ეტრფოდა ლამაზ ქალებს.

წიგნი მეორე. ქრისტინე

ნუ დავივიწყებთ, რომ რანიც აქ უნდა ვყოფილიყავით, სადღაც სხვაგან ვართ.

ბლანქი

ქრისტინეს პატარა ქალაქში რამაზი საქმეზე იყო ჩასული. მიღება მოუწყვეს და ქალაქის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერებინეს, ხოლო დასასრულს – მთელ დელეგაციასთან ერთად – შოკოლადის ფაბრიკაში მიიპატიჟეს ტორტსა და ქართულ ჩაიზე (იმ პერიოდში ეროვნულ

პროდუქციას ენიჭებოდა უპირატესობა). შოკოლადის ფაბრიკანტს დელეგაცია უნდა მიეღო და პირადად მომსახურებოდა, რაც მან, თუმცა კი დიდი აღფრთოვანების გარეშე, გააკეთა კიდევ. სტუმრებმა ქება-დიდება მოითავეს და შოკოლათერიის პროდუქციას დააცხრნენ, მერე კი დანაყრებულები წასასვლელად გაემზადნენ – თბილისის მატარებელი გვიან სადამოს გადიოდა – ის იყო, დიდი ხელის ჩამორთმევა გაჩაღდა, რომ ჩვიდმეტი წლის ქრისტიანმა მამის კაფეტერიაში შეაბიჯა.

დოღზე წასვლა უნდოდა და სურდა, მამისთვის ნებართვა ეთხოვა. ყვითელი საბაფხულო კაბა ეცვა და თავზე შავი ბერეტი ეხურა, ფრანგულ სტილში, გვერდულად. გაკვეთილების შემდეგ ყოველთვის იცვლიდა ხოლმე ტანსაცმელს, მოსაწყენი სკოლის ფორმა არ ეკადრებოდა მის სილამაზეს. მსუბუქი და ჰაეროვანი ნაბიჯით გაემართა პირდაპირ მამისკენ, ისე, რომ სტუმართათვისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, თან მომხიბვლელად უღიმოდა (დოღზე სიარულის ნებას არ რთავდნენ ხოლმე). სტუმრები მონუსხულებივით მობრუნდნენ მისკენ. ზოგს სიტყვა გაუწყდა და პირღია დარჩა, ზოგს უნებურად გაეცინა, ეს რეაქციები უცხო არ იყო შოკოლადის ფაბრიკანტისთვის, რადგან ქრისტიანს ღვთაებრივი მშვენიერება მუდამ გაოგნებას იწვევდა. მამამ შვილს გახედა და თვითონაც ჩაეღიმა, უმცროსი ქალიშვილი მართლაც მომაჯადოებლად ლამაზი იყო და ამის არშემჩნევა კი შეუძლებელია.

სათუთი რძისფერი კანი, უზადო, ფაიფურის მსგავსი (ასეთი ნათელი მათ ოჯახში სხვა არავინ იყო, დანარჩენ გოგოებს უფრო ზეთისხილისფერი პირისახე ჰქონდათ, ისევე როგორც მათ მამას), ჩამოთლილი, ელეგანტური აღნაგობა, მოქნილი ტან-ფეხი. სახის ნაკვთები ლამის იდეალურად სიმეტრიული: პატარა სწორი ცხვირი, მაღალი ყვრიმალები, ულამაზესი ღვინისფერი ტუჩები, გედივით ყელმაღალი და, რაც მთავარია, ნუშისებრი თვალები, დაჩრდილული ჭაობისფერი და ხშირი წამწამებით. იმ თვალებში თითქოს ათასი ეშმაკუნა დაუხტოდა, მზად რომ იყვნენ, ყველაფერი გადაებუგათ.

ჩემმა დიდმა ბაბუამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დელეგაციის ხელმძღვანელის, მაღალი კაცის უცნაურ რეაქციას, რომელსაც ყველა თავს ევლებოდა. ის თვალებით ჭამდა ქრისტიანს – მკაცრ სახეზე სისხლმაც კი აასხა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უცებ მოკუნა პირი.

ქრისტიანმა, რომელიც მიჩვეული იყო ასეთ რეაქციებს, ზედაც არ შეხედა, დახვეწილი გულგრილობით ჩაუარა და მამას მკლავი გაუყარა.

– ჩემი ქალიშვილი ქრისტიანე, – წარუდგინა შოკოლადის ფაბრიკანტმა სტუმრებს.

– მსახიობი ხომ არ ბრძანდებით? – ჩასჩურჩულმა ერთ-ერთმა სტუმართაგანმა. ქრისტიანმა გაიცინა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ორიოდ თვეში ქალთა გიმნაზიას დაამთავრებს მხოლოდ, - განაცხადა მამამ.

ამას კიდევ რამდენიმე ქათინაური მოჰყვა მის შესამკობად, რაც ქრისტიანთა ჩვეულებრივი ამბავი იყო და ნატიფი თავაზიანობით ელოდებოდა, სანამ საზოგადოება საკონდიტროს არ დატოვებდა.

ყველაზე ბოლო რამაზ იოსებიძე გავიდა, რომელიც ხელზე მთხვევით დაემშვიდობა ქრისტინეს.

სამი დღის შემდეგ გოგონამ წითელი ვარდების უზარმაზარი თაიგული მიიღო, სურნელოვანი ბარათით: „ამ ყვავილების მშვენიერება თქვენსას ვერ შეედრება, ქრისტინე, მაგრამ, ჩემი მოკრძალებული აზრით, მის აღსანიშნავად ნამდვილად გამოდგება.“

მიგულეთ თქვენს თავყანისმცემლად, რომელთაც ალბათ ვერავინ დათვლის. ვეცდები, გზები მოვძებნო ჩემი აღტაცების საკადრისად გამოსახატავად.

რამაზ იოსებიძე თბილისიდან“.

საერთოდ, ქრისტინე არ უჩვენებდა ხოლმე მშობლებს იმ უამრავ ბარათს, ბოლო წლებში რომ უგზავნიდნენ. ეცინებოდა თანამოქალაქე ახალგაზრდა კაცებზე, მათი სიყვარულის ახსნის უსუსურ მეთოდებზე ერთობოდა სკოლის მეგობრებთან ერთად და ბოლოს ნაფლეთებად აქცევდა ხოლმე ყველა წერილს და ივინყებდა.

მაგრამ იმ თაიგულს, რომელიც მამის მისამართზე გამოეგზავნათ, ვერ დამალავდა. ასე რომ, იძულებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ბარათი მამამისისთვის ეჩვენებინა. მან მხოლოდ გაიღიმა - და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ რეაქციას ნამდვილად არ ელოდა ქრისტინე, ეგონა, შეიკურთხებდა და გაღიზიანებული მოისროდა ბარათს, მაგრამ არა: მამამ შუბლზეც კი აკოცა.

ყვავილებმა და სხვა საჩუქრებმა მომდევნო თვეებში კიდევ იმატა. ქრისტინე გამოსაშვები გამოცდებისთვის ემზადებოდა, სულ უფრო ხშირად უწევდა ყურადღების გადატანა კურიერზე, რომელსაც ხან იასამნის თაიგულები ან ფრანგული შამპანურები მოჰქონდა, ხან ეგზოტიკური სუნამოები, იტალიური ბოა, ქაშმირის შალეები, შავი მარგალიტის ყელსაბამი ან ძვირფასი აბრეშუმი სამოსისათვის.

ის კაცი ლამის მიავიწყდა. მართო ის იცოდა, რომ ასაკოვანი და მაღალი იყო. დედამისივით ქრისტინეც მიდრეკილი იყო ფუფუნებისაკენ. უფროსი დებივით მოკრძალებულობას არ იჩენდა. დღესასწაულები უყვარდა და საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩენა. სიამოვნებდა, საკადრის ყურადღებას რომ იპყრობდა. უყვარდა ყველაფერი, რაც მხიარულებასა და უდარდლოებას ანიჭებდა, ჭირვეულობა გასდიოდა და მომავალზე არ ზრუნავდა. არც დიდი მეოცნებე იყო, არც არაფერს აპროტესტებდა. მზის სხივივით ანათებდა, ყველას უყვარდა,

საყოველთაო აღტაცებას იწვევდა, თვალეში შესცივინებდნენ, ასე აღიზარდა და ასე უნდოდა გაგრძელებულიყო, მეტი არაფერი.

აკვარელის ნახატები მოსწონდა, ვერ იტანდა ვაშლის ტორტებსა და დარიჩინიან ფუნთუშებს, საათობით იღებდა ვარდის წყლის აბაზანებს, ნებივრობდა ატმის ყვავილების ქაფში, თავლით ირბილებდა ხელებს და სარკვეში საკუთარი ანარეკლით საათობით ტკებებოდა. არ გამორჩებოდა მოდის ჟურნალები, სულ უფრო რთულად რომ მოიპოვებოდა და იმაზე ფიქრობდა, რამდენი ლამაზი კაბა შეეძინა.

კიდევ ერთი გატაცება ჰქონდა: ბავშვები უყვარდა ძალიან და ყველაზე მეტად კი თავისი დისშვილი კოსტია. ისიც სიყვარულითვე პასუხობდა, როგორც კი დაინახავდა, გაიტრუნებოდა და დიდხანს უყურებდა, თვალს ვერ აშორებდა. საათობით თამაშობდნენ ერთად, იცინოდნენ, ცელქობდნენ. მას მერე, რაც მათთან ის უხეში, უტიფარი მუშები დაბინავდნენ თავიანთი ოჯახებით, ქრისტინეს შესძულდა თავისი სახლის სივინროვე; აღიზიანებდა ლიდას ღვთისმოსაობა და მისი შენიშვნები გამომწვევი ჩაცმულობის გამო, დედამისის გადამეტებული მზრუნველობა და მეთვალყურეობა, ყველაზე მეტად კი შემოსახლებულთა პროვინციული ჩამორჩენილობა და შეზღუდულობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთ ჟურნალს ფურცლავდა, როგორც იყო „მოდური ქალი“ ან უცხოურ ფილმებს უყურებდა თავის საყვარელ კინოთეატრში, სადაც ქალები ელეგანტურები, თამამად შემოსილნი და გალაღებულნი იყვნენ - და მაინც, ქრისტინე შინ ჩინებულად გრძნობდა თავს.

ივნისში, სკოლა დაამთავრა თუ არა, უადრესად მნიშვნელოვმა წერილმაც არ დააყოვნა: რამაზი მთელ ოჯახს თბილისში ეპატიჟებოდა. თავის დაბადების დღეზე, ოცდათექვსმეტი წლის აღსანიშნავად დიდი ზეიმი განეზრახა.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ თბილისში ქრისტინე, მამა, დედა და ლიდა გაემგზავრნენ. ლამაზ სასტუმროში დააბინავეს მთანმიწიდაზე და მეფურად გაუმასპინძლდნენ.

მეორე საღამოს წვეულება გაიმართა რამაზის სახლში, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ქალაქის ძველ უბანში, ვერაზე. სურთი შემოსილმა და საუცხოო ყვავილნარით გარშემორტყმულმა წინა საუკუნის დიდებულმა ვილამ, ბრწყინვალე სტუმრებმა, რამაზის სტუმართმოყვარეობამ, მისმა გალანტურობამ, იუმორის გრძნობამ და თვალსაჩინო პოპულარობამ, სიმდიდრემ და გამორჩეულმა ზეიმმა სათანადო შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ოჯახზე. ასე რომ, უმცროსი ქალიშვილისკენ მიმავალ გზაზე წინააღმდეგობა არ უნდა შეხვედროდა.

რამაზისნაირი მაღალჩინოსანი ჩემი ქალიშვილის უდარდელ მომავალს უზრუნველყოფსო, - ფიქრობდა შოკოლადის ფაბრიკანტი. სიმონისა და სტასიას არასახარბიელო გამოცდილების, მათი ნაჩქარევი

ქორწინებისა და შუათანა დის, მერის დანგრევისპირას მისული ოჯახის მერე ქრისტიანსათვის ეს საუკეთესო შანსი უნდა ყოფილიყო (უიღბლო ქორწინებით გატანჯული და გამწარებული მერი განუწყვეტლივ სწერდა ქუთაისიდან სასონარკვეთილ წერილებს მამამისს, შველას და გაყრის უფლებას ითხოვდა). ასეთი ქმრები არ უნატრია შოკოლადის ფაბრიკანტს თავისი ქალიშვილებისთვის, განსაკუთრებულ ტკივილს სტასიას ჩამქრალი თვალები აყენებდა, მისი სოფელში შრომისგან გაუხეშებული ხელები და დუმილი.

ასე რომ, ქრისტინე მისი უკანასკნელი იმედი იყო, ამჯერად აღარ უნდოდა და აღარც შეეძლო შეცდომა დაეშვა.

ქრისტინეს კი (არა მგონია, იმის დრო ჰქონოდა, რომ დაფიქრებულიყო, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი მისთვის) აქამდე ვერავის შეეყვარება ვერ მოესწრო და მით უმეტეს, მასზე ბევრად უფროსი რამაზ იოსებიძის. მეორე მხრივ, მოიხიბლა მისი განსაკუთრებული საჩუქრებით, გულუხვი დაპატიჟებებით, მისი სურვილიანი მზერით, მისი დიდებულებითა და სიმდიდრით. და როცა შუა ზაფხულში რამაზმა მისი ხელი ითხოვა, დედაქალაქში საცხოვრებლად გადასვლის იმედით, მშობლების მიერ წახალისებულმა ქრისტინემ თანხმობა განაცხადა.

საუცხოო ქორწილი გადაიხადეს, როგორც იქნა, შესაფერისი ზეიმი გაიმართა უსასრულო შლეიფითა და ათასი თეთრი ვარდით. უთვალავი სტუმარი და მეგობარი მოიწვიეს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, სოფლებიდან და ქალაქებიდან, უზარმაზარი სუფრა გაიშალა უძვირფასესი კერძებით და, რა თქმა უნდა, განთქმული შოკოლადის ტორტით. სიძე-პატარძლის გამოსახულება შოკოლადით ჩამოასხეს და ტორტზე მოათავსეს – თუმცა სიძე შოკოლადისას ნამდვილად არ ჰგავდა თავისი წვერით, შთამბეჭდავი მუცლის გარშემოწერილობითა და მელოტი თავით. იყო დიდი ჭამა-სმა, ცეკვა-თამაში, სიცლი-კისკისი, ხვევნა-კოცნა და სადღეგრძელოები. ორკესტრი ხალისიან მუსიკას უკრავდა. გვიანი იყო, ჰაერი – დახუთული.

სტასიამ საზეიმო დარბაზი დატოვა, ჩაბნელებულ ბაღში შეაბიჯა, სუფთა ჰაერზე განმარტოება მოუნდა და მომხდარ მოვლენებზე დაფიქრება. ბაღის სკამზე მოკალათდა სიბნელებაში და ხელები თავის გაბერილ მუცელზე შემოინყო.

გვარიანად აციებულიყო, მიწა ფერად ფოთლებს დაეფარა. ზურგზე მსუბუქი შეხება იგრძნო და გვერდით ქრისტინე ამოუდგა, თვალისმომჭრელად თეთრი.

– მეც მომინდა სუფთა ჰაერზე. რა მომქანცველი ყოფილა დაქორწინება! – წარმოთქვა ერთბაშად დაჯვინებულმა და ოხვრით მიუჯდა სტასიას.

– სულ არ გიყვარს, არა?! – წამოცდა სტასიას და სანამ სიტყვას დაამთავრებდა, უკვე ინანა.

ქრისტიანე წამოხტა და უკმაყოფილოდ შეხედა დას, რომელიც მასთან შედარებით წამოზრდილ ბიჭს უფრო ჰგავდა. გრძელი ნაწნავი ზურგს უფარავდა, გარემოების მიუხედავად, შეუღებავი იყო და უბრალო ჩითის კაბა ეცვა, ლურჯთეთრკოპლებიანი.

- სამაგიეროდ, იმას ვუყვარვარ ორივეს სანაცვლოდ. თანაც მე უკვე მიყვარს ის ცხოვრება, რომელიც მექნება, - უპასუხა ქრისტიანემ მომაკვდინებელი გულახდილობით.

- ასეთი აზრებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა ხარ.

- ეჰ, სტასია, ისევ ისეთი რომანტიკული ხარ. ძალიან მალე მეც გავაჩენ შვილებს, პირველი ბიჭი მინდა იყოს, ისეთივე საყვარელი, როგორიც შენი კოსტიაა.

ქრისტიანემ მუცელზე დაადო სტასიას ხელი.

- ნებისმიერ შემთხვევაში ბედნიერებას გისურვებ, ჩემო პატარა დაიკო, - უთხრა სტასიამ და გაუღიმა.

- და შენ რომ გიყვარდა, რა? განა შენმა ლამაზმა სიყვარულმა ბედნიერება მოგანიჭა?

ამ შეკითხვაზე სტასია შეკრთა და ოდნავ განცალკევდა ქრისტიანესგან, რომელსაც ამ დროს დაუძახეს. ხოლო როცა ორკესტრმა უმაღლესი აკორდი აიღო, ზღაპრულ კაბაში გამოწყობილი პატარძალი სწრაფად დაბრუნდა დარბაზში და თავის ახალ ცხოვრებაში შეაბიჯა, სტასია კი გარეთ დარჩა. ის სევდიანად აპყურებდა ვარსკვლავებს და ფიქრობდა, ნეტავ რას აკეთებს პეტრე ვასილიევი და ახლა ვის ასწავლის ცეკვასო, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება, სიმონ ჯამის ტკბილ ცდუნებას თავგზა რომ არ აერია ჩემთვისო. მისი უმცროსი დაც კი უფრო ჭკვიანი და წინდახედული აღმოჩნდა, თუმცა თვითონ სულ მალე მეორედ გახდებოდა დედა.

ქრისტიანე თავის გავლენიან ქმართან გადასახლდა დედაქალაქში, სტასია შვილებიანად - ქრისტიანეს ყოფილ სალათისფერ ოთახში, მის ქალაქში კი ამგვარმა პლაკატებმა სულ უფრო და უფრო იმატა: „ჯაშუში ლამობს პარტიზლეტის ხელში ჩაგდებას“ ან „ღირექტორის ნიღბის ქვეშ მტერი იმალება“.

მომდევნო სამი წელი სტასია თავისი შვილების ყოველდღიურობით ცხოვრობდა. ისევ ქმრის შვებულებას ელოდა, რომელსაც ყოველი ივნისის დასაწყისშივე ათავისუფლებდნენ ხოლმე და შინ უშვებდნენ ოთხი კვირით; მართალია, წინანდელზე მეტად გამოცოცხლებული და ალაპარაკებული იყო, მაგრამ ის სიმონი, რომელიც სტასიას კვლავინდებურად უყვარდა და ვის ძიებასაც ამაოდ ესწრაფოდა, აღარასდროს დაბრუნებულა.

მას მერე, რაც ღირექტორის მეორე თანაშემწედ ჩამოაქვეითეს, მამა სულ უფრო იშვიათად დადიოდა შოკოლადის ფაბრიკაში. ქრისტიანე ვარდის წყლის სურნელით გაჟღენთილ წერილებს იწერებოდა,

რომლებშიც თავის დიდებულ ცხოვრებას და ზღაპრულ მოგზაურობებს აღწერდა ან მოსამსახურე გოგოს უჩიოდა. ხანდახან იშვიათ და ძვირფას ნივთებს აგზავნიდა პატარა ამანათებით: მამისთვის სომხური კონიაკი, ძვირფასი შალი ლიდასთვის, კარამელის კანფეტები და ლამაზი საშარვლე ქსოვილი კოსტიასთვის, მშვენიერი საყურე დედისთვის და ასე შემდეგ.

სტასია წინდებს კემსავდა, ჩამომჯდარს ხშირად დაინახავდით ჩამორთმეული სახლის ხის პანია აივანზე, რომელიც უკვე ქალაქის მმართველობას დაქვემდებარებულ ხილის ბაზარს და ქსოვილების მაღაზიებს გადაჰყურებდა. სტასია ერთთავად რაღაცას გასცქეროდა. ზოგჯერ თავის წითელ ობერლეიტენანტს სწერდა ხოლმე, უფრო ჩვევის გამო, ისიც ძირითადად ბავშვებსა და ფინანსურ პრობლემებზე. ყოველ ექვს თვეში ერთხელ ფოტოგრაფთან მიდიოდა, ბავშვების სურათებს უკვეთდა და მაგარ მუყაოზე დანებებულ მოყავისფრო ფოტოებს წერილთან ერთად უგზავნიდა ქმარს.

ახლა კი, ბრილვა, მინდა უფრო დეტალურად გაგაცნო ის პატარა პენსნიანი კაცი, რომელსაც ის-ის იყო, უდიდესი გავლენა უნდა მოეპოვებინა:

ეს პატარა კაცი წარმოშობით ქართულ-აფხაზური სოფლიდან იყო, რომელსაც მერხეული ერქვა, სიღარიბეში გაზრდილი, არცთუ ბრწყინვალე განათლების პატრონი. ის ბაქოში დაეუფლა ტექნიკური ინჟინერის პროფესიას, და სამსახური იშოვა კასპიის ზღვასთან, ჯერ კიდევ მშენებარე ნავთობის მრეწველობაში, რომელსაც იმ დროს შვედური ოჯახი – ნობელი (დიახ, დიახ, ის ნობელი) ფლობდა.

როგორც ამბობდნენ, ეს აზერბაიჯანის საიდუმლო სამსახურის, მუსავატის წყალობით მოახერხა, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარებოდა ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურს, ამიერკავკასიაზე რომ ეჭირა თვალი. პარტიაში ოცი წლისა შესულა, ანუ 1919 წელს – თუმცა სულ ირწმუნებოდა, რომ ერთ-ერთი პირველი კომუნისტი იყო და უკვე 1917 წლიდან – პარტიის წევრი. მაგრამ იგი ყოველთვის მეტად თავისებურად აღიქვამდა სიმართლეს. ხოლო სახელგანთქმული თანამემამულისგან განსხვავებით, კრიმინალური წარსული არ უმტკიცდებოდა და – რაც ყველაზე გასაოცარია – დასაწყისში სულ არ გამოუვლენია პოლიტიკური ამბიციები. ყველა, ვინც მას ადრე იცნობდა, ამბობდა, რომ მისთვის მთავარი იყო „წარმატებისთვის მიეღწია“, თავისი მწირი განათლება და დაბალი სოციალური მდგომარეობა გაუუმჯობესებინა, ლატაკი დედა და ყრუ-მუნჯი და წესიერად გამოეკვება, მაღალი წრის ლამაზ ქალებზე შთაბეჭდილება მოეხდინა. დამეთანხმები, მეტად ბანალური ამბიციებია.

და მაინც, ლამის ავადმყოფური დაჟინებით ცდილობდა მაღალ ფენებში შეღწევას, და თუ არ მარცხდებოდა, მხოლოდ იმიტომ რომ

საკმარისად განათლებული, დახვეწილი და მომხიბვლელი არ ჩანდა, ამის შესაბამისად, შეუპოვრად მიიწვედა, რათა უკეთეს საზოგადოებაში მოეკიდა ფეხი. მაგრამ ერთ დღეს ამ პატარა კაცმა, ოპერითა და ლამაზი ქალებით გატაცებულმა, მაინც მოახერხა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა სანადელის აღსასრულებლად: 1922 წელს თბილისს ქართული ჩეკას საიდუმლო ოპერატიული ნაწილის ხელმძღვანელად მოველინა, რათა ეფექტური წინააღმდეგობა გაენია კონტრრევოლუციონერებისთვის. ერთი წლის შემდეგ ისეთი საფუძვლიანი სამუშაო ჰქონდა უკვე ჩატარებული, რომ წითელი ვარსკვლავი მიანიჭეს. იმ წელიწადს, როცა კოსტია სკოლაში წავიდა, ამ კაცს თავისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტი უკვე ეკავა და პირადად ექვემდებარებოდა თანამემამულეს, რომელსაც უკვე იოსები, სოსო ან კობა აღარ ერქვა, რომელმაც თავბრუდამხვევი კარიერის შედეგად შიდაპარტიული ტრიუმფირატი დაამარცხა და მზად იყო, მარტო ჩასდგომოდა უზარმაზარ სახელმწიფოს სათავეში – ფოლადის კაცი, სულ მალე ბელადი და გენერალისიმუსი.

* * *

სკკპ არის ჩვენი ეპოქის ტვინი, დიდება და სინდისი.
წარწერა პლაკატზე

ერთ დილას სტასიამ დედაქალაქიდან მიიღო ტელეგრამა, რომლითაც მისი და ქრისტინე საახალწლო მეჭლისზე ეპატიჟებოდა. ბარათი იმასაც იტყობინებოდა, რომ ცოტა ხნის წინ რამაზი პატარა კაცის მოადგილედ დაუნიშნავთ და გაუხარდებოდა ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღნიშვნა დასთან ერთად. ქრისტინე სთხოვდა გამორჩეულ, სამეჭლისო ჩაცმულობას. სხვა ყველაფერზე თავად იბრუნებდა.

ლიდამ ბავშვებს დავიტოვებო და სტასიამ გადანყვიტა, ორიოდ დღით დაევიწყებინა ყოველდღიური საზრუნავი და დედაქალაქში გამგზავრებულიყო, რომელიც, როგორც ამბობდნენ, საქართველოს კპ-ს წყალობით ყვაოდა, ვითარდებოდა და რეკორდული რაოდენობის სტუმარს მასპინძლობდა.

მატარებლით მგზავრობას მხოლოდ ერთი ღამე დასჭირდა. ყოველთვის უნდოდა პარიზი ენახა და ახლა კავკასიის პარიზში ჩადიოდა. ეს იყო ქალაქი სურნელოვანი ბაღებით, ახალი კაფეებითა და ძველი სახლებით, გრძელი ქვაფენილებითა და მტვრიანი ქუჩებით; ქაშერული საყასბოებითა და კათოლიკური ეკლესიებით, ძვირფასი ეტლებით, პრიალა ავტომობილებთან ერთად ქუჩებს რომ ამკობდნენ, ცხოველების გამყიდველებით, ღვინისა და ხალიჩების ვაჭრებით, ლიტერატურული, საცეკვაო და თეატრალური წრეებით, თეატრებითა და ოპერით, მშენებარე საცხოვრებელი სახლებით და ბოლშევიკური არქიტექტურით,

საუკუნოვანი ციხესიმაგრეებით და უთვალავი ეკლესიის გუმბათით, ებრაული და სომხური უბნების ვიწრო ჩახლართული ჩიხებით, გოგირდის აბანოებით, დანგრეული შიდა ეზოებით და დიდებული ვილებით.

სადგურზე ხალხი ჭიანჭველებივით დაფუსფუსებდა, თეთრწინსაფრიანი გამყიდველები თონიდან ახალამოყრილ პურს სთავაზობდნენ გამვლელებს, ბოშა ქალები პატარა თუთიყუშებით მომავლის წინასწარმეტყველებას ეპირებოდნენ. სტასია იდგა იქ თავისი შავი ჩემოდნით ხელში, პეტერბურგიდან რომ ჩამოიყოლა, და დას ელოდებოდა...

ქრისტინეს ნაცვლად ვიღაც ხნიერი კაცი შეეგება და ავტომობილში ჩასვა, ცხენების მოყვარულ სტასიას ასეთი პატივი ეხამუშა.

ყოფილ მეფისნაცვლის სასახლესთან მძღოლმა გვერდითა ქუჩაზე შეუხვია და ციცაბო აღმართს აუყვა, უამრავი მიხვეულ-მოხვეული ვიწრო გასასვლელებით გორაკზე ავიდა, საიდანაც ძველი თბილისის უმშვენიერესი ხედი იშლებოდა.

იქ ერთ-ერთი დიდებული სახლის წინ გაჩერდნენ. ჭიშკარი გამხდარმა ბიჭმა გააღო და სტასია ულამაზეს ყვავილნარში აღმოჩნდა, შუაში შადრევნი მოეწყოთ, სადაც ქვის ამური წყალს თანაბრად აფრქვევდა. სანამ გაოცებული სტასია გამოერკვეოდა, შრიალი გაიგონა და მას ქრისტინე შეეგება, ლაჟვარდისფერ, მუხლამდე კაბაში გამოწყობილი, ეტყობა როგორც დედაქალაქში იყო მიღებული, და დას ორივე ლოყაზე აკოცა.

- რა გადასარევია, რომ ჩამოხვედი, სტასია. მართლა ძალიან მიხარია! - წამოიძახა ქრისტინემ და პასტელის ფერებში გადანყვვტილ ორსართულიან, ორნამენტებით მოკაზმულ სახლში შეიპატიჟა.

სასტუმრო ოთახი გაეწყოთ მდიდრული ავეჯითა და სპარსული ხელით ნაქსოვი ხალიჩებით, უამრავი ძვირფასჩარჩოიანი სურათი ამშვენებდა კედლებს. მე-17 საუკუნის ბამბუკის სარწვეველა-სავარძლები და კარადები სიხალვათეს არ ზღუდავდა. მუქი მწვანე ხავერდის ფარდები მოხდენილად ავეცვათ, შინამოსამსახურე ქალები, ორი სპარსული კატა, რადიოდანადგარი (მის შესახებ სტასიას რომელიღაც გაზეთში ჰქონდა წაკითხული), რამდენიმე გრამოფონი და ოქროთი მოვარაყებული ლარნაკები უჩვეულ სანახაობად იქცა მგზავრობით დაქანცული სტასისათვის.

მოსასვენებელი ოთახი გამოუყვეს, ნათელ ოთახში დიდი სივრცე იყო, შესანიშნავი ხედით და მეფური სანოლი თეთრი გადასაფარებლით, რომელსაც წინ ჩინური შირმა ჰქონდა. კედლებზე ვერცხლის ჩუქურთმიანი სარკეები ეკიდა.

ქრისტინე და მისი ქმარი ბრწყინვალე მასპინძლები აღმოჩნდნენ. მაღალი წრის მდიდარი და მომხიბვლელი თბილისელები კრძალვით ეპყრობოდნენ მათ.

რამაზის ოჯახი სამხრეთ-დასავლეთის პატარა სოფლიდან იყო. მეფის დროს საკმაოდ ცნობილი, აბრეშუმის ექსპორტს ეწეოდა და თაობიდან თაობამდე ორ აბრეშუმის სანარმოს ფლობდა სამხრეთში. რამაზმა, ოჯახის ერთადერთმა მემკვიდრემ, ბრწყინვალე განათლება მიიღო და ახალგაზრდობაში მთელი ევროპა შემოიარა. თავისუფლად ლაპარაკობდა ოთხ ენაზე. მაინცდამაინც გერმანიაში, სადაც რამდენიმე თვეს ცხოვრობდა, ოჯახის გულის გასახეთქად მარქსისტული იდეები აიტაცა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი პირველი წევრი გახდა. ცოტა ხანში ანტიცარისტული აგიტაციისთვის დააპატიმრეს და ტურუხანსკში გადაასახლეს, საიდანაც ორი წლის შემდეგ შეწყალებული უკან დაბრუნებულა, ამბობენ, იქ, საკანში მასთან ერთი თვით მისი თანამემამულე იოსები, სოსო ანუ მოფერებით კობა მჭდარა, მაგრამ ამ ფაქტის დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს (ალბათ, ასე იმიტომ ამბობდნენ, რომ ასეთი წარმატებული და ცხოვრებისგან განებივრებული რამაზის ზეადმავალი ბიოგრაფია მფარველის არსებობით აეხსნათ; ბევრს მიაჩნდა, რომ რამაზს აუცილებლად უნდა ჰყოლოდა მფარველი).

რამაზის მამას, ძველი ყაიდის კაცს, სძულდა კომუნისტები და საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში იყო ჩაბმული.

თავიდან თურმე „მესამე დასსაც“ კი უჭერდა მხარს ფინანსურად და ამგვარად არცთუ მცირე წვლილი შეუტანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებაში.

როცა ქვეყანა ბოლშევიკებმა დაიპყრეს და ფაბრიკები ხელიდან გამოეცალათ, ოჯახი ემიგრაციაში წავიდა პარიზში, ისევე როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებელი უფროსი თაობის უმრავლესობა. რამაზი საქართველოში დარჩა.

რაკი თავისი მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი პარტიას შესწირა და ამით წითლების ბევრი ჩანაფიქრის შესრულება გახადა შესაძლებელი, სამშობლოში საკუთრების დარჩენილი ნაწილი არ ჩამოართვეს, რომელსაც ის გემოვნებიანი და ჰედონისტური ცხოვრებისთვის იყენებდა, თავისი ბოლშევიკური შეხედულებებისა და ჩეკისტობის მიუხედავად. არავის და არასდროს ელაპარაკებოდა თავისი საქმეების შესახებ, ცოლსაც კი, რომელსაც ისედაც არ აინტერესებდა ეს. გულანთებული კომუნისტი იყო, სოციალიზმის ჭეშმარიტებისა და გარდაუვალი გამარჯვების სწამდა, ტროცკივით პერმანენტულ რევოლუციას უჭერდა მხარს და დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან რევოლუცია მთელ მსოფლიოს მოიცავდა. ერთადერთი, რაც რამაზმა თავისი იმპერიალისტური აღზრდის წყალობით შეიძინა და არ დათმო, იყო ხელოვნებით გატაცება. ოღონდ არა ბოლშევიკური ან სოციალისტური ხელოვნებით. არავითარი იდეოლოგია და პროლეტარული გმირები და

არავითარი სოციალისტური რეალიზმი – ის ხელოვნება, მისი პარტია რომ მოითხოვდა.

მხატვრობა უყვარდა გამორჩეულად და კოლექციონერი იყო. – იმპრესიონისტები, სიმბოლისტები იტაცებდა და ახალი თაობისგან სიახლის მაძიებელი მხატვრები, აკრძალულ ტილოებს პატარა საიდუმლო ოთახში ინახავდა, სადაც კარადაში დამალული კარით გადიოდა თავისი კაბინეტიდან. იქ საათობით რჩებოდა და აღფრთოვანებული თავისი კოლექციით, ტკობას ეძლეოდა.

ადრე რამაზი ქალაქში ცნობილი მექალთანე ყოფილა. უამრავ სასიყვარულო თავგადასავალს მიაწერდნენ მსახიობებთან, საზოგადოებაში სახელგანთქმულ ქალებთან, ქვრივებთან, მეცენატებთან და მოსამსახურებთანაც კი. მაგრამ არც ერთი მათგანი არ მოუყვანია ცოლად. როცა თბილისში ხმა გავარდა, არასრულწლოვანი პროვინციელი გოგო შეირთო, ეს მთავარ განსახილველ თემად იქცა მთელი ქალაქისთვის სალონებში და სუფრებთან. რა აბსურდულ მიზეზებს აღარ იგონებდნენ მის სახლში შესაღწევად, რათა მისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ეხილათ. მართალია, უკლებლივ ყველა აღიარებდა ნორჩი პატარძლის მშვენიერებას, რომ რამაზის რჩეული უნაკლო იყო, მაინც ვარაუდობდნენ და ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ ეს ქორწინება, ასეთი ერთგულებით დიდხანს ვერ გასტანდა და არა უგვიანეს ერთი წლისა, რამაზი ისევ დაუნწყებდა დევნას ყოველ მომხიბვლელ კაბის კალთას.

სამსახურის გარდა რამაზი მუდამ ცოლის თანხლებით გადიოდა შინიდან. მივლინებებში თან მიჰყავდა, პრემიერებზე, გამოფენების გახსნაზე ხომ, რასაკვირველია, და მის პატივსაცემად დიდ წვეულებებსა და ბეიმებს მართავდა საკუთარ სახლში.

გამორჩეული წყვილი იყო. რამაზი – უზარმაზარი, ძლიერი, გოროზი, ნახევრად მელოტი, დიდპირიანი, კეთილი, მუდამ წყლიანი თვალებით. ქრისტინე კი – ფილიგრანული ნაზი არსება, თვალწარმტაცი, სპილოს ძვლისგან ნატიფი. ტანკენარი იყო, მაგრამ ქმარს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა, და მაინც, მის გვერდით რამაზი უსუსური, თითქმის შეუმჩნეველი ხდებოდა.

სკანდალი, რომელსაც იოსებიძეების ბრწყინვალე სახლში ყველა ელოდა, არ მოხდა. პირიქით, ცოლ-ქმარი კვლავინდებურად ერთმანეთს შეფრფვინვოდა. ცხადია, ყველა იმ აზრზე იყო, რომ ეს პროვინციელი გოგო მარტო მისი მდგომარეობისა და და ფულის გამო გაჰყვა რამაზს ცოლად, მაგრამ როცა არ უნდა გამოჩენილიყო ეს ბედნიერი წყვილი საზოგადოებაში, ქრისტინე ქმარს შესცივინებდა და წარმოსადეგი ახალგაზრდა მამაკაცებისაკენ თვალი არ გაურბოდა. და რასაკვირველია, არც მოწყენილობა ემჩნეოდა ქმრის გვერდით. ბოლოს

და ბოლოს, ქალაქს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, მათი ბედნიერება ელიარებიანა.

სტასიამაც, რომელიც ასევე სკეპტიკურად იყო განწყობილი თავისი დის ოჯახური იდილიის მიმართ, სტუმრობის დღეებში გული დაიმშვიდა, რომ ქრისტიანმა ნამდვილად იპოვა თავისი ადგილი. სანამ თვითონ ქუჩებში დასეირნობდა (მძლოლის მომსახურებაზე კატეგორიული უარი თქვა, რამდენჯერაც კი სცადა ქრისტიანმა ავტომობილის უპირატესობაში მისი დარწმუნება). ბაზრებს ათვალიერებდა, პარკებსა და კაფეებს სტუმრობდა, მისი უმცროსი და გართული იყო თავისი საახალწლო მეჭლისის სამზადისით, რომელიც იმ წლის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა უნდა გამხდარიყო.

31 დეკემბერს - 1927 წლის ბოლო დღეს - ორივე დამ ახალი ნაცნობობა გააბა, რამაც სამუდამოდ შეცვალა მათი ცხოვრება. ჩვენი ისტორიის ხალიჩის ქსოვა გაგრძელდა, ბრილვა, პომპეზური, საკარნავალო, მოელვარე, და მათთან ერთად ბნელი და მუქარის შემცველი მოტივები გამოიკვეთა.

იქნებ იმ დამეს პირველად დაინტერესდა ჩვენი ბედისწერა, იქნებ ეს რომ არა, ხალიჩა ლამაზი, სადა და პასტელისფერებიანი გამოსულიყო, იქნებ მჭახე ფერები არც შერეოდა, ან იქნებ უბრალოდ შემთხვევით შეიყარნენ ეს ადამიანები ერთ ადგილას, ან იქნებ ბუნების ახირება იყო, დაუოკებელი, უცაბედი, საშინელი განზრახვა.

მაგრამ ჯერ არც ერთმა მოქმედმა პირმა არ იცოდა, რა წარმოდგენაში მონაწილეობდნენ. უბრალოდ ლამაზი, საზეიმო საახალწლო საღამო იყო.

ქრისტიანმა მზარეულების, მსახურების სრული შემადგენლობა და ორვესტრი დაიქირავა, სახლი ყვავილებით მორთო. სტასიას არ შეეძლო, ქრისტიანეთი არ აღფრთოვანებულიყო: როგორი სიმსუბუქით, როგორი გატაცებით, როგორი თავდაჯერებულობით ტრიალებდა, როგორც სალონებში აღზრდილი ნამდვილი ქალბატონი, და ყველაფერს აკეთებდა, რათა სტუმრებისთვის რაღაც განსაკუთრებული შეეთავაზებინა, როგორც კი ისინი მის სახლში შეაბიჯებდნენ.

სტასია გაოცებას ვერ ფარავდა, როგორ მოხდა, რომ ისინი, ერთ სახლში, ერთნაირად აღზრდილი დები, ერთი მამის შვილები, ასეთი განსხვავებული იყვნენ. თითქოს ქრისტიანე საგანგებოდ მოამზადეს გარშემომყოფთა მოსახიბლად, რათა მათ გაედმერთებინათ. სტასია იმასაც აღიარებდა, რომ რომ ქრისტიანე არაჩვეულებრივად გამოიყურებოდა მთელ ამ ფორიაქში, უჩვეულოდ ხალისიანი, თავდაჯერილი, მსუბუქი, მომხიბვლელი რჩებოდა და მისთვის დამახასიათებელ მიმზიდველობას ინარჩუნებდა. სათნოდ და ამავდროულად მედიდურად ეჭირა თავი.

ქრისტინე თავის საძინებელ ოთახში ჩაიკეტა ტანსაცმლის გამოსაცვლელად და როცა დაბრუნდა, ისე უზადოდ გამოიყურებოდა, სტასიამ გაოცებისგან შეჰკვივლა.

ქრისტინემ თავისთვის და ქმრისთვის პირველად მეფე-მზისა და მარია ანტუანეტის კოსტიუმები შეარჩია, მაგრამ რამაზმა გადაწყვიტა, რომ ეს შეტისმეტად დეკადენტური გამონვევა იქნებოდა (ასეთი ჩაცმულობა შეიძლება არასწორად გაეგოთ, პროვოკაციად მიეჩნიათ) და ცოლს სთხოვა, რამე უფრო მარტივი მოეფიქრებინა. ძველრომაული სამოსი საკმარისად მოკრძალებული იქნებაო?! – არ შეარჩინა ქრისტინემ. ეს შეთავაზება კიდევ უფრო ნაკლებად მოეწონა რამაზს, სულაც არ უნდოდა, თავისი ცოლის ნახევრად შიშველი, ღვთაებრივი სხეულისთვის სხვა მამაკაცებს ეცქირათ (მით უმეტეს, რომ ვერც საკუთარი თავი წარმოედგინა სპარტაკის სამოსში). საბოლოოდ, გემოვნებიან და სადა ვარიანტზე შეთანხმდნენ, დახვეწილი ვენეციური ნიღბები უნდა გაეკეთებინათ. ასე არაფერი შეგვეძლებაო და ასეთი ჩაცმულობა გაუგებრობას აგვარიდებსო – ფიქრობდა რამაზი.

ქრისტინეს აბრეშუმის ზღაპრული კაბა ემოსა, ფირუზისფერი, სადად განწყობილი, ოდნავ ვიწრო, შესაძლოა, ფერით ცოტა უჩვეულო, დეკოლტეც კი არ ჰქონდა, პირიქით, ყელამდე დახურული იყო, მხოლოდ შავი მარგალიტის გრძელი მძივით დამშვენებული – რამაზმა რომ აჩუქა დაქორწინებამდე.

მაგრამ როცა ქრისტინემ ჩაუარა, სტასიამ ძლივს შეიკავა თავი სიცილისგან. კაბა ზურგზე ღრმად იყო ამოჭრილი. პატარა საყელო იჭერდა მხოლოდ მთელ კაბას, მეტი არაფერი. ისე ღრმად იყო ამოჭრილი, რომ საჯდომის ზემო ღრმულებსაც კი აჩენდა.

– რა იყო?– ჩაიფხუკუნა ქრისტინემ და დას გახედა.

– შენი აზრით, ვის განასახიერებ?

– თუ ვინმე მკითხავს, ვეტყვი, რომ კურტიზანი ვარ, რომელსაც თავყანისმცემლებში გაუმართლა. მყავს მუდმივი კლიენტები, თავადები და ვაჭრები. თუ არავინ მკითხავს, მაშინ უბრალოდ ის ვარ, რაც ვჩანვარ, ამ ზღაპრულ კაბაში, – უპასუხა ქრისტინემ და გვერდით ოთახში მიიშალა მაკიაჟისთვის, – დაუჩქარე! – გამოსძახა დას.

დაახლოებით ცხრა საათზე სახლი ახმაურდა. ქრისტინემ ორჯერ ააგზავნა მოსამსახურე გოგო თავის დასთან.

მერე კი სტასიამ უცნაური რამ მოიმოქმედა. ქრისტინეს გარდერობზე ყველა გაპრიალებული სარკე დაფარა. ნაჭრები, საბნები, პალტოები ააფარა. შეიძლება იმისთვის, რომ მისი ოცნება ოცნებად დარჩენილიყო და შერყეულ რეალობად არ აღექვა. ან იქნებ გამბედაობა უნდოდა მოეკრიბა სამეჯლისო კოსტიუმის ჩასაცმელად.

თმა გადაიწია, ქორწინების ბეჭედი მოიხსნა, რომელიც სულ არ უხდებოდა მომაკვდავ გედს, და სანამ ოთახიდან გავიდოდა, კიდევ

ერთხელ დახუჭა თვალები. თვალწინ დაუდგა დიდი, ცარიელი, გაყინული დარბაზი თველას სახლში, გრამოფონის მუსიკა ჩაესმა, პეტრე ვასილიევის მითითებები, წარმოიდგინა, როგორ ტრიალებდა პარკეტზე და წაიხვეწა კიდეც, სანამ კიბეზე დაეშვებოდა და ბრწყინვალე მეჭლისს შეუერთდებოდა.

ჯადოქრები და დედოფლები, მეკობრეები და მუშკეტრები, ყაჩაღები და გველქალები, ყველაზე მეტნი კი გლეხები და ჯარისკაცები იყვნენ, იცინოდნენ და შამპანურს სვამდნენ. იმ არცთუ ცივ ახალი 1928 წლის დამდეგ ღამეს ორკესტრი რალაც მსუბუქ და ლამაზ მუსიკას უკრავდა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე წარმომიდგენია. იქნებ ცოტა სვინგსაც კი მტრული კაპიტალისტური ქვეყნიდან? რატომაც არა...

ამ დროს ჩვენი სტასია, საოცნებო არსება, თეთრი გედის სამოსში გამოწყობილი, კიბეზე ჩამოფარფატდა. ქრისტიანეზავით ელევანტური ვერ იყო, ის ყველას ატყვევებდა, მაგრამ სხვანაირად მომხიბვლელი ჩანდა, იმიტომ რომ ოცნება ემოსა, ფიქრი, იდეა, ან იქნებ შესაძლებლობა... ზედმეტად წვრილი ფეხები ცხენზე ხშირი ჯდომისგან ოდნავ გაჰლუნვოდა, სახეზე გაუბედაობა და უხერხულობა აღბეჭდვოდა, ხელები ცოტა უკანკალებდა, ცხვრის წვერი შეფაკვლოდა კიდეც, მაგრამ მაინც ბედნიერი ჩანდა, იმ საღამოს ნამდვილად აბედნიერებდა, ალტაცებით რომ უყურებდნენ და უღიმოდნენ, რომ ცოტა ხნით მაინც დაიჭერა, მისი ოცნება სინამდვილედ შეიძლებოდა ქცეულიყო, თუნდაც გაელვებით ოცნება აუხდებოდა.

იქნებ ეს იმ ღამის ბედისწერა იყო, სოფიოს მკლავებში რომ აღმოჩნდა. პირდაპირი მნიშვნელობით.

როცა ამ შეხვედრის შესახებ ვეკითხებოდი სტასიას და მისი ჭირვეულობის მიუხედავად, სულ უფრო მეტ წვრილმანს ვთხოვდი, რომ გაესხენებინა, ჩვეული სიტყვამომჭირნეობითა და მოკლედ მპასუხობდა:

- კიბეზე ჩამოვდიოდი, ის კიბის ბაქანზე იდგა, შემომხედა, მეც შევხედე, ამ დროს წავიბორძიკე და ჩემი დაჭერა მოუწია. სულ ეს იყო.

ესე იგი, გედი კიბეზე ჩამოდიოდა, წონასწორობა ვერ შეიკავა, მიუხედავად იმისა, ცოტა თავდაუტყერებელიც იყო, ამაყიც, მაგრამ მაინც ნაბორძიკა, იქ კი ის მაღალი ქალი იდგა, მამაკაცის ტანსაცმლიანი, შლაპიანი და ხელჯოხიანი (ალბათ ეს ყველაზე სკანდალური ჩაცმულობა იყო იმ საღამოზე, იმიტომ რომ არც ეს წვეულება იმართებოდა ბერლინში, ოქროს 20-იან წლებში და არც სოფიო იყო მარლენ დიტრიხი).

მწვანეთვალეობა და მედიდური, თხელი ქართული ცხვირით - à la géorgienne, თითქოს შიგნიდან ანათებდა, მაღალ შუბლზე ქუდიდან ქერა თმა ჩამოსცვენოდა. მის სიმაღლეს და ჭიშიანობას ასეთი ჩაცმულობა ძალიან უხდებოდა. ასე შეხვდნენ ერთმანეთს: სოფიო ერისთავი, მამაკაცის სამოსში ჩაცმული და სტასია ჯაში, როგორც აუსრულებელი ოცნება.

- მერე? მერე რა მოხდა? მომიყვი, სტასია, მომიყვი რა! - არ ვასვენებდი. ის კი, როგორც ყოველთვის, სიტყვაძუნწობდა:

- ყველაფერი ისე იყო, როგორც ხდება ხოლმე, ორი ერთნაირის შეხვედრისას. გავიცანით, მოგვეწონა, მეტიც, მოვიხიბლეთ ერთმანეთით, მივხვდით, რომ დავმეგობრდებოდით. მერე ჩვენი პალტოები შემოვიცვით და ბაღში გავედით, ცარიელ, გათოშილ ბაღში. მაგრამ ჩვენთვის სულერთი იყო, შამპანურს ვსვამდით, ვენუოდით და ჩვენს ცხოვრებას ვუამბობდით ერთმანეთს.

და მეც, მისი მონათხრობის კვალად წარმოვისახავდი და შევიგრძნობდი დელიკატესების სურნელს, ვუსმენდი სვინგს, ვუჭვრეტდი ფერად ნათურებს, რომლებითაც მთელი სახლი მოერთოთ, ვხედავდი უზარმაზარ ნაძვისხეს წითელი ვარსკვლავით კენწეროზე (მახსოვს, ასეთი ჩვენც გვქონდა მთელი ბავშვობა!), ორი ქალი ბაღის სკამზე გვერდიგვერდ ისხდა, მესმოდა მათი კისკისი, ხითხითი, იმასაც კი ვხედავდი, როგორ იწვოდა მათი სიგარეტები.

იმ ღამესვე იცოდა უკვე სტასიამ, რომ სოფიოს, თავადის ქალს, ბავშვობა ბორჯომში გაეტარებინა, იმპერატორის კურორტზე, სადაც სამკურნალო წყლებია, მერე კი ლობანის გოგონათა ინტერნატში უსწავლია. იქ რამდენიმე საინტერესო პიროვნებას შეხვედრია, რომლებიც ქალთა უფლებებისთვის იბრძოდნენ, სისტემატურად აწყობდნენ შეხვედრებს და სხვა საპროტესტო აქციებს. სტასიამ ისიც შეიტყო, რომ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლაზე მეტად სოფიოს ლექსების წერა იტაცებდა და სიმბოლიზმის მხურვალე მიმდევარი იყო. რამდენიმე პოეტი ახსენა, რომლებიც სტასიას არც კი სმენოდა, რამდენიმე სტროფიც წაიკითხა, რასაკვირველია, არც კი გაეგონა.

ისიც შეიტყო, რომ სოფიოს ოჯახს ყველაფერი ჩამოართვეს და შვიცარიანში იყვნენ იმჟამად ემიგრაციაში. თვითონ სოფიო ქმართან დარჩენილა, უგანათლებულეს ქართველთან, რომელიც ნაადრევად გარდაცვლილ მამას აგონებდა და თურმე ისე მღეროდა, შალიაპინს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ვაჟი ჰყოლიათ, მაგრამ ქმარს უკვე სოფიოს ორსულობის დროს დაუწყია დალატი, მთელი თავისი მემკვიდრეობა გამოუჭამია და სულ მალე დავიწყებია სასიყვარულო ფიცი. შეურაცხყოფილი სოფიო გაყრია ქმარს და შვილისთვის თავისი გვარი მიუცია, რაც მაშინ ბავშვის ნაბიჯვრად მიჩნევას ნიშნავდა.

- ამ განქორწინებაზე მთელი თბილისი ყაყანებდა, სხვა არავინ მეგულება, ვინც ასე მოიქცეოდა, მაგრამ არ ვნანობ. მე და ჩემი ანდრო კი შევეჩვიეთ ერთად თავის გატანას. უკვე კარგა ხანია გადარჩენისთვის ვიბრძვით. გამოვიბრძმედეთ კიდევ, - თქვა სოფიომ და გამამხნევებელი ღიმილით გახედა სტასიას. ამ მანუგეშებელი ღიმილით სტასიას მთელი იმ ღამის განმავლობაში ისევ თავისი ოცნებებისა სჯეროდა.

მაგრამ იმ ბედნიერებასთან ერთად, ძვირფას კანფეტებად რომ დაეფრქვა თავზე სტასიას, იმავე წუთს ერთი პატარა კარიც გაიღო. კარი, რომელიც დროისა და ბედისწერის მიღმა იყო, ყოველგვარი კანონზომიერების მიღმა. მოჩვენებათა სამყარომ გაიღვიძა წუთიერად, მთვარე გაფითრდა, თოვლი და ყინულის ლოლუები ჩამოდნა და შამპანურში ჰაერის ბურთულებმა იფეთქა. ყველაფერი აირია, წამის მეასედში სამყაროს სუნთქვა შეეკრა. ყველაფერი ტრიალებდა და კვნესოდა, მაგრამ ვერავინ ხედავდა ამას. უბრალოდ, არასასურველი კარი გაიღო მყისიერად და ისევ დაიხურა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ რაღაც შავი გამომსახლტარიყო, შეიძლება არც ეთქმოდა შავი, იქნებ უფერო იყო და მჭვირვალე – მაგრამ საშიში იყო, ყინულივით ცივი და დამანგრეველი. ღალატი იყო, იმ წამს რომ დაიბადა.

რაღაც უსახელო შემოიჭრა, მსახვრალი სამყაროს მოევიდნა, რომ ყველაფერი დაეთრგუნა და მოენამლა, გონება დაეხრებინა, სული წაეგლიჯა. გაუმადლარსა და დაუოკებელს, რომ მთელი ცხოვრება შთაენთქა.

კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა.

შუალამე ვიდრე მოატანდა, სანამ შამპანური იფეთქებდა, სანამ ფოიერვერკს გაისროდნენ, სანამ ახლად დამეგობრებული ქალები ჯერ კიდევ შადრევანთან ისხდნენ და თავიანთ საიდუმლოს უზიარებდნენ ერთმანეთს – სახლმა ერთიანად ამოიგმინა. ისმოდა სახიფათო შრიალი, ადამიანები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და განზე დგებოდნენ. იმიტომ, რომ პატარა დიდი კაცი მობრძანებულიყო. ჩეკისტების მეთაური და ქვეყანაში ყველაზე ძლევაშობილი: მასპინძლის უფროსი და მისი ახლო მეგობარი შეუერთდა პატივცემულ საზოგადოებას და ახლა ერთად იზიებდნენ 1928 წლის დადგომას. ეს ხომ განსაკუთრებული პატივი იყო!

ქრისტინე სწრაფად გავიდა სამზარეულოში და საყოველთაო მზადყოფნა გამოაცხადა: ყველაფერი უნდა გაეჩინათ, რაც კი ჰქონდათ სახლში. ასე მოვიდა თანმხლებ პირებთან ერთად, თავისი პენსნე ეკეთა, მელოტი თავი უპრიალებდა, ყოველდღიური უნიფორმა ეცვა, რომელიც საზეიმოდ გამოწყობილთა გვერდით თვითონაც საკარნავალო ვოსტიუმს ჰგავდა. ასეთივე უნიფორმიანებით გარშემორტყმულმა, უტყვად რომ დაჰყვებოდნენ, ღიმილით შემოაბიჯა დარბაზში და მაშინვე ქართული ღვინო მოითხოვა. მას მერე, რაც კრემლი ატენურით მარაგდებოდა, ახალი ბელადის საყვარელი ღვინით, პატარა დიდი კაციც, უმეტესად, ამ ღვინოს ეტანებოდა. მიართვეს და მან ჯერ პარტიის სადღეგრძელო შესვა და მერე კი ყველა იქ მყოფის, განსაკუთრებით – მასპინძლის.

რატომღაც ყოველთვის წარმომედგინა, რომ რახმანინოვის პრელუდიის მოსმენას მოისურვებდა, როცა ჰკითხვს, რომელ მუსიკას ინებებთო. ალბათ დაუყოვნებლივ შეუსრულეს სურვილი. კერძებზე

ზრდილობიანად იუარა, ახლახან გეახელითო და საფორტეპიანო ნაწარმოებს თვალდახუჭულმა მოუსმინა გულისყურით. სტუმართაგან მხოლოდ სტასია და სოფიო არ შეესწრნენ ამ თავბრუდამხვევ წარმოდგენას, რადგან მათ ვერც კი შეამჩნიეს მისი მოსვლა.

ფოიერვერკისთვის, რომელიც რამაზმა საგანგებოდ ჩამოატანინა მოსკოვიდან, ყველა ბაღში გაიკრიფა, ზოგიც – ქუჩაში. ერთმანეთს ულოცავდნენ, ეხვეოდნენ, პატარა დიდმა ვაცმა გვერდიდან თავისი დაცვაც კი მოიშორა, ხალისიანი და გულწრფელი იყო, რაც იშვიათად ხდებოდა.

ყოველთვის, როცა ვთხოვდი, ეს ამბავი მოეყოლა, სტასია ხაზს უსვამდა, რომ პატარა ვაცმა მთელი თავისი ყურადღება უმაღლეს ქრისტიანულ მიაპყრო, რომლის შეუმჩნევლობა არაფრით არ შეეძლო. ამ დროს ქრისტიანულ თავისი ვენეციური ნიღაბი არ ჰქონდა მოხსნილი, ქმრისგან განსხვავებით, მაშინაც კი, როცა მნიშვნელოვან სტუმარს ედგა წინ და უმასპინძლდებოდა. იმან კი პირველივე ჭიქის მერე ქათინაურით აავსო, აქო და ადიდა მისი ჩაცმულობა, მისი სტუმართმოყვარეობა, მისი მშვენიერება, თან რიხიანად იმეორებდა, როგორი შეუცვლელი თანამშრომელი და ერთგული მეგობარი იყო რამაზი მისთვის. ფოიერვერკის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ დიასახლისს სთხოვა სახლი დაეთვალიერებინა. იქნებ სწორედ ნიღაბი აქეზებდა, რომ ქრისტიანულ სრული მშვენიერება დაენახა. იქნებ ნიღაბი უძმაფრებდა ჟინს.

ისიც გაუძღვა ცნობისმოყვარე სტუმარს, საუბარი წამოიწყო ბაღებზე, პატარა ვაცმა მცენარეებთან დაკავშირებით რჩევა სთხოვა, დიდი ბაღით მიინდა დავამშვენიო ჩემი ახალი სახლის ეზო მამაბლის ქუჩაზე და ხომ არ დამეხმარებითო.

ბოლოს ზედა სართულის აივანზე აღმოჩნდნენ, ხელში ბროლის ჭიქები ეჭირათ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ:

ბელადის, პარტიის, მისი ქმრის, სიყვარულის. რამაზი, რომელიც თავისი მბრძანებელს უსიტყვოდ ენდობოდა, იმ სადამოს განაპირებას ცდილობდა და მომხიბვლელი ცოლი თავის უფროსს გადაულოცა. კარგად იცოდა, როგორი მომაჯადოებელი შეეძლო ქრისტიანულ ყოფილიყო, თანაც მრავალგზის დარწმუნებულა, ლამის შეურაცხყოფელად გულგრილიც თავყვანისმცემლების მიმართ.

უფროსის დაუოკებელი სიხარბის მიუხედავად, რამაზი დარწმუნებული იყო, რომ ქრისტიანულ ჩვეული სიმსუბუქით და ტაქტიანობით მოახერხებდა გასხლტომოდა აბეზარ საუბარს.

ეს კი ალბათ ყველაზე გამოუსწორებელი შეცდომა იყო რამაზის ცხოვრებაში.

იმიტომ რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სადღეგრძელოს შემდეგ პატარა დიდმა ვაცმა სხვათა შორის სთხოვა

ქრისტინეს, უნიღბოდ დანახვებოდა, ცოტა მანევ, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ნიღაბი უდავოდ ოსტატურადაა ხელნაკეთიო.

ქრისტინემ უარი უთხრა, ვწუხვარ, მაგრამ გადავწყვიტე, ამ საღამოს საიდუმლო ბოლომდე შევინახო და სახე არ გამოვავჩინოო. პატარა დიდმა კაცმა თავი ისე დაუქნია, თითქოს დაეთანხმა, მერე კი მისი ქმარი მოიხმო. მისი თანდასწრებით კიდევ ერთხელ გაუმეორა თხოვნა. გამყინავი, გაბზარული სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველა იქ მყოფმა იცოდა, უპირველეს ყოვლისა, ცოლ-ქმარმა, რა სახიფათო სიტუაცია იყო. რამაზმა ანონ-დანონა, მერე სიცილით მიუბრუნდა მეუღლეს და ფრთხილად მოხსნა ნიღაბი; ჟინიანი მზერა მიაპყრო ქრისტინეს პატარა დიდმა კაცმა, გამარჯვებული, თავდაჭერებული, კმაყოფილი ჩანდა. მერე თურმე ჩაახველა და ბოდიში მოიხადა ამგვარი ცნობისმოყვარეობის გამო. ქრისტინე ბრაზისგან ცახცახებდა, მაგრამ არ შეიმჩნია და კიდევ ერთხელ შესვა ხალისიანად მოსკოვში მყოფი ბელადის სადღეგრძელო.

როცა ცოლმა და ქმარმა იმ დილით, სასმელმოკიდებულებმა და დაქანცულებმა, დასიებული ფეხებით სიგარეტის ბოლით გაჟღენთილ საძინებელს მიაშურეს, ცოლმა ქმარს დამცინავად შეხედა, ცივი, დაუფარავი აგრესია აღებეჭდა სახეზე. გამოცრა:

- ეს არ უნდა გექნა!

* * *

ხელი ჩავკიდოთ ერთმანეთს,
ძმებო, დავცინოთ სიკვდილს!
მონობას მოვუღოთ ბოლო,
დავლოცოთ უკანასკნელი ბრძოლა.
სოციალისტური სიმღერა

სტასიას კვლავ გაუცოცხლდა იმედი და ისევ ჩაეჭიდა სიყვარულს. გულისყურით უსმენდა სოფიოს, მის ნაამბობს პარიზზე. ლამის ჩაუსახლდა დამოუკიდებელ, თავისუფლად მოაზროვნე მეგობარს და აღარც კი უნდოდა მისი პატარა ბინიდან წამოსულიყო, ავლაბრის ოღროჩოღრო ბორცვებისგან, ფერად ხის აივნებთან, ხმაურიან დუქნებთან, ძველ ციხესიმაგრესთან, უბრალო მხიარულ ხალხთან და სომხურ ჰანგებთან გამოთხოვება ეძნელებოდა. მეგობარს დაჰყვებოდა ქალთა შეკრებებზე, სისტემატურად რომ იმართებოდა სამკერვალოებში, სამრეცხაოებსა და სამღებროებში, ქალებისთვის მათი უფლებების განსამარტავად, ამ ინიციატივას, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, პარტია მხარს უჭერდა.

სტასიას შეუყვარდა დედაქალაქი, რომელიც ამდენ თავისუფლებას სთავაზობდა. რაც მთავარია, ეს სოფიოს ქალაქი იყო, რომელსაც მისი

თვალეზით ეცნობოდა და რომელიც ძალიან განსხვავდებოდა მისი დის ქალაქისგან.

მეზობლების, მრეცხავების, მეწაღეების, მკითხავების, მკერავების, მემწვანილეებისა და ბალაგანის ქალაქი. მხიარული, ხმაურიანი საზოგადოება, რომელიც ბორცვებზე სახლობდა, საორჭოფო ლექსებს აძლიერებდნენ აკორდეონზე გვიან ღამემდე, და ბანქოს შლიდნენ. აქ აღმოაჩენდი პატარა, ნახევრად დანგრეულ სახლებს, ჯერ კიდევ წინა საუკუნეში აშენებულს, მოუნესრიგებულს, საერთო საშხაპეები და საპირფარეშოები უკანა ეზოებში რომ მიედგათ.

ეს ხალხი ოდითგან აქ ცხოვრობდა, მათ მეფისა და იმპერატორის დრო ახსოვდათ, ტივები მდინარეზე - მოქეიფე ყარაჩოხელებით, შეყვარებულების გულებს რომ ატყვევებდნენ. ამ ხალხმა დიდი ხანია დღევანდელით ტკობა ისწავლა, რადგან არავინ იცოდა, დადგებოდა თუ არა ხვალისდელი დღე, და თუ დადგებოდა, როგორი იქნებოდა. უმეტესად „ხვალ“ ხმაურით თენდებოდა, იყო მტვრიანი, უფულო, ისმოდა უხეში ლანძღვა-გინებით გადაძახილი ან ხმამაღალი სიცილი და უხამსი შაირები.

სოფიო უკიდურესად იყო შეჭირვებული, თანაც ოჯახთან დაკავშირება არ შეეძლო, მით უმეტეს, რამე დახმარება მიეღო მათგან, თორემ მაშინვე ჯაშუშობაში დაადანაშაულებდნენ, ამიტომ დასახლდა შედარებით განაპირა ღარიბულ უბანში, მაგრამ მალე შეიყვარა იქაურობა. შეიყვარა ყაყანა ქურთის ქალი, რომელიც დილიდან დაღამებამდე ეზოში იჯდა, მატყლს პენტავდა და თან თვალყურს ადევნებდა, ვინ რას აკეთებდა; დეიდა ნატაშა, სამოცი წლის, ბავშვებზე გაგიჟებული რუსი, ქურთი ათვალწუნებით მსუბუქი ყოფაცქევის ქალს რომ ეძახდა, სანამდვილეში კი ყოველთვის მზად იყო, მიეხედა სოფიოს შვილისთვის, თუ ის დროულად ვერ ახერხებდა შინ მისვლას და ენდობოდა ქართველ ცოლ-ქმარს, ქუჩაში ბოსტნეულის გაყიდვით რომ ინახავდნენ ექვს შვილს და კვირაობით მაინც მთელ სამეზობლოს ეპატიჟებოდნენ უბრალო სადილზე.

სტასიამ ისევ იგრძნო ახალგაზრდული ხალისის მოზღვავება.

დახეტილობდნენ ქუჩებში ან გადაჭედულ ტრამვაიში აღიოდნენ, ლუდს წრუპავდნენ, ებრაელების უბანში ქაშერულ კერძებს აგემოვნებდნენ, რაზეც სოფიო გიჟდებოდა, გოგირდის აბანოებში დადიოდნენ, მსუქან ძლიერ მექსიეებს ახეხინებდნენ ზურგებს და თან სკოლის მოწაფეებივით ხითხითებდნენ. ძველი ქალაქის სულ უფრო დაცარიელებულ ეკლესიებში შედიოდნენ და საღამოობით, ანდროსთან ერთად, ლამპიონებით განათებულ პარკში ისხდნენ, უცქეროდნენ, როგორ განაფულად აკნატუნებდა მზესუმზირას თავისი პატარა ბასრი კბილებით.

ეს სულ სხვა ქალაქი იყო, სხვანაირი მოსახლეობით, სოფიომ რომ გააცნო, ხოლო ძველი ქალაქის გალავნის მიღმა ჩაკარგული ლაბირინთი, რომლის ქუჩები ასე კარგად იცდა სოფიომ, სტასისაც შეასწავლა.

სტასია მეტად მიეჩვია პატარა ანდროს. მას დედამისივით ქერა კულულები და დიდი მრგვალი ცისფერი თვალები ჰქონდა; ეს ბავშვი განსაკუთრებულად უჩუყებდა გულს და ის სიმკაცრე, როგორითაც საკუთარ შვილებს ზრდიდა, ანდროსთან ურთიერთობისას სრულიად დაივიწყა. შეიძლება იმის გამო, რომ ანდრო ძალიან მორცხვი იყო ან იმიტომ, რომ სრულიად უბრალო რამით შეიძლებოდა გაეხარებინა. სოფიოს მუდამ უჭირდა ბავშვის ტანსაცმელი და სათამაშოები შეეძინა, შესაბამისად, საოცარი წარმოსახვა განუვითარდა, რომ პატარა ანდროს მატერიალური სიდუხჭირე არ ეგრძნო.

კვერცხის გულს შაქარში თქვეფდა და ამას ისე გემრიელად აკეთებდა, თითქოს მსოფლიოში საუკეთესო პირის ჩასატკბარუნებელი რამ იყო, ანდროც მადლიერი იყო და სჯეროდა ამის. საათობით უამბობდა ჭიანჭველებსა და პეპლებზე, კატის კნუტებსა და ზღარბებზე, ამით ანაცვლებდა ლამაზ საბავშვო წიგნებს, ზღაპრებს თხზავდა მისთვის, როცა აძინებდა, უქსოვდა და თავისი ძველი კაბებისგან ისეთ შარვლებსა და პერანგებს უკერავდა, რომელსაც ანდრია ამაყად იცვამდა და თავი მოჰქონდა. სტასიას შვილებიც არ იყვნენ დიდად განებივრებულნი, და მაინც, სოფიოს და ანდროს შემხედვარეს, ლამის სინდისი ქენჯნიდა.

სოფიოს თვითონ უნდა მიეღწია ყველაფრისათვის და ეს აოცებდა სტასიას. თვითონ ხომ მეტისმეტად მდიდარი იყო პროლეტარიატისთვის და უკიდურესად ღარიბი ელიტისთვის; რაღაც უცნაურ შუა ფენას ეკუთვნოდა, ამით აიხსნებოდა, ჩემი აზრით, მისი სინდისის ქენჯნა.

ორმა კვირამ ისე უცებ განვლო ახალშექმნილი მეგობრის საზოგადოებაში, სტასიას თითქმის დროც აღარ რჩებოდა, თავის დასა და სიძეს თუნდაც უბრალოდ დალაპარაკებოდა. ისე იყო აღფრთოვანებული იმ პატარა გამოფენებით, სარდაფებში გამართული თეატრალური წარმოდგენებით და პოეზიის საღამოებით, სადაც სოფიო დაატარებდა და ყველაზე მეტად – თვითონ სოფიოთი, რომ პროტესტის გრძნობა უჩნდებოდა, ლამის გული უწუხდა, როცა ახსენდებოდა, რომ შინ უნდა დაბრუნებულიყო, მიყრუებულ პატარა ქალაქში.

- შენი დახმარება მჭირდება! – უთხრა სტასიამ გამგზავრების წინა დღეს, საუბრობისას, თავის უმცროს დას, როცა ის ფინჯანში რძეს ისხამდა.

- რა ხდება? – იკითხა ქრისტიანემ სხვათა შორის, როგორც ჩვეოდა.

- იქნებ თქვენთან გადმოვიდე. აღარ მინდა შინ დაბრუნება. ბავშვებს წამოვიყვან, სამსახურს ვიშოვი და აქ ვიცხოვრებ.

- მერე სიმონი რას იტყვის ამაზე?

- მიწნერ. იმდენი დრო დავკარგე, მუდამ სხვებს ველოდებოდი, სანამ ჩემს სურვილებს მოიწონებდნენ...

- რით ვერ ჩამოყალიბდი, სტასია? - თანაგრძნობა გაერია ხმაში უმცროს დას.

- ეს მხოლოდ დროებითია, უფრო ბავშვების გამო ვზრუნავ, სანამ რამეს ვიპოვი, თუნდაც მართო ბავშვები დაიტოვეთ - მე სოფიოსთან გავჩერდები.

- გირჩევნია დროზე დაძლიო ამ ადამიანით შენი გატაცება. დიდად არ არის, ასე ვთქვათ, საზოგადოებაში მიღებული. არც კი ვიცი, როგორ აღმოჩნდა ჩვენს წვეულებაზე, ალბათ, ვიღაცამ შემოაპარა. კარგ ლექსებს კი წერს, მაგრამ საეჭვო რეპუტაციის ქალია.

- როგორ შეგიძლია ერთდროულად ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ხნიერი იყო, ქრისტინე?

- ხნიერი? ხნიერი კი არა, უფრო ჭკუადაძვარი ვარ, ვიდრე შენ. და, უბრალოდ, წინდახედული.

- ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამ დაპატიჟებით ამხელა ბედნიერებას მომანიჭებდი.

- მოხარული ვარ. მუშაობა მართლა გინდა?

- კი.

- სიმონი ფულს აღარ გიგზავნის?

- როგორ არა, მაგრამ მინდა ჩემი მქონდეს.

- ეს სოფიო ერისთავმა ჩაგაგონა?

- არა, მხოლოდ დამანახა, რომ ეს შესაძლებელია. უცხო ენებს ასწავლის, კერძო გაკვეთილებს ატარებს და ასე ინახავს საკუთარ თავსაც და შვილსაც.

- ძალიან კარგი, მაგრამ შენ სხვა ხარ.

- მე ხვალ გავემგზავრები და როგორც კი ყველაფერს მოვიწესრიგებ გადმოსასვლელად, ტელეგრამას გამოგიგზავნი. მანამდე კი იქნებ ბინის რიგი გავვიხერხო.

- მიხარია, რომ კოსტია ახლოს მეყოლება.

- შვილები რატომ არ გყავთ აქამდე, ქრისტინე? მეგონა, ამდენ ხანს ვერ მოითმენდი.

- გპირდები, რომ ერთ მშვენიერ დღეს გადასარევი ბიჭი გვეყოლება, ისეთივე ლამაზი, როგორიც კოსტია. ახლა კი მაპატიე, უნდა დაგტოვო, სამზარეულოში უნდა მივუთითო რა მოამზადონ სადილად, - და ქრისტინემ არტისტულად ამოიოხრა.

ცოტა დრო კი არ დასჭირდა მამის დარწმუნებას, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო მისთვისაც და ბავშვებისთვისაც, ერთი თვე გავიდა, სანამ სტასიამ მთელი თავისი ავლადიღება ყუთებსა და სკივრებში ჩააწყო, ქმარს რომელიღაც ყაზარმაში მიაგნო და შეატყობინა, რომ ამიერიდან თბილისში მოენახულებინა ცოლ-შვილი, სანამ დამფრთხალი ლიდა

დაარწმუნა, რომ ქალაქში უქმროდ ცხოვრებაში არაფერი იყო უკადრისი, ვიდრე ბოლოს თეკლას ოქროს საათი არ ჩადო საიმედო ადგილას, აქამდე რომ თავის საძინებელ ოთახში ინახავდა შუშის კოლოფით. ასე რომ, დადგა დრო, შვილებთან ერთად, მატარებელში ასულიყო.

ქვეყანაში იძულებითი კოლექტივიზაცია მძვინვარებდა, როცა სტასია თბილისში გაემგზავრა კიტისთან და კოსტიასთან ერთად.

სოფიო და ანდრო ელოდებოდნენ ქრისტინესთან, რომელმაც ნამდვილი საზეიმო სუფრა დაახვედრა. კოსტია დედის უზომო სიყვარულს იზიარებდა, ყელზე ჩამოეკიდა და აღარც მოშორებია, სანამ დაძინების დრო არ მოვიდა. ანდრომ და კიტიმ, ორივე ოთხი წლის იყო, უცებ გაუგეს ერთმანეთს და შადრევნის გარშემო ხალისიანად დარბოდნენ. ყველაფერი ჩინებულად წარიმართა. ბაღი ბავშვებისთვის პატარა სამოთხესავით იყო, კოსტია დაუბრკოლებლად მიიღეს სკოლაში – ქრისტინეს ქმრის რეკომენდაციით ქალაქის საუკეთესო სკოლაში უნდა ევლო. რა თქმა უნდა, რუსულენოვანში.

ქრისტინე მთელი გულით ბრუნავდა პატარებზე, სტასია კი ამასობაში ახალ მეგობართან ყოფნით ხარობდა. დამდამობით თვალს ადევნებდა, როგორ იჭდა მრგვალ მაგიდასთან ნავთის ლამპის შუქზე – ქალაქის ამ ნაწილში ელექტრომომარაგება ჯერ კიდევ ვერ გაემართათ სათანადოდ – და ლექსებს წერდა, წამდაუნუმ წამოხტებოდა ხოლმე, პაპიროსს უკიდებდა ან დაწერილით კმაყოფილი ნახევრად მძინარე სტასიას ეხვეოდა.

- ბოგჯერ შიში მიპყრობს. მძაფრი შიში, – გაუმხილა სოფიომ ერთ ქარიან ღამეს მეგობარს. თავი დახარა და გაიტრუნა. მეგობრის განწყობის ასეთი მოულოდნელი ცვლილებით დაბნეულმა სტასიამ ხელი ხელზე დაადო. ქარი ფანჯრებს აწყდებოდა.

- რისი შიში? – ჰკითხა სტასიამ და შუშის ღუმელზე ჩაიდანი შემოდგა, რომ თავისთვის და სოფიოსთვის მოემზადებინა მაგარი ჩაი, ორივეს რომ ძალიან უყვარდა.

- მეშინია, რომ დამიჭერენ.

- ვინ, სოფი? და რატომ, ვის რაში სჭირდება? შენ ხომ არაფერი ჩაგიდენია? მართალია, პარტიაში არ შესულხარ, მაგრამ...

- შენ სად ცხოვრობ, რა გგონია? ვერაფერს ხედავ, ვერაფერს გრძნობ, სუნი არ გცემს? დღეს გალერეაში გავიგე, რომ უკვე ნებართვაა საჭირო, თუ საზღვარგარეთ აპირებ გასვლას, სულერთია სად. და ვერც მიიღებ ნებართვას, თუ მოკავშირე ქვეყანაში არ მიდიხარ.

- მეტისმეტად მუქ ფერებში ხედავ ყველაფერს.

- საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, არ ვაბუქებ, ტასო (სლავური მოფერებითი სახელით მიმართვას, სოფიო ქართულს ამჯობინებდა და იმთავითვე ტასოს ეძახდა). და კიდევ ეს სიზმარი. სიზმარი, რომელშიც ცარიელ, მითოვებულ ქუჩას მივუყვები. ეს ქუჩა არასდროს მინახავს, მაგრამ

სადღაც აქ არის, ამ ქალაქში. სიბმარში დარწმუნებული ვარ, რომ აქვია, შესახვევში. იქ ერთი სახლი დგას, დიდი სასახლე, სადა და ნათელი, თალიანი ჭიშკარი და ხვეული კიბეები აქვს. ლამაზია და შესვლა მინდა. არ ვიცი რატომ, რა დამკარგვია იქ. გაუთავებელი სიარულით დაღლილი ჭიშკართან მივდივარ. იქ კაცი დგას, წარმოსადეგი, ელეგანტურად ჩაცმული კაცი და შინ მეპატიუება. არასდროს მინახავს, არასდროს გამიგონია მისი დაბალი და მშვიდი ხმა. ვენდობი და მივყვები, იმიტომ რომ იმან გზა იცის... გზა, რომელიც არ ვიცი, საით მიდის. ბაღში მივსევინობთ, ბიბლიურ ადგილს რომ ჰგავს საოცრად, სამოთხეს. ვარდები, წითელი, ისეთი წითელი ვარდები, ტასო, და შესანიშნავი ჩანჩქერი, და ძაღლები და კატები, მგეს რომ ეფიცებებიან, და ეგზოტიკური ბუჩქები და ხეები, და ბაღს ბოლო არ უჩანს, მე ვერ ვხედავ, სად მთავრდება. მივდივარ და მივდივარ და იმ კაცს წრეზე დავყავარ. მერე მივყავარ ჭასთან ბორცვზე, რომელიც თვალისმომჭრელად მწვანეა. და ამბობს, რომ მოვედით და ყველაფერი კარგად იქნება, რომ უკვე შინ ვარ, და მთხოვს ჭაში ჩავიდე, მეც ვემორჩილები, სულ არ ვაპირებ გაპარვას ან გაქცევას, ფეხს ვაბიჯებ კიდეს და... სასიამოვნო სუნი მცემს წყლიდან, ვსველდები, სულ არ მეშინია, მიუხედავად იმისა, რომ ღრმაა. და ფსკერს ვერ ვხედავ. ის კი მელოდება და მიყურებს, როგორ ჩავდივარ, მიღიმის კიდევ, დაბოლოს, უფრო იმის შიშით, რომ შეიძლება ხელი მკრას, თვითონ ვხტები და არსად ვეცემი. და სანამ დაბლა მივექანები უსასრულოდ, მეღვიძება.

სოფიომ დაასრულა თხრობა, სახე ხელებში ჩარგო და აქვითინდა, ამასობაში წყალიც ადუღდა. იშვიათად თუ უნახავს სტასიას ასე გულის გამგმირავად, ასე განადგურებული, ასე სასონარკვეთილად ატირებული ადამიანი. ამიტომ მოეხვია უსიტყვოდ, რადგან არ იცოდა, რა ეთქვა.

ამ დროს კართან თეთრპიჯამიანი პატარა ანდრო გაჩნდა და თვალცრემლიანმა იკითხა, რა დაემართა დედიკოსო. Maman, ასე მიმართავდა, ფრანგულად, ვიდრე გვერდით ჰყავდა. ბოლო მარცვალზე აკეთებდა მახვილს, როგორც მიღებულია ფრანგულ ენაში.

სოფიომ ცრემლი მოიწმინდა, ისევ გაიცინა, თავისებურად, გულიანად, ხმამაღლა და უპასუხა: „უბრალოდ, ვვარჯიშობდი, მაინტერესებდა, როგორ ხდება, როცა ვინმე დიდხანს ტირის, მერე ცრემლი თუ უძრება-მეთქი. ყველაფერი კარგადაა, ჩემო თვალისჩინო“.

- მერე, შრება? - იკითხა ანდრომ და სახელოთი მოიწმინდა სველი ცხვირი.

- კი, შრება, ჩემო სიცოცხლე, ცრემლიც ილევა, ბოლოს და ბოლოს.

სტასიას პირველი თბილისური ზაფხულის თაკარა ივლისში - ქრისტინე ზღვაზე წავიდა ქმართან ერთად დასასვენებლად. მთელს სახლს სტასია განკარგავდა. ამ დროს წითელი ობერლეიტენანტიც უნდა ჩამოსულიყო ცოლის მოსანახულებლად.

სტასიამ მოსამსახურეები, მზარეული და მებაღე დაითხოვა და მთელ საღამოებს სოფიოსთან ერთად ატარებდა, თავდავინწყებით ეთამაშებოდა ბავშვებს ბურთს და სოფიოს დაჰყვებოდა ქალთა შეკრებებზე. მისი მეგობრები გაიცნო, ყველა გაღატაკებული და გალოთებული, და სულ ცოტა აკლდა, ეთქვა, ბედნიერი ვარო.

ახალი ტრამვით წავიდა ქმრის დასახვედრად. ერთწლიანი განმორების შემდეგ თითქოს უფრო მეტად გაუცხოებულიყვნენ და საკმაოდ ცივად შეხვდნენ ერთმანეთს. ბაქანზე ერთმანეთითვის არც უკოცნიათ, მხოლოდ წამით გადაეხვივნენ. არავითარი საყვედურები, უპირველეს ყოვლისა, გაუმასპინძლდა, მოემსახურა და შვილებთან მარტო დატოვა ქმარი.

მაგრამ უკვე მეორე საღამოს – სოფიო ანდროსთან ერთად შინ რომ წავიდა – წითელმა ობერლეიტენანტმა და მისმა ცოლმა პირველად იჩხუბეს. თანაც, ეტყობა, ისე საშინლად, რომ მეზობლად მცხოვრებმა პროფესორმა ლამის მილიცია გამოიძახა. ყველა სიტყვა ითქვა, რომლებიც მანამდე დაეგუბებინათ და შეეკავებინათ, ყველაფერი, რასაც სტასია ცოლქმრობის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ითმენდა, ოცნებების თანდათან კვდომა – ყველაფერმა ყვირილით ამოხეთქა.

გათენებისას, როცა ჩხუბი, როგორც იქნა, ჩაცხრა, სიმონ ჯამმა უთხრა თავის ცოლს: „სიცოცხლე მარტო ოცნებებისგან არ შედგება, ანასტასია. დავიღალე, ნამდვილი ოჯახი მინდა. ძალიან დავიღალე. თავს ვიკლავ ყოველდღიურად და მაინც ვერ ვამართლებ შენს მოლოდინს. რასაც შენ ნატრობ, წარსულს ჩაბარდა. ლამის მეშინია შენთან შეხვედრის, ვეღარ ვიტან ამ საყვედურებს, ამ სასონარკვეთილ მზერას. ეს უნდა დამთავრდეს, თუ გვინდა, რომ კარგი მშობლები ვიყოთ ჩვენი შვილებისთვის. ისინიც მენატრებიან და შენც მენატრები. ისეთი მენატრები, ყოველი გამოხედვით რომ არ მსჯიდი. ოჯახი მჭირდება, სტასია, ჩემი ოჯახი“.

აქ ვი მიხვდა სტასია, რომ მისი სიყვარული უკვე გადამტყდარიყო გამხმარი ტოტივით.

ქრისტინე და მისი ქმარი დაბრუნდნენ და ბავშვებმა გაიხარეს მოსკოვის „ელისევესკიდან“ საგანგებოდ მათთვის გამოწერილი ზღაპრული ტკბილეულით.

სიმონ ჯამის გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე სტასია სოფიოსთან ერთად სეირნობდა ლამპიონებიან პარკში. აგვისტოს ცხელი ღამე იყო და ქალაქი დაქანცული, გამომშრალი და გამოფიტული ჩანდა.

– რატომ ატყუებ საკუთარ თავს? არ დაიღალე? – ჰკითხა მოულოდნელად სოფიომ მეგობარს.

– რას გულისხმობ?

სტასიას კარგად გამოსდიოდა მიამიტად ან მიუხვედრელად მოეჩვენებინა თავი, განსაკუთრებით ორივე ერთდროულად ეხერხებოდა.

- იცი, რაზეც გელაპარაკები. თავისუფლება გინდა? დაე, იყავი თავისუფალი. ცეკვა გინდა? მაშინ იცეკვე! თუ მეუღლე გინდა იყო - იყავი. ამაში არაფერია სამარცხვინო. მაგრამ ყველაფერი ერთად შეუძლებელია. გქონდეს ყველაფერი, იგივეა, რომ არაფერი გქონდეს, ტასო. გაახილე თვალი. თან ცეკვა გსურს და თან კარგი ცოლიც გინდა გერქვას; პოეტებთან მეგობრობას ესწრაფვი და იმავე დროს პარტიულ წვეულებებსაც არ გინდა გამოაკლდე; დამოუკიდებლად ცხოვრება გინდა და მუშაობა, მაგრამ უკვე თითქმის ნახევარი წელიწადია აქ ხარ და ჯერაც შენს დასთან ცხოვრობ, შვილები გინდა, მაგრამ ტვირთად აღიქვამ. იცი კი, რა გინდა საერთოდ? ვის რას ატყუებ?

სტასია ხმას არ იღებდა და თვალს ადევნებდა ძაღლებს, პარკში ჯგროდ რომ შემოიჭრნენ და თანაც რაღაცას ქეჩავდნენ.

შემდგომში ის ხშირად იხსენებდა ამ სიტყვებს და ეკითხებოდა საკუთარ თავს, რატომ არ შეაჩერა გარდაუვალი და არ აიცილა საშინელება.

ობერლეიტენანტი ისე გაემგზავრა, რომ ვერაფერზე შეთანხმდნენ. ყველაფერი ძველებურად დატოვეს, რაკი უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს და შვილების გამო დაზავება ამჯობინეს. სტასიამ უხალისოდ სცადა, სახლმმართველობაში გაერკვია, ხომ არ მოიძებნებოდა ქალაქში თავისუფალი საცხოვრებელი. გაითვალისწინეს, წითელი ობერლეიტენანტის ცოლი რომ იყო, მაგრამ იმავედროულად არც ის დავინწყებიათ, მის სიძეს, რამაზ იოსებიძეს, კეთილმონჯობილი და საკმარისზე მეტი საცხოვრებელი ფართი რომ ჰქონდა.

იმ წლებში პატარა კაცის გავლენამ სახითათოდ იმატა და, ერთხელაც, პატარა დიდ კაცად მოევლინა ქვეყანას.

ხალხს კი უკვე შიშის ზარს სცემდა ჩევას სახელის გაგონება. პოლიტიკური წინააღმდეგობა აღარ არსებობდა, ყველა მტერი გზიდან იყო ჩამომორებული ან უცხოეთში გადახვეწილი, ან შრომით ბანაკებში, იმ დროს გულაგს რომ უწოდებდნენ, გაუჩინარებული. ინდუსტრიალიზაცია დიდ ძალისხმევას და უამრავი ადამიანის სიცოცხლეს მოითხოვდა, ახალი ფაბრიკებისა და იძულებითი კოლმეურნეობებისგან - უზღვავე პროდუქტიულობას. დაჩქარდა ქალაქების გარდაქმნა და სახელების გადარქმევა. მთელ საბჭოთა კავშირში უამრავ ქალაქს გადაარქვეს სახელი, თითქოს რევოლუციამდელი წარსულის გადაშლა სურდათ, თითქოს რევოლუციასთან ერთად იღებდა სიცოცხლეს სათავეს. მეფის დრო მკვლევებისა და ყაჩაღების ხანად გამოაცხადეს, პროპაგანდა წარმატებით მუშაობდა.

სოფიო როცა შესჩიოდა ხოლმე, ამა თუ იმ პროდუქტს ან ნივთს ვერ ვშოულობ მაღაზიაშიო, სტასია დაუვლიდა ხოლმე ქრისტინეს სახლის საკუჭნაოებს და უხაროდა, მეგობარს გასაჭირს ცოტათი მაინც რომ

უმსუბუქებდა, ქრისტიანთან ხომ ყველაფერი უხვად იყო, მით უმეტეს, რაც სოფიოს სჭირდებოდა და ქალაქში არ იშოვებოდა.

როცა სოფიომ უამბო, როგორ აღშფოთდა მეგობრებთან ერთად, ბოლოს კინოში რომ იყო „თეთრი არწივის“ სანახავად, სადაც ჩვენებას შესავალი დაურთეს და ახსნეს, როგორ უნდა გაეგოთ ფილმი, სტასიამ მაინც არ აღიქვა ეს სავალდებულო პროპაგანდად და უფრო რეჟისორის პროფესიულ თავისებურებად მიიჩნია.

როცა ჩვენს მხიარულ და ბედნიერ ქვეყანაში ყოველგვარი თავისუფლება არასასურველ აბლაბუდასავით გაქრა, იმავდროულად შორეულ და თავისუფალ პარიზშიც გაუქმდა Ballets Russes – და სერგეი დიაგილევმა მეოცნებე მოცეკვავის იმედის ნაწილი საფლავში გაიყოლა.

სრულიად შემთხვევით შეიტყო ეს ამბავი, ერთ ნაცნობს გაუგია იმისგან, ვინც ვიღაცას იცნობდა პარიზში და სოფიოს გაანდო, მან კიდევ – სტასიას. დაღონებული დის ლამაზმპალერიან განაპირა ოთახში ავიდა, საწოლს მიესვენა და ვარგა ხანს აღარ გამოსულა იქიდან. პეტრე ვასილიევზე ფიქრობდა და აუხდენელ ოცნებებზე, დანყველილი მოჩვენებებით რომ მოსვენებას უკარგავენ ადამიანს. უკანასკნელად წარმოიდგინა, როგორ დაფარფატებს Théâtre du Châtelet-ს სცენაზე, თავყანისცემით, სიყვარულით, შეძახილებით განებვირებული, წარმოიდგინა თავისი დაკარგული სხვა ცხოვრება, თავისუფალი, მოუთოკავი ემოციებით აღსავსე თვალსაჩინოთა და რჩეულთა გარემოცვაში... ბოლოს თავს ძალა დაატანა და წამოდგა ლოგინიდან, იმიტომ რომ კიტი და კოსტია წარამარა კინკლაობდნენ და ქრისტინე ვერ ახერხებდა მათ დაშოშმინებას.

ერთხელ, ნაშუადღევს, როცა სტასია ისევ სტუმრობდა ავლაბრის პანია ბინას, მისი მეგობარი დაღონებული ჩასცქეროდა სურნელოვანი ცხელი ჩაით სავსე ჭიქას და შესჩიოდა, რომ ოთხი მონაფიდან სამმა უარი თქვა მის გაკვეთილებზე. მოულოდნელად სტასია წამოხტა, სოფიოს დაუბარა, ცოტა ხანს დამელოდეო და ქუჩაში გაიჭრა.

მეგობრის გამხნელება უნდოდა, რათა ისევ წაეკითხა ხოლმე მისთვის ლექსები, ისევ შეეტყობინებინა მისთვის ფსიქონალიზმის ახალი სასწაულის, საოცარი ვენელი მკურნალის შესახებ, ფროიდი რომ ერქვა, იმპრესიონიზმსა და მეტერლინკის სიმბოლისტურ პიესებზე ელაპარაკა. სპარსული სატრფიალო ლექსებიდან ციტატები მოეყვანა. ეამბნა ქართული პოეზიის ახალი მიმდინარეობის შესახებ, „ცისფერყანწელებს“ რომ უწოდებდნენ თავს და რომელთა ლექსებიც ასე მოსწონდა სტასიას.

იცოდა, როგორ დაევიწყებინა მისთვის დარდები და ეიძულებინა, ისევ ის ძველი სოფიო გამხდარიყო... თუმცა ეშინოდა. ბოლოს, როდესაც ცხელი შოკოლადი მოამზადა, აკი მამამისის წინასწარმეტყველება გაცხადდა. მას მერე თეკლას გაშეშებული სხეული ვეღარ ამოიგდო მესხიერებიდან. თუმცა, რატომ სჭეროდა, რომ თეკლას სიკვდილი

მამამისის შოკოლადის ბრალი იყო? განა სანამღავმა არ დააძინა იგი სამუდამოდ?! განა იმ დრომ, იმ ომმა, იმ გამოუვალმა მდგომარეობამ არ მიიყვანა სიკვდილამდე?! იქნებ ცდებოდა მამამისი, იქნებ, უბრალოდ, აიჩემა, რომ უბედურება ამ იდუმალ სასმელთან იყო დავკავშირებული?! იქნებ სინდისმა შეაწუხა, რომ პირველ ცოლს კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა დააძალა და იმიტომაც აბრალებდა შოკოლადს ქეთევანის სიკვდილს. რაც მთავარია, მამამისი ხომ თვითონვე აღიარებდა, რომ სტასია „გადაურჩა უბედურებას“. რა დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა აქედან? თუ ეს სავარაუდო უბედურება მას არ შეეხო, მის თამამ და მებრძოლ მეგობარს მით უმეტეს, ვერაფერს დააკლებდა. არა, ამ აბსურდულ ვარაუდს ასე ბრმად ვერ დაეთანხმებოდა, ეს მეტისმეტად ბავშვური და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული იქნებოდა.

გადამყიდველებთან დარიჩინი იყიდა, ებრაელების უბანში ქალაქში საუკეთესო კაკაო იშოვა, ქრისტინეს სამზარეულოს კარადაში კი შაქართან და მიხაკის სუნელთან ერთად, მოიძია სხვა დანარჩენი ინგრედიენტებიც, რომელთა გამხელაც აქ არაფრით არ შეიძლება.

ორიოდე საათში გატენილი ჩანთით კვლავ სოფიოსთან იყო და პირველად თეკლას სიკვდილის შემდეგ, ცხელი შოკოლადის მომზადებას შეუდგა.

დადგა პატარა გაჭვარტლულ ქურასთან და რამდენიმე წუთში სურნელი მთელ ბინას, სადარბაზოსა და შიდა ეზოს მოეფინა.

- რას ხარშავ? - ჰკითხა გაოგნებულმა სოფიომ.

- ცხელ შოკოლადს გიმზადებ.

- ჩემთვის ამზადებ შოკოლადს?

- დიახ, შენთვის.

- არც ვიცოდი, რომ შოკოლადის მომზადება შეგეძლო.

- ეს საიდუმლო რეცეპტია და შენც კი ვერ გაგანდობ. ოჯახში უნდა დარჩეს. ფიცი დამადებინა მამაჩემმა.

- შეთქმულების მონაწილე მგონია თავი. კარგი რა, შოკოლადია უბრალოდ, სხვა ხომ არაფერი.

სოფიო იცინოდა, პირველად, ბოლო დღეების განმავლობაში.

რაღა თქმა უნდა, მოიხიბლა სტასიას შოკოლადით, მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო ძნელდებოდა და ძვირდებოდა საჭირო ინგრედიენტების შოვნა, სტასია კვირაში ორჯერ უმზადებდა თავის ჯადოსნურ სასმელს, რადგან ეს ერთადერთი საშუალება აღმოჩნდა სოფიოს დარდის განსაქარვებლად, მისი ღიმილის გამოსანჯევად.

ქრისტინე განსაკუთრებულ სტუმარს ელოდა. ბავშვებს საზეიმო ტანსაცმელი ეცვათ, მთელი სახლი იასამნის ტოტებით მორთეს, ვერცხლეული გამოაწყვეს კარადებიდან და ქრისტინემ უძვირფასესი კაბა გაამზადა.

ბაზრიდან ცინცხალი პროდუქტები მოზიდეს და კახეთიდან საუკეთესო ღვინო ჩამოიტანეს. ორ დღეს საგანგებო მდგომარეობა სუფევდა უკიდურესად დაკავებული პარტიის მდივნის, ზედმეტწონიანი და ამასობაში თითქმის მთლად გამელოტებული რამაზ იოსებიძის, და კვლავინდებურად მშვენიერი ქრისტინეს ოჯახში.

- რა ხდება აქ? ნუთუ მოსკოვიდან ჩამოდის ვინმე? - ჰკითხა სტასიამ დას, როცა დილით, ახალგაღვიძებული ასეთ მაშტაბურ სამზადისს შეესწრო. ქრისტინემ, კიტრის ნათალი რომ მიეფინა სახეზე და გეითუნის ბეთი შეეზილა თმამი, მხოლოდ გაღიზიანებულმა ამოიხვნეშა და თავი გაიქნია.

- შენ ხომ არასდროს არაფრის აზრზე არა ხარ.

აღელვებული და გაღიზიანებული ჩანდა და სტასიამ თავი შეიკავა გამოპასუხებოდა. მართალია, სიმონი ყოველთვე უგზავნიდა ფულს, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ისეთი ცხოვრებისთვის, როგორსაც სტასია უკვე მიჩვეულიყო.

მოგვიანებით შეიტყო მზარეული ქალისგან, რომ ელოდნენ პირადად საიდუმლო სამსახურის შეფს, - ოჯახის მეგობარს, სიძის რამდენიმე კოლეგასთან ერთად. რამაზის უფროსი გემრიელი კერძებისა და საუცხოო ღვინის მოტრფიალე იყო. ოპერა უყვარდა და მაღალი ხელოვნება, როგორც თავად მასპინძელს. შეიძლება იმ დილას სტასია პირველად დაფიქრდა იმაზე, თუ რით იყო მისი სიძე დაკავებული და როგორ ადამიანებთან მეგობრობდა. უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო, სიტყვებით ვერც კი გამოვხატავდიო - ასე მითხრა წლების შემდეგ - თითქოს რაღაცამ სუნთქვა შეუკრა.

კოსტიასთან და კიტისთან მიიჭრა, ტკბილეულობის გამო რომ ჩხუბობდნენ. დააპირა თან წაეყვანა ისინიც, უნდოდა იმ ღამით სოფიოსთან დარჩენილიყო. ამ დროს ქრისტინე გამოვიდა დერეფანში და დაბნეული მიაჩერდა.

- რას აპირებ?

- ხელს არ შეგიშლით სამზადისში. ამაღამ სოფიოსთან დავრჩებით.

- შენ ჭკუიდან ხომ არ გადასულხარ?

- მე რაში გჭირდები? ხომ იცი, ასეთ წვეულებები საჩემო არაა.

- იცი კი საერთოდ, ვინ მოვა? წადი, თუ გინდა, მაგრამ ბავშვები აქ დარჩებიან. უნდა გაიცნონ, იმიტომ რომ ერთ მშვენიერ დღეს გამოადგებათ ეს ნაცნობობა. კოსტია, კიტი, მოდი თუ დეიდასთან!

ორივემ ლამის შვებით ამოისუნთქა და უკვე საგარეოდ გამოწყობილები გაიქცნენ კოხტა დეიდასკენ, დედა კი განზილებისაგან სახტად დატოვეს.

ალბათ სტასიამ იმ მომენტში წარმოუდგენლად დამცირებულად იგრძნო თავი. რაღა გაეწყობოდა, დარჩა და მოწმე გახდა, როგორ ატანდა გემოს პატარა დიდი კაცი ქინძის სოუსში ჩაწყობილ მწყერს,

სვამდა კახურ ღვინოს, როგორ ადიდებდა სამშობლოს და აქებდა ქართული სამზარეულოს შეუდარებელ კერძებს, როგორ ჰყვებოდა ანეკდოტებს და როგორ იხრიდა ქედს ყველა სუფრასთან მკლომი მის წინაშე. სულ „გადასარევი“, „ზღაპრულია“, „დაუჭერებლია“ – ასე გაიძახოდნენ და აცახცახებულ ხელებს სუფრაზე უხერხულად აფათურებდნენ. პენსნიანი კაცი მომხიბლავ დიასახლისს ისე ათვალთქრებდა, თითქოს სამსხვერპლო ყოფილიყო, უთუოდ ყელი რომ უნდა გამოეჭრათ, მისი მხერა სულ უფრო უტიფარი ხდებოდა და აგრესიული, როცა ქრისტინეს დახატულ ტუჩებს, პატარა მკერდს და ვიწრო მაჯებს ამტერდებოდა; სტასია უსმენდა, როგორ მიუძღვნა ათწუთიანი სადღეგრძელო ქართველ ლამაზმანებს და ამავდროულად ქრისტინესთვის არ მოუშორებია თვალი. თანხმობისა და კმაყოფილების გამოსახატავად როგორ აქიცილებდა თავს მისი სიძე და იმავე დროს ნიკაპი შეუმჩნევლად უკანკალებდა.

ყოველივე ამის შემხედვარეს, სტასიას, კიდევ უფრო განუმტკიცდა ეჭვი, რომ სამყარო დაუნდობელი და სასტიკი გახდებოდა. რომ დედამინა წონასწორობას დაკარგავდა და ყველა დაინახავდა ნანგრევებს. რომ ღრმა ჭრილობა გადასერავდა საუკუნეებს, მინას გადახსნიდა და სისხლიან უფსკრულს დააფჩენდა.

მოგვიანებით, როცა პატარა დიდი კაცი ქრისტინესთან და მის ქმართან ერთად ბაღში იდგა, ჩიბუხს ეწეოდა და მასპინძლებს ესაუბრებოდა, უკვე სრულიად უზნეოდ რაღაც სიბინძურე წამოროშა, რაზეც ცოლ-ქმარმა იძულებით გაიცინა, სტასია საზეიმოდ მორთულ სასადილო ოთახში იდგა ამ დროს და ფანჯრიდან აყურადებდა მათ. ყურადღებით აკვირდებოდა ძალმოსილი სტუმრის ყოველ შესტს, ყოველ მოძრაობას, ვითომ შემთხვევით შეხებას მისი დის იდაყვზე, ხედავდა მის ფოლადისებურ კბილებს, ჩაბნელებულ ბაღში რომ გაიელვებდა, როცა ბნედაკარგული და გამომთვრალი საკუთარ ხუმრობებზე თვითონვე ძალდატანებით გაიცინებდა ხოლმე. სტასიას სძულდა საკუთარი თავი იმის გამო, რომ არ გაუვარდა იქ და თავისი უმცროსი და არ გამოგლიჯა ორივეს ხელიდან. თუმცა მისმა დამ საოცარი მსახიობური ნიჭი გამოავლინა იმ დღეს და არაფერი შეიმჩნია. იქნებ სიამოვნებდა კიდევ, ეს მახინჯი კაცი თავს რომ ევლებოდა? – გაუელვა სტასიას, მაგრამ მაშინვე ეს უარყო ეჭვი.

1931 წელს, როცა კიტი ქალთა რუსული გიმნაზიის მეორეკლასელი იყო და მშვენიერი იერით, სავსე ტუჩებით, ნაბლისფერი ხვეული თმით და თაფლისფერი ნუშისებრი თვალებით შეუმჩნეველი ვედარ რჩებოდა, კოსტია კი მეტად გამაღლდა და წარმოსადეგი ბიჭი დადგა – პარტყუნა ყურები ჰქონდა, დასავით ნაბლისფერი, მაგრამ სწორი თმა; ხოლო განსაკუთრებული სიბეჭითის გამო ასაკით უფრო დიდ და სერიოზულ ყმაწვილს დაემგვანა, ვიდრე მისი თანაკლასელების უმრავლესობა, –

პატარა დიდი კაცი, ამასობაში, როგორც იქნა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა – რამაზ იოსებიძე კი პირად მდივნად დანიშნა.

სოფიო თითქმის აღარ გადიოდა შინიდან და მხოლოდ მეგობრების დახმარებით გაჰქონდა თავი. მოწაფეები აღარ ჰყავდა და ლექსების გამოქვეყნება აეკრძალა მას მერე, რაც მწერალთა კავშირში განუცხადეს, რომ მისი ტექსტები საზოგადოებრივ ნორმებსა და დიდი სოციალისტური რესპუბლიკის მორალს ეწინააღმდეგებოდა.

ერთხელ, ნაშუადღევს, იოსებიძეების სახლში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დარეკა. დიასახლისთან მოითხოვა ლაპარაკი. საუბარი თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ამის მერე ქრისტინეს შავმა „ბუგატიმ“ მოაკითხა. წითელი შიფონის ბრჭყვიალა კაბა ჩაცვა, გრძელი შავი ხავერდის ხელთათმანები შეეკერებინა და ფარშევანგისბუმბულიანი შავი ქუდი მოერგო.

ოპერაში პირადად პირველი მდივანი შეეგება და თავის ლოჟაში გვერდით მოისვა. დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ჩემი წარმოსახვით, როდესაც სტასიას სიტყვებს გონებაში ვაცოცხლებდი, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ საღამოს ბელინის ნორმას წარმოადგენდნენ. *Casta Diva*-ს არიის დროს ლოჟიდან შარიშური და ჩურჩული მოისმა.

უთვალავი თავი მიტრიალდა მისი უდიდებულესობის სამყოფელისკენ: სცენური განათების ბინდში ქალის ფიგურა მოჩანდა, რომელიც პირველი მდივნის ცოლი ვერანაირად ვერ იქნებოდა. მერე გაქრა. მაგრამ *Ah bello a me ritorna*-ს დროს შეიძლებოდა წითელი ხავერდის მოაჯირს ჩაჭიდებული შავხელთათმანიანი ქალის ხელის დანახვა. *Del fi do amor primiero*-ს დროს რაღაც მძიმე საგნის იატაკზე დავარდნის ხმა გაისმა. *E contro il mondo intiero*-ს დროს კი მოგუდულად წამოიყვირა ვიღაცამ. დაბოლოს, *Difesa a te sarò*-ს დროს ხელი ნელ-ნელა და გაუბედავად გაუჩინარდა.

მაყურებელთა დარბაზი წყვილმა ყველაზე ბოლოს დატოვა. ხალხი უკვე გასული იყო სხვადასხვა გასასვლელიდან და ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა ხმა, რომ პირველ მდივანს წარმოდგენა არ მოეწონდა, მაინცდამაინც დიდი მონდომებით არ უკრავდა ტაშსო. რამაც, დაზაფრული დასი ლამის აატირა. მაგრამ ეს მხოლოდ ჭორი იყო. მოგვიანებით მან საჯაროდაც განაცხადა, რომ წარმოდგენა განსაკუთრებულად მოეწონა. სიმართლე ის იყო, მას არაფერი ან თითქმის არაფერი უნახავს. სიმართლე ის იყო, რომ ქრისტინეს შიფონის კაბა დაჭმუჭნოდა და მაკიაჟი სახეზე ჩამოთხაპნოდა, ამიტომ დაელოდნენ დარბაზის დაცარიელებას, რომ შეუმჩნეველად ჩამსხდარიყვნენ ისევ „ბუგატიში“.

რამაზი კიევში იმყოფებოდა სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილ ყრილობაზე, ამიტომ ქრისტიანე მისაღებ ოთახში დაჯდა და ალუბლის ლიქიორი მოითხოვა. სტასია ხმაურმა და კარის მიჯახუნებამ გააღვიძა, ქვევით ჩავიდა და თავის დას იმ დროს წაასწრო, როცა ის სულმოუთქმელად სვამდა პირდაპირ ბოთლიდან, რაც სრულიად არ ჰგავდა ქრისტიანეს საქციელს.

- რა ხდება? რამაზს ხომ არ მოუვიდა რამე?

- არა, რა უნდა მოსვლოდა. ყველაფერი მშვენივრადია. მოდი, დავლიოთ.

- კი მაგრამ, შენ სად იყავი?

- უბრალოდ, ერთი პატარა და უმნიშვნელო შეხვედრა მქონდა.

როგორ ეცადა სტასია, მაინც ვერაფერი გამოსტყუა დას, ბოლოს თავი დაანება, თვითონაც ტკბილ და ბლანტ ლიქიორს მისდგა და ქრისტიანეს აღარ ჩამორჩა სმაში.

მომდევნო დღეებში თურმე ისევ ურეკავდნენ... ქრისტიანე კვლავ საათობით ქრებოდა.

* * *

სულ უფრო უკეთესი, სულ უფრო ხალისიანია მშრომელთა ცხოვრება!
წარწერა პლაკატზე

მომდევნო თვეებში რამაზის სავალდებულო მივლინებები გახშირდა, ქრისტიანეს გასეირნებანი - შესაბამისად. რამაზი აგვარებდა ჯაშუშების საკითხს, საზღვარზე გადასვლის, პრესის, გულაგის დაცვის პრობლემებს. პატარა დიდი კაცი ლამაზმანებისადმი დაუოკებელ ჟინს იკმაყოფილებდა.

არ ვიცი, რამ უბიძგა სტასიას, მაგრამ ერთხელ, ნაშუადღევს გაედევნა სათვალთვალოდ შავ „ბუგატის“, სადაც მისი და მოკალათდა მორიგი სატელეფონო საუბრიდან მალევე (ოღონდ მაშინ სტასიამ ტრამვით სდია თუ ავტომობილით, ეგ უკვე აღარ მახსოვს).

დანამდვილებით ის ვიცი, რომ ქალაქის საუკეთესო შენობასთან აღმოჩნდა, რომლის საუცხოო ეგზოტიკური მცენარეები და პალმები სამხრეთამერიკულ ვილას მოგაგონებდა და ცნობისმოყვარე თვალებისგან იფარავდა სახლს. ქალაქში ყველამ იცოდა, ვის ეკუთვნოდა ეს სახლი და ისიც, რომ იქ მისი პატრონი ქალაქის ულამაზეს ქალებს იცვლიდა დროდადრო. სტასიამ დაინახა, როგორ შევიდა შავი მანქანით მისი და მოოქრულ ჭიშკარში.

დის სახლში მიბრუნებული, სამზარეულოს გრძელ მაგიდას მიუჯდა და არ განძრეულა გვიან საღამომდე, ვიდრე ქრისტიანემ კარი არ შემოაღო. მსახურები დაითხოვა, ბავშვები აღრიანად ააგზავნა თავიანთ ოთახებში.

ისეთი კილო ჰქონდა, რომ ორივე მიხვდა, წინააღმდეგობის განევას აზრი არ ექნებოდა და დაემორჩილნენ.

სამზარეულოში შესულმა ქრისტიანმა ფეხსაცმელი წაიძრო, ლიქიორის ბოთლი აიღო და დას მიუჭდა. სტასია – პეტროგრადში შიმშილობის წლებგამოვლილი და თავისი წითელი ობერლეიტენანტის ჩამწარებული სიყვარულის შედეგად თითქმის უსქესო არსებად ქცეული, და ქალურობითა და ელეგანტურობის მწვერვალზე მყოფი ქრისტიანე. სტასია თავისი უბრალო, წვივამდე დაშვებული, პანანინალილებიანი ჩითის კაბით და ქრისტიანე მოქარგულსაყელოიანი ღვინისფერი ჟაკეტითა და გრძელი შავი აბრეშუმის კაბით. სტასია სიგარეტს აბოლებდა და თვალები იატაკისაკენ დაეხარა. ქრისტიანე ზერელედ ალაპარაკდა ამინდსა და შვებულების გეგმებზე, ქალაქის დაძაბულ ცხოვრებაზე, როცა სტასიამ გააწყვეტინა:

– მე შენ აგედევნე.

ქრისტიანემ კარგა ხანს არაფერი უპასუხა, ლიქიორის სმას განაგრძობდა. ბოლოს ჩაიჩურჩულა:

– რატომ?

ისხდნენ ასე შუქისგან დამფრთხალი და დაბრმავებული თხუნელებივით და ერთიმეორეს შესცქეროდნენ, თითქოს პირველად ხედავდნენ ერთმანეთს.

– არ მინდოდა მეფიქრა, არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ შენ მართლა შვრები ამას...

– მაინც რას ვშვრები, რას? – ისტერიულად წამოიძახა ქრისტიანემ, და სტასია მიხვდა, რომ ცხოვრებაში პირველად ესმოდა თავისი დის ყვირილი.

– შენ... – გააგრძელა სტასიამ და იგრძნო, რომ ხმა არ ემორჩილებოდა.

– მე ვალდებული ვარ, ასე მოვიქცე.

– როგორ თუ ვალდებული ხარ?

– ვიდაცამ უნდა განიროს თავი ოჯახიდან, რომ დანარჩენებმა დალხენილი ცხოვრების გაგრძელება შეძლონ, ასე არ არის?

უცებ ქრისტიანეს ხმაში ისეთი ზიზღი გამოიხატა, ისეთი გაბოროტება, საკუთარი თავის სიძულვილი, რომ სტასიას შეეშინდა და უნებლიეთ ოდნავ გაიწია მისგან.

– ვერ გიტან.

– კარგი ცხოვრების პირობებს, ზღაპრულ საჭმელებსა და ლამაზ კაბებს, სეირნობას, კერძო გაკვეთილებს და საუკეთესო სკოლებს შენი შვილებისთვის ხომ იტან?

– მე ეს არასდროს მითხოვია შენთვის. რატომ, ქრისტიანე, რატომ? რამაზს ხომ საკმარისად აქვს ფული.

- მენ არაფერი გესმის, არაფერი, როგორ შეგაგნებინო, აღარ ვიცი, ლამისაა შევიძალო! დღემდე ვერ მიმხვდარხარ, ის ვინ არის და რა შეუძლია! ჯერაც ვერ ხედავ, სად ვცხოვრობთ?

ქრისტიანე უცებ გაჩუმდა, ბოთლიდან დიდი ყლუპი მოსვა და ოთახიდან გავიდა.

იმედი ჩაიფერფლა.

ნდობა აღარ შეიძლებოდა, სიტყვები უძლური აღმოჩნდა, გულები - მით უმეტეს. გვირაბში ჩაიკეტნენ, საიდანაც გასასვლელი არ არსებობდა. სტასია მზად იყო უკან არ დაეხია, მაგრამ ღირდა კი ბრძოლა, როცა სასონარკვეთამ დაისადგურა?! საით უნდა გაგეხედა, რომ პატარა დიდი კაცის დაკრეჭილი კბილებისგან დაგეღწია თავი, თანაც სახეში რომ შემოგვინოდა?! რა ძლიერ უნდა დაგეხუჭა თვალები, ნანგრევები რომ არ შეგემჩნია? რამხელა ძალისხმევა იყო საჭირო გაღიმებულს გველო, როცა ფეხქვეშ ამდენი გვამი გეფინა?!

სტასიამ თვალები დახუჭა და გაბრწყინებული თევლა დაინახა, იცინოდა და მისკენ ინვდენდა ხელს, ეძახდა - სტასიამ სასწრაფოდ გაახილა თვალი, მოჩვენებებისგან რომ თავი დაეღწია, მაგრამ რეალობაც მოჩვენებებით იყო სავსე.

1932 წლიდან პატარა დიდი კაცი ამიერკავკასიის ფედერაციის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი გახდა და რამაზი ბაქოში გადაიყვანა პარტიის ზედამხედველად, ასე რომ, მას მხოლოდ ყოველი თვის ბოლო შაბათ-კვირასღა შეეძლო ცოლი ენახა. გლეხთა დეპორტაცია და მასობრივი დახვრეტის ახალი ტალღა დაიძრა, რაც ჯერ შეუმჩნევლად, ნელა მიცოცავდა ქალაქებისა და მეტროპოლიებისკენ. ხმა დადიოდა, რომ რუსეთში მაროდორი ბავშვების ბანდები გაჩნდა, რომ სასურსათო მაღაზიებთან უსასრულო რიგები იდგა, რომ მუშების ცოლები სხეულით ვაჭრობდნენ ოჯახების გამოსაკვებად. აქა-იქ ისმოდა, რომ აპატიმრებდნენ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებს, რომლებმაც „ხალისიან, ბედნიერ ცხოვრებას“ უღალატეს; რომ უკანასკნელ ორ წელიწადში მილიონობით უკრაინელი გლეხი გადაასახლეს ყაზახეთში ან დახვრიტეს. გამოჩნდა პლაკატები, სახელმწიფო პოლიტიკური მმართველობის მიერ დაბეჭდილი, სადაც ეწერა: „საკუთარი შვილების ჭამა ბარბაროსული აქტია!“

მზიან სამხრეთ კავკასიაში ეს დიდად არ იგრძნობოდა, ჯერ მხოლოდ ვიღაც ვიღაცის ნაცნობს იცნობდა, ვისაც რაღაც შეემთხვა, მაგრამ თვითონ ამას ვერ ხვდებოდნენ ჯერ, ან არ უნდოდათ დაენახათ.

თუმცა სტასიას მარტო ქრისტიანესი კი არა, სოფიოს დარდიც ჰქონდა, სულ უფრო იშვიათად რომ ატარებდა ღამეს შინ და თითქმის აღარ ელაპარაკებოდა მეგობარს.

რამეს როცა ეკითხებოდა, მიკიბულ-მოკიბულად პასუხობდა ან სიტყვას ბანზე უგდებდა. სტასია სოფიოს გაუჩინარების პირველივე ღამეს

მიხვდა, რომ მეგობრის ასკეტიზმი და ჩაკეტილობა მის უკანა ეზოში დამთავრდა, უფრო მეტიც: რომ სოფიო შეთქმულებს საბოლოოდ გაეფიცა - რაც სრულად ბუნებრივი იყო მისთვის. სტასია განიცდიდა თავის გაუბედაობას და შერყეობას, აუხდენელი ოცნებებისა და დაულაგებელი ცხოვრების შიშს. სოფიოს დუმილსაც განიცდიდა და ქმართან დამსხვრეულ სიყვარულს, უმცროსი დის გაუგონარ გაათურებას, რაც ბოლო თვეებში საგრძნობლად გამოიკვეთა, და მაინც, უნიათოდ იხევდა უკან.

მარტის იმ სისხლიანმა ღამემაც ვერ გამოაფხიზლა, რომლის შესახებაც კარგა გვიან მიაბზო. იმ ღამეს სოფიოს ეზოდან ქრისტინეს ვილაში დაბრუნდა ანდროსთან ერთად, რადგან მეგობარმა სთხოვა, ბავშვს მიმიხედო. ქრისტინეს ოთახიდან ყვირილი შემოესმა.

ანდრო ბავშვების ოთახში ააგზავნა, თვითონ კი თავისი დისა და მივლინებაში მყოფი სიძის საძინებლიკენ გაიქცა. კამოდზე შემოდგმული ჩამჭკნარი ლავანდის ყვავილები სურნელს აფრქვევდა, რასაც ცოლ-ქმრის კარგი, მშვიდი ძილი უნდა უზრუნველყო, იქ აღმოაჩინა ქრისტინე თეთრ ჰაეროვან სანოლში, რომელსაც კოლოებისგან დამცველი თეთრი ბადე ფარავდა, ქათქათა, გახამებულ თეთრეულში, მის ქვეშ კი - სისხლის გუბე იდგა.

ქრისტინე კბილს კბილზე აჭერდა, კვნესოდა, ყვიროდა და სანოლის თავს ეჭიდებოდა. სტასია მივარდა და ანუგეშა, სასწრაფოდ ექიმს მოვიყვანო, მაგრამ ტკივილებისაგან განამებულ დას არაადამიანური ხმა აღმოხდა, ისე მძვინვარე, რომ სტასია გაშეშდა და დაემორჩილა.

- არავითარი ექიმი, არავითარი ექიმი... არავინ უნდა გაიგოს... ყველა დავითხოვე. არ შეიძლება, რომ ვინმემ...

- სისხლისგან იცლები! ეს რა ჩაიდინე?

- შავ წიგნაკში, მაგიდაზე, ბოლო გვერდზე, ქვემოთ, მისამართი წერია. იქ უნდა მიხვიდე და ის ქალი მოიყვანო. იმას შეუძლია სისხლდენის შეჩერება.

სტასიას ცივმა ოფლმა დაასხა, მოიტანა კომპრესები, პირსახოცები შეუფინა და მითითებულ მისამართზე გიჟივით გაიჭრა. იქ რაღაც ფარდულს მიაგნო, წამოიყვანა ბებერი, დანაოჭებულსახიანი ქალი და დას მოუყვანა. ბებიაქალს რამდენიმე დღით ადრე ქრისტინესთვის ბალახები მიეცა, რათა არასასურველი ჩანასახი მოემორებინა.

ორ დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს სტასიას, ქრისტინეს სანოლთან იჯდა და მეორე დღის ბოლოს გავიდა სამზარეულოში, რათა თავისი გატანჯული დისთვის ცხელი შოკოლადი მოემზადებინა. და როცა სურნელზე შემოცვენილი ბავშვები უკან გააბრუნა და ქრისტინემ ეს ღვთაებრივი სასმელი დალია, შვებით გაიღიმა და პანანინა ცრემლი ჩამოუგორდა მარცხენა თვალიდან.

- მე არასდროს მეყოლება რამაზისგან შვილი. ყველა ექიმი შემოვიარეთ, - თქვა ჩუმად და კვლავ ცხელი შოკოლადი მოწრუპა.

სტასია მდუმარედ იჯდა სანოლის კიდეში და თვალს არიდებდა დას, რომელიც ასე მოტეხილი, დაუძღურებული იყო და ავადმყოფურად ფერმკრთალი ჩანდა. თვალებითა ამოღამებოდა და ტუჩები ფერდაკარგული ჰქონდა.

- მეგონა, ჩემი ბრალი იყო... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

- ვფიქრობდი, არ გინდოდათ გაჩენა. ჯერ არ გინდოდათ. შენ ხომ მეუბნებოდი, ჯერ ცხოვრებით მინდა დავტკბეო და...

- გატყუებდი. იმედი მქონდა, რომ გამოგვივიდოდა. ზღვაზე რომ გეგონე წასული, ვარშავაში ვიყავით ერთ ცნობილ სპეციალისტთან. რაღა ახლა, რაღა ასე, რატომ?

სტასია ცრემლებს იკავებდა, რომ მთელი ეს უბედურება კიდევ უფრო მტკივნეული არ გაეხადა.

- შეწყვიტე ეს ყველაფერი, გთხოვ. ვიცი, რომ გეშინია, მაგრამ შეწყვიტე. გვედრები, - უთხრა ბოლოს ჩურჩულით და ჭიქით წყალი მიანოდა.

- მშვენივრად იცი, რომ ეს შეუძლებელია.

- ეს ყველაფერი კიდევ უფრო შეუძლებელია, ქრისტინე, როგორ არ გესმის?

- არ გამოვა, სტასია!

- მოდი, წავიდეთ აქედან. სადმე გადავიკარგოთ.

- ნუ სულელობ! თანაც: სადაც უნდა ვიყო, მაინც მომაგნებს.

- ღმერთი კი არ არის, ქრისტინე!

- ღმერთი აღარ არსებობს, ვერანაირი ღმერთი ვერ დაგვიხსნის ამ გასაჭირისგან, ასეა, რას იზამ. ის კი... ის, ის კი თითქოს დამოკიდებული გახდა ჩემზე.

- დამოკიდებული? რას გულისხმობ?

- ისევ მიხმობს, ისევ და ისევ მაიძულებს, ყველაფერს იზამს იმისთვის, რომ ასე გაგრძელდეს.

- არ მესმის, რეებს ამბობ...

- დამაძინე ახლა, სტასია, ისეთი დაღლილი ვარ, და გადაეცი იმათ, ჩემი მწვანე კაბა მომიმზადონ ხვალისთვის, გაუთოებული და საყელოგახამებული იყოს და კიდევ ჩემი პეპლიანი თმის სამაგრი მომიწესრიგონ. ვერცხლითა და მარილით განწმინდონ.

- ქრისტინე!

- ასე გადაეცი. არ გამაგონონ ხვალ, კაბა ჯერ კიდევ სამრეცხაოშიაო.

- ეგებ გაუმხილო რამაზს.

ქრისტინეს გაეცინა, ზიზღნარევი სიცილი იყო. მერე მეორე მხარი იბრუნა.

* * *

ახალგაზრდები ჯერაც ვერ გრძნობენ შრომის პოეზიას.
გორკი

იმ ზაფხულს სტასია ბავშვებთან და ქმართან ერთად მშობლიურ ქალაქში ჩავიდა და დროს ატარებდა კიდევ უფრო ღვთისმოსავ ლიდასთან, დედინაცვალთან, რომელიც ერთადერთი ქალიშვილის გათხოვების მერე თითქოს ჭამის მეტს აღარაფერს აკეთებდა, და მამასთან, რომელიც სულ უფრო დაბნეული და მელანქოლიური ხდებოდა, დნებოდა და სუსტდებოდა.

სტასია პირველად დაფიქრდა, იქნებ ასეც უნდა ყოფილიყო, იქნებ სწორედ ასე ცხოვრება იყო რეალური და ოცნება მხოლოდ დაბრკოლებებს ქმნიდა, ჭეშმარიტებას აშორებდა ადამიანს.

ობერლეიტენანტი ყოველდღე ხვდებოდა ძველ მეგობრებს და ნარდს ეთამაშებოდა, სტასიას კი რვა წლის კიტი საჯინიბოში დაჰყავდა, ქირაობდა ყაბარდოულ ცხენს და გოგონას ჯირითს ასწავლიდა. რა თქმა უნდა, მამაკაცური სტილით. თავისი ბავშვობის ადგილებს აჩვენებდა. კიტი კი, რომელიც ბევრად უფრო მკვირცხლი, ხალისიანი და ხმაურიანი იყო, ვიდრე ორივე ბიჭი ერთად, იცინოდა და აღფრთოვანებული კისკისებდა. ქალაქელი ბავშვი, რომელიც მხოლოდ დეიდამისის მძღოლს დაჰყავდა სკოლაში და კერძო მასწავლებლებლებთან, უცებ გალადდა და სტასიას რაღაც ატმისფერი, წარმტაცი და ხალისიანი მოგონებები გაუცოცხლა. და ამ რაღაცამ ის ერთიანად შეძრა. სტასიამ კიტის მუხა აჩვენა – შევთანხმდეთ, რომ საუკუნოვანი მუხა იყო, კლდეში გამოკვეთილი მონასტერი, მწირი ლანდშაფტი. სევდიანად მოციმციმე ვარსკვლავებსაც უცქეროდნენ ერთად, ყვითელ მთვარეს, შეიგრძნობდნენ ბებერ მიწას, რომელმაც ამდენი რამ იცოდა და ასე მცირეს გაიღებდა.

ამასობაში კოსტია ცდილობდა, ანდროს მიმართ ეჭვიანობა დაეძლია და თავის მუდამ შორს მყოფ მამასთან თავიდან დაემყარებინა ურთიერთობა. უფროსების განხეთქილებებსა და დაპირისპირებებს შორის იჭყლიტებოდა, უსასრულოდ ენატრებოდა მამა და უცნაურად გაუცხოებოდა დედას, მოახლოებულ გარდატეხის ასაკში თავგზა არეოდა. ვერ თოკავდა წყრომას ირგვლივ მყოფი შეუცნობელი, მოფუსფუსე ქალებისადმი. სტაბილურობისა და წესრიგისკენ მიილტვოდა და მისი პატარა სამყაროს დედოფალი ქრისტინე იყო. ის კი შეიცვალა. იმდენ დროს აღარ უთმობდა მას, როგორც ადრე. აღარ აჰყავდა რჩეულთა კვარცხლბეკზე, აღარ უწოდებდა თავის უფლისწულს. ხშირად მიდიოდა სადღაც, მერე კი მართო იჭდა სამზარეულოში, შუქსაც არ ანთებდა, იმ მოტკბო ბლანტ რაღაცას სვამდა, რასაც დედა უმზადებდა და ერთ

წერტილს აშტერდებოდა. კარგა ხანია თავის დუმილში შეეფარებინა თავი, რასაც კოსტია ვერაფრით ხსნიდა.

მამისგან აღიარება ეწადა, ქრისტინესგან კი – ჩვეული სიყვარული.

უნდოდა მისგან გაეგონა ისევ, როგორი მოხდენილი და გამორჩეულია, ჭკვიანი. რა კარგი მანერებით გამოირჩევა და როგორ ჰგავს მას. ამ ყველაფერს ხომ პატარაობიდანვე ისმენდა კოსტია მისგან. ასე ეგონა, დედამისს კი არა, სწორედ ქრისტინეს სჭირდებოდა იგი ყველაზე მეტად, ის ექცეოდა თანასწორივით და უნერგავდა რწმენას, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეძლებდა, მეფე გამხდარიყო.

ყველაზე მეტად მისგან აღიარება აკლდა გულს. რადგან შეაჩვია დეიდამ, სხვა ბავშვებზე უკეთესი რომ იყო. ახლა სწორედ ეს უნდოდა გაეგონა, რომ სხვებისნაირი არ იყო. მით უმეტეს, თავისი უმცროსი დის მსგავსი. ლამის შეურაცხყოფილად მიაჩნდა თავი, დასთან და ანდროსთან რომ უწევდა შეჯიბრება თავის გამოსაჩენად და უპირატესობის დასამტკიცებლად.

ეს ხუჭუჭა ანდრო. სუსტი, დაუცველი და სრულიად უამბიციო ჩანდა, ოღონდ წიგნები წაეკითხათ მისთვის, მეტი არაფერი უნდოდა, სიმღერას ყოველთვის მაშინ იწყებდა, როცა ეგონა, რომ მარტო იყო, სამ თუ ოთხ ენაზე კითხულობდა ლექსებს ზეპირად, ყველაზე მეტად ხისგან უაზრო ფიგურების გამოთლა უყვარდა, დიდი ამბით რომ უწონებდნენ და აღფრთოვანებას გამოხატავდნენ. კიდევ იმიტომ, რომ ასეთი საყვარელი იყო, გულითადი, თავმდაბალი, შემწყნარებელი.

და კიდევ ეს მისი და, არაფერი რომ არ ჰქონდა მასთან საერთო, გარდა გვარისა და ფრჩხილების ფორმისა. თანაც სულ რომ აბრაზებდა და აცოფებდა თავისი თავხედობით, იმპულსურობითა და დაუდევრობით, სისულელეებით ჰქონდა თავი გამოტენილი, სკოლაში ბარმაცობდა და რისი ნიჭიც ჰქონდა, ჯამბაზობა და ცერცვებობა იყო, თუმცა სწორედ ამ თვისებებით ხიბლავდა და ატყვევებდა უფროსებს. გამუდმებით ხითხითებდა, ენას ანკლაპუნებდა და იმანჭებოდა. წინდებზე მუდამ თვალი ჰქონდა წასული და იმ ანდროს ეწებებოდა.

კოსტია გულში ყოველთვის დედას ადანაშაულებდა, რომ ასე შორს იყო მამისგან, იმ კაცისგან, რომელსაც ამდენი მედალი უმშვენებდა მკერდს, თვითონაც ძალიან რომ უნდოდა ჰქონოდა და გაუმართლა კიდევ შემდგომი ცხოვრების განმავლობაში, საკმარისზე მეტიც მიიღო. კიდევ რამდენიმე წელი გაატარა კონსტანტინე ჯაშმა საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შინაგან სამყაროში გზააბნეულმა, სანამ საბრძოლო ასპარეზი არ გამოეკვეთა, საკუთარ შესაძლებლობებსა და სიმართლეში არ დარწმუნდა და თავის გატანის ხერხებს არ მიაგნო. საკუთარი ხერხები არ აირჩია.

სოფიოს ცხოვრებაში – იმ დროისთვის, როცა შემოდგომაზე სტასია თბილისში დაბრუნდა – ახალი კაცი გამოჩენილიყო, ყოველ შემთხვევაში,

თვითონ ასე ხსნიდა სოფიოს განწყობას, დიდი ხნით მის გაუჩინარებას და საიდუმლოებებს.

ვარაუდი მართლაც გაუმართლდა – ფლორენციაში განსწავლული არქიტექტორი, რამდენიმე არაჩვეულებრივი იდეის ავტორი, მათი განხორციელებაც დაუნყია, სანამ დეკადენტად და ზედმეტად დასავლეთზე ორიენტირებულად არ მიიჩნიეს, პროფესიულად არაკომპეტენტურად გამოაცხადეს და კომუნალურ ბინაში გადააბარგეს, რომელშიც სააბაზანოს და სამზარეულოს კარტოფილის გამყიდველებთან იყოფდა.

მაგრამ ამ კაცმა სიყვარულის ისეთი გრძნობა კი არ გაუღვიძა სოფიოს, როგორც სტასიას ეგონა, არამედ სიფრიფანა, ნაზი ლენტი შემოჰხვია მხრებზე, რომლის ბოლოები მაგრად იყო მის იდეებთან გადაბმული. არქიტექტორობასთან გამომშვიდობების გამო იძულებული გახდა, საკონსერვო ფაბრიკაში ემუშავა და სხვა რაღა დარჩენოდა, თავისი იდეები – უპირველესად ქალაქის განაშენიანებასთან დაკავშირებით, და მერე უკვე საერთოდ მსოფლიო პროცესები – ღამდამობით სანთლის შუქზე დაჭმუჭნილ სასკოლო რვეულში არ აღებეჭდა და ჩაენიშნა. რვეულს კი კომუნალურ ბინაში, ლეიბის ქვეშ მალავდა.

თავისი ჩანაწერები მან სოფიოს გაანდო, რომელმაც ერთ დღეს ფაბრიკაში ამოყო თავი, იქ მომუშავე ქალებისთვის უფლებები რომ განემართა. ქალების უმრავლესობა ცნობისმოყვარეობით მიშტერებოდა, თავსაც უქნევდნენ და ისევ სამუშაო ადგილს უბრუნდებოდნენ, არქიტექტორი, ბოლო რიგში რომ იჯდა, დარჩა და სოფიო კმაყოფილი იყო, რომ კაცი მსმენელიც გამოუჩნდა. ასე გამოელაპარაკნენ ერთმანეთს.

– ეს კაცი ლოთს ჰგავს! – ეს იყო პირველი, რაც სტასიამ გაიფიქრა არქიტექტორის დანახვისას. შემუშებულსახიანი, ფერმკრთალი, ჩაკეტილი. თავიდან სტასიამ რაღაც სიბრაზის მსგავსიც კი იგრძნო მის მიმართ, როცა სოფიოს ბინაში გამოეცხადა და შეთავაზებული ჩაის წრუპვა დაიწყო.

საინტერესო კაცი მაინც ყოფილიყო, რაღაცით გამორჩეული, მაშინ კიდევ... – ფიქრობდა სტასია.

როცა იგი, ბოლოს და ბოლოს, წავიდა, სოფიოს გამოჰკითხა ყველაფერი და კატეგორიულად ურჩია: მთელი უბნის საჭორაოდ გაიხდი თავს, თუ ამას ოფიციალურ სახეს მისცემო, სოფიომ კი უპასუხა, რაოდენ დასანანია, რომ ტასო ისევ თვალს ხუჭავს ყველაფერზე, რაც მისთვის უცხოა და თანაც ეს ისევ სხვა შემთხვევააო.

– ჯერ ერთი, მასთან ის ურთიერთობა არ მაქვს, რომელსაც გაოფიციალურება სჭირდება. მეორეც, მას უთვალთვალევენ და ანდროს საფრთხეში ვერ ჩავაგდებ, მესამეც, შენ სულ არ მეხმარები და მეოთხეც,

ამ კაცს გასაჭირში ვერ მივატოვებ, – მიუგო მკვახედ და კარს მიაშურა, სადაც სკოლიდან მობრუნებული ანდრო იდგა და აკაკუნებდა – ის ნაკლებად ელიტარულ ქართულ სკოლაში დადიოდა, თანაც უფრო ახლოს იყო, ვიდრე კიტისა და კოსტიას რუსული გიმნაზიები.

არქიტექტორთან პირველი შეხვედრიდან სტასია ცოტა ხანში ქრისტიანულ თავისი და მუდამ სხვაგან მყოფი ქმრის კაბინეტში იხმო და თავისი საყვარელი ალუბლის ლიქიორი, ბროლის სასმისებითურთ, დაუდგა წინ.

ქრისტიანეს ვერაფრით შეატყობდი, რამე სადარდებელი თუ ჰქონდა: არაჩვეულებრივად ეცვა, მხრებში გამართულიყო, ელეგანტური, ოსტატური თმის ვარცხნილობა ჰქონდა, ყურებსა და თითებზე სამკაულები უბრწყინავდა, ტუჩები ალუბლისფრად შეეღება. სტასიასთვის ქრისტიანე მუდამ იდუმალ ქალად რჩებოდა.

დასხდნენ, თითო ჭიქა ლიქიორი დალიეს და რაღაც ბანალური სიტყვები გაუცვალეს ერთმანეთს.

კიტიმ ცუდი ნიშანი მიიღო მათემატიკაში და მასწავლებელმა გააფრთხილა, კოსტია ჩინებულად ართმევს თავს, კალიგრაფიაში ყველას აჯობა თავის კლასში; მზარეულმა დღეს ომლეტი გადაამლამა, დაბერდა უკვე, ამბობენ, ხორბალი გაძვირდებაო, და სხვა ამგვარი.

სტასია აკვირდებოდა უძვირფასესი ბეჭდებით შემკული თითების ნატიფ მოძრაობას და ცდილობდა წარმოედგინა საკუთარი თავი ქრისტიანეს ადგილას, მაგრამ არ გამოსდიოდა.

– შენს მეგობარზე მინდა დაგელაპარაკო, – დაიწყო უცებ ქრისტიანემ და სრულიად შეეცვალა ტონი, მკაცრი და გაუცხოებული გახდა, თითქოს დის როლიდან გამოვიდა და ოსტატურად დაიწყო პოლიტიკოსის მეუღლის განსახიერება.

– რასთან დაკავშირებით?

– ანარქისტების წრეში ტრიალებს და ეს მისი ახალი მეგობარი... მოკლედ, მას უთვალთვალებენ. არასწორად მოაზროვნე ადამიანებს თანაუგრძნობს. ამის გამო შეიძლება არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდეს. იმ კაცს მცდარი შეხედულებები აქვს, ხომ გესმის. უნდა დაშორდეს, რაც შეიძლება სწრაფად.

– ის კაცი სულ არ არის საშიში. მე თუ მკითხავ, მისი პრობლემები უფრო ფსიქიკასა და ალკოჰოლთანაა დაკავშირებული. იმის უნარიც კი არ გააჩნია, რომ საერთოდ რამე შეხედულება ჰქონდეს, – უპასუხა სტასიამ გულგრილად.

– უბრალოდ, გაგაფრთხილე. ჩემი მხრივ, მეც შევანიე სოფიოს სიტყვა. მაგრამ ეს დიდი ხნით ვერ უშველის, თუ ჭკუას არ მოუხმობს. დიახ, იმანაც უნდა მოუხმოს ჭკუას და შენც.

– მე რა შუაში ვარ?

– შენ მისი მეგობარი ხარ.

- მაგრამ მე შენი დაც ვარ.

- რა თქმა უნდა, ხარ. ამიტომაც ვფრთხილობ, გასაჭირში არ ჩავარდე. მე ყოვლისშემძლე ნუ გეგონები, სტასია.

- შენ ხომ მისი...

- რა? მისი კურტიზანი ვარ? საყვარელი? ბოზი? რისი თქმა გინდა?

- არაფრის.

- თქვი, თუ ამბობ!

- რა გინდა ჩემგან?

- მე რა მინდა? მინდა, რომ ცხოვრება უხიფათოდ გააგრძელო. გთხოვ, ჩემს სიტყვებს სერიოზულად მოეკიდო, ეს არის და ეს.

აფორიაქებული სტასია ოთახიდან ბაღში გავიდა, შადრევანთან, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა დამშრალი იყო, და ზედ ჩამოცვენილი ფოთლების ხალიჩა ეფინა, თავისი გრძელი სიგარეტი გააბოლა. ქრისტინეს სიტყვებმა გულის სიღრმემდე შეძრა.

ოღონდ ზუსტად არ იცოდა, რატომ.

იქნებ მთელი ეს ვითარება იყო მისთვის თავბრუდამხვევი და გულის ამრევი. მისი დის სტატუსი, რომელსაც სტასია აღარ აპროტესტებდა და უფრო მეტიც, სათავისოდაც კი იყენებდა.

იქნებ შეეგუა კიდევ და ხელსაყრელადაც მიაჩნდა უკვე რამდენიმე წელიწადია. მაგრამ შეიძლება ის უცნაური განწყობა ამინებდა, მის ქვეყანას ვირუსით რომ მოედო და არ უნდოდა, რამე საერთო ჰქონოდა ამ ყოველივესთან. ეულად და უსუსურად გრძნობდა თავს. არ ტოვებდა განცდა, რომ დამარცხდა და თანაც ყველა შესაძლო ფრონტზე, მაგრამ ამას საკუთარ თავთანაც არ აღიარებდა.

კოსტიას ოთახში შევიდა და აიძულა ამდგარიყო, რომელიც „განძთა კუნძულს“ კითხულობდა, თავის საყვარელ წიგნს.

მთქნარებით და უკმაყოფილოდ გაჰყვა დედას სასადილო ოთახში და რძე დაისხა.

სტასია შვილს მისჩერებოდა და უკვირდა, რომ ის ასე გაუცხოებოდა. მეტისმეტად დადინჯებული, სრულიად არაბავშვური, სიანჩხლემორეული და რაღაცნაირი უმწეო, განსაკუთრებით, როცა ცდილობდა დიდივით მოქცეულიყო. სტასიას უკვირდა, კოსტია ასე იშვიათად რომ ეთამაშებოდა სხვა ბავშვებს, ძირითადად უფროსებთან სიახლოვეს რომ ეძებდა, მუდამ ეჩხუბებოდა ანდროს და კიტის, თავის დას ზოგჯერ ისე უხემადაც კი ეპყრობოდა, რომ ხელჩართულ ბრძოლამდე მიდიოდა მათი კამათი.

- კარგად ხარ? - წამოინყო სტასიამ.

ბიჭი უფრო დაიბნა, თავი დაუქნია და კიდევ მოსვა ყლუპი რძე, სტასიამ კი ამასობაში მორიგ სიგარეტს მოუკიდა.

- დედა, რა ხდება? - ჰკითხა კოსტიამ.

- მაინტერესებს, როგორ ხარ. ამ ბოლო დროს არც თუ ისე ხშირად ვსაუბრობთ მე და შენ.

- რაზე უნდა ვისაუბროთ?

- ყველაფერზე. ნებისმიერ რამეზე, შენზე, ჩემზე, კიტიზე, მამაშენზე, ქრისტიანზე.

- დეიდა ქრისტიანს რამე მოუვიდა?

- ამას რატომ მეკითხები?

- რა ვიცი, ამ ბოლო დროს ცოტა გაღიზიანებულია.

- მართალი ხარ, ასეა. ცოტა უჭირს ახლა. ალბათ, ძია რამაზი ენატრება.

იმუნთას დიდი სიამოვნებით გაიწინადა სილას ამ ტყუილისათვის.

- ან, პირიქით, სულაც აღარ ენატრება, ისევე როგორც შენ - მამა, - უპასუხა კოსტიამ და რძის ჭიქას ჩააშტერდა, ცოტა ხნის წინ რომ დაეცარიელებინა.

- რატომ გგონიათ, რომ არ მენატრება?

- მაინცდამაინც არ გეტყობა.

- შენ გენატრება?

- კი, ზოგჯერ.

- წერილებს სწერ ხოლმე?

- ხანდახან.

- და რას სწერ ხოლმე?

- რომ მენატრება და მასთან სტუმრად მინდა ჩასვლა.

- და ის რას გპასუხობს?

- რომ მალე ჩემს წაყვანას აპირებს, როცა უფროს კლასებში გადავაღ.

- ესე იგი, შენ ეს გინდა?

- მე, უბრალოდ, მინდა ვნახო, როგორია იქ, სადაც მამაა. და მინდა სროლა ვისწავლო. მამას შეუძლია მასწავლოს.

- რისთვის?

- როგორ თუ რისთვის? რისთვისაა საჭირო სროლა? საბრძოლველად და თავის დასაცავად, რაღა თქმა უნდა.

სტასიამ იგრძნო, რომ კიდევ უფრო დიდი კედელი აღიმართა მათ შორის, იგრძნო, რომ კოსტია გარე სამყაროსადმი არც შემწყნარებელი იყო და არც სიმშათია გააჩნდა. მისი მონდომება, შვილთან დაახლოების მცდელობით გადაერჩინა ის საღამო, მარცხით დამთავრდა და საბოლოოდ კიდევ უფრო სიცარიელე და უსუსურობა განიცადა.

გარიჟრაჟზე ჩაეძინა, როგორც იქნა, და ესიზმრა კოსტია, განუწყვეტილივ რომ ისროდა თოფიდან. ოფლში განურულს გაეღვიძა.

ვფიქრობ, სტასია არაერთხელ შეეცადა სოფიოს დალაპარაკებოდა, რაზეც დამ გააფრთხილა; შეკითხვას რომ ვუმეორებდი, მპასუხობდა, რასაკვირველია, საგულისხმო ნიშნები მივეციო, მაგრამ რატომ არ

დაიცვა უფრო უკეთ თავისი მეგობარი გარდაუვალი საფრთხისგან და რატომ არ გადასცა ქრისტინეს ნათქვამი სიტყვა-სიტყვით, ჩემთვის დღემდე აუხსნელია. დასასრული ბელადის მეორე ცოლის თვითმკვლელობით დაიწყო. მასზე ოცდაორი წლით უმცროს ნადეჟდა ალილუევას, ორი შვილის დედას, ქმრის მითითებით ისევე უთვალთვალებდნენ, როგორც მერე მთელ ქვეყანას. ერთხელ წამოიძახა თურმე, მეც ისევე მანამე, როგორც მთელ მოსახლეობასო. და მაინც, ეს ქალი მცდელობას არ აკლებდა, კარგი მეუღლე, კარგი დედა, კარგი თანაპარტიელი ყოფილიყო. სოციალისტური ისტორიის ყველა სახელმძღვანელოში XX საუკუნის გვიან 80-იან წლებამდე სიკვდილის მიზეზად ტუბერკულოზი B სახელდებოდა. ნოემბრის იმ ცივ დღეს, რევოლუციის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ სამხედრო აღლუმზე გამოჩნდა, ყველას ხელს უქნევდა, იღიმოდა, ბრწყინავდა, ბოლოს მმართველი ელიტის წვეულებას ესტუმრა, იქ მთვრალ მეუღლეს წაეკიდა, ამის მერე შინ დაბრუნდა და პისტოლეტით მოიკლა თავი.

ბუსტად ორი თვის შემდეგ, 1933 წლის დასაწყისშივე, ამასობაში უკვე შიშისაგან სრულიად გადარეული არქიტექტორი დააპატიმრეს. ორი წლის განმავლობაში მუქარამ, დაკითხვებმა, რა წამებამ არ გადაიარა მის თავზე.

ქვეყნის ღალატსა და კონტრრევოლუციურ საქმიანობაში დასდეს ბრალი და სიკვდილი მიუსაჯეს.

სოფიომ, რომელიც მანამდე თავის პროტესტს ფრთხილად, ჩუმად და მოზომილად გამოხატავდა, სიძულვილი ვეღარ მოთოკა.

ამბობდნენ, რომ ქუჩებში დაქროდა და ხალხს აქებებდა, ლექსების ციკლი დაწერა ერთმნიშვნელოვანი სათაურით – „სისხლიანი ზეიმი“. არქიტექტორის დახვრეტიდან მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ აუყვანიათ შუალამისას, შავფორმიანმა ორმა მამაკაცმა ფსიქიატრიულ კლინიკას ჩააბარა, იმ ბრალდებით, რომ თანამოქალაქეებისთვის საშიში იყო, სავარაუდოდ, ფსიქიკური აშლილობის ნიადაგზე.

ანდროს თვალწინ გაათრიეს ბინიდან დედამისი, ხედავდა, როგორ იცავდა თავს ხავილით, ილანძღებოდა, აფურთხებდა იმ კაცებს და შვილს დაჟინებით უმეორებდა, არასდროს შეშინდე, ამათი არ შეგშინდეს, ამ ურჩხულების, არასდროს არაფერს შეუშინდეო! მაგრამ ანდროს შეეშინდა, ავლაბრიდან გულამომჭდარი დაეშვა დაღმართზე და ვილის ნაცნობი რკინის ჭიშკარს რომ მიადგა, ატეხა ბრახუნი, სანამ ნახევრად მძინარე სტასიამ არ გააღო კარი და ქრისტინეს საძინებელ ოთახში შუჭი არ აინთო. მთელი გზა სლუკუნებდა და კარგა ხანი დასჭირდა, სანამ სულს მოითქვამდა და დალაგებულ წინადადებას წარმოთქვამდა.

სტასიამ საკუთარ თავზე აიღო მასზე ზრუნვა. თანდათან დაამშვიდა, ეუბნებოდა, დედა მალე დაბრუნდებაო, ტყუილებს თხზავდა, ცხადია, თუმცა, აიმედებდა, მოკითხვას გითვლის, მალე გამოჯანმრთელდებაო.

კიტი ანდროსთვის საყრდენი აღმოჩნდა, მისი ენერჯის წყარო. გახალისების ნამდვილი ოსტატი ოხუნჯობდა და მუჭლუგუნებს არიგებდა, მკლავზე ჩემეტდა ანდროს გვერდზე ჩავლისას, ძმას კი გოგრის მარცვლებს ესროდა.

შინაურთა დათრგუნვილი განწყობის მიუხედავად, ისევ უსმენდა მუსიკას სახალხო რადიომიმღებში, ხვდებოდა თანაკლასელებს და სკოლის ეზოში ფეხბურთს თამაშობდა, თუმცა არაერთხელ გააფრთხილეს, რომ ასეთი საქციელი გოგოსთვის შეუფერებელიაო. ყოველ ახალ დღეს აკრობატული ილეთებით იწყებდა – რადიოგადაცემის ტანვარჯიშისთვის ადრიან დილით იღვიძებდა. ის კი იყო, რომ ამ ყველაფერს უფრო უხმაუროდ და ფრთხილად აკეთებდა, ვიდრე ადრე.

რაც უფრო მეტად აღიზიანებდა მისი ქცევა ძმას, მით უფრო ესწრაფოდა ანდრო მასთან დაახლოებას. კიტი გუმანით ყველაფერს აკეთებდა, რომ ანდრო გაეხალისებინა და შიში დაეძლია. თავის მასწავლებლებს ღამის ქოთნებზე ხატავდა ან ცხოველების სახიანებს, სხვენდან მხესუმზირის ჩენჩოებს აყრიდა გამვლელებს, კანფეტებს იპარავდა, თმას მოკლედ იჭრიდა. ყველაფერს აკეთებდა, რომ უფროსები გაეღიზიანებინა. მიუხედავად იმისა, რომ საათობით კუთხეში დგომა უწევდა, გაუთავებლად შენიშვნებს ისმენდა, სჯიდნენ და გაკვეთილების მერე ტოვებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სტასია სულ ჭკუას არიგებდა და ქრისტინე ბიჭს ეძახდა. მაშინაც კი, როცა დაემუქრნენ, მამაშენთან გაგაგზავნით რუსეთში, სადაც სამხედრო ყაზარმაში გაცხოვრებენ, ყოველდღე ფაფის შეტს არაფერს გაჭმევინ და, ბოლოს და ბოლოს, მკაცრ ხელს იგრძნობო.

ანდრო წიგნებში ეძებდა ნუგეშს. ისინი დედასთან დასაკავშირებელ ხილად მიაჩნდა. აკი ყოველთვის, როცა უკითხავდა ხოლმე, ეუბნებოდა, ლიტერატურა „ღუბაა ცხოვრების შავ ზღვაშიო“. ანდროს სურდა, მისი სიახლოვე ეგრძნო, უნდოდა სცოდნოდა დედას, რომ იმედს არ გაუცრუებდა და შეპყრობილივით ყველაფერს კითხულობდა, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. რამაზს შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა, სავარაუდოდ, ისეთ წიგნები მოეძევებოდა, სამაგალითო სოციალისტურ ოჯახში ვერავინ რომ წარმოიდგენდა.

ანდრო და კიტი თავიდანვე განუყოფელნი იყვნენ, ყოველთვის უკეთ ერთობოდნენ და ეთამაშებოდნენ ერთმანეთს, ვიდრე კიტი და მისი ძმა. ახლა კი ეს კავშირი ღამის ფრონტად გადაიქცა. ფრონტად კოსტიას წინააღმდეგ.

1935 წელს, „დიდი რეპრესიების“ დასაწყისში, მაშინ, როცა საზეიმოდ გაიხსნა მოსკოვის ლეგენდარული მეტრო, სოფიო ერისთავი შრომით ბანაკში გაამწესეს – შუა აზიაში გადაასახლეს. თვეებმა განვლო, სანამ სტასიამ ქრისტინეს დახმარებით გაარკვია, რომ ეს НКВД-ს კოლონია იყო, რომელსაც შემოკლებით „სასლაგს“ – ეძახდნენ,

უბბეკეთის სსრ-ში, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე ამწესებდნენ პატიმრებს. სოფიო ერისთავი ბამბის წარმოებაში იყო ჩართული.

მილიციაში გაუთავებელი სიარულის, ხვეწნა-მუდარის, რიგებში დგომისა და დამცირებების შემდეგ სტასიამ შეძლო მეგობრისთვის ვრცელი წერილისა და პატარა ამანათის გაგზავნა, სადაც ჩააწყო მცირეოდენი სურსათი, ბავშვების ფოტოები, თავისი ხელით შეკერილი კაბა – შეძლებდა კი იქ ჩაეცვა? – კიტისა და კოსტიას ღია ბარათები და ასევე ანდროს გულის განმგმირავი წერილი.

* * *

ჩვენ ბუნების წყალობას ვერ დავულოდებით,
ჩვენი ამოცანაა, თვითონ მოვიპოვოთ, რაც გვჭირდება.
წარწერა პლაკატზე

დადგა ამაღელვებელი წელიწადი! წელიწადი, როცა Luftwaffe დაარსდა, როცა „ჰორგი და ბესი“ დაიდგა და Summertime გაჟღერდა, როცა გერმანულ რაიხში ჯაბი აიკრძალა, მუსიკალური ავტორმატები გაჩნდა, როცა ბილი ჰოლიდეიმ What a little moonlight can do შეასრულა, ის წელიწადი, როცა საბჭოთა ბელადმა ახალი კონსტიტუცია დაწერა, რომელიც მომდევნო წლებში უნდა შესულიყო ძალაში და მილიონობით ადამიანს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

იმ წელს ვინმე ბატონი მაირანოვსკი (სხვათა შორის, ასევე ჩვენს მზიურ სამშობლოში დაბადებული) პატარა დიდი კაცის მფარველობის ქვეშ მოექცა და ბოლოს საიდუმლო ლაბორატორია 12 დააარსა. ამ ლაბორატორიაში, რომელიც HKBD-ს და, ამგვარად, პატარა დიდ კაცს ექვემდებარებოდა, სხვადასხვა შხამს ამზადებდნენ და პატიმრებზე ცდიდნენ. ლაბორატორიის მიერ ჩატარებული სამუშაო უნდა „დახმარებოდა“ მტრულ უცხო კაპიტალისტურ ქვეყნებში შეგზავნილ საბჭოთა ჯაშუშებს. მაირანოვსკის მთავარი დამსახურება სასიკვდილო ინექციის გამოგონება იყო, რომელიც დღემდე გამოიყენება, მაგრამ ეს ისე, ცნობისთვის.

წამდვილად ამაღელვებელი წელი იყო. იმ წელს მოვევლინა ქვეყანას ელვის აარონ პრესლი მისისიპის შტატში, კერძოდ ტუპეროში (ანასტასიასი არ იყოს, ისიც მკვდარი ტყუპისცალის თანხლებით, ოღონდ მის შემთხვევაში – ძმის).

იმ წელს საბჭოთა იუსტიციამ კანონი მიიღო, რომლის მიხედვითაც, კანონიერი ძალაუფლების შესასუსტებლად მიმართული ყოველი ქმედება, როგორც კონტრრევოლუციური, ისე ისჯებოდა.

დასუსტებაში რა იგულისხმებოდა, ბუნდოვანი იყო, გაურკვეველი და ამით ნებისმიერ ქმედებას ესადაგებოდა, რომელიც პარტიას არ

მოეწონებოდა. კანონი, რომლის მიხედვითაც ტერორიზმში ბრალდების შემთხვევაში დაცვის უფლებით სარგებლობა იკრძალებოდა და ერთადერთი განაჩენი სიკვდილით დასჯა იყო. ამ კანონის თანახმად, ყოველი ადამიანი, რომელსაც ანტისოციალისტურ ანეკდოტზე გაეცინებოდა ან ანტისოციალისტურ წიგნს წაიკითხავდა, ერთხელ მაინც ეწვეოდა ევროპას ან დასავლეთიდან შემოტანილ სუნამოს აჩუქებდა ქალს, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და ახსნა-განმარტების გარეშე შეეძლოთ აეყვანათ НКВД-ს თანამშრომლებს, და როგორც წესი, ნამუაღამევს.

იმ ოცდაერთი კაციდან, რომლებიც 1917 წელს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში იყვნენ, 1938 წლისთვის ერთადერთი და იყო ცოცხალი: თავად ფოლადის კაცი.

მგზნებარე კომუნისტი, რამაზ იოსებიძე ისეთ უფსკრულში მიექანებოდა, რომ საბოლოო წყვდიადის გარდა სხვა გამოსავალს ვეღარც ხედავდა.

კაცი, რომელმაც ოჯახზეც კი თქვა უარი იდეოლოგიის გამო, წლების განმავლობაში მხოლოდ ამ იდეოლოგიას ემსახურებოდა. ფერხორციანმა, ხელგამლილმა ჰედონისტმა, რომელიც კომუნიზმს, პარტიას და ულამაზეს ცოლს ეთაყვანებოდა, სამივე ერთდროულად დაკარგა. იმიტომ რომ სამივე ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, ერთ მთლიანობად ქცეული.

ყველაფერი სამსახურში ილუზიების ნგრევით დაიწყო. საშუალებები სულ უფრო მტკივნეული, სასტიკი, სისხლიანი ხდებოდა, სავარაუდოდ, პარტიის გასაძლიერებლად, საერთო საქმისთვის ასე იყო საჭირო. მაგრამ ეს საქმე იმას აღარ ჰგავდა, რომლისაც მას ერთ დროს სწამდა და ამდენი რამ შესწირა. ისინი კი, ვინც მას მხარში უნდა ამოსდგომოდნენ სიკვდილის მანქანის წინააღმდეგ განახლებულ ბრძოლაში, ან დახოცილი იყვნენ, ან გადასახლებულნი. პარტია სულ უფრო აბსურდულ ბრალდებებს აყენებდა, უნდობლობა ყველასა და ყველაფრის მიმართ უკვე სასაცილო იყო, ყოველ საათში დალატობდნენ ერთმანეთს. თითო იშვრდნენ მეგობრისკენ, მეზობლისკენ.

რამაზს მარქსიზმის სწამდა. ის ისეთ დროს გახდა კომუნისტი, როცა ეს შეხედულებები შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. საკუთარ მამას წინ აღუდგა, სჯეროდა, რომ რაც თვითონ ჰქონდა, იმას სხვებიც იმსახურებდნენ. და მას პატარა დიდი კაცის სწამდა.

იმ ფატალური ახალი წლის ღამეს კი მის თვალებში უკვე ყველაფერი ამოიკითხა: – დაუოკებელი ჟინი ქრისტიანულად, მისი თხელი თეძოების, ფაიფურივით ნატიფი კიდურების, გედის კისრის, მისი მიბნედილი თვალების, მკაცრი ბაგეების, პატარა მკერდის, დიდებული თმის, – მისი დაუფლებით გავეშება.

ეს ის ნდომა არ იყო, ის სურვილი, რომელსაც ქრისტინეს შემხედვარე ბევრი მამაკაცი ვერ მალავდა, ისეთი მზერა რამაზს სიამაყითაც კი ავსებდა, როგორც კოლეექციონერს, რომელიც ყველასთვის შესაშურ ექსპონატს ფლობს. არა, იმისი ჟინი სულ სხვა იყო. მკვლელის ჟინი.

მაშინ რამაზმა სახელიც ვერ მოუძებნა ამას. ვერც კი გაბედა გაეფიქრებინა, საკუთარ თავს არ ენდო. უსაფუძვლო ეჭვად მიიჩნია, რადგან რაც უნდა ყოფილიყო, იმ კაცისთვის თავისი ერთგულება და ლოიალურობა დამტკიცებული ჰქონდა, ყველგან და ყოველთვის მის გვერდით იყო.

მაგრამ ეს კაცი ხომ წარბმეუხრელად იმეტებდა ადამიანებს სანამებელი კამერებისთვის და სწირავდა სასიკვდილოდ.

მან ეს დიდი ხანია იცოდა, მაგრამ ახლა უკვე თვალს ვეღარ ხუჭავდა, რადგან კარგად უნყოდა, რას უქადდა ყოველივე მას და ქრისტინეს.

ჰო, ის დაეუფლა მის ცოლს – მაგრამ რამაზს მაინც ბოლომდე არ სჯეროდა, რომ მისი „ელენე მშვენიერი“, მისი სამყაროს ულამაზესი ლამაზი ქალი, ამას დათანხმდებოდა.

ეჭვი დიდი ხანია გაუძლიერდა, უფრო მეტად მას მერე, რაც მივლინებები გაუხშირდა, როცა რწმუნდებოდა, რომ ბაქოში, ერევანსა თუ ტაშკენტში თითქმის არაფერი ესაქმებოდა და სრულიად ზედმეტი იყო. ეჭვები განუმტკიცა იმანაც, რომ ქრისტინე გამუდმებით ლოგინში ეპატიჟებოდა, როგორც კი შინ დაიგულებდა. არადა მანამდე ფიზიკური სიახლოვე დიდად არ ხიბლავდა. მეუღლის მოვალეობებს უფრო ერთგვარ ტვირთად აღიქვამდა, თუმცა რამაზს იმედი ჰქონდა, რომ ცოლი თანდათან სიამოვნების მიღებას ისწავლიდა და დაჰყვებოდა. მეტისმეტს არც მოითხოვდა მისგან. რეალისტი იყო და როცა ოცი წლით ახალგაზრდა და, რაც მთავარია, ზღაპრულად ლამაზ ქალს ირთავდა, ხვდებოდა, რომ ის არასოდეს იქნებოდა ისეთი სურვილით შეპყრობილი, როგორც თვითონ, მისგან უმაღლეს შეყვარებას არც ელოდა, იცოდა, რომ მისი სიყვარულის მოპოვებისთვის სხვა საშუალებების გამოყენება დასჯირდებოდა.

ქრისტინე ცოლქმრობის პირველივე წლებში მიხვდა, რომ შესაფერისი მამაკაცი იპოვა, რომელიც მას ისეთი ცხოვრების შესაძლებლობას მისცემდა, როგორიც ყოველთვის უნდოდა და რისთვისაც, როგორც ეგონა, იყო შექმნილი. აღარ ეწინააღმდეგებოდა, როცა რამაზი ხელს უცურებდა გრძელი ღამის პერანგის ქვეშ, უყურადღებოდ აღარ ტოვებდა მის მოჭარბებულ ალერსს, აღარ უყურებდა გაღიზიანებული, როცა ის აღგზნებული და აწითლებული მისი კოცნით ვერ ძლებოდა და მეტს ითხოვდა. ზოგჯერ უკვე თვითონვე შეუცურებდა ხოლმე ფეხს ლოგინში, აღარ ეუხერხულებოდა მისი სიშოშვლის დანახვა, ზოგჯერ დილაობით მაცდუნებლადაც კი უღიმოდა. და რამაზს მსოფლიოში უბედნიერეს კაცად მიაჩნდა თავი.

იმ საახალწლო წვეულების შემდეგ, როცა მისმა მივლინებებმა იმატა და შინ დაბრუნებულმა, ერთ საღამოს ნაგავში გადაგდებული თეატრის ბილეთი იპოვა, რომლის უკანა მხარეს მისთვის ესოდენ ნაცნობი ხელით იყო დაჯღაბნილი: „ვგიჟდები შენზე“.

მაშინ კი დაემხო რამაზ იოსებიძეს სამყარო თავზე და მისი ოცნება ფერფლად იქცა, გამოსამშვიდობებელი გალობა პათეტიკური გამოდგა, ამადლებული, ბერძნული ქოროს სადარი. იმიტომ რომ თვით რამაზ იოსებიძე იყო ყველენაირი გაგებით მასშტაბური კაცი. ასე იშვა იმ დროში მისი უბედურება სიცოცხლის ნეკნიდან, სისხლიანი, მტკივნეული და საძაგელი. რამაზ იოსებიძის ცხოვრების, ოცნებებისა და იმედებისგან ძალით ამოგლეჯილი ნეკნიდან. მან ზუსტად იცოდა, რომ არ უნდა დაეტოვებინა იმ კაცთან მართო, ასეთი მიმნდობი არ უნდა ყოფილიყო არც ერთის მიმართ, თუნდაც იმის იმედით, ქრისტინეს შეწინააღმდეგების ძალა ეყოფოდა. ასევე ზუსტად იცოდა ისიც, რომ ვერასდროს აპატიებდა ამას. აღფრთოვანებულმა ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, ისე გააღმერთა, რომ მისი დაცემა ოლიმპოდან მიწაზე დანარცხების ტოლფასი უნდა ყოფილიყო.

თავს ვერაფერს უხერხებდა, კვლავინდებურად უყვარდა, მისი სურვილი კლავდა, ამის გამო კიდევ უფრო ეზიზღებოდა. თავს ირწმუნებდა, რომ გადარჩენის იმედი იარსებებდა და გამოსავლის მოძებნა კიდევ შესაძლებელი იქნებოდა, ახალგაზრდა, მის შესაფერის, მასავით ბრწყინვალე ღმერთკაცს რომ მისცემოდა, მაგრამ სინამდვილე ბევრად უფრო დაუნდობელი იყო.

სიცოცხლემ სიკვდილს დაუთმო გზა. დაუნდობელ ჯალათებს.

სტასია უკვე აღარ ემუდარებოდა დას, შავ „ბუგატიში“ ნუღარ ჩაჯდებო. იმით იყო დაკავებული, რომ სიძისთვის თვალი აეხვიო, თვითონაც მონაწილეობდა მთელ ამ სპექტაკლში, ბავშვებიც კი გააფრთხილა, დეიდის გასეირნებების შესახებ რამაზთან სიტყვა არ დაეძრათ. იმდენი მოახერხა, რომ ქრისტინეს შინიდან გასვლას პუტკუნა მზარეული და ფერმკრთალი მოსამსახურე გოგო არასოდეს არ უნდა შესწრებოდნენ, ასეთი მითითება ჰქონდა დისგან. ამ ხელშეკრულებას უსიტყვოდ მოაწერა ხელი, იმიტომ რომ ეშინოდა, მართლა ეშინოდა. ეშინოდა, რომ ანდროს წაართმევდნენ. ეშინოდა თავისი ქმრის გამო, თუმცა იმას თითქოს არაფერი უჭირდა და სისტემატურად გზავნიდა ფულს ბავშვებისთვის. ყველაზე მეტად მაინც ისევ თავისი უმცროსი დის გამო შიშობდა.

ქრისტინე ყოველთვის ბრუნდებოდა. სამ საათზე მეტ ხანს არასოდეს დარჩენილა. სტასიას არასოდეს ულაპარაკია მასთან იმაზე, თუ რას ფიქრობდა, რას განიცდიდა, როცა ძვირფას კაბებში გამოწყობილი ჯდებოდა ხოლმე იმ მანქანაში. არც იმაზე, თუ რატომ ხდებოდა, რომ სულ უფრო იფურჩქნებოდა, კიდევ უფრო ლამაზი, უფრო თამამი, უფრო

მიუწვდომელი ჩანდა. არც იმაზე, რომ არასოდეს უნახავს ერთი ცრემლიც კი მის თვალებზე, მისგან ჩივილი არ გაუგონია. იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ეშინოდა ხმამაღლა და პირდაპირ ეკითხა: „სიამოვნებას ხომ არ იღებ ამით?“

- როგორმე უნდა დაარწმუნო, რომ ანდრო არ წაგვართვან, - შევევდრა დას. ალუბლის ლიქიორს წრუპავდა და ბაღს გასცქეროდა, მსხმოიარეს და ტკბობის აღმძვრელს.

- ყოველნაირად ვცდილობ, იმედია, გესმის. მაგრამ ყოვლისშემძლე არ ვარ. უბრალოდ, ერთ-ერთი მრავალთაგანი....

- შენ მისი რჩეული ხარ.

- რჩეული. რა კარგად თქვი, მართლა.

„რას გრძნობ იმ კაცის მკლავებში? ვინ არის ის და ვინ ხარ შენ? მე ვინლა ვარ, თუ არ შემიძლია იმის გადარჩენა, რაც მიყვარს? რა აღამიანი ვარ, რა ქალი, რა დედა? რატომ ვცხოვრობთ ისე, თითქოს დუმილის პირობა დავდეთ? სად გაქრა ჩვენი ბავშვობა? რატომ ყვავის იასამანი ასე ცოტა ხანს? შეგიხედავს ალუბლის ხისთვის? მგონი, რაღაც უნდა ვიღონოთ, აღარ იზრდება.“

სად არის რამაზი, რას ფიქრობს? რა მოხდება, თუ არავინ გაილაშქრებს მთელი ამ აკრძალვების, უკანონო წესების წინააღმდეგ? რა საჭიროა, მთელი ეს პროპაგანდისტული პლაკატები, გამოფენილი ყველა ქუჩაზე? რატომ მაქვს ოცდათექვსმეტი წლისას ისეთი განცდა, რომ ყველაფერი თავიდან უნდა ვისწავლო, თითქოს არაფერში მიმართლებს? რატომ არ ცვივიან ჩიტები ციდან, როცა იხოცებიან? გაშლილი ფრთებით შეუძლებელია სიკვდილი? გჯერა საოცრებების? სად არის სოფიო? როგორ უნდა გადარჩეს იქ? ნეტა რის გაკეთებას აიძულებენ? მე ის მივატოვე. ვერ შევიცანი. ისე შინაურულად არსად მიგრძნია თავი, როგორც მასთან. მას არაფერი უნდა დაემართოს, აღარაფერი იმის მეტი, რაც უკვე დაემართა. შოკოლადი მენატრება. შენც? მამა ხომ არ მოვინახულო? ლიდა მონასტერში აპირებს წასვლას, სამუდამოდ. უკვე გაიგე? მამამ მოიწერა. ჩემი ქმარი სულ არ მენატრება, უცნაურია, არა? კიტიზე ძალიან ვღელავ. მეტისმეტად ფიცხია ამ ჩვენი დროებისთვის. ისეთი დაღლილი ვარ ამ ბოლო დროს, ნეტავ რატომ? თითქმის არაფერს ვაკეთებ. არაფრისთვის ვვარგივარ. შენ მართლა ლამაზი ხარ. სულ უფრო ვრწმუნდები ამაში. წარბებიც კი დახატული გაქვს, ენაც, მკლავებზე ბუსუსებიც კი, ტერფებიც, გამჭვირვალე სისხლძარღვებიც უზადო გაქვს და მშვენიერი. ჩემი ბიჭი გაღმერთებს. ასე მგონია, როცა ასეთი ლამაზი ხარ, ცხოვრება უფრო იოლია. ცნობისმოყვარე თვალის ასარიდებლად დიდად არ გინევს თავის შენუხება. შენს ქმარს კი მართლა უყვარხარ, ამაშიც სულ უფრო ვრწმუნდები. მე მას დიდ პატივს ვცემ, ჭკვიანი კაცია. სუფრა უნდა გამოცვალოთ, ამას ლაქები აქვს“.

ამ ყველაფერს სიამოვნებით ეტყოდა და ჰკითხავდა თავის დას, მაგრამ ამის ნაცვლად სტასიამ მხოლოდ ეს თქვა:

- სუფთა ჰაერზე გავალ.

უძლურების მთელი კუნძულები გაჩნდა. ღრუბლები შეიკრა, მცამ ელვარება დაკარგა და ქამელეონის ფერი დაედო. მდინარის ნაპირზე მდგარი ტირიფი კიდევ უფრო გადაიხარა და მიწას მოეფერა, სანუგეშებლად: უარესი ახლოვდებოდა და ბუნებას თავი უნდა დაეცვა.

ქალაქის ქუჩების დამსკდარ საფარს და წვიმის გუბეებს პატარა ღარები გაუჩნდა, მწვანე და მღვრიე. ყელში გაჩხერილი ყვირილი ისე უნდა გადაგეყლაპა, როგორც მწარე წამალი.

რუხი ჩრდილები დაგროვდა კედლებზე, მოჩვენებები რაღაცას ჩხაოდნენ, არავის არაფერი ესმოდა. სიტყვები კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ჩაგუბდებოდა პირში. კიდევ მრავალი წლის განმავლობაში იდგებოდა ქუჩებში შემადრწუნებელი სასოწარკვეთის სუნი, უსუსური და ღალატური.

მწერების ჯარი მიესია საწვიმარ ღარებსა და სახლების დამტვერილ კუთხეებს. ნუოდნენ და ფრთებს იხევდნენ, თუმცა ვერავინ ამჩნევდა.

ადამიანებს ლაქები გაუჩნდათ სახებზე წართმეული ნებისა და დანგრეული ოცნებების გამო.

მერე ქრისტიანე ანდროს გვარის სასწრაფოდ გამოცვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდა, სტასიამ და სიმონმა ოფიციალურად უნდა იშვილონო.

1936 წლის სექტემბერში, სიცხისგან რომ იხრჩობოდა ქალაქი, ერთადერთი წერილი მოვიდა სოფიოსგან. მისი ხელწერა ისეთივე იყო: მოქნილი და მსხვილასოებიანი, სხვა ყველაფერი კი შეცვლილი. განყვეტილი აზრები, შიშით გამსჭვალული სტრიქონები, შიშის სუნით, ცენზურის სუნით, რომელიც წერილმა გაიარა.

„ძვირფასო ტასო, ჩემო უსაყვარლესო ანდრო, ჩემო საოცარო კიტი, ჩემო ჭკვიანო კოსტია, როგორ გამახარეთ თქვენი გზავნილით და წერილებით. მე ჯანმრთელად ვარ. ბევრს ვმუშაობთ. გონის დაკარგვამდე მენატრებით, მაგრამ იმედს არ ვკარგავ – მთელი ძალით ვეჭიდები. ბევრი რამ შეიცვალა და კიდევ ბევრი შეიცვლება უთუოდ, მაგრამ ერთი ვიცი ნამდვილად: მე თქვენ მიყვარხართ მთელი გულით. ერთად იყავით, პატარა ბრიგადასავით, იმიტომ რომ მხოლოდ ასე გავუძლებთ ყველაფერს. მარად თქვენი სოფიო“.

არ ვიცი, რა ქნა სტასიამ, იტირა, შერცხვა თუ ფრჩხილები დაიკვნითა შეწუხებულმა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილმა და იმან, რაც ამის მერე მოხდა, ისეთი მძლავრი დარტყმა მიაყენა, რომ ხანგრძლივად გაუქვავა გული.

ცნობამ სოფიოს სიკვდილის შესახებ ორი თვის დაგვიანებით ჩამოაღწია. ზუსტი მიზეზი ცნობილი არ იყო და არც დაკრძალვის ადგილი.

სამედიცინო დასკვნითურთ, საქმიანი და მკაფიო წერილი იყო. თითქოს სოფიოს სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ გარდაუვალმა გარემოებამ გამოიწვია, თითქოს სასიკვდილოდ იყო დაავადებული და უკვე დიდი ხნის წინ იყო ცნობილი, რომ ასეთი სამწუხარო დასასრული ელოდა.

სტასიას გლოვის ერთადერთი გამოხატულება ის იყო, რომ ერთ დილასაც ბაღში გავიდა, ბავშვები სკოლაში იყვნენ, ქრისტინე სარკის წინ ტრიალებდა. უცებ სტასიამ სასტიკი დაუდევრობით ყველა ყვავილი სათითაოდ გადათელა. გადატკეპნა დევისპირები, ბეგონიები, გაპუტა ყვითელი მზესუმზირები და ფერად-ფერადი ვარდები. ეს სილამაზის განადგურება იყო. ანდრომ, სკოლაში სამშობლოს სადიდებელ სიმღერებს რომ სწავლობდა, არ იცოდა, ამ სამშობლოს სახელით რომელიდაც ბინძურ ებოში სამრუბლიანი ტყვიით რომ დაუხვრიტეს დედა, მას ეს ამბავი დაუმალეს. უფრთხილდებოდნენ, თუმცა ალბათ არც იცოდნენ, როგორ უნდა აეხსნათ მისთვის ეს უაზრო, გამოაგნებელი მოვლენა და იმის დანახვის ეშინოდათ, რასაც ბავშვის თვალებში ამოიკითხავდნენ.

* * *

სისხლისფერ დროშებს ესალმება მზის შუქი,
სისხლისფერი დროშები სამართალს დაამყარებენ!
სისხლისფერი დროშები გაიმარჯვებენ,
იმედს ჩაუსახავენ მსოფლიოს.
სოციალისტური სიმღერა

ფრუნბეს სახელობის საზღვაო და სამხედრო აკადემიაში ოთხი ფაკულტეტი არსებობდა საზღვაო და სამეცნიერო დარგში: კოსტიას ყველაზე მეტად ნავიგაცია აინტერესებდა.

მისთვის, როგორც საუკეთესო მოსწავლისთვის, აკადემიაში ჩაბარება – რამდენიმე წინასწარი რეკომენდაციისა და სიმონის კონტაქტების წყალობითაც – არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდა, საკუთარ თავსა და სხეულს გამშაგებით წვრთნიდა. კვირაში სამჯერ რამდენიმე ასეულ მეტრს ცურავდა, სიძძიმეებს სწევდა და ათლექთა წრეზე დადიოდა.

სტასია, რომელიც განზრახვას მიუხვდა, აღარ შეწინააღმდეგებია, შეეგუა იმას, რომ კოსტიას თავის სათაყვანებელ მამასთან ახლოს უნდოდა ყოფნა. ქმარს რამდენიმე წერილი გაუგზავნა, ფოსტიდან საქალაქთაშორისო ტელეფონითაც კი ელაპარაკა რამდენიმეჯერ და სთხოვა, თვალი არ მოეცილებინა კოსტიასთვის. ისიც დაამატა, უფრო მგრძობიარე ბიჭია, ვიდრე ჩანს და მისი ფიზიკური სიძლიერით არ მოტყუვდეთ. სიმონი ამაცობდა თავისი ვაჟით და ჰპირდებოდა, არაფერს დავიშურებ მის სასიკეთედო.

კოსტიას გამგზავრება არ გაძნელებულა. ცენტრალური სადგურიდან გააცილეს სწრაფად და უცრემლოდ.

„იმედია, ბოლოს და ბოლოს, ცოტა მაინც გახალისდები!“ – მიაძახა კიტიმ, როცა უკვე მატარებელში აღიოდა, კოსტიამ კი თავისთვის ჩაიბურტყუნა, შენ კი, იმედია, ბოლოს და ბოლოს, გოგოს შესაფერის მოქცევას ისწავლიო. სტასიამ შუბლზე აკოცა, ტკბილეულით სავსე ჩანთა მიაჩერა და როცა მატარებელი დაიძრა, სახე გვერდზე მიაბრუნა.

საბჭოთა ისტორიაში ყველაზე სისხლიანი და მძვინვარე 1937 წლის დადგომა გარდაუვალი აღმოჩნდა. მისი ყველა კატასტროფა, ქარიშხალი, უკლებლივ დაატყდა მოქალაქეებს თავზე, ოღონდ ჭექა-ქუხილის გარეშე, უჩუმრად და დაუნდობლად.

მოხდა ისე, რომ კოსტიას გამგზავრებიდან სულ რამდენიმე კვირაში, ოქტომბრის ერთ სასიამოვნო საღამოს რამაზ იოსებიძე ნავარაუდევზე ადრე დაბრუნდა შინ. დიდებული, ოქროსფერი საღამო იყო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ნესვით პირის ჩატკბარუნება, ჯერ კიდევ საკმაოდ თბილოდა და დები საღამოებს ბაღში იხანგრძლივებდნენ. ისე დაემთხვა, რომ ბავშვები ერთი კვირით დეიდისა და დედის მამისეულ სახლს სტუმრობდნენ, რასაკვირველია, ანდროც ახლდათ.

ქრისტიანემ თავის ტკივილი მოიმიზგება და დასაძინებლად გაეშურა, სტასია კვლავ ბაღში იჯდა და კროსვორდს ხსნიდა.

მზარეული და მოსამსახურე გოგოც უკვე სახლებში გაკრეფილიყვნენ.

მოულოდნელად ჭიშკარი გაიღო და – „რამაზ?“ გაკვირვებული სტასია სიძეს შეეგება. ის კი ილიმოდა, ეტყობა, სენტიმენტალურ განწყობაზე იყო, რადგან გადაეხვია, რასაც იშვიათად აკეთებდა და ცოტა ხნით გვერდზე მიუჯდა, იქვე დარჩა, თავისი პორტფელითურთ. სტასიას დამქანცველ მივლინებაზე ელაპარაკა და ბავშვები მოიკითხა.

საღამოს მერე, წლების განმავლობაში სტასია თავს იდანაშაულებდა, რომ ბავშვების იქ არყოფნამ უბიძგა რამაზს გადაედგა ის ნაბიჯი. მე კი მგონია, რომ ის თვეების განმავლობაში გეგმავდა ამას და როცა იქნებოდა, მაინც ჩაიდენდა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, თუნდაც ბავშვების სკოლაში ყოფნას დაამთხვევდა.

ცოტა ხანში რამაზს უთქვამს, მგზავრობით ძალიან დავიდალე, ბარემ საძინებელ ოთახში ავალო. სტასიაც მალევე წასულა დასაძინებლად.

რამაზი ცოლს მიუწვა და მაგრად მოეხვია.

– აქ საიდან გაჩნდი, როდის ჩამოხვედი? – უკითხავს ახალგაღვიძებულს.

– ახლახან. შენი ნახვა მინდოდა. ვედარ გავძელი.

– უნებართვოდ წამოხვედი? განა ეს აკრძალული არ არის? რამე უსიამოვნება არ შეგხვდეს.

– ისე მომენატრე...

ქრისტინეს ღამის პერანგს დაუწყო ფათური. ბოლოს ქრისტინე დანებდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, აბა, რა იქნებოდა, საზიზღრად გრძნობდა ალბათ თავს. მაგრამ ღამის პერანგი იმიტომ გაიხადა, რომ მამაკაცები მისი სიშიშვლისგან უფრო უნებისყოფოები ხდებოდნენ, ვიდრე მაშინ, როცა ტანთ ეცვა, როგორც ეს მისმა უკანასკნელი თვეების გამოცდილებამ აჩვენა.

რამაზი გასწორდა და ქრისტინე ზედ შემოისვა: ასე ჯერ არასდროს მისცემიან სიყვარულს. ქრისტინემ შეხედა, მისი ალენილი სახე დაინახა და ვერ მიხვდა, რა იყო ეს, ტკივილი თუ ნეტარება, იძულებული იყო, თვალი გაესწორებინა მისთვის იმიტომ, რომ ის თვალს არ ამორებდა. ოღონდ მის თეთრ მკერდის კი არ უყურებდა ან მის უბადო სხეულს, არც ეხებოდა, მხოლოდ და მხოლოდ მის სახეს მისჩერებოდა.

ქრისტინე ჯერ ნელა მოძრაობდა, გაუბედავად, აღგზნებული და საკუთარი სურვილით გაოცებული, სიამოვნებით დაეყრდნო მის გამონვდილ ხელებს. გონს ვერ მოდიოდა, იმიტომ რომ სულ უფრო მოსწონდა, რასაც აკეთებდა. სუნთქვა გაუხშირდა, რამაზმა შეამჩნია, როგორ აუციმციმდა შუბლზე ოფლის წვეთები, გაუღიმა, ბოლომდე დაემორჩილა მის ნებას, თითქოს რასაც ის აკეთებდა, მის სხეულთან არც იყო დაკავშირებული. თითქოს ორ სხვადასხვა სხეულს, ამ ორ არსებას არაფერი აერთიანებდა და თავიანთი ნეტარებით ცალ-ცალკე ტკებოდნენ. ქრისტინეს სახის დამალვა უნდოდა, უნდოდა, რომ რამაზს შეეწყვიტა ასე დაჟინებით ცქერა, ამოიკვნესა, არადა სიყვარულში ისეთი ჩუმი იყო ყოველთვის, მისი რელიგიური, პროვინციული აღზრდა ქალაქურ პროგრესულობას ჯერ ვერ ჩაენაცვლებინა, რამაზს მაგრად ეჭირა მისი ხელები, საყრდენს აძლევდა.

ქრისტინეს ერჩია შეეწყვიტა, გვერდით მისწლოდა, შუბლზე გადაესვა მისთვის ხელი, იმიტომ რომ რასაც გრძნობდა, გულში ჩხვლეტას ჰგავდა, პატარა, მტკივნეულ ჩხვლეტას, აღელვებული იყო, ტირილი უნდოდა, უნდოდა პატიება ეთხოვა მისთვის, უნდოდა, წარსული მოებრუნებინა, მზად იყო, ქალაქიდან გაქცეულიყო მასთან ერთად სადმე სოფელში, რომ თავიდან დაეწყო ყველაფერი, თუნდაც უფულოდ, თუნდაც ძალაუფლების გარეშე, მზად იყო თავის ქმრად მიეღო.

ამას იმ მომენტში მიხვდა, როცა ისეთი რამ იგრძნო, რასაც ვერასდროს წარმოიდგენდა, როცა ყოველგვარი ნორმები, და კარგი მანერები დაივიწყა და სულ უფრო უმატა ხმას. მიხვდა, რომ ყველგან გაჰყვებოდა, სადაც უნდა წასულიყო, ამ ალერსიან კაცს, რომელიც სევდიანად უმზერდა და თითქოს ყველაფერი კარგად იყო, იცის კიდევ, – გაიფიქრა ქრისტინემ და იმნუთას რამაზმა სიცილი დაიწყო, ხმამაღლა, დამცინავად კი არა, გაგებით, წარმოუდგენლად ლამაზად იცინოდა, ძალიან თბილად, სიყვარულით, თითქოს ვერ იჯერებდა თავის ბედნიერებას და ჩურჩულებდა: „ჰო, ჩემო მზის სხივო, ულამაზესი ხარ,

გააგრძელებს“. ქრისტიანე სირცხვილს ბოლომდე ვერ მოერია, ეხამუშებოდა, რომ რამაში უყურებდა და ელაპარაკებოდა, მაგრამ ნეტარება ისეთი ძლიერი იყო, თავდავინყება – ისეთი სასიამოვნო.

ახლა ის დაეუფლა სხვის სხეულს და თვითონ არ მისცემია არავის. როგორც მიაჩნდა, რომ ცოლს, კურტიზანს, საყვარელს და, დიხაბც, კახაპას უნდა ექნა, იმნუთას სწორედ ასე იფიქრა. ძალიან უნდოდა ეყვირა, ამ შეგრძნებით გაჟღენთილს, აქამდე რატომ არ ხდებოდა ასეო, – გაიფიქრა და თვალები დახუჭა. უსასრულო სითბოთი აივსო, რაღაც სათუთი, უზომოდ აღერსიანი ჩაელვარა მკერდში, რაღაც შეიკუმმა, ისევ გაიელვა ტკივილმა და ბაგეებს ის სიტყვა მოსწყდა, რომლის წარმოთქმაც მანამდე არასდროს მოუნდომებია: „მიყვარხარ“.

ადრე, როდესაც რამაში ეუბნებოდა ამ სიტყვას, იბნეოდა და თვითონ მხოლოდ პასუხობდა „მეც“, არასდროს დაფიქრებულა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა, რომლის გაგონებასაც ყველა ასე ნატრობდა, თავად კი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. სამკაულები, წვეულებები, საერთო აღფრთოვანება, თავყვანისცემა ბევრად უფრო მნიშვნელოვნად ეჩვენებოდა, ეს იყო, რაც მისგან უნდოდა, ასეთი ცხოვრება, ზუსტად ასეთი. ასე ეგონა, სიყვარული უბრალოდ თანხლებასავით იყო, არავითარ ძალისხმევას არ საჭიროებდა, უბრალოდ, არსებობდა და თავისი არსებობით აბედნიერებდა ადამიანებს და მეტი არაფერი. რამაზს არასდროს უკითხავს მისთვის: „გიყვარვარ?“ აკმაყოფილებდა მისი „მეც“, არაფერს ითხოვდა მისგან.

ქრისტიანეს სძულდა საკუთარი თავი. და უყვარდა რამაში. ეს წინააღმდეგობა გულს უკლავდა, ღრიალს ანდომებდა. რამაზმა გაიგონა ის სიტყვა და ცრემლები ველარ შეიკავა. ოღონდ ქრისტიანემ არ იცოდა, რატომ, იმედი ჰქონდა, რომ სიხარულისგან, მაგრამ დარწმუნებული არ იყო. მისი თეძოები უფრო სწრაფად ამოძრავდა, რამაში აჰყვა, მას დაუმორჩილა თავისი მძიმე და მისთვის უკვე ასეთი ვნების აღმძვრელი სხეული, მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ ქრისტიანეს ეს ბედნიერება შეეგრძნო, უსაზღვრო თავისუფლება.

სტასიას თავის ოთახში გაედვიძა, წამოჯდა და მიაყურადა. თავისი დის ხმა გაიგონა და სიბნელეში პირი დააღო. ქრისტიანე თავის ქმართან იწვა, ქრისტიანე იმას აკეთებდა, რასაც სხვანი. ქრისტიანე ხორციელ ქალად ქცეულიყო. სტასია ყურებს არ უჯერებდა, ახითხითდა და გადანყვითა, პირველივე შესაძლებლობისთანავე შევეხუმრებო, ეტყობა, აღტაცებული იყო, კმაყოფილი. საძინებლიდან სიამოვნების ხმა აღწევდა, ასეთი მშვენიერი რამ ამ სახლში დიდი ხანია აღარავის გაეგონა.

მერე ამას ყვირილი მოჰყვა, ისეთი ხმამაღალი, თითქოს ექო ზანზარებდა, მთელ სახლს გადაუარა და ყველა კუთხე-კუნჭულამდე მიაღწია. ის ყვირილი დაბადების ყვირილს ჰგავდა, ვნებისა და ერთად

ყოფნის სადიდებელს, აღმავალი ხმა იყო, თითქოს ვიღაცამ არია წამოიწყო, წკრიალა, სუფთა ხმა.

სტასიამ თავი გააქნია, ისევ წამოიწია. რა ამბავში არიანო, გაიფიქრა და სიცილი ძლივს შეიკავა.

ქრისტინე ყვიროდა, მისი ქმარი იცინოდა, იცინოდა ბედნიერი და მადლიერი. ქრისტინემ თვალები დახუჭა და გაინაბა, როგორც გველი ფაკირის ფლეიტის ხმაზე ბაზრის შუაგულში. რაღაცამ იფეთქა მასში და თვალწინ ვარსკვლავები აუციმციმდა.

ვერ დაინახა, როგორ წაავლო მისმა ქმარმა ცალი ხელი სანოლის გვერდით მდგარ პატარა ბოთლს.

- ამას ჩვენთვის ვაკეთებ. მხოლოდ ჩვენთვის. შენთვის და ჩემთვის. იმიტომ, რომ სხვანაირად შეუძლებელია თავის დაღწევა, - თქვა და ხელში ჩააფრინდა.

ჯერ კიდევ გაბრუებულმა ქრისტინემ, თვალი რომ გაახილა, პატარა მოხდენილი ბოთლი შეამჩნია. სუნამოს ფლაკონს ჰგავდა და გაიღიმა.

- ეს რა არის, საყვარელო? - ჰკითხა და წელი შეზნეა.

- ვწუხვარ, რომ გასაჭირში მიგატოვებ. არავის მოუნიჭებია ჩემთვის იმდენი ბედნიერება, რამდენიც შენ. ბრალი არ მიგიძღვის....

ქრისტინე ცოტა გამოფხიზლდა და ქმრის არაბუნებრივი მშვიდი კილოთი შემფოთებულმა გარიდებდა სცადა, მაგრამ მაშინდა შეამჩნია, როგორ რკინასავით უჭერდა ხელს, როგორ ძლიერად.

- რას აკეთებ?- ჰკითხა შიშნარევი ხმით.

- სხვაგვარად არასდროს დასრულდება ეს ჯოჯოხეთი. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

ჟრუანტელმა დაუარა, ბოთლს მისჩერებოდა და ვერ ხვდებოდა. და მაინც, უეჭველად: რამაზმა ყველაფერი იცოდა. ქრისტინე დაიძაბა, ვნების ნარჩენებს შეებრძოლა საკუთარ სხეულში, გასწორდა. ვერაფერს გრძნობდა, გარდა უსაზღვრო მადლიერებისა, მორჩილებისა და ერთგვარი მღელვარებისა.

- რამაზ, რა ხდება? - იკითხა ენის ბორძიკით.

ბუსტად ამ დროს რამაზმა იმ ბოთლით რაღაც შეასხურა სახეში, სულ ორიოდ წვეთი, თავიდან ქრისტინემ იფიქრა, წყალიაო, მაგრამ რაღაც აშიშინდა, დამწვრის სუნი ავარდა, თუმცა ჯერ ვერ მიმხვდარიყო, თვითონ რომ იწვოდა, ხოლო როცა ნახევარ სახეზე ყველა შეგრძნება ჩაეხშო, გონება დაუბნელდა და სხეული დაეკრუნჩხა, ქრისტინემ დაიყვირა, რაღაც შემადრწუნებლად, ისეთი ხმით, რომ შენობის ყველა შუშა აზანზარდა. ეს ყვირილი უკვე არაადამიანური იყო.

რამაზმაც, რომელსაც მუავას ერთი-ორი წვეთი ხელზე მოხვდა, ცხოველივით დაიღრიალა. ვერ გაბედა, ცოლისთვის შეეხედა, წამოხტა, შარვალი აიღო და გარეთ გავარდა.

სტასია თავისი ოთახიდან გამოიჭრა და გაცეცხულმა აღმოაჩინა, რომ დის საძინებელი ოთახის კარი ღია იყო. თავიდან მხოლოდ ის ამოიციწო სიბნელებში, რომ ქრისტინე სანოლზე იწვა დედიშობილა და აქეთ-იქით ირწეოდა გიჟვით. იფიქრა, რამაზს ხომ არაფერი შეემთხვაო, სასონარკვეთილმა რამე ხომ არ დაიმართა, მისი სისხლი უნდა იყოსო. მაგრამ მერე ქრისტინე შემობრუნდა და სტასიამ დაინახა, სახის მარცხენა ნახევარი სისხლიან ჭრილობად გადაქცეოდა, დამწვარი ხორცის სუნი ასდიოდა.

მორე დილას იპოვეს კოჭრის ტყეში რამაზ იოსებიძის გვამი, მხოლოდ ფეხსაცმელი და შარვალი ეცვა. ვალტერ PPK დაუხლია თავში. ეს იარაღი მეგობარს, მასწავლებელსა და უფროსს უჩუქებია დაბადების დღეზე.

გასაოცარი ის იყო, რომ ქრისტინეს თვალი არ დაეცო. სამაგიეროდ, სახის მარცხენა ნახევარი ისე დაუმახინჭდა, ვეღარ იცნობდი.

ცხელი შოკოლადი იყო ერთადერთი, რაც ღიმილის მსგავსს აჩენდა ქრისტინეს ტუჩებზე. სწორედ რომ ერთადერთი, იმ კვირების განმავლობაში, ლოგინში მწოლიარეს, ფარდებით დაგმანულ ოთახში, სახის მალვისას, ტკივილების თმენისა და ძლივს შეკავებული ყვირილის დროს ოდნავ შვებას რომ ჰგვრიდა.

წიგნი მესამე. კოსტია

მადლობა ჩვენს ბელადს ბედნიერი ბავშვობისთვის!

წარწერა პლაკატზე

კოსტია პეტერბურგში ჩავიდა – მაშინ უკვე პეტროგრადი ერქვა და მალე ლენინგრადი უწოდეს – ჩავიდა, რომ ფრუნზეს საზღვაო აკადემიაში მეზღვაური გამხდარიყო.

ეს იყო ძველი შენობა ნევაზე, ვასილევსკის ნახევარკუნძულზე.

ცოტა ხნით ადრე აკადემიას, როგორც სამაგალითო სასწავლებელს, თავისი დისციპლინის გამო წითელი სახალხო ორდენი მიენიჭა. კოსტია ალბათ, აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ყველაზე ევროპულ ქალაქში აღმოჩნდა, რომელიც დასავლეთის აღიარების მოსაპოვებლად, კატორღელებისა და პატიმრების შრომის ხარჯზე შენდებოდა. ისინი ამ მშვენიერების საფასურს არცთუ იშვიათად თავიანთი სიცოცხლით იხდიდნენ – მარტო ისააკის ტაძრის ოცდაექვსმეტრიანი გუმბათის მოოქროებას ოთხმოცი ვაცის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო თეთრი ქალაქი, მედიდური ნევით, კუნძულებითა და ხიდებით, ულამაზესი შავი კატებითა და უშიშარი ყვავებით, რომლებიც ღირსებით აღსავსენი და თვითკმაცოფილნი ნებისმიერი ადამიანისგან იღებდნენ საკვებს. აქ ბნელ და ერთმანეთში გადახლათულ ეზოებსა და საიდუმლო გასასვლელებს შეხვდებოდით.

ფრანგი პატარძალივით დახვეწილი და იტალიელი ქვრივივით დიდებული იყო ეს ქალაქი.

მაგრამ პეტროგრადი, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური იდეოლოგიის ეპიცენტრი გახლდათ. აქ გაისროლა ავრორამ, აქ ჩამოვიდა ლენინი, როგორც საოცრება, ფინურ სადგურზე, რათა ერი გადაერჩინა. აქ დაიწყო მოღვაწეობა პარტიის დიდკაცებმა. აქ დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა!

მოსკოვის სადგურზე შესვლისთანავე კოსტია სიამაყითა და მონივნით განიშტვალა, რადგან მისთვის პატივი იყო კომუნისტური იდეოლოგიის შუაგულში აღმოჩენა. მამამისის ნაკვალებზე.

მისი აზრით, ქებას იმსახურებდა ის, რომ მამამისს ფრიად მოკრძალებული საცხოვრებელი ჰქონდა, მოცუცქნული ბინა პეტროგრადის კუნძულზე, მე-19 საუკუნის კლასიციკურ შენობაში, სამხედროებისა და მათი ოჯახებისთვის რომ მიეჩინათ და კომუნალურ საცხოვრებლებად გადაეკეთებინათ. არავითარი მატრაკვეცობა და ფუფუნება, დეიდამისის სახლიდან რომ ახსოვდა, არავითარი ზედმეტობა, არავითარი გაფლანგული შრომა. სიამაყით აივსო, როცა მამამისმა ქალაქში გაატარა და მასთან და რამდენიმე თანამშრომელთან ერთად, არცის დაღვეის უფლებაც კი მისცა. კოსტია დარწმუნებული იყო, მალე თვითონაც მისცემდა მამას საკმარის მიზეზს, რომ მისით ეამაყა. დაუმტკიცებდა, როგორი წესიერი იყო, როგორი ბეჯითი, დისციპლინირებული, როგორი თავგანწირვით ემსახურებოდა თავის სამშობლოს.

მერე კი ბედნიერების განცდა დაეუფლა, როცა იმდენი გემი დაინახა. როგორც იქნა, დააღწია თავი კავკასიის აღმოსავლურ კარჩაკეტილობას და მსოფლიოს ორომტრიალში ჩაება.

თავისი ერთი ციციქნა ოთახიც კი საერთო საცხოვრებელში ბავშვური სიხარულით აღავსებდა. უბრალო საწოლი, ძველი მატყლის საბანი, პატარა მაგიდა, ნესტიანი კარადა – სულ ეს იყო, რაც მომდევნო წლებში დასჭირდებოდა. და კიდევ, მეგობრებს იპოვიდა, თანამოაზრეებს, ზღვაოსნობით მის გატაცებას რომ გაიზიარებდნენ.

პირველი პატარა იმედგაცრუება სწავლის პირველივე დღეს შეხვდა, როცა გაიგო, რომ ოთახს წესიერ პეტროგრადელთან კი არ იყოფდა, არამედ გამხდარ, პატარა, არაფრით გამორჩეულ ქართველთან. მას მეჩხერი თმა და მეტისმეტად ვიწრო მხრები ჰქონდა და ისეთ დასავლურ კილოზე ლაპარაკობდა, რომ ყველა სიტყვას რბილად წარმოთქვამდა, რაც კოსტიას აღიზიანებდა. გიორგი ალანია, ასე ერქვა ბიჭს, გაუბედავი და დამფრთხალი ჩანდა და არანაირად არ შეესატყვისებოდა კოსტიას წარმოდგენას სასურველ ოთახის თანამოზიარებე.

კოსტიამ მამას შესჩივლა, ჰკითხა, აქაური წესი ხომ არ არის სტუდენტების ეროვნების მიხედვით წყვილ-წყვილად დაბინავებაო. მამას

უარის ნიშნად გაეცინა და უთხრა, უბრალო დამთხვევაა, უნდა გიხაროდეს, რომ შესაძლებლობა გექნება მშობლიურ ენაზე კიდევ ილაპარაკო. ძირძველი აკადემიის მკაცრმა წვრთნებმა, ჩრდილოეთის სიცივეების დადგომამ და კოსტიას ავადმყოფურმა პატივმოყვარობამ – ყოფილიყო საუკეთესო და ეს ყველასთვის დაემტკიცებინა – მალევე დაავიწყა პირველი განბილება.

დილას ექვს საათზე დგებოდა, თავის ოთახში ვარჯიშობდა, სასადილოში საუზმობდა, ლექციებს ესწრებოდა, აკადემიის ბიბლიოთეკაში მიდიოდა და საინჟინრო ტექნიკას სწავლობდა, რომ გაკვეთილებზე თავისი ცოდნით გაებრწყინა და მასწავლებლების კეთილგანწყობა მოეპოვებინა. დიდი სიხარულით ელოდა პირველ მანევრულ წვრთნებს ფინეთის ყურეში, იმით რომ მოქმედების კაცი იყო და იყოდა, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა საზღვაო მანევრების დროს.

მალე უმრავლესობამ მას „კრასავჩიკი“ შეარქვა და უფროსკურსელი ბიჭებიც კი მასთან დაახლოებას ცდილობდნენ. ნამდვილ ვაჟკაცად ახასიათებდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, სმაშიც ისეთივე მაგარია, როგორიც სწავლაშიო.

კოსტია რაც უფრო ცდილობდა მამის კეთილგანწყობის მოპოვებას, მით უფრო გაუცხოებული და დაკავებული ეჩვენებოდა. მისი დამძიმებული სხეული, გამუდმებული დაღლილობა, ფერმკრთალი კანი, მუდმივად მოძრავი, მოუსვენარი თვალები კოსტიას სულ უფრო მეტი სიმამაცისკენ, გამბედაობისა და ძალისხმევისკენ უბიძგებდა. ის არ იყო მზად, ასე სწრაფად ჩამოეგდო გმირი მამა, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში ინახავდა თავის წარმოსახვაში.

რაც უფრო მეტი დავალება ეძლეოდა, კოსტია მით უფრო ენერგიული ხდებოდა. რაც უფრო რთულდებოდა სამანევრო და სპორტული წვრთნები, მით უფრო აღფრთოვანებული იყო. არასდროს უჩიოდა მასწავლებლების სიმკაცრეს, არასდროს უნატრია უქმეები ან არდადეგები. იმავდროულად, ერთი შეკრებაც არ გამოუტოვებია საერთო საცხოვრებლის სხვადასხვა ოთახსა და კომუნალურ საცხოვრებელში. სვამდა, მღეროდა, ყველა თავყრილობას ის უძღვებოდა. ამის გამო მალე შეუცვლელი გახდა და თანაკურსელთა პატივისცემა მოიპოვა.

გიორგი ალანია მისგან სრულიად განსხვავდებოდა. ყოველთვის მარტო იყო, თავის წიგნებში თავჩარგული. მეგობრები არ ეპატიჟებოდნენ შეხვედრებზე, არავის უნახავს, რომ დაეღია ან აყალმაყალი აეტეხა, არავის გაუგონია მისგან უხამსი ხუმრობა. ფიზიკურ დისციპლინებში უჭირდა აკადემიის მაღალი მოთხოვნების დაკმაყოფილება, თეორიულ საგნებში კი შთამბეჭდავი მიღწევები ჰქონდა, განსაკუთრებით – მათემატიკაში. მალე მას შურით შესცქეროდნენ და ზურგს უკან ფრიადოსანს ეძახდნენ.

თანაკურსელები მხოლოდ მაშინ აგდებდნენ ადამიანად, როცა მისი დახმარება სჭირდებოდათ, მაგალითად, წერით გამოცდაზე. უარი არასოდეს უთქვამს და სიამოვნებით ეხმარებოდა. მაგრამ არავის მოსვლია აზრად, ამის გამო, ყოველკვირეულ ქეიფებზე დაეპატიჟებიანთ. არც კოსტია იჩენდა მის მიმართ დიდ ყურადღებას. მათი ურთიერთობა უმნიშვნელო წვრილმანებს არ სცილდებოდა. წიგნებს თუ ათხოვებდნენ ერთმანეთს ან პრავდას გადაფურცლავდნენ ერთად, ეს იყო და ეს. მართო სავალდებულო ლექციებს ესწრებოდნენ ერთად, ალანიამ მალე შეაჩერა არჩევანი გემთმშენებლობაზე.

მაგრამ იმ საღამოს კოსტიამ მეცადინეობა შეწყვიტა და რატომღაც ალანიას მიაცქერდა; ცოტა დაბნეული იყო და გასართობს ეძებდა. ალანია ამ დროს კიტრს თლიდა ისე გულდასმით, რომ კოსტიას ყურადღება მიიპყრო. თითქოს კიტრი კი არა, ბომბი იყო, რომელიც უნდა გაეუვნებლებინა.

- რას აკეთებ? - ჰკითხა ცნობისმოყვარეობააღძრულმა კოსტიამ. ძირითადად რუსულად ელაპარაკებოდა ხოლმე.

- დედაჩემმა ამანათით გემრიელი რამეები გამომიგზავნა. მე კიდევ კიტრიც ვიყიდე სუფრის შესავსებად. თუ გინდა, შემომიერთდი, სულით და გულით გეპატიუები, - უპასუხა თავისი რბილი ქართულით.

და მართლაც: კოსტიას ნერწყვი მოადგა, როცა ალანიას განწყობილ, პატარა სუფრას შეხედა. მუდმივად შავი პური, ფაფა და წყალწყალა ბორში მისი კუჭისთვის საკმარისი არ იყო და ოჯახური ნოყიერი კერძები ენატრებოდა, თუმცა საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა ამაში.

ალანიამ განსაკუთრებული მონდომებით გაანყო ყველაფერი: დატეხა პური, სუნელებიანი აჯიკა პანანინა ჯამებში მოათავსა - ღმერთმა უწყის, საიდან ჰქონდა, - შებოლილი ყველი თხლად დაჭრა, კიტრის სალათი მოთმინებით ურია ჯამში, ნივრის მწნილი თევზზე გადმოაწყო და ერთი ბოთლი საფერავი გახსნა.

კოსტიას გაუცხოება სამეფო სუფრის დანახვისთანავე გაქრა. უმაღლესი გაიხსენა მშობლიური ტრადიცია და სადღეგრძელო წარმოთქვა. ღვინომ საღერღელი აუშალათ და ალანიამ თავისი ბავშვობის შესახებ მოუთხრო, რომელიც შავ ზღვასთან, პატარა სოფელ მახარაში, გაეტარებინა, უამბო, რომ დედისერთა იყო, რაც მართლაც იშვიათობას წარმოადგენდა იმ რეგიონში; უდიდესი პატივისცემითა და აღმაფრენით ილაპარაკა დედაზე, რომელიც იმ სოფლის სკოლის მასწავლებელი ყოფილა. მამა კი, პირიქით, არც უხსენებია.

კოსტია გაკვირვებული იყო, როგორ მოახერხა ალანიამ, უბრალო სოფელმა ბიჭმა პეტროგრადში ჩასვლა ფრუნზეს აკადემიაში სასწავლებლად. მერე დაასკვნა, ნამდვილად იმ ახალგაზრდა წარჩინებულ კოლმეურნეთა რიგებიდან იქნებოდა, რომელთაც თითქმის ყველა სასწავლებელში იღებდნენო. ამას გარდა, ალანია

საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ საგნებში შთამბეჭდავ ცოდნას ავლენდა; არც ის იყო ძნელი წარმოსადგენი, რომ სკოლის დირექტორმა ან კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მას რეკომენდაცია გაუწიეს. მოგვიანებით, შუალამისას, უკვე ერთად მღეროდნენ სულიკოს და ერთმანეთს მხარზე ხელს ურტყამდნენ.

კოსტია გიორგის ერთადერთი მეგობარი გახდა, ალანია კი, თუმცა მაშინ ჯერ ეს კოსტიას ვერც კი წარმოედგინა, კოსტიას საუკეთესო და ყველაზე ერთგულ მეგობრად იქცა.

მეგობრობა, რომელიც იმ საღამოს დაიბადა, ჩვენი ხალიჩის ალბათ ყველაზე საინტერესო და დაუჯერებელ ნახატს ქმნის. ბოლოს შენც დამეთანხმები, ბრილკა, რომ უამისოდ ჩვენი ამბის ნაწილები ვერ გაერთიანდებოდა და მისი ასე მოყოლა შეუძლებელი იქნებოდა.

სანამ 1922 წელს ალანია ამ ქვეყანას მოევლინებოდა, საბჭოთა საქართველოს პირველი ოფიციალური კონსტიტუცია ძალაში შევიდა. სოფლის მეურნეობის რეფორმა, კოლექტივიზაცია და კოლმეურნეობების ჩამოყალიბება დაიწყო, მაგრამ, ეტყობა, იმ დროს ამ ყველაფერს გავლენა არ მოუხდენია ჩვიდმეტი წლის მოსწავლე გოგოზე, სოფლის სკოლა რომ ოქროს მედალზე დაემთავრებინა და მომავალზე ეფიქრა. მის შემთხვევაში ეს მომავალი მართლაც იმედისმომცემი უნდა ყოფილიყო: როგორც საუკეთესო მოსწავლეს უმაღლეს სასწავლებელში ადგილი გარანტირებული უნდა ჰქონოდა – ეს კი ბევრს ნიშნავდა გოგოსთვის, რომელიც შავი ზღვის სანაპიროს შორეულ სოფელში ცხოვრობდა.

მის ოჯახს ეს პერსპექტივა დიდად არ ახარებდა. ქალიშვილი გასათხოვარი ჰყავდათ, თანაც კარგი შესახედაობა ჰქონდა, საკმაოდ ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდებოდა; ქვეყნის იმ ნაწილში კი ამისთვის ქალს წერა-კითხვა და ერთი-ორი რუბლის დათვლა თუ შეეძლო, მეტი არც მოეთხოვებოდა. ქმარზე უნდა ებრუნა და ბეჯითად ემრომა, სამუშაო კი იქაურ ჩაის პლანტაციებში საკმარისზე მეტი იყო.

მაგრამ გულოს ამის გაგონებაც არ უნდოდა, მშობლებს, რომელთაც სამი და ხუთი კლასის განათლება ჰქონდათ მხოლოდ, გამოუცხადა, რომ ჩაის პლანტაციაში არაფერი ესაქმებოდა, უმაღლესი მათემატიკა აინტერესებდა, ამქვეყნად ბოსლის წმენდასა და ჩაის კრეფაზე ბევრად უფრო საინტერესო გამოიწვევები არსებობდა. თანაც ორი უფროსი დაც ჰყავდა, უკვე კარგა ხნის წინ დაქორწინებულნი, შვილების გაჩენასა და მეურნეობაზე რომ ზრუნავდნენ, ძმაც, რომელსაც ყველაფერი მემკვიდრეობით დარჩებოდა და უკვე მამის კვალს მიჰყვებოდა – ასე რომ, გულდამშვიდებით შეეძლოთ ოჯახის მარნუხებისგან გაეთავისუფლებინათ.

დედა ქალიშვილის უმადურობას უჩიოდა, მამა საშინელ სურათებს უხატავდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ქალაქებში, მისი აზრით:

მკვლევლობები, გაუპატიურება, ძარცვა. მაგრამ გულო, ან როგორც უფრო ხშირად ეძახდნენ, გულიკო მხოლოდ დაულალავად აქნევდა თავს და ისევ და ისევ იმეორებდა, მირჩევნია მამაჩემის სანადირო თოფიდან ტყვია დავიხალო შუბლში, ვიდრე სოფლელ ყეყეჩს გავყვე ცოლად და თავი დავიღუპო.

მშობლებმა მხოლოდ მაშინ დაიხიეს საბოლოოდ უკან, როცა გულოს საბუნებისმეტყველო ნიჭით აღფრთოვანებული მისი მასწავლებლები მამამისს ესტუმრნენ და დაარწმუნეს, გულოსთვის სწავლის გაგრძელების ნება მიეცათ.

მომდევნო თვეში გულო უკვე ქუთაისის უნივერსიტეტის ისტორიაში პირველი ქალი გახდა, რომელიც მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ოთხი წლის განმავლობაში თუ წარმატებით ისწავლიდა ქუთაისში, მერე მაღალი ნიშნებითა და დიპლომით მოსკოვის ასტროფიზიკის ინსტიტუტში შეძლებდა ჩაბარებას. ასტროფიზიკა მისი დიდი ოცნება იყო და მეცნიერის კარიერას ნატრობდა. გულოს ეჭვი არ ეპარებოდა: მის ოცნებებს წინ აღარაფერი ედგა და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებდა. ამაში დარწმუნებული იყო.

ერთადერთი, რასაც, სხვათა გასაკვირად, გულო ხელისშემშლელად მიიჩნევდა, მისი გარეგნობა იყო. იმიტომ რომ ფიზიკისა და მათემატიკისთვის გულანთებულ გოგოს მაინცდამაინც არ შეეფერებოდა გამორჩეულად მშვენიერი სახე, იდეალური კანი, შემოდგომის ზღვისფერი დიდი თვალები, სქელი ქერა თმა და მაღალი, მკვრივი სხეული.

და მართლაც: მის თვალში საცემ გარეგნობას რომ არ შეეშალა ხელი, იქნებ ცხოვრება იმ ზაფხულის მერე სრულიად შეცვლოდა და მისი გეგმების მიხედვით განვითარებულიყო.

გამოსაშვები გამოცდებიდან ერთი თვის შემდეგ სკოლის დამრიგებელმა ექსკურსიაზე მიიწვია. როგორც საუკეთესო მოსწავლეს, პატივი ერგო, რეგიონის სხვა წარჩინებულ მოსწავლე გოგონებთან ერთად, ბაქოში გამგზავრებულიყო, ნავთობის ქალაქში. მოგზაურობა ამიერკავკასიის ფედერაციის მიერ იყო დაფინანსებული, კავკასიელ ხალხებს შორის მეგობრობის განსამტკიცებლად.

გულო, რომელიც მანამდე მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი თავისი სოფლიდან ექსკურსიით სოხუმში, აღფრთოვანებით შეხვდა ამ ამბავს. ბაქო მზარდი ქალაქი იყო, ფინანსურმა არისტოკრატია, როტმილდებმა და ნობელებმა ქალაქს სახე უცვალეს. გულოს უხაროდა, რომ დიდი ქალაქის ჰაერს ჩაისუნთქავდა, სანამ უმაღლესში განაგრძობდა სწავლას. არ უნდოდა, მომავალ თანაკურსელებს რამეში ჩამორჩენოდა, არ სურდა, სოფლელ გოგოს ჰგვანებოდა.

პირველი დღეები არაჩვეულებრივად გაატარა; ქალაქმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე – ჭრელმა აღმოსავლურმა ბაზრებმა,

კეთილგანწყობილმა ადამიანებმა. იმანაც კი არ შეუშალა ხელი, რომ ქუჩაში მამაკაცები დაუინებით უცქეროდნენ. ტკბებოდა მაგარი ჩაით, თაფლად დაღვრილი ფახლავით, ტრამვაითა და ეტლებით ახმაურებული ქალაქის მშფოთვარე ცხოვრებით.

თავს ისე გრძნობდა, თითქოს უკვე გაიზარდა, თავისუფლების მოლოდინით ტკბობამ, რომელსაც ქუთაისში ელოდა, ეიფორიული სიხარული მოჰგვარა.

გოგონები მუშა-ახალგაზრდობის ცენტრში ცხოვრობდნენ და ყველანი ერთ დიდ საძინებელს იყოფდნენ. გრძელი ღამეები ცხელი და მტვრიანი იყო. ახალი შთაბეჭდილებებით სავსენი მთელი ღამეების განმავლობაში ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, ახალ ცხოვრებაზე ლაპარაკობდნენ, ამ ზაფხულის შემდეგ რომ უნდა დაწყებულიყო.

მეოთხე დღეს ადგილობრივი კპ-ს საჯარო ღონისძიებას ეწვივნენ. მათი მასწავლებლის, ენერგიული კომუნისტის აზრით, გოგონებს არ აწყენდათ, მუშათა კლასის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საკითხები გაერკვიათ, რასაც ღონისძიება ეძღვნებოდა და მონაფეებს მოუწოდა, მასთან ერთად წასულიყვნენ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დარბაზი სავსე იყო, ადამიანები ყურადღებით უსმენდნენ სამ ბატონს, რიგრიგობით რომ გამოდიოდნენ სიტყვით, რუსულად, მკვეთრი კავკასიური აქცენტით დიდხანს და დამღლელად ლაპარაკობდნენ იმ გარემოებებზე, რომლებიც ახლა უნდა შექმნილიყო კოლმეურნეობებში სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. მასწავლებელი თავგამოდებით უკრავდა ტაშს კიდევ კარგა ხანს მას მერე, რაც სავალდებულო აპლოდისმენტები შეწყდა და ერთ-ერთი მათგანისკენ გაექანა, რომელიც ამ დროს გასასვლელისკენ მიიწევდა. გვერდით მდგარი გულოც გაიყოლა. სათვალისანი კაცი ქართულია და უთუოდ მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი, რაკი აქ გამოდის სიტყვით, - აუხსნა გულოს - შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ და გავიცნოთო.

მასწავლებელი გოგონების ჯგუფთან ერთად წარუდგა, ადფროთოვანებული იყო მისი სიტყვით გამოსვლით და მგზნებარე წინადადებებით.

მან კი ყველაფერი მოთმინებით მოისმინა, დაფიქრებით დაუქნია რამდენჯერმე თავი და უკვე ხელის ჩამორთმევას და გამომშვიდობებას აპირებდა, როცა იქვე ჩუმად მდგომ გულოს მოჰკრა თვალი. უცბად რუსულიდან ქართულზე გადავიდა და იკითხა, რომელი სოფლიდან ჩამოხვედითო. მასწავლებელს გაუხარდა მისი მოულოდნელი ინტერესი და სხაპასხუპით დაიწყო მოყოლა. პატარა სოფლიდან ვართ, აქ რა მოსატანია, მახარადან, ჩვენი ექსკურსია ხალხთა შორის მეგობრობას ემსახურება და მეც და გოგონებიც ბედნიერები ვართ, რომ თქვენი მოხსენების მოსმენის პატივი გვერგოო.

- მე კი მერხეულიდან ვარ, როგორი სასიამოვნო დამთხვევაა! - წამოიძახა კაცმა და დაამატა, - ეს მოვლენა აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ. რაკი ქალბატონებმა ამხელა გზა გამოიარეს, ღირსეული დახვედრაც დაიმსახურეს იმავე ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად, - და დაამატა:

- აქ რამდენიმე რესტორანია, სადაც ათასნაირ შესანიშნავ კერძს ამზადებენ ბატკნის ხორცისგან და უგემრიელეს ტკბილეულობას, გოგონებს ხომ ტკბილეული უყვართ, ასე არ არის? ყველა გოგოს უყვართ ტკბილეული, აბა, რა!

მასწავლებელმა, რომელიც განცვიფრებას ვერ მალავდა, გოგონებს თავისთან უხმო და როცა ტანმორჩილმა კაცმა კოლეგებთან მოითათბირა, ყველანი გასასვლელისკენ დაიძრნენ ორი წითელარმიელის თანხლებით. ჯგუფი სამ ეტლში განაწილდა და პირდაპირ ზღვის სანაპიროზე მდებარე რესტორნისკენ გაემართა.

გოგონებისთვის ამდენი ყურადღება მამაკაცებისგან მეტისმეტი აღმოჩნდა, აღარ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და წამდაუნუმ მასწავლებელს უყურებდნენ, რომელიც აღფრთოვანებისგან თავს ვეღარ ერეოდა და მოწაფეებზე არანაკლებ აღგზნებული იყო.

ტკბილი ღვინო მოიტანეს და, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელმა ერთხანს გააპროტესტა და გოგოებს აუკრძალა გასინჯვა, მათ მაინც შეუვსეს ჭიქები. სასულე ორკესტრი მოიყვანეს სასწრაფოდ, თანდათან ყველა გამხიარულდა და გათავისუფლდა. გოგონებს ნელ-ნელა მოეხსნათ დაძაბულობა და ცოტა ხანში ზოგი უკვე ცეკვავდა ნასვამ წითელარმიელებთან.

გულო ეჭვის თვალით უყურებდა ყველაფერს: ჯგუფის მეთაური მეტისმეტ ყურადღებას იჩენდა მის მიმართ. გვერდით მიუჯდა, ღვინის ჭიქას უვსებდა და უვსებდა, ანეკდოტებით ართობდა და ქათინაურებს ეუბნებოდა. მასწავლებელი ვერ ხედავდა, რომ კაცმა ხელი შემოხვია და მუხლს მუხლზე უხახუნებდა.

უკვე გვიან იყო და თუმცა მასწავლებელი წასასვლელად იწევდა, სათვალისანი კაცი ყურადღებას არ აქცევდა მის წინააღმდეგობას და დაუსრულებლად უკვეთავდა ღვინოს. ერთ გოგოს ეზოში გული აერია, მეორეს მაგიდაზე ედო თავი და ისე ეძინა.

ბოლოს ეტლები მოიყვანეს და ისევ განაწილდნენ სამ ჯგუფად. მასპინძელმა მამაკაცებმა დაიჟინეს, რომ ქალბატონები ახალგაზრდულ ცენტრამდე უნდა მიეცილებინათ. გულოს სხვა გამოსავალიც არ ჰქონდა. შვებით ჩაჯდა ერთ-ერთ ეტლში იმის იმედით, რომ ეს სადამო ამით დასრულდებოდა, მაგრამ იმ კაცმა მის გვერდით დაიკავა ადგილი. ერთი გოგო კიდევ დარჩენილიყო და გულომ დაუძახა, არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა იმ კაცთან მართო ემგზავრა; ნელი, ასე ერქვა გოგოს, მხიარულ განწყობაზე იყო, ბევრი იცეკვა და ძალიან ხმამაღლა იცინოდა.

გულო მას სოფლიდან იცნობდა, სოფლის კომისრის შვილი იყო და ყოველთვის ეცვა გამორჩეულად ლამაზი კაბები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ მის საუცხოო მკერდს.

ნელი არც ისე სულელი აღმოჩნდა, როგორც თავიდან ეგონა. მაგრამ იმ საღამოს ნამდვილად იმაზე მეტი ღვინო დალია, ვიდრე შეეძლო და ფეხზე ვეღარ იდგა, ამიტომ წითელარმიელმა შესვა ეტლში. თვითონ მეეტლეს მიუჭდა და დაიძრნენ.

თავიდან დანარჩენ ეტლებს მიჰყვებოდნენ უკან და გულოს უსიამოვნო გრძნობა პირველივე წუთებში გაქრა, მალე ახალგაზრდულ ცენტრში იქნებოდნენ და ყველაფერი დამთავრდებოდა. მაგრამ როცა მათმა ეტლმა უეცრად მარჯვნივ გადაუხვია, წინა ორი კი პირდაპირ განაგრძობდა გზას, გულო შიშმა აიტანა.

სათვალისწინო კაცი არნმუნებდა, რომ ლელვისთვის არავითარი მიზეზი არ არსებობდა, უბრალოდ, შემოვლითი გზით წავიდოდნენ, გზად რაღაც ჰქონდა მოსაგვარებელი. ნელიმ ისევ სულელურად გაიცინა და დამძიმებული თავი გულოს მხარზე დაადო.

ბოლოს ეტლი პატარა, ჩაბნელებულ ქუჩაზე გაჩერდა და გოგონებს გადასვლა მოსთხოვეს. გულოს საკუთარი გულისცემა ესმოდა, ხელი ჩაჰკიდა ასლუკუნებულ ნელის და სცადა არ ეჩვენებინა მისთვის, როგორი შეშინებული იყო.

შიდა ებოში შეიპატიჟეს, ის კაცი გაუჩერებლად საუბრობდა და არნმუნებდა, ყველაფერი გადასარევად არის, ნურაფრის გეშინია, უბრალოდ, ცოტას შევისვენებთ, ნელი აბაზანაში შევა და გამოფხიზლდებათ.

გულო ნელის დახვეული კიბით ხის აივანზე ასვლაში დაეხმარა. იქიდან პატარა დაბალჭერიან ბინაში შევიდნენ, რომლის კედლებზე ბევრი ხალიჩა ეკიდა. წითელარმიელმა საიდანღაც ხილით სავსე კალათა გააჩინა და სათვალისწინო გულოს ლიმონათი შესთავაზა, რაზეც გულომ – გმადლობთ, არ მინდაო, უთხრა. ბინა ჩაბნელებული იყო, ორი სანთელი აანთეს, მაგრამ იქ დასადგურებულმა სიჩუმემ გულოს შიში კიდევ უფრო გააძლიერა. კაცები იცინოდნენ, ცდილობდნენ რესტორნის ხალისიანი განწყობის დაბრუნებას, ანეკდოტებს ყვებოდნენ და ორივე გოგოს ხოტბას ასხამდნენ.

გულომ მოიბოდიშა, იღლიებში ამოსდო ხელები ნელის და პატარა სააბაზანოში წაათრია, სადაც ერთი ბიდე და ერთი პირსაბანი იყო. ნელი ვერ ხვდებოდა, სად იმყოფებოდა და უაზროდ ბუტბუტებდა რაღაცას. გულომ პირსაბანიდან წყალი შეასხა სახეში. ნელიმ წამოიყვირა და ორივე ხელი ჰკრა გულოს, მაგრამ იმან ხელები დაუჭირა, სახე სახეზე მიადო და აიძულა, მისთვის შეეხედა.

– მომისმინე, უნდა გვაღწიოთ აქედან. სახეზე წყალი შეისხი და სცადე გონს მოსვლა. გესმის? უნდა მოვშორდეთ აქედან. კარი აქვეა, დერეფნის

ბოლოში და არ არის ჩაკეტილი. მხოლოდ ჯაჭვი აქვს. უბრალოდ, გამოფხიზლდი და ძალიან ჩუმად იყავი. გაიგე, რა გითხარი?

- ცუდად ვარ!

გულომ კიდევ შეასხა წყალი სახეზე. ნელის წინააღმდეგობა აღარ გაუნწვია.

- გესმის ჩემი? - გაუმეორა გულომ და ნელიმ ამჯერად თავი დაუქნია მონდომებით, თან პირი მოინმინდა კაბის სახელოთი.

ერთი-ორი ნაბიჯი და გააღწევდნენ. გულომ სულგანაბულმა გასწია ჯაჭვი და ნელა გააღო კარი, ფრთხილად, რამდენადაც შეეძლო - უხმაუროდ. ნელის მიუბრუნდა და საჩვენებელი თითი ტუჩზე მიიძლო, მერე გზა დაუთმო. და მაშინ მოხდა ის, რამაც მთელი მისი ცხოვრება შეცვალა: ნელი წაბორძიკდა და დაეცა. მთელი ძალით დაასკდა იატაკს. ერთი წამით გულომ გაიფიქრა, გადაეხიზებინა და დახვეულ კიბეზე უკანმოუხედავად ჩაერბინა, გაქცეულიყო, ამ კაცებს, მათ დამამცირებელ სიცილს მოშორებოდა, მაგრამ ვერ შეძლო. იატაკზე განრთხმულ გოგოს უყურებდა, საცოდავს, მთვრალს, სუსტს და უგონოდ მყოფს. ზუსტად არც კი იცოდა, რას ნიშნავდა მისი იქ დარჩენა, ის კი იცოდა, რომ მისი გაქცევა გამოსავალი არ იყო და ადგილზე დარჩა, კარი ისევ დაკეტა და ამ დროს გაიგონა კიდევ, რომ კაცები დერეფანში გამოვიდნენ.

სათვალისწინებელი კაცმა მაგრად მიაჭყლიტა ძველ დივანს, რომელიც მათი სხეულების სიმძიმისგან კიდევ უფრო ჩაიზინიქა. გულომ ყური მიუგდო ნელის წივილს, დერეფნიდან რომ ესმოდა.

ესმოდა, როგორ დახვნეშოდა ის კაცი ზედ და ერთი და იმავე სიტყვებს იმეორებდა: „რა ლამაზი ხარ, რა ლამაზი ხარ!“

ერთი ხელით დივანის კიდეს ჩაეჭიდა და ცდილობდა, თავი არ მიებრუნებინა, რომ მისთვის არ შეეხედა. თვალეები დახუჭა და სცადა თავიდან იმ სურათის წამლა, ნელი რომ იწვა დერეფანში, იატაკზე, უსიცოცხლო თოჯინასავით, გამლილი ფეხებით და წითელარმიელი დაემვა მუხლებზე მასთან, ძლიერად მიიზიდა მისი ფეხები, მენჯი წამოუნია და მის მუხლებზე ჩაერგო.

ცდილობდა ქუთაისზე ეფიქრა, იმ დღეზე, როცა ბარგს ჩაალაგებდა, ცდილობდა, სახლზე ეფიქრა, ეზოზე, დეზზე, სკოლაზე, ნახირზეც კი, ძროხებსა და ღორებზე, თუნდაც ბაქოს ჭაბურღილზე, მწვანე მიდამოზე, მატარებლიდან რომ ათვალაიერებდა, ოღონდ არ ეფიქრა ტკივილზე, რომელსაც გრძნობდა, არ შეესუნთქა მასზე აღმართული სათვალისწინი კაცის სუნი, არ ეყვირა სასონარკვეთისა და ზიზღისგან, არ უნდოდა ნელის საშინელი სლუკუნის და სულის შემძვრელი ხმის გაგონება, შველას რომ ითხოვდა.

როცა ორივე გოგო ახალგაზრდულ ცენტრთან გადმოსვეს, აღარაფერი იყო ძველებურად. მათ სხეულებს არაფერი ემჩნეოდათ, რა

დაატყდათ თავს. არავითარი სისხლის კვალი, არავითარი შემოხეული კაბები, არავითარი სილურჯე, მაგრამ მაინც ყველაფერი შეცვლილიყო.

ლოგინში რომ ჩანვნენ, ჯერ კიდევ ყველას ეძინა.

რატომ არავინ ეძებდა? რატომ არ უშველეს? რატომ?

საუბმის დროს მასწავლებელი სიტყვით გამოვიდა და გუშინდელი შეხვედრის მნიშვნელობაზე ილაპარაკა. არავის უკითხავს, როდის დააბრუნეს ორი გოგო ახალგაზრდულ ცენტრში. მასწავლებელი ნელის და გულოს თვალს არიდებდა, ვითომც არაფერი, ლოყებზე მოუთათუნა ხელი და არც კი ჩაეკითხა, როცა მათ მორიგ ღონისძიებაზე წასვლაზე უარი თქვეს ავადმყოფობის გამო და ახალგაზრდულ ცენტრში დარჩენა მოინდომეს.

- ასე იცის ზედმეტმა ღვინომ, - ცალყბად გაიხუმრა ერთმა გოგომ, როცა ნელი და გულო სასადილოში დარჩნენ, სხვები კი გასასვლელისკენ გაემართნენ.

მერე საძინებელში დაბრუნდნენ და თავიანთ ლოგინებში ჩანვნენ.

- მილიციაში უნდა წავსულიყავით, - თქვა გულომ ჭერში უსასრულო ყურებისა და განსაცდელში დამეგობრებულის თანაბარი სუნთქვის მოსმენის მერე.

ნელიმ პასუხად ხმამაღლა გაიცინა. ამ სიცილმა დამამცირებლად გაიჟღერა და კიდევ უფრო დათრგუნა გულო და უსუსურად აგრძნობინა თავი, რაც ისედაც არ აკლდა.

- რატომაც არა? - ჩაეკითხა გულო.

- შენ რა, გჯერა, რომ იმათ პასუხს მოსთხოვენ? იმათ?

- და რატომ არა?

- საგიჟეთში შეგვყრიან და ისე გავგვყევენ წამლებით, სანამ არ დავიჭერებთ, რომ ყველაფერი ჩვენივე მოგონილია.

ნელი უკვე აღარ ნუნუნებდა, ენა აღარ ებმოდა, გამოფხიზლებული იყო და დიდი ქალივით ლაპარაკობდა. მის ხმაში სიმწარე ისმოდა.

- აბა, რას მთავაზობ?

- რას გთავაზობ? ორივე ჩუმად ვიქნებით, ცხოვრებას გავაგრძელებთ და სამუდამოდ გაუთხოვრები დავრჩებით.

- ეგ რაღა შუაშია?

- შენ რა, გგონია, რომ კაცების რიგი დაგვიდგება იმის მერე, რაც...

- კი მაგრამ...

- დაივიწყე, გულო, და სიტყვა არ დაძრა არავისთან, არც ერთი სიტყვა, დაიფიცე!

- ნელი...

- დაიფიცე!

- გეფიცები.

ორ დღეში სამშობლოში დაბრუნდნენ.

გულო ქუთაისში გაემგზავრა და სწავლა განაგრძო. ერთ ხანდაზმულ ქალბატონთან დაიდო ბინა, რომელიც ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა და რომელმაც გულოს ზედამხედველობა ითავა.

ერთი თვის შემდეგ გულომ აღმოაჩინა თავისი უცნაური მგრძნობიარობის და გულჩვილობის მიზეზი: ორსულობა.

და მიხვდა, რომ ეს დასასრული იყო.

რადგან ფული არ ჰყოფნიდა აბორტის გასაკეთებლად, სხვადასხვა მცენარეული საშუალება სცადა, რასაც წესით ორსულობის შეწყვეტა უნდა გამოეწვია და როცა არაფერმა უშველა, მისადგმელ კიბეზე აძვრა და ჩამოხტა იმ იმედით, რომ ასე მოიშორებდა არასასურველ ტვირთს. მსგავსი რომ არაფერი მოხდა, საშინლად შეაწუხა სინდისმა.

ყოველდღამე ტიროდა ბალიშში თავჩარგული, თან პირზე ხელს იფარებდა, რომ სახლის პატრონს არაფერი გაეგო მისი გასაჭირის შესახებ და მაშინვე ქუჩაში არ გაეგლო.

მისი შრომისუნარიანობა დაეცა. სტუდენტი ბიჭები პირველივე დღიდან ერთგვარ შეურაცხყოფად აღიქვამდნენ მის იქ ყოფნას და არც ერთ შემთხვევას არ უშვებდნენ ხელიდან, რომ მისი სისუსტის გათვალისწინებით ამისთვის ხაზი არ გაესვათ.

გულო ყოველდღე წყევლიდა იმ კაცს, რომელსაც მის უბედურებაში მიუძღოდა ბრალი, წყევლიდა თავის სქესს, თავის უსუსურობას, წყევლიდა გარშემო მყოფ უგულო ადამიანებს, რომელთაგანაც არავითარი თანაგრძნობის მოლოდინი არ ჰქონდა.

საში თვის შემდეგ მივიდა თავის პროფესორთან და მდგომარეობა აუხსნა. ის გაუთავებლად იწინწინდა თავის თხის წვერს, ჩაახველა, თავი გააქნია და აუხსნა, რომ ვერავითარ შესაძლებლობას ვერ ხედავდა, მისთვის ასეთი სასურველი ადგილი შეენახა.

- ხომ ხედავთ, ამხანაგო ალანია, რატომ არ გვიყვარს მაინცდამაინც ქალებისთვის სწავლის შესაძლებლობის მიცემა? საბოლოოდ ისინი ყოველთვის უკეთეს საქმეს პოულობენ, ვიდრე მათემატიკას. მეგონა, თქვენ გამონაკლისი იყავით, მაგრამ ახლა ეს გამონაკლისი არსებული წესის სიზუსტეს ამტკიცებს, - დასძინა საუბრის ბოლოს მოჩვენებითი თანაგრძნობის გამომხატველი სახით.

ექვსი თვის ორსულმა გულომ გუდა-ნაბადი აიკრიფა და ქუთაისი დატოვა. პირობა მისცა საკუთარ თავს, რომ როგორც კი ბავშვი გაჩნდებოდა, ქვეყნის ყველა უნივერსიტეტს მიმართავდა და მეორე ცდას ხელიდან არ გაუშვებდა.

თავის საძულველ სოფელში დაბრუნდა.

ამას მოჰყვა გაუთავებელი გამოკითხვა. ვინ არის ბავშვის მამა, კითხულობდა გაცოფებული მამამისი, აქაურია თუ გადახვეწილი, საერთოდ, ქრისტიანია? ღირსია იპოვონ და გაასამართლონ და ასე შემდეგ.

გულომ უდრტვინველად აიტანა ყველაფერი, რაც თავს დაატყდა. ზიზღის, ლანძღვის, გარიყულობის, მუქარის უსასრულო კვირების შემდეგ ოჯახი დანებდა და უარი თქვა ბავშვის მამის ვინაობის დადგენაზე. გულო უფროს დასთან გაგზავნეს, რომელიც მეტყვევებ იყო გათხოვილი და განმარტოებით ცხოვრობდა ტყის პირას. იქ სახლისთვის უნდა მიეხედა, რადგან მისი და ჩაის პლანტაციებში მუშაობდა. სოფელს თუ მოშორდებოდა, სოფელელები ნაკლებად იჭორავებდნენ.

ბებიაცალი არ მოუყვანიათ, როცა დრო მოვიდა, რადგან რცხვენოდათ მისი, ასე რომ, გულომ სხვისი დახმარების გარეშე, მარტომ იმშობიარა თავის ოთახში, სხვენში, მხოლოდ თავისი უშვილო დის უგულო თანამონაწილეობით. ასე მოევიღინა გიორგი ამ ქვეყანას.

გიორგის მეორე დაბადების დღის შემდეგ გულომ თავიდან მიმართა ქვეყნის ყველა უნივერსიტეტს, მაგრამ ყველგან უარი მიიღო. მერე სოფლის სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მოეწყო. რაკი ბავშვის მიხედვით არავინ ჰყავდა, თან მიჰყავდა ხოლმე გაკვეთილებზე. სანამ სკოლაში შევიდოდა, გიორგიმ უკვე იცოდა კითხვა, წერა და ანგარიში.

ამას ადრე ვერასდროს დაიჭერებდა, მაგრამ შვილისადმი სიყვარული წინაპირობას არ დაუმძიმებია, თითქოს სასურველი ურთიერთობის ნაყოფი იყო მისი ბიჭი და არა გაუჰატიურებისა. დედა გიორგის ყველაფერს გადასცემდა, რაც იცოდა და შეეძლო, თავის სურვილებზე უამბობდა და იმაზე ელაპარაკებოდა, რისი აღმოჩენა და კვლევა უნდოდა, თავისი ოცნებები ჯაჭვივით ჩამოჰკვიდა, რომელიც თაობიდან თაობას უნდა გადასცემოდა.

როცა გიორგი მეშვიდე კლასში გადავიდა, სკოლის დირექტორმა რეკომენდაცია გაუწია, რათა სოხუმის საბუნებისმეტყველო სასწავლებელში გადასულიყო. იქ მას ზღვა შეუყვარდა, ეს ერთადერთი სიყვარული იყო, რომელსაც დედამისი არ იზიარებდა. თხუთმეტი წლისამ სკოლა უკვე დაამთავრა და მისმა მასწავლებლებმა და კომკავშირის მდივანმა პეტროგრადის ფრუნზეს სახელობის საზღვაო აკადემიაში წარადგინეს მისი კანდიდატურა.

ხუთი წლის იყო, როცა პირველად მოინდომა მამის ვინაობის გაგება. შვიდი წლისა დედასთან ბრაზისგან დაიცალა. თორმეტი წლისამ იტირა მისი თანდასწრებით და შეევედრა. საიდუმლო გაემხილა. გულო კი სულ ერთი და იმავეს პასუხობდა: „როცა დრო მოვა, გაიგებ“.

ასე რომ, სხვა რა დარჩენოდა, იმ სანატრელ ასაკს უნდა დალოდებოდა. მაგრამ ცხოვრება სულ სხვა რამეს უმზადებდა და ეს მოლოდინი ძალიან გახანგრძლივდა.

წლების შემდეგ წელი, რომელსაც გულომ იმ კომმარულ დამეს ვერ გადააბიჯა, ისევ ესტუმრა თავის მშობლიურ სოფელს და გულოსაც ეწვია. იმ ზაფხულის მერე წელი ბათუმში გადასახლდა, თეთრ საპორტო ქალაქში და გულოს არაფერი სმენოდა მის შესახებ.

გულო ხშირად ფიქრობდა განსაცდელში შექნილ მეგობარზე და იმედი ჰქონდა, რომ იმ ღამემ ნელის ისეთივე შედეგი არ მოუტანა, როგორც მას.

შეხვედრისას გულო ამ თვალში საცემად შეღებილ ქალს ყურადღებით დააკვირდა, მისი ნაკვთების მიღმა ისევ იმ გოგოს პოვნა სცადა. მაგრამ ვერ მოახერხა. მის წინ ცოტა არ იყოს ვულგარულად ჩაცმული, ფუშფუშა ქალი იდგა, ხელოვნურად იცინოდა და პირს აწვლაპუნებდა, მოჩვენებითად ხალისიანი, მეტისმეტად ხმამაღლა და გამოთქმით ლაპარაკობდა.

მან გულოს ოქროსფერ კოლოფში შეფუთული შოკოლადის კანფეტები მიუტანა და მის მოკრძალებულად განწყობილ მისაღებ ოთახში ჩამოჭდა. – შესანიშნავად ვგრძნობ თავს, ბათუმი არაჩვეულებრივი ქალაქია, სახლი პირდაპირ ზღვის სანაპიროზე მაქვს, – ხმამაღლა უყვებოდა ნელი.

ისხდნენ გულოს ღარიბული ბინის სივინროვეში, სვამდნენ ლიმონის ლიმონათს და გულო სულ ცდილობდა, თვალი აერიდებინა სტუმრისთვის. უჭირდა, თვალეში ჩაეხედა ისეთი ადამიანისთვის, როგორც ნელი გახდა. იმედი ჰქონდა, რომ ნელი მაინც იპოვიდა თავის გზას და უფრო გაუმართლებდა, ვიდრე თავად.

– ერთი მითხარი, ყლუპი ღვინო ხომ არ გაქვს ან რამე უფრო მაგარი? აქაურობის ატანა უალკოჰოლოდ არ შემიძლია. მართლა არ შემიძლია, – თქვა ნელიმ უცებ და ისევ ისე ხელოვნურად გაიცინა.

– არა, სამწუხაროდ, არა. არ ვსვამ. დალევის სურვილი დიდი ხნის წინ დავკარგე, – უპასუხა გულომ და ნამიერად ორივე ქალი გაჩუმდა. მერე იმ მეორემ ისევ განაგრძო მთელ ხმაზე:

– ვნუხვარ, რომ ასე დაგემართა. ბიჭია, თუ?

– ბატონო?

– ბავშვი.

– დიახ, არაჩვეულებრივი ბიჭია. შენ გყავს შვილები?

მაშინდა გააცნობიერა გულომ, რომ ეს უცხო ქალი ერთადერთი იყო მის გარდა, რომელმაც იცოდა გიორგის მამის ვინაობა. მისთვის ნათელი გახდა, რომ იმ დაწყვეტილ საიდუმლოს ისინი უხილავი ბორკილებით სამუდამოდ დაეკავშირებინა. და ამის გააზრებამ უსიამოვნო გრძნობა აღუძრა.

– არა, არა. მე საამისოდ არ ვვარგავარ. ჰა-ჰა-ჰა. მეტისმეტად მიყვარს ცხოვრება, ხომ გესმის. კაცები კი ისეთი ეგოისტი არსებები არიან, მთელ ყურადღებას ითხოვენ შენგან.

ეს „კაცები“ ისე წარმოთქვა, რომ გულოს ლამის გული აერია.

– იქნებ ჩამოხვიდე როგორმე ჩემთან სტუმრად, კარგ დროს გავატარებდით ერთად! ბევრი გავლენიანი მეგობარი მყავს, დამიჯერე! – უთხრა ნელიმ უხერხული საუბრის დასასრულს და წამოდგა.

გარეთ ავტომობილი იდგა. გულომ თვალი გააყოლა და დაინახა, როგორ გავიდა ნელი ქუჩაში და ვიღაც წითელარმიელმა გაუღო მანქანის კარი.

ერთი წუთით გულოს მოეჩვენა, რომ Déja-vu ჰქონდა და თვალები მაგრად დახუჭა. ვაცმა ნელის მსუბუქად წამოართყა ხელი საჯდომზე, რაზეც ისევე მოიკატუნა თავი, როგორც გაცინებისას, თითქოს აღმფოთდა და საბოლოოდ წინა სკამზე მოთავსდა.

“როგორი ნორჩი, ლამაზი და სიცოცხლით სავსე იყო მაშინ”, – გაიფიქრა ამ დროს გულომ და ისევ დახუჭა თვალები, რომ აღარ დაენახა ის სურათი, რომელიც წლების განმავლობაში თან სდევდა.

სურათი, როგორ დასვა წითელარმიელმა ნელი ეტლში. როგორ დაადო მერე ნელიმ დამძიმებული თავი გულოს მხარზე, ნდობით აღვსილმა, შვებით, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა, რა მოჰყვებოდა ამ ყველაფერს.

გულოს მაგრად ჰქონდა თვალები დახუჭული, რომ არ ეფიქრა იმაზე, რაც ამ სცენის გახსენებას მოსდევდა ხოლმე: არ ეფიქრა, როგორ დაკეტა თავისი ხელით კარი, რომელიც აღარასოდეს გაიღებოდა.

* * *

დესპოტები მიდრეკილნი არიან ილუზიებისკენ.
ჩეხოვი

შეიძლება ითქვას, რომ თეთრ ქალაქში გატარებული პირველი ორი წელი კოსტიასთვის ბედნიერი იყო. ძალისხმევას არ იშურებდა არც აკადემიაში და არც ფინეთის ყურეში მანევრირებისას, უამრავი ღამე გაათენა ალანიასთან ერთად, სამყაროსა და ცხოვრებაზე საუბარში ჩაღრმავებულმა, სეირნობდა ამხანაგებთან ერთადაც ანიჩკოვის ხიდზე შეზარხოშებული და უხამს სიმღერებს მღეროდა, თან პიონერ გოგოებს სტვენით აყოლებდა თვალს. ყველაფერს აკეთებდა, რაც შეეძლო, რომ მამამისზე მოეხდინა შთაბეჭდილება და ყურადღებას არ აქცევდა დანარჩენ სამყაროს, რაც ახალგაზრდული გულგრილობისა და თავდაჯერებულობის ნიშანი იყო. დახვრეტების, გადასახლებებისა და დაპატიმრებების ეპოქაში, მაშინ, როცა ადამიანები თავს იკლავდნენ, კოსტია ხარობდა და სჯეროდა, რომ საკუთარი ადგილი ამქვეყნად ნაპოვნი ჰქონდა.

ახალგაზრდობის უმშვენიერეს ასაკში საკუთარი თავითა და ცხოვრებით ფრიად კმაყოფილი იყო.

მაშინ ჯერ სულ არ აინტერესებდა, რამდენად მსგავსი შეიძლებოდა ყოფილიყო სიცოცხლისა და სიკვდილის პარტიტურები.

ისტორიები, ბრილკა, ზოგჯერ მეორდება და იკვებება, ერთხელ სიცოცხლესაც შეიძლება წარმოსახვა გამოეღიოს, ამის გამო ხომ ვერ

ვუსაყვედურებთ, არა? ასე რომ, ახლა ჩვენი ხალიჩის კიდევ ორ გადაკვეთაზე უნდა გიამბო.

იანვრის იმ ღამეს, როცა კოსტია აკადემიის მეზღვაურთა ყოველწლიურ მეჭლისზე მიდიოდა, მისმა თოთხმეტი წლის დამ თმა შეიჭრა და თამამი ვარცხნილობა – „ბობი“ მოირგო. იგი პარკში ვილაცას ელოდა; იმ პატარა ქალაქში, რომელიც ოდესღაც კავკასიის ნიცა უნდა გამხდარიყო.

კიტი და ანდრო ზამთრის არდადეგებს კიტის ბაბუასთან ატარებდნენ, შოკოლადის ფაბრიკანტთან. ქრისტინეს ჯერ კიდევ ვერ დაერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ ხალხში გასულიყო, სტასიას დაუღლებელ და უსაზღვრო ყურადღებას ითხოვდა. იმ გვიან საღამოს კიტი პარკში იჭდა, ფრჩხილებს იკვნიტდა, იყინებოდა და იცდიდა.

ასეთი იყო მისი თამაში: ანდროს სიყვარულს უწყობდა გამოცდას, თვითონ დაიმალა, იმას კი უნდა ეპოვა. ზოგჯერ მთელ ქალაქში არბენინებდა ანდროს, პატარა მინიშნებებს უტოვებდა ქალაქის ნაგლეჯებზე, რომლებსაც შარვლის ჯიბეებში უტენიდა.

ძველი სკოლის შენობაში, საცხოობის უკან, ხან ფაბრიკის ცარიელ დარბაზში, ხანაც წმინდა გიორგის დაკეტილი ეკლესიის ბაღში იმალებოდა, ზოგჯერ საკუთარი ლოგინის ქვეშაც კი. მაგრამ იცოდა, რომ ანდრო იპოვიდა, რადგან ის არასოდეს შემცდარა, ყოველთვის პოულობდა მის კვალს. დღესაც ამის იმედი ჰქონდა, თუმცა საკუთარ თავზე ბრაზობდა, სითბოში მაინც დავმჯდარიყავი, ამ შეჩვენებულ სიცივეში რა მიხდოდაო, იმიტომ რომ ანდრო იგვიანებდა.

მართალია, დედამისის გაუჩინარების მერე ანდროს ხშირად აღარ ჰქონდა თამაშის სურვილი, როგორც ადრე, თუმცა ამ თამაშზე ყოველთვის თანახმა იყო. დაჯერობანაზე უარს ამბობდა, ბანქოსაც აღარ ეკარებოდა და აღარც სიმღერა უნდოდა, მაგრამ როცა კიტი მის მოძებნას აიძულებდა, მაშინ ანდრო ეძებდა და პოულობდა კიდევ.

კარგა ხანია, უკვე მხოლოდ ანგელოზების ფიგურები გამოჰყავდა ხისგან, რაც კიტის ძალიან ადარდებდა. ეს გატაცება უკვე ნამდვილ მანიად ექცა. ადრე თუ ცხოველებს და პატარა სახლებს თლიდა, ახლა მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზებს: მოხუცებს და ახალგაზრდებს, გაშლილ თუ დაკეცილფრთიანებს. ანგელოზების არმიამ გაავსო შოკოლადის ფაბრიკანტის სახლი, ქრისტინეს სახლშიც ჩამწკრივებულიყვნენ ბუხრის თავზე, ფანჯრის რაფებსა და კამოდებზე.

და უცებ ანდროც გამოჩნდა. კიტისკენ მორბოდა. ძლივს სუნთქავდა. ბაბუას თქმით, მალე მოთოვდა. მთელი ქალაქი ნისლს დაეფარა. ამ ნისლში ადამიანები შეუმჩნეველები და ფრთხილები გამხდარიყვნენ, თითქოს კიდევ უფრო შეშინებულიყვნენ. ანდრო კიტის მიუჭდა, კმაყოფილების ნიშნად გაუღიმა, იმან კი ორივე ლოყაზე ხმაურით აკოცა, დაასაჩუქრა იმისთვის, რომ იპოვა. არც ერთი არ ჩქარობდა შოკოლადის

ფაბრიკანტის სახლის დამთრგუნველ გაარემოში დაბრუნებას. ბაბუა პენსიაზე გასვლის შემდეგ მოგონებებში ჩაიძირა, ადრინდელ ფოტოებს ათვალეერებდა ან ძველ წიგნაკში საიდუმლო რეცეპტებს იწერდა.

არც ლიდას თვალში საცემი ღვთისმოსაობა მატებდა მათ სახლს მიმზიდველობას, არც ლარას ახირებულობა, რომელსაც ვერ გაეგო, რატომ არ ჩამოდიოდა მისი ერთადერთი ქალიშვილი დედის მოსანახულებლად ორი წლის განმავლობაში. იგი უმეტეს დროს ჯემის მომზადებას ანდომებდა და ქალაღდის ფულს წიგნებში მაღაჱვდა, მერე კი თვითონვე ვეღარ პოულობდა.

- წასვლა მინდა. მაგრამ უშენოდ - არა, - თქვა უცებ ანდრომ და ფეხსაცმლის წვერით გაყინული მინის ჩიჩქნა დაინყო. - წამოხვალ ჩემთან ერთად?

- სად უნდა წახვიდე, გაგიჟდი? ფული შენ არა გაქვს და თანაც დედაშენს უნდა დაელოდო.

- დედაჩემი ჯერ ვერ დაბრუნდება.

- საიდან იცი?

- უბრალოდ, ვიცი.

- და სად უნდა წახვიდე?

- ევროპაში მინდა. ამასწინათ ხომ გაჩვენე მსოფლიოს რუკა, იმაზე მაქვს მონიშნული ყველა ის ადგილი, სადაც წავიდოდი. რომსა და პარიზში მინდა, მადრიდსა და ვენაში, ყველაზე მეტად ვენაში, ულამაზესი უნდა იყოს იქაურობა. შენ მოგეწონებოდა, კიტი.

- კი მაგრამ, ჩვენ ხომ მარტო ვერ...

- წამოხვიდოდი?

- არ ვიცი.

- აქედან წასვლის გეშინია?

- რა უნდა გააკეთო ვენაში? იქ მხოლოდ ღარიბები და მდიდრები არსებობენ, მდიდრები კი ღარიბებს არაფერს უტოვებენ, ღარიბები შიმშილობენ და ქუჩაში იყინებიან. თანაც იქ ყველას სცემენ, ვინც ქერა არ არის, - თქვა კიტიმ და ახითხითდა.

- სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

- ჰო, კარგი, რა თქმა უნდა, შენთან ერთად წამოვალ. ხომ იცი!

მაშინ ანდრო გადაიხარა თავისი კიტისკენ, რომელსაც მსოფლიოში ულამაზესი ნუშის თვალები ჰქონდა და ტუჩებში აკოცა. ნისლში გახვეული ქალაქი, პარკის მწვანედ შეღებილი სკამები, მაღალი, მოუქნელი, ჩუმი ანდრო და მოუსვენარი, მშფოთვარე კიტი, ორივე სიცვივისა და აღელვებისგან ერთნაირად გაშეშებულნი.

იმ დროს, როცა კიტის პირველად აკოცეს და მან ანდროს ტუჩების გემო შეიგრძნო, მისმა სამი წლით უფროსმა ძმამ პირველად გაიყო ქალთან სარეცელი. არ ვიცი, მართლაც ერთ დროს მოხდა ეს ორივე

მოვლენა თუ არა, მაგრამ იმის წარმოდგენა მომწონს, რომ შეიძლებოდა ასე ყოფილიყო და ასეც ვტოვებ.

მეზღვაურთა მეჯლისის მერე კოსტია მეგობრებმა ერთ ძველ სადარბაზოში შეათრიეს, პირდაპირ ვასილევსკის კუნძულზე და ვინრო დერეფანში, ხის კარის წინ დააყენეს. მთელი ძალით დააბრაზუნეს კარზე და თვალის დახამხამებაში სიცილ-ხარხართ ჩაცვივდნენ კიბეზე. კოსტიას, რომელსაც უკვე საკმაოდ დაელია არაყი, მაინცდამაინც არ ესმოდა, რა ხდებოდა მის თავს. შენელებულად მოძრაობდა და რაკი იცოდა, რომ იოლად ვერ მოახერხებდა გაქცევას, გადანყვიტა დარჩენილიყო და ბედს მინდობოდა, რაც უნდა მომხდარიყო, თუმცა გული ისე უცემდა, ეგონა, მთელ სახლს ესმოდა.

კარი გაიღო და მუქთმიანი, გრძელხალათიანი მაღალი ქალი, რომელსაც ორივე ხელის ყველა თითზე ბეჭდები ეკეთა, მიაჩერდა აწითლებულ კოსტიას. თავის ლურჯ უნიფორმაში გამონყობილი ნაცემი ძაღლივით იდგა იქ და არ იცოდა, რა ექნა.

- რა ხდება? - აღშფოთდა უცნობი ქალი და ნაბიჯი გადაგა მისკენ.

- მაპატიეთ, მეც არ ვიცი, მე თვითონაც... - ჩაიდუდუნა კოსტიამ უაქცენტო რუსულით.

- თუ იმ, ჰმ, ქალბატონთან მოხვედი, აქ აღარ ცხოვრობს. ამ ბინაში ახლა მე ვცხოვრობ.

ქალი დაახლოებით ორმოცი წლის იქნებოდა, მას ხორბლისფერი კანი ჰქონდა, ნახშირივით შავი თვალები და ასეთივე თმა, რომელიც თავისუფლად აენია თმის სამაგრიტ.

ოინი უყვეს და კოსტიას უნდა მოეფიქრებინა, როგორ გამომძვრალიყო ამ უხერხული სიტუაციიდან და სამაგიერო გადაეხადა მათთვის. მეზღვაური მარტო მაშინ არის ნამდვილი მეზღვაური, თუ ქალის მკლავებშიც ისეთივე ყოჩაღია, როგორიც ზღვაში, ასე ჩააგონეს მეგობრებმა და აქ წამოიყვანეს. კოსტიაც გამოჰყვა მათ თოვლით დაფარული ქუჩებში, რადგან, მათი თქმით, ამ სახლში ის ქალი ცხოვრობდა, რომელიც ერთი-ორი რუბლის ფასად მას ყოველ მიზეზგარეშე აზიარებდა სიყვარულის ხელოვნებას.

უკვე მიტრიალებას და იქიდან სწრაფი ნაბიჯით მოშორებას აპირებდა, მაგრამ ქალმა გააჩერა და ჰკითხა:

- რა გქვია?

- კონსტანტინე. კოსტია.

- გამარჯობა, კონსტანტინე. რამდენი წლის ხარ?

- ჩვიდმეტის ვარ.

- და საიდან ხარ, კონსტანტინე?

- მე... მე... საქართველოდან.

- საქართველოდან. რა შესანიშნავია. ერთხელ ბავშვობაში ვიყავი იქ ბაფხულში, ზღვაზე. ბევრი ბროწეული ვჭამე. მიყვარს ბროწეული. შენ?

- ისე რა.

- ჩაის ხომ არ ინებებ, კონსტანტინე? სულ მთლად გაყინული ჩანხარ.

ამ უცხო ქალს რაღაც საოცრად მიმზიდველი ჰქონდა. შეიძლება ოდნავ სარკასტული კილო, ეშმაკური ღიმილი ან ის ბეჭდები, ხელებზე რომ უბრწყინავდა, კოსტიამ თვითონაც არ იცოდა.

მან ბინის ნარჩენებში შეაბიჯა, ალბათ ადრე ბევრი ოთახისგან რომ შედგებოდა, ახლა კი თხელი კედლებით გადაეტიხრათ. ერთადერთ ოთახში სამზარეულო ნიში იყო მონყობილი. აბაზანა დერეფანში მდებარეობდა, ალბათ, მეზობლებიც იყენებდნენ. ოთახის მცენარეებს მთელი კუთხე გაევსოთ, სასადილო მაგიდაზე გადამლილი წიგნები ერთმანეთზე ეწყო. ერთადერთი ნათურა ანათებდა ოთახს. სასიამოვნო სუნი იდგა, კოსტიამ მაშინვე კარგად იგრძნო იქ თავი. მაგარი ჩაი დალია. იდამ მისი პალტო ნახშირის ღუმელთან მიაკიდა.

სინათლეში უფრო კარგად დაინახა ქალი: თითქმის მისი სიმაღლის იყო, თხელი, ოდნავ ფართო თეძოები და თხელი კიდურები ჰქონდა, მკლავები - პატარა გოგოსავით წვრილი და სუსტი. სახე თითქოს რაღაცას მალავდა, ამან კოსტია ცოტა ააღელვა კიდევ. გრძელი წვეტიანი ცხვირი, თხელი ტუჩები და ოდნავ ჩაცვენილი ლოყები. მაგრამ მთავარი ის მუქი თვალები იყო, მაცდუნებლად რომ უელავდა მბჟუტავ შუქში, თითქოს ზეთი ჩაელვარათ მის გუგებში, მისი სილამაზე ავადმყოფური იყო, ჩასაქრობად გამზადებული.

როცა უცნობმა ქალმა ჰკითხა, ერთ ყლუპ ღვინოს ხომ არ დალევდა მასთან ერთად, კოსტიამ მაშინ მოახერხა თავისი მღელვარების მიზეზის ამოცნობა: მისი ხმა - დაბალი, დაბინდული, თან ძალიან ჩახლეჩილი, თითქოს ცოტაც და შემდეგ სიტყვაზე ნამდვილად ჩაუნყდებოდა. მან ერთი ბოთლი ღვინო გამოიტანა, გასახსნელი გაუნოდა და გახსნა სთხოვა. მერე ორი ჭიქა მოიტანა, ღვინის ბოთლი ხელიდან გამოსტაცა, ერთი წუთით სინათლეზე გახედა და ორივესთვის ცოტ-ცოტა ჩამოასხა. სანამ მოსვამდა, ჯერ წითელი სითხის სურნელი შეიგრძნო.

- ეს ბორდოა. ძალიან ძველი. და საუკეთესო. ძალიან. ღვინო განსაკუთრებული რამ არის, შენ ეს უნდა იცოდე, ქართველო. დიდხანს ვინახავდი ამ ბოთლს. სულ რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევას ველოდი. ახლა კი დავლიოთ.

კოსტია კიდევ უფრო დაიბნა, შეეცადა, ეს დაბნეულობა არ დასტყობოდა და უსიტყვოდ დაემორჩილა. საწოლის გვერდით პიანინო შეამჩნია, რომლისთვისაც თეთრი ქსოვილი გადაეფარებინათ. როცა ერთმანეთი ადღეგრძელეს და უცნობმა ქალმა ერთიანად დაცალა მთელი ჭიქა, ადგა, მივიდა გრამოფონთან, რომელიც პიანინოს გვერდით იდო იატაკზე და ფირფიტა ჩართო. ვერტინსკის სიმღერა გაისმა. მერე მივიდა კოსტიასთან, მის წინ გაჩერდა და ხელი გაუნოდა.

- მეცეკვები, კონსტანტინე? - ჰკითხა ორაზროვანი ღიმილით. კოსტია მოუქნელად წამოხტა, აღელვებულმა ხელი მოჰკიდა, მეორე კი - წელზე შემოჰხვია.

მისი შეხება სასიამოვნო იყო. რაღაც უცნაურად სანდო. შუა ცეკვისას უცებ გაჩერდა, წელიდან მისი ხელი მოიშორა, მოსცილდა და პატარა რკინის საწოლზე დაემხო, რომელსაც ძველი კუბოკრული საბანი ეფარა. ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ სახეზე ხელები აიფარა და სასონარკვეთილი აქვითინდა.

კოსტია ადგილზე გაშემდა და ატირებული ქალის შეხედვასაც ვერ ბედავდა. ბოლოს მიუახლოვდა და მისი სასონარკვეთით შენუხებულმა ჩაიმუხლა და ფრთხილად დაადო მუხლზე ხელი. ქალი იმავე წამს ჩამოეკიდა კისერზე და ლოგინზე გადააწვინა. კოსტია დაეცა, ქალი ჩაეხუტა და კიტელის ღილების გახსნა დაუწყო. არც კი დაფიქრებულა, რა ხდებოდა მის თავს, თავის ინსტინქტებს მიენდო. ხელის ერთი მოძრაობით შეუხსნა ხალათი, კოცნა დაუწყო, იმან კი ბეჭდებასხმული ხელი თმაში ჩაავლო და იქით ამოდრავებდა, საითაც სურდა. კოსტიას არ აწუხებდა, რომ ის მართავდა. მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ ქალი უკვე ტანზე ხდიდა, ის კი სწრაფად ამოდრავდა და აცახცახებული ხელებით ეხმარებოდა, წინდების სამაგრები შეუხსნა, პერანგი გააძრო, გადახსნილი ხალათიდან პატარა მკერდი გამოუჩნდა, პრიალა, ნაზი კანი და მუქი სამკუთხედი ფეხებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ უხეში და მომთხოვნი იყო, ძალიან კატეგორიულიც და თავის ვნებას დემონსტრაციულად წარმოაჩენდა, კოსტიას გული აუჩუყა მისმა ქცევამ. იყო რაღაც განწირული მის ჟინში. მისი ლტოლვა სათუთი იყო, თითქოს ისევე მოულოდნელად შეიძლებოდა დამშრალიყო ერთ წამში, როგორც იფეთქა.

კოსტიას წამით ეგონა, რომ გული წაუვიდოდა, როცა უცნობი ქალი თვალდახუჭული უკოცნიდა სახეს და აცრემლებული იდიმოდა.

* * *

პატივი ეცი ყველაფერს, რითაც მდიდარია ჩვენი სამშობლო.
წარწერა პლაკატზე

ბაბუაჩემი ამ შეხვედრის მერე თითქოს ბურანში მოექცა, მთვარეულივით დაიარებოდა, გაოგნებული იმ უცნაური შემთხვევით, რომელმაც მეძავის მკლავების ნაცვლად პირდაპირ თავის პირველ სიყვარულს ჩაახუტა. გაორებული იყო აკადემიაში გაბატონებულ მკაცრ დისციპლინაში გატარებულ დღეებსა და ვასილევსკის კუნძულზე მდებარე ჩაბნელებული ბინის თავდავიწყებულ ღამეებს შორის.

მამასთან სამაგალითო შვილს განასახიერებდა, მეგობრებთან ერთად ქეიფს გატაცებით უძღვებოდა, ფიქრებით კი უცნობი ქალის

თავბრუნდამხვევ სიახლოვეს და უფსკრულებს დასტრიალებდა, რომელთა აღმოჩენასაც ასეთი თავდავინწყებით მიეცა.

„იდა“: ამ სახელის ფორმას იღებდნენ მისი ტუჩები გაკვეთილების დროს, ფინეთის ყურეში გემზე ყოფნისას, ამ სახელს საფიცარი ფორმულასავით იმეორებდა გონებაში, როცა დამდამობით ძილი უტყდებოდა. ამ სამ ასოს ეჭიდებოდა, როცა მისი კანის, მისი დაბალი, ხრინწიანი ხმის, მისი ორაზროვანი ღიმილის მონატრება მეტად მოეძალებოდა და აღარ იცოდა, როგორ დაეოკებინა ეს ტკივილიანი ლტოლვა.

ზოგჯერ ღამით ვედარ ძლებდა, წამოხტებოდა ხოლმე სანოლიდან, თავის პალტოს ხელს დაავლებდა და გიჟივით მიქროდა ქუჩაში, რათა აქოშინებულს მის კარზე დაეკაკუნებინა, იმის იმედით, რომ გაულებდა, რომ დამშეული უპატრონო ცხოველივით შეეფარებინა, დაეპურებინა და მოევლო, სითბოს და ზრუნვა არ მოეკლო.

ის ასეც იქცეოდა. ყოველთვის.

არასოდეს გაუბრუნებია უკან. ეშმაკური ღიმილით ოდნავ გამოაღებდა ხოლმე კარს, შეხედავდა, ზოგჯერ ბიგუდებით თმას იხვევდა, ხან გაშლილი წიგნი ეჭირა ხელში, თავს გადააქნევდა და ეტყოდა: „კონსტანტინე, აბა, რას ჰგავს ეს? მე ხომ მხოლოდ ხვალ სადამოს გელოდი?“ ამას ოდნავ საყვედურით ამბობდა, თუმცა იგრძნობოდა, როგორ უხაროდა, რომ კოსტია შეთანხმებას არღვევდა და მოულოდნელად სტუმრობდა. იდასთან სხეულის ენაზე შეეძლო ლაპარაკი, სიტყვები არ სჭირდებოდა. მისი კანის გემო უმხელდა მწუხარების ხარისხს, შეხებით შეეძლო მისი დარდების გამოცნობა, კოცნით ხვდებოდა, რამდენად მიეცემოდა იმ ღამით თავდავინწყებას.

სროლის ყოველდღიურ ვარჯიშებზე მაგრად უნდა დაეხუჭა თვალები, მერე გაეხილა, ისევ დაეხუჭა და კვლავ გაეხილა, სანამ წინა ღამის სურათები არ გაუქრებოდა გონებაში და მიზანზე კონცენტრირებას არ შეძლებდა.

კოსტია მთელი ცხოვრება ამ უკურნებელი სილამაზის ტყვეობაში დარჩა, უკურნებელის იმიტომ, რომ მასში ის რაღაც საფრთხეში მყოფს, სრულიად დაუცველ გამოსხივებას გრძნობდა. ეს იყო დამღუპველი სილამაზე.

მთელი ცხოვრება არ შეუწყვეტია ამ სილამაზის ძებნა და მისი სიყვარულის უნარი იმაზე გახდა დამოკიდებული, რამდენად პოულობდა ის ამ თვისებას სიყვარულის მორიგ ობიექტში. თითქოს მხოლოდ მაშინ უჩნდებოდა ლტოლვა, თუ გრძნობდა, რომ ამ ვნებას მისი დალუპვა შეეძლო.

თითქოს ზღვის უძირო სიღრმეში ჩამალული მარგალიტები უნდა მოეძებნა დახრჩობის რისკის ფასად.

თავის წინა ცხოვრებაში იდა პიანისტი უნდა გამხდარიყო, რუბინშტეინის მოწაფესთან სწავლობდა. სანქტ-პეტერბურგის შეძლებული ებრაული ინტელექტუალების ოჯახიდან იყო, მამა ექიმი ჰყავდა, დედასაც მასავით პიანისტის კარიერა ელოდა, მაგრამ მძიმე ფსიქიკურმა დაავადებამ მისი ამ ოცნების ასრულება შეუძლებელი გახადა. იდამ ცხოვრების ნახევარი პარიზში გაატარა, სადაც მისი ოჯახი რევოლუციისა და მომდევნო ანტისემიტური ტალღის შემდეგ გადასახლდა.

ახალგაზრდობაში ნერვული ზნე დაუდგინდა, ანემია, მიდრეკილება გადამეტებული მგრძობიარობისკენ. მას გენიალური თითები ჰქონდა, მსოფლიო კარიერისთვის შესაფერისი. მაგრამ თავისივე ხელით გადაიჭრა ნაწინასწარმეტყველები მომავლის ყველა გზა, როცა ოჯახს გამოუცხადა, რომ თავდავინწყებით შეუყვარდა ემიგრანტი მევიოლინე, რომელმაც ცოლი და ორი შვილი მიატოვა პატარა ბინაში, პარიზის რომელიღაც სხვენში, პურის ფულს საეჭვო რესტორნებში დაკვრით შოულობდა და ძლივს გაჰქონდა თავი. ოჯახის წევრების თხოვნის და მუქარის მიუხედავად, იდამ საკუთარი თავი მევიოლინის ნაწამები სულის მკურნალად გამოაცხადა, რომელსაც ის, რაღა თქმა უნდა, გენიოსად მიიჩნევდა და გაქრისტიანდა კიდევ იმის იმედით, რომ მევიოლინე ცოლთან გაყრის შემდეგ, წესით და რიგით, მასთან დაქორწინებას მოინდომებდა.

მაგრამ ასე არ მოხდა.

ამის ნაცვლად მასთან ერთად რომელიღაც დღიური სასტუმროს ბინძურ ოთახში დასახლდა, სადაც იდა აჭმევდა, ასმევდა და ანებივრებდა, ფულსაც იღებდა მისგან დიდი სიამოვნებით, იდა ფორტეპიანოს გაკვეთილებით რომ შოულობდა და აზრადაც არ მოსდიოდა ცოლთან გაყრა. ერთ დღეს შეატყობინა იდას, გასაჭირში ვარ, დიდი ვალები დამიგროვდა და მევალებებისგან თავის გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთში გაპარვააო. იდას ოჯახის ყველა მცდელობა, შეეჩერებინათ შვილი, მარცხით დამთავრდა, ჰოდა, ასე დაბრუნდა იდა თავის წამებულთან ერთად პეტერბურგში, რომელსაც ამასობაში უკვე პეტერბურგიც კი აღარ ერქვა და სადაც აღარაფერი იყო ისე, როგორც ადრე.

ქალაქის განაპირას კომუნალურ ბინაში შესახლდნენ. იდა ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა და თავის გატანას ცდილობდა ომის შემდგომ წლებში. თანდათან მისი ნანატრი მევიოლინის მიმართ სიყვარული სიძულვილმა ჩაანაცვლა, ლანძღავდა, ბედს უჩიოდა, ენატრებოდა პარიზი და თავისი ოჯახის კეთილდღეობა, თავს იდანაშაულებდა და რცხვენოდა თავისი საცოდავი არსებობის. მევიოლინე ყოველდღე სადღაც ქრებოდა, იდა კი ამ დროს მამოხისტური, მძულვარე სიყვარულით დატყვევებული, კედლებზე გაჰყავდა დარღს,

ზიზღსა და სოციალიზმს, რომელიც მისთვის სრულიად აუტანელი გამოდგა. თავისი უბედურების გამო სჭიდა ყველაზე ძვირფასს, რაც ჰქონდა, და პიანინო, რომელიც პარიზიდან გამოაგზავნიდა, გადასაფარებლით დაფარა.

მევიოლინემ მმას უმატა, ვალების დაგროვება განაგრძო, მათ შორის – ერთი ციმბირელი მეყასბისა ემართა, რომელიც შავ ბაზარს აკონტროლებდა. საქმე ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა. მევიოლინეს ფეხები ურტყეს, თავით კი კედელს მიანარცხეს. იგი ოთხით მიხობავდა ქუჩებში, სანამ კომუნალური ბინის დერეფანში არ შეწყვიტა მოძრაობა. შინაგანი სისხლდენისგან მოკვდა, ისე, რომ ექიმმაც კი ვერ მოუსწრო. იდამ მოახერხა და ეს ერთი ოთახი იშოვა ვასილევსკის კუნძულზე, სადაც მანამდე ვიღაც დნეპროპეტროვსკელი ქალბატონი ცხოვრობდა, რომელიც, როგორც ითქვა, თავს საკუთარი დაუღალავი სხეულით ირჩენდა, სანამ ერთ დღეს არ უჩივლეს და არ გაასახლეს. ერთადერთი, რაც იდამ ძველი ცხოვრებიდან წამოიღო, პიანინო იყო. თეატრში, კონტროლიორად დაიწყო მუშაობა, ორჯერ სცადა ქვეყნიდან გასვლის უფლების მოპოვება, ორივეჯერ უარი მიიღო, ამის მერე ყველა ძველ ნაცნობთან შეწყვიტა ურთიერთობა, მაგრამ არც ახალი ნაცნობების ძებნა დაუწყია, ცხოვრობდა თავის ფირფიტებსა და წიგნებთან ერთად და შავ ჩაის სვამდა.

ასეთი იყო მისი ცხოვრება, სანამ ერთ დღეს კონსტანტინე ჯაში არ მიაღდა კარზე.

კოსტიას ახალგაზრდობასა და მის სასურველ სხეულზე როგორც კი ხელი მიუწვდა, დამშეულივით დააცხრა, თავდავინწყებით, ყველაფერი დანარჩენი დაივიწყა და იმედი ჩაესახა.

მართალია, იდა ამასობაში ყოველგვარ რომანტიკულ ილუზიებს მოკლებული ქალი გამხდარიყო, მაინც ვერაფერს გახდა და კოსტიას გვერდით ისევ იმედი მიეცა, უნებლიეთ, მისი მხრიდან ყოველგვარი განზრახვის გარეშე, თავისივე სურვილის წინააღმდეგ.

მანამდე უიმედობა ერთადერთი ურყევი რამ იყო მის ცხოვრებაში და ამის შერყევა აშინებდა, ეგონა, რომ სხვანაირი ცხოვრების იმედის თავიდან ჩასახვა საფრთხეს შეუქმნიდა მის არსებობას.

იდა ყოველდღე უიმედობის პატარა ნაწილს უშვებდა ხელიდან. ყოველი ახალი სიტყვა, რომლითაც კოსტია მიმართავდა, ყოველი შეხება სასონარკვეთილების სქელ ფენას აცლიდა კანიდან, და კოსტიას ახალგაზრდობა, კოსტიას ვნება, კოსტიას ტკობა მისი სხეულით და გაუმხელელი მომავლით დამცავი საფარივით ეფინებოდა.

დამფრთხალ და დაბნეულ კოსტიას კი, იდასთან სიახლოვის, მისი დამეული ჯადოქრობისა და საიდუმლოებების დაუოკებელი ჟინი გასჩენოდა და ღამღამობით ბარბაცით მიჰყვებოდა თავის სურვილებს, იმისთვის, რომ მეორე დღეს თავის თავი ამ ლტოლვის გამო დაესაჯა.

თავის ახალ სიყვარულს უმაღლავდა ამხანაგებს, რცხვენოდა ამის, რადგან ეგონა, რომ იდას მისთვის შესაფერისად არ მიიჩნევდნენ. საყვედურობდა საკუთარ თავს, რომ არასოდეს ეპატიუებოდა რესტორანში, არასოდეს გადიოდა მასთან ერთად სასიერნოდ, რომ მხოლოდ ღამდამობით არსებობდა მისთვის, რომ დღისით გონებიდან, ყოველდღიურობიდან მის განდევნას ცდილობდა, ისე იქცეოდა, თითქოს იდა არც არსებობდა.

მაგრამ იდას მშვენივრად შეეძლო საკუთარი გრძნობების დამალვა, ეს კარგად ისწავლა ცხოვრებასთან ბრძოლისას გატარებული წლების განმავლობაში, უფრო სწორად, იმასთან, რაც ცხოვრებამ მისთვის გაიმეტა. მან იცოდა, რომ სიტყვები ყოველთვის შეპირებას არ ნიშნავს, რომ მუსიკას გადარჩენა არ შეუძლია, რომ საკუთარი შესაძლებლობები ყოველთვის ვერ მიგიყვანს წინასწარ განსაზღვრულ მიზანთან, რომ სიყვარული ზოგჯერ მხოლოდ დამალვაა ბევრად უფრო საშინელი რამისგან; მან ისწავლა თავისი ოცნებების მოთვინიერება, ისწავლა იმედგაცრუების შენიღბვა ცოტაოდენი პომადით, ამიტომ კოსტია ვერც ხვდებოდა, როგორი მტკივნეული იყო იდასთვის დამეული მოლოდინი, რამხელა ძალისხმევის ფასად უჭდებოდა დაგროვებული მონატრებისთვის ფეხის აწყობა, რამდენი სიტყვა დარჩა უთქმელი, რამდენი საყვედურისგან შეიკავა თავი, რამხელა თანაგრძნობას მოითხოვდა მისგან მისი ორად გაყოფილი ცხოვრება, როგორი აუტანელი ეჩვენებოდა ზოგჯერ მისი პარალელური სამყაროს ნაწილად ყოფნა და როგორ აღელვებდა კოსტიას სურვილი, მისით შეეცნო სიყვარული და როგორ აშინებდა იმავდროულად.

მაგრამ იდა ყოველთვის კარგი მასწავლებელი იყო და წლების წინათ რის ახსნასაც თავისი მოწაფეებისთვის ცდილობდა შავ-თეთრ კლავიშებთან, კოსტიასაც ასწავლიდა და ამაში მთელ თავის სულსა და სხეულს დებდა. ასწავლა მორჩენილი საჭმლისგან ზამთრის წვნიანის მომზადება, უნიფორმის იდეალურად დაუთოება, ასწავლა საიდუმლოს შენახვა და უსიტყვოდ ლაპარაკი.

ჩახუტებულები ცეკვავდნენ ვერტინსკის ყოველ სიმღერაზე, იდას ფირფიტებიდან რომ ისმოდა. ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად ცეკვავდნენ. ნელა და სწრაფად, მშვიდად და თავშეუკავებლად, უხამსად და ხარხართ, თავდავიწყებით და სევდიანად, ერთად და ცალ-ცალკე, ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ.

იდა თავისი უამრავი ბეჭდის ისტორიებს სათითაოდ უყვებოდა და თან თითის წვერებს უკოცნიდა, დასცინოდა, როცა კოსტია ზღვაოსნობაზე მოსაწყენ მოხსენებას უკითხავდა, უღიტინებდა ძილში და აღვიძებდა, რომ მისთვის სავსე მთვარე ეჩვენებინა, რომელიც იმ ღამით განსაკუთრებულად ყვითელი და სწელი ჩანდა. თავის ძველ ფოტოებს ათვალიერებინებდა, სანამ კოსტია ფეხის მასაჟს უკეთებდა, უხსნიდა,

რომ ოთახის მცენარეები მისი ნამდვილი მეგობრები იყვნენ და თითოეულ მათგანს სახელებით აცნობდა. სკოლის მონაწევრავით ხითხითებდა, როცა კოსტია ხდიდა და მკაცრი მასწავლებლის კილოზე ითხოვდა მისგანაც იმავეს.

ისინი ერთმანეთს ბედნიერებას ანიჭებდნენ. ერთიმეორეს აწმყოს უზიარებდნენ და მომავლის მოგონებებით ასაჩუქრებდნენ.

იღა სპარსული კატასავით იზმორებოდა და იზნიქებოდა რკინის ჭრიალა სანოლზე. კოსტია თავის პერანგს აუთოებდა, დაახლოებით ერთ საათში აკადემიაში უნდა ყოფილიყო. უცებ იღა გადარეულივით წამოხტა, მივარდა კოსტიას, ზურგზე შემოეხვია და ასე გაშეშდა.

- რა ხდება? - იკითხა მან სიცილით, თან გონებაში ითვლიდა, დრო თუ ეყოფოდა, მოკლე სასიყვარულო თამაშით იღა რომ ენუგეშებინა. ქალმა უკან დაიხია და თვალეზგაფართოებული მიაჩერდა.

- ომი დაიწყება, - თქვა ჩუმად და უკუსვლით დაშორდა.

- შენ რა, მართლა გეშინია იმ იდიოტი ფაშისტების, იღა? მოდი აქ, მოდი, სულელო.

- რადიოს მოუსმინე ხოლმე.

- გონია, რაკი გერმანელები პოლონეთში შევიდნენ, ჩვენამდეც მოაღწევენ? - ხმამაღლა გაიციხა და სწრაფად წავიდა იდასკენ, რომ ცხვირზე ეკოცნა მისთვის, - აკადემიაში გრძელი მოხსენება მოვისმინეთ. ამაღამ თუ მოვალ, მოგიყვები ცოტას, რა ჭკვიანურად ექცევა გენერალისიმუსი გერმანელებს. 19 აგვისტოს მას პოლიტიბუროში საიდუმლო სხდომა ჩაუტარებია. აკადემიაში ლაპარაკობდნენ, რომ იქ უთქვამს, საბჭოთა კავშირი ფრანგულ-ბრიტანულ ალიანსს გერმანიის წინააღმდეგ უარს ეტყვის და გერმანელებს გაუნოდებს ხელს იმიტომ, რომ მშვიდობიანობის დროს ევროპაში კომუნიზმის გავრცელება შეუძლებელია, მაგრამ თუ ანგლო-ფრანკები გერმანელებს ომს გამოუცხადებენ, ორივე მხარე მალე დასუსტდება და მაშინ საბჭოთა კავშირს ხელს ვერაფერი შეუშლის, რომ ევროპაში სოციალიზმი გაავრცელოსო. ჩემი აზრით, ეს საოცრად შორსმჭვრეტელური შეხედულებაა, შენ როგორ ფიქრობ? იღა, საერთოდ მისმენ?

- გერმანელებს რომც დაუძმობილდნენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ გერმანელები სსრკ-ს სიამოვნებით დაუთმობენ ტერიტორიებს, ამ ყველაფრის მიზანი კი სწორედ ეს არის, კოსტია. ნაციონალ-სოციალისტებთან ამ კავშირის გარეშე გენერალისიმუსს იმ მიწების ხელში ჩაგდების შანსი არ აქვს. აბა, დაფიქრდი, რამდენს ლაპარაკობენ გერმანელები, რომ ადგილი არ ჰყოფნით.

იღა გაჩუმდა და ერთ წერტილს მიაშტერდა კედელზე, თითქოს იქ უკვე მომავალს ხედავდა.

- კარგი, მომისმინე, ერთ საიდუმლოს გაგანდობ. ხომ გაგიგია იმ მოლოტოვ-რიბენტროპის ხელშეკრულების შესახებ, ყველა გაზეთი რომ

წერდა? იცი, რა გვითხრეს აკადემიაში? ამ სავაჭრო შეთანხმების უკან საიდუმლო დოკუმენტი არსებობს, რომელიც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად შეთანხმება, – კოსტიამ ხმას დაუნია, – თურმე იქ საუბარია სსრკ-ს თავდაუსხმელობის შესახებ, თუ საქმე იქამდე მივიდა და ევროპაში ომი გაჩაღდა. აბა, ახლა ხომ დამშვიდდა, ჩემი იდა? გენერალისიმუსმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს ფაშისტებთან. ამაში ეჭვი არ შეგეპაროს!

უცებ იდას სიცილი აუტყდა, ისტერიულად ხარხარებდა, იკრუნჩხებოდა და მუხლებზე ხელს იტყაპუნებდა. კოსტია გაოცებული შესცქეროდა.

იდამ ჩანთიდან პრავდას ნომერი ამოიღო და კოსტიას ცხვირზე ააფარა.

– დაუჭერებელია, რა სამყაროში ვცხოვრობთ, ჩემო საყვარელო. ქვეყნის მთავარი გაზეთი ამ შეთანხმებას უწოდებს...

მოიცადე, ციტატა მომყავს: მშვიდობის ინსტრუმენტს. არადა საქმე ეხება ორ შეშლილს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან და მთელ მსოფლიოს თავიანთი ინტერესებისა და იდეოლოგიისთვის იყენებენ. ისინი არაფერზე დაიხვეწენ უკან, არ არის ეს კომიკური, კოსტია? ორი გიჟი ხომ არასდროს დაუშვებს, ერთი მათგანი უფრო დიდი გახდეს, ვიდრე მეორე.

– ვინ არის შეშლილი? აბა, დანყნარდი ახლა, იდა! იდა, შემომხედე. მე ხომ აქ ვარ, შენთან ვარ, არაფერი მოგივა. მე ხომ არ დავუშვებ, შენ რამე შეგემთხვეს.

– საკითხავია, როდემდე, – ჩაილაპარაკა იდამ და ლოგინში დაბრუნდა.

– როდემდე რა? რას გულისხმობ?

– ჩაიცვი უკვე. არ მინდა, რომ დაგაგვიანდეს.

კოსტიამ ქრისტინეს დასახიჩრების ამბავი, რომელსაც სტასია თითქმის ორ წელიწადს უმაღლავდა, ევროპაში ომის დაწყების ცნობასთან ერთად შეიტყო. იმ დღეს, როცა მთელი ლენინგრადი გერმანელების პოლონეთში შეჭრაზე აღაპარაკდა, კოსტიამ, ბოლოს და ბოლოს, გაიგო ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ სთხოვდა სტასია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ბათუმში თბილისში არ ჩასულიყო და არდადეგები რუსეთში გაეტარებინა. სტასიამ დანვრილებით მისწერა ქრისტინეს ტრაგედიის შესახებ, რა თქმა უნდა, არავინ დაუსახელებია, ფოსტის მოხელეებს შეეძლოთ, წერილი წაეკითხათ.

სტასიამ აღუწერა ის საშინელი ტრაგედია, ქრისტინეს საავადმყოფოში გატარებული დღეები, მისი ღრმა დეპრესია, დაბოლოს, – მისი უსასრულო დუმილი.

შეატყობინა რამაზის სიკვდილისა და სკანდალის თავიდან ასაცილებლად, მისი ფარულად დაკრძალვის შემდეგ, მისი ტილოების

გაყიდვაზეც უამბო და დედინაცვლის გარდაცვალების ამბით დაასრულა, შვილის ტრაგედიის გამო ტვინში სისხლი რომ ჩაექცა.

კოსტია იდასთან გვიან ღამით მივიდა, ლოგინზე დაემხო და სამ საათზე მეტხანს შეუჩერებლად ტიროდა. იდას არაფერი უკითხავს, აცადა გლოვა, რადგან თვითონაც კარგად იცნობდა დარდს, ის მრავალი წლის განმავლობაში მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. იდამ იცოდა, რომ მისი და უფრო კი კოსტიას სათუთი სამყარო, მათი სიახლოვე დასაღუპად იყო განწირული, მაგრამ ის ამ ნგრევას ფართოდ გახელილი თვალებით უცქეროდა, უშფოთველად ელოდა, კალის ჯარისკაცისგან მხრებში გამართული.

კოსტიასთვის ომი გერმანელების საბჭოთა კავშირში შეჭრაზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო, დეიდამისის უბედურების გაუგონარმა ამბავმა უბიძგა მის შინაგან ბრძოლას და თითქმის შეუსრულებელი ამოცანის წინაშე დააყენა, გრძნობა და მოვალეობა თავის მომავალთან როგორ შეეთანხმებინა.

კოსტია ცდილობდა, ქრისტინეს დასახიჩრებელი სახე წარმოედგინა და მერე იდას ხორბლისფერ კანს უყურებდა, მისი თვალების სიშავეს. გაცოფებული იყო დედაზე, რომელიც არ ენდო, არ მიაკარა ქრისტინეს და მის მნუხარებას, ცდილობდა, თვითონ ამოეცხო სიცარიელე, რომელიც სტასიას ნათქვამმა სიმართლემ გააჩინა. დედამ რადგან არ მისწერა, რამაზისა და ქრისტინეს გარდა კიდევ ვინ იყო გახვეული ამ ეჭვიანობის დრამაში. კოსტიამ გონების თვალი გადაავლო თავისი სამშობლოს სათითაოდ ყველა სახელოვან კომუნისტს, რომლებიც ქრისტინეს სახლში მიდი-მოდოდნენ. შეეცადა წარმოედგინა, ვის ჰქონდა იმხელა ძალაუფლება, რომ რამაზმა მისთვის წინააღმდეგობის განწევა ვერ გაბედა და ვისგანაც თავისი ცოლის დაცვა მხოლოდ ასეთი შემზარავი დამახინჯებით ეგონა შესაძლებელი.

ამ ფიქრების შედეგად კოსტიას ეჭვი აღარ ეპარებოდა, მაგრამ გონებაშიც კი ვერ ბედავდა პატარა დიდი კაცის სახელის წარმოთქმას, რომელსაც უკვე წელიწადი იყო, რაც საბჭოთა НКВД ექვემდებარებოდა.

სტასიამ ბევრი რამ არ გაუმხილა.

არ გაუმხილა, რომ მის სათაყვანებელ დეიდას იმ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ გულუხვი პენსია დაუნიშნეს, როგორც საბჭოთა გმირის ქვრივს, ეს წოდება რამაზს სიკვდილის მერე მიენიჭა.

არც იმ სურნელოვანი ვარდების შესახებ მისწერა კოსტიას, ქრისტინეს საავადმყოფოში ყოველკვირეულად რომ უგზავნიდა საყვარელი და მერე შინაც, მთელი ერთი წლის განმავლობაში, ის კი ნაგავში აყრევინებდა.

არ მისწერა, რომ პატარა დიდი კაცი ერთხელაც აღარ მისულა თავისი ჰარამხანის პირველი ქალბატონის მოსანახულებლად იმის შიშით, რომ მის შებღალულ მშვენიერებას ვერ აიტანდა.

როცა კიტიმ ძმას სრულწლოვანების მისალოცად პატარა ქალაქის საფოსტო განყოფილებიდან დაურეკა, შეატყო, რომ გაღიზიანებული და გონებაგაფანტული იყო, დაბნეული და კატეგორიული ხმა ჰქონდა.

- ჩემი საუკეთესო მეგობარი გიორგი, რომელთან ერთადაც ოთახს ვინანილებ საერთო საცხოვრებელში, შვებულებაშია და საქართველოში წამოვიდა. პატარა ამანათი გამოვატანე ქრისტიანესათვის, რაღაც-რაღაცები, რაც მას ძალიან უყვარს. მინდა, რომ დროზე მიიღოს გზავნილი, გიორგი დამპირდა, შემოვლითი გზით წავალო, თქვენთან გადაჯდება. თბილისში არ ჩავა, მაგრამ შეგიძლია შეხვდე მას ხვალ და იზრუნო, რომ გზავნილმა თბილისამდე ჩააღწიოს, მაშინ ნაკლები დრო დასჭირდება.

კიტის ეწყინა, რომ კოსტიამ მის გულითად მილოცვას ყურადღება არ მიაქცია, არავითარი სიხარული და მადლიერება არ გამოხატა, არც კიტი მოიკითხა და არც ანდრო. ეტყობა, არც გაჰკვირვებია, რომ ანდრო და კიტი უკვე ამდენი თვის განმავლობაში სოფელში იმყოფებოდნენ, ბაბუასთან გადასახლებულიყვნენ, სკოლების გამოცვლა დასჭირდათ და ახლა სტასიასა და ქრისტიანესგან შორს ცხოვრობდნენ.

- ჰო, მართლა, ვწუხვარ, რომ ლარა ასე უცებ გარდაიცვალა. როგორ უჭირავს თავი ბაბუს, მაგრად დგას? - ერთადერთი ეს იყო, რაც აინტერესებდა მისგან.

- ცდილობს, - უპასუხა კიტიმ უხალისოდ და შეჰპირდა, ამანათს ჩავიბარებ და მივხედავო, თუმცა თავისთვის გაიფიქრა, ერჩივნა, მისთვის გამოეგზავნა რამე, რათა არ ჰქონოდა მუდამ იმის განცდა, რომ უფროსმა ძმამ სულ დაივიწყა.

იმავე საღამოს მართო წავიდა სადგურზე. სადგურის პატარა დარბაზში, რომელიც თითქმის ცარიელი იყო, მეზღვაურისფორმიანი შეუმჩნეველი სათვალისანი ბიჭი იდგა და ელოდა. გიორგი ალანიად გაეცნო, აფხაზეთში მიემგზავრებოდა დედასთან, შეუძლოდ ყოფილა და ამიტომ მოუთხოვია შვებულება. ვლადიკავკაზის გავლით ემგზავრა, აქ გზავნილის გადასაცემად ჩამოსულიყო, მერე კი ღამის მატარებლით შავი ზღვის სანაპიროსკენ გზა უნდა გაეგრძელებინა.

- ალბათ, ძალიან მოუხერხებელი იყო თქვენთვის ამ უაზრო ამანათის გამო ამხელა გზის გამოვლა? - ჰკითხა კიტიმ, რომელიც ჯერ კიდევ თავის თავზე და გულცივ ძმაზე ბრაზობდა.

- არა, არაფერია. თქვენი ძმა ჩემთვის ძალიან ძვირფასია. მერწმუნეთ, მისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

კიტის გაუკვირდა, მისმა საკუთარ თავზე შეყვარებულმა ძმამ ეს როგორ მოახერხა!

ბიჭმა ჰკითხა, ყვას ან ჩაის ხომ არ დალევდა, მატარებლის გასვლამდე ბევრი დრო ჰქონდა და სიამოვნებით გაატარებდა მასთან

ერთად, მაგრამ კიტიმ ზრდილობიანად უარი უთხრა და სამეცადინო მოიმიზეზა.

მისი უარით ბიჭი განზიზღებული ჩანდა, მაგრამ მაშინვე ზრდილობიანად გადასცა ამანათი. კიტიმ კეთილი მგზავრობა უსურვა და წამოვიდა. გარეთ, ქუჩაში, გაჩერდა, გიორგი ალანიას სასოწარკვეთილი სახე დაუდგა თვალწინ, მიტრიალდა და სადგურის შენობაში შებრუნდა.

ბიჭი ცარიელი დარბაზის შუაში თავისი პატარა ჩემოდნით ხელში იდგა და რაღაცას ელოდა, რაც მატარებელზე ბევრად მნიშვნელოვანი იყო. მიბრუნებული კიტი რომ დაინახა, მადლიერების ნიშნად გაუღიმა, გოგომ კი შესთავაზა, ცოტა გაესეირნათ. იქნებ პარკშიც დამსხდარიყვნენ, სადგურის კაფეტერია უკვე დაკეცათ და სადგურის გარემო კი არ იყო მაინცდამაინც მიმზიდველი. მადლიერმა ალანიამ თავი დაუკრა და ისე გაუბრწყინდა თვალები, თითქოს კიტის ხელი სთხოვა და ისიც დასთანხმდა.

ქუჩაში გავიდნენ და კიტიმ იქვე, პატარა პარკში წაიყვანა, სადაც ხშირად ხვდებოდა ხოლმე ანდროს.

გიორგის არ ეტყობოდა, რომ საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში გამოცდილი იყო და სულ მადლობას უხდოდა კიტის, დრო რომ დაუთმო.

ბანალურ თემებზე საუბრობდნენ. როცა გიორგიმ კოსტიაზე წამოიწყო ლაპარაკი, კიტიმ თავი აარიდა და სხვა თემაზე გადავიდა. პოლიტიკაზე ისაუბრეს, რომელიც კიტის არ აინტერესებდა, დედებსა და სკოლაზე, რომელიც გიორგის წარჩინებით დაემთავრებინა, რაღაცებზე იცინეს კიდევ, მოგვიანებით კი კიტიმ ბიჭი ბაქანთან მიაცილა და ელოდა, სანამ მატარებელში ავიდოდა. გადაეხვია და იგრძნო, რომ ოდნავ ვანკალებდა. სიცვიის ბრალი ვერ იქნებოდა. ბაქანზე მდგომმა ხელი დაუქნია. ჩამონოლილ ბინდში ჩანდა, რომ ის ფანჯარაში თავგამოყოფილი კიდევ დიდხანს უქნევდა ხელს, საბოლოოდ კი სიბნელემ შთანთქა.

სექტემბრის პირველ კვირაში ვერმახტმა ვარშავამდე მიაღწია. 17 სექტემბერს წითელი არმიის 620 000 ჯარისკაცი პოლონეთში შევიდა. 22 სექტემბერს გერმანელებმა და რუსებმა ბრესტ-ლიტოვსკში ერთად გამართეს სამხედრო აღლუმი და 28 სექტემბერს რიბენტროპმა და მოლოტოვმა ახალ შეთანხმებას მოაწერეს ხელი „მეგობრობისა და საზღვრების დასაცავად“. ნოემბერში სსრკ-მ უკვე საზღვრები გააფართოვა დასავლეთ უკრაინისა და ბელარუსის ტერიტორიებზე, 1920 წლიდან პოლონეთს რომ ეკუთვნოდა.

კრემლში იცოდნენ, რომ მარტო კანონებითა და ძალდატანებით ახალ მოქალაქეებს სამაგალითო საბჭოთა მოქალაქეებად მყისიერად ვერ გადააქცევდნენ, არადა „ხელახალი აღზრდის“ წლები ახალ რეგიონებში სასწრაფოდ იყო გასავლელი. ეთნიკური კონფლიქტების გააღვივებს იმ მიწებზე – ბოლოს და ბოლოს, იმდენ რეგიონში გაამართლა ამ რეცეპტმა. პოლონეთში შეჭრა ბელარუსი და უკრაინელი ხალხის

განთავისუფლებად წარმოაჩინეს. საბჭოთა პრესა ადიდებდა ამ ხალხების „კვლავ გაერთიანებას“ საბჭოთა კავშირთან, ყველა ჩაგრული ერის მეგობართან და მშველელთან.

ამ მექანიზმებს სწრაფად მოჰყვა სასურველი შედეგი: ნოვგოროდსა და ლუცკში უკრაინელი გლეხები პოლონელ ოფიცრებს დაეხსნენ თავს, კიდევ ერთი ოფიცერი პრუჟანში ბელარუსმა გლეხებმა ჩაქოლეს, რასაც НКВД მოწონებით ადევნებდა თვალყურს. მაგრამ როცა წინააღმდეგობა მეტისმეტად მწვავედებოდა, პირდაპირ მეთოდებს მიმართავდნენ: მეთაურებსა და პარტიზანებს, რომლებიც ბრძანებებს არ ემორჩილებოდნენ, სასამართლოს გარეშე, დაჩქარებული წესით ხვრეტდნენ ადგილზე.

სექტემბრის ბოლოს უკვე 250 000-ზე მეტი პოლონელი ჯარისკაცი იყო დაპატიმრებული. მათთვის გასაფილტრი ბანაკები მოაწყვეს, რადგან ტყვეების ნაწილი გერმანელებს უნდა წაეყვანათ. ზუსტად 43 000 ტყვე, ყველა ებრაელი, ნოემბერში გერმანელებს გადასცეს.

ესტონეთი, ლიტვა და ლატვია აიძულეს, სამხედრო დახმარება ეთხოვათ და თავიანთ ტერიტორიებზე საკავშირო მთავრობები შეექმნათ. რაკი ამ დროისთვის ბალტიისპირეთში დაახლოებით 60 000 წითელარმიელი იდგა, ამ ქვეყნებს არჩევანი აღარ დარჩათ, გარდა განევრიანებისა.

1940 წლის ზაფხულში ბალტიისპირეთის ქვეყნები ანექსია მოხდა. იმავე წელს სსრკ-ს მოლდოვის სოციალისტური რესპუბლიკა შეემატა. რუმინეთი დაპყრობილი იყო, უკრაინა – გაფართოებული. ესტონეთისა და ლატვიის პრეზიდენტები დაპატიმრეს, ერთი ციხეში მოკვდა, მეორე – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში; მხოლოდ ლიტვის პრეზიდენტმა მოახერხა გაქცევა. სწრაფად გაავლეს საზღვრები გერმანულ და საბჭოთა ტერიტორიებს შორის და ყველა კერძო რადიო კონფისკაციას დაექვემდებარა – სასაზღვრო რეგიონებში მოსახლეობას მხოლოდ ის ინფორმაცია უნდა მიეღო, რომელიც პარტიისთვის იყო ხელსაყრელი.

1940 წლის მარტში გენერალისიმუსმა წერილი მიიღო პატარა დიდი კაცისგან, იგი სთავაზობდა, რომ ის „25 700 პოლონელი ოფიცერი, მოხელე, მემამულე, პოლიციელი, ჯაშუში, ჟანდარმი და ციხის ზედამხედველი“, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ, საჩქაროდ დაეხვრიტათ. ამ სურვილს ასე ასაბუთებდა: ისინი „საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები არიან, საბჭოთა წყობილებისადმი სიძულვილით აღსავსენი“. საკითხი ეხებოდა ბანაკებში მყოფ 14 700 სახელმწიფო მოხელესა და ციხეში გამომწყვდეულ 11 000 „ჯაშუშსა და კონტრრევოლუციონერს“.

გენერალისიმუსმა იმავე დღეს განაცხადა თანხმობა და კიდევ სამი პარტიული მუშაკი აიძულა, დოკუმენტზე ხელი მოეწერათ. აღსრულება დაევალა სამეულს, პატარა დიდი კაცის ნდობით აღჭურვილ პირებს.

აპრილის დასაწყისში შეუდგნენ მუშაობას. ჯერ ხმები გაავრცელეს ბანაკებსა და ციხეებში, რომ პატიმრებს მალე გაათავისუფლებდნენ, გაუზარდეს კვების რაციონი, ტიფის საწინააღმდეგო აცრები ჩაუტარეს და მერე გაგზავნეს. მატარებლებით ჩაიყვანეს კალინინში, ხარკოვსა და სმოლენსკის ოლქში, კატინის ტყეში. საგანგებოდ ამ ოპერაციისთვის НКВД-ს მრავალი თანამშრომელი ჩავიდა დედაქალაქიდან, ჩემოდნებში კი პისტოლეტები ეწყობო. კალინინისა და ხარკოვის ციხის სარდაფებში თითო პატიმარი ორ კაცს ეჭირა და მესამე თავში ესროდა. ყოველი განაჩენის აღსასრულებლად ორი ნუთი იყო გამოყოფილი. ამის მერე გვამები სატვირთო მანქანებით გაჰქონდათ და ირგვლივ მდებარე ტყეებში მარხავდნენ.

ოპერაციებს ესწრებოდნენ ციხის უფროსები და რეგიონული პროკურორები, მათ შორის – ვასილი ბლოხინი, საგანგებო დავალებების შესასრულებლად გენერალისიმუსის ნდობით აღჭურვილი პირი, ლუბიანკის კომენდანტი, მრავალგზის რომ დაუმტკიცა გენერალისიმუსს თავისი უსაზღვრო ერთგულება. კაცი, რომელსაც სიკვდილით დასჯის დროს წინსაფრისა და ხელთათმანების გაკეთება და რეზინის ჩექმების ჩაცმა უყვარდა და თავისი „კარიერის“ განმავლობაში 15 000 ადამიანზე მეტი ჰყოლია საკუთარი ხელით სიცოცხლეს გამოსალმებული.

(სწორედ ბლოხინი იყო, თავის თანამშრომლებსა და ქვეშევრდომებს ხელი რომ მოაწვინა დოკუმენტზე, რომელშიც მითითებული იყო, ზომები მიეღოთ და სიკვდილმისჯილებისთვის „აღმზრდელობითი ღონისძიებების“ ჩატარების შედეგად ხელი შეეშალათ დახვრეტის წინ გენერალისიმუსის სახელი წარმოეთქვათ ეს ბელადის შეურაცხყოფად განიხილებოდა. „აღმზრდელობითი ღონისძიებები“ თავში დარტყმას ნიშნავდა).

პატარა დიდი კაცის წინადადებით, წარმატებულად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ბლოხინის კაცებს ერთი თვის ხელფასი დამატებით გადაუხადეს.

რომან რუდენკო, უკრაინელი გენერალური პროკურორის მოადგილე, ხარკოვში მიავლინეს ოპერაციაზე დასაკვირვებლად და იმის დასადასტურებლად, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით ჩატარდა. სულ რაღაც ექვსი წლის შემდეგ იგი ნიურნბერგის პროცესზე საბჭოთა კავშირის მხრიდან მთავარი ბრალმდებელი იყო. მთელი პროცესის განმავლობაში ის ფაშისტებს აკისრებდა პასუხისმგებლობას ამ შემზარავი სასიკვდილო ორგანიზაციის გამო.

თავად ბლოხინი ორდენებით შეამკეს და მოგვიანებით გენერლის წოდებაც მიანიჭეს. თითქმის ოცდათექვსმეტი წელი ერთგულად და თავდადებით ემსახურა სიკვდილის მანქანას და მერე მშვიდად გავიდა პენსიაზე. დაკრძალულია დონის სასაფლაოზე, მოსკოვში, სადაც მის

მიერ დახვრეტილი უთვალავი მსხვერპლის ცხედრებს წვავენ, მათ ფერფლს კი ვედროებით ყრიდენ უსახელო საფლავებში.

* * *

მე ვლოცულობდი, რომ ჩემს შვილს კარგად ესწავლა და დამოუკიდებელი კაცი გამხდარიყო!

ეკატერინე ჯულაშვილი, გენერალისიმუსის დედა

ანდრომ სკოლა საშუალო ნიშნებზე დაამთავრა. სანამ მომავალი ასეთი გაურკვეველი იყო, ურჩიეს, რამე გამოსადეგი შეესწავლა და ერთ სომეხ დურგალს მიაბარეს. მისი ნაკეთობებით მთელი სახლი, ყველა ოთახი სავსე იყო. დურგლის შეგირდი, რომელიც იქ სწავლას ისეთივე დისციპლინირებული გულგრილობით ეკიდებოდა, როგორც მანამდე სკოლაში, მალე მიხვდა, რომ დედამისი აღარ დაბრუნდებოდა.

ანდროს ემინოდა და სიმართლისთვის თვალის გასწორება არ უნდოდა. სულ დედა ესიმზრებოდა. ძილში დაეძებდა, სიმზრებში ლალი იყო და უდარდელი, მაგრამ თავის საიდუმლოს არ უმხელდა. ანდრო როცა ეკითხებოდა, თუ სად იმყოფებოდა, სიყვარულით სავსე ღიმილით პასუხობდა მხოლოდ. ყოველი გაღვიძებისას ისტერიულად დღელავდა, აბაზანაში დასაწყნარებლად დიდხანს ჩერდებოდა. მას ემინოდა იმ წუთის, როცა ყოველგვარი იმედი უაზრო აღმოჩნდებოდა. ზოგჯერ მოულოდნელად მრისხანების შეტევა ეწყებოდა, თავისი ხის ფიგურების მტვრევას მიჰყოფდა ხოლმე ხელს, იმითომ რომ იმ გულუბრყვილო, ნატიფ გამოსახულებებში რაღაც აცოფებდა. თავისი ხელსაწყოებით ატეხდა თავებს და ხელ-ფეხს, თვალებს თხრიდა. მართო კიტი და მისდამი უსაზღვრო ნდობა დარჩა უცვლელი. ანდრომ იცოდა, როგორი განრისხებულის უნდა ყოფილიყო, როგორი ნაღვლიანი და სასონარკვეთილი, კიტი გაიცინებდა, ძველებურად ეთამაშებოდა, თავის ძლიერ მკლავებს ისე მაგრად შემოხვევდა, რომ სუნთქვა შეეკვრებოდა. კიტი რწმენას უჩენდა, რომ მალე უკეთესი დრო დადგებოდა, ისინი წავიდოდნენ აქედან და ახალ, სხვა ცხოვრებას დაიწყებდნენ. ისეთი სიცოცხლით სავსე და ენერგიული იყო, ანდროსთვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ კიტის მისთვის თავისი ძალა გაენაწილებინა. რაც მთავარია, გოგონას არაფრის ემინოდა. რამეს რომ უკრძალავდნენ, მაინც აკეთებდა. რის გამოც ეჩხუბებოდნენ, იმას უფრო დარწმუნებით იმეორებდა, და ეს სიჭიუტე ხიბლავდა ანდროს. კიტი აძლევდა იმპულსს, რომ გაეცურებინა მტკივნეული რეალობა.

თამაშები სულელური იყო, სრულიად უაზრო და ბავშვური, მაგრამ ანდრო ყველაფერს აკეთებდა მასთან ერთად: კიტი მთელ დღეს ემალებოდა, სანამ ის არ იპოვიდა, ხან სამი უპატრონო კნუტი იყო ამოსაყვანი ორმოდან, ზოგჯერ სირბილში ეჭობებოდნენ ან მურაბიანი

პურის გადასანსვლას ასწრებდნენ ერთმანეთს – ანდრო ყველაფერში მხარს უბამდა, იმიტომ რომ ეს იყო ყოველდღიურობის ყველაზე მხიარული და ლალი წუთები ქრისტინეს გამოჯანმრთელებასა და შოკოლადის ფაბრიკანტის დასწეულებას, თბილისურ ცხელ ბაფხულებსა და პატარა ქალაქის ცივ მამთრებს შორის.

სევდა ორივეს ამძიმებდა. სქესობრივი სიმწიფის ასაკისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ჭირვეულობა და სიჭიუტე უკვე შეიმჩნეოდა, სიყვარულმა შეყვარებულობას დაუთმო გზა. მიუხედავად ამისა, ისინი ერთმანეთისა და თავიანთი ბავშვობის ერთგულნი დარჩნენ.

და სანამ გერმანია ნიდერლანდებს, ბელგიასა და ლუქსემბურგს იპყრობდა, ბაბუაჩემი საზღვაო აკადემიას ოქროს მედალზე ამთავრებდა და გიორგი ალანია გემთმშენებლობის გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა, ანდრო ცარიელი თვალეებით უყურებდა თავის მომავალს, სადაც ძალიან ცოტა რამ იყო მისთვის სასიხარულო.

ივნისის იმ თბილ დღეს, როცა იტალია გერმანიას შეეკრა, ოთხი დღით ადრე, ვიდრე ვერმახტის მე-18 არმია პარიზს აიღებდა, ქრისტინემ ხმა ამოიღო, იდამ კი პირველად მოინახულა ბაბუაჩემის ოთახი საერთო საცხოვრებელში. პირველად და უკანასკნელად ნახა კოსტია მცენარეებით მორთული თავისი პატარა ბინის გარეთ.

განაცხადა, რომ ამხანაგ ჯაშის ნათესავი იყო, ავიდა საერთო საცხოვრებლის მეორე სართულზე და კოსტიასა და გიორგის კარზე დააკაკუნა. ბაბუაჩემი ამ დროს საბჭოთა ფლოტისადმი მიძღვნილი დასკვნითი აღლუმისთვის ემზადებოდა, და გაშეშდა, როცა კარი გააღო და თავისი საყვარელი ქალის პირისპირ აღმოჩნდა.

- აქ რა აკეთებ? – ენა დაება და სწრაფად შეათრია ოთახში.

- შენი ნახვა მინდოდა. ერთხელ მაინც უნდა შეგხვედროდი დღის სინათლეზე. იმ დანყველილი მაგიდის სანათის გარეშე, იმ სიბნელის მიღმა შენი კანი, შენი თვალეები, შენი ტუჩები უნდა მენახა. მსურს, ასეთი დაგიმახსოვრო, როგორიც ახლა ხარ: ნათელი.

- რას ლაპარაკობ?

- უნდა წავიდე. შენამდე მე უნდა წავიდე. არ მინდა, რომ მიმატოვო. მომანიჭე ეს სიხარული, მომეცი ნება, რომ მე მიგატოვო, კონსტანტინე.

- არაფერი მესმის.

- უნდა შევწყვიტოთ. შენ მალე ფლოტში წახვალ და მე უშენოდ ვერ გავძლებ. უკვე ძალიან ვარ დამოკიდებული იმ საათებზე, შენ რომ იშვიათად პოულობ ჩემთვის და სულ უფრო მცირდება. მე ვერ შევძლებ, კონსტანტინე.

- ჰო, მე წარჩინების სიგელი მივიღე და ალბათ... – კოსტიას სიტყვა გაუწყდა, ახლად მიხვდა იდას ნათქვამს.

- ძალიან მეცოდები ომისთვის.

- კი მაგრამ, ჩვენ ხომ არავითარი ომი არ გვაქვს, მაგრამ თუ აქამდე მივა საქმე, მაშინ მზად ვარ, მერნმუნე. კენჭებივით ჩავძირავ გემებს! ბახ! ბახ! ბახ!

- ბედნიერი ხარ, რომ შენი უმეცრება გიცავს საკუთარი თავისა და იმისგანაც, რაც გელის, გიცავს ჩემი მონატრებისგან, მაგრამ როცა იქნება, მიხვდები, შეიძლება ეს განცდა სრულიად შეუფერებელ დროს გესტუმროს, ჩემო კონსტანტინე, და არ მინდა, რომ ამან გაგანადგუროს, შეგცვალოს, შემპირდი, კარგი?

- იდა, რას ამბობ? მე არსად არ მივდივარ, აქ ვარ, და ფლოტშიც რომ წავიდე, ხომ დავბრუნდები. ხომ ხედავ, ჩემი მშობლებიც...

- არ შემიძლია, მაპატიე და დამიტოვე ეს უფლება, გთხოვ.

- რისი უფლება? არსადაც არ წახვალ. ისევ ბნელი აზრები მოგეძალა. უნდა გაერთო, უფრო ხშირად უნდა გახვიდე შინიდან.

- ახლა კი მინდა, რომ ჩემთან დანვე.

- რა?

- მოდი, ლოგინში ჩავწვეთ.

- მაგრამ ახლა დამე ხომ არ არის და თანაც...

იდამ სიცილი დაიწყო. იშვიათად იცინოდა, მაგრამ თუ იწყებდა, მთელი სხეული უთრთოდა. თვალებიდან ცრემლებს ინმენდდა, იკრუნჩხებოდა, გაშლილ ხელს მუხლებსა და ბარძაყებზე იტყაპუნებდა. კოსტია თვალს ადევნებდა და არ შეეძლო არ ეღიარებინა, როგორი მომხიბვლელი და სასურველი იყო მისთვის. მთელ სხეულში შემამფთოთებელმა აღელვებამ დაუარა, მიუახლოვდა იდას და პირზე ხელი ააფარა, ქალმა მსუბუქად წაავლო კბილები; ამან კიდევ უფრო აღაგზნო კოსტია, მაგრად მოუჭირა ხელი, ჯერ კიდევ დაბნეული იყო იდას გამოჩენით იმ სამყაროში, სადაც მას ადგილი არ ჰქონდა. ხელები შემოხვია, ოდნავ ზევით ასწია, იდა ეწინააღმდეგებოდა, თან ისევ იცინოდა, კედელს ააკრა, უფრო გაბედული გახდა, მოუთმენელი, უნდა შეეწვიტა სიცილი, კოსტიას იმის გაფიქრებაც არ სიამოვნებდა, რომ იდა შეიძლება მასაც კი დასცინოდა. თვალმოჭუტული უყრებდა: იდას ისეთი მუქი თვალები ჰქონდა, ძნელი დასაჭერებელი იყო, რომ ის გარესამყაროს შავად არ აღიქვამდა, საჩვენებელი თითი კბილებს შორის შეუყო. ისევ უკბინა. უეცრად გაჩუმდა, მოულოდნელად, თითქოს მისი სიცილი რაღაც შემზარავმა აზრმა განყვიტა სამუდამოდ, მაგრად ჩაეჭიდა სქელ თმაში, თავისკენ მიიზიდა და ერთ ნუთს მშვიდად და თანაბრად სუნთქავდა, თითქოს მის სუნს ისრუტავდა. კოსტიამ აკოცა.

იოლად ივიწყებდა ყველაფერს, რაც გარეთ ხდებოდა, როცა იდა მის სიახლოვეს იყო. სამყაროზე ნებისმიერ ფიქრს მარტივად იშორებდა, როგორც კი იდა ხელს შეახებდა. ასეთ ნუთებში დარწმუნებული იყო, რომ გარე სამყარო საერთოდ არ სჭირდებოდა. იდას მასთან ყოფნით, სრულიად უძალისხმევოდ შეეძლო მთელი საბჭოთა ფლოტის,

აღლუმების, ხმაურიანი სტუდენტების, მისი შთამბეჭდავი მიღწევების, სამომავლო გეგმების განზე განევა, ჩანაცვლება.

თითქოს იდას გარეშე სამყარო მხოლოდ მოჩვენებითი იყო.

კაბა, წვივამდე რომ სწვდებოდა, მაღლა აუწია, უფრო ძლიერად მიეკრა მის თბილ, მოქნილ სხეულს. თითქმის ერთი სიმაღლის იყვნენ, პირდაპირ თვალებში უყურებდა, რომლებიც ცოტა აშინებდა, რადგან ციებცხელებიანივით უელავდა და კიდევ უფრო ჩამუქებოდა. კბილებით სცადა მისი რუხი პერანგის ღილების შესხნა; რომ ვერ შეძლო, ორი ღილი მოაკვნიტა.

იდას სახეზე ნაცნობი ღიმილი დასთამაშებდა. თითქოს კოსტიას სისუსტე და თავისი ძალა ზუსტად იცოდა, თითქოს ერთმანეთს ავსებდნენ. რაღაცას ჩურჩულებდა, მის ტუჩებს სიტყვები სწყდებოდა, მაგრამ კოსტიას აღარ ესმოდა, გაბრუებული იყო მისი სურნელით, მისი სახიფათო სიახლოვით, იმის შიშით, რომ ვინმე შემოუსწრებდათ. იქნებ სწორედ ამისკენ მიისწრაფოდა, იქნებ უნდოდა კიდევ, რომ ვინმეს აღმოეჩინა ისინი, სურათად ქვეულნი, რომელსაც სხვა ვერავითარი ახსნა ვერ მოეძებნებოდა, ეპოვა თავიანთ საიდუმლო სიყვარულში გაქვავებულნი. სურდა, ბოლოს და ბოლოს, ამოესუნთქა და ხმამაღლა დაეძახა: დიახ, ეს არის ის ქალი, რომელსაც ჩემი სხეულის ყოველი ძარღვით ვგრძნობ, რომელიც ჩემს ფიქრებში ცხოვრობს, რომელიც ისეთი ლამაზია, რომ მტკივა, რადგან ის განწირულია, რადგან ვიცი, მისი გადარჩენა არ შემოძლია, ვერ დავიცავ ვერც საკუთარი თავისგან, ვერც სამყაროსგან. ქალი, რომელმაც მასწავლა დავიწყება და შეგრძნება ხელებით და თვალებით და მუხლისთავებით და კოჭებით და ცხვირის წვერით და ყურის ბიბილოებით.

მე ასე მინდა, ზუსტად ასე მინდა!

იქნებ სწორედ ეს უნდოდა კოსტიას. იქნებ.

იდამ ყელში აკოცა და მაგრად მიიკრა მისი თავი, უფრო და უფრო მაგრად იხუტებდა, კოსტიას ყურები დაუგებდა, არაფერი ესმოდა, იდა რაღაცისგან იფარავდა, ალბათ იმისგან, რაც უნდა მომხდარიყო, თითქოს აფრთხილებდა, მისი წინასწარმეტყველი იყო, მისი საყდარი, მომავლის ცოდნით შეჩვენებული მისი კასანდრა, რომლისაც კაციშვილს არ სჯეროდა.

კოსტიამ ფეხი მოახრევინა და იდაც შეეთვისა, დაპატარავდა, მომრგვალდა, გაუადვილა მისი სიყვარული იქაც კი, ახლაც კი, ამ ცივ კედელზე აკრულმა. სხვაგვარად არ შეეძლო, თავის დანიშნულებას ასრულებდა, რომელიც მიზნად ისახავდა, რომ კოსტიასთვის საბედისწერო, ერთადერთი, განუმეორებელი გამოცდილება გამხდარიყო. იქნებ ზუსტად იცოდა, რომ ეს კაცი, ეს წამი, ეს სევდიანი, ლამის გაათრეული ლტოლვა მისი კუთვნილი უკანასკნელი ბედნიერება იყო და ცხოველური ძალით ეჭიდებოდა.

არ ვიცი და ვერც ვერასდროს გავიგებ დანამდვილებით, ბრილკა. მაგრამ მერე რა? ვარაუდია ის, რისი მოყოლაც ღირს და არა ის, რაშიც დარწმუნებული ვართ.

სულშეხუთულმა კოსტიამ იდას ყელში ჩამალა სახე. იგრძნო, როგორ ჩააფრინდა ის თმაში, რაღაც სასტიკი, შემზარავი იგრძნობოდა ამ ჩაბლაუჭებაში; შეშინდა, მაგრამ ვნებამ გადაალახვინა შიში, არ ფიქრობდა ამაზე. გული ამოუვარდა: ვილაცამ კარზე დააკაკუნა. კოსტია გაშეშდა, სუნთქვაც კი შეწყვიტა. იდა ხელს არ უშვებდა.

- ვინ არის? - გასძახა, თან ფრთხილად ჩაახველა, რომ ხმაზე მღელვარება არ დასტყობოდა.

- ეი, გავდივართ, კრასავიკი, დაუქჩარე, ბიჭები უკვე ქვემოთ გველოდებიან!

- მოვდივარ! - ძლივს უპასუხა კოსტიამ.

- არა, დარჩი, გთხოვ, ჩემთან დარჩი! - შეევედრა იდა.

- არ შემიძლია. უნდა წავიდე. ჩვენი გამოსაშვები აღლუმი და კვირები მოვანდომეთ მზადებას. მე... საღამოს მოვალ შენთან. აღლუმი როგორც კი დამთავრდება, მოვალ და ყველაფერზე მოვილაპარაკებთ.

- არ დამტოვო აქ ასე, გთხოვ, არა, ნუ გაჩერდები!

იდა მხრებში ჩაებლაუჭა, თავი ნიკაპზე მიადო, კანით ეფერებოდა. გაბრუებულმა, თავბრუდახვეულმა, ჯერ კიდევ ვნებააშლილმა კოსტიამ თავი გაითავისუფლა მისგან. ბარბაცით წავიდა თავისი საწოლისკენ და სწრაფად დაიწყო პერანგის ჩაცმა. იდამ ნელა ჩამოიწია პერანგი, მერე კაბა და ზურგი შეაქცია. სახით ვედელს მიეყრდნო, შუბლი მიაბჯინა, თითქოს უნდოდა გაერღვია, თითქოს სხვა გზა იცოდა, საიდუმლო გასასვლელი სხვა სამყაროში, კედლის იქით.

- მართლა უნდა წავიდე. მამაჩემიც დაესწრება და... ამაღამ მოვალ, იდა. მოვალ და რამდენ ხანსაც გინდა, დავრჩები, კარგი? ყველაფერზე დავილაპარაკოთ, რაზეც გსურს. ყველაფერი მომიყევი, რაც განუხებს.

იდა წამით არ განძრეულა, კოსტიამ არ იცოდა, რა დაემართა, ტიროდა, წყევლიდა, გაუჩინარებას ნატრობდა თუ ნანობდა. მერე მოტრიალდა და შეხედა, იღიმოდა. განწილი იყო, გრძელი, მუქი შეკრული თმა სახეზე ჩამოშლოდა, კოსტიამ ლამის ისევ გაიხადა ფორმა და მისკენ გაქანდა, რომ ჩახუტებოდა და კარი ჩაერაზა - მაგრამ მისმა ღიმილმა ანუგეშა, თითქოს არაფერი იყო ამაში ცუდი, ის ხომ მალე დაბრუნდებოდა.

- ყველაფერი კარგადაა, დამშვიდდი, კონსტანტინე, ჩემო მშვენიერო, მშვენიერო ბიჭო. თავს მიხედე.

- მე უკვე ბიჭი აღარ ვარ, ნუ გავიწყდება!

სწრაფად აკოცა ტუჩებში და ოთახიდან გავარდა.

სამხედრო მარშის დროს კოსტია ცხოველურმა შიშმა შეიპყრო. დაინახა მამამისი, რომელიც ტროტუარზე იდგა და ხელს უქნევდა, მაგრამ

მისთვის ეს სურათი უცებ გაუფასურდა. სხვა მებღვაურებთან ერთად რიტმულად მიაბიჯებდა, დაბეპირებულ ლოზუნგებს გაიძახოდა და ცდილობდა, მონივნა გამოეხატა სახეზე, როცა ფინეთის ყურეში ბარბაზნები გაისროლეს, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა, შიშის გარდა, რომელმაც თითქოს მთელი შიგნეულობა გაუსრისა.

აღლუმი დამთავრდა თუ არა, იქიდან გაიქცა. გარბოდა და გარბოდა, სანამ ძალა არ გამოეცალა. შუა ქუჩაში ჩამოჯდა, სული მოითქვა და ისევ გაიქცა, კიბეზე აირბინა, იდას კარის წინ გაჩერდა, აქომინებულმა დააბრახუნა, მაგრამ არავინ გაულო.

ისევ დაბლა ჩავიდა, ქუჩაში დადგა, მესამე სართულს ახედა, მაგრამ იქ შუქი არ ენთო. კვლავ დაბრუნდა, აკაკუნა და აკაკუნა, იყვირა, ეძახა.

სამი დღისა და ღამის განმავლობაში მიდიოდა, სანამ მეზობელმა არ ამცნო, რომ ქალბატონი გაემგზავრა, თურმე დაინახა, სახლიდან ორი ჩემოდნით ხელში როგორ გავიდა, მაგრამ არ იცოდა, საით წავიდა, რადგან მეზობლებთან ლაპარაკი მაინცდამაინც არ უყვარდაო, დაამატა.

ათწლეულების შემდეგ, უცხო ქვეყანაში, პატარა ზღვისპირა სახლში, ერთი მოხუცი კაცისგან შევითქვე, ბრილკა, რომ იდა არსად წასულა, თავის მეზობელს სთხოვა, ეს იძულებითი ტყუილი ეთქვა, ერთი-ორი რუბლი ჩაუკუჭა და მთელი ის დღეები და ღამეები თავის ჩაკეტილ კარს უკან იდგა, პირზე ხელს იჭერდა, რომ თავის ხმას და მონატრებას არ გაცეცა, როცა ბაბუაჩემი კარზე უბრახუნებდა, ეძახდა და გონზე აღარ იყო.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ნაციონალ-სოციალისტების სწრაფ და ძლევამოსილ წარმატებას სსრკ-ს მეგობრულმა ნეიტრალიტეტმაც შეუწყო ხელი, რადგან გენერალისიმუსი ჰიტლერს არა მარტო თავდაუსხმელობის პაქტით უჭერდა მხარს, არამედ გერმანელებს სსრკ-ს ტერიტორიის გავლით ექსპორტ-იმპორტის შესაძლებლობასაც აძლევდა. ნიտლების მიერ რუმინეთის დაპყრობა ნაციონალ-სოციალისტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. გენერალისიმუსს კიდევ უფრო წინ წაწევის იდეა რომ არ გასჩენოდა, ჰიტლერმაც ჩააყენა რუმინეთში ვერმახტის ჯარები. 1940 წლის ივლისში ჰიტლერის ზღაპრულ რეზიდენციაში, ბერგჰოფში, სამთავრობო შეხვედრის დროს გარკვეული შემფოთება გამოთქვეს, როცა საუბარი საბჭოთა კავშირს შეეხო; გენერალ ჰალდერის ჩანაწერების თანახმად, ჰიტლერმა გამოთქვა აზრი, რომ „ოპერაცია აღმოსავლეთში“ დაგეგმილზე ადრე უნდა დაწყებულიყო. ნოემბერში მოლოტოვი ისევ გაემგზავრა ბერლინში, მაგრამ ამჯერად მოლაპარაკებებმა წარუმატებლად ჩაიარა, ტერიტორიების გადანაწილებაზე ვეღარ შეთანხმდნენ. ჰიტლერმა გენერალისიმუსის მოთხოვნები მეტისმეტად უტიფრად მიიჩნია: ფინეთი, ბულგარეთი, თურქეთი და სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის ნაწილი სპარსეთის ყურემდე. 1940 წლის 18 დეკემბერს ჰიტლერმა ხელი მოაწერა გეგმა „ბარბაროსას“ და თავდასხმის დღედ 1941 წლის 15

მისი დაადგინა. 1941 წლის გაზაფხულზე ევროპაში მხოლოდ ხუთი ნეიტრალური სახელმწიფოდა არსებობდა: შვედეთი, შვეიცარია, პორტუგალია, ესპანეთი და თურქეთი. ბალკანეთის ომის გამო ჰიტლერი იძულებული იყო, „ბარბაროსა“ რამდენიმე კვირით გადაედო. გენერალისიმუსს ამასობაში უცხოური საიდუმლო სამსახურები ატყობინებდნენ ჰიტლერის გეგმების შესახებ, რასაც ის ინტრიგად, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის გამოგონილ ოინად მიიჩნევდა, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს გაფრთხილებები, ამბობდა, ვინც ამას ამტკიცებს, „ჩემი ცერა თითისოდენა ტვინი აქვსო“.

ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ ომი გენერალისიმუსს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავდა სავაჭრო შეთანხმების პირობებს და ომის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში გერმანიას ტონობით ხორბლით, ნავთობით, ფოლადით ამარაგებდა. ამ დროისთვის წითელ არმიაში თითქმის ხუთი მილიონი კაცი ირიცხებოდა. შეიარაღებით გერმანულ მხარეს ჩამორჩებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ორგანიზებულობაზე, რადგან არმიის თითქმის ყველა სახელოვანი გენერალი და ოფიცერი გენერალისიმუსის ბრძანებით რამდენიმე წლით ადრე იყო დაპატიმრებული ან დახვრეტილი. ბლიცკრიგში მოპოვებული წარმატებით განებივრებული ჰიტლერი და მისი ამაღლა საბჭოთა კავშირის სწრაფ დაპყრობას გეგმავდა, მაგრამ ჰიტლერმა არ იცოდა, მთელი ის შიში და უბედურება, ქვეყანაში შეჭრილ ვერმახტს რომ უნდა დაეთესა, უკვე დიდი ხანია ამ ქვეყნის ყოველდღიურობა იყო. მაშინდელმა საბჭოთა საშინელებამ უკვე კარგად შეამზადა ადამიანები იმ საშინელებისთვის, რომელსაც ჰიტლერი უმზადებდა ქვეყანას.

* * *

მწუხარების უფლება პრივილეგიაა.

მოსტაკოვიჩი

კოსტია ჯაშმა, ამასობაში უკვე საბჭოთა ფლოტის სერჟანტმა, მას მერე, რაც იმედგაცრუებული კიდევ ერთხელ მიაჩერდა იდას ბინის დაკეტილ კარს, სასწრაფოდ ითხოვა, ქალაქიდან სხვაგან გადაეყვანათ. მისი განცხადება დააკმაყოფილეს და აპრილში საწვრთნელ გემზე გაგზავნეს სევასტოპოლში, ყირიმში.

1941 წლის 22 ივნისს ვერმახტის სამხედრო ძალების სამი შენაერთი საბჭოთა საზღვარზე გადავიდა: ჩრდილოეთის შენაერთის სამიზნე ბალტიისპირეთი და ლენინგრადი იყო, ცენტრალური შენაერთის – სმოლენსკი და მოსკოვი, სამხრეთის – კიევი. ომის ისტორიაში უდიდესი თავდასხმა დაიწყო. ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე სამ მილიონზე მეტმა გერმანელმა ჯარისკაცმა საჰაერო თავდასხმა მოუწყო

გენერალისიმუსის უზარმაზარ სახელმწიფოს ყველა მიმართულებით. ჰიტლერი „მოეშვა“, ბრძანების გაცემისთანავე დაღლილობის კვალიც კი წაეშალაო, - ეს გებელსმა საბჭოთა კავშირში შეჭრის შემდეგ თავის დღიურში ჩაწერა. შეტევა დაიწყო და მანამდე არსებულმა ყველა სამხედრო შეთანხმებამ, კანონიერებამ და წესებმა ძალა დაკარგა.

დედამინამ უფრო სწრაფად დაიწყო ბრუნვა.

გენერალისიმუსი, რომელსაც, გაფრთხილებების მიუხედავად, ისევ სჯეროდა, რომ ინფორმაცია გერმანული ჯარების საზღვრებთან მობილიზების შესახებ საიდუმლო სამსახურების მიერ იყო გაზვიადებული, კუნცევოს აგარაკზე იმყოფებოდა და მხოლოდ ორი კვირის მერე მიმართა რადიოთი ხალხს. ეს იყო კატასტროფული რადიომიმართვა. ერთი კვირის შემდეგ „დიდი სამამულო ომის“ დაწყება გამოაცხადა.

გადაყვანისას რას წარმოიდგენდა კოსტია, რომ სევასტოპოლში განლაგებული რუსეთის ფლოტის დასავლური ნაწილები გერმანელების თავდასხმას სრულიად მოუმზადებელი შეხვდებოდა, კოსტია კი სასურველზე უფრო სწრაფად აღმოჩნდებოდა ომის ეპიცენტრში. სანვრთნელი მანევრები შემამფოთებლად სწრაფად ჩაანაცვლა ნამდვილმა ომმა, კოსტია ჯაში სამდღიან ბრძოლაში ჩაერთო, რომლის დროსაც პორტში მდგარი ყველა გემი განადგურდა.

ივნისის ბოლოს ჩრდილოეთის შენაერთმა ბალტიისპირეთი დაიპყრო და ბალტიის ფლოტმა კრონშტადტში გადაინაცვლა.

ცენტრალურმა შენაერთმა 16 ივლისს სმოლენსკი აიღო. პირველ კვირაში გერმანელებმა მინსკი ჩაიგდეს ხელთ. ნოვგოროდი 16 აგვისტოს დაეცა, 8 სექტემბერს გერმანელებმა ლადოგის ტბამდე მიაღწიეს და ლენინგრადი ალყაში მოაქციეს.

წითელი ობერლეიტენანტი ომის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ გაინვიეს ფრონტზე მინსკში.

ვერმახტმა უდიდეს წარმატებას მიაღწია. წითლების გენერალური შტაბი მერყეობდა, თან კრემლის ეშინოდა, სწრაფადაც უნდა ემოქმედა და ამიტომ პასიურობდა. კრემლის დამბლა მთელ ქვეყანას გადაედო. ომის პირველ თვეებში ამან უთვალავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გებელსი 1941 წლის ივლისში თავის დღიურში საზეიმოდ აღნიშნავდა: „არავითარი ეჭვი აღარ არსებობს, რომ კრემლი ადრე თუ გვიან დაეცემა“.

გიორგი ალანია გემთმშენებლის წარჩინებული დიპლომის მიღების შემდეგ ამურის გემთსაშენზე, იაპონიის ზღვასთან, გააგზავნეს. ალანია ორჭოფობდა, ქვეყნის დასალიერში წასვლა და საუკეთესო მეგობართან განშორება არ უნდოდა, იმედი ჰქონდა, რომ ერთ-ორ წელზე მეტ ხანს არ მოუწევდა იქ დარჩენა. საბოლოოდ, იაპონიის ზღვა მისი მხსნელი აღმოჩნდა, რადგან ამურსკში მუშაობის გამო ომს დააღწია თავი.

ფრონტზე წასვლა არ ევალებოდა, რაკი მძიმე ინდუსტრიას ემსახურებოდა.

ბალტიისპირეთსა და უკრაინაში გერმანელების შესვლის მერე აღარავის სჯეროდა, რომ ბოლშევიკები დაბრუნდებოდნენ. გერმანელები უკვე განმათავისუფლებლად მიაჩნდათ. როცა ვერმახტის ჯარისკაცები ტანკებითა და სატვირთო მანქანებით უკრაინულ სოფლებში შედიოდნენ, სტუმართმოყვარეობის ნიშნად გლეხები ქუჩაში პურმარლით ეგებებოდნენ.

HKВД-მ კი, პირიქით, დაჩქარებული წესით იტვირთა მთელი სამუშაო: ციხეებში პატიმრები სიკვდილით დასაჯეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში პაციენტები დახოცეს. მოგვიანებით სოფლები და ქალაქები გადაწვეს – რომ გერმანელებს ხელში ვერაფერი ჩაეგდოთ.

საბჭოთა პრესის ცნობებს ნაციონალ-სოციალისტების ბოროტმოქმედებების შესახებ და მოარულ ამბავს, რომ ებრაელებს თავს უყრიდნენ და სადღაც მიჰყავდათ, საიდანაც აღარავინ ბრუნდებოდა, სიცრუედ აღიქვამდნენ და საბჭოთა პროპაგანდა ეგონათ. ამიტომ ბევრმა ებრაელმა უარი თქვა გაქცევაზე. წლების განმავლობაში ყველას ტყუილებით, გამოგონილი სინამდვილით კვებავდნენ, მაგრამ ეს იყო ყველაზე დიდი სიცრუე, რომელიც მჩაგვრელთა პირიდან ამოსულა: კავკასიასა და უკრაინაში ვერმახტმა ეთნიკური უმცირესობები დაიქირავა და „ნებაყოფლობით სამსახურში“ ჩააბა.

პანიკით მოცული ომის პირველ თვეებში ბევრი პარტიული მუშაკი, დირექტორი, კომისარი გაიქცა და თანამდებობებზე უარი თქვა, ამიტომ მოქალაქეებმა მიიჩნიეს, რომ გასაჭირში მიატოვეს და იმას აკეთებდნენ, რასაც სხვა დროს ვერ გაბედავდნენ: სამუშაოს არ ასრულებდნენ, ქურდობდნენ, თავიანთ უფროსებსაც კი ემუქრებოდნენ. ბოლშევიკების ხელშეუხებლობა საეჭვო გახდა.

იმავე წლის აგვისტოში გენერალისიმუსმა გამოსცა 270-ე ბრძანება, რომ ყოველი ჯარისკაცი, რომელიც ტყვედ ჩაბარდებოდა, მოღალატედ მიიჩნეოდა. წითელარმიელებს მხოლოდ ორი შესაძლებლობა დაუტოვეს: გერმანელებს დაეხვრიტათ ან მოგვიანებით, საკუთარ ხალხს.

იმ დღეს, როცა კოსტია ჯაშმა მის ცხოვრებაში პირველად ადამიანების დასახოცად იარაღი აიღო ხელში, მისმა ჩვიდმეტი წლის დამ ქალთა სკოლა დაამთავრა და ანდროს ჩაუვარდა მკლავებში, რომელიც ანგელოზების გამოთლას იძულებით განაგრძობდა და ამასობაში თავისი კულულებიც გადაიპარსა.

იმავე ღამეს ჩემი დიდი ბაბუა მშვიდად გარდაიცვალა ლოგინში, მას მერე, რაც შავ წიგნაკში ჩანერილ საიდუმლო რეცეპტებს გადახედა. წარმოიდგინა თავი შოკოლადის ფაბრიკაში, რომელიც ბოლო სამი წელიწადია აღარ არსებობდა და სახელმწიფო სასადილოდ გადაქცეულიყო, სადაც პიურე და იაფფასიანი კატლეტები იყიდებოდა.

ისე მოკვდა, რომ თავი ტკბილ წარსულში ეგონა, მსოფლიოში ყველაზე მაცდური სურნელებით იყო გარემოცული, თავის მშობლიურ ქალაქზე ფიქრობდა, რომელიც კავკასიის ნიკად ესახებოდა, და სამომავლო გეგმებს აწყობდა, მშვენიერი და იმედით აღსავსე ოთხივე ქალიშვილი გარს ეხვეოდა, სოციალისტურ დარდს ჯერ კიდევ არ ჩაეფერფლა ისინი.

ნელ-ნელა შორდებოდა ანწყოს, სანამ არ გაიცრია და უხილავი არ გახდა, ბოლოს კი გაუჩინარდა; დაბერებული, დაუძღვრებული, თირკმლებით დაავადებული, მივინყებული და უპირატესობის ხიბლს მოკლებული მოკოლადის ფაბრიკანტი ღრმა მწუხარებამ მოიცვა, რომლის დაძლევა უკვე შეუძლებელი იყო. მისი წარსულში დაბრუნება არ იყო ადვილი ოჯახისთვის. ლიდა და კიტი საგულდაგულოდ ცდილობდნენ, მსოფლიოს შემზარავი ამბები დაემაღათ მოხუცი კაცისთვის, მაგრამ მწუხარებისგან მაინც ვერ გაათავისუფლეს. სულ კითხულობდა ქრისტინეს, რომელიც დასახიჩრების მერე მშობლიურ სახლში აღარასოდეს ჩასულა. მოკოლადის ფაბრიკანტი არასოდეს ახსენებდა იმ უბედურ შემთხვევას, არც რამაზს, თითქოს მისი უმცროსი ქალიშვილი არც გათხოვილა, თითქოს არ დამართეს ის, რაც დაემართა. მისთვის ისევ ის ნორჩი გოგო იყო, თავისუფალი, ყველაფერი წინ ჰქონდა, ლიდაც და დანარჩენებიც მის თამაშს უნდა აჰყოლოდნენ, წარსული ანწყოდ გამოეცხადებინათ და ყველა მწუხარება და საზრუნავი მისთვის დაემაღათ.

თათლის სანთლები აანთეს, რომლებიც ლიდას თავის ოთახში ჰქონდა დამალული. იგი მამას სარეცელთან საათობით ლოცულობდა. გარიჟრაჟზე ანდრო საფოსტო განყოფილებაში გაუშვეს, რათა თბილისში ტელეგრამა გაეგზავნა.

მერე ფანჯარასთან ისხდნენ, გადასცქეროდნენ მძინარე ქუჩას და ანდრომ კიტის ჰკითხა, ცოლად თუ გამოიმყვები და ვენაში თუ გინდა ჩემთან ერთად წამოსვლაო.

იმ ვენაში, მარტო ჩვენი რომ არისო, მიამატა.

თავით ფეხამდე შავით მოსილი ქრისტინე, რომელსაც სახე თმაში ოსტატურად ჩამაგრებული პირბადით ჰქონდა დაფარული, კუპეში ფანჯარასთან დაჯდა, უფროსი დის გვერდით, კვლავაც მისი საყრდენი რომ იყო და თავი ფანჯრის შუშას მიადო. სადგური გადაჭედილი იყო, ადამიანები ჭიანჭველებივით დაფუსფუსებდნენ აქეთ-იქით. გაზეთების გამყიდველი პატარა ბიჭი მთელი ხმით გაჰყვიროდა: „ომია, ომი! ფაშისტები საბჭოთა კავშირს დაესხნენ თავს! გენერალისიმუსმა დიდი სამამულო ომი გამოაცხადა!“

ქრისტინე ცდილობდა, ყური არ მიეგდო მისი სიტყვებისთვის, მაგრამ სტასია, რომელიც თავის ჩემოდანს ინახავდა, უმაღლ შემოტრიალდა და ოდნავ ჩანუელ ფანჯარაში გაყო თავი, მოიხმო ბიჭი, რამდენიმე კაპიკი ხელში ჩაუგდო და გაზეთი გამოართვა. ახალ ამბებს ჩაუღრმავდა, მძიმედ

სუნთქავდა, თითქოს ასთმის შეტევა ჰქონდა, დაბოლოს, უღონოდ გადაესვენა სკამზე.

- კოსტია! - მარტო ეს აღმოხდა, თითქოს წინ ედგა და ხმაჩავარდნილი დის ხელს ჩაეჭიდა, - სიმონმა ჩემი ერთადერთი ვაჟი წამართვა და ხომ ვიცი, არ დაუშლის ომში წასვლას. იამაყებს კიდევ ამით. ღმერთო ჩემო, კოსტია, ჩემო ერთადერთო ბიჭო!

- ჩვენ ხომ არაფერი ვიციით. ხვალვე დავეკავშირდებით სიმონს და კოსტიას. ეცადე დამშვიდდე.

ქრისტინე ფანჯრიდან აყოლებდა თვალს ამწვანებულ, ბორცვიან არემარეს.

გათენებისას ჩააღწიეს დებმა მშობლიურ ქალაქში, რომელიც ახლა უკვე ყველაფერს ჰგავდა კავკასიის ნიკის გარდა. ომის ამბავს იქამდეც ჩაეღწია უკვე, ადამიანები ქუჩებში დაბოდილობდნენ, ხანდაზმული კაცები მოსახვევებში იდგნენ, ჩიბუხებს აბოლებდნენ და წინა ომის სამინელებებს იხსენებდნენ. ქალებს თავიანთი სახლების წინ მაგიდები გამოჰქონდათ, დიდი რადიომიმღების ირგვლივ იკრიბებოდნენ, ყავას სვამდნენ და თავებს აქნევდნენ. მარტო ბავშვები აგრძელებდნენ ბურთის და დამალობანას თამაშს, დარბოდნენ და ჟრიამულობდნენ.

ლიდა - შავ ჩითის კაბაში გამონყობილი შავთავსაფრიანი სქესდაკარგული არსება - მამას კუბოსთან იჭდა და ხმას არ იღებდა. კიტი და ანდრო შემოსასვლელში დაძრწოდნენ და ორ ხმაში ტიროდნენ, როცა ქრისტინეს შებურულ სახეს მოჰკრეს თვალი, თან ვითომ ბაბუას დასტიროდნენ, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მათ ცხოვრებაში მონაწილეობაც კი არ მიუღია, არც არავის ცხოვრებაში, საკუთარშიც კი.

სარკეები დაფარეს, რაც კი ხატები მოეპოვებოდათ, კუბოს გარს შემოუნყვეს, სასულიერო პირიც კი მოიყვანა ლიდამ სახლში, რა თქმა უნდა, სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმული.

მერი ქუთაისიდან ჩამოვიდა. მუდმივად უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს საკუთარ უიღბლობაში თავის დებს აღნაშაულებდა.

კუბოს ირგვლივ სკამები დაანყვეს, ქალები დასხდნენ, კაცები შემოსასვლელში ირეოდნენ და სამძიმარზე მოსულებს ეგებებოდნენ. სამ ღამეს ენთო შუქი, ყველა კარი ღია იყო, უპოვრებს ქელეხზე საჭმლით გაუმასპინძლდნენ, გარდაცვლილის ნივთები გააჩუქეს.

კიტის და ანდროს სულ სადღაც აგზავნიდნენ, ხან პურის, ხან ღვინის მოსატანად, არავის ეცალა კიტის ანთებული თვალების, ანდროს მუხლებში მოუსვენრობის და მათი ვითომ შემთხვევით შეხების შესამჩნევად.

- კარგი, დავქორწინდეთ, - უთხრა კიტიმ ანდროს იმ დღეს, როცა მისმა ძმამ პირველად დაუმიზნა იარაღი ადამიანს და როცა ბაბუამისი

გარდაიცვალა. მიცვალებულს ღამეს რომ უთევდნენ, დაუსრულებლად ჩურჩულებდნენ თავიანთ მომავალზე, რადგან მათი გრძნობა, კოსტიას სიყვარულისგან განსხვავებით, სიტყვებს საჭიროებდა.

სახედამალული ქრისტინე წამდაუნუმ იხმობდა მათ თავისთან და პატარებივით ეფერებოდა.

- ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება, - სულ ამას უმეორებდა, არადა სწორედ თვითონ იყო შეშინებული. ეშინოდა იმ დაუსრულებელი სიმართლის, რომლის ტყვედაც ქცეულიყო, სიბნელის, საიდანაც თავი ჯერ ვიდევ ვერ დაეღწია, იმ წამის, როცა სტასია თავის ძველ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა და ქრისტინეს თავის აჩრდილებთან მართოს დატოვებდა.

ეშინოდა ომის, მაგრამ ყველაზე მეტად იმის, რომ არ იცოდა, როგორ ეცხოვრა ნახევარი სახითა და გარდაცვლილი თვითმკვლელის სიყვარულით.

5 ივლისს - იმ დღეს, როცა სევასტოპოლი გერმანიამ ჩაიგდო ხელში - შოკოლადის ფაბრიკანტი თავის ქართველ და რუს ცოლებს შორის დაკრძალეს, ჯაშები ყავის დასალევადა და ოჯახის მომავალზე სასაუბროდ ხის დიდ მაგიდას მიუსხდნენ.

- კოსტია უნდა დავაბრუნო, - თქვა უცებ სტასიამ და სიგარეტს მოუკიდა.

- დამშვიდდი, ანასტასია, ღმერთი შეენევა, მამაცი ბიჭია, - ჩაიჩურჩულა ლილამ.

- გაჩუმდი! - უყვირა ქრისტინემ და არაფი დაისხა, რომელიც ვილაცას სამზარეულოს მაგიდაზე დაეტოვებინა. სანამ ლიდა პირჯვარს გადაიწერდა და ღმერთს პატიებას სთხოვდა თავისი დის უხეშობისთვის, კიტიმ თქვა:

- ჩვენ დაქორწინებას ვაპირებთ.

კიტიმ ამაყად გადახედა ანდროს, რომელიც თავჩაქინდრული მიშტერებოდა იატაკს და დუმდა.

- რაო? - გაეცინა ქრისტინეს.

- ჩვენ გვინდა დავექორწინდეთ და მერე აქედან შორს წავიდეთ, - გაიმეორა კიტიმ.

ამ დროს კი უკვე ლილამ, როგორც იქნა, პირჯვარი გადაიწერა, მერიმ კი ამრეზით ამოიოხრა, თითქოს ნათქვამმა მას პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენა.

- თქვენ ჭკუაზე ხართ? - აღმოხდა ბოლოს სტასიას.

- ვიცი, უნდა დაგლაპარაკებოდი, მაგრამ ამის დრო არასოდეს იყო, როცა აქ ჩამოდიოდი... - ნელა დაიწყო ანდრომ.

- წმინდაო მარიამ... - ჩურჩულებდა ლიდა.

- დედაჩემი მოკვდა, არა? - იკითხა უცებ ანდრომ და პასუხი არ მიიღო, მხოლოდ თვალი აარიდეს. ლილამ ისევ პირჯვარი გადაიწერა.

- ომი დაიწყო. რა დროს დაქორწინებაა, - თქვა სტასიამ.

- ან სწორედაც, რომ ამის დროა, - უპასუხა ანდრომ.

- არ ვიცი, რა გითხრათ. მაგრამ ეს თქვენი ცხოვრებაა. ასეა თუ ისე, ახლა ასეთი ბავშვური სისულელეებისთვის ყველაზე შეუფერებელი დრო შეგირჩევიათ, - დაამატა სტასიამ და ოთახიდან გავიდა. მხოლოდ მეორე საღამოს დაბრუნდა. ლიდას უკვე მის საქმუნელად უნდოდა წასვლა, მაგრამ ქრისტინემ გააჩერა, მისი აზრით, სტასია ყაბარდოულ ცხენს იჭირავებდა და კლდეში ნაკვეთ ქალაქში გააჭენებდა. რა თქმა უნდა, კაცურად.

როცა ვერმახტმა დონი გადალახა, ლიდა რაჭის რომელიღაც მონასტერში წავიდა, სადაც ომის დამთავრებამდე აპირებდა დარჩენას, სახლი დაკეტეს, ქრისტინე, სტასია, კიტი და ანდრო კი მატარებლით ერთად დაბრუნდნენ დედაქალაქში.

თბილისში ყველა ქრისტინეს ვილაში დაბინავდა, რომელიც პომპეზური ფასადის მიღმა გაცვეთილი და ცარიელი ჩანდა, რადგან ყველაფერი, რაც ძვირფასი და ღირებული ჰქონდათ, ბოლო წლების განმავლობაში გამქრალიყო და შავ ბაზარზე გაყიდულიყო. ლენინგრადში ტელეგრამებს აგზავნიდნენ. პასუხი არ მოდიოდა. თბილისი პანიკას მოეცვა, ჭორები დადიოდა, რომ ფამისტები საიდუმლო ოპერაციას გეგმავდნენ კავკასიაში, ჰიტლერი კავკასიითა და უპირველეს ყოვლისა, კასპიის ნავთობით იყო დაინტერესებული.

ქალაქის ყოველდღიურობა უფრო ჩუმი გახდა, ფრთხილი, ეჭვიანი და დათრგუნვილი - მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდებოდა. საყოფაცხოვრებო საწარმოები და ფაბრიკები დიდი დატვირთვით მუშაობდა. კოლმეურნეობებს პროდუქცია უნდა გაეორმაგებინათ. სექტემბერში პირველი ცნობები მოვიდა ალყაშემორტყმული ლენინგრადიდან. ცოტა ხნის მერე სტასიამ წერილი მიიღო ქმრისგან (ჰო, ასეა, ბრილვა, ქორწინება ხშირად უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე სიყვარული), ის ატყობინებდა, რომ კოსტია ჯანმრთელად იყო, გმირობა გამოეჩინა სევასტოპოლისთვის ბრძოლაში და ახლა ბალტიის ზღვის ფლოტში მსახურობდა, რომელსაც ლენინგრადის დაცვა ევალებოდა. მენ არაფერზე იღელვო, მე დაუკავშირდი, არაფერი უჭირს, ამჭერად მოსკოვში ვიმყოფები, 36-ე მსროლელთა დივიზიის ბატალიონს ვმეთაურობ და ველოდები, სად გადამიყვანენო.

სტასია გამწარებული დაბორიანებდა ოთახში, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, იწყევლებოდა და აღმფოთების ცრემლებს იკავებდა, ანდრო და კიტი კი ამ დროს ბოტანიკურ ბაღში სეირნობდნენ. უკაცრიელ საიდუმლო გზებს ეძებდნენ, ციცაბო კლდეებზე მიცოცავდნენ. ხოლო როცა დაბნელდა, პირდაპირ ჩანჩქერთან მოკალათდნენ, კიტიმ იკითხა, წასვლის დრო ხომ არ იყო, ბაღი მალე დაიკეტებოდა, ანდრომ უპასუხა,

რომ შეეძლოთ, იქ მთელ ღამეს დარჩენილიყვნენ. თურმე ყველაფერზე ებრუნა და სახლში რაღაც საყოველთაო შეკრების შესახებაც გაეფრთხილებინა, ასე რომ, არ დაელოდებოდნენ. გაშალა გადასაფარებელი, ჩანთიდან ცოტა პური და ყველი ამოიღო, ერთი ბოთლი ღვინო მიუდგა და კიტის თვალი ჩაუკრა.

დარწმუნებული ვარ, იმ პატარა ჩანჩქერის ხმაურს უსმენდნენ, რომელშიც ასე მიყვარდა ჩახტომა ბავშვობაში, მჯერა, გაცოცხლებით შესცქეროდნენ სექტემბრის უზარმაზარ ფერმკრთალ მთვარეს. ალბათ, ქალაქში დაბრუნებით გაბრუნებული იყვნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ერთმანეთით იყვნენ მთვრალნი და თავიანთი სხეულების ერთიმეორისადმი ლტოლვით, რასაც პირველად განიცდიდნენ დაუფარავად. კიტის ნამდვილად ეტკინებოდა ზურგი ქვიან მიწაზე, ჩანჩქერთან, და არც მიაქცევდა ამას ყურადღებას, იმიტომ რომ თავის ანდროს კოცნიდა ისე, როგორც არასდროს უკოცნია მანამდე, ის კი ტანსაცმელს ხდიდა და ეხებოდა, აგემოვნებდა და ყნოსავდა, მის სხეულს იკვლევდა, კიტის აღარც სირცხვილი ახსოვდა და აღარც ომი, აღარც ხისგან გამოთლილი ანგელოზების მთელი ჯარი, რაღაცისგან რომ უნდა დაეფარათ ორივე, რაც ლამის კარზე იყო მომდგარი. ალტყინებულები და ქანცგანყვეტილები ნამდვილად ისკუპებდნენ ჩანჩქერშიც. მეც ასე მოვიქცეოდი, ბრილკა, ჩემი სიყვარულის პირველი ღამე იქ რომ გამეტარებინა.

სამი დღის შემდეგ სტასიამ ჯაშების ოჯახის ნევრები შეკრიბა უზარმაზარ სასტუმრო დარბაზში, რომელიც რამაზის სიკვდილის მერე აღარასოდეს გამოუყენებიათ, რადგან სიდიდის გამო ზამთარში ვერ ათბობდნენ, პაპიროსს მოუკიდა და წარმოთქვა:

- მეტს ვეღარ გავუძლებ. კიდევ ერთ ომს ჩემს ცხოვრებას აღარ დავანგრევივინებ. კოსტია უნდა ვიპოვო. სიმონს დაველაპარაკები, რომ თავისი კავშირები გამოიყენოს და იქნებ მისი გადმოყვანა მოხერხდეს. ქართველს არაფერი ესაქმება ბალტიის ზღვაში, აქეთ უნდა გამოუშვან, აქ ჯერ კიდევ სიმშვიდეა და თან შავი ზღვის ფლოტი საომარი არც არის. კოსტია უნდა მოშორდეს იქაურობას. თუ საჭირო იქნება, დავაბამ და ძალით წამოვიყვან. არ ვაპირებ, შვილიც შევწირო. საკმარისია, თქვენ კი... - კუთხეში შეყუჟულ ანდროს და კიტის გახედა, - ... თქვენ არ დაქორწინდებით. ახლა ამის დრო არ არის. ანდრო, რამე უნდა მოუხერხო შენს ცხოვრებას, რთული დროა, თავს უნდა შემოუძახო. და შენ, შენ რას აპირებ, კიტი? ისევ ეს სიმღერა და ცეკვა-თამაში უნდა გააგრძელო? გგონია, ამით გაიტან თავს? ქრისტინეს დაუჯერეთ. დიდები ხართ უკვე. სულ არ მინდა, ისე მოგეპყროთ, როგორც პატარებს, თუმცა ბავშვებივით იქცევით.

მერე თითოეულს ფრთხილად აკოცა, აიღო თავისი ძველი ჩემოდანი, რომლითაც პეტროგრადიდან დაბრუნდა, და სადგურზე წავიდა. არც

ქრისტიანებს მუდარამ გაჭრა, არც მუქარამ, ყველა მცდელობა ამას გამოდგა, რუსეთში სახიფათო მგზავრობა ვერ გადააფიქრებინეს. გაგონებაც არ უნდოდა, რამდენად უაზრო იყო მისი განზრახვა. მრავალი დღე იმგზავრა მატარებლებით, საბარგო ვაგონებით, ავტობუსებით და ვირშებმული ურმითაც კი – ხო, ეს მისი სიტყვებია – და სექტემბრის ბოლოს, როგორც იქნა, ჩააღწია მოსკოვში. ძლიერი წვიმის გამო ქალაქი ტალახში იყო ჩაძირული. ტალახით შეცურა სტასიამ ქალაქსა და ომში. ზუსტად ისე, როგორც მაშინ, წლების წინათ, როცა ახალგაზრდა ქმრის პოვნის იმედით სამხედრო გზა გაიარა და შუა სამოქალაქო ომში ამოყო თავი. ამჯერად სამოქალაქო კი არა, მსოფლიო ომი მიძინვარებდა. და ამჯერად ქმარს კი არა, შვილს ეძებდა. ამჯერად გადანწყვიტა, სამწლიანი ლოდინის გარეშე მოეძებნა, ამჯერად – მთელი მსოფლიოც რომ განადგურებულიყო – თავისი მგზავრობისთვის კეთილი დასასრული უნდა ეპოვა.

სტასიამ ჯერ არ იცოდა, რომ საბჭოთა საინფორმაციო ბიურო არ ავრცელებდა ცნობას იმის შესახებ, ამ დროისთვის საბჭოთა მიწაზე უკვე მილიონზე მეტი დაღუპული რომ იყო დასატირებელი.

* * *

საბჭოთა რაკეტა მშვიდობისთვის შეიქმნა.
წარწერა პლაკატზე

სიმონ ჯაშმა თვალებს არ დაუჯერა, როცა თავისი ცოლი ძველ ყაზარმაში გამოეცხადა. თვალები დაახამხამა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, სტასიას აჩრდილი ხომ არ იყო. სტასია შეცვლილიყო. მხრებში მოხრილიყო, უწინდელზე უფრო დაბალი ჩანდა, თითქოს დის უბედურებამ, შვილებთან განშორებამ, უიღბლო ცოლქმრობამ დააპატარავა. ოდესღაც ფოლადივით ფეხები ისეთი დაკუნთული აღარ ჰქონდა, აღარც ბურგი იყო ძველებურად გამართული და სწორი, ტუჩებს ფერი დაჰკარგვოდა და პირთან უკვე ნაოჭები ემჩნეოდა. სიმონმა სცადა, მაგრად მოხვეოდა, მაგრამ ჩახუტება უფრო გაუჭირდა, იმაზე ხელოვნური გამოუვიდა, ვიდრე ეგონა. თითქოს დავიწყებოდა, როგორი განცდაა, როცა გრძნობ.

– შენი გადანწყვეტილება სრული უაზრობაა! – აუხსნა სიმონმა ცოლს, როცა იმან თავისი ჩანაფიქრი გაუზიარა. ეტყობა, ბოლომდე ვერ გაიაზრე, რომ მსოფლიო ომში ვართ ჩაბმული. თითქაც კი არ გავანძრევ, რომ ყალბი მონაწილე ვუშოვო. ბოლოს და ბოლოს, წითელარმიელები ვართ და არა დილეთანტების დაჯგუფება. როგორ არ გესმის, თუ დავმარცხდებით, ყველა დავიდუპებით! მონებად ვიქცევით, ყველაფერს დავკარგავთ, რაც გვაქვს, მართო თავისუფლებას კი არა, მომავალსაც, სამშობლოსაც.

- მირჩევნია, მონა ვიყო და ვიცოდე, რომ ჩემი შვილი ცოცხალია, ვიდრე თავისუფალი და შვილმკვდარი ქალი, - წამოიძახა სტასიამ ცოტა თეატრალურად.

- მომისმინე, სტასია! კოსტია საზღვაო ჯარშია. სულით ხორცამდე მებღვავურია. თვითონ მოინდომა ეს. უკვე დიდია. თავის სამშობლოს ემსახურება. ასეც რომ არ იყოს, არავინ დაუთმობდა ნიჭიერ მებღვავურს სტრატეგიულად ისეთ უმნიშვნელო კანეს ფლოტს, როგორიც შავი ზღვის ფლოტია. ასე დიდხანს არ გაგრძელდება, მალე ყველა ახალგაზრდა კაცს გაინვევენ. საქართველოს ჯერიც მოვა. ილუზიებს ნუ შეიქმნი, ასე მალე არ დამთავრდება ეს ამბავი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს ომი მოვიგოთ.

- არ არის დიდი, არ არის... - სტასია გაუჩერებლად აქნევდა თავს, თითქოს ერთადერთი, რაც სიმონის ნათქვამიდან გაიგო, კოსტიას ასაკს ეხებოდა.

- კოსტია მოახერხებს. იბრძოლებს. თავს არავის დააჩაგვრინებს, მამაცობისა და ერთგულების მაგალითია. უნდა გენახა, გამოსაშვებ ადლუმზე როგორ...

- შენ არ გესმის. მე კი არა, შენ არ გესმის, სიმონ.

სტასიამ თავისი უფილტრო პაპიროსი გააბოლა და კვამლი ხელით გაფანტა.

- დაუყოვნებლივ უნდა დატოვო ქალაქი, სტასია. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, მაგრამ შეიძლება, მოსკოვის ევაკუაცია საჭირო გახდეს. სანამ შესაძლებელია, თბილისში უნდა დაბრუნდე.

სიმონმა კიდევ ერთხელ სცადა, სტასიასთვის ზურგზე მოეხვია ხელები. ამჯერად ცოტა უკეთ გამოუვიდა. სანამ სიმონი ეხუტებოდა, სტასია საკუთარ თავს ეკითხებოდა, რატომ არ ზრუნავდა ქმარზე ისევე, როგორც შვილზე. ამის შერცხვა და ქმარს მოშორდა.

წითელი ობერლეიტენანტი განაგრძობდა მის დარწმუნებას, რომ გადაეფიქრებინა, ცდილობდა შინ დაბრუნებაზე დაეყოლიებინა, მაგრამ სტასია ისევ და ისევ იმეორებდა, სანამ ერთხელ მაინც არ ნახავდა კოსტიას, არ გაემგზავრებოდა. ერთხელ მაინც უნდოდა ეცადა დალაპარაკებოდა შვილს. კოსტია კი ამ დროს უკვე ლადოგის ტბაზე იმყოფებოდა. როგორც საზღვაო ქვეით ჯარისკაცს, 101-ე სამხედრო გზის გაჭრაში უნდა მიეღო მონაწილეობა, მოგვიანებით „სიცოცხლის გზის“ სახელით რომ შევიდა ისტორიაში.

სტასია მოსკოვის ყაზარმაში დარჩა და ჯარისკაცებისთვის იქაურ სამზარეულოში ამზადებდა კარტოფილის წვნიანს.

გერმანელებმა ბაფხულში ტრიუმფალური სვლა განაგრძეს. ოპერაცია „ბარბაროსას“ წარმატებამ ჰიტლერი დაარწმუნა, რომ კრემლს მალე დაამარცხებდა. ცენტრალური სამხედრო შენაერთი მოსკოვისკენ დაიძრა. 1941 წლის შემოდგომაზე წითელი არმიის რეორგანიზაცია

განხორციელდა და კონტრშეტევები დაიგეგმა. გენერალ ჟუკოვის მეთაურობით, 70 ახალი დივიზია ჩამოყალიბდა, ყველა დებერტირი და მეამბოხე ადგილზე უნდა დაეხვრიტათ. შემოდგომის ტალახი ქუჩაში სიარულს შეუძლებელს ხდიდა, ამან მოსკოვს და მთელ წითელ არმიას მეგობრული დახმარება გაუწია. ვერმახტის წინ ნანწვა კვირებით დაგვიანდა, საწვავი, საბრძოლო აღჭურვილობა, ყველანაირი მარაგი და, რაც მთავარია, ზამთრის ტანისამოსი ჯარისკაცებისთვის სადღაც შუა გზაზე იყო გაჭედილი.

ქალაქის რაიონებში მუშათა ბატალიონები მზად იყვნენ. სანამ სტასია შვილის ნახვის იმედს არ კარგავდა, ანდრო ერისთავმა ომში განწვევის შეტყობინება მიიღო. 1941 წლის ზამთარში განწვეული ქართველი ჯარისკაცების უმრავლესობას საბრძოლველად - ქერჩში, ყირიმში აგზავნიდნენ.

ღის გამგზავრების შემდეგ ქრისტინემ შთამბეჭდავი დისციპლინა გამოამუშავა: თითქოს ელოდებოდა, როდის დარჩებოდა მარტო ორ მოზარდთან ერთად, რომ თავისი ალუბლის ლიქიორებიანი და საოპერო არიებიანი ბნელით მოცული სამყაროდან ბინძურ, საბრუნავით სავსე რეალობაში დაბრუნებულიყო. სამკაცციანი ოჯახისთვის ყოველდღიურ გეგმას ადგენდა და ამგვარად აწესრიგებდა საქმეებს: სახლი მისახედი იყო, საჭმლის კუპონები - გასანაღდეველი, შემოწირულობა - შესაგროვებელი.

სანამ ანდრო ფოსტაში მოხალისედ მუშაობდა, კიტი ქრისტინეს ეხმარებოდა ფრონტისთვის დოლბანდისა და ბინტის შეგროვებაში, ერთად თესავდნენ ბოსტანში, რადგან საჭმლის რაციონი მაინცდამაინც არ ჰყოფნიდათ. როგორც აღმოჩნდა, ომმა ქრისტინეს ცხოვრებას აზრი დაუბრუნა.

ანდრო და კიტი საქმიანობისას ერთმანეთს არ შორდებოდნენ და სიამის ტყუპებივით დადიოდნენ, ერთიმეორეს თვალს უკრავდნენ, ხითხითებდნენ, ჩქმეტდნენ, თავიანთ საყვარელ შეჭიბრებებს გაუთავებლად აწყობდნენ: ვინ მიასწრებდა პირველი შემდეგ გზაჯვარედინამდე თუ სახლის კარამდე, მეტ ბოსტნეულს რომელი დათესავდა ან მეტ შემოწირულებას შეაგროვებდა.

- ჩვენი ჯარისკაცებისთვის! გაიღეთ შემოწირულება ჩვენი ჯარისკაცებისთვის! სასურველია ზამთრის თბილი ტანსაცმელი, წინდები, საცვლები, პერანგები. ყველაფერს სიხარულით მივიღებთ!

კიტის გრიპი შეეყარა, ამიტომ ანდრო თავის დიდ მუყაოს ყუთითან, ჩაის სახლის წინ, მარტო იდგა, ხალხს მეგობრულად უდიმოდა და მთელი ხმით მოუწოდებდა, ფრონტისთვის მონყალევა გაეღოთ. უცებ მის წინ წარმოსადეგი მამაკაცი გაჩერდა და ხელი გაუწოდა:

- მიიღეთ ჩემი პატივისცემა, ახალგაზრდავ! როგორი გულმოდგინებაა! ამას ჰქვია ჯემმარიტი პატრიოტიზმი. ბევრი თქვენს

ასაკში ზარმაცობს და მხოლოდ გართობაზე ფიქრობს, მათ არ იციან, რას ნიშნავს ომში ყოფნა, თქვენ კი, ყოჩაღ!

და მან დახვეწილად ჩაიმუხლა, გაზეთში გახვეული ძღვენი თავისი პორტფელიდან ამოიღო და ფრთხილად ჩადო ანდროს ყუთში.

უცხოელს ჰგავდა, თუმცა კი შესანიშნავად საუბრობდა ქართულად, კარგად მომდგარი ზოლიანი კოსტიუმი ეცვა და მწვანეორნამენტისანი უცნაური ფორმის ქუდი ეხურა. დავითი მქვიაო, თავი წარუდგინა ანდროს.

- ჯერჯერობით ეს საკმარისია, - დასძინა. დაინტერესდა ხის ნაკეთობებით, რომლებიც ანდროს თან ჰქონდა და გრძელი მოხსენება წაიკითხა ხელოვნების თანამედროვე მიმდინარეობებზე. ცხადია, ევროპულ ხელოვნებაზე ლაპარაკობდა, რაღაც სახელებს ახსენებდა, რომლებიც ანდრომ არ იცოდა, და ამან კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ანდროს ის არისტოკრატიული იერის მამაკაცი აღბათ უცხოპლანეტელად ეჩვენებოდა.

- დიახ, ბევრი საინტერესო რამ არსებობს მსოფლიოში, სამწუხაროდ, აქ ძალიან ცოტა ვიცი, ასე არ არის, ანდრო? - დაასრულა მამაკაცმა მონოლოგი. ანდრო სახტად დარჩა, რადგან უცნობისთვის თავისი სახელი არც კი უთქვამს.

სანამ ანდრო ჰკითხავდა, საიდან მიცნობთო, უცნობმა ასანთის კოლოფი ანდროს ყუთზე დადო და დაუმშვიდობებლად განაგრძო გზა. ანდრომ სტაცა ხელი კოლოფს და ყურადღებით დაათვალიერა. უკანა მხარეს აღმოაჩინა:

წვრილი, გრძელი ასოებით მისამართი მოიწერა.

ანდრო იდუმალებამ მოიცვა. სამი დღის განმავლობაში ჯიბით ასანთის კოლოფს დაატარებდა და კიტისთვისაც კი არაფერი მოუყოლია ამ უცნაური შეხვედრის შესახებ. ათასნაირი თავგადასავალი წარმოიდგინა, რომელშიც დახვეწილი მამაკაცი შეიძლებოდა ყოფილიყო გახვეული. ფიქრობდა, ნეტავ, რა უნდოდა ასეთ განათლებულ, ექსტრავაგანტულ კაცს მისგან და საერთოდ საიდან იცნობდა. სამი დღის მერე, როცა ცნობისმოყვარეობა ვეღარ მოთოკა, მითითებული მისამართი მოძებნა. სხვენში მდებარე პატარა ბინაში დახვეული კიბით ავიდა. ისიც იქ დახვდა, ამჯერად მუქი ლურჯი კოსტიუმი ეცვა და ხელში ბრენდის ჭიქა ეჭირა, ეს სასმელი ანდრომ მხოლოდ წიგნებიდან იცოდა.

- დახვეწილი ახალგაზრდა ჩანხარ. ბევრი საჭირო თვისება გაქვს: მგრძობიარე ხარ, ცნობისმოყვარე, კარგი მანერებიც გაქვს, მეტის მიღწევას ცდილობ და ერთგული ხარ. მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა იმ დროში არ ვცხოვრობთ, ასეთ ღირსებებს რომ აფასებდნენ. დღის წესრიგში უტაქტობა, გამცემლობა და სიხარბეა.

კაცი სწრაფად გადავიდა საქმეზე, ანდროს აზრით, მეტისმეტად სწრაფად. ის-ის იყო, ძველ გამურულ ბუხართან მოკალათდნენ და ანდრომ ბრენდი პირველად მოსვა, რომ კაცმა მისი დარწმუნება დაიწყო.

- სოციალისტურ მსოფლმხედველობას უღალატეს. ჩვენ გვიღალატეს. ახალ ომში ამოვყავით თავი, თუმცა მშვიდობა გვინდოდა. დაგვიმონეს, დიქტატურის მსხვერპლნი აღმოვჩნდით, თუმცა თავისუფლება გვწყუროდა. ჩვენი იდეალები ფეხქვეშ გათელეს.

კაცმა მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი, თითქოს სურდა, ამით თავისი სიტყვებისთვის მეტი მნიშვნელობა მიენიჭებინა. ანდრო ხმას არ იღებდა და ძირს იყურებოდა, უსუსურად და სულელად გრძნობდა თავს, არ უნდოდა, გულუბრყვილოსა და გამოუცდელის შთაბეჭდილება მოეხდინა. თავისი დუმილით იმას მაინც აგრძნობინებდა კაცს, რომ გულდასმით ფიქრობდა მის ნათქვამზე.

- მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს იმედი, - განაგრძო კაცმა და ახალ ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ხალხმრავალ ყრილობას სიტყვით მიმართავსო. ადგა და ანდროს გვერდით დაუდგა, - არსებობს შანსი ამ ძალმომრეობის დამარცხებისა და თავისუფალი საქართველოს აშენებისა, საიდანაც უპრობლემოდ შეძლებენ პარიზში ან ვენაში გამგზავრებას, როგორც ოდესღაც. მაგრამ ამისთვის ღირსეული ადამიანები გვჭირდება. შენ ხომ გინდა ევროპაში წასვლა? - სიტბოს მომგვრელი ბრენდი გულუხვად დაუმატა, - ისეთი ხალხი გვჭირდება, რომელსაც ესმის, რა ხდება, შენ კი სწორედ ასეთი მგონიხარ, ჩემო ბიჭო. ამ ომს თუ მოვიგებთ, მაშინ ყველა ჩვენი იმედი დასამარდება, ყველა ღირებულება ჩაკვდება, ყველა საზღვარი ჩაიკეტება. გესმის ჩემი?

ალკოჰოლისგან გაბრუებულმა ანდრომ მრავლისმეტყველად დაუქნია თავი. ისევ ბევრით აიხედა და მასპინძლის გულიან ღიმილს ღიმილით უპასუხა.

ბინა სპარტანულად იყო მოწყობილი, რაც სრულიად არ შეესაბამებოდა დავითის არისტოკრატულ ხიბლს. იქნებ ეს ყველაფერი თვალის ასახვევადაა, - გაიფიქრა ანდრომ. გრძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანისკენ მოუწოდეს, ზუსტად ვერ ხვდებოდა, რა ევალეობდა, ყოველ შემთხვევაში, ამაღელვებელი მაინც იყო. რაღაც შინაგანი ხმა კარნახობდა, რომ უფლება არ ჰქონდა, ამ კაცისთვის იმედი გაეცრუებინა.

ის თავისუფლებასა და ღირებულებებზე უკითხავდა ლექციას, საზღვრებსა და ჩაგვრაზე. ლაპარაკობდა ევროპაზე, ისევ და ისევ რაღაც სახელებსა და ადგილებს ახსენებდა, ანდროს ყურს ჯადოსავით რომ ხვდებოდა და ასე მიუწვდომელი, შორეული და რომანტიკული ეჩვენებოდა, ადგილებს, სადაც სულ უნდოდა წასვლა, ადგილებს, რომლებზეც ამდენს უამბობდა კიტის ადტაცებული, მაგრამ ამ კაცის პირიდან ისე ბუნებრივად ჟღერდა, სულ აღარ ეჩვენებოდა არც შორეული

და არც მიუწვდომელი. თითქოს ახლახან გაისეირნა მონმარტრზე, დაბრუნდა და ანდროს სთხოვდა, შემდეგ ჯერზე ისიც ნაჰყოლოდა.

ამ კაცთან ერთად ისეთი იოლი იყო ბადენ-ბადენის კაზინოების, პარიზული კაბარეებისა და ვენური კაფეების წარმოდგენა. ელეგანტური, მომხიბვლელი მამაკაცი განაგრძობდა მის დარწმუნებას, ანდროს ფანტაზიას დიდებული სურათებით ამდიდრებდა. ჰპირდებოდა ვენას, თავისუფლებას, უსახავდა გასაოცარ პერსპექტივებს. მას თავისი ნიჭის გამოყენება და მოქანდაკის კარიერაზე ფიქრი შეეძლო. ევროპაში სწავლავს.

- გერმანელები საქართველოს თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძვიან. მათ კარგად იციან, რომ კავკასიაში დაირწა ჩვენი რასისა და ცივილიზაციის აკვანი, - კაცი ახლა უკვე ჩურჩულზე გადავიდა. ანდროს პირისპირ ჩამოჯდა და თვალეში ჩახედა, - ქართული ლეგიონის შესახებ რამე გსმენია, ჩემო ბიჭო? - ანდრომ თავი გააქნია, - ეს ის კაცები არიან, რომლებიც უცხოეთიდან, ძირითადად ბერლინიდან, თავისუფალი საქართველოსთვის იბრძვიან. ამ ბოლო წლებში გერმანელებთან საიდუმლო მოლაპარაკებები გაიმართა, მათ პირობა მოგვცეს, რომ როგორც კი საბჭოთა კავშირი დამარცხდება, ჩვენ ისევ თავისუფალი ვიქნებით, დიდი გერმანული რაიხის ფარგლებში ავტონომიურ სახელმწიფოს შევქმნით და იმას მივიღებთ, რაც გვეკუთვნის, იმედია, გესმის.

ანდრომ ფრთხილად დაუქნია თავი, თუმცა ზუსტად არ იცოდა, კაცის ნათქვამი სწორად თუ გაიგო.

- შენ შეგიძლია დაგვეხმარო, ანდრო, ამ ომის მოგებაში დაგვეხმარო, ჩვენი ქვეყნის მომავლის ჩამოყალიბებაში დაგვეხმარო. შენ შეგიძლია თავისუფალი იყო, ჩემო ბიჭო. ხომ გაგინვიეს, ასე არ არის?

ანდროს ისევ გაუკვირდა, თუ საიდან იცოდა ამ კაცმა მასზე ასე ზუსტად ყველაფერი. ამჯერად თამამად დაუქნია თავი.

- ყირიმში გაგზავნიან. იქ დაგიკავშირდებიან და კონკრეტულ დავალებებს მოგცემენ. რაკი შენ სამხედრო გამოცდილება არ გაგაჩნია, დიდი ალბათობით რადიომაუწყებლობის სისტემაში გაგამნესებენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, ჩემო ბიჭო. ერთ-ორ თვეში ევროპაში წაგიყვანთ. იქიდან შეძლებ ჩვენთან ერთად მოქმედებას. ჩვენი მოკავშირეები ყველგან გვყავს გადანაწილებული - მთელ დასავლეთ ევროპაში, მალე მთელ მსოფლიოში. ეს ყველაფერი როცა დასრულდება, მერე უკვე ყველგან შეგეძლება წასვლა, სადაც მოისურვებ.

უკვე ნასვამი და აწითლებული ანდრო ცოტა წინ გადაიხარა და თავისი ბრენდი ბოლომდე დალია.

- უჰ, რა კარგია, - თქვა ღიმილით, - და ჩემი ცოლის საქმე როგორ იქნება?

- შენ ცოლი გყავს? - დაიბნა დახვეწილი კაცი.

- დიახ, მალე ჩემი ცოლი გახდება.

- ოჰ, მესმის. სიყვარულს წინ არაფერი დაუდგება. შემოძლია პირობა მოგცე, რომ როგორც კი ევროპაში ჩახვალ და საქმეს შეუდგები, მასაც გამოვამგზავრებთ შენთან. ამ ყველაფერს მაინც დრო სჭირდება. ჯერ შუა გზაზე ვართ, ჯერ კიდევ ბევრი საქმეა და დახმარება ძალიან გჭირდება, ანდრო. შენს მეუღლეს ყალბ საბუთებს ვუშოვით და, თავისთავად ცხადია, უსაფრთხოდ გავიყვანთ ქვეყნიდან.

- თქვენ რა, ჯამუშები ხართ, თუ რაღაც მსგავსი? - იკითხა ანდრომ და უხერხულად გაეცინა. თავი ასტკვიდა. ცდილობდა, კაცის ნათქვამში გარკვეულიყო. ცდილობდა, შეთავაზება აენონ-დაენონა. დახვნილმა კაცმა ზურგზე ხელი მოხვია.

- ჩვენ, უბრალოდ, ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, საქმეს თავისუფალი საქართველოსთვის.

- მაგრამ გამოდის, რომ თქვენ ფაშისტებთან თანამშრომლობთ? ფაშისტებს მაინცდამაინც საქართველოს გათავისუფლება რატომ ენდომებათ?

- მომისმინე, ანდრო, კარგად მომისმინე, - კაცი ანდროს სავარძლის სახელურზე ჩამოჭდა და ცოტა უფრო მკაცრად ალაპარაკდა, - შეიძლება გსმენია შალვა მალლაკელიძის შესახებ. იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი დემოკრატი და ბრწყინვალე გენერალია. რევოლუციამდე თბილისის გენერალ-გუბერნატორი იყო. საქართველოს ანექსიის მერე ქვეყანა დატოვა და ბერლინში გაემგზავრა. იქ 1924 წელს ანტიბოლშევიკური მოძრაობა დააარსა, ქართული კომიტეტი: „თეთრი გიორგი“. ამ ორგანიზაციის მიზანი საქართველოს დამპყრობელთაგან გათავისუფლებაა. ომის დასაწყისში ქართული ეროვნული კომიტეტი შექმნა ბერლინში და რაიხის სამინისტროსთან გარიგება დადო, რომლის მიხედვით დიდი გერმანული იმპერიის საზღვრებში საქართველო თავისუფალი ქვეყნის სტატუსს მიიღებს. მალლაკელიძემ ემიგრაციაში მყოფი საუკეთესო ქართველი ჯარისკაცები შემოიკრიბა და ვერმახტს შეუერთდა. ანდრო, ქართულ ლეგიონში მალე 13 000 ჯარისკაცი იქნება, რომლებიც თორმეტ ბატალიონად არიან დაყოფილნი. ამ ლეგიონს სულ უფრო მეტი წითლებისგან დებერტირებული და ტყვე უერთდება. მალლაკელიძეს უკვე გენერალ-მაიორის ნოდება მიენიჭა.

- მგონი, ჯობია ახლა წავიდე...

ანდრო წამოდგა და თავისი ქუდის ძებნა დაიწყო. მამაკაცი გაუნძრევლად იჯდა და თვალს არ ამორებდა ანდროს.

- დედაშენი მკვდარია, ანდრო. იაფფასიანი როსკიპივით დახვრიტეს. დეტალები შემოძლია წერილობით გადმოგცე, თუ გაინტერესებს. იმ ტყვიის ზუსტ ფასსაც გეტყვი, რომელიც მის მოსაკლავად გამოიყენეს. დახვრიტეს, იმიტომ რომ უნდოდა, თავისუფალი ყოფილიყო, თავისუფალ ქვეყანაში ეცხოვრა.

უკვე კართან მისული ანდრო ნელა მიტრიალდა და სახეში შეხედა. ვარაუდის ფაქტად გადაქცევამ სამუდამოდ შეცვალა ანდრო და მისი მომავალი.

წლის ბოლომდე რამდენიმე დღით ადრე ანდროს სხვა ჯარისკაცებთან ერთად თბილისი უნდა დაეტოვებინა და გეზი ყირიმისკენ აეღო. ხარკოვი გერმანელების ხელში იყო და ხმები ვრცელდებოდა, რომ ადრე თუ გვიან ვერმახტი კავკასიამდეც მიაღწევდა.

გამგზავრების წინა ღამეს ანდრო კიტის ოთახში შეიპარა, გააღვიძა და თავისი გეგმები გაანდო. კიტი ისტერიკაში ჩავარდა.

არწმუნებდა, ასეთ რისკზე არ უნდა წახვიდე, ძალიან სახიფათოა, შენ სრულიად გამოუცდელი ხარ, წითლებმა შეიძლება გამხილონ, მაშინ კი აღარაფერი გიშველისო.

კიტის სულ არ უნდოდა, რომ ფაშისტებს ომი მოეგოთ, არც დიდ გერმანულ რაიხში შემავალი ავტონომური სახელმწიფოს არსებობის მომხრე იყო. თავის მოტყუება იქნებოდა იმის რწმენა, რომ ფაშისტების გამარჯვება საქართველოს თავისუფლებას მოუტანდა. ასეთი მიამიტიც არ უნდა ყოფილიყო ანდრო, გონს უნდა მოსულიყო. საკუთარ თავსა და მთელ ოჯახსაც საფრთხეში აგდებდა.

ყველაფერი კარგად იქნებაო, ჯიუტად უმტკიცებდა ანდრო. ბოლოს და ბოლოს, მისი ჩავარდნა დახვეწილ კაცსაც არ აძლევდა ხელს. კიტი მაინც რომ ვერ დაითანხმა, მერე დაუყვირა, მკლავებში ხელი წაავლო, შეანჯღრია და დაუმარცვლა, უნდა დამიჯერო, მენდო. იმ ქვეყანაში, სადაც დედაჩემს ავადმყოფი პირუტყვივით შუბლში ტყვია დაახალეს, ასეთ სისტემაში მომავალი არ მაქვს. მირჩევნია, სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდო და იმედი გამიჩნდეს, ვიდრე ამ ჭაობში ჩავიძირო. კიტი გაფართოებული თვალებით უყურებდა. ასე წყობიდან გამოსული არასდროს ენახა. ბოლოს ანდრომ თავი მკერდზე ბავშვივით მიადო. მისი დამშვიდების მცდელობა ვნებიან კოცნაში გადაიზარდა და კიტის ლოგინში დასრულდა.

- როცა კი შესაძლებელი იქნება, დაგიკავშირდებიან და მერე შენც წამოხვალ, - უთხრა შიშველმა ანდრომ ჩუმად. კიტის გვერდით ემბრიონივით მოკუნტულიყო, - შენც ხომ წამოხვალ, არა? არა? დამპირდი!

მოლოდინით სავსე მზერა მიაპყრო.

- კი, კი, წამოვალ, - უთხრა კიტიმ და საჩვენებელი თითი ტუჩზე დაადო. მას ცხოვრებაში პირველად აშინებდა ანდროს ოცნებები.

სამყარო ფერხულში ჩაება. ჩონჩხები ქვესკნელიდან კარნახობდნენ რიტმს. ვარდები მარტო შავად ყვაოდნენ.

ყველა გზა ბენჯის ხილზე გადიოდა, ირყეოდა, ჩამოსანგრევად იყო განწირული. თოვლმაც კი მოლურჯო ფერი მიიღო. ზეცა დახვრეტილი

იყო; ნატყვიარები ჰორიზონტსაც ეტყობოდა. დაღლილი მზე ანათებდა, მაგრამ ვეღარ ათბობდა.

ხეები ჩურჩულით უთანხმდებოდნენ ერთმანეთს და საკუთარ ტოტებზე იხრჩობდნენ თავს. ჩიტები ზეციდან ცვიოდნენ, რადგან ფერხულის დანახვისთანავე ფრენა ავინწყდებოდათ, ბავშვები კი თვალის დახამხამებაში იხრდებოდნენ და ყუმბარებს წმენდდნენ.

ცრემლები იშვიათობად იქცა. დამანჭული სახეები კი გახშირდა.

შოკოლადი მხოლოდ სხვა ეპოქის სახსოვარიღა იყო, შოკოლადის გარეშე სიტკბო დაავინწყდათ და სიტკბოს გარეშე – ბავშვობა, ბავშვობის გარეშე – დასაწყისი, დასაწყისის გარეშე კი დასასრულის მოახლოებას ვეღარ აღიქვამდნენ.

საბჭოთა კავშირის ხმა კი, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ხმა, იური ბორისოვიჩ ლევიტანის ენერგიული, დამაჯერებელი, ყოვლისმომცველი ხმა ეთერში ისმოდა და მსმენელს საშინელებებს აუწყებდა, რომლებიც მისი პირიდან უფრო ნაკლებ შემზარავად გაისმოდა. მისი ხმა – თვით გენერალისიმუსსაც ასე სჯეროდა – ხალხს მომავლის რწმენას უღვივებდა. ლევიტანი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა:

...გერმანელები როსტოვიდან განდევნეს. წარმატება ლადოგის ტბასთან, სიცოცხლის გზა ისევ გახსნილია. ყინვის გამო საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა. გერმანელები სამხრეთიდან გვიტყვენ, მათ ვოლგა გადმოლახეს. გერმანელები სტალინგრადს უახლოვდებიან. ბრძანება გაცემულია: არც ერთი ნაბიჯი უკან. 240 000 გერმანელი ჯარისკაცი ალყაშემორტყმულია...

ფიფქები ცვიოდა და ნამსხვრევებად იქცეოდა, მოჩვენებები ბორცვებზე დაძრნოდნენ და გაყინულებს ვარდის გვირგვინებს ავედრებდნენ.

* * *

გერმანიაში რევოლუცია არ მოხდება, რადგან ამისთვის გაზონის გათელვა იქნებოდა საჭირო.

ლენინი

სექტემბრის ბოლოს წითელი ობერლეიტენანტი ვამიძინში გაგზავნეს, ვოლგაზე, სტასიამ დას თბილისში ტელეგრამით აცნობა, რომ მოსკოვიდან ვერ გადიოდა, გზებზე თავისუფლად მოძრაობა შეუძლებელი იყო და კოსტია შესაძლოა ლენინგრადთან მდგარიყო. მოსკოვის ყაზარმაში მართო დარჩენილი სტასიასთვის თანდათან ნათელი გახდა თავისი განზრახვის აბსურდულობა. თავდაპირველი სურვილი, კოსტიასთან ლენინგრადამდე ჩაედნია, უკვე ნამდვილ სიგიჟედ მოეჩვენა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, ასე დაუფიქრებლად როგორ მოიქცა და კიტი და ანდრო ქრისტინეს როგორ შეატოვა.

გამგზავრებამდე სიმონი დაჰპირდა, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნებოდა, ქალაქიდან გაიყვანდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო. მაგრამ მდგომარეობის გათვალისწინებით ესეც კი შეუძლებლად ეჩვენებოდა: უსაფრთხო გამგზავრების გარანტიას ამ დროისთვის უკვე ვეღარავინ მისცემდა. ის კიდევ ერთხელ აღმოჩნდა საომარი მოქმედებების ტყვეობაში და თავის ოჯახზე დარდობდა, სიცოცხლისა და შიმშილისგან იტანჯებოდა და ვერ გაეგო, ასეთი სულელი რატომ იყო. ვერ მიმხვდარიყო, რატომ უნდა გადაზრდილიყო ომში ოჯახის გაერთიანების მისი ყველა მცდელობა.

ამჯერად სტასია უფრო კარგად იყო მომზადებული, ვიდრე მაშინ, პეტროგრაღში. იცოდა, ვისთვის შეეძლო მიემართა, რომ შავ ბაზარზე პროდუქტები ეშოვა, იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ყაზარმაში დარჩენილ ჯარისკაცებთან, რომელი უფროსები სწყალობდნენ მის ქმარს და რომელი მათგანი იყო სიმონისგან დავალებული. მართლაც, მიაღწია იმას, რომ მარტოს დაეკავებინა ყაზარმის ერთი ოთახი. სასადილოში საქმიანობდა. კემსავდა და კერავდა პერანგებსა და პალტოებს, ფორმებს. მთავარი საფიქრალი ამ საშინი სამსხვერპლოდან გაქცევა იყო.

ქრისტინეს ანდროს განვევის შესახებ არაფერი მოუყოლია, მაგრამ სტასია ისედაც ვარაუდობდა, რომ ანდროს მალე გაუშვებდნენ ფრონტზე – კოსტიასგან განსხვავებით კი, ანდრო არ იყო მებრძოლი. სტასია სოფიოზე ფიქრობდა, მეგობარი მისი ფიქრების ნაწილად იქცა. პატიებას სთხოვდა, რომ თბილისში არ დარჩა და უკეთესად არ იზრუნა ანდროზე.

პირველი ბომბები როცა ჩამოცვივდა და სტასიას ყურები დაუხშო, როცა ცხოვრებაში პირველად თავშესაფარ ბუნკერში აღმოჩნდა, მეტროს სადგურებზე რომ იყო მონყობილი, უკვე საბოლოოდ შეიგნო, რომ არა მარტო თავისი შვილი ვერ გადაარჩინა და შვილობილი ვერ დაიცვა, არამედ, საკუთარი სიცოცხლეც საფრთხეში ჩააგდო, და სიკვდილის საშინელმა შიშმა აიტანა.

უკვე მაყურებელი კი არა, კარგა ხანია ამ შემზარავი სპექტაკლის მონაწილე გამხდარიყო, მის პეტროგრაღულ გამოცდილებასაც წლების წინ გაუვიდა ვადა.

ნახევარმა მილიონმა მოქალაქემ, ძირითადად ქალებმა, სიმაგრეები აღმართეს მოსკოვის შესასვლელთან. გერმანელების საჰაერო შეტევებისგან თავის დასაცავად გულდასმით შედებეს და მოხატეს ფასადები.

სტასიას საკუთარ თავზე მწარედ ეცინებოდა, ასეთი მიაშიტი როგორ იყო, როგორ ეგონა, რომ შეძლებდა და ვინმეს ომში მონაწილეობას გადააფიქრებინებდა, ამისთვის თვითონ უნდა გამხდარიყო ომის მონაწილე დაუფიქრებლად.

მასობრივი მობილიზაცია დაიწყო. სტასია სხვა ქალებთან ერთად, როცა საჭირო იყო, ქვიშით სავსე ტომრებს ეზიდებოდა, მათთან ერთად ახალ ბარიკადებს აგებდა, ფანჯრებს ბურავდა, რადგან საჰაერო თავდასხმების დროს საყოველთაო ჩაბნელება იყო მიზანშეწონილი. ზოგი წითელარმიელის ცოლი ბავშვებთან ერთად ყაზარმებში გადავიდა საცხოვრებლად. კაცები ოჯახებს მონყვეტილნი იყვნენ. იმ უკუნ ღამეებში სტასია ყაზარმის სამხარეულოში კომბოსტოს ან კარტოფილის წვნიანს მიუჭდებოდა და იმდენად რეალურად ეჩვენებოდა იმაზე ფიქრი, აქედან ვერასოდეს გააღწევდა, არ შეეძლო ერწმუნა, რომ შვილებს, დას, ქმარს ოდესმე ნახავდა.

კოკისპირულმა წვიმამ გადაიღო, ტალახი დაშრა და გერმანელები მოსკოვისკენ დაიძრნენ. მასობრივი პანიკა დაიწყო, როცა ქალაქის ევაკუირება გახდა საჭირო. გამძვინვარებული ადამიანები საბუთებს ქუჩებში წვავდნენ. სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარ კაცებს მნიშვნელოვანი შენობების დანალმვას ავალებდნენ. ხელში ასაფეთქებლები ეჭირათ და ჟონგლიორებივით ფრთხილად მიუყვებოდნენ ტროტუარებს, თითქოს ყველანი ერთ ელეგიურ და, იმავდროულად, სასიკვდილო ქორეოგრაფიულ ნომერს ასრულებდნენ (2005 წელს, როცა სასტუმრო „მოსკოვი“ დაანგრის, სარდაფში თითქმის ორი ტონა ასაფეთქებელი მასალა იპოვეს).

ლენინის ცხედარი მაგზოლუემიდან გაიტანეს, კრემლი მწვანედ შედებეს. ქალაქიდან გასასვლელ გზებზე საჰაერო ბურთებს უშვებდნენ, რომ სამხედრო მფრინავებისთვის ხელი შეეშალათ. არქივებში დოკუმენტები ინვოდა. ყველა ფაბრიკა, სკოლა, დაწესებულება დაიკეტა, დაბოლოს, საზოგადოებრივმა ტრანსპორტმაც შეწყვიტა მოძრაობა.

სადგურები გადაჭედილი იყო: მატარებლები გადიოდა ყირგიზეთის, თათრეთის, ყაზახეთის მიმართულებით, ისეთი ადგილებისკენ, რომელთა შესახებ მანამდე არავის არაფერი სმენოდა, შორს, ძალიან შორს. ხანგრძლივი გზა მატარებლით, შემდეგ გემებით. ჯგუფური სიები პროფესიული ნიშნით შეადგინეს და ხალხს სავაკუაციო ადგილები შესთავაზეს. კპ-ს წევრები, მწერალთა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია, ექიმები, ბოტანიკოსები, ინჟინრები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ორთქლმავალთა მემანქანეები, მთელი სასულე ორკესტრიც კი გადაანანილეს მატარებლებში.

პრივილეგირებულებს უფრო მალე უწევდათ რიგი, ისინი, ვინც არ იყვნენ წარჩინებულები, იცდიდნენ, ან ფიზიკურ ძალას იყენებდნენ რიგში გადასადგილებლად, ხშირად უბილეთოდ შედიოდნენ ვაგონებში და დასადგომ ადგილებს შოულობდნენ.

სტასიას ყაზარმის ქალები მოათრევდნენ, ხან ხალხის ტალღაში იძირებოდა, იკარგებოდა, მერე ისევ ამოყვინთავდა, ვილაც ხელზე ექაჩებოდა, მერე ისევ უშვებდა ხელს. თათრეთში ევაკუაციის მოწმობა

პალტოს შიდა ჯიბეში, პასპორტში ედო. ყაზანის სადგურზე ხალხი ერთმანეთს შეერია და უზარმაზარ სხეულად იქცა, რომელსაც ორი ვეებერთელა მკლავი და ორი ფეხი, უფორმო ტანი და ურჩხულის თავი ჰქონდა. სტასია გაჩერდა, დანარჩენ ქალებს ჩამორჩა, რომლებიც ბავშვებთან ერთად ჩემოდნებით ხელში ლიანდაგისკენ მიიჩქაროდნენ, ადამიანთა მცირე ჯგუფი შეამჩნია, ისინი ყველასგან განსხვავდებოდნენ, მათ თვალი ვეღარ მონწყვიტა.

ის ადამიანები არაბუნებრივად ნელა და ელეგანტურად ადიოდნენ ვაგონებში, ერთმანეთს ბარგს ანოდებდნენ და წამდაუნუმ უკან იხედებოდნენ, თითქოს უმძიმდათ ქალაქის დატოვება. სტასიამ ერთ კაცს ჰკითხა, თუ რა პროფესიის იყვნენ ისინი, და მან გაღიზიანებულმა უპასუხა, დიდი თეატრის მოცეკვავეები არიანო.

სტასია თვალს ვერ აშორებდა მოცეკვავეებს.

ერთმა მოხდენილმა ახალგაზრდა ქალმა დაინახა სტასია და ხელი დაუქნია. სტასია მიუახლოვდა.

- თქვენ რომელი თეატრიდან ხართ? - ჰკითხა მან და მომხიბვლელი ღიმილი აჩუქა. დიდი თეატრის ბალერინის ასეთმა შეკითხვამ სტასია ბავშვივით გაახარა, ერთი წუთით სიამაყით აივსო. ისიც მოცეკვავე ეგონათ! სტასიამ მორცხვად დახარა თავი და რაღაც ჩაიბუტბუტა პროვინციული ქალაქის შესახებ.

- რა მნიშვნელობა აქვს. ამ საშინელ დროში ხელოვანები ერთად უნდა ვიყოთ, ხომ ასეა? - ახალგაზრდა ბალერინამ სტასია გაამხნევა და ხელი დაუქნია, შეიპატიჟა.

- ევაკუაციის მონაწილე ხომ თან გაქვთ? ადგილს როგორმე ვიპოვით თქვენთვის, ნუ დეღავთ.

ცოტაც და სტასია მიპატიჟებას დაჰყვებოდა და იმ მატარებელში ავიდოდა, რომელში ასვლის უფლებაც არ ჰქონდა. ერთი წუთით ისე იოლად გაჰყვა ილუზიას, ისე მარტივად დაუკავშირა თავის წარსულს, უცებ დაიჯერა, რომ ისევ ჩვიდმეტი წლის იყო, პარიზი და დიაგილევის Ballets Russes ელოდა, თუ ძალიან მოინდომებდა და ბევრს ივარჯიშებდა, ნამდვილად შეძლებდა Théâtre du Châtelet-ში შეჭერებადეს ცეკვას.

ხელი მკერდისკენ წაიღო, იქ, პერანგში, რაღაც სიმძიმე იგრძნო, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა და მას განსაკუთრებულ სიმშვიდეს ანიჭებდა: თეკლას ოქროს საათი.

ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მოცეკვავის დაბნეულ მზერას შეეჩხვა, მადლიერი ღიმილით თავი გააქნია და ისევ ხალხის ტალღას გაჰყვა.

ყაზარმაში გაცნობილმა ოფიცრის ცოლმა დაინახა და ხელი დაუქნია.

- ჩქარა, სტასია. მატარებელი უკვე შეივსო, წამოდი!

სტასიამ უცებ შიშისმომგვრელი სიცარიელე იგრძნო. ყოვლისმომცველი გულგრილობა. ისევ და ისევ იხედებოდა უკან,

ცდილობდა მოცეკვავისთვის თვალი მოეკრა, მაგრამ მათ შორის მეტისმეტად ბევრი ადამიანი ირეოდა.

რა ჯანდაბა უნდოდა თათრეთში?

ერთადერთი ჭკვიანური მიზანი შინ დაბრუნება იყო. მას ამ მატარებელში არ უნდოდა ასვლა, არ უნდოდა მცდარ ცხოვრებას გაჰყიდებოდა. ისეთი ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, რომელიც მას მოცეკვავეების მატარებელთან მიიყვანდა, და არა კამისკენ, თათრეთში მიმავალთან. იქ არა. მისი ადგილი იქ არ იყო. და არც აქ იყო.

ოფიცრის მეუღლემ უქნია და უქნია ხელი, ბევრჯერ დაუძახა, მაგრამ სტასიამ ზურგი შეაქცია და ხალხით გადაჭედული სადგურის დარბაზში გზა გაიკვლია, გარეთ გავიდა სუფთა ჰაერზე, ნაცრისფერ სინათლეში, ბრმასავით გაუყვა ქუჩებს, ფეხები მიაქანებდნენ, მატარებლებით სავსე სადგურს სულ უფრო აშორებდნენ. პატარა ჩანთას მიაკონწიალებდა, როგორც გადამდგარი მეფე თავის კვერთხს. შემადრწუნებლად ცარიელ ვრცელ ხეივანს როცა მიაღწია, სირენის ხმა გაისმა, მაგრამ არც ამან ააღელვა.

გვერდით ქუჩაზე გაუხვია და ცარიელი სახლის შესასვლელთან ჩამოჯდა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. ცას ახედა, ბომბდამშენები არ ჩანდა. ძალიანაც კარგი. ესეც საქმე იყო.

ამ დროს სხვა ქალაქში სხვა ქალი ასევე ჩამოჯდა და ცას ახედა. ის ქალაქი უკვე თვეების განმავლობაში მოწყვეტილი იყო მსოფლიოს და იქ გადარჩენა უკვე საოცრებას უტოლდებოდა. ის ქალი უფრო გამხდარი და მაღალი იყო, ვიდრე სტასია, ხორბლისფერი კანი ჰქონდა, უფრო ასაკოვნად გამოიყურებოდა, ავადმყოფურად და მის ნახშირივით შავ თმას ჭაღარა შერეოდა. დაკემსილი საშემოდგომო პალტო ეცვა და ხელები მიწით ჰქონდა დასვრილი, ლოყები ჩავარდნოდა, გამშრალი ტუჩები დასკდომოდა. თითებზე არც ერთი ბეჭედი აღარ ეკეთა. ის-ის იყო, ერთ-ერთ საზოგადოებრივ პარკში სხვა ქალებთან ერთად ბოსტნეული მიწიდან ამოიღო და სველ მიწაზე დაქანცული ჩამოჯდა. წინა ზამთარს თერთმეტი კილო დაიკლო, გაყიდა ყველაზე ძვირფასი, რაც კი გააჩნდა: პიანინო, რომელიც დასაკრავად კი არა, შეშად გამოიყენეს. თითქმის არც ერთი ფირფიტა აღარ შერჩა, რადგან ბლოკადის დაწყების შემდეგ მუსიკას ვეღარ იტანდა; მუსიკა მგრძნობიარეს ხდიდა, ამის უფლება კი არ ჰქონდა. უკვე აღარ.

მასობრივ სიკვდილიანობას გადაურჩა. შიმშილს გაუძლო. პურის ულუფის 200 გრამამდე დაკლებას შეეგუა. სიცვისისა და შიმშილისგან დახოცილი, ქუჩებში დაყრილი სხეულების ნახვა გადაიტანა. შეხვდა ადამიანებს, რომლებიც თავიანთ ფეხსაცმელს, ძაღლებს ან კატებს, წებოს და ყვავებს ჭამდნენ. ათასობით ბომბს გადაურჩა, ქალაქის ალყაში მოქცევის მერე რომ თავზე აცვიოდა. მაგრამ მუსიკის მოსმენას ვერ

გადაიტანდა. მუსიკა, ასე ეგონა, მის გულს, რომელიც ჯერ კიდევ ყრუდ ძგერდა, ისე აუტანლად შეუკუმშავდა, რომ ადგილზე სულს განუტევებდა.

რაკი გათხოვილი არ იყო, შვილები არ ჰყავდა, არც დახეიბრებული იყო და არც დაჭრილი, ბოლოსკენ ეწერა იმ ადამიანთა სიაში, რომელთაც სასწრაფო ევაკუაცია ესაჭიროებოდათ. ქალაქში დარჩენილ დანარჩენ 700 000 ადამიანთან ერთად მომავალი ზამთრისთვის უნდა მომზადებულიყო. იმ ქალაქის მცხოვრებლებს წინა ზამთარი ისე შემზარავად ჩაებეჭდათ გონებაში, რომ ახლა მექანიკურად და უგრძობლად, როგორც შეეძლოთ, სამზადისს მიჰყვეს ხელი, რათა მორიგ საშინელებას მომზადებულნი შეხვედროდნენ, რადგან საშინელება მთელი თავისი გამანადგურებელი სიდიადით რომ დაბრუნდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. თავის განითლებულ, დამსკდარ, ჭუჭყიან ხელებს დახედა. მხოლოდ აწმყოში ცხოვრობდა, მხოლოდ იმნუთიერად. რამდენჯერ უკითხავს საკუთარი თავისთვის, საერთოდ თუ იცოდა, რატომ ცდილობდა ასე მონდომებით, ასე ჯიუტად, ასე ტკივილამდე გადარჩენას.

26 ოქტომბერს გერმანელებმა ისტრა აიღეს, მხარე, რომელიც სულ რაღაც 40 კილომეტრით იყო მოსკოვიდან დაშორებული, თერმომეტრი მინუს 34 გრადუსს აჩვენებდა. წინა დღეს გენერალისიმუსმა ბრძანება გასცა, ჟუკოვის მეთაურობით კონტრშეტევა დაეწყო. 6 ნოემბერს მოსკოვის მეტროში საზეიმო სიტყვით გამოვიდა და საბჭოთა ხალხის გამძლეობა და წითელი არმიის შეუდრეკელობა აღიდა. მეორე დღეს ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი აღლუმიც კი გაიმართა წითელ მოედანზე. რუსული არმია მოაბიჯებდა, ჯარისკაცების ნაწილი საზამთროდ იყო გამოწყობილი, ზოგიერთს ჩაფხუტი ეხურა, ზოგს – არა (ომის შემდეგ გენერალმა ეიზენჰაუერმა თურმე აღშფოთება გამოთქვა მარშალ ჟუკოვის მიმართ, ომის დროს საბჭოთა კავშირს ადამიანების სიცოცხლე არაფრად უღირდაო. ჟუკოვს გაუღიმია და უპასუხებია: „არა უშავს, რუსი ქალები კიდევ გააჩენენო“).

ნოემბრის ბოლოს გერმანელებს მხოლოდ 20 კილომეტრი აშორებდათ მოსკოვს. 2 დეკემბერს სატანკო ბატალიონი მოსკოვის ერთ-ერთ გარეუბანში შეიჭრა, დურბინდით კრემლს ხედავდნენ. ამ მოვლენის სიმბოლურმა მნიშვნელობამ ნამდვილ ეიფორიაში ჩააგდო გერმანელი ჯარისკაცები, მოსკოვის მალე აღების სიხარულმა რუსული ზამთრის სამიშრობები დაჩრდილა. მოსკოვში ხმა გავარდა, რომ ჰიტლერმა მარშისთვის პირადად შეუკვეთა მუსიკა, რომელიც მოსკოვის კაპიტულაციის დროს უნდა გაჟღერებულიყო.

ამ დროის განმავლობაში რადგან НКВД ადასტურებდა, რომ იაპონია საბჭოთა კავშირზე თავდასხმას არ გეგმავდა, სხვადასხვა დივიზია ჩრდილოეთიდან დედაქალაქისკენ გაგზავნეს. თხილამურებით აღჭურვილი ქვეითი ჯარი მოსკოვისკენ დაიძრა. 5 დეკემბერს, ღამით,

საბჭოთა პარამუტისტები იუხნოვთან დაემშენებნენ, რკინიგზა და მნიშვნელოვანი ქუჩები დაიკავეს და გაამაგრეს.

იმავედროულად დაიწყო კონტრშეტევა დასავლეთში.

ვერმახტი აღარ ელოდა ასეთ ძლიერ წინააღმდეგობას, რეაქცია დაგვიანებული აღმოჩნდა, არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ. დრო დაკარგეს. მხოლოდ 6 დეკემბრის მიიღეს საღამოს სამხედრო შენაერთებმა უკან დახევის განკარგულება.

7 დეკემბერს საბჭოთა საინფორმაციო ბიურომ ახალი სენსაციური ამბავი გაავრცელა, ამჯერად მსოფლიოს სხვა მხრიდან: იაპონელებმა ჰონოლულუსთან მდებარე საზღვაო ბაზას - პერლ ჰარბორს შეუტყეს. პასუხად ამერიკელებმა იაპონიას გამოუცხადეს ომი და ამით ოფიციალურად გახდნენ საყოველთაო აპოკალიფსის მონაწილენი. იაპონიის, როგორც მოკავშირის, დაკარგვის შიშით ჰიტლერმა უკვე ამერიკას გამოუცხადა ომი.

მხოლოდ იანვრის შუა რიცხვებში გასცა ჰიტლერმა მოსკოვიდან უკან დახევის ბრძანება, მაგრამ ამ დროისთვის ჯარები უკვე სერიოზულად დაზარალებულიყვნენ. არა მარტო რუსული ტყვიებისა და ყუმბარებისგან, არამედ უფრო მეტად იმ ზამთრის საშინელი ყინვების გამო. გერმანელ ჯარისკაცებს უკან დახევისას თითქმის მთელი საომარი აღჭურვილობის დატოვება მოუწიათ, არც ცხენები ჰყავდათ, არც მანქანები და არც სანჯავი ჰქონდათ, რომ ტრანსპორტირებისას გადაეზიდათ. გაყინული, თავგზაარეული ჯარისკაცები ქალაქს ტოვებდნენ და ჩუმად ღიღინებდნენ:

მოსკოვის კარიბჭესთან ბატალიონი იდგა.

34-ე დივიზიის ამაყი ნარჩენები.

უკვე კრემლს ხედავდნენ,

მაგრამ უცებ გაქცევა მოუწიათ,

როგორც ერთ დროს ნაპოლეონს.

* * *

საბჭოთა ხელისუფლება არ სჯის,

ის გამოსწორებას ემსახურება.

წარწერა პლაკატზე

კიტი პატარა აღმართზე მისეირნობდა, ქრისტიანს სახლისკენ მიუყვებოდა გზას. გავერანებულ ბაღში შევიდა და ნესტიან მიწაზე წამოწვა. თვალები მაგრად დახუჭა და წინ აციმციმებული წერტილები თვლას შეუდგა, რომლებიც ვარსკვლავებად იქცა.

ქრისტიანე ახალი დაბრუნებული იყო საავადმყოფოდან. ექთნად დაიწყო მუშაობა. უამრავ საბჭოთა დაჭრილ ჯარისკაცთან ერთად ბოლო დროს უფრო მეტი გერმანელი ტყვე შეჰყავდათ. შუშის კარიდან თავის დისშვილს ადევნებდა თვალს, რომელიც იკლავებოდა და იზმორებოდა

და წყლიანი თვალეებით სიცარიელეს უცქეროდა. პატარა სკამი აიღო და კიტის გვერდით მიუჯდა.

- რას აპირებს ანდრო? უნდა მითხრა. ხომ ვხედავ, რომ რაღაც განუხებს, განიცდი. მითხარი.

- არაფერია, აზვიადებ, ქრისტინე. მართლა არაფერია. უბრალოდ, საშინლად შენატრება და დედაბეც...

- ნუ მატყუებ.

- მართლა არაფერი ვიცი.

- უნდა მითხრა, რაც იცი. შეიძლება უსიამოვნებები შეგვხვდეს, კიტი. ძალიან დიდი. უნდა დამეღაპარაკო. სად არის? რატომ ვერ პოულობს კომისარიატი?

- მეც არ ვიცი, სად ჯანდაბაშია. ძალიან მინდა, ვიცოდე!

კიტის ხშირი წამწამებიდან სიმართლის ნატამალიც არ გამოსჭვიოდა. ქრისტინე მარჯვენა თვალით აკვირდებოდა დისშვილს. კიტის ხშირად მოჰქონდა თავი ისე, თითქოს არაფერი იცოდა. რისგან უნდოდა ანდროს დაცვა? რისი ემინოდა? სავარაუდოდ, ანდროს შეეძლო პარტიზანულ მოძრაობას შეერთებოდა, მაგრამ სანამ ვარაუდი ვარაუდად რჩებოდა, ქრისტინე ვერც კიტის დაიცავდა და ვერც საკუთარ თავს. შეიძლება უკვე დიდი ხნის დაღუპული იყო და კიტის ამ უსასრულობის ემინოდა. თითქოს რაღაც კარნახობდა ქრისტინეს, რომ ასე არ იყო.

უცებ ფიქრებით კოსტიასთან წავიდა, რასაც ბოლო თვეების განმავლობაში საკუთარ თავს უკრძალავდა. გაახსენდა მისი მოვლილი ფრჩხილები, მუქი თვალეები, გამართული სიარული, თავაზიანი საუბარი. ისე უნდოდა მისი გულში ჩაკვრა, მისი ლოყების ალერსით დაკოცნა, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა, როცა კოსტია პატარა იყო და ყველანი ერთად ცხოვრობდნენ. სიამოვნებით აუნენდა თმას, ტკბილეულს ჩუმად მისცემდა და ყველაფერი ძველებურად იქნებოდა, კარში რამაზი შემოვიდოდა, დაუძახებდა...

ქრისტინემ ქინძისთავეები გამოიძრო თმიდან, რომლებითაც სახის საბურველი ჰქონდა დამაგრებული. სტასიას გარდა, არავის აძლევდა თავისი დამწვარი სახის ნახვის უფლებას.

“რა ცოტა რამ ვიცით ჩვენ, მითოვებულებმა, დამუნჯებულებმა, - გაიფიქრა, - როგორ გვემინია იმის, რაც ბოლოს გველის.

როგორ გვძულს, რომ გვტოვებენ და ამის საწინააღმდეგოდ რა ცოტა რამ შეგვიძლია ვიღონოთ”. კიტის მხარს შეეხო, რომელიც ჯერ კიდევ უძრავად იწვა.

- მოტრიალდი, შემომხედე.

- ქრისტინე, გთხოვ...

- შემომხედე!

ნელა და მძიმედ წამოიძარტა კიტი, დაუჯერა. გაუცნობიერებლად მიიღო პირზე ხელი, რომ არ ეყვირა. ფართოდ გახედილ თვალეებში

სასონარკვეთილება იკითხებოდა. თავს მექანიკურ თოჭინასავით ამოდრავებდა.

- კარგად შემომხედე: ესეც კი გადავიტანე. ახლა აღარაფრის მეშინია. ჩვენ ერთად შევძლებთ ამას, - თქვა ქრისტიანემ და სცადა ტუჩებზე ღიმილი გამოესახა.

კიტის ხელი ისევ ტუჩებთან მიეტანა.

- სად არის ანდრო?

- გთხოვ.

- მითხარი, სად არის. იქნებ ჯერ კიდევ არ არის გვიან. სტასიამ არაფერი იცის მისი გაუჩინარების შესახებ. ყირიმში ჰგონია.

- ნამდვილად იქ იქნება. იქ გააგზავნეს.

- მაგრამ იქ არ აპირებდა დარჩენას, არა? რომელ შეშლილებს შეუერთდა, პარტიზანებს, ანარქისტებს, ლიბერალებს, ვის?

- არ ვიცი.

- თქვი!

- მეტი აღარ შემიძლია.

კიტი აქვითინდა. თავშეუკავებლად ტიროდა. ტიროდა და ტიროდა, ვერ წყნარდებოდა. ქრისტიანე უსიტყვოდ შესცქეროდა, ტაბურეტზე იჯდა და ელოდა, სანამ გული არ იჭერა.

- რა აღარ შეგიძლია? - ჰკითხა მერე. უცებ კიტი წამოჯდა და კაბა აიწია, დამრგვალებული მუცელი გაიშიშვლა, საგრძობლად გამობურცული. ქრისტიანე სკამიდან წამოდგა. ერთი წუთით კიტის მოეჩვენა, რომ სიბრაზე და ზიზღი დაინახა ქრისტიანეს თვალებში, ეგონა, შევცდიო და ამ შეგრძნების დამამტკიცებელ სიტყვებს ელოდა, მაგრამ ქრისტიანემ მხოლოდ გაურკვეველად დაუქნია თავი და სახლში შებრუნდა. ცოტა ხანში კიტიც შეჰყვა. ქრისტიანე სამზარეულოში შევიდა.

- ბუსტად ერთი ულუფის სამყოფი ინგრედიენტები მაქვს, უთხრა კიტის, - შავი დღისთვის ვინახავდი. ან ბედნიერი დღისთვის. მგონი, ორივე ერთდროულადაა, ამიტომ ახლა შენთვის მოვამზადებ ამას. მამას დაკრძალვის შემდეგ მისი ბლოკნოტი წამოვიღე, სტასიას ხომ არ უნდოდა ამ რეცეპტის გამხელა ჩემთვის! არგუმენტებად რა სისულელეებს არ იმიზგებდა! საფრთხეს შეიცავს, უბედურება მოაქვს, ტყუილად კი არ უფრთხილდებოდა მამა თვალისჩინივით!

- რაზე ლაპარაკობ?

- დაჯექი.

ასე მოუმზადა ქრისტიანემ კიტის ცხელი შოკოლადი პირველად და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ უბედურება, რომელიც მამამისის ეჭვით მის შოკოლადს სდევდა თან და რაშიც სტასია პირადად დარწმუნდა, როცა ორი ბილეთითა და იმედებით სავსე ფონტანკას ნაპირას, თევლას მიტოვებულ სახლში, დაბრუნდა, არც კიტის ასცდებოდა.

იმავე საღამოს სტასიას ზმანება ჰქონდა. თევლა გამოეცხადა, ხელი მოჰკიდა და თავისი პეტერბურგული ვილის ოთახები შემოატარა, სადაც დაფარული სარკეების გარდა სხვა ავეჯი არ იდგა. სტასია მიჰყვებოდა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა ეგონა, ისე ახლოს იყო თევლა, რომ მისი ხალათის სახელოს მისწვდებოდა, თევლა უსხლტებოდა და სხვა ოთახიდან უხმობდა. ბოლოს კედელზე ჩამოკიდებულ ერთ დიდ სარკესთან გაჩერდა, რომელიც სტასიას მანამდე არასდროს ენახა და ფრთხილად ჩამოხსნა საფარი. სარკეში თავისი თავი დაინახა, გვერდით – თევლას სანდომიანი სახე, დააკვირდა ორივე ანარეკლს, მაგრამ როცა მიბრუნდა, რომ უშუალოდ შეეხედა თევლასთვის, ის გამქრალიყო.

სტასია მოსკოვში დარჩა. ქალაქის დატოვების არანაირი გზა არ ჩანდა. ფეხს არ იცვლიდა და მოთმინებით ელოდა სიცოცხლის ნიშანწყალს ქმრისგან, შვილისგან, დისგან. ქრისტიანე კიტის თხოვნით ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი დაუმალა: რომ სიკვდილის წიაღში ახალი სიცოცხლე იშვა და დედამიწას ახალი მოქალაქე მოევილინებოდა.

კონსტანტინე ჯაში ყოველ დილას, ზუსტად 5 საათსა და 14 წუთზე, ყვირილით იღვიძებდა და მეზღვაურებს, რომელთაც მის გვერდით ეძინათ, ძილს უკრთობდა. ისინი დამამშვიდებლად უღიმოდნენ და არნმუნებდნენ, ყველაფერი კარგადააო, აგრძნობინებდნენ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, ჯერჯერობით ყველანი ცოცხლები იყვნენ – საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, კოსტია ამას მათ სახეზე ვერ ატყობდა.

სექტემბრიდან კოსტია ლადოგის ტბაზე იმყოფებოდა და არც იცოდა, რომ ძალზე ახლოს იყო თავის სიყვარულთან. იდა, სხვა ქალებსა და კაცებთან ერთად, ექვს სექტორად დაყოფილ ქალაქში ერთი მეტრის სიმაღლის ბარიკადებს აგებდა. ქუჩების პატრულირებაში აქტიურად მონაწილეობდა, გერმანული ტანკებისთვის ბუნებრივი დაბრკოლების აღმართვა ევალებოდა. რამე უნდა ეკეთებინა, საღი გონების უკანასკნელ ნარჩენებს ეჭიდებოდა. ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ, არ იცოდნენ, რომ მხოლოდ 32 კილომეტრი ამორებდათ ერთიმეორეს. კოსტიამ არ იცოდა, რომ ქალი, რომლის დავიწყებაც არ შეეძლო, რომლის სურნელიც ჩადენილი დანაშაულივით თან სდევდა, ბლოკადის პირველივე წელს 18-საათიან უწყვეტ ცეცხლის დაშენას, 70 000 ბომბს, შიმშილს, ავადმყოფობასა და ყინვას გადაურჩა. არც იდამ იცოდა, რომ კოსტია იმ საზღვაო ქვეითი ჯარის შემადგენლობაში ირიცხებოდა, რომელიც „სიცოცხლის გზის“ დაცვაში მონაწილეობდა, გადამზიდებითა და ძრავიანი ნავებით 44 000 ტონაზე მეტი პროდუქტი და 60 000 ტონაზე მეტი ნავთი შეიტანა ლენინგრადში, რომ 50 000 ადამიანის ევაკუაცია შეძლო და მანაც თითქმის 18-საათიანი სროლა, ბომბები, შიმშილი, ავადმყოფობა და ყინვა გადაიტანა. კოსტიამ არც ის იცოდა, რომ იდაც, ისევე როგორც თავად, ხშირად ფიქრობდა მათ უსიტყვო, ცოტა არ იყოს

სასაცილოდ უცნაურ სიახლოვეზე, რომელიც დროთა განმავლობაში ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. იდამ არც ის იცოდა, რომ საზღვაო ქვეითებმა და 54-ე არმიის ჯარისკაცებმა ნებაყოფლობით შეამცირეს თავიანთი საკვები რაციონი ალყაშემორტყმული მოსახლეობის სასარგებლოდ, რათა მათთვის ჯოჯოხეთური ზამთარი შეემსუბუქებინათ. არ იცოდა, რომ კოსტია უყოფდა პურის ნაჭერს.

ზამთარი დაუნდობელი იყო. ტბა გაიყინა. მომარაგება გაძნელდა, ბევრი დაბრკოლება ექმნებოდათ. ხალხი წყალს ნევიდან იღებდა, ქალაქში ყველგან ცეცხლი ენთო, ინვოდა ავეჯი, ბინები. ორივე ისმენდა გაფრთხილებებს რადიოში. ორივემ თითო ჭიქა არაყი დალია 1941 წლის ბოლო დღეს. სიცოცხლის ან სიკვდილის გზით – 32 კილომეტრით იყვნენ ერთმანეთს დაშორებულნი.

არც ერთმა არ იცოდა, რა ელოდა ამ გზის ბოლოს. კოსტიას ერთეული ტბის სამხრეთ ნაპირთან იყო განლაგებული, შლეხენბურგის მხარეს. ქალაქამდე თვითონ არასოდეს მისულა. წერილებს თითქმის აღარ წერდა. ერთი წლის წინ ჯერ კიდევ იღებდა დედამისის მუდარით აღსავსე წერილებს, დის ალუბლიანი ტუჩებით ბეჭედდასმულ ღია ბარათებსა და მამამისის გამამხნეველ ტელეგრამებს. ეს ცნობები დიდი ხანია აღარ მოდიოდა და აღარც ის ცდილობდა სამშობლოსთან დაკავშირებას. ომმა ენა და გრძნობები მოსტაცა. მკვდრები – მას კი უკვე მეტისმეტად ბევრის სიკვდილი ჰქონდა ნანახი – არ აძლევდნენ მოსვენებას. მოგონებები დაივიწყა.

მხოლოდ ერთი მოგონება ვერ მოიშორა, ბეჭდებასხმული ქალის სახება, ვასილევსკის კუნძულზე რომ ცხოვრობდა. მისი სურნელი სდევდა თან. სიკვდილის სუნზე უფრო მძაფრი ეჩვენებოდა ეს სურნელი. მოგონება ზედ ეკვროდა, თმაზე, კანზე, განუმეორებელი იყო, დაუძლეველი და სახიფათო, იმიტომ რომ ძალას ართმევდა, თავს დაუცველად აგრძნობინებდა.

გაზაფხულზე ჰიტლერმა პირადად უბრძანა სამხრეთ შენაერთს, სტალინგრადისკენ დაძრულიყო. თავისი გეოგრაფიული, სტრატეგიული და, რაც მთავარია, სიმბოლური მნიშვნელობით 1942 წლის გაფხულში სტალინგრადი ჰიტლერისთვის ყველაზე პრიორიტეტული გახდა. სტალინგრადში ვოლგა მიედინებოდა, საბჭოეთში საბრძოლო მასალები სწორედ მისი საშუალებით გადაჰქონდათ. სიმბოლური მნიშვნელობა ასე იხსნებოდა: 1918 წელს გენერალისიმუსს იმ ქალაქში, რომელიც ახლა მის სახელს ატარებდა, „საბოტაჟის მომწყობთა და პარტიზანთა მასობრივი დახვრეტის უფლებამოსილება“ მიენიჭა. აქ დაიწყო მისი აღმასვლა.

* * *

ღმერთო ჩემო, ერთადერთი თხოვნა მაქვს შენთან:

გამანადგურე, დამამარცხე საბოლოოდ,
ჯოჯოხეთში მომისროლე, შუა გზაზე ნუ მიმატოვებ,
იმედი წამართვი და სწრაფად გამანადგურე, უკუნითი უკუნისამდე.
ხარმსი

ივლისში დაიწყო ოპერაცია „ედელვაისი“, რომელმაც ოპერაცია „ლურჯი“ ჩაანაცვლა.

ნოვოროსიისკი უკვე აღებული იყო და შესაბამისად, წითლების უმნიშვნელოვანესი საზღვაო ბაზა – დაკავებული. აგვისტოში ვერმახტმა კრასნოდარი და კაბანი დაიკავა.

მალევე ქართული სამხედრო გზა გერმანელებს ჩაუვარდათ ხელში. იალბუზის წვერზე რაიხის დროშა ფრიალებდა.

კიტის ბავშვი ნოემბერში უნდა დაბადებულიყო, ორი კვირით ადრე ოპერაცია „ურანუსის“ დაწყებამდე, მაშინ, როცა ლენინგრადში ხალხი მასობრივად იხოცებოდა, მისი ძმა კი დაუღალავად ცდილობდა ამის თავიდან აცილებას, მისი შეყვარებულის საფრანგეთის ფრონტზე, ქართულ ლეგიონში გადაყვანამდე რამდენიმე თვით ადრე. სექტემბერში ზუსტად ცხრამეტი წლის კიტი წამოზრდილი მუცლის გამო იძულებული გახდა, საავადმყოფოში მოხალისედ მუშაობაზე უარი ეთქვა, ჯერ კიდევ ზაფხულივით თბილ ერთ ნაშუადღევს ის სამმა წითელარმიელმა სახლიდან აიყვანა.

ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩაჯდა მანქანაში; შეიძლება ეგონა, რომ ანდროს საიდუმლო შეტყობინება უნდა გადაეცათ, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა. იმედის ნაპერწკალი იყო ეს მისთვის, მომავლის ნაწილი. ორსაათიანი მგზავრობის მერე რომელიღაც სოფელში ჩავიდნენ თბილისიდან სამხრეთით – სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცო, სად – და მიტოვებული სკოლის შენობაში შეიყვანეს. მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ. კიტის შეკითხვებს მგზავრობის მიზნის შესახებ უპასუხოდ ტოვებდნენ. ერთ ცარიელ ოთახში შევიდნენ, კედელზე გენერალისიმუსის უზარმაზარი, ცუდად შესრულებული პორტრეტი ეკიდა. იქ დახვდა ორი მიტოვებული სასკოლო მერხი, ერთი დამტვრეული სკამი, ბოთლი წყალი.

დაღლილი და ფეხებდასიებული გოგონა თითქმის ერთ საათს აყურყურებს ამ ოთახში. კიტი სულ გარეთ იყურებოდა, იძახდა, რომ არ უნდოდა იმდენს ხანს იქ ყოფნა, ითხოვდა, დალაპარაკებოდა ვინმე, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ არავინ პასუხობდა. ბოლოს ოთახში წითელი არმიის ფორმიანი ქალი შევიდა, სამოქალაქოტანსაცმლიანი დაბალი კაცი ახლდა. კიტის პირისპირ დასხდნენ და ჭიქა წყალი შესთავაზეს. ქალი მეგობრულად უღიმოდა, კაცი თვალის არიდებას ცდილობდა.

– ამხანაგო ჯაში, ვწუხვართ, რომ ამდენ ხანს გაცდევინეთ. ვიცით, ამ სიციხეში გაჩერება თქვენს მდგომარეობაში იოლი არ არის. ასე რომ, სწრაფად გამცნობთ ჩვენს სანადელს: როგორც თვითონაც იცით, ჩვენს

სამშობლოში გამანადგურებელი ომი მძვინვარებს. გენერალისიმუსი შეუძლებელის გაკეთებას ცდილობს, რომ ჩვენს ქვეყანას თავისუფლება და ჩვენს ხალხებს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნოს. ჩვენი საუკეთესო ვაჟკაცები იბრძვიან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში და თქვენ ალბათ გესმით, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ დროს თავდადებას, სამშობლოს ერთგულებასა და სოციალიზმის რწმენას, ხომ ასეა? ისიც გეცოდინებათ, რა მძიმედ ფასდება ამ დროს ღალატი? ხომ გვეთანხმებით, ამხანაგო ჯამი? – ქალი რუსულად, მოსკოვური დიალექტით ლაპარაკობდა. დახვეწილი სახე ჰქონდა, – ტუჩები წითლად შეეღება. პომადა სიციხის გამო ცოტა გათხაპნოდა და ტუჩები ჯამბაზის პირს მიუგავდა. კიტი სულ მის ტუჩებს უყურებდა, სხვანაირად არ შეეძლო. შემწიწიველი კაცი ჩამოწოლილ ბინდში ბოლთას სცემდა. შუქი არ აუნთიათ.

– ჩემგან რა გინდათ?

ალბათ მხოლოდ მაშინ მიხვდა კიტი, რომ ამ მოგზაურობას ნანატრი შეტყობინება არ მოჰყვებოდა. ჯერ არ ესმოდა, საით მიდიოდა საქმე, იმიტომ რომ დასამალი არაფერი ჰქონდა. მალე უნდა ემშობიარა. მშვიდად იყო. ჯერ არ იცოდა თავისი ოცნებების ფასი.

– თქვენი შვილის მამამ სამშობლოს უღალატა. ფაშისტების მხარეს გადავიდა და ჩვენ წინააღმდეგ იბრძვის. საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ. საკუთარი მეგობრების წინააღმდეგ. პირდაპირ გეკითხებით, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, როგორც ქალი ქალს, როგორც ამხანაგი ამხანაგს: ბუსტად სად იმყოფება ამჟამად თქვენი საქმრო, თქვენ ხომ დანიშნული ხართ, ასე არ არის? გაგვანდეთ მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი და დაუყოვნებლივ წაგიყვანთ სახლში.

კიტი ისევ ქალის ტუჩებს აკვირდებოდა. სასიამოვნო, რბილი ხმა და ხავერდოვანი ტემბრი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ნათელი იყო, რას გულისხმობდა, თითქოს მისი სიტყვები ძლიერად უტევდნენ კიტის, კატეგორიული კილოც იგრძნობოდა. მისი ხმის წყალობით ეს ნათქვამი მიაღერებდას, კომპლიმენტების თქმას ჰგავდა. მისი სიტყვები მის ხმას არ ესადაგებოდა.

– მისი განვევის შემდეგ ანდროსგან არავითარი ცნობა არ მიმიღია. სამწუხაროდ, არ ვიცი, სად იმყოფება ამჟამად, და თან ეჭვი მეპარება, რომ ანდროს სამშობლოსთვის ეღალატა, – ამოიხსუტუნა კიტიმ და მუცელს ხელები შემოხვია, – უკაცრავად, შეგიძლიათ, შუქი აანთოთ? თითქმის ვერ გხედავთ.

– გვერწმუნეთ, ამხანაგო, ჩვენც გვინდა სახლში მალე წასვლა, თქვენ უნდა ითანამშრომლოთ ჩვენთან, თორემ კიდევ დიდხანს ვერ გავალთ აქედან.

კიტი ქალის მხოლოდ სილუეტს არჩევდა. ისეთი გულწრფელი ხმა ჰქონდა, თითქოს სულ არ სიამოვნებდა ამ შეკითხვების დასმა. ეს

ალერსიანი კილო კიტის სახლში მალე დაბრუნების იმედს აძლევდა. რატომღაც იმაზე ფიქრიც ამშვიდებდა, რომ დამკითხველი ქალი იყო.

- მართლა არაფერი ვიცი, მაგრამ ანდრო მოღალატე არ არის, გარნმუნებთ, ის არასდროს... - კიტიმ უსუსურობა იგრძნო, აღარ იცოდა, რა ეთქვა ამაზე მეტი.

- თქვენ არ გახვალთ ამ ოთახიდან, სანამ არ ალაპარაკდებით, - ქალი სახით მარჯვენა ხელს დაეყრდნო და კიტისკენ ოდნავ გადაიხარა.

- კი მაგრამ, მე მართლა არაფერი ვიცი.

ასე გრძელდებოდა, საათები კიტის დღეებად ეჩვენებოდა. ქერა ქალის მშვიდი, კეთილგანწყობილი ხმა, კიტის ერთი და იგივე პასუხები. უტყვი ვაცი ფონად. სიბნელე. ცარიელ ფანჯრებში შემოდნეული მთვარის მკრთალი შუქი. კიტის ნევროზული მოძრაობა, სკამზე რხევა, თავის ქნევა, ფრჩხილების კვნეტა. კვნესა. ამოსუნთქვა და ქალის მშვიდი, რბილი ხმა, რომელიც უკვე აღარ ეჩვენებოდა კიტის ასე დამამშვიდებლად, პირიქით, უფრო იღუმალი იყო. მისი ხმა ატყუებდა კიტის. ცრუ იმედს უჩენდა. დროის შეგრძნება თანდათან ეკარგებოდა და ბოლოს სრულიად გაუქრა. როცა ირიჟრაჟა, კიტი ატირდა. ტირილი ისტერიულ ქვითინში გადაიზარდა. შიოდა, ეშინოდა, გრძნობდა, როგორ აწვებოდა ბავშვი მუცლიდან, მის შიშსაც განიცდიდა.

თხოვდა, ევედრებოდა, გაეშვათ, სახლში წაეყვანათ, არაფერი იცოდა, არაფერი, არაფერი. ქალი მის ხვეწნა-მუდარას სრულებით არ აქცევდა ყურადღებას და მექანიკურად უმეორებდა შეკითხვებს, კიტიმ ბოლოს ყვირილი დაიწყო, მიშველეთო. ამაზე უცებ წამოხტა ქალი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა, თითქოს მარმარილოს ქანდაკება იყო, და გარეთ გავარდა. საკლასო ოთახში ორი წითელარმიელი შემოვიდა, კიტის იდაყვებში სტაცეს ხელი და დერეფანში გაათრიეს. სკოლის სარდაფში ჩაიყვანეს, ჩაბნელებულ ოთახში, იქ ჩაკეტეს. ეჭაჭგურებოდა კარს, აბრაახუნებდა, ილანძვებოდა, იმუქრებოდა, ინყევლებოდა, ბოლოს ევედრებოდა, გამოშვებას ითხოვდა, ანამუსებდა, ბავშვი მშიერია, ვერ ისვენებსო, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას, მერე სასოწარკვეთილი ცივ იატაკზე დაემხო და ჩაეძინა.

როცა გაელვია, საკაცებე იწვა, ფეხებსა და გულმკერდზე ტყავის ქამრები ჰქონდა შემოხვეული. იმავე საკლასო ოთახში იყო, სადაც წინა ღამეს დაკითხეს. ოღონდ მერხები გაეტანათ და გენერალისიმუსის პორტრეტი ჩამოეხსნათ; სურათი იატაკზე დაედოთ, სახით კედლისკენ შეებრუნებინათ. იმ ადგილას, სადაც ის ეკიდა, ნათელი მართკუთხედი ჩანდა, საოცრად სიმეტრიული და შთამბეჭდავად სუფთა.

კიტის ყვირილის ძალა არ ჰქონდა. არც კი უცდია ქამრებისგან გათავისუფლება, იცოდა, რომ ვერაფერს გახდებოდა. ოდნავ მარცხნივ გაჩოჩდა, უფრო მოსახერხებელი მდგომარეობა მოძებნა, რომ სამაგრები

ისე ძალიან აღარ შერტობოდა ხორცში. თავზემთ, ჭერში, შიშველი ნათურა ეკიდა და აბრმავებდა მისი ცივი, თითქმის თეთრი შუქი. კიტიმ თვალები აახამხამა, სცადა, თვალისმომჭრელი ბურთისგან განზე მიეტრიალებინა თავი.

კუთხეში ფორმიანი ქალი იჯდა. კიტიმ გახედა და ახლაც ვერ მოაპორა თვალი მის წითელ ტუჩებს. ტუჩები იდეალურად შეეღება. სახის ლამაზი ჰარმონიული ნაკვთები ჰქონდა, თხელი ცხვირი, თითქოს დახატული, დახვენილი, მაღალი ვარცხნილობა, რომელიც იმ გარემოსთვის სრულიად შეუფერებელი იყო. თითქოს წვეულებიდან მოუნია აქ გამოქცევა ამ მძიმე და უსიამოვნო საქმის მოსაგვარებლად და მერე ისევ თავის ბეიძე უნდა დაბრუნებულიყო.

ვინ იყო ეს ქალი? სადაური იყო? რომელი სამყაროდან მოვიდა? რისი სუნი ჰქონდა მის სამყაროს? ვინმეს უყვარდა? თვითონ უყვარდა ვინმე? ზოგჯერ მაინც იპყრობდა ხოლმე სევდა? პომიდორი უფრო უყვარდა თუ კიტრი? მთა თუ ზღვა? გვიან წვებოდა, ჰყავდა შვილები ან დედა, რომელიც იავნანას უმღეროდა? ნეტავ მის კანს მართლაც ოდნავ მოტკბო სუნი ჰქონდა, როგორც ეს კიტის წარმოედგინა?

კიტი ერთ წუთს უყურებდა, თუმცა ძლივს აბრუნებდა თავს მისკენ, იმიტომ რომ სალტე ერტობოდა თეძოში. ავადმყოფურად გაუხარდა ისევ ამ ქალის დანახვა.

ის კვლავაც აქ იყო. ისევ რაღაც უნდოდა მისგან. ჯერ კიდევ მშვიდი ჩანდა, თანაგრძნობით სავსე, ესე იგი იმ უხეშ, მღუმარე კაცებთან არ დატოვებდა, ესე იგი უკიდურესობამდე არ მივიდოდა. მაგრამ ზუსტად რას ნიშნავდა ეს უკიდურესობა? შავ ბნელ ხვრელს, უსასრულოს და უხმაუროს? საკანს, სადაც მიღებიდან წყალი წვეთავდა? უფრო მეტ სალტეს? თუ მხოლოდ მის უსასრულოდ გამეორებულ შეკითხვებს ანდროს ადგილსამყოფლის შესახებ? ქერა ქალის კანი ფაიფურივით პრიალებდა მოლურჯო შუქში. სულ არ უხდებოდა ამ მითოვებულ, გაუგებარი დანიშნულების ადგილს. არა, ეს ქალი უკიდურესობას არ დაუშვებდა, კიტი დარწმუნებული იყო ამაში. მეტისმეტად ლამაზი, მეტისმეტად მოხდენილი იყო უკიდურესობისთვის. გარდა ამისა, ქალი იყო. ისეთივე ქალი, როგორიც თვითონ კიტი.

კიტის ოფლი ასხამდა შუბლზე, სამინლად შიოდა და ტუჩები დასკდომოდა. ის ქალი წამოდგა, ნელა მიუახლოვდა და ბოთლი პირთან მიუტანა, კიტი ხარბად დაენათა წყალს. ნახევარი სახებე ეღვრებოდა, მაგრამ გრილი სითხე კანზე ესიამოვნა კიდევ.

- მესმის, სამწუხაროა, რომ ამ ყველაფრის ატანა გინევთ, მაგრამ უნდა ითანამშრომლოთ ჩვენთან.

ქერა ქალმა კიტის შუბლზე ოფლი მოსწმინდა ძვირფასი ცხვირსახოცით, რომელიც ფორმის ჯიბიდან ამოიღო. ცხვირსახოცს ზუსტად ისეთი ტკბილი სუნი ჰქონდა, როგორიც, კიტის ვარაუდით, მის

კანს უნდა ჰქონოდა. ტკბილი, მიმზიდველი, ცოტა იდუმალი. ამ აღმოჩენამ შეაშინა კიტი.

- მშია... სახლში მინდა. გთხოვთ. მე არაფერი ვიცი, - ეს სიტყვები კიტიმ მექანიკურად ჩაიბუბბუტა, თითქმის გულგრილად, უაზროდ. კედელზე თეთრ ოთხკუთხედს შესცქეროდა. შუაღღე იყო? თუ ნაშუაღღევი? ქრისტინე უკვე ეძებდა? და თუ ეძებდა, რა იმედი უნდა ჰქონოდა, რომ იპოვიდა?

- მითხარით ადგილსამყოფელი, დამისახელებთ ვინ დაამყარა მასთან კონტაქტი, მომეცით მისამართი, მომანოდეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც გამოსადეგი იქნება და პირადად წაგიყვანთ სახლში. მაგრამ რალაც ხელმოსაჭიდი უნდა მქონდეს თქვენგან, ქეთევან!

- როგორ გგონიათ, რამე რომ ვიცოდე, ამას დავმართებდი ჩემს შვილს? იმდენი ხანია ველოდები მისგან ცნობებს, ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია თუ არა, მან კი არც იცის, რომ ბავშვს ველოდებით და ორი თვეში მამა გახდება. ანდრო მოლაღატე არ არის, უბრალოდ, ვენაში უნდოდა წასვლა...

- ვენაში, ძალიან კარგი, ამით შეიძლება დანყება. ვის იცნობს ვენაში? რა უნდოდა იქ?

- არავის იცნობს, უბრალოდ, ვენაში უნდოდა, იმიტომ რომ იქ ლამაზი კაფეებია, ფსიქონალიზით არის დაინტერესებული, თან იქ შეძლებდა მოქანდაკობას... ანდროს უნდა მოქანდაკე გახდეს. გთხოვთ. არაფერი ვიცი. ბავშვი შეშინებულია, ვგრძნობ.

- თვითონაც ბავშვი ხართ ჯერ, ჩემო პატარა. თქვენს მშობლებს უკეთესად უნდა დაეცავით.

- მამაჩემი წითელ არმიიაშია, ჩემი ძმა ბალტიის ზღვის ფლოტში მსახურობს. ისინი სამშობლოს ემსახურებიან, გენერალისიმიუსს ემსახურებიან, ისინი...

- ჩვენ ეს ვიცით, ვიცით, და მით უფრო სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ სწორედ თქვენ აჩენთ შვილს მოლაღატისგან.

ეს ფრაზა ექოსავით ჩაესმა კიტის. ეს სიტყვები ქერა ქალმა საზარლად წარმოთქვა.

ისევ სარდაფში ჩაკეტეს, მერე გამოიყვანეს და კვლავ საკაცებზე მიაბეს. დრო გადიოდა. კიტიმ აღარ იცოდა, რა დღე იყო, რომელი საათი. მთელი სხეული სტკიოდა, ბავშვს ეშინოდა. ორჯერ აჭამეს უმარილო ფაფა. სამჯერ შეუდგეს ღამის ქოთანს. მკვლავები და ფეხები ეკრუნჩხებოდა. ძალა გამოეცალა, მოლანდებები დაეწყო, მკვეთრი შუჭი დაძინების საშუალებას არ აძლევდა, თვალებს გამუდმებით მაგრად ხუჭავდა. ბავშვი თუ არ იძვროდა, პანიკაში ვარდებოდა, ყვიროდა, შველას ითხოვდა; როგორც კი ბავშვი შეირხეოდა, მაშინ ისევ ეცლებოდა ძალები.

უცებ ქერა ქალი მის საკაცეს მიუახლოვდა. ხელში შპრიცი ეკავა, რომლის შიგთავსსაც ნათურის თეთრ შუქზე აკვირდებოდა.

- თუ უახლოეს ნუთებში შენგან საჭირო ინფორმაციას არ მივიღებ, - ეს „შენ“ უფრო სახიფათო მუქარად მოეჩვენა კიტის, ვიდრე შპრიცი მის ხელში, - ხელოვნურ მშობიარობას გამოვიწვევთ და მკვდარ ნაყოფს გააჩენ.

ქალი წინდახედულად ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვას ხელოვნურად აგრძელებდა. მაგრამ ხმა ისევ რბილი ჰქონდა, თითქმის ალერსიანი, თითქოს სასიხარულო ამბავს უზიარებდა კიტის და არა რაღაც გაუგონარს წარმოთქვამდა.

კიტი მთელი ძალით მიანვა ზედა სალტეს, წამოხტომა უნდოდა, თვითონაც უკვირდა, საიდან გაუჩნდა უცებ ამხელა ძალა გათავისუფლების მცდელობისთვის. იმავდროულად, ისეთი ხმა აღმოხდა, რომ თავადაც დაეხშო რამდენიმე წამით სმენა; ეს იყო განწირული ღრიალი, რომელშიც არაფერი დარჩენილიყო ადამიანური. ქალი უხმოდ იდგა მის გვერდით და სინანულით აქნევდა თავს ისევ და ისევ. კიტიმ სალტის ქვემიდან ხელი გაიშვირა და მისი უნიფორმის კიდეს ჩაეჭიდა. ქერა ქალი არ განძრეულა, არც უცდია კიტის ხელის მოშორება, შპრიციც ისევ მაღლა აწეული ეჭირა.

- მართლა ხომ არ იზამთ ამას, არა? ჩემი შეშინება გინდათ, ხომ ვხვდები, ხომ გატყობთ. თქვენ კეთილი ხართ, მოგწონვართ, არა? ხომ ასეა? თქვენ არაფერს დამიშავებთ, მხოლოდ ჩემი შეშინება გინდათ და შპრიცში უბრალოდ წყალია, არა? თქვენ ამას არ იზამთ.

კიტი სწრაფად ლაპარაკობდა, ერთი ამოსუნთქვით წარმოთქვა სიტყვები. ის ქალი ერთი წუთის განმავლობაში თავის ფორმაზე ჩაჭიდებულ კიტის ხელსა და შპრიცზე მიმართულ მხერას შორის მერყეობდა. საშინელი თამამის გაგრძელებისა და კიტის გათავისუფლების გადანყვეტილებებს შორის. ყოველ შემთხვევაში, კიტის ასე მოეჩვენა. დიახ, ისიც ქალი იყო, ათი ან იქნებ თხუთმეტი წლით უფროსი კიტიზე, ალბათ, შვილებიც ჰყავდა. ნამდვილად ვერ შეძლებდა იმის შესრულებას, რითიც კიტის დაემუქრა, უფროსისთვის უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მამაკაც კოლეგებს არაფრით ჩამოუვარდებოდა. მაგრამ იმავე წუთს ქალმა ვიღაცას დაუძახა.

ახალგაზრდა თეთრხალათიანი გოგო შემოვიდა ოთახში, დაახლოებით კიტის ასაკის იყო და შეშინებული, ძალიან შეშინებული. ეტყობოდა, ხელები უკანკალებდა, თუმცა ხალათის ჯიბეებში მალავდა. ქერა ქალისთვის თვალეებში შეხედვას ვერ ბედავდა, კიტისაც ვერ უსწორებდა სახეს, თვალეები დაბლა დაეხარა, უნდოდა, რომ ეს ადგილი, ეს საკლასო ოთახი, ეს ადამიანები საერთოდ არ არსებუიყვნენ.

გოგო ნამდვილად სოფლიდან იქნებოდა. წითელი ლოყები ჰქონდა და მზით დამწვარი კანი. შეიძლება, მისი მშობლები ან მისი ქმარი

მეურნეობას უძღვებოდნენ. ქერა ქალის წინ რომ გაჩერდა, თვალი ვეღარ აარიდა კიტის და ჩუმად ლოცვა დაიწყო, „მამაო ჩვენოს“ ამბობდა, რასაც ქერა ქალის დამამცირებელი მხერა მოჰყვა.

- ამხანაგ ჯაშს არ უნდა, რომ დაგვეხმაროს, მარიამ. ამხანაგი ჯაში სამშობლოს დალატობს. ამხანაგი ჯაში ხელს აფარებს ქვეყნის მოლალატეს და კიდევ ერთი მოლალატის გაჩენასაც აპირებს. თქვენ ეს მართებულად მიგაჩნიათ? კარგია ეს, თქვენი აზრით, მარიამ?

ამ სიტყვების გაგონებაზე კიტიმ გულისრევა იგრძნო. ღებინება დაეწყო, მაგრამ არაფერი ამოსდიოდა, იმიტომ რომ ფაფა დიდი ხნის მონელებული ჰქონდა და მისი კუჭი ცარიელი იყო. სცადა ყურადღება მარიამზე გადაეტანა, შეშინებულ გოგომზე, რომელიც აქ ისეთ ამბავში გაეხვა, როგორსაც ვერ წარმოიდგენდა, რის გამოც მუხლები ეკეცებოდა, ფერი მისდიოდა.

“მარიამ, მარიამ, დედაო ღვთისა”, - გაიფიქრა კიტიმ და რომ შესძლებოდა, ხმამაღლა გადაიხარხარებდა. ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა წმინდანებს, რომლებსაც კვლავინდებურად სწამდათ მის ქვეყანაში, აყვავებული სოციალიზმის ეპოქამიც კი. არასდროს ესმოდა, რატომ ეწამებოდნენ და იტანჯებოდნენ ადამიანები ღმერთისთვის, რომელმაც თავისი ტანჯვით ვერ იხსნა, ვერ გადაარჩინა ადამიანები. ხბოსავით უმანკოთვალეებიანი, ხელებაკანკალებული, თეთრ ხალათში გამოწყობილი მარიამიც წმინდანს ჰგავდა, არც მას შეეძლო კიტის ხსნა და ვერც თვითონ გადარჩებოდა.

ქერა ქალმა წმინდანს შპრიცი შეაჩეჩა ხელში, მეორე ხელი მკლავზე წაატანა და თვალეებში ჩახედა. მარიამმა დაიკვნესა, რაღაცის თქმა სცადა, გაჩუმდა, უკან დაიხია, ქალი კი თვალს არ ამორებდა. მარიამმა თითები შემოაჭდო შპრიცს. ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან და მარიამს თავი დაუქნია. მარიამმა ღრმად ჩაისუნთქა, წყლიდან ამოგდებული თევზივით პირს აღებდა და ხურავდა.

- მიდი! - გაიგონა კიტიმ, როგორ მიმართა ქერამ მარიამს და იგრძნო, მარიამი იდაყვზე როგორ უსვამდა ხელს. კიტიმ თვალეები მაგრად დახუჭა. დარწმუნებული იყო, რომ გული გაუსკდებოდა. ცდილობდა, გონებაში ბავშვთან ელაპარაკა, ცდილობდა დაემშვიდებინა. არ უნდოდა, რომ შეშინებული ყოფილიყო. თითები საკაცეს ჩასჭიდა. იგრძნო, როგორ დაეწვეთა რაღაც მარილიანი სახეზე და მისკენ გადმოხრილი მარიამის სახე დაინახა, დაინახა, როგორ ეცემოდა სახეზე მისი ცრემლები, პირველად ჩახედა მარიამს თვალეებში: ნათურის კაშკაშა შუქი შარავანდედივით ედგა მარიამს თავზე. კიტიმ ტუჩები აილოკა და ენაზე მარიამის ცრემლების მარილიანი გემო იგრძნო.

- უფალო, შემიწყალე, უფალო, შემიწყალე, უფალო, შეგვიწყალე, უფალო! - ჩურჩულებდა კიტის სახესთან გადმოხრილი მარიამი. უკნიდან ქერა ქალი მიადგა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში, მარიამს სახე

მოედრიცა, მერე კიტიმ იგრძნო მარიამის ხელი თავის მკლავზე, იგრძნო, როგორ ეძებდა მის ვენას, როგორ შეუყვანა რაღაც ცივი და გარდაუვალი სისხლში. ქერა ქალი ოთახიდან გავიდა, მარიამი და კიტი მარტო დატოვა. მარიამმა სალტეები შეხსნა. კიტის მკლავებსა და თეძოებზე სისხლჩაქცევები გასჩენოდა. მარიამი ასრუტუნდა, ცრემლად დაიღვარა, სახის მოწმენდაც კი არ უცდია. გაუჩერებლად ლოცულობდა და კიტის წამოჯდომასი ეხმარებოდა. კიტის ყველაფერი სტკიოდა, სხეულის ყველა ნაწილი, ყოველ მოძრაობაზე კვნესოდა და მუცელზე ისვამდა ხელს.

- რა იყო შპრიცში? - ძლივს ლაპარაკობდა, ფეხები გადმოკიდა საკაცებზე. პასუხის ნაცვლად მარიამმა მხოლოდ თავი გააქნია.

- რა იყო? რა? - ხმას აუნია კიტიმ, ხელი გაიშვირა მარიამისკენ, მაგრამ სანამ მის ხალათს ჩაეჭიდებოდა და თავისკენ გაქაჩავდა, წარმოუდგენელმა ტკივილმა მუცლის ღრუში ისევ საკაცებზე დაანარცხა.

- ღმერთო, არა, არა, ეს შეუძლებელია, შეუძლებელია, ღმერთო! - კიტიმ ყვირილი დაიწყო. საშინელმა ტკივილმა დაუარა; თითქოს სხეული ნაფლეთებად ექცა. კიტის ეგონა, რომ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა. იმ იშვიათ წუთებში, როცა გონების დაკარგვამდე მიმყვანი ტკივილი ცხრებოდა, ცდილობდა, სიკვდილს შეჭგუებოდა, ცდილობდა თავისი გარდაცვლილი ბაბუის წარმოდგენას, რომელსაც ტუჩები გალურჯებოდა და მაინც მშვიდად გამოიყურებოდა, იქნებ თვითონაც შეეძლო, მშვიდად და უშიშრად გამქრალიყო, იქნებ ღრმა, უშფოთველ ძილს მისცემოდა. იმაზე უკეთესი მაინც იქნებოდა, ვიდრე ახლა. ტკივილს, იმ საკლასო ოთახს, კედელზე გამოსახულ თეთრ ოთხკუთხედს მაინც აჯობებდა.

მარიამს კვლავაც ეჭირა მისი ხელი, ამხნევებდა, გაიჭინთეო. აიძულებდა, ესუნთქა. და როცა კიტის უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ წამიც და მოკვდებოდა, იგრძნო, როგორ გამოუსრიალდა ფეხებს შორის რაღაც დიდი, მრგვალი, იგრძნო, რომ მარიამის ხელებმა პატარა სხეული ამოაცალა და საკაცებზე გადაესვენა. ტკივილი უეცრად შეწყდა. თვალი არ გაუხელია.

- განაგრძე ლოცვა. არ გაჩერდე, - კიტი თვალის გახელას ვერ ბედავდა. მარიამმა ლოცვა დაიწყო. კიტი მის ყოველ სიტყვას იმეორებდა.

- მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავ სახელი შენი, - ახალშობილის ხმა არ ისმოდა. არავითარი ტირილი. არავითარი ხმა, - მოვედინ სუფევა შენი. იყავ ნება შენი, - ბავშვი ხმას არ იღებდა. იქნებ უბრალოდ მუნჯი იყო, ნამდვილად მუნჯი იქნებოდა, - ვითარცა ცასა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, - რაღაც გაფაჩუნდა. მარიამი ამოძრავდა. იქნებ ბავშვი გაინძრა. იქნებ სუნთქვა დაიწყო, - პური ჩვენი არსობისა, - კიტიმ ვეღარ მოითმინა, თვალი გაახილა, დაინახა მარიამის ზურგი, სისხლის ლაქები მის ხალათზე. დაინახა, რომ მარიამს მისი ბავშვი ეჭირა ხელში, - მოგვეც ჩვენ დღეს. და მოგვიტევენ... - კიტიმ მუშტი შეაცურა

კუდუსუნთან და იმას დაეყრდნო, რომ უკეთესად დაენახა, – ჩვენ შეცოდებანი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ... – მარიამი მოტრიალდა. ლოცვა შეწყვიტა. აღარაფერი იყო ღმერთისთვის შესავედრებელი.

– გააგრძელე, გააგრძელე! – დაუყვირა კიტიმ, მაგრამ მარიამმა მხოლოდ თავი გააქნია, პანანინა, სისხლიანი სხეული მაგრად ჩაიხუტა.

– ისევ დააბი! – კარიდან ქერა ქალის ძახილი მოისმა. მაგრამ კიტი საკაციდან გადმოხობდა და კარისკენ გავარდა ისე, რომ თავისი მკვდარი შვილი არც კი აიყვანა ხელში. კარის გაღება ვერ მოასწრო, რომ წითელარმიელი, მანქანაში მყოფთაგან ერთ-ერთი, შემოვიდა და წინ გადაუდგა, იატაკს მოსწყვიტა, საკაცესთან დააბრუნა, დაანვინა და მაგრად დააბა.

– ჯერ პლაცენტა არ გამოსულა, თქვენ ჯერ... – დაიძახა შეძრწუნებულმა მარიამმა, – თქვენ რა ხალხი ხართ, რა ხალხი ხართ!

მძიმედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა მისი რუსული. ხმა ჩახლექილი და დაგუდული ჰქონდა.

კიტის აღარაფერი გაუგია. მის თავში სრულმა სიბნელემ დაისადგურა.

აღარც შეუხედავს, როგორ გაახვია მარიამმა უსიცოცხლო სხეული თავის ხალათში და ოთახიდან გაიტანა.

მარიამი როცა დაბრუნდა და გულნასული კიტი აღმოაჩინა, ყვირილი დაიწყო და ქერა ქალი ოთახში დაბრუნდა.

– სისხლდენა არ უჩერდება, სისხლისგან დაიცვლება. რამდენი სისხლია, ღვთისმშობელო, იესო, წმინდაო წინო, სისხლდენა უნდა შევუჩეროთ, თორემ მოკვდება...

იმედგაცრუებულმა ქერა ქალმა წუთით თვალი შეავლო კიტის სისხლში ჩაძირულ ქვედა ტანს და მარიამს მიმართა:

– უნდა შეაჩერო სისხლდენა. რაც საჭიროა, ყველაფერს სარდაფში იპოვი, მეტალის კარადებში. ოპერაცია უნდა გაუკეთო. საშვილოსნო უნდა ამოაჭრა. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიღუპება, შენ ხომ ეს არ გინდა. შეიძლება ისევ მოუვიდეს აზრად უფრო მეტი მოღალატის გაჩენა. ხომ შეგიძლია ოპერაციის გაკეთება?

– რა? არა, არა, არა. მე ეს არ შემიძლია. ჯერ არასდროს ჩამიტარებია ოპერაცია, ექიმი ხომ არ ვარ, უბრალოდ, პოლიკლინიკაში ვმუშაობდი ექთნად, მარტო ვუყურებდი, გაკერვა და ნაკერების ახსნა შემიძლია, მაგრამ ამოჭრა – არა.

– მე კი მითხრეს, რომ კარგად იცი შენი საქმე. ამიტომაც ხარ აქ. ასე რომ, ნება იბოძე და ეს საკითხი მოაგვარე. მორფს მოვატანინებ შენთვის. სადებიზნფექციო მასალაც ქვემოთ არის, სარდაფში. შეგიძლია ახლავე დაიწყო!

– არ შემიძლია. არ შემიძლია!

მარიამი სულ უფრო ისტერიული ხდებოდა.

– მაშინ ნამდვილად დაიცვლება სისხლისგან.

- გთხოვთ, არა, არა... ამას ნუ გამიკეთებთ. ექიმი მოიყვანეთ. გთხოვთ!

- ჩემებიდან რომელიმე დაგეხმარება. ნუ გეშინია, გული არ წაუვა. და თუ მცდარი აზრები მოგივა, კარგად იცი, რაც მოჰყვება შედეგად.

- კარგი, კარგი, შევეცდები.

- თუ გადარჩება, მერე თან წაიყვან სოფელში, და როცა ფეხზე დადგება, სახლში გაუშვებ. ენას კბილს დააჭერ, როგორც ყოველთვის, ხომ ასეა? გადაეცი: როგორც კი ის დაუკავშირდება, ჯობია, თავისი ნებით მივიდეს უახლოეს კომისარიატში, თუ არ უნდა, რომ... თუმცა ახლა უკვე თვითონაც მიხვდება ამას.

მარიამმა წითელარმიელს დაუძახა, აიძულა, ხელები სპირტით გაესუფთავებინა და დაავალა, მოთხოვნისთანავე საჭირო ინსტრუმენტები მიეწოდებინა.

ოპერაციის მსვლელობისას გაუჩერებლად ელაპარაკებოდა კიტის.

- არ უნდა დანებდე. შენ ძლიერი ხარ. ჩვენ ამას შევძლებთ, უბრალოდ, შენ არ უნდა შეწყვიტო ბრძოლა. ვიცი, გიჭირს, რომ მენდო, გიჭირს, რადგან მე ექიმი არ ვარ. მაგრამ ყოველთვის მინდოდა ექიმი ვყოფილიყავი. პოლიკლინიკაში დამხმარე ვიყავი, ძალიან კარგი ექიმი ჰყავდათ იქ და რაკი სოფელში ნამდვილი საავადმყოფო არ გვაქვს, ოპერაციებსაც აკეთებდა და ძალიან კარგად. ყველა ფეხზე დააყენა. მშობიარობის შემთხვევაც ყოფილა, რა თქმა უნდა; ჰეპატიტი, პოდაგრა, ტუბერკულოზი, ყველაფერს ვმკურნალობდი. ერთს მუცელი მოეშალა, ის ქალი ცოცხალია და კარგად არის. მე შევძლებ. კარგად გამომდის. მენდობი? ხომ გჯერა ჩემი?

მარიამი ახლა ღმერთს აღარ ელაპარაკებოდა, მხოლოდ კიტის. მარიამმა კიტის საშვილოსნო ამოკვეთა საკლასო ოთახში, წამებისთვის რომ იყენებდნენ და ახლა საოპერაციოდ გადაქცეულიყო, საკლასო ოთახში, სადაც ბელადის პორტრეტი ჩამოეხსნათ, რათა მკვრადმობილისა და სისხლად დაღვრილი ქალის დამამცირებელი სანახაობით შეურაცხყოფა არ მიეყენებინათ. მარიამმა პირობა შეასრულა. კიტიც გადაარჩინა სიკვდილს და საკუთარი თავიც. კიტის შვილი ვერ იხსნა.

მას შემდეგ, რაც ქერათმიანი თანმხლებ პირებთან ერთად სოფლიდან წავიდა, მარიამმა კიტი განმარტოებით მდგარ ბელელში მიიყვანა და მის მოვლას შეუდგა. საჭირო წამლები სკოლის სარდაფიდან წაიღო, სუფთა ლეიბი და თეთრეული უშოვა, რძე და თბილი პური მოუტანა და საკუთარი ხელით დაკლა ქათამი, რომელიც კოცონზე შეწვა. მის გაღიზიანებულ ნაკერებს მკურნალობდა და თავზე ხელს უსვამდა. სიცხე დასაწვეი იყო, კიტი გამოსაკვები, ტკივილის გასაყუჩებლად ბალახებს ასმევდა, გვერდით უწვებოდა ლეიბზე და მასთან ერთად

მისჩერებოდა იმ სიცარიელეს, რომლისთვისაც კიტის მიეპყრო თვალი. დღეების შემდეგ კიტიმ პირველად ამოიღო ხმა:

- სად ვარ?

- ჩემი ძმის ბედელში, თვითონ ფრონტზეა, სადღაც ჩრდილო კავკასიაში. არ მინდოდა შენი წაყვანა ჩემს სახლში, მშობლებთან. შემინებულება ხალხი, შეკითხვები გაჩნდებოდა. HKB-დან რამდენჯერმე იყვნენ უკვე სოფელში მოსული და ემინიათ ადამიანებს. სკოლის ძველ შენობას იყენებენ... ასეა თუ ისე, იქაურები არავის ენდობიან, შარი არ უნდათ. აქ საფრთხე არ გვემუქრება.

- რატომ წამომიყვანე?

- ეს რა შეკითხვაა? აბა, სხვა რა უნდა მექნა? წამდვილად მოკვდებოდი. ახლა მოისვენე. რძე დალიე. ძროხები გვყავს, რძე სულ გვაქვს. მაღალი სიცხე გქონდა, მაგრამ ეს ნორმალურია.

- სახლში უნდა წავიდე. ქრისტინეს უნდა დავურევო. რამდენი ხანია აქ ვარ?

- ზუსტად ერთი კვირაა. ჯერ ვერ ადგები და შენი წასვლაც არ შეიძლება.

- რა ჩაიდინე?

- დაგვხვრეტდნენ. მეგობელი სოფლიდან ერთი ქალი წაიყვანეს, ექთანი იყო, უკან აღარ დაბრუნებულა, მარტო იმიტომ, რომ ოპერაციის ჩატარებაზე უარი თქვა. ეს რომ არ გამეკეთებინა, დამხვრეტდნენ, ორივეს დაგვხვრეტდნენ. წინა კვირას სამი კაცი მოიყვანეს, ტყეში დახვრიტეს და იქვე ჩამარხეს.

მარიამმა ხელები აიფარა სახეზე, მთელი ტანით ვანკალებდა. კიტი წამოჭდა და გულგრილად ადევნებდა თვალს. არც უცდია მისი დამშვიდება. ბოლოს მარიამმა ზურგზე მოხვია ხელები. კიტი არ განძრეულა.

- ვიცი, რომ ამის გამოსწორება შეუძლებელია.

მარიამმა დაიკვნესა და კიტის მხრებზე მიეყრდნო, სახე მის კისერში ჩამალა.

- რას გულისხმობ? - ჩაეძია კიტი.

- შენ... ვეღარ... მე, მე... სამვილოსნო... - ლულულულებდა მარიამი.

მარიამმა შემდეგი დამეუბი კიტისთან გაატარა, მისი ლეიბის გვერდით უბრალო საბანზე იწვა, მხოლოდ გარიჟრაჟზე მოერეოდა ძძიმე, უსიზმრო ძილი. კარგა ხნის მერე კიტი ფეხზე დადგა, მარიამის დახმარებით გავიდა გარეთ, თბილი მზის შუქზე. სიმშვიდე იყო, ჭრიჭინების ხმა ისმოდა. ბედელი სიმინდის ყანასთან იდგა, ვიწრო ბილიკის ბოლოს. ბილიკს ორივე მხარეს კვიპაროსების რიგი მიჰყვებოდა. მათ უკან კუბიანი ბორცვები ამწვანებულებოდა. კიტის თვალები აეწვა, პირი დაუშრა, მზის შუქი კანს ტკენდა. მიუხედავად ამისა, გაყინული კიდურები მაინც მიუშვირა მზეს გასათბობად. იდგა და მხოლოდ თავს ამოძრავებდა ოღნავ

აქეთ-იქით, მკლავები ნელა ასწია ზევით, ფრთხილად აათამაშა თითები. თითქოს პირველად გატოკდა, თითქოს ჯერ უნდა ესწავლა სიარული, მოძრაობა, ფიქრი, ცხოვრება.

ღამით მარიამმა პატარა კოცონი დაანთო და ორივე იმას მიუსხდა. უღრუბლო ღამე იყო, ცა - ვარსკვლავებით მოჭედილი, მარმარილოსავით თეთრი მთვარე მომწვანო შუქს აფრქვევდა.

- ამისთანა რა გააკეთე? - იკითხა მარიამმა უჩუმრად და ხის ჯოხით ნაცარი გაქექა, - ასეთ ახალგაზრდას რა უნდა გექნა, რომ ამ დღეში ჩაგაგდე?

- არაფერი.

- და შენმა ქმარმა რა ჩაიდინა?

- უბრალოდ ვენაში უნდოდა წასვლა... ბიჭი იყო, არა? - იკითხა უცებ კიტიმ და ნაკვერჩხალს მიაპყრო თვალი.

- ჰო.

- როგორი იყო? დიდი იყო თუ პატარა? პანანუნა ღამეში მუშტები ჰქონდა? თმიანი იყო?

- საოცარი იყო. არ დატანჯულა. არც კი უგრძნია. სწრაფად დამთავრდა ყველაფერი.

- სად არის?

- ის ახლა ანგელოზებთანაა.

- მოეშვი სისულელეებს. სად წაიყვანე?

- დავმარხე. ბაღში, სკოლის უკან.

- აღარ დაიწყო ისევ ტირილი. თავი შეიკავე.

- ღმერთო, კიტი... ჯობდა დავხვებოდი.

- მორჩი. შეწყვიტე. ნუ ტირი. აღარ გინდა. სხვა გზა არ გქონდა. შენ მე სიკვდილს გადამარჩინე.

- არა, ეს არ გამიკეთებია. მე ყველაფერი დავანგრეე.

კიტი წამოდგა და ნელ-ნელა წრეზე სიარული დაიწყო. თავი უკან გადააგდო და ვარსკვლავებს უყურებდა; მის ტუჩებს რაღაც ღიმღიმით დასთამაშებდა.

- ფრთხილად იყავი, შენთვის ჯერ არ შეიძლება მოძრაობა. ნაკვრებს გაუფრთხილდი!

- ეს ყველაფერი როცა დამთავრდება, სულერთია, როგორ ან როდის, გავარკვევ, ვინ არის ის ქალი და მოვკლავ.

კიტიმ ღრმად ამოისუნთქა და ეს სიტყვები მშვიდად წარმოთქვა. მარიამმა აღარაფერი უპასუხა. ორივე ბედელში დაბრუნდა.

მას შემდეგ, რაც კიტი მოძლიერდა და დაუხმარებლად სიარული შეძლო, სკოლის მიტოვებულ, ფანჯრებჩამსხვრეულ შენობასთან გაიქცა, დაუჯერებელიც კი იყო, ისე ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, სულ არ ჩანდა ავის მომასწავებელი. ცივი დერეფნები და ცარიელი ოთახები დაიარა. ის ოთახი მოძებნა, სადაც ბავშვი ამოკვეთეს მუცლიდან.

გენერალისიმუსის პორტრეტი ისევ კედელზე ეკიდა. დიდხანს უყურა უღვაშიანი კაცის სახეს, ძალიან დიდხანს, თითქოს პირველად ხედავდა. ისევ ებოში გავიდა, მშრალ მიწაზე დაჯდა. მტრედების წყვილი ღულუნებდა და მიწას ქექავდა, საჭმელს ეძებდა. მიწა თბილი იყო, მზე გულგრილად ანათებდა. შორიდან ტრაქტორის ხმა გაიგონა. მიწის ნაკვეთს თვალი მოავლო; სადღაც აქ უნდა დაემარხა მარიამს მისი შვილი. სადღაც აქ განისვენებდა მისი სხეული. სკოლის ეზოს თითქმის ბოლოში, მუხის ძირას, მიწის პატარა ბორცვი შეამჩნია; პატარა, წარმოუდგენლად პატარა. მივიდა, მუხლებზე დაემშვა და შიშველი ხელებით დაიწყო თხრა. გამხმარი მიწა არ ემორჩილებოდა, თითქოს უნდოდა, კიტის უარი ეთქვა თავის განზრახვაზე. კიტიმ რაღაცას შეავლო ხელი. რაღაც შეიგრძნო. გულისრევის შეგრძნება დაეუფლა. თვალები დახუჭა, ხელით მოსინჯვა განაგრძო. უსასრულობის სუნი იდგა, გული აერია, მერე დაიყვირა ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, მისმა ხმამ ჰაერი გაკვეთა. ისევ სიჩუმე ჩამოწვა, საკრალური სიჩუმე. სიცოცხლის დასაწყებად მშვენიერი დღე იყო, პანია ჭიამაიები და ზარმაცი ბზიკები დაფრინავდნენ ჰაერში, ასეთ დღეს ჩრდილში წამოწოლა და მნიფე ლედვისა და რბილი კარალიოკის ჭამა იქნებოდა კარგი. ეს იყო დღე, მთლიანად ცხოვრებას რომ ეკუთვნოდა.

კიტიმ ხელებით შეიგრძნო, დაინახა: ცხვირი და სახის მოყვანილობა, პანაწინა წარბები, ტუჩები. შინაგანი მშვენიერით ათვალეირებდა მის სახეს. იცნო. მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში უნდა შეენახა მესხიერებაში. სახე, რომელიც არასოდეს ენახა, რომელსაც არასოდეს მოჰყვებოდა. ვერც ატირებულს რომ ვერ ნახავდა და ვერც გაცინებულს, ვერც მძინარეს და ვერც გაღვიძებულს. სამარადისოდ უნდა დაეტოვებინა თავის სიზმრებში, პარალელურ სამყაროში, რომელიც მხოლოდ დახუჭული თვალების მიღმა არსებობდა. იქ მასთან ერთად გაატარებდა ცხოვრებას, მასთან ერთად დაიძინებდა და გაიღვიძებდა. სახელი დაარქვა. მიწა მიაყარა ისევ.

ისევ მოაწვა, მაგრამ ამჯერად გული აღარ არევია. ჩიტების გუნდმა გადაუფრინა. ნაკერები წიწვნიდა. ალერსით გადაუსვა ხელისგული მიწის გროვას: „სიზმრებში შეგიძლია მესტუმრო, ხომ მოხვალ ხოლმე, არა? გიმღერებ, რაც ამქვეყნად სიმღერებია, ყველას გიმღერებ და ასე განიშნებ, რომ გეძახი. ყველგან თან წაგიყვან, სადღაც წავალ. გეცოდინება, რომ შენთან ვარ, მეც მეცოდინება, რომ ჩემთან ხარ. ეს საკმარისი იქნება, მთელ ცხოვრებას ეყოფა“.

ძირს წამოწვა, სახე მიწას დაადო და მისი გემო შეიგრძნო. თუ ამ სიმწარეს როგორმე ჩაყლაპავდა, იმ ნამდვილს გაუგებდა გემოს: იმ სათუთ, ლამის მტკივნეულ, ფიზიკურად შესაგრძნობ და, ამავე დროს, ასეთ ნაზ, ყველა სხვა გრძნობის დამჩრდილავ სიყვარულს შვილისადმი,

სიყვარულს, რომელიც ვერ ამოკვეთეს, რომელიც შიგნიდან ფლეთდა, ყოველ გატოვებაზე უარესად ერჭობოდა ნაკერებზე.

სექტემბრის მზის სუსტმა სხივებმა ბორცვებიდან დაბლობზე, სოფელში, გადმოინაცვლა, სკოლის ეზოში, კიტის კოჭებზე მიეალერსა. შუქს ძველი აგურისფერი დაჰკრავდა. სადღაც ყვავმა დაიჩხავლა. კიტიმ თავს ძალა დაატანა და წამოდგა. გვერდით ხეს უკანასკნელი გადამწიფებული ლელვი მოსწყდა. ირგვლივ ბუბები დაბზუოდნენ.

ზუსტად ამ დროს კოსტიამ ფქვილით სავსე მძიმე ტომარა მიიტანა და მეზღვაურს გადასცა, რომელმაც ტომარა სატვირთო მანქანაზე შემოდო. უცებ კოსტიას რაღაც მძაფრი სუნი ეცა, მათრობელა, ნაცნობი სუნი. დაფიქრდა, საიდან მეცნობაო. ბაბუამისის შოკოლატერიის სურნელი იყო. სახიდან ოფლი მოიწმინდა, და რატომღაც თავისი უმცროსი და გაახსენდა, რომლისგანაც კარგა ხანია ამბავი აღარ გავგო. „ძმა არ გენატრება? თუ მხოლოდ შენს ანდროზე ფიქრობ სულ? სად არის ნეტა ახლა? ჩრდილო კავკასიაში გაგზავნეს?“ ამ ფიქრებმა გაუელვა კოსტიას, მაგრამ არ უნდოდა ამისთვის მეტი დროის დათმობა და ფქვილის ახალ ტომარას სტაცა ხელი. ჩრდილოეთიდან სროლა ისმოდა, მაგრამ მიეჩვია, ყურადღება არ უნდა მიექცია, საკმაოდ შორს იყვნენ.

კიტი გასამგზავრებლად ემზადებოდა. მატარებლები შეფერხებით მოძრაობდნენ, იმასაც ამბობდნენ, რომ ყაჩაღები დაძრწოდნენ სადგურებზე. მარიამმა შესთავაზა, ვინმე გლეხისთვის ეთხოვა ქალაქში წაყვანა, ასე უფრო უსაფრთხო იქნებოდა. სოფლის ფოსტა დიდი ხნის დაკეტილი იყო. ქრისტიანებისთვის ტელეფონის გაგზავნა შეუძლებელი იყო. კიტის ეუხერხულებოდა მგზავრობისთვის საჭირო რუბლების მარიამისთვის გამორთმევა, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა.

– შენ რას იზამ? – ჰკითხა კიტიმ მეგობარს განშორებისას, მეგობარს, რომელიც წესით მისი მეგობარი არ უნდა ყოფილიყო.

– სახლში დავბრუნდები, მშობლებთან, და ვნახავ, იქნებ მეგობელ სოფელში შევძლო ექთნად მუშაობა, ჩვენთან რამდენიმე თვის წინ დახურეს პოლიკლინიკა.

– თბილისში წამოდი.

– ხუმრობ? დიდ ქალაქში რა უნდა გავაკეთო?

– ექიმები ყველგან უჭირთ. მეც ვმუშაობდი საავადმყოფოში.

– მე ხომ ექიმი არ ვარ, კიტი.

– შენ ყველაზე კარგი ექიმი ხარ, ვინც კი ოდესმე შემხვედრია.

კიტიმ თავისი მხსნელი მაგრად ჩაიხუტა. მარიამმა შუბლზე ჩამოვარდნილი თმა გადაუნია.

– თუ შეძლებ, მაპატიე, ძალიან გთხოვ, – უჩურჩულა დამშვიდობებისას ყურში.

ქრისტიანემ პირზე ხელი აიფარა, როცა კარი გააღო და, როგორც იქნა, კიტი დაინახა. კიტი თავისი მუცლის გარეშე. გლეხმა დიდ ბაზართან

ჩამოსვა და კიტიმ ფეხით იარა ვერამდე დამრეცი ქუჩებით. ქრისტიანემ მის წინ ჩაიმუხლა და ხელები დაუკოცნა. კიტის დეიდამისი ასეთი ადელევებული არასოდეს ენახა.

ქრისტიანე ეფერებოდა სახეზე, ხელებზე, მხრებზე, თმაზე, უკოცნიდა შუბლს, ლოყებს, ყელს. თურმე ყოველდღე რეკავდა სამმართველოში, ქალაქის ყველა კომისარიატი შემოეველო, ძველი სანაცნობო გამოეკითხა, მაგრამ ამაოდ. ვერავინ ეუბნებოდა, სად იყო კიტი.

- რა გააკეთეს, რა გიქნეს?..

ისევ და ისევ ეკითხებოდა ქრისტიანე.

კიტი არ ეწინააღმდეგებოდა კოცნასა და ალერსს, მაგრამ შუშის თვალებით იმზირებოდა და ლაპარაკი არ უნდოდა.

- მშია, ისე მშია, ისეთი დაღლილი ვარ, უნდა ვჭამო რამე და მერე დავიძინო. ძილის მეტი არაფერი მინდა.

ქრისტიანემ სწრაფად გააღო სამზარეულოს კარაღები და რაც კი იპოვა, ყველაფერი მაგიდაზე გამოაწყო, გაზის ქურაზე ქვაბი შემოდგა და ტაფა გააცხელა.

- დარდისგან დავილიე, აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა შეგემთხვა, კიტი?

პურს რომ ჭრიდა, ქრისტიანეს საჩვენებელი თითი გაეჭრა და გადმომსკდარი სისხლის დანახვაზე გახევდა. წითელ სითხეს თვალი ვერ მოაშორა, მოჭადოებულებით უყურებდა. კიტი ადგა, ხელსაბანთან მიიყვანა და თითზე წყალი დაასხა.

- კარგი, არა უშავს, არაფერია, - უთხრა და დეიდამისს შეხედა. ქრისტიანეს სასოწარკვეთა ეწერა სახეზე.

მთელი ღამე კიტის გვერდით გაატარა, თავისი სახის უნაკლო მხარე მისკვენ მიებრუნებინა და მისი ხელი მაგრად ეჭირა. კიტის მართო უნდოდა დარჩენა, მაგრამ ქრისტიანე ისეთი შეწუხებული ჩანდა, ვერ გაბედა მისი გაშვება.

- ბავშვი სად არის?

ოთახში ბნელოდა. კიტი ხედავდა სილუეტებს, ხედავდა ქრისტიანეს უნაკლო პროფილს და რატომღაც ძალიან მოუნდა, მის სახეს შეხებოდა. ოღონდ არა უნაკლო ნაწილს, არამედ იარებიანს, გამომწვარ მარცხენა მხარეს, რომელიც მან არც ისე დიდი ხნის წინ უკვე აჩვენა იმის სათქმელად, რომ ერთად შეძლებდნენ და აიტანდნენ ყველაფერს. მაგრამ თურმე როგორ ცდებოდა...

- რას აკეთებ?

ქრისტიანემ ოდნავ უკან გასწია სახე, როცა კიტიმ ხელი გაუსვა ლოყაზე, მერე ცხვირზე, რათა მარცხენა მხარეს მისწვდომოდა, რომელიც ლურჯი ქსოვილით დაეფარა.

- ძალიან გთხოვ, დამაცადე, - სთხოვა კიტიმ და დასახიჩრებულ კანს შეეხო, რომელიც, სახის საღი ნაწილისგან განსხვავებით, ბევრად უხეში

იყო. თითქოს ძველთაძველ ცხოველს ეხებოდა, გადაშენებული ჯიშის უკანასკნელ წარმომადგენელს. კიტის ინსტინქტურად ხელის განწევა მოუნდა, მაგრამ თავს მოერია და წინ გადაიხარა. ნელა დაიწყო მოყოლა, მშვიდად და დანვრილებით აღწერა სკოლის შენობაში გატარებული საათები, ქერათმიანი ქალი, სალტეები, რომლებითაც დაბმული იყო, შპრიცი, მარიამი, ჩამოთვალა შეკითხვები, მას რომ უსვამდნენ, ერთი და იგივე შეკითხვები, რომლებზეც მას პასუხი არ ჰქონდა. ყვებოდა ტკივილზე, აბორტზე, ოპერაციებზე, ბედელში გატარებულ დღეებზე, სადაც მარიამი უვლიდა.

და თან ქრისტიანს იარებს დაუღალავად უსვამდა ხელს. ქრისტიანს უსწორმასწორო, დაღარულ ვანს ეხებოდა იმის იმედით, რომ თუ მის რუკას შეისწავლიდა, საკუთარის შედგენას შეძლებდა. საკუთარი რუკის, რომლითაც იხელმძღვანელებდა ცხოვრების გასაგრძელებლად. გადარჩენის რუკის. ის უნდა დახმარებოდა საკლასო ოთახიდან გამოსვლაში, რომლის კედელზეც თეთრი ოთხკუთხედი იყო გამოსახული. უნდა დახმარებოდა თავისი უდაბნოს გავლაში, სადაც არაფერი იყო მწველი მზისა და ხის ძირას მდებარე პატარა ბორცვის გარდა.

მისი ხელი თვალის ღრმულს შეეხო. მოსინჯა ადგილი, სადაც ადრე წარბი იყო. შეიძლება ახალგაღვიძებულს ყოველ დილას სწორედ იქ კოცნიდა ხოლმე ქმარი, ან იქნებ ბავშვობაში ზუსტად ეს ადგილი მიართყა სადღაც და დედამ სწორედ იქ აკოცა. ან მამამ. ნაკვთი, რომელსაც საკუთარი თავგადასავალი ჰქონდა, ახლა კი აღარ არსებობდა, ვეღარ შეძლებდა ახალი ისტორიების შექმნას ამ სახეზე. იმ შხამიანი ფრინველის შავი ფრთით ნაშლილი სახის ნაწილი, რომელმაც ქრისტიანს გადაუფრინა და შემთხვევით შეეხო.

კიტის ჭრილობები კი უხილავი იყო. კიტის სხეულს განადგურების კვალი არ ეტყობოდა. ვერავინ შეამჩნევდა.

- სად არის ანდრო? - იკითხა ქრისტიანემ, როცა კიტი გაჩუმდა და ხელი მოაშორა მის სახეს.

- არ მკითხო ეს აღარასოდეს, ძალიან გთხოვ. არასდროს არ მკითხო, გესმის? - დაუყვირა მოულოდნელად დეიდას, გადაბრუნდა და ფეხები მოკეცა, - არ ვიცი, სად არის და აღარც მინდა ვიცოდეს.

* * *

სსრკ ყველა ხალხის მშვიდობის სადარაჯოზე დგას!
წარწერა პლაკატზე

გენერალი პაულუსი გაერთიანებული მე-6 არმიის მთავარსარდლად დაინიშნა, რომლის განკარგულებაშიც მეოთხედ მილიონზე მეტი ჯარისკაცი, რამდენიმე სატანკო ბატალიონი და მოკავშირეთა საჯარისო ფორმირებები იყო.

1942 წლის 23 აგვისტოს პირველი გერმანული ტანკები მიადგა ვოლგას, სტალინგრადის ჩრდილოეთით. იმავე დღეს ლუფტვაფემ იერიში მიიტანა ქალაქზე, რომლის ევაკუირებაც გენერალისიმუსს არავითარ შემთხვევაში არ სურდა, იმდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის ქალაქი, რომელიც მის სახელს ატარებდა.

აგვისტოს დასაწყისში გენერალ-ლეიტენანტ ჩუიკოვის განკარგულებით, რომელიც სტალინგრადის თავდაცვით ბრძოლას ხელმძღვანელობდა, ობერლეიტენანტი ჯამი 36-ე არმიის დივიზიის მეთაურად დანიშნა. იმ 600 000 მცხოვრებიდან, რომლებიც 1942 წლის ზაფხულში ჯერ კიდევ ქალაქში იმყოფებოდნენ, თავდასხმის პირველ დღეებში 40 000 ემსხვერპლა შეტევებს. 169-დღიანი ბრძოლის განმავლობაში კრემლმა ეს მასობრივი ხოცვა, შიმშილი, დაბომბვები არ მიიჩნია არგუმენტად ევაკუირებისთვის. პირიქით: 25 აგვისტოს გენერალისიმუსმა გამოაცხადა, რომ „ქალაქს შეუვალ ციხესიმაგრედ აქცევდა“.

ზაფხულის მინურულის მუხების კენწეროებსა და დიდ ტოტებზე მოჩვენებები ისტერიულად ხითხითებდნენ.

12 სექტემბერს მე-6 არმიის დანაყოფები ქალაქში შეიჭრნენ – ცენტრალურ სადგურზე სამი საათის განმავლობაში სამჯერ შეიკვალა დროშა. ქალაქი მთვარიან პეიზაჟს დაემსგავსა, რომლის არქიტექტურა ლუფტვაფემ შექმნა. დაღწილი მანქანებიდან და დაზიანებული მიწებიდან სანვავი პირდაპირ ვოლგაში ჩაედინებოდა და იმ ჯოჯოხეთს ავადმყოფურ დრამატიზმს მატებდა. ათი დღის შემდეგ გერმანელებმა დაიმორჩილეს სადგური, რომელმაც მანამდე თითქმის თხუთმეტჯერ შეიკვალა მხარე. დაიწყო გროტესკული ბრძოლები თითოეული სახლისთვის, თითოეული ქუჩისთვის. ყოველ სანტიმეტრს ითვლიდნენ. 40 დღის შემდეგ ქალაქი სასიკვდილო ლაბირინთად გადაიქცა, საიდანაც გამოსასვლელი აღარ არსებობდა. ეს, როგორც ამბობდნენ, „ვირთხების ომი“ იყო რადგან მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული გახდა, კანალიზაციაში შეხიზნულიყო. ქალაქს ლუფტვაფეს 2000-მდე ერთეული ესხმოდა თავს. ნოემბერში თითქმის მთელი ქალაქი გერმანელების ხელში იყო. ბრძოლის 81-ე დღეს, როცა გერმანელების უკანასკნელი შეტევა დაიწყო, რუსული თავდაცვის მხოლოდ რამდენიმე ერთეულიღა უწევდა მათ წინააღმდეგობას. წითლებს კიდევ ერთხელ დაეხმარა დაუნდობელი ყინვა.

რაკი ავდრის გამო ლუფტვაფე ვერ უტევდა, გზები კი, რომელთა მეშვეობით ქალაქს ამარაგებდნენ, ბლოკირებული იყო, გენერალმა ჩუიკოვმა დრო მოიგო სამხედრო კონტრშეტევაზე გადასასვლელად, რომლის კოდური სახელწოდება იყო „ოპერაცია ურანოსი“. ჩუიკოვმა შეკრიბა თითქმის ერთი მილიონი ჯარისკაცი ფრონტის სამხრეთ და ჩრდილოეთ მისადგომებთან და დაიწყო ქალაქისთვის ალყის

შემორტყმა. ჩრდილო და სამხრეთ დივიზიები 23 ნოემბერს შეერთდნენ და ქალაქისა და, შესაბამისად, მთელი მე-6 არმიის ალყაში მოქცევას შეუდგნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელების გენერალური შტაბი სასონარკვეთილ გაფრთხილებებს გზავნიდა ბერლინში და უკანდახევის ნებართვას ითხოვდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ათასობით გერმანელ ჯარისკაცს სიკვდილის საფრთხე ექმნებოდა, ჰიტლერი მაინც ღრიალებდა ტელეფონში: „მე ვოლგაზე დავრჩები!“ გერინგი კი ირწმუნებოდა, რომ ლუფტვაფე მოახერხებდა ჰაერიდან პროდუქტების მიწოდებას. უმაღლეს მთავარსარდალ ფონ მანშტაინს გერმანელების კონტრშეტევის გეგმა სასწრაფოდ უნდა შეემუშავებინა.

1942 წლის შობა გაყინულმა და დამშეულმა გერმანელებმა მიწაში გათხრილ ორმოებში გაატარეს, ნაძვის ხეები და სურნელოვანი ნამცხვრები ელანდებოდათ. ბარიკადებზე გადმობობებული ომის აჩრდილები „მშვიდი ღამის“ მელოდიას ჩუმად უსტვენდნენ და ჯარისკაცების სიზმრებში ძვრებოდნენ. იქ კი მათი დედების, მამების, დების, ძმების, ცოლებისა და შეყვარებულების სახეს იღებდნენ, ხელებს უთბობდნენ და სიყვარულის პირობას ჩასჩურჩულებდნენ. აჩრდილები დროს არ სცნობდნენ, ფერად ილუზიებს ქმნიდნენ გონებაში. სიზმრები ტკბილი იყო და გამოღვიძება – არაადამიანურად ძნელი.

დაჭრილები, დამშეულები სასონარკვეთილნი ებლაუჭებოდნენ სამშობლოში გასაფრენად დაძრულ თვითმფრინავებს, რათა ამ ჯოჯოხეთისთვის თავი დაეღწიათ, რამდენიმე წამში კი ცვიოდნენ და იხოცებოდნენ. სტალინგრადში სიკვდილს თავისი ყველაზე ველური ფერხული გაემართა. საბჭოთა სარდლობა სპეციალურად შეთხზულ სამგლოვიარო სიმღერებს რეპროდუქტორის საშუალებით მთელ ქალაქს ასმენინებდა: ყოველ შვიდ წამში ერთი გერმანელი ჯარისკაცი კვდება. სტალინგრადი – მასათა სასაფლაო.

ამ დროისთვის უკვე სრულიად გაჭაღარავებული წითელი ობერლეიტენანტი იჯდა ქვემეხების ქარხნის „ბარიკადების“ მახლობლად მდებარე შტაბბინაში და აკანკალებული ხელით სწერდა ცოლს, თუმცა სულ არ იყო დარწმუნებული, რომ ოდესმე შეძლებდა ამ წერილის გაგზავნას: „ჩემო ანასტასია, ნეტავ ახლა იმ დროის დაბრუნება შემეძლოს...“

10 იანვარს დაიწყო წითლების გადამწყვეტი კონტრშეტევა მე-6 არმიის წინააღმდეგ, რაც არმიის ორად გახლეჩითა და ცალ-ცალკე გამომწყვდევით დასრულდა. გერმანელების მარაგი სრულიად გაანადგურეს.

ამ დღის მერე თეთრ-წითელი ობერლეიტენანტის კვალი ქრება, ეს მისი უკანასკნელი დღე იყო. 31 იანვარს უნახავთ კიდევ უნივერსალში, მე-6 არმიის შტაბბინაში, რომელსაც მისი დივიზია უტევდა და რომელიც

ნგრევის საყოველთაო სიგიჟეში აფეთქდა; სავარაუდოდ, სიმონ ჯაში შენობაში იმყოფებოდა. თუმცა შეიძლება სხვაგვარადაც მოხდა ყველაფერი, იქნებ სულ სხვა ადგილას იპოვა სულ სხვა სიკვდილი.

მე ვი ყოველთვის წარმოვიდგენდი სავაჭრო ცენტრის დანგრევას. იმ შენობის ჩონჩხი მედგა თვალწინ, მისი ძვლები, შიგნით ვი გალუული ჩრდილები, რომელთაც უკვე აღარ ახსოვდათ, რომ ადამიანები იყვნენ. წარმოვიდგენდი, როგორ ყვიროდა რაღაცას სიმონ ჯაში, როგორ ჩაუვლიდნენ გაძვალტყავებული, ფარას დამსგავსებული ჯარისკაცები, გადარჩენის ბუნდოვან ინსტინქტს უაზროდ, უმიზნოდ ადევნებულები. როგორ ცვიოდა ჭერიდან მტვერი და გამჭოლი ქარი როგორ ატანდა დამსხვრეულ ფანჯრებში, შემტვრეულ კარებში, დაცხრილულ კედლებში, როგორ ძლიერდებოდა, როგორ ერეოდა ყველას და აღწევდა ყველგან, მიაქროლებდა ყველაფერს, ყველა დროს, იმ ერთადერთ წამსაც, როცა სიმონ ჯაში გაჩერდა. შეიძლება კიდევ გაიგონა ვინმეს ძახილი, რომელიმე ახალგაზრდა ჯარისკაცისა: „გადით, გადით, დროზე მოშორდით აქაურობას!“ მაგრამ მოძრაობის უნარი დაკარგა. იდგა და იყურებოდა დამსხვრეული შუშიდან, გახვრეტილი კედლიდან გარეთ, კაცობრიობის უზარმაზარ სასაფლაოს უცქეროდა, აპოკალიფსურ პეიზაჟს, დასასრულის შემადრწუნებელ სილამაზეს. ხედავდა ქვა-ღორღის ბალებს, ძვლების არქიტექტურას, სისხლის ორნამენტს, ხედავდა გადახსნილი რკინაბეტონის ქანდაკებებს და უკვირდა, რომ მის გარდა ვერავინ ისმენდა სიკვდილისადმი მიძღვნილ ამ ნგრევის სიმფონიას. იდგა სიმონ ჯაში გახევებული და ვერ ხვდებოდა, რატომ არ შეეძლო მოძრაობა. სულ რამდენიმე წამი გავიდა, თუნდაც წუთები, მაგრამ სიმონისთვის დრო შენელებული იყო, თითქოს ყველაფერი დროის გამადიდებელი შუშის ქვეშ მოექცა. მე ყოველთვის წარმომედგინა, რომ სიმონს ომი გადაავიწყდა და თავის სასიკვდილოდ განწირულ მომავალზე, იმედგაცრუებულ დღეებზე, მარცხზე, სასონარკვეთილ მზერაზე ცოლისა, რომელიც ვერ გააბედნიერა, რუსეთის იმპერატორზე, ლენინზე, სამშობლოსა და გენერალისიმუსზე ფიქრობდა, ალბათ მშობლიურ ტრამალებზე, უკეთესი მომავლის დასაწყისი რომ შეიძლებოდა გამხდარიყო. მერე ვი ხმაურმა იმატა, გამაყრუებელმა ქუხილმა, და ყურიდან სისხლი წასკდა. იცოდა, რომ აფეთქებები გაგრძელდებოდა, რომ დრო აღარ ჰქონდა, მაგრამ ამაზე აღარ ფიქრობდა, აღარც შეეძლო და აღარც უნდოდა ადგილიდან დაძვრა.

* * *

დაამარცხე ფაშისტი!
წარწერა პლაკატზე

ბედის ირონიით, სტალინგრადისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში მამამისის სავარაუდო დაღუპვიდან რამდენიმე დღეში სიმონ ჯაშის შვილი თავისი ცხოვრების უდიდეს გამარჯვებას ზეიმობდა. 18 იანვარს წითლებმა ლადოგის ტბის მთელი სანაპირო განმინდეს, თერთმეტმეტრიანი დერეფანი გახსნეს და, შესაბამისად, კავშირი ხმელეთთან აღადგინეს. ლენინგრადის განთავისუფლებისთვის ბრძოლაში კონსტანტინე ჯაშმა განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი. ოპერაცია „ისკრის“ დროს, როცა ერთხელ, ღამით, რადიოკავშირი საბოლოოდ განწყდა და მთავარსარდალი განკარგულებების გადაცემას ვეღარ ახერხებდა, კონსტანტინე ჯაშმა ფინეთის ყურეში ერთ-ერთი გემის მეთაურობა იკისრა.

კოსტია თავის მეგობრებთან ერთად ზეიმობდა გამარჯვებას. არაყმა, რომელიც უკვე თვეების განმავლობაში აღარ დაეღია, მუცელი გაუთბო, ტვინი აურია და ისეთ ეიფორიაში ჩააგდო, რომ გემის ანძაზე აძვრა და ყვიროდა, ფაშისტებს ბოლო მოვუღეთო.

მისგან დაახლოებით 40 კილომეტრში გალუული მუქთმიანი ქალი ქუჩაში გამობობლდა. ხელები დალურჯებული ჰქონდა, თვალები ჩასცვენოდა, თმა შესთხლებოდა, დახეული ჩექმები ეცვა, ბურგში მოხრილიყო. ბნელი სადარბაზოდან მოკირწყლულ ქუჩაზე გამოლასლასდა, ნევის პროსპექტისკენ წავიდა ბარბაცით, ჩერდებოდა, სუნთქვა უჭირდა. ფოსტაში, კარავანნაიას ქუჩაზე, მიდიოდა, სადაც ცოტა ხნის წინ საევაკუაციო სიაში დასარეგისტრირებლად პუნქტი გაეხსნათ.

ბოლო თვემ უკანასკნელი ძალ-ღონე გამოაცალა. ხშირად ბინიდან გასვლასაც ვერ ახერხებდა, კიბეების დაძლევა და საკვების მისაღებად დაუსრულებელ რიგებში დგომაც აღარ შეეძლო. მაგრამ ალყის გარღვევის ამბავმა ღიმილი მოჰგვარა და გადანყვიტა, ისევ მიემართა რეგისტრატურისთვის. მისი შესახედაობაც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ სიის თავში მოეცვიათ.

კარგა ხანია, სისხლს ახველებდა, მაგრამ არ უნდოდა ამაზე ფიქრი. ეს გზა უნდა დაეძლია, ფოსტამდე უნდა მისულიყო.

იქნებ იმ მეგობრებსაც აღარ იყო სრულ ჯკუაზე, წინა თვეში ტიტველი რომ იდგა ქუჩაში და უხამსობებს გაჰყვიროდა. ქალმა არ იცოდა, რა დღე იყო ან მსოფლიოში რა ხდებოდა. ზოგჯერ დღისით ბურანში ელანდებოდა, რომ დანარჩენი მსოფლიო აღარ არსებობდა, რომ ლენინგრადი გადარჩენილთა უკანასკნელი კუნძული იყო. მაგრამ იმ დღეს იდამ თავს ძალა დაატანა და ყველა დამანგრეველ ფიქრს დააღწია თავი, ყურადღება მოიკრიბა და კარავანნაიას გზას დაადგა.

იმ დღეს ცა არც ისეთი მტვრიანი, პირქუში და მოღრუბლული იყო, როგორც წლის ამ დროს იცოდა. თითო-ოროლა მზის სხივიც კი აღწევდა ღრებლებს შორის და ნევაც აღარ იყო გაქვავებულ ყინულში გამოკეტილი. ძონძებში გახვეულმა რამდენიმე ბავშვმა ჩაურბინა. მის წინ

ქალი მისეინობდა და ბავშვის ეტლს მიაგორებდა, თითქოს სრულიად ჩვეულებრივი დღე იყო სრულიად ნორმალურ ქალაქში. მაგრამ როცა იმ ქალს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ეტლი ქვებით იყო სავსე. შორიდან მანქანის ხმა გაიგონა, რაც კარგის ნიშანი იყო, ესე იგი ბენზინი ისევ იშოვებოდა.

მის ქუჩაზე წვრილმანების პატარა მაღაზია ისევ გაეხსნათ, ესეც კარგის ნიშანიაო, გაიფიქრა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი ჰქონდათ გასაყიდი.

მართლა შეიძლებოდა წარმოდგენა, რომ სრულიად ჩვეულებრივი დღე იყო სრულიად ნორმალურ ქალაქში. იქნებ სტირდებოდა თავის დარწმუნება ამაში. იქნებ ეს საუკეთესო შესაძლებლობა იყო საღი გონების შესანარჩუნებლად, მაგრამ ქალაქში ისეთი საზარელი სიჩუმე იდგა, რომ ეჭვი შეეპარა ამ შესაძლებლობაში. გაჩერდა, მძიმედ ამოისუნთქა, ნერწყვი გადაყლაპა, პირი უშრებოდა, თვალები ეწვოდა, დღის სინათლეს გადაჩვეული იყო. თავის ბინაში ჯერ საჭაერო თავდასხმების გამო ჰქონდა ფარდები ჩამოფარებული, მერე მიეჩვია და უკვე სხვაგვარად ვეღარც წარმოედგინა.

ბოლო სამი თვის განმავლობაში, დაბომბვის განგაშის დროს, ბუნკერში აღარ ჩასულა, ამისთვის აღარც ძალა ჰყოფნიდა და აღარც იმედი ჰქონდა. ქალაქში მცხოვრები ზოგიერთი მოხუცი ჯერ კიდევ ბლოკადის პირველ წელს განგაშის დროს საკუთარ ბინაში რჩებოდა. ადრე იდა დარდობდა ამ აღამიანებზე, მაშინ ჯერ კიდევ არ დაეკარგა ოპტიმიზმი და მოგონებები, ახლა კი თვითონაც ასეთ აღამიანად ქცეულიყო. უკვე იმ მუმიებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც ცხოვრებაც და ომიც გვერდს უვლიდა.

წვეის პროსპექტზე შეჩერდა. თავის ანარეკლს მოჰკრა თვალი დიდი ხნის წინ დაკეტილი ძველი მაღაზიის ვიტრინაში. ადრე, წარსულ ცხოვრებაში, ისე კარგად იცოდა ეს ქუჩა, ახლა კი ვეღარ გაიხსენა, რა მაღაზია იყო აქ, ვერაფრით. შეიძლება ძვირფასი ქსოვილები იყიდებოდა, იქნებ წიგნები, მაგრამ რა საჭირო იყო იმის აღდგენა, რაც მაინც აღარასდროს დაბრუნდებოდა?

ეს შეკითხვა ბუნდოვანმა მოგონებამ განდევნა: მისი სახე გაახსენდა. ან ის, რაც მოგონებებმა შექმნა მისი სახისგან. ნეტავ ისევ ისე ახალგაზრდულად თუ გამოიყურებოდა, გული რომ უჩუყდებოდა იდას, ისევ თუ ეცვა ოქროსფერი ორნამენტებით მორთული მუქი ლურჯი უნიფორმა? ისევ ისეთი სქელი, ტალღოვანი თმა ჰქონდა? ისევ ისე თავდავინწყებით იცინოდა? ისე ბავშვურად, ისე თავისუფლად, ძალდაუტანებლად, გამომუშავებულ სერიოზულობას რომ ივინყებდა? ისევ სურდა, ძალაუფლების მქონეებს არა მხოლოდ მოსწონებოდათ, არამედ მისი ერწმუნათ და ეღიარებინათ? რისი ემინოდა?

კოსტიასთვისაც ისეთივე წარუშლელ მოგონებად თუ დარჩა ნეტავ, როგორიც ის იდასთვის?

ყველაზე შავ დღეებში იდა კოსტიას სიკვდილს წარმოიდგენდა ხოლმე. იჭერებდა, რომ უკვე მკვდარი იყო. ეს მას რაღაც ფატალურ განცდას, საბარელ რწმენას ჰგვირდა. საშინელ სცენარებს იგონებდა, როგორ ხვდებოდა ყუმბარის ნატეხი და ზღვაში ვარდებოდა, როგორ იხრჩობოდა ან დაჭრილი რომელიღაც შორეულ სანაპიროზე სისხლისგან იცლებოდა. უფრო ნათელ დღეებში კი კოსტიას შვლისთვალეობა და წელამდე ნაწნავიანი გოგოს გვერდით წარმოიდგენდა ხოლმე. წარმოიდგენდა, როგორი გატაცებით ასწავლიდა კოსტია გოგონას იმავეს, რაც ერთ დროს თავად მან ასწავლა.

რომელიღაც ქუჩაზე შეუხვია. წარწერა დიდი ხნის წინ გამქრალიყო. ქუჩა კი იცნო, მაგრამ სახელი აღარ ახსოვდა. უცებ ისევ გაჩერდა, იმიტომ რომ რაღაც მოესმა, რაღაცის ხმა, ძალიან ნაცნობი. მუსიკა იყო, უთუოდ ფორტეპიანო. ნაცნობი მელოდია ესმოდა, რომელიც იდამ ისევ ვერ გამოიცნო, როგორც ქუჩა, მაგრამ დაუფიქრებლად გაჰყვა, ნოტებს აედევნა. ყოველ ნაბიჯზე ხმა ემატებოდა მელოდიას. საიდან ეცნობოდა? რა იყო? ოჰ, დიახ, სხვა ცხოვრებიდან – ან იქნებ ის სიზმარი იყო – იდა ფორტეპიანოზე უკრავდა. კლავიშებს ეხებოდა თავისი შიშველი, გამჭვირვალე თითებით, კარგა ხნის წინ რომ გათავისუფლებულიყვნენ ბეჭდებისგან. სპილოს ძვალი იცნო, თავისი ბავშვობის დროინდელი როიალის უმშვენიერესი მასალა, მისი სიგრილე შეიგრძნო.

ეს ყველაფერი ოდესღაც მართლაც არსებობდა და კიდევ ბევრი სხვა რამ. ახლა კი მხოლოდ ნატეხები, შუშის ნამსხვრევები, შიმშილი და მეტრონომი, რომელიც საჰაერო თავდასხმებს ამცნობდა ხოლმე.

გრიგი იყო. ჰო, ახლა გაახსენდა იდას. გრიგი. რომანტიკოსი. დასასრულის მომასწავლებელი რომანტიკოსი, – გაიფიქრა იდამ და იმ მხარეს გაემართა, საიდანაც მუსიკის ხმა ისმოდა. ერთ ეზომდე მივიდა, სადაც ბომბებს გადარჩენილი, ფანჯრებჩამსხვრეული ძველი სახლი იდგა. პირველ სართულზე ფანჯარა ღია იყო: სწორედ იმ ბინიდან ისმოდა ფორტეპიანოზე დაკვრის ხმა.

იდა ჩაბნელებულ სადარბაზოში შევიდა და რამდენიმე საფეხური აიარა ხის კარამდე, რომელიც ოდნავ შეღებული იყო. ამ ხნის განმავლობაში მისი გონება საფორტეპიანო ნაწარმოების სახელწოდების გახსენებას ცდილობდა, თუმცა ვერ შეძლო. დააკაკუნა, მაგრამ ფეხის ხმა არ გაისმა, დაკვრა არ შეწყდა. ღრიჭოში შეიჭყიტა და ზღურბლს გადააბიჯა.

დიდ დერეფანში აღმოჩნდა, რომელიც ცარიელი და ნესტიანი იყო, კედლებზე რუხი, სველი ლაქები ჩანდა, დერეფანს გაუყვა და ოთახში შევიდა, იატაკზე მოწითალო ხის პარკეტი დაეგოთ, კუთხეში ცარიელი

ლები ეგდო; ფანჯარასთან ხელუხლებელი, მშვენიერი, აწყობილი პიანინო იდგა. პიანინოსთან გოგონა იჯდა და თავდავინწყებით უკრავდა საფორტეპიანო ბალადას, g-Moll, დიახ, ზუსტად ასე ერქვა ამ ნაწარმოებს, ახლა ისევ გაახსენდა.

გოგონას არც გამოუხედავს, არც განძრეულა. ალბათ თხუთმეტის იქნებოდა, მეტის არა, ზურგიდან ასე ჩანდა.

- მაპატიე, შენი დაკვრა გავიგონე და მუსიკას გამოვყევი. არაჩვეულებრივად უკრავ.

იდა ფრთხილად მიუახლოვდა პიანისტს. გოგომ დაკვრა განაგრძო, თითქმის შეუმჩნევლად დააქნია თავი.

- ერთი მსმენელი მაინც გამომიჩნდა. მოდით, მოდით. სამწუხაროდ, სკამი არ მაქვს, დგომა მოგიწევთ. მთელი ავეჯი დავწვით, როცა ძალიან ციოდა, - გოგო არ შემოტრიალებულა, მისი თითები შეუცდომლად განაგრძობდნენ კლავიშებზე ცეკვას. იდას მკლავებიდან ჟრუანტელმა დაუარა და ეს ეუცხოვა, თითქოს მისი კანი შეგრძნებებს გადაჩვეულიყო. ფრთხილად მივიდა პიანინოსთან და გოგოს მზერა მიაპყრო - შეკრთა და სუნთქვა შეიკავა, რომ შიში არ გაემჟღავნებინა: გოგოს თვალები არ ჰქონდა. თვალების ადგილას ორი მუქი ღრმული ჩანდა. მაგრამ გოგო ილიმებოდა.

ნაცრისფერი, დახეული სამუშაო კაბა ეცვა და ფეხზე სქელი თექის ჩექმები. მსხვილი წაბლისფერი ნაწნავი მხრებს ქვემოთ სწვდებოდა.

- კონკურსისთვის ვემზადებოდი, ლონდონში უნდა წავსულიყავი, სანამ... - თქვა გოგომ და მსუბუქად ააყოლა მუსიკას სხეული.

- მომავალი პიანისტი ხარ? - შეეკითხა იდა, ჯერ კიდევ არ განელებოდა შიში.

- ჰო, ვაპირებდი.

გოგომ უეცრად შეწყვიტა დაკვრა, გაშეშებული თითები კლავიატურაზე უფუნქციოდ დატოვა.

- ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გაქვს, დარწმუნებული ვარ, რაკი ასეთ პირობებში მეცადინეობ.

- დიდხანს ვერ ვმეცადინეობდი. დედაჩემმა ამიკრძალა, მას მერე, რაც...

- რის მერე?

- მაშინ რომ ვმეცადინეობდი, იმიტომ ვერ მოვასწარით ბუნკერში ჩასვლა, აქ მომხვდა ნამსხვრევი, ხედავთ... - გოგომ ბრმა სახე იდასკენ მოაბრუნა, თითქოს ისე მისი სიბრმავე შეუმჩნეველი იქნებოდა, - დედა ცოცხალი აღარ არის და ახლა ისევ შემიძლია დაკვრა, - ეს ისე აუღელვებლად წარმოთქვა, თითქოს შინაური ცხოველის სიკვდილზე ლაპარაკობდა.

- და მამა?

- დაიღუპა. მინსკთან. ჩემი ძმაც ფრონტზეა, მაგრამ ჯერ ცოცხალია. მე ვიცი. სერგეი ცოცხალია და დაბრუნდება. დარწმუნებული ვარ.

- უთუოდ, რა თქმა უნდა, - იდამ იგრძნო, როგორ დაურბილდა ხმა, ლამის ალერსიანი გაუხდა, - მიყვარს მუსიკა. ადრე მეც ვფიქრობდი, რომ პიანისტი უნდა გავმხდარიყავი...

- და რამ შეგიძალათ ხელი, თქვენც ომმა?

- მთლად ომმა არა, მაგრამ ომის მსგავსმა, - თქვა იდამ და გაიცინა.

უცებ გოგო წამოდგა ტაბურეტიდან და წინ დაუდგა. მაღალი ჩანდა, ძვალმსხვილი, მაგრამ არც მეტისმეტად გამხდარი, ეს კარგი ნიშანი იყო, ძალიან კარგიც კი. გოგომ ხელი აწია.

- შეიძლება?

იდა დაეთანხმა და გოგო მის სახეს შეეხო. მსუბუქად გადაატარა ხელი ნაკვთებზე. შეეხო მის პირს, ცხვირს, თვალებს, ტუჩებს. იდას გააჟრჟოლა. რამდენი ხანი გასულიყო, რაც არავინ შეხებოდა. გრძნობდა, როგორ დაბერებულიყო, საზარლად ეჩვენებოდა თავი, გაყინული და გაქვავებული იყო, გაპარტახებული.

მაგრამ გოგოს ეს ეტყობა არ აწუხებდა.

- ასე ვაკეთებ ხოლმე, რომ სახის წარმოდგენა შევძლო და ხშირად ასაკის გამოცნობასაც ვახერხებ. გითხრათ, რამდენი წლის ხართ?

- რატომაც არა.

- ორმოცს გადაცილებული?

- თვითონაც არ ვიცი უკვე, აღარ ვითვლი.

- მე თოთხმეტის ვარ.

ისე ამაყად თქვა, თითქოს ეს დიდი მიღწევა იყო. თუმცა შეიძლება იყო ვიდევ. ამ ქალაქში სიცოცხლის 14 წელი ალბათ დიდი მიღწევა იყო.

- აქ რა, მარტო ცხოვრობ?

- ზოგჯერ ჩემი ბიძაშვილი მოდის, მაგრამ ბაბუაჩემი ჰყავს მოსავლელი, ავად არის. სკოლაშიც მუშაობს, მე თავადაც ვუმკლავდები. ისევ შემიძლია დაკვრა. საბედნიეროდ, პიანინო არ გამოგვიყენებია შეშად, დედა აპირებდა, მაგრამ მე ჩემი გავიტანე.

- კიდევ დაუკარი, ძალიან გთხოვ. იმდენი ხანია, მუსიკა აღარ მომისმენია.

- თქვენც შეგიძლიათ დაუკრათ ჩემთან ერთად, ოთხ ხელში რამე.

- არა, არა, მე ვერ შევძლებ, ხელების მაგივრად თითქოს ბრჭყალები მაქვს, საშინელი მოსასმენი იქნება, მე კი მინდა, რომ მშვენიერი იყოს.

- როგორც ინებებთ. ადრე ჩემი მასწავლებელი მეუბნებოდა, ფრანგების მუსიკას კარგად უკრავო. დებიუსის რამე ხომ არ დაგიკრათ? ძალიან მიყვარს. იქნებ რომელიმე პრელუდია?

- რასაც ისურვებ.

გოგომ ყურადღება მოიკრიბა, ხელები მოიფშვინტა, მუშტები სულის შებერვით გაითბო და დაკვრა განაგრძო. იდა კედელს მიყრდნობილი

იდგა და მოჭადლოებულებით უსმენდა. გოგოს დაკვრამ გაიტაცა, ნოტებმა განდევნეს ომი მისი მკლავებიდან, სხეულიდან, გონებიდან და სხვა სამყაროში გადაისროლეს, სამყაროში, სადაც განათებული კაფეები და გაჩახახახებული ბულვარები არსებობდა, სადაც მაძლარი ადამიანები სეირნობდნენ. იქ იისფერი ლამპიონები ანათებდა და სადარბაზოები განკრიალებული იყო, ბინები ავეჯით გაეწყობა, ვაშლის ნამცხვრის შეკვეთა შეიძლებოდა ჩაისთან და ფრანგული სუნამოს სურნელი ტრიალებდა გარშემო. ადამიანებს თბილი პალტოები ეცვათ და ტყავის ხელთათმანები ეკეთათ. კინოში დადიოდნენ და კონცერტებს ესწრებოდნენ. იმ პიანისტ გოგოს კი დედა ცოცხალი ჰყავდა და მწვანე თვალები უციმციმებდა. ეს რა სამყარო იყო, სადაც გოგოს მხედველობას ართმევდნენ, სადაც მისი მომავლის გადარჩენა შეუძლებელი იყო?

- საკრალური ცეკვა. ასე დაარქვა ამ ნაწარმოებს.

გოგოს ხმამ იდას ფიქრებში შეაღწია და მაშინვე გაუფანტა აზრები. იდამ ფანჯრიდან ცარიელ ეზოში გაიხედა. გაახსენდა, რომ ფოსტაში მიდიოდა და თავი გააქნია, თითქოს საკუთარი თავის გამოფხიზლება და სიზმრებიდან მოწყვეტა უნდოდა.

- რატომ ხარ ჯერ კიდევ აქ? რატომ აქამდე არ მოხვდი სავაკუაციო სიაში?

- მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი ხეიბარი, - თქვა გოგომ შესაშური პირდაპირობით, ეს პირდაპირობა ძალიან საზარელი იყო.

- კი მაგრამ...

- დედაჩემი იმ გზისთვის მუშაობდა, ძლივს გაგვქონდა თავი.

- უნდა ნამომყვე.

- სად?

- კარავანაიაზე, ფოსტაში, იქ ევაკუაციისთვის ახალ სიებს ადგენენ... ალყა გარღვეულია, არაფერი გაგიგია?

- რამდენიმე დღეა, გარეთ აღარ გავსულვარ, ჩემმა ბიძაშვილმა კი ჯერ ვერ შეძლო მოსვლა.

- ბოლოს როდის ჭამე?

- ჩემი მეზობელი, ამხანაგი ტაშკოვა, მაძლევს მორჩენილ საჭმელს, იმიტომ რომ მისი ბიჭისთვის ვუკრავ ხოლმე, გონებრივად ჩამორჩენილია და ეს ამშვიდებს.

- ადექი.

- პალტო არ მაქვს. გარეთ ვერ გავალ.

- ჩემსას მოგცემ. ახლავე უნდა ნამოხვიდე.

- კი მაგრამ...

იდამ არ აცადა, წამოაყენა და თავისი პალტო მოახურა მხრებზე. თავად ნაქსოვი შალი შემოიხვია და გარეთ გავიდნენ. გოგო ძალღვივით ყველაფერს ყნოსავდა. იდამ ხელი ჩასჭიდა, მან კი გააშვებინა და ამაყად უთხრა:

- მართლაც შემოძლია. უკვე 234 დღეა, უსინათლო ვარ. ვსწავლობ. რიგი შორიდანვე დაინახა. ჩადგომა მოუწიათ, უკვე დაბნელებული იყო, როცა შენობაში შეაბიჯეს.

პატარა მაგიდასთან - უფრო სკოლის მერხს რომ ჰგავდა - ასაკოვანი ქალი და ახალგაზრდა წითელარმიელი ისხდნენ. იდამ თავისი გვარი უთხრა.

- უნდა მოვძებნო.

ქალმა უზარმაზარი საქაღალდის ფურცვლა დაიწყო.

“პიანინოებს სიამოვნებით წვავენ, დოკუმენტებს კი ხელს არ ჰკიდებენ”, - გაიფიქრა იდამ.

- ოქტომბერში პირობა მომცეს, რომ იმ ადამიანთა სიაში ჩამწერდნენ, რომლებიც სასწრაფოდ უნდა გაემგზავრებინათ. სიაში ვენერე, - აღნიშნა იდამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ქალმა მართლაც იპოვა მისი გვარი სიაში. იდამ პასპორტი და გაცვეთილი, დაჭმუჭნილი ჯანმრთელობის ცნობა წარადგინა, რომელშიც ცოტა რამ ეწერა სანუგეშო. იგი ერთმა შიმშილისგან დაუძღურებულმა ექიმმა გასცა მისი ელვის სისწრაფით გასინჯვის შემდეგ. ქალმა ისევ საბუთების გროვა გაქეფა.

- 12 თებერვალი. მიხაილოვსკის ბაღი. საბარგო მანქანა იქ იქნება. ერთ ჩემოდანზე მეტის წაღების უფლება არ გაქვთ და პასპორტი არ დაგავინწყდეთ. საბუთს კი, რომელსაც ახლა გამოგიწერო, თვალისჩინივით გაუფრთხილდით, - ამ სიტყვის გაგონებაზე იდამ გულისრევის მსგავსი იმპულსი იგრძნო. გოგო მის გვერდით გაუნძრევლად იდგა, თითქოს არაფერი ესმოდა.

- ეს გოგო უნდა წავიყვანო, - ჩაურთო იდამ გაუბედავად, - საჰაერო თავდასხმის დროს მხედველობა დაკარგა და დედა დაეღუპა. ნათესავები არ ჰყავს და, შესაბამისად, პირველი ჯგუფის ინვალიდია.

იდა ცდილობდა, რაც შეიძლება აუღელვებლად ესაუბრა, რომ გოგოს არ ჰგონებოდა, ვეცოდებო.

ქალმა ნელა ასწია თავი და დიდხანს დაძაბული აკვირდებოდა გოგოს:

- სამწუხაროდ, არაფერი შემოძლია, ძალიან ვწუხვარ. ისიც ისევე უნდა ჩაენეროს სიაში, როგორც ყველა. ეს ხალხი თვეებია ელოდება, თუ წლები არა.

- არა უშავს, - თქვა გოგომ, რომელმაც იმედეგაცრეუბა არ შეიმჩნია.

- როგორ თუ არა უშავს! - დაიყვირა უცებ იდამ და საკუთარმა ხმამ თვითონვე გააკვირვა, - საქმე ცუდადაა. შეხედეთ! ამ დანყველილმა ომმა ყველაფერი წაართვა და ის კი, ღმერთისგან დავინყებულები, მაინც ზის ცარიელ, გაყინულ ოთახში და პიანინოზე უკრავს. შეიძლება ერთ დღეს საოცარი პიანისტი დადგეს. მან უნდა იცოცხლოს, რაღაცით უნდა იკვებოს, უნდა დაუკრავს! ჯერ მხოლოდ თოთხმეტი წლის არის!

ასაკოვანი ქალი გულგრილად შესცქეროდა იდას, ასეთ აფეთქებებს, შეტევებს მიჩვეული იყო. რიგში მდგომთაგან ვერც ერთმა ვერ გაბედა ხმის ამოღება, ყველა საკუთარი თავის გადარჩენას ცდილობდა. გოგოს ეტყობოდა, რომ ეს ყველაფერი არ სიამოვნებდა. დარცხვენოდა და ხარბად თავი.

- წამოდით, ძალიან გთხოვთ, წავიდეთ...

- არა! - ისევ იყვირა იდამ, - შენ აქედან უნდა გააღწიო!

- მაშინ თქვენი ადგილი დაუთმეთ და სიაში თავიდან ჩაენერეთ! - დაიყვირა მის უკან მდგომმა ცალფეხა კაცმა, რომელმაც შეყოვნების გამო გაღიზიანება ვეღარ დამალა. წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. იდა გაჩუმდა და გოგოს მიაცქერდა.

- არა, ღმერთი არ გაგინყრეთ, ეს არ ქნათ! - აღმოხდა გოგოს და უსინათლო სახე იდასკენ შეაბრუნა. მაგრამ იდა უკვე გადახრილიყო მერხზე და ქალს ეუბნებოდა:

- თუ შეიძლება, მის სახელზე გამოწერეთ ცნობა. მე კი შემდეგ სიაში ჩამწერეთ.

გოგო იდას ხელს ჩაეჭიდა და მისი გამოთრევა სცადა.

- არავითარ შემთხვევაში არ გააკეთოთ ეს. ავადმყოფურად ცივი ხელები გაქვთ, ვიგრძენი. თქვენ არ ხართ კარგად. უნდა წახვიდეთ აქედან. ჩემი ბიძაშვილი...

- შეწყვიტე და რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე!

იდას ხმას ჩვეული სიმტკიცე დაუბრუნდა.

- სახელი! - თქვა მაგიდასთან მჯდომმა ქალმა.

- რა გქვია? - ჰკითხა იდამ, ახლაღა გაახსენდა, რომ მისი სახელი არც კი უკითხავს.

- იდა, - უპასუხა მან.

- შენი სახელი, შენს სახელს ვგულისხმობ, - ჩააცვიდა იდა.

- დიახ, იდა მქვია. იდა ეფრემოვა.

- ოჰ, რა მოსახერხებელია, მხოლოდ გვარისა და დაბადების თარიღის შეცვლა მომიწევს, - თქვა მაგიდასთან მჯდომმა ქალმა.

იდას მუხლები მოეკეცა.

გამგზავრებამდე დარჩენილი დღეები ერთად გაატარეს. ვასილევსკიზე, იდას ჩაბნელებულ ბინაში და იდა ეფრემოვას დაცარიელებულ სახლში, რომლის ბუსტი მდებარეობა ჩემთვის უცნობია.

მას მერე, რაც ბლოკადა დაიწყო, იდა პირველად ისმენდა მუსიკას. უმცროსი იდა ყოველთვის მზად იყო, რამე დაეკრა უფროსი იდასთვის. ის ჯერ ხელებს უთბობდა, თავის იღლიებქვეშ მოიქცევდა, ერთხანს ორივე შეშდებოდა, სანამ უმცროსი თავს არ გამოითავისუფლებდა და სიცილით არ ეკვეთებოდა ხოლმე პიანინოს.

მერე თავდავიწყებით უკრავდა, სანამ იდა გვერდით ედგა და წარსულში მიჰყვებოდა მუსიკას.

იდა ე. გაუჩერებლად ლაპარაკობდა მომავალზე. საერთო ბინაზე, სადმე, სადაც სითბო იქნებოდა, ფორტეპიანოს გაკვეთილებზე, რადგან იდა ე. დარწმუნებული იყო, რომ როგორც კი ომი დამთავრდებოდა და დათბებოდა, უფროსი იდა ისევ მოინდომებდა დაკვრას. ქათმებზე ლაპარაკობდა, რომლებიც შეიძლებოდა ჰყოლოდათ და ყოველ დილით კვერცხებს დაუდებდნენ, ლაპარაკობდა კონკურსებზე, მონაწილეობას რომ მიიღებდა და წარმოიდგენდა, როგორ შემოივლიდა მსოფლიოს უფროს იდასთან ერთად.

ერთხელ, ნაშუადღევს, როცა ეზოში რომელიღაც მეგობლის დანთებულ კოცონთან იდგნენ და თბებოდნენ, იდა ე. იდას მხარზე შეეხო და შესთავაზა, მიშვილეო.

- შენ ხომ შვილები არ გყავს, არადა, ნამდვილად გენდომებოდა, რომ გყოლოდა, ეს ხომ იდეალური იქნებოდა. თანაც მე უკვე დიდი ვარ და არც საფენების გამოცვლა მოგიწევს ჩემთვის და არც ღამეების თენება. გეყოლება გამზადებული შვილი, რომელიც ღამამ მუსიკას დაგიკრავს ხოლმე. მეტი რა გინდა?

იდა ე. ისე ბრძნულად და უშუალოდ მსჯელობდა მათ საერთო, წარმოსახულ მომავალზე, რომ იდას ეცინებოდა და ალერსით ეფერებოდა ლოყაზე.

სანამ გოგონა იდას ადგილს დაიკავებდა საბარგო მანქანაში და ცხოვრებას გაუბედავ, აკანკალებულ ხელს ჩასჭიდებდა, იდას ჰკითხა, ვინმესთვის რამე ხომ არ გადაეცა; ოჯახის წევრის ან მეგობრისათვის.

- სანამ შენც წამოხვალ, - მიამატა იდა ე.-მ.

- არ ვიცი... იქნებ ერთი საზღვაო ოფიცრის პოვნა მოხერხდეს, გვარად ჯაში, კონსტანტინე, კოსტიასაც ეძახიან. თუ ცოცხალია. აქ მიიღო განათლება, ლენინგრადში, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში და, რამდენადაც ვიცი, ბალტიის ფლოტში მსახურობს.

- და რა გადავცე?

- თუ...

- მე ვიპოვი მას.

- უთხარი, რომ ბედნიერებას ვუსურვებ.

- სულ ეს არის?

- რომ არასოდეს დამვიწყებია.

- და კიდევ?

- რომ მე... დანარჩენი თავად მოიფიქრე. შენ ხომ უსაზღვრო ფანტაზია გაქვს, გასაქანი მიეცი ჩემთვის. უთხარი რამე ღამაში, ყველაფერი მშვენიერი, რაც კი აზრად მოგივა.

- კარგი. ასე მოვიქცევი, - დამაჯერებლად დაუქნია თავი იდა ეფრემოვამ.

ერთმანეთს გადაეხვივნენ და იდგნენ გაუნძრევლად, ადამიანები კი მოუთმენლად მიდი-მოდიოდნენ, ეჯახებოდნენ, ჩემოდნებს საბარგო მანქანაში ისროდნენ.

- არა უკვიანეს მაისისა ყაზახეთის რომელიმე სოფელში შევხვდებით. მანამდე მე პიანინოს ვიშოვი და ჩემს ძმასა და შენს მეზღვაურს ვიპოვი. შენ კი თავს გაუფრთხილდები, კარგი?

გოგონამ ცხვირის წვერი მიაღო იდას ცხვირს და მისი სუნი შეისუნთქა. თითებით ეხებოდა მის სახეს და იდა გრძნობდა, რომ იმწუთას ხედავდა, მართლა უყურებდა მას, აღიქვამდა ყველაფერს ისეთს, როგორიც იყო, რაზეც ოცნებობდა და რაშიც შეცდა, რაც უყვარდა და რაც დაკარგა, რას ეძებდა და რაც იპოვა, საით მიისწრაფოდა და სად დაუცდა ფეხი, რას ნატრობდა და ვერ მოიპოვა, რისი იმედი შერჩა და რისი ეშინოდა.

უცებ იგრძნო, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე რაღაც თბილი, რაღაც სველი. იდა ე. ტიროდა. ეს შეუძლებელი ეჩვენებოდა, მაგრამ ბნელ ღრმულებს სიცოცხლე დაუბრუნდათ, იქიდან ცრემლებმა გამოაღწიეს.

იდა ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა. მეზობელმა იპოვა თავისივე კარის წინ მკვდარი. იმ კარის, რომელიც გაუბედავად გაუღო კოსტიას, რომელზეც ისე გამწარებით აბრახუნებდა ბოლოს ის. კიბეზე ავიდა და ჩაიკეცა. ველარ მიაღწია თავის ბინამდე, თავის ლოგინთან, იქ, სადაც ოდესღაც კოსტიასთან ერთად ზეიმობდა სიყვარულის დღესასწაულს და ყველა დაბრკოლება იოლად დასაძლევია ჩანდა.

იდა ე. ცნობილი პიანისტი გახდა, მან განსაკუთრებულ წარმატებას 50-60-იან წლებში მიაღწია. დასავლეთ გერმანიაში ტურნეს შემდეგ იქვე დარჩა. სამი წლის შემდეგ კი სსრკ-დან თავისი ქმრის გამოყვანა მოახერხა, რომელიც ალტისტი იყო და მოსკოვის კონსერვატორიაში სწავლის დროს გაიცნო. განსაკუთრებული აღიარება ფრანგი კომპოზიტორების გაბედული ინტერპრეტაციებით მოიპოვა. მუქი, მოგრძო სათვალე, საკონცერტო გამოსვლების დროს რომ იკეთებდა, მისი სამარკო ნიშანი გახდა. 1982 წელს გერმანიაში გამოცემული მისი ავტობიოგრაფია ძალიან დამეხმარა, რომ იდაზე ცნობები მომეძიებინა, წიგნი მას ეძღვნებოდა.

წლები გავიდა, სანამ იდა ეფრემოვამ ბაბუაჩემი იპოვა, მაგრამ მან მაინც იპოვა ის.

* * *

მეტი ლითონი – მეტი იარაღი!

წარწერა პლაკატზე

სტალინგრადთან გერმანელების დიდი დანაკარგისა და ოპერაცია „ედელვაისის“ გამანადგურებელი შედეგების გამო ვლადიკავკაზიდან, მაშინდელი ორჯონიკიძიდან, სამხედრო შენაერთს გასვლის

განკარგულება გაიცა და წლის ბოლოს სამხედრო გზა ისევ გახსნილი იყო; სტასიამ სახლში გამგზავრება შეძლო. 1943 წლის მარტში ჩააღწია თბილისში. სიმონის უკანასკნელმა, მისთვის უჩვეულოდ სენტიმენტალურმა წერილმა შეაშფოთა, მაგრამ ცუდზე ფიქრი საკუთარ თავს აუკრძალა.

ქრისტიანესგან იცოდა, რომ ვოსტია ცოცხალი იყო და ლენინგრადის ფრონტზე სახელი მოიხვეჭა. როგორც იქნა, ათავა აღმართი და მიაღწია თავისი დის დიდებულ სახლს. ბალი გავერანებულიყო, შადრევანი დამშრალიყო, განძეულობასაც დიდი ხნის წინ გადაენაცვლებინა შავ ბაზარზე. შვილს კისერზე ჩამოეკიდა და სცადა ეტირა, რომ ოდნავ მაინც ეგრძნო შვება, მაგრამ ვერ შეძლო. მერე და მერე კიტიმ და ქრისტიანემ უამბეს ყველაფერი, რაც მისი არყოფნის დროს ხდებოდა: ანდროს გაუჩინარება, მწუხარე და დარდიანი, მაგრამ მაინც მშვიდობიანი თვეები თბილისში. მხოლოდ აბორტი ახსენა კიტიმ კარგა ხნის შემდეგ გაკვრით. ისე, რომ აღარც მიბრუნებია და ჩაღრმავებია ამ თემას.

ისხდნენ სამზარეულოში, აცხოვდნენ მჭადს და თვალებგანათებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს.

ქრისტიანე გამუდმებით უბელდა უფროს დას მხრებს, სახეზე კიტრის ნათალის ნიღაბს აფენდა, ასკილის ცხელ ჩაის უყენებდა, რომ ისევ მოეღონიერებინა, ვედროებით წყალს უცხელებდა აბაზანის მისაღებად, ახალი წინდები და ჩექმები აჩუქა და თმა შეჭრა.

პირველი კვირების განმავლობაში სტასია თითქოს ძილ-ბურანში იმყოფებოდა. ვერაფრით გადაენწყვიტა გარეთ გასვლა, საუბრის დროს ნებისყოფას ვერ იკრებდა. მუდმივად თვალები ეხუჭებოდა და წამდაუნუმ ამთქნარებდა. კიტი და ქრისტიანე ჩვეულ ყოველდღიურობას დაუბრუნდნენ: ტალონებით ყიდულობდნენ საკვებს, დადიოდნენ საავადმყოფოში, ასუფთავებდნენ, რეცხავდნენ, ფრონტისთვის ქურთუკებსა და პალტოებს კემსავდნენ, შეშას აგროვებდნენ, საჭმელს ამზადებდნენ და მონუსხულები უსმენდნენ რადიოს.

ბოგჯერ, ღამით, სტასიას სახლში ხმამაღალი ყვირილი ესმოდა, ესმოდა, როგორ იღებოდა ქრისტიანეს საძინებელი ოთახის კარი და იგი დერეფნის გავლით ქვევით მიიჩქაროდა, ყოფილ საბავშვო ოთახში, სადაც კიტის ეძინა. ესმოდა შვილის კვნესა, ტირილი, მოთმინებადაკარგული ხმა, მერე ქრისტიანეს დამამშვიდებელი ლაპარაკი. ლოგინში წამოშტადარი ყურს უგდებდა, როგორ აწყნარებდა კარგა ხანს ქრისტიანე კიტის, სანამ ბოლოს სიმშვიდე არ დაისადგურებდა და ქრისტიანე თავის საძინებელში არ დაბრუნდებოდა.

ასეთ ღამეებში სტასია ნატრობდა, ქვემოთ ჩასვლისა და შვილის ჩახუტების ძალა ეპოვა. მისთვის ასეთივე ალერსიანი სიტყვები ეჩურჩულა ყურში, ეკითხა, რა იყო მიზეზი ამგვარი სასოწარკვეთისა, რა ჰგვრიდა ასეთ შიშს, მაგრამ მას ეშინოდა იმ საიდუმლოსი, რომელსაც კიტი

დეიდამისს უზიარებდა, ემინოდა კიტის კომმარების, გადამდები რომ შეიძლებოდა ყოფილიყო.

გაზაფხულმა ადამიანები გარეთ გამოიყვანა, პარკებში, ფართო პროსპექტებსა და ვიწრო ქუჩებში. ისევ გაისმა ნაყინის გამყიდველების შეძახილები, თავიანთ ნაყინს რომ აქებდნენ, მეზობლები ახალ ჭორებს უყვებოდნენ ერთმანეთს, კამათელი ნარდის დაფაზე დაგორავდა. სარეცხი ისევ გაიფინა შიდა ეზოებში და მშვიდობის თეთრ დერეფნებად აქცია.

მოხუცი კაცი, რომელსაც ადრე ხილის დახლი ჰქონდა ქუჩის კუთხეში, ახლა თუთიის ვედროებით ყიდდა ცოტაოდენ ვაშლსა და ქლიავს. აკადემიკოსის მსუქანმა ცოლმა ისევ დაიხურა თავისი ბუმბულიანი ქუდები, ბოშა ქალები ქუჩებში ისევ გუნდებად გამოეფინნენ და მკითხაობდნენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ბედნიერ, ნათელ, იმედის მომცემ მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. ომის დროს ცუდი ამბის თქმა შეიძლება ცემა-ტყეპით დამთავრებულიყო.

ასეთ მზიან დღეებში კიტი, ქრისტინე და სტასია ვერაზე სეირნობდნენ, მგუსუმირას აკნატუნებდნენ, ბურახს სვამდნენ. რაკი მაისში ობერლეიტენანტ ჯაშისგან ჯერ კიდევ არანაირი ცნობა არ მოსულიყო, სტასიამ სამხედრო კომისარიატს მიმართა ძებნის გამოცხადების მიზნით, იმედი ჰქონდა, რომ რამეს მაინც შეიტყობდა თავისი ქმრის ადგილსამყოფლის შესახებ. როცა სტასიას ყოველგვარი იმედი გადაეწურა, წერილი მიიღო მოსკოვის ფოსტის ბეჭდით. შეტყობინება მოკლე იყო: ობერლეიტენანტი ჯაში, სავარაუდოდ, სტალინგრადის ღირსეულ და ძღვევამოსილ ბრძოლაში დაეცა. ამ წერილით თბილისის შესაბამის კომისარიატს უნდა მიმართოთ, იქ დაგეხმარებიან, განსაკუთრებით, ქვრივის პენსიის საკითხშიო.

კომისარიატში ახალგაზრდა ფორმიანმა ქალმა განუმარტა, მართალია, თქვენი ქმარი დაღუპულთა სიებში არ არის, მაგრამ, ხომ იცით, სწორედ სტალინგრადში იყო ყველაზე დიდი დანაკარგიო.

- ეს ნიშნავს, რომ ცხედარი არ არსებობს? - იკითხა სტასიამ აუღელვებლად.

- ჩვენ მის დივიზიას დავუკავშირდით. თქვენი ქმარი დღემდე დაკარგულად ითვლება, მაგრამ, სავარაუდოდ, ბრძოლის ბოლო დღეებში დაიღუპა.

გმირულად უბრძოლია და თუ მისი სიკვდილი დადასტურდება, გმირის წოდება მიენიჭებაო.

სტასიამ შეაწყვეტინა და დაასკვნა:

- სანამ ცხედარი არ არსებობს, მკვდარი ვერ იქნება, - მერე მითრიალდა და მშვიდად გავიდა შენობიდან.

ქრისტინე და კიტი დაიბნნენ, როცა სტასიამ მათ მშვიდად და აუღელვებლად უამბო, რაც კომისარიატში უთხრეს. კიტი ნერვიულად

იკვნეტდა ქვედა ტუჩს, ქრისტინეს კი თვალებზე ცრემლი მოადგა. სახეზე ეტყობოდა, რომ დალუპვის ცნობა სარწმუნოდ მიიღო. ქრისტინე შიშობდა, რომ სიმონის შინმოუსვლელობა იმასაც მოასწავებდა, რომ ანდროც აღარასდროს დაბრუნდებოდა შინ.

კიტი ფიქრობდა, ქრისტინე თავისი ქმრისა და სახის დაკარგვას ხომ არ დასტირისო და ღელავდა, სიმონის ბედს კოსტიაც ხომ არ გაიზიარებსო.

უცებ კიტიც აქვითინდა.

- რა გატირებთ? - იკითხა სტასიამ, - ის ხომ არ მომკვდარა. უბრალოდ, დაკარგულია. ეს კაცი ნახევარი ცხოვრება დაკარგული იყო, ახლაც ასე იქნება, გამოჩნდება, ნუ დარდობ.

- მკვდარია! - უთხრა კიტიმ სრუტუნით.

- თუ ცხედარი და საფლავი არ არსებობს, მკვდარიც არ არსებობს!

სტატიას ხმაზე ეტყობოდა, რომ ეჭვი არ ეპარებოდა, ისეთი დარწმუნებული ჩანდა.

- დაუმარხავი მკვდრებიც ხომ არსებობენ!

კიტიმ ისე მძიმედ წარმოთქვა ეს, ისე ყრუდ, რომ სტასიამ ყური ცქვიტა. დამფრთხალი წამოდგა და შვილს მიუახლოვდა. მისი უფსკრული შიშს ჰგვრიდა, ვერ ბედავდა ჩახედვას, წონასწორობის დაკარგვის ეშინოდა. სცადა მოხვეოდა, მაგრამ კიტი უკან გაიწია.

კონსტანტინე ჯაში გადარჩა. ბრძოლების უკანასკნელ დღეებში ფეხის მძიმე ჭრილობა მიიღო და ოპერაცია დასჭირდა. რაკი ლენინგრადის კლინიკები გადატვირთული იყო, НКВД-ს თვითმფრინავით მოსკოვში, სამხედრო ჰოსპიტალში, გადააფრინეს. სროლის ხმასა და ყუმბარებს მოშორებულს, კვებით უზრუნველყოფილსა და თბილ საბანში გახვეულს, ჰოსპიტალში წოლა ალბათ სამოთხედ ეჩვენებოდა. სამშობლოში გასამგზავრებლად ორკვირიანი შვებულება შესთავაზეს, რასაც მორიდებით დასთანხმდა; ეს ღირსების ორდენის ტოლფასი იყო, იმიტომ რომ წითელარმიელებს შვებულება არ ეკუთვნოდათ. როგორც ჩანს, ვიღაცამ კეთილი სიტყვა შეაწია. ნეტავ, ვინ უნდა იყოსო, - ფიქრობდა კოსტია, მაგრამ უშედეგოდ. წლები გავიდა მას შემდეგ, რაც სამშობლოში აღარ ჩასულიყო. ომის პირველ ორ წელიწადს გაცხოველებული და დეტალური მიწერ-მოწერა ჰქონდა მამასა და ალანიასთან. თბილისში მხოლოდ ტელეგრამებს გზავნიდა ხოლმე. არ იცოდა, როგორ გამოეხატა სიტყვებით ის, რაც გადაიტანა, რომ დეიდამისისთვის, დისა და დედისთვის გასაგები ყოფილიყო.

ამჯობინა, იმ მდგომარეობაში დარჩენილიყო, რომ არც შეკითხვები დაესვა და არც პასუხების მოლოდინი გასჩენოდა, რომ აზრი არ ჰქონოდა არაფერს. უნდოდა დაევიწყებინა, რომ სიკვდილის ყოველდღიური გარდუვალობის მიღმა სხვა რამეც არსებობდა. სევდა, სიხარული, სასონარკვეთა, იმედი და, რაც მთავარია, სიახლოვე. ერთი ყლუპი არაყი

და შავი პურის ქონნასმული ნატეხი ახარებდა; ფქვილის ტომრები და კონსერვები ახარებდა, თვეების განმავლობაში რომ შეჰქონდათ ლენინგრადში, დაუბიანებელი გემები, უბრალოდ, გადარჩენა ახარებდა.

ამის მიღმა რაც არსებობდა, ის არც კი ითვლებოდა. აღარც არსებობდა, იმის მოლოდინი, რომ ამ ყველაფერს დაიბრუნებდა, კოსტიას ხელის შემშლელად მიაჩნდა და გარკვეულწილად სახიფათოდაც.

მოგონებები გულს მოულობდნენ. ღია გულით კი კარგად სროლა შეუძლებელია, ბრილკა, მიზანში ვერ გააარტყამ და მალევე თვითონ გახდები სამიზნე.

თითქოს საუკუნე გავიდა, ვიდრე სტასიამ კარი გაუღო და ყელზე ჩამოევიდა. მთელი სხეული უცახცახებდა და ისე მაგრად იხუტებდა, კოსტია ლამის დაახრჩო.

სტასიამ მთელი ხმით გასძახა ქრისტინეს. კოსტია წაბარბაცდა, მაგრამ მაშინვე ხელჯოხს დაეყრდნო და წონასწორობა აღიდგინა, ოპერაციის შემდეგ სამ კვირას ეს ჯოხი თან უნდა ჰქონოდა. გრძელი დერეფნის ბოლოში ქრისტინე გამოჩნდა. ადრეც იქ იდგა ხოლმე, როცა კოსტია პატარა იყო და ელოდებოდა, სანამ ის, სკოლიდან მობრუნებული, მისკენ გაექანებოდა და ყელზე ჩამოევიდებოდა. კოსტია მისი სახის შეუნიღბავ მარჯვენა მხარეს მიაჩერდა. რა ლამაზიაო, – გაიფიქრა და იმავდროულად მისმა განახევრებულმა მშვენიერებამ უსაზღვროდ დაანადვლიანა, გული შეეკუმშა, ხელის გულები დაუსველდა. ვერაფერს გახდა, ქრისტინეს დანახვაზე იდა გაახსენდა.

ქრისტინე მის წინ იდგა და ისე უყურებდა, თითქოს მთელი ცხოვრება სასიყვარულო წერილებს სწერდნენ ერთმანეთს და ახლა პირველად შეხვდნენ.

– კოსტია, კონსტანტინე, ჩემო მშვენიერო კონსტანტინე, ისევ დაბრუნდი, ისევ აქ ხარ, ჩემთან!

სტასიამ უკან დაიხია, საშუალება მისცა უმცროს დას, დისშვილთან სიმბიოზური სიახლოვე ეგვიმა.

აცადა თავის შვილს, ამ კავშირით დამტკბარიყო, რადგან მისი სხეულიც და სახეც გამოხატავდა, რომ ძალიან უმძიმდა.

მოგვიანებით კიტი საავადმყოფოდან დაბრუნდა და როცა სამზარეულოდან ძმის ხმა გაიგონა, წამით დერეფნის კედელს აეკრა, ღრმად ამოისუნთქა, შეეცადა, დამშვიდებულიყო და სანამ სამზარეულოში შევარდებოდა, ძველებურ თავშეუკავებელ სიცილში წაივარტიშა, ცდილობდა, ისეთივე ხმა ჰქონოდა, როგორც მაშინ, როცა ბედნიერი იყო.

სტასიასგან განსხვავებით, კოსტია ბევრს ლაპარაკობდა: დაუღალავად, დაწვრილებით აღწერა სევასტოპოლსა და „გორკიმე“ გატარებული დრო, უწინარესად, ლადოგის ტბაზე მომხდარი ამბები.

ყველაფერი გადასანსლა, რაც მაგიდაზე დაუდგეს, თითქოს შიმშილს ვერ იცხრობდა და ჭაჭას სვამდა, რომელმაც კიდევ უფრო გაუხსნა ენა.

კიტიმ შეამჩნია, რომ იმ ყველაფერზე, ხოცვა-ჟლეტაზე, თავდასხმებზე, ბომბებზე, შიმშილზე, გადარჩენისთვის დაუნდობელ ბრძოლაზე რაღაც ხელოვნურად ლაპარაკობდა, გულთან არ მიჰქონდა.

ქრისტიანემ და სტასიამაც ბევრი რამ უამბეს, მართალია, ნაკლებად დალაგებულად, სიტყვას აწყვეტინებდნენ ერთმანეთს, კამათობდნენ წვრილმანებზე, სხვადასხვანაირად რომ დაამახსოვრდათ. როცა სიტყვამ მოიტანა და ანდრო ახსენეს, ქრისტიანემ ხმას დაუნია და კოსტიას შეატყობინა, რაც იცოდა, უფრო სწორად, რაც არ იცოდა; ამბობენ, პარტიზანულ მოძრაობას შეუერთდა დ ვერმახტის მხარეს იბრძვისო. ქრისტიანეს სიტყვები კიტიმ დალატად აღიქვა, მართალიც რომ ყოფილიყო მისი ნათქვამი; იმანაც გაანაწყენა, რომ კოსტიამ სულ რამდენიმე საათში ქრისტიანეს მისაკუთრება მოახერხა. ანდროს ამბის გაგონებაზე კოსტიამ ლანძღვა-გინება დაიწყო. სამშობლოს დალატმა აღაშფოთა, ილაპარაკა სწორი იდეოლოგიის მნიშვნელობაზე, ერთგულებაზე და თავდადებაზე, თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობებზე და გაიმეორა, ყოველთვის ვიცოდი, რომ ანდრო მცდარ გზას დაადგებოდა და ოჯახს შეარცხვენდაო.

კიტიმ ჩარევა ვერ გაბედა; არ უნდოდა, პირველივე სადამოს განხეთქილება მოსვლოდა ძმასთან და გული ეტკინა დედისა და დეიდისთვის. ისიც ესმოდა, მისი არგუმენტები ანდროს დასაცავად მეტისმეტად სუსტი იქნებოდა. არადა, უძიმდა სამშობლოს მოღალატის როლში მისი დანახვა. ეს არ იყო მართალი. უბრალოდ, ყველაზე იოლი გზა იყო დანარჩენებისთვის, ანდრო საკუთარი შეცდომების მსხვერპლად გამოეცხადებინათ.

- მამა დაილუპა, არა?

კოსტიას ეს შეკითხვა ისეთი მოულოდნელი იყო, ზაფხულის უცარ ჭექა-ქუხილს ჰგავდა. იმწუთას ჯერ კიდევ თავის მოსკოვერ თავგადასავალს ჰყვებოდა. ქრისტიანემ თავი დახარა. სტასიამ ჩაახველა და მხარი მოიფხანა.

- უფლება გაქვს, იცოდე, დაკარგულად ითვლება, უბრალოდ, გაქრა.

სტასიამ სცადა ისე სწრაფად ეპასუხა, თითქოს ამინდზე ლაპარაკობდა.

- შეწყვიტე, ბოლოს და ბოლოს! - დაიყვირა კიტიმ.

- დაკარგულია, მისი სიკვდილის დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება არ გაგვაჩნია!

სტასიას გაბრაზება დაეტყო, იწყინა, რომ მის სიმართლეში ეჭვი შეჰქონდათ.

- სტალინგრადის ბრძოლის ბოლო დღეებში გერმანელების შტაბის წინ ნახეს უკანასკნელად, აფეთქებებამდე ცოტა ხნით ადრე!

კიტის სუნთქვა გაუხშირდა.

- მაგრამ მისი ცხედარი არ უპოვიათ!

ჯადოსნური შელოცვასავით იმეორებდა სტასია ჯიუტად, თითქოს ეს დაიცავდა სინამდვილისგან.

- შენ მაინც უთხარი, კოსტია, დაღუპულად უნდა გამოვაცხადოთ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, - შეეხვნა კიტი ძმას.

- ხვალ მე თვითონ წავალ კომისარიატში, უფრო ზუსტ მონაცემებს მომანვდიან, - უპასუხა კოსტიამ მშვიდად.

ცხელი ზაფხულის დადგომასთან ერთად მთელი ოჯახი სტასიას და ქრისტინეს მშობლიურ ქალაქში გაემგზავრა. შოკოლადის ფაბრიკანტის ძველ სახლში დაიდეს ბინა, რომლის ერთ ნაწილში ღლიდა ცხოვრობდა. მშობლების საფლავები მოინახულეს. შესცქეროდნენ საფლავის ქვებს, ისხდნენ ბალახზე. ყველამ თქვა „ამინ“, როცა ღლიდამ გარდაცვლილებისთვის ლოცვა დაასრულა. კოსტიამ მეორე დღესვე შეუკვეთა ახალი საფლავის ქვა, რომელზეც სიმონ ჯამი ამოაკვეთინა და რომელიც თავისი ბებია-ბაბუას და დედამისის ტყუპისცალის საფლავების გვერდით დაადგმევინა. სტასიამ სასაფლაოზე წასვლისა და ქმრის დატირებისგან თავი შეიკავა. გამოაცხადა, ჩემი ქმრის სიკვდილს მხოლოდ მაშინ ვაღიარებ, როცა საფლავის ქვის ქვეშ მისი ძვლებიც იქნებაო.

პატარა ქალაქში, რომელიც ოდესღაც კავკასიის ნიცა უნდა გამხდარიყო, ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ სადღაც გამანადგურებელი ომი მძვინვარებდა. ისეთი სიმშვიდე სუფევდა, გამაღიზიანებელიც კი იყო.

გაკვირვებულ კიტისა და კოსტიას არ გამოჰპარვიათ, რომ დედამ ყაბარდოული ცხენი იჭირავა და სტეპებში გაუჩინარდა. ქრისტინეც გაოცებული იყო, რომ იმ ქალაქის პატარა, ვიწრო ქუჩებში სეირნობდა, სადაც ერთ დროს ასეთი თავმოშწონე უკარება იყო. დიდხანს იდგა ჩარაბულ კარსა და აჭედილ ფანჯრებთან, იქ, სადაც ადრე შოკოლადის ფაბრიკა იყო, იქ, სადაც თავისი ქმარი გაიცნო ოდესღაც, თითქოს საუკუნეების წინ. ქალაქში სიარულისას კიტი თავს არიდებდა პარკს, სადაც მწვანედ შეღებილი სკამები იდგა. თავს არიდებდა ყველა გზას, სადაც ანდროსთან ერთად ევლო, ყველა ადგილს, სადაც მას დამალვოდა იმის იმედით, რომ ანდრო იპოვიდა.

გამომგზავრების წინა საღამოს კოსტიამ და კიტიმ კიდევ ერთხელ შემოიარეს შუა ქალაქის მიხვეულ-მოხვეული ქუჩები, გვერდიგვერდ მიაბიჯებდნენ, დახურული მაღაზიების წინ ჩერდებოდნენ, ერთმანეთს იმაზე ეკამათებოდნენ, თუ რა იყო ადრე ამა თუ იმ შენობაში. ერთი ქუჩის კუთხეში მოხუცი ქალისგან ბამბის ნაყინი იყიდეს და გაწვებილი ბლუჯით

ჩაიტკბარუნეს პირი. კიტიმ კოსტიას ხელი გაუყარა, ის კი წამდაუნუმ ჩერდებოდა ფეხის ტკივილის გამო.

- არ გეშინია? - შეეკითხა მოულოდნელად ძმას.

- რისი უნდა მეშინოდეს?

- დასასრულის, როცა სადღაც შორს ხარ. როცა მართლა ყოველ წამს შეიძლება დასრულდეს ყველაფერი.

- როგორ არა. ხანდახან.

- როგორ უძლებ?

- არ ვფიქრობ ამაზე. უბრალოდ, ვცდილობ საკუთარი მოვალეობა შევასრულო.

- რაც ნიშნავს, რომ მოკლა ან მოგკლავ?

- ვიზრუნო იმაზე, რომ შეძლებისდაგვარად ნაკლები ჩვენგანი დახოცონ. და რაც შეეხება მტრებს: თუ შენ არ მოკლავ, ისინი მოგკლავენ. შეუბრალებლად. იმ დროს ამაზე არ ფიქრობ...

- ისინი რა, ადამიანები არ არიან?

- ისინი ავადმყოფი ფაშისტები არიან.

- და ჩვენ? ავადმყოფი კომუნისტები ვართ?

- ასეთი რამის თქმა მართლ შენ შეგიძლია, ეს რა, შენი მეგობრის ავადმყოფური ნააზრევია?

- ჩვენ ხომ სამივე ერთად გავიზრდეთ, კოსტია. ის ხომ ძმასავით იყო შენთვის.

- არა. მოღალატე ჩემი ძმა ვერ იქნება. არ ჰქონდა ამის უფლება.

- მას უბრალოდ თავისუფლება უნდოდა.

- თავისუფლება? ფაშისტებთან? სერიოზულად ამბობ ამას? შენ კი მასთან საქმე არ უნდა დაგეჭირა.

- ჩვენ დანიშნულები ვიყავით.

- დანიშნულები?

- ჰო. ახლა კი ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია თუ არა.

- აღარ უნდა გაიზარდო, კიტი? უკვე დროა. დანიშნულები!

კოსტიამ ენერგიულად გააქნია თავი.

- შენი თვალებით რომ არ ვუყურებ ამ სამყაროს, არ ნიშნავს, რომ ვერაფერს ვხედავ.

- ნუ მისტირი, არ არის ამის ღირსი. მან ჩვენი ოჯახი მოატყუა, გაანბილა, ოჯახი, რომელმაც გადაარჩინა.

- გადაარჩინა? მას დედა დაუხვრიტეს. იმან რაღა დაამავა? რატომ გიკვირს, რომ ანდრომ ამ სისტემის სიმართლე ვერ აღიარა? შენც ასეთ მდგომარეობაში არ იქნებოდი, დედა ან მე, ან ქრისტინე...

- საამისოდ ექნებოდათ მიზეზი.

- ამას როგორ ამბობ? ხომ იცი, რომ ეს არ არის მართალი. ხომ იცი, რომ ეს არ არის სწორი.

კიტი გაჩერდა და განცვიფრებული უყურებდა ძმას.

- ომი დიდხანს აღარ გაგრძელდება, გერმანელების საქმე წასულია. მთელი მსოფლიო მათ წინააღმდეგ არის. მერე ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება.

- ყველა ელოდება, შენც ელოდები და არავინ იცის, რა მოხდება.

- ამერიკაც კი გვემარება უკვე. ახალი ტანკებით გვამარაგებს, - განაგრძო კოსტიამ, თითქოს თავისი დის პროტესტი არც გაუგონია, - ახლა ყველა ერთად ვიბრძვით გერმანიის წინააღმდეგ.

- და შენ?

რომელიღაც გზაჯვარედინზე გაჩერდნენ. ქუჩებში შიშის მომგვრელი სიჩუმე იდგა.

- რას აპირებ მერე?

- გულისხმობ, თუ გადავრჩები, იმ შემთხვევაში? იმას გავაკეთებ, რასაც მოვალეობა მოითხოვს.

- და რას მოითხოვს შენი მოვალეობა?

- ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისთვის გავაგრძელებ საქმიანობას. სულ ეს არის, კიტი.

- კი მაგრამ...

- რა მაგრამ? რა გგონია, რას შესწირა მამამ თავისი სიცოცხლე? რატომ გამოესალმა სიცოცხლეს უთვალავი გმირი?

- მამა სამხედრო სამსახურისთვის ცხოვრობდა. შენ ასეთი არ ხარ. მამა ყოველთვის გვაკლდა. შენც, მეც, დედასაც. ასეთი ცხოვრება გინდა?

- რას ნიშნავს ეს? რას ჰქვია გვაკლდა? როგორ ბედავ მისი ცხოვრების ეჭვქვეშ დაყენებას?

- მე ახლა შენი და ჩემი ცხოვრების გზები დავაყენე ეჭვქვეშ.

- აჯობებს, იმაზე იზრუნო, რომ რაც შეიძლება სწრაფად ამოიგდო თავიდან შენი მეგობრის მიერ ჩანერგილი დამპალი აზრები. წესიერი კაცი უნდა მოგედებნა!

- მას სახელი აქვს და ეს სახელია ანდრო! არ მოიწამლები მისი სახელის წარმოთქმით!

გაცოფებულმა კიტიმ ბამბის ნაყინის ჯოხი მოისროლა და აჩქარებული ნაბიჯით განაგრძო გზა.

* * *

როგორ ემსახურე ფრონტს?

წარწერა პლაკატზე

ყირიმში მისიის შესრულების შემდეგ ანდრო ერისთავი ქართული ლეგიონის საბრძოლო ბატალიონში აღმოჩნდა, პოლონეთში, როგორც რადისტს, რკინიგზის სამსახურის უსაფრთხოება ევალებოდა ლვოვში. მოგვიანებით საფრანგეთში გაგზავნეს და იმ დივიზიის შემადგენლობაში მოხვდა, რომელსაც პატრიოტული სახელი - „თამარ მეფე“ ერქვა. იმ

დროს ისწავლა გერმანული და ფრანგული. პირენეებში მტრის შეტყობინებების გაშიფვრა ევალებოდა. ომის უკანასკნელ წელს ნიდერლანდებში გაგზავნეს, ჰაარლემში, სადაც ისევ რადისტის მოვალეობას ასრულებდა სარკინიგზო უსაფრთხოების სამსახურში.

სამწუხაროდ, ანდროს მაშინდელი მდგომარეობის შესახებ მწირი ინფორმაცია მაქვს. არ ვიცი, ყირიმშივე მიხვდა, სად შეტოპა და ნანობდა თუ არა თავის გადანყვეტილებას; ფაქტია, რომ თანდათან ნათელი გახდა მისთვის, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უნდა მიმხვდარიყო, რომ ვენა სულ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა და, იმავდროულად, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობაც ქრებოდა. 1944 წლიდან ქართული ლეგიონის ზოგიერთმა ბატალიონმა დებერტირობა დაიწყო, ვერმახტმა დაშალა შენაერთი. ამ დროისთვის ოცნება თავისუფალ საქართველოზე დიდი ხნის დამსხვრეული იყო, ამის შემდეგ საკუთარი თავის გადარჩენაზე თითოეულ მათგანს თვითონვე უნდა ებრუნა.

ანდრო არსად გაპარულა, „თამარ მეფის“ შემადგენლობაში დარჩა. უბრალოდ, გამოსავალს ვერ ხედავდა, სხვა გზა არ ეგულებოდა. ახლა რომ ვუფიქრდები, სწორედ ამ დამბლამ გადაარჩინა საბოლოოდ სიკვდილს. თავდაჯერებული პაციფისტი ანდრო ერისთავი ევროპის უკანასკნელ საბრძოლო ველზე აღმოჩნდა: ტექსელის კუნძულის ერთ-ერთი ამბოხებული გახდა.

1940 წლის გაზაფხულზე ვერმახტის მიერ ოკუპირებული კუნძული გერმანიის სამხედრო ძალების ბაზას წარმოადგენდა ჩრდილოეთის ზღვაში. „თამარ მეფის“ ბატალიონის ერთ-ერთი დანიშნულება ჰაარლემ-ამსტერდამის სარკინიგზო ხაზის დაცვა იყო. 1945 წლის გაზაფხულზე ანდრომ ტექსელზე გამგზავრების ბრძანება მიიღო. კუნძულზე არსებობდა ბანაკი, სადაც აღმოსავლეთის ფრონტზე ტყვედ ჩავარდნილი ბევრი ქართველი იმყოფებოდა და რომელთაგანაც ვერმახტმა სამაშველო შენაერთები ჩამოაყალიბა. ღამით, 6 აპრილს, ამ ბანაკში აჯანყება მოაწყვეს, რადგან ცნობილი გახდა ვერმახტის ბრძანება ფრონტზე მათი ხელახალი გაგზავნის შესახებ. ქართველებმა მთელი კუნძული ჩაიგდეს ხელში საზღვაო ბაზის ჩათვლით. დანიასა და ნიდერლანდებში გერმანელების კაპიტულაციის შემდეგაც კი ამ კუნძულისთვის სასტიკი ბრძოლა გრძელდებოდა.

არ ვიცი, რა დროს გადანყვიტა ანდრომ, აჯანყებას შეერთებოდა, მაგრამ მგონია, რომ მან ამ აჯანყებაში დაინახა თავისი ფატალური წარსულის გამოსწორებისა და სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა.

ანდრო რამდენიმე დღის განმავლობაში იმალებოდა მინდვრებში. ხედავდა, როგორ იწვოდა გლეხების სახლ-კარი. ესმოდა ყვირილი, გაუთავებელი სროლის, საბრძოლო გემების საყვირების ხმა, ქართული

და გერმანული ფრაზები, მისი გონება ამ ორ ენას ერთმანეთისგან ვეღარ ასხვავებდა. არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინ დაილუპებოდა და ვინ გადარჩებოდა. ისევ სროლა. რომელი მხრიდან ისმოდა? საით უნდა გაქცეულიყო? ვისთვის ესროლა? იარაღი ისეთი მძიმე ეჩვენებოდა, დიდი ძალა დასჭირდებოდა მის გამოსაყენებლად. შორიახლოს, მინდორში, რაღაც შეამჩნია. იმ მიმართულებით გახივდა, მოიკუზა, ისევ ატყდა სროლა, უკვე წარმოუდგენლად ახლოს. ფორთხვით განაგრძო გზა. გაზაფხულის სუნი სცემდა.

ადამიანი აღმოჩნდა. ვერმახტის ფორმიანი ჯარისკაცი. ჩაფხუტი სადღაც დაჰკარგვოდა. სუნთქავდა ჯერ კიდევ? არა. სახეზე ფერი შეცვლოდა უკვე. რამდენი წლის იქნებოდა? გერმანული იარაღი გვერდით ედო, ერთგული მეგობარივით. ფეხი მოკეცილი ჰქონდა, არაბუნებრივ მდგომარეობაში იწვა. ანდრო მკვდარ ჯარისკაცს მიუწვა და ცას ახედა. მსუბუქ ქარს ფუმფულა თეთრი ღრუბლები აცეკვებინა.

სროლა.

ერთი. ორი. სამი.

ანდრომ ჩაიჩურჩულა თავისთვის: Maman. მაგრამ დედამ არ უპასუხა. არც ბეცამ. და არც მკვდარმა ჯარისკაცმა.

ოთხი, ხუთი, ექვსი.

სროლის ხმა ესმოდა, მხოლოდ სროლის ხმა.

შვიდი, რვა, ცხრა.

დაინახა, როგორ მიქროდა ერთი ღრუბელი. გაიღიმა. ითვლიდა და პასუხს ელოდა. ან სიკვდილს. იქნებ გერმანული ჯარისკაცის უნდა შემურებოდა, რომელსაც სროლის ხმა აღარ ესმოდა და ეს წარსულში მოიტოვა. ამ ყველაფერთან აღარაფერი ჰქონდა საერთო.

ათი. და კიდევ ერთი გასროლა. მერე ისევ სრული სიჩუმე, რომელიც საერთოდ არ იყო დამამშვიდებელი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორი კვირის შემდეგ კანადის სამხედრო ნაწილებმა კუნძულზე სისხლისღვრა დაასრულეს, რასაც შემდგომში ევროპის უკანასკნელი ბრძოლაც კი უწოდეს.

ანდრო ერისთავი დანარჩენ 230 ქართველთან ერთად ცოცხალი გადარჩა.

ანდრო ბაფხულამდე დარჩა კუნძულზე. სხვა ხუთ გადარჩენილ ქართველთან ერთად, ერთ გადამწვარ კარ-მიდამოს შეაფარა თავი.

ანდრო ვენაში ვერ ჩავიდა.

* * *

ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედიაა,

მილიონების სიკვდილი კი – მხოლოდ სტატისტიკა.

გენერალისიმუსი

ომის ბოლო თვეები კოსტიამ ბალტიის ზღვაზე გაატარა, სადაც თავის საზღვაო დივიზიასთან ერთად იარაღის ტრანსპორტირების დაცვას უზრუნველყოფდა. დაკარგა შენაერთის ნახევარზე მეტი, დაიღუპნენ ადამიანები, რომლებთან ერთადაც მსახურობდა, თვითონ კი რაღაც სასწაულით გადაურჩა 1944 წლის შემოდგომაზე კურსკის ყურეში დაბომბვას.

სტასია გაორებულიყო - ხან ვერაზე ცხოვრობდა ქრისტინესა და კიტისთან, ხან კი თავისი ბავშვობის შუაზე გაყოფილ სახლში ლიდასთან. მასთან ერთად ბოსტნეული მოჰყავდა და ქათმებს უვლიდა, რადგან კვების რაციონი ქალაქში სულ უფრო მცირდებოდა და შავ ბაზარზეც ნაკლებად იშოვებოდა. 1944 წლის მაისში კიტი ჯაშმა თბილისის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში, რომელმაც იმ წელს ისევ გამოაცხადა მიღება, საბუთები შეიტანა სამსახიობო ჯგუფში ჩასაბარებლად. იმავე წლის სექტემბერში დაიწყო სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლა. არც სტასია იყო მოხიბლული კიტის ახალი გატაცებით და არც ქრისტინე, მაგრამ წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ მისი გადაწყვეტილებისთვის.

“გასულ თორმეტ თვეში მიმდინარე მოვლენებმა... იძულებული გამხადა, მთელი ჩემი ყურადღება და ენერჯია ერთადერთ ამოცანას მივუძღვნა, რომლისთვისაც უკვე მრავალი წელია ვცხოვრობ: ჩემი ერის საბედისწერო ბრძოლას... ამიტომ ახლა მინდა დიდი გერმანიის სახელით საზეიმო ფიცი დავდო უზენაესის წინაშე, რომ დამდეგ წელსაც ერთგულად და შეურყევლად აღვასრულებთ ჩვენს ვალს, მტკიცე რწმენით, რომ მოვა დრო და გამარჯვება საბოლოოდ ერგება ღირსეულს: დიდ გერმანულ რაიხს”, - ასეთი იყო ჰიტლერის 1945 წლის საახალწლო სიტყვა, რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის. ის წელი ჰიტლერისთვის კარგად ვერ დაიწყო, რადგან 1 იანვარს შეატყობინეს, რომ გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა უკან დაიხიეს, კობლენცთან, ამერიკელებისა და ბრიტანელების ჯარებთან დამარცხდნენ. გენერალისიმუსი უკვე ენერგიულად აჩქარებდა ბერლინის შტურმს. როგორც მანამდე ჰიტლერი სტალინგრადს, ასევე გენერალისიმუსი ბერლინს უზარმაზარ სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა, გარდა ამისა, მსოფლიოს თავიდან გადანაწილებას და გერმანიის სუვერენიტეტის გაუქმებას ხელცარიელი კი არ უნდოდა დახვედროდა, არამედ ფაქტებს აგროვებდა. უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ჯარებმა აუშვიცი გაათავისუფლეს; უკრაინულმა შენაერთებმა იქ დაახლოებით 648 დაუმარხავი ცხედარი იპოვეს და დაახლოებით 7 600 მომაკვდავი, რომელთაც მომწამლავი აირის, ციკლონ B-ს მკვეთრი სუნი იყნოსეს. 3 თებერვალს ბერლინმა ამერიკის შეიარაღებული ჯარების უმძიმესი დაბომბვა გადაიტანა, შედეგად 22 000 ადამიანი დაიღუპა.

13 თებერვალს დრეზდენი განადგურდა; ამჯერად ბრიტანელებისა და ამერიკელების საჰაერო ძალების საერთო ძალისხმევით.

დაბომბვის უთვალავი მსხვერპლის იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო უმძიმესი დამწვრობების გამო.

ნანგრევების წონამ 18 მილიონი ტონა შეადგინა. თებერვლის ბოლოს მოკავშირეებმა რაინამდევ მიაღწიეს.

გერმანული რადიო განაგრძობდა გებელსის მიერ დადგენილი სამაუწყებლო პროგრამის გადმოცემას – ეს იყო კონცერტი მსმენელთა თხოვნით – შლაგერები და ოპერეტები, რომელთაც ომის ახალი ამბები ენაცვლებოდა.

16 თებერვალს შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ ნაციონალ-სოციალისტების ყველა შვეიცარული საბანკო ანგარიში გაყინა. მარტში ამერიკელებმა ფრანკფურტი დაიკავეს. საჰაერო თავდასხმები მთელ გერმანიაში გრძელდებოდა. გამაყრუებელი ხმაური გახდა იმ ზამთრის იანვანა. იმავე თვეში საფრანგეთში დაიწყო პროცესები კოლაბორაციონალისტების წინააღმდეგ; საეჭვო სამართალწარმოების პირობებში ათასობით ადამიანს გამოუტანეს განაჩენი და სიკვდილით დასაჯეს, დანარჩენები თმაგადაპარსულები გაჰყავდათ და საჯაროდ ლანძღავდნენ.

12 მარტს ბერგენ-ბელზენში გარდაიცვალა ტიფით სიფრიფანა გოგო, რომელიც დასთან ერთად ცოტა ხნით ადრე იქ აუშვიციდან ჩაიყვანეს და ღიაგნობი დაუსვეს, რომ, ავადმყოფობის მიუხედავად, გამოჯანმრთელების შანსი ჰქონდა. ისე გარდაიცვალა, არ იცოდა, რომ თავისი დღიური სიკვდილისგან იხსნიდა.

გერმანიის დედაქალაქის შტურმისტვის 16 აპრილს, ჟუკოვისა და კონევის მეთაურობით, I უკრაინული და II ბელორუსული ფრონტი გაიხსნა. მე-9 არმია უმოკლეს დროში განადგურდა. 22 აპრილიდან უკვე ქალაქის ცენტრისკენ მიიწვედნენ. ამ დროს ბუნკერში, 28 აპრილის ღამეს – ჰიტლერის ანდერძი დაიწერა: გროსადმირალი დენიცი რაიხსპრეზიდენტი უნდა გამხდარიყო, გებელსი კი – რაიხსკანცლერი. ამის მერე გაიმართა მსოფლიოში ყველაზე ავის მომასწავებელი ქორწილი; ბოლოს და ბოლოს, ადოლფი და ევა დაქორწინდნენ. ორი დღის შემდეგ კი ჰამბურგის გაზეთი იტყობინებოდა: „ნაშუადღევს, თავის შტაბში, რაიხის კანცელარიაში, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, გერმანიისთვის დაეცა ჩვენი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი“. არც ტყვია და არც კალიუმციანიდი, ახლად დაქორწინებულმა ცოლ-ქმარმა რომ გამოიყენა, არსად იყო ნახსენები. მანამდე იქიდან სულ რაღაც 800 მეტრში რაიხსტაგზე საბჭოთა დროშა აღმართეს. ვერმახტის 150 000 დატყვევებული ჯარისკაცი ბერლინს ტოვებდა. 7 მაისს საფრანგეთის ქალაქ რეიმსში გერმანიის სრულ

კაპიტულაციას მოეწერა ხელი, რომელიც 8 მაისის 23:01 საათზე შევიდა ძალაში.

ომი დამთავრდა.

სიტყვები აღარ არსებობდა. სამაგიეროდ, ზოგი ყვიროდა და მაგარ არაყს სვამდა.

ნითელარმიელები ქურდობდნენ და ყველაფერი მიჰქონდათ თან, რისი წაღებაც შეეძლოთ.

დიუკ ელინგტონი უკრავდა: I'm beginning to see the light. ტაიმს სკვერზე წყვილები ცეკვავდნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ.

ევროპაში ფერფლის სუნი ტრიალებდა.

აჩრდილებს გოდებით სული ეხუთებოდათ.

პეპლები ჭუპრებიდან გამოძრომას ვერ ბედავდნენ. სინატრა კი მღეროდა: Dream when you are feeling blue. ამ დროს ვიღაცებს გული მისდიოდათ.

ომი დამთავრდა. ამ სიტყვებს ყველგან იმეორებდნენ. ისეთი მარტივი იყო ამის მოსმენა, როცა ყველა რადიოდან, ყველა კინოეკრანიდან ამას იუნყებოდნენ, ისე დაუჯერებლად ბუნებრივი: ომი დამთავრდა. მერე კი მარშის მუსიკა.

ნითელ მოედანზე ლენინის ხსოვნას შეჰფიცეს და ელინგტონი და სინატრა კი არ გააუღერეს, მაგრამ ერთმანეთს მაინც კოცნიდნენ და გულიც მისდიოდათ, ალბათ. გენერალისიმუსის ხმა ჭეჭდა: „სამი წლის წინ გერმანიამ საბჭოთა კავშირის დანაწევრება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელარუსისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩამოშორება განიზრახა. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წავიდა. გერმანია იძულებული შეიქნა, უპირობო კაპიტულაციას დათანხმებულიყო. ამხანაგებო! დიდ სამამულო ომში გავიმარჯვეთ! დიდება საბჭოთა ხალხს, გამარჯვებულ ხალხს, საბჭოთა არმიას, საბჭოთა ფლოტს და ყველას, ვინც სიცოცხლე შესწირა სამშობლოს!“ – ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ომის დამთავრებასთან ერთად მისი პირადი დასასრულიც ახლოვდებოდა: რამდენიმე თვით ადრე პირველი ინსულტი გადაიტანა; მალე მას ექიმები მეტისმეტად მაღალი წნევის, ათეროსკლეროზის, გულის სისუსტისა და ქრონიკული ჰეპატიტის დიანოზს დაუსვამდნენ. მაგრამ გენერალისიმუსი კმაყოფილი იყო: საბჭოთა კავშირმა ომის შემდეგ უძლიერესი იმპერიის სტატუსი მოიხვეჭა.

ანდრო, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, პლატლინგის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს, რეგენსბურგთან ახლოს. იმედი ჰქონდა, რომ იქიდან უკვე დასავლეთისკენ გამგზავრების ნებართვას მიიღებდა.

მაგრამ იალტის კონფერენციაზე გადანყვიტეს ყველა საბჭოთა მოქალაქის სსრკ-ისთვის უპირობოდ გადაცემა. ვერც ლტოლვილთა ინტერნაციონალურმა კავშირმა და ვერც გაერთიანებული ერების

დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაციამ ამის წინააღმდეგ ვერაფერი ილონეს.

ბრიტანელებს მანამდე უკვე დაწყებული ჰქონდათ ტყვედ ჩავარდნილი ათასობით საბჭოთა მოქალაქის საბჭოთა კავშირისთვის გადაცემა.

უკან დაბრუნებულებს ერთნაირი ბედი ელოდათ: ნაწილს დაბრუნებისთანავე ხვრეტდნენ მურმანსკისა და ოდესის პორტებში, ზოგი გულაგებში გადაჰყავდათ ან ისევ ფრონტზე აგზავნიდნენ ომის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე. ტრაგიკული აღმოჩნდა 1946 წელს ექსტრადიცია დაჰაუში: 140 ადამიანიდან 14-მა, მათი ნების საწინააღმდეგოდ რომ უნდა გადაეცათ საბჭოთა კავშირისთვის, შუშის ნატეხებით გამოიჭრეს ყელი. ამერიკელებმა ეს ქმედება ასე აღწერეს: „წითელარმიელი მოღალატეების არაადამიანური სუიციდის ორგია“.

პლატლინგის სხვა 1500 საბჭოთა ტყვესთან ერთად, ანდრო ერისთავიც 1945 წლის აგვისტოში გადასცეს საბჭოთა ხელისუფლებას და ის ციმბირულ გულაგში მოხვდა, ნასინოსთან (ეს ადგილი ცნობილი იყო „ნასინოს ტრაგედიით“ მას მერე, რაც 1933 წლის ზაფხულში, როგორც რეპრესიების დროს ხდებოდა ხოლმე, 6000 საბჭოთა დეპორტირებული უბრალოდ გადასვეს მატარებლიდან და უსახლკაროდ, უსაკვებოდ, უხელსაწყობოდ დატოვეს იქ. ორი კვირის შემდეგ მათგან მხოლოდ 2000 იყო დარჩენილი. 4000 შიმშილით ან სიცივით დაიღუპა, მაგრამ უმრავლესობა კანიბალიზმის მსხვერპლი გახდა).

ვენა კი ოთხად იყო გაყოფილი და ანდროს ოცნებაც დასამარდა.

ომის ოფიციალურ დასასრულამდე რამდენიმე დღით ადრე, იმ დღეს, როცა პარტიზანებმა გაქცეული ბენიტო მუსოლინი დაიჭირეს თავის საყვარელ კლარა პეტაჩისთან ერთად, დახვრიტეს და მათი გვამები თავდაყირა დაკიდეს პიაცა ლორეტოს მოედანზე, მილანში, კოსტია ჯაშისთვისაც დამთავრდა ომი. ის ბალტიის ზღვიდან გამოიწვიეს და მატარებლით გაგზავნეს მოსკოვში.

საზღვაო კომისარიატში მას ელევანტური, ჩუმად მოსაუბრე, ბენვისსაყელოიან ძვირფას მუქ პალტოში გამონყობილი მამაკაცი შეხვდა: კარგად რომ დააკვირდა, მაშინდა იცნო კოსტიამ თავისი საუკეთესო მეგობარი გიორგი ალანია.

გიორგიმ თავის დიდ, ნათელ ბინაში წაიყვანა, პირდაპირ ტვერსკაია ბულვარზე და მეფურად უმასპინძლა. მისნაირი დიდებული ბინა მხოლოდ და მხოლოდ სამინისტროს თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ კოსტიას ჯერ არ უნდოდა ასეთ დამღლეულ წვრილმანებზე ფიქრი, გემრიელი კერძებითა და ფუფუნებით ტკბებოდა. სხვათა შორის, გიორგიმ უამბო მეგობარს, რომ დაეწინაურებინათ და შინაგან საქმეთა სამინისტროში, МВД-ში, მსახურობდა. როგორ მოხვდა იქ და ზუსტად რას

საქმიანობდა - ამაზე ალანიამ არაფერი თქვა; მხოლოდ მოგვიანებით მიანიშნა, რომ ჯერ არ იყო უფლებამოსილი, თავის საქმიანობაზე ელაპარაკა. კოსტია უბედნიერესი იყო იმითაც, რომ მეგობარი ისევ სიყვარულს, აღტაცებას გამოხატავდა მის მიმართ და აშკარად ცდილობდა, მისი ყოველი სურვილი აესრულებინა. გიორგიმ მასთან ერთად ისეირნა, ვახშამზე დაპატიჟა ისეთ დიდებულ რესტორანში, კოსტია რომ ვერც ინატრებდა და დაუღალავად აქებდა სიმამაცისა და გმირობისთვის. გაუმხილა, რომ მალე მას კაპიტნის წოდებას მიანიჭებდნენ.

როგორ მოხვდა გიორგი ალანია სამყაროს ერთ კუთხეში მიგდებული გემთსაშენიდან სამინისტროში, როგორ მოახერხა ეს, გამოცანად დარჩა, კოსტია საკუთარ თავს გამოუტყდა, როგორც ჩანს, მეგობარს სათანადოდ ვერ ვაფასებდით.

ზოგიერთ დღეს, შამპანურის საცობების ბათქუნსა და ძვირფას რესტორნებში ფულის ხარჯვას, ან მეგობართან საუბარში გატარებულ ღამეებს შორის კოსტიას პანიკური შიში ეწყებოდა, შიში იმისა, რომ მოგონებებს ვეღარაფერი შეაჩერებდა. ომს გადაურჩა, ბომბები აღარ ცვიოდა. სროლა აღარ იყო. ამასთან შეგუება უმძიმდა კოსტიას. რამდენადაც აბსურდულად ეჩვენებოდა ეს, სწორედ ახლა გრძობდა თავს დაუცველად. არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ყოველდღიურ ცხოვრებაში. სამაგიეროდ, ხვდებოდა, რომ მოგონებათა საზარელი არმია აუცილებლად მიაკითხავდა. ისინი მას არ დაინდობდნენ. სადღაც გონების ხვეულებში ქალი ჩამალულიყო, ყოველ თითს ბეჭედი უმშვენებდა, როგორ არ ცდილობდა, მაგრამ ვერაფრით იშორებდა მის სახებას. აგიჟებდა იმაზე დარდი, რომ ეს ქალი შეიძლება ცოცხალი აღარ ყოფილიყო; აჩრდილის დევნაში ჭკუას კარგავდა.

გიორგი ალანიამ სახლში ლამაზი, ბენვეულში გახვეული და სამკაულასხმული ქალები მოიპატიჟა. მათ ტუჩები სისხლისფრად შეეღებათ, წამწამებს აფახულებდნენ და თვალეებში შესცივინებდნენ კოსტიას, ომის გმირს, გარს ეხვეოდნენ, ეხებოდნენ, აღტაცებას არ მალავდნენ, მისი დასხმული ღვინო უნდოდათ, მის ყურადღებას ეძებდნენ, მაგრამ როცა ერთმა მათგანმა ფირფიტა ჩართო და საცეკვაოდ გაიწვია, კოსტია ოთახიდან გავიდა და მეგობარს სთხოვა, ქალები გაეშვა. ალანია დაემორჩილა, თუმცა ასეთი ვიზიტები გაგრძელდა; ალანია შინ აღარ ბრუნდებოდა ისე, რომელიმე ქალი რომ არ ხლებოდა თან. ერთ საღამოს სამზარეულოდან გამოსულმა კოსტია დივანზე აღმოაჩინა ქერათმიან ქალთან ერთად და დარწმუნდა, რომ მისი ხავერდოვანი ტუჩებით კოსტია იარებისგან იკურნებოდა და ბნელ აზრებს იშორებდა. ალანიამ შვებით ამოისუნთქა, აშკარად გაუხარდა, გაიფიქრა, სიყვარულის ყიდვა ჯერ კიდევ შესაძლებელი ყოფილაო.

- ახლა რას აპირებ?

შემდეგ საღამოს ალანია კოსტიასთან ერთად აივანზე იჯდა და ქუჩის მოძრაობას თვალს ადევნებდა.

- მორიგ განაწილებას დაველოდები, - უპასუხა კოსტიამ და თითები დაატკაცუნა.

- შენ მეტს იმსახურებ. შემიძლია დაგეხმარო.

- რაში?

- რომ შენი დამსახურების შესაბამისად მოგეცნენ.

- გიორგი, მაინც რას საქმიანობ?

- MBД-ში ვარ, ხომ გითხარი უკვე.

- რა სფეროში?

- ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია.

- კარგი რა, ჩვენ ხომ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს. მორჩი ამ საიდუმლოებებს.

- რამდენიმე განყოფილება შეიქმნა იქ და...

- განყოფილებები? რა ფუნქცია აქვს ამ განყოფილებებს?

- ჩვენს ჯგუფს საზღვარგარეთ მყოფი საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაცია ევალება. ახლა სწორედ საზღვარგარეთ წასასვლელად გვამზადებენ. სამწუხაროდ, მეტის თქმა არ შემიძლია.

- ესე იგი უკან დაბრუნება - რატომ არის ეს ასე გასაიდუმლოებული?

- სამწუხაროდ, მეტს ვერაფერს გეტყვი, კოსტია, იმედია, ამას შენდამი ჩემს უნდობლობას არ დააბრალებ.

- არა, ყველაფერი რიგზეა. კი მაგრამ, მე როგორ დამეხმარები?

- სამინისტროში შეგანევი სიტყვას.

- შენ გამო გამომიძახეს მაშინ მოსკოვში? სამშობლოში შვებულებაც შენ მომიხერხე?

ალანია პასუხი არ გასცა.

- ესე იგი შენ?! ვერ ვიჯერებ, რომ შენზე არც მიფიქრია. მაგრამ მადლობელი ვარ ამისთვის. მეტი რა გითხრა? ქაღალდებთან მუშაობა ჩემი საქმე რომ არ არის, ისედაც იცი.

- კი, ვიცი. ამაზე არ იდარდო, შენს ინტერესებსა და შესაძლებლობებს გაითვალისწინებენ.

ალანია ფეხზე იდგა და მოაჭირს ეყრდნობოდა.

კოსტია გვერდით ამოუდგა და მხარზე მოხვია ხელი მეგობარს.

- შენ ხომ იცი, რამდენად ძვირფასი ხარ ჩემთვის, არა? ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ისევ კარგად იყო.

- მართლა არსებობს ერთი რამ, რისი გაკეთებაც შენ შეგიძლია, - წაილულულა კოსტიამ.

- რა? მითხარი, სულერთია, რა არის.

- ერთი ქალის ადგილსამყოფელი მინდა გავარკვიო.

შემოდგომაზე მსოფლიოს დალაგება და ქალაქებში სასაფლაოების გაფართოება დაიწეს. კოსტია თბილისში დაბრუნდა. პირველი რამდენიმე კვირა სახლში ძილსა და რადიოს მოსმენაში გაატარა. იმ დროს კიტიმ თავისი პირველი მთავარი როლი შეასრულა სტუდენტურ სპექტაკლში; ჩემი წარმოდგენით, ეს ანტიგონე უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს პიესა იმ პერიოდში ალბათ აკრძალული იქნებოდა, ასე რომ, შევიძლია, თავად აირჩიო, ბრილვა, რომელ როლს შეასრულებდა კიტი. პრემიერიდან ორ დღეში წერილი მიიღო და უმალ ანდრო ერისთავის ხელწერა იცნო. სააბაზანოში გავარდა, გული აერია. თვითონაც არ იცოდა, რამდენ ხანს იჭდა აბაზანის კიდებზე, სანამ წერილის გახსნას გაბედავდა. კოსტიასთან ოთახში შევიდა, გააღვიძა და სანოღზე ჩამოუჯდა.

- უნდა დამეხმარო.

- რა ხდება? - ნამძინარევმა კოსტიამ თვალები მოიფშვინტა და წამოჯდა.

- ანდრო ცოცხალია. გულაგშია. მისამართი მაქვს. უნდა დავიხსნათ იქიდან. შენ უნდა გაარკვიო, რა დააშავა და...

- რა დააშავა? შენ რა, სულ გაგიჟდი? სამშობლოს უღალატა! მტრის ბანაკში გადავიდა. მიკვირს საერთოდ, ცოცხალი რომ დატოვეს, - ამის გაგონებაზე კიტიმ ცხოვრებაში პირველად გააჩნა სილა ძმას. სახტად დარჩენილი კოსტია წამოხტა და გაცოფებულმა ელვის სისწრაფით ჩაიცივა.

- მაპატიე, ძალიან გთხოვ, უნდა მიშველო! გთხოვ, კოსტია.

- ხომ არ გაგიჟდი! ყველას პრობლემები შეგვექმნება!

- იქნებ სადმე ახლოს გადმოყვანაზე შევიტანოთ განცხადება, სადმე, სადაც მისი მონახულება შემეძლება... მოკვდება იქ, კოსტია.

კიტი მუხლებზე დაემხო და ძმის პულოვერს ჩაებღაუჭა, რომელიც იმწუთას გადაიცივა კოსტიამ. მან ზიზღით დაიხია უკან და დის წამოყენება სცადა.

- ნუ იმცირებ თავს! ადექი! - უთხრა ხმამაღლა და თვალი აარიდა თავის დას, მის საწყალობელ უესტებს. ხელის კვრით მოიცილა და ოთახიდან გაიქცა.

* * *

ისწავლო საბჭოეთისგან, ნიშნავს ისწავლო გამარჯვება.

წარწერა პლაკატზე

ომის შემდგომი სამყარო თითქოს თრობით ტკვებოდა; სურდა სიცოცხლე ეგეიმა და ნანგრევები მოეშორებინა, ზოგი წარმართული ცეკვებით აღნიშნავდა გადარჩენას, ან სვამდა, ღრეობდა, ხარბად ძღებოდა ყველაფრით, რაც ბოლო წლებში მოაკლდა. ზოგს ბანალური ოპერეტები ენატრებოდა, უხამსი სიმღერები, ლამაზი პატრიოტული

ფილმები. ნაწილს ყველაფრის დავინწყება უნდოდა და ისე ცხოვრება, თითქოს არც ხვალინდელი დღე არსებობდა და არც გუშინდელი. ეს ეიფორია გადამდები იყო, სახიფათო, დამუხტული.

ჩვენს პატარა სამშობლოშიც მღეროდნენ და ზეიმობდნენ გულის ნასვლამდე. რაღა თქმა უნდა, ზეიმობდა მთავრობა, ხალხი აბსურდულ სამადლობელ ორგაიებს აწყობდა მათ პატივსაცემად და მათს სიბრძნესა და სიძლიერეს უმღეროდა.

შეხაროდნენ გენერალისიმუსს, ხალხების დიად მამას, რომელმაც გაიმარჯვა და თავის ქვეყანას აპოკალიფსის შემდეგ ისევ სოციალისტური ნათელი დაუბრუნა. ახალი ლეგენდები და მითები იქმნებოდა მის შესახებ, ადიდებდნენ მის სიმამაცესა და სამშობლოსათვის თავგანწირვას. ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მითი მას და მის შვილს ეხებოდა: 1941 წელს მისი უფროსი ვაჟი იაკობი გერმანელებს ჩავარდნია ტყვედ. ფაშისტებმა როცა აღმოაჩინეს, ვინ ჰყავდათ დატყვევებული, შესთავაზეს, სტალინგრაღში რუსების მიერ დაპატიმრებული გენერალი პაულუსი გაეცვალათ იაკობში. გენერალისიმუსს ასეთი პასუხი გაუცია (ყოველ შემთხვევაში, მითს თუ დაუჭერებთ): „მე გენერალ-ფელდმარშლებს ჯარისკაცებში არ ვცვლი“. ასე უბედურად დაიღუპა იაკობი გერმანული იარაღიდან კეფაში ნასროლი ტყვიით.

ეს ლეგენდა კიდევ ერთხელ ამტკიცებდა დიადი მამის უანგარობასა და სამშობლოსადმი ერთგულებას. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს საქციელი არაადამიანურად სულაც არ იყო მიჩნეული, პირიქით, ეს ამბავი ადასტურებდა, თუ როგორ იტანჯებოდა ბელადი თავის ხალხთან ერთად და რამხელა, დიახაც, ზებუნებრივი ძალის პატრონი იყო, რომ ასეთი, ლამის ბიბლიური ნაბიჯის გადადგმა და შვილის მსხვერპლად შეწირვა შეძლო. საბჭოთა კავშირი ბრწყინავდა. გენერალისიმუსი იყო გმირი. გმირებს კი ყველაფერი ეპატიებათ.

ომის შემდეგ სტასია საბოლოოდ დაბრუნდა თბილისში და, უპირველეს ყოვლისა, სახალხო კომისარიატს მიაკითხა სამსახურის საშოვნელად.

ქრისტიანემ საავადმყოფოში გააგრძელა მუშაობა. ვოსტია, როგორც ჩანს, არ ჩქარობდა მომდევნო სამსახურში ჩადგომას და დედამისისა და დეიდამისის მზრუნველობით ტკბებოდა, მთელ დღეებს ძილში ატარებდა, თითქმის ყოველდღე დადიოდა გოგირდის აბანოში, თითქოს ცხელი ორთქლით უნდოდა ომის ამონვა კანიდან, ჩაიხანაში სტუდენტ გოგოებს ეარშიყებოდა. კიტის ხასიათი წამდაუნუმ ეცვლებოდა, ზოგჯერ ეჩვენებოდა კიდევ, რომ გულმკერდში ორი ადამიანი ჩასახლებოდა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ორი არსება, რომელთა ბრძოლა გარდაუვალი იყო. მართალია მხიარული, ლაღი კიტი აღარასდროს დაბრუნდებოდა მას მერე, რაც სოფლის სკოლაში

წაიყვანეს, მაგრამ ამ ხალისის ნარჩენები, უწინდელი კიტის კვალი ხანდახან კიდევ ღვრიდა ჩამქრალ კოცონში დანახშირებული ტოტებივით. ასეთ დღეებში სწავლით ტკბებოდა, მრავალფეროვანი როლებით, რომელთაც ახალი ვაბებივით იხდენდა. ერთობოდა თანაკურსელებთან, რომელთაც საოცარი თავდავიწყებით შეეძლოთ დროსტარება, გადარჩენისა და ახალი ცხოვრების დაწყების ზეიმი.

ანდროს სისტემატურად უგზავნიდა წერილებს, აღწერდა თავის ყოფას, ასაჩუქრებდა მომავლის იმედით, ისევ ხალისიანად აჩვენებდა თავს, ატყობინებდა, რომელ ახალ წიგნებს კითხულობდა, რომელ თეატრალურ პრემიერებს ნახულობდა. მაგრამ სიმართლე არასდროს მიუწერია. ერთი სიტყვითაც არ უხსენებია თავისი დარდი. ემინოდა, რომ ანდრო გულაგის უსასრულო ტანჯვას ვერ გაუძლებდა, მის დაბრუნებას ნატრობდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ. მათთვის არავითარი ვენა აღარ არსებობდა, ილუზიები და იმედები კი სამუდამოდ დაემსხვრათ, ვედარც ბაღის მწვანედ შეღებილ სკამზე აკოცებდნენ ერთმანეთს – მაგრამ მისი დაბრუნების იმედს კიტი მაინც არ კარგავდა. ანდროს წერილები ნახევარ გვერდს არასდროს სცილდებოდა. რა თქმა უნდა, წერილებს კითხულობდნენ. წვრილი, ჩახვეული ხელწერით მხოლოდ თავის ყოფას აღწერდა ხოლმე ქვის სამტეხლოში, მზიანი ამინდით ან უკეთესი წვნიანით გამოწვეულ სიხარულზე უყვებოდა.

ერთადერთხელ თავის პირველ წერილში მისწერა „მაპატიე“. მაგრამ კიტიმ ამაზე ყურადღება არ გაამახვილა. ამ მიწერ-მოწერას ჯერ საიდუმლოდ ინახავდა. ფოსტალიონს გზაში აჩერებდა ხოლმე, თავისი წერილები კი ფოსტაში ლექციების მერე მიჰქონდა. კოსტიას დახმარების იმედს იტოვებდა, მაგრამ ბოლოს მოუწია აღიარება, რომ კოსტია არ გადაუხვავდა თავის პრინციპებს და ერთ დღეს ქრისტიანს მიმართა თხოვნით, რომელსაც ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა კარგი კონტაქტები ნომენკლატურასთან. რუსთაველის გამზირზე ახლად გახსნილ სანაყინეში ისხდნენ და კიტი ახალი საოპერო სეზონის აფიშას უყურებდა.

– რამდენი ხანია ეს იცი?

ქრისტიანე შაქარს ურევდა ჩაის ფინჯანში.

– ერთი-ორი კვირაა. წერილი მივიღე მისგან. მაგრამ კოსტიამ...

– შენს ძმას ნუ ჩარევ!

– გამუდმებით რატომ იცავ?

– რას ელი კოსტიასგან?

– ვიფიქრე, იქნებ მოეხერხებინა ანდროს გადმოყვანა, აქაც, ახლომახლო, საკმარისად არის შრომითი კოლონიები.

– ესე იგი, ჯერ კიდევ გჯერა, რომ უნდა გიყვარდეს?

– რას გულისხმობ? ყოველთვის მეყვარება, ის ხომ ჩვენი ანდროა.

– ის, რაც შენ გიყვარს, მხოლოდ მოგონებაა. შენ უკვე სხვა ხარ და ის კიდევ უფრო ნაკლებად იქნება ისეთი, როგორიც ერთ დროს იყო და

როგორსაც იცნობდი. შეიძლება გინდოდეს მისი დახმარება, მაგრამ ისევ მისთვის და არა შენთვის.

ქრისტიანემ ბოლომდე დალია ჩაი. კიტი დუმდა, ცერა თითს იკვნიტდა და ქუჩას გაჰყურებდა, სადაც შეყვარებულები მიმოდიოდნენ და მშობლები თავიანთ შვილებთან ერთად სეირნობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანე იმ დღეს არაფერს შეჰპირებია, მომდევნო დღეებში მაინც დაფიქრდა, თუ რა შეეძლო მოემოქმედებინა.

ანდროსთვის მართლა სამშობლოს დალატი რომ წაეყენებინათ ბრალად, სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ ცოცხალი გადარჩენილიყო. ასე რომ, შესაძლოა ომის ბოლო წლებში გონს მოვიდა და რაღაცნაირად ემსახურა წითლებს, ახლა კი იმით გადაუხადეს მადლობა, რომ ცოცხალი დატოვეს. თავისი ქმრის ერთ-ორ მეგობარს რჩევა ჰკითხა, გაარკვია, რამდენად იყო შესაძლებელი ანდროს საბუთების მოპოვება და სტასიას შეატყობინა, რომ ანდრო მის შვილს დაუკავშირდა.

სტასია თავს იდანაშაულებდა. ცდილობდა, არ ეფიქრა იმაზე, რომ ანდრო დედამისის ბედს გაიზიარებდა. ამას ვერასდროს აპატიებდა საკუთარ თავს. თავის შვილს რუსეთში გაედევნა გულუბრყვილოდ დარწმუნებული, რომ მის გადარჩენას შეეძლებდა, ანდრო კი, კეთილი, გამოუცდელი, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელი იყო ომში, საკუთარ თავთან მარტო დატოვა. ამაზე დიდხანს როცა ფიქრობდა, ხვდებოდა, რომ საყვედურსაც კი ვერ ეტყოდა მას ამ ფატალური გზის არჩევის გამო, რის შედეგადაც კიტისაც წარმოუდგენელი უბედურება დაატეხა თავს.

სტასიამ საკვებისა და ტანსაცმლის პაკეტები ერთად დააწყო, ფოსტისა და საბაჟოს მოხელეებს ჯიბეებში რუბლის კუპიურები ჩაუტენა, რომ გზავნილებს ნამდვილად ჩაეღწია ნასინომდე; კოსტიას კი დაელაპარაკა და სთხოვა, ვინმეს დაკავშირებოდა მთავარ სამმართველოში და გაერკვია, რატომ მოხვდა ანდრო ერისთავი ციმბირში.

ბოლოს და ბოლოს, კოსტიამ ვეღარ გაუძლო ყოველი მხრიდან ზეწოლას - თავისი დის მოლოდინითა და მუდართ სავესე თვალებს, ქრისტიანეს შუამდგომლობასა და სტასიას ენერგიულ მოთხოვნებს - და გიორგი ალანიას დაურეკა მოსკოვში.

იდას ძებნისგან განსხვავებით, რომელიც მეტისმეტად რთული აღმოჩნდა, ანდროს შემთხვევას ალანიამ იოლად გაართვა თავი.

ღამით სატელეფონო საუბრისას დაწვრილებით შეატყობინა კოსტიას ანდროს მიერ განვლილი გზა. ერთადერთი მიზეზი, რატომაც ჯერ კიდევ უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს, მისი ტექსელის აჯანყებაში მონაწილეობა იყო.

მთელ სახლში მომაჯადოებელი სურნელი დატრიალდა. კოსტია სასეირნოდ იყო, კიტი კი - ჯერ რეპეტიციაზე. ღამის პერანგში

გამონწყობილი ქრისტინე, რომელიც უკვე საძინებელი ოთახისკენ მიემართებოდა, კიბეზე დაეშვა და სამზარეულოში შევიდა. იმ უბედური შემთხვევის მერე სტასიას მისთვის შოკოლადი აღარ მოუმზადებია, ცხადია, არც ის იცოდა, რომ ქრისტინე დიდი ხანია რეცეპტს ფლობდა. ქრისტინე სტასიას მიუჯდა მაგიდასთან.

- დიდი ხანია, აღარ მოგიმზადებია.

- მართალია. მაგრამ ახლა ვიფიქრე, რომ მე და შენ დავიმსახურეთ.

სტასიამ ბლანტი სითხე ორ ფაიფურის ფინჯანში ჩაასხა. ორივემ გასინჯა, ნელ-ნელა, გემო შეიგრძნო.

- იმას უნდა დაუკავშირდე, - დასცდა სტასიას უეცრად.

- ვის?

- თვითონაც იცი.

- ბატონო? - ქრისტინეს ხმა გაუცვივდა.

- ანდრო უნდა გამოვიხსნათ იქიდან, თორემ დაიღუპება.

- როგორ წარმოგიდგენია ეს?

- ჩვენ პასუხს ვაგებთ ამ ბიჭზე. კი, შეიძლება შეცდა, შეიძლება არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. მაგრამ ისეთი ახალგაზრდა იყო მაშინ, ქრისტინე. რაც სოფიოს დაემართა, აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენ ხომ ამას ვერასდროს ვაპატიებთ საკუთარ თავს.

- მე კი ვაპატიებ ჩემს თავს მის მოძებნას, მისთვის თვალის გასწორებას იმ ყველაფრის მერე?

ქრისტინეს ხმა ისევ ცივი იყო და თვალეები ზიზღით აევსო.

- ეს ხომ სიცოცხლის გადასარჩენად მოხდება, ქრისტინე. ანდროს გადასარჩენად. ჩვენ ხომ შვილივით გავზარდეთ; წარმოიდგინე, ეს რომ კოსტიას ეხებოდეს...

- არ შემიძლია, სტასია, უბრალოდ, არ შემიძლია.

- მძულს საკუთარი თავი, ამას რომ გთხოვ, მაგრამ სხვა რა დამრჩენია. ასეთი ბიოგრაფიით არასდროს არ ექნება შანსი, თუ არა... იმის მეტი ვერავინ უშვებ ლის.

- არც კი ვიცი, მოინდომებს კი, რომ მიმიღოს, მომისმინოს. საერთოდ, სად უნდა ვეძებო, უმეტეს დროს ხომ მოსკოვში ატარებს.

- მოგისმენს, დარწმუნებული ვარ, ყოველთვის ენდომება შენი ნახვა.

- მაგრამ მას მერე აღარ ვუნახავვარ. ამდენი წელია.

- მე მისი მზერა დღემდე მახსოვს.

- რა მზერა?

- როგორ გიყურებდა, მაშინ.

ქრისტინე წამით გაჩერდა, თითოთ ამოლოკა ჭიქიდან შოკოლადის ნარჩენები. მერე უცებ თავი ასწია და უთხრა:

- ვარგი. ოღონდ...

- რა ოღონდ? ყველაფერზე თანახმა ვარ.

- ოღონდ შენ უნდა აღიარო, რომ სიმონი მკვდარია.

სტასიამ ნერწყვი გადაყლაპა. მერე ადგა. ისევ დაჯდა. პაპიროსს მოუკიდა.

- თქვი, - გაუმეორა ქრისტიანემ ხმამაღლა, თან ნიშნის მოგებით უყურებდა დას.

- მე არ ვიცი. მე ხომ არ ვიცი ეს. რად გინდა, რომ მე...

- თქვი!

- ის... ის...

- თქვი და კი ბატონო, მოვძებნი მას და ანდროს შეწყალებას ვთხოვ.

- ის...

- სტასია!

- მკვდარია.

წიგნი მეოთხე. კიტი

Got a moon above me / But no one to love me

Lover man, oh, where can you be?[1]

(ბილი) ჰოლიდები

ერთხელ, სტუდენტური წარმოდგენის დასრულების შემდეგ, კიტის გასახდელის კარზე კაკუნი გაისმა, გაღიზიანებულმა კარი გააღო და ენა ჩაუვარდა. ზღურბლთან მისივე წმინდანი და ამავედროულად, სიკვდილის ანგელოზი იდგა, გოგონა ჯოჯოხეთიდან. მარიამი. დაპლისული კაბა ეცვა და თმა ჰაეროვნად შეეკრა. მუჭში იების თაიგული ჩაებლუჭა. მცირე ყოყმანის მერე კიტი მეგობარს კისერზე ჩამოეკიდა, იმ მეგობარს, რომელსაც წესით, არ უნდა რქმეოდა ეს სახელი. არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა და როგორ მორეოდნენ გრძნობებს. კიტიმ მარიამს თავისი სკამი დაუთმო საგრიმიორო მაგიდასთან და თვითონ დაბალ ტაბურეტზე ჩამოჯდა, მის ფეხთით.

მარიამს სამედიცინო ინსტიტუტში ჩაებარებინა, რისიც თვითონაც არ სჯეროდა, რადგან უბრალო სოფლელი გოგოსთვის დედაქალაქში ჩამოსვლა და თანაც მედიცინის შესწავლა პატარა ამბავი არ იყო, მაგრამ მის მოწადინებას ხელი შეეწყო იმითაც, რომ ომის შემდეგ ქვეყანა ექიმების ნაკლებობას განიცდიდა. მარიამი კიტის ბედნიერი და აღელვებული უზიარებდა თავის სიხარულს, რომ თბილისში უმაღლეს სამედიცინო განათლებას მიიღებდა. კიტის სახელი თეატრისა და კინოს ინსტიტუტის აფიშაზე ამოეკითხა და სპექტაკლიც ენახა. კარგახანს ყოყმანობდა თურმე, მისულიყო თუ არა კიტისთან, რადგან ეჭვობდა იგი მის ნახვას არ ისურვებდა, მაგრამ ბოლოს მაინც სძლია გაუბედაობას და გადადგა ნაბიჯი.

- რას ლაპარაკობ, რამ გაფიქრებინა, რატომ არ უნდა მდომებოდა შენთან შეხვედრა? ძალიანაც გამახარე.

მალე მარიამი თბილისში დაბინავდა და უკვე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. დათქვამდნენ დროს და სასეირნოდ მიდიოდნენ. კიტი ქალაქს ათვალეირებინებდა, თავის მეგობრებთან დაჰყავდა სტუმრად და შინაც მიიწვია. ოჯახის წევრებს ისე წარუდგინა, როგორც ახალი მეგობარი. სხვა არაფერი გაუმხელია. ერთმანეთშიც იმ ამბებზე, ერთად რომ გადაიტანეს, სიტყვაც არ დასცდენიათ. თუმცა იმ ენით გამოუთქმელ კომმარს რა გაუქარვებდათ. სიტყვები უძლური იყო იმის გამოსახატად, რაც მათ თავს გადახდათ. ის, რაც ერთმანეთზე იცოდნენ, სამუდამოდ დალექილიყო მათ გულსა და გონებაში და ამას ორივე უხმო ჭრილობად დაატარებდა.

სხვა ჩვეულებრივი მეგობრული ურთიერთობებისგან განსხვავებით, მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა საერთო ინტერესებს, თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხზე, არა, არ იყო მთავარი, რაზე ელაპარაკათ ან სულაც, მხიარულად ეხითხითად. ეს ყველაფერი უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რაც ამ უნებლიედ განახლებულმა მეგობრობამ წარმოშვა. მათ ერთმანეთისადმი არანაირი ვალდებულება არ გააჩნდათ, მხოლოდ ორმხრივი ემპათია ამოძრავებდათ, ისინი ხომ ერთმანეთის ხილულ და უხილავ ჭრილობებს გრძნობდნენ, რაც მათ განსაკუთრებით აახლოებდა, აღრმავებდა განსაკუთრებულ გრძნობას, რომელიც ორივეს უიოლებდა, საკუთარი თავის მიმართ სიძულვილი როგორღაც დაეცხროთ და დანაშაულის გრძნობა დაევიწყებინათ. მალევე მიხვდნენ, რომ ველარ დათმობდნენ ამ უცნაურ სიახლოვესა და სიყვარულს, მათ ეს სულმოუთქმელად სჭირდებოდათ ყოველდღიურობასთან გასამკლავებლად, ეჭვის აღსაკვეთად, მუდმივად რომ სიცოცხლეს უმწარებდათ შავბნელი წარსულით.

უცნაური კი ის იყო, რომ რაც მარიამი მოევილინა, კიტი გაიხსნა, თითქოს ბორკილებისაგან გათავისუფლდა, გუნება-განწყობა გამოუცოცხლდა, საკუთარი, თავისი ადრინდელი სიმსუბუქე, ხალისი, სილაღე დაუბრუნდა, ხალისიანად კისკისებდა და სტუდენტურ პიკნიკებზე მღეროდა კიდევ. ქრისტინე მარიამის თავმდაბლობამ და მორიდებულობამ მოხიბლა. სტასიასაც უკვირდა, როგორ დაუმეგობრდა მისი გადარეული შვილი ასეთ უბრალო და წყნარ გოგოს და მიაჩნდა, რომ ეს კარგის ნიშანი იყო. თანაც, გული დაუამდა, კარგი ამბის მაუწყებლად ენიშნა.

მარიამი გამორჩეულად ზრდილობიანი იყო, სიმორცხვე მომხიბვლელობას მატებდა, კეკლუცობა არ ახასიათებდა, საკუთარი სიმშვიდიდან აკვირდებოდა ცნობისმოყვარედ ადამიანებს. სხვათა დასახმარებლად თავს არ იშურებდა, სხვების კეთილდღეობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საკუთარი.

განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა მაღლიერების გამოხატვის უნარი. თითქოს არც ელოდა, რომ შეაქვდნენ, ხოლო თუ რამეს

აჩუქებდნენ ან გამოარჩევდნენ ასეთ დროს, ისეთი ბედნიერი ჩანდა, ისეთი მადლიერი, მისი გაცისკროვნებული გამომეტყველება უმაღლ მოგხიბლავდათ და მეტის გაცეთების სურვილს გაგიჩინდათ.

კოსტიამ მარიამს, თამამი და კადნიერი დისგან განსხვავებით, თავიდანვე სხვა თვალთ შებედა. შეიძლება კოსტია არც უტყდებოდა საკუთარ თავს მაშინ, ბრილვა, მაგრამ მგონია, რომ მას რაღაცნაირი, თითქოს აკვიატებული, აუხსნელი შიში ჰქონდა თავისი უმცროსი დის მიმართ. შეიძლება ეს კიტის ცვალებადი ხასიათის ბრალი იყო ან იმის, რომ რაც ანდროსა და კოსტიას შორის ბზარი გაჩნდა, კიტი ჩამოშორდა უფროს ძმას, კოსტია კი დის წინდაუხედაობასა და გაუნონასწორებლობას ვერაფრით ეგუებოდა და წყრომას ვერ იოკებდა.

არ ვარ დარწმუნებული, რომ მარიამის დახმარებით უნდოდა დასთან ურთიერთობის მოგვარება, ის კი უდავოა, რომ მას მერე, რაც მარიამი გაიცინო, გოგოებს ლექციების შემდეგ აკითხავდა და დაასეირნებდა. ვახშმად ეპატიუებოდა, კინოში და საცეკვაოდ მათთან ერთად მიდიოდა და მარიამს ხშირად უძღვნიდა ყვავილებს. თავიდან კიტიმ იფიქრა, ანდროს დახმარებაზე რომ უარი მითხრა, ახლა ამგვარად უნდა გამოსყიდოსო. რაც უფრო გაუხანგრძლივდა ძმასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, მით უფრო გაუჭირდა მის უდრევ მსოფლმხედველობასთან, რკინისებურ დისციპლინასთან, ახლობლების მიმართ მის გადაჭარბებულ მოთხოვნებთან, მის მბრძანებლურ სამხედრო კილოსა და გულჩათხრობილობასთან შეგუება. კოსტიას შინ დაბრუნების შემდეგ მასთან გულახდილად ლაპარაკის ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ხოლო მოულოდნელად, როცა ქცევა შეიცვალა და კიტისა და მარიამზე ზრუნვა დაიწყო, რაღაცებს ეკითხებოდა, ყურადღებას იჩენდა, სტუდენტურ წარმოდგენებსაც კი დაესწრო და კიტის ნიჭიერებაც აღიარა, გოგონამ გადანყვიტა არ გაენბილებინა და დაახლოების შესაძლებლობა მიეცა მისთვის. თუმცა კოსტია თავისი მბრძანებლური ჩვევებით მაინც აღიზიანებდა და სიახლოვის სურვილს უქრობდა. იმაზეც გული ეთანაღრებოდა, რომ მარიამზე არა მხოლოდ შთაბეჭდილებას ახდენდა, მის მოხიბვლასაც ახერხებდა. ამიტომ კიტი უკვე აღარ უმხელდა, მარიამს რომ უნდა შეხვედროდა, სხვადასხვა საბაბს პოულობდა ძმა გაენაპირებინა, როცა მეგობართან ერთად კინოში ან კონცერტზე მიდიოდა. მაგრამ მიუხედავად მისი ამგვარი თავგამოდებისა, რახან კოსტია ყოველთვის ჯადოსნურად იზიდავდა საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს, ამ მხრივ არც მარიამი აღმოჩნდა გამონაკლისი.

ყოველთვის, როცა კიტისთან მართო რჩებოდა, კოსტიაზე უნდოდა ელაპარაკა, აღტაცებული იყო მისი მომხიბვლელობით, თავაზიანობით, მზრუნველობით, შესანიშნავი საუბრით, ყურადღებით. კიტი ამაზე არაფერს პასუხობდა და ცდილობდა სასაუბრო თემა შეეცვალა – მაგრამ შემდეგ უკვე მარიამი სთხოვდა, კოსტიასთან ერთად ესეირნათ ან

წასულიყვნენ საცეკვაოდ. მაშინაც კი, როცა კიტის არ ეცალა მათთან ერთად წასასვლელად, მარიამი კოსტიასთან შეხვედრის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა. კიტის უკვირდა, როგორ დაინტერესდა კოსტია მარიამით, თუმცა არ იმჩნევდა გაოცებას. არადა კოსტიას მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, გასაკვირი იყო, რომ ასეთი უბრალო ქალი მოიჩინა. სხვა გოგოები, რომლებსაც კოსტია ეარშიყებოდა, გამომწვევები, კეკლუცები და გამორჩეული ოჯახიშვილები იყვნენ. მარიამი არც სიყვარულში იყო გამოცდილი და არც იმდენად თავისუფალი, რომ კოსტიას ბოლომდე დაჰყოლოდა. მალული კოცნები და ხელიხელჩაკიდებული სეირნობა დიდხანს ვერ დააკმაყოფილებდა კოსტიას, ამაში მისი და დარწმუნებული იყო. ალბათ, მალე სხვასთან გადაინაცვლებსო, ვარაუდობდა კიტი, ეგებ სულაც ჩრდილოეთში გაემგზავროს და საერთოდაც აღარ გაახსენდეს მარიამიო. მაგრამ რაც უფრო აკვირდებოდა კიტი თავის მეგობარსა და ძმას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მარიამის გატაცებიდან და კოსტიას სიმპათიიდან რაღაც ინასკვებოდა, თითქოს მსუბუქ ფლირტს ემოციების ტალღა გაეჩინა. მარიამის გრძნობა, თავდაპირველად ბუმბულივით მსუბუქი, და სენტიმენტალური, თანდათან ტყვიასავით დამძიმდა, ეჭვებით აივსო. მისი აღტაცება ნამდვილ დაკითხვას დაემსგავსა, კოსტიას შინაგანი სამყაროს გაცნობის საბაბით კიტის რომ უწყობდა, ვაჟის ცხოვრების ყოველი წვრილმანი აინტერესებდა, მის ნათქვამ ყოველ სიტყვას წონიდა, ყოველ გამომხედვას მნიშვნელობას ანიჭებდა, ყოველი შეხება ჟრუანტელს ჰგვრიდა, არადა ყველაფერს ელოდა კიტი იმის გარდა, რომ მარიამი ჭკუას დაკარგავდა და ასე უეცრად, ასე თავდავინყებით შეუყვარდებოდა კოსტია, ასე გაფაციცდებოდა მისი ყურადღება მოეპოვებინა.

აპრილის ერთ თბილ საღამოს, როცა კიტი რეპეტიციიდან შინ დაბრუნდა და დეიდისა და დედის მიერ განახლებულ-ჩაწიკნიკებულ ბაღში კოსტია დაინახა ქრისტიანესთან ერთად, ძალიან გაუკვირდა, ეუცხოვა. უყურებდა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უნებურად, ინტიმურ სცენას წაესწრო, არადა ეს მხოლოდ დეიდისა და დისშვილის ერთად ყოფნა იყო. არაფერი უჩვეულო, არაფერი განსაკუთრებული. ბაღის ძველ მაგიდასთან ისხდნენ, კოსტია ოდნავ გადახრილიყო ქრისტიანესკენ, მის ხელს ჩაჭიდებული. ქრისტიანეს კოსტიასკენ სახის უბადლო მხარე მიეშვირა და მონუსხული უსმენდა მას. უდარდელად გადაიკისკისა და თავი უკან გადასწია. ისე იყვნენ ერთმანეთით მოცულნი, ისეთი ლალი იყო ის სიცილი, ისე ტკბებოდნენ ერთად ყოფნით, რომ კიტი კედელს აეკრა და დარცხვენილმა თვალები დახარა. რაღაც იყო ჩამალული დეიდა-დისშვილის ამ სიახლოვეში, რომელსაც ვერც ერთი მათგანი ვერ ამოხსნიდა ალბათ. სხვა ცხოვრებაში ხომ იდეალური შეყვარებული წყვილი იქნებოდაო, გაუელვა უცებ კიტის და მაშინვე

უკუაგდო ეს უაზრობა, მაგრამ მათი ერთად ხილვის ჰარმონიულ სურათს თვალი ვერ მოაშორა.

შესაძლოა, კოსტია მის გარეგნულ სილამაზეს კი არ შეტრფის, – ფიქრობდა კიტი, – არამედ იმას, რაც ამ სილამაზის მიღმა იმალება; რაღაცას სათუთს, სევდიანს, მწუხარეს. და იქნებ სწორედ ეს მიუწვდომლობა სჭირდებოდა კოსტიას, რასაც ქრისტინე ასხივებდა, რათა დამალულიყო, გამქრალიყო, რეალობას გაჰქცეოდა. ან იქნებ ეს შიში იყო, შიში, რომელიც მასზე ბატონობდა, – ვარაუდობდა კიტი, – შიში იმისა, რომ ნუთისოფელთან ჭიდილში მაინც უძლეური აღმოჩნდებოდა.

იქნებ მისი მკაცრი ცხოვრებისეული კანონები, ძალაუფლებისკენ სწრაფვა ამ შიშის დაძლევის გამუდმებული მცდელობა იყო და სხვა არაფერი. თუნდაც, შეცდომის დაშვების შიშისა, რომ ერთ დღესაც მის გარშემო ყველაფერი აზრს დაკარგავდა:

ან იქნებ დაკარგულად მიიჩნეოდა უმთავრესი? დაკარგა კოსტიამ რამე? და თუ ასეა, რა დაკარგა, ან იქნებ შეკითხვა ასე უნდა დაესვა კიტის: ვინ დაკარგა?

მარიამს ის არასოდეს შეხედავდა ასე, ამაში კიტი დარწმუნებული იყო, იმიტომ რომ მარიამმა უსაშინლეს განსაცდელს გაუძლო. მარიამმა, ისევე როგორც კიტიმ, ჯოჯოხეთი გამოიარა და მას ამქვეყნად ველარაფერი შეაშინებდა. მარიამი ვერასდროს აღუძრავდა კოსტიას ამგვარ წადილს და კოსტია ყოველთვის აარიდებდა თვალს თავის დას, რადგან როგორი პარადოქსული და დაუჭერებელიც უნდა ყოფილიყო ეს დასკვნა, იმწუთას კიტის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კოსტია ისევე იყო შეპყრობილი ამ შიშით, როგორც ქრისტინე.

კიტი ოთახში შევიდა, კარი მიიხურა, სანოლზე წამოწვა და დაიწყო ფიქრი, როგორ მოეკვეთა საკუთარი წარსული ისე, რომ დაბრუნებოდა სრულფასოვან ცხოვრებას, რომელსაც დიდი მცდელობის მიუხედავად ფეხი ვერ აუწყო.

არადა, როგორც წარსულის მოკვეთაზე მოეძალებოდა ფიქრი, საკლასო ოთახი წარმოესახებოდა თვალწინ და ყველაფერი დამზაფვრელი სიზუსტით ცოცხლდებოდა, ყველაფერი, რაც იქ დამართეს, რაც აიძულეს, რაც წაართვეს. ამ მოგონებების ჩახშობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რადგან მეხსიერებიდან დაკარგულ შვილს ვერასოდეს ამოშლიდა. კოსტიასგან განსხვავებით, რომელიც თავის დანაკარგს ასე კარგად მალავდა – რაც და ვინც უნდა ყოფილიყო ის, – და უმეცრების, გულგრილობისა და სიძლიერის ნიღბის უკან გაუჩინარებულიყო, კიტი ყოველდღე გაიხსენებდა მომხდარს. მაგრამ დანარჩენი, რაც იმ დღემდე არსებობდა, იმ საკლასო ოთახამდე, იმ სალტეებამდე – დანარჩენი ყველაფერი უნდა გამქრალიყო. იმ ყველაფერს უნდა დამშვიდობებოდა.

მაისში კოსტიამ და მარიამმა ნიშნობა გამოაცხადეს.

კიტიმ კომენტარებისგან თავი შეიკავა, ეჭვებიც თავისთვის დაიტოვა და თავის ბედნიერ, თვალეგაბრწყინებულ მეგობარს მიულოცა. არ ჩაძიებია, რამ მიადებინა კოსტიას ეს გადამწყვეტილება, სინამდვილეში მისთვის სულერთიც იყო. სიმართლესთან ყველაზე ახლოს ალბათ ის იყო, რომ კოსტიას მარიამის თვალებით უნდოდა საკუთარი თავი დაენახა: ღირსეულ, მამაც, მიზანდასახულ და ელეგანტურ კაცად წარმოდგენილიყო, რომელიც სიტყვას არ გატეხდა, არასოდეს შეურაცხყოფდა ქალს და თანაც, ბრწყინვალე კარიერული წინსვლაც ელოდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა კიტი, რომ მის ძმას მთელი ცხოვრების განმავლობაში სწორედ ასეთი ადამიანი სურდა ყოფილიყო. მაგრამ ასეთი არ იყო და ვერც ვერასდროს იქნებოდა. კიტის კი ეს საიდუმლო სამუდამოდ უნდა დაემალა ძმის დანიშნულისთვის, მათი მეგობრობის მიუხედავად.

ნიშნობაზე თბილისში ჩამოსული მარიამის ოჯახის წევრები სიამაყისგან ბრწყინავდნენ. ჯერ ეს საოცრება ვერ გაეთავისებინათ, რომ იგი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, თანაც ახლა საზღვაო ოფიცერზე დანიშნულიყო. შვილის არნახულ ბედნიერებას ველარაფერი დააბრკოლებდა.

თავიდან სტასია და ქრისტინეც დაიბნენ, როცა კოსტიამ ეს ამბავი აცნობა. სტასია, მისთვის ჩვეული თავშეკავებულობით, შვილის პირად საქმეში არ ჩაერია, უბრალოდ, ლოყაზე აკოცა, რაც, კოსტიამ თავისი განზრახვის მოწონებად აღიქვა. ქრისტინესაც თავისი ეჭვები თუ ვარაუდები არ გაუმუდავნებია. ქორწილი ბათხულის მიწურულს უნდა გადაეხადათ.

ნიშნობის შემდეგ კოსტიამ თბილისი დატოვა და ორი თვით გაემგზავრა მოსკოვში, სადაც, მისივე თქმით, თავის მომავალზე უნდა ეზრუნა. ბოლო დროს ხშირად იღებდა ტელეგრამებს, რომელთაც დაფიქრებული დაჰყურებდა ხოლმე ბაღში, ამასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს გაღიზიანებული იგერიებდა, რომ ეს მისი პირადი საქმე იყო.

ამასობაში ქრისტინემ მიიღო წერილი, რომელსაც მალეული თრთოლვითა და შიშით ელოდა. აკანკალებული ხელებით გახსნა კონვერტი. წერილს ოფიციალური ბეჭედი არ ერტყა. მოინდომებს მის ნახვას? რა საფასურს მოსთხოვს დახმარებისთვის? თუ ისევ არ ეყოფა გამბედაობა, შეხედოს ქრისტინეს სახეზე შექმნილ ხელოვნების ნიმუშს, ბარდაცემული ქმრის მიერ მოხატულ ცოცხალ ტილოს? რომელმაც, სხვა რომ აღარაფერი დარჩენოდა, თავისი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. საგანგებოდ შემონახული ფურცელი ამოიღო, დაყნოსა. ექნებოდა მისი სუნი? გაიხსენებდა? თუ ამას შეძლებდა, რას იგრძნობდა?

მაგრამ არაფერი უგრძნია. მხოლოდ უსასრულო სიცარიელე შიგნით. რისხვაც კი ერთიანად გამქრალიყო, განვლილ წლებს წაეშალა. ერთადერთი გრძნობა, რომელიც აგულიანებდა, ის იყო, დახმარებოდა ბიჭს, მიუხედავად იმისა, რომ საბუთები ხელჩასაჭიდს არაფერს შეიცავდა, საკითხი სასურველად გადაჭრილიყო. წერდა, შევხედავ, რა გამოვაო. და კიდევ: შენმა წერილმა გამახარა, თუმცა თვეების დაგვიანებით მივიღეო. როგორც იცი, ბევრი საქმე მაქვს, მაგრამ შენთვის დროს ყოველთვის გამოვძებნიო. ხელმოუწერელი წერილის ბოლოს ეფიცებოდა, სულ მახსოვხარო.

რა თქმა უნდა, არ იყო მზად მის სანახავად. ეს მეტისმეტი იქნებოდა მისი თვალებისთვის, ასე კარგად რომ ნიღბავდა მრგვალშუშებიანი სათვალის მიღმა.

ქრისტიანე დაღამებამდე თავის ოთახში იჯდა, მუხლებზე მისი წერილი გაეშალა და ცდილობდა წარმოედგინა, რა მოხდებოდა, ერთ დღეს სადმე რომ გადაჰყროდა. ისევ სირცხვილის და, იმავდროულად, სიმწარის გრძნობა დაეუფლებოდა? შეძლებდა გულგრილად შეჰყროდა თავის ვნებას, თუ ისეთივე აღმურისმომდები აღმოჩნდებოდა, როგორც წლების წინათ, სხვა ცხოვრებაში?

ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი ალუბლის ლიქიორს ნება-ნება შეექცეოდა. ამასობაში დაბნელებულიყო კიდევ, გარეთ ლამპიონები აენტოთ... მისი ცოლი წარმოუდგა თვალწინ. წინა, ანგელოზს რომ ჰგავდა, რომელიც ერთადერთხელ ნახა ოპერაში. მაშინ ჯერ კიდევ რამაზის ბედნიერი ცოლი იყო, მაშინ ჯერ კიდევ არ თრთოდა და კანკალებდა მოულოდნელი სატელეფონო ზარების, მის წასაყვანად მოსული და მოსახვევში გაჩერებული „ბუგატის“ გამო. ჭერმისფერ კაბაში გამონყობილ წინას მელანქოლიური გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე, სამსხვერპლო ბატკანს ჰგავდა, იმ ღმერთების შესანიშნავ, თვითონ რომ არც აღიარებდა და არც სცნობდა. წინამ ოდნავ დაუკრა თავი, თითქმის შეუმჩნევლად, ქრისტიანემ გაუღიმა, მერე ცნობისმოყვარე ქალებს ჩაუარა, პატარა დიდი კაცის ლამაზ ცოლზე რომ ჭორაობდნენ. როგორ უსაფრთხოდ გრძნობდა თავს რამაზის მკლავზე დაყრდნობილი, რომელსაც მტკიცე ნაბიჯებით მიჰყავდა თავიანთი ლოჟისკენ. მაშინ შეეცოდა ქრისტიანეს მშვენიერი წინა, მუდამ უშიშროების ხალხით გარემოცული, რამაზს ჰკითხა მის შესახებ. მაშინ ვერც წარმოიდგენდა, თვითონ თუ გახდებოდა სულ მალე შესაცოდი. ნეტავ, თუ იეჭვა რამე, თუ წარმოედგინა მაშინდელ საღამოს იმ მორცხვ, მოკრძალებულ და თავშეკავებულ ქალს, კრემლის ქალბატონთაგან ალბათ ყველაზე მეტი საიდუმლოებით მოცულს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მისი ქმარი იმავე ადგილას. სხვა წარმოდგენის დროს, მათსავე ლოჟაში, ურცხვად და სასტიკად იძალადებდა ქრისტიანეზე, დაეუფლებოდა ისე, თითქოს მხეცი ყოფილიყო, რომელსაც ათვინიერებდნენ? ისეთივე გულგრილობით,

როგორც სხვებს მანამდე და მას მერეც, როგორც ჩვეულზე ჩვეული მოცემულობა, სრულიად ბანალური ამბავი.

რამაზის სიკვდილის შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში, ხშირად ფიქრობდა ქრისტინე მშვიდ ნინაზე. საავადმყოფოში მისი სახე ხშირად წარმოესახებოდა თვალწინ, თვითონაც არ იცოდა რატომ. სულ აინტერესებდა, ყველაზე ნაკლებად რატომ სჭირდებოდა ამ ქალის მიზნედილი სილამაზე სხვა მშვენიერებათა შორის. კრემლის სხვა ქალებისგან განსხვავებით, ნინას ცხოვრება ჩრდილში იყო მოქცეული. არც ოფიციალურ მიღებაზე ჩნდებოდა ქმართან ერთად, არც სამხედრო აღლუმზე ახლდა. მხოლოდ ძალიან იშვიათად და ისიც კარგა ხნის წინათ თეატრალურ და საოპერო პრემიერებზე დაჰყვებოდა.

მას მერე, რაც მისმა ქმარმა მეტი ძალაუფლება მოიპოვა და ბოლოს და ბოლოს, მოსკოვში დაინიშნა, ნინაც გაჰყვა, თუმცა უმეტეს დროს თავის აგარაკზე ატარებდა, მაშინ, როცა მისი ქმარი დიდებულ ვილაში, ტრიუმფალნაიაზე, მართო ბრძანდებოდა. ამბობდნენ, რაღაც პატარა ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობდა, აგრონომია ჰქონია შესწავლილი. მაგრამ სულ რამდენიმე თანამშრომელს ჰყავდა ნანახი. ბნელშუმიანი მანქანით დაჰყავდათ თურმე ყოველდღე სამსახურში და შემდეგ უკან აბრუნებდნენ. სულგრძელი ნინა ან ახლა რატომ გამახსენდაო, გაიფიქრა ქრისტინემ, მაგრამ პასუხი არ ჰქონდა. ნინამ თავის პატარა დიდ ვაცს ვაჟი გაუჩინა, თავის სამფლობელოში ქალთა არმიებს იტანდა და ეგუებოდა, არასდროს არაფერი მოუთხოვია ქმრისგან, არაფერში ჩარეულა, არასდროს ჩაუყენებია იგი უსიამოვნო სიტუაციაში. ნეტავ, როგორი იყო ასეთი არსებობა, ფიქრობდა ქრისტინე. როგორი იყო, როცა საკუთარი ნებით ამბობდი უარს იმის ცოდნაზე, რაც ნებისმიერს წონასწორობას დააკარგვინებდა. ან იქნებ მართლა სჯეროდა, რომ მისი ქმარი სწორად იქცეოდა? სჯეროდა, რომ დიდ საქმეს აკეთებდა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ?

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ბოლოს, როცა ოთხმოცდაექვსი წლისამ პირველ და უკანასკნელ ინტერვიუს უპასუხა, ბრილვა, და ქმრის ენით უთქმელ დალატზე ჩამოუგდეს თურმე ლაპარაკი, ნინას აღშფოთებით უპასუხია, დღედაღამ მუშაობდა, ქალების მთელი ლეგიონის დაკმაყოფილების დრო ნეტავ საიდან უნდა ჰქონოდაო?

* * *

შენ დაგემონო? გონს უხმო ეგებ!
მე მორჩილი ვარ მარტოდენ ღვთის!
ტკივილთა ზიდვას მე უხმოდ შევძლებ,
ვერ ვზიდავ უღელს ჯალათი ქმრის!
ახმატოვა

ანდრო ერისთავი 1946 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა თბილისში. ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს და სატვირთო მატარებლით გაამგზავრეს მოსკოვში. იქ НКВД-ს ხალხი დახვდა, მილიციის განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც გარკვევით განუმარტეს, არც წესიერი სამსახურის იმედი უნდა ჰქონოდა და არც საზოგადოებრივი ცხოვრებისა. პარაზიტად მიიჩნევდნენ და მომავალშიც ასე მოექცეოდნენ. მისთვისვე აჯობებდა, დადუმებულიყო, სულაც, უმჯობესი იქნებოდა გარიდებოდა დედაქალაქს და მთაში რომელიმე კოლმეურნეობაში მუშაობით დაკმაყოფილებულიყო. ასე რომ თბილისში ჩანერის შესაძლებლობა არ ექნებოდა. ბედნიერი უნდა ყოფილიყო იმით, რომ ცოცხალი დატოვეს, გავლენიანი მეგობრები რომ არ გყოლოდა, რამდენიმე თვეში ჩამოგახრჩობდნენო, შენნაირ ნაძირალაზე ტყვიის დახარჯვაც კი ცოდვა იქნებოდაო, ბოლოს დაამატეს...

ქრისტინეს ბოლო წუთამდე სიტყვა არ დასცდენია ანდროს გათავისუფლებასა და დაბრუნებაზე. თვითონ დახვდა ავტოსადგურზე და ქალაქის ახალ დასახლებაში, ერთ პატარა ბინაში, მიიყვანა. ამ სახლის მშენებლობა ჯერ არ იყო დასრულებული, შესაბამისად, კაციშვილი არ ჭაჭანებდა; ბინა ქრისტინეს მეგობარ ექიმს ეკუთვნოდა, რომელმაც რამდენიმე კვირით დაუთმო საცხოვრებელი.

ანდრო იმაზე უფრო უარესად გამოიყურებოდა, ვიდრე ქრისტინეს წარმოედგინა: მოხუც, დაუძღურებულ კაცს ჰგავდა, ყვრიმალები ისეთი ნაწვეტებული ჰქონდა, კაცი ხელს გაიჭრიდა.

ქრისტინემ დეზინფექცია ჩაუტარა მის ტანსაცმელს, ახალი ტანისამოსიც მოუტანა, თავი დააბანინა, ტილიანი თმა ლამის ბოლომდე გაკრიჭა, და წვერის გასაპარსი მოწყობილობა შეუძინა, მსუბუქი, უცხიმო საჭმელი მოუმზადა. ანდრო ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ნებისმიერი წვრილმანის გამო ლამის ქედს იხრიდა, რაც ქრისტინეს აგიჟებდა. წამოსვლისას ჰკითხა, რამე ხომ არ გჭირდებაო. რამდენიმე წიგნი დაუსახელა, რომლებიც ქრისტინემ შინიდან წაუღო, და ცოტა არაყი, ისიც მიუტანა. მთელ დროს კითხვაში ატარებდა, ქრისტინეს ნაყიდ პატარა რადიოს უსმენდა და თანაც გაფაციცებით ელოდებოდა ხოლმე, რადგან საჭმელი მას მიჰქონდა დღეგამოშვებით.

მხოლოდ მაშინ, როდესაც ქრისტინემ მიიჩნია, ანდრომ სასიკეთოდ მოიხედა და შემძლია დაგეგმილი შეხვედრა რეალობად ვაქციოთ, ინსტიტუტში გაუარა კიტის და წაიყვანა ახალ დასახლებაში, სადაც გამალებული მშენებლობა მიმდინარეობდა. ძირითადად, მტრის დატყვევებულ ჯარისკაცებს ამუშავებდნენ.

- ბოლოს და ბოლოს, აღარ მეტყვი სად მიგყავარ? - ჰკითხა დაეჭვებულმა კიტიმ, როცა ტრამვაიში ჩასხდნენ.

- პატარა სიურპრიზი გელოდება. მაგრამ ძალიან გთხოვ, შეეცადე, მშვიდად შეხვდე ამ ამბავს, - ქრისტინეს პასუხმა საგონებელში ჩააგდო.

ერთნაირად აჩონჩხილი საცხოვრებელი კორპუსები გაარღვიეს და ქრისტიანებმა მშენებლობადაუსრულებელ სადარბაზოში გაურანდავ ხის კარზე დააკაკუნა...

არც ცრემლი დაღვრილა, არც კვიცილ-წივილი ატეხილა, თითქოს არც არაფერი მომხდარა. მხოლოდ ორი ადამიანი შეხვდა ერთმანეთს – მოკლედ თმაშეჭრილი, მაღალყელიან ჩექმებსა და მწვანე საწვიმარში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი და ჩამომხმარი, ნაადრევად დაბერებული ახალგაზრდა კაცი, მხრებში მოხრილი, თვალემმოჭუტული და თვალგაშტერებული, რომელსაც პარკინსონიანივიით უკანკალებდა ხელები. იდგნენ ასე ერთმანეთის პირისპირ. არც კი მიჰკარებიათ ერთმანეთს. ბოლოს ქრისტიანს ხმამ გამოაფხიზლა ორივე, გაშლილ სუფრასთან რომ უხმობდა.

– ქათმის ბულიონი გავაკეთე. ძალიან მოვიწოდო. ასე რომ, მოდიო და ისადილეთ. ალუბლის ლიქიორიც გვაქვს.

ქრისტიანე მთელ სადამოს ცდილობდა ორივეს გახალისებას, მან ამინდზე წამოიწყო ლაპარაკი, საავადმყოფოში თავისი სამუშაოს კურიოზებსა და ჯიუტი პაციენტების დაყოლიებაზე, წამალი მიეღოთ თუ ინექცია გაეკეთებინათ, იუმორით ჰყვებოდა, თუმცა, არც ერთს ერთხელაც არ გაუღიმიო და ხმაც არ ამოუღიათ. გვიან სადამოს ხელჩანთა აიღო და ისინი მარტო დატოვა.

შემდეგი 14 დღე კიტი იმ ბინაში დარჩა.

რას აკეთებდნენ იმ დროის განმავლობაში, ზუსტად არ ვიცი. შეიძლება, კიტი უბრალოდ, ჩაენაცვლა ქრისტიანს, საჭმელს უმზადებდა, ურეცხავდა სარეცხს ან ასუფთავებდა ბინას, იქნებ უბრალოდ, ალუბლის ლიქიორს შეექცეოდნენ ჩუმად ან ერთმანეთს ლორდ ბაირონის ლექსებს უკითხავდნენ, რომლებიც ანდროს ძალიან უყვარდა. შესაძლოა, კიტი მის გამხნევებას ცდილობდა და ანეკდოტებს უყვებოდა ან უბრალოდ გვერდით ეწვა და მისი აკანკალებული ხელი ეჭირა. ძველი ნივთები მიუზიდა, ინსტრუმენტებით სავსე ჩანთაც, შენახული რომ ჰქონდა საიმისოდ, ეგებ ისევ დაიწყოს ხის ნაკეთობების გამოთლაო.

იმ ორი კვირის შემდეგ, კიტი შინ რომ დაბრუნდა, მოიძია თავისი ძველი გიტარა, რომელსაც თითქმის აღარ გაჰკარებია, რადგანაც დაიჩემა, რომ ცუდად უკრავდა. ახლა კი მომართა სიმები, მართალია, თავდაპირველად ვერ ააუღერა, მაგრამ არ დანებდა, სანამ მისმა თითებმა მარტივი, მაგრამ მკვეთრი მელოდია არ შვეს. მეორე დღეს რამდენიმე სანოტო რვეული იშოვა და ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო.

ანდროსთან პირველივე შეხვედრამ მიახვედრა, რომ ოცნებებისა და რაიმეს გარდაქმნის დრო სამუდამოდ ჩასვენებულიყო, – დამარხულიყო უთვალავ ბრძოლის ველზე, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სამხრეთსა თუ ჩრდილოეთში...

ანდროს უყურებდა და აჩრდილს ხედავდა, რომელსაც უნარიც აღარ შესწევდა, ელაპარაკა იმ საშინელებებზე, რაც გამოიარა: თუმცა არც იმით დაინტერესებულა, კიტიმ როგორ იცხოვრა, როგორი წლები განვლო. ამას კი ენადა, გული გადაეშალა ერთ დროს ძვირფასი ადამიანისთვის, მოეყოლა ყველაფერი, მაგრამ ვერ მოახერხა დამალულისა და დაგროვებულის გამოთქმა. სულ მალე მიხვდა, რომ ანდროს გვერდით უფრო უბედურად გრძნობდა თავს, ვიდრე უიმისოდ. ვერ უძლებდა მის უსასობას, სიშორეს, ვერ ეგუებოდა იმას, რომ მას აღარაფერი გააჩნდა სამყაროსთვის გასაზიარებელი. ლურჯი თვალები აღარ უბრწყინავდა, გაჭუნებოდა სიცოცხლეადამრეტილივით, მისი მეოცნებე მზერა სამუდამოდ გამქრალიყო. ომმა და განვლილმა ჯოჯოხეთურმა წლებმა მისი გონებიდან ოცნებები გამოაძევა, დახვრიტა, მოაშთო. კიტი გრძნობდა, როგორ არიდებდა იგი თავს მის ხორცსავსე, მკვირივ სხეულს, განზე გაიხედავდა ხოლმე, როგორც კი კიტი მიუახლოვდებოდა, ტანჯვით ეწინააღმდეგებოდა მის შეხებას, თითქოს ასაფეთქებელი ნივთიერება ჰქონდა სხეულში და უფრთხოდა მიკარებისთანავე ჰაერში არ აეტანა.

უკიდურესად სასონარკვეთილი კიტი მხოლოდ ერთხელ შეეხო ხელით მის შუბლს, ტუჩი ტუჩს მაგრად მიაწება, თავის არიდების საშუალება არ მისცა – მაგრამ ანდრომ მის კოცნას არ უპასუხა, გულგრილი დარჩა, მის სხეულს ლტოლვის ნასახიც არ შეტყობია. მერე დარცხვენილი ადგა და სამზარეულოში გავიდა, კიტიმ კი სცადა, ცრემლები შეეკავებინა და ძალით გაიღიმა, რომ ანდროს სისუსტეში არ ჩაეთვალა.

ღამით, როცა ფხიზლად იწვა ხოლმე ლეიბზე, ანდრო კი – ორიოდ ნაბიჯის დაშორებით დივანზე, კიტის ზოგჯერ დაუოკებელი სურვილი მოასკდებოდა – ნამომხტარიყო, მისთვის წყალი შეესხა სახეში, ეყვირა, გაიღვიძე, მიშველეო. უნდოდა მიეფრქვია, რა საფასური გადაიხადა მისი ოცნებების სანაცვლოდ, მაგრამ კიტიმ იცოდა, რომ ამით საბოლოოდ გამოაცლიდა ამ გაუბედურებულ კაცს ფეხქვეშ მიწას.

შემოდგომაზე სტასიამ გახარებულმა გადაიბარა ანდროზე მზრუნველობა და კიტიმ შეწყვიტა მასთან სიარული. ამის თაობაზე არც დედას და არც დეიდას მისთვის შეკითხვები არ დაუსვამთ. ერთხელ, კვირები იყო უკვე გასული, კიტი სპექტაკლიდან ბრუნდებოდა და მოულოდნელად გადანწყვიტა ანდრო მონახულებინა. ელეგანტური მუქი ლურჯი კაბა ეცვა, გამომწვევად გულამოჭრილი.

შესვლისთანავე სანანებელი გაუხდა თავისი გადანწყვეტილება. ანდრო კიდევ უფრო უხასიათოდ შეხვდა, ზურგი აქცია, როგორც კი კიტიმ პალტოს გახდა დაიწყო და რაღაც ჩაიბურტყუნა. მერე ვინრო სამზარეულოში რომ შეჰყვა, სადაც ნავთქურაზე შემოდგმული მოძველებული ჩაიდანის შიშინებდა, შეეცადა ხალისიანად გამოეთქვა:

- კონახურის კანფეტები მოგიტანე, ხომ გიყვარს.

- მორჩი, ბოლოს და ბოლოს! ხომ ხედავ, რომ... - იფეთქა უცებ და მაგიდას მუშტი დაარტყა ანდრომ.

- რა დავაშავე? რატომ მიყვირი?

- შემოიჭრები აქ და მჩქეფარე სიცოცხლეს ასახიერებ, ყოველ ჯერზე მოდიხარ ულამაზეს კაბებში გამონყობილი და კანფეტებით ხელდამშვენებული და ელოდები, რომ მე...

- რას, რას ველოდები? არაფერსაც არ ველოდები, უბრალოდ, მინდა, რომ კარგად იყო.

- მე ეს არ შემიძლია. შენყვიტე თავის მოტყუება. ისეთი მშვენიერი ხარ, გიყურებ და ტირილი მინდება. ამ ყველაფრის ატანა არ შემიძლია. ძალა არ მყოფნის და ისიც არ ვიცი, ახალი დღე როგორ უნდა გადავიტანო, რომ აღარაფერი ვთქვა...

- მე ხომ შენგან არაფერს ველოდები.

- როგორ არ ელოდები! გინდა, რომ იმედი მოგცე. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, შეცდომა იყო, ჩემს გათავისუფლებაზე რომ იბრუნეთ.

- რა უმადური ხარ, რა უსამართლო! დაუნანებლად მოგკლავდი.

- მიდი ბარემ, იქნებ ორივე გავთავისუფლდეთ!

გაოგნებულმა კიტიმ ბარბაცით დაიხია უკან, კანფეტების შეკვრა ხელიდან გაუცურდა, წვრილი ბურთულები იატაკზე მიმოიფანტა. ორივემ დათრგუნვილად გააყოლა თვალი ამ სანახაობას. მონუსხულებივით იდგნენ ერთმანეთის პირისპირ.

- ვწუხვარ, - დაიჩურჩულა კიტიმ.

- მეც.

- აღარ გიყვარვარ?

- როგორ უნდა მიყვარდე, როგორ უნდა ვგრძნობდე საერთოდ რამეს, როცა ადამიანი აღარ ვარ?

- ყველამ გამოვიარეთ ჯოჯოხეთი... უნდა გიხაროდეს, რომ ცოცხალი მაინც ხარ.

- იმისთვის, რომ მიხაროდეს, რამეს მაინც უნდა ვგრძნობდე.

- ყველას უნდა, რომ შენ...

- ჩემთვის სულერთია, რა სურს ყველას. მე ყველაფერი დავკარგე, რაც გამაჩნდა, როგორ არ გესმის!

- მეც, უგუნურო! წარმოიდგინე, ყველაფერი მეც დავკარგე!

და ის იყო, კიტის უნდა მიეხალა მისთვის, ბოლოს და ბოლოს, ის ენით აღუწერელი ამბავი, რომ ანდრომ ნაღვლიანად მხარზე ხელი მოუსვა და ვიდრე სამზრეულოდან გავიდოდა, ჩაილაპარაკა:

- მე აღარც ადამიანობა შემრჩა და აღარც კაცობა, რომ შენი სიყვარული შევძლო, კიტო. ვედარაფერს ვგრძნობ.

კიტო კი დარჩა ისევ იქ, იმ ფერად კანფეტებს მიშტერებული, და სიცილი აუტყდა. თვითონაც ვერ გაეგო, რატომ, მაგრამ პირზე ხელის

მიფარება დასჭირდა, რომ ხმამაღლა არ ახარხარებულყო. მაინც რა შესაფერისი და ზედგამოჭრილი წყვილი ვართო, გაიფიქრა. ალბათ, შვილის ყოლა აღარ შეუძლია, მეც ვეღარ გავაჩენ, მართლაც რომ შესაფერისები ვართ, სწორედ რომ შესანიშნავი წყვილი, ამ მართლაც რომ შესანიშნავ სამყაროში – გაუელვა გონებაში!

მაგრამ, სამწუხაროდ, კიტიმ ვეღარ შეძლო, გაეზიარებინა ანდროსთვის თავისი სათქმელი.

ღამით კი, როცა მართოდმართო იჯდა თავის სანოლზე და სიგარეტს უკიდებდა, დედამისს რომ ააცალა, გონებაში მელოდიის თანხლებით სიტყვები ფრაზებად აუთამაშდა: „რა მშვენიერი წყვილია, მართლაც რომ მშვენიერი, ამ მშვენიერ, ნამდვილად მშვენიერ სამყაროში, აბა, შემოგვხედე, არ ვართ მშვენიერნი?“

გარიჟრაჟამდე თხზავდა კიტი თავის პირველ სიმღერას.

მერე, როცა სტუდენტური დასის ერთ-ერთ რეპეტიციაზე ჩაიღიღინა, რეჟისორმა სთხოვა, ერთი ბოლომდე მომასმენინე ეგ მელოდიაო. ერთბაშად მოიხიბლა და წარმოდგენაში ბანალური სასიყვარულო სცენა ჩასვა, როლში შესულ კიტის, თავისი პარტნიორის სიყვარულით რომ ინვოდა, გიტარა მოემარჯვებინა და შთაგონებით მღეროდა.

მაღე ქალაქის ყველა ბედნიერმა შეყვარებულმა აიტაცა მისი სიმღერა, ბრილვა, მერე კი უბედურებმაც და მიტოვებულებმაც გაითავისეს.

და უკვე როცა, თვეების შემდეგ კოსტია შინ დაბრუნდა მარიამზე დასაქორწინებლად, მისი დის ხმა რადიოში ისმოდა.

კოსტია დაგვეგმილზე მეტხანს დარჩა მოსკოვში, ოჯახის წევრებსა და, რაც მთავარია, შეყვარებულს ბალტიის ზღვაზე ეგულებოდათ, სადაც ვითომდა წვრთნები ჰქონდა.

რალაც ძალიან დიდს, მნიშვნელოვანს ელოდა, მაგრამ თავის საზრუნავსა და იმედებს არავის უმხელდა. ქრისტინესაც კი არ ჰქონდა წარმოდგენა, რისთვის ემზადებოდა მისი რჩეული დისწული.

იმ ზაფხულის მიწურულს, როცა ქორწილი უნდა გამართულიყო, საქართველოს საშინელი გვალვა დაატყდა, რამაც დიდი საფრთხე წარმოშვა და შიში გამოიწვია სოფლის მეურნეობაში სასურსათო გეგმების შეუსრულებლობის გამო; მოსახლეობა დაზაფრული იყო, რადგანაც გვალვას სამსახურებიდან გათავისუფლების ტალღა მოჰყვა, მოულოდნელი დაპატიმრების შიშმა იმატა, რომელიც, ჩვეულებრივ, ამ პროცესის თანამდევია იყო. არავის ეზიემებოდა, და რასაკვირველია, ამათაც ქორწილი გაზაფხულისთვის გადადეს.

იცო, რატომ აღვინერ ასე დეტალურად ყველაფერს, ბრილვა? ქორწილის თარიღის გადავადებამ არც მეტი, არც ნაკლები, შესაძლებელი გახადა შენი და ჩემი შეხვედრა. დიახ, ამან იმდენი რამ გამოიწვია და თანაც ისეთი მნიშვნელოვანი, რომ შედეგები შენც შეგეხო

და მეც. ის ქორწილი რომ არ გადაედოთ, შენ არ გაიპარებოდი ამსტერდამიდან და ვენისკენ მიმავალ მატარებელში არ ჩაჯდებოდი მრავალი ათეული წლის მერე, მე კი დედაჩემი არ დამირეკავდა, არ შემაფუცხუნებდა, მოსაძებნად გამოგედევნებოდი.

...თავისი ნათელი და სადა მელოდიის წყალობით შანსონი იმდენად ადვილი დასამახსოვრებელი აღმოჩნდა, რომ უცებ მოიპოვა პოპულარობა მთელ ქვეყანაში. ქუჩაში ხალხი აჩერებდა კიტის, ერთ-ერთმა თეატრმა, საშემოდგომოდ, მისი სიმღერების საღამოს გამართვა შესთავაზა. ამ მოულოდნელმა წარმატებამ კიტი გააოგნა. აღარ იცოდა რა ექნა, სემესტრული არდადეგები გამოიყენა გიტარაზე სამეცადინოდ და ახალი სიმღერების დასაწერად, შერცხვა ელიარებინა, რომ „მშვენიერი, მშვენიერი სამყარო“ მისი ერთადერთი სიმღერა იყო, დაწერილი და ნამღერი მხოლოდ იმიტომ, რომ უმთავრესი სატკივარის გამოხატვა ვეღარ შეძლო. მაგრამ იმ ზაფხულს მაინც მოიხელთა სიტყვები, ამდენ ხანს რომ ეძებდა. მხოლოდ მუსიკის წყალობით. თითქოს კიტის ენას საყრდენი სჭირდებოდა.

და ისევ შენ მახსენდები, ბრილვა, შენ დაუკარი და მიმღერე ეს მელოდია მანქანით მგზავრობისას. როგორ გიბრწყინავდა თვალები, როცა მღეროდი! ძლივს შევიკავე თავი, რომ შენთვის არ მეჩვენებინა, როგორი გულაჩუყებული ვიყავი, ისეთი გულაჩუყებული, რომ შენით აღტაცებამ ეს სტრიქონები სიმღერასავით დაბადა.

მგზავრობის დროს სხვა უამრავი პატარ-პატარა სასწაულიც გამიმჟღავნე, ახლა ვეღარც დავამთავრებ და მაშინ ალბათ ჩვენი ეს ამბავი არასდროს დასრულდება. მაგრამ მე შენ სხვა ადამიანების თანაზიარიც უნდა გაგხადო, იმიტომ რომ ჩვენი ამბავი მათიც არის, მათი კი – ჩვენი. ჩვენი ჯერი კი ჯერ არ დამდგარა...

კოსტიას დაბრუნებით ისევ სიხარულმა შეაბიჯა ქრისტინეს სახლში. მარიამიც კი, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში კიტის თითქოს თავს არიდებდა, ყოველ საღამოს მათ სტუმრობდა. სავახშმოდ მთელი ოჯახი სამზარეულოში ან ბაღში იკრიბებოდა ხოლმე, კიტი საჭიროზე მეტხანს არ რჩებოდა სუფრასთან. მაგრამ ეს სილაღე მაინცდამაინც არ გახანგრძლივებულა. მოსკოვში გატარებული დროის შემდეგ კოსტიას მშობლიური ქალაქი მეტისმეტად პატარა, შემზღულდველი, პროვინციული ეჩვენა. ხოლო როცა დედამისმა და ქრისტინემ ერთხელ, გვიან საღამოს, საუბრისას ანდროს დაბრუნება შეატყობინეს, გუნება ერთბაშად წაუხდა. მისთვის მიუღებელი იყო, ქვეყნის მოლაღატეს დახმარებოდნენ. მკაცრად მიახალა დედასა და დეიდას, საბჭოთა ფასეულობებს ფეხქვეშ თელავთ, ყოველგვარ მორალსა და პასუხისმგებლობას წყალში ყრითო.

რა თქმა უნდა, კოსტიამ იცოდა, რომ ასე მოულოდნელად და დაუბრკოლებლად ანდრო ვერ გათავისუფლდებოდა; ეტყობა ზემოდან ჩარიეთ ვინმეო, თუმცა ქრისტინე უარყოფდა ამას. ბოლოს კოსტიას

გალიზიანება მძულვარებაში გადაიზარდა და დედას და დეიდას კატეგორიულად აუკრძალა, არც კი გაბედოთ, ეგ მოლალატე ამ სახლში როდისმე მოიყვანოთო.

კოსტიამ უგუნებობა მალე მარიამსაც გადასდო. სულ უფრო იშვიათად აკითხავდა, აღარ სვირნობდა მასთან ერთად, აღარ ეპატიჟებოდა კინოში, უკმეხად ექცეოდა, ყველაფერზე უწყრებოდა და ტუქსავდა, მისი გადამეტებული მზრუნველობაც აღიზიანებდა და მოსიყვარულე ბუნებაც. ლამის გარბოდა შინიდან, ღამღამობით არ ბრუნდებოდა, სკოლის ძველი მეგობრები მოძებნა, ახალი ნაცნობები გაიჩინა, ქეიფობდა, ერთობოდა. თითქოს ცდილობდა, ახალი ცხოვრებისთვის გაესინჯა გემო, საკუთარი თავი ახლიდან აღმოეჩინა, მაგრამ წარსული მაინც სულ ხელს უშლიდა.

მას ფიზიკური სიახლოვე ენატრებოდა, ღამის აღვირახსნილობა და თავგადასავლები, რომ დღისით შიმშილდე შენარჩუნებინა.

მას ქალის აღფრთოვანებული თვალების დანახვა უნდოდა, გართობა სჭირდებოდა, ფლირტი. და არა წესრიგი. მისთვის საკმარისი არ იყო ის დაცულობა, მშვიდი მომავალი, რომელსაც მარიამი სთავაზობდა. მეტისმეტად დარწმუნებული იყო მარიამში და მოსწყინდა. თუმცა ისიც ესმოდა, რომ მარიამი უარყოფას ვერ გადაიტანდა, ქორწილის ჩაშლა მისთვის ცის თავზე დამხობა იქნებოდა. ღირსება შეელახებოდა, ადამიანის ნდობას დაკარგავდა.

ერთხელ, ღამით, როცა კოსტია ჩვეულებისამებრ, გასასვლელად ემზადებოდა, საგანგებოდ გამოწყობილი და სუნამომიპკურებული კიტი წინ გადაეღობა.

- რა ხდება? - იკითხა გალიზიანებულმა კოსტიამ, რომელსაც უნიფორმის მაგივრად მოხდენილი პიჯაკი ჩაეცვა.

- ერთად ნავიდეთ. გართობის გუნებაზე ვარ. რამდენი ხანია, ერთად არსად ვყოფილვართ.

- მეგონა, შენს დიდებულ მუსიკალურ კარიერაზე უნდა გემუშავა.

- ისე მოვიქცევი, თითქოს ეს სრულიად უაზრო გამონვევა ვერ გავიგე, თავაზიანობას შევინარჩუნებ, ხელკავს გაგიყრი, რომ წამიყვანო.

- კარგი, ოღონდ წესიერად მოიქეცი და ზედმეტად არ ილაპარაკო, ძალიან ცნობილ ოჯახში მიმყავხარ და არ მინდა, რამე სისულელე თქვა.

კიტიმ, გაკვირვებულმა იმით, რომ ასე იოლად დაითანხმა, მორჩილად დაუქნია თავი. იმანაც სახტად დატოვა, რომ თურმე ძმა მაღალ საზოგადოებაში ატარებდა აღვირახსნილ ღამეებს. მისი წარმოდგენით, კოსტია სამიკიტნოებში იჭდა მდინარესთან, შებოლილ თევზს შეექცეოდა, ლუდს და არაყს აყოლებდა და ბოლოს რომელიმე დიდძუძუებიან ტურფასთან ერთად ავლაბრის ერთ-ერთ სასტუმროში გაუჩინარდებოდა, თათრების ჩაიხანებსა და სომხების სამრეცხაოებს შორის.

კოსტიამ ტაქსი გააჩერა და მთანმინდას აუყვინენ, დამრეცი ქვაფენილით ზევით ავიდნენ და ერთ ჩიხში შეუხვიეს, რომლის ბოლოშიც, პატარა ბორცვზე, ახალაშენებული სახლი იდგა. მაღალი შავი ჭიშკრის წინ მანქანები გაეჩერებინათ, სახლიდან მუსიკა ისმოდა და ჟრიაშული გამოდიოდა, ლაღობდნენ და ერთობოდნენ. ამ სახლის ბინადრებს უდავოდ ბევრი ფული უნდა ჰქონოდათ: ესე იგი, ან თვითონ იყვნენ პარტიის მუშაკები ან მათი მშობლები. კიტიმ შესვლისთანავე იგრძნო ზიზღი, ერთი პირობა იფიქრა კიდევ, ხომ არ გავბრუნდეთ, უკვე საკმარისის ნახვა მოასწრო საიმისოდ, რათა მიმხვდარიყო, კოსტია ღამდამობით არც არაფერ აკრძალულს არ სჩადიოდა, რისიც ყველას ეშინოდა შინ, მაგრამ ამ დროს ახალგაზრდა, პუტკუნა ბიჭი გამოეგება მათ და სტუმრებიც სიცილით შეიპატიჟა.

მაღლე კიტი სტუმრებსაც წარუდგინა და ისინიც აღფრთოვანებით შეხვდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩამრგვალებული ბიჭის მამა – სახლის პატრონი – აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორი ყოფილა და ამჟამად კარლოვი-ვარში ატარებდა შვებულებას, სახლი კი თავისი ვაჟისა და მისი დისთვის ჩაუბარებია. იქაურობა სავსე იყო ვითომ კულტურულად და ელიტურად შერაცხული ახალგაზრდებით, განებივრებულებითა და მამიკოს შვილებით, რომლებიც კოსტიას ფასეულობების პატრონს, წესით, აბუჩად უნდა აეგდო. მაგრამ ამის ნაცვლად მშვენივრად ერთობოდა, ხუმრობდა, თავს იწონებდა, ცეკვავდა, ბრწყინავდა, და, რაც მთავარია, ქალების გულებს იპყრობდა. კიტის გოგოები შემოეხვივნენ გარს, ჭრელაჭრულა მოკლე კაბები ეცვათ, თმა აეფუებინათ თავზე და კეკლუცად გამოხატავდნენ აღფრთოვანებას, რომ სწორედ კიტი ჯამში, რომელსაც რადიოდან იცნობდნენ, ქალაქის ყველაზე წარმოსადეგი უცოლო ვაცის და აღმოჩნდა. აქ კი მიხვდა კიტი, რაც ხდებოდა. ბუნებრივია, ამ წრეში კოსტიას მარიამისგან თავი შორს უნდა დაეჭირა, მისი არსებობა არ უნდა გაემხილა, ეს თამაში რომ შესძლებოდა.

დაბალი შავთმიანი გოგონა, სხვებზე ხმამაღლა რომ იცინოდა და თან წითელლაქიან თითებს აქეთ-იქით იქნევდა, მასპინძლის და იყო თურმე, რომელიც კოსტიას მიმართ მეტისმეტ დაინტერესებას იჩენდა.

მერე ვიდაც თვითკამყოფილმა ბიჭებმა, კიტის რომ ძალიან უშლიდნენ ნერვებს, ალყაში მოიქციეს და აღარ მოეშვნენ: ვინ არის ის ბედნიერი მამაკაცი, ასეთი ფანტასტიკური სიმღერა რომ დაგანერინაო, თქვენი მიჯნურობა ისევ თუ გრძელდებაო. ეს სიტყვა მიჯნურობაც საკმარისი იყო, რომ ეგრძნო, რა უადგილო ადგილას იმყოფებოდა, იმ წამსვე სიამოვნებით გაიქცეოდა იქიდან. მარიამი გაახსენდა, ნეტავ, რას იტყოდა ამ ყველაფერზე. შეუდრეკელის ნიღაბს ამოფარებული კვლავინდებურად თუ შეძლებდა კოსტიას სიყვარულსო. ეჭვიც შეეპარა, ქორწილი ნუთუ მართლა გვალვის გამო გადაიდო?!.

- წამოდი, რაღაცას გაჩვენებ, - წითელი ღვინით აშკარად შეზარხოშებულმა და მომხიბვლელად მოღიმარმა კოსტიამ ხალხის გროვიდან გამოათრია და ტერასაზე გაიყვანა. მათ თვალწინ განათებული ქალაქის ჯადოსნური ხედი გადაიშალა, მწვანედ აბიბინებული ბორცვები, მათ შორის კი ხვლიკისფრად გადაჭიმული მდინარე. ქალაქი ძილს მისცემოდა და სიმშვიდეს მინებებოდა. იქიდან ისე ლამაზად ბრწყინავდა ყველაფერი, კოსტიაც ისე უხდებოდა ამ ბრწყინვალებას: მხარბეჭიანი და მედიდურად მდგომი კიტის გვერდით, ზეცას გასცქეროდა და სუფთა ჰაერს სუნთქავდა.

- აქ რა გვინდა, კოსტია?

- შენ ხომ ჩემთან ერთად მოინდომე გართობა.

- ამ ხალხთან შენ რა საერთო გაქვს-მეთქი, - ეს ვიგულისხმე!

კოსტიას რომ ეპასუხა, არ დასცალდა, ისევ აგნიასდნენ აკაკანებული გოგოები მასპინძლის წინამძღოლობით. და-ძმას შემოეხვივნენ.

- იმღერე შენი სიმღერა, ძალიან გთხოვ! გიტარა მოვიძიეთ საგანგებოდ, გთხოვ, გთხოვ, იმღერო, მშვენიერი, მშვენიერი სამყარო.

ხელში შამპანურის ჭიქები ეჭირათ და კიტის ეხვეწებოდნენ.

კიტი მათ სახეებს მიშტერებოდა და თვალწინ ანდრო ედგა, მისი პატარა ოთახი, მისი მოხრილი ზურგი, ჩაცვივნილი ლოყები და გადაპარსული თავი. და ის გაახსენდა, თუ როგორ ენატრებოდა მისი ოქროსფერი კულულები, რომელიც წარსულმა თან გაიყოლა... „რა მშვენიერი, მშვენიერი წყვილი ვართ, სრულიად მშვენიერ, მშვენიერ სამყაროში, შემოგვხედეთ, განა მშვენიერნი არ ვართ?“ და ყველა აჰყვა სიმღერაში, მის სიტყვებს იმეორებდნენ, ხმას აუწიეს „შესანიშნავ სამყაროზე“ და დაუწიეს, როცა კიტიმ ამოიკვნესა: „...მაშ, რატომღა არის სამყარო უჩვენოდაც ასე შესანიშნავი?“

ტაშსა და ფეხების ბაკუნში კიტიმ ერთმანეთის მიყოლებით გადაყლურნა ორი ჭიქა შამპანური, ბოდიში მოიხადა და თვალეზით ძმას დაუწყო ძებნა, მაგრამ იქ მყოფთა შორის ვეღარ დაინახა. სასტუმრო ოთახში შებრუნდა, უნდოდა ეთქვა მისთვის, მივდივარ, ამათი ატანა აღარ შემიძლიათ. მაგრამ კოსტია არსად ჩანდა. გადაჭრა დიდი დარბაზი, სადაც წყვილები ცეკვავდნენ, გაჩახახახებულ ღერეფანში იარა აქეთ-იქით, ოთახებში შეიჭყიტა, ეძახდა, ყველას ეკითხებოდა, ხომ არ გინახავთო, მაგრამ არავინ იცოდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო მისი ძმა.

ბოლოს ხელი ჩაიქნია, იეჭვა, ალბათ, მასპინძელთან ერთად შეიყუჟა სადმე, სადაც ვერავინ იპოვიდაო, და გამოუმშვიდობებლად გავარდა გარეთ.

ამოისუნთქა, ჩიხში ბნელოდა, მხოლოდ სახლიდან ეცემოდა სინათლის სხივები ქვაფენილს. ერთი-ორი ნაბიჯი გაიარა და კუთხეში ჩამოჯდა, სახლიდან ოდნავ მოშორებით. შვება იგრძნო. უცებ ნაცნობი ხმა გამოარჩია, თავიდან ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მერე ძმის ხმა

შეიქნა, რომელიც ვილასას ხმადაბლა და დაჟინებით უმტკიცებდა რალასას. ნეტა იქვე რად ვერ მიაგნეს მოფარებულ კუთხეს თავიანთი ფლირტისთვისო, – გაიფიქრა კიტიმ, თან იუხერხულა ძმისთვის ეთვალთვალა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მის ხმას მიჰყვა, მარცხნივ გაუხვია; იქ, აივნის ქვეშ, ორ ლანდს მოჰკრა თვალი. კოსტია ცალი ხელით კედელს მიყრდნობილი, ქალისკენ გადახრილიყო და სახე მის სახესთან მიეტანა, თითქოს ის იყო, უნდა ეკოცნათ ერთმანეთისთვის, რალასას ენერგიულად უმტკიცებდა. ოღონდ ქალი შავთმიანი მასპინძელი არ აღმოჩნდა: მაღალი იყო და ქერა.

კიტიმ თვალეები მოჭუტა, კისერი წაიგრძელა, რამდენადაც შეძლო. ნეტა, რომელია იმ წიკვინა, ტუჩებმოდლაბნილი გოგოებიდანო, – გაიფიქრა. ერთ-ერთი იმათგანი იქნება, ვინც იქ, მაღლა მისმენდაო. ქალს მკერდი მაგრად მიეზტინა კოსტიასთვის და ჟინიანად აკვირდებოდა სახეზე. მერე ნაზად მოუთათუნა ხელი ლოყაზე, კოსტიამ ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, შეამონმა ეტყობა, არ უნდოდა, ამ ქალთან ვინმეს დაენახა.

ლამპიონის შუქზე კიტი ქალის პროფილს დააკვირდა: მომხიბლავი ჩანდა და წარმოსადეგი, თმა ოსტატურად ჰქონდა მაღლა აწეული, ჩალისფერი კაბა ეცვა, საგანგებოდ შემოტმასნილი, რომ გამოჰკვეთოდა, თანაც ისე მოხერხებულად ჩაჭრილი, რომ გრძელი, დაკუნთული ფეხი გამოსჩენოდა. რაც მთავარია, ემჩნეოდა, რომ უფროსი უნდა ყოფილიყო კოსტიაზეც და იმ სახლში მოწვეულ ნებისმიერ სტუმარზეც.

– მეც ხომ ეგ მინდა... რა თქმა უნდა, ეჭვი ნუ გეპარება, – კიტის თითქმის არ ესმოდა, რას ჩურჩულებდა კოსტია, ქალმა კი მიიზიდა თავისკენ, ცხვირი ცხვირზე მიაჭირა, ახლა ტუჩებზე შეეხებაო, გაიფიქრა კიტიმ, კოსტიას სხეულიც დაჰყვა, მისკენ გაიწია, მაგრამ იმან არ მიუშვა, არ აკოცა.

– ხომ იცი, ვერ ვიტან, როცა მალოდინებენ, კოსტია, – კიტიმ გაიგონა, როგორ ძლევამოსილად წარმოთქვა ქერა ქალმა ხმამაღლა და გარკვევით – და უცებ თავბრუ დაეხვა, მუხლები მოეკვეთა, სახლის კედელს მიეყრდნო და ჩაიკეცა.

ის ხმა. ის ხმა იცნო! იმ ხმას ვერასდროს დაივიწყებდა. ის რბილი, ცბიერი და შეუვალი ხმა არასდროს შეეშლებოდა სხვაში.

ის იყო. ქალი ჯოჯოხეთიდან.

კიტი ისევ წამოდგა, მაგრად მიეყრდნო კედელს, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, სანამ ორივე თვალთახედვიდან არ დაკარგა და ისევ არ აღმოჩნდა სახლის წინა მხარეს. მერე კვლავ კიბეზე აიჭრა, პირველივე სააბაზანოში შევარდა, ჩაიკეტა, ონკანი მოუშვა და თავი წყლის ჭავლს შეუშვირა, სანამ სუნთქვა არ აღიდგინა. მაგრამ სხეული ვერ დაიმორჩილა. მუხლები უკანკალებდა, ფეხზე ძლივს იდგა. თავს ძალა

დაატანა და კაფელის ცივ იატაკზე დაწვა, ასამდე დაითვალა, სანამ არ იგრძნო, რომ ადგომას შეძლებდა.

მერე დიდ დარბაზში შებრუნდა, ჭიქა ღვინოს დაწვდა და სულმოუთქმელად დაეწაფა. კოსტია როცა გამოჩნდა, კიტი ტერასაზე იდგა მარტოდმარტო და ალბათ უკვე ოთხი ჭიქა ღვინო მაინც ექნებოდა გამოცლილი.

- გეძებდი, - უთხრა კოსტიამ, - სად ჯანდაბაში იყავი? რას ჰგავხარ... ბევრი დალიე? - თვითონ კარგ გუნებაზე იყო, ხალისიანად ლაპარაკობდა. - მესმოდა, რომ მღეროდი. როგორც ჩანს, მართლა მოსწონთ შენი მხიარული სიმღერა, მართლა, მართლა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

- ვინ არის?

- ვის გულისხმობ?

- ვინ არის ის ქალი?

- შენ რა, მითვალთვალებდი?

- ვინ არის-მეთქი!

სახელწინილი კიტი ძმას მიუბრუნდა და მიაჩერდა ზიზღნარევი თუ ტკივილიანი თვალებით. კოსტიას უდარდელი გამომეტყველება უმაღლეს აგრესიამ შეცვალა.

- ის ქალი? არაფერი განსაკუთრებული. მარიამის გამო არ იღელვო.

- იცის, რომ დაქორწინებას აპირებ? იცის მისი სახელი? იცის შენი ნამდვილი სახელი? რამდენად კარგად იცნობ?

ამ შეკითხვებს როცა უსვამდა, კიტისთვის უცებ ნათელი გახდა წარმართული ღმერთების თამაშის მთელი ეს გარდაუვალი, ბნელი არსი, რომელშიც ორივე იყო ჩათრეული.

- დაკითხვას მიწყობ? პატარა აღარა ვარ, კიტი, თავი შეიკავე. მეთვალყურეები არ მჭირდება. მით უმეტეს, შენ არ უნდა მიკითხავდე მორალს.

- ფეხებზე მკიდია, ვის როდის როგორ იხმარ. მხოლოდ მისი სახელი მინდა ვიცოდე.

- როგორ მიბედავ, რა სიტყვებს აფრქვევ?!

კიტი დარწმუნებული იყო, რომ ქერა ქალი ამ სახლში არ შემოვიდოდა. ისევე უკვალოდ გაუჩინარდა სიბნელეში, როგორც გაჩნდა. საიდან მოვიდა? სად გაიწნო კოსტიამ? ეს სახლი მარტო იმისთვის აირჩია, რომ იმ ქალს შეხვედროდა მალულად? მაგრამ ეს უაზრობა იყო. კიტის თავი ასტკივდა, კოპებშეკრულმა მაგრად დახუჭა თვალები.

- მხოლოდ მისი ვინაობა მაინტერესებს, მითხარი და თავს დაგანებებ!

ისე კატეგორიულად მოითხოვა კიტიმ, თავისმა ხმამ თვითონვე შეაკრთო, მხრებში ჩაავლო ხელები ძმას და მთელი ძალით შეანჯღრია. კოსტია გააოგნა მისმა ასეთმა გამძვინვარებამ, წაბარბაცდა, თუმცა სწრაფადვე აღიდგინა წონასწორობა და დაყვავებით მიმართა დას:

- კიტი, დამშვიდდი, გემუდარები, აჯობებს სახლში წაგიყვანო, ყველაფერი კარგადაა. დაწყნარდი. მარიამს გულს წამდვილად არ ვატყენ, გპირდები და ის, რაც შენ დაინახე, სულ სხვა რამეა, კარგი, საკმარისია.

- ვინ!.. - არ ცხრებოდა კიტი. რამდენიმე ცნობისმოყვარე ტერასაზე გამოჰყვა ხმაურს და კოსტიამ იგრძნო, აშკარად უსიამოვნო ამბავში ეხვეოდნენ. ორივე მკლავზე ჩასჭიდა ხელი კიტის და შინ წასასვლელად უბიძგა, ხოლო როცა კიტი კიბის სახელურს ჩააფრინდა და უძალიანდებოდა, ხელში აიყვანა, კარტოფილიანი ტომარასავით გადაიგდო მხარზე და საფეხურზე დაეშვა.

მხოლოდ მაშინლა ჩამოსვა, როცა მთანმინდა უკან მოიტოვეს და ფართო გზატკეცილზე გავიდნენ. კიტი უღონოდ დაებერტყა ტროტუარზე და ატირდა.

თითქმის უხმოდ ტიროდა, მაგრამ ეს ცუდი ტირილი იყო, ქრისტინეს ტირილს ჰგავდა, შოკოლადის სახლის ქალების მღუმარე ტირილს. კოსტია დაბნეული იდგა მის გვერდით და ზემოდან დაჰყურებდა, აღარც მისი დამშვიდება შეეძლო და ცხადია, სიბრაზის მიუხედავად, ვერც მიტოვება წარმოედგინა. მის გვერდით ჩამოჯდა და ხელის მხარზე მოხვევა სცადა, მაგრამ კიტიმ მოიშორა.

- ვალდებული ხარ ამიხსნა, რატომ დაინტერესდი, ახლავე მიპასუხე! - თქვა აღელვებით კოსტიამ, როცა კიტი ცოტა დაწყნარდა და სახელოთი ცრემლები მოიწმინდა.

- უბრალოდ, მისი სახელი მაინტერესებს, მეტი არაფერი მინდა შენგან. მარიამს არაფერს ვეტყვი, მხოლოდ, სახელი მინდა ვიცოდე.

- კი მაგრამ, რატომ, რად გინდა?

- მე მას ვიცნობ.

- კარგი ერთი, საიდან უნდა იცნობდე?

- შენთვის ვინ არის?

- უბრალოდ, ლამაზი ქალია, რომელიც სადღაც ბანკეტზე გავიცანი, გათხოვილია, ამიტომ არ არის მაინცდამაინც მიზანშეწონილი...

- უბრალოდ ლამაზი ქალი... უბრალოდ ლამაზი ქალი, - უაზროდ გაიმეორა კიტიმ ძმის სიტყვები.

“უბრალოდ, ლამაზი ქალიო, ამბობ. არ მწყინს, არ მტკივა, მართლაც ლამაზია. რა ლამაზი ტუჩები აქვს-მეთქი, ვფიქრობდი, როცა სასიკვდილო სიმღერას მიმღეროდა. უბრალოდ ლამაზი ქალი. მაგრამ შემომხედე, შემომხედე, მეც ქალი ვარ, არც ისე ლამაზი, მკვდარი და მკვდრეთით აღმდგარი, მაგრამ მაინც მასავით ქალი”.

არა მგონია, ბრილვა, რომ ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც უწინ ამ სიმღერას მღეროდნენ და ახლაც არ ამბობენ უარს, სცოდნოდათ, რომ კიტის ასეთი დაჟინება ეჭვიანობას არ გულისხმობდა.

კოსტია არ დანებდა. არ გაუმხილა მისი სახელი. ვისი დაცვა უნდოდა, კიტი ვერ ხვდებოდა ამას, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თვითონ უკან არ დაიხევდა, ყველა შესაძლებლობას მოსინჯავდა, ოღონდ გაეგო იმ ქალის სახელი.

მიუალერსა კიდევ ძმას, არტისტური უნარიც გამოიყენა, მოსიყვარულე, სათნო დის როლიც მოირგო, დაემუქრა კიდევ, თუ არ გამიმხელ რასაც გთხოვ, მარიამს ვეტყვიო. მაგრამ, როგორც ჩანს, მარიამზე ბევრად მეტი იყო საპირნონედ დადებული. მაინც ცდილობდა, ძმის სიჭიუტე დაემსხვრია. თავს აბეზრებდა, სულის მოთქმის საშუალებას აღარ აძლევდა.

კოსტია მოთმინებას კარგავდა, რაც კიტის იმედს უსახავდა, ჩემს ამ დაჟინებას ვეღარ გაუმკლავდება, თავისუფლების შეზღუდვას დიდხანს ვერ გაუძლებსო, სულ მუდამ კვალი მივყვები, ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემ. მეყოფა სიმტკიცე, ისეთი დათმენის უნარი მაქვს, კოსტიას არც დაესიზმრებაო.

სექტემბრის ბოლოს, როცა გაუთავებელმა წვიმამ სახურავებზე კაკუნი ატეხა, მობინადრეებს კი ნერვები დააწყვიტა, ხოლო შინ გვიანდაბრუნებულ კოსტიას ჩასაფრებული დის მორიგი გესლიანი ფრაზები მისწვდა მისი ღამეული თავგადასავლების შესახებ, უკვე ვეღარ გაუძლო, მაჭაში ხელი სტაცა, წინ წაიგდო გალუმპული ბალისკენ და ატალახებულ მიწაზე მოისროლა. კოკისპირულად წვიმდა. თვალის დახამხამებაში ორივე გასაწური გახდა.

- შეწყვიტე, შეწყვიტე-მეთქი! გესმის? - ღრიალებდა კოსტია წვიმაში.

მძულვარედ უყურებდა დას, რომელიც უკვე წამომდგარიყო და გარეული კატასავით მას გარშემო უვლიდა.

- მითხარი რა ჰქვია!

- ნამდვილი შეურაცხადი ხარ, გონდაკარგული კაცმა უნდა დაგაბას! ნუთუ არ გრცხვენია!

- სახელი მითხარი და მოგეშვები!

- იმას შენთვის არაფერი დაუშავებია, თავი დაეხსენი, ერთხელ და სამუდამოდ! უბრალოდ, გატაცება იყო, ღმერთო ჩემო! ხანმოკლე თავგადასავალი. საშიშად გავლენიანი ქმარი ჰყავს. რამე რომ მოხდეს, წინდაუხედავად რომ მოიქცე, უსიამოვნება არ აგცდება, მე კი აღარ მინდა შენ გამო ისევ ცუდ დღეში ჩავვარდე, ნუ ჩაერევი სხვის საქმეში!

- შეგიძლია გონის დაკარგვამდე იტყნაურო მასთან, რაში მაინტერესებს? მხოლოდ მისი სახელი მითხარი!

- კახპასავით ლაპარაკობ! მამა ალბათ საფლავეში გადაბრუნდებოდა.

- სად აქვს საფლავი! საფლავიც კი არ ეღირსა!

ამაზე კოსტია ისევ სწვდა თავის დას და მთელი ძალით ლენა სახეში. კიტი ტალახში ჩაენარცხა, როცა თავი ასწია, ნიკაპზე სისხლი სდიოდა,

ქვედა ტუჩი გახეთქოდა. არ უტირია, არც კი უგრძნია ჭრილობა, თითქოს ბოლო თვეებში იმუნიტეტი გამოუმუშავდა ტკივილის მიმართ.

ამ დროს ქრისტინე გამოვარდა გარეთ და შუაში ჩაუდგა და-ძმას, მთელი ხმით გაჰკიოდა, შეწყვიტეთო. კოსტია გაბრუებული გაჩერდა, თმა შეწებებოდა, ტანსაცმლიდან წყალი სდიოდა, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა ჩაიდინა. კიტი კი გამეხებული უყურებდა ძმას, გამომწვევად და თავდაჯერებულად. თვალს არ აცილებდა, არც სინანული ეტყობოდა და არც შიში. მის სისხლს წვიმის წყალი შერეოდა და სახე საომრად მოხატულს მიუგავდა. სტასიაც გამოიჭრა ბაღში, კოსტიას გზა გადაუღობა და პერანგის საყელოში ჩაეჭიდა:

- რა ჩაიდინე? - შეუტია შვილს. იმან კი თვალი თვალში გაუყარა და სახეში შეჰყვირა: მძულხართ!

და ამ სიტყვამ, ბრილვა, შუაზე გაგვხლიჩა ჩვენ, ყველანი.

ოქტომბრის დასაწყისი იქნებოდა, კიტიმ მარიამს რომ დაურეკა და სთხოვა კაფეში შევხვდეთო. მარიამი შეთავაზებებს სიამოვნებით დასთანხმდა, რადგან თვითონაც შეწუხებული და დადარდიანებული იყო და-ძმას შორის უეცრად ჩამოვარდნილი დაძაბულობითა და გაუცხოებით.

ახალ მოდურ კაფეში შეხვდნენ ერთმანეთს, ტექნიკურ უნივერსიტეტთან, და მარიამი ძალიან გაისარჯა, რომ არაფერში ჩამორჩენოდა იქ შეკრებილ საზოგადოებას. შოკოლადისფერი კოსტიუმი ეცვა, თუმცა მაინცდამაინც კოხტად არ ადგა ტანზე, კიტის გადაეხვია და თურქული ყავა შეუკვეთა, თუმცა თვითონ ჩაი კი ერჩივნა, მაგრამ ასეთ ადგილებში ყავის დაღვევა იყო მიღებული.

- ვერც წარმოიდგენ, როგორი სიხარული მომანიჭე, რომ დამირეკე. ეს ბოლო თვე არც ისე იოლი გადასატანი იყო ყოველი ჩვენგანისთვის, არა? სულ იმის იმედი მქონდა, რომ ყველაფერზე დალაპარაკების შესაძლებლობა მოგვეცემოდა. არ მინდა, რომ გაბრაზებული იყო ჩემზე, - წყალივით ჩაარაკრაკა მარიამმა.

- უნდა დაგელაპარაკო.

- არა, მომისმინე. გთხოვ. ეს ბოლო კვირებია თითქმის არ მძინავს. არ მინდა, რომ ჩვენს მეგობრობას ბზარი შეეპაროს. ყველაფერი გამოსწორდება. დარწმუნებული ვარ. ჩვენ მოვახერხებთ ამას, ერთად ხომ იმდენ რამეს გავუძელით, უბრალოდ, უნდა მოვიხილოთ.

მარიამი აღელვებული იყო, ლოყები აუწითლდა, მაგიდაზე გადანვდა კიტის ხელს და აღარ უშვებდა.

- მარიამ...

- ყველაფერს ავინაზღაურებთ, ხომ ასეა? ასე ხომ ვერ წავშლით ჩვენს მეგობრობას, არ გამოვა, უბრალოდ. მიჭირს უშენობა, ვერაფრით დაგმობ, მართალია, შენი ძმა მიყვარს, მაგრამ ამის გამო ვერ შეველევი.

მარიამს თვალები აუწყლიანდა.

- არ მინდა განხეთქილება ჩამოვადლო თქვენ შორის, ვერ დავუშვებ, უთანხმოება გქონდეთ, მით უმეტეს, ჩემ გამო. ამას საკუთარ თავს ვერ ვაპატიებ. ისეთი გამორჩეული დაძმობა გაქვთ. ასხივებთ ნიჭს, გონიერებას, სილამაზეს. არა, ყოვლად წარმოუდგენელია, კიტი. ვერ ვაპატიებ საკუთარ თავს, - მარიამი მიტრიალდა და ტროტუარზე მოგოგმანე მტრედებს მიაჩერდა.

- მარი, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გითხრა.

- შენც მიყვარხარ, მაგრამ ისიც მიყვარს. თქვენ განუყოფლად ჩემი გულის ნაწილები ხართ. შეიძლება დაეჭვდე და არაგულწრფელიც მოგეჩვენო, მაგრამ ბევრი ვიფიქრე ამაზე და ვიცი, რასაც ვამბობ. მე...

- ის გლაღატობს.

- კიტი!

- ქალი ჰყავს. თვითონ ვნახე, მაგრამ სახელი არ ვიცი და უთუოდ დაგეხმარები, თუ გაარკვევ, ვინ არის.

- კიტი.

- თუ ჩემი არ გჯერა, შენი ნებაა. ოღონდ იცოდე, ჩვენ შორის უთანხმოების მიზეზი შენ კი არა ხარ, ის ქალია. უბრალოდ, გადაამოწმე, ჩემი სიტყვები, და თუ ვცდები, დაივიწყე, თუ არა და...

- თუ არა, რა?

- მაშინ უნდა დაფიქრდე, ნუთუ შეძლებ, ისეთ კაცთან განვლო ცხოვრება, რომელსაც არასდროს ეყვარები.

- რატომ გინდა, ყველაფერი რომ დაინგრეს?!

მარიამს შეფაკლულ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

- შეუძლებელია დავანგრიო ის, რაც უკვე კარგა ხნის დანგრეულია.

კიტის სძულდა საკუთარი თავი. მაგრამ უსაშველოდ სძულდა ის ქალიც.

ღამით კიტიმ დეიდამისი დაიყოლია, ცხელი შოკოლადი რომ მოემზადებინა. და როცა გვიან შინ დაბრუნებულმა კოსტიამ შოკოლადის სურნელი შეიგრძნო, პირდაპირ სამზარეულოს მიაშურა და ჯადოსნური სასმელი მოითხოვა. კიტიმ უკმეხად უწილდა თავისი ფინჯნიდან. მოუთმენლად დაენაფნენ სასმელს, წინაპრის საიდუმლო რეცეპტით მომზადებულს. სტასია სურნელმა გააღვიძა და ძილ-ბურანში შემობარბაცდა სამზარეულოში. როცა იხილა, როგორ ამოტლიკვს მისმა შვილებმა შოკოლადი თავიანთი ფინჯნების ფსკერებიდან, სახეზე წამოენთო და დას დაჰკვივლა: - ეს როგორ გაბედე, რეცეპტი როდის ამართვიო, - სკამზე დაეშვა მერე უღონოდ და ამოიკვნესა. თუმცა სტასია კვლავაც არ იყო დარწმუნებული, ბუსტად რას მიუზღავდა მამამისის შოკოლადი მის დამგემოვნებლებს, მაგრამ რომ აზღვევინებდა, ამაში ეჭვიც აღარ ეპარებოდა. არ უნდოდა, შვილებს ეს ჯადოსნური სასმელი გაესინჯათ, რადგან დარწმუნებული იყო, რაკი ერთხელ იგემებდნენ, მერე თავს ველარასდროს შეიკავებდნენ ამ საბედისწერო სასმელისგან.

ქრისტიანებს ხელში შერჩა თუნუქის ჯამი, ახლახან შოკოლადი რომ მოხარშა. დას არ შეეპუა და მკაცრად შეახსენა, რომ ის მამამისიც იყო და ამ რეცეპტზე, შესაბამისად, თვითონაც ენიჭებოდა უფლებები. ამაზე სტასიამ ხელიდან გამოგლიჯა ჯამი და მოისროლა. ყველას ჯერ გამძვინვარებულ სტასიასა და მერე იატაკზე დაღვრილ მუქ სითხეზე გაუშტერა თვალი.

უცებ კოსტია დაიხარა, მონუსხულივით ოთხზე დაეშვა, იატაკზე დაღვრილ შედედებულ შოკოლადს აუსვა თითი და მერე ნდომით გაიქანა პირში.

ქალები ენაჩავარდნილები დაჰყურებდნენ. კოსტიამ მთლიანად რომ აასუფთავა შოკოლადის ნაშხეფი, წამოდგა და სრულიად აუღელვებლად გავიდა სამზარეულოდან.

- ეს რა ქნა? - იკითხა თვალგაშტერებულმა ქრისტიანემ დის გასაგონად.

- სავარაუდოდ, ასეა, პირველად გაუსინჯა გემო, - მიუგო სტასიამ მწყრალად.

* * *

მეც იქ ვიყავი, თაფლის არაყი და ლუდი ვსვი,
წვერზე მეღვრებოდა, ყელში კი წვეთი არ ჩამსვლია.
ბლაპრის კეთილი დასასრულის რუსული ფორმულა

ალუბლისფერტუჩებიან მაღალ ქერა ქალს ალა ერქვა, ორმოცი წლისა იქნებოდა. იმ აბრეშუმის ფაბრიკანტის მეზობლად ცხოვრობდა, რომელმაც შვილებს უზარმაზარ სახლში გართობა-მოლხენის ნება მისცა. ერთ-ერთი ასეთი დროს ტარებისას გაიცნო კოსტიამაც ეს ქალი. მოსკოვში დაემთავრებინა სამედიცინო ინსტიტუტი და ფსიქიატრიაში მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. შემდეგ НКВД-ში მიიწვიეს და ისიც ამ ორგანიზაციის წევრი გახდა. ერთ-ერთი მივლინების დროს მომავალი მეუღლე გაიცნო, რომელიც ასევე НКВД-ში მსახურობდა, ოღონდ საქართველოს განყოფილებაში. მალე ერთად გადმოვიდნენ საცხოვრებლად თბილისში და კავკასიაში განაგრძეს მუშაობა. თითქმის ოცი წლით უფროსი ქმარი მალე მოზეზრდა ალას, რადგან იგი „ჯაშუშებისა და კონტრრევოლუციონერების, დივერსანტების და სხვა ნაძირლების“ დევნაში კი არ იყო მხოლოდ დაგეშილი, სხეულითაც განიცდიდა შიმშილს, რადგან მისი ზედმეტად საქმიანი ქმარი ვეღარ უცხრობდა ვნებებს.

ქვეყნის უმძლავრეს ორგანიზაციაში მუშაობის თორმეტი წლის განმავლობაში სხვადასხვა მამაკაცისგან დაორსულებულმა ცხრა აბორტი გაიკეთა, რამაც ალბათ გაუმძაფრა სიავე და ბოროტება, მით უმეტეს, რომ ბოლო ოპერაციაში ცუდად ჩაიარა და შვილოსნობის უნარი დაკარგა.

სრულიად ჯანმრთელ ქალებზე იყარა ჯავრი, ვისაც კი ხელთ იგდებდა, სამუდამო დაღს ასვამდა და სვეგამწარებულად ტოვებდა. ერთ-ერთ ყველაზე საიმედო და ამავე დროს შიშისმომგვრელ თანამშრომლად მიიჩნეოდა. პატარა დიდ კაცს თურმე მისთვის მედალი მკერდზე საკუთარი ხელით ჩამოუკიდებია. მაგრამ ეს რამდენად სარწმუნოა, არ ვიცი. ალა ბაბუაჩემს როცა შეხვედრია, ვნებააშლილს, იმ საღამოსვე წაუთრევია გვერდითა სახლში და შარვალი გაუხსნია. კოსტიას მისმა დამაჯერებლობამ და სისწრაფემ იდა გაახსენა, მონდომებით დაჰყვა. მას მერე რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

არ ვიცი, როგორ, მაგრამ მარიამმა მოახერხა მოეძებნა სატრფო. უარყოფილის წყენას საოცრებების ჩადენა შეუძლია. ღამლამობით უსაფრთებოდა ეტყობა კოსტიას, გაჩახჩახებულ სახლთან იდგა და ელოდა. სიცილ-კისკისი და ხმამაღალი მუსიკა ალბათ როგორ უსერავდა გულს; მაგრამ მაინც მოთმინებით იცდიდა, ვიდრე არ მიაგნო მას, ვისაც ეძებდა.

მარიამი ქერა ქალს მალეულად მიჰყვა. დამშვიდობებისას მან სახლის უკან შეყვარებულს აკოცა, მერე სწრაფად მიბრუნდა ჩიხში და პირველივე სახლთან გაჩერდა. მარიამმა მანამდე მხოლოდ მისი სიმაღლე და მოხდენილი ჩაცმულობა დალანდა, მაგრამ როცა ქუჩის ლამპიონის ქვეშ სახლის გასაღების ძებნა დაიწყო, მაშინ უკვე იცნო... ის იყო, ქალი ჯოჯოხეთიდან.

ქერა, ფაფუკი თმა, წითელი ტუჩები, ნებისმიერი მიხრა-მოხრა, მოქნილი სხეული.

ვერც კი წარმომიდგენია, რა თავზარი დაეცემოდა, როცა იმ კაცთან წარმოიდგინა, ცოლად რომ უნდა გაჰყოლოდა. ალბათ სულ არ გაუჭირდებოდა იმის წარმოსახვა, თუ როგორ ეხებოდა თავისი მოვლილი ფრჩხილებით კოსტიას ზურგს. თავს უკან როგორ აგდებდა კეკლუცად, როგორ ხაოდა ვნებისგან დანამული ტუჩებითა და ქუთუთოებით. ადვილად წარმოიდგენდა, როგორ აქეზებდა კოსტიას იმავე ალერსიანი სიტყვებით, რომლებითაც ერთ დროს მარიამი აიძულა, შხამიანი შპრიცი ხელში აეღო.

იმ ღამესვე მარიამმა კენჭები დაუშინა კიტის ფანჯარას. კიტიმ პალტო მოიცვა და უჩუმრად გავიდა ქუჩაში. როცა საკმაოდ მოშორდნენ ქრისტინეს სახლს, ტროტუარზე ჩამოსხდომამდე კიტი უკვე გრძნობდა, რომ მარიამმა იპოვა, ვისაც თვითონ გამწარებული ამაოდ ეძებდა ამდენ ხანს.

- გინდოდა, რომ ჩემი თვალით მენახა, არა? იცოდი, ვინც იყო და არ მითხარი, - ნირწამხდარი მარიამი ჩუმად ლაპარაკობდა. იოტისოდენა სიბრაზეც არ შერეოდა მის ხმას. - თავიდანვე რატომ არ გამიმხილე?

- მაინც არ დამიჯერებდი, - თავისმართლება სცადა კიტიმ, თუმცა ერთბაშად დაეჭვდა, სწორად მოიქცა თუ არა, ჰქონდა კი მარიამის ამ ხიფათში ჩაგდების უფლება?

- ვარგა ხანია, რაც ერთად არიან? - ჩამქრალი ხმით დაეკითხა კიტის.

- აბა, რა გითხრა?

- ეს როგორ... ბედის ირონიაა, როგორ შეიძლება ამის დაჯერება. რატომ არ...?

მარიამი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ბნელ, ცარიელ ქუჩაზე, ისევ მობრუნდა და დაჯდა. თითქოს მთელი სხეულით ეწინააღმდეგებოდა ამ შემზარავ ფაქტს. თითქოს უნდოდა ეს უსიამოვნო ამბავი აესხლიტა.

- ვერც კი გისაყვედურებ. როგორი უზნეობაა, სხვის სახლში დაუნიშნო პაემანი ქალს, რომელიც იქ დაპატიჟებულიც კი არ არის!

მარიამმა მკვეთრად გაიცინა, ძალად. კიტიმ სიმწრით ცერა თითზე იკბინა.

- სიმართლე გითხრა, არ ვიცი, რატომ გაგიშვი. იქნებ შენგან მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ველარაფერს შევცვლით, სწორედ ისაა და სხვა არავინ!

კიტიმ დანამდვილებით არ იცოდა, როგორ აღიქვამდა მისი მეგობარი ამ ამბავს, მაგრამ ასეთს ნამდვილად არ ელოდა. შეიძლებოდა ცრემლად დაღვრილიყო, სასოწარკვეთას მისცემოდა, მაგრამ ასეთი სიცარიელე თვალებში და ასეთი სიცივე ხმაში ვერ წარმოედგინა.

- დღეიდან მე ვიცი, მე უნდა დავველაპარაკო. შენ ეს აღარ გეხება, - კიტი ტროტუარიდან წამოდგა და მეგობარს დახედა. ამ პოზიციით უნდოდა დამაჯერებლობა მიეცა თავისი სიტყვებისთვის, მაგრამ მარიამმა სახეში მწარედ შესვინა.

- იმას დაელაპარაკები? თავს ისულებლებ, კიტი, თუ როგორ გავიგო? და ნუ მეუბნები, რომ მე არ მეხება. ასე რომ ფიქრობდე, არ გამიშვებდი შენი ძმის სათვალთვალოდ და კვალში მიმყოლად, მეძებარი ძალღვივით. გეყოს სინდისი და თავის წინაშე მაინც აღიარე.

კიტიმ ვერაფერი უპასუხა. მართლა, არ უნდა წაექვებებინა მარიამი იმ სახლთან მისასვლელად, მაგრამ უკვე გვიანი იყო სინანული ამის გამო. კიტი შეეცადა ამაზე აღარ ეფიქრა, ახლა ყოყმანის დრო არ იყო, ეს მარიამს კიდევ უფრო დააუჭვებდა.

- ჰო, ალბათ, მართალი ხარ, მაგრამ ახლა მე მაცადე საქმის ბოლომდე მიყვანა.

- ბოლომდე მიყვანა? რას აპირებ, უნდა უჩივლო?

ისევ მწარედ გაიცინა.

კიტის საქციელი წაუხდა. მარიამმა ლაპარაკი ისე წარმართა, მთელი ვითარება ისე ნათლად წარმოუდგინა თვალწინ, კიტის ამდენი არც უფიქრია, ახლა მხოლოდ თავს იმუნათებდა წინდაუხედაობისა და აჩქარების გამო.

ის ქალი სიკვდილის ანგელოზად რომ სდევდა ორივეს, ახლა უპირველეს ყოვლისა, კოსტიას ეცილებოდა მარიამს და სოფლის სკოლის ის საბარელი საკლასო ოთახი მთელი შემადრწუნებლობითა და სისასტიკით თვალწინ წარმოუდგა ორივეს.

კიტი კანკალმა აიტანა, ხელების სრესას მოჰყვა.

- თვითონ გინდა ეს საქმეს ბოლომდე მიიყვანო, ცხადია, მაგრამ შენ უკვე თანამონაწილედ მაქციე... ასე რომ მეც აქ ვარ და ერთად მივიყვანთ ამას ბოლომდე. რაკი უკვე შენ ასე გინდოდა, და, როგორც ჩანს, ღვთის ნებაც ასეთია, - თქვა მარიამმა, მერე ზურგი შეაქცია მეგობარს და ჩქარი ნაბიჯით დაუყვა ქუჩას.

შინ მიბრუნებული კიტი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, სტასიას სიგარეტი გააბოლა და თავის განზრახვაზე ჩაფიქრდა, რა უნდა მოემოქმედა ახლა, როცა ბაფხულის იმ თბილი საღამოს, მთანწინდაზე, საკუთარი თვალით იხილა ის, რასაც ვერაფრით წარმოიდგენდა. კიტისა და მის სიკვდილის ანგელოზს შორის მთელი სახელმწიფო მანქანა იდგა - მოხელები, ურიცხვი ძაღვანები და პატარა დიდი კაცები. მათ შორის იარაღის, საბუთების და ძვლების მთები აღმართულიყო, რომელთა გადალახვას ვერასდროს შეძლებდა. გონებადაძაბულმა მოჩხრიკა თავისი შესაძლებლობები. ცხადია, აჯობებდა საიდუმლო ემცნობებინა მის პატივმოყვარე გავლენიანი ქმრისთვის და დაემტკიცებინა, რომ რქებდადგმული მეუღლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ ასეთ ქალზე დაქორწინებულისგან, რომელმაც კარგად უწყოდა, ცოლი როგორ უხოცავდა უშობელ შვილებს ორსულებს, კიტი დარწმუნებული იყო, მოღალატის ქმარი რისხვას ცოლს კი არა, მის გულისწორს დაატეხდა თავს. მისი შურისძიება კიტის სამიზნეს ასცდებოდა. ძმის სიცოცხლეს ის სათუოს ვერ გახდიდა.

ფიქრით ქანცგანყვეტილი, ვიდრე ჩაიძინებდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შურისძიება არანაკლებ გაუძნელდებოდა, ვიდრე მასზე უარის თქმა.

მარიამი ჩაიკვტა. ინსტიტუტში აღარ დადიოდა, საერთო საცხოვრებელიდან აღარ გადიოდა, კოსტიას აღარ ხვდებოდა და რასაკვირველია, ბარათებსაც აღარ პასუხობდა, კიტი რომ შეუცურებდა ხოლმე კარქვეშ. კოსტია შეეცადა კიტისგან შეეტყო რაიმე, მაგრამ დამტკიცედ განუცხადა, პასუხს ვერ ვაგებ მარიამის ქმედებების გამო.

კიტი შეეცადა მთელი გულისყური სწავლაზე გადაეტანა, ეფიქრა სამსახიობო დაოსტატებაზე, და რაც მთავარია, თავის გიტარაზე. მაგრამ ღამღამობით განმარტოებისას გამყინავი შიში იპყრობდა, შუბლზე ოფლი ასხამდა და გამოსავლის ძიებაში აქეთ-იქით ტრიალებდა. თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ქერა ქალის ძებნაში განვლილი ამდენი ხნის მერე ვერ დანებდებოდა, ამ საქმეს ასე იოლად ვერ შეეშვებოდა.

ათასგვარ საშინელებას ვარაუდობდა, რა შეიძლებოდა მარიამს დამართნოდა, საკლასო ოთახისა და ბელელში გატარებული დღეების

მოგონებები ტანჯავდა, ეს კომპარები დღისითაც აღარ აძლევდა მოსვენებას, ამიტომ ერთხელაც მარიამის საერთო საცხოვრებელში მისული, დერეფანში მის კართან დაჯდა. გადანყვიტა, დალოდებოდა მეგობარს, რამდენი ხანიც უნდა დასჭირვებოდა. როდისმე ხომ გამოვიდოდა, ჯამა მაინც ხომ მოუნდებოდა.

პირველ ორ დღეს არ გაუმართლა, კარი არ გაღებულა.

კიტი აკაკუნებდა, ბარათებს აცურებდა კარის ქვეშ, სთხოვდა, ემუდარებოდა მეგობარს, მის დაყოლიებას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ.

მესამე დილას, როცა ლექციები უკვე დაწყებული და საერთო საცხოვრებელი დაცარიელებული იყო, ღია კარში მარიამი გამოჩნდა. გრძელი საწვიმარი ეცვა და ვარცხნილობა შეეცვალა.

- მოდი, გავისეირნოთ, - ისე შესთავაზა, თითქოს არაფერი მომხდარიყო მათ შორის, თითქოს ყველაფერი ჩვეულად მიედინებოდა, როცა ჯერ კიდევ უღრუბლო იყო მათი მეგობრობა, ქუჩებში რომ დაეხეტებოდნენ ლაპარაკ-ლაპარაკით და მზესუმზირას აკნატუნებდნენ. მაგრამ მარიამი საქმიანად გაემართა ავტობუსის გაჩერებისკენ. მონესრიგებულად და მოხდენილად გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის. მხოლოდ თვალებქვეშ გაჩენილი მუქი ჩრდილები მიანიშნებდა იმ ლაბირინთზე, რომელშიც გზა აბნეოდა.

- ძველი თბილისისკენ წავიდეთ, - თქვა მარიამმა და პირველივე ავტობუსში ავიდა. კიტიც გვერდით მიუჯდა. ნისლიან ქალაქს მოღრუბლული ცა დაჰყურებდა. ჯერ დღეებს გვიანი შემოდგომის სუსხი არ ემჩნეოდა, ჯერ არ აციებელიყო. ავტობუსის ფანჯრიდან აკვირდებოდნენ ქუჩებს, აჩქარებულ მოქალაქეებს, რომლებიც იმ რუხ დღეს გაურბოდნენ. კიტი მარიამს მხარზე ჩამოეყრდნო და შვებით ამოისუნთქა.

ლენინის მოედანზე ჩამოვიდნენ და კიროვის ქუჩას აუყვნენ. კიტი მარიამს მიჰყვებოდა და ნაბიჯს უწყობდა. რომელიღაც გამოხვეტილ-დაცარიელებულ პროდუქტების მაღაზიის დახლზე, ნახევარი ძეხვი და ორი სახეობის ყველი დაელაგებინათ, ბურახი იყიდეს და სულმოუთქმელად დაცალეს. მარიამი დიდხანს არსად ჩერდებოდა, მიზანმიმართულად განაგრძობდა გზას. სულ უფრო ზევით, მწვანე ბორცვებისკენ მიიწვავდა. კიტი არაფერს ეკითხებოდა, იმასაც დასჯერდა, რომ მარიამთან ერთად მიაბიჯებდა და ცდილობდა არ ჩამორჩენოდა. ცკის შენობის მტკიცედ შემოღობილ ბაღს ჩაუარეს, მარცხნივ გაუხვიეს, რამდენჯერმე მოკლებე გადაჭრეს, მერე განცალკევებულ ძელსკამზე ჩამოსხდნენ ბაღში სულის მოსათქმელად და ისევ განაგრძეს გზა. საბაგიროს გაჩერებას გასცდნენ.

უცებ მარიამი მეგობარს მოუტრიალდა და ხელის ერთი მოძრაობით აუწია ჟაკეტი. გაშიშვლებულ მუცელზე მიაშტერდა, მეორე ხელით ქვედაბოლო ჩაუწია და მუცლის ქვედა ნაწილს დახედა.

- რას აკეთებ?

კიტი დააბნია და შეაშფოთა მისმა ქმედებამ.

- კიდევ ერთხელ მინდოდა იმ იარებისთვის შემევლო თვალი, მე რომ დაგიტოვე. სულ მაინტერესებდა, კარგად თუ შეხორცდა. მას მერე აღარ შემიხედავს.

- შენ არავითარი იარა არ დაგიტოვებია, სისულელეებს ნუ ლაპარაკობ.

მარიამი სწრაფად მიბრუნდა, ბურგშექცეულმა ზერელედ მოუბოდიშა და სწრაფად განაგრძო გზა.

როცა ჩიტაძის ქვაფენილიანი ქუჩა მოიტოვეს უკან და მამა დავითის ეკლესია გამოჩნდა, კიტისთვის უკვე გაცხადდა, საით მიიწვედა მარიამი. აბრეშუმის ფაბრიკანტის სახლს უახლოვდებოდნენ. კიტი გაჩერდა და მეგობარს დაუინებით სთხოვა, ეგებ გამარკვიო, რა ხდება, სად მიდიხარო. მაგრამ მარიამმა შეუჩერებლად გამოსძახა, გამომყევი, ყველაფერი კარგადაა, მისი ქმარი ქალაქში არ არისო.

კიტის შეწინააღმდეგება უნდოდა, მაგრამ მარიამს უკვე ქუჩის კუთხემდე მიეღწია და წითელი აგურის სახლის სამსაფეხურიან კიბეზე აღიოდა. კიტიმ დაუყვირა, არ გინდაო, მაგრამ სანამ კიბემდე მიირბენდა, მისი მეგობარი უკვე რკინის ლომის თავით აკაკუნებდა კარზე. კიტიმ როგორც კი პირველ საფეხურზე შედგა ფეხი, კარიც გაიღო, მათ წინაშე ალა იდგა.

წითლად შეღებილ ტუჩებს შორის სიგარეტი გაეჩარა, ბიგულები თმაში ჩაემაგრებინა, ძვირფასი თეთრი პერანგი ეცვა.

- რა გნებავთ?- იკითხა რუსულად და მკაცრად შეათვალიერა ორივე. კიტიმ ლამის სახელოში სტაცა მარიამს ხელი, იქაურობას რომ გასცლოდნენ, მაგრამ მონუსხულივით შედრკა და მიაჩერდა წითელ ტუჩებს.

- რა გნებავთ? - გაიმეორა ქერა ქალმა უკმაყოფილოდ, თითქოს რაღაც მნიშვნელოვან საქმეს მოსწვითესო.

- ჩემი მეგობარი დაეცა და მუხლები გადაიტყავა, სააბაზანოში ხომ არ შეგვიშვებთ, თუ...

მარიამს შემაშფოთებლად აუღელვებელი ხმა ჰქონდა. ქართულად დასვა შეკითხვა. კიტის მუქი შალის წინდები ეცვა, ქალმა თვალი შეავლო და ვერაფერი შეამჩნია. ერთი წამით დაფიქრდა. რაღაც დაძაბულობა დაეტყო სახეზე. შეიძლება ამოიცნო რომელიმე ან ორივე. აბა რაო, გაიფიქრა კიტიმ. სიგიჟე იყო იმის დაჯერება, რომ თავის საქმეში ასე გამობრძმედილს, უბრალოდ შეეშვა სახლში ვინმე, პირდაპირ ურჩხულის ხახაში, მაგრამ კარი არ მიუჭახუნა, პირიქით, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ვიდრე ზღურბლს გადააბიჯებდნენ, მოკლედ და მკაცრად დაამატა რუსულად:

- ოღონდ დაუჩქარეთ, თუ შეიძლება, ბევრი დრო არ მაქვს!

კიტი ერთიანად აცახცახდა. კვალდაკვალ გაჰყვა მარიამს. იგი ქერა ქალს მიჰყვებოდა, რომელიც აბაზანის გზას უჩვენებდა. ვერ იჭერებდა, ვერ ხვდებოდა. არ შეიძლებოდა, ეს სიმართლე ყოფილიყო. ასე არა, ახლა არა. ასეთი იოლი არ უნდა ყოფილიყო.

ბინა ნათელი და დიდი იყო, გრილი, ახალდაფქული ყავის მარცვლების სუნით გაჭერებული. ბნელი დერეფნის გავლით მიაცილა კაფელით მოპირკეთებულ სააბაზანოსთან, რომელშიც ლამაზი ბიდე და ფაიფურის პირსაბანი იდგა. კიტიმ შესვლისთანავე კარი გადაკეტა და მარიამს აღელვებით მიმართა:

- ეს რა ჩაიღინე, ხვდები მაინც, სად ამოვყავით თავი?

მარიამი იღიმოდა, ამან კიდევ უფრო შეაშფოთა, ის კი კარს თვალს არ აშორებდა და იღიმოდა. კიტიმ ონკანი მოუშვა.

- ამ დღეს არ ნატრობდი? დაგავინწყდა? როგორც იქნა, აგისრულდა, მოვედით.

- არა მგონია, ახლა მართო იყოს. თანაც, რა გადაწყვიტე, რის გაკეთებას აპირებ? თუ გვიცნო, წასულია ჩვენი საქმე. ჩქარა გავასწროთ აქედან, - კიტის აღელვებისგან ენა დაება.

- ნუ გეშინია. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა ყოფილიყო. ვერ გვიცნო, შენ არც კი შემოგხედა, კიტი. მაგრამ აუცილებლად გაგვიხსენებს, ამას მე გპირდები!

და სანამ კიტი რამეს იტყოდა, მარიამი აბაზანიდან გავარდა.

საქციელწამხდარი კიტი ადგილიდან ვერ იძვროდა, ერთბაშად გაშეშდა, წყლის ჩხრიალს უსმენდა, ცდილობდა, სუნთქვა დაემორჩილებინა. უცებ იატაკზე ბრაგვანის ხმა გაიგონა, ამას მოჰყვა ყვირილი, მაგრამ ვერ მიხვდა, ვისი. კარის სახელურს დაეჭიდა და ფრთხილად გაიჭყიტა ბნელ დერეფანში.

ნელა გავიდა სააბაზანოდან, სახლის სიღრმიდან ისმოდა ხმაური, იქით დაიძრა, დერეფნის ბოლომდე მივიდა და სამზარეულოში აღმოჩნდა. კედლის მძიმე, მუქი კარადები, ფართო სასადილო მაგიდა, ფორთოხლებიანი კალათი. ნიჟარასთან ორი გასარეცხი თეფში. კედელზე გახუნებული პეიზაჟი. გენერალისიმუსის პატარა პორტრეტი და იმ ქალის ფოტო ხანდაზმულ კაცთან ერთად, რომელსაც ხელი მოეხვია მისთვის.

- მარიამ?

კიტის თითქოს ხმა დაეკარგა. ისეთი შემზარავი სიჩუმე იდგა, თითქოს სრულიად მართო იყო იმ სახლში. უცებ სიცილი გაისმა მარჯვნივ გამავალი კარიდან. გააღო ის კარი და ოთახში შეაბიჯა. შუაში გობელენგადაკრული დივანი იდგა. წინ, შუშის მაგიდაზე, მოდის ჟურნალები ეწყო. დივანზე იჯდა ის პერანგიანი ქალი, მკერდი უტორტმანებდა, შუშასავით გამჭვირვალე თვალები გაფართოებოდა. მარიამს შესცინოდა ისე გროტესკულად, გეგონებოდა, მანამდე უფრო

სასაცილო არაფერი ენახა. უხეში, თითქმის ვულგარული სიცილი მის დახვეწილ გარეგნობას სულ არ უხდებოდა.

მარიამი მის წინ იდგა და, როგორც კიტიმ ბოლოს შეამჩნია, ხელში სამხარეულოს დიდი დანა ეჭირა, ეტყობა, მანამდე ჩანთაში ედო. ხელი არ უკანკალებდა, მყარად ეჭირა, თითქოს დიდი ხნის ნავარჯიშები იყო. მაგრამ სახე ალენილი ჰქონდა, ამ სიცილს ამკარად ვერ უძლებდა. კიტისკენ როცა შეტრიალდა, თვალები ამღვრეოდა და დაბინდვოდა.

- მარიამ... რას აკეთებ?

კიტიმ გაუბედავად გადადგა ნაბიჯი მეგობრისკენ.

- მე მინდა, რომ კარგად შეხედო. რაო, გაგახსენდა ახლა?!

მარიამი ქერა ქალს მიუბრუნდა. დივანთან ლარნაკის ნატეხები ეყარა, ეტყობა, მაშინ ჩამოვარდა, როცა მარიამმა ქალს დივანისკენ უბიძგა.

- შეწყვიტე ეს სიცილი, შეწყვიტე სიცილი! - უყვირა უცებ მარიამმა; კიტის ლამის გული წაუვიდა.

- მარიამ, ძალიან გთხოვ, სისულელე არ ჩაიდინო!

კიტიმ ხელი გაიშვირა მეგობრისკენ.

- რა იყო? განა ამას არ ნატრობდი მთელი ეს წლები? ეს არ გინდოდა? რაო? გელირსა ახლა. აგერ ბატონო, დატკბი!

უცებ ქალი წამოიშრია და სიგარეტის ბუდეს გადასწვდა შუშის მაგიდაზე, ვარდისფერი სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. რამდენიმე ბიგუდი ჩამოსცვენოდა და თმის მსხვილი კულულები სახეზე ეყარა. ახლაც კი, ამ საშინელ ვითარებაშიც, მშვენივრად გამოიყურებოდა.

- ძალიან დიდ უსიამოვნებას შეიქმნით ამით, საყვარელო. მართლა ძალიან დიდს. ამიტომ გირჩევ, გადადო ახლავე ეგ ტუტუცური დანა, მითხრა, რაც სათქმელი გაქვს, და მოუსვა აქედან. ჯერ არ განვრისხებულვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბედმა გაგიღიმათ, მაგრამ სულ მალე ასე აღარ იქნება.

- ვერ ხვდება, რა დასანანია! ალბათ, უფრო გარკვევით უნდა განვუმართოთ, მოდი აქ, კიტი, მოდი აქ!

მარიამმა ხელი დაუქნია კიტის.

დამფრთხალი კიტი ნაბიჯს ძლივს ადგამდა, თითქოს შიშმა სიარული დაავიწყა. მარიამმა მაჯაში წაავლო ხელი, თავისკენ მიიზიდა, ფათურით აუწია კაბა და იარები გამოუჩინა. შიშისგან დაფეთებულმა კიტიმ თავის დაცვა სცადა, მაგრამ მარიამს მაგრად ეჭირა კაბის კალთა და ისევ აუწია. ალა მხრების ჩეჩვით და სრულიად გულგრილად ადევნებდა თვალს კიტის გაშიშვლებას.

კიტიმ ისევ იგრძნო, როგორ მოაწვა გულისრევა. გვეთამაშება, ცხადია, თავიდანვე გვიცნო ორივე, სხვანაირად არც შეიძლებოდა, უბრალოდ გვეთამაშებაო, - გაუელვა კიტის. - ეს სავესე სხეული, ყველას დასანახად გამომზეურებული, მისი მკვეთრი წითელი ტუჩების მოზომილი

ჩაცინება, ეს ცივი სახე, ყველაფერი მისი თამაშის ნაწილია, რომლითაც ტკბება, ალბათ, ეს უცნაურ სიამოვნებას ანიჭებსო.

კიტი ზიზღმა მოიცვა. პატარა აფეთქებასავით დაუარა იარებს შორის. ზიზღი ერთბაშად სიძულვილმა შეცვალა. სიძულვილმა კი ყველა სხვა გრძნობა ჩაკლა, მისი შიშის კი ნაფლეთებად აქცია – მხოლოდ ეს ერთადერთი გრძნობაღა შერჩა.

- ახლა გახსენდება? გინათდება თანდათან გონება? – დაუყვირა მარიამმა, მაგრამ ქალი არ განძრეულა. სახის გამომეტყველება არ შეცვლია.

- აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა, საყვარელო, – თქვა მერე რუსულად და პირდაპირ იატაკზე დააფერფლა.

- სამაგიეროდ, ჩვენ გვახსოვხარ! თანაც ძალიან კარგად, ასე არ არის? შენი ბოზური ხელები კოსტიასთვისაც რომ არ წაგეტანებინა, შეიძლება ახლა აქ არც ვყოფილიყავით.

მარიამმა ფეხები დააბაკუნა.

კოსტიას სახელის ხსენებაზე წვრილი წარბები ელვის სისწრაფით შუბლზე აუფრინდა. ქალმა კვამლის რგოლი გამოუშვა პირიდან. აღარ ეცინებოდა, დაფიქრებული ჩანდა. ეტყობა, კოსტიას სახელი მის თამაშში არ ჯდებაოდა.

კიტიმ თავის აწითლებულ, გაოფლილ მეგობარს გადახედა, რომელიც, სიკვდილის ანგელოზისგან განსხვავებით, ისეთი უმწეო ჩანდა, ისეთი სუსტი, დახედა ჩაჩაჩულ წინდებს, საცოდავად რომ ეკიდა ფეხებზე, აკანკალებულ ხელებს, იგრძნო, რომ შუბლზე ოფლი მოადგა, რომ გული მისდიოდა, იგრძნო, რა სასაცილო და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და მიხვდა, რომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა: „და შენი ბოზური ხელები კოსტიასთვისაც რომ არ წაგეტანებინა, შეიძლება ახლა აქ არც ვყოფილიყავით“.

არაფერი არ უნდა ეთქვა ამ ქალის შესახებ მარიამისთვის, რომელსაც, როგორ ჩანს, ჯერ კიდევ ეგონა, რომ სწორედ ამ ქალმა, წინ რომ ეჭდა და ეწეოდა, წაართვა ქმარი, ქმარი, რომელიც ბედნიერებას ჰპირდებოდა, რომელსაც დიდი, შორეული ქვეყნის გემო დაჰკრავდა. მას არ ესმოდა, რომ ცდებოდა. არ ესმოდა, რომ ეს ქალი მხოლოდ მოვალეობის შემსრულებელი იყო, ერთ-ერთი იმ მრავალთაგან, რომელთაც კოსტია ელტვოდა. თვითონ კიტიც, გაშიშვლებული იარებით რომ იდგა იქ, მუქარის სიურრეალისტურ სურათში, სამართლიანობის მიღწევის სასაცილო მცდელობაში, კიტიც არანაკლებ ცდებოდა. ფატალური შეცდომა იყო იმის დაჯერება, რომ რამე შეიცვლებოდა, რომ ერთ უთქმელი დანაშაულის აღიარება რაღაც შვებას მოჰგვრიდა.

იმ ქალის შუშის ცისფერ თვალებში ნაიკითხა კიტიმ, რომ მისგან კმაყოფილების მსგავსს ვერაფერს ეღირსებოდა, რომ ის არასოდეს აღიარებდა თავის დანაშაულს დანაშაულად, რამდენჯერაც უნდა

დამუქრებოდნენ დანით. მას სწამდა თავისი ცხოვრების წესის, სწამდა ქმრის, რომელსაც ემსახურებოდა, სახელმწიფოსი, რომლის ნაწილიც თვითონ იყო, ვერც მარიამი და ვერც კიტი, ვერც ის სააშკარაობე გამოტანილი იარები და ვერც დანა შეცვლიდა ამას. ვისაც სინანულის უნარი აქვს, ვისაც თანაგრძობა შეუძლია, ვინც ერთი ადამიანის სიმართლეს სახელმწიფოს სიმართლეზე მაღლა აყენებს, ის სოფლის სკოლაში არ გაემგზავრებოდა, საკლასო ოთახს საოპერაციოდ, ექთანს მკვლელად და ორსულ გოგოს შვილმკვდარ დედად არ აქცევდა.

როგორც უნდა დასრულებულიყო ის საღამო, კიტი ყოველთვის იგრძნობდა ხელით მკვდარი შვილის სხეულს მიწაში ქვეშ, განუწყვეტლივ, ყოველდღე. მისი იარები ყოველი ხელის მოსმაზე ჯოჯოხეთს გაახსენებდნენ. კიტი მიხვდა, რომ ყველა შემთხვევაში უძლური იქნებოდა, მსხვერპლად დარჩებოდა. ასე იყო და ასე იქნებოდა მომავალშიც, იმიტომ რომ სოფლის სკოლაში გატარებულმა დღეებმა დაღი დაასვა. ამის შეგნება იმდენად მიუღებელი იყო მისთვის, იმდენად ამაზრბენი და საზიზღარი, რომ კიტიმ თავი გვერდზე მიაბრუნა, უკან დაიხია და ოთახის კუთხეში გული აერია.

- ეს რა უბედურებაა? - აღშფოთდა ქერა ქალი და წამოხტა.

მარიამმა დანა დაახვედრა, ცოტაც და აბრეშუმის პერანგი შეეხებოდა დანის წვერს. ქალი ისევ დაჯდა.

- აბა, როგორია? როგორია მასთან, კოსტიასთან? ძალღივით კუდში დასდევ, არა? გსიამოვნებს?

მარიამი ისევ პირად შურისძიებას აყენებდა ყველაფერზე წინ.

- რა ხდება? - ალას სახე მოელუშა. - მე შენ არ გიცნობ, არც ერთს არ გიცნობთ. ეს ყველაფერი უკვე ზღვარს გადასცდა. თანდათან ვკარგავ მოთმინებას და დამიჯერე, საყვარელო, კარგად იგრძნობ, რაც მოჰყვება მერე ამას.

- იარები არ გახსოვს, არც სისხლი, არც მოკლული ჩვილი?.. შეხედე ამ ხელებს, ამ ქალს საშო რომ ამოაჭრეს, ესეც არ გახსოვს? სამაგიეროდ, კოსტიას ხომ დაესაკუთრე, რა საოცარია!

კიტის უკვირდა, როგორ პოულობდა მარიამი სიტყვებს, როგორ აღვიძებდა მოგონებებს.

- შეწყვიტე, მარიამ, გთხოვ, რა აზრი აქვს... გთხოვ. ნავიდეთ აქედან. ცუდად ვარ.

კიტიმ პულოვერის სახელოთი პირი მოიწმინდა.

- ახლა ხარ ცუდად, არა? მაშინ როგორ იყავი, როცა ამან შენი შვილის მოკვლა მთხოვა? მაშინ არ იყავი ცუდად? ისე ცუდად, რომ სიკვდილი გინდოდა? არსადაც არ წავალთ, სანამ ეს ბოზი...

- საკმარისია. მოშორდით აქაურობას!

მაინც როგორი შეუდრეკელიაო, გაიფიქრა კიტიმ. რა კარგად ახერხებს სიმშვიდის შენარჩუნებასო.

მოსაღამოვდა. ოთახი ბინდში ჩაიძირა. სახეები ნელ-ნელა წაიშალა. მოგონებები პირველი თოვლივით ათოვდა ქალის ლამაზ შეუღებავ ქუთუთოებს, ძალიან მსუბუქად, გამჭვირვალედ, კიტი კი სიამოვნებით შეკრავდა თავის სიძულვილს გუნდად, აიღებდა ამ სიძულვილის გუნდას და მთელი ძალით გაუქანებდა ქალს სახეში. სიძულვილი სახეს დაუღუნავდა, სამუდამოდ დაუმახინჯებდა, ტკაცანით დაანვებოდა მხრებზე, დააჩოქებდა. კიტის მისთვის მკერდის გაჭრა მოუწევდა, ალბათ, მარიამი დაეხმარებოდა, სუფთა, ზუსტ ჭრილს გაუკეთებდა და გუნდა იქ გაუჩინარდებოდა, მძიმე, სისხლიანი გუნდა, კიტის სისხლი მხუილით შეიჭრებოდა მის ვენებში, იქ მის სისხლს შეერეოდა და მხამად გადაიქცეოდა...

- კიტი!

მარიამის ხმამ ფიქრებიდან გამოათრია. ქალი ამდგარიყო და მარიამს უახლოვდებოდა.

- გადადე ეგ დანა, თვითონაც არ გესმის, რას სჩადიხარ და ვისთან გაქვს საქმე, გადადე და მერე მოუსვით ჩემი სახლიდან, უკანასკნელ მანქანას გაძღვეთ, კმარა! თქვე გამოლენჩებულო, უტვინო ნაბიჭვრებო!

ჯერ კიდევ ნელი მოძრაობით მიიწევდა მარიამისკენ, რომელმაც ოდნავ უკან დაიხია, მაგრამ დანა მაგრად ეჭირა.

მიუხედავად სწრაფად ჩამოწოლილი სიბნელისა, კიტიმ ცრემლები შეამჩნია მეგობრის სახეზე. ნუთუ ამ უაზრო ბრძოლაში მუდამ წაგებულები უნდა დარჩენილიყვნენ?

- კიტი, რამე იღონე. რა ჯანდაბა გჭირს, რატომ არ მეხმარები?

მარიამმა ღრიალი მორთო.

- წასულია თქვენი საქმე, აღარ არის თქვენი საშველი! არ უნდა დამეტოვებინეთ ცოცხლები, მაშინვე უნდა გამეთავებინეთ, თქვე უმადურო სალახანებო, თქვე ნაძირლებო! - ალას ხმა სასტიკი იყო და შემზარავი.

მისმა სიტყვებმა კიტი გააშეშა, მარიამსაც მოუდუნდა წამით ხელი, რომელშიც დანა ეკავა. უეცრად დრო თითქოს გაჩერდა, დედამინამ ტრიალი შეწყვიტა, აზრები აირია. ქალმა ჯოჯოხეთიდან აღიარა, რომ ის ჯოჯოხეთი მართლა არსებობდა. მიახალა მათ, რომ იმ ჯოჯოხეთის მბრძანებელი იყო.

მაგრამ ამ არაადამიანურმა აღიარებამ კიტის კიდევ უფრო უმწეოდ აგრძნობინა თავი.

ახლა ალას სახეზე აშკარა მძულვარება გამოეხატა, ზიზღით უყურებდა ორივეს. კიტიმ ნაბიჯი გადადგა მარიამისკენ, რომელიც უკუსვლით მიიწევდა მისკენ.

- რას ფიქრობდით, თქვე საცოდავებო, რა უნდა მომხდარიყო აქ? გეგონათ, შემოხვიდოდით ასე უბრალოდ ჩემს სახლში, მაგ სასაცილო რაღაცით დამემუქრებოდით და მეც გული ამიჩუყდებოდა და ცრემლად

დავიღვრებოდი? გაგიგიათ საერთოდ, რა არის სასჯელი? იცით, რას ნიშნავს ტკივილი? კარგად არ გცოდნიათ და ალბათ მოვიდა დრო, რომ გაგაგებინოთ.

სიცხიანივით ულაპლაპებდა თვალები საღამოს ბინდში. ლამაზი სახე პირველად დაემანჭა. უკვე ძალიან ახლოს იყო მარიამთან.

- ახლოს არ მოხვიდე, არ გაბედო, მანდ გაჩერდი! - დაიყვირა მარიამმა და კიტიმ მისი შიში სხეულით შეიგრძნო.

ძალიან შორს შეტოპეს, ამ ოთახიდან გასვლას ასე იოლად ვეღარ შეძლებდნენ, როგორი აუტანელიც უნდა ყოფილიყო, უნდა გაეძლოთ.

ქერა ქალი უკვე მათ წინ იდგა, მის მოტკბო სუნს გრძნობდნენ, მის ტუჩის საცხს.

ახლა უკვე მარიამი იქცა დამკვირვებლად, თითქოს როლები გაცვალეს. მარიამმა გვერდზე გადადგა ნაბიჯი და მაგიდის პატარა ლამპა აანთო, სწორედ ამ დროს გაეხსნა მკერდი კიტის და დაიღრიალა. სხეულის სიღრმიდან აღმომხდარმა ღრიალმა აიყოლია, გაჰყვა ხმას და ქერა ქალს ეცა. მოულოდნელობისგან იმან თავის დაცვაც ვერ მოასწრო, დაეცა - და უცებ სისხლი გაჩნდა, ლარნაკის ნამსხვრევებში ჩავარდნილს, შიშველი სხეული დაესერა, დაიკვნესა, თუმცა ტკივილმაც არ დააკარგვინა წონასწორობა. კიტი მძიმედ სუნთქავდა. ალა წამოჭდა და დასერილი მუხლები, ხელები, იდაყვები დაითვალიერა. ერთი წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე წამოდგა, კიტის ყელში სწვდა, წაუჭირა თავისი თეთრი, მაგრამ სისხლიანი ხელები.

- თქვე ნაძირლებო, დამთავრებულია თქვენი საქმე, თქვენ...

კიტი ხელებზე მოეჭიდა და ცდილობდა მოემორებინა ყელიდან, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

მარიამი მივარდა, თან ლამპა გადმოაგდო, ისევ დაბნეულა. ალას ქერა თმაზე მოქაჩა, გაათრია კიტისგან, რომელიც ხველებით გახობდა გვერდზე.

- სიბრალეული არ უნდა გამომეჩინა. თქვენნაირი ადამიანები ამოსაძირკვია, თქვენ არაფერს სწავლობთ, თქვენ ჩვენს საზოგადოებას არაფერში არგიხართ, - დაიღმუვლა ქერა ქალმა და მუხლებზე ხელები მოიჭირა, საიდანაც უკვე ნიაღვარივით სდიოდა სისხლი. - გადახვევა მჭირდება, უნდა... აბაზანაში უნდა შევიდე, - დაამატა ლამის ვედრებით.

- არსადაც არ წახვალ. ამასაც დიდხანს სდიოდა მაშინ სისხლი.

გარკვევით ჩანდა, რომ ხელში დანა ეჭირა.

- რა გინდათ ჩემგან, თქვე უვარგისებო, რა გინდათ?!

პირველად გაისმა მის ხმაში რაღაც სასონარკვეთილების მსგავსი.

- კიდევ ვერ გაიგო, რა ვქნათ, კიტი, ავუსსნათ? დავეხმაროთ? კარგი, მოდი, ხომ არ დავუმაღავთ სიურპრისს? - მარიამი აშკარად ისევ გათამამდა, ისევ განმტკიცდა. - ეს და არის, კოსტიასი, გესმის ახლა? ისაა, ვისაც შენი ბრძანებით შვილი და საშო ამოკვეთეს. იმ კაცის და არის,

ვისაც ახლა უკან დასდევ, შე ძუკნავ, ვისთვისაც თმას იხვევ, ვისზე შემოჯდომაც გნადია!

- შეწყვიტე, შეწყვიტე, ძალიან გთხოვ, შეწყვიტე! - შევედრა კიტი და ყურებზე ხელი აიფარა. ქერა ქალს ნელ-ნელა მოენგრა სახე, სიბნელებში ძნელი გასარჩევი იყო, მიზლისგან თუ შიშისგან.

სწორედ იმნუთას, როცა ალამ გააზრება დაიწყო, თუ ვინ როგორ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული ამ საშინელ სპექტაკლში, სტასია თავისი დის ბალის კუთხეში ობლად მდგარ სარწვევლა სკამზე დაჯდა და პაპიროსს მოუკიდა. მაგრამ უცებ ისეთი რამ იხილა, რომ გაოცებისგან პირი დაალო, ანთებული სიგარეტი ხელიდან გაუვარდა, მთელი ძალით აეკრა სკამის ზურგს და უკან გადაქანდა.

იმიტომ, რომ პატარა ხის მაგიდასთან, სადაც ქრისტიანესა და კოსტიას უყვარდათ ჯდომა, სადაც დღის ბოლოს თვითონაც ხშირად დაუღევიან, დასთან ერთად, ალუბლის ლიქიორი, ახლა თევლა და სოფიო ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ. თევლას ბუმბულის ბოათი მორთული ვარდისფერი ხალათი ეცვა, სოფიოს კი - სმოკინგი. ისხდნენ იქ, თითქმის ხელშესახებად, ნამდვილები, ცოცხლები და ბანქოს თამაშობდნენ! სტასიამ რამდენჯერმე დაახამხამა თვალები, ალბათ, მელანდებო, მაგრამ ვერაფრით გააქრო ისინი. მაგიდასთან ისხდნენ და აუღელვებლად, გულისყურით განაგრძობდნენ თავიანთ თამაშს. სტასიას სუნთქვა შეეკრა.

ალამ კონტროლი დაკარგა. მისი შიში უკვე ამკარა გახდა. ხელის ერთი მოძრაობით დასწვდა მარიამს სახელოში, სახეში გაარტყა. ამასობაში ოთახში უკუნი დამე ჩამოწვა, კიტის ესმოდა რაღაც ხმები, ავეჯის გადაყრავება, წამოყვირება. კარგად ვერ ხვდებოდა, ვინ ვის ურტყამდა, მაგრამ ახლა ქერა ქალს ჰყავდა მარიამი ჩაბღუჯული. კიტი დაეტაკა, ორივე ხელით მოეჭიდა სხეულზე, მუშის მაგიდას მიენარცხა. მუშტი შეკრა და მთელი ძალით ჩაარტყა ზურგში.

კიტიმ დაინახა, როგორ გაუსრიალდა მარიამს ხელიდან დანა, დაინახა, როგორ გაიღვია დანის წვერმა, გაიგონა, როგორ დავარდა იატაკზე. ალა ელვის სისწრაფით მიტრიალდა, შეეშვა მარიამს, ბიგულები მოსძვრა თმიდან, ქერა თმა თვალებში მოხვდა კიტის და მერე მისი გრძელი ფრჩხილები იგრძნო სახეზე, იგრძნო, როგორ ჩაასო ბრჭყალები, მისი კანის მოტკბო სუნი ეცა კიტის ცხვირში და კინალამ ცუდად გახდა. ქერა ქალი მთელი ზედატანით შებრუნდა მისკენ და მუცელში ჩაარტყა მუშტი. ზუსტად იქ, სადაც ოდესღაც მისი შვილი შიშისგან ფართხალეობდა, თითქოს უკვე იცოდა, რომ დაბადება და სიკვდილი ერთი იყო.

კიტის სუნთქვა შეეკრა, დივანის სახელურს ჩაეჭიდა, რომ არ გადავარდნილიყო. ისევ მიიღო ძლიერი დარტყმა, ამჯერად ოდნავ მაღლა, დიაფრაგმაში, ამჯერად ფეხი მოარტყა ქალმა. კიტის სუნთქვა შეეკრა. მარიამი უკნიდან დაახტა ქალს და გააკავა, ცოტა ხნით ეს სცენა

ბავშვების ზღვარგადასულ თამაშს დაემსგავსა, ერთმანეთს რომ აბზრიალებენ მთელ ოთახში, იმპროვიზებულ კარუსელს. ბოლოს ერთი ბავშვი მუხლებზე დაეცა, იმიტომ რომ მეორემ დანა მიადო ყელზე. მესამე ბავშვი კი ხედავდა, რომ ბასრი პირი სულ უფრო მაგრად აწვებოდა ნაბ ყელს. მაგრამ უცებ ალამ მკვეთრად მოაბრუნა თავი, მკლავი გაიშვირა, აკრობატულ ნომერს ჰგავდა, იმდენად მოქნილი იყო მოძრაობა, და შუა და საჩვენებელი თითები სთხარა მარიამს თვალებში, სისხლმა იჩქედა, ზაფხულის წვიმასავით წასკდა, რკინის სუნი დადგა, ნელთბილი, მძიმე წვეთები კიტის შეესხა სახეზე, ყელზე, მკერდზე.

მერე ალა თითქოს შენელებულად დაეცა, ხროტინით, მარიამს სისხლიანი დანა გაუსრიალდა ხელიდან და ხმაურით დაეცა იატაკზე. ამას განწირული ყვირილი მოჰყვა, ოღონდ კიტიმ ვერ გაიგო, მარიამმა იყვირა თუ სიკვდილის ანგელოზმა. მერე კი სიჩუმე. აღარაფერი იძროდა. კიტიმ რკინის გემო იგრძნო ენაზე, ისევ შეიკავა გულისრევა. გაიგონა, როგორ წარმოთქვა მარიამმა ჩუმად:

- Arteria carotis communis... ცოტა ხნის წინ გავიარეთ.
ოღონდ მისი ხმა თითქოს შორეული პლანეტიდან ჩაესმა კიტის.

* * *

ვარ მიმწყვდეული, როგორც ნადირი...
თავისუფლება სულზე ტკბილია...
ირგვლივ მდევნელთა მესმის ქადილი
და გასაქცევიც ჩახერგილია.
პასტერნაკი

მოგვიანებით, ალას სიკვდილის დროდ დადგინდა 1947 წლის 2 ნოემბრის საღამოს ათ საათსა და შუალამის თორმეტს შორის შუალედი. სიკვდილის მიზეზად ყელის არტერიის, Arteria carotis communis, გადაჭრა დასახელდა. ოღონდ გარდაცვალების მოწმობაში არ იყო აღნიშნული, რომ ის ღვთისმოშიში ქალწულის ხელით მოკვდა. ქალწულის, რომელიც მალე საზღვაო ოფიცერს უნდა გაჰყოლოდა ცოლად, სამედიცინო ინსტიტუტი დაემთავრებინა და რომელიმე პოლიკლინიკაში ან, თუ გაუმართლებდა, მუნიციპალურ საავადმყოფოში ემუშავა; რომელსაც შვილების გაჩენა უნდოდა, მათი აღზრდა, ალერსი და განებივრება ეწადა და ქმართან ერთად ყირიმული შამპანურის დაგემოვნება.

მარიამმა თავიდან უარი თქვა სახლიდან გასვლაზე, ხელებიდან სისხლის ჩამოხანაზე, არ უნდოდა გაპარვა, დაშვებაც არ უნდოდა, რომ ეს შეიძლებოდა უბედური შემთხვევა ან გამოუვალი მდგომარეობა მაინც ყოფილიყო, იქნებ ის დანა არც გამოეყენებინა, ალას რომ თითები არ ეთხარა მისთვის თვალებში. სისხლით მოსვრილი, ნახევრად გულწასული

კიტი მოკლულის საძინებელ ოთახში გავიდა, სუფთა ტანსაცმელი მოძებნა, ხელჩანთაში ჩატენა თავისი ტანსაცმელი და სახლიდან გავიდა.

- მიხვალ კოსტიასთან და ეტყვი, რაც მოხდა, ყველაფერი უთხარი, ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს, შენი ამბავიც მოუყევი და ჩემიც, მე აქ დავრჩები. მერე მილიცია მოიყვანოს. აქედან ფეხს არ მოვიცვლი, დაველოდები, - უთხრა მარიამმა.

...კოსტია დას არ უყურებდა, საქციელნამხდარი უმეორებდა ერთსა და იმავე შევითხვებს. გამთენიისას, ამომავალი მზის სხივებში, ნახევრად მძინარე, თავის სანოლზე მჯდომი. კიტი დაბეჭირებული ურითმო ლექსივით იმეორებდა: სახლი მთანმინდაზე. ქალი, მარიამი. ლომის თავით დაკაკუნება კარზე. ყვირილი. ბრძოლა. დანა. მარიამი. სისხლი.

- მილიციას უნდა შეატყობინო, კოსტია. მარიამი ჯერაც იქ არის. მე ჩვენებას მივცემ, ყველაფერს ვეტყვი, რასაც მკითხავენ. უბრალოდ, ახლა უნდა დავიძინო, - კიტი ფეხზე ვეღარ იდგა, იატაკზე ჩასრიალდა, თავი მიარტყა სანოლის კიდეს და შუბლზე კანი გადაუსკდა. არ განძრეულა, თავჩაქინდრული ცალი ხელით მაგრად ებღაუჭებოდა ლეიბს.

- ყველაფერს გავაკეთებ, რათა განანო, ცოცხალი რომ ხარ! - თქვა უცებ კოსტიამ და ძალით წამოაყენა კიტი. რამდენჯერმე ჩაიკეცა, მაგრამ კოსტიამ გაასწორა და თვალებში ჩახედა.

- ახლა იმას გააკეთებ, რასაც გეტყვი! ზუსტად რასაც გეტყვი. გაიგე? კიტიმ მექანიკურად დაუქნია თავი.

კოსტიამ კედელს მუშტები დაუშინა, აქეთ-იქით აწყდებოდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, გამოსავალს ეძებდა. სასონარკვეთილი იყო, ეშინოდა. საბანში სახით ჩამხობილმა კიტიმ მოყოლა დაიწყო, სრულიად უგრძნობად, რეზინად ქცეული კიდურებით და დაბრმავებული თვალებით, ილაპარაკა თავის მუცელში მყოფ ბავშვზე, საკლასო ოთახსა და შიმველ კედლებზე, დაუსრულებელ დაკითხვებზე, თავის შიშზე, ლამაზი ქერა ქალის ცივ სიტყვებსა და უწყინარ მხერაზე, სალტეებსა და წამებებზე, მარიამსა და მის რბილ ხელებზე, შპრიცსა და აბორტზე, საშობზე, რომელიც მარიამმა ამოჰკვეთა, ბედელში გატარებულ ცოცხალმკვდარ დღეებზე, ბუზების ბზუილზე, პატარა სხეულზე მინაში, ხელით რომ იგრძნო.

კოსტია გაშეშებული იდგა კედელთან, გაფართოებული თვალებით უმზერდა, იგრძნობოდა, რომ არც შეეძლო და არც უნდოდა, რამე საერთო ჰქონოდა ამ ყველაფერთან, არ იცოდა, როგორ უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება.

ეს რომ არ ეამბნა მისთვის კიტის, ალბათ, ნამდვილად არ მიიღებდა იმ გადანყვებილებას... და როგორც ხშირად ჩვენს ამბავში, მაშინ ყველაფერი სხვანაირად მოხდებოდა, ბრილვა - არც შენ ჩაჯდებოდი ვენაში შიშვალ მატარებელში (ასეა, ყველაფერი იმ დღიდან იწყება, ის არის ათვლის წერტილი, ბრილვა!).

- ის იქ არ ყოფილა. არ ყოფილა იქ. მარიამმა თვითონ თქვა, მისი ჩვენება ამას დაადასტურებს.

- კი მაგრამ...

- მაცადეთ, თვითონ მივხედავ. თქვენ არ დაგებარებენ. არ დავეშვებ, კიდევ უფრო დიდ შარში გავყოთ თავი, არ დავეშვებ, რომ ამ უბედურებას გადავყვით, მართო იმიტომ, რომ კიტის ის მოღალატე უყვარდა, იმას მოვკლავ.

- კი მაგრამ, ანდრომ რა დააშავა?

- რა დააშავა, დედა? უბრალოდ, გაჩუმდი. დანყნარდით ორივენი, არაფრის გაგონება აღარ მინდა.

- კი მაგრამ, ის სულ იმას ამბობს, ჩვენება უნდა მივცეო. ამ დილით ჩაი რომ მივეტანე...

- ვის რაში აინტერესებს, იმას რა უნდა? ხმასაც არ ამოიღებს და ამაზე თქვენ იზრუნებთ. მორჩა. მარიამი აიყოლია და დანაც ინსტიტუტის ბუფეტიდან თვითონ წაიღო.

- კი მაგრამ, კოსტია... მტკიცებულებები ხომ არსებობს, რომ კიტი იმყოფებოდა იმ სახლში, მტკიცებულებები, რომ მარიამი მართო არ იყო იმ, ჰმ, დანაშაულის ადგილზე?

- აღარ იარსებებს, უკვე აღარ არსებობს. შეწყვიტეთ ზედმეტი კითხვები... მის გამო ყველა არ უნდა დავიღუპოთ. არავითარი მტკიცებულება. მორჩა და გათავდა.

კიტი ვერ ხვდებოდა, რას უჩიჩინებდა კოსტია ასე ხმამაღლა, კატეგორიული და მოურიდებელი კილოთი მუქარასაც არ უკლებდა ხან დედას და ხანაც დეიდას. მის სახელს კი ახსენებდნენ წამდაუნუმ, მაგრამ თვითონ ვერ გაეგო, რა შუაში იყო, ვერ გრძნობდა, რა კავშირი ჰქონდა ამ ყველაფერს მასთან. მერე და მერე, როცა ქრისტინე ან სტასია შედიოდნენ მასთან ოთახში და ემუდარებოდნენ რამე ეჭამა, სულ ცდილობდა მათგან მაინც შეეტყო, როდის წაიყვანდნენ დასაკითხად, მაგრამ ისინი პასუხს თავს არიდებდნენ. დამშვიდდიო, ეუბნებოდნენ, დაიძინე, არ გინდა შეკითხვებიო.

კიტი დარწმუნებული იყო, რომ სასჯელი ელოდა, თანაც მალე, ძალიან მალე. იქნებ კოსტიას გადავადება მოეხერხებინა დისთვის, მაგრამ როდისმე მაინც დაისჯებოდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რას იტყოდა მარიამი, რის მტკიცებას შეეცდებოდა, მაინც მიუკაკუნებდნენ კარზე, ეს უეჭველი იყო, სხვანაირად არაფერი იქნებოდა. ესმოდა, როგორ გადიოდა სახლიდან კოსტია და ბრუნდებოდა, თანაც დღეში რამდენჯერმე, როგორ მღელვარედ ეგებებოდნენ სტასია და ქრისტინე და ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ რაღაცას. მაგრამ სხვა არავინ მოდიოდა.

არავითარი უცხო, არავითარი მილიცია. ყოველ დილით ფიქრობდა კიტი, ახლა კი გადაწყდებოდა, დღეს კი ნამდვილად, მაგრამ ისევ და ისევ ცდებოდა.

- დღეს მოვინახულე. დალაპარაკების უფლება მომცეს. კარგად ექცევიან. მაგრამ გადაყვანა მოუწევთ, ქალაქში განაჩენის გამოტანამდე ვერ დატოვებენ, ეს შეიძლება კიდევ გახანგრძლივდეს. ყველაფერში დამეთანხმა. მეც ასე ვფიქრობო. ჩვენც ამ ჩვენებს მივცემთ, თუ დაგვიბარებენო.

კიტის სამზარეულოდან ესმოდა ძმის მბრძანებლური ხმა. ამას წინათ, გამთენიისას ჩაბარებული აღსარების მერე პირველად წამოდგა მასთან დასალაპარაკებლად. იატაკზე ფეხი შეიმავრა და ოთახიდან გაბარბაცდა. კიბეს ჩაუყვა. დერეფანი უსასრულო მოეჩვენა, როგორც იქნა, სამზარეულომდე მიაღწია, მთელი ოჯახი მაგიდასთან შეკრებილიყო. ერთდროულად მოიხედეს მისკენ დაზაფრულებმა, თითქოს მოჩვენება ყოფილიყოს.

- ადი ისევ ზევით! - უბრძანა კოსტიამ.

- რამე გინდა? - ჰკითხა ქრისტინემ. თვალეზრისიერი სტასია ჩუმად იცდა.

- შენ არ გაქვს ამის უფლება. მე ვიყავი იქ. მეც ისეთივე დამნაშავე ვარ. ვიცი, რასაც ითხოვ მარიამისგან, სასტიკად იქცევი... მეც უნდა ვაგო პასუხი. შეწყვიტე გამუდმებით მოსკოვში რეკვა, არ მჭირდება შენი დაცვა. იმათ ხომ მტკიცებულებები აქვთ, რომ მე იქ ვიყავი. ხომ ყველამ იცის, რომ მარიამი მართო ვერ ჩაიდენდა ამას.

კიტი ჩუმად ლაპარაკობდა, მაგრამ მკვეთრად გამოხატავდა თითოეულ სიტყვას.

- გითხარი, შენი ხმა არ გავიგო და მაცადე-მეთქი. ამ სულელური არგუმენტების მოსმენა აღარ მსურს. ეს მართო შენს მომავალს კი არა, მთელ ოჯახს ეხება. შენ ჩაგვიტორიე ყველანი ამ კატასტროფაში. ახლა ამის შედეგი უნდა მოიმკა, - კოსტიამ ზიზღით გახედა.

- მაგრამ შენი მცდელობა უღირსი ქმედებაა, უსამართლოდ იქცევი! მეც უნდა ვზლო, ჩემი დანაშაულის გამო მე ეს მიწა. მეტი კი არაფერი.

- რას იზამ, ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც გინდა და რისი იმედიც გაქვს. ასე არ არის?!

- ნუ ხარ ასეთი უღმობელი. გული რამ გაგიქვავა? ცოლად მოგყვებოდა. ასე უსინდისოდ როგორ წირავ? როგორ თხზავ ასეთ სიცრუეს? შენ რას მოიგებ, მე თუ დაუსჯელი დავრჩი? თქვენ რატომ არ იღებთ ხმას, რატომ სხედხართ ჩუმად და არ ამბობთ, რასაც ფიქრობთ?

კიტიმ სცადა თვალეზრისი ჩაეხედა დედისა და დეიდისთვის, მაგრამ იმათ თვალი აარიდეს.

- კიტი, ადი ზევით. მოთმინება არ დამაკარგვინო. მე ვცდილობ, რაც შემიძლია. ვცდილობ, ოჯახის ღირსების ნარჩენები მაინც გადავარჩინო.

- და ამიტომ იმეტებ ციხისთვის ქალს, რომელსაც უყვარხარ?

- ქალები, რომელთაც ვუყვარვარ, მკვლევლები არ არიან. არაფერი დამიძალბებია მარიამისთვის. თავიდანვე აღიარა, რომ მარტო ჩაიღინა და რატომაც ჩაიღინა.

- ამას იმიტომ ამბობს, რომ ჰგონია, ამით შენ გეხმარება. შენთვის აკეთებს ამას, შე უსულგულო...

კიტის ხმამ უმტყუნა, სამზარეულოს კედელს მიეყრდნო და სახე ცივ ფილებს მიადო.

- მან მოკლა. მთავარი ეს არის. შენ კი უამბე მის შესახებ. შენ მიაგზავნე. ახლა მოგწონს თუ არ მოგწონს, ეს ტვირთი უნდა ზიდო, დაიკო!

- კოსტია, გვედრები! - ქრისტინემ დააპირა მხარზე ხელი მოეხვია, მაგრამ გაკერპებულმა უკან გაიწია.

- ჰოდა, მომეცი ამის საშუალება, ხელს ნუ მიშლი, რომ ამ ტვირთით ვიცხოვრო! მე უნდა წავიდე იქ. დედა, ხმა ამოიღე, შენ ხომ ფიქრობ, რომ ეს არასწორია, ასე არ უნდა მოვიქცეთ, მე არ შემიძლია აქ წყნარად ვიჯდე, როცა მარიამი... დედა, გთხოვ!

კიტი ასლუკუნდა. მთელი სხეულით ცახცახებდა. ფრჩხილებით კანწავდა ფილებს.

- შენ ყველა ჩაგვითრიე და ამის შეგნებით ცხოვრებაც გეყოფა სასჯელად, დამიჭერე! - დაიდრიალა კოსტიამ და ხელისგული დაარტყა მაგიდას.

- შენი დაპატიმრებით არაფერი შეიცვლება, სრულიად არაფერი. უარესი იქნება. ჩვენთვის, ყველასთვის, - ამოთქვა სტასიამ ნაღვლიანად.

- შენ არაფრის აზრზე არ ხარ! არ კი იცი, რა მოხდა და რა ხდება. შენ მაშინ ხომ შენი საოცარი შვილის გადასარჩენად იყავი წასული! - დაყვედრებით შესძახა კიტიმ და ცრემლი შეიმშრალა. - როგორ შეგიძლია, ასე გამწირო? - გამომცდელად დაეკითხა ძმას, სანამ სამზარეულოდან გავიდოდა.

- მაშინ აღექი და წადი, მიდი პირველივე მილიციის განყოფილებაში და აღიარე, რაც ჩაიღინე! აღიარე, რამდენი ადამიანის ცხოვრება დაანგრე! აღიარე, გაბედე! - მიაძახა კოსტიამ და თვითონაც დატოვა იქაურობა.

ქრისტინემ მაგიდაზე დადო თავი და ამოიოხრა. სტასია შუა ოთახში იდგა მავედრებელივით, ბევით აწვდილი და ამოტრიალებული ხელისგულებით, თითქოს ჭერის ახდას ლამობდა ანგელოზის სახილველად, შურისმაძიებელი ან მხსნელი ანგელოზის.

- რაღაც მნიშვნელოვანი თანამდებობა შესთავაზეს, სტასია. წერილები ვნახე მის ოთახში, კამოდზე. ყველა მბმ-ის ბეჭედდასმული. ბოლო შეტყობინებას რომ დახედა, ხტუნვა დაიწყო სიხარულით, აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ...

ქრისტინეს თავი არ აუწევია მაგიდიდან, ისე ლაპარაკობდა.

- რომ რა?

- თვითონ იფიქრე.

- რისი თქმა გინდა? ვერ ვხვდები...

სტასია ბინდიან ფიქრებს გამოეცალა და მაგიდასთან მიუჯდა დას.

რომელ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს იმდენი ძალაუფლება, რომ არ დაისაჯოს დამნაშავე, რომელიც HKBD-ის თანამშრომლის მკვლელობის თანამონაწილეა?

ქრისტინემ ნელა წამოსწია თავი და თვალი თვალში გაუყარა დას. სტასიამ ისე შეჭმუხნა წარბები, თითქოს მეხი უნდა დასცემოდა.

- შეუძლებელია. კოსტია მეზღვაურია. ფლოტის კაცია, ზღვა უყვარს. ის არასდროს...

- მათთვის მუშაობა სხვადასხვანაირადა შესაძლებელი, ეს ჩემზე უკეთ იცი.

- ეს წარმოდგენელია, ყოვლად შეუძლებელია!

- ამგვარად რომ არ ყოფილიყო, კიტიც კარგა ხანია იქ იქნებოდა, სადაც არის მარიამი. ასე რომ, ამ შემთხვევაში, როგორც იციან თქმა, ზოგი ჭირი მარგებელია.

- მარგებელი ჭირი?!

სტასია დაუნანებლად გააწნა სილას თავის დას.

- ჰო, სწორედ ასე უნდა იყოს და შენ რას უფრო შეეგუებოდი, კიტი რომ მთელი ცხოვრება ციხეში იჯდეს ან შრომით კოლონიაში ჩაკლან, თუ იმას, რომ კოსტიამ HKBD-ზე იმუშაოს?

ალას სიკვდილამდე ზუსტად სამი კვირით ადრე, კოსტია ჯაში, გიორგი ალანიას თავდაუზოგავი შუამდგომლობით, ყოვლისშემძლე „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი“, HKBD-ში, მიიღეს თანამშრომლად.

ალას სკანდალურმა სიკვდილმა, რომელიც „ეჭვიანობის საშინელ დრამად“ ჩაინერა თბილისის სალონებისა და მართლმსაჯულების ისტორიაში, ხალხს კარგა ხანს არ გამოლია სალაპარაკო.

ყველა საბუთი, რომლებიც კიტი ჯაშის თანამონაწილეობის მტკიცებულებად გამოდგებოდა, გამოძიების პირველივე დღეებში განადგურდა. მართალია, ხმები თუ ჭორები მოეფინა ქალაქს, მაგრამ ოფიციალურად მისი სახელი ამ პროცესთან არ დაუკავშირებიათ.

შეიცვლებოდა რაშე, კიტის ჩვენება რომ მიეცა და ელიარებინა, თანამონაწილე ვარ ამ მკვლელობისო?! ვის იხსნიდა ამით? ვის უფრო დაუჯერებდნენ? კიტის თუ მისი ძმის გავლენიან მეგობრებს? ბოლოს და ბოლოს, კიტი შეეჩვია იმ აზრს, რომ მისი სიმართლე შეიძლებოდა მარიამის სიმართლისგან განსხვავებული ყოფილიყო. დაიჯერა, რომ დანა არ გამოუყენებია, სახლიდან არ გაქცეულა, ამის ძალა არ ეყოფოდა - შეეგუა იმას, რასაც დაჟინებით კარნახობდნენ, რომ მკვლეელი არ იყო.

ნოემბერში მარიამი სვერდლოვსკში გადაასახლეს, ქალთა ბანაკში.

კოსტია ბალტიისპირეთში გაინვიეს, კალინინგრადთან, სადაც ბალტიის ზღვის საბჭოთა ფლოტის მთავარი[2] პორტი მდებარეობდა, რომელიც ძირითადად სამხედრო დანიშნულების ტვირთის გადაზიდვაზე იყო პასუხისმგებელი. იქ იდგა საბჭოთა კავშირის საბრძოლო და აგრეთვე საექსპორტო სატვირთო გემების დიდი ნაწილი. კაპიტნად დაწინაურებულ კოსტიას ჩრდილოეთის ზღვაში წყალქვეშა ნავების ქსელის გაფართოებასა და გაძლიერება-განმტკიცებაზე – ატომური წყალქვეშა ნავების ფლოტის შექმნაზე – უნდა ეზრუნა.

ბალტიის ზღვას რადგან უმთავრესად ახლად შექმნილი NATO აკონტროლებდა და შესაბამისად, საბჭოთა კავშირს ატლანტის ოკეანეში გასასვლელი ჩაეკეტა, მთელი ყურადღება ჩრდილოეთის ზღვა დაეთმო.

სამსახურის დაწყებამდე კოსტია ჯაშმა გულის ფანცქალით მოაწერა ხელი დოკუმენტს თავისი პასუხისმგებლობის სფეროსა და მასთან დაკავშირებული კვლევებიდან გამომდინარე შედეგების საიდუმლოდ შენახვის თაობაზე. ახალ წელს სახლში რომ გაემგზავრა, სრულიად შეცვლილი იყო, ბედნიერი, ლაღი, სულ ხალისიან განწყობაზე. ისევ ტკბებოდა შინაურ გარემოში, ნაირ-ნაირ ვერძებს უმზადებდნენ, და მეტწილად, განდობილად ესაუბრებოდა ქრისტიანს. ფოლადისებრი სხეული, გამომწევილი გულ-მკერდი, გაშლილი მხრები, გამართული სიარული, ყველაფერი მის თვითკმაყოფილებაზე მიუთითებდა, თავდაჯერებულ სიამაყესთან ერთად.

მით უფრო საცოდავი და დათრგუნვილი ჩანდა ძმის გვერდით კიტი. როცა იცინოდა, პირთან ისეთი ღრმა ნაოჭები უჩნდებოდა, თითქოს სიცილი ძალიან უჭირდა. სწავლა კი განაგრძო, მაგრამ თვალეუბში სიხარულის სხივი ჩაუქრა, ხოლო კუთხეში ადგილმჩინილი გიტარა საერთოდ მიავიწყდა. ხმა სუსტი და გაუბედავი გაუხდა. ერთ დროს მკვირცხლი სიარული, მსუბუქი, მოქნილი მოძრაობა რალაცნაირმა სიმძიმემ, სიზანტემ შეუცვალა, რაც მის ასაკს სულ არ შეესაბამებოდა.

კიტის და კოსტიას თითქოს საერთო აღარაფერი დარჩენოდათ. საუბრისა და ვახშმის დროს უბრად ილუკმებოდნენ, ზედაც არ უყურებდნენ ერთმანეთს, თითქოს დაფიცებული ჰქონდათ უერთმანეთობა ჯიუტად დაეცვათ.

მხოლოდ გამგზავრების წინა საღამოს მიმართა კოსტიამ დას, ვახშმის მერე ჩემს ოთახში შემოდით. როცა კიტი შევიდა, ძმა საუთოო მაგიდაზე გადახრილი დახვდა, თავის უნიფორმას აუთოებდა, რომელსაც არც სტასიას ანდობდა და არც ქრისტიანს. კიტიმ აღელვებით შეახო ხელი ფარდებს, გაასწორა, უხერხული ვითარებიდან სცადა გამოსვლა. მიშობდა, რომ დალაპარაკებას ვერც ამჯერად შეძლებდნენ, ამიტომ ისევ ოთახს მოავლო თვალი, ეგებ კიდევ შევნიშნო რამე მოსაწესრიგებელი.

– შემატყობინეს, რომ შენი საქართველოში დარჩენა სახიფათოა, – დაიწყო კოსტიამ და საგულდაგულოდ გაუსვა უთო შარვალს.

- მაინც რა განგიზრახავს?

- ხომ იცი, სამუდამოდ არავინ რჩება თანამდებობაზე. ძველები მიდიან, ახლები მოდიან, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ვინმე კარიერის მაძიებელმა უცებ თავიდან გადმოიღოს მარიამის საბუთები და ამოქექოს ის, რაც სულ სხვა დასკვნამდე მიიყვანს. პროცესი შეიძლება თავიდან აგორდეს.

- ანუ რისი თქმა გინდა ამით?

- რომ მუდამ ვერ დაგაფარებ ხელს. თანაც, საკუთარ თავსაც ჩავიგდებ საფრთხეში, და თუ ასე გავაგრძელებ, არამართო საკუთარ თავს. ახლა ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობა მანდეს.

- ჰო, ყველამ შევითყვეთ. გილოცავ!

- ეგ სარკაზმი შენთვის შეინახე. ვცდილობ, დაგეხმარო.

- გმადლობ, შენ უკვე დამეხმარე.

- ადრე უმაღური მაინც არ იყავი.

- ასეა, დრო იცვლება, სხვათა შორის, ადამიანებიც. მარიამს მივწერე, ბევრჯერ, მაგრამ ერთხელაც არ მომსვლია პასუხი. სავარაუდოდ, მინერ-მონერა აკრძალული აქვს, - კიტიმ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და ფანჯრის რაფაზე შემოსკუპდა.

- მარიამზე სალაპარაკოდ არ დამიძახიხარ. შენს მომავალს მინდა ხიფათი ავარიდო, კიტი.

- ნუთუ კიდევ მაქვს მომავალი? არც კი ვიცოდი.

- ეს სახუმარო ამბავი არაა, მორჩი!

პირველად ააცილა თვალი საუთოს და კიტის გახედა.

- გიყურებ და ვერ მივმხვდარვარ, ვინ დგას ჩემ წინ. მე შენ არ გიცნობ. არ ვიცი, ვინ ხარ, - თქვა ფიქრებში წასულმა კიტიმ, თითქოს ძმის მხარში დგომა ვერც კი აღიქვა.

- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთად ვიპოვოთ გამოსავალი.

- ერთად? როდის აქეთაა ერთი საბრუნავი რომ გვაქვს?

- როგორც ყოველთვის, ამაზრზენად იქცევი.

- მართლა? რა უნდა ვქნა, შენი აზრით? გავიპარო? ტყეში გავიდე თუ გავუჩინარდე?

- აბა, სხვას რას ელოდებოდი, როცა დეზერტირებთან და მოლალატეებთან ამყარებდი კავშირს.

- მეზიზღები.

- კარგი, როგორმე გადავიტან. მომისმინე, კიდევ ერთხელ დაგეხმარები, უკანასკნელად, მერე კი მინდა, რომ ჩემი ცხოვრებიდან გაქრე.

- ამას შენის დაუხმარებლადაც სიამოვნებით ვიზამ, კოსტია.

კოსტიამ ფრთხილად გადადო უთო, გაასწორა შარვლის ტოტები და დისკენ ნაბიჯი გადადგა. მერე ხმას დაუნია:

- როგორც მახსოვს, კონცერტის ჩატარებას გთავაზობდნენ. ისევ გთხოვენ საღამო გამართო და ამ შემთავაზებაზე შენ უარი არ უნდა თქვა. ამას მოჰყვება მინვევა ტურნეზე, შეიძლება კავშირის ფარგლებში, შეიძლება რომელიმე მოძმე სახელმწიფოში. ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპაში. მაგალითად, პრალაში. მერე იქ დარჩები. საბუთებზე იზრუნებენ. მოგხედავენ. შემდგომ მითითებებს იქვე მიიღებ და როგორც კი შესაძლებელი იქნება, პრალიდან დასავლეთის მიმართულებით გაემგზავრები. ზუსტი დანიშნულების ადგილი ჯერ არ ვიცი. შენ არასდროს დამიკავშირდები. თვითონ გიპოვი, თუ საჭირო იქნება. მაგრამ ერთი ჩემი მეგობარი მოგხედავს.

კიტი ფანჯრის რაფიდან დაეშვა და ძმას მიუახლოვდა. ოდეკოლონის მძაფრი სუნი იგრძნო, შეისუნთქა, ხელი გაიწოდა, რომ მის სახეს შეხებოდა.

- რაზე ლაპარაკობ? - დაიჩურჩულა.

- სხვა გზა არ არსებობს. დამიჯერე.

- და უარი რომ ვთქვა, რა მოხდება?

- ხომ არ მოინდომებ, რომ შენი მეგობარი ანდრო საფრთხეში ჩააგდო?

- რა შუაშია ანდრო? ამასთან რა კავშირშია?

- მართალია, შეინყალეს, მაგრამ ჯერ კიდევ ქვეყნის მოღალატეა.

- კოსტია!

- არჩევანი არ გაქვს. შენ ხომ გინდოდა სასჯელი, ჰოდა, მიიღე.

წამით ორივე გაჩუმდა. კიტიმ ფრთხილად შეახო ხელი ლოყაზე. უნდოდა შეეგრძნო, უნდოდა გაეგო, როგორი იყო. კოსტიას აშკარად არ ესიამოვნა, მაგრამ არც შეწინააღმდეგებია.

- კი მაგრამ, კოსტია, სად უნდა წავიდე? იქ რა მინდა? - იკითხა სასონარკვეთილი ხმით.

- თქვენ ხომ ორივეს გაბოდებდათ დასავლეთზე, ვენასა და პარიზზე ხომ ოცნებობდით?

- მაგრამ ეს თქვენ აღარ არსებობს.

- შენ ხომ არსებობ.

- არ მჯერა, არ მჯერა, რომ ამას აუცილებლად მიიჩნევ, - შეშინებულმა გასწია ხელი, თითქოს მის დაფარულ ბუნებას განერიდა.

- შენ უბიძგე ჩემს საცოლეს, რომ მკვლელობა ჩაედინა, შენ, კიტი. და არა მე.

- საცოლეს, რომელსაც უსუსური ჩვილის მკვლელთან დალატობდი.

- დალატი, მგონი, ნაკლები დანაშაულია, ვიდრე მკვლელობა, შენ ასე არ ფიქრობ?

კიტიმ დიდხანს უყურა იმის იმედით ძმას, რომ მასში ისევ ახლობელს აღმოაჩენდა, იმდენ ხანს უყურა, სანამ საბოლოოდ არ დარწმუნდა, რომ ველარაფერს დაინახავდა.

სიკვდილით დასჯა 1947 წელს გააუქმეს საბჭოთა კავშირში. 1950 წელს ისევ შემოიღეს, თითქოს ხელისუფალთ საკუთარი ნაადრევი გადაწყვეტილების შეეშინდათ და საჩქაროდ დააბრუნეს უკან. მარიამი ერთ-ერთი პირველი ემსხვერპლა ამ ხელახლა მიღებულ კანონს. მის ოჯახს, როგორც ეს სამშობლოს მოღალატეთა, დემბერტირებისა და მძიმე დამნაშავეების დახვრეტის შემთხვევაში ხდებოდა, კეთაში ნასროლი ტყვიის ანგარიში გაუგზავნეს.

* * *

ილუზია დაიმსხვრა და ხალხი ატომებად დაიშალა.
სახაროვი

ანდრო ერისთავმა თბილისთან ახლოს, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. რაკი ჩაწერის უფლებას არ აძლევდნენ, ყოველთვე იცვლიდა ნაქირავებ ოთახებს, სანამ ბოლოს ისევ ქრისტინეს სახლში არ აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცედ გადაეწყვიტა, იქ აღარ დაბრუნებულიყო, მაგრამ სხვა გზა აღარ დარჩა.

დილაადრიანად გადიოდა შინიდან და გვიან საღამოს ბრუნდებოდა. ხოლო როცა კვირა დღეს თავის ოთახში გამოიკეტებოდა სახურავის ქვეშ, შეუმჩნევლად, უხმოდ. მორიდებულად სადილობდა მასპინძლებთან და თავაზიანად იხდიდა მადლობას სუფრიდან ადგომისას, კარგად აღზრდილი ბავშვივით. მხოლოდ ქრისტინეს ლიქიორებსა და ქარხნის თანამშრომლების მიერ შინნახად და გასაყიდად გამოტანილ ჭაჭას სვამდა უხმოდ. არასდროს ჩაერთვებოდა ოჯახურ საუბარში და თუ ქრისტინე ან სტასიას გამოიწვევდნენ ბაღში, პატარა ხის ფიგურებს თლიდა; მაგრამ უკვე ანგელოზებს კი არა, უცნაურ არსებებს, უზარმაზართავიანებს და დიდმუცლიანებს, რომელთა ბუხარზე ან თაროზე დადგმა აღარავის უნდოდა.

კიტი თავიდან ანდროს შინ მოყვანის სასტიკი წინააღმდეგი იყო, ბოლოს კი ტუჩებმოკუმულმა დათმო, რახან ქრისტინეს სახურავქვეშ გადმოსვლის გარდა, მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდა. კიტის აღიზიანებდა მისი სიჩუმე, მისი უსურვილობა. რამდენჯერ მოუნდომებია, მოთმინებიდან გამოსულს, მისთვის რამე მწარე მიეხალა, გესლიც გადმოენთხია, მაგრამ შეხედავდა ამ ლანდად ქცეულ ადამიანს, გული ეკუმშებოდა და ლამის ფიზიკურად იტანჯებოდა. ერთხელ, ნაშუადღევს, ბაღში შეეფეთა მარტო მჯდომს. ქრისტინე და სტასია შინ არ იყვნენ, ანდრო კი, წესით, ჯერ არ უნდა ყოფილიყო ქარხნიდან დაბრუნებული. იქ იჯდა, ძელსკამზე, წინ არყის ბოთლი ედგა და ხელს იხვევდა. მუხლზე სისხლიანი ბამბა ედო, ეტყობა, ხის გამოთლისას გაიჭრა.

- გამარჯობა, ანდრო! - უთხრა კიტიმ და წინ დაუჯდა. - გინდა დაგეხმარო?

- არ ვიცი... კი, ალბათ.

კითხვით სახლიდან გამოიტანა ბამბა და ბინტი, ბამბა არაყში დაასველა და ფრთხილად მოუნძინდა ჭრილობა. ანდროს სახე არ შესცვლია, შეიძლება ეტკინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

- რა მოგივიდა?

- გავიჭერი.

- როგორ?

- ხელები მიკანკალეს ზოგჯერ.

- ახლა ცოტა მჭიდროდ გადაგიხვევ. კი მაგრამ, ასე ადრინადად რატომ დაბრუნდი?

- დღეს გამომიცხადეს, რომ ქარხანაში ვეღარ ვიმუშავებ. კომისარიატიდან შეტყობინება მიუღიათ. მთაში მაგზავნიან. რომელიღაც კოლმეურნეობაში.

- წარმოგიდგენია?! ეგ არამზადები!

- ჩემთვის სულერთია. ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს. საკუთარი ოთხი კედელი მაინც მექნება იქ. თანაც მთები...

- ბუნების დიდი მეგობარი არასდროს ყოფილხარ.

- დალევ ერთს ჩემთან ერთად?

- კი, რატომაც არა. ჭიქას მოვიტან.

- არა, იჯექი. მე მოგიტან.

სწრაფად დაბრუნდა და გამჭვირვალე სითხე ნაკლულად ჩამოუსხა პატარა ჭიქაში. კიტი ვერ ეგუებოდა არცის სიმწარეს, მაგრამ არ უნდოდა ანდროს გაეზიზღებინა და უარი ეთქვა. მისი სუნი იგრძნო, დაღლილობისა და სიმთვრალის სუნი, სისხლის მძაფრ სუნთან შერეული, რასაც აღარაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რაც მის კანს ასდიოდა იმ ღამეს, ბოტანიკურ ბაღში და რომელსაც კიტი მთელი ომის განმავლობაში ვერ ივინწყებდა.

- კარგად არ უნდა იყო, - დაასკვნა ანდროს საქმიანად და ჭიქა ასწია.

- შენ კი არაფერი გიკითხავს.

- რა საჭიროა? მაინც ვერაფერს შევცვლი. მე ხომ ხეიბარივით ვარ.

არც არაფერი შემიძლია და არც ნებას მრთავენ. როგორ მიყურებენ ზოგჯერ ქარხანაში, მათ თვალში ნაძირალა ვარ.

- ისევ თავს იცოდებ.

- მერე რა... ამის უფლებაც არ მაქვს? გაგვიმარჯოს!

- ეჰ, ანდრო...

- მოეშვი ამ მრავალმნიშვნელოვან შეძახილებს. მარიამის გამო ხარ ასე?

- ვერ გეტყვი, უფლება არ მაქვს. ამით შენ... დაივიწყე.

მწარე სასმელი ერთბაშად გადაკრა. ყელი ჩაენვა, მაგრამ არ შეიმჩნია.

- ეჭვანდრო, ნეტა მაშინ, ჩემთან დარჩენილიყავი, - უთხრა ყვედრებით და ჭიქა გაუნოდა, კიდევ დამისხიო.

ორი მტრედი დაეშვა ლელვის ხეზე. უცებ მოუნდა, ანდროს შეხებოდა, მასთან სიახლოვით გაექარვებინა თავისი ტკივილი, მაგრამ არ გამოუვიდა, ვერ გაინძრა. ისევ ისე ისხდნენ, გვერდიგვერდ, საკუთარი უძღურების უტყვი პატიმრები, როგორც მაშინ, ანდროს დაბრუნების შემდეგ, ახალი უბნის ნახევრად აშენებულ ბინაში.

- იცი, რატომ მიგვიჩნევენ საფრთხედ? - განაგრძო ანდრომ. - ან რატომ გვასახლებენ და ხალხთან ურთიერთობას გვიკრძალავენ? იმიტომ რომ ჩვენ ყველაფერს მივხვდით, საკუთარი თვალით ვნახეთ ყველაფერი! ჩვენ სიკვდილს გადავურჩით, უკან დავბრუნდით და იმათ იციან, რომ ჩვენ ვეღარ ვიცხოვრებთ სიცრუეში, და არ იციან, რა გვიყონ. ვეღარ გვიძლავდებიან. მათ უნდათ, რომ ყველაფერი დავივიწყოთ, რომ აღარ გავიხსენოთ ის, რაც ვნახეთ, მაგრამ იციან, რომ ეს შეუძლებელია. ის ყველაფერი, რასაც გვიძალავდნენ მთელი ამ წლების განმავლობაში და რასაც კვლავ დაგვიძალავენ, ყველაფერი მშვენიერია. ჩვენ, ვინც საზღვარი გადავლახეთ, დავინახეთ, რა ნაგავში გვამყოფებდნენ, როგორ გვატყუებდნენ, როგორ გვიყენებდნენ. ახლა ბევრი ჩვენგანი დავუბრუნდით ამ სიცარიელეს, ამ სიბნელეს, რომელსაც ისევ ხოტბა უნდა შევასხათ... ამის გაძლება არ გინდა? ასე ცხოვრება ხომ ჯოჯოხეთია! იცი, ყველაზე საშინელი ის კი არ არის, რომ ამ წყეულმა ომმა დაგვახეობრა, მეგობრები წაგვართვა, ცხოვრება დაგვინგრია, არამედ ის, რომ ამ ომმა ეს ყველაფერი თითქოს და სრულებით „გაამართლა“.

დაგვიკანონეს ის, რასაც ახლა უტიფრად ჩავგვაძახიან: აბა, გვადიარეთ, ჩვენმა დიდმა ბელადმა გაგვამარჯვებინა, ჩვენ ეს შევძელით, გადავრჩით, დავამარცხეთ ფაშისტები, ესე იგი ყველაფერი სწორი იყო, მთელი ეს გზა აქამდე სიმართლით განვვლეთო. ასე იყო საჭირო, დიახ, უნდა შეგვეწირა ის ხალხი მსხვერპლად, დიადი გამარჯვების მისაღწევადო, ამასაც იქადნიან, აბა, რა. მაგრამ ეს ხომ საზარელი რეალობაა, ამაზრბენი, დამთრგუნველი უსამართლობა.

პირველად ალაპარაკდა ანდრო ომზე, ყველაფერზე, რაც კადრებივით წარმოესახებოდა ხოლმე თვალწინ და გონებაში მტკიცედ აღბეჭდვოდა. ილაპარაკა ყირიმზე, თავის განუხორციელებელ იმედებზე, ქართულ ლეგიონზე, იმ წერილებზე, კიტის რომ სწერდა და მერე ანადგურებდა, ტექსელზე ილაპარაკა.

კიტი მონუსხული უსმენდა, ტირილს აზრი აღარ ჰქონდა, ხალისსაც აღარაფერი ანიჭებდა. კრძალვით უსმენდა, მადლიერი იყო, ანდრომ გული რომ გადაუშალა, თანაც თავს იმუნათებდა, იმავეს გაკეთება შეუძლებლად რომ მიაჩნდა, გულისკარს ვერ ხსნიდა, და კომმარებისგან გათავისუფლებას როგორ ესწრაფოდა.

- მაინც რა ჩაიღინე? - ჰკითხა უცებ მან სრულიად მოულოდნელად და თვალეებში ჩახედა. არადა, კიტის თვალეებს, კიტის მზერას ვერ უძლებდა, მაგრამ ამჯერად თავს აჯობა, გაუძლო, შეეცადა, მოლოდინით უყურებდა.

- თითქოს რაღაცის გამოსწორება ვცადე, - ჩაილაპარაკა.

- შეძლებ ამ ტვირთით ცხოვრებას, კიტი?

- მგონია, რომ იმ ქალის სიკვდილი ოდნავადაც ვერ შეედრება იმას, რამაც მე გული ამომგლიჯა, იქნებ შევძლო კიდევ და მოგიყვე როდისმე. იქნებ... მაგრამ ახლა არა. ჯერ არა.

იმავე ღამეს კიტი ანდროს ოთახში შეიპარა და ლოგინში ჩაუნვა. ანდრომ დამფრთხალმა გაიღვიძა, გაცლა სცადა, მაგრამ კიტი გამშაგებით შემოეხვია სხეულზე, მიეკრა, ჩაეხუტა და გაინაბა, სანამ კუნთებს არ მოაღუნებდა, სანამ შიშს არ ააორთქლებდა მისი კანიდან, სანამ უილაჯოდ ქცეული მის მოშორებას ვეღარ შეძლებდა.

მერე მკერდზე დაადო თავი და მის სხეულზე ხელი გადაატარა, შეეხო უცნობ იარებს, ხალეებს, მის ახლა უკვე უცხო სხეულს შეეხო.

ის კი გაშეშებული იწვა, ისეთი შეუღწეველი იყო, მაგრამ კიტი ამჯერად აღარ აპირებდა იოლად დანებებას. უნდოდა წარსული სიახლოვე ეპოვა იმ უცხოობაში. უნდოდა უწინდელი ანდროს კვალისთვის მიეგნო, თავისი შვილის მამის კვალისთვის. ჯერ კიდევ არსებობსო, ირწმუნა იმ ნაშუადღევს ბაღში, როცა მის გულახდილ სიტყვებს უგდებდა ყურს, მის ამღვრეულ, ჩამქრალ თვალეებში უწინდელი სილურჯე ამოიციწო. ნაზად მოეფერა კანზე, ფრთხილად აკოცა ტუჩებზე. გაუბედავად გადაუსვა ხელი გადაპარსულ თავზე, უძძიმდა, ისე ძლიერად ენატრებოდა მისი კულულები, მათი წარსული.

ანდროს სხეული დაძაბვოდა, მაგრამ არ იშორებდა კიტის, არ უყურებდა ზიზღით, არ დასცილოდა მის იმედს, აცადა წარსულის ძებნა. როცა კიტი მიეალერსა, ანდრო გაუბედავად შეეხო მის მუცელს. თითებით იარა მოუსინჯა. მეორე იყო, მარიამის შემდეგ, ვინც იმ ადგილს შეეხო.

- ბრმა ნაწლავის ოპერაციაა, - თქვა თქვა კიტიმ სხვათა შორის და კვლავ აკოცა.

თავისი სხეულით ანდროს დავინწყება აჩუქა, საკუთარ თავს კი - მოგონება. მაგრამ მათ წინ აღარაფერი ელოდათ, აღარსად. ერთმანეთის შეცნობა შეეძლოთ, შვებას ვეღარასდროს იგრძნობდნენ, ორივემ იცოდა. და არც ელოდნენ რაიმე სიახლეს ერთმანეთისგან. უნდა ეკმარათ ეს, ერთი ღამის თავდავინწყება.

- მე ალბათ მალე მომიწევს აქედან აბარგება, - ჩაიბუტბუტა კიტიმ სიბნელეში.

- სად? რას ნიშნავს მოგინწევს, სად უნდა გაემგზავრო?

- შეიძლება ასე გახდეს საჭირო.

- ვერაფერს მივხვდი!

- კოსტიას უნდა ასე იყოს.

- რას მიმაღავ? გამენდე, მომიყევი ყველაფერი.
- ახლა არ შემიძლია...
- რატომ?

- იმიტომ, რომ გულდაფლეთილი ხარ და ხელებს ვერ იმორჩილებ! ორი კვირის შემდეგ ანდრო ერისთავმა თბილისი დატოვა. რაჭაში გაამწესეს, რომელიღაც მაღალმთიანი სოფლის კოლმეურნეობაში უნდა ემუშავა.

კიტი ჯამმა სწავლა დაასრულა და როგორც ძმამ განუსაზღვრა, კავკასიის ქალაქები მოიარა, ახალგაზრდულ კლუბებსა და კულტურის სახლებში მართავდა კონცერტებს. იმის წარმოდგენა, რომ სამშობლოს დატოვებდა როდისმე სამუდამოდ, კვლავ შეუძლებლად მიაჩნდა. თავს ინუგეშებდა, რომ კოსტია ყასიდად იმუქრებოდა. ეიმედებოდა ისიც, რომ მისჯილ გადასახლებას თავი დააღწია და საბუთების გადამალვის უმჯობესი გზაც გამოიძებნა. ფიქრობდა, მალე რომელიმე პროვინციული თეატრი შემომთავაზებს საოცნებო როლებს, ვითამაშებ დებდემონას, ჯულიეტას, მაშას, თავდავიწყებას მივეცემი და მხოლოდ თეატრის ცხოვრებით ვიცხოვრებო.

მაგრამ ასე არ მოხდა. 1950 წლის დასაწყისში კოსტიასგან ტელეგრამა მიიღო, მარიამის სიკვდილს იტყობინებოდა. ამ საზარელმა ცნობამ ისეთ მწუხარებაში ჩააგდო, ისე გულამოსკვნით და ცრემლშეუშრობლად ქვითინებდა, სტასიამ ველარ გაუძლო მის ამდენ ვაებას და ზედმედ გააწნა სილა, ვითარებიდან რომ გამოეყვანა, თუმცა ის მაინც ერთსა და იმავეს იმეორებდა: კი მაგრამ, რატომ? რატომ? რატომ...

კიტი მალევე მიხვდა, რომ იქ ველარ დარჩებოდა. იმავე დღეს - ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, ეს იმ დღესვე მოხდა, კიტიმ ძმისგან ტელეგრამა რომ მიიღო.

კოსტიამ გიორგი ალანიას წერილი გახსნა. იცოდა, რომ მის საუკეთესო მეგობარს უახლოეს კვირებში ქვეყანა უნდა დაეტოვებინა და ბოლოს და ბოლოს, დაეწყო სამსახური ლონდონში, რისთვისაც წლების განმავლობაში ამზადებდნენ. ეგონა სენტიმენტალურ, თუმცა მაინც ხალისიან გამოსამშვიდობებელ წერილს წაიკითხავდა. მაგრამ სულ სხვა რამ ამოიკითხა უჩვეულოდ ცივ შუქში, მარქსისა და ენგელსის პორტრეტებისა და ლენინისა და გენერალისიმუსის ბიუსტებს მიღმა, განიცადა ის, რასაც ეგონა, რომ ვერასდროს შეეგუებოდა.

იდა ცოცხალი აღარ იყო. მხოლოდ ეს აცნობა, სხვას არაფერს სწერდა მეგობარი... კოსტიამ სამუდამოდ დაკარგა ის, ვისი გულისთვისაც კიდევ ერთხელ გამოცდიდა შიმშილს, სიცივეს, უთავბოლო სროლებისა და ბომბების მრისხანებას. ყველაფერს შეეგუებოდა, ოღონდ არ გაეგო, რომ იმ ქალმა ვერ ააღწია ვერც ერთ საბარგო მანქანაში, რომელთაც ამხელა გარჯით, ასეთი რისკითა და თავგანწირვით აგზავნიდა იმ

ქალაქში. იდა აღარ იყო, მან ის დაკარგა. სულელური აღლუმის გამო. იქ წავიდა, მისი წინათგრძნობა ვერ მოუფრთხილდა სიყვარულს. გმირობას ესწრაფოდა გულუბრყვილოდ. გმირს კი თითებზე ბეჭდებასხმული, ნაღვლიანთვალებიანი ორმოცი წლის ებრაელი ქალი არ შეეფერებოდა.

არ უნდა მისულიყო მარიამთან იმ საკანში და არ უნდა ეცრუა, არ უნდა ეთქვა მისთვის, რომ ალა უმნიშვნელო თავგადასავალი იყო მხოლოდ და არაფერს ნიშნავდა მისთვის. მხოლოდ იმიტომ იცრუა, მარიამს მისი და რომ არ გაეცა, ქალს, რომელიც შეუცნობელი გულგრილობით უყურებდა სამყაროს. იმიტომ რომ მან გაუშვა სასიკვდილოდ და შეჰპირდა, რომ საკუთარი ცხოვრების მსხვერპლად შეწირვის ფასად ღვთიურ ძალაუფლებას მოიპოვებდა და ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენდა. მაგრამ წარმოუდგენელი იყო. კოსტია არ ფლობდა ძალაუფლებას. ისევე როგორც მარიამი. კოსტიამ არ იცოდა, ვინ იყო ალა და მანამდე რა გზით ეცხოვრა. არც ის სმენოდა, რა წნეხს გაუძლეს მარიამმა და კიტიმ. თუმცა კი შეეძლო, რომ სცოდნოდა, ბევრად მეტის ცოდნა შეეძლო.

იდასთან ერთად მარიამიც მოკვდა. მარიამთან ერთად თავისი დაც. ყოველ შემთხვევაში, მისთვის აღარ არსებობდა.

სისხლისფერტუჩებიანი ალაც გამოესალმა სიცოცხლეს და ამის შემდეგ ველარაფერს შეცვლიდა. მეგობრის სტრიქონებში თავჩარგული კოსტია მიხვდა, რას ნიშნავდა დამარცხება. იგი დამარცხდა. სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. ეს აგონია მთელი ცხოვრება გასტანდა.

იმიტომ რომ ომი, რომელიც მან წამოიწყო, მტრების წინააღმდეგ კი არ იყო გამიზნული, არამედ იმ ადამიანებისკენ, რომლებიც მას უყვარდა. კოსტია გარეთ გაიჭრა. ახლომახლო ღუბებჩაშვებულ გემებს ზღვა ირეკლავდა. ცა გოგირდისფრად მოქუფრულიყო. ციოდა, ჰაერი ყინულივით მწველი იყო. ჯებირების გაყოლებით ნავსადგომთან ჩაირბინა. უპალტოდ გამოსული სიცივეს ველარ გრძნობდა. წერილი, რომელიც ხელში ჩაებღუჭა, კანს უწვავდა. სადღაც შორს სატვირთო გემის საყვირი გაისმა.

ნაპირს გაუყვა. ზღვას თითქოს ზამთარი გადასარკვოდა, სადღაც შორს კარი ილანდებოდა, ზეცისკენ ასაღწევი კარი. ფიქრობდა, იქნებ მოვახერხო და იმ კარამდე გავცურო, იქნებ მივაღწიო იქამდე, მერე კი შევძლო ვასილევსკის კუნძულზე, იმ ფარდებჩამოშვებულ ბინაში დაბრუნება და იქ იდა ვიპოვო.

ერთბაშად გაიძრო ტანსაცმელი და საცვლის ამარა აღმოჩნდა ნაპირზე, წყალში ისე შევარდა, თითქოს ვინმე იხრჩობოდა და მის გადარჩენას ლამობდა. არადა, თვითონ იყო განწირული.

მძიმე ზღვამაც კი ვერ გამოაცოცხლა. სიცივის შოკმაც – მით უმეტეს. იქნებ ჩაეყვინთა და აღარ ამოეყვინთა, იქნებ ამ სიმშვიდეში დარჩენილიყო სამუდამოდ. განა შეიძლებოდა, ასე უსაშველოდ მონატრებოდა ერთ ადამიანს მეორე, ნუთუ დასაშვები იყო განგების მიერ

ასეთი სასჯელი, რომ ერთ ადამიანს ასე ჰყვარებოდა მეორე და სიკვდილს ეს არ გაეთვალისწინებინა?!

იდა! – შესძახა ბაბუაჩემმა ყინვით შემოსილ ტალღებს და უფრო ღრმად შეცურა ზღვაში.

ნაპირზე ხალხი შეგროვდა, ვიღაც ეძახდა, მაგრამ მისთვის სულერთი იყო. არ უნდოდა უკან დაბრუნება. ნაპირზე მისი შარვალი იდო, ჯიბეში წერილი – და აქეთ უსასრულობა ელოდებოდა. იქ დაბრუნება არ შეეძლო. ერთადერთი, რაზეც უარი არ უნდა ეთქვა ახლა, ცურვა იყო, ცურვა, სანამ შეძლებდა, სანამ იმ კარს არ იპოვიდა. მას რომ არ დაეკარგა, იდა გადარჩებოდა, თვითონ კი თბილისში აღარ წავიდოდა, მარიამს აღარ შეხვდებოდა, ყალბ სადღეგერძელოებიან ქეიფისას არ გაიცნობდა, არ ნახავდა ქერათმიან ლამაზ ქალს, რომელიც ბავშვებს კლავდა და თან ასე სწყუროდა სიყვარული, არასდროს დაუშვებდა, რომ იმ ქალს მისთვის შარვალი გაეხსნა და დაგუბებული, დაუოკებელი ვნება მისთვის თავს დაეტეხა. მაშინ მარიამიც იცოცხლებდა. და კიტიც ვეღარ მიაგნებდა მუცლადმყოფი შვილის ჯალათს.

იდა რომ არ მომკვდარიყო, თვითონაც ცოცხალი იქნებოდა.

უსასრულობა დაიბინდა მის თვალწინ, მიაპობდა ტალღებს, თუმცა წყლის სიღრმეშიც ვერ იპოვა იდა. ისევე როგორც ზეცის კარი.

კოსტიამ წყალი ბლომად ყლაპა, ძალას კარგავდა.

მერე ყვირილი გაიგონა და დაინახა, გასაბერი ნავი უახლოვდებოდა.

მეორე დღეს ახსნა-განმარტებაში ჩანერა, მომეჩვენა, ვიღაც იხრჩობოდა და ამიტომ გადავხტი წყალშიო.

შემდეგი სამი კვირის განმავლობაში, გართულებული ფილტვების ანთების გამო კლინიკაში რომ გაატარა, ყველაფერი ჩამოიბერტყა, რასაც ოდესმე შეეძლო მისი ისევ ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება და სინდისი ჩაიხშო.

მერე კიდევ ერთხელ გადაიკითხა წერილი, სანამ სანთლის ალზე დანვავდა:

“ძვირფასო მეგობარო, უკვე მძულს საკუთარი თავი, რადგან ვიცი, რომ ამ სტრექონებით უდიდეს ტკივილს მოგაყენებ, მაგრამ პირობა მოგეცი და, სამწუხაროდ, ამ ტკივილისგან შენი დაცვა არ ძალმიძს. ასე რომ, გწერ იმას, რისი გაგებაც გინდოდა, რასაც დიდხანს ელოდი, და, მგონი, ვარაუდობდი: ის ცოცხალი აღარ არის. ბლოკადის განმავლობაში ლენინგრადიდან ფეხი არ მოუცვლია. ბლოკადის ბოლო წელს მიიღო საევაკუაციო მოწმობა, მაგრამ გაუგებარი მიზეზით გაუცვალა ვიდაცას, ვისი კვალიც დავკარგეთ. გარდაიცვალა თავის ბინაში ვასილევსკიზე. საფლავი, სამწუხაროდ, დაკარგულია.

ამ წერილს როცა მიიღებ, მოსკოვში აღარ ვიქნები. როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, ისევ მოგწერ და მერე სიხარულით დაველოდები შენს წერილებს, ხომ იცი, რამდენს ნიშნავს ეს ჩემთვის,

კოსტია. ძალიან ვნუხვარ, ჩემო მეგობარო, ძალიან. ვიცი, რომ გახსოვს, ვიცი, რომ გიყვარდა და ახლაც გიყვარს. შენს მეორე საბრუნავს მე მივხედავ. გეხვევი მაგრად და თანაგრძნობით, გიორგი”.

გიორგი ალანიას, ოფიციალურად, კულტურის ატაშეს თანამდებობა ეკავა საბჭოთა საელჩოში, ლონდონში, არაოფიციალურად კი, ვალდებული იყო საბჭოთა განდგომილი მოქალაქეები მოეძებნა და მათი რეპატრირაცია განეხორციელებინა. ეს უნდა მოეხერხებინა სიცრუით, ტყუილი დაპირებებით და, თუ საჭირო გახდებოდა, მუქარით.

გაზაფხულზე კიტიმ ძმისგან დაპირებული შეტყობინება მიიღო. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მან ივარაუდა, მისი ყოველი სიტყვა ახდა: კიტის შესთავაზებს პრალაში კონცერტი გაემართა. ისიც დათანხმდა, რადგან სხვა არჩევანი აღარ ჰქონდა. გასტროლზე უშიშროების თანამშრომელთან ერთად გაემგზავრა, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა მისთვის. პრალაში გამართული საღამოს შემდეგ მან ყალბი საბუთები შეაჩეჩა, ქალაქის გარეუბანში დაქირავებულ ბინაში მიიყვანა და უბრძანა, მომდევნო მითითებებს იქ დალოდებოდა. მოსკოვში კიტი ჯამი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს, სავარაუდოდ, დასავლეთის ჯაშუში იყო და ახლა იქ გაიპარაო.

სტასიამ იცოდა, რატომაც წავიდა კიტი და ვინც დაეხმარა ამაში. მან იცოდა, რომ ამ ტვირთსაც ისევე ხმისამოუღებლად და ღირსეულად ატარებდა, როგორც აქამდე გაუძლო ყველაფერს, რაც თავს დაატყდა ცხოვრებაში. მანამდე თუ არა, იმ დილას მაინც მიხვდა, НКВД-დან რომ მიაკითხეს და შვილის გაუჩინარების გამო დაკითხვაზე წაიყვანეს, რომ მოჩვენებები დაბრუნდნენ, რომ გზა ისევ გახსნილიყო, გზა დროებს შორის, გზა ყველა დასაშვებ და მოსალოდნელ თუ მოულოდნელ სამყაროს შორის.

* * *

ბრძოლას ვუცხადებთ უსაფუძვლო კოსმოპოლიტიზმს!
წარწერა პლაკატზე

კოსტია კი გახდა ის, რაც ვერასდროს ეღირსებოდა იდას გვერდით: ის იყო ჩვენი წინაპარი – ჩემი ბაბუა და შენი დიდი ბაბუა, ბრილკა.

იმ ზაფხულს სამშობლოში ჩავიდა და სახელმწიფოს მიერ დანესებული კუთვნილი შვებულებით გაემგზავრა შავ ზღვაზე, აფხაზეთში. იქ გაიცნო ბებიაჩემი ნანა. ჭკვიანი, ალერსიანი, უსათნოესი ქალი, რომლის ბებია და ბაბუა – თბილისის უნივერსიტეტის ენათმეცნიერები – რეპრესიებს ემსხვერპლნენ. მამამისსაც იგივე ბედი ერგო, არქეოლოგი იყო, ორთაჭალის ციხეში გამოამწყვდიეს, როგორც სავარაუდო ჯაშუშებისა და კონტრრევოლუციონერების შვილი. იქ ფილტვების ანთება დაემართა, არ უმკურნალეს და ორმოცდაორი წლისა გარდაიცვალა.

ნანას დედა და ორი გაუთხოვარი მამიდა ზრდიდნენ და ანებივრებდნენ. ქალები სიყვარულითა და გადამეტებული მზრუნველობით ცდილობდნენ წაეშალათ კვალი იმ უბედურებისა, რომელმაც მათ ოჯახზე გადაიარა. ნანა ისეთი უშუალო იყო, ისეთი წრფელი, არც იდუმალი, არც ელეგანტური, წესით, კოსტიას არაფრით რომ არ უნდა მოსწონებოდა. ჯანმრთელი იყო. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. კოსტიასთვის მეტისმეტად ჯანმრთელი. მისგან არაფერი გადაედებოდა, ის არ დაღუპავდა. და სწორედ ეს გახდა მისდამი კოსტიას მოულოდნელი ინტერესის საფუძველი. თითქოს თავისი იმედგაცრუებული, გულგრილი მზერით სიცოცხლით სავსე ქალი დაინახა მთელ შავი ზღვის სანაპიროზე და ხელი ჩაავლო, დაისაკუთრა, რადგან მიხვდა, სწორედ ის განკურნავდა სნეულებისგან განკურნების სურვილით. ან იქნებ იმედი ჰქონდა, რომ მიცვალებულთა აზრდილებისგან ეხსნა თავი და სრულიად ახალი, სხვა ცხოვრების დაწყება შეძლებოდა.

ძველ ფოტოებს რომ ვათვალიერებ და ვაკვირდები ხოლმე ნანას, სულ მგონია, რომ არასდროს შეჰპარვია ეჭვი არც საკუთარ თავსა და არც მთელ სამყაროში. არასდროს განუცდია მარცხი. ტანმალალი, მშვენიერი ქალი, აღარც ნორჩი ეთქმოდა, მაგრამ ასაკისთვის შეუფერებელი უნაღვლო იერი დაჰნათოდა, ამავე დროს, მტკიცე და თავდაჯერებული იყო, თითქოს როგორც ცხოვრებასაც მოინებებდა, ისეთს აიწყობდა. ქერა მკვრივი ნაწნავი თავზე შემოეხვია, მოხდენილად ეცვა, თუმცა მოკრძალებულად. არც თვალში საცემად და არც ისე, ვერ გამოგერჩიათ. თითქოს მთელი არსებით სრულყოფისკენ მიისწრაფოდა, ნათელი მომავლისაკენ. ის, თუ როგორ გააფთრებით იქნევდა ხოლმე ხელებს, ან ტუჩებს გაბუსხავდა, როცა იბუტებოდა, როგორ ჭმუნნიდა შუბლს ფიქრის დროს, ფეხს ფეხზე როგორ დემონსტრაციულად იდებდა, როცა ღელავდა, მიმზიდველი ჩანდა და არასდროს ვულგარული. კონსერვატიული იყო, მარადიული ფასეულობების სწამდა და იმ დროს, როცა კოსტიას შეხვდა, იმაზე ოცნებობდა, რაზეც მისი დროის გოგოების უმრავლესობა: საზოგადოებრივ აღიარებაზე, ყველასთვის სანატრელ კარიერაზე, კონკრეტულად წარჩინებულ საუნივერსიტეტო მოღვაწეობაზე – ოჯახზე, შვილებზე და თანაც, ეს ყველაფერი რომანტიკული უნდა ყოფილიყო, გადამეტებულ დრამატიზმს მოკლებული, ცოტა ამადელეზებელიც, ოღონდ ზედმეტი ვნებათაღელვის გარეშე. ნანამ იმ წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა უნივერსიტეტში და დიდი ბებისა და ბაბუის მსგავსად, ენათმეცნიერებით იყო გატაცებული. სადოქტოროს დაწერა უნდოდა და თემის არჩევაზე იმტვრევდა თავს იმ ზაფხულს შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც მეგობრებთან ერთად უნივერსიტეტის დამთავრებას აღნიშნავდა.

ნამდვილი სიყვარული მანამდე არც განეცადა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმეკვირიან გატაცებას თანაკურსელთან. მთელ ყურადღებას

სწავლას უთმობდა, მეგობარ გოგონებთან ერთობოდა, კერძებს ამზადებდა დედასა და მამიდებთან ერთად და მომავლის გეგმებს სახაზვდა. არაფრის ნაკლებობას არ განიცდიდა და მრავალგზის ხობტაშესხმულ სიყვარულსაც მაინცდამაინც არ ნატრობდა. მეოცნებე არ იყო, როცა ისეთ წიგნს კითხულობდა, რომლის სიუჟეტი ზედმეტად დრამატული და სენტიმენტალური ეჩვენებოდა, გულგრილად ანებებდა თავს. არ უნდოდა ეოცნება ისეთ ცხოვრებაზე, რომლებსაც წიგნებში ესხმოდა ფრთები, რეალობა კი მსგავსს არაფერს სთავაზობდა.

ცხადია, რომ ასეთი განსხვავებული ბუნების ადამიანები, როგორებიც ნანა და კოსტია იყვნენ, მხოლოდ შემთხვევას შეეძლო ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა. ნანა მეგობარ გოგონებთან ერთად საუბრობდა იმ სანატორიუმის კაფეტერიაში, სადაც ორივენი გაჩერებულიყვნენ და საიდანაც უღამაზესი ხედი იშლებოდა, ამ დროს კოსტიამ თავაზიანი ღიმილით მათ მაგიდასთან დაჯდომის ნებართვა ითხოვა, რაკი თავისუფალი მაგიდა ვერ ეპოვა. ადვილად გააბა საუბარი ნანას მეგობრებთან და, ეტყობა, შთაბეჭდილებაც მოახდინა თავისი მომხიბვლელობითა და მჭევრმეტყველებით. ნანა თავდაჭერილად ეძებდა მათ და, იშვიათად თუ ჩაერეოდა ლაპარაკში, უფრო საუბრით ყოფილა გართული. მით უფრო გაჰკვირვებია, როცა კოსტია ყველას ხელზე ამბორით დაემშვიდობა, მაგრამ სწორედ ის დაუპატიჟებია ვახშამზე.

ინტერესის არა, უფრო ცნობისმოყვარეობის გამო დათანხმებულა.

იმავე საღამოს სანაპიროზე, თევზის რესტორანში, რომელსაც ნანას ბიუჯეტი ვერასოდეს გასწვდებოდა, ცივი თეთრი ღვინო და ზღვის დელიკატესები დააგემოვნეს. კოსტიამ გრძელი მოხსენება წაუკითხა ზოგადად ზღვის და, კერძოდ, თევზების შესახებ, ბოლოს კი სომხურ კონიაკზეც არ თქვეს უარი. კოსტიას რომ არ ჩამორჩენოდა, ნანამ რეგიონული კულტურებისა და ადათ-წესების შესანიშნავი ცოდნა გამოამჟღავნა. ერთმანეთს თავს აწონებდნენ თავიანთი განსწავლულობით და ამ პირველ პაემანზე მეტად არც დაახლოებულან. წესიერად ვერც კი გაიცნეს ერთმანეთი. მაგრამ გამომშვიდობებისას ორივემ თავისთვის გაიფიქრა, შემდეგ შეხვედრაზე აენაზღაურებინათ ეს დანაკარგი.

მომდევნო დღეებში კოსტია გოგონებს თან ახლდა სანაპიროზე, ბანქოს ეთამაშებოდა, ანეკდოტების მოყოლით ართობდა, ყავასა და ნაყინზე ეპატიჟებოდა და გვერდიდან არ შორდებოდა. სამი დღის შემდეგ მარტო ნანა წაიყვანა საცეკვაოდ რესტორანში და თავი გამოიჩინა, როგორც უზადო პარტნიორმა. რამდენიმე ცეკვის შემდეგ ნანა უკვე მზად იყო დაეჭვებინა ისეთი უაზრობა, როგორიც სიგიჟემდე შეყვარება იყო. როცა სასტუმროში ბრუნდებოდნენ, აგრძნობინა კიდევ კოსტიას, რომ

მისი მხრიდან კვლავაც ყურადღების გამოჩენის წინააღმდეგი არ იქნებოდა.

თბილისში ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. კოსტია ხან ვახშამზე ეპატიჟებოდა, ხან საცეკვაოდ ან კინოში დადიოდნენ, პარკში სეირნობდნენ. არაფერი არაჩვეულებრივი, არაფერი განსაკუთრებული ან თამამი. თავაზიანობითა და მოთმინებით ნუსხავდა კოსტია. ერთმანეთს არ ეხებოდნენ, გეგმებს არ აწყობდნენ და მომავალზე არ საუბრობდნენ. კოსტია, საზაფხულო შვეტულების დამთავრებამდე და ბალტიისპირეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ქერათმიან ნანას შეეკითხა, ცოლად ხომ არ გამომყვებით. ის იყო, კინოდან გამოვიდნენ, სადაც – როგორც წარმომიდგენია – ოპტიმისტური პატრიოტული ფილმი ნახეს და ვარაზისხევის ქვაფენილზე ეშვებოდნენ. ნანას ნაკვთიც არ გატოვებია სახეზე, თითქოს რაღაც სასხვათაშორისოდ ჰკითხა ნანას ფილმთან დაკავშირებით, უსიტყვოდ განაგრძო სეირნობა.

– შენგან არაფერს მოვითხოვ. თბილისში დარჩენას თუ ისურვებ, ესეც მისაღები იქნება ჩემთვის, – დასძინა კოსტიამ, – წესიერად არც კი გიცნობ.

– საკმარისად კარგად მიცნობ.

– არც კი გვიკოცნია ერთმანეთისთვის.

– ამაზე იოლი რა არის?!

კოსტიამ ხელებში მოიქცია მისი სახე და მორიდებულად აკოცა ტუჩებში.

– ახლა უკვე გვიკოცნია, – დაასკვნა კმაყოფილმა და კიდევ ერთხელ აკოცა, უკვე გაბედულად და უფრო ვნებიანად.

მაგრამ ამ კოცნას არც პეტერბურგის გემო ჰქონდა, არც თეთრი ღამეების, არც თავდავიწყების, არც ათივე თითზე ბეჭდებასხმული ქალის, ამ კოცნას სიკვდილის გემო არ ჰქონდა.

– მარტივად თქვი დიახ, – ჩააცვიდა კოსტია, რომელსაც ჯერ კიდევ მისი ნიკაპი ეჭირა, და ნანამაც, რომელიც უხერხულად გრძნობდა თავს, შუა ქუჩაში ვაცი რომ კოცნიდა და რაც შეიძლება სწრაფად უნდოდა ამ საჩოთირო სიტუაციიდან გამოსვლა, უთხრა, კარგიო.

კოსტიამ ბალტიის ფლოტს მისწერა და დამატებით ორკვირიანი შვებულება ითხოვა საქორწინო სამზადისისთვის, ნებართვასაც არ დაუყოვნებია. მალევე მოკრძალებული ქორწილი გადაიხადეს ქრისტიანს სახლში. სუფრაზე ჰქონდათ ისპანახი ბრონეულის მარცვლებით, შემაზე შებრანული დაბასტურმებული გოჭის ხორცი, ბატკნის ჩაქაფული და ახლად დაწურული კახური ღვინო. სტასიამ დიდი საქორწინლო ტორტი გამოაცხო შედედებული რძის კრემით, გრძელ მაგიდაზე დაეხვავებინათ ყურძენი, მსხალი, ხურმა, ლეღვი, ნესვი და ბრონეული. პირველი ღამე, რომელსაც პატარძალი, ცხადია, ქალწული შეხვდა, ახლად დაქორწინებულებმა ნანას დედის ბინაში გაატარეს, რომელიც სიძე-ქალიშვილს დროებით დაუთმო.

კოსტიას გამგზავრების შემდეგ ნანა ზემო ვერაზე დიდ სახლში გადავიდა საცხოვრებლად. ხანდაზმული ქალბატონების საზოგადოებას ისედაც შეჩვეული იყო. მკაფიოდ განუცხადა უარი ქმარს ცივ ჩრდილოეთში გადასვლაზე და მისივე შემოთავაზება შეახსენა თბილისში დარჩენის თაობაზე. უნივერსიტეტში ასპირანტურაზე მიინდა ჩავაბარო და სადოქტოროს მივხედო.

კიტი ამ დროს ცხრაკვადრატულმეტრიან ოთახში ცხოვრობდა პრაღის გარეუბანში. არც წერილი მიუღია და არც მითითება. ერთი ჩემოდნით იყო და თავისი გიტარით. და რასაკვირველია – პასპორტი სხვის სახელზე. ყოველი კვირის დასაწყისში კარქვეშ შემოცურებული კონვერტი ხვდებოდა; ვერც ერთხელ მოახერხა მისი მომტანის გამოტყვრა. კონვერტში ცოტა ფული იდო, ყოველთვის ერთი და იგივე თანხა, რომელიც მწირად გამოკვებისთვის ჰყოფნიდა. ქალაქის ცენტრში არასდროს წასულა, არასდროს გასცდენია თავის უბანს, არავის გამოლაპარაკებია. თავის დაქნევით ესალმებოდა კარის მეზობელ მოხუც ქალს. ახალი პასპორტით კიტი ლუქსემბურგელი ადრიენე ჰინრიხსი იყო.

თავს ყველასა და ყველაფრისგან მოკვეთილად გრძნობდა.

ორჯერ გაიფიქრა, ჩავბარდებო. სადგურზე წავალ ან აეროპორტში და უსაფრთხოების პირველივე თანამშრომელს ან მესაზღვრეს მივმართავო. ისე მარტოსულად ცხოვრობდა, ზოგჯერ ეგონა, შეიშლებოდა. ოთახში ძველი რადიო დახვდა და ჩუმად ამერიკის ხმას უსმენდა. ინგლისურენოვან გადაცემებსაც. ენა კი არ ესმოდა, მაგრამ უცხო ენის მელოდია ამშვიდებდა, უსაფრთხოების განცდას სძენდა. იმ ქალაქში დაბინავებიდან სამი თვის თავზე მიიღო, როგორც იქნა, ხელმოუწერელი ბარათი ყოველკვირეული კონვერტით. მეორე დღეს თავისი უბნის საფოსტო განყოფილებაში უნდა მისულიყო და ზუსტად სამ საათზე საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარზე ეპასუხა. კიტი ვიწრო, აქოთებულ კაბინაში შეეკვება. უცხო მამაკაცის ხმა გაიგონა ყურმილში.

– მე გაგიყვანთ ქალაქიდან. აქამდე შეუმჩნევლად ცხოვრობდით, ეს კარგია. ძალიან კარგი. მესმის თქვენი მდგომარეობა, მაგრამ უნდა მენდოთ და კიდევ ცოტა მოთმინება იქონიოთ. როგორც კი შესაძლებელი იქნება, გაგიყვანთ ქალაქიდან. როცა საფრთხე გადაივლის. გპირდებით, – მამაკაცს თბილი, სანდომიანი ხმა ჰქონდა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მეგობარი. უახლოესი მეგობარი.

– კი მაგრამ...

– ამნუთას მეტს ვერაფერს გეტყვით.

– როგორ უნდა გენდოთ? საიდან უნდა ვიცოდე, რომ თქვენ...

– სხვა რა გზა გაქვთ. უბრალოდ, უნდა მენდოთ. დღეიდან კვირაში ერთხელ დაგირეკავთ ხოლმე ამ ნომერზე, ყოველთვის ამ დროს. დღეიდან მუდმივი კონტაქტი გვექნება. ფული ხომ გყოფნით?

- დიახ, მე ბევრი არ მჭირდება, მაგრამ...

- უბრალოდ, მენდეთ.

იმ მამაკაცმა პირობა შეასრულა: კვირაში ერთხელ ურეკავდა. არწმუნებდა, რომ მალე დატოვებდა ქალაქს და დასავლეთში გაემგზავრებოდა. რომ ყველაფერი კარგად იყო, რომ საფრთხე არ ემუქრებოდა, რომ არავინ არაფერს დაუშავებდა, რომ თვითონ ადევნებდა თვალყურს, რომ მასზე ფიქრობდა, რომ მისი მეგობარი იყო. რაკი არჩევანი არ ჰქონდა, კიტიმ ის მეგობრად მიიჩნია.. ერთადერთ მეგობრად, თავის გარიყულ ცხოვრებაში. მაგრამ როგორც კი მისი სახელის, მისი ადგილმდებარეობის გაგება მოინდომა, სიტყვა ვერ დააცდენინა, მხოლოდ იმას იმეორებდა, ამის თქმის უფლება არ მაქვსო. კიტი თავს იწყევლიდა, ძმას ამუნათებდა ასეთი გამეტებისთვის. სძულდა სამშობლო, თავისი წარსული, აწმყო, მომავალი, მაგრამ სატელეფონო პარტნიორი წყობიდან ვერ გამოჰყავდა. ის ბოლომდე უსმენდა, მერე კი ალერსიანი ხმით განაგრძობდა ლაპარაკს.

საქართველოზე უამბობდა. უყვებოდა ჩვეულებრივ ყოფით ამბებს, თუმცა კიტი გაფაციცებით იჭერდა ყოველ სიტყვას. ისიც უამბო, რომ დედამისმა და დეიდამისმა საიდუმლო პოლიციის დაკითხვებს გმირულად გაუძლეს, რომ მისმა ძმამ ბედნიერად იქორწინა.

მაგრამ კიტი თავგზააბნეული იყო, დროის შეგრძნება დაიკარგა, არ იცოდა რა დღე იყო, რა ესაქმებოდა ამ ქალაქში.

- კაციშვილს არ ვიცნობ აქ. ენა მე არ ვიცი. არსად არ დავდივარ. ვკვდები, - შეჰვედრა აცრემლიანებულმა ექვსი თვის შემდეგ ტელეფონით.

- თქვენ გეყოფათ ძალა. თქვენ შეძლებთ. ერთად მოვახერხებთ. თქვენ მე მჭირდებით. ამას უბრალოდ, თქვენს დასამშვიდებლად კი არ ვამბობ. მართლა მჭირდებით. თქვენ მალე დატოვებთ მაგ ქალაქს. თავისუფლად იცხოვრებთ. გპირდებით. მაგრამ თქვენც უნდა გჯეროდეთ ამის. მარტო ამას ვერ შევძლებ. უნდა დამეხმაროთ. თქვენს ძმას პირობა მივუცი, რომ არაფერი შეგემთხვევათ. მე კი სიტყვის კაცი ვარ. მე მჯერა, რომ თქვენ გაუძლებთ, იმიტომ რომ ძლიერი ხართ, იმიტომ რომ ამაზე უარესი გადაგიტანიათ.

- რა იცით ჩემ შესახებ?

- საკმაოდ ბევრი.

- მითხარით, რა მქვია.

- ბატონო?

- ჩემს სახელს არასდროს ახსენებთ. არასდროს მომმართავთ. ჩვენ ორივე უსახელონი ვართ. სახელები არ გავგაჩნია. თქვით ჩემი სახელი!

სიჩუმე ჩამოვარდა, კიტიმ იფიქრა, უარს მეტყვისო, მაგრამ ამჯერად სურვილი შეუსრულა:

- კარგი, კიტი. ვიტყვი: კიტი. კიტი. კიტი.

ეს სახელი ისე ეუცხოვა, თითქოს პირველად გაიგონა, თითქოს ყველაფერი, რაც ამ სახელთან იყო დაკავშირებული, წარსულს ჩაბარდა. მაგრამ მაინც ჩაეჭიდა ამ ოთხ ბგერას, უნდოდა გაეხსენებინა, წარსულის დაბრუნება სურდა, თუნდაც საძულველის, თავის ნამდვილ სახელზე მხოლოდ ის აძლევდა უფლებას. მას კი ამ სახელის დაბრუნება უნდოდა. ყველაფერზე მეტად ეს სურდა.

კაცმა ლაპარაკი განაგრძო და მისმა მშვიდმა, ხავერდოვანმა ხმამ სიამე მოჰგვარა, დააწყნარა. სახელოებით ცრემლი მოიწმინა და მთელი ძალით ყურმილს ჩაჭიდებული სახით კედელს მიეყრდნო.

კიდევ მრავალი თვე გაგრძელდა მისი იზოლაცია. თითქმის ორი წელი დაჰყო კიტიმ პრაღაში. მაგრამ იმ საღამოს შემდეგ, როცა კაცმა სახელით მიმართა, უკეთ უმკლავდებოდა მარტობას. თითო-ოროლა სიტყვა ისწავლა ჩეხურად და მეზობლად მცხოვრებ ბავშვებს ან მოხუც ქალს გამოელაპარაკებოდა ხოლმე. რაკი იმათ რუსული არ იცოდნენ, არასასურველ შეკითხვებსაც ვერ დაუსვამდნენ.

ყოველდღე იმზადებდა საჭმელს, კვირაში სამჯერ ახლომდებარე Malešický პარკში სეირნობდა, უსმენდა თავის რადიოს, ინგლისური ლექსიკონი იშოვა, უკეთ რომ გაეგო ამერიკის ხმის გადაცემები; გიტარაზე დაკვრაში მეცადინეობდა:

კომპოზიტორობა არ ეხალისებოდა, მაგრამ ტექნიკის დახვეწას ცდილობდა. აღარ ფიქრობდა სახლზე, ახლოვებულ ადამიანებზე; რაც მთავარია, თავიდან ამოიგდო ის წითელტუჩებიანი ქერა ქალი, მარიამის მოელვარე თვალები, მისი სიკვდილი.

ნამდვილ ეიფორიაში ვარდებოდა, როცა სამშაბათი ახლოვდებოდა და საფოსტო განყოფილებაში მიიჩქაროდა ხოლმე. პატარა ბავშვივით უხაროდა მისი ხმის გაგონება.

ზოგჯერ თავის პასპორტს შესცქეროდა და წარმოსახვაში ლუქსემბურგის სურათებს ხატავდა, წარმოიდგენდა, იქ როგორი ყოფა ექნებოდა, ვინ ეყვარებოდა, როგორ იცხოვრებდა. სხვა ცხოვრების სურათებს ხატავდა, სხვა ბიოგრაფიას თხზავდა. თავიდან გული უსკდებოდა, თუ ვინმე კარზე მიუკაკუნებდა ან ქუჩაში დაელაპარაკებოდა, საათს ჰკითხავდა, მაგრამ ამასაც მიეჩვია და თავისი, ჯერ კიდევ, დამტვრეული ჩეხურით პასუხობდა. ვიდაც პოლონელი სტუდენტი, რომელიც პარკში გაიწნო და მერე ლუდზე დაპატიჟა, ცივი უარით გაისტუმრა: გათხოვილი ვარ და ჩემს ქმარს ეს არ მოეწონებაო. იმ კაცის წესებს იცავდა. ერიდებოდა ხალხმრავალ ადგილებს, ტრამვაის და ავტობუსს. გულმოდგინედ ცდილობდა შეუმჩნევლად ეცხოვრა. იყო დღეები, როცა ასეთ ყოფას სავსებით ეგუებოდა. თითქოს სხვანაირად არც არასდროს ეცხოვრა, თითქოს ყოველთვის ასე იყო, ისიც კი აღარ მიაჩნდა საზარლად, თვეების განმავლობაში ხმას რომ არ იღებდა, თითქმის არავის რომ არ ელაპარაკებოდა.

კონვერტებს ისევ ჩვეული სიზუსტით იღებდა. როგორც ჩანს, მის ერთადერთ მეგობარს ხელშემწყობი არ აკლდა ამ ქალაქში და, ეტყობა, გავლენიანი ადამიანები ეხმარებოდნენ, რაკი კიტის არც სახლმმართველობიდან მოსდგომია ვინმე კარზე და არც აგენტი უცხოეთის სპეცსამსახურიდან. მისთვის ეს სოციალური, ემოციური და შემოქმედებითი განდევილობის დრო იყო, ერთგვარი სასჯელი იმისთვის, რაც გამოიარა.

მაგრამ როცა კიტიმ თავისი განწყობა უცნობ მეგობარს ამცნო ტელეფონით, ის აღელვებით შეეპასუხა, – ტრაგიკული გარდაუვალობა უფროა და არა სასჯელი.

ემიგრაცია კიტის ძვალსა და რბილში გაუჯდა. გამუდმებული ბრძოლა მოგონებებთან ხასიათში გადაუვიდა. სიმრების შიში მისი მარადიული თანმდევი გახდა, რადგან იქ მარიამს შეეძლო მისი პოვნა.

სამაგიეროდ, კიტის გენერალისიმუსის სიცოცხლის ბოლო წლების პარანოია არ შეხებია, რამაც წარმოუდგენელი ძალით მოიყვა მთელი ქვეყანა. ის არ შესწრებია, როგორ ასმენდნენ პარტიის წევრები თავიანთ ცოლებს, რადგან მათი ღიმილი გენერალისიმუსს საეჭვოდ ეჩვენებოდა. არ შესწრებია სისხლიანი 30-იანი წლების მოგონების აღორძინებას კოლექტიურ შვგნებაში, სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრთა რიცხვის გაზრდას ოთხიდან შვიდამდე, არ შესწრებია გაშმაგებულ დევნას. როგორ მასხრად აიგდო გენერალისიმუსმა თავისი მიმდევრები, სამარცხვინო ბოძზე გააკრა, ქეციანი ძაღლებივით საჯარო მონანიება აიძულა. კიტის არაფერი გაუგია იმ კაცის შესახებ, სინოპტიკოსი რომ იყო, რადიოში ამინდის გამოცხადება ევალებოდა და კრემლში დაიბარეს, სადაც გაფრთხილება მიიღო, რადგან გენერალისიმუსი მისი ერთ-ერთი ამინდის პროგნოზით უკმაყოფილო დარჩენილა, და მისი მიმდევრები შიმობდნენ, რომ ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდათ. არაფერი გაუგია იმის შესახებ, რომ ბელადი მხოლოდ თავისი აგარაკიდან მართავდა სახელმწიფოს და იქ გონების დაკარგვამდე ათრობდა და მერე აცეკვებდა ქვეშევდრომებს. არც ის იცოდა, ხრუშჩოვმა რომ თქვა ამ ქეიფებზე: როცა ბელადი გეუნება, იცეკვე, თუ ჭკუა გაქვს, უნდა იცეკვო.

ერთ დილას, როცა კიტიმ, ჩვეულებისამებრ, მორიგი თეთრი კონვერტი გახსნა, ფულთან ერთად დაბეჭდილი წერილი აღმოაჩინა, ისევ ხელმოუწერელი:

“ყურადღებით ნაიკითხეთ, კარგად დაიმახსოვრეთ. მერე გაანადგურეთ, რასაც ნაიკითხავთ!

თქვენ ლონდონში გაემგზავრებით. იქ უკვე აღარავითარი საფრთხე არ გემუქრებათ. მომავალ სამშაბათს, ზუსტად დათქმულ დროს, შედით ტელეფონის კაბინაში, იქ დაგხვდებათ კონვერტში ჩადებული საჭირო ნებართვები და საბუთები. კარგად გაუფრთხილდით თქვენს პასპორტს. მეორე დღეს, ოთხშაბათს, რკინიგზის მთავარ სადგურზე დრეზდენის

მატარებელში ჩაჯექით, რომელიც 14:20 საათზე გადის. იქ მამაკაცი დაგხვდებათ, პირდაპირ ბაქანზე, ვარდების თაიგულს გადმოგცემთ და გაკოცებთ, თქვენც უნდა აკოცოთ, ოფიციალურად ის თქვენი საქმროა, იანი ჰქვია და დრეზდენის საბეჭდი მანქანების ფაბრიკაში მუშაობს ინჟინრად. ჟესტების ენაზე დაგელაპარაკებათ, თქვენ შიგადაშიგ თანხმობის ან უარის ნიშნად თავი უნდა უქნით. თუ იმპროვიზება მოგიწდებათ – რაც, ალბათ, არ უნდა გაგიჭირდეთ – ასევე ჟესტებით შეგიძლიათ ესაუბროთ.

დანარჩენს, როგორც კი ორივე უსაფრთხო ადგილას იქნებით, ის აგისხნით დანვრილებით და გადაგიყვანთ საზღვარზე. ბრიტანული სამხედრო მანქანით წაგიყვანენ ჰამბურგში და იქიდან გადაფრინდებით ლონდონში. ლონდონში ჩასვლამდე თქვენ ყრუ-მუნჯი ადრიენე ჰინრიხსი ხართ ლუქსემბურგიდან...”

კიტის იმდენი სასიყვარულო და ცხოვრებისეული ამბავი ჰქონდა მოგონილი თავისი მეორე მესთვის, ადრიენესთვის, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, რომ ის ყრუ-მუნჯი შეიძლება ყოფილიყო, არადა ეს იდეა აქამდე რომ მოსვლოდა, უამრავ რაიმეს გაუიოლებდა მის პრადულ ყოფას. ბევრჯერ გადაიკითხა წერილი, თან უსახელო მეგობრის თბილი, სანდომიანი ხმა ჩაესმოდა.

ლონდონი. კიტის ჩასვლა. სავალდებულო წვიმა გამოვტოვოთ, არა, ბრილკა?

ტრაფალგარის სკვერი და ბრიტანეთის ჰაერისკენ განვდილი კიტის ატმისფერი მკლავები, ჰაერისკენ, რომელიც იქ სულ სხვანაირი იყო, სხვა სუნი ჰქონდა, სხვა გემო.

პიკადილი და დანის უცაბედი გაელვება თავში, გაჭრილი არტერიიდან წამსკდარი სისხლის გახსენება. ჰაიდ პარკი და საკლასო ოთახი. ტაუერ ბრიჯი და ბინდში ჩაფლული ოთახი მთანმინდაზე. ვაითჰოლი და ანდროს თავი მის მკერდზე. პატარა ქალაქის მწვანედ შეღებილი ბაღის სკამები, ოდესღაც მომავალს რომ ჰპირდებოდნენ. დაუნივ სტრიტი და ნაიარევი მუცელზე, ბოტანიკური ბაღის სურათები, და ანდრო, ისევ და ისევ ანდრო.

ტემზა. კიტი გაჩერდა, გადახედა იმპოზანტურ მდინარეს. ასეთია თავისუფლების გემო? ასეთია თავისუფლების სუნი? ბედნიერი უნდა ვიყო ახლა? გადავრჩი? და რა უნდა ვუყო ახლა მთელ იმ დღეებს, კვირებს და წლებს, წინ რომ მელის? ოდესღაც ვენაში უნდოდა წასვლა, სურდა, ანდროს გაჰყოლოდა, რომ ის არ დაკარგულიყო, თავის თავში ჩაღრმავებული, რომ ანგელოზების გამოთლა გაეგრძელებინა, რომ აღფრთოვანებულს სამყარო ეჩვენებინა კიტისთვის, რომელიც დიდი ხნის წინ ამოიციო უკვე. მაგრამ მერე, როცა მისი ვენა ანდროს ოცნებებთან ერთად დაიმსხვრა, კიტიმ გადაწყვიტა, აღარ ეძებნა ახალი სამყარო,

ახალი კონტინენტები, ოცნების ქალაქები, რადგან ქვიშის ციხესიმაგრეები ზღვის მოქცევის დროს იძირება.

თავის პასპორტს ჩასვლისთანავე წაუკიდა ასანთით ცეცხლი და ფერფლად აქცია. აღრიენე ჰინრიხსი აღარ არსებობდა, დაიწვა, გაქრა, ახლა კიტი ჯაშისთვის იყო გზა გახსნილი. მაგრამ კიტი ჯაში ლონდონის ცენტრში ამაოდ ეძებდა საკუთარ თავს. ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ აღრიენესთან ერთად საკუთარი მეს უკანასკნელი ნარჩენებიც ჩაიფერფლა. ბუკინგემის სასახლესთან ცრემლები წამოუვიდა. უხმოდ ტიროდა, ზუსტად ისე, როგორც ზემო ვერის უცრემლო სასახლის ქალები. თითქოს იმისთვის კი არ ტიროდნენ, რომ დარდის ტყვეობისგან გათავისუფლებულიყვნენ, არამედ დარდის დაკარგვას უფრო დასტიროდნენ. დარდის, რომელიც შოკოლადის ფაბრიკანტის მემკვიდრე ქალების ბუნებრივი მდგომარეობა იყო.

სენტ ჯეიმსის სასახლესთან რაღაც შვების მსგავსი იგრძნო პირველად. თითქოს რაღაც საშინელების დასასრული იგრძნო. თავის დაკემსილ შემოდგომის პალტოს დახედა, ტალახიან, გაცვეთილ ფეხსაცმელს, უფორმო პლისე ქვედაკაბას. ხელი გადაისვა გაბურძგნილ თმაზე, კარგა ხნის შეუჭრელი რომ ჰქონდა. მის ირგვლივ იმდენი მშვენიერება იყო, რომ თავისი სიდუხჭირე უფრო მწარედ შეიგრძნო. დამალვა მოუნდა, ერთი წამით პრალა ინატრა, თავის ცხრა კვადრატში დაბრუნება. მერე სასწრაფოდ უკუაგდო ეჭვები და სეირნობა განაგრძო ნანატრი სიახლის შესათვისებლად.

კიტი თავისუფალი იყო.

* * *

კიდით კიდემდე სისხლის ღვარია,
ბელადები კი ტრაქტირის დახლზე
არაყს სვამენ და ნეტარ არიან.
ევტუშენკო

მეტროთი წავიდა ისტ ენდში, მისამართზე, „დრეზდენელმა საქმრომ“ რომ დააკვალაიანა. იქ ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის შეკრების პუნქტი იყო. ანკეტა შეავსო და განაცხადა, რომ არც ერთი ქვეყნის მოქალაქე აღარ იყო, რის შემდეგაც ოთახი გამოუყვეს. ვინრო საწოლი, ხელსაბანი, ტანსაცმლის საკიდი და რადიო. საერთო აბაზანაში დიდხანს იდგა წყლის ნაკადის ქვეშ, მერე დაეგდო საწოლზე და გაითიშა, თორმეტ საათზე მეტი ეძინა.

მიმშილმა გააღვიძა და, გარეთ გაიყვანა, იქვე ახლოს იაფ კაფეში თევზი და ჩიფსი იყიდა და ტროტუარზე ჩამომჯდარი ისე გემრიელად შეექცა, თითქოს მეფური კერძი შეეთავაზებინოთ, თან გამვლელებს ათვალიერებდა და თავის გრძნობებში გარკვევას ცდილობდა. იმ კაცმა

არ მოატყუა. პირობა შეასრულა. კიტიმ იცოდა, რომ იგი, ვინც უნდა ყოფილიყო, მთელი ცხოვრება გულში ეყოლებოდა, დავინწყებას ვერასდროს მისცემდა, მისი ხმით თავისი სახელის გაგონება მუდამ მოენატრებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, იპოვიდა კიდევ. შეხედავდა, სახით ამოიცინობდა და მადლობას ეტყოდა.

დროებითი საბუთები გადასცეს. წითელ ჯვარში გაუშვეს და თბილი ტანსაცმელი მისცეს. ინგლისური ენის კურსებზე ჩაწერეს. ისეთ შეკითხვებს არ უსვამდნენ, რომლებზეც პასუხის გაცემას ვერ შეძლებდა. სოციალური სამსახურის კეთილმოსურნე ქალებმა ღარიბთათვის განკუთვნილ სამზარეულოში გააგზავნეს, სადაც სისტემატურად აჭმევდნენ. აღრიცხვაზე აყვანიდან ორი კვირის შემდეგ შეკრების პუნქტის შესასვლელში ერთმა იამაიკელმა თანამშრომელმა გააჩერა კიტი და შეატყობინა, ჩემს ბიძაშვილს ისტ ენდში პაბი აქვს და დამხმარე სჭირდებაო. საბუთებს მაინცდამაინც არ უყურებს და მიდი, ცოტა ჯიბის ფულს მაინც გამოიმუშავებ, სანამ რამე გადაწყდებაო. კიტის გადაჭარბებულიც კი ეჩვენა ასეთი თანადგომა, იმ ჭრელთავსაფრიანი და კეთილთვალეებიანი ქალის გულწრფელობამაც დააეჭვა, დაბნეული გაჩერდა და ფრჩხილის კვნეცა დაიწყო. იმ ქალისთვის, როგორც ჩანს, ასეთი უნდობლობა პირველი არ იყო, ხელი მოჰხვია და გაამხნევა, წამოგყვებო.

მეორე დღეს პაბში დაიწყო მუშაობა.

კიტის ყოველი სიტყვის ეშინოდა. გაღიმებისაც ეშინოდა. წინა წლებში ისე მიეჩვია სიმართლევს, უკვე ხალხმრავლობა აფრთხობდა. მუშაობის პირველ დღეებში წამდაუნუნ ტუალეტში შერბოდა, რათა მხურვალ სახეზე წყალი ეპკურა, თანაც სარკეში საკუთარი თავისთვის შეესხენებინა, სიმშვიდე შეინარჩუნეო. თუმცა, პაბში შესულთაგან უმრავლესობა მას ზედაც არ უყურებდა, ოღონდ სპირტიანი სასმელი გადაეკრათ.

მოლუშული ხალხი იყო: მშენებლები, ტაქსის მძღოლები, ნარკოტიკებით მოვაჭრენი, მზარეულები, პარიკმახერები, მეძავეები – ყველა გართობას ემურებოდა, გულის გადაყოლებას, ყოველდღიურობიდან ერთი-ორი საათით დასხლტომითაც კმაყოფილი იყვნენ. ბევრი მათგანი, მის მსგავსად, ემიგრანტი იყო. ინდოელები, პაკისტანელები, მოროკოელები, განელები, იამაიკელები, კუბელები.

რამდენიმე ხანში კიტი უკვე კარგად გრძნობდა თავს მათ გარემოცვაში. მოსწონდა მათი ჩახლეჩილი ხმები, მათი ხუმრობები, სხვადასხვა ენა და განსხვავებული აქცენტები, მათი ვულგარულობაც კი. იმიტომ რომ ისინი სიბრალეულით კი არ უყურებდნენ, ისევე მოურიდებლად, უკმეხად და გულგრილად ეპყრობოდნენ, როგორც თავიანთ მეგობრებს, თანხლებთ და საკუთარ თავსაც. მიუხედავად ამისა, კიტის ყველაზე მეტად ყოველთვის დროის ის მონაკვეთი მოსწონდა, როცა მართო რჩებოდა პაბში, სკამებს მალლა რომ

შემოაწყო და იატაკს ხეხავდა, ჭიქებს რეცხავდა და ყუთებს ახარისხებდა. როცა სტუმრები გაიკრიფებოდნენ, როცა პაბი უკვე დაკეტილი იყო და მფლობელი თავის ოჯახს უბრუნდებოდა, მაშინ გრძობდა თავს კარგად, უსაფრთხოდ, ხურდა ფულს აგდებდა მუსიკალურ აპარატში და ხმამაღალ მუსიკას უსმენდა, სხეულით ძალაუნებურად აჰყვებოდა ხოლმე სხვადასხვა რიტმს.

მძიმე სამუშაო ქანცავდა, მაგრამ ამისიყ მადლობელი იყო, რადგან მთელი დამე აღარაფერი ესიზმრებოდა და ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. უქმე დღეებში თავის ოთახში იჯდა და გიტარაზე უკრავდა. დიდად არც ეხალისებოდა, არც რამეს ესწრაფოდა, მაგრამ მაინც. ყოველდღიური ყოფითობის და გარჯის მერე გიტარა სხვა რამეზე გადართვის საუკეთესო საშუალება იყო.

„ამხელა გზები გამოვიარე. იმ აჩრდილების ძებნაში, შენ რომ დამპირდი, იქვე დაგხვდებიანო. მაგრამ ისინი შორს წასულან ზუსტად შენსავით და უფრო მეტად. ჰოდა, მე მართო დავეხეტები ჩრდილთა ქალაქში, დავეხეტები და თავს ვიტყვ: გაგრძელება სჯობს თუ დაბრუნება; ნატვრის ჩათქმა სჯობს თუ თოფის დახლა, რადგან ჩემ გვერდით არა ხარ ახლა“.

მგონი, ეს პირველი სიმღერა იყო, კიტიმ ლონდონში რომ დაწერა. ჯერ მშობლიურ ენაზე დაწერა, მოგვიანებით თარგმნეს და თვითონ მღეროდა ინგლისურად ძლიერი, უჩვეულო და ცოტა გამოუცნობი აქცენტით. მახსოვს, ამ სიმღერას როგორ ვუსმენდით მანქანაში, ბრილკა, როგორ მიხსნიდი, რომ ამ მელოდით დაიწყო გარდატეხა კიტის მუსიკაში. მიყვარს მე ის, უპირველეს ყოვლისა, შენ გამო მიყვარს, ბრილკა, იმიტომ, რომ შენ მიმღეროდი, ისეთი გრძობით, ისეთი თავდავინყებით... კიდევ იმიტომ მიყვარს, რომ არ მასვედიანებს, კიტის სხვა სიმღერებისგან განსხვავებით, იმიტომ რომ შენ გვერდით მეჭეფი და ერთად მივქროდით უსასრულო, მტვრიან ზღვისპირა გზებზე და იმნუთას ბედნიერი ვიყავი, თუმცა მაშინ ჯერ ვერ ვხვდებოდი, რომ სწორედ ბედნიერება იყო ის, რასაც ვგრძობდი.

რამდენიმე კვირა იყო უკვე, რაც ქალაქს თავისი საშობაო აღკამუელობა ამშვენებდა. შობის წინა საღამოს პაბი ადრე დაცარიელდა. ულატაკესი ფენაც კი სადღესასწაულო სამზადისში იყო. როგორც ჩანს, ოჯახებთან ერთად აპირებდნენ დროის გატარებას.

სხვა აღმსარებლობის მოქალაქენიც კი, სხვა ადათ-წესებს რომ იცავდნენ, კრძალვას გამოხატავდნენ ამ ტრადიციისადმი და თავს იკავებდნენ, ზედმეტი რომ არ დაეღიათ.

მფლობელიც ჩვეულზე უფრო ადრე წავიდა პაბიდან, რადგან მაინც აღარავინ იყო იქ და კიტის შესთავაზა, რამდენიმე ჭიქა სასმელი უფასოდ აედო, დამატებით რამდენიმე მონეტა დაუნყო დახლზე, დაიმსახურეო. მერე ბედნიერი შობა უსურვა და კარი გაიხურა. კიტის არსად

ეჩქარებოდა. შობას მის სამშობლოში მხოლოდ მის დაბადებამდე ზეიმობდნენ. მერე აკრძალულად, რადგან ღმერთი გენერალისიმუსმა ჩაანაცვლა და უკვე რევოლუციის ან ბელადის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. მხოლოდ კიტის ღრმად მორწმუნე დეიდა ლიდა უჩუმრად ანთებდა სანთლებს და განმარტოებული ამ დღეს ლოცვით ეგებებოდა.

კიტი სწრაფად მორჩა ალაგებას, თუმცა არ ჩქარობდა თავშესაფარში დაბრუნებას. არც ისე დაღლილი იყო, ქალაქი კი ისე შემადრწუნებლად მშვიდი ჩანდა, მოგონებებისა შეეშინდა, ვაი თუ დაბრუნდნენ და მძევლად ამიყვანონო. დახლს მიუჯდა და პატარა ყოყმანის შემდეგ, ცხოვრებაში პირველად დაისხა ვისკი. მანამდე არასდროს გაესინჯა, ესიამოვნა მძაფრი სასმლის მწველი სითბო. კიდეც ერთხელ შესვა. მაგარმა სასმელმა, რომლის დაღვევასაც დევნილობაში თავს უკრძალავდა, სწრაფად იმოქმედა. პრადაში სენტიმენტალობას უფრთხობდა, ამას შეიძლებოდა უსიამოვნო შედეგები მოჰყოლოდა. ლონდონში კი ამის საშიშროება აღარ ემუქრებოდა, შეეძლო თავის ნებაზე ყოფილიყო, მით უმეტეს, როცა მართო რჩებოდა. იქ ის არავის ადარდებდა.

შვება იგრძნო და მელანქოლიასაც, რომლისაც ასე ეშინოდა, არ შეუწუხებია. პირიქით, გამხნევდა კიდეც. ერთ-ერთი თავისი სიმღერა წაიღიღინა, თანდათან უფრო უმატა ხმას და ისე გათამამდა, მთელი ხმით ამღერდა. უჩვეულო აღტაცებამ მოიცვა, ვისკის ბოთლს დაავლო ხელი, პირთან მიიტანა მიკროფონივით და პაბში შთაგონებით დატრიალდა, მთელი თავისი მსახიობური ნიჭი გადმოაფრქვია, მერე თვალები დახუჭა და წარმოსახვით მსმენელს თავი დაუკრა.

მოულოდნელად ტაშის ხმა შემოესმა ქუჩიდან. ფანჯარასთან მოდური წითელპალტოიანი წარმოსადეგი ქალი იდგა. და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. კიტი უცებ გამოფხიზლდა, დარცხვენილმა დახლზე დადგა ბოთლი და ბარბაცით დაიხია უკან. ეგონა, ქალი გაუჩინარდებოდა, მაგრამ მას ფეხიც არ მოუცვლია, ტაშისკვრას განაგრძობდა. უცებ ფანჯარაზე დააკაკუნა. კიტი იძულებული შეიქნა, კართან მისულიყო.

- დაკეტილია, - უთხრა ოდნავ გამოღებულ შეშინული კარის ღრიჭოდან.

- არაჩვეულებრივად მღერით. არაჩვეულებრივად! დაუჭერებელია! ეს რა ენაა?

- ინგლისურად ცუდად ვლაპარაკობ.

- თქვენს მშობლიურ ენაზე მღეროდით ხომ?

- დიახ, ქართულად.

- მსმენია, სადღაც რუსეთშია, არა?

- არა, საქართველო კავკასიაშია.

ქალმა გაიცინა და კიტის ანიშნა, შემოსვლა მინდაო.

- ჩვენ უკვე... სამუშაო საათები ამოიწურა... და მე უკვე...

- მე დიდად არ შეგანუხებთ.

კიტიმ ისევ აანთო შუქი დახლის გასწვრივ და შემოსულს ჭიქა მოხერხებულად დაუდგა სადგარზე. მან ვისკი ისურვა. ნაბი ქერა თმა ჰქონდა, ცალ მხარეს გადაწეული, და სასიამოვნო, ნათელი სახე, მწყობრი და ჰარმონიული ნაკვთები მოუჩანდა. უნაკლო, მიმზიდველი ქალი იყო, მაგრამ, მიუხედავად ნდობისა, რომელიც მის მიმართ გაუჩნდა, კიტი მაინც უხერხულობას გრძნობდა, რცხვენოდა და წუხდა, რომ ასე გათამამდა უცხო სინამდვილეში. თავიდან საუბარი არ გამოუვიდათ, მაგრამ ქალმა არ შეიმჩნია. ემი მქვიაო, გაეცნო, უბრალოდ, ემი. არავითარი მის ან მისის. გამოჰკითხა წარმომავლობა და მისი სიმღერებით დაინტერესდა, ასე კარგად როგორ შეარჩიე რეპერტუარი და ლონდონში როგორ აღმოჩნდიო. მიუხედავად იმისა, რომ ასე მოხდენილად ჩაცმული და დახვეწილად მოსაუბრე ქალბატონისგან – მისნაირს მართლა იშვიათად თუ ნახავდი იმ უბანში – ძნელი წარმოსადგენი იყო, მეტს თუ არა, იმდენივეს მაინც სვამდა, რამდენსაც იმ პაბის მუდმივი კლიენტები. ისევ და ისევ სთხოვდა კიტის, სასმელი დაემატებინა. დაძაბულობისგან ერთბაშად გათავისუფლდა, და თვითონაც განაგრძო სმა. ხოლო როცა ქალმა უკვე მესამედ წააქეზა, რამე მიმღერეო, მის ნება-სურვილს დაჰყვა და ჯერ მორცხვად წაილიდინა, მერე კი უმღერა, ხმამაღლა, დამატკბობლად, თანაც ისეთები შეასრულა, ბოლო ორი წლის განმავლობაში აღარც რომ გახსენებია, რომლებიც გონებაში ცოცხლობდა, ნება-ნება თხზავდა, რომელთაც გზა უნდა გაეგნოთ...

ქალი მონუსხულივით უყურებდა, დაძაბული და დაკვირვებული გამომეტყველებით, მაგრამ თან ნეტარი და ნასიამოვნები. შიგადაშიგ წარბებს სწევდა ან თვალებს მილულავდა, განსაკუთრებით, როცა ჩაღრმავებით უსმენდა.

- ბევრი რამის ცოდნაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებ, მაგრამ ნამდვილად ვერკვევი მუსიკაში. ჩემი დიდი სიყვარულია და უნდა გითხრათ, რომ თქვენ გამორჩეულად მღერით. საუკეთესოდაც კი. ამას უნდა მიხედოთ.

წასვლისას კიტი გულუხვად დაასაჩუქრა ფულით და ლუდის ეტიკეტზე თავისი მისამართი და ტელეფონის ნომერი დაუწერა.

- თუ რამეს გადაწყვეტ, დამირეკეთ. სიამოვნებით დაგეხმარებით, - უთხრა და ხელი გაუწოდა.

- თუ არ მიწყენთ, მინდა გკითხოთ, - შობას რატომ არ გეიმობთ? ასეთ დროს აქ რატომ ხართ? - შეჰბედა კიტიმ, ინტერესით დაელოდა პასუხს:

- მე ღრმა ათეისტი ვარ, ძვირფასო!

კიტის უნდობლობა მოეძალა, უნდობლობა, ბოლო წლების განმავლობაში რომ შეისისხლხორცა, ღრმად ჩაბუდებული უნდობლობა ადამიანების მიმართ. თითქოს მხოლოდ იმაში უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ მისთვის კარგი არავის სურდა, რომ თავის სიტყვას არავინ ასრულებდა. სწორედ რომ უნდობლად დაურეკა ემის

იანვრის დასაწყისში და მით უფრო მოეძალა ეს გრძნობა, როცა ემიმ სიხარული არ დამალა და მაშინვე შინ მიიპატიჟა.

კიტი მეტროთი კინგს კროსზე გაეშურა, ქალაქის იმ უბანში, არასდროს ყოფილა. მითითებულ მისამართზე აგურის სახლი იდგა, სადა და მკვიდრად ნაშენები, შავი რკინის ჭიშკრის მიღმა ჩამალული. ქუჩაზე სიწყნარესა და სიმშვიდეს დაესადგურებინა.

კიტი ჭიშკართან გაჩერდა. წამით შეყოყმანდა, უკან ხომ არ გავბრუნდეთ. ისტ ენდს შეეჩვია. იქ მისნაირი ბევრი ცხოვრობდა და თითქმის არაფრით გამოირჩეოდა. ხოლო ამ უბანში მისი ჩრდილიც კი თვალში საცემს ხდიდა მის უპოვრობას, მეტისმეტად შეუფერებელი, უცხო, უკიდურესად ღარიბი ჩანდა იმ გარემოებისთვის, იქაური მკვიდრი კედლებისთვის, დიდრონი ფანჯრებისთვის. მაგრამ მერე გამბედაობა მოიკრიბა და ბარი დარეკა. ოქროსფერსახელურიანი, შავად აპრიალეებული კარი ფართოდ გაიღო და სტუმარს ზღვისფერ კაბაში გამონწყობილი, ყურებამდე გაღიმებული ემი შეეგება. ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, კიდევ უფრო გაუმძაფრდა განცდა, რომ იქ მისი ადგილი არ იყო. ეგონა, რომ ემი ცალკე ცხოვრობდა, ბინაში, ის კი თურმე ორსართულიანი სასახლის ბატონ-პატრონი ყოფილა. სალონში შეიპატიჟეს, ერლ გრეით და ვაშლის ნამცხვრით გაუმასპინძლდნენ. ყვავილებით მოჩითულ სავარძელში ისე გრძნობდა თავს, როგორც ტროპიკულ ტყეში გზააბნეული ბინადარი ციმბირიდან. წითელი ჯვრის ნაჩუქარი იაფფასიანი კაბის გამო ისე შერცხვა, რომ თავიდან მკლავები მკერდზე მიიკრა, თითქოს ამით კაბის უხარისხობას მალავდა. ხოლო როცა კოხტასამოსიანი მოსამსახურე გოგო შემოვიდა ოთახში და თავის ქალბატონს ჰკითხა, კიდევ რას ინებებთო, კიტის უკვე გაქცევა მოუნდა.

მაგრამ იმ სახლის ქალბატონი მთლად ისე შესაფერისად არ იქცეოდა, როგორც იმ მონწესრიგებულ გარემოს შეეფერებოდა. მეტისმეტად ხმამაღლა და მოურიდებლად იცინოდა, დიდ თეთრ კბილებს და ვარდისფერ ღრძილებს აჩენდა. ისეთი თავშეუკავებელი მიმიკა ჰქონდა, ისე მაღლა სწევდა წარბებს, როცა რამე უკვირდა, ისე პრუნავდა ტუჩებს, როცა განსაკუთრებული აღტაცების გამოხატვა სურდა, ისე რჩებოდა პირდაფჩენილი, როცა მოსმენილზე ყურადღების გამახვილება უნდოდა, რომ ყოველივე ამას არაფერი ჰქონდა საერთო მაღალი წრის ქალბატონთან, მოსამსახურე რომ შესციცინებდა და მით უმეტეს, ყვავილებიან სავარძელთან, ძვირფასი სამოსისა და პაჩულის სურნელის მიუხედავად, რომელსაც იგი აფრქვევდა. ერთი სიტყვით, იმ გარემოსთვის უბრალოდ მას დახვეწილობა აკლდა.

ამჯერადაც უხერხულად წამოიწყეს საუბარი, მაგრამ კიტიმ სძლია თავს და ცოტა უფრო გაბედულად ილაპარაკა, ვიდრე მათი პირველი შეხვედრისას პაბში. რამეს როცა ვერ გამოთქვამდა, ჩანთიდან ამოიღებდა ხოლმე პრაღიდან შემორჩენილ დაფლეთილ ინგლისურ

ლექსიკონს, ერთადერთ სახსოვარს თავისი გადასახლებიდან, და იმ სიტყვაზე უთითებდა, რომელსაც ეძებდა. ემი კი ყოველ ჯერზე თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა მოხიბლული, თითქოს საოცრება იყო, რომ ორივე ენაში მოიპოვებოდა ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები.

ემი ინდოეთში დაბადებულია და თხუთმეტ წლამდე იქ იზრდებოდა. სამხედრო ატაშესა და მდიდარ მენარმეთა შთამომავლის უმცროსი და ერთადერთი ქალიშვილი იყო. მამამისს თითქმის მთელი ცხოვრება ბრიტანეთის არმიაში უმსახურია, აქედან ორ ათეული წელი სამხედრო ატაშედ გაუმწესებიათ კალკუტაში. ემისა და მისი სამი უფროსი ძმისთვის, კარგა ხანს სხვა სამშობლო არც არსებობდა. ემის იქ არ უშლიდნენ კლდეებზე ცოცვას და ველად სირბილს, კრიკეტის თამაშს და ტალახში ამოგანგვლას, სახტუნაოთი ხტუნვას და შეჭიბრს გასწრობანაში, უნმანური ანეკდოტებიც იცოდა და ვინც გაანაწყენებდა, სამაგიეროდ ენას გამოუყოფდა ხოლმე, ოღონდ ძმებს არ უნდა მოსცილებოდა, იმათ უნდა მიეხედათ მისთვის. ეს კიდევ მოსწონდა, რადგან მხოლოდ მათ გვერდით შეეძლო დაეღწია თავი, პოეზიის მოსაწყენი საღამოებისაგან, უსიცოცხლო თოჯინებთან გამომწყვევისგან, ტროპიკული კლიმატით მუდმივად დასნეულებული თეთრკანიან ინგლისელ გოგონებსაც ვერ ჰგუობდა, რადგან მათ უღიმღამო ოცნებები ჰქონდათ; ვიოლინოსა და სიმღერის გაკვეთილებიც მოჰბეზებოდა, სადაც დედას დაჰყავდა. მაგრამ მერე სამივე ძმამ სამხედრო სამსახური დაიწყო, ინდოეთში ცხოვრებას, უდარდელ თამაშებსა და თავგადასავლებს გამოემშვიდობნენ. თხუთმეტი წლის ემი გემით გაამგზავრეს ინგლისურ ინტერნატში. დევონშირის კეთილშობილ ქალთა სასწავლებელში მოეწყო თუ არა, ყველაფერი დასრულდა. ბავშვობა მისთვის იდუმალ ბაღნარად დარჩა, ჯადოსნური მოგონებებით გზადაგზა რომ ასაზრდოებდა მთელ მის უიღბლო ცხოვრებას. ორი ძმა ომში დაეღუპა, ომმა ქორნილი ჩაუშალა, ასე რომ, ომის დასრულების შემდეგ მარტო აღმოჩნდა ლონდონში, თუმცა მშობლების დიდი მემკვიდრეობის წყალობით – ფინანსურად უზრუნველყოფილი.

ემის და მის ძმას, ჯონის, ბავშვობიდანვე საერთო გატაცება ჰქონდათ: მუსიკა. მუსიკა მათთვის საიდუმლო ენა იყო, რომელსაც მათ ოჯახში მხოლოდ ისინი ფლობდნენ. მოპენი და შუბერტი ყოველთვის უყვარდათ, მაგრამ საეჭვო ჯაბსაც უსმენდნენ, ბიბოპზეც ცეკვავდნენ. მაშინ ჯერ კიდევ მალულად ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ, ვინ მეტი მუსიკოსი, მეტი ნაწარმოები იცოდა, ვის უკეთესი სმენა ჰქონდა, ვინ უკეთ იცნობდა მუსიკის ისტორიას. თუმცა ორივე რეალისტურად აფასებდა საკუთარ მუსიკალურ მონაცემებს და ხვდებოდნენ, რომ საშუალო მუსიკოსები იქნებოდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს, მსოფლიო რანგის მელომანები გამხდარიყვნენ.

ემი ბლიცკრიგში, დანგრეულ და აღორძინებამონადინებულ ლონდონში ეძებდა ღამდამობით თავგადასავლებს, დადიოდა საცეკვაოდ და ისტ ენდში უახლეს კლუბებსა და კულტურის ცენტრებს აკვლევდა, სადაც ყველაზე ამაღელვებელი, გადარეული და გამორჩეული მუსიკოსები გამოდიოდნენ. იმ წლებში მას კარგი მუსიკის უტყუარი ყნოსვა განუვითარდა. საეჭვო კლუბების მფლობელებს დაუმეგობრდა, ხშირად სტუმრობდა ისეთ სარდაფის ბარებს, ზნეობის პოლიციის რომ ეშინოდათ, ყველაზე მიყრუებულ კუთხეებს და პორტის იაფფასიან საცხოვრებელ ნავეებსაც არ ერიდებოდა, თუ მიაჩნდა, რომ იქ უცნობ ტალანტს მიაგნებდა.

სწორედ იმ დროს პირველად გამოუტყდა თავს ქალების მიმართ ლტოლვაში. ძმას – ჯონის, ერთადერთს, გულახდილად ელაპარაკა თავის მიდრეკილებაზე, მან კი მეგობარი გააცნო, მაგნუსი. მაგნუსმა მეორე უფროსი ძმა მოაგონა თავისი მორიდებულობით და მგრძნობიარობით. მაგნუსი თავისი მამის ერთადერთი მემკვიდრე იყო, ბრილიანტებით რომ ვაჭრობდა და ასე ეშოვა ძალიან დიდი ფული. გავლენიანი მამისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მის ჰომოსექსუალ შვილს სხვის დასანახად მაინც ეცხოვრა ისე, როგორც ამას საზოგადოებრივი წესები ითვალისწინებდა. ქორწილი სასწრაფოდ გადაიხადეს, მაგნუსს და ემის, როგორც იქნა, მიცვათ საშუალება თავისუფლად ეცხოვრათ, ისე, როგორც სურდათ. ემიმ ლონდონში, კინგს კროსზე წითელი აგურის სახლი იყიდა, რომელიც თავისი მშობლების გემოვნებით მოაწყო, ტრადიციული ოჯახის იერი რომ შეენარჩუნებინა. მაგნუსი ინგლისში ყოფნისას უმეტეს დროს უელსში ატარებდა, აგარაკზე, რომელიც მისი თავშესაფარიც იყო და სასიყვარულო ბუდეც და რომელსაც ემი, მისი პირადი სივრცის პატივისცემის გამო, არასდროს სტუმრობდა. ემი ლონდონში დარჩა.

მაგნუსი იმავე ტაქტით პასუხობდა და არასდროს ჩადიოდა ქალაქში გაუფრთხილებლად. საკმარისად დელიკატური იყო, რომ ცოლი უხერხულ მდგომარეობაში ჩაეგდო. გაურჯელად, უბრალოდ თავიანთი არსებობით, ცოლისა და ქმრის სტატუსით აჩუქეს ერთმანეთს ის, რაც ბედნიერებისთვის ყველაზე მეტად სჭირდებოდათ: თავისუფლება.

სოპოში, მაგნუსის ერთ-ერთ საყვარელ კაფეში, ეროტიკულ კინოთეატრებსა და ბორდელებს შორის რომ იყო ჩაკარგული, გაიცნო ემიმ ჟღალთმიანი ალქაჯი ფრედი.

ავსტრიელი ებრაელი, ნაკლებად ცნობილი მხატვარი ქალი, სახელად ფრიდერიკე ლიბლიხი, სახელოვნებო ასპარეზზე თავის წარუმატებლობას ლეგენდარული სასიყვარულო თავგადასავლებით ინაზღაურებდა. ამბობდნენ, ისეთი გულთამპყრობელი იყო, თვით საფოსტაც კი შურით გააფითრებდაო.

დღისით ისედაც დაუდევარი და ქვასავით უგრძნობი, თავხედი და გესლიანი, ეგოცენტრული, გამომწვევად არაორდინარული, ღამლამობით კიდევ უფრო მეტს დაეხეტებოდა და აღვირახსნილად ცხოვრობდა, პათოლოგიურად ვნებიანი, ნამდვილი ეროტომანი იყო. ამბობდნენ, წარმოსადგე ქალს, რა ორიენტაციისაც უნდა ყოფილიყო, შორს უნდა დაეჭირა მისგან თავი, ყველას მონუსხვა შეეძლო თურმე. თუმცა მხოლოდ პრობლემებს ქმნიდა, არც ფული ჰქონდა, არც მუდმივი საცხოვრებელი, ნოემბრის ქარივით დაატყდებოდა თურმე თავს, გამოსძალავდა, ვისაც რა ჰქონდა და უჩინარდებოდა ისევ ისე მოულოდნელად, როგორც ჩნდებოდა.

მაგრამ ემის ყველა ეს არასასიამოვნო ჭორი ჟღალთმიანის შესახებ ქათინაურად და მაგიურ სიტყვებად უფრო ჩაესმოდა. ხოლო როცა პირველად დაინახა, როგორ იჭდა სიფრიფანა უცხო ქალი ბართან, როგორ ჩურჩულებდნენ მასზე დანარჩენი სტუმრები, ყველა ხერხი სცადა, რათა ჟღალთმიანი გამოლაპარაკებოდა და ყველაზე ძვირად ღირებული ვისკი გაუგზავნა, რაც კი იმ ბარში მოეპოვებოდათ.

ფრედს თავპატიჟი არ გამოუდია და სულ მალე ემის მიუჭდა მაგიდასთან. საშინელი გერმანული აქცენტით საუბრობდა, კატასავით ვიწრო თვალებს აცეცებდა, მამაკაცის თეთრი პერანგი ეცვა და მუშის შარვალი, ბოლოებაკეცილი. თმა წითლად უღუოდა ბარის ბინდ-ბუნდში და სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ემიმ ფრედის გაარშიყება არად ჩააგდო, რამდენიმე კვირა იმ ბარში აღარ გამოჩენილა, ცნობისმოყვარეობა კი მოეძალა. აინტერესებდა, მართლა სიყვარულის ჯადოქარი იყო ის ალქაჯი თუ არა, რადგან, მრავალფეროვანი გამოცდილების მიუხედავად, დროთა განმავლობაში რომ დაიგროვა ბარებში, საცხოვრებელ ნავეებზე, კლუბებსა თუ სხვადასხვა წვეულებაზე, ემი ჯერ კიდევ უხერხულად გრძნობდა თავს. რცხვენოდა თავისი ვნების, რცხვენოდა თავისი მიდრეკილებების და არ იცოდა, სად იყო მისი წადილის საზღვარი. ასე რომ, ემი ისევ წავიდა სოჰოში, ყოველდამე რამდენიმე საათს ატარებდა ლოღინში, დახლთან იჭდა, ჯინ ტონიკს სვამდა და ცდილობდა, გულგრილი იერი მიეღო. ბოლოს, სამი დღის შემდეგ, ფრედიც გამოჩნდა. ამჯერად ვისკით გამასპინძლება არ დასჭირვებია, ფრედიმ პირდაპირ მიაშურა, ხელი გაუწოდა და ამცნო, სურათი გავყიდე და ფული გამიჩნდა, ახლა ჩემი ჯერია, რომ დაგპატიჟო და ამ უღიმღამო სარდაფზე უკეთეს ადგილებზე მიგინვიო.

მთელი ის მიდამო მოიარეს, ერთობოდნენ, სვამდნენ, მოურიდებლად კოცნიდნენ ერთმანეთს შუა ქუჩაში და ბოლოს ემისთან ამოყვეს თავი. ალქაჯი რამდენიმე დღე დარჩა იქ, ემი თავს ევლებოდა და ვნებისა და აღფრთოვანებისგან გაფართოებული თვალებით შესცივნიებდა. ამის მერე ჟღალთმიანი ისევ გაქრა და კვირების განმავლობაში აღარ

გამოჩენილა. ემიმ კი იცოდა, რომ ფრედისგან არაფრის მოლოდინის უფლება არ ჰქონდა, ის ისეთი იყო, როგორც იყო, ამის მიუხედავად, მაინც მოტყუებულად გრძნობდა თავს. აქეთ-იქით დაძრწოდა, ღამეულ არსებებს ეკითხებოდა თავისი შეყვარებულის შესახებ, ბარმენებს ფუნტიანებს სტენიდა, ფრედის ასავალ-დასავალი რომ გაეგო, მაგრამ ამოად.

ფრედი არსად ჩანდა. მისი პოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თვითონ თუკი მოინდომებდა ამას, ასე დაასკვნა ემიმ იმ დროიდანვე. ხოლო როცა ფრედი ისევ გამოჩნდა და ვითომც არაფერი მომხდარიყოს, კარზე ზარი დარეკა, ემიმ ისეთი სცენა მოუწყო, მერე თვითონვე რომ შერცხვა. მაგრამ რას იზამდა, აღიარებდა, რომ არც ერთი ადამიანი არ უნდოდა ამ პლანეტაზე ისე, როგორც ის პატარა, სიფრიფანა ქალი, რომელიც მხოლოდ თავისი თმის ფერით თუ იქცევდა ყურადღებას და არაფრად აგდებდა ურთიერთობის ნორმებს, უგემოვნობასა და უპატივცემულობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ბუნებრივია, ისევე როგორც ყველა ქალს, მანამდე და მას მერე, ემისაც უნდოდა, პირველი დიდი გამონაკლისი გამხდარიყო ფრედ ლიბლიხის სასიყვარულო ცხოვრებაში. მოთმინებითა და დიდი ლმობიერებით, მრავალი მაცდუნებელი შეთავაზებით, უპირობობით, თავისი რბილი, დამთმობი ხასიათით, ხალისიანობით – ავსტრიელი ქალი აშკარად მელანქოლიისკენ იყო მიდრეკილი – თავისი შთამბეჭდავი სითამამით სასიყვარულო თამაშების დროს უნდა მოეთვინიერებინა ალქაჯი და ნდობით განემსჭვალა. გარდა ამისა, ემის ჰქონდა ის, რაც ალქაჯს არ გააჩნდა და რაზეც ის, როგორც ყოველი ადამიანი, დამოკიდებული იყო – ფული. მართალია, თვითონ ემისთვის კეთილდღეობას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორ შთაბეჭდილებასაც ტოვებდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, რამხელა ძალაუფლების მოპოვება შეიძლებოდა გულუხვობით.

მომდევნო კვირების განმავლობაში ემიმ შეყვარებულს ძველი სასაწყობე ფართი უქირავა სოჰოში, და სახელოსნოდ გადააკეთებინა. მაგნუსის ხელოვნების მოტრფიალე რამდენიმე მეგობარს დაურეკა, გაენდო მათ, რათა ყალბი სახელით შეეკვეთათ ფრედ ლიბლიხის სურათები და ყველაფრით უზრუნველყო, რის უკმარისობასაც ასე მტკივნეულად განიცდიდა ფრედი, მაგრამ, იმ დროს, ემი ჯერ კარგად არ იცნობდა თავის შეყვარებულს, არ იცოდა, რომ მას გაჭირვების მეტი არაფერი ენახა ახალგაზრდობიდან და უპოვრობა-სიდუხჭირეში ყოფნა მისთვის ბუნებრივი მდგომარეობა იყო. დანაკლისს კი იოლად ივსებდა: ღამდამობით სოჰოს და ისტ ენდს შემოივლიდა ხოლმე, მეორე დილას კი უჩემრად გაცვლებოდა შიშველ ქალებს. ამ დროს ისეთი გრძნობა გაუელვებდა, რომ თითქოს ყველაფერზე ხელი მიუწვდებოდა, თითქოს მთელი მსოფლიო მისი იყო და ეს ხანგრძლივდებოდა მანამ, სანამ

მონატრება ისევ ქუჩაში არ გამოაგდებდა. როცა საღებავები უთავდებოდა, ფანქრით ხატავდა ხელსახოცზე. თუ ზამთრის პალტო არ ჰქონდა, საბანი და ფული არ გააჩნდა, ბარში სასმელი ეყიდა, ისე დაჟინებით მიაჩერდებოდა რომელიმე ქალს თავისი კატის თვალებით, სანამ ის არ შეეკითხებოდა, ყველაფერი ხომ კარგადააო. მერე უკვე ჟინიანი ბავშვივით გასდიოდა, რომ გამასპინძლებოდნენ.

ემის სხვა რა დარჩენოდა, როგორღაც შეეგუა ფრედის დაუდგარ ხასიათს, მაგრამ, დროდადრო ისევ მოეძალებოდა მრისხანება, რასაც განაქარვებდა ხოლმე გულისამაჩუყებელი სიყვარულის ახსნა და მიდევნებული წყევლა-კრულვა. ამას მხოლოდ იმიტომ უძლებდა, რომ მაინც ეიმედებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ფრედ ლიბლის თავისად დაიგულებდა. რაც უნდა ყოფილიყო, ემის ინდოეთი სისხლში ჰქონდა, უარის თქმა და დანაკლისის ატანა მასაც შეეძლო და ყოველთვის აღწევდა სანადელს, მას კი ფრედი სწადდა, ამაში სრულიად დარწმუნებული იყო. თუმცა მაგნუსი, ჯონი და მათი მეგობრები დაუღალავად ცდილობდნენ შთაეგონებინათ, რომ უნდა ესწავლა, შეუცვლელი გამხდარიყო თავისი შეყვარებულისთვის. ერთ მშვენიერ დღეს ფრედსაც დასჭირდებოდა რამე, სხვა ყველაფერზე მეტად, იმ ელვარე და თავდავინყებულ თავგადასავლებზე მეტად, თვით სიცოცხლეზე მეტად დასჭირდებოდა და ემი შეუძლებელს შეძლებდა, მიუწვდომელს მისწვდებოდა მისი გულისათვის.

ეგებ გაორებული და სიყვარულისგან მოქანცული ემი ასე უკანმოუხედავად არ გადაშვებულებოდა თავგადასავალში კიტისთან, რომ არა ორი მოვლენა, მათ შეხვედრამდე: ფრედის მორიგი გაუჩინარება და ჯონის დაბრუნება ინდოეთში. მისი გამგზავრებით თითქოს კავშირი განყდა ბავშვობასთან, ემის კი მარტოობის ეშინოდა. მაგნუსი ან მოგზაურობდა, ან უელსში იყო. მას თავისი ცხოვრება ჰქონდა. იყო დღეები, როცა ემიმ აღარ იცოდა, სად იყო მისი ადგილი. ვის ან რას უნდა შეეხსენებინა მისთვის საწყისი და ამომავალი წერტილი? როგორ უნდა მიმხვდარიყო, რომ იმ წარმომავლობის, იმ ბავშვობის, თავისი ცხოვრების ერთგული რჩებოდა? სამოგზაუროდ წასულიყო? ძმას გაჰყოლოდა? და ასეთ დროს, რასაკვირველია, კიტის გამოჩენა ის ხავსი აღმოჩნდა, რომელსაც ემი მოეჭიდა.

ლტოლვილი საბჭოთა კავშირიდან, თანაც საკვირველი მომღერალი, ნიჭიერი ლტოლვილი. პატარა სენსაცია. კომუნიზმის შავ ბრჭყალებს თავდაღწეული და კაპიტალიზმში გადასროლილი. და სანამ მისი ახალი მონაპოვარი აღმოაჩენდა, რომ ამ ქვეყანასა და ამ ქალაქში უტოპიის ადგილი არ იყო, რომ ეს ახლად ჩასულ ბედისმადიებელთა ოცნებების ახდენის ადგილი არ იყო, ემის უნდა ემოქმედა, ამ ნაღვლიანი და დაეჭვებული ადამიანისთვის თავისი საკუთარი უტოპია შეეთავაზებინა. უნდა მოეხერხებინა მისი დატყვევება, მისთვის ოცნებების წნული

შემოვლობა, რომ დარჩენილიყო, რომ თავისი ნიჭი არ გაეფლანგა, რომ სამშობლო არ მონატრებოდა, რომ სიმღერა არ შეენწყვიტა.

ბუსტად ისე, როგორც ოდესღაც, ძმებთან ერთად, წარმოსახვით ახარა ბაღი აღმაფრენისა და მიწიერისა, ქვიშისა და წარგავებისა და ერთმანეთის ნდობა-ერთგულებისა.

მეორე შეხვედრისას ემიმ კიტის უკვე შესთავაზა მასთან მანსარდაში დაბინავებულიყო – ქმარი არასდროს არის შინ და უმეტესად მართო ვარ, ფული საკმარისად მაქვს, სიამოვნებით დაგეხმარებით, – უმეორებდა ხაზგასმით, და როცა შეატყო, რომ კიტი მეტისმეტად ამაყი იყო მონყალების მისაღებად, გამოსავალს მიაგნო, ქირა გადაეხდევიანებინა. და მისი მუსიკალური შესაძლებლობა მოიშველა. ჩემს ერთ-ორ მეგობართან უნდა წარგადგინო, მუსიკის დარგში მოღვაწეობენ; ერთი მათგანი ჯაბკლუბის მფლობელია, მჯერა, რომ მოგისმინონ, სამუშაოსაც გამოგიჩინებენო. შესაბამისად, აღარ გაგიძნელებდა, ქირა გადამიხადო.

კიტი რომ ამ შეთავაზებაზე დაეთანხმებინა, ემის კარგა ხანი და მთელი თავისი საბრიანობა დასჭირდა, მაგრამ როცა თავისი ერთადერთი ჩემოდნითა და გიტარით ხელში კინგს კროსზე მდებარე სახლში მივიდა კიტი, მანსარდის შემხედვარეს გული აუჩუყდა.

სარკმელთან ახალთახალი საწოლი, სასიამოვნოდ შეღებილი წიგნის თაროები, ჯერ კიდევ საღებავის სუნი რომ შერჩენოდა. გაკრიალებული ჭურჭელი პატარა სამხარეულოში, უხმარი პირსახოცები – ამ ყველაფერმა დააჯერა, რამდენად მოხარული იყო ემი მისი დაბინავებით. გულმოდგინედ უზრუნია საცხოვრებელის მოსაწესრიგებლად. კიტი საწოლის კიდებზე ჩამოჯდა და საათზე მეტ ხანს იყო ასე გაუნძრევლად, დაფიქრებული, თან გაოცებული და მადლიერი ამ სიკეთით, თან სიმორცხვე მოეძალებოდა ამ უცხო ქალთან დასახლების გამო.

ემის სახლი ნელ-ნელა ივსებოდა. მოდიოდნენ მეგობრები საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლის სანახავად. ყველას აინტერესებდა, როგორ მოახერხა გამოქცევა, რატომ გადანწყობა მაინცდამაინც ლონდონში ჩამოსულიყო და რას საქმიანობდა ადრე. მოიძიეს მსოფლიო რუკები, იპოვეს იქ შავი ზღვა და საქართველო. მაგნუსიც კი ჩამოვიდა საგანგებოდ უელსიდან ლონდონში, რომ თავისი ცოლის ახალი გატაცება შეეთვალაიერებინა. ყველა აღტაცებული იყო ემის ქმედებით, რომელმაც ლტოლვილთა ბანაკს გამოსტაცა კიტი და ლონდონის თავისუფალ საზოგადოებაში შეუძღვა. ყველა სტუმარი და, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ემი სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ კიტი საოცრება იყო, რომელიც მხარდაჭერას საჭიროებდა და აღტაცებას იწვევდა. კიტი, რომელიც ისტ ენდში განაგრძობდა მუშაობას და, სულმოუთქმელად ელოდა თავისი იდუმალი მეგობრის ბარს, გულგრილად აღიქვამდა ემის ქება-დიდებას და მისი მეგობრების დაინტერესებას კიტის მუსიკით,

თითქოს ყველაფერი ასეც უნდა წარმართულიყო. ამაში არტისტული მონაცემებიც გამოადგა. თვითონ თხზავდა ამბებს გადმოხვეწის შესახებ, გამოგონილს და სინამდვილეს ერთმანეთში აზავებდა და იმას აწვდიდა მსმენელს, განცვიფრებულები სამუზეუმო ექსპონატივით რომ შესცქეროდნენ, ბუსტად ისე აღიქვამდნენ მის მონათხრობს, რისი დანახვა და გაგონებაც მათ უნდოდათ.

და სწორედ მაშინ ფრედიც გამოჩნდა.

* * *

საოცრებაა, საოცრებაა! რა მშვენიერი დამეა სიყვარულისთვის, მეც აქ ვარ, შენც აქ ხარ, მართლაც რომ საოცრებაა!
ლევანდერი

იანვრის ერთ ნისლიან საღამოს გამოცხადდა ფრედი კინგს კროსზე, სალონში მაგიდას მიუჯდა და იკითხა, რამეს ხომ მაჭმევთო. ემი, ერთი მხრივ, სიხარულისგან გადაირია თავისი სათაყვანებელი არსების დაბრუნების გამო და, იმავდროულად, აღამფოთა მისმა თავხედობამ, სასხვათაშორისოდ რომ შემოეხეტა მის სახლში და გულგრილი გამომეტყველებით საჭმელი მოითხოვა. თვითონ გაიქცა სამზარეულოში, რადგან მზარეულს და მოსამსახურეს თავისუფალი დღე ჰქონდათ, სწრაფად მოუმზადა ვახშამი. მერე მაგიდის მეორე ბოლოში დაჯდა და შესცქეროდა, როგორ მიირთმევდა ფრედი, თითქოს უჭმელი ბავშვი იყო, როგორღაც რომ განაცხადა, მშიაო.

ზემოდან გიტარის ხმა ისმოდა და პირგამოტენილმა ფრედიმ ჭერს ახედა.

- თავს დავდებ, ჯერ არაფერი გაგიგია ჩემი ახალი მეგობრის შესახებ, - დაიწყო ემიმ ფრთხილად. სიტყვა „მეგობარი“ სრულიად შეგნებულად აირჩია. ფრედიმ თავი გააქნია, თეფშზე საჭმელი დაიმატა.

ემი აღფრთოვანებული უყვებოდა კიტის შესახებ და თვალყურს ადევნებდა შეყვარებულის რეაქციას. ეგონა აეჭვიანებდა, მაგრამ მხოლოდ ცნობისმოყვარეობა ამოიკითხა. თუმცა მაშინვე დანებდა, როგორც კი ჟღალთმიანი ფრედი მიუახლოვდა და მოეფერა, ისეთი სიტყვები უჩურჩულა, მისი მონატრებით გამონვეულ ტანჯვას რომ ადასტურებდა.

ცოტა ხანში ემის საძინებელში აღმოჩნდნენ.

კიტის ნუხანდელი მელოდია უტრიალებდა გონებაში და მთელი ის დღე ახალ სიმღერას ეწვალებოდა, რომელიც ისე იოლად არ გამოსდიოდა, როგორც სხვები. გაღიზიანებულმა გვერდზე გადადო გიტარა და ქვევით ჩავიდა ემისთან, რჩევის საკითხავად, რადგან ემი მთელი სიზუსტით გრძნობდა კარგ მელოდიას. ამის მიუხედავად კიტის არც ერთი წამით არ ჰქონია იმის იმედი, რომ ემი მართლა დაეხმარებოდა

მუსიკალური კარიერის გაკვაღვაში - თუმცა იგი გამუდმებით აჯერებდა. რაც მთავარია, საკუთარი მუსიკალურ შესაძლებლობებში მართლა დაარწმუნა..

მაგრამ სალონში არავინ იყო, მხოლოდ აულაგებელმა მაგიდამ მიახვედრა, რომ ემი სადღაც იქვე უნდა ყოფილიყო. კიტის მოერიდა უიმისოდ სალონში დარჩენილიყო და ისევ თავის სამალავს მიაშურა. მოულოდნელად პირველი სართულიდან განწირული ყვირილი მოესმა. ვიღაც ქალი გაჰყვიროდა, ხმა არ ეცნო. მერე ემის ლანძღვა გაიგონა და სახლის კარის გაღება.

“რაც გინდა, ის ქენი, ვნახოთ ერთი, თუ გადარჩები, მე შენი მზარეული კი არ ვარ, ამას ჩემი ცხოვრების მიზნად ვერ დავისახავ, არ მინდა, დიდი მადლობა!” მერე კიტიმ მძიმე კარის მიჭახუნება გაიგონა.

ერთხილად გამოალო თავისი ოთახის კარი და ღრიტოში გაიხედა, ჩუმად ჩაიარა რამდენიმე საფეხური და სალონისკენ მიმავალი უცნობი დაინახა, მაგრამ როგორც კი მან კიტი შეამჩნია, შეაჩერა და მისკენ დაიძრა, ხელგამოწვილი, რათა მისალმებოდა. კიტი გაოგნდა, არ იცოდა, თვალები სად წაეღო, იმიტომ, რომ უცნობი ქალი სრულიად შიშველი იყო.

- ვერაფრით დავნაყრდი, ისევ უნდა ვჭამო. არ გინდა კომპანია გამინიო? - იკითხა ჟღალთმიანმა უცნობმა და აულაგებელ მაგიდას მიაშურა და მონარჩენ საჭმელს დაეძგერა. - ჰო, მართლა, მე ფრედი ვარ, - დასძინა მრავალმნიშვნელოვნად.

კიტის არ უნდოდა, უზრდელობა გამოეჩინა. ჭამის დროს სტუმრის მართო დატოვება მის სამშობლოში გაუგონარი იქნებოდა. მაგრამ ის სამშობლოში აღარ იმყოფებოდა და თანაც მის ქვეყანაში სტუმრები შიშვლად არ დატანტალებდნენ. თავდახრილი გაჰყვა სალონში, ხმის ამოუღებლად, ერთგული მსახურივით, ფანჯარასთან მივიდა და პატარა ებოს გახედა სახლის წინ, უცხო ქალის სიშიშვლისთვის რომ აერიდებინა თვალი.

ფრედი ხმამაღლა აწკლაპუნებდა პირს, მერე მოინმინდა ტუჩები, იქაურობას შეჩვეულმა ბარიდან ვისკი გამოიღო და ჭიქა გაუნოდა კიტის.

- გეყოფა, რა გჭირს? შიშველი ქალი არასდროს გინახავს? სიჩქარეში ჩემი ტანსაცმელი ვერ ვიპოვე. შენს ნაქსოვ ჟაკეტს თუ მათხოვებ, მეტი აღარ მოგიწევს ჩემი ღვთაებრივი სხეულის ატანა, საყვარელო.

კიტიმ მაშინვე გაიხადა ჟაკეტი და ისე გაუნოდა, არ შეტრიალებულა.

- გმადლობ, საყვარელო, - გაიცინა ჟღალთმიანმა და ვისკის ჭიქა ფანჯრის რაფაზე დაუდგა. - გაგვიმარჯოს!

ახლადა გაბედა კიტიმ მოტრიალებულიყო და სტუმრისთვის შეეხედა. ქალი ახლოს იდგა მასთან. ძალიან ახლოს. მას ემის სუნი ასდიოდა, ემის მრისხანების სუნი. ჟღალთმიანმა გაუღიმა. მაგრამ მისი ღიმილი არ ჰგავდა კიტისთვის უკვე ნაცნობ დასავლეთის კეთილგანწყობილ ღიმილს.

ხალისიანად უღიმოდა, ამოუცნობი ხალისი გადაეფინა სახეზე, მწვანე თვალები ავადმყოფურად უელავდა. შეუღებავ ვინრო ტუჩებზე არაბუნებრივი წითელი ფერი ედო, ისე გამოიყურებოდა, თითქოს ძალიან ბევრს ინდომებდა და ძალიან ცოტას იღებდა.

იმ წითელმა ტუჩებმა კიტის ისევ მოაგონა ჩაბნელებული ბინა მთანმინდაზე, გადაჭრილი ყელიდან გადმომსკდარი სისხლი... ამასობაში მწველი სითხე ერთიანად გადაყლურნა და თვალები მაგრად დახუჭა, ძალიან არ უნდოდა ამ უცნაური არსების წინაშე წონასწორობა დაეკარგა.

ის სიახლოვე, ის სუნი, ფანჯრის რაფაზე ის ხელი მთელი სხეულით რომ ეყრდნობოდა, მეორე ხელი – ვისკის ჭიქით, ყველაფერი მეტისმეტად ახლობელი იყო, მეტისმეტად დამაბნეველი. კიტი ასე რომ დაფრთხა, შეიძლება მისი სიშიშვლით არც გამოწვეულა, ალბათ უფრო შიშის აღმძვრელი სიახლოვით. ის წუთი აუტანლად ეჩვენა კიტის, შეშინდა, რადგან პირველად მას მერე, რაც თავისი ქვეყანა, ჩვეული ყოფა დატოვა, პირველად აღმოჩნდა ადამიანის წინაშე, რომელიც მისგან არ მოითხოვდა, ქვევიდან ზევით ეცქირა. ადამიანი, რომლის მხერასაც მისი გარდაქმნა არ სურდა.

წითელი ტუჩები და მკვდარი ბავშვი. დაბადება, სიცოცხლის ზეიმი რომ უნდა ყოფილიყო, სიკვდილის სამუდამო სამსახურში ჩადგა. იატაკზე დაყრილი ბიგუდები და სულის შეხუთვა. მარიამი, მარიამი, მარიამი, მარიამი.

კიტის ძალიან უნდოდა ის ქალი იმავე წუთას გამქრალიყო. სძულდა მისი გამჭოლი მზერა. სძულდა მისი სიშიშვლე. სიმშვიდით სავსე სახლში მისი ყოფნა აღიზიანებდა, მისი გამოჩენა ომის გამოცხადებას ჰგავდა. სძულდა საკუთარი როლი – თითქოს მუზეუმის ექსპონატი იყო – რომლის თამაშიც უნევდა იმ სახლში, რადგან ქალმა ეს იცოდა. ორივე ჩუმად იყო. წითელთმიანს სახე შეეცვალა. დასერიობულადა, პირი მოკუმა, კატის თვალები მოჭუტა.

კიტი მის წასვლას ნატრობდა და თან უნდოდა, რომ დარჩენილიყო. იმ გულახდილობის გამო უნდოდა მოთხოვნა წაეყენებინა. უნდოდა, რომ იმ ქალს მის სახესთან სარკე მიეახლოებინა, რათა მის დაუნდობელ შუქში კიტის საკუთარი თავისთვის შეეხედა. ფუჭი იმედის გარეშე. ამოო მოთხოვნებისა და მოლოდინის გარეშე.

ახლა უკვე სულერთი იყო, ცხოვრებამ მოატყუა ის თუ პირიქით. ჯერ კიდევ ვარ ადამიანი თუ არაო, დილაობით, თავის სხვენში მარტოდ დარჩენილი, ამას ეკითხებოდა გამუდმებით საკუთარ თავს, როცა ახალგაღვიძებულ ქალაქს ყურს უგდებდა. რა აზრი ჰქონდა სიცოცხლის გაგრძელებას? ეს კითხვაც მოსვენებას უკარგავდა. ეს სიმღერები მხოლოდ ჩემი არსებობის გამართლების უგერგილო, საცოდავი მცდელობები ხომ არ არისო? ამის პასუხსაც ეძებდა.

ახლა იმასაც კი ფიქრობდა უკვე, რომ ის თვეები, ის ადამიანები, ის ქუჩები, ის ადგილები და იმედები სხვა არაფერი იყო, თუ არა მოლანდებები. იქნებ საერთოდ არც არსებობდა, მხოლოდ სხეულიდა შერჩენოდა, ყოველდღე მეტროს სადგურისკენ რომ მიიწვედა; ყველაფერი კი, რაც ოდესღაც ყოფილა, რასაც ოდესღაც წარმოადგენდა, სადღაც, მიღმიერიდან, ჭიატებდა. ან იმ საკაცებზე დაეღობა სული საკლასო ოთახში, ან იმ ჩაბნელებულ ბინაში, მთანმინდაზე ან იმ წამს, როცა მარიამის სიკვდილი შეიტყო.

გადასახლებაში, როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ გადასახლებაში, ალბათ ყველაზე ტრაგიკული ის იყო, რომ ადამიანი ყველაფერს რეალურად აღიქვამდა, აღარაფრის შელამაზება არ შეეძლო, საკუთარი თავი ზუსტად ისე უნდა მიეღო, როგორიც იყო. აღარც იმას გააჩნდა მნიშვნელობა, რას წარმოადგენდა წარსულში, და აღარც ის შეეძლო, წარმოედგინა, რა ელოდა მომავალში.

ფრედი ფანჯრის რაფაზე შემომჭდარიყო, შიშველ ფეხებს ჰაერში აქანავებდა, ბავშვივით ანცობდა და კიტის უყურებდა. მერე ბოთლს ხელი დაავლო და კიტის ჭიქაში ვისკი ჩაამატა. კიტის ეს ფიზიკური სიახლოვე არ სიამოვნებდა, მაგრამ ვერც მის დარღვევას ბედავდა. რადგან ასე შეეძლო უბრალოდ ესუნთქა, დაეღობა, ჩუმად ყოფილიყო და ნისლიანი დღისთვის ემზირა. მეტი არაფერი მოეთხოვებოდა. იმ უცნობ ქალს ლაღი და უდარდელი გამომეტყველება ჰქონდა. ეს კიტიზე რაღაცნაირად დამამშვიდებლად მოქმედებდა. მიწისძვრაც რომ მომხდარიყო და სახლი ჩამონგრეულიყო, მაინც იქ იჯდებოდა. ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა და პირი გააღო, რომ ქვემოთ კარმა გაიჭრიალა და დერეფანში ემის ნაბიჯების ხმა გაისმა.

კიტი უსწრაფესად მიტრიალდა და დარცხვენილი გავარდა სალონიდან, თითქოს არ უნდოდა რაღაც აკრძალულზე წაესწროთ. სანამ ოთახს დატოვებდა, წითელთმიანმა ნაქსოვი ჟაკეტი გადაუდგო, თითქოს მიუხვდა და თამაშში აჰყვა.

მომდევნო კვირების განმავლობაში ფრედმა ემის სახლში დაიღო ბინა. ერთად ჭამდნენ და ერთად უსმენდნენ მუსიკას. სადამოთბობით ფრედი და ემი სასეირნოდ გადიოდნენ და მხოლოდ გამთენიისას ბრუნდებოდნენ. ემი ბედნიერი ჩანდა, უფრო მეტად ბრუნავდა თავის გარეგნობაზე, ვიდრე სხვა დროს. გაახალგაზრდავდა, გალაღდა, სულ ხალისის გუნებაზე იყო და შეყვარებულის ნებისმიერი სურვილის ასრულებას ცდილობდა.

თავიდან კიტიმ ძლივს დაძლია სირცხვილი, როცა მათ სუფრასთან მიიპატიჟეს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ორ ქალს შორის ვნებით ასეთი ღია ტკბობა მას სკანდალურად მიაჩნდა, და მეორეც, ფანჯარასთან იმ პირველი უსიტყვო შეხვედრის დავინწყება არ შეეძლო. ფრედი მომხიბვლელი, მიმზიდველი, ინტერესიანი შეყვარებული იყო. ემის

უამრავი ფირფიტა ჰქონდა და როცა კიტი რომელიმეს ასარჩევად სალონში შედიოდა, ემი ფრედის მუხლებზე მჯდომი ხვდებოდა, სრულიად მიბნედილი, ხან თმაზე ეფერებოდა, ხან ცხვირზე კოცნიდა. მაშინ კიტი თვალებს ხრიდა, მათ მოუბოდიშებდა ხოლმე, დიდ კარადასთან მივიდოდა, სადაც ემის თავისი ფირფიტების კოლექცია ჰქონდა ჩამწკრივებული და ოთახიდან რაც შეიძლება სწრაფად ქრებოდა. ემის, როგორ ჩანდა, სულაც არ ანუხებდა მისი იქ ყოფნა, სულ სთავაზობდა კიტის დარჩენილიყო, ბანქო ერთად ეთამამათ ან კინოში წასულიყვნენ. კიტი ყოველ ჯერზე მაღლობას უხდიდა და თავაზიანად ამბობდა უარს, სამსახურის შემდეგ ისევ ისტ ენდის ქუჩების სიბნელეში ბოდილის გახანგრძლივებას ამტობინებდა, ვიდრე სახლში წასვლას, უცნაურ წყვილს რომ არ გადაჰყროდა.

ერთხელ, დასვენების დღეს, კიტიმ გადაწყვიტა, არ ამდგარიყო და ლოგინშივე დაეზუთხა სიტყვები თავისი პირველი ინგლისურის გამოცდისთვის. დელავდა, რადგან იცოდა, რომ მეორე დღეს თავისი უსახელო მეგობარი დაურეკავდა. პირველად დაურეკავდა აქ, პირად ნომერზე. ემიმ თავისი პროტექუსთვის ცალკე სატელეფონო ხაზი გააყვანინა. კიტის აღარ დასჭირდებოდა ტელეფონის ჯიხურში გაქცევა, თავის ლოგინზე იქნებოდა წამოწოლილი, მაგრად მიიჭერდა ყურმილს და სიტყვებს მშობლიურ ენაზე წარმოთქვამდა. ჩუმად ილაპარაკებდა, მყუდრო გარემოში და არ მოუწევდა ყოველ წამს უკან მოხედვა იმაში დასარწმუნებლად, რომ არავინ უთვალთვალეზდა, რომ უსაფრთხოდ შეეძლო ლაპარაკი.

სახლში სიჩუმე იყო. ალბათ რომელიმე ძვირფას რესტორანში წავიდნენ, გვიანი საუზმის მისართმევადა. კიტი წამოჯდა და გიტარა აიღო, დაკვრა დაიწყო, არეულად, ერთი სიმღერიდან მეორეზე გადადიოდა, მღეროდა, ჩუმდებოდა, ისევ მღეროდა.

უცებ კარზე კაკუნი გაიგონა. ემი მასთან არასდროს ამოდიოდა. თუ რამე უნდოდა, ქვემოთ რეკავდა ზარს, ანდა აქაც ურეკავდა კიდეც. ესე იგი, წითელთმიანი იდგა კართან. კიტიმ ნაუცბადევად გახედა სარკეს, სახიდან თმა გადაიწია და ღამის პერანგზე ხალათი მოისხა.

- შეიძლება შემოვიდე? აქ ჯერ არასდროს ვყოფილვარ, - თავდაჯერებულად შესცინა და კიტის პასუხს არც დაელოდა, ისე შევიდა. თეთრი ტილოს შარვალი და პერანგი ეცვა. უხდებოდა.

შუბლზე ჩამოყრილი ხვეული წითელი თმა არაჩვეულებრივ კონტრასტს ქმნიდა ქათქათა ტანსაცმელთან.

მან თვალი მოავლო იქაურობას, ავეჯი და პირადი ნივთები შეათვალიერა. მცირეოდენი ტანსაცმელი საკიდზე - კიტი უარს ამბობდა ემისგან კაბების საჩუქრად მიღებაზე - ერთიმეორის გვერდით მოწესრიგებულად დანყობილი ორი წყვილი ფეხსაცმელი. გიტარის

ჩანთა. სამზარეულოს ტილოზე დასაწრეტად დაწყობილი გარეცხილი თევშები.

- არ უნდა შეწყვიტო. კიბის მოაჯირზე ვიდექი კარგა ხანს და გისმენდი. საუცხოოდ მღერი.

კიტიმ არაფერი თქვა, ცოტა შეყოყმანდა. მერე სანოლთან მიბრუნდა, ფეხმორთხმით დაჯდა, გიტარა აიღო და დაკვრა დაიწყო. რაც მართალია, ემის ამაზე უარს არასდროს ეუბნებოდა, რადგან როგორც დაუთქვა თავიდანვე, ბინის ქირის სანაცვლოდ იყო მუსიკა, თუმცა, ასეთი მონდომებით კიტის არასდროს დაუკრავს, როგორც ახლა.

თავდავინწყებით, თვალდახუჭული მღეროდა ქართულად. დიდი ხანია, ასეთი სიამოვნებით აღარ უმღერია, ასე არ შერწყმია თავის მუსიკას. როცა თვალი გაახილა, ფრედი მის წინ იჯდა მუხლმოკეცილი. სერიოზული და დაფიქრებული. ემის თანდასწრებით მას ასეთი გამომეტყველება არასდროს ჰქონდა.

კიტიმ გიტარა გადადო, მოხერხებულად ჩამოკდა სანოლზე და განზე გაიხედა, რათა დაჟინებული მზერისთვის აერიდებინა თვალი.

- ყველაფერი რიგზეა? - წაილულლულა, როცა დაძაბულობას ვეღარ გაუძლო და წამოდგომა დააპირა. წითელთმიანმა მოულოდნელად წაავლო ხელი ხელში და აიძულა, ისევ დამჯდარიყო. მერე ცხვირი ცხვირზე მიაჭირა და ასე გაშეშდა. არაფრის სუნი არ ჰქონდა, თითქოს მისი ცხოვრების გზა მხოლოდ ქვიშაზე გადიოდა. კიტიმ თავის გამოდრავება ვერ გაბედა. ეს არ იყო შვების მომგვრელი სიახლოვე. ეს სიახლოვე ურთიერთშეცნობამ წარმოშვა და არა ლტოლვამ. ამიტომ გაუსაძლისი იყო. ასეთი სიახლოვისგან ფოკუსი დაირღვა. პირისპირ მყოფთა კონტურები წაიშალა. კიტიმ არ იცოდა, რა ეთქვა, და, რაც მთავარია, როგორ უნდა ეთქვა. მშობლიურ ენაზე რომ შეძლებოდა დალაპარაკება, მაინც გაუჭირდებოდა. რაც ლონდონში ჩამოვიდა, პირველად იყო, რომ უცხო ენა გადამწყვეტ ბარიერად არ მოეჩვენა.

მაგრამ სანამ კიტი წინადადებას ჩამოაყალიბებდა, ფრედმა ტუჩი ტუჩზე მიადო. კიტი არ განძრეულა, მისი ენა პირში დარჩა, კოცნა მშრალი და ფრთხილი იყო. თითქოს პატარა გოგონები იყვნენ და ვარჯიშობდნენ, მერე თავიანთი შეყვარებულებისთვის რომ ეკოცნათ. კიტიმ ხელით მოიშორა ფრედი, მერე უკან გაცოცდა, კედლისკენ.

- მე ვფიქრობ, არ...

კიტიმ თვითონ შეანწყვეტინა საკუთარ თავს. მაინც რას ფიქრობდა? სწორი არ იყო, რომ ფრედი კოცნიდა, რადგან ის იმ ქალთან იყო, რომელმაც კიტის თავშესაფარი მისცა, თუ ის, რომ თვითონაც ქალი იყო და ეს დაუძლეველ დაბრკოლებად მიაჩნდა? იქნებ უბრალოდ ფიქრობდა, რომ ეს ქალი კარგს არაფერს მოუტანდა, არა იმიტომ, რომ ასეთი უსირცხვილო და აღვირახსნილი იყო, ასეთი ეგოცენტრული და წინდაუხედავი, არამედ იმიტომ, რომ თავისი ნამსხვრევებითა და

ნაკანრებით, თავისი იარებით მეტისმეტად ჰგავდა კიტის, მასავით დალუპული იყო და მაინც იმედით აღსავსე? კიტიმ არაფერი იცოდა ამ ქალის მიერ განვლილი გზის შესახებ და ეჭვი ეპარებოდა, რომ გაგება უნდოდა, მაგრამ მენყერი კი ნამდვილად მოაწყდა ოდესღაც მის ცხოვრებას, სასტიკი, დაუნდობელი მენყერი, რომელმაც ფეხქვეშ მინა გამოაცალა და ფრენა ასწავლა. ამაში კიტი დარწმუნებული იყო.

- ჩემიანი მგონიხარ და ეს მაშინებს. არ მესმის, რატომ მოხდა ასე. ამდენი ხანია ვფიქრობ და პასუხი ვერ მიპოვია, - ფრედი უცებ გერმანულად ალაპარაკდა. ეს მოულოდნელი აღმოჩნდა კიტისთვის. ეს ენა უფრო ახლობელი იყო მისთვის, ინგლისურზე უფრო ახლობელი. ამ ენას ის სკოლაში სწავლობდა, ამ ენის შესწავლა უნდოდა ანდროსთან ერთად. ვენისთვის. არ იცოდა, რა ეთქვა.

- გესმის გერმანული?

- არა.

- როგორ არა. ბუსტად გაიგე, რაც გითხარი.

- არა.

კიტიმ მუხლები მოკვეცა და ხელები შემოხვია, მოიკუნტა. კიდევ უნდოდა, წასულიყო ქალი და კიდევ უნდოდა, რომ დარჩენილიყო. იქნებ სწორედ იქ, იმ ნაპრაღში, იმ სანახევრო მდგომარეობაში შეეძლო დასხლტომოდა საკუთარ თავს. არ ეფიქრა მთანმინდის სახლზე. არ ემღერა სიკვდილზე. არ მონატრებოდა ანდროს ხვეული თმა. აღარც სინანული. აღარც სიძულვილი, ძმის მიმართ. აღარც საკუთარი თავის სიძულვილი მარიამის განირვის გამო. გადარჩენის გამო, ასეთი გადარჩენის გამო, ამ საცოდავი არსებობის გამო. არც დედაზე ეფიქრა, არც დეიდაზე, მათი დარდი აღარ ჰქონოდა, დარჩენილების. არ ჰყოლოდა ერთადერთი უსახელო და უსახო მეგობარი. აქ არ ყოფილიყო. იქ არ ყოფილიყო. ის არ ყოფილიყო, ვინც იყო.

ფრედი სანოლზე ჩამოუჭდა. აღარ უყურებდა. ხელში ჩაავლო. კიტი არ შენიშნა ამდევებია, ხელიც არ გაუნევია. ფრედიმ მის მკლავს ააყოლა თითები, ლავინის ძვალს, სახეს, მის ხშირ თმამდე მიაღწია, მერე ქვემოთ, კისრისკენ. მის გვერდით იჭდა უკვე, მაგრამ არ უყურებდა. ასე ჯობდა.

შეხებამ კიტი დაანადვლიანა. შეხება უფრო იოლი ასატანი იყო, ვიდრე მისი მზერა. გაუჩერებლად ეფერებოდა წელს ზემოთ, სახეზე, თითქოს წარმართული ღმერთებისთვის ლოცულობდა, თითქოს შიმის განდევნა უნდოდა კიტის სხეულიდან. თითქოს ფიქრები ქარმა წაიღო. კიტის შვებისმომგვრელი სიცარიელე დაეუფლა. სრულიად მშვიდი სიცარიელე. მხოლოდ სხეული გრძნობდა მზრუნველ შეხებას, გონება კი ამის გააზრებას და შეფასებასაც ვერ ახერხებდა.

რაც ამას მოჰყვა, ისე სწრაფად მოხდა და ძალდაუტანებლად, რომ კიტი შეძრწუნდა კიდევ. წითელთმიანი უსირცხვილოდ გამოცდილი აღმოჩნდა იმაში, რასაც აკეთებდა. მისი ხელები მთელ სხეულზე ეხებოდა

და თითქოს კურნავდა. კიტის არ ესმოდა, როგორ მოხდა ეს. რატომ არ აღშფოთდა მისი სხეული ქალის მოფერებაზე. რატომ არ გაუნია წინააღმდეგობა. რატომ დანებდა ასე უბრძოლველად და უსიტყვოდ. იქნებ სხეულმა ირწმუნა, რომ ეს განკურნების რიტუალი იყო, რომელიც მხოლოდ ქალს შეეძლო ჩაეტარებინა.

ფრედის ხელი როცა მის თეძოებს შორის აღმოჩნდა, კიტიმ ფეხები შეკრა, თითქოს საიდუმლოს ინახავდა და თავი მიაბრუნა. მისთვის უცნობი სიამოვნება იყო, სიამოვნება კი უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდა მის ცხოვრებაში, მით უმეტეს, ასეთი წარმოუდგენელი.

- კარგი, დამშვიდდი, - უთხრა ფრედმა და მისკენ გადაიხარა. ჰაერი დაიხუთა, ოთახში სუნთქვა ჭირდა. გარედან მანქანებისა და გამვლელების ხმა შემოდითდა.

- მამაჩემი ვენიდან იყო. დედაჩემი სტოკჰოლმიდან. ვენაში გაიცინეს ერთმანეთი. მამა მაშინ სამედიცინოზე სწავლობდა. მერე ფსიქიატრი გახდა. დედა ფსიქოანალიზით იყო დაინტერესებული და ამიტომ ჩავიდა ვენაში, მაგრამ მამა შეუყვარდა, გათხოვდა და დაორსულდა. მე ვენაში დავიბადე და გავიზარდე, - ჩუმად ლაპარაკობდა, გერმანულად, ცალი ხელით კიტის თავთან ეყრდნობოდა, მეორე ხელით კი განუწყვეტილად ეფერებოდა კიტის იარებს. - უმცროსი ძმა მყავდა, გვიანი შვილი. რვა წლით ჩემზე გვიან დაიბადა. მე მგონია, რომ ჩემი მშობლები ბედნიერები იყვნენ. თავისებურად ბედნიერები იყვნენ კიდევ ნამდვილად. მორწმუნეები არასოდეს ყოფილან. არა, ხანუქას და პასექს კი ვზეიმობდით, ჩემს ძმას წინდაცვეთაც ჩაუტარეს, მაგრამ სულ ეს იყო. ერთადერთი, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ, ვენა იყო. დედას სძულდა ეს ქალაქი, მამას უყვარდა.

მეც მიყვარდა, მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ მეტი არც არაფერი ვიცოდი, სტოკჰოლმი კი, სადაც ზოგჯერ ბებია-ბაბუას ვსტუმრობდით, მაშინებდა თავისი ჩრდილოური უკარება იერით.

კიტის სუნთქვა დაუმშვიდდა. თვალეები დახუჭა და ცდილობდა, ვენა წარმოედგინა, თავისი და ანდროს ვენა კი არა, იმ ქალის ქალაქი, რომელიც სწორედ ამ დროს მის სხეულს ეხვეოდა. კიტის ყველა სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ აზრს იგებდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებული უნარი მიეცა, შეეგრძნო ის უცნობი სიტყვები, შეხებოდა მათ, მათი გემო ეგრძნო და ამგვარად აეხსნა მათი მნიშვნელობა. თითქოს უცხო ენა არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა მისთვის ამ უცნობ ქალთან ურთიერთობისას. თითქოს არ შეიძლებოდა, რომ ეს დაბრკოლება ყოფილიყო.

- ასევე თავისებურად უბედურებიც იყვნენ ორივენი, მაგრამ, მთლიანობაში, მაინც მგონია, რომ კარგად გრძნობდნენ თავს ერთად, კი, რატომღაც, დარწმუნებული ვარ... შეიძლება იმიტომ, რომ ასე მინდა ვიფიქრო. კარგი მშობლები იყვნენ ჩვენთვის, ვუყვარდით ისე, როგორც,

მათი აზრით, უნდა ვყვარებოდით. იქნებ მართლებიც იყვნენ, ასეთი განონასწორებელი, თავშეკავებელი, მკაცრი და მაინც ალერსიანი სიყვარული გვჭირდებოდა მე და ჩემს ძმას. იქნებ ეს იყო ჩვენთვის ყველაზე კარგი.

ფრედის ხელი კიტის წელს მისწვდა და უფრო დაბლა ჩაცურდა. კიტიმ იგრძნო, როგორ გადაუსვა ხელი მის იარებს. არ უნდოდა, ლაპარაკი შეეწყვიტა მას, არ უნდოდა, გამაგრებული კანის მოფერება შეეწყვიტა, სადაც ადრე ნაკერები ჰქონდა. მარიამის ნაკერები. სამუდამოდ კიტის სხეულში ჩადუღებული მარიამის. ხელი უცებ გაჩერდა.

- ძალიან კარგად მახსოვს, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. ებრაელების იმ ავადმყოფური ვარსკვლავებით. მამაჩემისთვის მუშაობის აკრძალვით. დედაჩემის პანიკის შეტევებით. მას სტოკჰოლმში უნდოდა გადავსულიყავით, სამუდამოდ წავსულიყავით იქიდან. მაგრამ მამას მიაჩნდა, რომ ეს არ იქნებოდა გამოსავალი. ვენამდე თუ მოვიდნენ, სტოკჰოლმშიც მოაღწევნო. ილუზია, რასაკვირველია, არ ჰქონდა იმის თაობაზე, რა გველოდა, მაგრამ არც ქვეყნის დატოვება, გაქცევა უცდია. ბევრმა მისმა მეგობარმა სასწრაფოდ დატოვა ვენა. ამდენ ხანს რომ არ ეცადა, შეიძლება ჩვენც... მაგრამ ეტყობა, გაქცევის იმედი არ ჰქონდა. დედაჩემს კი ეს სულაც არ მიაჩნდა შეუძლებლად. ძალიან კარგად მახსოვს, რა მოხდა, როცა მოვიდნენ. მთელი ეს შავი ჩაცმულობა. იარაღის ტრიალი. მბრძანებლური კილო. თითქოს სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ და არა ჩემს მშობლიურ ენაზე. ეს საბუთები, ეს ბეჭდები, მგზავრობა მატარებლით. თავდაპირველად იყო გეტო ტერეზიენშტადტში. მერე დაგვაცალკევებს: კაცები - იქ, ქალები - აქ.

დედაჩემი გაუთავებლად ყვიროდა. ჩემმა ძმამ ჩაიფხა, როცა იმ ჭყლეტაში მამამ ხელი ჩაჰკიდა და დედასგან წაიყვანა. დედაჩემი საცოდავად ევედრებოდა იმ ესესელს მუხლებზე მოეხვია, სცადა ხელზე ეკოცნა, მახსოვს, როგორ შემრცხვა მის მაგივრად, ჰო, იმ გარემოებაშიც კი, ვიცოდი, რომ ჩემი ძმის გადარჩენისთვის აკეთებდა და მრცხვენოდა, თავს რომ იმცირებდა. ევედრებოდა, იმეორებდა, ჯერ ისეთი პატარაა, ისეთი პატარაო, ეუბნებოდა, ჩემო ბატონო, ისეთი პატარაა, დედა სჭირდებაო.

მე ვერაფერს ვხვდებოდი. არაფერი მესმოდა. ისეთი პატარაც არ ვიყავი, უნდა მივმხვდარიყავი, მაგრამ არა.

ვერ წარმომედგინა, რა იგულისხმებოდა შრომით ბანაკში. ვერ ვხვდებოდი, რა იყო საკონცენტრაციო ბანაკი. ბანაკი. ბანაკი. ბანაკი. მხოლოდ შიმშილმა მიმაახლოვა ამ სიტყვის მნიშვნელობას. მიხვედრის გზა შიმშილი იყო. ჰო, მე მგონია, რომ გამუდმებული შიმშილის გარეშე გავაგრძელებდი უარის თქმას, გამეგო ის, რაც ხდებოდა, - წამით გაჩუმდა, ფანჯარას მიაპყრო მზერა, თითქოს სურდა ჰაერი ჩაესუნთქა და ძალა მოეკრიბა, რათა დაესრულებინა სათქმელი.

- პარადოქსია, რომ მამაჩემი და ჩემი ძმა ტერეზიენშტადტში დარჩნენ, მე და დედა კი უკან გაგვიშვეს ავსტრიაში. დედას არასდროს უნდოდა იქ დაბრუნება. მაუთჰაუზენში მოვხვდით. იცი ეს ადგილი? არა, კიდევ კარგი, რომ არ იცი. მაუთჰაუზენში რამდენიმე ბანაკი იყო გვერდიგვერდ.

მინის დამამუშავებელი და ქვის ქარხნები, გრანიტის სამტეხლოები, მძიმე სამრეწველო სამუშაოები. და რამდენიმე ბორდელი. იმ ბანაკს მესამე კატეგორია ჰქონდა მინიჭებული, რაც ნიშნავდა ტყვეთა განადგურებას მუშაობით. სხვათა შორის, გერმანიის რაიხის ტერიტორიაზე ამ კატეგორიის ერთადერთი ბანაკი იყო. იქ თავი მოუყარეს ასოციალურ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ სასჯელმოხდილები, კრიმინალები და ძნელად აღსაზრდელები, იქ მათ შრომაში უნდა ამოხდომოდათ სული. რატომ ვიყავით მათ თვალში ასოციალურები მე და დედაჩემი, ვერ გეტყვი. დედა ქვის სამტეხლოში გაანაწილეს. მე ჯერ ბორდელის ბარაკების მოვლა და დეზინფექცია დამავალეს, რადგან ჩემი წონის ადამიანისთვის მძიმე სამუშაო შეუძლებელი იყო. მხოლოდ ეს ბარაკები არ ყოფილა ტილიანი და მონამლული. საერთოდ, ბორდელების საშუალებით პატიმრების შრომის ნაყოფიერება უნდა გაეზარდათ, მაგრამ იქ მხოლოდ სუფთა რასის გერმანულ სხეულებს აკმაყოფილებდნენ, თუმცა კანონით ეს მათ ეკრძალებოდათ. ყველაფერს ვხედავდი. წინიდან და უკნიდან. ზემოდან და ქვემოდან. იქ მომუშავე ქალთა უმრავლესობა რავენსბრუკიდან იყო გადმოყვანილი და მაუთჰაუზენში გატარებული რამდენიმე კვირის შემდეგ უმრავლესობა ისევ იქ დაბრუნებას ნატრობდა. იქ ისე მაინც ელოდნენ სიკვდილს, რომ საკუთარი სხეულის გაყიდვა არ სჭირდებოდათ.

ისე ეტაკებოდნენ ქალებს, რომ ოთახიდან არც კი მიშვებდნენ. მათთვის სულერთი იყო, რომ იქ ვიყავი, რომ ვუყურებდი. ზოგი მოითხოვდა კიდევ და ყოველდღე ველოდი, ყოველდღე მეგონა, რომ დამიძახებდნენ და მეტყოდნენ: დაწევი, აინიე პერანგი, ფეხები გაშალე, დაიჩოქე.

მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმ ქალების მზერამ დამიფარა ამ ყველაფრისგან. ვიცი, სულელურად ჟღერს, მაგრამ ასე მჯერა. დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურად დარწმუნებული. როცა ხმარობდნენ, თავს ჩემკენ აბრუნებდნენ, თითქოს უნდოდათ ეთქვათ: ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ შენ არ მოგინოს ამის კეთებაო.

მაგრამ მერე მარტინი მოვიდა. სუფთა „რასის“ მარტინი ყველას უყვარდა ბორდელში. რადგან განსაკუთრებული არაფერი უნდოდა, არ უნდოდა, რომ ყირაზე დამდგარიყვნენ და ფეხები გაეფარჩხათ ან ოთხზე ეხობათ მთელ ბარაკში, არ უნდოდა, რომ დუნდულები ხელებით გადაეხსნათ ან ელრუტუნათ. ასეთი რამეები არ უნდოდა.

უნდოდა მათთან დანოლა, ადგომა და წასვლა. ზოგჯერ რომელიმეს ეხვეოდა კიდევ, როცა გრძნობები მოაწვებოდა და თავს ვერ იკავებდა. ერთხელ ისიც კი დავინახე, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი სექსის დროს. ჰო, საყვარელი მარტინი სენტიმენტალური კაცი იყო. თვალს არ მაშორებდა. გამუდმებით. დამინახა თუ არა, იმ წუთიდან მომძტერებოდა. თავიდან გაუბედავად, მხოლოდ მაშინ, როცა ეგონა, რომ არ ვუყურებდი, მერე და მერე სულ უფრო დაჟინებით. სანამ საბოლოოდ მხოლოდ მე არ დამიწყო ყურება სხვა ქალების ხმარების დროს. შეშინებული ვიყავი. არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა. მისი მზერის ახსნა ჯერ არ შემეძლო. სხვები იმიტომ მიყურებდნენ, რომ საკუთარ თავში დარწმუნებულიყვნენ, რომ ჩემს თვალებში ამოეცნოთ, რამდენად მაგრები იყვნენ ან რამდენად გარყვნილები. დასტური სჭირდებოდათ. და მეც ვისწავლე დადასტურება. ისე ვუყურებდი, თითქოს შთაბეჭდილება მოახდინეს და ისინიც იჯერებდნენ. ქალების მიმართ თანაგრძნობის ჩახშობა ვისწავლე და იმათ დავუშეგობრდი: მკვლელებს, მოძალადეებს, სადისტებს, მამოხისტებს, ავადმყოფებს და იმპოტენტებს. ვუყურებდი და ვაგრძნობინებდი, რომ აღფრთოვანებული ვიყავი მათი აღვირახსნილი, ავადმყოფური უნით. მე ეს ვისწავლე. დროთა განმავლობაში სულ უფრო ადვილად გამომდიოდა. მაგრამ მარტინი სხვა იყო. სხვანაირი მზერა ჰქონდა. არ ვიცოდი, რას მოასწავებდა.

ზოგჯერ შეშინებული მიყურებდა, თითქოს ჩემი ეშინოდა, ჩემი იქ ყოფნის, ზოგჯერ ზუსტად ისე ავხორცულად მიმზერდა, როგორც სხვები, ისეთივე გიჟური, ამღვრეული თვალებით, მეგონა, რომ შველას ითხოვდა, თითქოს ნატრობდა, მასთან მივსულიყავი, მისი იარაღი დამეთრია და საკუთარი თავისგან დამეხსნა.

პირველად რომ დამელაპარაკა, უკვე ოთხი თვე და თორმეტი დღე იყო გასული, რაც ბანაკში ვიმყოფებოდი. გარიჟრაჟზე მოვიდა, როცა ჩემი სამუშაო დღე იწყებოდა და მარტო ვიყავი, მოულოდნელად გაჩნდა ჩემ წინ, მკითხა, ქალიშვილი თუ ხარო. თავი დავუქნიე. არ ვიცოდი, სასიკვდილო განაჩენი იყო ეს ჩემთვის თუ თავისუფლება. მაშინ გამიღიმა და მითხრა, მზად ხარ, მე გამომყვეო? სად-მეთქი, ვკითხე, იმან კი ყურებამდე გაიცინა და ყელი გამომიშვირა. საყვლოზე თავის ქალა უელავდა. ვერასოდროს ვიფიქრებდი, რომ ნორმალური მარტინი ერთი იმათგანი იქნებოდა. მითხრა, SS-ის შრომით ბანაკ „ვინერ-ნოიშტადტის“ დაცვაში გადამიყვანესო. იქ სამხედრო სამრეწველო სამუშაოები მიმდინარეობდა, საბრძოლო აღჭურვილობებს ამზადებდნენ, Rax-Werk-ში, მგონი, იმ დროს უკვე V2 რაკეტებზე მუშაობდნენ. მითხრა, რომ ჩემი წაყვანა შეეძლო, იქ ამდენი შრომა არ მომიწევდა. პირადად ის იქნებოდა ჩემი მფარველი. საკუთარი ოთახი მექნებოდა და საკმარისი საჭმელი. ღამლამობით მესტუმრებოდა. ოღონდ მარტო თვითონ, სხვისთვის არავისთვის ვემეტებოდი... მის ერთ მეგობარს ვერაგი სქესობრივი

დაავადება აეკიდებინა და მასაც არ სურდა გარისკვა. ბანაკის ჰიგიენა კატასტროფული იყო, მას კი „ნორმალური“ სასიყვარულო ურთიერთობა სურდა. ჰო, ასე თქვა, ნორმალური სასიყვარულო ურთიერთობაო, მე კი თურმე ისეთი ლამაზი ვიყავი და ჩემი წითელი თმა და...

კიტი ახლა უკვე ყელზე მოეჭიდა ხელებით ფრედს. თავი ჩამოუწია და აკოცა. ფეხები ტანზე შემოხვია, პატარა მაიმუნივით ჩაებლაუჭა. მაგრამ ფრედი ველარ ჩერდებოდა, ისე განაგრძობდა მოყოლას, თითქოს სიტყვების ნაკადი მის უნებურად გადმოედინებოდა.

– მე დავთანხმდი. მაგრამ ვუთხარი, მარტო წასვლა რომ არ შემეძლო. ვხედავდი, როგორ ილეოდა დედაჩემი ყოველდღიურად, თანდათან ქრებოდა, ვუყურებდი, როგორ იღუპებოდა, ვიცოდი, რომ ასე დიდხანს ვერ გასტანდა.

მარტინი უცბად ისე გაბრაზდა, ვიფიქრე, დავიღუპე-მეთქი.

ჯერ გამლანძლა, უმადური ბოზი მიწოდა, ებრაელი ღორი, მაგრამ მერე დამშვიდდა და თითქოს არაფერი მომხდარაო, ისე მითხრა, ვნახავ, რისი შესაძლებლობა იქნებაო. სანამ წავიდოდა, კიდევ ერთხელ მკითხა, დარწმუნებული თუ ვიყავი ჩემი ქალწულობის აპკთან დაკავშირებით. მართლა თუ არავინ მომკარებია. მე დავიფიცე.

მარტინმა პირობა შეასრულა. სხვა ბანაკში გადავედი. მე და დედა. დედამ კარგად იცოდა, რა საფასურს ვიხდიდი ამისთვის, მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობდით. მხოლოდ თუ ჩემი SS-ელი კაცი არ იყო ხოლმე, დედა შემოდრიოდა, ხელებზე მეფერებოდა და საფეთქლებს მიკოცნიდა.

ყოველ ღამეს, როცა ზემოდან მენვა – ასე სიამოვნებდა, ასე მოსწონდა ყველაზე მეტად, – მარწმუნებდა, რომ ვუყვარდი. ზოგჯერ დაკმაყოფილებული ტიროდა კიდევ. ამბობდა, ერთად უნდა ვიყოთ, მიუხედავად იმისა, თუ რა მოხდება. ვერ გაგიშვებ. შენთან უნდა დავრჩეო.

დაბომბვა როცა დაიწყო, გამთენიისას, ნისლი იდგა, ჩავგსვა თავის მანქანაში და ვენაში გავემგზავრეთ, მახსოვს, როგორ აერია გული დედას, როცა მე-6 რაიონში მივედი. იქ, სადაც ოდესღაც ჩვენი ბინა მდებარეობდა, სადაც ადრე ვცხოვრობდით. მამაჩემი, ჩემი ძმა, დედა და მე. მარტინი დედას ეჩხუბა, გამოლანძლა. ახლა რომ ვფიქრობ, მგონი, ყოველთვის ცოტა ეშინოდა მისი, იქნებ ზოგჯერ ეჩვენებოდა, დანას ჩამასობს ზურგშიო, ზემოდან როცა მენვა.

ჩვენ მანქანიდან არ უნდა გადმოვსულიყავით. ამ მგზავრობისთვის საგანგებოდ გვიშოვა სამოქალაქო ტანსაცმელი. ყოველდღიური კაბები. ჰო, როგორც ჰარმონიულ ოჯახს, ისე უნდა გავგელწია იქიდან. ჩემი ქერათმიანი დედა, მისი წითელთმიანი ქალიშვილი და ქერა მარტინი.

ვინმეს შეიძლება ეფიქრა, რომ მოსიყვარულე და-ძმა ვიყავით, დედასთან ერთად რომ მგზავრობენ.

დედაჩემთან ერთად ორ დღეს ვიმალებოდით სადაზღვევო კომპანიის შენობაში, რომელიც უკვე ევაკუირებული იყო. მერე მედლინგში

წავიყვანა, პატარა მიყრუებულ სოფელში, ვენასთან, გლეხების მიტოვებულ კარ-მიდამოში დაგვტოვა. საჭმელი არაფერი გვქონდა, მაგრამ უეცრად იმედი გავვიჩინა.

მარტინი ვენაში გაბრუნდა. ქალაქი ბომბებით იყო მოფენილი და ყველა ღონე უნდა ეხმარათ სანჯავის სანყოფის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. წითლებმა როცა ნოიშტადტი აიღეს და მხოლოდ დროის საკითხი იყო, როდის ჩაიგდებდნენ ხელში მოკავშირეები ვენას, მაშინაც კი მოვიდა ჩემთან და თავისი „საფასური“ მოითხოვა. ისევ ჩვენს გერმანულ მომავალზე მელაპარაკებოდა. მიყვარხარო. ბოლომდე მაინც ვერ ვენდობოდი, ჯერ კიდევ მეშინოდა, რომ ორივეს მიგვახვრეტდა ცხოველებივით. კვალის წასაშლელად.

და მაშინ იყო, რომ ვუთხარი, დავედასტურე, მიყვარხარ და სიხარულით ველოდები ჩვენს გერმანულ მომავალს-მეთქი. ჰო, ასე ვუთხარი. თანაც, დედაჩემის თანდასწრებით და მახსოვს, როგორ გაშემდა იგი, მაგრამ მეშინოდა, რომ იმ ბოლო დღეებში ცოცხლები ვერ გადავრჩებოდით.

სანამ წავიდოდა, მაკოცა და დამპირდა, ერთი კვირის განმავლობაში დავბრუნდები და გერმანიაში გადავიყვანო.

რამდენიმე დღე მრჩებოდა, გასაქცევად მოვმზადებულიყავი და წითლებს ან მოკავშირეებს ჩავბარებოდით. არ ვიცი, დაბრუნდა თუ არა. მე გამოვიქეცი.

მამა და ძმა აღარ დაბრუნებულან. ორივე საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა პირველივე წელს. მამა ტიფით და ჩემი ძმა შიმშილით.

დედაჩემი კი...

ფრედი უცებ გაჩუმდა, თითქოს სიტყვები გამოეღია.

კიტის ყელში ჩარგო თავი და შარვალი გაიხადა. ახლა კიტის უნდოდა, რომ მას მოყოლა გაეგრძელებინა, სთხოვდა, ეხვეწებოდა, მაგრამ ფრედს ხმა აღარ ამოუღია.

ის სიყვარული შხამივით იყო, ნელა გეპარებოდა, ვერაგულად, მოტყუებით, მსოფლიოს უბედურებას პირბადესავით ეფარებოდა, სარკეს ჰგავდა, რომელშიც ისეთი ირეკლებოდი, როგორიც არ იყავი, ის სიყვარული მოჩვენებას ჰგავდა, არარსებულ იმედს რომ გისახავდა, სამალავი იყო, სადაც თავშესაფრის ნაცვლად მხოლოდ საკუთარ თავს პოულობდი, ის სიყვარული სხვა სიყვარულის ბუნდოვანი მოგონება იყო, გადარჩენის შესაძლებლობა იყო ის სიყვარული, რომელიც საბოლოოდ მაინც მოწყალე სიკვდილს ჰგავდა, ტანჯვისგან დამხსნელს, ბრძოლა იყო ის სიყვარული, რომელშიც გამარჯვებული არ არსებობდა, ძვირფასი თვალი იყო მჭრელ ნამსხვრევებს შორის, ჰო, ბრილვა, იმ დროს სწორედ ასეთი იყო სიყვარული.

კიტი გრძნობდა, ფრედმა თავისი კოცნით როგორ გამოაფხიზლა და ხელიდან გამოსტაცა მონამლულ ძილს. გრძნობდა, როგორ დააყენა

ფეხზე შავცრემლიანმა და ათრთოლებულქუთუთობიანმა, ეს იყო ცოცხლად გადარჩენილის უინი.

თებერვლის ბოლო დღის ნაცრისფერი შუქი გამჭვირვალე ფარდებიდან ოთახში აღწევდა. ფრედი წამოდგა და გაიზმორა, ფეხები მოკეცა და მკლავები მუხლებქვეშ გაუყარა. გამჭვირვალე, თეთრი კანი ჰქონდა. აქა-იქ ძარღვები ანათებდა ცისფრად. ფეხებს შორის გამომწვევად უბზინავდა წითელი სამკუთხედი. თვალდახუჭული განაბულიყო და შუქში ნებივრობდა.

მოულოდნელად მისი სხეული დაუფარავ სიშიშვლეში ისეთი სათუთი გამოჩნდა. კიტი გულდასმით დააკვირდა, მაგრამ იმ სხეულმა არაფერი გაანდო, არაფერი უთხრა, თითქოს თავისთვის ინახავდა, რაც მნიშვნელოვანი იყო, ეული, უისტორიო, უბრალოდ ქალის თეთრი სხეული. მასში არაფერი იყო ვულგარული, არც მაცდური, ისე მოთენთილიყო იმ დილის სიყვარულისგან. კიტის ვერ წარმოედგინა, რომ რამდენიმე წუთის წინ ასე სწაღდა ეს სხეული. სახე ბალიშში ჩამალა.

მოსკოვში, საბჭოთა საზღვაო კომისარიატში, კონფერენცია გაიმართა პირველი ატომური წყალქვეშა ნავის შექმნის შესახებ, რომელსაც ჰეროიკული სახელი – „ლენინური კომკავშირი“ – დაერქვა. დასასრულს პროექტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად საზღვაო კაპიტანი კონსტანტინე ჯაში აირჩიეს.

მან ამაყად მოაწერა ხელი დოკუმენტს, საიდუმლოს შენახვის ვალდებულების ფიცი დადო და ბოლოს საზეიმო ვახშამზე გაემართა მეცნიერებთან და საზღვაო ფლოტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

ამ დროს გენერალისიმუსი, თავის ამაღლასთან ერთად, კრემლის მდიდრულად მოწყობილ კინოდარბაზში იჯდა და მხლებლებს რომელიღაც თავისი საყვარელი ამერიკული ვესტერნის ან კომედიის ყურებას აიძულებდა.

ბოლო წლებში მისმა პარანოიამ წარმოუდგენელ მასშტაბს მიაღწია. ირგვლივ ყველაფერს, ურჩხულივით ანადგურებდა, რომელიც თავის ცეცხლს ვეღარ აკონტროლებს. მისი თვითნებობა თავზარდამცემი იყო და 1930-იანი წლებისას ჰკავდა. თითქოს ეს თვითნებობა მხოლოდ ცოტა ხნით შეწყვიტა ომმა, რომ მერე ნაცადი შეუბრალებლობით გაეგრძელებინა. ყოველდღე ცვლიდა თავის გადანყვეტილებებს, ყოველდღე ითვალწუნებდა სარდლებს. თავის აგარაკზე კუნცევოში, მოსკოვის დასავლეთ განაპირას მდებარე სოფელში, მინისტრებს აბუჩად იგდებდა, თავის მოხელეებს აცეკვებდა და ამღერებდა, ძალით აჭმევდა და ასმევდა, გულისრევამდე. მთელი კრემლის განწყობა მხოლოდ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ ეწეოდა თავის ჩიბუხს: თუ ცივად ეწეოდა, დაპატიმრებებსა და დახვრეტებს ნიშნავდა; თუ უბრალოდ ხელში ეჭირა და არ ექაჩებოდა, რისხვის შეტევა იყო მოსალოდნელი,

ყველა რომ ასე უფრთხოდა, რადგან უფლებამოსილთაგან, სავარაუდოდ, რომელიმეს თავს წააცლიდნენ; ხოლო თუ ჩიბუხით უღვაშს იფხანდა, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დღე კარგი გამომდგარიყო. ბელადის აგარაკზე ერთი ქეიფის გამოტოვება ან მიწვევაზე უარის თქმა გადასახლება, დაპატიმრებას ან დახვრეტას მოასწავებდა.

თვით პატარა დიდი კაციც კი, უკვე კარგა ხანია, აღარ იყო მისი წყრომისგან დაზღვეული. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ცოტა ხნით ადრე მოხსნეს, მისი ამაღა დააპატიმრეს, გენერალისიმუსმა განკარგულებაც კი გასცა, პატარა დიდ კაცს თვითონ ჩაეტარებინა გამოძიება საკუთარ თავზე; როგორც ჩანს, მათ საერთო სამშობლოში ამ ნდობით აღჭურვილი პირის შეუზღუდავი ჰეგემონიის შესუსტება უნდოდა.

ფილმის ჩვენების შემდეგ ბელადმა პატარა დიდი კაცი და კიდევ სამი პარტიული მუშაკი კუნცევოში წაიყვანა. მის აგარაკზე უკვე გაეშალათ მდიდრული ქართული სუფრა და აურაცხელი ოდენობის ქართული ღვინო გაემზადებინათ. ვახშმის დროს, ეგრეთ წოდებულ, ექიმთა შეთქმულებაზე საუბრობდნენ. ცოტა ხნის წინ გენერალისიმუსმა ქვეყნის აღიარებული ექიმებისა და, მათთან ერთად, კრემლში მომუშავე ძირითადი მედპერსონალის დაპატიმრება ბრძანა. მათი უმრავლესობა ებრაელები იყვნენ, რომელთაც ამერიკელების აგენტობა დააბრალა, თითქოს მის ჩამოგდებას გეგმავდნენ.

დაახლოებით დილის ოთხ საათზე გაისტუმრა სტუმრები. თავს ცოტა წაძინების უფლებაც კი მისცა. შუადღემდე რომ არ გამოჩნდა გენერალისიმუსი, დაცვა აღელდა. მაგრამ ვერავინ გაბედა გაეღვიძებინა, რადგან მისი შეწუხება ასეთ დროს შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდათ. მხოლოდ საღამოსკენ შებედა დაცვის ობერლეიტენანტმა იმ ოთახში, სადაც ბელადს ეძინა ხოლმე ვარდისფერ ტახტზე. შვებით ამოისუნთქა, გენერალისიმუსი საღად აზროვნებდა, რადგან დავალებები მისცა და კრემლიდან ფოსტის მოტანა უბრძანა. მაგრამ როცა ობერლეიტენანტმა დაახლოებით 22:00 საათზე ფოსტა მიუტანა, პიჟამიანი გენერალისიმუსი იატაკზე დაგდებული იპოვა, გონზე იყო, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა და ჩაეფსა.

პირადმა მცველებმა ამჯობინეს დიდ სასადილო ოთახში გადაეყვანათ, რადგან იქ უფრო მეტი ჰაერი იყო. სატელეფონო ზარები განხორციელდა. არავინ იცოდა, ვინ აიღებდა პასუხისმგებლობას ამგვარი ვითარებისას. ამის თაობაზე გენერალისიმუსს არაფერი ჰქონია დანებსებული. პატარა დიდი კაცს, ხრუშჩოვს და მალენკოვს შეატყობინეს – რჩეულ სამეულს. მაგრამ პატარა დიდი კაცი თავიდან ვერ იპოვეს, რომელ ქალბატონთან იმყოფებოდა, არავინ იცოდა. როგორც იქნა, თვითონ დარეკა კუნცევოში, დაცვის წევრებს უბრძანა, არავისთვის არაფერი შეეტყობინებინათ, აღარავისთვის დაერეკათ. შუალამე იქნებოდა, ხრუშჩოვი, ბულგანინი და მალენკოვი კუნცევოში რომ

ჩავიდნენ. არც კი შეუხედავთ ბელადისთვის, მომსახურე პერსონალს განუცხადეს, ბელადი უბრალოდ მთვრალიაო და ბრძანეს, მისი ასეთი საჩოთირო მდგომარეობა არ უნდა გახმაურდესო. ამის შემდეგ აგარაკი დატოვეს.

მხოლოდ კარგა ხნის მერე, დილაადრიანად გამოჩნდა პატარა დიდი კაციც და დაცვა გამოლანძღა. სირცხვილია, ასეთ პანიკას რომ ტეხთო. ხომ ხედავთ, ბელადი ხვრინავს და საგანგაშო არაფერიაო, მაგრამ მომსახურე პერსონალი არ წყნარდებოდა. ეხვეწებოდნენ, ექიმი მოუყვანეთო. ირწმუნებოდნენ, ბელადის ასეთი მდგომარეობა მართლაც რომ საგანგაშო იყო.

დაიწყეს ფიქრი, რომელი ექიმი მოენვიათ. წამყვანი ექიმები ხომ დაპატიმრებულნი იყვნენ, ებრაელი ექიმის მოყვანა ისედაც არ შეიძლებოდა, თანაც, პროფესორი ხომ მაინც უნდა ყოფილიყო ვინმე. დილის შვიდ საათზე, როგორც იქნა, ჩამოვიდა ექიმთა ჯგუფი. თურმე ისე უკანკალებდათ ხელები გასინჯვისას, რომ ხეირიანად პულსიც ვერ გაზომეს. არც ერთი არ იყო დარწმუნებული, ცოცხალი თუ გააღწევდა იმ ოთახიდან. დილიდანვე კონსილიუმმა დიაგნოზი ამცნო უკვე შეკრებილ პოლიტბიუროს: არტერიული სისხლჩაქცევა ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში. მდგომარეობა მეტად მძიმე იყო.

რა გრძნობამ მოიცვა იქ შეკრებილნი? შვებამ, შიშმა თუ დაბნეულობამ? უკვე დიდი ხანია უარი ჰქონდათ ნათქვამი საკუთარ ნებაზე, საკუთარ შეხედულებებზე, საკუთარ ემოციებზეც კი და ახლა მეთოჯინისგან მიტოვებული მარიონეტებივით ჩამომსხდარიყვნენ.

პატარა დიდმა კაცმა თვითონ დაინიშნა თავი განმკარგულებლად. ახლა დროის მოგება იყო საჭირო ძალაუფლებისთვის მომავალი ბრძოლის მოსაგებად, მიუხედავად იმისა, რომ საჭაროდ იძულებული იყო ეთხოვა ექიმებისთვის, ბელადის გადასარჩენად ყველაფერი ეღონათ, რაც შესაძლებელი იყო. ორი კაცი თავისი პირადი დაცვიდან ავადმყოფის სანოლთან დააყენა სადარაჯოზე, მიაჩნდა, რომ ასე უკეთ გააკონტროლებდა სიტუაციას. დანარჩენებს კი ისეთი იმედის სხივი აუჭიატდათ, საკუთარ თავთანაც რომ ვერ ბედავდნენ გამხელას: უკლებლივ ყველას, ცალ-ცალკე ეგონა, რომ წლების განმავლობაში ტანჯვის, შიშის, მუქარის, გენერალისიმუსისგან დამცირების შემდეგ რიგმა მოუწია, კვერთხი გადასცემოდა.

აგონიის მეხუთე დღეს აღესრულა გენერალისიმუსი – მილიონობით ადამიანის მკვლელი, თავისი ატირებული ამალისა და ჯერ კიდევ მოზემე პატარა დიდი კაცის გარემოცვაში.

მას საკუთარი დაკრძალვა აუცილებლად მოეწონებოდა: სიკვდილის შემდეგაც კი შეინარჩუნა ადამიანების დახოცვის ძალაუფლება: 1953 წლის 9 მარტს, მისი გამოსვენების დროს, წითელ მოედანზე ასობით ადამიანი გადაითელა და მოჰყვა ჭყლეტაში. და მაინც, თვით ბანაკებში

დატყვევებულებმაც კი, რომელთაც ამ მკვდარმა კაცმა დიქტატორობის უამს ცხოვრება დაუნგრია, ოჯახები გაუნადგურა, მომავალი წაართვა, მონებად და ღირსებააყრილებად აქცია, ბელადის სიკვდილის ამბავი რომ გაიგეს, სასოწარკვეთილებმა სულ თავები ურტყეს გისოსებსა და მავთულხლართებს.

კიტიმ ამ დროს ხმამაღლა გაიცინა სადღაც ქამდენ ჰაი სტრიტსა და არლინგტონ როუდს შორის. ცოტა ხნის წინ კი თავის უსახელო მეგობარს ელაპარაკა ტელეფონით. ის სამომავლო ნაბიჯები შეუთანხმა, რომლებსაც ემი სთავაზობდა და უგეგმავდა.

- თუ საჯარო ინტერესი გაჩნდება, შეგიძლიათ, ყველაფერი უამბოთ პრესას, რაც გინდათ, მაგრამ, თავისთავად, გასაგებია, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა თქვათ, როგორ შემოხვედით ქვეყანაში, რომელ ქალაქში იმყოფებოდით მანამდე, - განუმარტა უსახელომ დაბეჯითებით.

- რა თქმა უნდა, - დაჰპირდა კიტი. - არ მინდა, უსიამოვნებაში გაგხვიოთ, ამიტომ გაგანდეთ ყოველივე, რათა დავრწმუნებულიყავი... თქვენ იმდენი გააკეთეთ ჩემთვის.

- თქვენ მე საფრთხეს ვერ შემეჩმნით. მაგრამ თვითონ უნდა იყოთ ფრთხილად და თუ ვინმე დაგიკავშირდებათ სამშობლოდან...

- არ დავთანხმდები, დიახ, დიახ, გასაგებია.

- ისე ძალიან ხალისიანი ხმა გაქვთ ასეთი საბედისწერო დღისთვის.

- რა საბედისწერო დღეა?

- ჯერ არ მოგისმენიათ? ლონდონის რადიოთი სხვას არაფერს გადმოსცემენ მთელი დღეა და გაზეთებიც სავსეა ამ ამბით.

- რა მოხდა ასეთი?

- ჩვენი სამშობლო გაოგნებული გლოვობს.

- მითხარით, ბოლოს და ბოლოს!

- გენერალისიმუსი გარდაიცვალა.

კიტი გაჩუმდა. ტუჩებით იმეორებდა ამ წინდადებას უხმოდ. სიტყვები ენაზე აღნებოდა: გენერალისიმუსი გარდაიცვალა!

- თქვენ, ალბათ, მართლა ჩემი მფარველი ანგელოზი ხართ, - თქვა უცებ და სატელეფონო კავშირის მეორე ბოლოში მცირე უხერხულობა იგრძნო. იმ ხმამ ჩაახველა, ეტყობა, გაელიმა ან ჩაეცინა ამ ხმის პატრონს, - მუდამ ფანტასტიკურ ამბებს მატყობინებთ! - ეს ბოლო წინადადება გულამოვარდნილმა წარმოთქვა.

- ასეთი რამის მოსმენის უფლებაც კი არ მაქვს, ახლა ყურმილს დავკიდებ და ორ კვირაში დაგირეკავთ, იმავე დროს, არა?

- დიახ, დიახ, რასაკვირველია, აუცილებლად, მადლობელი ვარ!

მერე ქუჩაში გავარდა და მთელი ხმით სიმღერა დაიწყო, დახტოდა ტროტუარზე, ცეკვავდა, პირუეტებს აკეთებდა, შესცინოდა უცნობებს და ტაშს უკრავდა.

იმ მსხვერპლთა სახელების ჩამოთვლა დაიწყო, რომლებიც უცებ გაახსენდა. ჯერ ცნობილი ხელოვანები და მეცნიერები, ინტელიგენციის წარმომადგენლები. მერე თავისი კლასელების მშობლები მოაგონდა, რომელთა შესახებ ლაპარაკიც კი ეკრძალებოდათ მათ შვილებს, უნივერსიტეტელი მეგობრების ბებიები და ბაბუები, ექიმები, რომლებიც უეცრად სამსახურში აღარ გამოცხადდნენ, დოცენტები და მასწავლებლები, მოულოდნელად რომ გაუჩინარდნენ, დედამისის და დეიდამისის მეგობრები გაახსენდა, რომელთაც ქმარი ან შვილი, ან ცოლი, ან დედა, ან მამა ჰყავდათ დაკარგული. სიას დასასრული არ ჰქონდა. მთელი არლინგტონ როუდი არ ეყო, გვერდითა ქუჩებზე გადაუხვია, რომ ერთხელ მაინც მოეხერხებინა ყველა იმ სახელის წარმოთქმა, რომლებიც ახსენდებოდა.

უკვე სადგურთან მისულმა წარმოთქვა: რამაზი, სოფიო, ანდრო. მერე კარგა ხანს შეყოვნდა და გულმოკლულად ჩაიჩურჩულა: მარიამი. ჩემი შვილი.

იმავე დღეს კიტი თავისი მეცენატის და ახლა უკვე თარჯიმნის, ემის, თანხლებით რადიოში მივიდა ინტერვიუზე. იქ თავისი ერთ-ერთი ახალი სიმღერის წარდგენის საშუალებაც მიეცა, ცხადია, მშობლიურ ენაზე და საბჭოთა ხელოვანისა და ემიგრანტის მძიმე ხვედრზეც ილაპარაკა.

მაღე სოჰოს ერთ-ერთ ჯაბკლებში გამოსვლა შესთავაზეს კვირაში ორჯერ, რასაც სიხარულით დათანხმდა.

როცა ეს ინტერვიუ გადაიცა და ლუბიანკაზე დაარეგისტრირეს, კოსტია ჯაში რუსულ საიდუმლო სამსახურში დაიბარეს და ხანგრძლივი დაკითხვის შემდეგ მისგან წერილობითი დასტური მიიღეს, რომ არავითარი ურთიერთობა არ სურდა საკუთარ დასთან და საჯაროდ უარს ამბობდა მასზე, მეტიც: მშობლიური ქვეყნის მოღალატედ აღიარებდა.

* * *

შენ უკვე მკვდარი ხარ. შრიალა
ფიფქებში ხარ მიწას დახლილი.
თავს გადგას ოცდარვა ხიშტიანი
და ხუთიც – ტყვიების დამხლეელი.
ახმატოვა

დამთრგუნველი და შიშის მომგვრელი სამგლოვიარო განწყობა, რომელიც მთელ ქვეყანაში სუფევდა, ნანასაც გადაედო. გაუბედავი ნაბიჯებით მიუყვებოდა აღმართს ქრისტინეს სახლისკენ, რადგან ბოლოს და ბოლოს, გადანყვიტა თავისი საიდუმლოდ შენახული ორსულობა გაემხილა. მაინც ვეღარ დამალავდა. რაც უფრო ეზრდებოდა მუცელი, მით უფრო უმძაფრდებოდა გაურკვეველი შიში მომავალი დედობის მიმართ. ორსულობის ამბავმა, რომელიც კოსტიას გამგზავრებიდან

მალევე შეიტყო, სრულიად ამოადლო კალაპოტიდან; ის-ის იყო, დოქტორანტის ადგილს შეჰპირდნენ ენათმეცნიერების ფაკულტეტზე და ცხოვრების ახალი ეტაპისთვის ემზადებოდა.

კოსტიას წასვლის შემდეგ გარშემო მყოფნი უფრო აღფრთოვანებულნი ჩანდნენ მისი მეუღლის სტატუსით, ვიდრე თვითონ ნანა.

თავად ვერაფერს გრძნობდა და სიამოვნებით აჰყვებოდა ეიფორიას, გაბრაზდებოდა, თუნდაც უგუნურად მოიქცეოდა. მაგრამ საკუთარ თავს ვერავითარ მნიშვნელოვან ცვლილებას ვერ ამჩნევდა. ისეთივე დარჩა, უბრალოდ, სხვა სახლში დაბინავდა. ყველანი ზრუნავდნენ მასზე, რჩევებს არ იძურებდნენ, როგორ უნდა გამხდარიყო ყველაზე საუკეთესო ცოლი მსოფლიოში. ის კი მიაჩერდებოდა თავისი დიდი ლურჯი თვალებით და უბრალოდ, ვერ ხვდებოდა, რით იყო ასეთი განსაკუთრებული მეუღლეობა. ის მცირე დრო, რომელიც კოსტიასთან ერთად გაატარა, არ გამოდგა საკმარისი საკუთარ თავში დასარწმუნებლად, იმის მისახვედრად, ნამდვილად უყვარდა თუ არა იგი.

ორსულობა როცა შეიტყო, უფრო მეტად დაეჭვდა გათხოვების, სიყვარულის და ა. შ. სისწორეში. ამის შესახებ არც მეგობრებისთვის გაუნდვია რამე, არც ოჯახისთვის, არც კოსტიასთვის. კიტის ოთახში თავის სამეცნიერო წიგნებში თავჩაგულს, ხშირად უჩნდებოდა კითხვები, საკმარისად კარგად თუ იცნობდა საკუთარ ქმარს, თუ იცოდა საერთოდ, სად გაემგზავრა იგი და ბოლოს და ბოლოს, შეძლებდა კი, გაჰყოლოდა იქ, სადაც კოსტია მოისურვებდა?!

კარი სტასიამ გაუღო.

- გასაღები დაგრჩა? - იკითხა გაკვირვებულმა და თანაც უკან მიჰყვა.

- არა, მაგრამ რაღაც უნდა გითხრათ. ქრისტინე უკვე აქ არის?

სამზარეულოში შევიდნენ, ქრისტინე ვახშამს ამზადებდა. ნანამ, მრავალი კვირის ერთობლივი ცხოვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ რომ ვერ გრძნობდა თავს ოჯახის წევრად, მუცელი გამობზიკა და თქვა:

- აბა, ამჩნევთ რამეს?

- შენ რა გგონია, რომ მართო ახლა შევამჩნიეთ? - უპასუხა ქრისტინემ ეშმაკური ღიმილით და უნდობლად გაიქნია თავი. ნანამ, ცოტა არ იყოს განზილებულმა იმით, რომ მათთვის ეს მოულოდნელი არ აღმოჩნდა, მორცხვად გაიცინა.

- რამდენი ხანია, რაც ეს იცით?

- მგონი, შენზე ადრეც კი ვიცოდით, რომ ბავშვს ელოდები. მეხუთე თვეში ხომ მაინც უნდა იყო უკვე, არა?

- რატომ არ მეუბნებოდით არაფერს? დედაჩემი ხომ ტვინს გამიბურღავდა შეკითხვებით, რამეს რომ მიმხვდარიყო.

- იმანაც იცის. ჩვენ ხომ ყველანი ქალები ვართ, ძვირფასო. ამის დამალვა ძალიან ძნელია.

- შეიძლება რაღაც გკითხო? - თქვა სტასიამ და თან თვალი არ მოუშორებია ქრისტინეს ნელი, დაკვირვებული მოძრაობისთვის, როგორ ფრთხილად ჭრიდა პურს, როგორ ნაზად უსვამდა კარაქს. - რისი გეშინია?

- მე... მეშინია, საიდან მოიტანე?

- შენ გეშინია და მაინტერესებს, რისი? რატომ იმალები და თან ბავშვსაც მალავ.

- მე სულაც არ ვიმალები...

ნანამ სიტყვა აღარ დაამთავრა.

იმავე ღამეს, როცა სტასია დანვა, ქრისტინემ დისშვილის ცოლს სანუგეშებლად პირველად მოუხარმა ცხელი შოკოლადი. შოკოლადი ნამდვილად გაუფანტავს შიშსო, - გაიფიქრა. სტასიამ ბევრჯერ სცადა დის დარწმუნება, რომ შოკოლადი, სავარაუდოდ, მის დამგემოვნებლებს მაღალ ფასს ახდევინებდა, მაგრამ ქრისტინე ამ თეორიის გამო მას დასცინოდა, ცრუმორწმუნეობასა და მიაშიტობას აბრალებდა.

ასე რომ, იმ ღამეს ნანამ პირველად გასინჯა ჩემი დიდი ბაბუის რეცეპტით მომზადებული ცხელი შოკოლადი და დამატრობელი, მძლავრი, განუმეორებელი ბედნიერება განიცადა; ეს იყო სამყაროსთან ერთიანობის ცოცხალი, ხალასი გრძნობა. სამყაროსთან, სადაც მოსიყვარულე მამაკაცი ელოდა სადღაც შორს, ცივ ზღვასთან და სადაც შესაძლებელი იყო, რომ მათ მშვენიერი, მშვიდი, ბედნიერი ცხოვრება ეჩუქებინათ თავიანთი შვილისთვის.

მეორე დღეს კოსტიას დაურევს და შეატყობინეს, რომ მალე მამა გახდებოდა. ამ მოლოდინმა ისე გაახარა, მაშინვე დაავიწყა ამდენ ხანს ცოლის მიერ ამ ამბის დამალვით გამონჯვეული დაბნეულობა.

როგორც კი დაფარული გაცხადდა, ნანას გარშემო ქალების მთელი ამაღა შეგროვდა და დედაჩემის გაჩენამდე, 1953 წლის 27 ივნისამდე, ორსულს ცივ ნიავს არ აკარებდნენ, სულ შესცივინებდნენ. ვაშლით და რძიანი სიმინდის ფაფითა თუ მანვნის შეჭამანდით, ასევე ქათმის ბულიონით კვებავდნენ, თანაც სურნელოვანი ჩამწნიფებული ატმით ანებივრებდნენ. უამრავ რჩევა-დარიგებას არ იშურებდნენ, რითაც ნანას ცხოვრებას ურთულებდნენ.

იმ დილით, ქრისტინე ბაღში იჯდა და გაზეთს კითხულობდა. უცებ ელდანაკრავივით შეხტა, მთელ გვერდზე დაბეჭდილი მისი სახე რომ დაინახა. გაზეთი დაუშვა, თუმცა თვალი მაინც ვერ მოაშორა პორტრეტს, თითქოს დრო უკან დატრიალდა ელვის სისწრაფით. თითქოს ის დღე იყო, როცა შავი „ბუგატი“ ვერის აღმართს ამოუყვა და ქუჩის კუთხეში ქრისტინე აიყვანა. თითქოს ისევ გამუდმებულ შიში თრგუნავდა, რომ ერთხელაც, რამაზი გაუფრთხილებლად დაბრუნდებოდა შინ.

ქრისტინე შეეცადა ჩამოეხერტყა უსიამო მოგონებები, ყავა ბოლომდე დალია და შეისუნთქა იასამნის სურნელი, წელიწადის ამ დროს ქალაქი ნებიერად რომ გაეხვეოდა ხოლმე. ქრისტინე ტკბებოდა ბუნების

სინატიფით, ამ განსაცვიფრებელ მშვენიერებას მაისის თბილისში განსაკუთრებულად შეიგრძნობდი, მაგრამ იმ დღემ მაინც ვერ მიანიჭა სიხარული სურვილისამებრ. ისევ აიღო ხელში გაზეთი და მისი პორტრეტის ქვეშ დაბეჭდილი ტექსტი წაიკითხა: მომდევნო კვირას პატარა დიდი კაცი ზეიმს მართავდა თავის სასახლეში, მაჩაბლის ქუჩაზე.

მის დაბუნებას აღნიშნავდნენ, მის მომავალს ადიდებდნენ. სწამდათ, რომ ძალაუფლების უმაღლესი მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე იყო შემდგარი.

და მართლაც, მაშინ ყველაფერი ისე წარიმართა, რომ მალე იმპერიის ახალ წითელ მეფედ უნდა ელიარებინათ, ვარსკვლავებიც მის მხარეს იყვნენ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მერე კი საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, უმოკლეს დროში რომ მოახერხა შინაგან საქმეთა სამინისტროს და საიდუმლო სამსახურის გაერთიანება, თანაც მარშალის წოდებასაც კი ატარებდა, ადამიანი, რომელიც საბჭოთა ატომური ბომბის უკან იდგა, ბოლოს და ბოლოს, ცენტრალური კომიტეტის ბრწყინვალე წრეში ადგილი დაიმკვიდრა. დიახ, ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ დიდმა ქართველმა პატარა ქართველს, ბოლოს და ბოლოს, გზა დაუთმო და საასპარეზოდ ხელი უხილავად წააშველა.

ქრისტიანე ისევ დააჩერდა სურათს. მისი სახის ნაკვთები, მისი თვალები, მისი გამომეტყველება, მხერა – ყველაფერი შემადრწუნებლად წარმოესახა. ნეტავ, რამდენ ჩემნაირს გაუსინჯა გემო, რამდენი დაღეჭა და ისევ გადმოაფურთხაო, – გაიფიქრა. ჩემი ბედი ალბათ ბევრმა უფრო ახალგაზრდა და ლამაზმა ქალმა გაიზიარაო. ბოლო წერილიც გაახსენდა, ანდროს გადარჩენის იმედს რომ აძლევდა. თანაც, როგორ შეშინდა და კარგა ხანს ვერც ბედავდა საიდუმლოგრიფიანი კონვერტის გახსნას. გაიხსენა ვარდები, მთელი წლის განმავლობაში ყოველდღიურად რომ უგზავნიდა, იმ ტკივილიანი თვეების განმავლობაში სანოლს მიჭაჭვულს და სარკეში ჩახედვის ძალა არ ჰყოფნიდა, ისიც, სტასია შოკოლადს რომ უხარშავდა... ცხელი შოკოლადი! და უცებ ქრისტიანეს სახეზე ავის მომასწავებელი ღიმილი მოეფინა.

გაზეთი ისევ ასწია და მისი პორტრეტიანი გვერდი მკერდზე მიიკრა პატარა გოგოსავით, რომელსაც ვერაფრით გადაუნყვეტია, ახალი თოჯინა დაიტოვოს თუ კედელს მიანარცხოს.

მერე ელდანაცემივით მოისროლა გაზეთი და სახლში შევარდა. ჩავიდა სარდაფში, სადაც ადრე რამაზის იშვიათი და ძვირფასი ღვინოების კოლექცია ინახებოდა და სადაც ახლა გამოუსადეგარი ნივთები, ძველი კაბები და მიყუჩებული მოგონებები მუყაოს ყუთებში თვლემდნენ. სათითაოდ გახსნა, გადაქექა, დამტვერილი ძველი ნივთები გადაარჩია – და ბოლოს მიაგნო.

მართალია, უწინდელი ემხიანობა მინავლულიყო, უკვე ორმოცდაექვსისა ხდებოდა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, როგორ შეეძლო დროს მისი განახევრებული სილამაზის შენიღბვა და ხელსაყრელ შუქში წარმოჩენა. ფირუზისფერი კაბა შეარჩია, თავის ოთახში აირბინა, ქსოვილი საგულდაგულოდ დაათვალიერა სინათლეზე, ალაგ-ალაგ ჩრჩილის შეჭმული პანია ნაჩვრეტები უნაზესად ამოქარგა, მერე გარეცხა, დააუთოვა და ბზინვარება დაუბრუნა. ახლა მთავარი იყო, კაბა მორგებოდა.

სამინაო სამოსი გაიხადა და განახლებული კაბა გადაიცვა. რამაზის დაკრძალვის შემდეგ მისი დანაკუნებაც კი უნდოდა, მაგრამ დაენანა, თვალის მომჭრელი, უბადოდ შეკერილი ძვირფასი ქსოვილი აღარ შესწირა თავის ტრაგედიას. თუმცა ყოველდღიურად თვალში რომ არ მოხვედროდა, სარდაფში მიუჩინა ადგილი.

და იმ დღემდე აღარც მოუძიებია. ახლა კი, როცა უნაზესი ქსოვილი მოირგო თეძოებზე, ფეხებსა და მკერდზე მიელამუნა, ერთი გაელვება კვლავ დედოფლად იგრძნო თავი. რამაზის გვერდით მას ხომ ეს გრძნობა არ ტოვებდა. ამ განცდით ეძლეოდა ტკბობას, უფრო მეტიც, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. ქმრის თვითმკვლელობის შემდეგ კი ამ გრძნობას სამუდამოდ გამოემშვიდობა.

მაშინ შავი მარგალიტის მძივი ეკეთა. მაშინ, 1928 წლის უკანასკნელ დღეს. მარგალიტის მძივი დიდი ხნის წინ გაეყიდათ. ახლა უბრალო ვერცხლის ძეწკვი უნდა ეკმარა.

კაბა ძველებურად დაიმშვენა. აბრეშუმის ფირუზისფერ ოცნებას ჰგავდა. მომწუსხავად გამოიყურებოდა. თამამად მოხსნილი ბურგით. ერთბაშად შთაბეჭდილება რომ მოახდინა რამაზზე, თუმცა ისე გააკვირვა ცოლის ჩაცმულობამ, საყვედურიც ვერ დამალა და მაინც დანებდა, მოუწონა არჩევანი. აღტაცებული იყო მისი მდიდარი ფანტაზიით... და სიამაყით წარუდგინა კიდევ მეგობარს. ხელოვნების უძვირფასესი ნიმუში. თავისი ქალღმერთი.

ის ვენეციური ნილაბი რომ შემორჩენოდა ქრისტიანს და სახეზე აფარება შეძლებოდა, თვალებს დახუჭავდა და თავის ირგვლივ კვლავ იმ ხმაურს გაიგონებდა, იმ სიცილ-ვისკისს, შამპანურის ჭიქების წკარუნს, ძვირფასი კერძების სურნელს იგრძნობდა. ნაძვისხის აელვარებულ მოსართავს დაინახავდა, გედის სამოსში გამოწყობილ სტასიას მოჰკრავდა თვალს, მამაკაცის ტანსაცმელგადაცმულ სოფიო ერისთავს, წარმოსადგე რამაზს, – ძვირფას სმოკინგში ჩაცმულს. წარმოსახვაში მაინც აუკრძალავდა შემოსვლას იმ ბრწყინვალე სტუმარს, ასე რომ შეჭვრფინვოდნენ მის გამოცხადებას. არ დაათვალიერებინებდა თავის საცხოვრებელს, არც საუბარს გაუბამდა და არ დაუშვებდა, რომ ქმარს თავისი სტუმრისთვის წარედგინა თვალშეუვლები საგანძურივით, თუმცა

იცოდა, როგორი მოყვარული იყო იგი იშვიათი ძვირფასეულობისა და როგორ ვერაგულად ჩვეოდა ყოველივეს დასაკუთრება.

ქრისტიანემ მთელი ღამე შეაღია გაცოცხლებული იერსახის გათავისებას. კიდევ ერთხელ გაავლო კაბა შეფერილ წყალში და გააუთოვა. მეორე საღამოს, სარკეში რომ შეიმომნა თავი, თითქმის ისევ ის ქრისტიანე იყო, საახალწლო მეჭლისის ქრისტიანე – შავი მამანის პატარა ნიღაბით რომ არ დაეჩრდილა სახის მარცხენა მხარე. უჩვეულო შვება იგრძნო.

მერე სამზარეულოში გავიდა, სტასიას რომ არ შეემჩნია, ჩანთში უცებ ჩაილაგა უკლებლივ ყველაფერი, რაც გამოადგებოდა და როცა ლოგინში ჩანვა, გულს ბაგაბუგი გაუდიოდა... შავფორმიანი მცველები დაუინებით მოითხოვდნენ მოსაწვევი წარედგინა. ის კი კვკლუცად ელოდა მასპინძლის გამოგებებს. მათ დაელმებულ მზერას რომ გრძნობდა ზურგსა და თეძოებზე, იცოდა გამოუვიდოდა და მოახერხებდა შესვლას. იცოდა, რომ დროის შემობრუნებასაც შეძლებდა. მკაცრი იერის დამხვდურებმა დაითათბირეს და ერთ-ერთ გადანათებულ ვილაში შეგზავნეს. მორცხვად ჩაახველეს, აშკარად ეუხერხულებოდათ ასეთი ლამაზმანი უარით გაესტუმრებინათ მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრების სიაში არ ეწერა.

ვილასთან ლიმუზინები ჩამოდგა, ძვირფასი კაბებით შემოსილი ქალები და მუქ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცები გადმოდიოდნენ. ქრისტიანე კი, რომელიც იქ დაუპატიჟებლად მივიდა, იდგა და მაინც ყველას მზერას იპყრობდა. როცა ძველი კაბით შემოსილი მალალ ჭიშკარს მიუახლოვდა, ისე იოლად გარდაიქმნა ისევ ადრინდელ ქრისტიანედ, რომ თავადაც გაოგნებული დარჩა, იმ ქალად, რომელსაც ყველა თვალს აყოლებდა, რომელიც ყველას აცვიფრებდა, რომელიც უყვარდათ, და რომელსაც უყვარდა, თვითონაც არ ესმოდა, როგორი ტკივილის მომგვრელი სრულყოფილებით უყვარდა. თავისი დიდი, სევდიანი, სასოწარკვეთილი ქმარი. თანაც, როგორ გაუიოლდა ამ გარემოში, თითქოს რამაზი ისევ ცოცხალი იყო...

მერე დაინახა, როგორ მოაბიჯებდა პალმებს შორის, მშვენიერ ბაღში, რომელიც დროთა განმავლობაში გააშენა და დამცავ გალავნად შემოავლო თავის სახლს. ასხლეტილი კვიპაროსები და საუცხოო ნარგავები, მათ შორის კი პატარა, ქვით მოკირწყლული ბილიკები. ნამდვილი შანგრი-ლა გეგონებოდა, რომ არ გცოდნოდა, ვის ეკუთვნოდაეს სახლი, ვინ იყო ამ ჯადოსნური ბაღის მფლობელი.

სტუმრებს გამოეგება და თავაზიანად ესალმებოდა მასპინძელი; ხელს ართმევდა ყველას, უღიმოდა. უცებ შედგა, გაირინდა, როგორც კი ქრისტიანეს მიაპყრო მზერა. სახე ეცვალა, მაგრამ შორიდან ვერ მიხვდა ქრისტიანე, ვერ ამოიცნო, რა დაემართა. წამით იფიქრა, უკან გაბრუნდება და როგორც მიუპატიჟებელს, კარში დამტოვებსო, მაგრამ

მიზანმიმართულად გამოემართა ქრისტიანებს, თითქოს ვედარც ამჩნევდა შემომატებულ სტუმრებს. ხელმწიფესავით გაიარა ხალხში, აღფრთოვანებისა და შიშისგან უკან რომ იხევდნენ და გასასვლელს უთმობდნენ. მას მიაშურა. მხლებლები მოლაპარაკებულებივით უმაღლეს გვერდზე გადადნენ, ბრწყინვალე გამოსვლაში ხელი რომ არ შეშლოდა, თითქოს დადგმული ქორეოგრაფია ყოფილიყო. ქრისტიანებმა რამდენადაც შეძლო მომხიბვლელად გაუღიმა და ხელი გაუწოდა. იმან თავისი დაცვარული, თბილი თითები ჩაავლო და სახეზე ღრმა მოწინება აღებეჭდა.

- მეგონა, არ მოინდომებდი მოსვლას, არ მინდოდა, მოსაწვევი გამომგზავნა და უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინე.

- სამაგიეროდ, მე ჩაგაყენე უხერხულ მდგომარეობაში, - წარმოთქვა ქრისტიანმა ჩუმად, ტუჩების შეუმჩნეველი მოძრაობით. თავდაჯერებით განამტკიცა ხმა, თითქოს მსუბუქად უსაყვედურა კიდევ.

- არა, არა, გთხოვ. ნება მომეცი, სანატრელ სტუმრად მიგიჩინო! - უპასუხა და მკლავი გაუწოდა. ისე სწრაფად და დაუბრკოლებლად მოხდა ყოველივე, უმაღლეს მიაკუთვნეს დედოფლის როლი, ქრისტიანმავე შეიფერა შეთავაზება და გრძობდა უდიდესი სიხარულით შეასრულებდა ამ როლს იმ ერთი ღამით. ამჯერად რეპეტიციები აღარ სჭირდებოდა. რადგან იმის მერე, რაც ნახევარი სახე დაკარგა, ამ შეხვედრის მოსამზადებლად საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა.

თავბრუდამხვევად ლამაზი იყო და ამ სილამაზეს გამომწვევად წარმოაჩინდა. თავდაჯერებულმა და მიუწვდომელმა შეაბიჯა უზარმაზარ ჭიშკარში, მის გვერდით, მის მკლავზე დაყრდნობილმა. ბრწყინვალე საზოგადოების შურით ანთებული მხერა აცილებდა. ხალხით სავსე დარბაზში შევიდა. მარმარილოს დიდებული იატაკი, უსასრულოდ მაღალი ჭერის კიდევები ოქროთი ოსტატურად მოვარაყებული ორნამენტებით იყო შემკული. კამერული ორკესტრი წყნარად უკრავდა, აქა-იქ შამპანურის ბოთლების ბათქაბუთქი ისმოდა, თითქოს ალკოჰოლური სასმელი მოედინებოდა.

მხოლოდ ყოვლისშემძლენი და თვალწარმტაცნი იმყოფებოდნენ იქ. ძლევამოსილი და თავმოძონე მამაკაცები, ღმერთებს რომ ეტოლებოდნენ და ბანოვანნი, რომელთაც თრობის გარდა არაფერი იცოდნენ, განუწყვეტელი, დაუსრულებელი, თავდავიწყებამდე მისული თრობისა. სახელმწიფო ოპერის მომღერლები თავიანთ საუკეთესო არიებს ასრულებდნენ, რადგან მასპინძელს უყვარდა ყველაფერი დიდებული და სრულყოფილი, ყველაფერი შთამბეჭდავი, დიახ, უყვარდა მშვენიერება.

მთელი საღამოს განმავლობაში ქრისტიანს თვალთახედვა მასპინძლისკენ იყო მიპყრობილი. პატარა დიდი კაცი თავისი მარმარილოს სასახლის შუა დარბაზში შამპანურს შეეჭყოდა,

შთაგონებით ესაუბრებოდა სტუმრებს, აღტაცებული უსმენდა მომღერლებსა და კამერული მუსიკის ორკესტრანტებს, დაოკებული მღელვარებითა და შიშით, უმაღლეს ოსტატობას რომ მიაღწიეს. ხედავდა, როგორ არიგებდა საშიში მასპინძელი კომპლიმენტებს, გვერდზე ჩავლისას როგორ მოურიდებლად უსვამდა ხელს უთვალავ მიშველ მხარს, მკლავს, მსუბუქი, ფრიალა აბრემუმით შემოსილ თეძომკერდს, ხუმრობდა და ამ თავზარდამცემ სპექტაკლში ბრწყინავდა.

ათწლეულების შემდეგ, ბედის ირონია რომ შეიძლება ვუნოდოთ, ამ შენობაში განათავსეს უფლებათა დაცვის ორგანიზაცია... გაპარტახებული ბაღი რომ გადაუბარავთ, ალაგ-ალაგ კვლებიც ღრმად ამოუღიათ, ნარგავების ჩასაყრელად, ადამიანების ძვლებიც კი უპოვიათ, ბრილკა, რასაც ხანგრძლივი დებატები მოჰყოლია საზოგადოებაში, ბჭობდნენ იმის თაობაზე, თუ რა მოეხერხებინათ ამ შენობისთვის. ქალაქის გამგეობისგან ზოგი ამ სახლის დანგრევას, მიწასთან გასწორებას მოითხოვდა, რათა კოლექტიური მეხსიერებიდან ამოეშალათ ის საშინელებანი, რაც მის კედლებში ხდებოდა. ნაწილი ამ არქიტექტურული საოცრების შენარჩუნებას უჭერდა მხარს, დანარჩენები კი მხოლოდ მხრებს იჩენდნენ და არ იცოდნენ, რა უნდა ეთქვათ. არავის გამოუკითხავს ცხედრების ვინაობა, არავინ ჩასძიებია მათ კვალს....

* * *

ნუ მიმღერ, ლამაზო, ნუ მიმღერ
ენს ქართულ ნაღვლიან სიმღერას, -
მეც ვნატრობ შორეულ შენს მხარეს
და გული მეც სევდით მიღელავს.
პუშკინი

ქრისტინე იმ ქალბატონთა დასს შეუერთდა, გულაჩუყებულნი რომ უსმენდნენ ორკესტრს, ხოლო როგორც კი ქრისტინე მიუახლოვდათ, ერთმანეთს იდაყვებით გაჰკრეს.

პატარა დიდმა კაცმა მელოტი თავი ასწია, პენსნე უფრო მოხერხებულად მოირგო თხუნელას თვალებთან და ასე გაშეშდა, როდესაც ფერმკრთალმა ქალმა soave fanciulla წამოიწყა La Bohème-დან, მწვანე კოსტიუმში გამოწყობილ პატარა მსუქან კაცთან ერთად. მისი მგერა შორიდან სულ უფრო ხშირად აწყდებოდა ქრისტინეს თვალებს, სხვების მხრების, კისრების, თავების, მკლავების, პირების და თვალების მიღმა. როდესაც მომღერალმა ქალმა მამაკაცის სასიყვარულო ფიცს უპასუხა: Ah, tu sol comandi, amor! - უკვე ჭიქურ მიაშურა, გვერდით დაუდგა და ქრისტინე მიხვდა, რომ უსათუოდ გაიმარჯვებდა და დამე ისე წარიმართებოდა, როგორც დაეგეგმა. თითქმის მთელი თავით მაღალი იყო მასზე. და ახლა ყველას დასანახად გამომზეურებულ მის უზადო

სხეულს, თითქოს მუჟავას რომ დაუნდვია და არ დაუმახინჯებია, ვითომ უნებურად შეახო მხარი მხარზე.

ხოლო მომღერალთა ხმები ჰარმონიულად რომ შეერწყა ერთმანეთს, მან თავისი წებოვანი, რბილი დასავლური ვილოთი უჩურჩულა: „დარჩი აქ, მოიცადე, სანამ ყველა წავა. გამოოგნებლად ლამაზი ხარ“. ქრისტიანე განზე გადგა ოდნავ და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

თრობის მაცდუნებელი მიმზიდველობით, ყველა სიამოვნებით ეძლეოდა თავდავინცებას. ქრისტიანე წარჩინებულთა ამ მეჭლისზე ყველაზე ღირსეული იყო. მას არაფრის ეშინოდა, აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი, არ სჭირდებოდა თავი მოედრიკა, და ეპირფერა სხვა სტუმრებისგან, არც სიყვარული სჭირდებოდა მათგან და არც აღიარება. ის ჩანაფიქრის გამარჯვებას ბეიმობდა; თავისი მოშურნეებისგან განსხვავებით, შიშის ძრწოლას კი არ აეტანა ან დამოკიდებული კი არ იყო მასპინძელზე, თუნდაც, მის ვასალთა რიცხვში მოხვედრის მწველი სურვილი არ ამოძრავებდა.

ქრისტიანე მალიმალ მოსინჯავდა ხოლმე ხელით ჩანთაში შოკოლადის მუქ ფილებს, პატარ-პატარა სუნელებიან ქილებს.

მას არასდროს სჯეროდა თავისი დის, არ სწამდა წყევლისა და ღმერთებისა, დიდი ხანია ყველა ღმერთი წითელ ვარსკვლავს ჩაენაცვლებინა, მაგრამ იმ ერთი ღამით ისევ მოინდომა დაჯერება. მათი დახმარების იმედი ჰქონდა. იმ ღამით დის რწმენა გადმოინერგა გულში. ირწმუნა, მამამისის შავი ცდუნება მართლაც იყო მაგიური, რასაც სტასია ყოველთვის განამტკიცებდა თავისი მონათხრობით და იდუმალ მემკვიდრეობათ ჩაიბარა კიდევ მისი დამზადების რეცეპტი. ეს სჭირდებოდა და ირწმუნა ქრისტიანემაც. ამიტომაც ჩაილაგა უჩუმრად ჩანთაში აუცილებელი ინგრედიენტები. უტკბესი შურისძიება უნდა განეხორციელებინა. ერთი დღით უნდოდა ყოველივე ახდენოდა.

შუალამეს კარგად გადაცდენილიყო, როცა თანდათან დაცარიელ დარბაზში მასპინძელმა დაქანცულ მუსიკოსებს მოსთხოვა ვალსი დაეკრათ მხოლოდ მშვენიერი სტუმრის პატივსაცემად და რასაკვირველია, მისთვის. მონივნებით გაიწვია საცეკვაოდ. ნელა ეცეკვა, ურიტმოდ, ზედმეტად შესმულ ოქროსფერ შუშხუნა სითხეს მოეთენთა, თუმცა მაინც მონადინებით ცეკვავდა. ქრისტიანე კი იმაზე ფიქრობდა, პირველად რომ იცეკვა მასთან. რამაზთან ძალიან ხშირად უცეკვია, ახლა კი სურდა, როგორმე მოეხერხებინა, თვალეები დაეხუჭა და წარმოედგინა ქმარი, როგორი ხალისით შეჰყავდა ხოლმე დარბაზში, ეამაყებოდა, რომ მშვენიერი გულისწორი თავის მკლავებში ჰყავდა შეყუჟული. როგორი ბედნიერი იყო...

ამას კი სუსტ მხრებზე დაეყრდნო და შეაჟრუჟოლა სასტიკი, შიშისმომგვრელი მბრძანებელთან სიახლოვის გამო, მაგრამ უმალ მოეგო გონს. ხომ სულ სხვა განზრახვით გადაწყვიტა სტუმართა შორის

ყოფილიყო. მართლაც, იმ უთვალავ ქალს შორის აღმოჩნდა, სიამოვნებით რომ იბრძავებდნენ თვალს და თრობას ეძლეოდნენ, თვალისმომჭრელ უტიფრობაში, სინანულის ჩახშობაში, ვნებიან თავდავინყებაში, ხვალინდელი დღის წინაშე უპასუხისმგებლო ქმედებაში თითქოს სხვა მისია არ გააჩნდათ, მხოლოდ სიამოვნებისა და აღტაცებისთვის მოსულიყვნენ ამქვეყნად, მამაკაცთა მოსახიბლად და სასიყვარულოდ.

ყოველთვის წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ ადიოდნენ მერე მარმარილოს ფართო კიბით ზედა სართულზე, როგორ გადააბიჯებდნენ უზარმაზარი საძინებელი ოთახის ზღურბლს, ქრისტინე ხომ ხშირად აღმოჩენილა იქ თავის წინა ცხოვრებაში. წარმოდგენილი მქონდა, რომ სწორედ ქრისტინე დაუდგებოდა წინ და გახდას დაინყებდა. ხელის ერთი მოძრაობით შეიხსნიდა ღილს ყელთან და რბილი ქსოვილი იატაკზე ჩასრიალდებოდა.

იმ მომენტში კმაყოფილი უნდა ყოფილიყო აუცილებლად, ასე იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ რამდენიმე საათით გააქრო დრო, წარსულთან რომ აშორებდა. სრულიად ალაგმა. და ეს იმიტომ კი არა, რომ ისევ ახალგაზრდად ეგრძნო თავი, სილამაზე დაებრუნებინა და განახევრებული სახე გაემთლიანებინა, არამედ იმ მიზნით, რომ გაეღვებასავით გაეცოცხლებინა რამაზი.

თუ მასთან უნდა დაწოლილიყო, უნდა ყოფილიყო იქ, იმ ოთახში, იმ საწოლზე, მაშინ შეეძლო წარმოედგინა, რომ ამის მერე შინ დაბრუნდებოდა და ქმარს დაელოდებოდა. ქმარს, რომელმაც დიდი ხანია ყველაფერი იცოდა, ყველაფერს ხედავდა, მომავალიც კი განეჭვრიტა.

ყოველთვის ასე ვფიქრობდი, ბრილვა, რომ ქრისტინე მზად იყო ისევ და ისევ შემოეხვია მკლავები იმ ვაცისთვის, რათა საკუთარი თავისთვის ეს ერთი ტყუილი ეჩუქებინა. რამაზის სიკვდილს ყველაფერი ერჩივნა. იქნებ იმ ღამით შეძლო კიდევ სუდარაგადაფარებულ ქმარზე არ ეფიქრა, რომელიც ვერც კი დაიტირა, იმიტომ რომ საამისო ძალა აღარ შესწევდა.

ის დაიხარა და ყელზე აკოცა, დაუზიანებელ ყელზე. ქრისტინემ რაღაც უცნაური, შემამფოთებელი თავისუფლება იგრძნო, თითქოს კორსეტი გაიხადა პირველად, მრავალი, მრავალი წლის შემდეგ. ღამეული კომმარების კორსეტი. ლოგინზე განვა. შიშველი სხეულით და ნახევრად შენიღბული სახით. ის მისკენ გადაიხარა, ქრისტინემ პენსნე მოხსნა, თვალეში ჩახედა და ტუჩი ტუჩზე მიადო. მაგრად, კიდევ უფრო მაგრად მიეკრო, ყველაფერს მისცემდა, ყველაფერს, ოღონდ რამაზი გაეცოცხლებინა გონებაში. თუნდაც ერთხელ წარმოედგინა, რომ ისევ ვაცისკროვნებული სახე ჰქონდა და არა საზარლად თვალის ასარიდები. საწოლის გვერდით ვამოდზე მისი ცოლის, იდუმალი წინას ჩარჩოში ჩასმული ფოტო იდო. ქრისტინეს არ უნდოდა იმაზე ფიქრი, თუ რამდენი

სიძულვილის ატანა ძალუძს ადამიანს საკუთარი ქმედების გამო და ბურგზე შემოეხვია.

ჰო, წარმომიდგენია, როგორ იოლად გაითამაშა ვნება წართმეული წარსულის დასაბრუნებლად.

როგორ იგონებდა რამაზს, როგორ იჯერებდა ისევ - ჰო, შემადრწუნებელია, ბრილკა, როცა ქმრის მკვლელის მეშვეობით გრძნობ ქმართან სიახლოვეს. როგორ გეგმავდა და წარმართავდა იმ თამაშს, რომელიც პატარა დიდმა კაცმა ასე კარგად იცოდა. წარმომიდგენია, როგორ ვერ ძღებოდა ქრისტინეს შუაზე გახლეჩილი სილამაზის ცქერით, როგორ თვრებოდა მისით ისევ და ისევ. ალბათ ქრისტინეს თანდათან მოეშვა გულზე შემოხვეული მავთულხლართი და დაიჯერა, რომ რეალობა გაარღვია და მოჩვენებების სამყაროში გადაინაცვლა.

თვალწინ მიდგას, როგორ დაადგებოდა თავს, ანტიკური ქალღმერთივით, რომლის გამოჩენა შეწყალების ან შეჩვენების ნიშანი იყო. როგორ დააცქერდებოდა, აღტყინებული იმით, რის გაკეთებასაც აპირებდა, მას კი არ გაუმხელდა, რა უნდა მოჰყოლოდა ამ მშერას. როგორ წამოჯდებოდა და ნელა, დაკვირვებული, გამოზომილი, ძალიან ბუსტი მოძრაობით მოიხსნიდა ნიღაბს სახიდან. დაენახვებოდა ერთიანად - მთვარის სადარი მშვენიერება და შემადრწუნებელი სიმახინჯე. შეიძლება ხალისობდა კიდევ იმით, რომ აჩვენებდა ნაიარევს, მისივე მიზეზით გამოწვეულს, რის ნახვასაც გაურბოდა ამდენი წელიწადი.

მაშინ, ახალი წლის იმ ღამეს ქრისტინეს ნახვა რომ მოისურვა, მისი ნიღაბი ვერ აიტანა. ახლა კი სხვა გზა არ ჰქონდა, ახლა განადგურების კვალი მის სახეს შეზრდოდა, ახლა ამ დამსხვრეულ ნიღაბს ვედარ მოაშორებდა სახიდან და ქრისტინემ ცხოვრებაში პირველად იგრძნო მადლიერება იმის გამო, რომ ეს კომშარი მოუშუმებელ იარაღ დარჩა სახეზე. აცადა, რომ ეყურებინა.

- უნდა რაღაც გთხოვო, - უთხრა მერე.

- რასაც მოისურვებ, - უპასუხა იმან და თვალი მოაშორა.

- რაღაც წამოგიდე. ოღონდ უნდა მოვამზადო. მინდა, მადლობა გადაგიხადო. ანდროს გამო. სამზარეულოში ჩავალ და მერე ამოგიტან ჩემს სიურპრიზს. მინდა დააგემოვნო. ერთად გავსინჯოთ, - დაამატა, რომ ეჭვი არ გასჩენოდა.

იმან თავი დაუქნია, შვევით ამოისუნთქა, რადგან ქრისტინე გავიდოდა იქიდან და იძულებული აღარ იქნებოდა, მისი ჭრილობები აეტანა. ქრისტინე როგორც იყო, ისე ჩავიდა ქვევით, შიშველი, როგორც ღმერთმა და პატარა დიდმა კაცმა შექმნეს და ცხელი შოკოლადი მოამზადა.

ვერცხლის ლანჯრით მიართვა შავი ცდუნება, ჯადოსნურ სურნელს რომ აფრქვევდა. საწოლზე მარჯვენა მხრიდან ჩამოუჯდა, რათა უცხო სასმელის ნდომა არ გაეფუჭებინა მისთვის და თითი ამოავლო ბლანტ სითხეში. მერე თითი აილოკა. იმანაც, ამ სანახაობით მოხიბლულმა, პირი

გაულო და მონდომა, ქრისტინეს თავისი თითით ეჭმია მისთვის. რასაკვირველია, მოთმინებით აზიარა მამამისის საიდუმლოს. მან კი ბოლომდე ამოსანსლა შოკოლადი.

1953 წლის 26 ივნისს, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, იმ დღეს, როცა დედაჩემი მოევილინა ამ ქვეყანას, პატარა დიდი კაცი დააპატიმრეს, პოლიტიბუროს დანარჩენი ცხრა წევრის შეთქმულების შედეგად, რომელთაც ნიკიტა ხრუშჩოვი ედგა სათავეში.

პატარა დიდი კაცი საზაფხულო წვრთნებიდან დაბრუნებულიყო სმოლენსკიდან, სადაც იმისთვის გააგზავნეს, დრო რომ მოეგოთ და მისთვის ძალაუფლების ჩამორთმევა დაეგეგმათ. იმ დღეს დიდი პატარა კაცი სხდომის გახსნას ესწრებოდა. ერთი საათის შემდეგ სპეციალური დივიზიის ხუთი შეიარაღებული პირი შევიდა მის ოთახში. მისაღებში 17 ადამიანი მაინც იმყოფებოდა НКВД-დან, პატარა დიდი კაცის ქვეშევრდომნი და მათ ვერც წარმოედგინათ, რა ხდებოდა იმ დროს დახურულ კარს მიღმა.

კანონის ძალით დაპატიმრებულიაო – განაცხადა მალენკოვმა და ყველამ იარაღი ამოიღო. იმ მალენკოვმა, რომელიც გენერალისიმუსის ისეთივე დაახლოებული პირი იყო, როგორიც პატარა დიდი კაცი. სომხეთსა და ბელარუსში, თავისი ოცდაათწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, დაახლოებით 150 000 ადამიანი რომ დაახოცვინა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც ფართო თედოებისა და წრიპინა ხმის გამო „მალანია“ შეარქვეს. პატარა დიდ კაცს ერთხელ ასეთი რამ უთქვამს: ბელადი ერთი კაცის მოკვლის განკარგულებას რომ გასცემს, მალენკოვი 1000-ს ისტუმრებსო.

ახლა კი ეს მალანია, ეს სიმამაცის კარიკატურა, ხრუშჩოვთან ერთად იდგა მის პირისპირ, მთელ საბჭოეთში ყველაზე სამიში კაცის პირისპირ, რომელსაც თავად ბელადმა „ჩვენი ჰიმლერი“ უწოდა, და იარაღს უმიზნებდა! უნიფორმის შიდა ჯიბეში ფურცელი უპოვეს, რომელზეც ზედიზედ ეწერა სიტყვა „განგამი“. როგორც ჩანს, სხდომამდე უკვე გუმანმა უკარნახა რაღაც, თუმცა შესაძლებლობა არ მიეცა, დაცვისთვის ეს ფურცელი მიეწოდებინა.

26 ივნისის ღამეს, 27 რომ თენდებოდა, SIS-110-ის უკანა სავარძელზე მჯდომი პატარა დიდი კაცი საიდუმლოდ გაიყვანეს კრემლიდან და საგანგებო დაწესებულებაში მიიყვანეს დასაკითხად. დაკითხვა ნახევარ წელიწადს გახანგრძლივდა, აღიარება ცოტა იყო, სამაგიეროდ, შეწყალებისა და ბრალდების იმდენ წერილს წერდა, რომ ბოლოს დაპატიმრებულ პატარა დიდ კაცს მიმოწერა აეკრძალა. მისი სევდიანი ცოლი, ნინა, კი პირველად გააქტიურდა, ქმრის კოლეგას მიმართა და მალანიას წერილი გაუგზავნა. დარწმუნებული ვარ,

გაუგებრობა მოხდაო, წერდა, მჯერა, ჩემი ქმარი ჯემმარითი კომუნისტია და მუდამ სამშობლოს ინტერესებით მოქმედებდა, ისე, როგორც ლენინმა და დიადმა გენერალისიმუსმა დაიბარეს, მაგრამ თუ უნებურად რამე დააშავა, მეც სრული სიმკაცრით მაგებინეთ პასუხიო, - ითხოვდა წერილის დასასრულს. ასეთმა ერთგულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცკ-ს წევრებზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებმაც, ბელადის მოწოდებით, საკუთარ ცოლებს, ძმებს, მშობლებსა და მეგობრებს ცილი დასწამეს და მათი დაპატიმრება კანონიერად მიიჩნიეს.

1953 წლის დეკემბერში საზოგადოებისგან გასაიდუმლოებულ პროცესზე სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს და, სავარაუდოდ, იმავე დღეს აღასრულეს. დახვრიტეს. ცხედარი დაწვეს. წინას სურვილი არ გაითვალისწინეს, ის ცოცხალი დატოვეს. წინ მრავალი წელი დარჩა, რომ თავის ქმარზე მოგონება შემოენახა და მისი ხსოვნისადმი ერთგულება გაენია.

სასამართლო პროცესის საბუთები 40 ტომს მოიცავს. საბრალდებო დასკვნაში ჩამოთვლილია ყველაფერი: უკანონო დევნა, დაპატიმრები, წამება, გაუპატიურება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება, მონამვლა და დახვრეტა. პატარა დიდი კაცი კი განაჩენის გამოტანის დღემდე მოითხოვდა, უდანაშაულოდ ეღიარებინათ.

ძალაუფლებისთვის ბრძოლა როგორც კი მოიგო და მალანიაც გზიდან ჩამოიშორა, გენერალისიმუსის დიდი სამეფო კალინკოვიცელი გლეხის, ხრუშჩოვის, ხელში გადავიდა, რომლის განათლება სკოლის ორწლედით შემოიფარგლებოდა. რადგან მამამისმა დაარწმუნა, 30-მდე დათვლა შენთვის საკმარისიაო, ოცდაათ რუბლზე მეტს მაინც არასდროს გადაგიხდიანო და რომელმაც მშობლის რჩევის შემდეგ მართლაც თავბრუდამხვევი სოციალისტური კარიერა გაიკეთა. ჯერ კიდევ 1937 წელს გენერალისიმუსისთვის მიუწერია, პირადად გამოვამჟღავნე სისტემის 8500 მტერი, რომლებიც ჩემს თვალში სიკვდილს იმსახურებენო, ამიტომ ხელი არ უნდა აგვიკანკალდეს, ჩვენი მტრების გვამებზე უნდა გადავიაროთ, ხალხის საკეთილდღეოდო. ამისთვის დაჯილდოვდა კიდევ. თანაც ძალიან გულუხვად. და ახლა იდგა იქ, სადაც მამამისს არც დაესიზმრებოდა. გლეხის ბიჭი კალინკოვოდან, რომელმაც მხოლოდ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აღიარა: ხელები იდაყვამდე სისხლში მაქვს გასვრილიო.

* * *

მან ხომ მემკვიდრენი დატოვა იმდენი,
მსოფლიოს ავსებენ კიდიდან კიდემდე,
მე მგონი, კუბოში უდგას ტელეფონი
და იმ მემკვიდრეებს აძლევს მითითებებს.
იგი არ მომკვდარა... ახლაც არ გვასვენებს....

ევტუშენკო

კიტი ემის სამზარეულოში იჯდა, თავჩარგული London Evening-ში, რომლის თავფურცელს პატარა დიდი კაცის ფოტო ამშვენებდა, გულამოსკვნით ტიროდა. მესამე წელი იყო, რაც თავისი ოჯახის შესახებ არაფერი იცოდა და დარდიან მონატრებას უკვე ვეღარ უძლებდა. ტიროდა კიდევ იმის გამო, რომ იმ დღეს პირველად გამოუტყდა საკუთარ თავს, ქალი რომ უყვარდა. დილით, ემისთან ჩხუბის შემდეგ, ფრედ ლიბლიხი ისევ წავიდა ემის სახლიდან და იმ მიზეზით, რომ ნაყოფიერი ფაზა დაენყო, თავის სახელოსნოში დაბრუნდა.

იმ საბედისწერო დილის შემდეგ კიტი გაურბოდა ფრედს. სინდისი ქენჯნიდა და შიში მოსვენებას არ აძლევდა. ჯაბკლებში სულ უფრო მეტ დროს ატარებდა. ემის სტუმრებთან გამოსვლის შემდეგ ადრინდელზე უფრო დიდი ხნით რჩებოდა, მაგიდასთან იჯდა და ბეჭითად სვამდა ვისკის. სტუმრები საუბარს უბამდნენ, ის კი გულმოდგინედ თამაშობდა საბჭოური სენსაციის როლს. მათ შიშს უფრო ამძაფრებდა, მათ წარმოდგენას უფრო ამუქებდა, ახალი თავზარდამცემი დეტალებით ავსებდა. მერე და მერე ართობდა კიდევ თავისი საქციელი. ფანტაზია სულ უფრო მძაფრ და მრავალფეროვან სიუჟეტებს კარნახობდა კომუნისტური წარსულიდან.

მიუხედავად იმისა, რომ არ უარობდა, როცა მამაკაცები სასმელით უმასპინძლებოდნენ, კინოში ევატიჟებოდნენ ან საჩუქრებს უძღვნიდნენ, ზოგჯერ ემის სახლის კართან რომ მიაცილებდნენ, კოცნის უფლებადაც კი აძლევდა, საშველი მაინც არ იყო. ამასობაში ინგლისურ ენაშიც გაიწავა, მაგრამ არც ამით შეიცვალა რამე, ფაქტი ფაქტად რჩებოდა – მას არაფერი ჰქონდა სათქმელი ადამიანებისთვის, რომელთაც ხვდებოდა და არც უნდოდა რამის თქმა. ერთადერთი, ვისი სიტყვების გაგონება ენატრებოდა, მისი უცნობი მეგობარი იყო; ერთადერთი ქალი, ფრედი – რომლისთვისაც სიტყვები ემეტებოდა.

ყოველთვის, როცა თავის არიდებას ვერ ახერხებდა და ემისა და ფრედის ხითხითი და ონავრობა ესმოდა სასადილო ოთახიდან, ეჭვიანობა ისე დაუვლიდა, რომ მზად იყო, ქვევით ჩაერბინა, ფრედი გამოეტაცა, თავის ოთახში აეყვანა და ელაპარაკა ყველაფერზე, რაც აზრად მოუვიდოდა. მაგრამ ამ ნატვრის ისე რცხვენოდა, სახეს ბალიშში მალავდა, თანაც ისე ღრმად, მათი ხმა და სიცილი რომ აღარ გაეგონა.

ერთ დღეს კიტიმ გამბედაობა მოიკრიბა და გარეთ გავიდა. მეტროთი გაემგზავრა სოჰოში და მიაკვლია მისამართს, ჩუმად რომ ამოინერა ემის წიგნაკიდან. გულის სიღრმეში ნატრობდა, შინ არ დახვედროდა, ან კარი არ გაეღო ან სტუმარი ჰყოლოდა. მაგრამ ფრედი იქ იყო, პირველივე ბარზე გაულო და მაშინვე შეიპატიჟა. მართო დაუხვდა. რატომღაც კიტი

კართან გაჩერდა, თითქოს დაფრთხა, რომ უკან ვედარასდროს გამოვიდოდა.

ფრედიც ზღურბლთან გაჩერდა, თავი გვერდზე გადახარა და მოულოდნელ სტუმარს დაჟინებით შეაცქერდა. შერე გაიღიმა:

- შეწყვიტე რა, გთხოვ.

- რა?

- ისე მიყურებ ხოლმე, რომ... განსაკუთრებით ემის თანდასწრებით.

- და როცა ემი არ არის?

კიტის დაბნეულობამ ეტყობა ფრედი გაამხიარულა, სიგარეტს მოუკიდა და კედელს მიეყრდნო.

- ესე იგი, არავითარ შემთხვევაში არ შემოხვალ? არც ჟაკეტს გაიხდი? არც ჩაიზე დამენვევი? არც ჩემს ნახატებს დაათვალიერებ?

კიტიმ თავი გააქნია. ისევ და ისევ, თითქოს თავს ირწმუნებდა. ფრედმა ხელი გაუწოდა. არც ერთი ბეჭედი, მოკლედ მოჭრილი, მხატვრისთვის მეტისმეტად სუფთა ფრჩხილები. არ განძრეულა, ელოდა. თუმცა სინამდვილეში დარწმუნებული იყო, რომ კიტი მას გაჰყვებოდა. როცა ნახა, რომ კიტი ყოყმანს განაგრძობდა, ხელი დაუშვა და თითქოს მისდევნო, დიდ სახელოსნოში შეიჭრა, სადაც კიტიმ შეხედვაც კი ვერ გაბედა. ჯერ მუსიკა გაისმა და მასპინძელიც გამოჩნდა, ხელში ღვინის ორი ჭიქა ეჭირა. ემის ბარიდან წამოიღებდაო - გაიფიქრა.

- ძალიან ლამაზია. რა არის? - იკითხა კიტიმ და ჩაეცინა, როცა დაინახა, როგორ მოკალათდა ფრედი დერეფნის იატაკზე. ხელისგული დაატყაპუნა თავის გვერდზე, კიტი მიიპატიჟა.

- ბილი ჰოლიდეი არ იცი? მოდი აქ, რაკი შენ არ გინდა შემოსვლა, მაშინ მე გამოვალ. მაგრამ იმას ვერ ვიფიქრებდი, ბილი ჰოლიდეი არ გცოდნოდა. შენ აუცილებლად უნდოდა იცნობდე მას.

კიტი გაუბედავად დაჯდა იატაკზე. უსასრულოდ სევდიანმა ხმამ მოაჯადოვა.

- ჰაერი გაკლია, ლამაზო ქალო! მეტი ჰაერი, მეტი თავისუფლება, საკუთარი თავი უნდა ხელახლა იპოვო, - უთხრა უცებ ფრედმა სერიოზული გამომეტყველებით.

- რას ითხოვ ჩემგან? - შეეკითხა კიტი თავშეკავებულად და ღვინის ჭიქა ტუჩებთან მიიტანა.

- შენ, - უთხრა ფრედმა და ისევ გაიცინა, - უბრალოდ შენ.

- შენ ხომ ქალი ხარ.

- მართალია, ხომ გეცნობა ჩემი სქესი?

- და ემი?

- ემის არ ვჭირდები.

- ძალიანაც სჭირდები!

- ჩვენ მშვენიერი წყვილი ვართ, დამიჯერე.

სანამ კიტი რამის თქმას მოახერხებდა, ფრედი უკვე გადახრილიყო მისკენ და მის პირს უახლოვდებოდა. მისი კოცნა ფრთხილი აღარ იყო. ისეთი იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, კოცნა, რომელიც კიდევ ბევრჯერ გამეორდებოდა.

- როგორ წარმოგიდგენია ეს? - კიტიმ თავი გასწია, - როცა არაფერი იცი ჩემ შესახებ.

- ყველაფერი ვიცი, რაც უნდა ვიცოდე. შენ ხომ გხედავ.

- ველარავის ვულაატებ. არ შემიძლია.

- უბრალოდ, თვალები დახუჭე. არაფერი მოგივა. მომენდე, მე ვიზრუნებ შენზე.

დედაჩემის დაბადებიდან სამი თვის შემდეგ კავკასიის ერთ-ერთ სოფელში, ერთმა ქალმა ბიჭი გააჩინა. მიქაელი დაარქვეს. გვარად ერისთავი იყო.

იმ დამით სტასიას თავისი გარდაცვლილი მეგობარი სოფიო ესიზმრა. გაცისკროვნებული და ჰაეროვანი იყო, ტუჩებზე ალერსიანი ღიმილი დასტამაშებდა; უცხო ოთახში სავარძელში იჯდა და ფანჯრიდან გაჰყურებდა მზიან ბაღს. ოდნავადაც არ ჩანდა დაბერებული, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ოცი წელიწადი გასულიყო. მეგობრის სილამაზით გაოგნებული სტასია კართან გაჩერდა და თვალი ვერ მოსწყვიტა მზეზე მონებივრე სოფიოს.

- მოდი აქ, ტასო, აქ უფრო თბილა, - გამოხიბა მან და ხელი დაუქნია, - ნუ გეშინია.

სტასია მიუახლოვდა გარდაცვლილ მეგობარს და ფრთხილად ჩამოჯდა სავარძლის სახელურზე. ფანჯრიდან შემოჭრილმა მზის შუქმა თვალი მოსჭრა და დანვები შეუფაკლა.

- მომენატრე, - დაიჩურჩულა სტასიამ მზის სხივებში და ფრთხილად მოეფერა სოფიოს მხარზე.

- ჰო, რამდენი დრო გავიდა, არა?

- ძალიან ბევრი. განაწყენებული ხარ ჩემზე?

- შენ ვერაფერს შეცვლიდი. როგორ თბილა, როგორი სითბოა აქ, არა?

- სოფიო. როგორ მაკლიხარ. ჩემო სოფიო!

მოულოდნელად სოფიომ ხელი სტაცა სტასიას. ხავერდოვანი, ნაზი ხელი ჰქონდა, ახალგაზრდა და ღონიერი. სტასიას ხმა ჩაუვარდა. ბევრი რამის თქმა უნდოდა, ბევრი რამის ახსნა, აღიარება, მაგრამ ვერაფერი მოახერხა, თითქოს უეცრად სიტყვები გამოეღია.

- უამბე ჩემს ბიჭს კარგი სამყაროს შესახებ, უამბე... უამბე!

ეს სიტყვები როგორც კი წარმოთქვა, სოფიომ კიდევ ერთხელ გადაუსვა თავზე ხელი და სტასიას უეცრად გაეღვიძა.

სექტემბრის ერთი ცხელი დღის მიწურულს დაბადებული ბიჭის მამა სიტყვაძუნნი კოლმეურნე იყო, საღამოობით, ნავთის ლამპით განათებულ

(ელექტრობა მთაში იშვიათი ფუფუნება იყო) თავის მიწურში ხისგან ფიგურებს თლიდა და საწოლის ქვეშ მალავდა, რადგან მისი გარჯა შეიძლებოდა ამორალურად ან მავნებლურ საქმიანობად მიეჩნიათ.

მან ღვთისმოსავი გლეხის ქალი მოიყვანა ცოლად, ერთად მუშაობდნენ კოლმეურნეობის ბრიგადაში და პომიდორსა და ქლიავს მოუტანდა ხოლმე პირის გასასველებლად, თანაც მზრუნველად ეკითხებოდა, როგორ ხარო, სხვებისაგან განსხვავებით, მკაცრად და ეჭვით არ აყოლებდა თვალს. სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას, დიდწვერა მელოტი კაცი დიდად არ ეხატებოდა გულზე. არაყის გამოხდა იმან არ იცოდა, ომახიანი სადღეგრძელოებით თავს არ იწონებდა, მონიფულ გოგონებს თვალს არ აყოლებდა და თანაც არც წარმართულ, არც ქრისტიანულ და არც სამოქალაქო დღესასწაულებს არად მიიჩნევდა. დასალოცად თუ უხვი მოსავლისთვის ხატს მსხვერპლს არ სწირავდა, სამაგიეროდ არცთუ იშვიათად მიემგზავრებოდა რაიონულ ცენტრში, იქაურ ბიბლიოთეკას მიაკითხავდა და ილღიაში ამოდებული წიგნებით ბრუნდებოდა.

სინამდვილეში ანდრო არ იმჩნევდა, თორემ ქედს იხრიდა მთიელთა წეს-ჩვეულებების წინაშე, რადგან შეუვალი იყო მათი ცხოვრების წესი, დაცილებული ყოველგვარ სიახლეს, თითქოს საკუთარი წელთაღრიცხვით ითვლიდნენ დროს, მაგრამ ხანდახან აღიზიანებდა მათი ტრადიციებზე მიჭაჭველობაზე მათი ცრუმორწმუნეობა, ყველაფერს, რაც თემის მიერ აღიარებულ წესებს არ ექვემდებარებოდა, უნდობლობას უცხადებდნენ.

ყოველდღე ხელახლა უწევდა საკუთარ თავთან ბრძოლა, რათა უკან არ გაეხედა. ყოველდღე სულ უფრო ქრებოდა ნუშისთვალეზა კიტის სახე მისი მესხიერებიდან, ქალის, რომლისთვისაც თავისი თვალებით დანახული სამყარო უნდოდა ეჩუქებინა. ნელ-ნელა ისწავლა, რომ ცხოვრება შედგებოდა სუნთქვისგან, ჭამისგან, მონელებისგან, მძიმე ფიზიკური შრომისგან, არყის სმისა და ძილისგან და რომ მას ამ ცხოვრებისგან მეტის მოლოდინის უფლება არ ჰქონდა.

შვილის ამქვეყნად მოვლინებამ დაუბრუნა ადამიანური სითბო, დაკარგული რომ ეგონა; მკერდში ჩაუდგა და გული გაუშალა. იმ ჩვილმა, ხელში რომ პირველად აიყვანა, მართლა აუჩუყა გული ამდენი წლის შემდეგ. დაიმედდა, ეგებ ბავშვის წყალობით ისევ განმიახლდეს ადამიანების ნდობა და სიყვარული.

ერთხელ, ზამთრისპირას ნაშუადღევს, როცა უკვე გვარნიანად ციოდა, მატყლის თავშალში გახვეულ მშვიდად მძინარე ჩვილთან ერთად გარეთ გავიდა; ეზო გადაიარა, ხეობისკენ მიმავალ ქვადორღიან გზას გაუყვა, ჩაუარა მეზობლების სახლებს, ქარხანას, კოოპერატივს, სკოლას, შემოხვდნენ მწყემსები, საძოვრებიდან ცხვრებს რომ მოდენიდნენ, მისალმების ნიშნად მდაბლად თავი დაუკრა ომში დაღუპულთა ქვრივებს,

ძაძებში გახვეული სადამობით, წყაროსთან რომ ისხდნენ ხოლმე, ეკლესიასთან შეკრებილ სოფლის უხუცესებს, უკან მოიტოვა სოფლის სამკითხველო, რომელშიც არაფერი ინახებოდა, რაც ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში დაწერილიყო, თვალი ჰკიდა თამაშში გართულ ბავშვებს, მეცხვარე ძაღლი რომ ასდევნებოდათ და გაოფლილები ყოფინით ეშვებოდნენ გორაკიდან. დაადამდა, ტყის სამხრეთ ნაწილში ქვის სამტეხლოს მიადგა, ხეობას გარს რომ ეკვროდა. იქ, ჩანჩქერის შორიახლოს, რომელიც უსაზღვრო მძვინვარებით, თავდავინწყებით, მედიდურად მიექანებოდა უფსკრულისკენ, ერთ დიდ ქვაზე ჩამოჯდა და მიმოიხედა. მიქას, ასე დაარქვეს მოფერებით ბიჭს, მის მკლავებში მშვიდად ეძინა და ეტყობა, წყლის ხმაურიც კი ვერაფერს აკლებდა. ანდრომ თვალები დახუჭა, მაგრად ჩაიხუტა შვილი, ღრმად შეისუნთქა და გაიღიმა. გაღიმებულს მისი სახე დაუდგა თვალწინ, კიტის სახე. გაახსენდა ნორჩი კიტი, სულ პირველად პატარა მყუდრო ქალაქში რომ აკოცა, მწვანედშეღებულ სკამზე როცა ისხდნენ, კიტი, ვისაც თავისი ყველა იდეა მიუძღვნა. მერე ომის წლები დაუდგა თვალწინ. გულაგი. ადამიანობის დაკარგვა, უშუალოდ რომ გამოსცადა. ისე ადვილად ასათვისებელი აღმოჩნდა, თითქოს ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება შეცდომა ყოფილიყო.

ბრილვა, ზოგჯერ ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მოყოლის დროს სუნთქვა მეხშობა, მაშინ იძულებული ვარ, ხმა გავკმინდო, ფანჯარა გამოვალო და ჰაერი ღრმად ჩავისუნთქო. ეს იმიტომ კი არ შემართება, რომ სათანადო სიტყვებს ვერ ვპოულობ. არც იმიტომ, რომ ყველა ამბავი მოსაყოლია; უფრო იმ ადგილების გამო, ბნელით რომაა მოსილი.

ამბები ერთმანეთში იხლართება, ერთმანეთში გადადის, ერთმანეთს უერთდება – ვცდილობ, ამ ძაფის გორგალი გავხსნა, რადგან ყოველივე ცალ-ცალკეა მოსაყოლი, სამყაროს ერთდროულობას სიტყვებით ვერ გადმოსცემ. ადრე, როცა დაახლოებით შენხელა ვიყავი, ბრილვა, ხშირად მიფიქრია, ნეტავ, რა მოხდებოდა, მსოფლიოს კოლექტიურ მეხსიერებას სასურველი ამბები შემოენახა მხოლოდ, მარწუხებივით მოგონებები კი დაევიწყებინა-მეთქი. ყველა ომი და უთვალავი მეფე, დესპოტი ბელადი თუ მეომარი დავინყებას მისცემოდა და მხოლოდ ის ადამიანები შემორჩენოდნენ წიგნებს, რომლებმაც სახლი ააგეს საკუთარი ხელით, ბაღი გააშენეს, ჟირაფი აღმოაჩინეს, ღრუბელი აღწერეს და ქალის გედვიით ყელს ხოტბა შეასხეს; რამდენჯერ მიფიქრია, თუ საიდან ვიცით, ვისმა სახელებმაც დროს გაუძლო, ისინი უკეთესი იყვნენ, უფრო ჭკვიანები ან უფრო საინტერესონი – მაშ, დავინყებულნი სადღა არიან? ჩვენი ნებაა, რას დავიმახსოვრებთ და რას – არა. დრო არაფერ შუაშია. დროს ეს არ აინტერესებს. მაგრამ ჩვენს ამბავში ის არის უსამართლო, რომ არც მე და არც შენ არ გვეძლევა ყველაფრის გახსენების შესაძლებლობა, არც იმათი, ვინც დავინყებას მიეცა, რომ მეც იძულებული ვარ შევარჩიო, შენთვის რისი მოყოლაა აუცილებელი და რისი – არა;

მგონი, ეს ზოგჯერ შეუძლებელია. მე ჩემს საკუთარ, აბსოლუტურად სუბიექტურ აზროვნებას ვებრძვი. მას მერე, რაც ჩვენი ოჯახის ამბის წერა დავიწყე შენტვის და ყოველივეს აღნუსხვა, სულ მართლობას ვამჯობინებდი, მაგრამ ამაზე მერე უფრო ვრცლად ვიამბობ, როცა ჩემი ცხოვრების ჯერი დადგება, როცა დავიბადები, ბოლოს და ბოლოს, სიტყვების ამ ქარცეცხლში გავცოცხლდები.

საამისოდ ყველა ჩემი მოთხოვნილება გვერდზე გავწიე, თუკი საერთოდ რომელიმე შემომჩინოდა, მელანქოლიის ყოველდღიური შემოტევაჲ კი ავუკრძალე საკუთარ თავს და აჩემებულის შესრულებას მიუძღვენი მთელი ჩემი არსება. მერე, რაც ჩემი ცხოვრების ბოლო წლებში ასე დავიბენი და დავიკარგე, ეს მკაცრი, ლამის სამონასტრო ასკეტიზმი და დისციპლინა ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ჩემთვის. ეს მოგზაურობაა ჩემი სულისა, ერთგვარი განწმენდაა, გარდაქმნის საშუალება – და არც კი ვიცი, საბოლოოდ, რა შედეგს მოვიმიკი.

ამ საღამოს, დღეს პარასკევია და სითბომ კიდევ უფრო მეტი ადამიანი გამოკრინა წარსულიდან; და რომ მეგონა, უნდა შემეწყვიტა წერა, უეცრად ჟრიამული, ჭიქების და ბოთლების წკარუნი, მუსიკა – ეს ყველაფერი ზაფხულის მაცდუნებელ სიმფონიად იქცა ჩემი ფანჯრების ქვეშ, ამას ვერსად დავვმალებოდი, ეს ხელს მიშლიდა, მთელი ყურადღება ჩემს ამოცანაზე გადამეტანა. ანმყო მეტისმეტად ყოვლისმომცველია, მოსვენებას არ მაძლევს, ასეთ დროს წარსულს ყურს ვერ ვუგდებ.

ასე რომ, ავდექი და ფანჯარასთან მივედი, გამოვადე, ზაფხულის ცხელი, მტვრიანი ჰაერი ჩემს ოთახში შემოვუშვი და გამვლელებს გადავხედე. და ამ დროს უცნაური რამ მოხდა: ცოტა მოშორებით, გზაჯვარედინთან, სადაც ერთი უსახლკარო ყოველდღე მესალმებოდა და გასაყიდად გამოტანილი გაზეთებს მთავაზობდა, სტასია დავლანდე. სტასია, რომელსაც საუკუნის შესრულებამდე ერთი წელია დააკლდა. არა, არ გავგიჟებულვარ, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი რამეებისა არ მჯერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა...

მაშინ მივხვდი, რომ უკვე მოჩვენებები გამომეცხადნენ, იმასაც მივხვდი, მართლა სწორად ვიქცევი, მათ ამბებს რომ ვწერ შენტვის. დიახ, – ჩვენსას. შენსას. ჩემსას და ყველა იმ ადამიანისას, თავიანთი ცხოვრებით ჩვენს ამბავში რომ ჩაენერნენ. უცებ მივხვდი, რატომ ვირჯები ასე და რომ სწორად ვიქცევი. მივხვდი, რომ მოვალეობა მაკისრია, ცულის მოვალეობა, რომელმაც დრო უნდა გააპოს, შენტვის. ყველა ეჭვი გამეფანტა.

დავიჩემე, ადრე თუ გვიან ყველანი გამომეცლებიან, უკლებლივ ყველა აჩრდილი, რომლებსაც კიდევ რაღაც დარჩათ მოსაყოლი და ჩემს ჩანაწერებს ცნობისმოყვარედ ჩახედავენ. სიცილი ამიტყდა. ჰო, გამეცინა.

შენ გამახსენდი. გაუსაძლისმა მონატრებამ შემიპყრო, მაგრამ შვევა ვიგრძენი, მართლა.

როგორც იქნა, აღმოვჩნდი დროის მიღმა, ყოველგვარი კანონზომიერების მიღმა და თანდათანობით, უფრო და უფრო რომ დავკარგო კავშირი დღევანდელობასთან, სულ უფრო ნაკლებად დავინტერესდე, რა ბედი ელით გარეშე ადამიანებს და თუნდაც მე, ამ ყველაფრის შემდეგ, ის მაინც ვიცი, რა შეკითხვა დაგისვა ამ მოგზაურობის, ამ გაქცევის დასასრულს. თუმცა, ჯერ შორს ხარ და არც არაფერი იცი ამ ყოველივეს შესახებ, არ გამტყუნებ, რომ განაწყენებული ხარ ჩემზე – მაგრამ მე მაინც დავბრუნდები. შენთან. და ჩემს შეკითხვას დაგისვამ, შენ კი შენს პასუხს მეტყვი.

* * *

ასე როგორ შეიძლება, თითქოს არ გვცოდნოდა, რა ხდებოდა?
ხრუმჩოვი

ამბობენ, სულ იცინოდაო, ახალდაბადებულის, მერეც, როცა წამოიზარდა. დედაჩემი, ელენე ჯაში, სტასიას შვილიშვილი, ქრისტინეს დის შვილიშვილი, კიტის ძმის შვილი, კოსტიას და ნანას ქალიშვილი. ჩემი და დარიას დედა. ის არავის ჰგავდა, თავის თავსაც კი. ქალი, რომელმაც რაღაც ამოუცნობი მიზეზის გამო გადაწყვიტა, თავისი ყველაზე დიდი შეცდომა შვილების წყალობით მოენანიებინა.

მეტად სხარტი ყოფილა თურმე პატარობისას და ეს ეტყობოდა მის აზროვნებას, მოთხოვნილებებს, სურვილებს, თანაც ისე თვალსაჩინოდ, რომ „პროპელერიანი გოგო“ შეარქვეს.

ასეთად მოვევლინა ამ ქვეყანას, სასონარკვეთილებისა და ახალი იმედების ჩასახვის წელიწადს იმ უზარმაზარ სახელმწიფოში, რომელიც დღეს აღარ არსებობს. მამამისმა შვებულება აიღო, თავისი მკაცრად გასაიდუმლოებული მისია დროებით შეწყვიტა და აღფრთოვანებულმა და მოხიბლულმა რამდენიმე კვირა გაატარა ღონემიხდილი ცოლისა და მოცინარი შვილის გვერდით. ქრისტინე და სტასია ზედმეტი ემოციების გადმოუფრქვევლად, მშვიდად შეხვდნენ ელენეს დაბადებას, ნანას ეს უფრო ჯანსაღ და ღირსეულ დამოკიდებულებად მიაჩნდა, ვიდრე საკუთარი ოჯახის წევრების თავსმოხვეული მზრუნველობა; როცა მოსანახულებლად მისული დეიდების და დედის რჩევებისა და აღზრდის მეთოდების მოსმენას ვეღარ უძლებდა, თავის ჩაბნელებულ ოთახს მიაშურებდა ხოლმე. ნანა იქ უფრო დაცულად გრძნობდა თავს და, ისევ თავისიანების გულისგამწვრილებელი ჩიჩინის მიუხედავად, გრძნობდა, რომ ჯერ არ იყო მზად, ქმარს გაჰყოლოდა ჩრდილოეთში.

როცა ქრისტინემ პატარა დიდი კაცის სიკვდილი შეიტყო, სხვენიდან თავისი ძველი გრამოფონი გადმოიღო, საგულდაგულოდ განმინდა,

ადგილი მიუჩინა დიდ ოთახში და მთელ ხმაზე ნორმა ჩართო. იდგა ფანჯარასთან, იყურებოდა ბაღში და უსმენდა მუსიკას. მისი სახე არაფერს გამოხატავდა, არაფერი ეტყობოდა, არც სინანული და არც შიში იმის გამო, რომ შოკოლადის წყევლა ახდა. მისი და მართალი აღმოჩნდა!

იმ დღიდან საოპერო ჩანაწერების ყიდვა დაიჩემა, იშვიათი და ძვირფასი ფირფიტების კოლექციის შესაგროვებლად ფული არ ენანებოდა. ზუსტად ერთი წლის მერე, როცა დედაჩემს ჯერ ფეხიც არ აედგა, ქრისტინე უკვე შთამბეჭდავ კოლექციას ფლობდა – პერსელიდან პუჩინიმდე. საღამოობით, მთელ სახლში სოპრანო და ბანი იღვრებოდა გრამოფონიდან; რაც უფრო დათბა გარეთ, მით უფრო სწრაფად იპყრობდა ხმები გარშემო ყველაფერს – გავერანებულ ბაღს, უბნის ვიწრო, მოკირწყულ ქუჩებსაც სწვდებოდა და მიტოვებული ეკლესიის გუმბათსაც აწყდებოდა. ქრისტინე მონუსხულივით უგდებდა ყურს და მიუხედავად იმისა, რომ მეზობლები შეწუხებას იმჩნევდნენ, არც უფიქრია მუსიკა დაბალ ხმაზე მოესმინა. ამასობაში გარეშენიც, ბოლოს და ბოლოს, შეეგუენ კლასიკური მუსიკით მის გატაცებას და თანაც თვითონაც დაიამეს ყური მოსმენით. გავერანება ვერის სახლში თავისუფლების შემოჭრამ დაასრულა, ელენეს დაბადებით. მისი ტკბილად ატიტინებით.

მცენარეებმაც გაიხარეს და ველურად გადაიფურჩქნენ ბაღში. მერე და მერე სახლშიც შეაღწია გახალისებამ. ავეჯიც თითქოს უცნაურ ხმებს გამოსცემდა და სხვენში ათასგვარმა ჩიტმა დაიდო ბინა. პეპლები და კალიები ბაღს გაუშინაურდნენ, სანადიროდ განაფული კატები ეზო-კარის გარშემო უვლიდნენ, ციყვები და კოდალები ბაღის დიდრონ ხეებს შეეჩვივნენ.

სახლმა შვებით ამოისუნთქა. წლების განმავლობაში მოჭერილი მკაცრი კორსეტი მოიხსნა, ყველა ნაკერი გაარღვია, ცხოვრება განაახლა, ხმაურიანი, მჩქეფარე, საგრძნობი და ხელშესახები.

უფროსები ოჯახში დაუდევრობას დიდად არ დაგიდევდნენ, პირიქით: კალიები და პეპლები ახალისებდათ, ჯერიდან წამდაუნუმ ჩამოშლილ ბათქაშს ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ბაღში ნარგავს აღარ მალავდნენ, შადრევანში დასახლებულ ბაყაყებსაც კი არ ერჩოდნენ. დამტვერილი ნივთების გადანმენდაც ეზარებოდათ. სტასიამ რუხი თუთიყუშიც კი იყიდა და გოია დაარქვა. არავინ ნუხდა დამტვერული ჯურჭლისა თუ დახეული აბაჟურების გამო, ამ განებივრებული ჩიტის აქეთ-იქით ფრენას რომ შეენირა.

მხოლოდ ნანა წყრებოდა ხოლმე თავს დამტყდარი უნესრიგობის გამო და ყოველნაირად იბრძოდა ამის აღსაკვეთად. ონავარ ჩიტს დევნიდა, ყოველდღიურად წმენდდა და ხეხავდა ყველაფერს, მიმოყრილ ფირფიტებს გადამალავდა, ქრისტინეს გამაყრუებელი მუსიკისთვის თავი რომ დაეღწია. სახლს დასტრიალებდა, მწერებს დასდევდა, კატებს იგერიებდა და ბაყაყებს შადრევანში სანამლავს უყრიდა. გულს იოხებდა

კოსტიასთან ტელეფონით, უჩიოდა დედამისის ახირებებს და ქრისტინეს პასიურობას. ეგებ დაელაპარაკო, ბავშვს ცუდ მაგალითს აძლევენ, ელენე ურიგოდ გაიზრდება, ასე არ ივარგებსო. დების დაუდევრობის შემხედვარემ, დროებით დისერტაციაზე მუშაობაც შეწყვიტა და ამჯობინა, შვილის აღზრდისთვის მიეხედა.

ბაბუაჩემმა შორიდან ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინა დედასა და დეიდაზე და შეეგუა მათ თავნებობას, ნანამ კი ოჯახზე ზრუნვის პასუხისმგებლობა მთელი ცხოვრება იტვირთა. სამაგიეროდ, ცოლის ყოველ შეჩვილებაზე კოსტია დაუყოვნებლივ გზავნიდა ფულს ოთახებში ახალი შპალერის გასაკრავად, საკანალიზაციო მილების შესაკეთებლად თუ ბაღის ინვენტარისთვის, მებაღეც კი დაიქირავა, რომელიც კვირაში ერთხელ მიდიოდა და ბაღში ფუსფუსებდა, მცენარეებს მიწას უფხვიერებდა, სარეველებს აცლიდა, რწყავდა. მიუხედავად ნანას გარჯისა და თავგამოდებისა, სახლი თანდათან ზღაპრული სულების სამფლობელოდ იქცა, თითქოს ახლადა მოიპოვა თავისი ჭეშმარიტი დანიშნულება და თანდათან ჩაიძირა იდუმალებაში.

ამის წყალობით დედაჩემს შესაძლებლობა მიეცა, ჯადოსნურ სამყაროში გაეტარებინა ბავშვობის ადრეული წლები. როცა ბებიებთან ტოვებდა ნანა შვილს მხოლოდ აუცილებლობის გამო, თუმცა გული კი ეთანადრებოდა, რადგან მათი აღმზრდელობითი შეხედულებები მისთვის მიუღებელი იყო, - ელენესთვის აღარაფერი იკრძალებოდა, თუთიყუშს ეთამაშებოდა, ბაღში ტალახში გორაობდა, ხეებზე მიცოცავდა. ჭურჭელს ამსხვრევდა და ფეხებს აბაკუნებდა, ტკბილეულსაც არავის უშლიდა, ქრისტინეს თმას აწინვნიდა, სტასიას გამოაჯავრებდა ხოლმე. იმ ლამის მოჯადოებულ ადგილას, ორ ხანდაზმულ ქალთან ერთად, მისთვის ყველაფერი ნებადართული იყო. ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რაც კი მოენებებოდა. იქ ამკრძალავი არავინ ჰყავდა. ეს კი არავის ანიჭებდა იმხელა ბედნიერებას, როგორც მოზარდ გოგოს, რომლისთვისაც ყველა კარი ღია იყო.

1956 წელს, პარტიის მე-20 ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის ახალმა პირველმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, გასაიდუმლოების მიუხედავად, მაინც ერთობ გახმაურებული სიტყვით გამოსვლისას, მკაცრად გააკრიტიკა გენერალისიმუსი და წინამორბედის სასტიკ რეპრესიებთან მიმართებით თამამად ახსენა სიტყვა „ღალატი“. ილაპარაკა „მასობრივ განადგურებასა“ და „უკანონო დახვრეტებზე“, საკუთარ პასუხისმგებლობაზეც ისაუბრა და ბოლოს დასვა შეკითხვა: „ასე როგორ შეიძლება, თითქოს არ გვცოდნოდა, რა ხდებოდა?“ სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილა თურმე, რადგან თითქმის ყველა იქ მყოფი, პირველი მდივნის ჩათვლით, გამოგნებელი სისასტიკით მონაწილეობდა ამ დაპატიმრებებისა და დახვრეტების პროცესში. მაგრამ იმ მოვლენების უბრალოდ ხსენებაც კი იმდენად ამაზრბენი იყო, რომ

ერთბაშად საეჭვო გახდა მოქმედი ყველა კანონი, სტრუქტურა და შეთანხმება. იმ დრომდე სსრკ-ში გარკვეული პოლიტიკური ქმედებების დაფარვა, მათი ტაბუირება სტაბილურობის ტოლფასი იყო. ახლა აღარავის შეეძლო განესაზღვრა, რა მოჰყვებოდა ამ სიტყვებს.

ხრუშჩოვის გამოსვლას ფართო საზოგადოება მასობრივი პროტესტით გამოეხმაურა. განსაკუთრებით, თბილისის ქუჩებში სტუდენტების დემონსტრაციები დაიწყო. გაოგნებული ხალხი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. ეროვნული იდენტობა ეჭვის ქვეშ დადგა, დიდი თანამემამულე, რუსეთის თვალუწვდენელ სახელმწიფოს ათწლეულების განმავლობაში რომ იფარავდა, მოღალატედ გამოაცხადეს. იმ ადამიანებმა კი ვერ აიტანეს სიმართლე, რომელთა მშობლები და ბები-ბაბუები სწორედ თანამემამულემ იმსხვერპლა; თუმცა დიდი ხნით ადრე თვითონვე უნდა სცოდნოდნათ ეს. მართლა გაუგონარია, რასაც ეს უკრაინელი ხეპრე კადრულობსო. ხალხი ბულვარებსა და ქუჩებს მიაწყდა, ალყა შემოარტყეს უნივერსიტეტს, გზები გადაკეტეს, სიმართლის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რადგან მსხვერპლნი უკვე თვითონ იქცნენ დამნაშავეებად, დამნაშავენი კი – მსხვერპლად.

სისტემა რომ ისევ ითხოვდა თავის წილ ხარკს, ხალხს მოგონებების შიში ჰქონდა, დასკვნების გამოტანას უფრთხოდნენ, იმიტომ რომ ეს მათ ფეხქვეშ მიწას გამოაცლიდა, ცხოვრებას უაღრესად დაუმახინჯებდა, საკუთარი თავის სიძულვილს უფრო უძძაფრებდათ. რაში სჭირდებოდათ ის სიმართლე?

უშიშროება სტუდენტებს როდესაც არბევდა, ის უშიშროება, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ თვითონ ებრძოდა იმავე სიმართლეს, გაცხადდა, რომ ის სიმართლე ფუჭი იყო და საბედისწერო. შეიძლება ოდნავ შეემსუბუქებინა სიტუაცია, სხვა სარკმელი გაღებულიყო, საიდანაც საკუთარი ცხოვრების სხვა კუთხით დანახვა გახდებოდა შესაძლებელი, მაგრამ ვის უნდოდა ეს? რას შეცვლიდა ასეთი სიახლე გარდა იმისა, რომ მათ ცხოვრებას სრულიად გაუსაძლისს გახდიდა ანდა სამუდამოდ დაასამარებდა?!

ხილულისა და უხილავს შორის მუდამ მტკიცე კედელია აღმართული, ბრილკა!

ცკ-მ თამამი გარდაქმნების დაწყება გამოაცხადა, რაც „დათბობის პერიოდის“ სახელით დამკვიდრდა. მგონი, საბჭოთა კავშირის ისტორიაში ეს ერთადერთი, განუმეორებელი მომენტი იყო, როდესაც რეალური ცვლილებები შეიძლებოდა მომხდარიყო – და ზუსტად ეს ერთადერთი შანსი არ გამოიყენეს და ისევ ნაცადი გზა არჩიეს (არადა უნდა ესარგებლათ ხრუშჩოვის თვითკმაყოფილებით, უფრო დიდი დრო უნდა მიეცათ მისთვის, გმირის და განმათავისუფლებლის როლი რომ ეთამაშა). უნდა გაეხანგრძლივებინათ ხელისუფლების მონანიების დრო, იქნებ ამას მართლაც საჭირო რეფორმები მოჰყოლოდა. საფუძვლიანი

რეფორმები და არა რეფორმებად სახელდებული სამასხარაო აკრძალვები.

პრესის ცენზურა ოდნავ შეამსუბუქეს, მანამდე აკრძალული წიგნები გამოსცეს, უშიშროების ძალაუფლება შეასუსტეს, წამება აკრძალეს, ისეთი მუსიკა გახადეს ნებადართული, მანამდე რომ ვერსად მოისმენდი, ხმაგაკმენდილ ადამიანებს სიტყვის გამოხატვის უფლება მიეცათ. გულაგები დახურეს, პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლეს, ასიათასობით ადამიანის რეაბილიტაცია გამოცხადდა. ქალაქებში ახალი საცხოვრებელი უბნები ააშენეს, უამრავი ხალხი გადავიდა კომუნალური საცხოვრისებიდან აბაზანიან და სამზარეულოიან ბინებში, მანამდე ეს წარმოუდგენელ ფუფუნებად მიიჩნეოდა. პირადი სივრცის ნაკუნნი გაჩნდა და ხალხიც მადლიერი იყო, რომ თავისუფლების პატარა ლუკმა გადაუგდეს.

მაგრამ თავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯები გამოთვლილი იყო, რადგან ძალაუფლება ყოველთვის უფრო ტკბილია, ვიდრე სინანული. რაც უფრო იფარებოდა მე-20 ყრილობა წარსულის ნისლით, მით უფრო სიამის მომნიჭებელი იყო განახლებული ძალაუფლების დემონსტრირება, იერშეცვლილი გაბრწყინების მცდელობა.

ამბოხების ტალღამ როცა აღმოსავლეთ ევროპას მიაღწია და უნგრელი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ, რათა აღშფოთება ერთად გამოეხატათ და უსამართლობასთან შეურიგებელნი ყოფილიყვნენ, კვლავ მრავალჯერ ნაცად ხერხს მიმართეს საბჭოელებმა და ისევ სისხლის გუბები დააყენეს.

პარტიის რიგებში ძალაუფლების დაკარგვის შეეშინდათ, სადავების მოჭერა ისევ საჭირო გახდა, შეამბოხებებს დაემუქრნენ, ჯარი გამოიყვანეს და ვინც რეფორმებით გულმოცემული ქუჩაში იყო გავარდნილი, უმაღლესი შეაბრუნეს. უზარმაზარ ქვეყანაში ისევ „მშვიდობამ“ დაისადგურა.

ნანა, ელენესთან ერთად, ჩრდილოეთში გაემგზავრა „ცივ ზღვასთან“, შავის გარდა, ყველა ზღვას ასე უწოდებდა. არასდროს ყოფილა იქ, პირველად ეწვია კოსტიას სამყაროს. ქმრის კომფორტულ ბინაში შევიდა, ძველ სახლში, რომელიც სადად, მაგრამ გემოვნებით იყო მოწყობილი. ნანას სანაპიროზე სეირნობა არ სწყინდებოდა, ტკბებოდა ნავსადგურის ხედით შეღამებისას. როცა ქალაქგარეთ გადიოდნენ კოსტიას „ვოლგით“, მისი რომელიმე მეგობრის აგარაკზე შაბათ-კვირის გასატარებლად ანდა რუსული აბანოს ორთქლის შესაგრძობად, სოფლისკენ მიმავალი გზებიდან აღფრთოვანებული გასცქეროდა აქეთ-იქით ჩამწკრივებულ ჟოლოსა და მოცვის ბუჩქებს, სიამოვნებით ესწრებოდა კლასიკური მუსიკის კონცერტებს კისლოვოდსკში, სადაც კვირის ბოლოს ატარებდა ხოლმე.

ტკბებოდა იმ შესაძლებლობებითა და პატივისცემით, მისი ქმრის მაღალი ჩინის დამსახურება რომ იყო, ტკბებოდა ქმრის უზომო

ყურადღებით, მისი მიძღვნილი საჩუქრებით, მეუღლესთან ერთად შინ გატარებული იშვიათი და მით უფრო, ფასეული მშვიდი საღამოებით, ერთობლივი საუბრებითა და ვახშმებით. სიამოვნებდა იმის დანახვა, როგორ თავს ევლებოდა მამა ელენეს და აღტაცებული იყო მისით. კოსტია გადარეული მამა აღმოჩნდა, ახალისებდა თავისი ფუნჩულა და ცელქი გოგო და უზომოდ ანებივრებდა. სიახლით გაბრუებულ ნანას ვერ გამოეცნო, რამდენად აბედნიერებდა ქმარ-შვილთან ერთად გატარებული საღამოები, მოუწყინარი სეირნობა ზღვის სანაპიროზე და იყო თუ არა ეს სიყვარული.

მონადინებული იყო, კარგი ცოლობა გაენია, სტასიასა და ქრისტინეზე გულში ჩახვეული ბოღმა ქმრისთვის არ გაემუღავნებინა. ამას ქმრის პატივისცემის გამო აკეთებდა, უნდოდა, სანიმუშო დედა ყოფილიყო ელენესთვის, თავაზიანობასა და საზოგადოებაში ქცევის წესებს აჩვენებდა, საკმაოდ ყურადღებას უთმობდა. ქმრის სამსახურით დაინტერესებაც კი სცადა, თუმცა უშედეგოდ.

მაგრამ ელენეს გაჩენის შემდეგ თითქოს რაღაც დაემართა, მელანქოლია შემოაწვა, ჩივიდა, რაც თითქოს სულ არ ესადაგებოდა მის ხასიათს. მას მერე, რაც თავის ახირებულ დედამთილსა და მის დასთან ერთად დაბინავდა და, რაც ამ ოჯახის წევრი გახდა, უცნაურად განმარტოვდა; ამას ვერ ეგუებოდა, თავს ვეღარ ცნობდა.

კოსტია ნამდვილად კარგი ქმარი იყო, ყოველ შემთხვევაში, მთელი მისი გარემოცვა ამას ირწმუნებოდა. არაფერს აიძულებდა, პირიქით, მის ნებასაც კი დაჰყვა, სამშობლოში დატოვა, არ მოსთხოვა, უცხო მხარეში წაჰყოლოდა, თუმცა ამის სრული უფლება ჰქონდა. მისი წყალობით ნანას ცხოვრება არ აშინებდა, ერთი სიტყვით, ცოლ-შვილს ცივ ნიავს არ აკარებდა – და მაინც, იყო დღეები, როცა კოსტიას პორტის დაცვის სამსახურში ან რომელიმე სატვირთო გემზე ჰქონდა საქმე, ამ დროს ნანა დამბლადაცემულს ჰგავდა, არაფერი არ ახალისებდა, თითქოს დედამთილთან და მის დასთან ცხოვრების პერიოდმა ერთიანად გამოწურა, თითქოს იმ უცნაურ, რეალობას მოწყვეტილ დებთან თანაცხოვრებამ ხელი აადებინა პასუხისმგებელი ყოფილიყო თავის ცხოვრებაზე. მთელი ძალისხმევა, ყოველდღიურობის მოწესრიგებისა თუ მიზანდასახულობისა, ზოგჯერ უაზრობად ეჩვენებოდა.

– თქვენ არასდროს ლაპარაკობთ წარსულზე. რატომ, კოსტია? არც დედაშენი, არც დეიდაშენი, არც შენ. თქვენ შესახებ თითქმის არაფერი ვიცი. ცოტა ხნის წინათ სხვენში ყუთი ვიპოვე, რომელშიც ძველი ფოტოები ეწყო. წესიერი საოჯახო ალბომიც კი არ გაქვთ. უცნაურია.

მშვიდი საღამო იყო, სანაპიროზე მისეირნობდნენ. კოსტია ელენეს უცინოდა, რომელიც ნამიან ქვიშაზე თითით ხატავდა ფიგურებს და ისე იყო გართული ამ საქმიანობით, რომ არაფერი გაუგონია.

- მე მგონი, ულამაზესია. გუშინ, სადილობისას, ჩემი კოლეგა რომ შეგვხვდა, სულ ამას მელაპარაკებოდა. შენ რას ფიქრობ, ხომ გამორჩეულად ლამაზი ბავშვია ელენე? - ჰკითხა ნანას, ნაცვლად იმისა, მის შეკითხვაზე ეპასუხა.

- ხომ ხედავ, ყოველთვის თავს არიდებთ, ყველანი ასე იქცევიან, თითქოს ოჯახის ტრადიციაა.

- მაინც რა გაინტერესებს, რატომ პირდაპირ არ შემეკითხები? - გაღიზიანდა კოსტია.

- სინამდვილეში ბედნიერი თუ ხარ? მე, მაგალითად, არ ვიცი, ბედნიერი ხარ თუ არა ჩემთან.

- ამას არ კითხულობენ, ნანა. ამას გრძნობენ.

- მაგრამ შენ მუდამ ისეთი თავშეკავებული ხარ.

- შენ რა, არა ხარ?

- არ ვიცი.

- არ იცი?

- არა.

- მაშინ საკუთარ თავს დაეკითხე, რატომაა ასე. არაჩვეულებრივი შვილი გვყავს, ურიგოდ არ ვცხოვრობთ.

- ვიცი. მართალი ხარ. მაპატიე.

ზუსტად ამ დროს ელენემ ფართოპირიანი მრგვალი სახე დახატა, თვალების ადგილას ორი წერტილი დაუსვა, მსხვილი კულულები მიუხატა და კმაყოფილმა წამოიძახა:

- კიტი!

კოსტიაც და ნანაც უეცრად დადუმდნენ და შვილს მიაშურეს, რომელმაც აღტაცებით და ამაყად მიუთითა თავის ნამუშევარზე, მერე მშობლებს ახედა, მათგან შექებას ელოდა.

- ეს საიდანღა მოიტანა? - კოსტიამ ცოლს შეხედა, რომელიც დაბნეული აქნევდა თავს.

- ვინმესგან ხომ უნდა გაეგო. როგორც ჩანს, შინ გილაპარაკიათ მის შესახებ, ხომ იცი, რომ ეს ბავშვს სასიკეთოდ არ წაადგება. დედაჩემმა კი ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს. რამდენჯერ გთხოვეთ, არაფერი გეთქვა...

- მე არასდროს, სიტყვაც არ დამცდენია ელენესთან შენს დაზე.

- თვითონ ხომ არა მოიგონებდა?!

- ელენე, ჩემო საყვარელო, - ნანა შვილისკენ გადაიხარა.

- კიდევ ერთხელ უთხარი დედიკოს, ვინ არის ეს. ვინ დახატე?

და ელენემაც კმაყოფილმა გაიმეორა იგივე სახელი: კიტი. კიტი. კიტი.

იმ დამეს ცოლი და ქმარი თავიანთ მძიმე მუხის ხის სანოლზე იწვნენ და ხმას არ იღებდნენ. კოსტია კედლისკენ მიბრუნდა, ნანამ კი თვალები დახუჭა იმის იმედით, რომ ყველა შეკითხვაზე პასუხს იპოვიდა და გაღიზიანებაც გაუვლიდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, ლოგინში წამოჯდა და პატარა სანათი აანთო.

- სად არის? შენ გეცოდინება, სადაც არის!

- არ ვიცი.

- როგორ არა, იცი. შენ გაიყვანე ქვეყნიდან, ხომ ასეა!

- არ ვიცი-მეთქი და შეწყვიტე! ძალიან გთხოვ, არავითარი სურვილი არ მაქვს, რომ ამ საკითხზე ჩემი შვილის თანდასწრებით ვილაპარაკოთ. ხომ გაიგე, რა ვთქვი? - ხმა ისეთი ცივი გაუხდა, ნანას მისგან არასდროს რომ არ გაეგონა. მიხვდა კი, პასუხს ვერ მიიღებდა, მაგრამ მაინც არ მოეშვა:

- რა დააშავა? ასეთი განა რა გააკეთა?

- გითხარი, შეწყვიტე-მეთქი! - კოსტიამ ისე იყვირა, ნანა მოულოდნელობისგან შეხტა და ყურებზე ხელები მიიფარა. მისთვის ქმარს არასდროს უყვირია. შეეშინდა. შეეშინდა კაცის, რომელთანაც სარეცელს იყოფდა, რომლისგანაც ერთ ბნელ და ჩუმ ღამეს ბავშვი ჩაესახა. არც დანარჩენი სასიყვარულო ღამეების დროს გადაუშლიათ გული ერთმანეთისთვის. შეეშინდა ასე უცნაურად გამეფებული ღუმილისა და უმწეობის განცდისა, უფრო და უფრო რომ ეუფლებოდა.

- რა გემართება? - იკითხა ცოტა ხნის მერე ნანამ ჩუმად, წამოდგა, საწოლს მოუარა და კოსტიას მხარეს ჩამოჯდა.

- არ მიყვარს უკან მიხედვა.

- კი მაგრამ, ასე ცხოვრება როგორ შეიძლება, კოსტია.

- შეიძლება. წარსულში ქექვას აზრი არა აქვს.

დაბნეული და დაძაბუნებული ნანა ქმარს ყელზე შემოეხვია იმის იმედით, რომ ალერსით მოულობდა გულს, კოსტიამ უპასუხა მის კოცნას, ჩაეხუტა და ბოლოს ქვეშ მოიქცია თავისი ფუმფულა ცოლი, მშობიარობის მერე ცოტა უფრო რომ ჩაპუტკუნებულიყო, დამრგვალებულიყო, მეტად მოქნილი გამხდარიყო, ქიმიშისა და ახლად გამომცხვარი პურის სურნელი რომ ასდიოდა და თმა წელამდე სწვდებოდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თვალებგაბრწყინებული, სიცოცხლით სავსე მეუღლე, რომელიც ახლა მის ქვეშ იწვა და უამრავი შეკითხვა ჰქონდა ქმართან. კოსტიამ ღამის პერანგი აუნია, მეორე ხელი საწოლის გვერდით მდგარი კამოდისკენ გადაჰყო, ღამის სანათი ჩააქრო, როგორც ყოველთვის, როცა მასთან სიყვარულს ეძლეოდა.

- დატოვე შუქი, - უჩურჩულა ნანამ და კატეგორიული არა მოესმა. არ შეკამათებია. კოსტია ხელს უსვამდა მუცელზე, მკერდზე, ყელზე; ყოველთვის, როცა ერთად იწვნენ, ასეთი იყო, ერთდროულად მორიდებულიც და თამამიც, მაგრამ გრძნობდა იმასაც, რომ თითქოს ფიქრებში სხვაგან იყო. ადრე ნანას ეს მისაღებად, ბუნებრივად მიაჩნდა; ეგონა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. შედარების შესაძლებლობა მაინც არ ჰქონდა, მაგრამ იმის ინტუიცია კი ჰყოფნიდა, დროთა განმავლობაში მიმხვდარიყო, მათი სიყვარული უფრო მრავალფეროვანი რომ უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ქმრის სწრაფი, თავდასხმის მსგავსი

მოდრაობები, ვიდრე უდიდამო, ყოველთვის ერთნაირი სქესობრივი აქტი, ვიდრე მუდმივი დუმილი.

ნანამ ქმრის მკლავებიდან დაიძვრინა თავი, წამოიწია, ნაზად მოიშორა მისი ხელი ზურგიდან და დაჭიმული, ძლიერი სხეული დაუკოცნა. მიეაღერსა, მისი კანის ყველა კუნჭული დაზვერა, ყოველი პანანინა ლაქა, ყოველი ნატიფი ბორცვი, ყოველი პატარა ნაკლი, ყოველი ხალი და ყოველი ღრმული. იმედი ჰქონდა, რომ ვნება მის საიდუმლოს ფარდას ახდიდა, რომ ეს გრძნობა, რომელიც ისე ძლიერად დაეუფლა, როგორც არასდროს, კოსტიასაც უფრო დამყოლს გახდიდა; მისგან პასუხების მიღება სწყუროდა, სწაღდა, იმ ღამით მართლა გაეცნო თავისი ქმარი, დაენახა, როგორი იყო სინამდვილეში, უფრო და უფრო ღრმად ჩახედა მის შინაგან სამყაროში. ნატრობდა, რომ მას, ბოლოს და ბოლოს, დაევიწყებინა თავისი რკინისებრი დისციპლინა, თავშეკავება და თვითკონტროლი და ნანასთან ერთად გახსნილიყო რაღაც ახალი გზების საპოვნელად...

ერთხელ მაინც ხომ უნდა გათავისუფლებულიყო საკუთარი თავისგან, გამოემუღავნებინა, რასაც მალავდა, ერთხელ მაინც ხომ უნდა განეცადა თავდავიწყება ცოლის მკლავებში! ნანა დაჟინებით მიიწევდა წინ, ცდილობდა, როგორმე მისწვდომოდა კოსტიას. მყისიერად მოეჩვენა კიდევ, რომ იპოვა გასაღები მისი გულისკენ, რადგან ქმარი არ ეწინააღმდეგებოდა. თითქოს დანებდა მის ძიებას, მძიმედ სუნთქავდა, თვალები დახუჭა, ხელი წაავლო გაუცნობიერებლად. ნანამ სირცხვილის გრძნობას დასძლია, მიუხედავად იმისა, ასეთ მკაცრ ჩარჩოებს უწესებდა, წამოიწია კოსტიას სხეულზე. რაღაც კარნახობდა, რომ გამოცდილი უნდა ყოფილიყო, ამგვარი ვნება, ასეთი აღვირახსნილობა არ ეუცხოებოდა. ამავე დროს, ამან შეამინა კიდევ, რადგან გრძნობდა, რომ ასეთი თავაშვებულობა მისთვის ბუნებრივი არ იყო. და სანამ კოსტია, მაგრად დახუჭული თვალებით თავის ვნებას აშიშვლებდა ცოლის წინაშე, რომელიც სხვისთვის იყო განკუთვნილი, ნანა უკვე ნანობდა თავისი სითამამისა და ცნობისმოყვარეობის გამო უკან დახვევა უკვე შეუძლებელი იყო, ვედარსად გაეცეცოდა იმას, რაც იმ ღამით გააცნობიერა. ვერაფერს მოუხერხებდა იმ ყოვლად შეუგუებელ მიხვედრილობას, რომელსაც ასე შეუცდომლად მიაკვლია. კოსტიას სიყვარული მას არ ეკუთვნოდა.

იმ ღამეს მიხვდა, რომ კოსტიას გულის სიღრმეში აღბეჭდვოდა წარსული, ცალკეული მოგონება მოურჩენელი სენივით ჩაჰკირვოდა და სწორედ ამიტომ ცდილობდა უკან აღარ მიეხედა. ცოლისგანაც ამიტომ მოითხოვდა, წარსული აღარ ეხსენებინა. ცოტა ხანში იმასაც მიხვდა, კოსტიას მოსვენება რამაც დააკარგვინა. მისი ქმარი გამუდმებით დაეძებდა იმ წერტილს ზღვასა და ჰორიზონტს შორის, სადაც წარსული და აწმყო ერთმანეთს გადაკვეთდა და რაკი იმგვარი ადგილის პოვნა

შეუძლებელი იყო, ლამაზი, სურნელოვანი ქალების ალერსიან მკლავებში ეძებდა შვებას.

საპორტო ქალაქში გატარებული იმ დამის მერე, ნანასთვის ყოველივე ამის აღმოჩენას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

სინანულს კი გრძნობდა ალბათ, მის მსუბუქ ჩხვლეტას, მაგრამ იმის ძალა აღარ შესწევდა, ყველაფერი სიღრმისეულად განეცადა ან რამე ელონა ამის წინააღმდეგ. უკვე გარკვეული მოვლენებისადმი გულგრილობის გამოხატვა ჩვევად ქცეოდა. მალე ჯავშანიც შემოირტყა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. „ცივი ზღვიდან“ სამშობლოში დაბრუნებულმა ნანამ გასუქება დაიწყო, ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად, სანამ ყველა გრძნობა მის წონაში არ აღმოჩნდა ჩაკირული.

ემის გავლენიანი მეგობრების თანადგომით კიტიმ მალევე მოიპოვა ცხოვრებისა და, შესაბამისად, მუშაობის უფლება.

ჯაბკლებში მისი მსმენელების რიცხვი გამუდმებით იზრდებოდა, ემიც, მოუბებრებლად ეწეოდა თავისი პროტექტუს სასარგებლოდ ნამდვილ პროპაგანდისტულ კამპანიას. სხვა კლუბებიც განსაკუთრებით დაინტერესდნენ სოციალისტური ქვეყნის შვილით. მალე კიტი უკვე იმდენ გასამრჯელოს კი იღებდა, ემისთვის ბინის ქირა რომ გადაეხადა. მართალია, მისი შემოსავალი ვერ განვდებოდა ემის ბინის საფასურს, მაგრამ სიამაყეს ცოტათი მაინც დაიციხრობდა. პრალის დამთრგუნველ წლებს ნაყოფიერი მუსიკალური პერიოდი მოჰყვა. კიტი სიმღერებს წერდა და მღეროდა, ტექსტებს ემის ათარგმნიებდა და ბოლოს თავის მფარველთან კონტრაქტსაც კი მოაწერა ხელი. ემი ამიერიდან მისი მენეჯერი იქნებოდა. მას უნდა ეზრუნა, კიტისთან რაც შეიძლება მალე გაეფორმებინათ ხელშეკრულება ფირფიტის ჩასაწერად. ემი დაბეჭითებით არწმუნებდა თანამემამულეებს, რაოდენ სასახელო იქნებოდა მტრების ბანაკიდან გამოქცეული ნიჭიერი და თავისუფლებისმოყვარე ლტოლვილისთვის დახმარება და სათანადოდ უზრუნველყოფა; თანაც საოცარი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა და კიტის კარიერას წარმატებით გეგმავდა.

თვითონ კიტიმ უჩვეულო სიმშვიდე იგრძნო, ასე გაუმართლა და ამდენი კეთილგანწყობილი ადამიანი გამოუჩნდა, მუსიკის წერა და ამით თავის გატანა რომ შეეძლო, მეტს არც არაფერს ითხოვდა მომავლისგან და სკეპტიკურად უყურებდა ემის ამბიციურ მცდელობას, მისგან ვარსკვლავი შეექმნა. კიტის ის ხმა ენატრებოდა და დარდობდა, სატელეფონო საუბრები რომ შემცირდა; იღუმალი მეგობრის მატერიალური დახმარება, ცხადია, კიტის აღარ ესაჭიროებოდა. მხოლოდ აუცილებელ საქმეზე ლაპარაკობდნენ ხოლმე, ის ამშვიდებდა, რომ ოჯახი კარგად იყო, სამშობლოს პოლიტიკური მდგომარეობის

შესახებაც უამბობდა და - როგორც ყოველთვის - არაფერს უყვებოდა თავის თავზე.

ემი ამასობაში მიეჩვია ამ სატელეფონო საუბრებს, არაფერს ევითხებოდა, როცა კიტი განმარტოვდებოდა ხოლმე მშობლიურ ენაზე სალაპარაკოდ. თავიდან ამის გამო ნუხდებოდა, თანაც კიტის არ უნდოდა მისთვის არაფრის ახსნა. მაგრამ მერე შეეგუა ამ საუბრებს, როგორც კიტის წარსულის განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მისი „შეგირდი“ ისედაც არასდროს ახედებდა; ემი ხშირად შესწრებია, როგორი მონდომებით ჰყვებოდა კიტი ანეკდოტების სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავ ვერსიას და მიხვდა, რომ ის თავს იცავდა. კიტი არასდროს ლაპარაკობდა ქვეყნიდან გაქცევის ნამდვილ მიზეზებზე, იშვიათად თუ იტყოდა რამეს თავის ოჯახზე. თანაც სატელეფონო დიალოგის მერე ყოველთვის კარგ გუნებაზე დგებოდა და მაშინვე სიმღერის წერას იწყებდა; ასე რომ, ეს ემისთვისაც ხელსაყრელი იყო.

იმ საღამოსაც ტელეფონთან იჯდა და მოუთმენლად ელოდა. მას სიტყვის გატეხა არ სჩვეოდა, კიტი შეეჩვია ამგვარ საიმედობას. რბილი, დამამშვიდებელი, ნაცნობი ხმის მოლოდინში ჯინ ტონიკი გაიკეთა. ჰქონია დღეები, როცა ის წარმოუსახავს: თავდაჯერებული მაღალი კაცი, ნატიფი სახის ნაკვთებითა და ხშირი ხვეული თმით. ამ სასიამოვნო ხმის პატრონი შესაფერისად აღნაგი უნდა ყოფილიყო. მიხარია, რომ დარეკეთ! სიამოვნებით შეცვლიდა ამ ფორმალურად თავაზიან მიმართვას - თქვენ - სადა, უბრალო შენით.

- ზუსტად 19:00 საათია. მიყვარს თქვენი პუნქტუალობა.

- მეც მიხარია თქვენი ხმის გაგონება.

კიტიმ დაბნეულობა შეამჩნია ხმაში.

- ხომ ისევ განაგრძობთ ჩემთან დარეკვას?

- განა არ გირეკავთ?!

- როცა ვალდებული აღარ იქნებით, მაშინაც?

- თუ თქვენ ასე გინდათ...

- მინდა, თუმცა, მეშინია, რომ შეწყვეტთ.

- ყოველთვის დაგირეკავთ, სანამ გჭირდებით.

- მართლ ეს არ არის.

- აბა, რა?

- არ ვიცი. თქვენ... ძალიან ბევრს ნიშნავთ ჩემთვის.

- დიდი მადლობა. ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, ორიოდე რჩევა გაგეთვალისწინებინათ, მუშაობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით...

- ახლა არ მინდა ამაზე ლაპარაკი. შეიძლება რაღაც გკითხოთ?

- რა თქმა უნდა.

- აქ ხართ? ამავე ქალაქში?

- რატომ გგონიათ?

- თქვენ აქ ხართ.

- მე, სამწუხაროდ, ვერ... ხომ იცით...

- კარგი, თქვენი ნებაა, მესმის. ნაბლი გიყვართ? დღეს დავინახე. მე ძალიან მიყვარს. სახლს მაგონებს, ბავშვობას. მე და ანდრო... პატარაობისას ფრთხილად ავკრეფდით ხოლმე, ჩამოცვენილს.

- კი, მიყვარს.

- კიდევ რა გიყვართ?

- მუსიკა მიყვარს. თქვენი მუსიკაც მიყვარს.

- თქვენ ხომ არც კი მოგისმენიათ ჩემი მუსიკა.

- როგორ არა. არცთუ იშვიათად.

კიტი წამით ჩაფიქრდა. არა, ნამდვილად იქ იყო, ლონდონში. ერთსა და იმავე ბეცას იყოფდნენ, ერთსა და იმავე ქუჩებს, გაჩერებებსა და სახეებს. ერთსა და იმავე წვიმას და მზეს. ამან დაამშვიდა. იქნებ მის მსმენელთა შორისაც მჯდარა კლუბში, თუმცა იმ გარემოში ასეთი მომხიბვლელი ვაცის წარმოდგენა ვერ შეძლო.

- ძალიან მინდა, ვიცოდე, რატომ ბრუნავთ ჩემზე ასე და რა გქვიათ.

- ხომ გითხარით, მინოდეთ, რა გსურთ. უდიდესი სიამოვნებით დავთანხმდები თქვენ მიერ არჩეულ სახელს.

- არ გამომდის, ვერაფერი შევარჩიე... თქვენ რომ შეგეფერებოდეთ.

მისი სიცილი გაიგონა, იშვიათად იცინოდა.

- ყველაფერი კარგად გაქვთ, კიტი? - ჰკითხა ისევ მშვიდი ხმით.

- არ ვიცი. დაბნეული ვარ.

- რით არის გამოწვეული თქვენი დაბნეულობა?

- ესეც ძალიან მიყვარს. თქვენი გამოთქმები, ახლა როგორც იკითხეთ: რით არის გამოწვეული თქვენი დაბნეულობა. მომაჯადოებელია. მეოცნებე ჩანხართ, ასეთები ყოველთვის მიზიდავდნენ.

- დიდი პატივია ჩემთვის.

- ვფიქრობ, შეყვარებული ვარ.

- ეს ხომ შესანიშნავია.

მის ხმაში სიხარული არ იგრძნობოდა. უაღრესად თავდაჯერებული იყო.

- სულაც არაა შესანიშნავი. მგონი, ჯკუა დავკარგე, თავს ამის უფლებას ვერ მივცემ.

- რატომ? ხელის შემძლეელი გარემოებები არსებობს?

ახლა ნამდვილად ეღიმება, გაიფიქრა კიტიმ. აღარ ჩაუღრმავდა ამ თემას, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ამაზე ლაპარაკი სწყუროდა.

- ყველაფერს დავთმობდი, ახლა რომ თქვენი სახე დამენახა.

ისევ დაბნეული დუმილი ყურმილში.

- ისე უნდა მოიქცეთ, როგორც თქვენ მიგაჩნიათ მართებულად და ხელის შემძლეელ გარემოებებს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. თითქმის

ყველაფერი, რაც დაბრკოლება გვგონია, დროთა განმავლობაში სასაცილოდ არ გვყოფნის ხოლმე, ასე არ ფიქრობთ?

იმ იდემალ ნაშუადღევს, ბილი ჰოლიდის მუსიკის ფონზე, კიტიმ ფრედის სახელოსნო მკაფიო უარით დატოვა. წითელთმიან ფრედზე როგორც კი იწყებდა ფიქრს, საკუთარ საზღვრებს აწყდებოდა. თითქოს თავისივე ხაფანგში იყო გაბმული. იმ დღესაც იმიტომ გამოიქცა იქიდან, რომ მეტი საზღვრის გარღვევა აღარ უნდოდა. ქვეყნების საზღვრების გადამლახავი კიტი ყველა დანარჩენ საზღვარს დანებდა. ეშინოდა, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მის უარს ან თანხმობას. ეშინოდა იმ სამყაროდან გასვლის, რომელიც ერთადერთი და სამართლიანი იყო მისთვის და რომელიც ქალებად და მამაკაცებად იყოფოდა. ემის კეთილგანწყობის დაკარგვისა ეშინოდა.

იმ საღამოს კიტიმ თავისი მოგზაურობის დასრულება გადაწყვიტა. კარგად ესმოდა, რომ ის ქალი, რომელსაც გაბედა და ბურგი აქცია, არასდროს მოისურვებდა თავისი მოგზაურობის დასრულებას. მშვენივრად იცოდა, რა აღვირახსნილი, თავზე ხელაღებული აკრობატი და ბაგირზე მოცეკვავეც იყო ის.

დაუბრუნდა თავის გულმონყალე დიასახლისს, რომლის ცხოვრების აზრი ახლა უკვე მისი, კიტის, კარიერის მოწყობა იყო. და კიტის სულ არ უნდოდა, რომ მისი ამ წადილისთვის წინააღმდეგობა გაეწია.

ფრედის სახელოსნოში სტუმრობიდან ორი კვირის შემდეგ კიტიმ ემი თავის უზარმაზარ, ნივთებით გადატვირთულ სასტუმრო ოთახში აღმოაჩინა. იგი დივანის სახელურს დაყრდნობოდა, გულმკერდი უთრთოდა, სასონარკვეთილად ქვითინებდა. როცა გაუბედავად შეეკითხა, რა იყო წუხილის მიზეზი, ემიმ ამცნო, რომ ფრედი ამერიკაში გაემგზავრა და არავინ იცის, როდის დაბრუნდებაო. ქსოვილების ბოსტონელი მწარმოებლის მოწვევა მიეღო, რომელიც ხელოვნების ნიმუშების გაყიდვასა და ახალი გალერეის მოწყობაში დახმარებას ჰპირდებოდა. იქ ტილოებს გამოფენდა. ფრედის თავისი სახელოსნო გამოეკეტა და ხელსახოცზე მინაწერით თან ამშვიდებდა და თანაც ჰპირდებოდა, რომ მალე შეეხმიანებოდა; აიმედებდა, რომ ახალი შემოსავლის წყალობით ზაფხულის რომელიმე შაბათ-კვირას ჰემპტონში მიიწვევდა. პოსტსკრიპტუმში კი სწერდა: „მოკითხვა გადაეცი შენს პატარა დამფრთხალ პროტეჟეს, რომელიც, სამწუხაროდ, საკუთარ თავზე ნაკლებად ფიქრობს“. ემიმ მეტისმეტად პათეტიკურად დაუგდო ფეხთან ხელსახოცი.

ფრედი ორ წელიწადს არ გამოჩენილა და, ამის გამო ემის დაუფარავი და კიტის მალული განცდების მიუხედავად, ორივეს სწრაფვის შესაძლებლობა უბოძა. თითქოს ფრედ ლიბლიხმა იგუმანა, ან ასე ინება, თითქოს თავისი საყვარელი ქალბატონებისთვის ასპარეზი დაეტოვებინა.

კიტიმ უკან მოიტოვა თავისი აღმოსავლური გაუბედაობა, ახლა დასავლურად უნდა შესდგომოდა აღმავლობის გზას. ემიმ ასე დაუსახა მომავალი და პირველი ინგლისურენოვანი ალბომი ჩააწერინა, სახელწოდებით – მე და შენ. როგორც ემი ამტკიცებდა, მისი აქცენტი მისივე სამარკო ნიშანი იყო და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოესწორებინა. სიმღერა ინგლისური რადიოთი გადასცეს და კიტი რადიოინტერვიუებზე მიიწვიეს, ჩვეულებისამებრ, თავისი მენეჯერის, ემის, თანხლებით. მის ჯაბკლუბზე ამჟამად უკეთესი კლუბებისგან მიიღო შეთავაზება. ემიმ პირველ ღია კონცერტზე დაიწყო ფიქრი. კიტი მოუბეზრებლად უყვებოდა ჟურნალისტებს თავისი ტკივილით სავსე წარსულის შესახებ ერთსა და იმავე ვერსიას, რომელიც ემიმ შეუდგინა, რადგან მიაჩნდა, რომ ასე იქნებოდა უმჯობესი; ემის აზრით, რაც უფრო სევდის მომგვრელად მოჰყვებოდა თავის ამბავს, მით უფრო მეტი შანსი ეძლეოდა, სწრაფად მიეღო მოქალაქეობა.

როკაბილის ეპოქა იყო, ელვისისა და ცეცხლოვანი როკენროლის დრო დგებოდა, კიტი კი არც ერთ დაჯგუფებას, არც ერთ მიმდინარეობას არ მიეკუთვნებოდა, მაგრამ, ემის წყალობით, მას მაინც უსმენდნენ. სწორედ რომ თავისი აღმოსავლური განუმეორებლობით, გამოკვეთილი მელოდით და მეტად ორიგინალური მუსიკით გახდა ცნობილი კიტი.

ის კიტი, რომლის კვალსაც მიუყვები ახლა, შენი თავის ძიებისას, ბრილკა, და თან უარს ამბობ, იყო ის, ვინც ხარ – რადგან გეშინია, რომ ვერ დაეხსნები აჩრდილებს, მე და შენ რომ ავღვდევნებია, სანამ ვეძებთ დასაწყისს შენი ისტორიისთვის, ჩემი ამბის ნაწილიც რომ უნდა გახდეს.

ნიგნი მეხუთე. ელენე

უსინათლო თვალებიდან ცრემლების ღვრით

წყლის ნაკადად ავასკლები ზეცას.

ბროდსკი

ცივი ომის დაწყებასთან ერთად ხრუშჩოვმა ატომური შეიარაღებისა და საბჭოთა წყალქვეშა ფლოტის განვითარებისთვის განკუთვნილი დაფინანსება გაასამშავა.

ამშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის გამალებული შეჯიბრება მიმდინარეობდა მსოფლიო ბატონობისთვის და ატომური ბომბის ფლობა ყოვლისშემძლეობის განცდას მატებდა სუპერსახელმწიფოებს. საბჭოთა კავშირში უკვე 1949 წელს გამოსცადეს პირველი ატომური ბომბი, იმ ამერიკული ბომბის ზუსტი ასლი, ჰიროშიმა და ნაგასაკი რომ გაანადგურა. გენერალისიმუსმა მისი კოპირება უბრძანა მეცნიერებს, ექსპერიმენტები რა საჭიროაო, დაამატა თურმე.

ამჯერად მეცნიერებმა ხრუშჩოვის მითითებით გააჩადეს მუშაობა, რომ არაფრით ჩამორჩენოდნენ ამერიკელებთან კონკურენციას ამ

სფეროში. ატომური ცდების რაოდენობა სახიფათოდ გაიზარდა მას მერე, რაც ხრუმჩოვმა დაიკავა თანამდებობა, ცოტა ხანში უკვე 80 გამოცდა ტარდებოდა წელიწადში; 1942-დან 1996 წლამდე 715-ჯერ გამოსცადეს ატომური ბომბი (ოფიციალური მონაცემებით). შედეგები, განსაკუთრებით – გამოსხივება, პარტიას არ ანუხებდა. ხრუმჩოვის დროს ფული უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა იარაღის წარმოებაში. 40 000 ადამიანი მუშაობდა გემთმშენებლობაში, შექმნეს პირველი ატომური წყალქვეშა ნავები. ცივი ომის დროს საბჭოთა ფლოტი 228 ატომურ წყალქვეშა ნავს ითვლიდა მამინ, როცა დანარჩენი მსოფლიო, აშშ-ის ჩათვლით, დაახლოებით 160-ზე მეტ ატომურ წყალქვეშა ნავს განკარგავდა.

კოსტია ჯაში სიამაყით აღვსილი გაემგზავრა ნიჟნი ნოვგოროდში პირველი ატომური წყალქვეშა ნავის შესაფასებლად.

თუთიყუში გოია, ელენე, უცნაური ბებიია და მისი ასეთივე უცნაური და უძლეველ ერთობად შეესისხლხორცნენ ერთმანეთს, ნანა კი ისევ თავის სადოქტორო ნაშრომს მიუბრუნდა.

ნანა ცდილობდა დების საპირწონედ მძლავრი პოლუსი შეექმნა. ისინი მხოლოდ საკუთარ წესებს ექვემდებარებოდნენ, ნანა კი თავისი შვილისგან მეტ დისციპლინას მოითხოვდა, თუმცა ზოგჯერ არაფერი გამოსდიოდა, რადგან ელენეს მკვეთრად გამოხატული თავნებობა დასჩემდა, რის გამოც ნანა თავის დედამთილს და მის დას აკისრებდა პასუხისმგებლობას.

გავლურებული ბაღი, მჩხავანა თუთიყუში, მთელ ხმაზე ჩართული საოპერო არიები, ქრისტინეს ძველებური მძივები და შლეიფები ელენეს თავისუფლებისმოყვარეობას ასულდგმულებდნენ. დედას ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა, მის აღმზრდელობით მეთოდებს არ ემორჩილებოდა. ელენეს კეთილგანწყობისთვის ბრძოლაში ორი ხანდაზმული ქალბატონი ზედიზედ ზეიმობდა გამარჯვებას, სრულიად ძალდაუტანებლად, თითქოს სასხვათაშორისოდ მოპოვებულს. მათი რეკომენდაციები, შეთავაზებები, მათი სამყაროები ელენესთვის უფრო საინტერესო, უფრო ჯადოსნური იყო, ვიდრე ნანას უაზრო მბრძანებლობა.

ბაფხულის იმ კვირების განმავლობაში, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნებული კოსტია ცოლ-შვილთან ერთად ატარებდა შავ ზღვაზე პალმების ხეივანში, ან ბორჯომისა და საირმის სამკურნალო წყლებსა და სანატორიუმებში, ძნელად ხერხდებოდა ჯანსაღი, ერთსულოვანი ოჯახის სურათის შენარჩუნება. კოსტიას არ გამოჰარვია შვილის კუჭტი მხერა და ნანაც ამჩნევდა კითხვის ნიშანს შვილის თვალებში, როცა ის ორივე მშობელს ერთად ხედავდა, რისი შესაძლებლობაც საკმაოდ იშვიათად ეძლეოდა. თუმცა სწორედ ასეთ დროს იყო ხოლმე ნანა განსაკუთრებით მონადინებული, არაფრის დიდებით არ უნდოდა შვილის განზილება. სანამ სტასიას და ქრისტინეს გარეშე იყვნენ, სანამ შვილი მის განკარგულებაში იყო, უნდოდა უფრო უკეთ გაეკეთებინა ყველაფერი,

დამტკიცებინა საკუთარი თავისთვის და თავისი მეუღლისთვის, რომ მის აღმზრდელობით მეთოდებს საუკეთესო შედეგი მოჰყვებოდა. მისი მკაცრი ქართველი დედის როლის შემხედვარე კოსტია კი გაღიზიანებას ვერ მაღავდა, სულ არ უნდოდა პედაგოგიურ ღონისძიებებზე დაეკარგა ისედაც მცირე დრო, რომელიც თავის შვილთან შეეძლო გაეტარებინა. ერჩივნა მასთან ყოფნით დამტკბარიყო, მისი ყველა სურვილი აესრულებინა, გაენებზვრებინა და არა გამოზომილად გამოეხატა თავისი სიყვარული. ასე რომ, ზაფხულის ის კვირები, ჩვეულებრივ, მომთმენი და მშვიდი ნანასთვის ნამდვილ გამოწვევად იქცეოდა ხოლმე. თავბედს იწყველიდა, ასეთი დაუფასებელი როლი რომ ერგო. ვეღარ უძლებდა, ძალა აღარ ჰყოფნიდა, ვერავინ უგებდა, არავინ ეხმარებოდა.

ავგისტოს ერთ ცხელ საღამოს, ბორჯომში, იოდის შემცველი სამკურნალო წყლის დაღვევისა და სანატორიუმის სხვა შეძლებულ დამსვენებლებთან ერთად ვახშმის მერე, როცა კოსტია საპარსით ხელში სააბაზანოსკენ გაემართა, ცოლის სანოლთან შეჩერდა და განუცხადა:

- როცა დრო მოვა, ელენე შესაფერის სკოლაში უნდა წავიდეს და ეს ამ ქვეყანაში არ მოხდება. ჩემმა შვილმა საუკეთესო განათლება უნდა მიიღოს, ჩემი მდგომარეობა მაძლევს ამის შესაძლებლობას, ამის გამოუყენებლობა დიდი სისულელე იქნებოდა ჩვენი მხრიდან.

- შენ გგონია, ჩემს ექვსი წლის შვილს ათასობით კილომეტრით დაშორებულ უცხო ქალაქში გავუშვებ?

- შენთან კამათს არ ვაპირებ, ნანა. უბრალოდ წინასწარ გაცნობე, რომ შენ...

- არც იფიქრო, კოსტია! არავითარ შემთხვევაში!

- ღმერთო ჩემო, როდის უნდა გამოფხიზლდე ამ შენი ეროვნულ-პატრიოტული მძინარე მზეთუნახავის ძილიდან?

- და შენ როდისმე იფიქრებ ვინმეზე, საკუთარი თავის გარდა?

დისკუსია ამით დასრულდა, რადგან კოსტიამ პასუხი არ გასცა ცოლს, აბაზანაში შევიდა და მშვიდად გაიპარსა. იმ ღამით ცოლ-ქმარს ცალ-ცალკე ლოგინში ეძინა.

როცა ელენეს სკოლაში წასვლის დრო მოვიდა, ნანას უკვე დიდი ხნის წაგებული ჰქონდა ელენეზე გავლენის მოსაპოვებელი ბრძოლა სტასიასა და ქრისტინეს ზღაპრულ სამყაროსთან; ორ ჭირს შორის ნაკლები აირჩია, თავისი აზრით, და გადაწყვიტა, რომ სჯობდა რუსოფილი, მაგრამ დისციპლინებული, საღად მოაზროვნე და განათლებული ქალიშვილი ჰყოლოდა, ვიდრე ველური, რეალობას მოწყვეტილი, უარეს შემთხვევაში კი: გადარეული.

სტასიამ და ქრისტინემ განგაში ატეხეს, როცა ელენესთან დაკაშირებული მოსკოვის გეგმები შეიტყვეს. პროტესტი განუცხადეს, არგუმენტები მოუყვანეს, დაემუქრნენ, მაგრამ ნანა უღმობელი დარჩა და

ქმრის ნება-სურვილს დაჰყვა. ელენე ტიროდა, იმალებოდა, ცუდ სიტყვებს იძახდა და დედას ენას უყოფდა; მაგრამ ამან ვერ გაჭრა, ცხადია. ნანა არ შედრკა: ამ სახლში, ორი არანორმალურის გვერდით არ გაიზრდება ჩემი შვილიო. ბოლოს და ბოლოს, საფუძვლიან განათლებას მიიღებს, გოგოს რომ შეეფერება, ისე მოქცევას ისწავლის, ალქაჯივით აღარ ინიკვინებს, წესიერად ჩაიყვამს, წესიერად შეჭამს, წესიერად ილაპარაკებსო.

წინა საღამოს, სანამ გულდამძიმებული, მაგრამ მიზანდასახული ნანა შვილთან ერთად აეროპორტისკენ გაეშურებოდა, სტასიამ გადაწყვიტა, მამამისის ჯადო გამოეყენებინა ნანას დასაყოლიებლად. წლების მერე პირველად მოხარმა ისევ ცხელი შოკოლადი. როგორც ელოდა, მისმა სურნელმა ნანა სამზარეულოში შეიტყუა. სრულიად უსუსური და გონებადაბინდული მიუჭდა მაგიდას და მაღლიერი თვალებით მიაჩერდა დედამთილს. სანამ ის აღტყინებული შეექცეოდა ბლანტ შოკოლადს, სტასია ჩასჩინებდა, ცდილობდა დაერწმუნებინა, არ გაეშვა ელენე, კინაღამ დაითანხმა კიდეც, იმდენად დამყოლი გახადა, იმდენად მოუღბო გული იმ საოცარმა ნუგბარმა. მაგრამ ამ დროს ნამძინარევი ელენე შემოვიდა შეუმჩნევლად სამზარეულოში, ყვითელპიჟამაჩაცმული, ალბათ ჯადოსნურმა სურნელმა გააღვიძა და სანამ სტასია მის შეჩერებას მოასწრებდა, ჯერ დედამისის ჭიქაში ატაკა თითი და მერე პირში გაიქანა. სტასია გაშეშდა, თვალები დახუჭა, სასწაულის იმედადღა დარჩა. სასწაულის, რომელიც დროს უკან დაატრიალებდა. მაგრამ ასეთი სასწაულები არ ხდება, ბრილკა.

იმ ღამით სტასია ფხიზლად იწვა თავის ლოგინში და ყველა არსებულ და არარსებულ ღმერთს სათითაოდ ევედრებოდა, შოკოლადის წყველისგან დაეფარათ მისი საყვარელი და ასეთი არაჩვეულებრივი ბავშვი.

შემდეგ საღამოს, როცა ელენე სტასიას მოთქმის თანხლებით სამგზავრო ჩანთაში ალაგებდა წინდებსა და საცვლებს, კარზე ხარი გაისმა. სტასია, რომელიც ჯერ კიდეც დათრგუნვილი იყო იმით, რაც წინა ღამით მოხდა, კართან მივიდა და გაშრა: მის წინაშე მელოტი და წვერულვაშიანი ანდრო ერისთავი იდგა. თავისივე პატარა ასლისთვის ჩაევიდა ხელი; ისეთივე კულულები, ოღონდ მუქი, ისეთივე თვალები, ოღონდ ჭროლა, ისეთივე აღნაგობა, ოღონდ ჩასკვნილი. მხოლოდ ცხვირი ჰქონდა ბიჭს ცოტა უხეში და ტუჩები – მსხვილი.

ავის მომასწავებელი იყო ეს სტუმრობა. წამიერად სტასიას სინდისმა ნამდვილი ბრძოლა გაუმართა მის გონიერებას, თვალწინ დაუდგა ანდროს დედა, რომელმაც სთხოვა, ჩემს ბიჭს მიხედო. სტასია ანდროს მოეხვია და სახე დაუკოცნა, თითქოს იმ ბავშვისხელა იყო, რომლისთვისაც ხელი ჩაეჭიდა. გახარებული ელენე, რომელიც ამ მოულოდნელმა სტუმრობამ ნივთების ჩალაგების სამწუხარო მოვალეობისგან გაათავისუფლა, მიიჭრა მიქასთან და თავისებურად

თამამად და მიმზიდველად აათვალიერ-ჩაათვალიერა. სასწრაფოდ გაიშალა სუფრა, სტასიამ და ქრისტინემ შუაში ჩაისვეს ანდრო და მიქა. მდუმარედ ისხდნენ, თავდახრილები, თითქოს ამ ადგილის ღირსნიც კი არ იყვნენ. ბიჭი – ელენესგან განსხვავებით, რომელიც ჭამის დროს პირს არ აჩერებდა და ტლიკინებდა ყველაფერზე, რაც აზრად მოუვიდოდა – დიდი კაცოვით შეექცეოდა თავის პატარა ულუფებად დაჭრილ კატლეტს და განუწყვეტლივ იხდიდა მადლობას, როცა რამეს აწვდიდნენ.

სადილის მერე ელენე წამოხტა, მიქას მკლავში სწვდა და მაგიდიდან წამოაგდო, ბალი უნდა გაჩვენო და გოია გაგაცნო. თურქული ყავის დროს ნანამაც დატოვა სუფრა მობოდიშებით, კიდეც რაღაცები მაქვს გასამგზავრებლად მოსაგვარებელიო. ქრისტინესა და სტასიასთან მართო დარჩენილმა ანდრომ, როგორც იქნა, შეძლო თავისი სტუმრობის მიზემზე საუბარი.

– ქალაქის სკოლაში მინდა გავუშვა. არსებობს ასეთი პროგრამა კოლმეურნეების ბავშვებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ამჟღავნებენ, მიქა კი გონიერია. ხომ იცით, მე ბინადრობის მოწმობა არ მაქვს, მაგრამ თუ თქვენ...

კარგა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე სტასიამ ანდროს ხელზე დაადო ხელი და თანაგრძნობით დაუქნია თავი.

– რა თქმა უნდა, – უთხრა, ისევ სოფიოს სახე დაუდგა თვალწინ. მიხვდა, რომ ეს იყო შანსი მისთვის, სოფიოს წინაშე ვალი მოეხადა და მიქასთვის გაეკეთებინა ის, რაც ანდროსთვის ვერ შეძლო.

ქრისტინემ ჩაახველა, გაკვირვებული ჩანდა დის ასეთი სწრაფი გადანწყვეტილებით, ასე წინდაუხედავად რომ აპირებდა უცხო ბავშვის ოჯახში შემოყვანას. ერთხელ ხომ უკვე დასრულდა სავალალოდ ასეთი მცდელობა. ანდრომ გაუბედავად მოჰხვია ხელი სტასიას და მხარზე აკოცა. სევდიანი ჟესტი იყო, იმავდროულად მის უბოძო მორჩილებას რომ გამოხატავდა. სტასიას გულზე მოეშვა. მაგრამ უცებ ანდრო წამოდგა, თითქოს გაქცევას აპირებდნენ, მერე ისევ დაჯდა, ნერვიულად წაეპოტინა სუფრას.

– კიტი როგორ არის? სად არის?

სტასია და ქრისტინე დაფრთხნენ. შეწინააღმდეგება დააპირეს. უნდოდათ ეთქვათ მისთვის, რომ აჯობებდა, ამ თემას არ შეხებოდნენ, რომ თვითონაც არაფერი იცოდნენ, იტანჯებოდნენ გაურკვეველობით, ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ არ გაგიჟებულიყვნენ კიტიზე დარდით, რადგან კოსტია არაფერს ეუბნებოდა, მხოლოდ ის იცოდნენ, რომ კიტი ინგლისშია და საფრთხე არ ემუქრება. მაგრამ უცებ სტასიას ცრემლი ჩამოუგორდა სახეზე, უხმოდ ატირდა, დაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები ჩავარდნილ ლოყებზე. არც ანდროს და არც ქრისტინეს მისი დამშვიდება არ უცდიათ, რადგან ვერაფრით ანუგეშებ დედას, რომელმაც შვილი

დაკარგა. ბაღიდან ელენეს ხალისიანი, წკრიალა სიცილი და მიქას ქოშინი შემოესმათ.

მეორე დილას ნანა მოსკოვში გაემგზავრა ელენესთან ერთად. მისი მეუღლის ზედ ნიკიტსკი ბულვარზე მდებარე ბინა პატარა პრინცესას დასახვედრად ლიუდამ გაამზადა, კოსტიას ძველმა დიასახლისმა. აქედან უნდა ევლო ელენეს 1-ლი სექტემბრიდან ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში, სადაც პარტიის ფუნქციონერების, დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ოფიცრების შვილები უსხდნენ მერხებს. იმავე 1-ლი სექტემბრიდან მიქაც ივლიდა ზემო ვერაზე მდებარე სახლიდან თბილისის ერთი ჩვეულებრივი სკოლის პირველ კლასში.

ელენემ თავიდანვე შეიძულა მოსკოვი, განსაკუთრებით კი სკოლა. შეიძულა შალის მძიმე ყავისფერი სკოლის ფორმა, უხეში, გახამებული თეთრი წინსაფარი, თმაზე დასაბნევი თეთრი ბაფთა, შეიძულა მკაცრი მასწავლებლები და თანაკლასელები, რომლებთანაც არაფერი ჰქონდა საერთო. შეიძულა თავისი მშობლები, იქ რომ წაიყვანეს, და შეიძულა ცივი, რუხი ამინდები იმ უზარმაზარ რუხ ქალაქში.

ვერ იტანდა პირქუშ, მარმარილოსიატაკიან დერეფნებს, დღევანდელი გორკის პარკის მახლობლად მდებარე სკოლის მაღალ შენობაში რომ მიუყვებოდნენ. ვერ იტანდა მამამისის მძღოლს, რომელსაც ყოველდღე დაჰყავდა სკოლაში. ვერ იტანდა ყოველი თვის ბოლოს გამართულ სოციალიზმისა და პარტიის სადიდებელ პარადებს, კვირა დღეებსაც კი ვერ იტანდა, როცა მამა მთელ დროს მას უთმობდა, ცდილობდა ისე ელაპარაკა მასთან, როგორც ზრდასრულთან, თითქოს ითხოვდა მისგან, რომ უკვე დიდი და ჭკვიანი ყოფილიყო. ელენეს კი არ უნდოდა დიდი და ჭკვიანი გოგოს როლის თამაში მამისთვის. ერთადერთი, ვინც მოსწონდა, ლიუდა იყო, რომელიც მასზე ზრუნავდა, მის საყვარელ ბლინებს უცხობდა, თუმცა იმასაც ვერ იტანდა, ლიუდა რომ მოსწონდა.

მაგრამ ყველაზე მეტად თავისი თანატოლი ბიჭის ხმა სძულდა, იმ ბიჭის, რომელიც გამომგზავრების წინა საღამოს დაუპატიჟებლად და მისთვის სრულიად გაუგებარი მიზეზით მოვიდა მის სახლში და მისი ადგილი დაიკავა, მისი კმაყოფილი ხმა, რომელიც ჩაესმოდა ხოლმე შორიდან, როცა დედას ან ბებიას, ან მის დას ელაპარაკებოდა ტელეფონით. ელენე უნდა ყოფილიყო ახლა იქ, სადაც მიქა იყო, მის ნაცვლად, ელენეს უნდა ეცხოვრა ისე, როგორც მიქა ცხოვრობდა.

მიქას კი ყველაფერი მოსწონდა, რაც თბილისში გადმოსახლებით მიიღო. სკოლა, ქალაქი, უცნაური დები, თავშეკავებული, პრინციპული ნანა, მოსწონდა, ყურადღებას რომ იჩენდნენ მის მიმართ და ამას სავალდებულოდაც მიიჩნევდნენ; მოსწონდა, რომ უფლება მიეცა, როგორც იქნა, – უბრალოდ ბავშვი ყოფილიყო, რადგან სახლში არაფერს

აკეთებინებდნენ, ებოს არ ასუფთავებინებდნენ, არავინ ეუბნებოდა, რას ინაზები, მოიქეცი, როგორც კაცს შეეფერებაო, აღარც მშობლიური სოფლის შიშისმომგვრელ წარმართულ რიტუალებში უწევდა მონაწილეობა.

ნანა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ მიქა სულ არ ჰგავდა ელენეს, ნამდვილი საჩუქარი იყო, ყურადღებიანი, წესიერი, თავშეკავებული და ზრდილობიანი. რბილი თიხასავით დამყოლი, ყველაფრისთვის მადლიერი, დამთმობი, მორიდებული, და არასდროს ჩადიოდა სისულელეებს. მიუღებელს არაფერს აკეთებდა. სკოლაში დიდად არ უყვარდათ, მაგრამ საკმაოდ კარგ ნიშნებს იღებდა, და არასდროს სჭირდებოდა შეხსენება, რომ საშინაო დავალებები შეესრულებინა.

შინ მისი ყოფნა თითქმის არ იგრძნობოდა. არასდროს ეჩრებოდა უფროსების ლაპარაკში, ჭამის დროს პირს არ აწვლავუნებდა, ბანაობდა, თითის წვერებზე ჩაივლიდა ხოლმე მანდილოსნების საძინებელ ოთახებთან და არც ერთ მათგანს არ აძლევდა ჩივილის ან საყვედურის საბაბს. საიდან აქვს ამ გლეხის ბიჭს ასეთი მანერებით, ფიქრობდა ნანა და ხანდახან საკუთარ თავს საყვედურობდა, ეჭვი ეპარებოდა, რამდენად კარგი დედა იყო, რამე ხომ არ შეეშალა შვილთან მიმართებით, შეცდომა ხომ არ იყო, რომ რეალობას მონყვეტილ ქალებს უფლება მისცა, გავლენა მოეხდინათ ბავშვზე. იქნებ სჭობდა ელენესთან ერთად ქმართან წასულიყო მოსკოვში, სანამ, როგორც თვითონ ამბობდა, „ნორმალურ ოჯახურ“ ცხოვრებას სთავაზობდა. ნანას ეუხერხულებოდა კიდევ იმის აღიარება, რომ ნაკლებად იდარდებდა მომავალზე, თავისი ქალიშვილი ისეთივე თვისებებით რომ ყოფილიყო დაჯილდოებული, როგორც მიქა.

მიქა პირველივე დღიდან მოაჯადოვა ქრისტიანემ. მართალია, სტასია ისე ელოლიავებოდა, რომ ოჯახის წევრად აგრძნობინებდა თავს, მაგრამ ქრისტიანეს ყურადღება მაინც უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის. ცდილობდა ამოეცნო, რა სურდა, როგორ ხასიათზე იყო. როცა ქრისტიანე „ნორმას“ უსმენდა, მიქამ იცოდა, რომ კარგად გრძნობდა თავს და მასთან ოთახში დაჯდომის და მაღალ ხმაზე ჩართული მუსიკის მოსმენის უფლებას მისცემდა, იმ მუსიკის, რომელმაც თავიდან დააბნია, მერე და მერე კი სულ უფრო მშვენიერი და შთამბეჭდავი შეიქნა მისთვის. თუ ქრისტიანე „ტოსკას“ უსმენდა, ესე იგი მელანქოლიურ განწყობაზე იყო და მიქა ყვავილებს უკრეფდა ბაღში, თუ არც ერთი ფირფიტის მოსმენა არ უნდოდა, ესე იგი დაღლილი იყო და თავი სტკიოდა, მაშინ მიქა მიდიოდა და წყალს უდუღებდა ჩაისთვის. იმ დღეებში, როცა ქრისტიანეს მოჰყავდა სკოლიდან, თავს ვერ თოკავდა, ისე ეამაყებოდა, ასეთი კეთილშობილი ლამაზმანის გვერდით რომ მოაბიჯებდა. თავიდან კი ატყობდა, როგორ ართობდა ქრისტიანეს მისი ყურადღება, თმას უჩეჩდა, ეცინებოდა, თავს იქნევდა მისი შემხედვარე, რითაც გულს სტკენდა, მაგრამ თანდათან სულ

უფრო ალერსიანი ხდებოდა, მართალია, მიქას მთრთოლვარე, მეოცნებე სიყვარულის საპასუხო გრძნობა არ გასჩენია, როგორც ერთ დროს თავისი დისშვილის მიმართ, მაგრამ იმით მაინც უპასუხა საბოლოოდ, რომ მოკავშირედ გაიხადა, რამაც მიქას სრული ეიფორია გამოიწვია და ქრისტინეს იდუმალი სამეფოს რჩეულად აგრძნობინა თავი.

თავიდან ეს ბიჭი სასურველი გასართობი გახდა ქრისტინესთვის, ელენეს გამგზავრების შემდეგ მოსაწყენ და სევდიან ყოველდღიურობას უხალისებდა, ზრდილობიანი რომ იყო, ესეც მოსწონდა, სიამოვნებდა, ყურადღებას რომ იჩენდა მის მიმართ. ზოგჯერ ისეთი გაოგნებული უყურებდა, რომ კოსტიას აგონებდა, წარსულს, თავისი ცხოვრების ბრწყინვალე პერიოდს. სულ უფრო ხშირად უნდებოდა მიქასთან ყოფნა, თითქოს მიქა უბრუნებდა იმას, რაც დიდი ხანია ენატრებოდა, ან რის მიღებასაც სხვა ვერავისგან ახერხებდა: მან სრულყოფილების განცდა დაუბრუნა, თითქოს ვერ ამჩნევდა მის პირბადეს, მის დაფარულ სახეს, თითქოს გამთლიანებულად აღიქვამდა.

სახლმა მთვლემარე, მოჩვენებითი სიმშვიდე დაიბრუნა. ცოტა ხნით ნანას ისიც კი მოეჩვენა, თითქოს სახლი უფრო მყუდრო გახდა. თითქოს გავლურება და გავერანება შეჩერდა. როგორც იქნა, სადოქტორო ნაშრომის დასრულებაც მოახერხა. ამან ცხოვრების ორი წელი წაართვა და ნეკნებთან მორიგი ექვსი კილო შემატა.

ამ სიმშვიდეს მხოლოდ მოსკოვიდან რეკვა თუ არღვევდა სადამოლობით. ასეთ დროს სამივე ქალი ტელეფონთან იკრიბებოდა და ელენეს ცოტა დაბნეულ ხმას ისმენდა, რომელიც ჰყვებოდა კოსტიას შესახებ, და თვითონ როგორ გრძნობდა თავს, საუზმეზე რას ჭამდა, ხომ არ გაცივდა, ან თბილად თუ აცმევდნენ, სკოლაში ხომ კარგად სწავლობდა, მეგობრები თუ გაიჩინა და ასე შემდეგ.

ამ დროს მიქა ძირითადად რამაზის ყოფილ კაბინეტში იჯდა, სადაც ბიბლიოთეკაც განეთავსებინათ, ხელში წიგნი ეჭირა და ცდილობდა ამაზე გადაეტანა მთელი ყურადღება, მაგრამ მაინც ყურს უგდებდა, სხვანაირად არ შეეძლო. ესმოდა, როგორი სიამაყე გამოსჭვიოდა სტასიას ხმაში, როცა შვილიშვილს ელაპარაკებოდა, ესმოდა შიში ნანას კილოში, ესმოდა, როგორ მალავდა აღფრთოვანებას ქრისტინე. და უცნაური გრძნობა ეუფლებოდა. ახსენდებოდა მთები, მშობლიური სახლი, დედამისის გარუჯული კანი, მუდამ დაღვრემილი მამის დამსკდარი ხელები და ალკოჰოლის სუნი, ახსენდებოდა მეგობლის ბიჭები, კაცობას რომ უწუნებდნენ და შიში იპყრობდა. იმიტომ რომ არ უნდოდა იქ დაბრუნება, დარჩენა უნდოდა, უსაზღვრო მზრუნველობით ტკბობის გაგრძელება უნდოდა ამ სახლში. მაგრამ არსებობდა ერთი გოგო, სადღაც შორს, ხშირთმიანი და მუხლებგადაყვლეფილი გოგო, მარტო მის ხმას შეეძლო სამივე ქალის წართმევა მიქასთვის და მთელი მათი

ყურადღების მიპყრობა საათობით, რომელიც ასობით, ათასობით კილომეტრით იყო მათგან დაშორებული, როცა ყველასგან მივიწყებული მიქა იქვე იჯდა ოთახში, სულ რამდენიმე საფეხურით მაღლა.

მას მერე, რაც მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მამამისი და ლიუდა ზედამხედველობდნენ, ელენე ბევრად უფრო იოლი მისახედი აღმოჩნდა, ვიდრე ქალების სამეფოში. უსიტყვოდ ჭამდა, ასრულებდა საშინაო დავალებებს, დაჰყვებოდა მამას სხვადასხვა ღონისძიებაზე, მასთან ერთად დადიოდა კინოში, თეატრში, მუზეუმში, დიდი გოგოსავით იქცეოდა, ქალივით, მამაც დარწმუნდა, რომ მართალი იყო, როცა ნანას უმტკიცებდა, სულაც არ არის ძნელად აღსაზრდელი, პირიქით, ყველაზე თვინიერი ბავშვია მთელ მსოფლიოში, უბრალოდ, უნდა იცოდე, როგორ მოიგო მისი გულიო.

ელენე ხედავდა, როგორ უბრწყინავდა თვალები კოსტიას, როცა ლექსს ეუბნებოდა ზეპირად ან კარგი ნიშნები მოჰქონდა სკოლიდან. და ძალიან მოსწონდა, მერე ზედ რომ ჰყვებოდა. ხანდახან კი ლანძღავდა გულში, ამ ცივ უცხოეთში რომ გადმოხვეწა, მაგრამ მაინც ერთადერთი საყრდენი იყო მისთვის, მან ჩაანაცვლა ყველა ის ადამიანი, რომლებიც ელენეს ენატრებოდა. მამა დიდი ვაკე იყო, რომელსაც სხვები თავდახრილები ესალმებოდნენ ქუჩაში, მნიშვნელოვან გადანყვეტილებებს იღებდა და გვიან ღამემდე დაჰყურებდა რაღაც ნახაზებს, ელენეს საიდუმლო დამწერლობად რომ ეჩვენებოდა.

ლიუდა თვალებში შესციცილებდა, ყველა სურვილს უსრულებდა, ხმას არასდროს უწევდა, მაგრამ ელენეს მაინც ნანას ისტერიული გამოხტომები ენატრებოდა, მისი შეგონებები, გაუთავებელი ტვინის ბურღვა, სტასიასა და ქრისტინეს დაუდევარი აღმზრდელობითი მეთოდები ერჩივნა. იქ, იმ მაღალჭერიან ოთახებში, სადაც მძიმე, მუქი ავეჯი იდგა, იმ ფართო ქუჩებში და მარმარილოთი მოპირკეთებულ სადარბაზოებში ადგილი არ რჩებოდა ცელქობისთვის, იქ ყველაფერი გეგმაზომიერად ხდებოდა. კოსტიას გეგმის მიხედვით. კოსტიას მეთაურობით ელენე მისი საუკეთესო ჯარისკაცი უნდა გამხდარიყო. ეს როლი სრულიად მიუღებელი იყო მისთვის. არადა, კოსტიას განზილებისაც ეშინოდა. მისთვის მამა ისეთ სიმაღლეზე იდგა, იმდენად ხელშეუხებელი იყო, იმდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის აზრს ელენესთვის, რომ მასში ეჭვის შეტანასაც კი ვერ ბედავდა.

უნდოდა ერბინა, ეხტუნავა, რამე გამოეჩხრიკა, მოეძებნა, აღმოეჩინა, ამის ნაცვლად კი ხელჩაკიდებული დაჰყვებოდა ლიუდას გამოზომილი ნაბიჯით, დახვეწილი ქალბატონივით ჯდებოდა მამამისის დიდ მანქანაში, ზრდილობიანად პასუხობდა უფროსების მიერ დასმულ შეკითხვებს, თავის სათამაშოებს ისე უვლიდა, როგორც ასწავლეს, მორჩილად უსმენდა, როცა მამა ხმამაღლა უკითხავდა – ძირითადად მისივე არჩეულ წიგნებს – მერე კი გვიანობამდე ტიროდა ბალიშში თავჩარგული, სანამ

ღონემიხდილს არ ჩაეძინებოდა. მხოლოდ ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების იმედით უძლებდა ამ ყველაფერს. იმ დღის მოლოდინით, როცა მამასთან ერთად აეროპორტისკენ გაემართებოდა, თვითმფრინავში ჩაჯდებოდა და თბილისში გაფრინდებოდა.

როცა იქ ჩადიოდა, გადარეულივით ეკიდებოდა ყველას კისერზე, ყველას კოცნიდა, აქეთ-იქით დაქროდა, ხტოდა, დაცანცარებდა, მღეროდა. რადგან იქ იყო მისი სახლი. არაფრის ეშინოდა, არც მამის რისხვის, რადგან თბილისში მისი წესები არ მოქმედებდა. იქ იყო დედამისი, იქ იყვნენ სტატია, ქრისტინე, გოია – ისინი დაიცავდნენ. განზრახ თავნებობდა, დედასა და ბებოს სიყვარულს სცდიდა. უზრდელობისთვის ოთახში გამოკეტვას სიხარულით თანხმდებოდა, მოსკოვში დიდი ქალის თამაშს ყველაფერი ერჩივნა.

მიქა არდადეგებზე იქ აღარ იყო ხოლმე; მამა აკითხავდა და მთაში მიჰყავდა. თუმცა მისი კვალი რჩებოდა: მისი სათამაშოები და ტანსაცმელი, ძველ საწერ მაგიდაზე წესიერად დალაგებული წიგნები ინახავდა მასზე მოგონებას. და როცა რომელიმე ქალი ელენეს მიქას ადარებდა – მიქა ისეთი დამჯერია, ან მიქას ისე უყვარს ნამცხვრები – ელენე ცოფდებოდა, კიდევ უფრო ჭიუტი და დაუმორჩილებელი ხდებოდა. კოსტია აშკარად აღმაცერად უყურებდა „პარაზიტის ნაშიერს“, როგორც ის მიქას უწოდებდა და თავის ქალიშვილს ყოველმხრივ იცავდა მისგან.

– რა გაუნყალეთ გული ამ ტუტუცი ბიჭით, ბოლოს და ბოლოს! – აღშფოთდა ერთხელ სამზარეულოში ვახშმის შემდეგ.

ელენე წამოხტა და გარეთ გავარდა, რადგან სტასია და ქრისტინე ვერაფრით შეთანხმდნენ – კარაქით მოსწონდა მიქას კარტოფილის პიურე თუ უკარაქოდ.

– თქვენი ნებაა, შეგიძლიათ გაზარდოთ ის ნაბიჭვარი და ზედ გადაჰყვეთ, მაგრამ არ მსურს, რომ ამის გამო ჩემი შვილი დაიჩაგროს.

– აბა, რას ამბობ?!

ქრისტინეს ნაძვისფერი მარჯვენა თვალი გაუფართოვდა.

– რას ვამბობ და, ჩემ ზურგს უკან, ჩემს ხარჯზე რომ მოიყვანეთ აქ და ჩემმა საყვარელმა ცოლმაც კი არ მიიჩნია საჭიროდ, ჩემთვის ეცნობებინა.

– კოსტია, ძალიან გთხოვ! – უსაყვედურა სტასიამ.

– რა იყო? ყოველ შემთხვევაში, მე ფაშისტების მხარეზე არ გადავსულვარ, არც ჩემი დისთვის გამომიტენია თავი სისულელეებით კაპიტალისტური თავისუფლების შესახებ და არც სხვების იმედად გამიჩენია შვილია, – თქვა კოსტიამ ცივად, ქედმაღლურად.

– ანდრო შვილივით მყავდა, ძმასავით იყო შენთვის!

სტასიამ ჭამა შეწყვიტა, სასონარკვეთილმა ჩახედა შვილს თვალებში. ნანა იატაკს დააშტერდა, თითქოს იქ საიდუმლო კარი ეგულებოდა, ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან გასასვლელი.

- ამას როგორ ამბობ? - სტასიას ხმა აუკანკალდა. - ჩვენ ყველანი, ჰო, ყველანი, მუდმივად შენს გამართლებას ვცდილობთ, მე ყველაზე უარესს დავმორჩილდი, რაც კი დედისთვის შეიძლებოდა ყოფილიყო და ახლა იმავეს ითხოვ შენი ცოლისგან.

ქრისტიანემ გაოცებულმა შეხედა დას.

- რისი თქმა გინდა? ასეთი რა ვუქენი ჩემს ცოლს?

კოსტიას ხმა დაუნვრილდა.

- შენ მას ელენე წაართვი, მხოლოდ იმისთვის, რომ საუკეთესო რუსულ სკოლაში გეტარებინა, ცხადია, ბავშვმა მოსკოვში უნდა იცხოვროს, აქ ხომ ნამდვილი პროვინციაა, არა? ნანასაც ისევე ართმევ შვილს, როგორც მე წამართვი.

სტასია წამოხტა და სიგარეტი აიღო, აღელვებისგან ნიკაპი აუკანკალდა.

- მე წაგართვი შვილი? მე? გაგიჟებულხარ, სტასია! - დიდი ხანია დედას აღარ ეძახდა. - მე თავი გადავდე და ყველაფერზე წავედი, მზად ვიყავი, სიცოცხლე გამეწირა, მაგრამ, როგორც ჩანს, შენთვის ეს არ კმარა, ეტყობა, მოღალატისა და მკვლელის სიყვარული უფრო იოლია!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ქრისტიანე ნელა წამოდგა და წამით ფეხზე გაჩერდა, თითქოს ვერ გადაწყვიტა, გასულიყო თუ დარჩენილიყო. სტასია გაშეშებული იდგა ონკანთან თავისი უფილტრო სიგარეტით ხელში, ნანა შეშინებული შესცქეროდა ხან სტატიას და ხან კოსტიას.

- აღარ გაბედო და ასე აღარასდროს მოიხსენიო! ყველაფერს გეფიცები, რაც კი რამ წმინდაა ჩემთვის, რომ...

- არ მეგონა, თუ კიდევ რამე წმინდა შეგრჩა! - უთხრა კოსტიამ ცივად და მაგიდიდან ადგა.

- არ გახვიდე ახლა აქედან. ფეხი არ მოიცვალო! გამაგებინე, ბოლოს და ბოლოს, სად არის, დალაპარაკება მინდა ჩემს შვილთან. ასე ცხოვრება აღარ შემიძლია!

უკვე კართან მდგომი კოსტია კიდევ ერთხელ მოტრიალდა და დედას შეხედა.

- მე ის სიკვდილს გადავარჩინე. მისი ადგილსამყოფელის შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვარჩინა, გასაგებია თქვენთვის? არავითარი. არც თქვენ და არც მე. ჩვენ არაფერი ვიცით.

სტასიამ ამოიგმინა. კოსტია ოთახიდან გავარდა, ქრისტიანე გაეკიდა. ნანა ნელა წამოდგა და სუფრის ალაგება დაიწყო. სტასია არ განძრეულა, კიდევ დიდხანს იდგა მდუმარედ. როცა თავი ასწია, კარში პატარა ელენე იდგა იდაყვგადატყავებული.

- ვიტკინე. იმ სულელი გოიას ბრალია, - ბებოს შესცქეროდა, შველას ელოდა მისგან.

- არა უშავს, მოდი აქ, ჭრილობას მოგბან და მერე ვუექიმოთ, კარგი?

და ელენემაც სწრაფად მიიღბინა სტასიასთან, იდაყვი მიუშვირა, როგორც გამარჯვებულის თასი.

* * *

დრო იწურება,
წარსული მოსთქვამს,
ქარბუქმა გადაურბინა
მინდორს ცხოველივით.
ბალმონტი

- ხუთი დღის წინ ბილი ჰოლიდეი გარდაიცვალა, მსოფლიოს უდიდესი მომღერალი, იქნებ შენ გადმოგილოცოს თავისი ადგილი. კარგად გამოიყურები! - ამ სიტყვებით მიესალმა ფრედი კიტის ორწლიანი განშორების შემდეგ. თეთრ პერანგსა და აშკარად ძვირფას ტყავის ჟაკეტში გამოწყობილმა დარეკა კარზე ბარი Little Compton Street-ზე. ამ ბინაში კიტი სულ რამდენიმე კვირის გადმოსული იყო. უკვე თავისი შემოსავალი გაუჩნდა და, როგორც იქნა, საკუთარ ბინაში გადავიდა, ემის თანხმობით, რომელსაც მიაჩნდა, რომ კიტის მალე კიდევ უფრო მეტი შემოსავალი ექნებოდა, რაკი უკვე ბრიტანეთის მოქალაქე გახდა. 1959 წლის იანვარი იდგა, ქარიანი და თოვლჭყაპიანი, თითქმის ცხრა წელი გასულიყო მას მერე, რაც კიტიმ სამშობლო დატოვა და აღარაფერი იცოდა თავისი ოჯახის შესახებ, იმ მწირი ინფორმაციის გარდა, რასაც უცნობი მეგობარი აწვდიდა.

ფრედ ლიბლიხმა დაბნეულ კიტის გვერდი აუარა და დაუპატიჟებლად შეაბიჯა მის გაჩახჩახებულ ბინაში.

- მთელი ეპოქა დასრულდა. იმ ღორებმა საავადმყოფოში არ მიიღეს, იმიტომ რომ ზანგი იყო. არ მინდა ასეთ ქვეყანაში ცხოვრება.

კიტი, რომელიც ამ დროს სატელევიზიო შოუში პირველი გამოსვლისთვის ემზადებოდა, გაოგნებული გაჩერდა შემოსასვლელში და თვალი გააყოლა პირდაპირ სამზარეულოსკენ მიმავალ ფრედს.

- საიდან იცი, სად ვცხოვრობ?

- კარგი ერთი, დამალევიწე რამე, პირდაპირ აეროპორტიდან მოვდივარ, ბარგი მეგობრებთან დავტოვე.

ფრედმა სიგარეტს მოუკიდა.

- საცაა ემი მომაკითხავს, დღეს გამოსვლა მაქვს.

- გადასარევია, ესე იგი იმასაც ვნახავ, ჩემს კეთილ ძველ მეგობარს. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ასე გადაგყვებოდა, ინგლისურიც სამაგალითოდ გისწავლია. გადასარევია! ის შენი სიმღერა, სამწუხაროდ, სათაური აღარ მახსოვს, ძალიან მომეწონა. აბა, დღეს სასიამოვნო სადამოს გავატარებთ სამივე, ასე მგონია.

- როგორ უნდა ავუხსნა შენი გამოცხადება ჩემს ბინაში?

- სულ არ ვარ ვალდებული, ახსნა-განმარტებები ვაძლიო ვინმეს. შენი ნახვა მინდოდა და ამიტომ მოვედი.

- შენ არ ხარ ვალდებული, მე კი ვარ. იმიტომ რომ, შენგან განსხვავებით, პრინციპები მაქვს, რისიც მჭერა და რაზეც უარის თქმას არ ვაპირებ, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ორი წლის მერე უცებ გამომეცხადე და გგონია, ყველაფრის თავდაყირა დაყენებას შეძლებ ისევ.

ფრედმა იპოვა, რასაც ეძებდა და ფრიალდ ოსტატურად შეაზავა ორი ჯინ ტონიკი.

- მე ვერ დავლევ. პირდაპირ ეთერში გამოვდივარ!

- კარგად მოწყობილხარ აქ! გაგიმარტოს!

ფრედმა გემრიელად მოსვა შუშხუნა სასმელი და სამზარეულოს მაგიდას მიუჭდა.

თოვლი წამოვიდა. თოვლმა ქუჩის ხმაური ჩაახშო. სიჩუმე ჩამოწვა, ლამის ყურთასმენა წაიღო. მსუბუქი, თითქოს დაქანცული სუნი ეცა კიტის, მისი სურნელი იყო, იმ ბაგირზე მოცეკვავის სურნელი. კიტიმ ხელი სტაცა ჭიქას, უნდა გავუძლო, მალე გამივლის, არ დავნებდები, მაგრად დავდგებო.

ორი წელი თავაუღებლად შრომობდა, თავის ახალ ცხოვრებას ძერწავდა ემისთან ერთად, ჯერ გამყარებულიც არ ჰქონდა, არ შეიძლებოდა შეწყვეტა, შეუპოვრად უნდა ებრძოლა, სწორ გზაზე იდგა. ის ადამიანი კი, მის პირისპირ, ის თავხედი, ის ეგოისტი, დაბრკოლებას, საფრთხეს შეუქმნიდა, კატასტროფამდე მიიყვანდა. რამე უნდა ელონა ამის წინააღმდეგ.

- ნადი ახლა, ძალიან გთხოვ.

- ქალბატონი, ცოტა არ იყოს, შეცვლილია, არა?

როგორი ახლობელი იყო მისთვის ეს აქცენტი, ეს რბილი, გამომწვევი აქცენტი, ყურში რომ ჩაესმოდა!

- ძალიან გთხოვ!

კიტი წამოდგა და ფრედს კარისკენ მიუთითა. ფრედი ადგა, ნახევრად სავსე ჭიქა მაგიდაზე დატოვა. კიტი საზიზღრად გრძნობდა თავს. მაგრამ რაც დავინწყებას მიეცა, იმის დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, არა, არავითარ შემთხვევაში. მთავარი იყო, არ შეეხედა და ყველაფერი მალე დამთავრდებოდა.

შემოსასვლელში კიტიმ ისევ იგრძნო მისი თითქმის შეუმჩნეველი სუნი. კარის სახელურს დაეჭიდა. სახე არ მოუბრუნებია, რომ არ შეეხედა. უეცრად გრილი ხელი იგრძნო ლოყაზე, ფრედი სახეზე მოეფერა. კიტი მოტრიალდა და სილა გააწნა. ისეთი ძალით, რომ ფრედი წაბარბაცდა და კედელს მიენარცხა. კიტის ხელისგული აენვა.

დავინწყება შეუძლებელი იყო.

ფრედის სახეს ვერ ხედავდა, ხელი რომ აიფარა, თითქოს უნდოდა, ტკივილი გაეყუჩებინა. მერე კიტის ხელს ჩაეჭიდა და ისე მაგრად

მოუჭირა, რომ კიტიმ წამოიყვინა, გათავისუფლება სცადა. საიდან ჰქონდა ამ ნაბ არსებას ამდენი ძალა, ბევრად პატარა იყო მასზე, აქამდე ეს აზრადაც არ მოსვლია. ფრედმა მეორე ხელი კაბის ქვეშ შეუცურა, წინდების სამაგრი გაუხსნა, ნეილონის წინდა ძირს ჩაცურდა, კიტი აიღენა სირცხვილისგან, დახედა, როგორ ჩასრიალდა თავისი ტანსაცმელი იატაკზე.

წითელთმიანმა ისე მიაჭყლიტა კედელზე, რომ სუნთქვა შეეკრა, ცალი ხელი ისევ გაკავებული ჰქონდა, მაჯა სტკიოდა. ამჯერად გაბრუნებული არ იყო, იმ ქალის ყოველ იმპულსს გრძნობდა, ყოველ მოძრაობას აღიქვამდა. რაღაც შუალედური გრძნობა დაეუფლა ზიზღსა და სიამოვნებას შორის.

უცრად ის მწველი მზე იგრძნო სახეზე, სკოლის უკაცრიელი ეზოს მზე. მერე ის ბინა დაუდგა თვალწინ, მთაწმინდაზე. კედლებზე ჩამოკიდებული, ჩარჩოებში გულმოდგინედ ჩასმული ფოტოები. სამაგალითო ცოლ-ქმარი. საათის წიკნიკი, იქ მართლა იყო ის საათი, თუ მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებობდა? და ის დანა, როგორი იყო, რამხელა? აღარ ახსოვდა. და მარიამი, იყვინა ბოლოს, თუ ეს თავისი ხმა იყო? და იმ ქერა ქალის თმის სახვევები, ყველა ძირს დაცვივდა? ბოლოს, როცა დანამ ყელი გადაუღადრა, მართლა დამანჯა პირი დამცინავად? საერთოდ, როგორ მოკვდა, მაშინვე თუ კიდევ ხროტივინებდა? ან როგორ დატოვა იქ მარიამი, ცარიელ ბინაში, მარტო, გვამთან ერთად, ასე გულგრილად? ან შინ როგორ დაბრუნდა, სხვის ტანსაცმელჩაცმული, იმის ტანსაცმლით? როგორ შეძლო ამის გაკეთება?

რაზე ფიქრობდა მარიამი სიკვდილის წინ?

როცა მხურვალე, დაუძლეველი გრძნობა ერთიანად დაეუფლა და ყველაფერი დაავინწყა ამ ქვეყანაზე, თავისი ბინა და დათოვლილი არემარე, ოთახის მცენარეები, თავისი პატარა ოთახი თბილისში, ძველისძველი ვინრო სანოლი, რომელიც ასე უყვარდა, ანდროს თვალები, როცა ისევ შეხვდა ომის შემდეგ, მშობლიური ქალაქის მწვანე ბორცვები, პატარა ცისფერი სისხლძარღვები დედამისის მკლავებზე, ძმის სამხედრო ფორმა, დაავინწყა საკლასო ოთახიც, ნაკვრებდადებული ჭრილობების მცხუნვარე ბაფხული, დაავინწყა ემიც და ის ხმაც ტელეფონში, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ არქმევდა სახელს, ისე ხმამაღლა იყვინა, რომ ეგონა, ყურები გაუსკდებოდა.

ფრედმა სახიდან თმა გადაუნია. კიტის ოფლი სდიოდა. მთელი სხეული უკანკალეებდა. იატაკზე ჩაიკვცა. ფრედი გვერდით მიუჯდა და კაბა გაუსწორა, ისე უმანკოდ, ისე დარცხვენით, თითქოს თვითონ არ შემოახია რამდენიმე წუთის წინ ეს კაბა.

- რას მერჩი? - უჩურჩულა მაგარ, ცივ იატაკზე განოლილმა კიტიმ.
- შეიძლება რაღაც გკითხო? - შეკითხვითვე უპასუხა ფრედმა.
- რა გაინტერესებს?

- საიდან გაქვს ეს იარა?

ფრედს კიტის მუცელზე უნდოდა ხელის დადება, მაგრამ იმან მოიშორა.

- ოპერაციის შემდეგ დამრჩა.

- რა ოპერაცია იყო?

- საშვილოსნო ამომაჭრეს.

თვითონაც არ იცოდა, რატომ არ იცრუა.

- რატომ ამოგაჭრეს?

პირველად მოესმა შიში ფრედის ხმაში.

- მანამდე შვილი ამომკვებეს.

კიტის თითქოს შორიდან ესმოდა თავისი ხმა, ძალიან შორიდან.

უცნაური გრძნობა დაეუფლა, როცა ამდენი წლის შემდეგ ასე უბრალოდ თქვა სიმართლე.

- რა შეგემთხვა?

განაგრძო ფრედმა ჩუმად, მორიდებით, ოღონდ თანაგრძნობის გარეშე. ამიტომ ეს ყველაფერი უფრო ასატანი იყო. და კიტიმაც ლამის საქმიანი კილოთი, მოკლედ უამბო თავისი წარსული ცხოვრების შესახებ, რაც საკლასო ოთახით, ქერა ქალით და მარიამით დასრულდა.

- ჰო, მართლა, სად არის ახლა დედაშენი? - ჰკითხა კიტიმ, როცა თავისი აღსარება დაასრულა.

- ებრაელების სასაფლაოზე, ვენაში. ყოველ შემთხვევაში, იქ არის მისი სახელწარწერილი დაფა, მისი ცხედარი კი, ეჭვი მეპარება, იქ იყო. მაშინ, იმ ქალში, არავინ აქცევდა მაინცდამაინც ყურადღებას, ვინ სად მოხვდებოდა, ებრაელთა გვამების ისეთი რაოდენობა იყო, რომ...

- როგორ? თქვენ ხომ...

- იმ ღამეს, როცა მედლინგიდან უნდა გავქცეულიყავით, დედამ თავი ჩამოიხრჩო. მარტინის ქამრით. კარგი ქამარი იყო, გამძლე, გერმანული ხარისხი სანდოა.

ამას მოჰყვა წებოვანი ღამეები, დღისითაც რომ კანზე რჩებოდა ატმანსული. შეუძლებელი იყო მათი ჩამობანა, იმ თითქმის შეუმჩნეველი, მარილიანი სუნისგან თავის დაღწევა. ის ღამეები ჩუმი იყო და ნაბი, ხანდახან კი გადარეული, დაუშრეტელი სიტყვებით სავსე.

დღისით იმ ღამეებს სიცრუით ნიღბავდნენ, კიტი ათას საბაბს იგონებდა, რომ ემის ფხიზელ თვალს არ დანახვებოდა. სანამ ერთ მშვენიერ დღეს იმან თვითონ არ შეატყობინა, რომ საყვარელი დაუბრუნდა და მის მიტოვებას აღარ აპირებდა, და კიტის ღვარძლი არ ჩაეღვარა, მწარედ იეჭვიანა, მტკივნეულად გააცნობიერა საკუთარი უბადრუკი მდგომარეობა. თავის მენეჯერს მიულოცა და გაეცალა, მომდევნო დღეებსა და კვირებშიც ერიდებოდა ახსნა-განმარტებებს,

როცა ემისტან სახლში კინგს ქროსზე ან სოჰოს რომელიმე კაფეში იჯდა და მასთან სამუშაო გეგმას ათანხმებდა.

მაგრამ მერე, ღამლამობით, ფრედი ისევ კიტის მიადგებოდა, კენჭებს ესროდა მის ფანჯარას, თითქოს ხაზს უსვამდა, რომ იდუმალი სატრფოს როლს ასრულებდა, და ბნელი კიბით ფეხაკრეფით ადიოდა მის ბინაში. სამივე ქალი საკმაოდ იშვიათად იკრიბებოდა ერთად, მხოლოდ ემის წვეულებაზე, მეგობრის დაბრუნების აღსანიშნავად, ან პიკნიკზე ჰაიდ პარკში. ასეთი შეხვედრები სავსე იყო კიტისა და ფრედს შორის მალული მზერებით, საიდუმლო ნიშნებით, ვითომ სხვათა შორის მხრებზე მოფერებით და თითქმის შეუმჩნეველი შეხებით, იდუმალი სიტყვებით, ჩავლისას რომ უჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს.

კიტის თვითონაც უკვირდა, ისე იოლად ცრუობდა. უკვირდა, რა სწრაფად იქცა ფრედის სამყაროს ნაწილად, მიუხედავად ხანგრძლივი წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ არ უნდოდა ეს ეკადრა. როგორ არხეინად ატყუებდა თავის მეგობარსა და მფარველს, ფანჯარასთან ფრედის გამოჩენისთანავე ივიწყებდა ემის. სად გაქრა მისი შეხედულებები და პრინციპები? რატომ დააყენა საფრთხის წინაშე ემისტან ურთიერთობა?

კიტი ხვდებოდა, რომ წინ ნამსხვრევებით სავსე თვეები ელოდა, და იარები რომ არ დარჩენოდა, ამ ნამსხვრევებზე სიარული უნდა ესწავლა. გულში ნატრობდა, რომ ის სიცრუის კონსტრუქცია, ის ტყუილი დაპირებები, ის უსიტყვო ცრუშეთანხმება ჩამოშლილიყო და თავისით დანგრეულიყო. ფრედი არასდროს ახსენებდა ემის, ამის საჭიროებას ვერ გრძნობდა, თითქოს ეს გაორებული ცხოვრება ნორმალური იყო მისთვის, თითქოს ეს საშინელი სიტუაცია ლოგიკურად გამომდინარეობდა მისი ხასიათიდან, შედეგი იყო მისი დაუდევრობის, იმ ეგოცენტრული სიბრმავის, ასე რომ აცოფებდა კიტის. ამავე დროს ბევრს საუბრობდნენ, და ფრედთან ლაპარაკი კიტის მოთხოვნილებად ექცა, ჰაერივით სჭირდებოდა, ბევრად უფრო, ვიდრე ის ზღვარგადასული თავდავიწყება, რასაც მასთან ერთად ეძლეოდა. წლობით დამუნჯებულმა ისევ ამოიღო ხმა. ყალბი თანაგრძნობის, ამაო მოლოდინის გარეშე. ამოისუნთქა, რამდენიმე საათით მაინც ახერხებდა აჩრდილების სამყაროს გარღვევას, სიცოცხლეს უბრუნდებოდა, აწმყოს. მთელი არსებით.

* * *

დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაკარგავენ, გარდა თავიანთი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას.

მარქსი

ელენე მამასთან ერთად მსოფლიოს აღმოსავლეთ ნაწილში იჭდა, ტელევიზორ „რეკორდთან“, კიტი და ემი კი დასავლეთში, ტელევიზორ „რაფენასთან“, და მოჭადოებულები მიშტერებოდნენ კოსმონავტის შთამბეჭდავ სამოსში გამონყობილ კეთილ კაცს, რომელიც ტორეტამში კოსმოსურ ხომალდზე ავიდა და დაიძახა: „ნავედით! ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო!“ კოსმოსურ ხომალდს ერქვა „ვოსტოკ 1“, იმ სასიამოვნო, მშვიდ ადამიანს კი - იური გაგარინი. როცა აპრილის იმ დილას, დაახლოებით ცხრა საათზე, ძრავა ამუშავდა და ხომალდის სამაგრები თანდათან გაიხსნა, ამერიკელებს ოხვრა და რუსებს სიხარულის შეძახილი აღმოხდათ. თუმცა დედამიწის გარშემო მსოფლიოში პირველი მოგზაურობის დაწყებას ყველა სულგანაბული ადევნებდა თვალს და ყველამ გაიგონა გაგარინის სიტყვები: „დედამიწას ვხედავ! რა სილამაზეა!“

მოსკოვში გატარებულმა დრომ ელენეს პრინციპები და შეხედულებები ერთიანად შეარყია. ეჭვებმა შეიპყრო, ეჭვის მეშვეობით კი რაღაც ძირეული შეიცნო, რაც ძვალ-რბილში გაუჭდა, და რამაც შეცვალა. მიხვდა, რომ სამყარო არ წარმოადგენდა უსაფრთხო ადგილს, რომ ადამიანები ყოველთვის არ ასრულებდნენ დანაპირებს, რომ სიყვარული ცვალებადი იყო, სიახლოვე კი აბრეშუმის ძაფივით ყოველ წამს განყდომას ლამობდა, გრძნობები ყოველდღიურად იცვლებოდა და სიყვარულიდან შეიძლებოდა სიძულვილი აღმოცენებულიყო. ელენე მიხვდა, რომ უსამართლოდ მოექცნენ. ამის გაცნობიერებამ თავისუფლება მიანიჭა, უფრო დაცულად იგრძნო თავი, როცა ეს აზრი ჩამოაყალიბა და მათემატიკის რვეულის ყდაზე ჩაწერა. რადგან ეს ამტკიცებდა, რომ ის კი არ იყო მოღალატე, არამედ დანარჩენები, შინიდან ასე შორს რომ გადაისროლეს აღსაზრდელად და იმ კულულებიანი ბიჭით ჩაანაცვლეს, რომ ის მკაცრი მოსკოვერი ცხოვრება, ის ცივი უცხოეთი, ის სიმარტოვე მას არ დაუმსახურებია. რაც იმასაც ნიშნავდა, რომ როდისმე ამ უსამართლობის საზღაურის დღეც დადგებოდა. ამაზე ფიქრი თაფლივით ატკბობდა, ძალას მატებდა ელენეს, ღიმილს ჰგვრიდა. მოსკოვში ასეთი თავშეკავებული, დაძაბულად ზრდილობიანი, ლამის მორჩილი ბავშვი მალე ისევ ცელქ, სიცოცხლეს მონყურებულ, ხმაურიან და თავნება გოგოდ გადაიქცა. მომავლის იმედით შეგულიანებული ისევ თავის ნამდვილ ბუნებას დაუბრუნდა.

თუ ადრე პიონერობა არ უნდოდა, ბანაკზე უარს ამბობდა ზამთარ-ზაფხულ, ახლა პიონერულ ჰარადებზე პირველ რიგში იდგა და ბანაკში გოგოების ჯგუფის პიონერხელმძღვანელობაც ითავა. სკოლაში პირველი იწვედა ხელს, ხოლო როცა ბიჭები აღმაცერად უყურებდნენ, ელაზღანდარავებოდნენ, ეხუმრებოდნენ ან აშაყირებდნენ, ისეთ პასუხს

იღებდნენ, რომ მეორედ ასე მოქცევის ყოველგვარი სურვილი უქრებოდათ.

მამის მიმართაც უფრო მეტ გამბედაობას იჩენდა – თუმცა გარკვეულ საზღვრებს არ სცილდებოდა. კოსტია გაოცებას და სიხარულს ვერ მალავდა შვილის ასეთი უცაბედი გარდასახვით, მიაჩნდა, რომ ასე უკვე გაუმკლავდებოდა ცხოვრებას. მაგრამ მან ვერ შეამჩნია, რა მძვინვარებას მალავდა ელენე გულის სიდრმეში.

ნანას კი, რომელიც შვილს მხოლოდ შემოდგომაზე ხედავდა, მოსკოვში, როცა უნივერსიტეტში შვებულებას იღებდა, ან ზაფხულის არდადეგებზე, როცა ელენე ჩადიოდა მასთან, ცუდი წინათგონობა გაუჩნდა. ელენეს გამუდმებული ხალისიანობა, მისი აღგზნებული ენერგიულობა აშკარად გადაჭარბებული იყო. შვილის ქცევა უცნაურად ხელოვნური ეჩვენა, გარკვეულწილად ნაძალადევი, რაც მის უდარდებლობას სდევდა თან. თუმცა ნანას, რომელსაც დანაშაულის გრძობა ტანჯავდა ელენეს მოსკოვში გაშვების გამო, კარგად ესმოდა, რომ ელენესთვის გაჩაღებული ბრძოლა შვილის კეთილდღეობას კი არა, უფრო მას და კოსტიას ეხებოდა ადრეც, მიუხედავად იმისა, რომ კოსტია დაუღალავად იმეორებდა, როგორ მოუხდა რუსული დისციპლინა თავის ქალიშვილს. ნანა კი, პირიქით, შვილის ღიმილის მიღმა ბნელი აზრების გორგალს ხედავდა, გამოუთქმელი საყვედურებითა და წყენებით ჩახვეულს. მაგრამ ნანა ვერ ამბობდა ამას, როგორ უნდა აეხსნა ქმრისთვის, რომ მათი ცოლქმრობა უკვე დაუსრულებელ ინტერესთა კონფლიქტში გადაიზარდა, კოსტია არასდროს დაიჭერებდა, რომ ბავშვს რამე აკლდა, რომ ბედნიერი არ იყო, რომ მასში რაღაც ბნელმა დაიბუდა.

და ერთ ზაფხულს, როცა საღამოს ბაღში მარტოდმარტო მჯდომ ელენეს ადევნებდა თვალს, ფიქრებში ნასულს, გაყინული მზერით, რომელიც იმასაც კი ვერ ამჩნევდა, როგორ აწვიმდა, ნანა მიხვდა, რომ რაღაც უნდა ელონა, თუ არა და საბოლოოდ დაკარგავდა შვილს.

ყველა შესაძლებლობა განიხილა, გონებაში ქმარსაც ეკამათა, სცადა საკუთარი არგუმენტებით დაპირისპირებოდა მისას. სტრატეგია უნდა გამოემუშავებინა, რომ კოსტიასთვის გასაგებ ენაზე ჩამოეყალიბებინა თავისი გეგმა, მტკიცედ უნდა ემოქმედა, შეუპოვრად, ისიც კოსტიასავით რკინასავით შეუდრეკელი უნდა ყოფილიყო. სექტემბრის დასაწყისში მოსკოვში გაფრინდა ქმართან.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნანას დარდებს კოსტია დიდი გაგებით არ მოჰკიდებია. სასაცილოდაც არ ეყო მისი შიშები, ეგოისტი დედის მცდარ წარმოსახვად მიიჩნია, რომელიც საკუთარ სურვილებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე შვილის მომავალს. მაგრამ ნანამ დაიჟინა, რომ მას და ელენეს ეს ერთნაირად ეხებოდა, რომ ბავშვი საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა მისგან მოშორებული, თან მისი სურვილის წინააღმდეგ. ელენეს დედა სჭირდება და თუ ადრე შენ არ შეისმინე საწინააღმდეგო

აზრი, ახლა ჩემი ჯერიაო. ბოლოს და ბოლოს, თბილისი მიყრუებული სოფელი ხომ არ არის, მართლა და მართლა, იქაც მშვენივრად შეიძლება სწავლა, მით უმეტეს, რომ ისევ შეძლებს მშობლიურ ენაზე ლაპარაკს და ქალების გარემოცვაში იქნებაო. რაც უნდა იყოს, მართლ ლიუბამ რა მაგალითი უნდა მისცესო. ნანა უკან არ იხევდა, თუმცა ძალიან უძძიმდა, დაუსრულებელი კამათით და ქმრის უხეშობით ღონემიხდილს, სულ ეჭვი ღრღნიდა, შეცდომა ხომ არ იქნებოდა ელენეს ისევ საქართველოში წაყვანა. მაგრამ მერე ისევ შვილის ბნელი მზერა ახსენდებოდა და ეჭვებიც ეფანტებოდა.

ერთხელ ღამით, როცა ნანამ ვერ დაიძინა, სამზარეულოში მაგიდას მიუჯდა და დაუმაყოფილებლობის გრძნობამ ბლინების ჭამა დაანყებინა, რომელიც ლიუდას გაემზადებინა ელენეს საუზმისთვის, კარში ფლანელის პიჟამიანი ელენე გამოჩნდა და გაოცებულმა გაუცინა დედას. თეფში მოიტანა და თვითონაც გადაიღო ბლინი.

- ყველაფერი კარგადაა, დედა? - იკითხა მზრუნველი კილოთი. მის ქართულს კარგა ხანია, რუსული შეფერილობა ჰქონდა შექნილი, რაც ნანას აცოფებდა.

- უბრალოდ ვერ ვიძინებ, ჩემო თვალისჩინო.

- ისევ იჩხუბეთ მამამ და შენ?

- ჩვენ კი არ ვჩხუბობთ, უბრალოდ ვკამათობთ, ელენიკო.

- რაზე?

- რა ვიცი, ათას რამეზე. ძირითადად იმაზე, რომ საშინლად მენატრები.

- მერე, მამა რას ამბობს ამაზე?

- რომ მასაც საშინლად მოენატრები, თუ ჩემთან ერთად წამოხვალ შინ.

ელენე ჩაფიქრდა. დიდი სკამიდან ფეხებჩამოკიდებულმა ოსტატურად დაახვია ბლინი და პატარა ქილაში ჩასხმულ მუქ ნითელ მურაბაში ამოუსვა. ნანას გული შეეკუმშა, ისეთი მშვიდი და ბედნიერი ჩანდა იმწუთას. თავისი ანეწილი, სქელი თმით, გრძელი წამწამებით და პიჟამის შარვლით, რომელიც ცოტა დიდი ჰქონდა. სიამოვნებით შემოახვევდა თავის პალტოს და აეროპორტში გააქანებდა.

- შენ გინდა, რომ თბილისში წამოგყვე, არა? სამუდამოდ, არა?

- მე მხოლოდ შენი კარგად ყოფნა მინდა, ჩემო ჩიტო.

- ჰოდა, კარგად ვარ.

- მართლა? კარგად გრძნობ აქ თავს?

- რა თქმა უნდა.

- როგორ, სულ არ გენატრებით? მე, სტასია, ქრისტინე, გოია?

- ზოგჯერ.

- არ მინდა, რამე მოგაკლდეს.

- თქვენ რატომ არ გადმოდიხართ აქ? აქ ხომ საკმარისი ადგილია. ყველას გეყოფათ ადგილი, გარდა...

- გარდა? რას გულისხმობ, ელენიკო?

- მოკლედ, ის ბიჭი, აი, ის მიქა, ის აქ ვერ იცხოვრებს. რუსულად ვერც კი ლაპარაკობს წესიერად, არა? ანუ სკოლაშიც ვერ ივლის აქ, თანაც მამამ თქვა, მამამისი ცუდი კაციაო, ეგეთ ბავშვებს კი ჩვენთან არც მიიღებენ.

- ასე გითხრა მამამ?

- ჰო.

- ეს არ არის მართალი, ჩიტო. უბრალოდ მიქას მამა ღარიბია. იმდენი შესაძლებლობა არ აქვს, რამდენიც ჩვენ, ამიტომაც ჩვენ ვზრუნავთ მასზე. თბილისის სკოლაში იმიტომ დადის, რომ იქ უკეთეს განათლებას მიიღებს, ვიდრე თავის სოფელში. შენ ხომ მას წესიერად არც კი იცნობ.

- სამაგიეროდ, თქვენ იცნობთ კარგად ყველანი.

ნანა გაძრა. როგორი ნაწყენი ხმა ჰქონდა. სიამოვნებით ჩაინიშნავდა ამ წინადადებას და კოსტიას გაუმეორებდა. რამხელა სიმწარე იმალებოდა მის ხმაში!

- ასეა თუ ისე, აქ მირჩევნია დარჩენა, მამასთან. თქვენ რატომ არ გადმოდიხართ აქ - შენ და სტასია და ქრისტინე და გოია?

ელენემ ბლინის ჭამა დაასრულა და თეფში მოწესრიგებული გოგოსავით ჩადგა გასარეცხად. ფრთხილად აკოცა დედას ლოყაზე, ღამე მშვიდობისა უსურვა და ლოგინს მიაშურა. ნანა ცოტა ხანს კიდევ დარჩა მაგიდასთან ჩაფიქრებული. იმდენად თავდაჯერებული ეჩვენა ელენე, მისი ყოველი სიტყვა და ჟესტი კი იმდენად გამოზომილი და გააზრებული, რომ შეშინდა. თავისი უძლურება იგრძნო, უსუსურობა. იფიქრებდა როდისმე, რომ ელენეს შეეძლო უარი ეთქვა უკან დაბრუნებაზე? და თუ ნანა დაიჟინებდა, ელენე კიდევ უფრო ხომ არ გამწარდებოდა? პროტესტის ნიშნად ხომ არ ამოუდგებოდა კოსტიას მხარში მის წინააღმდეგ? აქამდე არ უნდა მისულიყო საქმე, თორემ ორ ბანაკად ასეთი აშკარა დაყოფა კიდევ უფრო აუტანელი გახდებოდა ელენესთვის.

ელენეს შეკითხვების თავიდან ასაცილებლად და ლიუბას დასანახად ცოლ-ქმარმა საერთო გადანყვეტილებით კვლავ გაიყვეს სარეცელი მოსკოვში. ისე არაფერი გაძნელებია ნანას, როგორც იმ ღამით საერთო ლოგინში ჩანოლა, სადაც კოსტიას უკვე მშვიდად ეძინა. ერთი კვირის შემდეგ დამცირებული და გამოფიტული გაემგზავრა შინ. ელენე მოსკოვში დარჩა.

როცა ბაბუაჩემს მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ვკითხე, როდის აღმოჩნდი-მეთქი იმ ამბავში ჩათრეული, ასე მითხრა, 1958 წლის ბოლოს, როცა K-19 გამოსცადეს პირველად, სევეროდვინსკში, თუმცა K-19 ვინმე სატეევს ებარა, თვითონ ამ მოდელთან შეხება არ ჰქონია.

წყალქვეშა ნავ K-19-ს, რომელსაც ატომური კატასტროფის გამო არცთუ სასიამოვნო სახელი „ჰიროშიმა“ შეარქვეს, და რომლის კონსტრუქციის ნაკლოვანებები ბევრ მეზღვაურს სიცოცხლის ფასად დაუჯდა, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ცივი ომის პირობებში, რადგან მასზე განთავსებულ ატომურ იარაღს დიდი წვდომის გამო ამერიკის სანაპიროებამდე შეეძლო მიღწევა. K-19 პირველი ატომური წყალქვეშა ნავი იყო და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები უნდა დაეცვათ, თუმცა ამერიკულ საზღვაო ფლოტთან შეჯიბრები კრემლის ბენოლას უფრო და უფრო ზრდიდა და დაცვა ზოგჯერ ვერ ხერხდებოდა.

1960 წელს საზღვაო ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ K-19-მა უსაფრთხოების ყველა ტესტი გაიარა, ასე რომ, 1961 წლის ივლისში K-19 წყალში ჩაუშვეს. კოსტია ჯამს პირველი საწვრთნელი მანევრის პროტოკოლირება დაავალეს და ასე მოხვდა ბაბუაჩეში ბორტზე. მანევრები გრენლანდიის ზღვაში უნდა ჩატარებულიყო. კუნძულ იან მაიენის მახლობლად მეთაურმა წყალქვეშა ნავის რეაქტორის ავარია დააფიქსირა. გაგრილების სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და რეაქტორის გათიშვა გახდა საჭირო ბირთვის დნობის თავიდან ასაცილებლად. ეს მანევრები საბჭოთა კავშირში ისედაც გასაიდუმლოებული იყო და ასეთი წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებს სიცოცხლისთვის საშიში ავარიების დროსაც კი სასტიკად ეკრძალებოდათ ინტერნაციონალური SOS-სიგნალის გავრცელება, იმ დღეს კი რადიოგადამცემის ანტენაც დაზიანდა, რამაც გრძელ ტალღაზე სიგნალის გადაცემა შეუძლებელი გახადა, ასე რომ, საბჭოთა საზღვაო ძალებსაც კი ვერ სთხოვეს დახმარება.

სხვა გამოსავალი არ იყო, წყალქვეშა ნავის გადასარჩენად ეკიპაჟის ნაწილი რეაქტორის განყოფილებაში გაამწესეს საავარიო გამაგრილებელი სისტემის ჩასართველად; სანამ ამ დროებით ღონისძიებას მიმართავდნენ, რაკი რეაქტორის შიდა ტემპერატურამ სახიფათო 800 გრადუსს მიაღწია, ტექპერსონალმა ჩვეულებრივი შლანგებით დაიწყო წყლის შესხმა.

ამ უსუსურ მცდელობას საშინელი რეაქცია მოჰყვა: როგორც კი რეაქტორს ცივი წყალი მოხვდა, წყალი მაშინვე დაშრა და რადიაციული გამოსხივება გამოიწვია საშინელი დობით.

კოსტიას არაფერი მოუყოლია ამ კატასტროფის შესახებ. არასდროს უხსენებია. სიტყვა არ დასცდენია, რა ჯოჯოხეთი გამოიარა.

მაგრამ ის დღე მის თვალებში იყო ჩამარხული, მის თვალებში კითხვა კი ბავშვობიდან ვისწავლე. ყოველთვის მაინტერესებდა, რამდენად ახლოს იმყოფებოდა კოსტია რეაქტორთან. მაინტერესებდა, როგორი სუნი იდგა იქ - დამწვარი ხორცის? თუ ნეიტრალური, რასაც რაღაც საზარელი უძლოდა წინ? იქნებ უბრალოდ ქიმიური? წარმომედგინა, როგორ ენგრეოდათ სახეები რეაქტორთან მყოფ კაცებს, როგორ

ასხამდათ ცივი ოფლი შეშინებულებს, როგორ უცახცახებდათ ხელები, მათი ფრთხილი ნაბიჯები, მოგუდული ხმები, სიკვდილის მოახლოება, რაციის დუმილი, არქტიკული ზღვის ყინულოვანი სიმშვიდე და აისბერგების ნათება, როცა ზღვის ფსკერის მარწუხებიდან თავდახსნილმა ნავმა ისევ ამოყვინთა. ასე მგონია, იმ დღეს – ეს დღისით ხდებოდა – მზესთან ერთად ვარსკვლავებმაც გამოანათეს და აისბერგები ნაძვის ხეებივით ააციმციმეს. შპიცბერგენტან კი, ნორვეგიის მხარეს, კუნძულები გამოჩნდა, რომელიღაც ფილმის მშვიდობიანი და უზადო დეკორაციასავით.

ასე მეგონა, კოსტიას თვალებში ვხედავდი ამ სურათებს, იქ ვეძებდი, თვალს ვადევნებდი, ბოლოს, მისი ცხოვრების ბოლოს, ალბათ, მეტისმეტად გვიან, მაგრამ მაინც გავუგე, თუმცა ამრიც აღარ ჰქონდა პატიებას, უკვე გვიანი იყო, მისთვისაც და ჩემთვისაც, მაგრამ ამით ბევრ რამეს მივხვდი. ამის წყალობით, იმ ჯოჯოხეთის მოსაცდელი ოთახის წყალობით, სადაც კარგა ხანს იჯდა და სიკვდილს ელოდა. სხვაგვარ, სრულიად სხვაგვარ დასასრულს, ვიდრე ლადოგის ტბაზე, სხვაგვარად განწირული, და ამიტომ სხვაგვარად, უფრო მკაფიოდაც ჰქონდა ეს გაცნობიერებული.

ალბათ, იდასაც ხედავდა, შეიძლება არც ისე გააზრებულად და პერსონიფიცირებულად, როგორც დედამისს ეცხადებოდნენ მიცვალებულები, მაგრამ საკმაოდ გამოკვეთილად. გონების თვალთ. მის სახებას გულში იხუტებდა. ებლაუჭებოდა. მკვდარ ქალს, რომელიც სიცოცხლეს ჰპირდებოდა, სანამ კაცების ღრიალი არ გაიგონა, მათი გახარებული შეძახილები, – რეაქტორი გაგრილებულია, გვეშველა, სიკვდილს გადავურჩითო. ჰო, ასე ფიქრობდნენ იმ წამს, ბუნებზე გადარჩენილები, აღტაცებულები, და ამრადაც არ მოსდიოდათ, რომ სიკვდილი, რომელმაც მათ ყურადღება მიაპყრო და მიუახლოვდა, ასე იოლად აღარ გაუშვებდა თავისი საცეცებიდან და ყველაზე საშინელი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებოდა.

მე მგონია, დასასრული თავიდან კი არ აიცილეს, უბრალოდ შეფერხდა. შეიძლება მხოლოდ იმიტომ, რომ იდამ თავის შეყვარებულს შეყვარების კიდევ ერთი შესაძლებლობა აჩუქა.

არ ვიცი. იქნებ მართლა ასე იყო, იქნებ არც იყო. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, ბრილკა, რომ ის საშინელება, რაც იმ დღეს კოსტიას თვალებში ჩაიბეჭდა, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა იქ, უბრალოდ ღრმად უნდა ჩაგეხედა. ძალიან ღრმად.

მათი სიგნალი ბოლოს ახლომდებარე წყალქვეშა ნავმა დაიჭირა და 24 საათის შემდეგ მოახდინეს ეკიპაჟის ევაკუაცია.

მოსკოვში ჩასულებს, ხელი მოაწერინეს ახსნა-განმარტებით ბარათებზე, რომლის მიხედვითაც ამიერიდან ეკრძალებოდათ ამ თავგადასავლის რაიმე ფორმით გახმარება. ის რვა კაცი, რომლებმაც

რექტორის გაგრილება მოახერხეს, გადარჩენიდან ექვსი კვირის შემდეგ დაიღუპა.

კოსტია ჯაშს გაუმართლა. მოგვიანებით დანარჩენებთან ერთად ვენაში გადააფრინეს და ერთ-ერთ კერძო კლინიკაში უმკურნალეს. თმა მთლიანად გასცვივდა, თავზეც და ტანზეც. სანამ საქმე იქამდე მივიდოდა, რომ მისი ავადმყოფობის ნიშნებს პატარა ელენეც შეამჩნევდა, ცოლს დაურეკა და შეატყობინა, რომ ექვსთვიან სანვრთნელ მანევრებზე აგზავნიდნენ ბალტიის ზღვაზე, ამიტომ ის მოსკოვში უნდა ჩასულიყო და შვილისთვის მიეხედა. განსაკუთრებით მაყვლის მურაბით უყვარს ელენეს ბლინებით, ესეც დაამატა.

* * *

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური
შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს.
გაუმარტოს ხალხთა ნებისყოფით შექმნილს
დიდ საბჭოთა კავშირს, ერთიანს და მძლავრს!
საბჭოთა კავშირის ჰიმნი

ამასობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავაც ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდა კედლის მშენებლობის შესახებ, რომლის მიღმაც სოციალისტური ბედნიერება და მარქსისტული ძმობა უნდა აყვავებულიყო, შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირისკენ მიმართული თავიანთი საშუალო დამიზნების ატომური რაკეტები იტალიასა და თურქეთში განალაგა, კრემლმა კი ოპერაცია „ანადირი“ წამოიწყო. 200 000 ტონა სამხედრო აღჭურვილობა გადაზიდეს გემებით კუბაში. ამისთვის საბჭოთა საზღვაო ფლოტის ნახევრის გადასმა გახდა საჭირო. სატვირთო გემი „ომსკი“, საშუალო დამიზნების რაკეტებით ბორტზე, 1962 წლის 8 სექტემბერს მიადგა ჰავანას. ამერიკულმა სადაზვერვო თვითმფრინავებმა კუბაზე განთავსებული საბჭოთა შეიარაღების ჰაერიდან გადაღებული ფოტოები გაავრცელა, რაც რაკეტების განლაგების ადგილებს გულისხმობდა: 20-ზე მეტი რაკეტა, კუბიდან ყველა დიდ ამერიკულ ინდუსტრიულ ქალაქს რომ მისწვდებოდა. 21 ოქტომბერს ამერიკამ კუბას საზღვაო ბლოკადა გამოუცხადა.

მეორე დღეს კენედიმ საჯაროდ დააფიქსირა პოზიცია და აშშ სამხედრო ძალების Defense Condition 3 გამოაცხადა, ანუ უმაღლესი საგანგაშო მობილიზაცია. ხრუშჩოვს დაემუქრა, რომ ატომურ იარაღს გამოიყენებდა, თუ ის სასწრაფოდ არ მოაშორებდა რაკეტებს. მთელ მსოფლიოს სუნთქვა შეეკრა. თევლა და სოფიო კვლავაც უშფოთველად განაგრძობდნენ პასიანსების გაშლას ქრისტინესა და სტასიას ბაღში. სტასია კი უცქეროდა მდუმარე ლანდებს და ვერ გაეგო, ჯკუიდან გადაცდა

თუ რეალობის საზღვრები იყო ბევრად უფრო დრეკადი, ვიდრე მას ეგონა.

სტასია თავის უფილტრო სიგარეტს ეწეოდა და ხელით ოქროს საათს ეხებოდა, რომელსაც არასდროს იშორებდა: მთელი მსოფლიოს რაკეტები ვერ შემოიშლიან ხელს შვილის პოვნაში, სადაც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოსო, ფიქრობდა თავისთვის და ცდილობდა, ლანდების მიერ გაშლილ კარტებში ჩაეყცითა. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინფორმაციით, ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ ხრუშჩოვისა და ვასტროს შეთანხმებით გუანტანამოში (სწორედ იმ გუანტანამოში, რომელმაც ათწლეულების მერე ასე გაუტეხა სახელი აშშ-ს) განლაგებულ ამერიკის ბაზაზე უნდა მოხდარიყო თავდასხმა.

ქრისტინემ მიქა გამოიყვანა სკოლიდან და სოლოლაკის ვიწრო ქუჩებში მისეირნობდა მასთან ერთად. მიქა თავის საყვარელ „სტაკანჩიკ“ ნაყინს მიირთმევდა და აღელვებული ჰყვებოდა სკოლაში გატარებული დღის შესახებ. კიროვის ფართო ქუჩა ჩაიარეს და რუსთაველის გამზირს გაუყვნენ. როცა სასტუმრო „თბილისს“ მიუახლოვდნენ, ქრისტინე გაჩერდა და ლამაზ შენობას მიაჩერდა.

- რა ხდება? - იკითხა მიქამ.

- ადრე აქ ჩემი მეუღლე ვახშობდა ხოლმე ხშირად. მაშინ ამ სასტუმროს „მაუსტიკი“ ერქვა და მთელი ქვეყნის ნაღები საზოგადოება იკრიბებოდა. კარგი ადგილი იყო ერთ დროს.

- ძალიან გენატრება შენი ქმარი? - შეეკითხა მიქა და ხელზე შემოეხვია.

- ნავდით, ამდენ ხანს სევდიან რამეებზე ნუ შევჩერდებით, კარგი? - არ უპასუხა მის შეკითხვას.

ვენის კერძო კლინიკის სანოლში კოსტია მარცხენა გვერდზე გადაბრუნდა და თვალწინ შვილის გაბრწყინებული, მხიარული სახე დაუდგა. მოსკოვში მიუწევდა გული, არ უნდოდა, ელენე უმამოდ გაბრდილიყო, ის ხომ ამას არ იმსახურებდა, კოსტიას სიცოცხლე სწყუროდა, უნდოდა გადარჩენილიყო, მისთვის, ელენესთვის. არ შეეძლო მის უნახავად მომკვდარიყო.

პატარა დიდი ვაცები კვლავაც ბურთივით ათამაშებდნენ დედამიწას და კმაცოფილები იცინოდნენ. ბენჯზე გადაურჩა მსოფლიო ატომურ ომს, როცა ამერიკულმა წყალქვეშა ნავმა ატომური რაკეტებით გაძეგძილ საბჭოთა წყალქვეშა ნავს ყუმბარები დაუშინა.

მომდევნო წამები მძიმე გამოცდად იქცა მთელი მსოფლიოსთვის. ვაშინგტონში საიდუმლო შეხვედრა გაიმართა. ბობი კენედი ხრუშჩოვის მოთხოვნებს დასთანხმდა, იმავე ღამეს ხრუშჩოვმა კუბიდან რაკეტების გამოტანის ბრძანება გასცა.

ელენეს მამა დაესიზმრა, მამას ეძახდა. ნანა შვილს მიუწვა დასაწყნარებლად, მაგრამ ამან ვერ უშველა. კოსტიას დამაჯერებელი ხმა

ჰქონდა, როცა გიორგი ალანიას დაურეკა; სულ უფრო იშვიათად საუბრობდნენ ტელეფონით:

- გადავრჩი. ამ ეტაპზე საფრთხე არ მემუქრება, უნდა დავბრუნდე. ელენესთან. გადავრჩი, არავითარი ლეიკემია, ასე მითხრეს დღეს ექიმებმა.

ალანია ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მაგრამ იგრძნო, რომ სერიოზული ამბავი იყო, ვენის კლინიკიდან შემოსული ზარიც ამტკიცებდა მის ვარაუდს. მაგრამ ტელეფონით ასეთი თემების განხილვა არ ვარგოდა.

- ვინმესთვის უნდა მეთქვა. უბრალოდ უნდა მეთქვა ვინმესთვის, - იმეორებდა კოსტია ეიფორიაში.

ალანიას ძალაუნებურად კოსტიას და გაახსენდა, ქალი, რომლის ხმაც მისი ცხოვრების ყველაზე საიმედო საყრდენად იქცა ბოლო წლებში, და რომელიც ამასობაში უკვე ცნობილი მომღერალი გახდა და მეორე ალბომი გამოსცა სახელწოდებით Summer of broken tears (რომელიც კონკურენციას უწევდა სხვა ახალ სიმღერას, ცოტა არ იყოს ბანალური სათაურით Love me do, ის ბენდი მღეროდა, გიჟური ვარცხნილობა რომ ჰქონდა ოთხივეს, გახსოვს, ალბათ, ბრილვა).

ალანია სანერ მაგიდასთან გაიჭიმა თავის კაბინეტში, საელჩოში. კოსტიამ იცოდა მისი პირადი ტელეფონის ნომერი. მხოლოდ გადაუდებელი შემთხვევებისთვისო, ასე ჰქონდა ნათქვამი. ახლა იფიქრა, ნეტა ეს არ მეთქვა და უფრო ხშირად დაერეკა ხოლმეო. მაშინ, კიტის ქვეყნიდან წასვლის შემდეგ, უფრო სისტემატურად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ტელეფონით, თუმცა ძირითადად თვითონ ურეკავდა, ყოველთვის სხვადასხვა ავტომატიდან. ორივემ კარგად იცოდა წესები, ინსტრუქციებს და შეთანხმებებს ზედმინწევით ასრულებდნენ. თუმცა ზოგჯერ უჭირდათ იმ ინსტრუქციების და საკუთარი მოთხოვნილებების თანხვედრა.

- ხაზზე ხარ საერთოდ?

კოსტიას ხმამ ფიქრებიდან გამოიყვანა.

- კი, მაპატიე, შენმა სიტყვებმა დამაფიქრა. რაც უნდა იყოს შენი მანდ ყოფნის მიზეზი, მიხარია, რომ გამოგივიდა. ყოველთვის ნამდვილი მებრძოლი იყავი და ასეთად დარჩი.

კიტი შიშველი იჯდა პატარა დანხულ სავარძელზე თავის საძინებელში. აბაზანიდან წყლის ხმა ისმოდა, უნდა ჩანოლილიყო და ფიქრები და ეჭვები განედევნა, თავს რომ აბეზრებდნენ. ფრედი ოთხი დამე არ გამოჩენილა, ალბათ, ემის ლავანდის სურნელით გაჟღენთილ ლოგინში ეძინა ახლა. ან საეჭვო ტიპებთან ერთად სვამდა თავის ახალ ატელიეში, ჰეკნიში, რომელსაც ემი უფინანსებდა. კიტის ვერ გადაეწყვიტა, უნდა შეეთავაზებინა ფრედისთვის ვენაში ერთად გამგზავრება, თუ არა. ეშინოდა მის თვალებში ჩახედვა, თუ ცივ უარს

მიახლიდა სახეში. მას მერე, რაც მედლინგიდან გაიქცა, ფრედი ავსტრიაში აღარ დაბრუნებულა, იმ ღამის მერე, როცა დედამისმა ქამარს წაავლო ხელი. მაგრამ კიტის იმედი ჰქონდა, რომ ფრედი იქ საბოლოოდ გათავისუფლდებოდა იმ ქალაქის წყევლისგან. იქნებ, აღარც მისი და ანდროს აუსრულებელ ოცნებად დარჩენილიყო ის ქალაქი.

სააბაზანოში გაბობღდა. ფეხებს ძლივს ადგამდა. ცდილობდა დედამისის სახე გაეხსენებინა. ცდილობდა წარმოედგინა, როგორ შეცვლიდა მას დრო.

დრო, რომელიც მათ ერთმანეთისგან ამორეხდა. როგორი იყო ის დრო? ტყვიის? ცინულის? რკინის?

აქაფებულ წყალში ჩანვა, ზედმეტად ცხელი იყო, მაგრამ კიტის უნდოდა შეეგრძნო ეს წვა. როცა ფრედი მასთან არ იყო, ან უსახელო მეგობარი არ ურეკავდა დიდხანს, აღარაფერი აგონებდა სიცოცხლეს. არც გამოსვლები, არც ემის ეიფორია, მით უმეტეს, არც თავისი სიმღერების პატარა ბეჭითი წარმატება. თვალს დახუჭავდა თუ არა, აღმოსავლეთი უბრუნდებოდა. რა სწრაფად გეცლება ხელიდან დასავლეთი, როგორც კი ყურადღებას მოადუნებო, ფიქრობდა კიტი და უხმოდ იტანდა ცხელი წყლის შეხებას თავის კანზე. ფრედის მედლინგის არ იყოს, ვერც კიტიმ ჩამოიფხიკა აღმოსავლეთი. კვალი, რომელიც მან დაუტოვა, წარუშლელი იყო. კიტიმ თავის ნაიარევს დახედა. მარიამიც იქ იყო. იქ დარჩებოდა სამუდამოდ. მარიამი და თავისი შვილი. ჰო, ასეა, აღმოსავლეთი ერთხელ თუ მოეხვია და ჩაეხუტა ვინმეს, ერთხელ თუ გაეჩხირა ყელში, აღარც მოეშვება.

* * *

და განუწყვეტლივ, გაუაზრებლად
წარმოვთქვამ გაავებული ტუჩებით
შენს სახელს – ჩუმი მუდარით,
რომ სიყვარულმა გაიღვიძოს ისევ.
პარნოკი

კოსტია ერთი კვირის დაბრუნებულის არ იყო შინ. ნანა მისი კაბინეტის კართან აყურადებდა, რომლის მიღმაც კოსტია და მისი რამდენიმე ფორმიანი კოლეგა შეკრებილიყვნენ, უსმენდა, როგორ იმეორებდნენ სიტყვებს „ატომი, დაღუპულები, სანატორიუმი“ და „სიმამაცის ორდენი“.

ელენე ჯერ არ იყო სკოლიდან დაბრუნებული. ნანა სამზარეულოში გავიდა, ბრაზი გადაყლაპა და წყალი მიაყოლა. ნანა, რომლის შვილიც მამის დაბრუნებას ისეთი ჟივილ-ხივილით და გახარებული შეძახილებით შეხვდა, რომ მთელი სახლი გააღვიძა. ნანა, რომელსაც სიკვდილამდე ენატრებოდა თბილისი, თავისი უნივერსიტეტი, თავისი მეგობრები, სტასია და ქრისტიანეც კი, გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ დამარცხდა.

მამა-შვილის შეხვედრისგან განსხვავებით, ცოლ-ქმარი ლამის ფორმალურად მიესალმა ერთმანეთს. ფრთხილი კოცნა ტუჩებზე, ნამიერი გადახვევა და, რა თქმა უნდა, არავითარი შეკითხვები. ცხადია, ნანა ხვდებოდა, უფრო მეტიც, დარწმუნებული იყო, რომ ბალტიის ზღვა არაფერ შუაში იყო და კოსტიას სანვრთნელი მანევრების გამო არ მიუტოვებია საყვარელი შვილი ექვსი თვით.

ნანამ გაიგონა, როგორ შემოაღო ელენემ სახლის კარი, სკოლის ბურგჩანთა იატაკზე დააგდო, ჩუსტები ჩაიცვა და სამზარეულოში შეაჭრა (სხვა დროს ჯერ მამას შეუვარდებოდა კაბინეტში, მაგრამ უცხო ხმები შემოესმა, ალბათ და ამან შეაცვლევინა განზრახვა). თავისი ასაკისთვის საკმაოდ მაღალი იყო, კაკაოსფერი თვალები ძალიან მიუგავდა მამიდამისს, რომელსაც სამშობლოს მოლაღატის სახელი მიანებეს. ვის შესახებაც კითხვების დასმა ყველას ეკრძალებოდა. თეთრი წინდებით შემოსილი ფეხები გრძელი და ძლიერი ჰქონდა, სწორი ბურგი, ყურადღებიანი და ეჭვიანი მზერა. პაუის სტილში შეკრეჭილი თმა უზადოდ მოქსოვილი ქუდივით ამკობდა მის მრგვალ თავს. ხელი დაიბანა და ქვაბებს ჩახედა, დღეს რა მომიზადა ლიუბამო. კმაყოფილმა აანთო გაბჭურა, ისე, რომ დედამისისთვის არც უკითხავს, ჩემთან ერთად ხომ არ ისადილებო.

ნანა თავის დამოუკიდებელ შვილს აკვირდებოდა, მიუღებლად მიაჩნდა მისი ქცევა. ბოლო თვეების განმავლობაში მზრუნველობა არ მოუკლია შვილისთვის, მაგრამ რამდენიც ეცადა, ვერ გააარღვია კედელი, რომელიც გარს შემოივლო ელენემ, როგორც მამამისის ღირსეულმა შვილმა.

კოსტიას დაბრუნება მეტისმეტი აღმოჩნდა ნანასთვის; ეს გახდა ნანას საბოლოო კაპიტულაციის საფუძველი, მწარე სიმართლე, რომ შვილთან პირისპირ გატარებულმა თვეებმა უშედეგოდ ჩაიარა; ელენემ დედას არ აპატია. გულთან აღარ მიიკარა. არ აპირებდა ამ ქვეყნის მითოვებას და არ გაჰყვებოდა მოსკოვიდან მიმავალ დედას სამხრეთისკენ.

ნანა უყურებდა შვილს და ხვდებოდა, რომ ელენესთვის ამ გადანყვეტილების მიღება იოლი არ უნდა ყოფილიყო, ერთი მხარის, ერთი მშობლის სასარგებლოდ უნდა გაეკეთებინა არჩევანი; და, სამწუხაროდ, კოსტია აირჩია. ნანას უჭირდა ამის აღიარება, მაგრამ განა ელენე უფრო მის ქმარს არ ჰგავდა, ვიდრე მას? იქნებ სწორედ ამიტომ არჩია მამასთან დარჩენილიყო, და არა მათი ოჯახის უცნაურ ქალებთან?!

მიუხედავად ფრთხილი ვარაუდებისა, შვილის მიმართ რომ უჩნდებოდა წლების განმავლობაში, გააფთრებულ ბრძოლაში შვილის სიყვარულისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, მიუხედავად წინათგრძნობისა და კოსტიას საიდუმლოებებისა, ქმრის სამფლობელოში შვილთან ერთად გატარებულ ექვს თვეში მიღებული შეურაცხმყოფელი გამოცდილების მიუხედავად, მისდა გასაკვირად, ყველაზე მტკივნეული ის

აღმოჩნდა, რომ მარტო უნდა დაბრუნებულიყო შინ. ორი კვირით ადრე რომ ჩამოსულიყო კოსტია, იქნებ ასეთი თვალსაჩინო არ გამხდარიყო ნანასთვის მისი ოჯახის სავალალო მდგომარეობა. ახლა კი იჭდა სამზარეულოში, უმწეო, ეული, ცრემლებს იკავებდა და მაინც ცდილობდა საკუთარი თავის დარწმუნებას, რომ ელენე არაფერ შუაში იყო, რომ სამაგიეროს არ უხდიდა, რომ მის მიერ მიყენებული ტკივილი მისი ბავშვობის, გულუბრყვილობის, უმანკოების ბრალი იყო.

ორი კვირით ადრე ელენემ განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკა კოსტიაზე. ნანას ბრაზი მოერია, ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ უსამართლოდ ექცეოდნენ, რომ საკუთარი შვილი აბუჩად იგდებდა. უნდოდა სახეში მიეხალა მისთვის, ნუ მსჯი იმისთვის, რაც ჩემი ბრალი არ არის, პატივისცემას და სიყვარულს უნდა იჩენდე ჩემ მიმართ და ცარიელი ჟესტებით არ ანაცვლებდე გრძნობებსო. უნდოდა, შვილი გულახდილი ყოფილიყო, თუნდაც თავნება და ფიცხი, მაგრამ ცოცხალი, ნამდვილი. ისევ ჭიუტი, ხმაურიანი, ჭირვეული და მოსიყვარულე ელენე ერჩივნა. ერჩივნა, ერჩივნა, ერჩივნა! მაგრამ ხმა არ ამოუღია ნანას, შოკოლადს იტენიდა პირში და ტელევიზორის ცისფერ ეკრანს მიმტერებოდა, სადაც ძილისპირულს გადმოსცემდნენ, რომელსაც ელენე დიდი სიამოვნებით უყურებდა ყოველ საღამოს.

- ნუ ჭამ ამდენ ტკბილეულს, - უთხრა უცებ, ისე, რომ ეკრანისთვის თვალის არ მოუშორებია. ნანა გაშეშდა და პირში ჩადებული შოკოლადის გაღეჭვა ვეღარ გაბედა. შერცხვა და დამცირებულად იგრძნო თავი. თითქოს ეს არ იკმარა, ელენემ კიდევ მიამატა:

- მამას უფრო თხელი ქალები მოსწონს, პომადას რომ ისვამენ და სუნამოსაც ისხამენ.

ეკრანზე ამ დროს დახატული, გრძელყურებიანი ძაღლი დახტოდა და მხიარულ სიმღერას მღეროდა.

- საიდან იცი? - იკითხა ნანამ ცივად.

- უბრალოდ ვიცი.

- საიდან?

ნანამ ხმას აუნია. როგორც იქნა, ჩაყლაპა შოკოლადი.

- ზოგჯერ მოდიან ხოლმე მამასთან სტუმრად, - თქვა ელენემ ისე მშვიდად, თითქოს სკოლაზე უყვებოდა, თან თვალი არ მოუშორებია ძაღლისთვის, რომელიც ყურებს აპარტყუნებდა და ხალისიანად და მელოდიურად ყეფდა.

- აქ? აქ მოდიან ხოლმე?

- ჰო, აბა სად. ეს ხომ მისი სახლია.

ელენემ თვითონაც ჩაყო ხელი შოკოლადის კოლოფში, რომელიც ვიწრო შურნალების მაგიდაზე იდო.

- და ვინ არიან ის წითელპომადიანი თხელი ქალები?

ნანამ თავი ძლივს შეიკავა. ღრიალი უნდოდა.

- რა ვიცი, უბრალოდ წითელტუჩიანი თხელი ქალები, ფაფუკ პალტოებში გამონწყობილები. კარგი სუნი ასდით. ზოგჯერ საჩუქრებიც მოაქვთ ჩემთვის.

- ესე იგი, საჩუქრები მოაქვთ შენთვის.

- ჰო.

ელენემ პატარა შოკოლადს ქალაღლი შემოაცალა და ხარბად ჩაიტენა პირში. ახლა გრძელყურა ძაღლს ცანცარა იხვიც შეუერთდა და სიმღერაშიც აჰყვა.

- რა საჩუქრები?

- დედა, ტელევიზორს ვუყურებ.

- რა საჩუქრები? - ნანა ხმას ვერ იმორჩილებდა.

- სათამაშოები. ან შარფი. ხელთათმანიც მოუტანიათ.

- და რამდენ ხანს რჩებიან ხოლმე აქ?

- აზრზე არ ვარ. არც ისე დიდხანს. ზოგი კიდევ მოდის ხოლმე. ზოგი აღარ. შეხედე, ეს გასტონია, იხვი. ეგ მიყვარს ყველაზე მეტად.

შოკოლადით პირგამოტენილი ელენე სიამოვნებისგან აჭყვიტინდა.

როგორც იქნა, დასრულდა წარმომადგენლობითი სტუმრობა. კოსტია თითოეულს ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა. ფრიად სერიოზული და წონიანი ბატონები ჩანდნენ. კოსტიაც სიამოვნებით მიიჩნევდა თავის თავს ასეთად. ელენე ჩვეულებისამებრ ნანამ დააძინა. ლიუდას თავისუფალი დღე ჰქონდა. კოსტია თავის კაბინეტში ჩაიკეტა.

ძალიან გამოიცვალა. გახდა, დასუსტდა თითქოს. ნანა თვალს ვეღარ უსწორებდა, რადგან მისი დაბრუნების შემდეგ სულ ელენეს სიტყვები უტრიალებდა თავში: მამას თხელი ქალები მოსწონს, პომადას რომ ხმარობენ და სუნამოსაცო.

სააბაზანოში შევიდა. დიდხანს უყურა თავის თავს სარკეში. დარდი არ აჩნდა სახეზე. ბოლო წლებში მომატებულმა წონამ მის სასიამოვნო, კეთილ სახეს ვერაფერი დააკლო. ყვრიმალეები ისეთივე გამოკვეთილი და მაღალი ჰქონდა, შუბლი ისევ გლუვი, თვალები ნათელი. სულ არ ჰგავდა უბედურ ქალს. ცოლქმრული ცხოვრების განმავლობაში მისმა სახემ ადამიანების მოტყუება ისწავლა.

კარადიდან კოსმეტიკის ჩანთა გამოიღო, წითელი პომადა მოძებნა, რომელიც სასხვათაშორისოდ ეგდო შიგ და ტუჩები შეიღება. ხორბლისფერი, ხშირი თმა დაივარცხნა და ლამაზად აიწია. მერე საძინებელ ოთახში გავიდა და საუკეთესო კაბა აარჩია, ღრმად გულამოჭრილი, ზღვისფერი, მის თვალებს ასე რომ უხდებოდა. თეძოებში დავინრობოდა, მაგრამ ერთი დღისთვის გამოდგებოდა. ქუსლიანი ფეხსაცმელი ერთადერთი წყვილი ჰქონდა, გადმოიღო კარადიდან, მანამდე ხელუხლებლად რომ იდო ყუთში ჩანწყობილი და თავისი არსებობით ნანას იქ ყოფნას ადასტურებდა, და ჩაიცვა. კოსტიასთან

ერთად იყიდა ოდესღაც, „ცივ ზღვაზე“ რომ იყვნენ, იმ დროს, როცა პირველად მიხვდა, რომ ქმარს მისი სურვილი სულ არ კლავდა.

მერე მთელი თავისი ტანსაცმელი მოკრიბა და ჩემოდანში ჩატენა.

კოსტიას კარზე დააკაკუნა და ისე შევიდა ოთახში, პასუხს არც დალოდებია.

კოსტია მკრთალი შუქით განათებულ მაგიდასთან ქაღალდებში თავჩარგული იჯდა. სანერ მაგიდაზე გენერალისიმუსის ბიუსტი ედგა, მის გვერდით კი ელენეს რამდენიმე ფოტო, ჩარჩოში ჩასმული. შეცბა, როცა დაინახა, როგორ გამოიყურებოდა ნანა. დიდი ხანია, აღარ გამოპრანჭულა ასე მის საამებლად. სხვა დროს აუხსნიდა, რომ დაკავებული იყო და ამ საბაბით მოიშორებდა თავიდან, მაგრამ ნანას შემხედვარე მიხვდა, რომ ამჯერად ასე იოლად ვერ გაისტუმრებდა. სკამი შესთავაზა. მაგიდის გვერდით პატარა კამოდზე ჯერ კიდევ იდგა სამი ჭიქა და ნახევრად ცარიელი არყის ბოთლი. ეტყობა, რაღაცის სადღეგრძელო დალია კოლეგებთან ერთად.

ნანამ მის დაუკითხავად წაავლო ხელი ბოთლს და ვიღაცის ჭიქა ბოლომდე გაავსო. კოსტიამ პირი დაალო, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ისევ დახურა, როცა ცოლმა ჭიქა პირთან მიიტანა და ერთიანად გადაჰკრა.

- როგორც ჩანს, მე არ ვარ ის ქალი, ვინც შენ გჭირდება. სამწუხაროა, რომ ასე შევცდი შენში, კოსტია. რა შენი ბრალია. მართალი იყავი, მე არ მინდოდა გამოფხიბლება. მაგრამ ახლა თვალი გავახილე, როგორც ხედავ. ისეთი ფხიზელი ვარ, იმდენად, რომ ზოგჯერ მეშინია კიდევ, ვაითუ ვეღარასდროს შევძლო დამძინება. თუ გინდა, გავცილდეთ ერთმანეთს, ჩემთვის სულერთია. მაგრამ, თუ გინდა, რომ ცოლ-ქმრად დავრჩეთ, ზოგი რამ უნდა მოვაგვაროთ. თან ჩემი სურვილების გათვალისწინებაც მოგინევს.

ნანამ ისევ აივსო ჭიქა და რაკი ქმარი ხმას არ იღებდა, განაგრძო:

- პირველი: მინდა, შეწყვიტო ელენეს თანდასწრებით ჩემი ავტორიტეტის შელახვა, ჩემი დამცირება, ჩემი „უაზრო უნივერსიტეტის“ აბუჩად აგდება, შეწყვიტო ჩემი აღზრდის მეთოდების გაკრიტიკება. შეწყვიტო იმის მტკიცება, რომ თქვენი შესაფერისი ვერ ვარ. დიახ, თქვენი, იმიტომ, რომ ამასობაში თქვენ უკვე ნამდვილი გუნდი შექმენით, მე კი სათადარიგო სკამზე დამსვით და თქვენი ცქერის უფლება მომეცით.

ეს უნდა დასრულდეს! დაუყოვნებლივ.

მეორე: მოვითხოვ, რომ აღარასოდეს მოიყვანო ბოზები, მომიტევე ეს უხეშობა, შენს ბინაში, სადაც ჩემი შვილი ცხოვრობს. აკეთე, რაც გინდა, მაგრამ ელენეს ნუ დაანახებ ამას. ახლა ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, კოსტია, მეგობრულად და არა ცოლქმრულად: ის ქალები, ასე სასურველი რომ გეჩვენება, ის ქერა და შავგვრემანი ანგელოზები, რომლებთანაც დონ ჟუანივით იქცევი, უბრალოდ მსახიობები არიან და

ოსტატურად თამაშობენ, მეტი არაფერი. რადგან სხვა არაფერი უსწავლიათ, გარდა იმისა, რომ გაგრძობინონ ის, რაც გგონია, რომ გჭირდება. კარგად იციან, როგორ დაგაჯერონ თავიანთ მაგიაში მხოლოდ იმისთვის, რომ მოგაჯადოვონ, და როცა ლოგინში კვნესიან, – ბოლიში პირდაპირობისთვის, მაგრამ შენ ხომ აღარ განზნებ თავს, – ამას შენთვის აკეთებენ, რაკი მიაჩნიათ, რომ შენ გინდა ასე და მართლებიც არიან: შენ სწორედ ამის გაგონება და დანახვა გინდა. რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ნაკლებად მესმის შენი, ვერ ვხვდები, ამდენი ქალის გარემოცვაში გაბრდილს, რატომ არაფერი გაგეგება ქალების. სამწუხაროა, მაგრამ რამდენი გმირობაც უნდა ჩაიღინო სამშობლოსთვის და რომელი ორდენიც უნდა გადმოგცენ ამისთვის, მაინც უსუსური იქნები, უსუსური ქალების წინაშე, რადგან, როგორც ჩანს, არ იცი, როგორ დაუმეგობრდე მათ.

როგორ ვერ მიხვდი, რომ ცუდად მომექეცი, როცა ელენესგან გამრიყე, არადა, მე შენს მხარეზე ვიყავი. და იცი რატომ? იმიტომ, რომ მეგობარს ვხედავდი შენში. და იმიტომ, რომ მიყვარდი. ჰო, მიყვარდი, თუმცა კარგა ხანს თვითონაც არ ვიცოდი, ბოლომდე არ მესმოდა, რას ნიშნავდა ეს სიყვარული. იმედი მქონდა, სხვა თუ არაფერი, მეგობრები მაინც ვიქნებოდით, რაკი საყვარლები ვერ გავხდით.

მაგრამ შენ მომატყუე, შენთვის მთავარი ჩემი დამონება იყო, ჩემი დამცირება, დამორჩილება, იმიტომ რომ სხვა არც არაფერი შეგეძლო და არც გინდოდა, იმიტომ რომ შენი კოხტა, უსულგულო თოჯინები, ალბათ, სწორედ ასეთები არიან, უნებისყოფონი, დამყოლნი და მარტივნი, ხომ ასეა? მხოლოდ შენი სიამოვნებისთვის არსებობენ. რადგან მე შეგვინააღმდეგე, არ დაგნებდი, ამიტომ ყველაზე ძვირფასის წართმევა განიზრახე, რაც კი გამაჩნდა, უსიტყვოდ გამომიხცადე ომი. ჩვენი შვილის მისატაცებლად! ვერც კი ხვდები, რომ ამით საკუთარ თავს დაუგე მახე. მეც სავალალოდ დავმარცხდი მასთან, შენს აქ არყოფნაში შენს ჩრდილში მამყოფა, მაგრამ, როცა იქნება, ორივეს გადაგვემტერება, და იცი რატომ? იმიტომ რომ ქალი გახდება, ნამდვილი ქალი და არა ფიტული, რასაც ამდენი წელია ასწავლი, შენთან ცხოვრების პერიოდში. ერთ მშვენიერ დღეს ვეღარ გაუძლებს, ამ ნაჭუჭს გაამტვრევს და შენს დასჯას დაიწყებს იმ ტვირთის გამო, ასეთ პატარას რომ აჰკიდე. უკვე გული მერევა, ამ საზიზღარი რუსული აქცენტით რომ მეტყველებს მშობლიურ ენაზე...

– ეს რაღა შუაშია? – ბორძიკით აღმოხდა კოსტიას, რომელიც მთელი ამ მონოლოგის განმავლობაში გაოგნებული შესცქეროდა ცოლს.

– მესამე: არ გამანყვეტინო! უბრალოდ აღარ გაბედო! და მეოთხე: მეცხრე კლასის დასრულებისთანავე მიმყავს ელენე თბილისში. ამაზე კამათს არც ვაპირებ. მხოლოდ იმიტომ გეუბნები, რომ ღროულად განენყო.

კოსტია უცებ წამოდგა და მანაც არყის ბოთლს სტაცა ხელი.

- განქორწინებაზე თანხმობას არ მოგცემ.

- ძალიან კარგი, ასეც ვიცოდი. თუ ჩემს მოთხოვნებს შეასრულებ, მე ამის სანაცვლოდ პირობას გაძლევ, რომ მომავალშიც ერთგულ მეუღლედ დავრჩები და ისეთს არაფერს გავაკეთებ, რაც შენს სახელს და მდგომარეობას დაემუქრება. არც ელენეს სიყვარულზე იდარდო, თქვენ შორის ჩადგომას არ ვაპირებ. კიდევ, ხვალ შინ მივფრინავ. არა მგონია, ჩემი აქ ყოფნა ისევ საჭირო იყოს.

* * *

ნეტავ სხვა ბედისწერისთვის რიგში ჩადგომა შემეძლოს...

პუგაჩოვა

- გააფუჭებ ამ ბიჭს! - უთხრა სტასიამ თავის დას ოქტომბრის იმ თბილ საღამოს, მიქამ კი უკვე მერამდენედ თქვა უარი მეზობლის ბიჭებთან ფეხბურთის თამაშზე და ამის ნაცვლად ქრისტინეს ლოგინში შეიყუჟა, ყელის ტკივილი მოიმიზგება. ქრისტინე სამზარეულოში იჯდა და სუფრას ქარგავდა. კარში გაჩერებული სტასია უკმაყოფილოდ უყურებდა დას, დასვრილი ბალის ჩექმები ეცვა და ძველისძველი, ტოტებაწეული შარვალი, რომელიც ორი ზომით მაინც ექნებოდა დიდი. მას მერე, რაც სამოცი წლის გახდა, სტასიამ დაპატარავება დაიწყო, თითქოს კიდურები დაუნვრილდა, უფრო სიფრიფანა გახდა, ჩამოდნა, სანამ ოთხმოცი წლისა პატარა გოგოს არ დაემსგავსა აღნაგობით.

- ახლა რაღა მოხდა? - იწინა ქრისტინემ, თავიც კი არ აუნევია.

- ვერ ამჩნევ, რას უშვრები? ეს პატარა ბიჭი უკვე ბებერივით იქცევა. არასდროს ეთამაშება ბავშვებს, სულ სერიოზულია, სულ შენთან უნდა. ეს არ არის ნორმალური. მამამისიც კი ჩივის, რომ...

- რას გულისხმობ?

- მე იმის თქმა მინდა, რომ შენ პატარა გოგო აღარ ხარ, ბიჭს კი თანატოლებთან სჭირდება ყოფნა.

- მუმიად ხომ არ ვიქცევი მარტო იმიტომ, რომ ოცი წლის აღარ ვარ.

- ღმერთო ჩემო, ქრისტინე, პატარა ბიჭია!

- მე ვცდილობ, არაფერი მოვაკლო. ის ბედნიერია და ეს არის ჩემთვის მთავარი.

- შენ აძლევ იმას, რაც შენ გგონია, რომ სჭირდება. მაგრამ მას სულ სხვა რამეები სჭირდება. სათამაშო კი არ არის. არც გოგოა და ასეთი მოპყრობა არაფერში არგია.

- შენ ეჭვიანობ, უბრალოდ ეჭვიანობ, რომ ბოლოს და ბოლოს, მეც მეღირსა ბავშვის მოვლა და თანაც ისე, რომ ბედნიერად გრძნობს თავს, შენ კი...

ქრისტიანებმა აუნიან. სუფრას ხელი გაუშვა და გააფთრებული მიაჩერდა დას.

- ისევ გატუტუცებული ბავშვივით იცეცივი! ბრყვი ხარ, ქრისტიანე, უზნეო და სულელი! - თვალი თვალში გაუყარა სტასიამ. - ბერდები და შეეგუე ამას! სცადე, სხვა რამით დაკმაყოფილდე!

სტასია ბაღში გაბრაგუნდა და ტალახიანი ნაკვალევი დატოვა სამზარეულოს იატაკზე.

ქრისტიანეს ხასიათი გაუფუჭდა, ამ ჩემს დას არც იუმორის გრძნობა აქვს და არც მომხიზვლელობის ნატამალი, სულ ასეთი სერიოზული, ასეთი გამზარებული როგორ უნდა იყოსო? თუმცა, მიქა მართლაც ოცნებებში დაფრინავდა და მათთან მოსული ამ საწყალი, დამფრთხალი, ეული არსების ასე განებივრება ქრისტიანეს მხრიდან, ალბათ, არ ვარგოდა მისივე მომავლისთვის.

მიქას მამამისთან შედარებით უფრო უხეში ნაკვთები ჰქონდა, თუმცა სწორედ ეს მიუთითებდა იმაზე, რომ როდისმე ძალიან მიმზიდველი მამაკაცი დადგებოდა მისგან, ყოველ შემთხვევაში ქალების იმ ნაწილისთვის, უხეშ ძალას რომ ანიჭებენ უპირატესობას. პირდაპირ ასხივებდა ფიზიკურ სიძლიერეს, მინიერ სიჭანსადეს. მხოლოდ დიდ ცისფერ თვალეებზე ეტყობოდა, როგორი პატარა იყო, დაუცველი. მატყუარა გარეგნობა ჰქონდა, სინამდვილეში მიქა მეტისმეტად გაუბედავი იყო, უცხო ადამიანებს უფრთხოდა, ლიტერატურა უყვარდა და სძულდა ყველაფერი ხორციელი. ხოლო იმის გამო, რომ საათობით შეეძლო ბაღში მჯდარიყო, ხელის გულზე დასმული პატარა ხოჭოები ეთვალეირებინა და ჩიტების ჭიკჭიკი ესმინა, თანატოლები დიდად არ სწყალობდნენ. მაგრამ მიქა უთანხმოების თავიდან აცილებას ყოველთვის ასეჩხებდა და ეს მისი გარეგნობის დამსახურება იყო.

მაინც როგორი ბედნიერია ხოლმე, საზაფხულო არდადეგების შემდეგ ისევ ჩემთან რომ ბრუნდებო, გაიფიქრა ქრისტიანემ. როგორ შვებას გრძნობს, მაგარი ბიჭის თამაში რომ აღარ უნევს ნაკლებად მგრძნობიარე დედის და მსმელი მამის დასანახად. როგორი აღტაცებით უსმენს ჩემთან ერთად გრამოფონს, როგორ უყვარს, არიების შინაარსს რომ ვუთარგმნი, ან ბალიშზე მის საყვარელ რომანს რომ ვახვედრებ, ნაყინის საჭმელად რომ მიმყავს და ყველა კუთხე-კუნჭულზე და ქუჩაზე რამე ამბავს ვუამბობო.

და რა იყო ამაში არასწორი? რატომ არ უნდა ეკეთებინა ეს ყველაფერი? ქრისტიანეს არც ნანას უკმაყოფილო მხერა გამოჰპარვია, როცა ბაღში მიქასთან ერთად ჩაჰყურებდა ხოლმე წიგნს ან რამე მცენარეს ათვალეირებდა. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ეს ქალი შემაშფოთებელი პრაგმატიზმით უყურებდა ყველაფერს. თავიდან ქრისტიანე ნანას გულგატეხილობას შვილის მონატრებას მიაწერდა, მაგრამ მერე და მერე უკვე ბრაზდებოდა მასზე. ნაჰყოლოდა თავის ქმარს

რუსეთში და ასეთი ცივი და გაუცხოებული აღარ იქნებოდა მათი ურთიერთობა! აღარც რუსეთთან და ცივ ბღვასთან მოუწევდა ქმრის გაყოფა, არც სახელმწიფო საიდუმლოებებთან და, მით უმეტეს, არც სხვა ქალებთან! მაგრამ ისინი, ნანა და კოსტია, უბრალოდ არ უხდებოდნენ ერთმანეთს. ქრისტინე ძალიან კარგად იცნობდა თავის დისშვილს და ამიტომ ზუსტად იცოდა. ნანამ თავიდანვე შორს დაიჭირა თავი მისგანაც და, რაც მთავარია, ბიჭისგანაც, თითქოს ეშინოდა, მეტისმეტად არ შესჩვეოდა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კიტიზე ფიქრი სტასიას იდეაფიქსად ექცა, საპყრობილედ, საიდანაც თავის დაღწევას ვეღარ ახერხებდა, რის გამოც უხასიათობა დასჩემდა, კიდევ უფრო წყენია და გულჩათხრობილი გახდა, რაც ძილს უფრთხობდა, ვეღარც ყურადღებას იკრებდა ბიბლიოთეკაში მუშაობისას.

როგორმე უნდა ენახა. თორემ, ერთხელაც იქნებოდა, დანვებოდა და ნამდვილად აღარ ადგებოდა, სოფიოს ან თეკლას მოსვლას დაელოდებოდა, რომლებიც ხელს გაუწოდებდნენ და იორდანეზე გადაიყვანდნენ. თუ საერთოდ არსებობდნენ. სტასია გრძნობდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მალე მოკვდებოდა, ერთხელ მაინც თუ არ ჩაეხუტებოდა შვილს.

ამ ფიქრებმა იქამდე მიიყვანა, რომ კიტისთან დაიწყო ლაპარაკი. უხმოდ წარმოთქმული სიტყვებით მიმართავდა. კარგად თუ იკვებები, უცხოეთს როგორ ეგუებიო; ხან იმ ქვეყანაზე ეკითხებოდა, სადაც ის ცხოვრობდა, ხან ბიბლიოთეკის ამბებს უყვებოდა, ქრისტინეს ინფანტილურ სიჯიუტეს უჩიოდა, ისიც უამბო, რომ ელენე დედამისისგან მოშორებით იზრდებოდა.

ღამით, როცა ლოგინში წვებოდა, შუშის თვალებს მიაპყრობდა ხოლმე ჭერს და კიტის ნახვის გზებს ეძებდა. მაგრამ ყველა გზა მაინც კოსტიასთან მიდიოდა. ის იყო დამაკავშირებელი პირი. შავი ანგელოზი, რომელიც დედის და დის ბედისწერას განაგებდა. სტასიამ იცოდა, რომ თავისი თხოვნით საფრთხეში ჩააგდებდა კოსტიას. მაგრამ სხვაგვარად როგორ უნდა ეპოვა კიტი? სადღაც დასავლეთში, სადღაც ინგლისში – თუ მართლა იქ ცხოვრობდა – როგორ მოძებნიდა, როგორ წავიდოდა იქ? სამშობლოს მოღალატის დედას არავინ გადაუშვებდა საზღვარზე. არასდროს!

ქრისტინე მხარს არ უჭერდა სტასიას, კოსტიას ემხრობოდა – როგორც ყოველთვის! საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა კაცი, მისი წყალობით ყველანი დაცულნი ვართ, ასეთ რისკზე ვერ წავაო. ის მაინც არ გახსოვს, კიტის გაუჩინარების მერე რამდენჯერ დაგვკითხეს მე და შენ; კოსტიას მდგომარეობა რომ არა, ის დაკითხვები მაშინ ძალიან ცუდად დამთავრდებოდა, უკეთეს შემთხვევაში საჯარო სამსახურს

ავიკრძალავდნენ, ვეღარც მე ვიმუშავებდი საავადმყოფოში და ვეღარც შენ – ბიბლიოთეკაშიო.

ადრე, წლების წინ, თითქოს სხვა ცხოვრებაში და სხვა სამყაროში, ასობით კილომეტრი გაიარა სტასიამ ომით მოცულ მიწაზე, ჯერ ქმრის და მერე კოსტიას გამოც, არც მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შეუშინდა და არც ფაშისტებს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სწორად იქცეოდა. კიტისთვის რატომ არ უნდა გარჯილიყო? რა თქმა უნდა, არც ერთი მაშინდელი მოგზაურობა რუსეთში სასურველი შედეგით არ დამთავრებულა, მაგრამ მან ხომ გაიარა ეს გზა, ხომ სცადა, – თავისებურად, ცოტა ახლართულად, გაუგებრად, არცთუ ლოგიკურად, – მაგრამ მაინც იღონა რაღაც. შესაძლოა, მაშინ დასაკარგიც ნაკლები ჰქონდა. შესაძლოა, მისი ქცევა მხოლოდ და მხოლოდ ეგოიზმით იყო გამოწვეული, მერე რა? განა ეს აუტანელი უმოქმედობა ნაკლებად საშიში იყო?

ვეღარც ბაღში კარტის მოთამაშე და სხვებისთვის უხილავი მიცვალებულები ართობდნენ სტასიას. როგორც კი ის ორი აჩრდილი ჩნდებოდა, ზურგს აქცევდა ხოლმე და წიგნს ან გაზეთს უღრმავდებოდა. რაში მარგიან, თუ არ დამეხმარებიან, გზას თუ არ მასწავლიან, თავიანთი კარტის მეტი თუ არაფერი აინტერესებთო?

მაგრამ როცა კოსტია ზამთრის არდადეგებზე თბილისში ჩამოვიდა ელენესთან ერთად და დიდი საახალწლო ზეიმისთვის დაიწყო მზადება, სტასია აკრძალულ თემაზე დაეღაპარაკა. დაძლია მისი განრისხების შიში და სცადა დაეყოლიებინა, შეევედრა, მითხარი, სად არის ჩემი შვილი, რამენაირად დამაკავშირე, სულერთია სად და როგორ, ოღონდ შემახვედრეო.

– გამორიცხულია!

კოსტია აშკარად შეშინდა, იმავე წამს ხელი აიფარა პირზე, თითქოს საკუთარმა ხმამ დააფრთხო.

მარტონი იყვნენ სამზარეულოში, სტასია შვილს ბაზრიდან მოტანილი უხვი ნავაჭრის ამოლაგებაში ეხმარებოდა.

– ნამდვილად გავგიჟდები. სულ კიტი მესიმრება, თუ საერთოდ ვახერხებ დაძინებას, სამსახურშიც უამრავი გაფრთხილება მივიღე უკვე, რადგან...

კოსტიამ საჩვენებელი თითი პირზე მიიღო და შეშინებულმა გაიხედა-გამოიხედა. საცოდავი სანახავი იყო დედა, ასე რომ ცდილობდა მის დარწმუნებას, თავის დარდსა და შიშს უზიარებდა, რაც ადრე არ სჩვეოდა. კოსტიას წინააღმდეგობა უნდა გაეწია, სასწრაფოდ უნდა შეეწყვიტა ეს თემა, მაგრამ უსაზღვრო სიბრალოელი იგრძნო. ისეთი სასონარკვეთილი იდგა მის წინაშე სტასია, ისე იქნევდა ხელებს თავისი სიტყვებისთვის მეტი წონის მისაცემად, რომ პატარა ბავშვს ჰგავდა, სიფრიფანას, მოცუცქნულს, უსქესოს.

რაკი არ ჩერდებოდა, მის ჩავონებას განაგრძობდა და კოსტია ხვდებოდა, რომ ასე სწრაფად ვერ დაუსხლტებოდა, ხელი ჩაჰკიდა და მაგიდასთან მიიყვანა, უცებ გოლიათად იგრძნო თავი მის გვერდით, ისეთი დაღეული, ისეთი გაფითრებული იყო. პირთან ღრმა, მწუხარე ნაოჭები გასჩენოდა. მიუხედავად ჭალარისა, სტასია დისგან განსხვავებით არ იღებავდა თმას, ასაკი მაინცდამაინც არ ეტყობოდა. თითქოს სხვაგვარად, თავისებურად ეჭიდავებოდა დროს, დასცინოდა.

სტასია არეულად ლაპარაკობდა. აზრები უხტოდა. მოგონებებში იხლართებოდა. სახეში შესცქეროდა, განწირული ეძებდა საყრდენს, იმედის ხელმოსაჭიდ ხავსს კოსტიას თვალებში. მის ხელებს ეხებოდა – დიდი ხანია, ეს აღარ გაუკეთებია. არ საყვედურობდა. ელაქუცებოდა. „ჩემო ბიჭო“ – ასე მიმართავდა, ემათხოვრებოდა. კოსტიას აღარ შეეძლო ამის ატანა. კიდევ კარგი, მარტონი იყვნენ. სამზარეულოს კარადის გამოსაწევ დაფაზე პატარა, გატრუსული გოჭი იდო და თავისი მკვდარი, სევდიანი თვალებით მიშტერებოდა მათ. ლანგრებზე დახვავებული ფორთოხალი და მანდარინი, ხურმა და ჩირი მაგიდასა და მაცივარზე შემოელაგებინათ. ჯერ კიდევ ჩანთებიდან ამოულაგებელი შამპანურის ბოთლები იატაკზე ეწყო.

კოსტიას უყვარდა საახალწლო ზეიმი. გაშლილი სუფრები, ხვავი და ბარაქა, ახალი წლის დადგომა, პომპეზური საზეიმო გამოსვლები ტელევიზიით, ათიდან უკან გადათვლა, ფოიერვერკი, უყვარდა ოჯახის წევრების დასაჩუქრება. დედამისმა კი, რომელიც წინ ეჯდა და მალე მისი საყვარელი კერძების მომზადებას დაიწყებდა, არც კი იცოდა, რომ სულ ცოტა ხნის წინ კოსტია უკვე ეგუებოდა იმ აზრს, რომ ასეთ ზეიმებს ვეღარ მოესწრებოდა და კვირების განმავლობაში სიკვდილს თვალებში ჩაჰყურებდა დასავლეთის რომელიღაც კლინიკაში.

უმძიმდა ამაზე ფიქრი. სანამ ისევ ფეხზე დადგებოდა, სიამოვნებით ეტყოდა, რომ მადლობელი იყო მისი, სიცოცხლე რომ აჩუქა, თუმცა ყველაფრისგან ვერ დაიცვა, რაღაცაზე უარი უთხრა, რაღაც დააკლო, სადღაც დაეკარგა. უნდოდა წერილი გაეგზავნა მისთვის და ისევ „დედა“ დაეძახა და არა მისი სახელი, როგორც ყოველთვის იქცეოდა, დისტანციის შესანარჩუნებლად.

უყურებდა და ეჩვენებოდა, რომ როლები ჰქონდათ გაცვლილი. თითქოს კოსტია იყო მამა, სტასია კი – შვილი. ვერ იჯერებდა, რომ ამ უსასაკო, ბავშვურ არსებას შეეძლო ვინმე ეშვა. კოსტია. და მისი და, რომელსაც ახლა ასე თავდავიწყებით დასტიროდა.

უცებ ბრაზი მოერია, ბრაზი მოერია ამ სიფრიფანა არსებაზე, დაუდევრად შეკრული თმა და მოელვარე თვალები რომ ჰქონდა. რამდენჯერ მდგარა დაბნეული მის წინ, ბავშვობაში, მარტო თვითონ კი არა, მისი საყვარელი კიტცი, მისი მზის სხივი, რამდენჯერ აღმოჩენილან მისგან გარიყულები, როცა ის რეალობას გაურბოდა, საკუთარ თავში

იკეტებოდა, სადაც მათ არ შეესვლებოდათ. რამდენჯერ უნატრიათ ნორმალური დედა, რომელიც დამაბნეველს არაფერს გააკეთებდა და არ იტყოდა, რომლის ქცევაც გასაგები იქნებოდა, ჩვეულებრივი ქალი, ჩვეულებრივი სურვილებისა და დედის ინსტინქტის მქონე. სტასიას ისე უელავდა თვალები, რომ კოსტია შეკრთა, გაიფიქრა, იქნებ, სხვა ცხოვრება ჰქონოდათ, უკეთესი დედა რომ ყოფილიყო? იქნებ მისი ყურადღების მისაპყრობად ამდენი გარჯა და ერთმანეთთან ბრძოლა აღარ დასჭირვებოდათ? არსებობდა კი პასუხები ასეთ შეკითხვებზე? თუ მეტისმეტად მარტივი იყო იმის დაჯერება, რომ ერთადერთი პასუხი არსებობდა, რომელიც სხვას გამოორიცხავდა? იქნებ ყოველი პასუხის მიღმა სხვა პასუხი იმალებოდა, იმის მიღმა კიდევ სხვა და ასე შემდეგ, სანამ სიგიჟემდე არ მივიდოდა ვაცი?

სტასიამ თავისი მოგზაურობის შესახებ უამბო, რუსეთში რომ დაედევნა კვალდაკვალ – ახლა რატომ მიყვება ამასო? – გაუკვირდა კოსტიას და ვერ მიხვდა, უნდა გახარებოდა თუ სწყენოდა ეს ამბავი.

ნანობდა? სინდისის ქენჯნას გრძნობდა? სცადა რამის გარკვევა? დაფიქრებულა საერთოდ, როგორ იყო კიტი? მე ვფიქრობ, არა; ამ შეკითხვების დასმაც კი აუკრძალა საკუთარ თავს. რადგან არც ამ შემთხვევაში ენდობოდა პასუხებს. ერთადერთი, საბოლოო პასუხი, რომლის არსებობაც დაშვებული ჰქონდა, ცხოვრება იყო, გზა, რომელსაც ადამიანი გაივლიდა.

დედამისი, საკუთარ სამყაროში გამომწყვდეული ლანდი და არა ფერია, როგორც ერთ დროს ქრისტიანე იყო, მის თვალწინ ტიროდა და თან მის ხელს ჩასჭიდებოდა. კოსტიას მისი ცრემლების ატანა არ შეეძლო. აღარ უნდოდა მისი განმკარგავი ყოფილიყო, მას მერე, რაც მისმა სწრაფვამ ძალაუფლებისკენ უკიდურეს წერტილს მიაღწია, ალბათ, პირველად აღიქვა დედა ტვირთად, არ უნდოდა ამ მდგომარეობაში ყოფილიყო და მისი ცრემლების ბედი გადაეწყვიტა. არ უნდოდა მისი ტკივილი გაეზიარებინა.

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: მეტისმეტად გადაჭაჭვულიყვნენ ყველანი, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ერთმანეთს ვერასდროს დაეხსნებოდნენ. სანამ ცოცხლები იქნებოდნენ, მათი ამბავი დასასრულს ვერ მიუახლოვდებოდა. ყოველთვის იარსებებდა სხვა გამოსავალი, სხვა მიმართულება, სხვა შესაძლებლობა, რომელიც ყოველი ახალი სავარაუდო დასასრულის შემდეგ გამოჩნდებოდა.

კოსტიამ თავი დახარა, სტასიას ხელი ტუჩებთან მიიტანა, შეეხო მის გრილ, რბილ კანს, ესიამოვნა, როცა მიტევების შესაძლებლობა იგრძნო, სხვა შესაძლებლობის განხილვის შესაძლებლობა, თავისთვის და მათი საერთო ისტორიისთვის. თუმცა, ისინი ამ ამბავს ვეღარ გადააკეთებდნენ, შეუძლებელი იყო მშვიდობის შენარჩუნება, თავიდან დაწყების იმედად ყოფნა, მაგრამ ილუზიამ მაინც დაამშვიდა, გული მოუღებო, შეარიგა.

ხოლო როცა სტასია მისი გაჩენის და ამასთან დაკავშირებული ტკივილების თემას მიადგა, კოსტია უკვე თავბედს იწყევლიდა, რომ ამ სანწყალობელ გრძნობათა ღელვაში ჩაჰყვა, რომ სიტყვების ნაკადი სათავეშივე არ ჩაახშო და უაზროდ განაგრძო პროდუქტების ამოლაგება; მაგრამ უკვე გვიანი იყო, წამით გამოიჩინა სისუსტე, წამით აჰყვა გრძნობებს და ახლა შედეგებს იმკიდა, სენტიმენტალურ ბოდვას ისმენდა დედაშვილობაზე.

- აბა! ცხრა საათი, მთელი ცხრა საათი გამიგრძელდა ტკივილები. დიდი იყავი, თავიდანვე დიდი იყავი, ოთხ კილოზე მეტს იწონიდი, ძალა აღარ მყოფნიდა ჭინთვებზე...

- სტასია, ძალიან გთხოვ.

სულ არ უნოდა ამის მოსმენა, არ უნდოდა ამ სისხლიანი დეტალების გაგება.

- ბებიაქალი კი მიყვიროდა...

- სტასია!

- გაიჭინთე, მიანეჭიო. მეგონა, გული წამივიდოდა!

- ვარგი, გეყოფა. ვიფიქრებ ამაზე. ვერაფერს დაგპირდები, მაგრამ ვიფიქრებ.

როცა ტელეფონმა დარეკა, კიტი ფრედთან ჩახუტებული იდგა შუა მისაღებში და ეგონა, რომ ყველაფერი გადალახა, რაც ბედნიერებისგან აშორებდა. ცოტა ხნის წინ ერთად ცეკვავდნენ, სიამოვნებით ადევნებდა თვალს მუქ პარკეტზე მთვარეულივით მოსრიალე, უცნაური წითელთმიანი ქალის გიჟურ მოძრაობებს, დიდი დინამიკებიდან კი საკუთარი ხმა ესმოდა.

წინა ღამით იჩხუბეს. ალბათ, პირველად იჩხუბეს ასე მაგრად, როგორც ემი იჩხუბებოდა ხოლმე მათ საერთო შეყვარებულს. კიტის არასოდეს მოსწონდა ის კილო, ის ზიზღი მის ხმაში, რაც, პრინციპში, მისივე უნებისყოფობასა და უსუსურობას ამტკიცებდა. შერცხვა, რომ თვითონაც ვერ მოერია თავს, რომ უაზრო საყვედურებით აავსო ფრედი მისი ცხოვრების წესის და მორალური შეხედულებების გამო. სასონარკვეთილი იყო საკუთარი საცოდაობით. ან რა დაკითხვები მოუნყო, რა ვულგარულად გამოლანძღა, როგორ იმუქრებოდა. ემისგან განსხვავებით, კიტის არასდროს ჰქონია ფრედის გარდაქმნის იმედი. იქნებ არც არასდროს უნდოდა ეს, მაგრამ არც ის უნდოდა, რომ მისი ბედი და კეთილდღეობა ამ ქალზე ყოფილიყო დამოკიდებული, საიდუმლოდ შენახული სიყვარულის იმ პატარა ნაგლეჯზე, ფრედმა რომ მიუგდო ფეხებთან. ფრედი კი, თითქოს თვითონ სულ არ აღიქვამდა საკუთარ თავს უღმობელ გულთამპყრობელად და ქარაფშუტა ეგოისტად, დაელოდა, სანამ კიტის ბრაზი გაუვლიდა, იმისთვის, რომ მერე ისევ ალერსით აევსო, მოენუსხა, გული მოეღბო მისთვის, აეხსნა, რომ ზუსტად

ეს გაუცხოება და დაუდევრობა, ეს მისი თავისუფლება იყო ყველაზე დიდი ერთგულება, რისი უნარიც მას ჰქონდა.

კიტი ვერ იტანდა, ვერაფრით ეგუებოდა, რომ ფრედი ყველაფრის სექსამდე დაყვანას ცდილობდა. არავითარი რომანტიკა! თუმცა, იქნებ უფრო იოლიც იყო მათი ურთიერთობის მსუბუქ გატაცებად წარმოსახვა, ალბათ, უფრო მარტივი იყო საკუთარი თავის დარწმუნება, რომ არაფერი ჰქონდათ საზიარო ლოგინის და წარსულში გამოვლილი განსაცდელის გარდა.

როცა გარიჟრაჟზე ქანცგანყვეტილმა და ხმაჩახლეჩილმა კიტიმ დამარცხება აღიარა, ფრედმა დაიყოლია და კარგა ხნით წაიყვანა სასაქონლოდ, მერე ყოველკვირეულ ბაზარში ცოცხალი თევზი იყიდა და გემრიელი კერძი მოუმზადა. კიტი ვერასდროს დაიჯერებდა, რომ ფრედს ეს შეეძლო, თვითონ რომ არ შესწრებოდა და არ ენახა, როგორ ტრიალებდა მის სამზარეულოში აღტაცებული, პატარა გოგოსავით მოხითხითე ფრედი; მოთმინებით, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით, დინჯად და უამრავი სუნელის გამოყენებით, ფრთხილად რომ არჩევდა და აგემოვნებდა, როგორც (სამედიცინო, სამკურნალო) მიქსტურას.

ჭამის მერე ფრედმა Summer of broken tears ჩართო და ყოველ ცალკეულ სიმღერაზე მთელი მოხსენება წაუკითხა. ხოლო როცა მთელი ბოთლი ღვინო გამოცალეს და ფრედმა მოსაწვევი გაახვია, უკვე მთლად გაილაღეს და ცეკვაც დაიწყო სიმღერაზე Star collector, ოთახში ბზრიალებდნენ და გაუთავებლად მღეროდნენ Let's pretend we are lovers and start to collect the stars.

როგორ შეუძლია ამ ქალს, ასეთი სხვადასხვანაირი იყოსო, ფიქრობდა კიტი. სულ უკვირდა, როგორი ცვალებადი და მატყუარა სხეული ჰქონდა ფრედს. როგორი გამჭვირვალე, დაუცველი, თითქოს ერთი ამოსუნთქვით შექმნილი, ყოველგვარ ეროტიზმს მოკლებული, თან როგორი ძლიერი და მომთხონი. დაუსრულებლად შეეძლო ამ ქალთან ცეკვა.

ტელეფონის ზარმა გამოათხიზლა კიტი. დივანთან მიხარბაცდა, დაეგდო და ყურმილს დასწვდა. სანამ ხმას გაიგონებდა, უკვე იცნო მისი თანაბარი სუნთქვა. კიტი დაიძაბა. ყოველთვის დათქმულ დროს რეკავდა ხოლმე. რა უნდა მომხდარიყო? არა, არ მინდა, ოღონდ ცუდი ამბავი არ იყოს, ოღონდ ახლა არაო, გაიფიქრა.

- მინდა, რაღაც შემოგთავაზოთ.

განსაკუთრებულად საქმიანი ხმა ჰქონდა.

კიტიმ ამოისუნთქა და ფრედს ანიშნა, მუსიკას ჩაუწიეო.

- მე კი ვიფიქრე, რაღაც საშინელება მოხდა-მეთქი.

- არა, არა. კარგი შემოთავაზებაა, ჩემი აზრით.

- მიხარია თქვენი ხმის გაგონება.

ფრედი ინტერესით მიაჩერდა. პირველად გაიგონა, როგორ ლაპარაკობდა კიტი მშობლიურ ენაზე. თითქოს ხელოვნების ნიმუშს ემნიდა, მოხიბლული შეაცქერდა.

ყურმილიდან ხრინჩიანი ხმა ისმოდა.

- პრადის კომკავშირელთა კლუბია დაინტერესებული თქვენი მათთან გამოსვლით.

- პრადის? სწორად გაგიგეთ?

- დიახ, ასეა.

- ეს ხომ შეუძლებელია, ამას ხომ...

- რატომაც არა. რამდენიმე დღეში თქვენს მენეჯერს ოფიციალური წინადადებით მიმართავენ. თქვენს ადგილზე, მე დავთანხმდებოდი ამ შემოთავაზებას, რადგან შესაძლოა იქ...

გაჩუმდა. კიტის გული აუჩქარდა. პრადა. ის ქალაქი იარებით იყო სავსე. მოგონება იმ ქალაქზე წყლულებით იყო დაფარული. კიტიმ იგრძნო. რომ გამბედაობა არ ეყოფოდა, უნდოდა ეთხოვა, ისიც ნაჰყოლოდა. მერე უცებ მიხვდა, რომ სათქმელი ბოლომდე არ მიიყვანა.

- შესაძლოა იქ... - რა?

- შესაძლოა, იქ ვინმეს შეხვდეთ, ისეთ ვინმეს, ვინც...

კიტიმ პირზე ხელი აიფარა, რომ არ დაეყვირა. ვის გულისხმობდა, კოსტიას, დედას, ქრისტინეს? ან იქნებ ანდროს? არა, ეს შეუძლებელი იყო, იმას ქვეყნიდან გასვლის უფლებას არაფრით არ მისცემდნენ. ალბათ, უფრო კოსტიას. სულერთი იყო, ვის, მთავარია, თავისი ოჯახიდან იქნებოდა, შინიდან, წარსულიდან.

- ვის? - წამოიყვირა, სიხარული ველარ ჩაიტია გულში.

- ხომ იცით წესები.

- კი, კი, წესები ვიცი. კი, მივიღებ ამ შემოთავაზებას, ცხადია, ასე ვიზამ.

- მეც ასე ვიფიქრე.

- იცით, რომ მართლა მიყვარხართ?

კიტიმ სიცილი ვერ შეიკავა.

- ძალიან მიხარია. რადგან მეც იმავეს ვგრძნობ თქვენ მიმართ.

როგორც კი ყურმილი დადო, თავის ოთახში ორივე ფანჯარა გამოაღო და ღრმად შეისუნთქა გრილი ჰაერი.

ფრედი სამზარეულოში გასულიყო, იქიდან ვისკის ჭიქით დაბრუნდა. სხვა დროს კიტი აღელდებოდა, უსაყვედურებდა, ბევრს სვამ, მუდმივად რამე მატონიზირებელი გჭირდება, თითქოს ყავარჯნებს ეყრდნობი, რომ იცხოვრო, მაგრამ ახლა მისთვის სულერთი იყო, თვითონაც სიამოვნებით დათვრებოდა, ამ დაუჯერებელი ამბის აღსანიშნავად დაღევდა. მოტრიალდა და ფრედს გადაეხვია.

მთავარია, იმუშაო, დანარჩენი კი – ეშმაკსაც წაუღია.
ჩეხოვი

კოსტიას ესმოდა, რომ ელენე თავის მოკავშირედ არ უნდა გაეხადა, რადგან, ჯერ ერთი, ძალიან პატარა იყო ცოლქმრული ურთიერთობის რღვევის ფარული ნიშნების ამოსაცნობად, და თან, თვითონაც ხომ ქალი იყო. არ უნდა გაენდო მისთვის თავისი საიდუმლოებები. თავისი ბრალი იყო, რომ შვილს მისი ქორწინების ნაღვლიან ნამსხვრევებზე მოუნევდა სიარული. არადა, თავის წესრიგს შეჩვეული გონიერი გოგოსთვის სულ არ იყო უსაფრთხო ქალების ემოციურად გაუნონასწორებელ, ქაოტურ, უწესრიგო, განწყობასა და ხასიათზე აწყობილ მმართველობაში დაბრუნება. მაგრამ კოსტიას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ელენეს მრისხანება მალე უღამაზესი, შხამიანი ყვავილივით გაიფურჩქნებოდა.

დაჰპირდა, რომ ხშირად დაურეკავდა, ჯიბის ფულს იმდენივეს გამოუყოფდა, როგორც მოსკოვში, დაჰპირდა, რომ ყველა არდადეგებს და ყველა შესაძლებლობას გამოიყენებდა მასთან გასატარებლად, „თავის საუკეთესო მეგობართან“, როგორც ზოგჯერ ეძახდა. იმასაც კი დაჰპირდა, რომ მის საყვარელ ბლინებს გამოუცხობდა ლიუდას რეცეპტით. და მიუხედავად იმისა, რომ ელენეს პროტესტი არ გამოუთქვამს, სცენები არ გაუმართავს, არც კი უტირია მისი თანდასწრებით, კოსტია ხვდებოდა, როგორი გულგატეხილი იყო, – არავის ვჭირდები, არავის ვუყვარვარო, – მან კი ვერ დაიფარა ამ გრძნობისგან.

როცა გადაწყვეტილებას იღებდნენ, სად უნდა გაეგრძელებინა ელენეს მეთავე კლასში სწავლა, რუსულ სკოლაში თუ ქართულში, კოსტიასთვის სიტყვის უფლება არავის მიუცია. ნანამ ტელეფონით განუცხადა, ყელში ამომივიდა მისი ეს ხელოვნური აქცენტი, მის ელიტურ ჩვევებს ბოლო უნდა მოეღოს და ელენემ სრულიად ჩვეულებრივ ქართულ სკოლაში უნდა იაროს, ვერაზე, ფეხით, რა საჭიროა, თხუთმეტი წლის გოგოს მანქანა ემსახურებოდესო.

ელენე წესიერად და ბრდილობიანად იქცეოდა, თბილისში დაბრუნებულმა ოჯახის ყველა ქალი სიხარულით გადააკოცნა, დედამისის ხათრით ისიც აიტანა, რომ ჩამოაქვითეს და ელიტური სკოლის მერე ჩვეულებრივ სკოლაში გაამწესეს, თუმცა თავიდან შეუძლებლად ეჩვენა სხვა ენაზე სწავლა და საკუთარ თავს სიტყვა მისცა, რომ როგორც კი თვრამეტი წლის გახდებოდა, აღარასდროს გააკეთებდა იმას, რასაც უფროსები მოსთხოვდნენ.

მისთვის უცნობი მამიდის ყოფილი ოთახი სასწრაფოდ გადაღებეს, ახალი საწერი მაგიდა დაუდგეს, ელენეს უამრავი ტანსაცმლისთვის საკიდები დაამატეს, და მოსკოვიდან ჩამოტანილი რბილი სათამაშო ცხოველები ახალგადაკრულ ლოგინზე ჩაამწკრივეს.

ელენეს დაბრუნებიდან პირველი კვირების განმავლობაში სახლის ყველა ბინადარი მისი გულის მონადირებას ცდილობდა თითქოს. მხოლოდ იმ კერძებს ამზადებდნენ, რაც მას უყვარდა, იმ გადაცემებს უყურებდნენ, რაც მას აინტერესებდა, ზრუნავდნენ, რომ ქრისტინეს არიებს ხელი არ შეეშალა მისთვის მეცადინეობაში, ხოლო მიქა დაარიგეს, აუცილებლობის გარეშე მისი საქმიანობისთვის დაბრკოლება არ შეექმნა. ელენემ იგრძნო ეს ყველაფერი და ცინიკურად შეიფერა. ასეთი მოპყრობა მხოლოდ ადასტურებდა მთელი ოჯახის სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ საკუთარი შვილი და შვილიშვილი ერთ გულჩვილ, ყვეყჩ, გლეხის ბიჭში გაცვალეს.

მიქა საშინლად იტანჯებოდა ელენეს ჩამოსვლის მერე. ყველაფერი აეკრძალა, რასაც შეჩვეული იყო, არავინ მისცა ელენესთან მოქცევის ინსტრუქცია. თითის წვერებზე ჩაუვლიდა ხოლმე მის ოთახს, საიდანაც ხშირად დასავლური მუსიკა ისმოდა და ნითლდებოდა, როცა ელენე გვერდით მიუჯდებოდა მაგიდასთან.

ისეთი თავდაჯერებული ჩანდა, ისეთი დახვეწილი, ისეთი გამორჩეული თავისი სადაფისფრად შეღებილი ფრჩხილებით და იდეალურად შეჭრილი, მხრებამდე დაშვებული თმით, თავისი მუდმივი წამოძახებით: „ცხადია, ვიცი. როგორ? თქვენ არც კი გაგიგიათ? ჩვენთან, მოსკოვში...“ ასე ეგონა, რომ ელენეს თანდასწრებით პატარა და სულელი ხდებოდა, მის გვერდით ყოფნასაც კი არ იმსახურებდა. თვითონ არცთუ პოპულარული იყო კლასში და შეშურდა ელენესი, როცა მან სკოლაში მისვლისთანავე გაიჩინა მეგობრები. ყველა თავს ევლებოდა ამ ექსტრავაგანტულ და თავისი ასაკისთვის მეტისმეტად გონიერ გოგოს. ფრიადოსანი და ლიდერი, კლასის მასხარა თუ სილამაზის მეფე, ყველა მასთან ცდილობდა დაახლოებას. ელენე კეთილშობილების და თვითმყოფადობის განსახიერება იყო, პირდაპირ მოსკოვიდან ჩამოსული, ყველაფრის მნახველი, გავლენიანი მამის შვილი, უიშვიათესი ფირფიტების მფლობელი, პოპმუსიკაში გარკვეული, მწარე ენის პატრონი, თავს არავის აჩაგვრინებდა და, რაც მთავარია, ზუსტად იცოდა, რა გავლენას ახდენდა დანარჩენებზე.

ბემო ვერაზე მდებარე სახლის ყოფა თანდათან დალაგდა. სტასია და ქრისტინე სამსახურში დადიოდნენ, ნანას ერთი წლის მიღებული ჰქონდა ენათმეცნიერების პროფესორის დიდი ხნის ნანატრი წოდება და მთელი არსებით იყო ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ელენეს დაბრუნებამ თითქოს გაამართლა: თბილისის სკოლას კარგად აუღო ალღო, ენის ბარიერიც დაძლია დამატებითი გაკვეთილების წყალობით, რაშიც კოსტია იხდიდა ფულს, და ამჟამად არ ტანჯავდა მოსკოვისა და მამამისის მონატრება, რისიც ეშინოდა თავიდან ნანას.

ელენემ და მიქამ უსიტყვო შეთანხმებას მიაღწიეს, რომ ერთმანეთისთვის თავის არიდება მოეხერხებინათ. მიუხედავად იმისა,

რომ სკოლისკენ ერთი გზა ჰქონდათ, ერთად არასდროს წასულან. საუზმისა და ვახშმის დროს, როცა მთელი ოჯახი სამზარეულოს მაგიდასთან იკრიბებოდა, ისე შორი-შორს სხდებოდნენ ერთმანეთისგან, რომ დალაპარაკება ან რამის გადანოღება არ უნევდათ. კარგი ამინდი თუ იყო, ბაღი მთლიანად ელენეს ჰქონდა მიტაცებული, სამაგიეროდ, სახლის პირველ სართულს, სადაც მიქას საძინებელი და რამაზის სამუშაო ოთახი მდებარეობდა ბიბლიოთეკითურთ, ახლოს არ ეკარებოდა. როცა იმ ზამთარს ანდრომ შვილს ჩვეულებისამებრ ჩამოაკითხა არდადეგებზე, იგრძნო, რომ მიქას მას მერე, რაც თბილისში დასახლდა, პირველად უხაროდა ქალაქისა და სახლის დატოვება.

მაგრამ ზამთრის არდადეგების შემდეგ, რომელიც კოსტიამ შეპირებისამებრ შვილთან ერთად გაატარა და ბაკურიანშიც კი წაიყვანა თხილამურებზე სასრიალოდ, მდგომარეობა შეიცვალა. ნანა სკოლაში დაიბარეს, კლასის დამრიგებელმა უთხრა, რომ მისი შვილი დანარჩენ გოგოებს გაკვეთილებიდან გაპარვისა და სხვა „თავქარიანი“ ქცევებისკენ აქეზებდა, აჩვენა გოგოების ტუალეტის კედლებზე, მისი თქმით, ელენეს მიერ ყველას დასანახად გაკეთებული უხამსი წარწერები. ნანამ შვილის დაცვა სცადა: ელენე ხომ სამაგალითო მოსწავლეა, ყველასთვის საყვარელი და ბეჯითი, მონესრიგებული; ეს ჩემი შვილის საქციელს არ ჰგავსო. თუმცა მომდევნო კვირაში სიგარეტის ნამწვი აღმოაჩინა ელენეს ფანჯრის რაფაზე და ეჭვი გაუჩნდა, რომ მისმა შვილმა აჯანყება დაიწყო. შეეცადა გულახდილად დალაპარაკებოდა. მაგრამ ელენემ ყველაფერი უარყო, სამიწლად იუკადრისა და ცხვირწინ მიუჯახუნა კარი დედას.

ელენე დაისაჯა და სახლიდან გასვლა აეკრძალა. ნანა დროულად ბრუნდებოდა შინ და შვილს სამიწაო დავალებებს უმონებდა. მომდევნო კვირებში მისი საყვარელ კერძებს აღარ ამზადებდნენ, სტასია და ქრისტინე კი იძულებულნი გახდნენ, ნაკლები ყურადღება დაეთმოთ მისთვის. ნანას მიაჩნდა, რომ სწორად იქცეოდა, მართალია, ელენე გაბუტული დადიოდა აქეთ-იქით, მაგრამ მითითებებს ემორჩილებოდა.

ერთ მშვენიერ დღეს სკოლიდან აღარ დაბრუნდა. მეგობარ გოგოებს ჩამოურევს, არავინ იცოდა მისი ადგილსამყოფელი, ატყდა განგაში. ნანამ სტაცა ხელი მიქას და ქუჩა-ქუჩა დარბოდა მასთან ერთად მთელი საღამო, მაგრამ ელენე ვერსად იპოვა. ერთმა თანაკლასელმა გოგომ აღნიშნა, ელენე მეთერთმეტეკლასელებთან მეგობრობს და იქნებ რომელიმე „ბიჭთან“ ერთად არის სადმე წვეულებაზეო. და მართლაც, შუაღამეს კარგად გადაცილებული იყო, როცა ნასვამი ელენე სამზარეულოში შებარბაცდა და ვითომც არაფერი, ერბოკვერცხის შენვა დააპირა, მომშივდაო.

ნანას მოთმინების ფიალა აევსო, კოსტიას დაურევია მოსკოვში, მამასთან ერთსაათიანი ლაპარაკის შემდეგ ელენემ ცალყბად მოუხადა

ბოდიში დედას. მიუხედავად იმისა, რომ ნანა დაემუქრა, ახლავე თუ არ შეწყვეტ ასე მოქცევას, ერთი თვე ფეხს ვერ გაადგამ შინიდანო, ელენე უბრალოდ თავისი ფანჯრიდან ბაღში გადაძვრა და მთელი ღამით გაუჩინარდა. ამას კიდევ ერთი ხანგრძლივი სატელეფონო ლაპარაკი მოჰყვა მოსკოვთან, რომელიც ნანასა და მის ქმარს შორის ჩხუბში გადაიზარდა. კოსტიამ უსაყვედურა, საკუთარ შვილს მომავალს უნგრევო.

ელენეს მოთოკვა შეუძლებელი გახდა: ღამით გაპარვა ჩვეულებად ექცა. თავისი სკოლის ლანირაკ ბიჭებთან ერთად ატარებდა ღამეებს, სატელევიზიო ანძის ძირას, მინდორში ღვინოს ან ლუდს სვამდნენ, გიტარაზე უკრავდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და – როცა გამბედაობა ჰყოფნიდათ, კოცნაობდნენ კიდევ.

ნანამ გისოსები დააყენებინა მის ფანჯარაზე, მაგრამ ელენე იმავე ღამეს გადაძვრა ვაშლის ხეზე სააბაზანოდან, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობდა ქრისტინეს, სტასიასა და მიქას საძინებელი ოთახების გვერდით. მოსკოვურად განვრთნილი და ნავარჯიშები აცოცდა მაღლა, მყარ ტოტზე ჩამოჯდა და გაიტრუნა.

გვიანი ღამე იყო, მაგრამ ქრისტინეს ოთახში ჯერ კიდევ ენთო პატარა ღამის ლამპა და ელენემ ორი სილუეტი დაინახა სანოლზე. ერთი ქრისტინე იყო, თეთრი პირბადე უფარავდა სახის მარცხენა ნახევარს და თეთრი ღამის პერანგი ეცვა. მის გვერდით კი მიქა ამოიციხო, მხარბეჭიანი და მკვეთრნაკვთებიანი.

სულელურ პიჟამაში გამოწყობილი იჯდა ქრისტინეს სანოლის კიდეზე და უსმენდა ქრისტინეს, რომელიც რაღაცას უყვებოდა. შიგადაშიგ ჩუმდებოდა და ორნი ისე შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს მარტონი იყვნენ დედამიწის ბურგზე. მერე მიქამ ქრისტინეს გრძელი თმა დაუფარცხნა. ამ სანახაობამ თან ზიზღი აღუძრა ელენეს და თან მოხიბლა, ისე იმოქმედა მასზე, რომ მოულოდნელად ცრემლები წასკდა.

მეორე დღეს, საუზმის დროს, როცა ელენე თვალეხს მაღავდა და იატაკს აშტერდებოდა, სიხარულისგან გაბრწყინებულმა სტასიამ გამოაცხადა, რომ პენსიამდე ცოტა ხნით ადრე ბედმა გაუღიმა და ბიბლიოთეკის მუშაკთა შეხვედრაზე მიიწვიეს პრალაში.

როგორც კი სტასია სახლიდან გაისტუმრა, ქრისტინემ გაილაღა და ცხელი შოკოლადი მოიხარმა. პატარა დიდი კაცის სიკვდილის მერე ამ სახიფათო სასმლის მომზადებას ერიდებოდა. ძალიან კი უნდოდა, ხანდახან მაინც ჩაეტკბარუნებინა პირი ამ ნუგბართ, მაგრამ მაინც ფრთხილობდა. თუმცა, ეტყობა, არც იმდენად, რადგან, როცა თავისი ულუფა გემრიელად მიირთვა, შოკოლადის ნარჩენები იმავე ჭურჭელში ჩატოვა, რაშიც მოამზადა. ასე რომ, გვიან საღამოს რაღაცის დასალევად სამხარეულოში შესული ელენე დაუბრკოლებლად მივიდა ქურასთან და შოკოლადს ეტაკა. არ ვიცი, შეიძლება სურნელი ეცნო, გაახსენდა, მოსკოვში გამგზავრების წინ როგორ დახარბდა დედამისისთვის

განკუთვნილ შოკოლადს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ გემო გაუგო, და არამართო ელენემ, – სანამ მან თასი გამოცალა, სამზარეულოში მიქამაც შემოუსწრო. იმდენად დიდი იყო ცდუნება, რომ სიფრთხილე დაივიწყა და სურნელით გაბრუებული ისიც ქურას ეცა და ელენეს გვერდით აღმოჩნდა; ელენე ისეთი გართული იყო დამესავით მრუმე მასის ლოკვით, რომ უკმაყოფილებაც კი არ გამოუთქვამს სიამოვნებისგან თვალემბილულულს, როცა მის გვერდით მდგომმა მიქამ შოკოლადი დააგემოვნა.

პრინციპში, იმ დღემ კარგად ჩაიარა ელენესთვის. შინიდან ისე გავიდა, რომ დედასთან არ უჩხუბია, მერე კი, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, სკოლის შენობის უკან, ერთი პატარა, მალეული კოცნის ფასად მამიდამისის პირველი ფირფიტა მოიპოვა, როგორც იქნა. ყოველთვის აინტერესებდა თავისი გაუჩინარებული და ტაბუდადებული მამიდა, მაგრამ გულწრფელი ინფორმაცია ვერავისგან მიიღო და დამოუკიდებლად დაიწყო ძიება. ყველაფერს აგროვებდა, რაც კიტი ჯაშს ეხებოდა და რის ხელში ჩაგდებასაც ახერხებდა. ჩუმად იპარავდა ფოტოებს ძველი საოჯახო ალბომებიდან, დასავლეთში მისი გაქცევის შემდეგ საბჭოთა გაზეთებში დაბეჭდილ ცილისწამებას და მერე უკვე უცხოური მუსიკალური ჟურნალების ამონაჭრებსაც, სადაც მის მუსიკას განიხილავდნენ. ესეც კი დიდი იშვიათობა იყო, ოქროს ფასი ღირდა. მაგრამ ნამდვილ ფირფიტას როგორ შეედრებოდა, იაფფასიანი რენტგენის ფირფიტა კი არა, უცხოური ორიგინალი იყო, ნამდვილ ყდაში!

მის ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა შინ დაბრუნებულმა სამზარეულოს მაგიდაზე დედამისის წერილი აღმოაჩინა. კოლეგის დაბადების დღეზე მივდივარ და შუალამემდე არ დავბრუნდებიო, ქრისტინე ღამის ცვლაში მუშაობს დღეს, საჭმელი მაცივარშია და მართო გათბობა სჭირდება; ამ საღამოს ისე უნდა მოიქცე, როგორც დიდ გოგოს შეეფერება, სისულელები არ ჩაიდინო და, რაც მთავარია, სახლიდან ფეხი არ მოიცივალო.

ელენესთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენდა, მაშინვე შეიკვტა თავის ოთახში და მონივნებით მოათავსა ფირფიტა ფირსაკრავზე. სანოლზე დაჯდა და სასოებით მიუგდო ყური უცხო ენასა და ახლობელ მელოდიებს. ორჯერ სიგარეტიც მოწია ფანჯარასთან. როცა ჩანანერი დასრულდა, თავიდან ჩართო, ხმას აუწია და სცადა, ზოგიერთი სიტყვა მაინც გაეგო. ინგლისური ცუდად იცოდა, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადანყვებილი, ამ ფირფიტის ხათრით, დისიდენტი მამიდის, თავისი სათაყვანებელი ანტიგმირის ხათრით, აუცილებლად ესწავლა. თვალდახუჭული იჯდა სანოლზე და მონდომებით ირგებდა ტუჩებზე უცნობ, ჟღერად სიტყვებს, როცა კარზე მიუკაკუნეს. ელენეს აღარც ახსოვდა, რომ მიქაც შინ იყო და გაღიზიანებულმა გამოალო კარი. მიქა დამფრთხალი იდგა და ძაღლის თვალებით შესცქეროდა, რაც ასე

აგიჟებდა ელენეს. რა მუსიკას უსმენო, ჰკითხა, ისე ხმამაღლაა ჩართული, მეც მესმოდა და ძალიან მომეწონაო. ერთი კი გაუელვა ელენეს, ახლა ამას გავაშაყირებ, ვეტყვი, რომ „დორზი“ ან ჯიმი ჰენდრიქსი მაქვს ჩართული, თანამედროვე მუსიკის მაინც არაფერი გაეგება, სულ ქრისტიანს მგზნებარე არიებს უსმენსო. მაგრამ მერე გადაიფიქრა, ისე საცოდავად იდგა კარში, რომ ოთახში შეიპატიჟა, რაც ადრე არასდროს უქნია.

- მამიდაჩემის სიმღერებია. ცნობილი ვარსკვლავია დასავლეთში. ყველაზე დიდი ჟურნალები წერენ მასზე და ყველა იცნობს.

- ვიცი, ვინც არის, - თქვა მიქამ თავისი უჩვეულოდ დაბალი ხმით. და ისევ კიტის გიტარის აკორდებს მიუგდო ყური.

- საიდან იცი? - იკითხა ელენემ ისე, თითქოს სულ არ აინტერესებდა.

- ეგ და მამაჩემი ერთად იყვნენ.

ელენე გაოგნდა. წამში ჩამოხტა ფანჯრის რაფიდან, სადაც მოსაწვეად მოკალათებულიყო.

- რას ბოდავ?

- თვითონ არასდროს ლაპარაკობს ამაზე. მაგრამ მისი ფოტო აქვს შენახული. და წერილებიც, კიტი რომ უგზავნიდა ციმბირში.

ელენე რამდენიმე წამით გაქვავდა. მის თავში წარმოქმნილ ქაოსთან სცადა გამკლავება. რატომ არაფერი იცოდა ამის შესახებ? როგორ უნდოდა ყველასგან გამორჩეული ყოფილიყო, რაღაც პროტესტი გამოეხატა, ყურადღება მიეპყრო, სწორი გასაღები ეპოვა და უცებ სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეგონა, რაღაც გაიგო, რაღაც აღმოაჩინა, თვითონ მოიძია და ისევ ნახევარი სიმართლე შერჩა ხელში, თითქოს მედლის ცალ მხარეს იცნობდა მართო. გულზე გასკდა!

ეს უბირი განდევილი უკეთესად, უფრო ახლოს იცნობდა მის კერპს; და უფრო მეტიც, ამტკიცებდა, რომ მამამისს კავშირი ჰქონდა ამ ქალთან, შეყვარებულები ყოფილან თურმე!

ნეტავ კიდევ რას უმაღავდნენ? ამიტომ იყო მიქას ოჯახი ასე გადაჭაჭვული მათ ოჯახთან, ამიტომ მფარველობდნენ ამ უცნაურ ბიჭს ყველანი? აღელვებისგან გონზე აღარ იყო, მიქას გვერდით დასკუპდა სანოლზე და თავისი უპირატესობის საჩვენებლად იქვე გადანვა, ფეხები აკეცა, გაიწლანა და გაიზმორა, როგორც ვატა მზეზე. რაკი, მისდა გასაოცრად, მუსიკით გართულმა მიქამ ვერც კი შეამჩნია ეს გორაობა, მისი უყურადღებობით აღშფოთებულმა, იდაყვში წაავლო ხელი. მიქა შეკრთა, შეცბუნებულმა გახედა. უცხოები იყვნენ ერთმანეთისთვის და ამ მოულოდნელმა წამიერმა ფიზიკურმა სიახლოვემ ეს კიდევ ერთხელ ნათლად აგრძნობინა ორივეს.

- მტკივა, - გააპროტესტა მიქამ.

- ნუ ხარ ბოთე.

გაცივინა ელენემ და უფრო მაგრად მოუჭირა ხელი.

- ე, რას აკეთებ, ელენე?

მიქამ უცებ ხმას აუწია, ელენეს ესიამოვნა. მიატოვა, როგორც იქნა, მიქამ თავისი პოეზიისა და მელანქოლიის კოშკი და იკადრა მის არარომანტიკულ მიწაზე დაშვება?

- რა იყო, გეშინია ჩემი?

- ელენე!

სწორედ ამ დროს შეახტა ელენე, პატარა მაიმუნივივით, ხეებზე კონწიალი რომ აქვს ახალი ნასწავლი, და ბურგით დააბერტყა ლოგინზე. სანამ მიქა რამის თქმას ან გაკეთებას მოასწრებდა, ააცოცდა და თედოებზე შემოაჯდა. მუცელზე ღიტიანი და ჩქმეტა დაუნყო. აღგზნება და ტკივილი ერთდროულად იგრძნო მიქამ, სცადა თავის დახსნა, მისი მოშორება, მაგრამ ელენე ისეთი კმაყოფილი იყო, რომ ამას ვერ დაუშვებდა. მთელი ძალით შემოეხვია და ყელზეც კი უკბინა. მიქას ხელის ერთი მოძრაობით შეეძლო მისი განწევა და ლოგინიდან ჩაგდება, მაგრამ რალაც აბრკოლებდა. ცდილობდა გარკვეულიყო, რა ემართებოდა, მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ გონს მოსვლა ვერ მოასწრო.

იქნებ, იმიტომ არ უნდოდა ამ თამაშის შეწყვეტა, რომ ელენე, დემონსტრაციული თავხედობისა და ვულგარული ქცევის მიუხედავად, მაინც იმ ვიწროტერფებიან, მაღალყვრიმალებიან, პანანინაყურებიან და თხელთითებიან გოგოდ რჩებოდა მისთვის? ან იქნებ თვითონაც სიამოვნებდა ეს და იმიტომ?

- გეხვებები, შეწყვიტე! - გაუმეორა მიქამ და თვითონვე მიხვდა, რა არადამაჯერებლად გაიჟღერა მისმა ხმამ. კმაყოფილმა და გახარებულმა ელენემ წივილ-კივილი განაგრძო. შუბლი ოფლით დაენამა, ლოყები აუწითლდა, პირზე ნერწყვი მოადგა.

გოგო, რომელიც იღბლიან ვარსკვლავზე იყო გაჩენილი, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა, რასაც კი თავის გაბზევილ თითს დაადებდა, აშკარად არ ეშვებოდა. ამის გაფიქრებამ მიქა დააფრთხო და თან აღაფრთოვანა. ელენეს არაფერი ჰქონდა მასთან საერთო, უმადური იყო, განებივრებული, თავნება, თავის თავში შეყვარებული და ჭირვეული, თანაც ამ ოჯახის ლეგიტიმური შთამომავალი. სწორედ ელენე და არა მიქა.

- რა იყო, არ გიყვარს გოგოები? ხნეირი ქალები გირჩევნია...

გამომწვევად უთხრა ელენემ. მიქა გაშტერდა, ხმა ვერ ამოიღო, ელენე კი აღარ გაჩერდა:

- შენ გგონია, დიდი ვინმე ხარ? რაკი ფრანგულს სწავლობ, იღუმალებით ხარ ვითომ მოცული და ლექსები იცი, არა?

- ელენე, მორჩი!

გაცოფდა. იქნებ, აჯობებდა კიდევ მისთვის, გადაეტანა, ბოლოს და ბოლოს, ეს ბრძოლა, დაემარცხებინა ელენე, იმის ნაცვლად, რომ

შეყუქული დარჩენილიყო იმ სახლში, სადაც სწეული ლეკვივით შეიფარეს? იქნებ, ერთხელ მაინც უნდა მიეხალა ელენესთვის სახეში, რასაც ფიქრობდა მასზე, იქნებ, უნდა მიეშვა, რომ იმასაც თავისი რისხვა ამოეფრქვია? თუ აჯობებდა დალოდებოდა, სანამ ელენე შეცდომას დაუშვებდა, სანამ სისუსტეს გამოიჩენდა, და მერე გამოეაშკარავებინა? რა უნდა ექნა მიქას, რომ საფრთხე აერიდებინა თავიდან, რომ თავისი ადგილი არ დაეკარგა ამ სახლში?

მაგრამ სხეული ეწინააღმდეგებოდა, მის ფიქრებს არ ემორჩილებოდა. მისი სხეული შიშისგან იყო შებოროტი. მიქამ ბარძაყზე უჩქმბდა და ააკვივლა, მერე მხარში სწვდა და სანოლის კიდებზე მოისროლა, კედლისკენ, ოღონდ ისე, რომ თავი არ მიერთყა. ელენე გაუძალიანდა, გვერდიდან შემოეხვია წელზე თავისი წვრილი, თეთრწინდებიანი ფეხებით. ყავისფერი სკოლის ფორმა წამოეხადა და თეთრი ბამბის საცვალე გამოუჩნდა.

- გეყოფა... ელენე, გეყოფა, გთხოვ!

შეხვეწა მიქა. ისევ ისეთი საცოდავი ხმა გაუხდა უცებ, რომ ელენეს კიდევ უფრო მოუნდა მისი პროვოცირება. წამოიმართა, მისკენ გადაიხარა, მუქარით მიუახლოვდა, თვალეში ჩახედა, მიქამ მისი სუნიც კი იგრძნო, ოდნავ ოფლიანი, ლავანდის საპნის სურნელი მის კანზე, მისი თმა სახეზე შეეხო, შეუღიტინა, თვალის არიდება სცადა. უცებ ისეთი მოწინფული და თავდაჯერებული ეჩვენა. რატომ იქცეოდა ასე? რა ჰქონდა განზრახული? რა გრძნობა ამოძრავებდა? რატომ იყო ყოველთვის ერთი-ორი ნაბიჯით წინ?

როდის უნდა დამთავრებულიყო მისი დამცირება - ელენეს ხმამაღალი სიცილით, საყოველთაო პოპულარობით, ხითხითით, როცა მიქა სკოლის ეზოში ჩადიოდა, როდის მოეღებოდა ბოლო ამ შეურაცხყოფელ პროვოკაციას?

- ყველაფერს აფუჭებ! შე იდიოტო!

მის ეიფორიას უკვე აგრესია შეერია. ხმა აუკანკალდა, მიქამ დაინახა, როგორ აუციმციმდა თვალებში ცრემლი. ეს უკვე საკუთარ თავთან ბრძოლას დაემსგავსა. მიქას შერცხვა, ამის მოწმე რომ გახდა, და იმასაც მიხვდა, რომ ელენე არასდროს აპატიებდა, თავისი სისუსტე რომ დაანახა. თუმცა, რაში სჭირდებოდა მიქას მისი პატიება. ალბათ, რა ტკბილ მოგონებად დარჩებოდა ეს ელენესთვის. კომირად შერჩებოდა ხელში. იქნებ მაინც სჯობდა გაეძლო, მოეთმინა, სანამ ელენე თვითონ არ შეირცხვენდა თავს, თავისი ოჯახის უკმაყოფილებას არ გამოიწვევდა? იქნებ არც ღირდა იქ მოგება და დათმობა ჯობდა? იქნებ სწორ დროს წაგება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო გადასარჩენად?

- ვითამაშოთ ცოტა, ხომ შეიძლება გავერთოთ, არა?

უკვე გიჟივით გაჰყვიროდა. ისეთი ხმა ჰქონდა, ვერ გაიგებდი, ხარხარს დაიწყებდა თუ ცრემლები წასკდებოდა.

და როცა დაქანცული და გაოფლილი ელენე, თმაანწილი წამოიმართა მის სხეულზე და ნელა დაიწყო დაჭმუჭნილი კაბის გახდა, მიქა მიხვდა, რომ წააგო. ოღონდ არ იცოდა, ნამდვილი წაგება იყო ეს თუ არა.

გახდილი ელენე საბავშვო ბაღელივით იჭდა ახლა, ყვითელიხვებიანი პერანგისა და თეთრი ბამბის საცვლის ამარა. მიქას სწრაფად ცვალებადი გრძნობების კორიანტელი დაატყდა თავს.

არც ერთი გოგო არ მიახლოებია ამდენად. მაგრამ ასე სულ არ უნდოდა, თავის ოცნებებში ეს სხვაგვარად ხდებოდა. ასე ძალისძალად და ცხოველურად სულ არ სიამოვნებდა.

ელენეს სახეზე სინაზის ან ალერსის ნასახიც კი არ ეტყობოდა, ბედნიერება არ ეტყობოდა. მიქა არაფერ შუაში იყო. და მაინც ვერაფერს გახდა, რაღაც უჩვეულო მღელვარებამ შეიპყრო.

ელენემ პერანგიც გაიხადა და პატარა მკერდზე ჩამოცმული კოპლებიანი ბიუსტჰალტერის ამარა ჩაიცვცქა მის წინ. მიქას სასკოლო ფორმის შარვლის შეხსნა დაიწყო. იმას უკვირდა, ასეთი თავდაჯერებული როგორ არის, ასე საღად და გაბედულად როგორ ახერხებს ამ სიტუაციაში მოქმედებასო, თვითონ ერთიანად ცახცახებდა და არაფერი გამოსდიოდა. ჩემზე თუ ცდილობს შური იძიოს, საკუთარ თავს რაღას ერჩის? თავს რატომ იმცირებსო? – ფიქრობდა მიქა.

ელენემ მკვეთრი მოძრაობით ჩახადა შარვალი და მის განლაწულ საცვალს მიაჩერდა.

- გაიხადე! - უბრძანა ისე, რომ მისი უბისთვის თვალი არ მოუშორებია. რაკი მიქა არ გაინძრა, რეზინის სათავე ჩამოქაჩა და ხელი ჩაუყო. გაუბედავად შეეხო, ზიზღნარევი ჟინით.

მთელი სხეულით დაანვა ზედ, მოუქნელად, გაუბედავად, მისი საცვალიღა დარჩა ერთადერთ დაბრკოლებად მათ შორის. მიქამ უცებ გააცნობიერა, რომ ათამდე ითვლიდა, ერთი, ორი, სამი... ელენემ პენისზე წაატანა მარჯვენა ხელი, ბამბის ნაყინის ჯოხივით ეჭირა, უსიცოცხლო ნაფოტივით. მიქამ გვერდზე განწევა სცადა, თავის დაღწევა, მაგრამ მისი მოშორება ვერ შეძლო. საკუთარი თავი შეეზიზღა. უფრო მეტად კი ელენე.

და უცებ, სრულიად მოულოდნელად თვალეებში დაუბნელდა, წამოიმართა, ზურგით ლოგინზე ააკრა, ქვეშ მოიქცია, ფართო მკერდით გადაეფარა, საცვალი ცალი ხელით წააძრო, თითქოს ეს მისთვის სრულიად ბუნებრივი რამ იყო, თითქოს ათასჯერ უქნია ეს და ფეხები გადაუწია.

იგრძნო, როგორ დაუარა გამაბრუებელმა სითბომ სხეულში, მერე სადღაც ამოყვინთა.

ასე ეგონა, გონება დაკარგა. ელენეს წამოკვივლება სადღაც შორიდან ჩაესმა, თითქოს მასთან არც იყო, ასე ახლოს მასთან, თითქოს მის სუნთქვას, მის კანს არ გრძნობდა, მის თმაში არ ჰქონდა თავი ჩარგული.

ელენე დაიმანჭა ტკივილისგან, მხარზე უკბინა. კი ატკინა ელენეს, მაგრამ მაინც რა საოცარი გრძნობა ჰქონდა. რა უცებ გადაუარა შიშმა. აღარც იმაზე ფიქრობდა, უყვარდა ვინმეს თუ არა, ამ ოჯახის ღირსი იყო თუ არა. როგორი შვება იგრძნო! მაინც რა კარგი ყოფილა, როცა არ იმსახურებ, არ ხარ ღირსი!

მიქა ციებცხელებიანივით დაიღვენთა, ელენემ ჩუმად დაიკვნესა და თვალებში ჩახედდა. რაღაც შიშის მსგავსი ამოიციწო მიქამ მის მხერაში. ესამოვნა კიდევ. წამით დაფიქრდა, ხომ არ დავამშვიდო, ფრთხილად ხომ არ მოვეხვიო, მაგრამ ელენე წამოჯდა, კედელს მიეყრდნო და გაშტერებული მიაჩერდა ფეხზე ჩამოღვრილი სისხლის ვიწრო კვალს.

ფრედს რაღაც სჭირდა, მაგრამ კიტის ამის დრო არ ჰქონდა. ვერ იფიქრებდა პრალასა და ფრედზე ერთდროულად. ამ ორი სამყაროს შეთავსება შეუძლებელი იყო. ბარგი უნდა ჩაელაგებინა, გიტარაც, არა, ალბათ, უპირველესად, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს კულტურის განყოფილებაში უნდა დაერეკა – არა, ჯერ ემისთვის უნდა აეხსნა, რომ პრალაში არავის წაყოლა არ სჭირდებოდა, ან იქნებ...

წინა ღამით ფრედი ისევ არ გამოჩენილა. სრულიად მოულოდნელად შეუარა შუადღებზე და სამი საათის განმავლობაში იჯდა მის ბინაში, სულელური გამომეტყველება და ცარიელი თვალები ჰქონდა, საცვლის ამარა, თვალგაშტერებული ეგდო უსაქმოდ კიტის დივანზე. ან ზედმეტი დალია, ან ზედმეტი მოწია, ან ზედმეტი... რაღაც საშინელებით იყო გამსკდარი, იმდენად ამაზრზენი იყო მისი მკვდარი თვალების ყურება. კიტის ეშინოდა ამ მხერის. ადრეც უნახავს, იშვიათად, მაგრამ მაინც ცნობდა ამ ლეთარგიის კვალს, როცა ღამენათევი და ნაქეიფარი ფრედი ბოლოს ისევ კიტისთან შლიდა კარავს. მაშინაც ასეთი თვალები ჰქონდა, როცა ამერიკიდან ჩამოვიდა, როდის იყო? დაფიქრდა კიტი, მაგრამ არა, ახლა ამისთვის არ ეცალა, ფრედს მერე დაელაპარაკებოდა, როცა პრალიდან დაბრუნდებოდა, ახლა არა, თვითმფრინავში გამოუძინებელი ხომ არ ავიდოდა.

როცა კარზე ხარი გაისმა, კიტი ისე იყო ფიქრებში წასული, ისე იყო ჩაფლული გამგზავრებამდე მოსაგვარებელ საქმეებში, რომ არც უკითხავს, ვინ არისო, ისე გააღო კარი. ემის ერთ ხელში ხილით სავსე ქაღალდის პაკეტი ეჭირა, მეორეში კი გრძელღეროიანი ლამაზი ლილიები, მისი ქერა თმა ზაფხულის შხაპუნა ნვიმას დაესველებინა, პირდაპირ სამზარეულოსკენ გაემართა და ყველაფერი იქ დააწყო.

მერე ლარნაკს დაუნყო ძებნა. კიტის სუნთქვა შეეკრა. რამდენჯერ უფიქრია შიშით ზუსტად ასეთ მომენტზე. უცებ ძალიან სანწყლად იგრძნო თავი მეხის გავარდნის მოლოდინში.

- რა იყო, არ მომესალმები? ლარნაკი მჭირდება. ლამაზი ლარნაკი. კარგ ამბებს დაგახვედრებ, როცა დაბრუნდები, თუმცა კარგად მოგეხსენება, რა აზრისაც ვარ იმ სოციალისტურ უაზრობაზე, რაშიც ამ მოგზაურობით იგდებ თავს; არც ჩემი წაყოლა ნებავს ქალბატონს, არადა, სულ არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, რკინის ფარდაში რომ შემეჭყიტა, ვინ იცის, კიდევ როდის მომეცემა ამის შესაძლებლობა, მაგრამ, რაც არის, არის... მოკლედ, იმის თქმა მინდოდა, რომ, როცა დაბრუნდები, შეიძლება ბრიტანეთის საზღვრებსაც გავცდეთ და ტურნეში...

სიტყვა შუაში გაუნყდა. ყვავილებით ხელში შუა ოთახში მდგომმა, დივანზე მთვლემარე ფრედი აღმოაჩინა.

გრილ კედელზე მიყრდნობილმა კიტიმ საკუთარი გულის ბაგაბუგი გაიგონა. და კიდევ რაღაცის დავარდნის ხმა. ალბათ მშვენიერი ლილიების. მერე კი ფეხის ხმა. ფრედმა ისე გადაინაცვლა სხვაგან, რომ ემის იქ ყოფნა არც კი შეუმჩნევია.

ემიმ კიტის ჩაუარა და ჭიქაში წყალი დაისხა. ბედაც არ შეუხედავს, ისე ჰკითხა:

- რამდენი ხანია? რამდენი ხნის ამბავია?

ამ აუღელვებელ ხმას, ამ თავშეკავებულობას, ამ ხაზგასმულ სიცივეს ყველაფერი ერჩინა.

- აღარ მახსოვს.

ემი მიუბრუნდა და შეხედა. კიტიმ თვალები დახარა. უეცრად ემი ახარხარდა. კიტი ყველაფერს ელოდა, ამის გარდა. ემი იცინოდა და ვეღარ ჩერდებოდა, კიტი კი ვერ ხვდებოდა, რა აცინებდა ასე ისტერიულად, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, თუ თავს იცავდა ასე.

- იმედია, შენც ისევე უდიერად მოგეცევა, როგორც მე. რომ საკუთარ ტყავზე გამოსცადო, რაც მე გამიკეთე. თუმცა არა, შეიძლება კარგიც ქენი, ამ უბედურებისგან რომ დამიხსენი, დამანახე, ბოლოს და ბოლოს, რა ნაგავს შევალთ ამდენი წელი. მაგრამ, მართალი გითხრა, შენგან ამას არ ველოდი, კიტი. რას გაჩუმებულხარ? ვერ მოიფიქრე, რა თქვა, თუ ამის გადმოცემასაც სიმღერით აპირებ? ყველას ერთ მხიარულ სიმღერაში გაგვაერთიანებ?

გაოგნებულმა გააქნია თავი, თითქოს გამოფხიზლება უნდოდა, დაუჯერებლის დაჯერება.

- ეს უკვე მართლა მეტისმეტია, - დაამატა ბოლოს.

- არ მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო. დიდხანს ვცდილობდი...

- ცხადია, არ გინდოდა. თუმცა, რამდენადაც ვიცი, ადამიანებს სასქესო ორგანოებთან ერთად გონებაც გააჩნიათ, ყოველ შემთხვევაში, მეგონა, რომ შენ გაგაჩნდა! როგორც ჩანს, სასტიკად ვცდებოდი.

- ყველაფერს აგიხსნი. მე...

- არა მგონია, ყველაფრის დაწვრილებით გაგება მსურდეს. უნდა დავფიქრდე, იმ უსირცხვილო მატყუარას კი შეგიძლია გადასცე, რომ ჩემთვის აღარ არსებობს, მოკვდა და ვაი მაგის ბრალი, კიდევ თუ გაბედავს ფულის ან სხვა რამის თხოვნას.

- ვერ არის კარგად, ემი, ამ ბოლო დროს ნამდვილად ვერ არის კარგად...

- ამიერიდან ეს უკვე შენი პრობლემაა, გენაცვალე. მე მაგ ვიგინდარას საუკეთესო წლები შევალიე. ვატყობ, შენთან მუშაობაც დროის ფლანგვა ყოფილა.

- ფრედს პრობლემა აქვს, მგონი, მას...

- ახალი ამბავი! ამაზე ადრე უნდა გეფიქრა, სანამ ლოგინში ჩაუგორდებოდი.

- ემი, გთხოვ... სხვა პრობლემას ვგულისხმობ!

- შენ ახლა იმ სიტუაციაში არ ხარ, რომ რამე მთხოვო, ფრედზე აღარაფერს ვამბობ.

* * *

კომუნისტები სწავლაშიც სამაგალითონი უნდა იყვნენ: მათ უნდა ასწავლონ მასებს, და იმავე დროს მათგანაც ისწავლონ.

მაო

გადარეული დრო იყო, ბრილვა. აღმოსავლეთს დასავლეთის ლურჯი ჭინსების შურდა, დასავლეთში კი გოგოებს „ბითლზის“ კონცერტებზე გულები მისდიოდათ. დასავლეთში დემონსტრაციები იმართებოდა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ, რომელიც სულ უფრო აბსურდული და სისხლიანი ხდებოდა და უკვე ცივ ომში ძალის დემონსტრირების სიმბოლოდ ქცეულიყო ბერლინის კედელთან ერთად.

პარიზში სტუდენტებმა სორბონი აიღეს და ბარიკადები აღმართეს. მშობლებს შვილების აღარ ესმოდათ. არ ესმოდათ, რატომ დაიწყეს მათ უცებ პროფკავშირებისა და მუშების დაცვა, როცა თვითონ არასდროს არაფერი მოჰკვლებიათ. რომ საკუთარ ნაციონალურ იდენტობას არაფრად აგდებდნენ და მშობლების ფასეულობებს ფეხქვეშ თელავდნენ, რომ ქალების უფლებებისთვის და სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ ქუჩებში გამოდიოდნენ. ნუთუ მართლა ეგონათ, რომ თმაში ჩაწული რამდენიმე ყვავილით და მარიხუანით ან იდიოტური ბატიკის ყელსახვევების ტარებით მშვიდობას მოუტანდნენ მსოფლიოს?!

ჩვენი გაბრწყინებული, ძღვევამოსილი სამშობლო ჯერ შორს იყო ამისთანა ურცხვი მოთხოვნებისგან, თუმცა ხელმძღვანელობა მაინც შეიცვალა საბჭოთა კომუნისტურ პარტიაში. უკრაინელი გლეხის შვილი უფრო თავაზიანმა, გულითადმა კაცმა ჩაანაცვლა, რომელსაც უამრავი

მედალი და გმირობის ორდენი ეკიდა მკერდზე და ყველაზე ხშირი წარბები ჰქონდა მთელ მსოფლიოში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიაშიც მოხდა ცვლილებები და ამით შეგულიანებულმა ხალხმა სისტემის ლიბერალიზაცია მოითხოვა. რამდენიმე თვალსაჩინო რეფორმა გატარდა და მოქალაქეებმა – რომლებიც პირველად აღმოჩნდნენ სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩართულნი – მეტი თავისუფლება მოითხოვეს, მგონი, პრესაზე ცენზურის მოხსნა და კომპარტიის დემოკრატიზაცია. გაიმართა ეგრეთ წოდებული კაფკას კონგრესი მწერლების რეაბილიტაციისთვის, რეაბილიტაციები უნდა გაგრძელებულიყო.

დასავლეთის საპროტესტო მოძრაობამ თითქოს აღმოსავლეთში გადმოინაცვლა საბოლოოდ.

კრემლში საკმაოდ სწრაფად შეაფასეს ვითარება. პარტიის ფუნქციონერები შეშფოთდნენ. ამხანაგმა ბრენჯევმა დაუინებით მოითხოვა მიღებული რეფორმების გაუქმება, მაგრამ მისმა ბრძანებამ ვეღარ შეაჩერა აგორებული ტალღა, რომელიც მთელ ქვეყანას გადასწვდა, შიშობდნენ, რომ ეგრეთ წოდებულ ჩეხოსლოვაკიის სიტუაციას სხვა დამძობილებულ ქვეყნებშიც გაუჩნდებოდნენ მიმდევრები.

1968 წლის აგვისტოში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა: ადამიანები ქუჩებში გამოდიოდნენ და ადამიანური ღირსების აღდგენას მოითხოვდნენ, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას, ტოტალიტარული რეჟიმის საერთოდ გაუქმებას. მოსკოვის მიერ მოხსნილმა, კომპარტიის ყოფილმა შეფმა დუბჩეკმა მოგვიანებით ერთ ინტერვიუში თქვა, არა მგონია, ხალხს მაშინ კომუნისტური სისტემის საერთოდ გაუქმება ნდომოდა, უბრალოდ „სისტემის შერბილებას“ ითხოვდნენო.

სტასია 20 აგვისტოს ჩავიდა პრაღაში; აეროპორტში ინტურისტის თანამშრომლები დახვდნენ და სასტუმროში მიიყვანეს რამდენიმე სხვა საბჭოთა სტუმართან ერთად. კიტი ერთი დღით ადრე ჩაფრინდა და აეროპორტში დამქანცველი პროცედურის შემდეგ მას კომკავშირელთა კლუბის ორმა წევრმა და კულტურის სამინისტროს ერთმა თანამშრომელმა უმასპინძლეს. ისიც სასტუმროში მიიყვანეს; ბევრად უკეთესში, ვიდრე დედამისი. იქ მან ტელეგრამა მიიღო, სადაც ეწერა, რომ სასტუმროს მისაღებში ერთ-ერთ ტელეფონზე უნდა ეპასუხა. მაშინვე სხვა დროში დაბრუნებულად იგრძნო თავი და თითქოს სხვის მიერ მართულმა, წყობიდან გამოსულმა დაუნყო ძებნა მინიშნებულ კაბინას.

– თქვენი კონცერტი არ შედგება ოთხშაბათს.

უფრო ჩუმად და მოგუდულად ლაპარაკობდა, ვიდრე სჩვეოდა, ეტყობოდა, რომ ნერვიულობდა.

– რა მოხდა? მე ხომ უკვე ჩამოვედი.

- ვიცი. გარემოებებია ასეთი: სიტუაცია, ცოტა არ იყოს, უმართავი გახდა.

- თქვენ კარგად ხართ?

- კი, კი, ჩემთან ყველაფერი კარგადაა. უბრალოდ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაგიყვანოთ ქალაქიდან.

- კი მაგრამ, რა ხდება?

- ახლახან გაიმართა საგანგებო სხდომა ბრატისლავაში ჩეხოსლოვაკიის პრობლემის გადასაწყვეტად. მოძმე რესპუბლიკების კომპარტიის მდივნები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პრადის მოვლენების შესაჩერებლად ძალა უნდა გამოიყენონ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამხანაგი ბრუნევი მანდ საბჭოთა ჯარების შემოსვლის ბრძანებას გასცემს. ასიათასობით ჯარისკაცს გააგზავნიან პრადლაში!

- ძალა უნდა გამოიყენონ?

- ასეთი ვითარებაა.

- ვის უნდა შევხვედროდი აქ? მითხარით, ვინ უნდა ჩამოსულიყო?

- იმ ქალზე ნუ იდარდებთ. მას საბჭოთა პასპორტი აქვს, თქვენგან განსხვავებით. ასეთ საგანგებო სიტუაციებში მაინცდამაინც სასურველი არ არის ქალაქში დასავლელი დამკვირვებლების ყოფნა, გესმით, ალბათ.

- ქალი?

კიტის მუხლები მოეკვცა. დედამისი, დედამისი იყო ჩამოსული.

- კომკავშირის მუშაკებს ყურს ნუ დაუგდებთ, ჩემს მითითებებს დაელოდეთ. გასაგებია?

კიტიმ ყურმილი დადო. ფეხს არ გაადგამდა ამ ქალაქიდან, სანამ დედას არ ნახავდა.

იმავე საღამოს კოსტიასაც დაურეკა თავისმა მეგობარმა. სიტუაცია გააცნო და სთხოვა, დედას დაკავშირებოდა და შეემზადებინა, რომ უახლოეს სამ დღეში მოსკოვში გადაფრენა მოუწევდა. კოსტია, რომელმაც წინა ღამე ოცდაშვიდი წლის ქერა ქალთან გაატარა და ყირიმული შამპანური ცოტა ზედმეტი მოუვიდა, უცებ გამოფხიზლდა და დაჰპირდა, ყველაფერს მოვაგვარებო.

- თავიდანვე არ უნდა წავსულიყავით ასეთ რისკზე, - ამოიოხრა დასასრულს ალანამ ყურმილში.

კიტიმ მოახერხა თავგზა აერია კულტურის სამინისტროს მომაბეზრებელი თანამშრომლისთვის და სასტუმროდან გაიპარა.

მიუყვებოდა ქალაქის ქუჩებს, ქალაქის, რომელიც ხიდად იქცა მის წარსულ და ახალ ცხოვრებას შორის და იქ სიმარტოვეში გატარებულ თვეებს იხსენებდა. რამდენი დრო გავიდა მას მერე? რამდენი წელი არ ენახა დედა? რა სამყაროები აღიმართა ამასობაში მათ შორის და რა დაინგრა? რამდენი სიტყვა, სიმღერა, სადილი, კოცნა, მოგონება, რამდენი სასონარკვეთა, რამდენი ადამიანი, რამდენი ადგილი, ფიქრი,

შეხვედრა, საზღვარი, რამდენი დამე და რამდენი დღე ამორებდა ახლანდელ კიტის მაშინდელთან?

მიაბიჭებდა ძველი ქალაქის ქვაფენილზე, არც მარჯვნივ იხედებოდა და არც მარცხნივ, გული ეკუმშებოდა, ისხლტდა იქაურების მზერას, ასეთი ჩაფიქრებული და დათრგუნვილი, საკუთარ თავში ჩაღრმავებული რომ ეჩვენებოდა, ლონდონისგან განსხვავებით. უმიზნოდ დახეტილობდა, თვითონაც არ იცოდა, საით მიაბიჭებდა. უბრალოდ წინ მიინევდა. დაასკვნა, რომ სულ არ იცნობდა თურმე ქალაქს, რომ მაშინ შეძლო უხილავი გამხდარიყო. არეული ფიქრები ფერად მოზაიკად დაულავდა თავში. ქალაქში მღელვარება იგრძნობოდა. მისი უსახელო მეგობარი მართალი აღმოჩნდა, როგორც ყოველთვის. ათიათასობით ჯარისკაცი დაუპირისპირდა სხვანაირად ცხოვრების სურვილს. ათობით ათასი ერთადერთი ქვეყნის წინააღმდეგ. მთელი არმია აღუდგა წინ მის შეხვედრას დედასთან.

ფრედი გაახსენდა. ფრედის თვალები. შუშის თვალები. სიკვდილთან მოარმიყე თვალები. ჰო, სწორედ ასეთი იყო მისი მზერა, როცა თვალი უშტერდებოდა, თითქოს სხეულს ტოვებდა. შეძლო კი მედლინგის მონელება? რას იკეთებდა? რომელ ნარკოტიკს?

შვიდ საათზე მთელი დღეღვაცია ჰოლში შეიკრიბა. კიტიმ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ის-ის იყო ჩამოვიდა თავისი ნომრიდან. ფსევდოფოლკლორულად განწყობილ რესტორანში წაიყვანეს, მუსიკაც შესაფერისი იყო ფონად. ათასნაირი კერძი, ბევრი ლუდი, ცნობისმოყვარე, აღელვებული კომკავშირის მუშაკებისა და სამინისტროს წარმომადგენელი ნერვების მომშლელი ქალის დამღლევი, უაზრო ქაქანი. კიტი ძალიან ცდილობდა პანიკა არ დასტყობოდა. ეშინოდა, ისე მოუნევდა ქალაქიდან წასვლა, რომ დედის სახეს ვერ ნახავდა. უაზროდ იღიმოდა და შეკითხვებს არ სვამდა. მონდომებით ჰყვებოდა თავისი სიმღერების შესახებ, საუბარი რუსულად მიმდინარეობდა. როცა ჰკითხეს, პირველად ხართ ჩვენს ქალაქშიო, თავაზიანად უპასუხა, კიო.

მიგადაშიგ ტუალეტში გადიოდა და ცივ წყალს ისხამდა სახეზე. სახე უნდა შეენარჩუნებინა, სახე არ უნდა დაეკარგა. სასტუმროში მიბრუნებულს, ალბათ, პირადი მფარველი ანგელოზის შეტყობინება დახვდებოდა. და ამჯერად მზად იყო, წინააღმდეგობა გაენია მისთვის. სტასიასთან შეხვედრელად აქედან წასვლას არ აპირებდა.

სანამ კნედლიკებს პატარა ლუკმებად ჭრიდა და სოკოს სოუსში აწებდა, სულ ემის ხარხარი ჩაესმოდა ყურებში, რა საშინლად, ხელოვნურად იცინოდა, ღირსების ნატამალი მაინც რომ შეენარჩუნებინა, როცა ნახევრად შიშველი ფრედი აღმოაჩინა კიტის მისაღებ ოთახში.

შუალამეს კარგად გადაცილებული იყო, როცა ტელეფონმა დარეკა: – გრიპი უნდა მოიმიზგოთ. რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოთ ქალაქი. თქვენ თვითონ განაცხადეთ უარი გამოსვლაზე, სანამ ისინი

მოგაკითხავენ. ასე უნდა მოიქცეთ, რადგან ამ სიტუაციაში მე ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემთ.

კიტიმ კეთილგონიერება დაუდასტურა და ყველაფერზე დაეთანხმა. კონცერტს მოვახსენვენიებ, გრიპს მოვიმიზეზებ და ზეგვე დავბრუნდები ლონდონშიო. მაგრამ დაძინებაზე აღარც უფიქრია. ვერსადაც ვერ წავიდოდა. იქ დედამისი იყო, მთელი მისი წარსული ცხოვრება იყო იქ. როგორც განძეულობით სავსე სკივრში, რომელიც უბრალოდ უნდა გაეხსნა. როგორ წავიდოდა იქიდან! ის სკივრი უნდა გაეხსნა. სტასია უნდა ეპოვა. ასობით ათასი ჯარისკაცის მიუხედავად.

იმ ღამით დაიწყო ჯარების შესვლა. ნახევარმა მილიონმა ჯარისკაცმა ქალაქის ოკუპირება მოახდინა. საბედისწერო მოვლენებმა განაპირობა კიტის ბედი. დაახლოებით დილის ცხრა საათზე მიუკაკუნეს სასტუმროს ნომრის კარზე და ნორჩი კომკავშირელი, რომელიც წინა საღამოს დაუფარავი შურით შესციცინებდა კიტის, ხელების ქნევით, თავჩაქინდრული ალუღლუღდა პოლიტიკაზე, ჩეხოსლოვაკებსა და რუსებზე, ჩრდილზე, რომელიც ახლა ამ ხალხთა დიდ მეგობრობას მიადგა, უსაფრთხოებაზე, რომელსაც ასეთ ვითარებაში კომკავშირელთა კლუბი ვეღარ უზრუნველყოფდა კიტისთვის, მის კონცერტზე, რომელიც, სამწუხაროდ, უნდა მოეხსნათ. ყველა პარტიული ხელმძღვანელი, დუბჩეკის ჩათვლით, დააპატიმრეს და მოსკოვში წაიყვანეს, ყველა რეფორმა მყისიერად გააუქმესო.

კიტი ამოღამებული თვალებით შესცქეროდა კარის ღრიჭოდან.

დავალებული მაქვს, ახლავე აეროპორტში წაგიყვანოთ. უახლოესი რეისი დღეს არის, საღამოს ცხრა საათზეო.

- ესე იგი, უკვე აქ არიან? აქ, ქვემოთ, ქუჩებში?

კიტი უცებ გამოფხიზლდა და კარი ცოტა მეტად გამოაღო, ჟესტით შეიპატიჟა ოთახში, რომ შესაძლებლობა მიეცა მისთვის, დაზეპირებულის ნაცვლად, საკუთარი აზრი გამოეთქვა არსებულ მდგომარეობაზე.

- დიახ, ამხანაგო, - განაგრძო კომკავშირელმა თავისი გატეხილი რუსულით და მოწინებით შეაბიჯა მის ოთახში. ასეთ ფუფუნებაში, ალბათ, პირველად შეადგა ფეხი. უზარმაზარი, რბილი სანოლი, ფუმფულა ხალიჩა და ოქროსვარაყიანი სარკე კედელზე. მის თვალში კიტიც დასავლეთის მოელვარე განსახიერება იყო. სწორედ ასე წარმოედგინა მას დასავლეთი: ასეთი სანოლები, ასეთი ხალიჩები და სარკეები - ყველასათვის ხელმისაწვდომი.

- ქუჩები ხალხითაა სავსე. პრეზიდენტმა მოსახლეობას კეთილგონიერებისა და მორჩილებისკენ მოუწოდა. მაგრამ...

აშკარა იყო, რომ ყოყმანობდა, არ იცოდა, რამდენად ღიად შეეძლო კიტისთან ლაპარაკი.

- მომიყვით, ნუ დელავთ, განაგრძეთ!

კიტიმ სკამი შესთავაზა.

- სტუდენტებმა პირატული გადამცემები ააწყვეს. თითქმის მთელი უნივერსიტეტი და ყველა ინსტიტუტი გარეთაა. ძლივს მოვალწიე აქამდე. ხალხი თვითნაკეთი ტრანსპარანტებით ეგებება ჯარისკაცებს. ქუჩების სახელებიან აბრებს ადგილები შეუცვალეს, რომ... - ისევ წაიბორძიკა. რა სიტყვის თქმას აპირებდა? რუსები, მტრები, დამპყრობლები?

- ოკუპანტები? - წაემველა კიტი. კომკავშირელმა შვებით ამოისუნთქა.

- ჰო, რომ გზის გაგნება გაუჭირდეთ ქალაქში. ჩემმა ძმამ თქვა, ყოველ ნუთს ვიდაცას აპატიმრებნო. საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო კი ირწმუნება, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკამ მიმართა საბჭოთა კავშირს გადაუდებელი დახმარების თხოვნით. მტკნარი სიცრუეა! ირწმუნებიან, რომ ჩვენ ვითხოვეთ შეიარაღებული ძალების დახმარება. წარმოგიდგენიათ?

მოსალოდნელზე უფრო სწრაფად გატეხა კომკავშირული ფიცი და თავისი განრისხებული, სასონარკვეთილი გული გადაუშალა. ბოლოს ისიც დაამატა, ნეტავ შემეძლოს, ჩემს მეგობრებს და თანაკურსელებს მხარში ამოვუდგე, მაგრამ მამას დავპირდი, ქუჩას მოვერიდები-მეთქი, ერთი მემბოხეც კმარა ოჯახში, ჩემი ძმა აქტიურად არის ჩართული საპროტესტო მოძრაობაში და, როგორც ჩანს, უნივერსიტეტიდან გააგდებენ, თანაც თქვენ უნდა მიგიყვანოთ აეროპორტში უვნებლად, იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს მაინც გაიმართება თქვენი კონცერტი, ისეთი ფანი ვარ თქვენი, ისეთი ფანიო.

კიტიმ ჩემოდნიდან ერთი ფირფიტა ამოიღო, Summer of broken tears, სულ ათი ფირფიტა ჰქონდა წამოღებული, მეტის შემოტანის უფლება არ მისცეს და ხელი მოუწერა, სიტყვა მისცა, რომ ზუსტად შვიდ საათზე ჰოლში იქნებოდა.

ეს ბიჭი არ გაყიდიდა, სიტუაცია როგორც უნდა შემობრუნებულიყო. არ დაასმენდა. ნახევარ სიმართლეს იტყოდა მხოლოდ: მივედი, ვერ ვნახე, ვეძებე, ვერ ვიპოვე, მე რაც მევალებოდა, შევასრულე, მეტი რა მექნა. არაფრით იტყოდა: შენუხებული ჩანდა, ცნობისმოყვარეობას იჩენდა, შეკითხვებს მისვამდა, სიტუაციის გარკვევას ცდილობდა, ანტისაბჭოურად განწყობილი მეჩვენა. და ასე შემდეგ.

ჰო, კიტიმ თანამოაზრედ აქცია კომკავშირელი ბიჭი და ამაში ის სანოლი, ის ხალიჩა, ის სარკე და ფირფიტა ძალიან დაეხმარა.

დასავლეთის მეხსიერებაში „პრალის გაზაფხული“ მუდამ გმირობად დარჩება, ბრილვა, საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ ყველაზე დიდ და გაბედულ ამბოხებად. აღმოსავლეთისთვის კი ეს გოდება იყო სამწუხარო ეპიზოდი, რადგან ფარდა, რომელიც, ის-ის იყო, ოდნავ გაიღო, ამის შემდეგ კიდევ უფრო მჭიდროდ დაიხურა.

ის საარაკო ამბავი, ტანკებით გარშემორტყმულმა კიტიმ ვენზელის მოედანზე აბობოქრებული ხალხის შუაგულში თავისი გიტარა რომ ამოიღო და ძველი ქართული ხალხური სიმღერა წამოიწყო, ბევრჯერ აღიწერა და დაიწერა. ზოგი ამბობდა, რომ რუსული რომანსი იყო და არა ქართული სიმღერა. ჰო, ბევრ ვარაუდს გამოთქვამენ და კამათობენ იმაზე, თუ რა სიმღერა შეიძლება იყო ყოფილიყო.

რალა თქმა უნდა, დასავლეთში მისი ქმედება მშვიდობისა და თავისუფლებისკენ მონოდეზად აღიქვს. ეტყობა, დასავლეთი მუდმივად ცდება თავისი ტენდენციური შეხედულებების გამო, არასწორად აფასებს აღმოსავლეთს და ამაშიც მამაცი თავგანწირული ხელოვანის შეგნებული პროტესტი დაინახა, რომელიც ხალხს თანაუგრძობდა და გამშაგებული ჯარისკაცების გულის მოღობას ცდილობდა. სინამდვილეში, კიტის მოედანზე გასვლა და სიმღერა მისი სასონარკვეთილებით გამოწვეული სრულიად ეგოისტური ნაბიჯი იყო და არა ინტელექტუალური ან პოლიტიკური. გამხედაობა და პოლიტიკური შეხედულებები არაფერ შუაში იყო. არც მშვიდობას ეძღვნებოდა, როგორც ვარაუდობდნენ. კიტი იქ მივიდა, როგორც სამშობლოდან გადახვენილი ერთი, გამწარებული ქალი, რომელსაც მონატრებამ თვალეები დაუბნელა, შეშინებული, რომ ამ ქალაქში თავის წარსულთან დაბრუნება ამაო აღმოჩნდებოდა. ისე მოუწევდა წასვლა, რომ შესაძლებლობა არ მიეცემოდა, თავის სისხლსა და ხორცს მიახლოებოდა, მის მიერ მითოვებულს. ძალიან მტკივნეული იქნებოდა წასვლა, სანამ დედას არ ნახავდა, სანამ არ ჰკითხავდა, რატომ არ იბრძოლა მისთვის, ზუსტად ისე, როგორც წლების წინ კოსტიასთვის.

როგორც კი კომკავშირელმა მისი ოთახი დატოვა, სასწრაფოდ დაიწყო ბარგის ჩალაგება, მაგრამ მალევე შეწყვიტა, რადგან არ იცოდა, ჩემოდანი სად უნდა ეთრია, ამის ნაცვლად გიტარა აიღო, მხარზე გადაიკიდა და ქუჩაში გავიდა. საათზე მეტი იბოდილა უაზროდ, სანამ მოვლენების ეპიცენტრს არ მიუახლოვდა და ხალხის მასამ არ ჩაითრია. ცხადია, შეშინდებოდა, ცხადია, იარაღი, ტანკები და სამხედრო ფორმები წარსულის აჩრდილებს გააღვიძებდნენ, ცხადია, გაქცევა მოუწევდა, უსაფრთხო ლონდონში, თავბედს იწყევლიდა, ალბათ, აქ რამ მომიყვანაო – და ცხადია, დასავლეთი ვერ მიხვდებოდა, რა ამოძრავებდა სინამდვილეში.

ასე ხდება ხოლმე, ბრილკა, ერთს ვაკეთებთ და სხვა რამ გამოგვდის ზოგჯერ, ზუსტად ისე, როგორც შენ ვერასდროს იფიქრებდი, როცა ვენის მატარებელში ჯდებოდი, რომ უკან ბრუნდებოდი, ჩემთან ბრუნდებოდი და, შესაბამისად, იმ ისტორიასთან, რომელსაც გაუბოდი.

ვერც კიტი ჯამი წარმოიდგენდა მაშინ, როცა გაოგნებული და დაქანცული აიწურა ვენზელის მოედანზე, როცა გიტარა ამოიღო და სიმღერა დაიწყო საკუთარი თავის შესაგულიანებლად, რომ სადღაც იქვე დამოუკიდებელი ფოტოგრაფი იმყოფებოდა, რომელიც სურათს

გადაუღებდა, და მას, ასეთ გულგატეხილს, შეშინებულსა და დაბნეულს, ამბოხების სიმბოლოდ აქცევდა.

სტასია კი არ მისულა ვენზელის მოედანზე. სტასიას თავისი ამღერებული შვილი არ უნახავს. სტასიას წინა ღამით კოსტიამ დაურეკა და დაარიგა, არ აღელდე, სასტუმროდან არ გახვიდე და ინტურისტის წარმომადგენელთან ერთად გამოემგზავრე, როგორც კი შესაძლებელი იქნებაო. სტასიას შეეშინდა, კიტის გამოც და კოსტიას გამოც.

კონგრესზე ჩამოსული ლენინგრაძელი ქალები სასტუმროს ჰოლში ისხდნენ გაღიზიანებულები და დარდობდნენ, უკან როგორ დავბრუნდებითო. ხარკოველი მამაკაცები „თანმხლებ პირთან“, სინამდვილეში კგბ-ს წარმომადგენელთან, უკრაინაში მატარებლით გამგზავრების შესაძლებლობას განიხილავდნენ.

სადამოს, როცა სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, თანმხლებმა პირმა მოახერხა და ავტობუსი გამოიხაზა, რომელიც აეროპორტამდე მიიყვანდათ, და კონგრესის მონაწილეები აიძულა, სწრაფად ჩამოეტანათ ჩემოდნები და ავტობუსში ჩამსხდარიყვნენ.

სტასია ჰოლში იდგა, ხელებაკანკალებული, ტუჩებმოკუმული, ფეხთან პატარა სამგზავრო ჩანთა დაედო, და პირველმა დაინახა, როგორ შევიდა სასტუმროში ვილაც ფორმიანი, თანმხლებ პირთან მივიდა, რაღაც საბუთი აჩვენა, რომელიც იმან დაკვირვებით შეისწავლა, ბოლოს ფორმიან კაცს თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა. მერე სტასიაზე მიუთითა, რომელსაც უკმაყოფილო მზერა ესროლა. სტასიამ გაკვირვებულმა შეხედა თანმხლებ პირს, ვერ დაიჯერა, რომ ვინმეს რამე უნდოდა მისგან, და როცა ფორმიანი მისკენ დაიძრა, ინსტინქტურად უკან მიიხედა, თითქოს იქ უნდა მდგარიყო ვინმე, ვისზეც მიუთითებდა თანმხლები პირი. მერე კი ისეთ პანიკაში ჩავარდა, რომ საერთოდ გაქვავდა. თუ მარჯვნივ გადადგამდა ნაბიჯს, ქალაქის ცენტრისკენ, – კოსტიას ჩააგდებდა საფრთხეში, თუ მარცხნივ, აეროპორტისკენ, – კიტის მიატოვებდა.

საათები გაატარა შიშით შეპყრობილმა, არც რამის გაკეთების უნარი ჰქონდა, არც გადანყვეტილების მიღების. ან სად უნდა ეპოვნა კიტი? ვისთვის უნდა ეკითხა? იქნებ უკვე გაიყვანეს ქალაქიდან? ამოლდ ჰქონდა იმედი? ვის ეკუთვნოდა ამ სასტიკი, დაუნდობელი მოვლენების სცენარი? რატომ მთავრდებოდა მისი ყოველი მგზავრობა ომით? ვინ დაწყევლა ასე?

– გთხოვთ, გამომყვეთ, ამხანაგო.

ფორმიანი კაცი კავკასიური აქცენტით ლაპარაკობდა რუსულად. მკერდი მედლებით ჰქონდა აჭრელებული.

– მოხდა რამე?

– რამდენიმე შეკითხვა გვაქვს თქვენს საბუთებთან დაკავშირებით და კომისარიატში უნდა წაგიყვანოთ, სამწუხაროდ. არაფერი

განსაკუთრებული, დარწმუნებული ვარ, სწრაფად გადავჭრით პრობლემას, შემდეგ კი, რა თქმა უნდა, თქვენც აეროპორტში მიგიყვანთ.

- კი მაგრამ, რა ხდება?

- გამომყევით, ამხანაგო, დანარჩენს გზაში აგიხსნით.

სტასია რატომღაც დამშვიდდა. ამ კაცის სულ არ შეეშინდა. ისე დაელაპარაკა, ისე გადაიხარა მისკენ, ისე ეჭირა თავი, ისეთი ახალგაზრდა და ლალი ეჩვენა, ამდენი ორდენის მიუხედავად, რომ ნდობა აღუძრა სტასიას.

ფორმიანმა მისი ჩანთა აიღო და გასასვლელისკენ გაემართა, სტასიაც გაჰყვა, დანარჩენებმა ალმაცერად გახედეს. საბჭოთა მოქალაქეებს ახასიათებდათ ეს: ყველგან დამბეზდებლები და მტრები ელანდებოდნენ, ბიბლიოთეკის ბუნჩულა, თავაზიანი მუშაკი შეიძლებოდა წამში ინფორმატორად გადაქცეულიყო. სტასიამ წარმოიდგინა, რას იტყოდნენ ავტობუსში: ისეთი ჩუმი და გულჩათხრობილი იყო, თავიდანვე მიხვდით, რომ რაღაც ხდებოდა, უნივერსიტეტში არ წამოგვყვა და ცხვირი აიბზუა, როცა მე და მართამ საცვლებისა და ბიუსტჰალტერების შესახებ გავიკითხეთ. სხვათა შორის, საცვლებს სიამოვნებით ვიყიდოდი, ჩვენთან ასეთებს ვერ ნახავ, ათი წელიც რომ ეძებო, ისევ დახლის ქვეშიდან თუ მოგყიდოდი ორმაგ ფასად, ხომ ვიცი მაგათი ამბავი... და ასე შემდეგ. „რას იბამ, ასეა, რას უნდა ელოდე იმ ქვეყნის მოსახლეობისგან, სადაც წესიერი საცვალის კი არ იშოვება“, გაიფიქრა სტასიამ და მანქანის უკანა სკამზე დაჯდა.

მანქანა ძლივს იკვლევდა გზას ხალხში. კვილი-წივილი, აქეთ-იქით სირბილი, აგრესიული, სასოწარკვეთილი ადამიანები, იმედს რომ არ კარგავდნენ. რა საშინელებაა, როგორ მეცნობა ეს ყველაფერიო, ფიქრობდა სტასია. რამდენი უნდა ვიცხოვრო კიდევ, რომ ეს სურათები ამოვიგდო თავიდან?

ფორმიანი კაცი თვითონ იჭდა საჭესთან, თუმცა, ალბათ, მძღოლი შეეფერებოდა. უეცრად სტასიამ შვება იგრძნო. ხელ-ფეხი მოუდუნდა, ზურგის ტკივილმა გაუარა, თითები გაუთბა. თავით ფანჯრის შუშას მიეყრდნო. თითქოს კონგრესის მონაწილეები, ინტურისტის ვირთხები და თავისმომჭრელი თანხმელები პირი წარმოადგენდნენ მისთვის საფრთხეს და არა ის კაცი, რომელსაც სავარაუდო გაუგებრობის გამო ვინ იცის, სად მიჰყავდა სტასია.

ფოტო გადაიღეს და ის ფირი - რა საოცარიც უნდა იყოს - გადაურჩა ჯარისკაცებს, რომლებმაც ვენზელის მოედანზე დააპატიმრეს ფოტოგრაფი, სხვა ასობით ადამიანთან ერთად, და გაჩხრიკეს კიდევ. კიტომ გაასწრო, სანამ იმასაც ხელბორკილს დაადებდნენ, სტუდენტების ჯგუფმა წაიყოლა რომელიღაც გვერდითა ქუჩაზე, იქ ხალხის ახალმა ტალღამ აიტაცა და ასე იცურა ქუჩიდან ქუჩაზე ქალაქის ნავივით, საფრთხიდან საფრთხემდე, სანამ სხვა სტუდენტების გუნდთან ერთად

ხიდზე არ გადაინაცვლა და პირდაპირ ერთი ყირგიზელი ჯარისკაცის მკლავებში არ აღმოჩნდა გამომწყვდეული, რომელმაც საბუთები მოსთხოვა. როცა კიტიმ თავისი ბრიტანული პასპორტი ამოიღო, ქანცგანყვეტილმა, მშიერ-მწყურვალმა, გულგრილი გამომეტყველებით, ყირგიზმა თანამებრძოლებს უხმო დასახმარებლად, ითათბირეს და გადაწყვიტეს, კიტი პოლიციის უახლოეს განყოფილებაში მიეყვანათ. რანგით უფრო მაღალ მოხელეს რომ მიეხედა მისთვის.

სამხედრო მანქანაში კიტიმ ჯარისკაცებს აუხსნა, რა მიზეზით იმყოფებოდა ქალაქში. რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდა, თუმცა უკვე უჭირდა, ისე სხაპასხუპით ვეღარ ახერხებდა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს აზრზე არ იყო, რა ხდებოდა ქუჩაში, არწმუნებდა, რომ ცნობისმოყვარეობის გამო აღმოჩნდა ამ ქაოსში, სულ იმეორებდა, რომ დროულად უნდა დაბრუნებულიყო სასტუმროში, რადგან კომკავშირელს აეროპორტში უნდა წაეყვანა.

ეს საუბარი შედგა 17:45 საათზე. 17:55 საათზე ყირგიზმა რაციით შეატყობინა საუბრო მილიციას უცხოელი ქალის დაპატიმრება. 18:15 საათზე სტასია სასტუმროდან გაიყვანეს. თითქმის იმავე დროს, კარლის ხიდის მახლობლად მდებარე მილიციის განყოფილებაში კიტი მიიყვანეს, ცოტა ხანში სტასიაც იქ შევიდა.

ყირგიზი ჯარისკაცის გადაღლილობამ საყოველთაო მღელვარებაში ბრიტანელი მოქალაქის აყვანის დროს – თუმცა ის აშკარად საბჭოთა კავშირიდან იყო წარმოშობით – კიტის ოცნების ასრულება შესაძლებელი გახადა.

გიორგი ალანია მთელი დღე ტელეფონზე ეკიდა, რისკზე წავიდა, ლონდონში თავის ბინასთან მდებარე ტელეფონის ჯიხურიც კი გამოიყენა პრაღელ შუამავლებთან დასარეკად. დამითვე, როცა ყურმილი დაკიდა, გულმა უგრძნო, რომ კიტი დაარღვევდა შეთანხმებას, მეტისმეტად დიდი იყო ცდუნება, მეტისმეტად უსაფრთხოდ გრძნობდა თავს თავისი პასპორტის წყალობით, იმედს არ დაკარგავდა, ძებნას დაუნწყებდა დედამისს იმ ზღვა ხალხში; რაღა თქმა უნდა, კისერს წაიტეხდა, თავისი დაუდევრობით ატაცებული, მიამიტობაში გადასული დაუდევრობით. ალანია კარგად იცნობდა კიტის და იცოდა, რომ ის ამ ცდუნებას ვერ გაუძლებდა.

თვითონ უნდა ეთქვა კოსტიასთვის უარი ამ თხოვნაზე. ძალიან წინდაუხედავად მოიქცა, ძალიან გარისკა, და მხოლოდ იმიტომ წავიდა ამაზე, რომ პირველად აჰყვა გრძნობებს მას მერე, რაც MBД-ში დაიწყო მუშაობა. კიტიც საფრთხეში ჩააგდო, უახლოესი მეგობარიც და, რაც მთავარია, საკუთარი თავიც.

ლონდონიდან ტელეფონით ატეხა განგაში, ყველა ფეხზე დააყენა. არავინ იცოდა, სად გაქრა კიტი. მაგრამ ბედმა გაუღიმა, შანსი გამოუჩნდა, გამოესწორებინა კიტი ჯამის საქმეში წლების განმავლობაში დაშვებული

ერთადერთი შეცდომა. რადგან მოკავშირეების არჩევაში არასდროს შემცდარა: ერთმა მილიციის ოფიცერმა დაურეკა, რომელსაც გიორგი წლების განმავლობაში უგზავნიდა პატარა კონვერტებით ფულს (კერძოდ კი, ბრიტანულ ფუნტებს), და კიტი ჯაშის დაპატიმრება შეატყობინა. გიორგი ალანიამ კი თავის სანდო ვაცს სტასიას მიყვანა დაავალა კიტისთან, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ უგუნურად იქცეოდა და ისევ რისკზე მიდიოდა.

ხშირად მიკითხავს სტასიასთვის, როგორი იყო ის მომენტი. მაგრამ მაშინ იმედგაცრუებული დავრჩი მისი სიტყვებით, რომლებითაც ის ამ შეხვედრას აღწერდა. არ შეეფერებოდა მომენტს, რომელიც ანტიკურ ტრაგედიას უტოლდებოდა, უბრალოდ, ღმერთების ნაცვლად KGB განაგებდა ადამიანთა ბედს. მაშინ, ახალგაზრდობაში, ჩემი ოჯახის საიდუმლოებებში ცხვირის ჩაყოფით მინდოდა, რამე ჭეშმარიტად დრამატული აღმომეჩინა, რაც ფატალურის ტოლფასი იქნებოდა, ამის ნაცვლად კი სტასიამ პატარა, ბინძური და აყროლებული დასაკითხი ოთახი აღწერა, სადაც მისმა კავკასიელმა მფარველმა შეიყვანა, და სადაც ცოტა ხანში კიტიმაც შეაბიჯა (ამ ადგილას სტასია ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ თავიდან მოჩვენება ეგონა). ფორმიან და ორდენებიან ვაცს უთქვამს მათთვის ჩუმად, ზუსტად ერთი საათი გაქვთ, მერე სტასია აეროპორტში უნდა წავიყვანო; კიტის კი, რომელიც თავის რეისს ვეღარ უსწრებდა, სასტუმროში ელიანო.

ამ შეხვედრას სტასია ყოველთვის ერთნაირად მშრალად, ლამის ბანალურად აღწერდა, როგორც საერთოდ სჩვეოდა და რაც უფრო მიძიმე და მტკივნეული იყო მის მიერ აღწერილი მოვლენები, მით უფრო უბრალოდ და ყოფითად ჟღერდა მისი მონათხრობი.

არავითარი ცრემლები (“არა, არა, არ გვიტირია! ცრემლები რას გვიშველიდა იმ მომენტში? შვებას ვიგრძნობდით, თუ რა? ცრემლები მხოლოდ სიცარიელის ამოსავსებად ვარგა, რამის ჩასანაცვლებლად. ხოლო როცა ის ადამიანი, ვისაც მისტირი, წინ გიდგას, მაშინ კი არ უნდა იტირო, არამედ გამოიყენო ის დრო, რაც გაგაჩნია, ცრემლები მოიცდის, ბოლოს და ბოლოს, მათი დაღვრა მერეც შეიძლება”).

მე ასე მაქვს წარმოდგენილი: მბჟუტავი სინათლე ცარიელ ოთახში. ჯერ დუმილი. ფრთხილი მიახლოვება. თითო-ოროლა ნაბიჯი ორივე მხრიდან, ამ ნაბიჯების ექო. კიტი სტასიას უახლოვდება და ბრმასავით ეფერება სახეზე. თითქოს იმ დროის კვალს მიჰყვება, მათ შორის რომ ჩამოწოლილა, მისი ახალი ნაოჭების, ჭაღარა თმის, წარსულის ამოცნობა უნდა.

- ჯერ არც ერთ ჩემს მოგზაურობას არ ჩაუვლია ომის გარეშე.
პირველმა სტასიამ დაილაპარაკა.

- რას ამბობ, დედა, - ამ სიტყვას, რომელიც კიტის ლამის ყელში გაეჩხირა, თავიდან უნდა შეჩვეოდა ორივე, - უბრალოდ ცუდ თაიმინგში გიმართლებს.

- თაიმინგი რა არის?

- არაფერი, დაივიწყე.

- აქცენტი გაგჩენია.

- არც ისე ხშირად მინევს ქართულად ლაპარაკი.

- გაზრდილხარ.

- რაღა დროს ჩემი გაზრდაა.

- როგორ არა, გამაღლებული ხარ. მართლა დიდ ბრიტანეთში ცხოვრობ და... მუსიკას წერ?

- ჰო. მომღერალი ვარ. და სონგებსაც ვწერ. ანუ სიმღერებს. დედა, ღმერთო, დედა...

კიტიმ ხელები აიფარა სახეზე. სტასიამ კი შვილი გულში ჩაიკრა. კიტიმ, ალბათ, იგრძნო, როგორი მსუბუქი და სიფრიფანა გახდა დედამისი, ჩიტივით, ამდენი წლის შემდეგ, ან როგორც ქვიშა, ხელიდან რომ გეცლება (ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი გრძნობა მიჩნდებოდა ხოლმე, როცა სტასიას ვეხვეოდი).

სტასიამ თბილისზე უამბო შვილს, კიტიმ კი დედას ლონდონის შესახებ. მერე სტასიამ ქრისტიანზე და ელენეზე და ნანაზე და მიქაზე და ანდროზეც კი ელაპარაკა. მხოლოდ კარგი, გამამხნეველები, დამამედებელი ამბები უთხრა. კიტი ემიზე ელაპარაკა, ფრედზე კი ხმა არ დაუძრავს. სტასია ლაპარაკობდა კოსტიანზე, ბიბლიოთეკაზე და მოახლოებულ პენსიაზე, კიტი კი - თავის მუსიკაზე.

ბევრ რამეზე ილაპარაკეს - ოლონდ არა თავიანთ შიშზე და სიძულვილზე და უსუსურობაზე, და არც წარსულის ლანდებზე. მაგრამ ის შეკითხვა, რომელიც კიტის გაქცევის შემდეგ წლების განმავლობაში ღრღნიდა ღრმა ჭრილობასავით, თვალის ბადურაზე ამომწვარი შეკითხვა, მის დამოკიდებულებას რომ განსაზღვრავდა სამყაროს მიმართ, ის შეკითხვა მაინც დასვა:

- რატომ არ გააჩერე კოსტია? ხომ იცოდი, რომ არასწორი იყო მოვლენების ასე გაყალბება, ჩემი განზე განწევა, ჩემი განირვა - მე ხომ ვერასდროს ვაპატიებ საკუთარ თავს ადამიანის მოკვლას! რატომ?

კიტი პატარა ბავშვივით ეხუტებოდა დედას, ხელს აღარ უშვებდა, მხრებზე ეხვეოდა მის ყელში მაღავდა სახეს, მის სუნს ისრუტავდა, რადგან, ღმერთმა უწყის, რამდენი ხნით უნდა შეენარჩუნებინა, დაემახსოვრებინა.

- მე დედა ვარ. მე გაგაჩინე. სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტებ. მხოლოდ შენს სიცოცხლეზე ვაგებ პასუხს. იმისთვის ვარსებობ, რომ შენ იცოცხლო. ცხოვრებას განაცვალებ. დედას ვერავინ მოსთხოვს, საკუთარ შვილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს, რა საფუძველიც არ უნდა

არსებობდეს ამისთვის. ჩემგან ამას ნუ ელი. მე სიცოცხლე შეგინარჩუნე, სხვა არჩევანი არ მქონდა.

ფორმიანი დაბრუნდა, თითქოს ქვიშის საათით ხელში იდგა კართან. დრო ამოიწურა. მაგრამ კიტის არ უნდოდა სტასიას გაშვება, ილანძღებოდა და ყვიროდა, იხვწნებოდა, ცოტა დრო კიდევ მოგვეცითო. სტასია კი სახეზე ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა:

- ისე არ მოვკვდები, კიდევ რომ არ გნახო. რამდენი დროც უნდა გავიდეს, არ მოვკვდები, სანამ შინ არ ჩამოხვალ, ახლა კი შეიკავე თავი, ჩემი ხათრით, და წადი, წადი, მაინც დამიბრუნდები, სხვა დრო მოდის, თეკლაც ამას მეუბნება და სოფიოც, ორივე ამას ამბობს, დრო შეიცვლება და დაბრუნდები და მე ცოცხალი დაგხვდები. შენს დაბრუნებამდე არ მოვკვდები.

ვარშავის პაქტის ჯარებმა სულ რაღაც სამ დღეში მოუდეს ბოლო პრადის გაბაფხულს. ჩეხოსლოვაკელი რეფორმატორები, მათ შორის დაპატიმრებული დუბჩევიც, მოსკოვში გაამწესეს და იქ სკოლის გამცდენი ბიჭებივით კუთხეში დააყენეს. პრადაში დაბრუნებულმა, ღირსებაშელახულმა დუბჩეკმა ხალხს ამცნო, რომ მოსკოვმა ყველა რეფორმა გააუქმა.

პრადის გაბაფხულმა ათიათასობით ადამიანი გააქცია ქვეყნიდან. მოსკოვის მითითებით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რესტრუქტურირაცია გატარდა და ბევრი წევრი გაირიცხა პარტიიდან. საკუთარი ქვეყნის კაპიტულაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ორმა სტუდენტმა თავი დაიწვა ვენზელის მოედანზე, არც ისე შორს იმ ადგილიდან, სადაც მანამდე კიტი იდგა და მღეროდა.

* * *

შევსვამ კვდომას და ტკივილს

- მექნითელ ღვინოს.

ყველაფერი ვიცოდი - (და) თავიდან ამომიფრინდა,

რაც კი ოდესღაც ვიცოდი.

ანდრეი ბელი

არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა! დღეების, თუ უკვე კვირების განმავლობაში ერთი და იგივე ფირფიტა ტრიალებდა დაუსრულებლად - საერთოდ ვინ იყო, ვინ მღეროდა? ყოველდღე უარს ამბობდა სკოლაში წასვლაზე, ერთობლივ საუბრეზე და ვახშამზე, ლოგინიდან არ დგებოდა და ყველას უღრენდა, ვინც მის ოთახში შეადგამდა ფეხს და რამე საჭმელს მაინც შეუტანდა. ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. ან შეყვარებული იყო, ან რაღაც სხვა პრობლემები ჰქონდა, რაც უთუოდ მეთერთმეტე კლასელებს და მათ ცუდ ნიშნებს

უკავშირდებოდა, რადგან ელენეს არც სიცხე ჰქონდა, არც ავადმყოფს ჰგავდა და მადასაც არ უჩიოდა.

ნანამ ვერ მოიფიქრა, როგორ ეიძულებინა შვილი, რომ ხმა ამოეღო. ერთადერთი, რაც მოახერხა, მისი ნუნუნის მიუხედავად, იმ დღეს სკოლაში მაინც გაუშვა.

იმედია, მართლა სკოლაში მივაო. როდემდე უნდა მოეტყუებინა მისი მასწავლებლები ნანას, როდემდე ეცრუა, რომ ელენეს საშინელი გრიპი ჰქონდა. უკვე თავი უსკდებოდა გაუთავებელი ფიქრისა და გზების ძიებისგან, აღარ უნდოდა ისევ კოსტიასთან დარეკვა და თავისი უსუსურობის აღიარება. ძალაუფლებისთვის ბრძოლამ ისედაც საკმარისად დააგლიჯა ნერვები ნანას, ისევე როგორც იმან, რომ ელენე ყველა საიდუმლოს მამამისს უზიარებდა ტელეფონით და გაღიზიანებული ჩუმდებოდა, როგორც კი ნანა შედიოდა ოთახში. ამჯერად კოსტიას არავითარ შემთხვევაში არ დაეკითხებოდა აზრს.

სტასია, პრალიდან დაბრუნების შემდეგ დამფრთხალი შველივით მომზირალი და ფიქრებში წასული, რომელთაც, ცხადია, არავის უშეხლდა, სათვალავში არ შედიოდა. ასე რომ, ნანამ ქრისტინეს სთხოვა დახმარება, – მისი ნეიტრალიტეტის იმედით, იქნებ უფრო მოეხერხებინა ელენესგან მისი უხასიათობის მიზეზის გაგება.

ქრისტინე დასთანხმდა და სკოლიდან დაბრუნებული ელენე ბაღში მაგიდასთან დაისვა. გვიანი ზაფხულის დიდებული დღე თითქოს საკარნავალოდ გამოწყობილიყო ათასფერად მოელვარე სამოსში.

ქრისტინე თავისი გავლურებული ბალის ცქერით ტკებებოდა, წითელი მიხაკებით მოქარგულ შავ კაბაში გამოწყობილი დაბერებულ ანგელოზს ჰგავდა, რომელიც საგულდაგულოდ მალავდა თავის ფრთებს. შვილიშვილს პატარა ლუკმებად დაუჭრა გადამწიფებული საზამთრო და ელენემაც ხარბად ამოივსო პირი.

– დედაშენი ამბობს, დარდები შემოგწოლია.

ელენემ თავი გაიქნია და საზამთროს მორიგ ლუკმას დააცხრა.

– განუხებს რამე? – ჩაეძია ქრისტინე და ელენესკენ გადაიხარა.

– მიქა ღორია! – გამოსცრა უცებ ელენემ და ლუკმა ჩაყლაპა.

– ბატონო?

– მიქა ღორია.

– ახლა რაღა მოხდა? – ამოიოხრა ქრისტინემ და საზამთროს თეფში გვერდზე გასწია. – შემომხედე. ამას მერე შეჭამ. იჩხუბეთ?

– არა. საზიზღრობები მიქნა და მინდა, რომ წავიდეს აქედან.

– საზიზღრობები?

ქრისტინე არ წამოვეო შვილიშვილის გათამაშებულ მიამიტობაზე.

– დიახ.

– მაგალითად?

– იმას ჰკითხე. თქვენ ხომ კარგი ურთიერთობა გაქვთ.

ქრისტინეს არ მოეწონა, როგორ წარმოთქვა ელენემ „კარგი ურთიერთობა“. მაგრამ არ აჰყვა და საუბარი განაგრძო.

- შენი გამჭრიახობის ამბავი რომ ვიცი, დარწმუნებული ვარ, არც შენ დააკლებდი.

ნაკვინა ქრისტინემ და თვითონვე გაუკვირდა, რომ ასე იწყებდა ელენეს ღვარძლიანი, მისი ასაკისთვის სრულიად შეუფერებელი სიტყვები.

- კიდევ მინდა საზამთრო.

ელენემ ჯიუტად მიიწია თეფში.

- ელენე, - გააგრძელა ქრისტინემ უკვე დამრიგებლური კილოთი, - თქვენ ბავშვები აღარ ხართ. როგორც უნდა განსხვავდებოდეს შენგან, მაინც ყურადღება და პატივისცემა უნდა გამოიჩინო მისდამი, ის ჩვენი ოჯახის წევრია.

- ოჯახის წევრები ასეთ რამეებს არ ჩადიან.

- ბატონო?

ქრისტინეს გააჟრიალა. ერთ დროს ხალისიანი, გულღია ბავშვი, მის თვალწინ რომ იზრდებოდა, ასე უტიფრად როგორ უყურებდა, როგორ ელაპარაკებოდა, ან, საერთოდ, რას გულისხმობდა?

- ჰო, მიდი, ჰკითხე, ჰკითხე ერთი!

უყვირა უცხრად ელენემ, საზამთროს ბაცი წითელი შხეფები წასკდა პირიდან, თვალეები ნაკვერჩხლებივით გაუხდა, სრულიად გამოვიდა წყობიდან. ქრისტინე შეკრთა.

- არ უნდა ექნა ეს, მე ვუკრძალავდი, ვთხოვდი, გაჩერდი-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა, მაინც მატკინა.

ისევ თავის ბავშვობის ენაზე გადავიდა, რომელიც სულ არ უხდებოდა, როცა ასე ალქაჯივით იქცეოდა. ქრისტინემ ყურებს არ დაუჭერა. ყველაფერი შეიძლებოდა მიქასთვის დაგებრალეებინა, მაგრამ ტკვილის მიყენება, ძალადობა... ამას ქრისტინე გონებაშიც არ გაივლებდა, ეს წმინდა წყლის სიცრუე იყო! წარმოუდგენელი იყო! შეუძლებელი!

- რას ლაპარაკობ, ელენე?

ქრისტინეს ჩუმი ხმა გაუხდა, ფრთხილი, თითქოს ჯერ ზუსტ ტონალობას ვერ პოულობდა.

- რა იყო, არ გჯერა ჩემი? ცხადია, შენ ფიქრობ, რომ ჩემი ბრალია, რომ მე თვითონ...

ღმერთო! რა კარგად თამაშობსო, გაიფიქრა ქრისტინემ, მართლაც რომ კარგი მსახიობია, გულისწყრომა და წყენა გამოსდის განსაკუთრებით კარგად!

- ახლავ შეწყვიტე!

ქრისტინემ თავი ველარ შეიკავა.

- მე შევწყვიტო? მე? მე არაფერი დამიშავებია. იმან მატკინა, იმან, იმან...

ელენე ატირდა. ნიანგის ცრემლებით დასტირის სიყვარულის დეფიციტს, ზიზღით გაუელვა ქრისტინეს, არადა, უნდა დამარწმუნოს, რომ უსამართლობის და ძალადობის გამო ტირისო. ქრისტინეს ენა ჩაუვარდა გაოგნებისგან, რომ ელენემ გაბედა და ასე შორს შეტოპა.

აცახცახებული წამოდგა სკამიდან, სწრაფად აუყვა კიბეს მიქას ოთახისკენ. ქრისტინეს მთელი ყურადღება თავის დაზე ჰქონდა გადატანილი, რომელსაც რაღაც გადახდა პრალაში და არ უმხელდა, ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა და ამიტომ აღარ იმტვრევდა თავს იმის გამო, რომ მიქა ამდენ დროს ატარებდა რამაზის ოთახში, ასე გვიან ბრუნდებოდა სკოლიდან, მის ოთახში აღარ შედიოდა და არ ეკითხებოდა, თმა ხომ არ დაგვარცხნო, ქრისტინემ კი ყურადღება არ მიაქცია. ახლა უკვე გასაგები გახდა, რატომაც.

მიქამ ოღნავ გამოალო კარი. ქრისტინემ თვალი შეავლო მის ფერმკრთალ სახეს, მის ამოღამებულ თვალებს. ბუნებრივია, მართო გარდატეხის ასაკს ვერ მიანერდა მისი ხასიათის მკვეთრ ცვლილებას და დაკარგულ მზერას, ადრეც უნდა მიმხვდარიყო, სახეზე ეწერა, რომ შეურაცხყოფილი იყო.

- გინდა, გავისეირნოთ? ვიფიქრე, ცოტა გავლა არ გვანყენდა არცერთს.

- დანოლას ვაპირებ, ქრისტინე.

- კარგი რა, წამო, არ გახსოვს, ადრე რამდენს დავდიოდით; სანაპიროზე გავისეირნოთ. არ გინდა ახლა ბუზღუნი, კოტ.

ადრე ხშირად მიმართავდა ასე, ხუმრობით, ამ რუსული სიტყვით „ფისო“. მიქა ყოყმანით შესცქეროდა.

- ჩაიცვი და წამომყევი, მიქა! - უფრო დაჟინებით მოსთხოვა ქრისტინემ. წამით მოეჩვენა, კარს ცხვირწინ მომიჯახუნებსო, მაგრამ მიქამ თავი დაუქნია, კარი დახურა და სწრაფად დაიწყო ჩაცმა. ადრე ოთახში შეუშვებდა, გარეთ კი არ მოაცდევინებდა, მაგრამ ის დრო წავიდა, არსში შეიცვალა რაღაც, ეს იგრძნო ქრისტინემ, რაღაც მოხდა, თავის სახლში, ცხვირწინ, მან კი ვერ შეამჩნია.

ცოტა ხანში უკვე ბარნოვის ქუჩას მიუყვებოდნენ, ოპერისკენ მიემართებოდნენ, რომ იქ პატარა ბაღში ჩამომსხდარიყვნენ. მიქას უყვარდა იქაურობა, პატარაობისას ხშირად სთხოვდა ხოლმე, დაესხდეთ და ნაყინი ვჭამოთო. ახლაც იქ დასხდნენ. ოღონდ უნაყინოდ. ქრისტინეს მელანქოლია შემოაწვა, ნაყინის ჭამის დრო წარსულს ჩაბარდა და მასთან ერთად მიქას ბავშვობაც.

- მე მგონი, ხვდები, რაზეც უნდა დაგელაპარაკო. მაინტერესებს, რა მოხდა შენსა და ელენეს შორის, ოღონდ, ხომ იცი, მაშინვე ვიგრძნობ, თუ მომატყუებ. სიმართლე მითხარი და სამაგიეროდ, სიტყვას გაძლევ, რომ არც ერთს არ გაგვიცხავთ და ყველაფერს ვიღონებ პრობლემის გადასაჭრელად, - ქრისტინემ ჩანთიდან მარაო ამოიღო და დაინიავა.

ჰაერი დახუთული იყო და ნესტიანი, ცა მოქუფრული. იგრძნობოდა, რომ მალე განვიმდებოდა და გვიანი ზაფხულის წვიმა სიცხეს განდევნიდა ქალაქიდან.

მიქასთვის არ შეუხედავს, მაგრამ იგრძნო, როგორ მოეშვა მთელი სხეულით, ფეხები მოადუნა, მანამდე შარვლის ჯიბეებში დამალული ხელეები ამოიღო, როგორ დაიწყო თავის ქნევა, თითქოს გამოტყდომა არ უნდოდა. ქრისტიანემ ხელი დაადო ხელზე, მაგრამ იმან დარცხვენილმა განია.

- ელენეს ვძულვარ, - ჩაიბუტბუტა და ფეხსაცმლის წვერით მონითალო მტვრის კორიანტელი დააყენა.

და უცებ იფეთქა, ერთ სუნთქვაზე მიაყარა, თან ხელებსა და თავს იქნევდა. სიმწრის ცრემლები მოადგა თვალებზე, ხშირი წარბების ჩრდილქვეშ. უამბო ელენეს ეჭვიანობის შესახებ, რომელსაც მუდამ გრძნობდა, უამბო მისი მტრული გამოხტომების შესახებ, უამბო, როგორ უტიფრად ექცეოდა სკოლაში, როგორ ამცირებდა, და რაც უფრო ცდილობდა, თავხედად და ბოროტად წარმოეჩინა ელენე, სულ უფრო ნათლად იკვეთებოდა ძალიან გულჩათხრობილი, ეული და სიყვარულს მოკლებული გოგოს სურათი, რომელსაც თავგზა ჰქონდა აბნეული, სიბნელეში გზას ვერ იგნებდა, თან გიჟივით იქნევდა ხელებს და ვერც კი ამჩნევდა, რომ ამით ზიანს აყენებდა სხვებს. მიქამ უამბო ქრისტიანეს იმ საღამოს შესახებ, როცა მუსიკამ მიიზიდა და ელენეს კარზე დააკაკუნა, დარცხვენილმა და აღელვებულმა უამბო, სახეაღწილმა, თან გაოფლილ ხელებს წამდაუნუმ შარვალზე ისვამდა და სიტყვებს ვერ პოულობდა იმის მოსაყოლად, რაც მაშინ მოხდა.

- მერე აღარ მახსოვს, რა ვქენი. უბრალოდ, ის გავაკეთე, რაც ჩემგან უნდოდა. გონზე არ ვიყავი, ქრისტიანე, საერთოდ აღარ მესმოდა, რას ვაკეთებდი, მაგრამ რა უნდა მექნა?!

- არ არის ეს კარგი ამბავი, მიქა, სულ არ არის კარგი, - თქვა ქრისტიანემ, როცა მიქამ უეცრად შეწყვიტა ლაპარაკი. თეატრალურად შემოეხვია ქრისტიანეს მუხლებზე და თავი ჩამალა. ქრისტიანემ ძალით გაასწორა და შეუცაცხანა.

- თავი მოთოვე და წესიერად დაჯექი. ნურავის აჩვენებ ასეთ სისუსტეს, ნურასდროს. გესმის, რას გეუბნები?

- შენ არ გჯერა ჩემი, - ასლუკუნდა მიქა, - არ გჯერა, არა?

- მე მჯერა, კი, მჯერა შენი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც დიდი პრობლემა გვაქვს მე და შენ და ამ პრობლემის აღმოფხვრა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ყველაფერი. არ უნდა დაუშვა, რომ აქამდე მიგიყვანონ, მიქა, თავი ხომ უნდა დაიცვა?! წინააღმდეგობა რატომ არ გაუწიე? - ქრისტიანეს ხმაში წყენაც კი გაისმა. ალბათ, საკუთარ თავს საყვედურობდა მიქას ასეთი ქცევის გამო.

- არ ვიცი.

ჩაფიქრდა თითქოს, თითქოს თვითონაც გაუჩნდა ეს კითხვა, გაუკვირდა, მაგრამ პასუხი ვერ იპოვა.

ქრისტიანე შედეგებს ვერ იწინასწარმეტყველებდა, იმდენად უჭირდა ელენეს ქცევის პროგნოზირება, მაგრამ რაღაც რომ აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ამას, ეს იცოდა. ნგრევის ჟინით შეპყრობილმა ელენემ ძალიან შორს შეტოპა, მაგრამ ამ ოჯახის თავი მაინც კოსტია იყო ყოველთვის – და თუ საქმე იქამდე მივიდოდა, რომ ის ამ შემთხვევის შესახებ შეიტყობდა, ცხადია, თავის შვილს დაიცავდა, მთელი სიმართლის გარკვევასაც კი არ დაინცებდა, პირიქით, ერისთავებზე თავდასხმისთვის გამოიყენებდა ამ შესაძლებლობას. რაც მას ანდროს მიმართ სიძულვილი დაუგროვდა წლების განმავლობაში, ამ შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა, მთელ რისხვას ანდროს შვილს დაატეხდა.

– გამაგდებენ? ისევ სოფელში დაბრუნება მომიწევს?

მიქამ ცრემლი შეიმშრალა დაკეცილ-დაუთოვებელი ცხვირსახოცით, ქრისტიანე რომ უდებდა დღეგამოშვებით გულის ჯიბეში. თითქოს მისი ვარაუდი გამოიცნო.

– ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს არ მოხდეს.

– ქრისტიანე, გჯერა ჩემი? მართლა გჯერა?

– კი, მჯერა, მიქა. მე ხომ გიცნობ.

სანამ შინ დაბრუნდებოდნენ, ქრისტიანემ გზაშივე გადაწყვიტა, რომ მიქას დაიცავდა, იბრძოლებდა მისთვის, რადგან, ელენესგან განსხვავებით, მას სხვა არავინ ჰყავდა ამის გამკეთებელი, თვითონ, ეტყობა, ვერ ახერხებდა. შესაძლოა, ჯერ. ან იქნებ, საერთოდ.

ქრისტიანემ იცოდა, რომ ეს ტუტუცური, უგუნური შემთხვევა ოჯახის გახლეჩას გამოიწვევდა. არადა, ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ჩართულიყო თავისი დისშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ბიჭის წინააღმდეგ, რომელიც ოდესღაც ისევე დაატარებდა ნაყინის საჭმელად ქალაქის სხვადასხვა პარკსა და ბაღში და რომელიც ისეთივე აღტაცებით და ერთგულებით შესცივინებდა თვალებში, როგორც მერე მიქა. ქრისტიანე იძულებული იყო. თვალი გაესწორებინა იმ ფაქტისთვის, რომ ის ნაყინის მოყვარული ბიჭი დიდი ხანია აღარ არსებობდა, სამუდამოდ გამქრალიყო, რომ დრომ და ომმა სამუდამოდ ჩაკლა ის ბიჭი კოსტიაში, მიქას კი ჯერ კიდევ ჰქონდა შანსი, დაეცვა და დაეთარა ის ბიჭი საკუთარ თავში და ამით ბავშვობა შეენარჩუნებინა.

იმავე ღამეს შეაჭრა ელენესთან ოთახში და ლოგინიდან წამოაგდო. სანამ ნამძინარევი ელენე აზრზე მოვიდოდა, ქრისტიანემ უკვე კალაშნიკოვივით მიაყარა:

– ასეთ არაადამიანად ჩვენ არ გავვიზრდებიან! მაინტერესებს, როგორ დააგროვე ამდენი სიძულვილი? ვეღარც კი გცნობ ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს პატარას, ხელში ატატებულს რომ დაგატარებდი, იმ ბავშვს,

ჩემთან ერთად რომ იჩიქნებოდა ბაღში... ჰო, აღარც კი ვიცი, ვინ ხარ, რამ მიგიყვანა აქამდე. და შენ მაგივრად მრცხვენია.

ელენეს ხმა არ ამოუღია, მაგრამ გაბრაზებულმა მუშტები შეკრა, ტუჩები მოპრუნა და ქრისტინეს თვალი აარიდა. გუნებაში გაჰკვიოდა: ეს უსამართლობაა, უსამართლობაა და მეტი არაფერი! იმ გულგრილ, ბოთე ხიზანს როგორ უნდა დაეჯაბნა ისევ. რატომ უნდა მიეცათ მისთვის ყველაფერი, რატომ უნდა ეჩუქებინათ ის, რაზეც ასე ოცნებობდა მოსკოვში მართოდმართო, საათობით. იმის სიმართლეს მეტი ფასი რატომ უნდა ჰქონოდა.

თან იმასაც ფიქრობდა, იქნებ ღირდა მონანიება, ცრემლიანი აღსარება, რომ მერე ისევ გულში ჩაეკრათ და შეჰპირებოდნენ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, სიტყვა მიეცათ, რომ სამუდამოდ ეყვარებოდათ ისეთი, როგორიც იყო, და არა მისი ქცევიდან გამომდინარე.

წამით მოეჩვენა, რომ ამ ორი აზრისგან თავი გაუსკდებოდა, კინაღამ აღრიალდა, უნდოდა მკლავებში მოექცია ქრისტინე და არ გაეშვა, სანამ ბოლომდე არ ეტყოდა სათქმელს, სანამ ეჭვისა და შიშისგან არ გათავისუფლდებოდა. მაგრამ რომელი სიტყვები ეყოფოდა ამისთვის? რომელი წინადადებებით შეძლებდა თავისი ტანჯვის გამოხატვას? რამდენ დროს წაიღებდა ეს წამოწყება? საათებს, დღეებს, კვირებს? არა, ამას ვერ იზამდა. თავისი გულისტკივილის ახსნა და იმედგაცრუებების ჩამოთვლა შეეძლო, ალბათ. მაგრამ იყო კიდევ რაღაც, რაც იმ საღამოდან მოყოლებული დაბუდებულიყო მის თავში, მის სხეულში, მის ხმაში, გაუგებარი, აუხსნელი გრძნობა, ბევრად უარესი, ვიდრე მთელი მისი ეგრეთ წოდებული სიძულვილი მიქას მიმართ. ეს გრძნობა აფრთხობდა, ბოჭავდა. მაგრამ საკუთარ თავსაც კი არ უტყდებოდა, უბრალოდ არ უნდოდა ეღიარებინა, რამდენად უფრო მტკივნეული იყო იმის გახსენება, რომ მიქამ ხელი ჰკრა და უარი თქვა მასზე, ვიდრე მის სამფლობელოში რომ შემოიჭრა და მისი კუთვნილი ადგილი დაიკავა. კიდევ რამდენიმე წამიც, და, ალბათ, მართლა შეეცდებოდა ყველაფრის გამოსწორებას – მაგრამ ქრისტინემ შეუშალა ხელი, მწარე სილა გააწნა და შეუქცევადი შედეგები გამოიწვია.

ქრისტინეს გაძვალტყავებული ხელი მარჯვენა ლოყაში მოხვდა ელენეს, დარტყმისგან დარეტიანებული და ალენილი ლოგინიდან ძირს ჩასრიალდა და გული აერია პატარა ხალიჩაზე.

ქრისტინე მოკრუნჩხულ ელენეს მიაშტერდა, რომელიც მონგრეულ-მოთხუპნული სახით უყურებდა, და ისე გააქნია თავი, თითქოს ელენეს ამორწყეული საჭმლის ნარჩენების მიღმა ბნელი მომავალი ამოიკითხა.

- რა გინდა ჩემგან? - მძიმედ ამოიხვნეშა ელენემ, - თქვენ ყველას, რა გინდათ ჩემგან? წადი და იმას თანაუგრძნე, წადი.

- თვიური დაგენყო უკვე?

ქრისტინე თვალს არ აშორებდა ნარწყევს.

- ჰო, ცამეტი წლიდან. რას მეკითხები?
- რას გეკითხები და ბოლოს როდის გქონდა?!
- აზრზე არ ვარ. როდისღაც. მომეშვი!
- არა. არა, ოღონდ ეს არა.

ქრისტინემ წამოაყენა ელენე, აბაზანაში შეიყვანა და პირსახოცი გაუნოდა. მერე სამზარეულოში გავიდა და ცხელი შოკოლადი მოიხარშა, უნდა დაეღია, სანამ გადანყვეტდა, როგორ მოქცეულიყო. ისედაც დათარსული სიტუაცია იყო.

მეორე დილას, როცა მიქა და ელენე სკოლაში წავიდნენ, ქრისტინემ ნანას გაანდო, შენი შვილი, მგონი, ორსულად არისო. ეს ვარაუდი გამართლდა, ელენე გაუპატიურების ვერსიას მიაწვა და მიქას დადანაშაულება განაგრძო, ძალა იხმარაო. ისედაც თავგზააბნეული სტასია ამ ტრაგიკულ მოვლენებში არ ჩაურევიათ.

- ახლა რაღა ვქნათ? - ჰკითხა ქრისტინემ ნანას.

- ღმერთო ჩემო, ქრისტინე, თხუთმეტი წლის არის, რა უნდა ვქნათ? ჩემი სანყალი გოგო, ეს როგორ გაუკეთა, როგორ? კოსტიამ რომ გაიგოს, აღარც დამანახვებს შვილს. არა, ეს დაუშვებელია, აქამდე არ უნდა მივიდეს.

ნანას ნერვებმა უმტყუნა. დღეები გადიოდა ისე, რომ სახლიდან ფეხს არ ადგამდა.

- მას არ უქნია ეს. მას არ დაუძალებია, რატომ არ მისმენ?

- იმიტომ, რომ უსინდისობაა, რასაც ამბობ, ამას არასდროს დავიჯერებ, როგორ, შენ მიგაჩნია, რომ ჩემს შვილს შეეძლო... არა!

- ასეა თუ ისე, მიქას უნდა გავაგებინოთ.

- ხომ არ გაგიჟდი! თქვენ ყველამ რაღაც პარალელური რეალობა შეიქმენით ამ სახლში! მიქას გავაგებინოთ? მიქას? იმას, ვინც ამ დღეში ჩამიგდო ბავშვი, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რა უქნა, - ნანა ისევ ასლუკუნდა, - დანახვაც კი არ მინდა მისი, ამას ვერ ავიტან. პასუხს ვერ ვაგებ საკუთარ თავზე, მზად ვარ, დავგლიჯო. უნდა გავაგებინოთ, ჰო, აბა რა, - გამოაჯავრა ქრისტინეს, - არ გამაცინო!

- არა მგონია, შენი და კოსტიას გადასანყვეტი იყოს ეს. თვითონ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. ელენემ და მიქამ. მხოლოდ და მხოლოდ მათ და არავინ სხვამ.

ქრისტინე მონოტონურად ლაპარაკობდა, თითქოს აღარც კი ცდილობდა ნანას დარწმუნებას სხვა სიმართლის არსებობაში, თითქოს უკვე შეეგუა, რომ მაინც არავინ დაუჭერებდა.

- ეგ ნაბიჯვარი სასწრაფოდ დატოვებს აქაურობას და გადაეცი, რომ თვალთ არ დამენახოს, თორემ... - ნანა გადარეულივით ირწეოდა აქეთ-იქით, ანტიკური დრამის მოტირალი ქალივით. - მე არ დავუშვებ, რომ ამ პატარა არამზადამ ცხოვრება დაუნგრეოს ჩემს შვილს.

- კი მაგრამ, ნანა...

- ჩემს ექიმს დაველაპარაკები. არაჩვეულებრივი გინეკოლოგია. ისე იზამს, რომ საბუთებში არ გაატარებს.

- ეს არ დაუშვა, არ დააძალო ამის გაკეთება. შედეგი საბედისწერო იქნება.

ქრისტინე ძალიან ჩუმად ლაპარაკობდა, ძალაგამოღებული, თითქოს იმედი აღარ ჰქონდა, რომ მისი სიტყვები რამეს შეცვლიდა.

- საბედისწერო შედეგი? ეს შედეგი უკვე ფაქტია. დიახ, ბატონო, უმძიმესი, ფატალური შედეგი. და სწორედ ეს უნდა ავირიდოთ, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან!

ნანა ცოტა დანყნარდა, სუფრის კილით მოიწმინდა ცრემლები.

ქრისტინე ადგა, გასვლა დააპირა, რაკი ველარაფერს გამოასწორებდა, არ უნდოდა დაენახა, როგორ კლავდნენ შესანიშნავ ბატკანს, არ უნდოდა სიცრუის დატირება, არ უნდოდა მონაწილეობა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, რადაც ნანას და კოსტიას ცოლქმრობა იქცა და რის უშუალო შედეგმაც ელენეს მუცელში დაიბუდა. მაგრამ ფეხი ვერ მოიკვალა, რაღაცამ გააკავა, ფეხები ტყვიასავით გაუხდა.

დადუმებული კიტი წამოუტივტივდა გონებაში. კიტის ნორჩი სახე, სრულიად უსიცოცხლო, როცა რამდენიმე დღით გადაკარგულმა ბოლოს კარზე დარეკა ხარი. უმუცლოდ. უშვილოდ. ქრისტინემ თვალები მოიფშვნიტა. მიქა! მარტო ამას ჰქონდა აზრი, ის უნდა გადაერჩინა ამ ყველაფრისგან, ამ არასწორი გადაწყვეტილებისგან, რამე უნდა ელონა. აღარ ჰქონდა გარედან ყურების და მოცდის უფლება. უნდა ემოქმედა.

ერთი კვირის შემდეგ გაუკეთეს აბორტი. ერთი კვირა დასჭირდა ნანას შვილის დასარწმუნებლად, რომ ეს ერთადერთი შესაძლებლობა იყო უდარდელი ცხოვრების გასაგრძელებლად, სხვა შემთხვევაში საზოგადოებიდან გარიყული აღმოჩნდებოდა, ასე კი სკოლასაც დაამთავრებდა და ბედნიერი მომავლის იმედსაც შეინარჩუნებდა. ერთი კვირა არწმუნებდა, სიტყვა არ დაეძრა მამამისთან ამ შემთხვევის შესახებ. პირველი საიდუმლო, რომელიც ნანამ შვილთან გაიზიარა, როგორც იქნა. მხოლოდ ამ ორის საიდუმლო. ნამდვილი დედა-შვილი, რასაც ყოველთვის ნატრობდა, ქმრის ჩაურევლად.

ქრისტინემ ანდრო გამოიძახა თბილისში. ავტობუსების სადგურზე ხელი გაუყარა და ზემო ვერის გზას კი არ დაადგა, როგორც ყოველთვის, არამედ საუკეთესო სასადილოში წაიყვანა სადგურზევე და ვითარება აუხსნა. ანდრო ყურადღებით უსმენდა, ენეოდა თავის „კოსმოსს“ და წარამარა თავს იფხანდა. ლოთობა უკვე ამკარად ემჩნეოდა: დასიებული იყო, ლოყებზე წითელი ლაქები გასჩენოდა.

ორი წლის წინ სოფლის ექიმი მოუსყიდა, რომელსაც ცნობა მიუცია, მას მერე საძულველი საკოლმეურნეო საქმიანობისთვის უვარგისად იქნა

მიჩნეული და ქვის მთელედად მუშაობდა, მარქსის, ენგელსის და ლენინის ბიუსტებს აკეთებდა.

- არც კი ვიცი, რა ვთქვა, - უთხრა ანდრომ, წვერი მოიფხანა და სიგარეტი მოქაჩა.

- მაშინ თავს ძალა დაატანე ცოტა და დამეხმარე, რომ ნათელი მოვფინო ამ სიტუაციას ყველას საკეთილდღეოდ.

- ყველას საკეთილდღეოდ? ხუმრობ, ქრისტინე?

- სულ ერთი წელი დარჩათ სკოლაში, ამის მოხერხება შესაძლებელი უნდა იყოს. ოღონდ...

- ის მაინც გაიგებს, ასე თუ ისე. ეს რა ღვთის რისხვაა.

- კოსტია? ვერ გაიგებს. ეს არავის უნდა. ყველაზე ნაკლებად კი ნანას, ამიტომ ყველაფერს იღონებს, რომ კოსტიამ არაფერი გაიგოს.

- ასეთი რამეების დამალვა შეუძლებელია.

- მიქა მალე სრულწლოვანი გახდება. იქამდე დრო უნდა გავწელით. მერე დამოუკიდებლად ცხოვრება შეეძლება, საერთო საცხოვრებელში გადავა, ან... მერე თვითონ მიხედავს თავს, შეეძლება დარჩეს, უმაღლესში ჩააბაროს, მეც მივხედავ ისევ. ოღონდ ახლა, ამ სიტუაციაში, მათი ერთ ჭერქვეშ დარჩენა ძალიან საშიშია.

- მეგობარი მე არ შემრჩა და ნათესავი, ქრისტინე, ყველა მომიკვდა. მე წავიყვან. სხვა გამოსავალი არ არსებობს. ისევ სოფლის სკოლაში ივლის და ეგ იქნება.

- ასე როგორ გამოვუშვა, ერთი წელიდა დარჩა, ერთი წელი უნდა...

- მე არაფერი გამაჩნია, არაფერი შემიძლია. იმაზეც მაღლობელი ვარ, შეკვეთები რომ მაქვს და ერთი-ორი რუბლით მეტს ვმოულობ, როცა ოსტატი მთვრალია ხოლმე და მარქსის ან ენგელსის გაკეთება მე მიწევს. ყველაზე მეტს ლენინით ვმოულობ. ლენინის ბიუსტები ღირს ყველაზე ძვირი. შენ გესმის, რა ცხოვრება მაქვს?

დედაჩემმა ძლივს აიღო ატესტატი. ნანამ კი კოსტია დააჯერა, წარჩინებით დაამთავრა სკოლაო, მისი რისხვა რომ არ გამოეწვია. კოსტია ფრიად კმაყოფილი დარჩა შვილის ეგრეთ წოდებული მიზანდასახულობით და გონიერებით. ოჯახს სასიხარულო ამბავიც შეატყობინა, რომ სახელმწიფოსგან დიდი მიწის ნაკვეთი გადაეცა დამსახურებისთვის. როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქეს, ვინც რამეს წარმოადგენდა, ახლა მასაც შეეძლო აგარაკი - „დაჩა“ - აეშენებინა.

მიწის ნაკვეთი თბილისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, მანქანით ერთი საათის სავალზე, თვალწარმტაც სოფელში, ცხენსაშენისა და მიტოვებული მონასტრის მახლობლად. ნაკვეთზე ჯერ კიდევ იდგა წინა საუკუნიდან შემორჩენილი, ნახევრად დანგრეული, ტრადიციული სააგარაკე სახლი, რომლის აღდგენაც უნდოდა კოსტიას თავის გემოზე.

- ჩემი სახლი მეღირსება! მგონი, ყველა იქ უნდა გადავიდეთ საცხოვრებლად. არც ისე შორსაა ქალაქიდან, რომ სამსახურში ვერ

ვიართ იქიდან, სამაგიეროდ, იმდენად შორს კი არის, რომ სიმშვიდეში ვიყოთ! ისეთი რამ მაქვს ჩაფიქრებული, აგარაკზე უკეთესი იქნება.

დედამისს სამშენებლო სამუშაოების ორგანიზება და მასალების შოვნა დაავალა; საძულველ პენსიაზე გასულმა სტასიამ სიხარულით მიიღო შეთავაზება, იფიქრა, ასეთ საოცარ ადგილას იქნებ მართლა განვიზმინდოთ და ახალი ცხოვრება დავიწყოთ. ზუსტად იმ წელს, როცა „მწვანე სახლის“ მშენებლობა დაიწყო, როგორც მე და დედაშენმა შევარქვით მერე, რადგან, როცა ჩვენ იქ დავსახლდით, მთლიანად სურთი იყო დაფარული, ქალების მარადიულ სამფლობელოში ერთი სიცოცხლე ისე მოისწრაფა, რომ კოსტიას და მიქას არაფერი გაუგიათ. იმ სახლში გავიზარდეთ დარია და მე.

* * *

რისთვის გვინდა საერთოდ სკოლები, თუ არა იმისთვის, რომ ანტიკომუნიზმი ჩავაგონოთ ჩვენს შვილებს?

ნიქსონი

ელენეს მეთექვსმეტე დაბადების დღისთვის კოსტია მოულოდნელად ჩამოვიდა ცოტა ხნით და ნამდვილი ფრანგული სუნამო ჩამოუტანა, რაც იმას მიანიშნებდა, რომ ელენე ბავშვი აღარ იყო. კოსტია დიდი წვეულების გამართვასაც აპირებდა, მაგრამ წინა ღამით ელენე სადღაც გაუჩინარდა და ვერსად იპოვეს. ბოლოს ბარათს წააწყდნენ, სადაც მისი ლამაზი ხელით ეწერა:

“მე წავედი და ძებნას ნუ დამიწყებთ. თავს უფლება მივეცი – ბოდიშს ვიხდი ამისთვის – და ორი ძენკვი ავიღე დედას სამკაულების ბარდახშიდან და ცოტა ფულიც სტასიას ხელჩანთიდან. ღმერთი მინდა ვიპოვო. ასე რომ, არ იდარდოთ და არ მეძებოთ. თქვენი ელენე”.

თითქმის ერთი კვირის მერე უპოვიათ, კოსტიას მთელი თავისი ნაცნობობა და გავლენა გამოუყენებია; მართლაც მონასტერში წასულა, ყაზბეგთან. მისი იქიდან წამოყვანა ნამდვილ კინოს ჰგავდა თურმე. როგორც ნანა მიყვებოდა მერე, კოსტიას დახვეული ხალიჩასავით მხარზე გადაუდია ელენე, ის კი გადარეულივით ყვიროდა და ხელ-ფეხს იქნევდა. მანქანაშიც არ გაჩერებულა, ხან ევედრებოდა მშობლებს და ხან ეშმაკებით და ჯოჯოხეთით ემუქრებოდა, უკან თუ არ დამაბრუნებთ და თავს არ დამანებებთო.

კოსტია ტკბილად და თბილად ექცეოდა, არ საყვედურობდა და მთელი არსებით ცდილობდა გაეგო, როგორ გარდაიქმნა ასე მკვეთრად მისი სამაგალითო გოგო ღვთის მაძიებელ, ადამიანთა საზოგადოების მოძულე ქალად. შვებულება აიღო, ორი ოთახი დაჯავშნა სოჭის სანატორიუმში, სამკურნალო მინერალურ წყლებზე და ელენესთან ერთად გადაფრინდა იქ. საუკეთესო რესტორნები მოატარა, ყირიმული

შამპანურის დაღვევის უფლებაც კი მისცა, დილაობით, სანამ სანაპირო ხალხით გაივსებოდა, მასთან ერთად დადიოდა საცურაოდ ზღვაზე, რომელსაც იისფერი დაჰკრავდა, საღამოობით თეთრ ბულვარში ასეირნებდა და ამბოხების მიზეზის ამოცნობას ცდილობდა მისი მდუმარების მიღმა. დღეები ერთმანეთს მიჰყვებოდა, სანამ ზღვამ, სიმშვიდემ, დაუსმელმა კითხვებმა, გამოუთქმელმა საყვედურებმა, მამის განუყოფელმა ყურადღებამ, მის გვერდით ყოფნის უსაფრთხოებამ ელენეს ღიმილი არ დასტყუა. გაქვავებული სახე მოურბილდა, სურვილებიც კი გაუჩნდა, უკვე ამბობდა, რომ რაღაცის ნახვა ან სადმე წასვლა უნდოდა ამა და ამ დღეს და – იშვიათად, მაგრამ მაინც – თითქოს ივინყებდა თავის დარდს, ისევ იმ ელენეს ემსგავსებოდა, მოსკოვში როგორიც იყო, ენერგიული, ხალისიანი, კოსტიას დისციპლინებული, პატივმოყვარე შვილი. ასეთ წუთებში მამა იჯერებდა, რომ მოთმინებითა და თავდადებით შეძლებდა იმის გამოსწორებას, რაც ცოლმა ავნო მის შვილს.

იმ გვიან ზაფხულს, სოჭის საუკეთესო სანაპიროს მამველად მუშაობდა ვინმე ვასილი, რომელსაც კავკასიელი დამსვენებლები ვასოს ეძახდნენ ქართულ ყაიდაზე. სულ ცოტა ხნის წინ გამხდარიყო ოცი წლის და იმაზე ოცნებობდა, როგორ შემძვრალიყო ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე გემის სატვირთო განყოფილებაში და ერთხელ და სამუდამოდ გაქცეოდა თავის წარმომავლობას, საბჭოურ ბედ-იღბალს და რომელიმე დასავლურ, საუკეთესო შემთხვევაში, ამერიკულ მომავალში შეცურებულებიყო. უმამოდ გაზრდილს, მხოლოდ დედა ჰყავდა, რომელიც მთელი ცხოვრება დამლაგებლად მუშაობდა სანატორიუმებში, და უფროსი ძმა, წვრილმანი დამნაშავე, რომელსაც მანქანის ქურდობის გამო ხუთი წელი მიუსაჯეს და მისი წერილებიდან ჩანდა, რომ ციხიდან უკვე მსხვილი კრიმინალი დაბრუნდებოდა.

მისგან განსხვავებით, ვასო, რომელიც მშობლიური რუსულის გარდა, კიდევ ქართულად, სომხურად, აფხაზურად, ცოტა გერმანულად და თურქულადაც კი ლაპარაკობდა, სულ სხვა რამეზე ოცნებობდა, უფრო ამაღლებულზე. პატარაობიდან ხედავდა, როგორ მიდი-მოდიოდნენ დამსვენებლები სანატორიუმებში, მასზე და მის ოჯახზე რამდენად უკეთ ცხოვრობდნენ, მისნაირები კი ემსახურებოდნენ. ყოველთვის ოცნებობდა, როგორ გაუცვლიდა ერთ მშვენიერ დღეს ადგილს. როგორ ჩაიცვამდა ღუნდულა ხალათს, მოწრუპავდა ყირიმულ შამპანურს, კმაყოფილი გახედავდა ჰორიზონტს, ყოველ საღამოს საცეკვაოდ გამოეწყობოდა, გვერდით ლამაზ ქალს ამოიყენებდა, რომელიც მოციმციმეცვებიან საყურეებს შეარხევდა. მაგრამ ერთადერთი, რაც ელოდა, მისი მდგომარეობის, შესაძლებლობების და მის პასპორტში ჩანერილი მამის სტატუსის (“უცნობია”) გათვალისწინებით, იყო ან ოფიციალტად მუშაობა და დაბალი ხელფასი კურორტის სასტუმროებში, ან ფორთოხლისა და

მანდარინის ტრანსპორტირება შავ ზღვაში აღმა-დაღმა მოცურავე რომელიმე დაბინძურებული ტვირთმზიდით, რომელიც ატლანტიკას არც კი ეკარებოდა. უკეთეს შემთხვევაში, შესაძლოა სანატორიუმის პორტიე გამხდარიყო, გაპრიალებული და თმაგადაგლეხილი. არც ერთი შესაძლებლობა არ იტაცებდა მაინცდამაინც. არც ერთი არ შეესაბამებოდა მის ოცნებებს.

ასე რომ, გადანყვითა, უჩვეულო, მაგრამ არცთუ უსიამოვნო ნაბიჯით მიახლოებოდა თავის ოცნებებს და თან ცხოვრების იმ უპირატესობებით დამტკბარიყო, რომლებიც ბედმა არ არგუნა. ძალიან კარგი გარეგნობა ჰქონდა, და ეს იცოდა ხუთი წლის ასაკიდან მოყოლებული, როცა დედა დამლაგებლის ურიკით დააგორებდა სანატორიუმის კორიდორებში და შეძახილები ესმოდა, უმეტესად ქალების – „რა ლამაზი ბიჭია! რა თვალები აქვს! რა ტუჩები აქვს! რა თმა აქვს!“ – მაგრამ ერთ დღეს, როცა გარკვეულ ასაკს მიაღწია, ეს წამოძახილები შეწყდა და მათი ადგილი აწითლებულმა ლოყებმა, მრავლისმეტყველმა გამოხედვამ და აღელვებულმა ჩურჩულმა დაიკავა, როცა ბაღის მაკრატლითა და ხელთათმანებით აღჭურვილი სანატორიუმის ბუჩქნარს უვლიდა ხოლმე. ძალიან სწრაფად უკუაგდო დედის მიერ ნვალებით ჩანერგილი მორიდება და თვინიერება დამსვენებლების მიმართ. როგორც კი მიხვდა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა ბადმინტონის მოთამაშე ან უსაქმოდ მოყიალე სტუმრების უმრავლესობას, გათამამდა, დამსვენებელ ქალებთან გამოლაპარაკების უფლება მისცა თავს, თანდათან სულ უფრო თავდაჯერებული ხდებოდა – და უკვე ერთი პატარა ნაბიჯილა აკლდა ქალების მონადირებამდე. მალევე მიხვდა, რომ ახალგაზრდა, ტანადი, სურნელოვანი გოგოები ისე არ გამოადგებოდნენ, როგორც ასაკოვანი, ნაკლებად მკვრივი, სამაგიეროდ, უფრო მოწყენილი და უფრო თამამი ქალები. გოგოებს ლამაზი სხეულების გარდა ბევრი არაფერი გააჩნდათ. თავიანთ მამებზე, დედებზე, შეყვარებულებზე და ქმრებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ისინიც რაღაცას ნატრობდნენ ვასოსავით, ისინიც გალიებში იყვნენ გამომწყვდეულნი, თუნდაც ოქროს გალიებში. მათგან განსხვავებით, ორმოცს გადაცილებულ ქალებს აღარ გააჩნდათ ოცნებები – არც ასრულებული და არც აუსრულებელი – გათხოვილებს, სამსახურის მქონეებს, ბავშვებგაჩენილებს, ვალმოხდილებს, იმედგაცრუებულებს, ცხოვრების ზენიტში მყოფებს და გამოფიტულებს, სიყვარული აკლდათ. საოცარი იყო, რამდენი ქალი დადიოდა დასასვენებლად მარტოდმარტო, რადგან ქმრები ან ძალიან დაკავებული იყვნენ, ან უფრო ახალგაზრდებსა და ლამაზებთან ატარებდნენ დროს. რაც მთავარია, ასეთები უფრო დიდსულოვნები იყვნენ. ყოველთვის ასაჩუქრებდნენ გარჯისთვის. მას მერე, რაც ერთმა მდიდარმა ოდესელმა ქვრივმა თოთხმეტი წლისა შეაცდინა და სიყვარულის ხელოვნებას აზიარა, ვასო სულ აგროვებდა ცოტ-ცოტა ფულს და რაღაც ფასეულობებსაც, რათა ერთ მშვენიერ დღეს

ბილეთის ყიდვა უნდა შეძლებოდა რომელიმე ინტერნაციონალურ გემზე, როგორც მიზნად დაისახა. მერე კი მის ამერიკულ ოცნებას ველარაფერი დაუდგებოდა წინ, ამაში ვასო დარწმუნებული იყო. თუმცა ფული არა და არ ჰყოფნიდა. რამდენიც უნდა ემუშავა, რამდენი ქალიც უნდა გაებედნიერებინა, ყოველთვის რალაც დაბრკოლებას აწყდებოდა. ხან დედამისის სახით, რომელიც წლებში შედიოდა და ჯანმრთელობას უჩიოდა, ხან ძმას უნდა მიეცა ვილაცისთვის ქრთამი პატიმრობის შესამცივებლად, ხან თვითონ უნევდა საქმეში ინვესტირება და ახალი ტანსაცმლის ყიდვა. რასაც შოულობდა, ყველაფერი ეხარჯებოდა: ისევ და ისევ თავიდან იწყებდა; მაგრამ მისი ამერიკული ოცნება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე იმედგაცრუება და დაბრკოლებები, ამიტომ უღირდა.

ამ ოცნებით შეპყრობილი დაუღალავად ასხამდა ხოტბას მარტოხელა ქალების სილამაზეს, გამოგონილს ან რეალურს, დაჰყავდა განმარტოებულ ყურეებში და მოშორებულ სანაპიროებზე, უმღეროდა მებღვაურების უწმანურ სიმღერებს და ღამდამობით ბედნიერებას ანიჭებდა მათი სანატორიუმებისა და სასტუმროების ლოგინებში. გარუჯული იყო, ათლეთური აღნაგობის, ქერა თმაზე ცვილს ისვამდა, სუნამოს ისხურებდა, ალბათ, ოდნავ ამეტებდა, ისე თავგამოდებით იწონებდა თავს, მაგრამ მაინც საკმარისად ლამაზი იყო, რომ ის ქალები ცოლქმრობის დამთრგუნველი უღლისგან, მოწყენილობისა და სიბერის შიშისგან დაეხსნა, მათი შვებულების დასრულებამდე მაინც.

ვასო უკვე ისე იყო გადაწყობილი ასაკოვან ქალებზე, მათ სურვილებსა და მოთხოვნილებებზე, რომ ახალგაზრდა, გარუჯული გოგოს ყურადღება იმ გვიან ზაფხულს, ალბათ, ცოტა გაუკვირდა და ეხამუშა კიდევ. მაგრამ დედაჩემმა პირველივე დღეს შეამჩნია ზღვასთან, სადაც ვასო შეზღონგებს აჭირავებდა და მას მერე სულ თვალყურს ადევნებდა, როგორც კი კოსტია თავის ოთახში საქმიან საუბარს იწყებდა ტელეფონით, დროს იხელთებდა ხოლმე და მარტო ჩადიოდა სანაპიროზე, შეზღონგს იღებდა. ვასო სიამოვნებით, გადამეტებული მონდომებითაც კი მის მიერ არჩეულ ადგილამდე აცილებდა და ყინულებიც მიჰქონდა სასმლისთვის.

არც კოსტიას გამოჰპარვია, მისდა სამწუხაროდ, რომ შვილის ღიმილი მამისა და მისი მზრუნველობის დამსახურება კი არ იყო, არამედ უფრო იმ ლამაზი ბიჭის, სანაპიროზე რომ ხედავდნენ, რომელიც მეთისმეტად ხშირად აპარებდა თვალს ელენესკენ და ყურებამდე უცინოდა, როცა გოგონა ჩაუვლიდა ხოლმე. თავიდან კი დააპირა კოსტიამ შვილისთვის შეეთავაზებინა, სხვა სანაპიროზე გადავიდეთო, მაგრამ მერე გადაწყვიტა, რომ არ ღირდა ამ შანსის ხელიდან გაშვება და აჯობებდა, იმ ბიჭის გატაცება საკუთარი მიზნებისთვის გამოეყენებინა, რადგან, ცოლისგან განსხვავებით, კოსტია დარწმუნებული იყო, რომ ყველაფრის გაკონტროლება შეეძლო. ჯერ იყო და, რამდენჯერმე მარტო დატოვა

შეყვარებულები, ხან კაფეში, ხან ოთახში. მერე კი, როცა სიტუაცია უკვე აშკარად გამოიკვეთა, ერთ საღამოს გამოიჭირა ვასო მისი ცვლის დამთავრების შემდეგ და ურჩია, კარგ რესტორანში წაეყვანა ელენე, მე გადავიხდი, რომ ელენეს კულინარიულმა გემოვნებამ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაგდოსო. კოსტიას გეგმით, ამ ბიჭს არცთუ უმნიშვნელო როლი ენიჭებოდა მამა-შვილის ურთიერთობის დალაგებაში. კოსტია გამგებ, მოსიყვარულე მამად უნდა წარმოჩენილიყო და ამით ელენეს ვეთილგანწყობა დაებრუნებინა, მერე კი დაერწმუნებინა შვილი, რომ კიდევ ერთ შანსს იმსახურებდა ორივე და მოსკოვის უნივერსიტეტის ნებისმიერი ფაკულტეტის კარი გაიღებოდა მისთვის, თუ მოსკოვში დაბრუნებას გადაწყვეტდა.

მაგრამ ელენე სულ არ იყო თავდავიწყებით შეყვარებული, მგრძნობიარე და ვნებას აყოლილი გოგო, როგორც მამამისს ეგონა. მასში რაღაც ჩამტყდარიყო, დოქის სახელურივით, საკუთარი თავის სიძულვილი, მთელი სამყაროსა და თავისი ოჯახის მიმართ ზიზღი ამოძრავებდა, მართო იმაზე ფიქრობდა, როგორ დაემსხვრია დოქი მთლიანად, ბოლომდე დაეფშვნა, რომ მისი გამთელება შეუძლებელი გამხდარიყო.

ელენეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ რაღაც საშინელება ჩაიდინა, მაგრამ არ დასჯილა. პირიქით, უდანაშაულო დაისაჯა. ღმერთს დაუნყო ძებნა, რაკი ოჯახმა და სახელმწიფომ არ ინებეს მისი დასჯა, ღმერთს ხომ მაინც უნდა დაესაჯა. მაგრამ ღმერთი არ გამოეცხადა. არც მარხვამ უშველა და არც ლოცვამ. ღმერთი დუმდა და იმალებოდა. სამართლიანობის აღსადგენად თვითონ უნდა ეპოვა შესაფერისი სასჯელი. და არ გაჩერდებოდა, სანამ არ იგრძნობდა, რომ სასჯელი შესაფერისი იყო.

ისე სწრაფად და უყოყმანოდ აირჩია ვასო საყვარლად, რომ ყოველთვის ვეჭვობდი, ამით ელენე, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, თავის სამოს აძლევდა შანსს (ვიცი, ამ სიტყვებზე აუცილებლად გავცინება, ბრილვა, უკვე ვხედავ, როგორ იკრიჭები!).

პირდაპირ რომ მეკითხა ეს მისთვის, ცხადია, მეტყოდა, არაო. ბავშვობაში სულ იმას ჩაგვიჩიჩინებდა, რომ მეც დიდი სიყვარულის ნაყოფი ვიყავი და ჩემი დაც. მაგრამ ახლა მგონია, რომ ელენეს იმ საბავშვო თავგადასავლით მხოლოდ და მხოლოდ ის უნდოდა დაემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, რომ მის სამოს და მთელ მის სხეულს ბავშვის გაჩენაც შეეძლო და არა მხოლოდ საშინელი შედეგის და უსიამოვნების გამოწვევა.

ელენემ უკვე მეორე, ისევ კოსტიას მიერ დაფინანსებულ პაემანზე აგრძნობინა ვასოს, რომ სხვა რამეები უფრო აინტერესებდა მისგან, ვიდრე მოსაწყენი საუბრები, რომლებიც თავაზიანობის ნორმებს შეესაბამებოდა და საზოგადოებაში ნებადართული იყო. ვასო

ფრთხილობდა. უკვე იცოდა, ვისი შვილიც იყო ელენე ჯაში და ისეთი შეცდომის დაშვება არ უნდოდა, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა.

მე მას არ ვიცნობდი, ბრილკა, ასე რომ, დარწმუნებით ვერც ვიტყვი, მართლა უყვარდა ბებიაშენი თუ არა. მისგან უფრო მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ელენეც თავისი ყულაბის შესავსებად გამოეყენებინა. ყოველ შემთხვევაში, ისე იქცეოდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა, გულუბრყვილოდ აცილებდა ელენეს სანატორიუმში ყოველი შეხვედრის შემდეგ, ზუსტად კოსტიას მიერ დათქმულ დროს, კეთილსინდისიერად უბრუნებდა გავლენიან მამას, რომელიც მაღლიერი და კმაყოფილი უდიმოდა, ხელს უწვდიდა და საუკეთესო სურვილებით ემშვიდობებოდა.

მაგრამ ახალგაზრდა, მომხიბლავი ქალის ნებად, მით უმეტეს, რომ ეს ქალი ელენე ჯაში იყო, სწრაფად ათქმევინა უარი თავის პრინციპებზე ასეთსავე ახალგაზრდა და მომხიბვლელ კაცს. მესამე პაემანზე ელენემ დაარწმუნა ვასო, მოსაწყენ რესტორანში წაყვანის ნაცვლად, სოჭის ლამაზი და იდუმალი ადგილები ეჩვენებინა მისთვის.

ჯერ პირსზე გაისეირნეს, შორეულ გემებს უყურეს, უამრავი კენჭი ისროლეს ზღვაში, იცინეს და იხუმრეს, სადღაც მეზღვაურების ბარში შევიდნენ, ჭყანვით გადაკრეს მაგარი არაყი ერთი-ორჯერ, გაწებილ დახლზე გადახრილებმა იკოცნავეს და ბოლოს ხელიხელჩაკიდებულები გავიდნენ ბარიდან, დანჯღრეულ მოპედს შემოასხდნენ და ბულვარისკენ გააქროლეს. როცა ვასომ სასტუმროსკენ გადაუხვია, ელენემ დაიჟინა, ლამის შეეხვეწა, ჯერ არ არის დაბრუნების დრო, მამაჩემის ნუ გეშინია, მე თვითონ ვიცი, როგორ გავამართლო პატარა დაგვიანება, თანაც ახლა ვალშია ჩემთანო. ვასოს სხვა რა დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დედაჩემი ქალაქის მეორე ბოლოში წაეყვანა და გრილ, ქვიან სანაპიროზე გაეწვინა.

ელენე ძალიან კმაყოფილი იყო, როგორც ჩანს, ვასომაც მიიღო, რაც უნდოდა. ნაზად და ალერსიანად შეეცადა სიამოვნება მიენიჭებინა ელენესთვის, თუმცა მისგან არასდროს გამოიგია, რამდენად იგრძნო ეს (ყოველ შემთხვევაში, მე მინდა მჯეროდეს, რომ ასე იყო, დედაჩემის და ჩემი დის გამო).

დრო გაეპარათ. როცა სიყვარულით გაძღნენ, ელენემ ჯერ მარილიან, ბნელ წყალში ჩაყვინთა, რომ ყველანაირი მტკიცებულება ჩამოებანა, მერე კი სწრაფად ჩაიკვავს, ბედნიერებმა და კმაყოფილებმა, სიცილ-ხარხარით და სანატორიუმში დაბრუნდნენ.

დედაშენს თავისი ჩასახვა ყოველთვის სამარცხვინოდ მიაჩნდა, ბრილკა. მე კი ვცდილობდი ამეხსნა, რომ მისი ბევრად უფრო რომატიკული იყო, ვიდრე ჩემი. მაგრამ ვერაფრით დავარწმუნე. ყოველთვის ვდაობდით ამაზე, ვისი გაჩენა იყო უფრო დამამცირებელი,

თითქოს რაღაც ჯილდოს ვერ ვიყოფდით, რომლის გამოც ღირდა ბრძოლა.

განშორება ბევრად უფრო სენტიმენტალური გამოდგა, ვიდრე წარმოედგინათ, ვასოს ცრემლებიც კი მოადგა თურმე, როცა ერთმანეთს გადაეხვივნენ. მისი გულწრფელი გრძნობებით გულაჩუყებულმა კოსტიამ შვილს სიტყვა მისცა, რომ ვასოს თბილისში დაპატიჟებდა, თუ ეს გატაცება განშორებას გაუძლებდა და წერილებით გაგრძელდებოდა, როგორც ერთმანეთს ჰპირდებოდნენ.

არ ვიცი, რამდენად შეყვარებული იყო ვასილი, მაგრამ განცვიფრებული კი ნამდვილად ჩანდა: უამრავი თავგადასავლის მიუხედავად, მის მიერ მონადირებულ ქალთა შორის არც ერთი არ ყოფილა არც ახალგაზრდა და არც ხანდაზმული, ვისაც ამოი იმედები არ გასჩენია, ილუბორული მომავლის გეგმები არ დაუწყია და მისგანაც იგივე არ მოუთხოვია. ვინც ასეთივე თავდავინწყებით იკლავდა ჟინს, თითქოს მთელი ძალით, მთელი თავისი სხეულით ცდილობდა რაღაცის დაძლევას. და მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წუთამდე ეჭვი ეპარებოდა, რომ ამდენად თავისუფალი იყო ვალდებულებებისგან, ყოველი შემთხვევისთვის განშორებისას მაინც უჩურჩულა სასიყვარულო სიტყვები ყურში.

ბიჭმა სამაგალითოდ შეასრულა, რაც ვეალებოდა; კოსტია გამარჯვებას ზეიმობდა. როცა ელენეს შესთავაზა, მომავალზე დაფიქრებულიყო აუჩქარებლად და მოსკოვის რამდენიმე ინსტიტუტისთვის გადაეგლო თვალი, ელენე უსიტყვოდ დასთანხმდა და მოსკოვშიც წაჰყვა. იქ სიამოვნებით შეექცეოდა ლიუბას მომზადებულ კერძებს, თავის საყვარელ თაფლმოსხმულ ბლინებს, დადიოდა კინოში და მართლა უგზავნიდა გრძელ, ნაღვლიან წერილებს ვასილის, – ალბათ, უფრო უსაქმობისგან. სიამოვნებდა იმის წარმოსახვა, რომ შეყვარებული იყო, ეს ცოტათი მაინც არყევდა საკუთარი თავისა და მთელი სამყაროს მიმართ ზიზღს. ვასილიმაც არ დააყოვნა: ორ კვირაში ელენემ მისგან პასუხი მიიღო. დედაჩემმა, ალბათ, იფიქრა, ასე შეიძლება ეს საზაფხულო რომანი სიყვარულში გადაიზარდოსო და კიდევ უფრო ვნებიანი და მგზნებარე წერილი გაუგზავნა. თუმცა თამაში თამაშად დარჩა, რასაც ელენე მამამისის მოსკოვეური გეგმებისგან თავის დასაღწევად აგრძელებდა, უფრო ცნობისმოყვარეობის გამო და არა იმიტომ, რომ სჯეროდა.

ვასომ თავისი ამერიკული ოცნება გაანდო იმ ღამით, როცა პირსზე ისხდნენ, შორს, გაჩირაღდებული გემისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი და ამოიოხრა, ერთ მშვენიერ დღეს მეც იქ ვიქნები, უცხო ქვეყნებისა და კონტინენტებისკენ გზას დავადგებიო. ამიტომ ელენეს იმედი ჰქონდა, რომ ის საკუთარი თავის ერთგული დარჩებოდა და თავის მიზანს არ უღალატებდა, თუნდაც გაეგო მისი ორსულობის შესახებ.

მოსკოვური ყინვების დადგომისთანავე დააკაკუნა ელენემ კოსტიას კაბინეტის კარზე, შევიდა, დაელოდა, სანამ იმან სამუშაო გვერდზე გადადო, ვინრო საკითხავი სათვალღიდან გამოხედა და უთხრა, ორსულად ვარო. ელენეს გამოთვლით, ბავშვი ზაფხულში უნდა გაჩენილიყო. ატყდა ღრიალი, სანერი მაგიდიდან ქაღალდების ფრიალი, მუქარა, უხეში შეურაცხყოფა და უკმეხი ლანძღვა-გინება, თუმცა ცრემლი არ დაღვრილა. ბოლოს მძიმე დუმილი და ერთგვარი შერიგება ბედთან. მერე უკვე რიტორიკული შეკითხვებიც დაისვა: აქამდე როგორ მივიდა საქმე, რა მოუვიდა ჩემს გადასარევე გოგოს და ასე შემდეგ. სხვა რა დარჩენოდა კოსტიას, წლის ბოლოს მოსკოვში მიიწვია მამა, რომელიც არაფრის აზრზე არ იყო, რომ შეეტყობინებინა მისთვის, რა ბედნიერება ელოდა. კოსტიას კაბინეტში შეიკეტნენ ორივენი. რამდენიმე გამორჩეული კერძისა და ერთი ლიტრი ქინძმარაულის შემდეგ ვასილის უკვე მოეჩვენა, რომ მომავალი, რომელიც კოსტიამ დაუხატა, სულ არ იყო დასაწუნი. თავისი საფრთხის შემცველი და ჯერ კიდევ დაუფინანსებელი ამერიკული ოცნების მშვენიერ და, რაც მთავარია, სოლიდურ ალტერნატივად აღიქვა. კოსტიას დასანახად ერთგვარი სიხარულიც კი გამოხატა მომავალი მამობის გამო.

გადაწყდა, რომ უმაღლესში ჩააბარებდა – „შენი გამჭრიახი გონებისა და მოხერხებული ხელებისთვის საინჟინრო იქნება ზედგამოჭრილი, მით უმეტეს, კარგი ინჟინრები ყოველთვის სჭირდება ქვეყანას!“ – ელენესთან ერთად ცალკე ბინაში იცხოვრებდა მოსკოვში, ფინანსურადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა და ყველაზე თავისუფლებისმოყვარე და დიდსულოვან გოგოსთან ერთად მშვენიერ დროს გაატარებდა – ამაზე მომავალ სიმამრთან სიტყვა არ დაუძრავს, რაღა თქმა უნდა. ჰო, ეს ყველაფერი მართლა დიდებულად ჟღერდა; შეიძლება ნაკლებად ამაღელვებელი იყო, ვიდრე გემით ამერიკაში გამგზავრება, სამაგიეროდ, ბევრად უფრო ხელმოსაჭიდი და რეალური. ვასილიმ წარმოიდგინა, როგორი ტკბილი და უდარდელი მომავალი ელოდა, როგორი კეთილდღეობა, რაშიც მის წინ მდგომი სეროიზული და გავლენიანი კაცი არწმუნებდა. თანაც ვასილის ეჭვი არ ეპარებოდა – ეს კაცი შეპასუხებას არც დაუშვებდა.

სასწრაფოდ გადაიხადეს ნიშნობა. ნანა და ვასილის დედა მოსკოვში ჩაფრინდნენ მოკრძალებულ, მაგრამ შესაფერის წვეულებაზე დასასწრებად. სტუმრები ილიმოდნენ, ჭიქებს უჭახუნებდნენ ერთმანეთს და ახალგაზრდა წყვილს ადღეგრძელებდნენ. ვასილიმ საკმაო რაოდენობის ჭიბის ფული მიიღო, რომ თავისი ორსული ცოლი ყველგან ეტარებინა, სადაც ის მოისურვებდა. თავის ახალ ცხოვრებას ძალიან მალე გაუგო გემო. ელენე კი მისთვის უკვე ჩვეული ურყევი გულგრილობით შეეგუა ამ ამბავს და მთელი ყურადღება თავის ყოველდღიურად მზარდ, მრგვალ და გამობზევილ მუცელზე გადაიტანა.

შვილი უნდა გაეჩინა, დედა უნდა გამხდარიყო, მსოფლიოში საუკეთესო დედა, არაფერს დაიშურებდა თავისი შვილისთვის, თავს განირავდა, ამით მოინანიებდა იმ პირველის, მოკლულის, არასასურველის, არგაჩენილის მიმართ ჩადენილს.

ერთ სადამოს, როცა ხელოვნებაზე ლაპარაკით გართული ცოლქმარი ხელიხელჩაკიდებული გამოვიდა პუშკინის მუზეუმიდან, ვასილი უცებ შუა ქუჩაში გაჩერდა, ტროტუარზე ჩამოჯდა და ატირდა. ამ უჩვეულო ქცევით და მისი მოულოდნელი დანადვლიანებით შეწუხებული ელენე გვერდით მიუჯდა, ფრთხილად დაადო თავი მხარზე. არ უკითხავს, რამ დააყენა ცუდ ხასიათზე, დაელოდა, სანამ დამშვიდდებოდა. სანამ იმან თავს ძალა არ დაატანა და არ გაუმხილა, როგორ სძულდა ქვეყანა, რომელშიც ორივენი ცხოვრობდნენ, თან ისე სუნთქავდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა, ბავშვობა გაიხსენა, დაუსრულებელი დამცირება, არც სასიყვარულო თავგადასავლები დაუმალავს. დედაზეც ილაპარაკა, ძმაზეც, ისე გადაუმალა გული, თითქოს მთელი ცხოვრება ელოდა ამ აღსარებას. თავი არ დაუზოგავს, თავისი გრძნობები არ შეულამაზებია, ყველაფერი გაანდო, ყველა შურისძიება, რაც კი თავში გაუვლია, ყველაზე იდუმალი სურვილებიც კი. რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაზე ბაღის სკამი იპოვეს და იქ მოკალათდნენ. გაშმაგებული იყო, პირზე დუჟმომდგარი, უსუსური და გამოიფიტული. ელენემ მხარზე მოხვია ხელი, მისმა სიტყვებმა დააფიქრა.

- გაკვირვებული ხარ? - ჰკითხა ვასილიმ, როცა მის დუმილს ვეღარ გაუძლო, - თუ იმედგაცრუებული?

- არა, იმედგაცრუებული არ ვარ, ვასო. მესმის კიდევ შენი. ძალიან კარგად მესმის, ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია. ზოგჯერ სინდისიც მქენჯნის, მე ეს არ მინდოდა, მერწმუნე, არ მინდოდა, რომ აქ გადმოხვენილიყავი, ჩემთან, მე ეს არ დამიგეგმავს. სულ არ ხარ ვალდებული ჩემ გამო ან ბავშვის გამო უარი თქვა იმაზე, რაც შენთვის მნიშვნელოვანია.

- კი მაგრამ, მე მინდა შენთან ყოფნა, ელენე, შენ არაფერ შუაში ხარ.

- მაგრამ ჩემთან ყოფნაზე მეტად წასვლა გინდა, არა?

- არ ვიცი.

- მე კი სულ არ მინდა, რომ თვითკმაყოფილ ხეპრედ გადაიქცე, ცოლებს რომ დალატობენ მუდმივად და ჰგონიათ, ყველაფრის უფლება აქვთ. ერთი მამაჩემს შეხედე. გულს მირევს მისი სიყალბე. მეც მაქვს ჩემი შეხედულებები. ეგრე კი არ არის. უბრალოდ, არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი.

- თავს მოვერევი როგორმე, გპირდები, ძალას მოვიკრებ, ჩვენთვის, შენთვის. გამოვსწორდები. თუმცა ეს... ჰო, ძნელია. თან ეს ყველაფერი ისე უცებ მოხდა, ისე მოულოდნელად.

- ხომ გეუბნები, მესმის-მეთქი. იცი, ადრე მეც მინდოდა გაქცევა. მამიდა მყავს უცხოეთში. ცნობილი მომღერალია.

- მართლა?

- ჰო, მაგრამ მასზე ლაპარაკი მეკრძალება.

- მაშინ, იქნებ ერთად...

- ნუ სულელობ. სულ არ მინდა. მე იმაზე არ ვოცნებობ, რაზეც შენ, ვასო. რა მინდა უცხოეთში? იქ რა უნდა ვაკეთო? ჩემი ადგილი აქ არის, ჩემს ოჯახთან, როგორც უნდა მძულდნენ, მაინც აქაური ვარ. იქნებ ადრე უნდა შეგხვედროდი, ორი წლის წინანდელ ზაფხულში. მაშინ... სხვანაირი ვიყავი. არავინ გყავს, ვინც დაგეხმარება?

- საკმარისი ფული რომ მქონდეს - კი. ერთ-ორ მეზღვაურს ვიცნობ, ხანდახან აპარებენ ხალხს გემზე და...

- ვარგი. ძალიან ვარგი. ახლა მომისმინე. მამას უნდა, რომ ბავშვის გაჩენამდე დავქორწინდეთ. ესე იგი, არა უგვიანეს გაზაფხულისა, ამას წინათ მარტი ახსენა. ფულს მოგვცემს. ქორწილის გადასახდელად, ახალი ცხოვრების დასაწყებად, მოკლედ, როგორც არის, შენც კარგად იცი. უნდა, რომ მოსკოვში დავრჩეთ, არ უნდა, რომ თბილისში გადავიდეთ დედაჩემთან. მიაჩნია, რომ ყველაფერი მისი ბრალია, ადრე მეც ასე მეგონა. მაგრამ ასე არ არის. თუმცა ახლა უკვე სულერთია. მოკლედ, ჩვენ გამოვართმევთ ფულს და თავს მოვაჩვენებთ, ვითომ ქორწილს ვგეგმავთ. შევარჩევთ საბანკეტო დარბაზს, ყველაფერს საუკეთესოს და ძვირფასს მოვიძიებთ. მამაჩემსაც ეს უნდა, თავისი კოლეგები ხომ უნდა დაჰპატიოს. მთლიანობაში, მაინც კმაყოფილია, რომ რუსი ხარ. მამის ბიუროშიც ჩავუნერებით, ეს ყველაფერი მართლა უნდა გავაკეთოთ, ალბათ, შეამონშებს ყველაფერს, მაგრამ ფულის მხოლოდ ნაწილს გადავიხდით წინასწარ და ვიტყვით, რომ დანარჩენს ქორწილის დღეს მივცემთ. ეს დანარჩენი შენი იქნება. სოჭში წადი და ყველაფერი გაარკვიე, რაც საჭიროა. ქორწილამდე უნდა გაიპარო. როცა ეს გამოაშკარავდება, უკვე შორს უნდა იყო. შორს უნდა იყო, ვასო, თორემ დაგიჭერენ. და არავინ დაგინდობს. უპირველეს ყოვლისა, მამაჩემი. შეცდომის უფლება არ გაქვს, თორემ უგისოსებო ფანჯარას ვედარ ეღირსები. ხომ გესმის ჩემი?

ვასო გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა თავის საცოლეს, მისი მზერა პატივისცემას, მოწინებას და აღფრთოვანებას ერთდროულად გამოხატავდა.

- თუ სოჭში დაადგენ, რომ არაფერი გამოდის, მაშინ დაბრუნდები და დაქორწინება მოგვინვეს. თუ გინდა, შეგვიძლია მერე გავშორდეთ, რამდენიმე წელიწადში. ოდნავადაც თუ შეგეპარება ეჭვი, რომ არ გამოგდის - დაბრუნდი.

- პროფესიონალივით ლაპარაკობ.

- პროფესიონალივით?

- ჰო, თითქოს უკვე გამოგიცდია ასეთი რამ.

- მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში. სულ ეს არის. დანარჩენი კი მამაჩემისგან ვისწავლე. ამათ ჰგონიათ, რომ არაფერი გამეგება, მაგრამ მე ყველაფერი ვიცი, ისეთი რამეებიც კი, თვითონ რომ აზრზე არ არიან. ისიც ვიცი, რომ მამაჩემი დაეხმარა თავის დას გაქცევაში. თუმცა ეს უკვე სულერთია.

- არც კი ვიცი, რა ვთქვა...

- ბავშვს არაფერი მოაკლდება, ამაზე არ იღარდო. შენც კარგად მოგეხსენება. მამაჩემი არაფერს დაიშურებს ჩვენთვის. მეც ყველაფერს გავაკეთებ ბავშვისთვის. მგონი, გოგოა.

- რატომ გგონია?

- რა ვიცი. ლამაზ სახელს დავარქმევ. მაგრამ ჯერ ვერ მოვიფიქრე.

- პატარა რომ ვიყავი, ჩვენს მემობლად ერთი ქალი ცხოვრობდა. ჯადოქარიყო, ამბობდნენ. მგონი, უბრალოდ შურდათ მისი. იმიტომ რომ სხვებს არ ჰგავდა, განსაკუთრებული იყო. ხალხს კურნავდა მცენარეებით, მაგრამ მაინც ყველა ერიდებოდა. ბოშა იყო. ამბობდნენ, ბოზიაო, მაგრამ კაცთან ერთად არავის უნახავს. იმასაც ამბობდნენ, ოჯახი ამოუჟლიტეს თუ გადაუსახლესო, მაგრამ დაბუსტებით არავინ არაფერი იცოდა მის შესახებ. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს საიდანღაც გაჩნდა ჩვენს მხარეში.

ბავშვობაში ხშირად დავდიოდი მის ბაღში სათამაშოდ. ავტოფარეხი მოიწყო საცხოვრებლად. შუა მინდორში. ეს ისეთი რომანტიკული იყო, ისე რომანტიკულად მეჩვენებოდა. ის ქალი... არც ერთ ჩემს ნაცნობს არ ჰგავდა. მეც არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მაგრამ სიმღერა, საჭმლის კეთება და სიყვარული ნამდვილად იცოდა. და მერე როგორი. ყოველთვის ბრუნავდა ჩემზე. ჩემზეც და უამრავ სხვა ბავშვზე, იმ არემარეში რომ დარბოდნენ და არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ. ის ქალი გვეთამაშებოდა, თვითონაც ბავშვივით იყო და სულ რაღაც ამბებს გვიყვებოდა.

მერე, მოკლედ, როცა გავიზარდე, შემიყვარდა. ერთხელ მთელი გამბედაობა მოვიკრიბე და მივედი. ყველა ირწმუნებოდა, ფულისთვის ნებისმიერთან წვებაო. ასე რომ, დედას მოვპარე ფული და მივედი. და როცა ჩემი ნაღილი გავუმიხილე, ატირდა. ამან ისე გამაოგნა, რომ უბრალოდ გამოვიქეცი იქიდან. იდგა და ცრემლები სდიოდა ლოყებზე. ვერც კი წარმოვიდგენდი, ტირილი თუ შეეძლო საერთოდ. მივხვდი, როგორ ვაწყენინე. და ძალიან შემრცხვა.

ამის მერე მალე გადაიხვეწა იქიდან. უცბად - ზუსტად ისე, როგორც გაჩნდა. აღარასდროს მინახავს. აღარასდროს დაბრუნებულა. ისიც კი არ ვიცი, ცოცხალია თუ მკვდარი. მე ვფიქრობ, ის იყო ერთადერთი ქალი, რომელიც მართლა მიყვარდა. და ერთადერთი, რომელმაც ჩემთან დაწოლა არ მოინდომა. პარადოქსია, არა?

- რა ერქვა?

- დარია.

ასე მოხდა, რომ ჩემმა დამ თავისი სახელი ბოშა ჯადოქრისგან მიიღო, რომელიც ზოგს ბოზად მიაჩნდა და რომელიც მისი უცნობი მამისთვის ერთადერთი წმინდანი იყო, ვინც კი მას ახალგაზრდობაში შეხვედრია.

* * *

გამალეთ ფრთები! გაბედულ დროში
წარსული ხალხმა დასწვას და სთელოს;
მივესალმებით უკვდავი დროშით
ჩვენ უკვდავ ერსა, და საქართველოს.
პაოლო იაშვილი

დარია, მზის დარი, 1970 წლის 4 აგვისტოს დახუთულ, ცხელ ღამეს მოვევლინა ამ ქვეყანას პასტელის ფერებით შეღებილ ოთახში, იმ სამშობიაროში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ლუბიანკას თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი. ამ დროს ლუბიანკას შენობას მოსკოვში უკვე „უფროსების სამყაროს“ ეძახდნენ, რადგან 1957 წელს მის მოპირდაპირედ დიდი მაღაზია აშენდა - „ბავშვთა სამყარო“.

როცა ელენეს ტკივილები დაეწყო, კოსტიამ თვითონ გააქანა საავადმყოფოში. ცოლის წინადადება, მოსკოვში ჩამოვალ და შვილს გვერდში დავუდგებიო, გადაჭრით უარყო. მთელი ღამე ბოლთას ცემდა მოსაცდელში, ბებიასწავლისა და ელენეს მერე პირველი აღამიანი იყო, რომელსაც დარიას ანგელოზის სახის დანახვა ხვდა წილად. დარიას დაბადების მოწმობაშიც თავისი გვარი ჩაანერინა. ცხადია, არც უფიქრია, საკუთარი შვილიშვილისთვის დებერტირის გვარი მიეცა.

როცა დარია დაიბადა, ნილ არმსტრონგის მთვარეზე დაჯდომიდან ერთი წელი იყო გასული, გაგარინის იდუმალებით მოცული დაღუპვიდანაც. რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს დაიბადა, ერთი წლით ადრე, ვიდრე აღმოსავლეთგერმანელი ჯარისკაცები 43 გასროლით მძიმედ დაჭრიდნენ ბერნდ ბივერტს ბერლინის კედელზე გადაძრომის მცდელობისას. იმ წელს დაიბადა, როცა „ბითლზის“ წევრებმა დაშლის შესახებ განაცხადეს და ამით მთელ მსოფლიოში ცრემლების მდინარეებს დაუდეს სათავეები. ცოტა ხანში Easy Rider-მა აღმოსავლეთ ნახევარსფერომდე მიაღწია და ახალგაზრდებს ისღა ადარდებდათ, როგორ გადალახავდა ვიღაც დალოცვილი ვაცი ყველა საზღვარს თავისი მოტოციკლეტით. ხოლო უგანდაში ძალაუფლება ვინმე იდი ამინმა მოიპოვა. ეს ის დრო იყო, როცა დისიდენტმა სახაროვმა ოპოზიციონერების საბჭოთა ფსიქიატრიულებში გამწესება გააპროტესტა, ხოლო რამდენიმე თვით ადრე თუ გვიან, უკვე აღარ ვიცი, ნობელის პრემია აღმოსავლეთში მაშინ ჯერ კიდევ უცნობ, და მიუხედავად ამისა, ან სწორედ ამიტომ, აკრძალულ ბატონ ბეკეტს

გადაეცა. იმ წელს მთელ მსოფლიოში იმართებოდა საპროტესტო აქციები ვარშავის ხელშეკრულების (მოკავშირე) ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეჭრის წინააღმდეგ, ორი წელი გასულიყო პარიზში რევოლუციის დაწყებიდან, ოღონდ ჯერ უცნობი იყო, როგორ უნდა შეეფასებინათ ისტორიულ წიგნებში და საერთოდ რევოლუციად მიეჩინათ თუ არა. იმავე დროს Life Magazine-მა გამოაქვეყნა სტატია მი-ლაიში ხოცვა-ჟლეტის შესახებ, სადაც ამერიკულმა სპეცდანაყოფმა მთელი სოფელი გააუპატიურა, ამოხოცა და დაანგრია. და მწვანე სახლის დასრულებიდან ერთი წლის თავზე.

მწვანე სახლი ყველაზე ლამაზი სახლი იყო, რომელიც ოდესმე მინახავს. ჩრდილოეთით ფიჭვნარი ემიჯნებოდა, დასავლეთით, სტასიას მოთხოვნით აღმართული სამმეტრიანი ღობის იქით, თვალწარმატაცი ხეობა იწყებოდა, აღმოსავლეთით ბილიკი იყო გაკვალული მემობელი სოფლისკენ, სამხრეთით კი საჯინიბოები მოჩანდა.

მშენებლობა ქართველი ხელოსნებისთვის უტოპიურ ტემპში დასრულდა. სტასიას სამშენებლო მაგნატის ნიჭი აღმოაჩნდა. ხელოსნებს მწყემსავდა ნახირივით, ყოველ საღამოს გულუხვად უმასპინძლებოდა, არაყს არ აკლებდა, დილის შვიდ საათზე კი მუშაობას აწყებინებდა. ეს იმ პირობებში, როცა საბჭოთა ხელოსნები ცალკე კასტა იყო, კაი ჭამა-სმა და ხშირი დასვენება რომ სჭირდებოდათ ქვის ქვაზე დასადებად.

სამოცდაათი წლის სტასიამ არა მარტო შეუძლებელი შეძლო, არქიტექტურული გემოვნებაც გამოავლინა: ძველი ხის აივნები აღადგენინა, ხვეული ორნამენტები და ძველი მოაჯირი შეაკეთებინა. იქაურობისთვის დამახასიათებელი ხის იატაკი მუქ ნითლად შეაღებინა, უზარმაზარ სამზარეულოში, ყველა სააბაზანოსა და სარდაფშიც ქვის იატაკი დააგებინა, მისაღებ ოთახში სრულიად დანგრეულ ბუხარსაც კი დაუბრუნა სიცოცხლე.

ორ სართულზე რვა ოთახი იყო განლაგებული და წინ უზარმაზარი ვერანდა, რომელიც - ბამთრის თვეების გარდა - მთელი ოჯახის თავშეყრის ადგილი უნდა გამხდარიყო. და კიდევ არაჩვეულებრივი მიწის ნაკვეთი, სადაც სტასია ჯადოსნური ბაღის გაშენებას გეგმავდა ქრისტიანთან ერთად.

ტყისკენ მიმავალ ფერდობზე ფარდული ააშენებინა და - ღმერთმა უწყის რატომ - სალათისფრად შეაღებინა. ის ფარდული სათავისოდ უნდოდა და არავის მოსვლია აზრად, ეკითხა მისთვის, რაში სჭირდებოდა, როცა ასეთი დიდებული სახლი იყო წამოჭიმული შემადღებულზე და იქ ყველას ეყოფოდა ადგილი. ალბათ, ფიქრობდნენ, ბაღის იარაღების შესანახად გამოიყენებსო.

მწვანე სახლი იდეალური ადგილი იყო, თითქოს საგანგებოდ ბედნიერი ცხოვრებისთვის განკუთვნილი. მთელი ოჯახი

სულმოუთქმელად ელოდა იქ გადასვლას. ახალი ცხოვრებისა და ოჯახის ახალი წევრის მოლოდინში იყო ყველა. ყველა, ქრისტინეს გარდა.

მიქას დაკარგვა მტკივნეულად გადაიტანა, თავის თავს აღარ ჰგავდა. შინ ვეღარ ჩერდებოდა, არავინ იცოდა, სად დაბოდიშობდა სამსახურის შემდეგ, მისი საოპერო არიებიც თითქმის აღარ ისმოდა, ბაღი, რომელიც ადრე ისე უყვარდა, სულ მივიწყდა – აღარაფერს თესდა, არც სარეველას ებრძოდა, არც ბუჩქებს კრეჭდა, არც ყვავილებს რწყავდა. ისედაც უჭირდა სიბერესთან შეგუება, არ უნდოდა პენსიაზე გასვლა და ახლა მიქაც დაკარგა, რომელიც სიგიჟემდე უყვარდა, რომელიც მისი გაზრდილი იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ დანარჩენ ქალებს აღარც უმაღავდა, მოლაღატებად რომ მიიჩნევდა, ყველაფერს მათ აბრალებდა და ამრეზით ელაპარაკებოდა.

გულგატეხილი სიტყვას არ აძვრევინებდა არავის მიქაზე. არადა, რა უნდა ექნათ, როცა მიქას გამო ასეთი პრობლემები შეექმნათ? სტასია მაშინ ახალი დაბრუნებული იყო პრაღიდან და კიტის გარდა არავინ აღარდებდა. ბოლოს და ბოლოს, კოსტიას რისხვისგანაც ხომ უნდა დაეფარათ მიქა; ეს ანდროსაც ესმოდა. სტასიას აზრით, მიქასთან მიმართებით მას არც არაფერი ჰქონდა სასაყვედურო. თავის დროზე სოფიომ უჩურჩულა სიზმარში, ბიჭს მიმიხედეო და მანაც კეთილსინდისიერად შეასრულა დანაბარები. ახლა ეს ბიჭი გაიზარდა და თვითონ უნდა ეზრუნა საკუთარ თავზე. ამ სიბერეში ვარდისფერ სათვალეს ვერავის ააფარებდა. ზღაპრებს ვერ მოუყვებოდა ვერავის. თანაც მიქამ ისეთი საშინელება ჩაიდინა, ეტყობა, სისხლში ჰქონდა, რომ შედეგი თვითონაც ისევე უნდა ეწვინა, როგორც თავის შვილიშვილს. მორჩა და გათავდა! სტასიამ თავისი ვალი მოიხადა, ახლა უფლება ჰქონდა დამსახურებულად და, რაც მთავარია, მშვიდად გასულიყო პენსიაზე და გამოეყენებინა ის შანსი, რომელსაც მწვანე სახლი აძლევდა ყველას.

ქრისტინე კი რაც უფრო ხშირად აღიოდა მშენებლობის დროს დის დასახმარებლად, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მისთვის ეს განზრახვა მიუღებელი იყო, რომ იქ და იმ ვითარებაში ახალ ცხოვრებას ვერ დაიწყებდა. არ უნდა დაეშვა, რომ თავისი საყვარელი ბიჭი მისამართარეული ამანათივით გაეგზავნათ უკან. არც თავის ყველაფერზე ნამსკვლელ დას და არც თავის უნებისყოფო რძალს არ უძებნიათ სიმართლე, მხოლოდ წააქეზეს განადგურების უნით შეპყრობილი ელენე და უმწეო მიქა კიდევ უფრო დაჩაგრეს. ქრისტინე ხედავდა, როგორ ბეჯითად, ყველა წვრილმანის გათვალისწინებით ირჭებოდა სტასია, აფასებდა და აღიარებდა მის ძალისხმევას, მაგრამ მაინც სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ მიწის იმ თვალწარმტაც ნაკუნზე მისი ადგილი არ იყო; იქ ვერც მიქას იპოვიდა და ვერც სიმართლეს, ბიჭის გარეშე კი თვითონაც არ ექნებოდა მოსვენება.

როცა ელენესთან დაკავშირებული მორიგი სკანდალი აგორდა და თბილისამდე მოაღწია რუსი ნაბიჯვრის ამბავმა, რომელმაც ორსული ცოლი მიატოვა და ქორნილის ფულით გაიპარა მუხანათურად და უღირსად, ქრისტიანებმა თავი ვერ შეიკავა. ნიშნის მოგებით აღნიშნა, რომ ეს ლოგიკური იყო, რომ დროზე უშველა თავს, რომ არც ერთი წესიერი კაცი არ მოიყვანდა ცოლად ქალს რომელიც რაღაცას დააძალებდა.

ნანა საშინლად განარისხა ამ დაუფარავმა ღვარძლმა, სტასიაც გაოგნდა.

მწვანე სახლში გადასვლამდე ერთი თვით ადრე სამზარეულოში, ჭურჭლის რეცხვის დროს, ქრისტიანებმა დას განუცხადა, თქვენთან ერთად წამოსვლას არ ვაპირებო.

- რას გულისხმობ? - გაიკვირვა სტასიამ და გასარეცხი თევში წყალს შეუღდა.

- ზუსტად იმას, რაც გითხარი: მე აქ ვრჩები. ჩემი სახლი აქ არის.

- ვერ ხვდები, რომ ბავშვით იქცევი? რა თქმა უნდა, ეს შენი სახლია. დედაბუდიანად ხომ არ გადმოსახლდები. თუ გინდა, შაბათ-კვირას ამოდი ხოლმე, სანამ საავადმყოფოში...

- მე აქ ვრჩები. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. თანაც მიქამ თბილისში უნდა ჩააბაროს უმაღლესში და მინდა, ჩემთან იცხოვროს, ჩემს სახლში.

- როგორც ჩანს, ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მივმხვდარვარ, რომ ეს სახლი შენია და არა ჩვენი. ორ კვირაში ელენე ჩამოდის. ბავშვით, ჩვენი მიხმარება და...

- შენ და ნანა უჩემოდაც მოახერხებთ.

- ღმერთო ჩემო, ჩემი შვილიშვილი დააორსულა, ჩვენ კიდევ ხელი ავაფარეთ და კოსტიას არ გავაგებინეთ.

- ანდროც ჩვენი გაზრდილია, მაშინ რაღაც გამოგვეპარა. იმ საშინელი შეცდომისგან ვერ დავიფარეთ და იცი რატომ? იმიტომ რომ ჩვენი საკუთარი შვილები და მათი პრობლემები უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ასე არ არის? მიქასთან ამ შეცდომას აღარ გავიმეორებ.

სტასია განზე გადავა, სველი ხელით სიგარეტს მოუკიდა.

- ახლა კარგად მომისმინე: მისი საქციელი საკმაოდ ძვირად დამიჯდა და სულმდაბლობაა ჩემი დადანაშაულება, რომ კარგად ვერ...

სამზარეულოში გოია შეფრთხილდა. ზემოდან ავეჯის გადადგმის ხმა ისმოდა, ნანა ახალ სახლში გადასვლის ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი.

- მიქას არაფერი ჩაუდენია. შენც კარგად იცი. უბრალოდ დაემორჩილა. შენს შვილიშვილს დაემორჩილა. მთელი მისი დანაშაული ისაა, რომ თხუთმეტი წლისამ თავი ვერ შეიკავა ნახევრად გახდილი გოგოს შემხედვარემ.

- და ვის უფრო ძვირად დაუჯდა ეს? ჩემს სანყალ გოგოს, რომელიც თხუთმეტი წლისა გამოფხიკვს, თუ მიქას, რომელმაც სიამოვნება მიიღო და მშობლებთან დაბრუნდა? - სტასია უკვე ყვიროდა, თვალეზმობოჭუტული.

- საოცრებაა, რომ კიდეც დაორსულდა. ესეც არაფერს ნიშნავს, ქრისტინე?

- მე ვცადე, არ დამეშვა ეს.

- მაგრამ ვერაფერს გახდი! და იცი რატომ? იმიტომ, რომ ყოვლისშემძლეები არ ვართ და არავის გადარჩენა არ შეგვიძლია! როდის შეიგნებ, ბოლოს და ბოლოს?

* * *

შენ ვეღარ შეძლებ ჩემს მითოვებას:

კარი ღიაა - და შენი სახლი - ცარიელია!

ცვეტაევა

ქალთა მოძრაობა ძალას იკრებდა, მემარცხენეები ირამბებოდნენ, სულ უფრო ხმამაღლა მოუწოდებდნენ ახალი პოლიტიკისკენ, ახალი ცხოვრებისკენ; 68-იანელები, რაც მერე ტერმინად იქცა, ვუდსტოკი და მუსიკოსთა ახალი თაობა, განიარაღების საყოველთაო მოთხოვნა, - სხვაგან თუ არა დასავლეთში მაინც, მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობით გამოწვეული გულისწყრომა... სამყარომ ახალი იდეალების ძებნა დაიწყო.

რა თქმა უნდა, არსებობდნენ ჰენდრიქსები და ჯოპლინები, ახალი ტიპის გენიალური ანარქისტები, მაგრამ ისეთი ადამიანებიც იყვნენ საჭირო, რომლებიც ჰერონის და მარიხუანას გარეშეც ამხედნენ მსოფლიოს. სანამ შემთხვევით ბებიჩემ კიტის არ წააწყდნენ, რომელმაც რამდენიმე ჰიტი კი შექმნა, ბრიტანეთის ჩარტშიც მოხვდა ერთხელ, მაგრამ სოპოს სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა თავისთვის, პატიოსნად იხდიდა გადასახადებს და თავის უცნაურ პოლიტიკურ წარსულს იხსენებდა. მაგრამ ეს მხოლოდ მას მერე გაირკვა, როცა ის ფოტო დაიბეჭდა. ვენზელის მოედანზე გადაღებული ფოტო. მაგნუმის ფოტო. პრესაში გამოქვეყნდა და ბომბივით იფეთქა.

პრადის მოვლენებიდან ნახევარი წლის შემდეგ The Guardian-ს სტატიის დაბეჭდვა უნდოდა სოციალიზმის სამარცხვინო მარცხის შესახებ. ლაიტმოტივი, რაღა თქმა უნდა, „პრადის გაზაფხული“ უნდა ყოფილიყო, ამიტომ საინტერესო, გამოუქვეყნებელი ფოტომასალის ძებნა დაიწყო. და კიტი ჯამის ფოტო აღმოაჩინეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ემი კიტის გაეცალა და ისე, რომ არავისთვის უთქვამს, სად მიდიოდა, ლონდონი დატოვა. როგორც გაირკვა, უელსში წასულა ქმართან, იქიდან კი - იტალიაში. მხოლოდ სამი თვის შემდეგ გამოჩნდა სრულიად მოულოდნელად და ისევ ჩაერთო

თავისი პროტეჟეს საქმეებში – თუმცა ბევრად უფრო დისტანცირებულად და საქმიანად. კითხვები არ დაუსვამს. ფრედის ხსენებას, რა თქმა უნდა, ტაბუ დაედო, აღარ პატიჟებდა კიტის თავისთან ქინგ ქროსზე, წვეულებებზე აღარ დაჰყავდა, მაგრამ ხელმძღვანელობდა მის გამოსვლებს რადიოსა და ტელევიზიაში, გეგმავდა კონცერტებს, რჩევებს აძლევდა პრესასთან ურთიერთობებში და თავს იკლავდა, რომ – ყველანაირი სარეკლამო და მარკეტინგული სტრატეგიით – ფირფიტები კარგად გაყიდულიყო. მეტის მოლოდინი არც უნდა ჰქონოდა კიტის, რაც მთავარია, ემიმ მას ადგილი დაუტოვა თავის ცხოვრებაში, კვლავინდებურად სჯეროდა მისი მუსიკის და თავისი ორგანიზატორული ნიჭით სამსახურს უწევდა.

მისმა ბარმა გააკვირვა კიტი. გვიანი იყო და ემის ასეთ დროს დიდი ხანია უკვე აღარ დაურევავს მისთვის, პირადული ელფერი რომ არ შეეძინა სატელეფონო საუბარს. ხმაზე შეატყო, რომ მისი მენეჯერი, რომელიც მასთან აღარ მეგობრობდა, აღელვებული იყო და სიტყვების დაუსრულებელ ნაკადში, კიტის რომ დაატეხა თავს, თანდათან კარგავდა საქმიან ვილოს.

– მოიცა, რა გაზეითო, რა თქვი? ვერაფერი გავიგე. შინ ვარ და თუ გინდა... არა, მარტო ვარ.

ემი დათანხმდა, ნახევარ საათში შემოგივლიო. მხოლოდ საქმეზე ვილაპარაკებო, დაამატა, თითქოს წინდანინ იზღვევდა თავს და მასთან მისვლა შეერიგებას არ ნიშნავდა. ხასხასა მწვანე სანჯიშარი ეცვა, თვალელები ჩამოყრილ, განუწილ თმაზე ფერადი რებინა ჰქონდა შემოხვეული. გარდიანის ახალი ნომერი მაგიდაზე დაახეთქა.

– ეს როგორ დამიძალე!

თავფურცელზე კიტის დიდი შავ-თეთრი ფოტო იყო გამოჭიმული. კიტის ეს სურათი არასდროს ენახა. თავიდან ვერც დაიჯერა, რომ თვითონ იყო ის გიტარიანი გოგო სურათზე. იქნებ სულაც კოლაჟი იყო, ვილაცამ იხუმრა ასე და მეტი არაფერი?

– გეკითხები, რა არის ეს?

ემი დივანზე დაეგდო.

– წარმოდგენა არ მაქვს, ვინ გადამიღო და აქ საიდან მოხვდა! იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად ჩემი სურათია.

– სულ გაგიჟდი? აბა, ვისი უნდა იყოს? რომის პაპის?

– აზრზე არ ვარ, ემი. მართლა არ ვიცი.

– საკითხავი ის არის, საერთოდ რატომ აღმოჩნდი ამ სურათზე? რატომ მაშინვე არ წამოხვედი იმ სისხლიანი ქალაქიდან, როცა მკვლელების არმია შემოვიდა? ვის მოუვიდა შენ მეტი აზრად იქ დადგომა და სიმღერა? რაღა დროს შენი რევოლუციებია. ისე, მადლობელი კი უნდა ვიყო, ეს სიგიჟე რომ დამიძალე, მაგრამ ჩემი შემოსავლის წყაროს,

წლების განმავლობაში ზედ რომ ვაკვდები, საფრთხე შეუქმენი ამით და ეს უკვე მეტისმეტია!

- ბოდიში, რომ ჯერ შენს საფულებზე არ ვიფიქრე იქ! - უთხრა კიტიმ დამცინავად, შინაგანად მაინც კმაყოფილი იყო, აშკარად ეტყობოდა ემის, რომ ამ ყველაფერმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, თან არასასურველ თემასაც არ შეჰხებია; ძალიან კარგი ნიშანიაო, გაიფიქრა კიტიმ.

- ღმერთო ჩემო, იმ ტერორისტების ბანდას შეეძლო დაეპატიმრებინე და რომელიმე გულაგში ჩაეყუდებინე, - შფოთავდა ემი, რომელიც, პრინციპში, მხოლოდ იმიტომ ინტერესდებოდა პოლიტიკით, რომ ეს მოლაში იყო და მისი წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე ამით შემოიფარგლებოდა: „სიბნელე. ყველაფერი რუხი. არავითარი ტანსაცმელი. ყველა ერთნაირ რეზინის ჩექმებში ჩაცმული. სიცივე. ტალახი. ისევ სიცივე. ბევრი ბებერი კაცი. ცუდი მუსიკა. უბედური სახეები და არავითარი სექსი“ (არა, ბოლო პუნქტში მაინცდამაინც არ შემცდარა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მე დავიბადე, სრული სერიოზულობით იყო ნათქვამი ცნობილი ფრაზა: „საბჭოთა კავშირში არავითარი სექსი არ არსებობს“).

- მომისმინე, რამეს მოვამზადებ, მშვიერი ჩანხარ და მერე ვილაპარაკოთ, კარგი? - შეანწყვეტინა კიტიმ მძვინვარე მონოლოგი და სამზარეულოსკენ გაემართა. ჭამის დროს დაწვრილებით უამბო, რაც პრალაში გადახდა თავს, ფერადოვნად და გრძლად აღუწერა ქუჩის სცენები, სადაც თავი ამოყო, დაუღალავად პასუხობდა ემის დაუსრულებელ შეკითხვებზე, რომ კიდევ უფრო გაესვა ხაზი, როგორი მოწინებით ეპყრობოდა, ოღონდ დედასთან შეხვედრა არ უხსენებია.

- ჩემი აზრით, ეს სრული სიგიჟეა. ახლა კი, როცა დარდი გამიქარწყლე, მინდა გითხრა, რომ შენი ნამოქმედარი შესაძლოა სულაც არ იყო ჭკუას მოკლებული, სულაც არა.

- რას გულისხმობ?

- აბა, ერთი წაიკითხე, რას წერენ. ხოტბას გასხამენ, როგორც ნამდვილ პატარა გმირს. შეუპოვარი ბრძოლისთვის ბოროტი კომუნიზმის წინააღმდეგ. აი, მაგალითად: „მის ჯაშმა ხმა აღიმაღლა ჩაგვრისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ“. ბლა-ბლა-ბლა. აბა, თუ მიხვდები, რას ვგულისხმობ.

- კი მაგრამ...

- ხვალღიდან ინტერვიუების თხოვნით მოგმართავენ. ერთ კვირაში ბი-ბი-სის სტუდიაში იჯდები. გარანტიას გაძლევ. მერე ამერიკელები გამოჩნდებიან და ყველას მოუხდებენ შენგან იმის გაგება, თუ რა საშინელება ხდებოდა, როგორ გეშინოდა, რომ მოგკლავდნენ, და როგორი დაჩაგრულია იქ ყველა. მერე შენს საშინელ წარსულსაც მოუყვები და ევროპის ტურნე, და იქნებ ამერიკისაც, გამონერული

გვექნება, მერე კი შესაძლოა, ოქროს ფირფიტის ჩანწრაც. ასე რომ, შეუდექი ახალ ალბომზე მუშაობას. ასეთ პიარზე ვერც კი ვიოცნებებდით. მსმენელი არ მოგაკლდება, სიხარულო.

- დრო მჭირდება. ერთი სიმღერაც არ დამინერია მას მერე, რაც...

- რის მერე? ამის გაგონებაც არ მინდა. ერთ რჩევას მოგცემ: ვისზეც შენ ფიქრობ, ის შენს პროდუქტიულობას ვერ გაზრდის, ასე რომ, მე შენს ადგილზე კარგად დავფიქრდებოდი.

ემი გამოცოცხლდა. თითქოს ახლიდან იწყებდა ცხოვრებას, საოცრებებით, დაპირებებით და საჩუქრებით სავსეს. ვარდისფერი ბლოკნოტი ამოიღო და სწრაფად ჩაინერა რაღაც. კიტიმ ხელები აიფარა სახეზე და ამოიოხრა.

- კარგი, თუ ძალიან გინდა, მითხარი. რა ხდება? ჩემი საწყალი კიტი... არა, მართალი გითხრა, ვერც კი წარმომიდგენია, შენ იმდენად ჰეტერო ხარ, რომ არ მესმის, არ დადის ჩემამდე. მაგრამ, რომ ვუფიქრდები, იმას ჩემი ქმრის ჩანწვენაც შეუძლია ლოგინში.

- ცუდად არის, შეანყვეტინა კიტიმ ჩუმად, თითების მტვრევით, - ერთი კვირის წინ კლინიკაში დავანვინე. დეტოქსიკაციის კლინიკაში, რიჩმონდში. ახლებურად მკურნალობენ.

- მკურნალობენ? ისევ ბევრს სვამს?

- არა, უარესს აკეთებს.

- რამდენად?

- ჰეროინი.

- ღმერთო ჩემო!

ემიმ პირზე აიფარა ხელი, წამოხტა, ისევ დაჯდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, შეკამათება უნდოდა, შეპასუხება, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, შემინებული თვალები მიაპყრო კიტის.

- ჰო, მეც არ მინდოდა დაჯერება, მაგრამ ცუდად გახდა, ძალიან ცუდად. კინაღამ მოკვდა. ვერ გაგვბედე, რომ შენთვის მეთხოვა შველა.

- რამდენი ხანია?

- ზუსტად არ ვიცი. მგონი, ამერიკის მერე. პრადიდან რომ დავბრუნდი, ლამის უგონოდ დამხვდა, აბაზანაში მთელი ეს აღჭურვილობა. კინაღამ გადავირიე. საუკუნეა, აღარაფერი დაუხატავს, გაყიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვერ წარმოიდგენ, რამდენი ვალი დაუგროვდა. შენთან უნდოდა დარეკვა ფულის სათხოვნელად, მაგრამ ავუკრძალე. ვიფიქრე...

- შენ თვითონ უნდა დაგერევა.

- მე არ შემეძლო და არც მინდოდა, ემი. ასე არ მინდოდა, ამ მიზეზით.

- კლინიკის ხარჯებს მე გადავიხდი.

- არა, არ არის საჭირო. მოვახერხებ როგორმე.

- გადავიხდი-მეთქი. უკეთ არის?

- არ ვიცი. ტელეფონით მეუბნება, კიო. ექიმებმა დაბეჭითებით მირჩიეს, პირველ კვირებში ნუ ესტუმრებითო. კვირაში ორჯერ ვურეკავ.

თითქოს უკეთესი ხმა აქვს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ალბათ. მსახიობობის ნიჭი აქვს, ხომ იცი.

- ვიცი. აბა, რა. კარგად ვიცი.

როცა კიტიმ ტაქსის მძღოლს ფული გადაუხადა, ფრედის პატარა ჩემოდანი აიღო და ჰაიდ პარკისკენ დაიძრა სადმე მყუდრო მდებარე ჩამოსაჯდომად, უკვე იცოდა, რაზეც მიდიოდა. ფრედს სადგურზე დახვდა. კიდევ უფრო გამხდარს და ფერმკრთალს, თმა ისე ჰქონდა აკუნული, კიტის კინალამ გული გაუსკდა. შუბლზე ანეული მწვანე „რეი-ბანის“ სათვალით თოთხმეტი წლის ბიჭს ჰგავდა.

კიტი ხვდებოდა, რომ გამარჯვებამდე ჯერ შორს იყო, ბრძოლა მხოლოდ იწყებოდა. არ შეიმჩნია, რომ ფრედის მოუვლელობამ შოკში ჩააგდო. ადრე რამდენიც უნდა დაეღია, ყოველთვის ზრუნავდა გარეგნობაზე, ყოველთვის იდეალური ვარცხნილობა ჰქონდა, ტანსაცმელი კარგად მომდგარი. ახლა კი მუხლებგამოხეული შარვალი ეცვა, ოფლის სუნი უდიოდა და თმა თითქოს ტილებისთვის ან სხვა არანაკლებ ამაზრბენი არსებებისთვის შეენირა.

ფრედი ნამიან ბალახზე განვა მის გვერდით. შორს მთელმა საბავშვო ბაღმა ჩაიარა მასწავლებელთან ერთად.

- ეს როგორ გააკეთე? - დაიწყო კიტიმ და შეეცადა, წყობიდან არ გამოსულიყო.

- თავის მართლებას არ ვაპირებ, - უპასუხა ფრედმა გულგრილად.

- ესე იგი ახსნის ღირსადაც არ მთვლი? სხვათა შორის, საშინლად გამოიყურები.

- ბოდიში, მაგრამ ვიზაჟისტთან მისვლა ვერ მოვახერხე. მოგეხსენება, ძალიან სწრაფად მომიწია წამოსვლა.

- მერე, ვისი ბრალია? მირეკავს ვიღაც ისტერიული ექთანი და მეუბნება, რომ ნარკოტიკებისა და ალვირასხნილობის გამო კლინიკიდან გამოგაგდეს. გაგიჟება შეიძლება, ფრედ... ალვირასხნილობის გამო!

- კინალამ მოვკვდი, უბრალოდ ექთანს ვთხოვე...

- ალბათ, ქალების ტუალეტში სცადე იმ ექთნის შეცდენა, წამალი რომ მოეცა.

- სულ ცოტა მორფი მინდოდა, მეტი არაფერი. ტკივილები მქონდა.

- მოკლედ, ახლა ასეთ რამეს გთავაზობ. უკანასკნელად: ჩემთან წაგიყვან, მოგივლი, გადავდებ ჩემს საქმეებს, სამი თვე არ მოგშორდები, დღე და ღამე გიდარაჯებ, რომ სამუდამოდ დააღწიო თავი ამ ჯოჯოხეთს, ამის მერე... სუფთა იქნები. თუ არა, თუ არ დამიჯერებ ან ჩემს მოტყუებას შეეცდები, ვეღარასდროს მნახავ. ერთადერთ შანსს გაძლევ.

- რა ბავშვივით მეღაპარაკები.

- გონებრივად უფრო მაღალ საფეხურზე ნამდვილად არ ხარ, ფრედ. მე ხომ შენზე ვზრუნავ, ეს არის მთავარი, ეს უნდა იყოს შენთვის მთავარი.

- მომწონს, როცა ასეთი გამძვინვარებული ხარ. ძალიან სექსუალური ხდები.

- სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. პასუხს ველოდები.

- არ ვიცი.

- რა არ იცი? გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა? გახსოვს, ჩემთან რომ მოხვედი და მითხარი...

- ჯერ არ გამოვშტერებულვარ.

- ჰოდა, ძალიან კარგი. ესე იგი გესმის, რასაც ვგულისხმობ.

- შენ არასდროს მიგიღია გადანყვებილებები ჩემ მაგივრად. სწორედ ეს მომწონდა. ყოველთვის მე დაგდევდი. ესეც მომწონდა. ახლა კი გინდა სხვებს დაემსგავსო?

- რა უმაღური ხარ.

- მიდი, ბოლომდე თქვი. გეყოს კეთილი ადამიანის თამაში, გულის ამრევია. ამონათხიე ბოლოს და ბოლოს ყველაფერი, რაც დაგიგროვდა. უკეთ გახდები.

- მოკეტე. უბრალოდ მოკეტე. გეყოს, რაც მიქარე. მე სხვებს არ ვემსგავსები. მე იმას ვაკეთებ, რაც არავის გაუკეთებია: შანსს გაძლევი, რომ დარჩე და აღარ გაიპარო.

- რატომ? მე ხომ ამას არ ვიმსახურებ სიხარულო. მე ხომ უბრალოდ ნაგავი ვარ. ნაწყენი უნდა იყო ჩემზე.

ფრედი გაჩუმდა. პატარა ქვით მინა მოჩიჩქნა. გადახობ-გადმოხობდა საჯდომით, შარვლის ნახვრეტი განიწვანა თითით, თავი მოიფხანა, მკლავები მოიფხანა. მერე ჩუმად თქვა, ძლივს გასაგონად:

- კაი.

- რა კაი?

- ვცდი.

ამის მერე კიტი ჯაშმა თავის ბინაში წაიყვანა ფრედი და მასთან ერთად დარჩა. მიუხედავად ემის მუქარისა და ხვეწნისა, ახალ ალბომზე დაეწყო მუშაობა, ინტერვიუებზე დათანხმებულიყო - რაღა თქმა უნდა, სწორად გათვალა და ახლიდან აგორებულმა ინტერესმა კიტის მიმართ ყველა მოლოდინს გადააჭარბა, - კიტი მაინც ასრულებდა თავის პირობას, ფრედის გადარჩენას ცდილობდა და როცა აგვისტოში, ერთ დილას მისმა მფარველმა ანგელოზმა, მისმა უსახელო მეგობარმა დაურეკა და შეატყობინა, ჯანმრთელი პატარა გოგოს დიდი მამიდა გახდიო, კიტის ამ დროს ჯამი ეკავა ფრედის პირთან, რომელიც ლანძღვა-გინებით არწყევდა.

* * *

როგორც კი მტრის ხატს ქმნი, დამანგრეველი ძალა იწყებს მოქმედებას.

რადგან მტერი კი არ აჩენს უნდობლობას, არამედ უნდობლობა ქმნის მტერს.

მერაბ მამარდაშვილი

როცა დარიამ ჰკითხა, სხვადასხვა ფერის თვალები რატომ მაქვსო, სტასიამ მიუგო: „ეს იმიტომ, ჩემო მზის სხივო, რომ შენში ორი ცხოველი ბუდობს: ლურჯთვალა ჰასკი, მარხილის ძაღლი, მისგან გაქვს ერთი ლურჯი თვალი, და პატარა ზღარბი, მორცხვი და ეკლიანი, მისგან ყავისფერი თვალი გერგო. ჰასკი შენი გაბედული ნაწილია, მუდამ მიუწვდომელს ეძებს, შეუცდომლად პოულობს გზას, სულ წინ მიიწევს, უკან არ იხევს, ზღარბი კი ის ნაწილია, რომელსაც სიმშვიდე და სიმყუდროვე უნდა, უსაფრთხოება და ბევრი სიყვარული სჭირდება, ჰასკის თვალუწვდენელი სამყარო აშინებს და ამიტომ უკან დახევა ურჩევნია“. დარიას მთელი ცხოვრება ახსოვდა ეს და ყოველთვის ჰყვებოდა, როცა გაკვირვებით და აღტაცებით აღნიშნავდნენ მის თვალებს.

დარიას ბავშვობას რომ ვიხსენებ, ყოველთვის კოხტად გამოწყობილს ვხედავ, რაზეც, უპირველესად, ბაბუაჩემი ზრუნავდა. ჟურნალ ბურდადან გადმოშტარს ჰგავდა, ლაქის ფეხსაცმლით, კულულებიანი ქერა თმით და თეთრი წინდებით, ტუჩებს პრუნავდა და ბრძანებებს გასცემდა. პრინცესა, რომელმაც მხოლოდ დროებით შეაფარა თავი ჩვენს ოჯახს და ამიტომ ყველაფრის უფლებას აძლევდნენ, ყველა სურვილს უსრულებდნენ. დარიას მართლა ყველაზე გასაგიჟებელი, ულამაზესი თვალები ჰქონდა, რაც კი ოდესმე მინახავს. საერთოდ ძალიან ლამაზი იყო, ჩამოქნილი, თითქმის სრულყოფილი, მხოლოდ ხმა ჰქონდა ბოხი, როგორც გაბუტულ ბიჭს და მაინცდამაინც არ ესადაგებოდა მის ანგელოზის გარეგნობას. ახლაც ჩამესმის ჩურჩული, როგორც მაშინ, დედასთან ხელჩაკიდებულები რომ მივსეირნობდით, როგორ გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ადამიანები ერთმანეთს რაღაცას, როგორ აყოლებდნენ თვალს დარიას, გარს ეხვეოდნენ, როგორც ბზიკები თაფლს. რა თქმა უნდა, ტყუილი იქნებოდა მეტყვა, რომ არ ვიტანჯებოდი მაშინ. ტყუილი იქნებოდა მეტყვა, რომ არ მძულდა ზოგჯერ ღამღამობით. მაგრამ ეს ტანჯვა-წამება დარიასა და მისი სილამაზის ბრალი კი არ იყო, არამედ უფრო ბაბუაჩვენის მიერ მისი გაღმერთების: მის თვალში სწორედ დარიას გააჩნდა ყველა უპირატესობა ბრწყინვალე ცხოვრებისთვის, გააჩნდა ყველაფერი, რასაც ის ქალებში აფასებდა: განუმეორებელი სილამაზე, ადამიანების საკუთარ ჭკუაზე ტარების თანდაყოლილი ნიჭი, ზღვარგადასული თავნებობა, რომელიც ასეთ სილამაზეს მოსდევს, და ცირკის განწრთნილი ცხენისთვის დამახასიათებელი მორჩილება.

როგორც გითხარი, ბავშვობაში გადატანილი უამრავი ბრძოლის მიუხედავად, ჩემს უფროს დას ყოველთვის ვეთაყვანებოდი, ვცდილობდი

დავმსგავსებოდი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ამას ვერასდროს მივალწევდი.

დაუწერელი კანონივით იყო, რომ ყველაფერს სინათლე ეფინებოდა, რასაც კი შეეხებოდა, ამიტომ არც ის იყო გასაკვირი, რომ მერე ყველაფრის განადგურების უნარიც აღმოაჩნდა, მერე, როცა გარდასახვა მოხდა და მასში დაბუდებული ზღარბი სამუდამოდ გაქრა. თუმცა, მე ჯერ დაბადებულის არ ვარ, ჩვენს ამბავში ჯერ არ გავჩენილვარ. ასე რომ, საკუთარ მეხსიერებაში ქექვის უფლებაც არ მაქვს, სხვების მოგონებებით უნდა დავკმაყოფილდე, რომლებიც მოგვიანებით გადაიკვეთება ჩემს შეხედულებებთან.

სანამ დარიას შემქმნელს, რომელსაც დედაჩვენი დაეხმარა გაპარვაში, სამუდამოდ გავისტუმრებ ჩვენი ამბიდან, ალბათ, ის მაინც უნდა ვახსენო, რომ მართლა ამერიკაში წასულა. ელენე მას არასდროს ახსენებდა. მაგრამ ერთხელ, როცა ქვეყანა, რომელშიც ჩვენ ყველა დავიბადეთ, უკვე კარგა ხნის გამქრალი იყო მსოფლიოს რუკებიდან, კაკლის ტეხით გართულმა მითხრა, ყოველთვის ვიცოდი, რომ ვასო ამას მოახერხებდაო. მისი კრიმინალი ძმა დაუკავშირდა თურმე, რომელიც ამასობაში ბიზნესმენი გამხდარა, და იმან უთხრა, რომ ვასილი დევენპორტში გარდაიცვალა, ილინოისის შტატში, სადაც ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობდა და მესამე ცოლი ჰყავდა. ნაწლავების გადახლართვით, სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონია და ამიტომ, ავადმყოფობის მიუხედავად, ექიმთან არ მისულა.

ცოტა არ იყოს შემცბარმა და იმედგაცრუებულმა იმით, რომ მისი გეგმა ასეთი შედეგით დასრულდა, რომ ვასო ნიუ-იორკში ან ლოს-ანჯელესშიც კი ვერ ჩასულა და სადღაც პროვინციაში გაჩხერილა რომელიღაც ბენზინგასამართ სადგურზე, ელენემ მითხრა მაშინ, არ გამოვრიცხავ, რომ თავის დასავლეთის რეალობას მაინც მეტი ბედნიერება დასტყუაო. რამდენადაც ვიცი, არც ერთ ამერიკელ ცოლთან შვილი არ ჰყოლია. ისე მოკვდა, რომ ერთადერთი შვილი არც უნახავს და არც დალაპარაკებია.

დარიას უმამოდ გაზრდა ხვდა წილად. ამ გარემოებამ უბიძგა ბაბუაჩემს, მოსკოვის სამხედრო წრეებს დაშორებოდა და სამშობლოში გადაყვანა ეთხოვა, თუმცა ეს გადაყვანა კოსტია ჯაშისთვის ჩამოქვეითების ტოლფასი იყო, ალბათ, რადგან შავი ზღვის ფლოტს არავითარი სამხედრო დანიშნულება არ გააჩნდა და მხოლოდ სავაჭროდ იყენებდნენ. მაგრამ ზღვის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ასე რომ, შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიკითხა, საიმედო ხალხს დაავალა საქართველოში, გაერკვიათ, მისთვის შესაფერისი ადგილი თუ მოიძებნებოდა, რადგან იცოდა - თუ მოინდომებდა - საქართველოში მისთვის ყველა კარი ღია იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, რუსეთში მოახერხა თავის გატანა და საქართველო რაღა იყო. წყალქვეშა ფლოტის საიდუმლო საბჭოში უდიდეს წარმატებას მიაღწია. მისმა კომიტეტმა,

ადმირალ გორშკოვის ხელმძღვანელობით, უმოკლეს დროში შეძლო მსოფლიოში საუკეთესო წყალქვეშა ნავების შექმნა. მარტო რიცხობრივად კი არ აჯობეს ამერიკელებს, არამედ ყველა მათი რეკორდი მოხსნეს: სისწრაფე, სიღრმე, სიდიდე.

კოსტიას შეეძლო ეამაყა თავისი კარიერით. ამ სწრაფ წინსვლას, ცხადია, მსხვერპლიც ახლდა, ცხადია, დანაკარგიც დიდი იყო, მაგრამ რომელი დიდი საქმე გამოსულა უმსხვერპლოდ?

კი, მძიმე იყო ოქმის შედგენა წყნარ ოკეანეში ჩაძირული K-129-ის შესახებ; არც ბისკაის ყურეში K-8-ის ამბავი იყო დიდად სასიამოვნო და, ბუნებრივია, K-19-ის გახსენებაც არ უნდოდა.

კოსტია ზღვასთან იყო შეუღლებული, სწორედ ზღვასთან, და ამდენი წლის მერე თავისი მეუღლის გაცვლა დააპირა პატარა, ალერსიან, სხვადასხვაფერისთვალებიან გოგოზე. ბათუმში ან ფოთში სამოქალაქო სავაჭრო დაცვაში წასვლა არ უნდოდა, შავ ზღვაზე კი სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. ხმელეთზე დაბრუნების დრო მოვიდა? საბოლოოდ? ოჯახზე ზრუნვის, ელენესთან მიქარულის დარიასთან გამოსწორების დრო? მოახერხებდნენ, რომ ნორმალურ ოჯახს დამსგავსებოდნენ?

კოსტია მხრებით გრძნობდა თავის ასაკს, როგორც მხედრის მძიმე აღჭურვილობას. სარკეში აკვირდებოდა თავის თავს, ნაოჭებს ითვლიდა და ცოფებს ყრიდა ცხვირიდან გამომხტარი ყოველი ახალი ღერი თმის და წელზე ქონის ნაკეცის გამო. კი ვარჯიშობდა ყოველ დილას და გარეგნობას დიდ ყურადღებას უთმობდა, ძალიან ცდილობდა, მოდას არ ჩამორჩენოდა, მაგრამ მშვენივრად იცოდა, რომ მალე გაუჭირდებოდა ახალგაზრდა, ქერა, ლავანდისა და თაფლისსურნელიანი ქალების მოხიბლა. დრო მოვიდა, რომ უკვე მეორე და მესამე ასაკობრივი ჯგუფის, მეოთხე და მეხუთე კატეგორიის გარეგნობის მქონე ქალებით დაკმაყოფილებულიყო. და ეშინოდა ამის.

ამ დროს ერთმა თბილისელმა მეგობარმა შესთავაზა, ხომ არ გინდა, 32-კაციან ეროვნულ საბჭოში იყარო კენჭიო. ხელზე კოცნით მიიღებენ შენაირ გამოჩენილ, დამსახურებულ კაცსო. და მიუხედავად იმისა, რომ უმძიმდა ზღვის გაცვლა მოსაწყენ კაბინეტურ სამუშაოზე, მიხვდა, რომ ეს თანამდებობა საუკეთესო ვარიანტი იყო მისთვის მოცემულ სიტუაციაში. დეპუტატი საზღვაო კაპიტანს არც დაფასებით ჩამოუვარდებოდა და არც ფინანსურად. თანაც ისევ მბრძოლეს დაეჭვმდებარებოდა – მისთვის კარგად ნაცნობ გარემოში დარჩებოდა. როგორც ეროვნული საბჭოს წევრი, საპორტო ზედამხედველობასაც შეძლებდა. ამაზე უარს ვერ ეტყოდნენ.

კოსტია შესაბამის ორგანოებს დაუკავშირდა და თავისი მზადყოფნა განუცხადა, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, სიხარულით შეხვდნენ. კოსტიამ მართლა გადაწყვიტა დაბრუნება, თუმცა თბილისს დიდი ხანია სამშობლოდ აღარ აღიქვამდა. გადაწყვიტა, რომ მას უნდა განეკარგა ოჯახი, რომელიც ჩასაძირად განწირულ გემს დამსგავსებოდა.

მისი დაბრუნებისას უკვე „ოტტეპელზე“ ლაპარაკობდნენ. ბრეჟნევის მმართველობისას რუხი კარდინალების ეპოქა დაიწყო. მაშინ, საბედნიეროდ, ჯერ არავინ იცოდა, რომ კიდევ თერთმეტი წელი დარჩებოდა თანამდებობაზე – აქედან ნახევარზე მეტი მძიმედ ავადმყოფი – და ქვეყანას სრულ სტაგნაციამდე მიიყვანდა. ბრეჟნევის ყველაზე დიდი „დამსახურება“ – პრალის გაზაფხულის დამარცხებასთან ერთად – კონფიდენციალობის კანონის დაბრუნება იყო, მკაცრად აღიკვეთა გენერალისიმუსის კრიტიკა საჯაროდ და ისე თანმიმდევრულად დამყარდა სიმშვიდე დროის თერთმეტ ზონაზე გადაჭიმულ უზარმაზარ სახელმწიფოში, რომ ქვეყანა თვალსა და ხელს შუა მთვლემარე კომატობურ მდგომარეობაში ჩავარდა.

ბრეჟნევმა გულმკერდი აბსურდული რაოდენობის ორდენებით და მედლებით შეიმკო, მარშლის წოდება მიიღო და კმაყოფილმა განაცხადა: „ქვეყანაში სტაბილურობა, მშვიდობა და კეთილდღეობა სუფევს. მოხარული ვარ, რომ ჩვენთან ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს“.

კი, ნამდვილად ნორმალურად იყო ყველაფერი. მისი მმართველობის დროს არ არსებობდნენ ლოთები, სადისტები, ჯაშუშები და ეჭვებით შეპყრობილი პირები. რაც უნდა იყოს, კონდენსირებული რძეც იშოვებოდა, რძის ფხვნილიც და ხიზილალაც კი, თუ შესაბამის წრეში ტრიალებდი, აგარაკებსაც ურიგებდნენ ზემდგომ პირებს, ცხადია, ტარაკნებით გავსებული კომუნალური საცხოვრებლებიც იყო, არსებობდა ჭემშარიტი იდეა, რომლის მსახურებაც ღირდა, არსებობდნენ ნაყოფიერი ქალები, იაფი სიგარეტები და კომფორტული „ვოლგები“, ბევრი არაყი და უკიდურეს შემთხვევაში „სამაგონი“, რომელიც შეუცდომლად მოქმედებდა და რამდენიმე ყლუპით გათიშვას იწვევდა, არსებობდა ციხეები ცუდი ადამიანებისთვის, ანუ მათთვის, ვინც არ აფასებდა იმ გრანდიოზულ სისტემას. არსებობდა ზუსტი მეთოდები, სახელწიფო ასეთი ნაძირლების წინააღმდეგ იყენებდა და უამრავი საშუალება მათ გასაძევვლად.

სახელმწიფო აკვალიანებდა მოქალაქეებს, რომელ სანატორიუმში დაესვენათ, აძლევდა პროფესიას, თავშესაფარსა და სიცოცხლის აზრს. კი, ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობდა.

კოსტიამ მუყაოს ყუთებში შეფუთა ძვირფასი ფაიფური, ავეჯის დიდი ნაწილი გააჩუქა, ძვირად ღირებული გობელენები და ხალიჩები თბილისში გადაგზავნა და ყველაფერი, „ჩაიკად“ წოდებული მისი საყვარელი კრემისფერი GAZ 13-ის ჩათვლით, სამშობლოში გადააზიდვინა.

თბილისში სათანადო დახვედრა მოუწყვეს, გაუთავებლად უშლიდნენ სუფრას, მზიური საქართველოსთვის ჩვეულ გადამეტებულად აღტყინებულ სტუმართმოყვარეობას ავლენდნენ. „კომუნისტმაც“ კი

გამოაქვეყნა მასზე სტატია. დიადი გმირი სამშობლოში დაბრუნდა. ჩიტაძის ქუჩაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროში, კაბინეტი და მძლოლი გამოუყვეს.

და როცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შავი ზღვის საპორტო საზღვრის ზედამხედველობა შესთავაზეს, უსიტყვოდ დასთანხმდა. თბილისს, ფოთს, სოხუმს და ბათუმს შორის უნდა ემოძრავა და ეს ძალიან ხელსაყრელი იყო მისთვის, „პირად ცხოვრებას“ შეუფერხებლად გააგრძელებდა. რადგან, მიუხედავად სიბერის შიშისა, ბაბუაჩემი სულ არ ფიქრობდა იმ დროს თავისი ცხოვრების წესის შეცვლაზე.

კორუფცია ადმინისტრაციასა და მთავრობაში კარგა ხანია ზღვარს იყო გადასული, მაგრამ კოსტიას იმედი ჰქონდა, რომ იოლად გაუმკლავდებოდა ამას. საბჭოთა კავშირის უმკაცრეს დანესებულებებში გატარებულმა წლებმა საკმარისი თავდაჯერებულობა შესძინა საამისოდ. იმდენ ხანს იცურავა რუსეთის თვალუწვდენელ ზღვაში, საქართველოს გუბეები რას შეაშინებდა. ის კი არ იფიქრა, რომ ძალიან დიდ ხანს იყო მონყვეტილი კავკასიურ რეალობას და თანამემამულეების აღრეულ მენტალობას აღდოს ვედარ აუღებდა. რუსული ელიტის მკაცრი თამაშის წესებს იცნობდა, იცოდა ხელმძღვანელობის ფარული კორუფციის შესახებ, რომელმაც ბრეჟნევის მმართველობის დროს პიკს მიაღწია, მაგრამ ვერ ხედავდა, რომ ქართული კორუფცია, ქართული სიხარბე იმდენად შორს იყო წასული, რომ ამაზე თვალს ვერ დახუჭავდა. ვერ ამჩნევდა, როგორ მყუდროდ გრძნობდა თავს ქართული ელიტა – მათ შორის ინტელიგენციაც – თავის პატარა სამოთხეში ბოლშევიზმის ბატონობის ათწლეულების განმავლობაში. როგორ დაეუფლა თვალის ახვევის ხელოვნებას. როგორ მოერგო რუსების მიერ დაზარალებულის მდგომარეობას. რა იოლია ცხოვრება, როცა ყველაფერს ჩრდილოელ მჩაგვრელს აბრალებ. რუსეთში სწამდათ მთავრობის ძალაუფლების, სულ ამ ძალაუფლების შიშით ცხოვრობდნენ. საქართველოში კი მხოლოდ სიმუღირებდნენ ამ შიშს; აქ იმას ენიჭებოდა პრინციპული მნიშვნელობა, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისა მატყუარები და მექრთამეები იყვნენ. ამიტომ თავიდანვე მათ გასაცურებლად, გასაბრიყვებლად ან მოსაქრთამად იყვნენ მომართულნი. არც სისტემის სჯეროდათ და არც რამე იდეოლოგია ჰქონდათ, გარდა საკუთარი ჰედონიზმისა. თავდაპირველი აღშფოთების შემდეგ მიხვდნენ, რომ ჩრდილოელი მეზობლის წყალობით არცთუ ცუდი პოზიცია ერგოთ. და ამის გამოუყენებლობა დიდი შეცდომა იქნებოდა. კულტურით დაინტერესებულ, შემოქმედებით, მუსიკალურ, მოქიეფე, თუნდაც ცოტა ანარქიულ, კი ბატონო, ოღონდ სულ ოღნავ, ლამაზ და მჭევრმეტყველ, ზარმაც და ტემპერამენტიან ხალხს მშვენივრად შეეძლო ასეთ პირობებში ცხოვრება. რით იყო ეს ცუდი? ბოლოს და ბოლოს, ეს ის თვისებები იყო,

რასაც ეროვნულ იდენტობას მიაწერდნენ და რითაც ფრიად ამაცობდნენ კიდეც. ან იქნებ, რუსული ოცნება შვეიცისისხლობორცეთ ისე, რომ ჩვენად ვიგულებთ. მერე რა? რა იყო ამაში არასწორი? უარესადაც შეიძლებოდა წაგვსვლოდა საქმე. მთელი ის უზარმაზარი სახელმწიფო შურით უყურებდა ამ პანანინა, მზიურ სამოთხეს! რამდენი საბჭოთა რესპუბლიკა, რადენი ავტონომიური ოლქი, რამდენი დაძმობილებული ხალხი გაგვიცვლიდა ადგილს, დაჩაგრულ, გადასახლებულ უმცირესობებზე რომ აღარაფერი ვთქვათ! რადგან სანამ დიდი თანამემამულის, გენერალისიმუსის ლანდი გვფარავდა, ქართველებს ვერაფერს დაგვიშავებდნენ. იმას ვერავინ აუვლიდა გვერდს. ვერც რუსეთი და ვერც დანარჩენი მსოფლიო.

მართლა ძალიან ჭკვიანურად განსაჯა მამიკო რუსეთმა, ბრილკა, როცა თავის პატარა, თავნება, ცოტა არ იყოს, თავაშვებული შვილივო საქართველოს ყველა სისუსტე წააქეზა და სიძლიერედ შერაცხა, რადგან შვილმა შეიფერა, დაიჯერა, რომ მამას აჯობა ეშმაკობით, მის ძალაუფლებას დაუსხლტა და ვერც კი შეამჩნია – ისე ცდილობდა, მამის სიყვარული და შექება დაემსახურებინა – როგორ იქცა ნამდვილ მეძავად.

* * *

რალა დროს პეპლების ჭერაა!
დროა სულმა სიმშვიდე პოვოს...
სლუჩევსკი

არსებობდა ლამაზი ბურგდანიწვლული ჭიამაიები, ოჯახის ყველა წევრს თავისებური სუნი ჰქონდა და მათი ერთმანეთისგან გარჩევა ისეთი საინტერესო იყო; მზე არსებობდა და მთვარე, და კიდეც ძილი და სიზმრები, რომლებიც დარიას გაღვიძებისთანავე ავიწყდებოდა, არსებობდნენ მოხეტიალე ძაღლები და კატები და სასაცილოდ მოხატული ხვლიკები, ათასობით მცენარე, შუქს და მიწას უამრავი ფერი ჰქონდა, წყალს უამრავი ფორმა, დედას უამრავი ბლუზა, და არსებობდა გოია, რომელიც თავისი ახალი სახლის დათვალიერებით იყო დაკავებული.

ჰო, ბევრი რამ უნდა აეთვისებინა, ბევრ რამეს უნდა შეჰხებოდა ბევრის სუნი და გემო გაეგო, და ესწავლა: მაგალითად, ცოცვა ან სიტყვა დედა. კიდეც არსებობდა ბაბუა, რომელსაც დარია განსაკუთრებული აღტაცებით ეხუტებოდა ხოლმე, და მისი უღვაში, რომლის ღიტინიც ასე ამხიარულებდა. სოფლის იდილია, ცხენების ფრუტუნი საჭინიბოდან და დანარჩენი მსოფლიოსგან სიშორე იცავდა დარიას ყოველგვარი განსაცდელისგან.

ერთადერთი, რასაც დარიას სრულყოფილი ჰორიზონტის დანისლვა შეეძლო, დედის ნაღვლიანობა იყო და სრული უყურადღებობა მის

მიმართ, რადგან ელენე, მოლოდინის მიუხედავად, შვილის გაჩენამ ვერ განკურნა. ძალიან მძიმე აღმოჩნდა ღამღამობით მისი ჩხავილის ატანა, მკაცრად განსაზღვრულ დროს ძუძუს მიცემა, მშობიარობის შემდგომი ჰორმონული ცვლილებები, მეღანქოლია მოეძალა, დედაშვილური ბედნიერების ვალდებულებამ სტრესი გამოიწვია.

პირველი სამი თვე კიდევ უძლებდა ელენე, მერე კი სულ უფრო ხშირად გაურბოდა პასუხისმგებლობას, სულ უფრო ხშირად უტოვებდა შვილს დედას და ბებიას, იმათ, როგორც ჩანს, ბავშვის მოვლა არ უჭირდათ, პირიქით, იოლად და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ართმევდნენ თავს და აღტაცებულნი და აღფრთოვანებულნი იყვნენ ამით.

თავიდან ელენეც ისევე მოიხიბლა მწვანე სახლით, როგორც დანარჩენები მის ოჯახში. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე მოსწყინდა იქაურობა, ყველაფრისგან მოწყვეტილი, მარტოობით შეწუხდა. მიხვდა, რომ ვერც შვილი და ვერც მშობლები ვერ შეუვსებდნენ სიცარიელეს. ძალიან ბევრი დრო რჩებოდა ფიქრისთვის. ძალიან ბევრი გადაფიქრებისთვის. წარმოიდგენდა ხოლმე, რა მოხდებოდა, ვასილი რომ მასთან დარჩენილიყო, თვითონვე რომ არ დახმარებოდა თავის მიტოვებაში. ან სწავლა გაეგრძელებინა და თბილისში ეცხოვრა, საერთო საცხოვრებელში, თანატოლებთან ერთად, ახალი მეგობრები გაეჩინა, თანამოაზრეები, მოკავშირეები. თან სულ დამნაშავედ გრძნობდა თავს, ბინძურად, ისეთი თავგზააბნეული იყო და გაცოფებული, ძალიან უჭირდა ელენეს, ელენე ჯაში იყო და ამ მემკვიდრეობას ვერსად გაეცეოდა, სულ რაღაც განსაკუთრებულს ელოდნენ მისგან!

ელენე უაზროდ დაბორიანდებდა, ცუდად ეძინა, უხასიათოდ იყო, მოწყენილი. ერთ საათზე მეტხანს ვერაფერს უდებდა გულს, არაფერი აინტერესებდა, მის ცნობისმოყვარეობას ვერაფერი აღვიძებდა. ზოგჯერ ისეთი ბებერი, უსიცოცხლო და მარტოხელა ეჩვენებოდა საკუთარი თავი, აღარ ეგონა, რომ თავისი ასაკის შესაფერისი ცხოვრება ეღირსებოდა. არ იცოდა, რა უნდა ექნა. ღამღამობით ფეხაკრეფით გადიოდა ოთახიდან, ბაღში ხეტიალობდა, ჩუმად ეწეოდა სტასიას სიგარეტებს, ფრჩხილებს იკვნეტდა, აფორიაქებული შეჰყურებდა ღამის წყვდიადს და ეძებდა გზას, როგორ გამხდარიყო ვინმე სხვა, ოღონდ ის არ ყოფილიყო, ვინც იყო: როგორ დაიკარგა, სად გადაუხვია? რატომ აერია გზა, და საერთოდ, რომელი გზა იყო მისი?

სიმარტოვეში სეირნობა სულ უფრო ამორებდა მწვანე სახლს, ამორებდა სტასიას და ბავშვს, დედას და მამას, დილაადრიაანად რომ აკითხავდა კოსტიას მძლოლი და გვიან ღამით ჩამოჰყავდა ისევ.

როცა თავის მოსკოველ და თბილისელ კლასელებზე ფიქრობდა, თავის ძველ მეგობრებზე, დარიაზე ბრამდებოდა. იმათ ნამდვილად არ სტკიოდათ დასიებული ძუძუები, არ გასჩენიათ ორსულობის სტრეიბი, ღამღამობით სამ-სამჯერ წამოხტომა არ სჭირდებოდათ და შეეძლოთ

სეირნობაც, დაღევაც, დროსტარებაც, სწავლაც, მოგზაურობაც, შეყვარება და გადაყვარება და თავიანთი ასაკისა და სურვილების შესაბამისად ცხოვრება. სულ უფრო შორს მიდიოდა სასეირნოდ. ირგვლივ მდებარე დაბა-სოფლები მოიარა. საჭინბოში დადიოდა. მოქნილ, ჭიშკიან ცხოველებს აკვირდებოდა, არაბულებს, ჯავახურებს და ყაბარდოულებს. ოცნებობდა, როგორ შემოახტებოდა რომელიმეს და ცხრა მთას იქით გააჭენებდა.

ერთი ასეთი გასეირნების დროს შეხვდა მიქაელს. მგონი, სწორედ მისმა სახელმა შეძრა ასე. დავითი, სერაფიმე ან გიორგი რომ რქმეოდა, იქნებ არც გამოეწვია მასში ასეთი თავგანწირვის უინი.

შუა ხნის კაცი იყო, წვერმოშვებული და უცნაურად ჩაცმული. მკერდზე სადა ხის ჯვარი ჩამოეკიდა. ბაფხულობით საჭინბოში მუშაობდა.

როგორც კი თავდაპირველი უნდობლობა დაძლია, ელენე ენად გაიკრიფა, პირქეში კაცი კეთილგანწყობილი და გულღია აღმოჩნდა, ყურადღებით გაიზიარა მისი დარდები. თანაც, ქალაქელივით ლაპარაკობდა: თბილისელი ყოფილა. სეირნობა ელენეს მთავარ საქმიანობად იქცა. დაახლოებით სამ საათზე მიქაელს შესვენება ეწყებოდა, ამ დროს ელენე უკვე საჭინბოსთან ელოდა. პატარა კალათით მიჰქონდა ხოლმე სტასიას ნუგბარი, ცოტა ხილი და ბოსტნეული და როცა ახერხებდა, კოსტიას მარაგიდან აწაპნილი ღვინო. მოსწონდა მიქაელის სიმშვიდე, თავშეკავებულობა, ყველაზე მეტად კი მოსწონდა, რომ მას ქალად არც კი აღიქვამდა თითქოს. თავიდან იწყინა კიდევ და მისი ეს უყურადღებობა დარიას გაჩენით გამონწვეულ დაუშნობას მიაწერა, მაგრამ ძალიან მალე შვება იგრძნო. ასე სჯობს, ასე უფრო მარტივიაო. მიქაელი არ უსვამდა სულელურ შეკითხვებს, არ უკვირდა, რომ ბავშვის მამა ერთხელაც არ უხსენებია, არ დაინტერესებულა, ასეთი ახალგაზრდა ქალი ასე განმარტოებით რატომ ცხოვრობდა და არ მუშაობდა, სოციალისტური ფასეულობების შესატყვისად, რის მიხედვითაც საბჭოთა კავშირში უმუშევრები არ არსებობდნენ. ერთხელ ჰკითხა, ღმერთი თუ გნამსო. ელენეს რატომღაც სულ არ გაჰკვირვებია ეს შეკითხვა, თითქოს ელოდაო. უპასუხა, არ ვიცი, მინდა, მწამდესო. ორი წლის წინ მონასტერშიც კი წავედი, მაგრამ ამან ბევრი არაფერი მომცაო. ამის შემდეგ მიქაელმა დაიწყო მისი მომარაგება ქრისტიანული ტექსტებით. მერე ისიც უამბო, რომ მისი მშობლები რეპრესირებულნი იყვნენ, რომ თვითონ ნათესავებთან და ბავშვთა სახლებში იზრდებოდა, მისმა დამ კი თავი მოიკლა, როცა შეიტყო, რომ საკუთარი ქმარი უთვალთვალებდა. ცხრამეტი წლისამ თურმე ნავთლუღის ციხეში ამოყო თავი, მერე კიდევ შვიდი წელი გაატარა პატიმრობაში, უკვე როსტოვში. ცუდ გზას დაადგა, როგორც თვითონ თქვა. ციხეში ღმერთი უპოვია და ახლა თავის რელიგიას ავრცელებდა: ბერძნული ორთოდოქსული

მსოფლმხედველობისა და ტოლსტოის „აღსარების“ და „რა არის ჩემი რწმენის“ ერთგვარ ნარევს.

როსტოვის მერე მთელ ქვეყანაში დაუნყია ხეტიალი, რამდენჯერმე დაუჭერიათ სამუშაოსთვის თავის არიდების გამო. ეზიზღებოდა ყველანაირი საკუთრება და სოფელში სეზონური სამუშაოთი გაჰქონდა თავი, იმიტომ, რომ თბილისში მისი ქვევა ძალიან თვალში საცემი იქნებოდა და მიმდევრებსაც ვერ იპოვიდა. მოგზაურობის დროს მკურნალის სახელი მოიხვეჭა (ამისთვის კავკასიაში ყოველთვის არსებობდა ნაყოფიერი ნიადაგი), კოლმეურნეობებიდან და ჩაის პლანტაციებიდან მოშორებით საკმაო რაოდენობის ხალხს აგროვებდა მისი შეკონინებული მოძღვრება. სულ მალე ელენეც შეემატა მისი მიმდევრების რიცხვს. მიქაელი ქადაგებდა ცხოვრებას საკუთრების გარეშე, სახელმწიფოს გარეშე, ციტირებდა ბიბლიასა და ტოლსტოის და მუდმივად ამარაგებდა ელენეს საჭირო წიგნებით.

ისე მარტივად და ჭკვიანურად ჟღერდა ყველაფერი, რასაც ამბობდა. თითქოს საკმარისი იყო, მცნებებს მიჰყოლოდი და ცხოვრება ერთ დაუსრულებელ სიხარულის ზეიმად გადაიქცეოდა. მაგრამ მისი მოძღვრების ყოფაში გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა. რამდენს ეცადა ელენე, მიეტევებინა მშობლებისთვის, არ გაბრაზებულიყო დარიაზე, არ აჰყოლოდა ოჯახის წევრების გაღიზიანებას, კეთილი და ლმობიერი ყოფილიყო, მუდამ თავის საზღვრებს აწყდებოდა და მიქაელთან გარბოდა, ინანიებდა „ცოდვებს“ და მწვანე სახლში თავს მოხვეულ ჰარმონიულ არსებობას უჩიოდა:

- აღარ შემიძლია! საღამოს აივანზე რომ ვზივარ ხოლმე, მაშინაც კი მესმის, როგორ ეუბნება მამაჩემი დედაჩემს, რას დანოწიალობს აქეთ-იქით, რატომ უსაქმურობს, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, არაფერი აინტერესებს, ეს ხომ არ არის ნორმალური, თან ამ სულელურ მუსიკას უსმენს გაუთავებლად, ეს რა ავადმყოფობაა, რა უქნა თავის თმას, თანატოლებთან რატომ არ ურთიერთობს, რატომ არ მოგვეყვება თბილისში, რა უნდა ამ სოფელში, სად დადის. და ასე შემდეგ. დედა კი მის დაწყნარებას ცდილობს, რაღაც ტყუილებს იგონებს, თუმცა იმასაც გავუცრუე იმედები. ცხადია, კმაყოფილი იქნებოდა, მისი სტუდენტი რომ ვყოფილიყავი, იამაყებდა, იტყოდა: შეხედეთ ჩემს შვილს, მართალია, სამშობლოს მოღალატემ მიატოვა, მაგრამ გადაიტანა, ძალა მოიკრიბა და ახლა სტუდენტია და მალე მაგარ ქართველ ბიჭს იპოვის, რომელიც ნამდვილად არ მიატოვებს და მიხედავს, როგორც წესი და რიგია. ელენე კი კარგი დიასახლისი იქნება, საზოგადოების სული და გული, ცეკვა-ცეკვით გალევს თავის ცხოვრებას, ზაფხულობით ბორჯომში დაისვენებს ქმართან ერთად, ზამთრობით კი ბაკურიანში თხილამურებით ისრიალებენ! - გული მერევა, მართლა გეუბნები. რა ვქნა, მითხარი? ღამღამობით, როცა ყველა იძინებს და დარიასაც აღარ უნდა ვაჭამო,

სხვენზე ავდივარ ხოლმე ჩემად. ეს ერთადერთი ადგილია მთელ სახლში, სადაც ჩემთვის შემძლია ვიყო, სადაც ვერავინ მომაგნებს. ჯერ არ არის დასრულებული (და არც დასრულებულა არასდროს, ბრილკა!). უმოაჭირო აივანი აქვს. იქ ვზივარ ხოლმე, ვკითხულობ, ვენწვი, ვფიქრობ, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. გამოსავალს ვერ ვპოულობ. რა საშინელებაა, არა?

მაგრამ ელენემ ვერ გაბედა და ვერ გაუმხილა მიქაელს ის ერთადერთი საქციელი, რისი მონანიებაც უნდოდა სინამდვილეში. ვერ აღიარა, რომ იმ ავადსახსენებელი საღამოს შემდეგ მის ყველა ქმედებას, მოგონებას თუ აზრს შეცდომის, მარცხის, სასოწარკვეთის გემო დაჰკრავდა. ვერ გაანდო, როგორ ჭრიალებდა საწოლი, როგორი დაბნეული და შეშინებული სახე ჰქონდა თავზარდაცემულ მიქას, რომ თვითონ დაუოკებელი ნგრევის უჩინო იყო შეპყრობილი მაშინ, რომ დროდადრო ისევ გრძნობს ხოლმე მისგან გამონვეულ ძრწოლას. რომ შურისძიებამ დააკმაყოფილა, მიქას გაგდება და საკუთარი ადგილის დაბრუნებამ, ნანატრი სამეფო ტახტის მისაკუთრებამ უდიდესი სიამოვნება მიანიჭა, თუმცა ისეთი მყუდრო და მიმზიდველი სულაც არ აღმოჩნდა, როგორც წარმოედგინა.

არადა, უნდოდა ეკითხა მიქაელისთვის, ასეთი რა იყო ეს გრძნობების გორგალი, დრომ რომ ვერ დაშალა, სისხლში რომ გაუჯდა. უნდოდა გავეო, მიქაზე ეჭვიანობის გარდა, კიდევ რას შეეძლო მისთვის ასეთი ტკივილის მიყენება, ასეთი დამანგრეველი მრისხანების გამონვევა, რამაც ყველა სხვა გრძნობა დაჩრდილა. კვლავაც რატომ აცოფებდა იმაზე ფიქრი, რომ მიქამ წინააღმდეგობა არ გაუწია, არ გააჩერა.

ამასობაში დედაშენმა ჯერ ბობღვა დაიწყო და მერე ფეხიც აიდგა, ბრილკა. გამოვიდა ჯონ ლენონის Imagine, სტასიამ საბოლოოდ შეწყვიტა ქალაქში სიარული და უარი თქვა ქრისტიანულ და მას შორის გაუცხოებისა და ერთმანეთის უგულებელყოფის დაძლევის მცდელობაზე, კიტი ჯაშმა გამოუშვა თავისი საუკეთესო და ყველაზე ცნობილი ალბომი, სახელწოდებით Replacement. მის ყდას პრალაში გადაღებული, უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფოტო ამშვენებდა; ელენეს ახალი აღთქმა მობებრდა და „მადამ ბოვარი“, „სვანის მხარეს“, „წითელი და შავი“, „ალბერტ სავარუსი“ და „ლედი ჩატერლის საყვარელი“ ნაიკითხა (ეს უკანასკნელი, ცხადია, მალულად).

დასავლეთში რომელიღაც ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ყოველი საშუალო საბჭოთა მოქალაქე წელიწადში 552 საათი იდგა თურმე პროდუქტების რიგში, ხოლო საბჭოთა კავშირში წარმოებული პროდუქციის მესამედი მხოლოდ ქალაქებზე არსებობდა.

მკურნალობის კურსი ზუსტად 34 დღე გაგრძელდა. კიტი მხოლოდ აუცილებელ საყიდლებზე გადიოდა სახლიდან. ციებ-ცხელებასა და

ჰალუცინაციებს, აგრესიის შემოტევას, უნმანურ ლანძღვა-გინებას, გამწარებულ ხვენწა-მუდარას და წივილ-კივილს კიდევ ორი გულყრა მოჰყვა, კიტის სასწრაფოს გამოძახება დასჭირდა; ერთხელ ნამდვილი ისტერიკა, როცა კიტი იძულებული გახდა გაღეული, გაძვალტყავებული ფრედი სანოლზე დაეხა. უამრავი უძილო ღამისა და, რაც მთავარია, კიტის მიერ ხუთი ახალი სიმღერის შექმნის მერე, ფრედ ლიბლიხი დილის სამ საათზე წამოდგა საწოლიდან, წყალი გადაივლო, სუფთა პერანგი ჩაიცვა, შევიდა კიტისთან სამუშაო ოთახში და ისე გაუღიმა, ვითომც არაფერი.

როცა კიტის სურნელოვანი, სველთმიანი ფრედი გამოეცხადა, რომელსაც სიცხიანივით აღარ უღაპლაპებდა კატის თვალები, გიტარა დაუვარდა, პირზე ხელი აიფარა და უხმოდ ატირდა. ფრედიც იდგა და უყურებდა, ვერც ერთმა გაბედა მიახლოება, თითქოს მათ შორის უხილავი კედელი აღმართულიყო. შეუძლებელი იყო ექთნისა და პაციენტის როლებიდან ასე უცებ გამოსვლა და ისევ შეყვარებულებად გადაქცევა.

- განაგრძე დაკვრა. ნუ გაჩერდები.

ფრედი ფეხებთან დაუჯდა კიტის. კიტიმ გიტარა აიღო, დაკვრა განაგრძო, მერე აკორდებს ხმაც ააყოლა.

გარიჟრაჟზე, როცა ფრედმა თითი დაუსვა კიტის თეძოზე, კიტიმ შესთავაზა:

- ვენაში მინდა გადასვლა შენთან ერთად. მინდა, რომ შენ იქ დაბრუნდე, მინდა ერთად დავსახლდეთ იქ. ადრე სხვა ადამიანთან ერთად ვნატრობდი იქ წასვლას. ვერ წავედით, ის ველარც შეძლებს. მე და შენ კი შეგვიძლია. ძალიან მინდა. ნეტა მეც შემეძლოს დაბრუნება, მაგრამ არ შემიძლია. შენ შეგიძლია და უნდა სცადო. აქაურობა, შენი გარემოცვა ცუდად მოქმედებს შენზე. ვერ გხედავენ, არ გიცნობენ, არ ესმით შენი. მოდი, ვცადოთ.

* * *

ადამიანი იმდენ ტანჯვას თესავს, რა უფლებით ჩივის, როცა თვითონაც იტანჯება?

როლანი

ქრისტინე მუქ მწვანე შალის პალტოში გახვეული, სახეზე შავი ტიულის პირბადით, რუსთაველის გამზირს მიუყვებოდა. ოპერასთან ჩამოვიდა ტრამვაიდან და პირდაპირ ჩრდილოეთისკენ გასწია.

გამზირზე უამრავი ადამიანი მიმოდიოდა. ქრისტინე იმაზე დაფიქრდა, როგორი უცნაური იყო, რომ უმრავლესობას არც კი ეტყობოდა, რა ცხოვრება ჰქონდა გავლილი. დაასმინა თუ არა ვინმე უკეთესი ბინის ხელში ჩასაგდებად, ბაბუა ან ბებია ხომ არ დაედუპა შორეულ თეთრ ყინვაში გადასახლებული, ან ქალაქის განაპირას, ატალახებულ

თხრილში, მატყუარები ან მოღალატეები ხომ არ იყვნენ, იქნებ ურჩხულების სჯეროდათ, იქნებ სიყვარულში არ გაუმართლათ, იქნებ განირეს ვინმე, ან მომავალში განირავდნენ.

მოყვითალო ქვით ნაგებ შენობასთან გაჩერდა და სტუდენტების ნაკადს მიაჩერდა. აკვირდებოდა ახალგაზრდებს, ჟივილ-ხივილით რომ გამოდიოდნენ, იცინოდნენ, კინკლაობდნენ, ან აღელვებულები განიხილავდნენ რაღაცას. თუმცა ერთ კონკრეტულ სტუდენტს ეძებდა, რომელიც გამოსვლას არ ჩქარობდა, ჩვეულებისამებრ.

გამოსასვლელის პირდაპირ ჩამოჯდა, ამოიღო თავისი საქარგი და ქარგვა დაიწყო. შეიძლება მხოლოდ კარგა ხნის მერე გამოჩენილიყო ის, ვისაც ელოდა. თან ათას რამეზე ფიქრობდა. როდემდე შეძლებდა სახლის შენარჩუნებას? გააგრძელებდა მისი უკან დახევით განაწყენებული კოსტიის მის დაცვას, რომ არ დაეშვა სახლის კომუნალურ საცხოვრებლად გადაკეთება? ბოლოს და ბოლოს, მართო ცხოვრობდა იმ მართლაც უზარმაზარ რეზიდენციაში. იქნებ დღეს მაინც მოვახერხო, ფიქრობდა, გამბედაობა მოვიკრიბო და გამოველაპარაკო. იქნებ დღეს მაინც დამინახოს, შემამჩნიოსო. ან იქნებ ისევ ლოდინი მოუწევდა, როგორც ყოველთვის, სანამ მიქა მართო, თავჩაქინდრული არ გაუყვებოდა ქუჩას, იდღიაში ამოჩრილი დაფლეთილი პორტფელით, ჩაუვლიდა და ვერც კი შეამჩნევდა. ალბათ, ეს უფრო მოსალოდნელი იყო.

ქრისტიანე ელოდა და უსმენდა იმ ქალაქის გულისცემას, სადაც თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა, მთელი თავისი ცვალებადი ცხოვრება. აქ ჩამოიყვანა რამაზმა – ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუნათა სახე – და საათობით ელაპარაკებოდა სემანსა და რენუარზე. მუშტაიდის ბაღში წაიყვანა, რომ ერთად ენახათ ბასტერ კიტონის გენერალი პირველ კინოთეატრში ღია ცისქვეშ. რამ მოკლა მისი სილამაზე, მართლა იმ მუავამ, თუ ტყვიამ, რომელიც რამაზმა თავში იხალა?

მისი აზრით, ზეცის ნაწილი ძალიან დიდი ხნის წინ ჩამოტყდა, ღრუბლების ღუნღულა საბანი მიწაზე დაეშვა და ახლა ოცნებათა ნამსხვრევები აწვიმდა ქრისტინეს. იქნებ მართალი იყო სტასია და აჩრდილები მართლა გამოძვრებოდნენ როდისმე თავიანთი სამალავებიდან. ყალბმა წარსულმა ზომბები შვა და ყოველ მათგანს ჰქონდა რაღაც სათქმელი. სხვა ვინ უნდა ემხილათ, თუ არა ცოცხლები.

თოვლის ფანტელი დაეშვა ქრისტინეს პალტოზე. სტუდენტი გოგოები ანიკვინდნენ და ხელისგულები შეუშვირეს პირველ თოვლს. რატომ არასდროს იცინოდა ამ გოგოებთან ერთად, რატომ არ გამორბოდა შენობიდან მათსავით? კინოსა და თეატრის სახელმწიფო ინსტიტუტის შენობიდან, სადაც ერთი წლის წინ ჩააბარა მიქამ. მუდამ მართო იყო, მუდამ ჩაფიქრებული, მუდამ დაღვრემილი.

ქრისტიანებმა დაინახა, როგორ ჩამოვიდა კიბეზე, ჩაუარა პრავდის კითხვით გართულ დარაჯს, ჩაუარა ვაფეს, ჩაუარა გოგოებს და ბიჭებს, რომლებმაც ყურადღება არ მიაქციეს. ქრისტიანე წამოდგა, მაგრამ მიქამ მასაც ჩაუარა, არ შეუხედავს, უკან არ მოუხედავს, თავი არ აუნწვია, თითქოს იდუმალ გზამკვლევეს მისდევდა. ქრისტიანემ უკან გადადგა ნაბიჯი. დავჯდე ისევ თუ გავვიცილო? რა უნდა ეთქვა, რომ გაპყლოდა? მიქას არც ერთ წერილზე არ უპასუხია მისთვის, არც ერთზე, წელიწად-წახევრის განმავლობაში, ბოლოს ქრისტიანეც შეეშვა წერას. საქარგავი სწრაფად ჩატენა ჩანთაში და ერთი ნაბიჯი გადადგა. მიქა სწრაფად დაუყვა ქუჩას ლენინის მოედნის მიმართულებით. კიდევ ნაბიჯი, მერე კიდევ ერთი. უკან აედევნა, ერთი მეტრის დაშორებით. მაგრამ ეროვნულ გაღერეას რომ გაუსწორდა, ვეღარ მოითმინა, დაუძახა. მიქამ შეშინებულმა გამოხედა, თითქოს გაუკვირდა, რომ ვიღაც ეძახდა, რომ საერთოდ იცნობდა ვინმე.

- შეიძლება ყავაზე დაგზატიჟო? ან ჩაიზე? არც კი ვიცი, გიყვარს ყავა თუ არა.

ქრისტიანემ გაღიმება სცადა. მიქა სერიოზული ჩანდა, მეტისმეტად სერიოზული თავისი ასაკისთვის, ცოტა მიუსაფარიც, თუმცა არ იმჩნევდა და ეს ძალიან გულის ამაჩუყებელი იყო.

- რა ვიცი.

- დრო გაქვს? თუ სადმე ხარ წასასვლელი?

- ვაფეები არ მიყვარს.

- როგორც გინდა. იქნებ გავისეირნოთ ცოტა? ან ვჭამოთ რამე? მე უარს არ ვიტყვოდი, უკვე კუჭი მიემუის. აბანოთუბანში გაუხსნიათ, მგონი, ახალი რესტორანი.

- რა ვიცი.

- ესე იგი, თანახმა ხარ?

წელა გაუყვნენ გამზირს. გაუბედავი ნაბიჯით, ქრისტიანემ ხელი გაუყარა და ფეხი აუნწო. ჯერ ეგონა მკლავს განევსო, მაგრამ არა, მიქამ უბრალოდ ნაბიჯს აუჩქარა.

- დედა მომიკვდა სამი თვის წინ, - თქვა უცებ ჩუმად და ქრისტიანეს ხელი უფრო მიიხუტა. ქრისტიანემ არ იცოდა, რა ეთქვა, პირველად მიხვდა, რომ ბევრი არაფერი იცოდა დედამისის შესახებ. მიქას წასაყვანად ჩამოსულ ანდროს არასდროს გამოჰყოლია.

- გულის მანკი ჰქონდა. შვებულებაში უნდა გაეშვათ. არ შეიძლებოდა ამდენი მუშაობა.

- ღმერთო ჩემო, მიქა, ძალიან ვწუხვარ...

ცოტა ხანს მდუმარედ განაგრძეს გზა. მერე უკვე მიქამ ქრისტიანეს შეკითხვებსაც უპასუხა. უთხრა, ინსტიტუტით ძალიან კმაყოფილი ვარო, ძალიან გამიმართლა, ჯგუფის ხელმძღვანელს მოვეწონე, თორემ შანსი არ მექნებოდაო, ეს ხომ ცნობილი სკოლაა, ცნობილი ოჯახების ცნობილი

შვილებისთვის, მართლაც რომ გამომართლაო. ქრისტიანებმა სიტყვების ნაკადი არ შეაწყვეტინა და არ აუხსნა, რამდენ ხანს არნმუნებდა და რამდენი რუბლი ჩაუდო მიძღვნი კომისიის თავმჯდომარეს ამ „გამართლებისთვის“ საფუძვლის ჩასაყრელად. მიქამ შეატყობინა, რომ ბაგებში ცხოვრობდა, საერთო საცხოვრებელში. თანაკურსელებთან დიდად არ მეგობრობდა. ერთი მათგანი „მოსფილმის“ ცნობილი მსახიობის შვილი ყოფილა, მეორე – ცნობილი ქირურგის ძმისწული, ერთი გოგო კიდევ ვილასის შვილის შეყვარებული და ასე შემდეგ.

მამას იშვიათად ვხედავო, ზოგჯერ სოფლის ფოსტაში ან მეზობლებთან ვრეკავ და ტელეფონით ველაპარაკებო, მაგრამ რაც დედა მოკვდა, ვერ არის კარგადო.

სანაპიროზე ერთ-ერთ რესტორანში შევიდნენ, სადაც ქართულ კერძებს ამზადებდნენ. ისეთი დამშეული იყო, ქრისტიანებმა მაშინვე შეატყო, როგორც კი შეხედა. ბედნიერი იყო, რომ ერთი საათი მაინც ეყოლებოდა გვერდით და, მიქას პროტესტის მიუხედავად, საჭმელი შეუკვთა. ჯერ ცხელ-ცხელი თონის პური, ტყემალი, სანებელი და ნარშარაფი მოიტანეს. მერე ლობიო მოაყოლეს ახალგამომცხვარი მჭადით და ბლომად ქინძით, ზუსტად ისე, როგორც მიქას უყვარდა. მერე ქრისტიანებმა ოფიციალურად ისპანახის და ბადრიჯნის ფხალი მოატანინა ნივრით შეკმარული. მიქა ხარბად დააცხრა საჭმელს. როცა ბოლოს ბაჟე დადგეს სუფრაზე, თვალეები გაუბრწყინდა. პურს ნაირ-ნაირ სოუსში აწებდა, თან მადლიერი თვალეებით უყურებდა ქრისტიანებს.

– მაპატიე, მიქა.

თვალეებში ჩახედა. ხელი მოკიდა. ისეთივე ახლობელი იყო, ისეთივე დაუცველი. მიქამ უკან მიიხედა, აშკარად არ ესიამოვნა მისი შეხება. მაგრამ ქრისტიანებმა ხელი არ გაუშვა, უფრო ახლოსაც კი მიუჩოჩდა სკამიანად, მიქამ მისი პუდრის დაუვიწყარი სურნელი იგრძნო და კიდევ რაღაცის, რასაც სიტყვას ვერ უძებნიდა ვერასდროს.

სახე მისკენ მიაბრუნა.

– რა უნდა გაპატიო?

– მართო რომ დაგტოვე.

მიქა დაიძაბა. თავის თეფშს დააცქერდა.

გვერდითა მაგიდიდან ორმა ქალმა ამრეზით გამოხედა.

– სექტემბრიდან მოყოლებული მოვდივარ ინსტიტუტთან, იმის იმედით, რომ შენთან დალაპარაკებას შევძლებ. მე შენს მხარეზე ვარ. როცა აგიყვანე, დავიფიცე, რომ გვერდზე დაგიდგებოდი, მაგრამ ვერ შევასრულე და ამას ვერასდროს ვაპატიებ ჩემს თავს. მიგატოვე. ნება მომეცი, გამოვასწორო ეს.

უცებ მიქა მისკენ გადაიხარა და ტუჩებით შეეხო მის ტუჩებს. ქრისტიანებმა სწრაფად განია სახე, ტარხუნის გემო იგრძნო და შეწყვეტილი ბავშვობის.

- ეს არ მიგულისხმია, მიქა, - წაილულულა.
 - მე კი ვგულისხმობ.
 - ვიცი, რომ სხვანაირად აღმიქვამ, მაგრამ მე ბებერი ვარ, მართლა ბებერი ვარ, მიქა. ძალიან ბებერი.
 - შენ ძალიან ლამაზი ხარ.
 - შეგიძლია ჩემთან იცხოვრო, ჩემთან გადმოხვიდე, სახლი ცარიელია, მე შენ გვერდით ვიქნები, ვიზრუნებ შენზე.
 - შეგიძლია ერთი თხოვნა შემისრულო?
 - კი, რა თქმა უნდა, მითხარი.
 - მაჩვენე შენი სახე. მთელი სახე მაჩვენე. გთხოვ.
- ქრისტინემ ანგარიში მოითხოვა.

ვერის უბნის სახლი, რომლის ბაღშიც მიცვალებულებს პასიანსის გაშლა უყვარდათ, ისე თბილად შეეგება დაბრუნებულებს, რომ ორივეს გული აუჩუყა და შეარიგა. ქრისტინემ ყავა მოადუღა, სამზარეულოში დასხდნენ და შუქიც არ აუნთიათ, სანამ სიბნელემ არ დაისადგურა მთელ სახლში.

მერე ქრისტინემ პირბადის სამაგრები შეიხსნა, შეღებილი, გრძელი თმა გამოაჩინა, პატარა არმიასავით ჩაამწკრივა სამაგრები მაგიდაზე, პირბადე მოიხსნა, ისიც მაგიდაზე დადო ფრთხილად, მიქასკენ მიაბრუნა სახე ბინდში. შუქის ანთება არ მოინდომა.

იმ ღამით - ასე წარმომედგინა ყოველთვის, ბრილვა, - ასაკი დაეხსნა მის სხეულს, ქაფივით ჩამოიცილა კანიდან, მსუბუქად, ერთი ხელის მოსმით. იქნებ დრომ უკანასკნელი ღამე უბოძა, რომ ისევ დაეკავებინა თავისი კუთვნილი, სილამაზის დედოფლის ადგილი. სანამ ასაკი საბოლოო საფასურს მოსთხოვდა, განსაკუთრებით მალალი რომ არის ლამაზმანებისთვის. მიქა მის სახეს შეეხო, ფრთხილად, თითქოს ეშინოდა, შუშის არ ყოფილიყო და ხელში არ ჩასტყდომოდა.

ხელიხელჩაკიდებულებმა აიარეს ძველი, ჭრიალა საფეხურები, ვიწრო დერეფანს გაუყვინენ ქრისტინეს საძინებელი ოთახისკენ, რომელიც მიქას ერთადერთი, ნამდვილი სახლის ჭიშკრად ესახებოდა ოდესღაც. ქრისტინე დაწვა, სანოლის მარცხენა ნაწილი მიქას დაუთმო, როგორც ადრე, პატარაობისას, ჭეჭა-ქუხილის დროს, ჩუმად რომ შემოდოდა და ლოგინში უწვებოდა. პატარა ბიჭი, რომლის დაცვაც უნდოდა ყოველთვის და მიტოვებაც მოუწია მერე. მიქა გვერდით მიუწვა, სიბნელის მიუხედავად მისი ნაკვთების გარჩევა სცადა. ქრისტინემ თავზე გადაუსვა ხელი თავისი თვალები დაუთმო, თავისი წარსულის სურათები აჩუქა, რომ ისეთი დაენახა, როგორც ოდესღაც იყო, ცხრამეტი წლის და ანგელოზივით ლამაზი და ბედნიერი - ჰო, იყო ბედნიერი, უსაზღვრო ბედნიერება დასტყუა სიცოცხლეს, როგორ უნდოდა მიქასთვის ჩაეგონებინა, რომ ბედნიერების მოსაპოვებლად ბრძოლა იყო საჭირო, მთელი ძალით, ყველა საშუალებით. მოეხვია და იგრძნო, როგორ მოაკლდა წლები,

როგორ გაახალგაზრდავდა მის გვერდით. წყვდიადის მიღმა შეეხო. მიქა ჩუმად იწვა თავის მხარეს, ქრისტინე კი თავის მხარეს, წესიერი სკოლის მოწაფეებივით იწვნენ, ახალგაზრდები და უმანკოები, თითქოს დროს დაემალნენ, უსაზღვრო სამყაროში, სადაც ყველაფერი შესაძლებლად ეჩვენებოდათ. მხოლოდ მიქას ხელი ეალერსებოდა მის კანს დაუღალავად. ქრისტინე იღიმოდა სიბნელეში და იმედი ჰქონდა, რომ შიმისგან დაიხსნიდა მიქას. რომ მიქა დაუსხლტებოდა იმ დღის კლანჭებს, როცა უღალატეს.

ქრისტინე ეჩურჩულებოდა მიქას. ის ღამე ნისლიანი იყო და ხრინწიანი, ცას თითქოს რძით გაჟღენთილი ღრუბლები ფარავდა.

* * *

გამარჯვებულები უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან კიდევ.
გენერალისიმუსი

ქრისტინემ მიქას ხელი მოიშორა სახიდან, მკვეთრად წამოჭდა და მიაყურადა:

- მგონი, რაღაც გავიგონე.

- რა ხდება? - იკითხა ნახევრად მძინარე მიქამ და გაფართოებული თვალებით შეხედა.

- მგონი, ვიღაც არის სახლში.

- ვინ უნდა იყოს ამ დროს? ვის აქვს კიდევ შენი სახლის გასაღები?

- რა ვიცი. შეიძლება... გასაღები არ დაუბრუნებია. მიუხედავად იმისა, რომ ერთხელაც არ გამოჩენილა მას მერე, რაც გადავიდნენ.

- ვინ?

- კოსტია.

და როგორც კი მისი სახელი წარმოთქვა, ნაბიჯების ხმაც გაიგონა დერეფანში. წამოდგა და კარს ეცა, მხრებზე ნაქსოვი ჟაკეტი მოიხურა. მიქას ანიშნა, ლოგინში დარჩით. ჩუმად გაიხედა, ერთი ნაბიჯი გადადგა, კარი ფრთხილად მიიხურა - და დაინახა, როგორ ამორბოდა კიბეზე. კედელზე ხელს აფათურებდა, შუქის ანთება უნდოდა. რაღაც იყო მომხდარი. აფორიაქებული ჩანდა. მიუახლოვდა თუ არა ქრისტინე, სასმელის სუნი იგრძნო.

- აქ რას აკეთებ? - ჰკითხა მკაცრად და იმედი ჰქონდა, რომ თავშეკავებულადაც.

- როგორ გაბედე?! - დაუდრიალა მთელი ხმით კოსტიამ, თვალებდასიებულიმა, სახეაღწილიმა, შუბლზე ოფლმომდგარმა, - ეს ნაბიჯვარი როგორ შეიფარე?

როცა ქრისტინე მისკენ წავიდა, უკან დაიხია, რამდენიმე საფეხურით დაბლა ჩავიდა. ქვემოთ უნდა ჩაეყვანა, სამზარეულოში, საძინებლიდან მოეშორებინა.

- რა ხდება, კოსტია, არ მესმის, - ჩაიბუტბუტა ქრისტინემ, თუმცა უკვე მიხვდა, რომ ბანქოს სახლი ჩამოინგრა, როგორც იქნა.

- ეგ ნაბიჭვარი, ეგ ნაბიჭვარი... რა უქენით ჩემს გოგოს? თქვე მხეცებო, თქვე ბინძურებო... თქვე... - აშკარად მთვრალი იყო.

ქრისტინემ მოახერხა და უკან დაახევინა, სამზარეულოში შეიყვანა. კოსტია წაბარბაცდა და უზურგო სკამზე დაეგდო.

- მატყუარები ხართ, თვალთმაქცები, ბოზები, ჰო, ნამდვილი იაფფასიანი ბოზები! - უცებ სახეზე აიფარა ხელები და ასლუკუნდა. ქრისტინე გაშეშდა, გული შეეკუმშა, აღარ იცოდა, რა ეთქვა. ისევ მის კოსტიად გადაიქცა თვალის დახამხამებაში, მის ჰატარა ბიჭად, მის საყვარელ ბიჭად. ბოლოს როდის ნახა ატირებული? მაშინაც კი არ უტირია, როცა კიტი და მარიამი... არა, მაშინ არ უტირია. რა უნდა მომხდარიყო? რა გაიგო, ვინმემ უთხრა რამე?

- ჩემი შვილი მოგანდეთ, ჩემი ერთადერთი ქალიშვილი. ვეღარ ვცნობ, თითქოს სული ჩაუკლეს. არადა, მე არაფერი დამიშურებია, ყოველთვის ვცდილობდი... ქალები ხართ თქვენ ამის მერე? ეს როგორ დაუშვით, თქვენ ვინ ყოფილხართ? ნაძირლები ხართ და მეტი არაფერი. ჩემი ჭკუიდან გადამცდარი დედა და ჩემი უპრინციპო ცოლი, ეგენი ხომ ჭკუისკოლოფები მყვანან, მაგრამ შენ, ქრისტინე, შენ? შენ როგორ დააფარე ხელი? - უკვე ბავშვივით ასლუკუნდა, - ერთადერთი შვილი ჩაგაბარეთ და რა უქენით?!

- რა გიაბზო ელენემ? მითხარი, კოსტია!

- განადგურებულია, მომსპარი, გამწარებული. ვეღარ ვცნობ, არადა, მეგონა, ახალ სახლში გადასვლით და ჩემი დაბრუნებით... თურმე ნუ იტყვი, რა ვიცოდი, რომ სიურპრიზი მელოდა, ყველაფერი იმ ნაბიჭვრის ბრალია, იმ პარაზიტის! ყველა უბედურება მისი ოჯახიდან მოდის. ისედაც არაადამიანური საფასური გადავიხადეთ ამ ერისთავების გამო, მაგრამ ჩემს გადარეულ დედას ხომ ყველაფერი ეცოტავება, ახლაც ჰგონია, რომ იმათი ვალი გვაქვს. გეფიცები, ქრისტინე. ვიპოვი და ჩემი ხელით მოვკლავ, საბოლოოდ დავუსვამ წერტილს ამ კოშმარს. გეფიცები!

- მას არ გაუკეთებია ეს. ისე არა, როგორც, ალბათ, ელენემ გიაბზო. საშინელი გაუგებრობა მოხდა, კოსტია. ყური დამიგდე...

- რა გაუგებრობა? რის გაუგებრობა? შენც დაიწყე? შვილი გამიუპატიურა!

- ელენემ მიიყვანა აქამდე. ეჭვიანობდა, ეგონა, უგულუბელყვეს. გაცოფებული იყო ჩვენზე. იფიქრა, რომ მიქა ვამჭობინეთ. არ იცოდა, რას ჩადიოდა. თვითონ შეაცდინა...

საღამოს, როგორც ყოველთვის, კოსტია შვიდი საათისთვის აიყვანა მძღოლმა მწვანე სახლში. როგორც ყოველთვის, სავახშმოდ დასხდნენ, მაგრამ ელენე იგვიანებდა, საჭინბოში წასულა იმ დღესაც და ჯერ არ დაბრუნებულიყო. კოსტია აღელდა. ვახშამს მდუმარედ შეექცა ყველა,

გაფანტულად. მერე კი კოსტიამ სასონარკვეთისა თუ დარდისგან სმა დაიწყო. თერთმეტი საათისთვისაც რომ არ გამოჩნდა ელენე, კოსტიამ მანქანით შემოიარა ირგვლივ სოფლები, საჯინბო, ყველა მეზობლის კარზე დარეკა, მაგრამ მისი შვილის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. მღელვარება დარიასაც გადაედო, მთელ ხმაზე ტიროდა, დედას ეძახდა. რასაც ძალიან იშვიათად აკეთებდა ხოლმე. დარიას ცრემლებმა კოსტია სულ გადარია და როცა კარგად შემთვრალი ელენე გვიან ღამით მწვანე სახლში მობრუნდა, სიტუაცია უკიდურესად დაძაბული იყო.

ელენემ თავი იმართლა, მეგობრებთან ერთად ვიყავი და დრო გამეპარაო. თანაც უკვე დიდი ვარ და სრული უფლება მაქვს, როცა მომინდება, მაშინ მოვიდე და წავიდეო. გარე სამყაროსგან მოწყვეტილი ვცხოვრობ აქ, ლამის გავვიჟდე, უნდა გიხაროდეთ, რომ ამ გადაკარგულში საერთოდ ვიპოვე მეგობრებიო.

- საკუთარი შვილიც კი არ გაინტერესებს! მე ასეთ ქალად არ გამიზრდინხარ! - დაიღრიალა კოსტიამ მთელ ხმაზე.

- როგორ არა, ზუსტად ისეთად გამზარდეთ, როგორიც ვარ! - ზიზღით უპასუხა ელენემ. ასეთი თავხედობით გაოგნებულმა კოსტიამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და სილა გაანწა, ცხოვრებაში პირველად. ელენე წაბარბაცდა, ცხვირიდან სისხლი წასკდა. ნანამ შეჰყვირა და შვილს ეცა, იმან ხელი ჰკრა.

- ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! - კვნესით მიუჯდა მაგიდას კოსტია და კიდევ ერთი ჭიქა წითელი ღვინო გამოცალა. - და წმინდანებად ნუ მოგაქვთ ახლა თავი, თქვენი გაფუჭებულია, თქვენ დაავიწყეთ ყოველგვარი დისციპლინა, გაანებივრეთ, დამოუკიდებლობის უნარი...

- შენ კი ჩამობრძანდი აქ და გინდა, რომ ყველამ შენს დაკრულზე ვიცეკვოთ. შეიძლება შენს ფლოტში დიდი ვინმე ხარ, მაგრამ აქ არაფრით განსხვავდები ჩვენგან.

ახლა უკვე შემოსწრებული სტასია აყვირდა.

- თქვენ მიეცით მას უპერსპექტივობის მაგალითი. თქვენ გბაძავთ! რამე საქმეს უნდა მიჰყოს ხელი, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაიწყოს...

- ერთი შენ გაუუპატიურებინე ვინმეს, ვნახავდი, როგორ...

მისი სიტყვები დანის დარტყმას ჰგავდა, ჩხუბი მაშინვე მიჩუმდა. სტასიამ თვალეები დახუჭა, ეგებ შვილმა ვერაფერი გაიგონაო, მაგრამ, ცხადია, გვიანი იყო.

კოსტია წამოდგა, მძიმედ დაიძრა დედისკენ. იმან უკან დაიხია, ხელი გაიქნია შვილის მოსაშორებლად, ოთახიდან დასხლტომა სცადა, მაგრამ კოსტია უკვე წინ ედგა, მთელი თავით მასზე მაღალი, გამომცდელად მისჩერებოდა.

- რა თქვი? - ჰკითხა მშვიდად, სამხედრო შემართებით.

- დაივიწყე, არ უნდა მეთქვა, - სტასიამ თავი დახარა, იმის იმედით, რომ კოსტია მოეშვებოდა.

- ნანა! ელენე, აქ მობრძანდით, თუ შეიძლება! - გასძახა კოსტიამ და დედას გზა გადაუღობა. ნანა სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ოთახში.

- რა გაყვირებს? ბავშვს გააღვიძებ. ისე ღრიალებთ, თითქოს... - დაუცაცხანა კოსტიას. გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სიტყვა განწყვიტა. სტასიას სახის გამომეტყველება კარგს არაფერს მოასწავებდა.

- ვინ? - გამოსცრა კბილებში კოსტიამ.

- რა ვინ?

ნანამ მიიხედა, სტასიასგან ელოდა ახსნა-განმარტებას.

- ელენე! - დასჭექა ისევე კოსტიამ და მისი ხმის ექომ მთელი სახლი ააზანზარა. როგორც იქნა, ელენეც გამოჩნდა კარში. თვალები შეწითლებოდა, ცხვირთან ნაჭერში გამოხვეული ყინულები ეკავა.

- ახლა რაღა გინდა?

- ვინ იყო? ვინ?

ელენეს ფერი წაუვიდა. მაშინვე მიხვდა, რასაც ეკითხებოდა მამა.

- რა უთხარით?

სხვებისგან ელოდა პასუხს, თვალეებში ნებოვანი, შავი შიში ჩაედვარა.

- მითხარით, ბოლოს და ბოლოს, თქვით!

კოსტიამ დანარჩენებს გადახედა: ვერ იჭერებდა, თან თითქოს შველას ითხოვდა და თან განრისხებული იყო. სტასიამ თავი ჩაქინდრა, ნანამ ჩაახველა, სირუმე დამძიმდა, აუტანელი გახდა.

ელენემ იცოდა, რომ არჩევანის შესაძლებლობა ჰქონდა, შეეძლო არ გაეთქვა, დაეცვა მიქა, ამოეძირკვა ბოლოს და ბოლოს თავისი ტყუილი, მაგრამ არ მოინდომა. გადაწყვიტა, ეთქვა. ჰო, წარმოეთქვა მისი სახელი, რადგან, როგორც კი თვალს ხუჭავდა, მის თვალეებს ხედავდა. მისი თვალეები დაჰყურებდა. და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, რაც უფრო ეჩვეოდა საკუთარი თავის სიძულვილს, რაც უფრო მეტად საყვედურობდა თავის თავს, მით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ მიქამ განირა. მიქას ბრალი იყო, რომ ის საღამო ფეხზე ჩამოგორებული სისხლის წვეთით დასრულდა.

ელენემ არ იცოდა, ვისთვის ან რისთვის განირა მიქამ, არა, ამას ჯერ ვერ ხვდებოდა. იქნებ იმ უსამართლობის გამო, რის განსახიერებასაც წარმოადგენდა მიქას თვალში, ან იქნებ უბრალოდ სიტუაციით ისარგებლა. აჰყვა, დაემორჩილა, აიტანა და თავი არ დაიცვა, არა იმიტომ, რომ არ შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ სანაცვლოდ რაღაც უფრო მეტს ელოდა. რაღაცას, რასაც ყოველგვარი ზარალის ანაზღაურება შეეძლო.

ჰო, ელენეს უნდოდა სიმართლის გაგება. ძალიანაც უნდოდა. მაგრამ ყოველთვის, როცა ფიქრობდა, რომ გამოიცნო, ცდებოდა. ყოველთვის,

როცა ეგონა, რომ რატომ-მე პასუხს მიაგნო, მხოლოდ ახალი შეკითხვის ამარა რჩებოდა.

- მიქა.

წარმოთქვა თუ არა ეს ავადსახსენებელი, დათარსული სახელი, შიშმა აიტანა. ელენემ რაღაც დაანგრია. საკუთარი ხელით მოისწრაფა უკანასკნელი იმედი. ახლა უკვე სამუდამოდ დაიღუპა თავი, და მაინც... კმაყოფილი იყო, შვება იგრძნო.

აღარ იყო საჭირო მოლოდინის გამართლება. აღარც სიყვარულის დამსახურება. აღარც გადარჩენის ილუზიის შექმნა. შეეძლო მასთან ერთად ჩაძირულიყო. ჰო, მიქასთან ერთად. რაკი ჩემგან არაფერი უნდოდა, ახლა ორივეს უბედურება მის კისერზე იქნება. ჰოდა, ძალიანაც კარგიო.

წამიც და შეეძლო მამას მხრებზე მოჰხვეოდა, აეხსნა მისთვის ყველაფერი, არ გაეშვა, ცრემლად დაღვრილიყო მის წინაშე, ამოეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა და საშინელი ტვირთი ჩამოეხსნა მხრებიდან.

მაგრამ ვერ გამოიყენა ის წამი. ან ეყოფოდა კი სიტყვები, რომ მთელი თავისი ცხოვრება აეხსნა, ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი იყო მისთვის იმ საღამომდე? რა სიტყვები ეყოფოდა თავისი სიცრუის მიქას სიცრუესთან გადასაკვეთად და საერთო სიმართლემდე მისასვლელად?

- გონზე არ ხარ, ცხელ ჩაის დაგისხამ. ხვალ განვაგრძოთ საუბარი. ჯერ დამშვიდდი და გამოიძინე. ლოგინს დაგიგებ.

ქრისტიანემ გაბქურა აანთო ასანთით და დაძაბული დაფიქრდა, როგორ მიეყვანა კოსტია ლოგინამდე და როგორ გაეყვანა მიქა სახლიდან.

ფიქრებიდან მიქას გაუბედავმა ხმამ გამოიყვანა. მას ეძახდა, ეტყობა, ეგონა, თუ იმედი ჰქონდა, რომ კოსტია უკვე წასული იყო.

- ეს ვინლაა...?

მაშინვე წამოიშრთა კოსტია და მიაყურადა. გაოგნებული მიაშტერდა დეიდამისს. მიქამ ისევ დაუძახა ქრისტიანეს. სანამ ქრისტიანე პასუხს გასცემდა, კოსტია სამზარეულოდან გავარდა. ქრისტიანე გაეკიდა, მაგრამ იმან უკვე დაითრია კიბის თავში მდგომი წამძინარევი მიქა და ცემა დაუნყო. ჯერ მუცელში ჩაარტყა მუშტი, მერე კი აწკმუტუნებულს და იატაკზე მოკუნტულს, ფეხებით შესდგა. როცა მიქამ გაცლა სცადა ხოხვით, კოსტია კისერში სწვდა, როგორც გაავებულ ძაღლს და ფეხზე დააყენა. სახეში ჩაარტყა. მიქას ტუჩი გადაუსკდა, სისხლი წამოუვიდა. ქრისტიანე შუაში ჩადგა და აყვირდა, სადღაც შორიდან ჩაესმა თავისივე ხმა, მაგრამ კოსტიამ ხელი ჰკრა. წონასწორობა რომ არ დაეკარგა, კიბის მოაჭირს ჩაეჭიდა. მიქა კედელ-კედელ ცდილობდა გაპარვას სამზარეულოში, ან სახლიდან გაქცევას შორს, ძალიან შორს ამ სასჯელისგან, რომელსაც ვერასდროს დააღწევდა თავს.

რით დაიმსახურა ეს სასჯელი? რატომ ვერ ახერხებდა წყვილიადის გარღვევას, როცა ცდილობდა, იმ ინციდენტის არსს ჩასწვდომოდა? ვინ ვის უღალატა, ვინ ვის აწყენინა? კიდევ ერთი დარტყმა, ამჯერად მკერდში. მიქა ჩაიკეცა არაადამიანური ტკივილისგან. თავის მკერდზე სისხლის ლაქები დაინახა, პირში სისხლის გემო იგრძნო. ტკივილმა კოსტიას კონტურები წაშალა. უნდოდა, წინააღმდეგობა გაენია, მთელი ძალა ერთ მუშტში მოეკრიბა და კოსტიასთვის სახე დაეღუნა, მაგრამ არ შეეძლო, ქრისტინე უყურებდა. მის მხარეს იყო. ქრისტინეს მოლოდინი უნდა გაემართლებინა. ის იყო მიქასთვის ერთადერთი და განუმეორებელი.

არ აინტერესებდა მისი ასაკი, უნდოდა თვითონაც ასეთივე შეუცვლელი ყოფილიყო მისთვის. უკან დახევას არ აპირებდა. უნდა დაეჯერებინა, რომ სწორი არჩევანი გააკეთა, როცა უარი თქვა თავის ოჯახზე მის გამო. ოჯახზეც და, რაც მთავარია, თავის დისშვილზე! ამ გაბოროტებულ სადისტზე! დიახაც, შეხედოს, დაინახოს კოსტიას ნამდვილი სახე, რადგან სინამდვილეში ის და ელენე არაფერ შუაში იყვნენ, ელენე მხოლოდ საბაბი გახდა, ის, რაც ხდებოდა, მხოლოდ მიქას და ამ კაცს ეხებოდა, რომელიც ასე გამეტებით ურტყამდა.

თვითონაც რომ დაერთყა კოსტიასთვის, ქრისტინეს ნდობას დაკარგავდა. თავდამსხმელს ვერასდროს შეიყვარებდა. ამის უფლებას მისი ნაიარევი სახე არ მისცემდა. მიქასთვის ქრისტინეს გვერდით ყოფნა მსხვერპლად დარჩენას ნიშნავდა.

ქრისტინეს ყვირილი ძლივს აღწევდა მის ყურამდე. იქნებ აჯობებდა, განოლილიყო, იქვე, იმ ცივ ხის იატაკზე, და აღარასდროს ამდგარიყო? გულის განმგმირავი სანახაობა არ იქნებოდა ქრისტინესთვის? კიდევ ერთი დარტყმა ნეკნებში. სუნთქვა შეეკრა. პირი გააღო, ჩასუნთქვა სცადა, გონება არ უნდა დაეკარგა, თავი უნდა შეეკავებინა, წინააღმდეგობა არ უნდა გაენია, ხელი არ უნდა შეებრუნებინა. როცა სახით იატაკს დაენარცხა, მაშინდა შეეშვა ძალაგამოცლილი კოსტია, უკან დაიხია და ზიზღით შეხედა. მაგრამ მიქა ვეღარაფერს გრძნობდა, მისთვის უკვე სულერთი იყო. რადგან იცოდა, რომ გაიმარჯვა. ქრისტინემ მასთან ჩაიმუხლა, ახლა ტკივილს შემომსუბუქებს, თავს კალთაზე დამადებინებს, სისხლს მოშმენდსო. მზე ამოდიოდა. დეკემბრის დაბურულმა, ცივმა შუქმა დერეფანში შემოაღწია და კიდევ უფრო დაუნდობლად წარმოაჩინა იქაურობა.

ქრისტინემ დისშვილის მზერა იგრძნო ზურგით. მიიხედა.

- ხომ მიაღწიე შენსას? ახლა შეგიძლია წახვიდე. საავადმყოფოში უნდა წავიყვანო.

კოსტია შუშის თვალებით უყურებდა. ქრისტინეს უნდოდა თანაეგრძნო მისთვის, უნდოდა მიეტყუებინა, მაგრამ სიცარიელის მეტს ვერაფერს გრძნობდა, ისევ მიქას მიუბრუნდა და თავი წამოუნია.

- აღარ დავინახო ეს ნაბიჭვარი, ახლოს აღარ გაგეკაროს არც შენ და არც ელენეს, თორემ ყველაფერს გავაკეთებ, რომ სიცოცხლის ბოლომდე გამოამწყვდიონ, - კოსტია სამზარეულოში დაბრუნდა.

ქრისტიანემ მიქა ზურგზე გადააბრუნა. იმას თვალი არ გაუხელია. მაგრამ ქრისტიანემ იცოდა, რომ იქ იყო, მასთან. და ეს იყო მთავარი.

- არ გაინძრე. ექიმი უნდა გამოვიძახო, - ჩასჩურჩულა ყურში.

- ჩემთან დარჩები?

- კი. აქ ვარ. აქ ვიქნები. ახლავე მოვალ.

სამზარეულოდან წყლის ხმა მოესმა. წამოდგა, თავი ფრთხილად დაადებინა იატაკზე და იქით წავიდა, საიდანაც ხმა მოდიოდა. სასწრაფო უნდა გამოეძახებინა. კოსტიას წყლის ნაკადისთვის შეეშვირა სახე.

- ახლა მე მომისმინე, კოსტია! არც მე მინდა, რომ ამ ბიჭს გაეკარო. გესმის, რას გეუბნები? არსად არ გავუშვებ. არა, ამას აღარ ვიზამ. მას არაფერი დაუშავებია. ჰკითხე შენს შვილს, არ მოეშვა, სანამ არ გეტყვის, რა მოხდა. მე მოძალადე არ გამიზრდია. შენ კი მატყუარა გაზარდე. ეს არის სიმართლე, ამის გამო ჩაულუნე ნეკნები და ცხვირ-პირი. ახლა კი დადე ჩემი სახლის გასაღები მაგიდაზე და თვალით აღარ დამენახო.

ქრისტიანე ტელეფონთან მივიდა და სასწრაფოს ნომერი აკრიფა.

კოსტია კედელს მიეყრდნო, თავდახრილი, ქანცგანწყვეტილი, დამცირებული, უარყოფილი. გამარჯვებული კი არა, უბრალოდ, ბებერი, ნაღვლიანი და საშინლად მარტოხელა კაცი.

- რას ლაპარაკობ? შენ ხომ დეიდაჩემი ხარ, შენ ქრისტიანე ხარ, ჩემი ქრისტიანე... - ლულულულებდა, სანამ ქრისტიანე სასწრაფოს იძახებდა, - გონს უნდა მოხვიდე. არ უნდა დამეშვა, რომ ასე მარტოდმარტო დარჩენილიყავი აქ.

ქრისტიანესკენ დაიძრა.

- არ მომეკარო... მანდ დარჩი.

- თუ არა და რა?

მიუახლოვდა. ქრისტიანემ უკან არ დაიხია. გაუძლო. აიტანა მისი დაკარგვა. უყვარდა კოსტია, თავისი დისშვილი, ყოველთვის გამორჩეულად უყვარდა, მეტისმეტად, ეს სიყვარული მართლაც გაუსაძლისი იყო. მაგრამ უნდა მოეხერხებინა როგორმე და იმ ბიჭზე ეფიქრა, ესკიშო ნაყინი რომ უყვარდა, ახლა კი უგონოდ ეგდო იატაკზე, მისთვის უნდა მიეხედა.

- ის აქ არ დარჩება, ქრისტიანე. არავითარ შემთხვევაში. ჩემს სახლში არ დარჩება.

- ნება მომეცი შეგახსენო, რომ ეს ჩემი სახლია, ჯერ კიდევ. ჩემი ქმრის სახლია!

- რომელიც მხოლოდ იმიტომ შეინარჩუნე, რომ მე...

- ნადი ახლავე აქედან! არ დამენახო!

არასდროს უგრძნია ასეთი ზიზღი მის მიმართ, როგორც ახლა. არც მაშინ, როცა საცოლოე ემაფობტე გაუშვა, არც მაშინ, როცა თავის დას გაარტყა ხელი. ყოველთვის შეეძლო მისი გაგება, ყოველთვის, იმ ნუთამდე.

- აქამდე ნუ მიიყვან, ქრისტინე!

ერთი ხელის განვდენა იქნებოდა საკმარისი თავისი დისშვილისკენ, რომელსაც ამდენი წლის განმავლობაში უფრთხილდებოდა უძვირფასესი თილისმასავით, და რომელმაც ერთხელაც შეუმჩნევლად გადაჭრა ჯაჭვი, რაზეც ის თილისმა ეკიდა. მაგრამ ქრისტინემ მტკიცედ გაუმეორა:

- არ დამენახო!

როცა სასწრაფო დახმარება მოვიდა და ქრისტინემ იმავე მანქანით გაყოლის ნებართვა ითხოვა, ჰკითხეს, ნათესავები თუ ხართო.

ქრისტინემ უთხრა, კიო და მანქანაში ჩაჯდა, მიქას დასუსტებული ხელი არ გაუშვია ხელიდან. გზაში სულ იმაზე ფიქრობდა, რატომ არ უცდია მიქას თავის დაცვა.

* * *

ცხოვრება, ხელში მაქვს შენი სადავე,
რომ ეს ჯოჯოხეთი სამოთხედ ვაქციო.
გალაკტიონი

ჩრდილოეთ ვიეტნამში ამერიკული ბომბები პროდუქტებით სავსე ტომრებმა შეცვალა, რომელთაც Air Force დანგრეულ ქვეყანას აყრიდა და რომლებზეც „ამერიკელი ხალხის შემოწირულობა“ ეწერა. ქრისტინემ კი განსახლებისა და მშენებლობის კომისარიატიდან წერილი მიიღო. თავისთან მიიწვიეს და განუმარტეს, როცა მარტოხელა ქალი ამხელა საცხოვრებელ ფართს ფლობს, ეს კაპიტალისტური ანგარებააო. ქრისტინე უკვე მზად იყო, რომ კოსტიასთან ომი ელოდა და არც უფიქრია, რომ გამარჯვებას შეძლებდა, ამიტომ კომისარიატისთვის არ მიუმართავს თხოვნით, საკუთარი სახლიდან ნუ გამაგდებთო. მას უნდა აერჩია: ან უცხო ხალხისთვის დაეთმო სახლის ნაწილი, ან თვითონ მიეღო სახელმწიფოსგან ბინა. მან ეს უკანასკნელი არჩია.

საბედნიეროდ, გაღორებულმა მოხელეებმა ვერ გაბედეს მისი ქალაქის გარეუბანში გადასახლება, ვაკეში შესთავაზეს ოროთახიანი ბინა. რაკი სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემას ერთგულად ემსახურა მრავალი წლის განმავლობაში, ქალაქის ცენტრი დაიმსახურა.

ეს ძიძიმე დარტყმა იყო მისთვის, არაადამიანური განსაცდელი, იმ სახლში ხომ თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა, იქ დაიწერა მისი ისტორია, იქ დაიწყო ყველაფერი. მაგრამ რაკი კოსტიამ უკვე გამოუცხადა ომი, შიშმაც კი გაუარა. გამათავისუფლებელ დარტყმას

ჰგავდა, თითქოს ეს საკუთრება რაღაც დაბრკოლებას უქმნიდა წლების განმავლობაში.

ახლა მას შეეძლო წასულიყო და მხოლოდ ის წაედო, რაც მართლა რაღაცას ნიშნავდა მისთვის. ეს კი ძველი კაბები და ნახატები, ავეჯი და ათწლეულობით ნაგროვი ნივთები კი არა – ეს ხომ უფრო მეხსიერებაში ჩაბეჭდილი სურათები იყო, გონების ფოტოალბომში შენახული მოგონებები. ეს იყო ფასეული. ამას ვერავინ წაართმევდა. ვერავითარი კომისარიატი. და ვერც კოსტია. ამ ყველაფრის წაღება შეეძლო თან, თავის 52-კვადრატულმეტრიან ბინაში. თავის ახალ ცხოვრებაში, რომლის ბატონ-პატრონიც მხოლოდ თვითონ იქნებოდა ამიერიდან.

როცა მიქას ორი გატეხილი ნეკნი და გახეული ტუჩი მოურჩა, ჩალაგებაში მიეხმარა ქრისტინეს, ვერცხლეული და სხვა ნივთები გააყიდინა, გატაცებული აძლევდა ახალი ბინის მოწყობის რჩევებს. მართალია, არც ერთს სიტყვა არ დაუძრავს ამაზე, მაგრამ ორივე გულისხმობდა, რომ მიქა ქრისტინესთან ერთად გადავიდოდა ახალ საცხოვრებელში. ქრისტინემ გასაშლელი დივანი დაუდგა და სიამაყით შეიყვანა მწირი ავეჯით განწყობილ ოთახში, რომელშიც მას უნდა ეცხოვრა.

ქრისტინე საჭმელს უმზადებდა, ურეცხავდა, გვიანობამდე კამათობდნენ და იხილავდნენ ყველაფერს, რაც მიქას აწუხებდა. პატარ-პატარა საჩუქრებით აწებებდნენ, მაგალითად, ჯინსი უყიდა დიდუბეში გადამყიდველებთან საშინელ ფასად, რამაც მიქას აღფრთოვანებული ყიჟინა გამოიწვია.

მაგრამ ერთ რამეში უდრეკი დარჩა: მიუხედავად იმისა, რომ მიქა გვერდიდან არ შორდებოდა, მისგან გამუდმებულ ყურადღებას ითხოვდა, ეჭვიანობდა და მესაკუთრესავით იქცეოდა, ქრისტინე არ აჰყვას. აგვარებდა ყოფით პრობლემებს, არაფერს აკლებდა, უსაფრთხო ცხოვრების პირობა შეუქმნა, ნაბიჯ-ნაბიჯ აღუდგინა საკუთარი თავის რწმენა, გამბედაობა შემატა – მაგრამ ძველებურად აღერსიანად აღარ ეპყრობოდა, უარი თქვა იმ ინტიმურობაზე, რასაც ასე დაჟინებით ითხოვდა მისგან მიქა. დაარწმუნა, რომ თავის თანაკურსელებთან ემეგობრა, თანატოლებთან დაემყარებინა ურთიერთობები და რამდენად მტკივნეულიც უნდა ყოფილიყო ქრისტინესთვის იმის დანახვა, როგორ უჭირდა მიქას, როგორ უცხოდ გრძნობდა თავს სხვა სტუდენტებთან – მაინც აიძულა, საკუთარი თავი დაემკვიდრებინა.

რადგან კოსტიასთან კომმარული შეტაკების შემდეგ სულ აწუხებდა ის შემამფოთებელი აღმოჩენა, რომ მიქამ სულ არ იცოდა თავის დაცვა; ამაშიც საკუთარ თავს ადანაშაულებდა. მართალი იყო სტასია, როცა უსაყვედურა, ოცნებებით კვებავ და მკაცრ რეალობას უმაღავო.

ქრისტინემ საკუთარი ცხოვრებიდან უამბო რაღაცები. დაუნდობლად გაატარა თავისი ფიქრებისა და გრძნობების ლაბირინთში, თავისი

შიშებისა და გატაცებების კარი გაუხსნა. უნდოდა დაენახვებინა, როგორი გაცვეთილი სხეული ჰქონდა, როგორი დანაოჭებული და მოშვეებული კანი, როგორი შენელებული მოძრაობა. უნდოდა მიეხვედრებინა, რომ ყველა მისი მოგონება, რომლებიც წინ გადაუშალა, თავის საფასურს ითხოვდა და არც ერთმა არ ჩაიარა უკვალოდ. უნდოდა გამოეფხიზლებინა, აღეშფოთებინა, მაგრამ რაც უფრო მეტს უამბობდა საკუთარ თავზე, რაც უფრო მეტ სიტყვას პოულობდა მეხსიერებაში, რაც უფრო ცდილობდა მის რეალობაში დაბრუნებას, მით უფრო ებღაუჭებოდა მიქა ქრისტინეს სიზმრიესულ ხატს.

მხოლოდ იძულებით თუ დადიოდა დაბადების დღეებზე, ან ლექციების მერე კაფეში თანაკურსელებთან ერთად, ან შაბათ-კვირას მუშტიადში ლუდის დასალევად. ქრისტინესთვის რომ ესამოგვებინა, ზოგჯერ შინაც მოჰყავდა ხოლმე ახალი ნაცნობები. გამხდარი, მოუვლელი ახალგაზრდა კაცები, ფრჩხილებდაკვეტილები და გაქონილთმიანები. მოგვიანებით ამათ ერთი გოგოც შემოემატათ, ჩაშავებულთვალებიანი და სათვალისანი, რომელიც ნახევარ სახეს უფარავდა. ისხდნენ ხოლმე მიქას ოთახში, საბჭოთა კინემატოგრაფისტთა ახალ თაობას განიხილავდნენ და იათფასიან ღვინოს სვამდნენ ჩაის ჭიქებით. გოგო ძირითადად სხვებს უსმენდა, დივანზე ხაზგასმით თავისუფლად გადანოლილი, მინის თხილს ან მზესუმზირას აკნატუნებდა. ხანდახან ირონიულ კომენტარს ჩაურთავდა ხოლმე, ან უცნაურს მაინც და ყველას სიცილი უტყდებოდა. ქრისტინე იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ თავიდან სათანადოდ ვერ შეათვასა ის გოგო, ბიჭების გასახალისებელ დანამატად აღიქვა. მაგრამ სინამდვილეში პირიქით იყო: ენამოსწრებული, სხარტი, გამჭრიახი და საკმაოდ ნაკითხი აღმოჩნდა. ლანა, ასე ერქვა გოგოს, რომელსაც დარიჩინისფერი კანი ჰქონდა და რაღაც საშინელი სათვალე ეკეთა, კინოს ან თეატრის ფაკულტეტზეც კი არ სწავლობდა იმ ბიჭებთან ერთად, არამედ საინჟინროზე, ტექნიკურ ინსტიტუტში. რაკი კინოთი იყო გატაცებული, სასწავლო პროცესს ესწრებოდა ხოლმე დროდადრო და ურთიერთობებიც დაამყარა.

- სარეჟისოროზე რატომ არ აბარებ, ლანა? გეტყობა, საკმაოდ გაცნობიერებული ხარ კინოს სფეროში, - ჰკითხა ერთხელ ქრისტინემ, როცა ჩაის უმზადებდა თავის უფანჯრო სამზარეულო ნიშაში, სანამ ის მიქას ოთახში გაუჩინარდებოდა ისევ.

- მამაჩემი მენალე იყო. ორმოცდაცამეტი წლის გარდაიცვალა ინსულტით. დედაჩემი ოცდასამი წელია მდივნად მუშაობს ფირმაში, რომელიც გათბობის მილებს აყენებს. სომხები ვართ. ასეთ რისკზე ვერ წავალ, სასაცილოდ არ ეყოფათ იმ იდიოტებს მიმღებ კომისიაში, მათ წინაშე რომ წარვდგე. რეჟისორობა მოინდომა საწყალმა უშნო, სომეხმა გოგომ, ფილმების გადაღება, ვაიმე, რა საყვარლობაა! ნამდვილად არ

მინდა ამის მოსმენა, ქრისტინე, – უპასუხა ლანამ გამომწვევად, როგორც სჩვეოდა.

– ასეთი მიდგომა არ შეიძლება, ლანა. შენ ხომ ნიჭიერი ხარ. შეიძლება კინოსი არაფერი გამეგება, მაგრამ ხომ ვხედავ, როგორ გაფასებენ ბიჭები, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, ჩემო კარგო.

– თქვენ რა, არ გაგიგონიათ, რას გვეძახიან სომხებს? რაო? არ დამინწყობთ ახლა ზღაპრები, როგორი ძირძველი მეგობრობა აკავშირებს ჩვენს ერებს და არც სოციალისტური თანასწორობა არ გამაგონოთ. კი ბატონო, სომხებისთვის გზა ხსნილია ამ ქვეყანაში, ჩვენი უბანი გვაქვს და ჩვენი აბანოები, თეატრიც კი, მაგრამ, როგორც კი რაღაც სხვას მოვიწოდებთ მეწაღეობის, ოქრომჭედლობის ან მევახშეობის გარდა, მაშინვე უკან მიგვერეკებიან. თანაც ბევრი ოქროს ძეწკვი გვიკიდია ყელზე. ეს კი შეიძლება არასწორად გაიგონ, არა? ხომ ასეა? რაო, რას ეძახიან აქ სომხებს?

– ლანა, მგონი, ბედმეტი მოგდის ამ შენი რასისტული კლასიფიკაციით.

– კავკასიის ებრაელებს გვეძახიან, ქრისტინე. ეს არის ჩვენი დახასიათება. კიდევ გაქვთ შეკითხვები?

შეიძლება სწორედ მისმა შელახულმა სიამაყემ, დაღდასმულმა წარმოშობამ განაპირობა მიქას მიმართ ლანას თავდაპირველი დაინტერესება. იქნებ უბრალოდ უხაროდა, რომ იპოვა ვიღაც, ვინც მის ნიჭს აფასებდა და უფლება არ ჰქონდა დაემცირებინა, რადგან თვითონ სამშობლოს მოღალატის შვილი იყო, საცოდავი ლოთის შვილი, რომელსაც გაუმართლა, ასეთ ელიტურ ფაკულტეტებზე რომ მიიღეს. იქნებ იმასაც ფიქრობდა, რომ მიქას შემვეობით შეძლებდა იმის კეთებას, რაც მანამდე მიუწვდომელი იყო მისთვის. მაგრამ ლანა იმდენად დაბოღმილი იყო და ისეთი მიზანდასახული, რომ ეს ინტერესი, ეტყობა, ძალიან მალე ნამდვილ ჟინად იქცა, რამაც ქრისტინე შეამფოთა, როგორც კი ეს შეამჩნია.

ქრისტინეს არ გამოჰპარვია, რომ გულგრილობის ნიღაბს ამოფარებული ლანა თვალს არ ამორებდა მიქას; რაც უნდა ეთქვა მიქას, ლანა აგულიანებდა და არასდროს მალავდა, რომ მასთან ერთად უნდოდა კინოში ან თეატრში წასვლა. თავიდან ქრისტინემ იფიქრა, ლანას სითამამე და თავის დაცვის უნარი მიქასაც წაადგებოდა, მაგრამ როგორც კი დაინახა, რა იოლი იყო მიქას მართვა და რა კარგად ფლობდა ლანა მანიპულირების ხელოვნებას, უკან დაიხია. მიქას მიანდო გადაწყვეტილების მიღება, რამდენად შორს შეტოპავდა ამ საზრიან გოგოსთან ურთიერთობაში. თავისი ასაკისთვის მეტისმეტად დაქალებული ეჩვენებოდა ლანა, მეტისმეტად რაციონალური, მეტისმეტად გულჩათხრობილი და გამწარებული. ნაკლებად ყურადღებიანი მიქას ეჭვებისა და შიშების მიმართ. ქრისტინე ამჩნევდა,

როგორ მიჰყავდა ყველა დისკუსია სასურველი მიმართულებით, როგორ მართავდა სიტუაციას. მისი უზარმაზარი სათვალის შუშებს მიღმა, საიდანაც თვალები ორ შავ წერტილად მოუჩანდა სვეფსისი და იმედგაცრუება იმალებოდა, ფრიად საგულისხმო დობით. იქნებ მიქას სწორედ ასეთი თანამობარე სჭირდებოდა? ასეთი შეუცდომელი, ასეთი მომთხოვნი? ის ნამდვილად ასწავლიდა თავის დაცვას. ქრისტინე მასპინძლის როლით შემოიფარგლა, ახარებდა მღელვარე დისკუსიები თავის ბინაში, რომლებშიც თვითონ იშვიათად იღებდა მონაწილეობას, თუმცა თხელი კედლის მიღმა კარგად ესმოდა. მოსწონდა, რომ ახალგაზრდებმა ხალისი შეიტანეს მის ბინაში. სიამოვნებდა, კმაყოფილი ღიმილი რომ დასთამაშებდა მიქას სახეზე, როცა მისი მეგობრებისთვის შლიდა სუფრას და უმასპინძლდებოდა.

სანამ ერთ საღამოს არ გაიგონა, რომ მიქა სოფიო ერისთავის შესახებ უამბობდა ლანას. რადიოს ჩაუწია და ყურები ცქციტა.

- წარმოუდგენელია. ასეთი ისტორია გაქვს? აუცილებლად უნდა მოვყვეთ, შენ უნდა გააკეთო ეს.

ქრისტინეს ესმოდა, რა ენერგიულად არწმუნებდა ლანა მიქას.

- ეს არის თემა, თუ არის, იმ მაიმუნობებს კი არ ჰგავს, რომლებზეც ჩვენთან იღებენ ფილმებს. იცი, რა მაგარი სცენარის გაკეთება შეიძლება აქედან? მისი ლექსები შეგვიძლია გამოვიყენოთ. თუ მამაშენს შენახული აქვს, როგორც შენ ამბობ. აუცილებლად უნდა გააკეთო!

- ამ ფილმისთვის ფულს არაავინ მომცემს. მით უმეტეს, ინსტიტუტში. ასეთ სცენარს კომისია არ მიიღებს.

- რა თქმა უნდა, მიქა, შე სულელო, ჭკუით უნდა ვაჯობოთ. რეალური პიროვნება არ უნდა მივუთითოთ. მისი ამბავი არც არაავინ იცის, ალბათ. უნდა დავაჯეროთ, რომ ეს უბრალოდ სტუდენტური ფილმია ხელოვანის მძიმე ხვედრზე, მოკლედ, რიგითი სისულელე. მეტისმეტად ამბიციურად მიიჩნევენ და გაეცინებათ, და მით უკეთესი, რა ჯობია ამას, თუ ვერ გაგიგებენ. მაგრამ ფრთხილად კი უნდა ვიყოთ. ორი სცენარი დავწეროთ. ერთი კომისიისთვის, მეორე მსახიობებისთვის. რა უნდა ამას. ფილმი რომ გამოვა, მერე იყვირონ, რამდენიც უნდათ, უკვე სულერთი იქნება იმიტომ, რომ ეს ფილმი მთელ ტალღას აავიწყებს, და ყველა შენ გამოგყვება, ვისაც ღირსების ნატამალი მაინც შერჩა. შეიძლება, გადაღებული მასალა უცხოეთშიც გადავაგზავნოთ ჩუმად. ბიძაჩემი კინოსტუდიაში მუშაობს, ტექნიკოსია, ყველას იცნობს იქ, სამონტაჟოში შეგვიშვებს - ღამლამობით ვიმუშავებთ, როცა არაავინ იქნება, ხელს არაავინ შეგვიშლის.

ქრისტინეს იმედი ჰქონდა, რომ მიქა ამ იდეას არარეალურად მიიჩნევდა და ლანას გააჩუმებდა. მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ წყდებოდა. ბიჭები სულ უფრო იშვიათად მოდიოდნენ, სულ უფრო ხშირად იყუჩებოდა

მიქა თავის ოთახში ლანასთან ერთად და იქიდან სულ უფრო ხშირად ისმოდა ის სახელი: სოფიო ერისთავი.

ქრისტიანემ გამბედაობა მოიკრიბა და მიქასთან დალაპარაკება სცადა. მაგრამ მიქა ისე ჩაიკეტა, თითქოს საიდუმლოს მალავდა, სიტყვა ბანზე აუგდო და გამოისტუმრა.

უბრალოდ იდეებიაო, რაში მჭირდება წინაპრების ისტორიები, ბოლოს და ბოლოს, შენ არ მანვებოდი, თანამოაზრეები მოძებნე და ის აკეთე, რაც გაინტერესებსო.

- უბრალოდ მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ შენი სურვილით აკეთებ ამას და არა ვინმე სხვის, - წაჰბინა ქრისტიანემ და ისევ ტელევიზორს მიუჯდა.

ორი თვის შემდეგ მიქა ლანასთან ერთად წავიდა მთაში, მამასთან, ისე, რომ ქრისტიანესთვის არაფერი უთქვამს. როცა დაბრუნდა, ქრისტიანემ დალაგებისას მის ოთახში სოფიოს ლექსების ძველი, დაფლეთილი წიგნი აღმოაჩინა, რომელიც ისე აიკრძალა, მკითხველამდე არც მისულა. დივანის კიდეზე ჩამოჯდა, წიგნი გადაფურცლა და ფიქრებს მიეცა. ზოგიერთ ლექსს ჩაუღრმავდა და სცადა ის დრო გაეხსენებინა, რომელსაც პოეტი უმღეროდა და ბრალს სდებდა.

გაქვავებული სახით გაულო საღამოს კარი მიქას და როცა ის წვნიანის ჭამას შეუდგა, წიგნი მაგიდაზე დაუდო. მიქამ წამით შეაჩერა მხერა თხელ გამოცემაზე, თითქოს პირველად დაინახა, და მხრები აიჩეჩა.

- ჰო, წამოვიდე.

- ვერ ვიტან საიდუმლოებს და შენ ეს იცი. რას აპირებთ?

- ფილმს გადავიღებთ ბებიჩემზე. სცენარის წერა უკვე დავიწყეთ. ლანას მაგარი იდეები აქვს.

- ლანას, ლანას. შენი ნება არ გაგაჩნია?

ქრისტიანეს თვითონვე გაუკვირდა, ისეთი ნაწყენი ხმით დაუსვა ეს შეკითხვა.

- შენ არ გინდოდა, თანატოლები მომეძებნა. ჰოდა, ერთი უკვე ვიპოვე.

რამდენიმე კვირის განმავლობაში ცდილობდა ქრისტიანე, დაერწმუნებინა მიქა, უარი ეთქვა ამ განზრახვაზე. ძალიან სახიფათოაო. მამაშენის ამბავი ჯერ დავიწყებული არ არის. შარში არ გაეხვე. რასაც სხვას აპატიებენ, შენ არ შეგარჩენენ, ყველამ იცის, ვინ არის მამაშენი და რამე რომ მოხდეს, მე ვერ დაგიცავ. აღარავინ მყავს, ვისაც შემძლია შველა ვთხოვო. მოეშვი, სხვა თემა მოძებნე, თემების მეტი რა არისო. ძალიან პატარა ხარ ჯერ სოფიოს ამბის მოსაყოლად, ბოლომდე არც კი გესმის, რის მოყოლასაც აპირებო. მაგრამ მიქა გაკუთდა, გულგრილი გამომეტყველებით უსმენდა და უკან არ იხევდა, ყველაფერი კარგად მაქვს დაგეგმილი და მოფიქრებულიო.

ერთ დილას ქრისტინეს ფურცლებისა და ჩანანერების დასტაში თავჩარგული ლანა დახვდა სამზარეულოში. წინა საღამოს გვიანობამდე წერდნენ და კამათობდნენ მიქას ოთახში. მიქას, როგორც ჩანს, ეძინა ჯერ კიდევ.

- თქვენ რა, მთელი ღამე აქ ისხედით? რატომ არ დანეჭი? - შეეკითხა ქრისტინე.

- არ მინდოდა, უხერხულად გვერძნოთ თავი, დივანი მაინც ძალიან ვინროა, - ნაილულულა ლანამ ისე, რომ თავი არ აუნეცია.

- რა ჩემი საქმეა. ისიც კი არ ვიცოდი, რომ თქვენ ერთად...

- არა. ჯერ არა. მიქას ჩემი გონება ხიბლავს და არა სხეული. ვერც ვუსაყვედურებ. ხომ ვიცი, ვინც ჩამოუყალიბა ესთეტიკური გემოვნება.

ქრისტინე გაშეშდა. არ იცოდა, აღშფოთებულიყო თუ უყურადღებოდ დაეტოვებინა მისი ნათქვამი.

- მაგრამ მე მას ვჭირდები, - განუმარტა ლანამ, - და მან ეს იცის, ასე რომ, დროთა განმავლობაში, ალბათ, შეძლებს თავისი ვიზუალური მოთხოვნების შემცირებას.

- ეჭვიც არ მეპარება, რომ გამოგივა, - კბილებში გამოსცრა ქრისტინემ.

* * *

Here am I floating
Round my tin can
Far above the Moon
Planet Earth is blue
And there's nothing I can do.[3]

ბოუი

ამასობაში მსოფლიოს თავგადასავალი გრძელდებოდა, იყო დიდი მღელვარება ნავთობის კრიზისთან, უოთერგეითის სკანდალსა და ჩილეში პინოჩეტის მიერ ძალაუფლების მითაცებასთან დაკავშირებით, მაგრამ საუკუნის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენები ისე შორს ჩანდა ჩვენგან, თითქოს სხვა პლანეტაზე ხდებოდა. საბჭოთა კავშირში ადამიანებს კარგა ხნის მეგნებული ჰქონდათ, რომ არ ღირდა მსოფლიოს პრობლემებზე ფიქრი, რადგან ამ მსოფლიოს და ამ პრობლემებს არაფერი ჰქონდათ საერთო არც ერთ მათგანთან. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა პირმა, ბუჩქნარბიანმა კაცმა უკვე რამდენიმე ინფარქტი და ინსულტი გადაიტანა და, ალბათ, რის ვაი-ვაგლახით მართავდა ნახევარ მსოფლიოს. მაგრამ არც ამის გამო დელავდა ვინმე. რომც ადელვებულებიყვნენ, რა შეიცვლებოდა ამით.

ღარიას კეთილგანწყობის მოსაგებად განსაკუთრებით ბებიები და ბაბუა ეცილებოდნენ ერთმანეთს და ნანამ მალევე აღმოაჩინა, რომ ამ

შეჯიბრებსაც მისი ქმარი იგებდა. ბაბუას დანახვაზე სახე უბრწყინავდა დარიას. სხვა ვერავინ იწვევდა მის ასეთ აღტაცებას, ვერავინ უღიტიწებდა ამდენ ხანს, ვერავინ ეთამაშებოდა ასეთი თავდავინწყებით. კოსტია უკვე ხედავდა, როგორ შეაბიჯებდა თავისი შვილიშვილი ელიტურ სკოლა-ინტერნატში ერთ მშვენიერ დღეს, როგორ ჩააბარებდა სამედიცინოზე, მერე სამაგალითო ქმარს ამოიყენებდა გვერდით, საზაფხულო და სპორტულ ბანაკებში გამობრძმედილ კომკავშირგამოვლილ, პარტბილეთიან კაცს. ხედავდა ყველაფერ იმას, რის ასრულებაზეც ელენემ უარი თქვა.

ალარ იცოდა, რა უნდა ელონა ელენესთან. ბენოლით და მუქარით ვერაფერს გახდა. არც მის საქმეში ჩაურევლობამ გაჭრა. მას მერე, რაც შვილის ყველა უბედურება იმ ნაბიჯვარ მიქა ერისთავს გადააბრალა, ცოტა შვება იგრძნო. ეს იყო ელენეს შეუმდგარი კარიერის ერთადერთი დამაკმაყოფილებელი მიზეზი, რომელმაც კოსტია საკუთარი თავის დადანაშაულებისგან გაათავისუფლა. როცა ნანა კოლეგებისა და ქვეშევრდომების ქორწილებსა და დაბადების დღეებზე დაჰყვებოდა ქმარს, ყოველთვის ხედავდა, როგორი ნაღვლიანი თვალები უხდებოდა. როგორ შურდა იმ კაცების, პატარა ქალწულები რომ ჰყავდათ, შვილები, დები, საცოლეები ან შეყვარებულები. უჩუმრად რომ დაფრიალებდნენ მორთულ-მოკაზმულ დარბაზებში, დიდებულად განწყობილი სუფრების გასწვრივ, ყოველთვის თვალებდახრილები, ყოველთვის ცოტა მორიდებულები თავიანთი მამების, ძმების, საქმროებისა და ქმრების გვერდით. ისინი ვერასდროს გაბედავდნენ დაბნელების მერე სახლიდან გასვლას, თანატოლ ბიჭებთან ერთად ყიალზე, ალკოჰოლის მიღებასა და სევდიანი რომანების კითხვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

როცა ჩიხში მოექცა, კოსტია ცოლს მოეთათბირა. ელენეზე ზრუნვა წარმოადგენდა ცოლ-ქმრის ურყევი კავშირის საფუძველს. ნანაც მასავით სასონარკვეთილი და დათრგუნვილი ჩანდა, რაც, ალბათ, იმედს აძლევდა კოსტიას, რომ მისი ცოლი მთლად ჭკუიდან არ იყო გადამცდარი დედამისივით, ან კიდევ უარესი, დეიდამისივით. ნანამ შესთავაზა, ვაიძულოთ ისწავლოსო. უნივერსიტეტი თუ არ უნდა, ტექნიკუმში მაინც ჩააბაროს. რამე უნდა აკეთოს, რამე ვალდებულება უნდა გააჩნდესო. მაგრამ კოსტიას სამარცხვინოდ მიაჩნდა, თავის შვილს ისეთი მდაბიო სფეროსთვის მიეძღვნა ცხოვრება, როგორიც სოფლის მეურნეობა ან ვაჭრობაა და დაარწმუნა, ცოტაც ვაცადოთო. როცა უიღბლო ქორწინებით გამოწვეული დარდი ჩაუცხრება, გონს მოეგებაო.

იმ მტკივნეული სილის შემდეგ კოსტიამ ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა ელენეს, უნდოდა, დანაშაული გამოესყიდა, საკუთარი სინდისი დაეწყნარებინა. „ვაზ-2103“ უყიდა, რომელიც სულ ახალი გამოშვებული იყო. პირადად ასწავლა მართვა ნდობის აღსადგენად. თავიდან ყველას ეგონა, რომ მანქანა შესაძლებლობას მისცემდა ელენეს, თავისუფლად

ველო თბილისში, რომ კოსტიას ეს უესტი რაღაცას მაინც გამოასწორებდა. ელენეც გახარებული იყო. მაგრამ იმ მანქანით არც ბუნებაში გასულა, როგორც დედა სთავაზობდა და არც უნივერსიტეტში ჩასულა რამის გასარკვევად, ერთადერთი, მიქაელს დაატარებდა მის მეგობრებთან თბილისში, სადაც მანამდე რამდენჯერმე მიიყვანა მან. პატარა კომუნალური საცხოვრებელი იყო პლენხანოვზე. იქ იკრიბებოდნენ დისიდენტები და ხელისუფლების მოწინააღმდეგეები, როგორც მიქაელმა წარუდგინა, უსმენდნენ მუსიკას, სვამდნენ და ღმერთსა და პოლიტიკაზე საუბრობდნენ. მათ პროტესტს ძირითადად მარიხუანის მოწევა და სამზარეულოში ხმაურიანი დებატების გამართვა შეადგენდა. მაგრამ ელენესთვის ისინი მაინც თამამები და სხვანაირები იყვნენ. როგორც კი მათ დაბოლილ საზოგადოებაში მოხვდა, მაშინვე მოუნდა იმ ხალხთან დამეგობრება.

ელენე გაოგნდა, როცა აღმოაჩინა, რომ უმრავლესობა საკუთარ თავს მორწმუნედ მიიჩნევდა და მართლმადიდებლობის მეშვეობით უპირისპირდებოდნენ სახელმწიფოს. ელენე არასდროს დაინტერესებულა პოლიტიკით ან სახელმწიფოთი. რა თქმა უნდა, გაცნობიერებული ჰქონდა, რომ პრივილეგირებული ბავშვი იყო, რაღაც-რაღაცებზე იმიტომ მიუწვდებოდა ხელი, რომ მამამისს კოსტია ჯაში ერქვა, მაგრამ კლასობრივ განსხვავებებზე ან მარქსიზმზე არასდროს უმტვრევია თავი. პოლიტიკა მამაკაცების საქმე იყო, მამამისის საქმე, და ეს კი საკმარისი საფუძველი იყო, რომ არაფერი ჰქონოდა ამასთან საერთო.

ადრე მისთვის აჯანყება ის იყო, რომ მშობლების მოლოდინს არ ამართლებდა, მამიდამისის ფირფიტებს უსმენდა, სახურავზე ნახევრად აშენებული აივნებიდან ცას გასცქეროდა მელანქოლიურად და, ალბათ, მარკიზ დე სადს კითხულობდა, სრულიად დაფლეთილ, ათას ხელში გამოვლილ გამოცემას, აკრძალულ რარიტეტს, რომელიც ქრისტიანს სარდაფში აღმოაჩინა მუყაოს ძველ ყუთში. მიუხედავად იმისა, რომ ის მუამბოხეები თავიანთ მუამბოხეობას ცოტა სხვანაირად გამოხატავდნენ და პოლიტიკურად მოაზროვნე, ღვთისმშობიშ ადამიანებად მიიჩნევდნენ თავს, მათი საუბრებიდან ელენე მალე მიხვდა, რომ თავისი ამბოხიც და იმათი ამბოხიც მხოლოდ და მხოლოდ იმ სამყაროზე ოცნება იყო, სადაც როკმუსიკა არ იკრძალებოდა, სადაც ლურჯი ჯინსი ეცვათ, სადაც საკუთარი ხელით დანერგილი ტრანსპარანტებით გადიოდნენ დემონსტრაციებზე, სადაც ფილმები და წიგნები – ყველაზე დაუნდობელიც კი – ცენზურას არ ექვემდებარებოდა; იმ სამყაროში ცხოვრობდა თავისი გაუჩინარებული და ტაბუდადებული მამიდა. იმ სამყაროში გაპარულები უკან აღარ ბრუნდებოდნენ. ჰო, ეს იყო მშვენიერი, მშვენიერი სამყარო. ელენემ მაშინვე კარგად იგრძნო თავი ამ საზოგადოებიდან გარიყულ საზოგადოებაში, რომლის ყველაზე დიდი ბრძოლები 14-

კვადრატულმეტრიან სამზარეულოში იმართებოდა. ალბათ, რა მაგარი გრძნობაა, როცა ამდენი საფუძვლიანი მიზეზი გაქვს ასაჯანყებლადო, ფიქრობდა, თავიდან კუთხეში რომ იჯდა და მოჭადლოებული უსმენდა ტყავებში შემოსილებს. ბუნებრივია, აკვირვებდა მათი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრივობა, რელიგიურობას და ჰედონიზმს ვერაფრით უკავშირებდა ერთმანეთს, მათი შოვინიზმი და შემზღველ ფასეულობათა სისტემაც ეხამუშებოდა. უჭირდა თუნდაც იმის გაგება, როგორ შეეძლოთ ქურდობა, ვინმეს ცემა ან დანის ტრიალი, უპირველესად, თავის სულიერ წინამძღოლს, მიქაელს, როცა მორწმუნე ქრისტიანებად მიიჩნევდნენ თავს. ალბათ, ამას იმით ამართლებდნენ, რომ ცუდი ადამიანების მიმართ დასაშვები იყო ძალადობა, რომ საბჭოთა კავშირში მემარცხენე უფრო დაუნდობელი უნდა ყოფილიყო და თავისი უკმაყოფილება უფრო ძალადობრივად უნდა გამოეხატა, ვიდრე დასავლეთში.

ბუნებრივია, ელენე მაშინ ჯერ ძალიან გულუბრყვილო იყო, დისტანცია აკლდა, არც იცოდა და ვერც ხვდებოდა, რომ ეს ტიპური ქართული ამბოხება, რუსული ანდერგრაუნდისგან განსხვავებით, სამზარეულოში ლაყბობით, გაუთავებელი ლოთობით და თვითტკბობით შემოიფარგლებოდა, უარყოფდა სლავურ-იმპერიალისტურ მჩაგვრელ ძალაუფლებას და აიდვალვებდა ყველაფერ პრესაბჭოურს. შესაბამისად, ყველაფერ ბურჟუაზიულს. ამასთან ერთად, არც ისტორიული ფაქტების ისე შეტრიალებას და მოვლენების ისე წარმოჩენას თაკილობდა, რომ საკუთარი იდეოლოგიისთვის მიესადაგებინა.

ამ ბიჭებმა ერთმანეთის მიყოლებით გამოიყვანეს მზეთუნახავი ელენე ღრმა ძილიდან. თბილი მზის სხივები აუკიაფდა სახეზე. სად იმყოფებოდა, რას წარმოადგენდა, საით მიექანებოდა? რა კავშირში იყო ეს ყველაფერი ერთმანეთთან და რა როლი ენიჭებოდა ამაში ღმერთს? საერთოდ თუ აინტერესებდა, რა ხდებოდა დედამინაზე? ნაიარევი ფიქრებით და მტკივნეულად გამოღვიძებული სურვილებით ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ელენე ცხოვრებას.

ხშირი, ნაბლისფერი თმა ისევ ბიჭურად შეიკრიჭა. ფრჩხილები შეიღება. დედამისის კოსმეტიკით შეიფერადა ლოყები. ჭრელი საზაფხულო კაბები შეიკვრა. ებრაელებთან მაღალქუსლიანი თეთრი სანდლები იყიდა, მამამისის ნაჩუქარი ფრანგული სუნამოს შესხმა დაიწყო. დაუკოცნიდა ხოლმე დარიას პუტკუნა, ღაჟღაჟა ლოყებს, გაბს მიაჭერდა და მტვერს ადენდა სოფლის მოუასფალტებელ გზას. მუსიკას რთავდა. გული სიხარულით ევსებოდა. გაუბედავად, ჰო, მაგრამ მაინც ჩაერთო სამზარეულოს მძვინვარე დისკუსიებში. ლუდს სვამდა, ზოგჯერ შინნახად მაგარ არაყსაც. გემო გაუგო მჟავე კომბოსტოსა და კიტრს. ქალები არასდროს აკლდა იქაურობას, მაგრამ ეს უმეტესად მეზობლად მცხოვრები გოგონები იყვნენ, ან მეგობრები, რომელთაც მხოლოდ ცოტა

ჰაშიშის მონევა, ბიჭებთან ხვევანა-კოცნა და „პინკ ფლოიდის“ ან „როლინგ სტოუნზის“ იმ ერთადერთი ფირფიტის მოსმენა უნდოდათ, მრავალი კილომეტრის მანძილზე მართო იქ რომ მოიპოვებოდა. იმ გოგოებისგან განსხვავებით, ელენეს დისკუსიებიც აინტერესებდა, თავის აზრებსაც ასახულებდა და კამათობდა კიდევ. ელენეს აფასებდნენ. საღეჭი რეზინით უზარმაზარ ბუშტებს ბერავდა. კომუნალური საცხოვრებლის ვინრო სამხარეულოში The Who-ს მუსიკაზე ეცეკვებოდა ბიჭებს. გამუდმებით ეწეოდა მარიხუანას და განწელილი დროით ტკბებოდა.

ერთხელ, ცეკვისას, ერთ ასეთ შენელებულ კადრში ბექამ აკოცა. ბექას ყველაზე ლამაზად ეცვა, ზოგჯერ ყველაზე ხმამაღლა კამათობდა, მუდამ გამოუძინებელს ჰგავდა და ყველაზე კარგი გემოვნება ჰქონდა მუსიკაში. ელენემ იცოდა, რომ ოცდაათხი წლის იყო და თავდაცვის რომელიღაც მოხელის აგარაკის გაქურდვისთვის ორი წელი მოიხადა კოლონიაში. ეს ხიბლავდა კიდევ, თუმცა არ აღიარებდა. ისიც იცოდა, რომ არჩიტექტურული ფაკულტეტი ჰქონდა მიტოვებული, ჯინსი კი მუხლებთან დახეული ეცვა – ეს გაუგონარი ამბავი იყო (და საკმარის საბაბს იძლეოდა, რომ ქუჩაში გაეჩერებინა მილიციას და საზოგადოებრივად მიუღებელი ტანსაცმლის ჩაცმაში დაედანაშაულებინა)!

თანაც ფანტასტიკური კოცნა სცოდნიაო, – გაიფიქრა ელენემ და კიდევ უფრო აეტმასნა ბექას.

ორი დღის შემდეგ ბექამ „კინოს სახლში“ დახურულ ჩვენებაზე წასვლა შესთავაზა, რაღაც ჰორორი გადიოდა, „ექზორცისტი“. ნაცნობობით შეეძლო ბილეთების შოვნა და ნუ გეშინიაო, უთხრა, მე ხომ იქ ვიქნებიო (ამ სიტყვებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ელენეზე).

ასე დაიწყო სიარული. გაზაფხულმა წააქეზა, ხელი ჩაეკიდათ ერთმანეთისთვის და კოცნის ხელოვნება დაეხვეწათ. ხშირად დადიოდნენ კინოში, რადგან ბექა ყოველთვის ახერხებდა მოსაწვევების შოვნას განსაკუთრებულ ჩვენებებზე (ეს ყველას კი არ შეეძლო!).

ბრიუს ლი ნახეს. ბექამ Deep Purple-ის ფირფიტის პირატული ვერსია აჩუქა, ერთად მოისმინეს Made in Japan. გოგოები რომ დასდევდნენ ბექას, ელენე ამასაც პლუსად მიიჩნევდა. იოლად დაახლოვდნენ, მარტივად, ბუნებრივად. გულის განმგმირავი სიყვარულის ახსნების და დამთრგუნველი განმარტებების გარეშე. ბექამ უბრალოდ ხელი ჩასჭიდა და სულ ეს იყო.

მშობლებსა და ოჯახებზე არ ლაპარაკობდნენ. ლაპარაკობდნენ „დიფ ფარფლზე“ და ნანახ ფილმებზე. ისე მსუბუქად გრძნობდნენ თავს, როგორც კოსმონავტები ღია კოსმოსში.

არავითარ წესებს არ მისდევდნენ. არ გეგმავდნენ ნიშნობას, ქორწილს, შვილების გაჩენას, ერთობლივ მომავალს. ღიად კოცნაობდნენ ქუჩაში, მანქანაში, პარკში. როცა კოცნით და შემთხვევითი ალერსით ლტოლვა ვერ დაიკმაყოფილეს, ერთ საღამოს თბილისის ზღვაზე წავიდნენ, დაელოდნენ, სანამ კაფე დაიკეტებოდა და სანაპირო დაცარიელდებოდა, ხშირი ბუჩქნარი მოძებნეს და პლედი დააფინეს. საკმაოდ გამოცდილები იყვნენ თავიანთი ასაკისთვის.

ტბაზე თბილოდა ღამღამობით, ვარსკვლავები დაჰნათოდათ. მათ არ უყვარდათ ერთმანეთი. უბრალოდ, სიყვარულს მიეცნენ. და მე მომიხმეს ამქვეყნად.

* * *

ჩვენ რიგს ვიცავთ, პირველები ვდგავართ,
ისინი კი, ჩვენ უკნიდან – ძღებიან.
ვისოცკი

თავისი მოთმინებისა და სიმტკიცის წყალობით ლანამაც შეძლო მიქას არაამქვეყნიური, ეფემერული, ტანჯული გრძნობები სხეულის ენაზე გადაეყვანა. ყოველგვარი საყვედურის გარეშე იღებდა იმას, რასაც მიქა მისთვის იმეტებდა და იმედი ჰქონდა, რომ მისი სევდიანი ღუმილის, უსიტყვო ფატალიზმის შრეებქვეშ ბევრად მეტი იმალებოდა, ბევრად მეტის მოპოვება შეეძლო. ლოდინსა და სისტემატურ მუშაობაში გატარებული თვეების შემდეგ ლანამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია, ციხესიმაგრის უკანასკნელი გალავანი დაეცა. თუმცა მიქას ხელებმა ჯერ იუცხოვეს მისი სხეული და მისმა უგრძნობელობამ, ცოტა არ იყოს, იმედიც კი გაუცრუა, ლანა მაინც ბედნიერი იყო. თან მშვენივრად იცოდა, რის საფასურსაც უხდიდა მიქა. თავისი მარიფათის წყალობით მან ისე მოახერხა სიმართლის შენიღბვა კომისიისთვის განკუთვნილ ტექსტში, რომ სცენარი მიიღეს. მიქას შეეძლო თავისი კინო გადაეღო!

ასე რომ, ლანამ იცოდა – სიყვარულის ეს გამოვლინება მიქას მხრიდან მადლიერების ნიშანი იყო. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ეს მადლიერება ძალიან მალე გადაიზრდებოდა საჭიროებაში, მერე აუცილებლობაში და მიქა ვეღარ იტყოდა უარს მის სხეულზე, ისევე როგორც მის სიცოცხლისუნარიანობაზე, მის გამჭრიახობაზე, მის დახმარებაზე.

მცხეთაში იყო ერთი უღიმღამო რესტორანი, თითქოს სახელდახელოდ გახსნილი გზის განაპირას, ხის ბუნგალოებით და განცალკევებული კუპეებით, დაქანცული, მთვრალი მუსიკოსებით, სულ ერთსა და იმავეს რომ ადუღუნებდნენ, საუკეთესო ქართულ კერძებს ამზადებდნენ, რასაც ვერასდროს იფიქრებდი.

სწორედ იქ იქეიფეს დიდებულად მიქაელმა და მისმა პლენხანოველმა მეგობრებმა ბექასა და ელენესთან ერთად და უკვე მთვრალეები ღია ცის ქვეშ ისხდნენ, სენტიმენტალურ სადღეგრძელოებს ამბობდნენ, გაუთავებლად ეხვეოდნენ ერთმანეთს და გამონაკლისის სახით პოლიტიკაზე არც კი ფიქრობდნენ.

იმავე რესტორანში თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის სტუდენტები აღნიშნავდნენ მესამე კურსის დამთავრებას. რაღა თქმა უნდა, ლანაც იმ სუფრასთან იმყოფებოდა. რამდენიმე სტუდენტს სიმღერა რომ არ წამოეწყო, ეს ორი მოქეიფე ჯგუფი ვერც შეამჩნივდა ერთმანეთს და ის საღამო ექსცესების გარეშე ჩაივლიდა.

მაგრამ სიმღერამ მიქაელის ბიჭების ყურადღება მიიპყრო და მათ ოფიციალის ხელით შამპანური და ხილით სავსე თეფში გაუგზავნეს „მომღერალთა მაგიდას“. მერე ერთ-ერთი მთვრალი სტუდენტი მათთან მივიდა, მადლობა გადაუხადა და თავიანთ მაგიდასთან მიიპატიჟა. მაგიდები შეერთდა და გადასხდომა დაიწყო. როცა აივნის მეორე ბოლოში აღმოჩნდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია ელენემ მიქა. მეგობრულად გაღიმიბა სცადა, აღელვება არ შეიმჩნია და ლოყაზეც კი აკოცა ფრთხილად. დანარჩენები ერთმანეთის გაცნობას შეუდგნენ, დაიწყო ხელის ჩამორთმევა, მხარზე ხელის წამორტყმა ალტყინებით. ღოქებით ღვინის შეკვეთა და ჰეროიკული სადღეგრძელოები.

ლანას არ მოეწონა, როგორ დაიძაბა მიქა და არც ის, რომ ელენე წამდაუნუმ მიქასკენ იხედებოდა, ჩააცივდა, მისი ვინაობის გაგება უნდოდა. მიქა იძულებული გახდა აეხსნა, ქრისტინეს შვილთაშვილიაო, მერე მოიბოდიშა, წამოდგა და მამაკაცების ტუალეტისკენ გაემართა. რამდენიმე წამში მას ელენე გაჰყვა. ტუალეტის კარი ნახევრად ღია იყო და შეიხედა. მიქა სარკესთან იდგა, ხელს იბანდა.

- გამიხარდა შენი ნახვა, რა უცნაურიც უნდა იყოს... ღმერთო, რას ვბოდავ. როგორ ხარ? სწავლობ?

- კი.

- კმაყოფილი ხარ?

- კი, კარგია. შენ რას აკეთებ?

თავიდან გაისაპნა უკვე დაბანილი ხელი, თითქოს შემოტრიალების ეშინოდა, ელენეს შეხედვის. ელენე სარკეში მისჩერებოდა.

- ძალიან მეუხერხულება მამაჩემის ამბავი, სულ არ მინდოდა...

- უბრალოდ დაივიწყე, რა!

- არ შემიძლია.

- უნდა დავბრუნდეთ. გველოდებიან, ალბათ.

- რატომ არ გამაჩერე? რატომ?

ელენე მიქას მიუახლოვდა. წყალი მოდიოდა და მიქას ხელებიდან წვეთავდა. ეპილეფსიანივით აუკანკალდა თითები. ნელა მოტრიალდა, თვალი აარიდა, ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ გვერდს აუქცევდა. მაგრამ

ელენემ გზა გადაუღობა, გამბედაობა მოიკრიბა და ისე ახლოს მივიდა, რომ მიქა იძულებული გახდა, შეეხედა მისთვის. და ელენე შეკრთა. მიქას თვალებში ჩამდგარი შხამი ფოსფორივით ანათებდა. ელენეს არასდროს ენახა ასეთი გესლიანი, გამანადგურებელი სიძულვილი მზერაში. ისეთი უსუსური ეჩვენა თავი. ისეთი უღირსი და უსარგებლო.

- რა გინდა ჩემგან, რა? - შეუღრინა მიქამ, - მოშორდი, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ცხოვრებიდან. აღარ გამეკარო! გაიგე, რა გითხარი?

თვალები პატარა, მუქ წერტილებად ექცა, პირი საზიზღრად დაემანჭა მობრეცილი ხაზივით, ყელზე ძარღვები დაებერა ღვინისფრად.

- რატომ დანეჭი ჩემთან?

ელენეს რკინის ბურთი გაეჩხირა ყელში. ცოტაც და ატირდებოდა, მთელი ხმით აღრიალდებოდა. და ვედარასდროს შეწყვეტდა, იქ დარჩებოდა სამუდამოდ, იმ აყროლებულ ტუალეტში, თავისი უბადრუკი არსებობისთვის შესაფერის ადგილას.

- დავნეჭი? კი არ დავნეჭი! გიხმარე, გაგვიმე, შეგეცი!

სიტყვები სახეში შეაფურთხა. მწველი სიტყვები. პატარა დანებივით რომ შეესო ელენეს კანში.

- რატომ მეუბნები ამას?

- შენ ხომ ისეთი აღტყინებული იყავი. რეპროდუქციის ინსტინქტით შეპყრობილი! ფეხებს შორის ქავილი არ გასვენებდა! რა, ტყუილია? ნამდვილი პატარა ბოზი იყავი, მონოლების სიმაღლებე!

საიდან მოიტანა ეს სიტყვები? თითქოს უცხო ენაზე ლაპარაკობდა. არადა, მიქას ხმა არასდროს აუნევიდა, ცხოვრებაში არავის შეჰკამათებია. ასე რამ გააბოროტა, საიდან გაუჩნდა განადგურების ეს ბრმა ჟინი? ელენემ აქცია ასეთად, მისი ბრალი იყო, ასეთი ნიშნის მოგებით რომ უყურებდა? ვერ მიხვდა, რა დღეში იყო ელენე? ვერ შეატყო?

- რა გინდა? მუხლებზე ვიხოხო შენ წინაშე? ვერ ხედავ, რომ საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია? ეს გჭირდება? მართლა? ეს გინდა, მიქა?

პირზე აიფარა ხელი, რომ მგელივით არ ეყმუჯლა.

- ჰო, მინდა. ზუსტად ეგ მინდა! - უპასუხა მიქამ. და გვერდზე გადადგა ნაბიჯი. წავაო, იფიქრა ელენემ, გაიქცევა ახლა აქედან და ჩემს უბედურებას შემატოვებსო. ჰო, ასეც იქნებოდა. არა, ამას ვერ დაუშვებდა. მის ხელს ჩაეჭიდა, მიქამ ისე დახედა, თითქოს ვერ დაიჯერა, რომ მისი ხელის ხლება გაბედა, მაგრამ არ გაექცა, ჯერ არა. უცნაური თვალები ჰქონდა. ელენეს ემინოდა მათი. არ იცოდა, რით იყო ის თვალები სავსე, ტკივილით თუ სინანულით, რისხვით თუ ზიზღით. მაშინაც ხომ ვერ შეძლო მისი მზერის ახსნა.

მიუახლოვდა, ხელები მოჭხვია, სცადა მისი სუნთქვა ეგრძნო, იქნებ მისი სუნი გაეხსენებინა.

- შენ მოგეწონა. ვიცი, რომ მოგეწონა, თვალებზე შეგატყვე მაშინ, სულ გიყურებდი, გიხაროდა, ქვეშ რომ გყავდი მოქცეული. გიხაროდა,

ჩემს ტანჯვას რომ ხედავდი. მითხარი, გთხოვ, გამოტყედი და თუ გინდა, მართლა დაგიჩოქებ, რასაც მეტყვი, იმას ვიზამ. ოღონდ აღიარე, გთხოვ. ყველაფერს მე დავიბრალებ, მამაჩემს მუხლებში ჩავევარდები, რომ გაპატოს, ოღონდ თქვი, გთხოვ!

- გინდა, რომ მე შენ თხოვნა შეგისრულო? რატომ? რომ ნაძირალად და არარაობად აღარ იგრძნო თავი? შენ ხომ ერთი სული გქონდა, სანამ ფეხებს გაშლიდი!

- რატომ არ გინდა აღიარო? რატომ არ შეიძლება გულახდილები ვიყოთ ერთმანეთთან? შენ გგონია, მე დავივინწყე ყველაფერი, წერტილი დავუსვი და ისე გავაგრძელე ცხოვრება, ვითომც არაფერი? გეხვეწები!

- არა, ელენე, არ გამოვა. ტყუილად გგონია, რომ შენი ტვირთისგან გაგათავისუფლებ, მართო იმიტომ, რომ ისევ მხიარული გოგო გინდა გახდე. შენ მაიძულე ამის გაკეთება და როგორც უნდა შეატრიალო ახლა ფაქტები, ეს მაინც ასეა!

- რატომ არ გინდა უბრალოდ თქვა? თქვა, რომ გძულვარ?

- სიძულვილი მეტისმეტია. ამ გრძნობასაც დამსახურება უნდა. შენ მე ფეხებზე მკიდხხარ, რა ჩემი საქმეა, როგორ მოიშორებ შენი სინდისის ქენჭნას. ამაზე ადრე უნდა გეფიქრა, სანამ კაბას აიწვედი.

- შენ ეს იმიტომ გააკეთე, რომ ჩემი დამცირება გინდოდა ქრისტინეს თვალში, მხილება. შეიძლება იმ საღამომდე არც გქონდა ეს გაცნობიერებული, მაგრამ იმწუთას კი ნამდვილად მიხვდი. ჩემთან იმისთვის დაწევი, რომ მართო დარჩენილიყავი მასთან. გეგონა, შენ სასარგებლოდ გადაწყდებოდა ყველაფერი, რისკზე ნახვდი. ასე არ არის? გიკვირს, რომ მიგიხვდი?

მიქამ პასუხი არ გასცა, ამის ნაცვლად მისი თავიდან მოშორება სცადა. ელენე დამუნჯდა, ისე შეემინდა, რომ ხელიდან გამოეცლებოდა, ისევ მიატოვებდა, შეატოვებდა სიცარიელეს, რომელიც აღარ დაეხსნებოდა, რომ ფეხის წვერებზე აინია და ტუჩებით დაენაფა.

ის იყო, მიქა მხრებში უნდა სწვდომოდა და ხელი ეკრა, მაგრამ ვიდაცამ დაასწრო და მას სწვდა მხრებში, ტუალეტის სველ იატაკზე გაგორებულმა იგრძნო, როგორ მოხვდა კუდუსუნში რაღაც. ბეჭა თავისი შეყვარებულის საძებნელად წასულიყო და კაცების ტუალეტში აღმოაჩინა, ვიდაც კაცს რომ ვოცნიდა. მამაკაცური ვოდექსის თანახმად, როცა ქართველის ღირსება ილახება, მეტოქის ცემის გარდა სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ელენეს ყვირილზე ყველანი წამოიშალნენ მაგიდებიდან და ტუალეტში გაცვივდნენ, პლენხანოველ ბიჭებსა და კინოსტუდენტებს შორის ველური ცემა-ტყეპა ატყდა. ერთ წამში გაჩნდა კაცების სხეულების დიდი გროვა. ერთმანეთის თავებს ილღიებში იქცევდნენ, ცივ კაფელზე აგორავებდნენ ერთმანეთს, თირკმელებში უშენდნენ მუშტებს, მუხლებში, მუცელში, სახეში.

ელენე უხმოდ გაეცალა, დამბლადაცემულივით იდგა, დაინახა, როგორ შეუვარდა ლანა კაცებს, როგორ სცადა მიქას დაცვა და თვითონაც არ ასცდა დარტყმები. შეიძლება ინსტინქტმა არ მიუშვა დედაჩემი, რომ იმ მოქნეული ხელ-ფეხის ორგანოში ჩართულიყო, რადგან ჯერ კი არ იცოდა, მაგრამ მაშინ უკვე ჩემზე იყო ორსულად და იმ ჩხუბში რომ მიეღო მონაწილეობა, დღეს მე, ალბათ, არც ვიქნებოდი აქ.

ოფიციალტებმა, სხვა სამმა სტუმარმა და ჯანიანმა რესტორნის მეპატრონემ გააშველეს ბოლოს კაცები და ცემა-ტყეპა შეწყდა. ატირებული ელენე ტროტუარზე იჯდა, სახეზე ხელაფარებული ქვითინებდა თავისი ორი წლის შვილივით, ღამე რომ იღვიძებდა შეშინებული და დედას ეძახდა.

უცებ ლანა გაჩნდა მის გვერდით, შემოხეულბლუზიანი, ჩამოფხაჩნილი, გასისხლიანებულლოყიანი, და ამრეხით დახედა.

- თავი დაანებე მიქას.

- ჩემი ბრალი არ არის. ამჯერად ჩემი ბრალი არ იყო, სულ არ მინდოდა, რომ...

- უბრალოდ არ გაეკარო, კარგი?

ელენე არ ელოდა, რომ ქალს, რომელიც რამდენიმე წუთის წინ თავგამოდებით იცავდა მიქას, ასეთი ხავერდოვანი ხმა ექნებოდა. მიუხედავად მისთვის ნათქვამი უხეში სიტყვებისა, ხმა ისე უფლერდა, თითქოს ყოველდღე კარამელს წუნნიდა, რომ ამ რბილი და ალერსიანი ტემბრისთვის მიეღწია.

- ისევ არ დაიცვა თავი, - ჩაიბუტბუტა ფიქრებში წასულმა ელენემ.

- რა თქვი?

- თავი არ დაიცვა! - დაიყვირა ელენემ.

ორი კვირის შემდეგ დედაჩემმა უკვე დანამდვილებით გაიგო ჩემ შესახებ და სრულიად აუღელვებლად შეხვდა ამ ახალ ამბავს. თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს მისი დაორსულება გარდაუვალი იყო, თითქოს მხოლოდ იმისთვის არსებობდა, რომ თავისი სხეული პორტალად შეეთავაზებინა ყველა ბავშვისთვის, რომლებიც ამქვეყნად გაჩენას ლამობდნენ.

ბეჭამ კი, მისმა მემამბოხე შეყვარებულმა, ნაკლები სიმშვიდე გამოიჩინა, შეწუხებული მიაჩერდა ელენეს, ყურს უკან მოიფხანა, კისერზე მოისვა ხელი, ჩაახველა და გაღიმება სცადა. მერე ხმა დაიშაქრა და ენად გაიკრიფა. ამ წუთას ძალიან მძიმე სიტუაციაში ვარო, არც სამსახური მაქვს, არც პერსპექტივა, მშობლებთან ვცხოვრობ, იმათ ხომ არ დავაწვები კისერზეო. შენს მშობლებთან კი არავითარ შემთხვევაში, არა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თანაც, მამაშენი ახალ სიძედ, ალბათ, არც მიმიღებსო, ესეც რომ არა, ხომ იცი, როგორი წინააღმდეგი ვარ საერთოდ ქორწინების ინსტიტუტის, მიხარია, რომ ჩვენი სიყვარულის ნაყოფს ატარებ მუცლით, მაგრამ ახლა ნამდვილად არ არის ოჯახის შექმნის

დროო. ჰო, არა, მოკლედ, იქნებ ახლა, ამ ერთხელ, ამ პრობლემას „თავი ავარიდოთო“.

ამაზე დედაჩემი უსიტყვოდ წამოდგა, ხელჩანთა ამოიჩარა და მიატოვა ბექა.

როცა კოსტიამ გაიგო, რომ კიდევ ერთხელ უნდა გამხდარიყო ბაბუა, კედელს მიანარცხა მდუღარე შავი ჩაით სავსე ლამაზი ფინჯანი. თავისი მეუღლის მონაგარი, რომელსაც ძალიან უყვარდა ძვირფასი ჭურჭელი, თუ ვინმე საზღვარგარეთ მიდიოდა, ყოველთვის აბარებდა ჩეხურ, გერმანულ ან ინგლისურ ჩაის სერვიზს და უკვე ღირსშესანიშნავი კოლექციის მფლობელი იყო. ნანამ შეჰკვივლა, კოსტიას გაათვრებით და კობტა ჭიქისთვის მიყენებული ბარალით დამფრთხალმა, აბა, ნაკლულ სერვიზს რაღა ფასი ჰქონდა?

- იცი, შენ ვინ ხარ? იცი? ბოზი ხარ, იაფფასიანი, არაფრის მაქნისი ბოზი და მეტი არაფერი, - დაუღრიალა კოსტიამ ელენეს. მის მიერ წარმოთქმული ეს უხამსი სიტყვა დანის დარტყმასავით იყო ელენესთვის რადგან კოსტია ვერ იტანდა ბაზრის ქალების ჩხუბს და საერთოდ უხამსობას. მისი იარაღი არგუმენტები იყო, დამცირება, გულის აცრუება, ხელის კვრა, მაგრამ არა ასეთი სიტყვები.

ელენე სკამზე ჩაიკვცა.

- ვინ მოგცა დაჯდომის უფლება? ეს ჩემი სკამია. შენ მხოლოდ მაშინ დაჯდები, როცა მე დაგრთავ ნებას. დიახ, ასეა, ამ სახლში ყველაფერი ჩემი შრომით არის მოპოვებული, ყველაფერი, რასაც ხედავ და ხელს ჰკიდებ. აქ ვინც ცხოვრობს, ყველა მუშაობს. შენ გარდა! მართო შენ ხარ უმაქნისი, მუქთახორა, და ყველაფერთან ერთად, პარაზიტიც. ჩვენს ნერვებზე თამაშობ და გვარცხვენ, მეტი შენ არაფერი შეგიძლია. ეს არის შენი მოწოდება!

- კოსტია, ძალიან გთხოვ, - ჩაერია ნანა, თავისი ჩეხური, გერმანული თუ ინგლისური ფინჯნის ნამტვრევები ჭერ ისევ ხელში ეჭირა.

- რა იყო? რა? ტყუილს ვამბობ? მაშინ ამიხსენით! ყველაფერი შეეძლო ჰქონოდა, ვერცხლის ლანგრით მივართვით ყველაფერი, ამან კი ყველაფერი გაანადგურა თავისი ქარაფშუტობით. სახეში გვაფურთხებს და დაგვცინის კიდევ ზურგს უკან თავის კრიმინალ მეგობრებთან ერთად. სწორედ რომ კრიმინალები არიან, გენაცვალე. რა მოძღვარი, რის მოძღვარი, არ გამაცინოთ. მაგან უნდა მიმიყვანოს ღმერთთან? მაგან? იცი, რა ცხოვრება აქვს გამოვლილი? მოუყოლია, ციხეში როგორ იჯდა? თუ დაგიმალა შენმა იოანე ნათლისმცემელმა?

- ეგ არაფერ შუაშია, - ჩაილულულა ელენემ.

- ა, გასაგებია, ესე იგი, უმანკო ჩასახვა იყო, არა?

- ეგ არ არის მამა.

- მით უმეტეს. რატომ არ გინდა გაგვანდო შენი შვილის მამის ვინაობა? რატომ არ გინდა, გაგვაცნო? ის არ გეყო, რომ ჟიგოლოს

გადავიკიდე, მოლალატეს, დებერტირს, ვერ მოისვენე, სანამ საკუთარი რეკორდი არ მოხსენი, ერთი სული მაქვს, გავიგო, ამჯერად ვინ იპოვე. ამ სირცხვილს, ალბათ, ვერასდროს ჩამოვირეცხავ. შენ თვითონ აირჩიე ეს გზა. ასე რომ, იმას გააკეთებ, რასაც გეტყვი. რადგან სხვა არავინ გყავს მშველელი, რამდენადაც ვხედავ. შენი კრიმინალი შეყვარებულის შენარჩუნებაც არ შეგიძლია, როგორც ჩანს. ორშაბათს ექიმთან წავალთ და აბორტს გაიკეთებ. ყველაფერი გასაგებია?

ნანამ თვალი აარიდა შვილს, ნამტვრევებს დახედა, ხელში რომ ეჭირა, ელენეს ნიკაპი აუკანკალდა, კოსტია დაჟინებით გასცქეროდა ფანჯრიდან მზიან, გაცისკროვნებულ მიდამოს, ხალას, ნათელ დღეს. ჩამონოლილ სიჩუმეში სტასიამ შემოაბიჯა ოთახში, ცალი ხელი დარიასთვის ჩაეველო, მეორე ხელში თავისი გახვეული პაპიროსი ეჭირა. დარიამ გაიცინა და დედამისისკენ გაიქცა.

- მოხდა რამე? - იკითხა სტასიამ და მაგიდას მიუჭდა.

დარია მუხლებზე ააცოცდა ელენეს, რომელმაც ძლივს გაიჩერა კანკალი.

- დაანებე დედამენს თავი, დარიკო. რას იზამ, ჩემო ანგელოზო, კახპა გყავს დედა. მოდი ჩემთან, - თქვა კოსტიამ მშვიდად და დარიასკენ გაიწოდა ხელი.

- მეზიზღები! - უყვირა ელენემ, წამოხტა და დარია ძირს ჩასვა.

- ამას როგორმე გადავიტან. მხოლოდ ის მაინტერესებს, შევთანხმდით თუ არა?

- მე ბავშვს დავიტოვებ! - თქვა ელენემ.

- ორსულად ხარ? - იკითხა სტასიამ და უცებ გადაიხარხარა თავისი ჩახლეჩილი ხმით. ნანამ და კოსტიამ გაცეცხლებულებმა გახედეს.

- კახპა! კახპა! - წამოიძახა უცებ დარიამ მხიარულად, როგორც ჩანს, გახარებული იყო, სიტყვების მარაგი რომ შეავსო.

მე, ალბათ, სანატრელიც ვიქნებოდი და სიყვარულითაც მიმიღებდნენ, თუ თეკლა გაუძლებდა იმ დროს, რომელიც მისი აღარ იყო, თუ სტასიას შესაძლებლობა მიეცემოდა, პეტრე ვასილიევს გაჰყოლოდა, თუ რამაზ იოსებიძე ხელს შეუშლიდა ცოლს ნიღბის მოხსნაში ახალი წლის იმ ღამეს, თუ იდა იმედს დაკარგავდა, ბაბუაჩემი ზღვასა და ჰორიზონტს შორის კარს იპოვიდა და გააღებდა, თუ საკლასო ოთახში საოპერაციო მაგიდა არ გახდებოდა საჭირო, თუ ანდრო ერისთავს ეცოდინებოდა, რომ კიტის მისი მცდარი შეხედულებების გამო ამოჰკვეთეს ბავშვი მუცლიდან, თუ კიტი მკვლელობას არ დაუშვებდა, თუ დარჩებოდა, თუ სამყარო ყველა პატარა დიდ კაცს დაასაჭურისებდა მათი თესლის გავრცელებამდე, თუ აჩრდილებს სიმღერის დასრულებას დააცდიდნენ და შიმშილი სიყვარულზე ძლიერი არ აღმოჩნდებოდა. ჰო, მაშინ, ალბათ, ყველაფერი კარგად იქნებოდა, როგორც გვინდა, ისე რომ იყოს, როცა ამ

ქვეყანას ვეკლინებით: მოსიყვარულე მშობლები, უბრუნევო თავისუფალი ქვეყანა - და ლუ რიდი ყველასთვის.

* * *

დაე, მუდამ იყოს მზე,
დაე, მუდამ იყოს ცა,
დაე, მუდამ იყოს დედა,
დაე, მუდამ ვიყო მე!
პიონერული სიმღერა

არადა, როცა მე გავჩნდი, ლუ რიდი აკრძალული იყო, ბრუნვეი კი - ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად - ჯერ კიდევ ჯანზე. მოსიყვარულე მშობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თითქოს პასუხისმგებლობას გაურბოდაო, ჩემს დაბადებამდე ორი თვით ადრე მამაჩემმა მანქანა მოიპარა და ხუთი წელი მიუსაჯეს. სხვა „კრიმინალური ქმედებებიც“ დაუმტკიცდა.

დედაჩემს კი ძვირად დაუჯდა კოსტიას ნების წინააღმდეგ წასვლა და ჩემთვის სიცოცხლის შენარჩუნება: მთელი ორსულობის განმავლობაში შინაპატიმრობის ატანა უხდებოდა, იმას ჭამდა, რასაც დაუდებდნენ, შვილს ეთამაშებოდა, როცა მამა ეტყოდა, იმ გადაცემებს უყურებდა ტელევიზორში, რის უფლებასაც მამა აძლევდა, დგებოდა, როცა აღვიძებდნენ, და შუქს მაშინ აქრობდა, როცა საჭირო იყო. აეკრძალა ყოველგვარი რელიგიური სწავლება, აგრეთვე „გარყვნილი“ სასიყვარულო რომანები, ფარნის შუქზე უწევდა მათი კითხვა საბნის ქვეშ. ეს მისი სასჯელი იყო, რასაც უსიტყვოდ ემორჩილებოდა, თავსაც უქნევდა ღიმილით, მაღლიერი იყო და ტაშს უკრავდა, რომ მის არსებობას ითმენდნენ.

ამასობაში მიქაელი - წინასწარი გაფრთხილების ან მინიშნების გარეშე - მილიციამ აიყვანა „უქნარობისა“ და „რელიგიური აგიტაციის“ ბრალდებით. ამით დასრულდა ელენეს პლენხანოვური ისტორია. იმასაც ამბობდნენ, რომ ბიჭები მის გამო დაზარალდნენ, მიქაელის მოულოდნელ დაპატიმრებას მამამისს აბრალებდნენ. დედა არ გაიმეტებდა თავის მეგობრებს, მამამისს არ მიუგდებდა შესაჭმელად. ყოველ მათგანს საკმაო მიზეზი ჰქონდა გისოსებს მიღმა თავის ამოსაყოფად, ესეც რომ არა, კოსტია თუ მოინდომებდა, მაინც რამეს გამოუჩინებდა.

კვირების განმავლობაში იბრძოდნენ ნანა და სტასია ელენეს მხარდასაჭერად, არწმუნებდნენ კოსტიას, რა პირობებშიც უნდა ჩასახულიყო ბავშვი და ვინც უნდა ყოფილიყო მამა, შვილს მუცელი არ მოაშლევინოო. მაგრამ, როგორც კი აბორტისთვის უკვე გვიანი იყო და ჩანასახს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ისევ კოსტიას მხარეს გადავიდნენ

და აგრძობინეს ელენეს, რომ მან მათაც გაუმტყუნა იმედი და ფეხქვეშ გათელა მათი მოლოდინი. მძიმე დრო იყო, მაგრამ ელენემ გადაწყვიტა, უსიტყვოდ აეტანა წამებულის როლი. ჩემთვის სიცოცხლე რომ მოეცა, ღმერთი ბედნიერებაზე მაღლა დააყენა და ზეციური სამყარო მინიერ ცხოვრებაზე უფრო საიმედოდ აღიარა. მამასთან ყოველდღიურმა ჩხუბმა, შინ გამეფებულმა სიცივემ, მუდმივმა უსუსურობის გრძობამ და, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მარცხის შეგნებამ ელენე ნაღვლიან, დაღვრემილ, ხშირად დაუდევრად ჩაცმულ და, რაც მთავარია, მარტოსულ ქალად აქცია (არ დაგავინყდეს, რომ ძალიან ახალგაზრდა იყო იმ დროს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მხოლოდ ოცი წლის იყო, როცა გამაჩინა).

რაც უფრო აშკარად სუსტდებოდა კოსტია ოჯახურ ბრძოლებში, მით უფრო ძლევამოსილი ჩანდა სამსახურში. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სოფლის იდილიით გაბრუებულმა, სადაც მყუდროდ მოიკალათა, და კარგი, ძვირფასი ღვინით, უკიდევანო ბიუროკრატიული შესაძლებლობებით, ზღვარგადასული ნომენკლატურული თვითნებობით და იმ წლების პოლიტიკური სტაგნაციით ზურგგამაგრებულმა, ვერც კი შეამჩნია, როგორ შეწყვიტა ისეთ რამეებზე დაფიქრება, რაზეც რუსეთში აღშფოთდებოდა და მკაცრ დასკვნებს გამოიტანდა.

ყველა იპარავდა, ყველა ქურდობდა.

ყასაბი ხორცის საუკეთესო ნაჭრებს იპარავდა და მერე სამმაგ ფასად ყიდდა დახლსქვემოდან. კოლმეურნე მოსავლის ნაწილს მაღავდა და სხვა გზებით ასაღებდა. ექთანს ბინტი და გადასახვევი მასალა მიჰქონდა. ღვინის ქარხნის დირექტორი ქრთამს აძლევდა მოადგილეს, რომ ყუთებით გაეტანა ღვინო საკუთარი ქარხნიდან, რასაც ისევ ზემდგომების მოსაქრთამად იყენებდა. ხანგრძლივი, მანამდე ფარული ქურდობა უკვე ყოველდღიურობად იქცა და რაკი ამას ყველა ჩადიოდა, არც არავინ ისჯებოდა.

მილიცია ათავისუფლებდა მაღაზიის ქურდებს და საგზაო წესების დამრღვევებს, უმნიშვნელო დანაშაულების ამბავს ერთმანეთში აგვარებდნენ. პროკურორებისგან გათავისუფლების განაჩენის ყიდვა შეეძლოთ მოძალადეებსა და მკვლელებს. მასწავლებლები და ლექტორები კარგ ნიშნებს წერდნენ კრემიანი ტორტის, ფრანგული სუნამოს ან განსაკუთრებული ნუგბარის სანაცვლოდ. მშენებელი სამშენებლო მასალას ანიავებდა. ექიმი ორმაგად ირჭებოდა, თუ მანამდე ცოტა ფულს ჩაუკუჭავდი თეთრი ხალათის ჯიბეში. ხელოვანები ერთმანეთისგან იპარავდნენ. პოლიტიკოსებს კი აღარც სჭირდებოდათ ქურდობა, რადგან საბოლოოდ ყველა ნაქურდალის დიდი წილი მათი იყო.

იპარავდნენ თაბაშირს, რუბინის მარკის ფერად ტელევიზორებს, ბურღას თარგებს, ანალგინს, წითელყვავილებიან ჩინურ თერმოსებს,

მატყლს, „სგუშჩონკას“, სათვალის მინებს, სამკაპიკიან სასკოლო რვეულებს, ტალკს, კრემისფერ პოლიესტერის წინდებს, ბენჯეულს, სათოვლე ტანსაცმელს (იმ რეგიონებშიც კი, სადაც არ თოვდა), კამერის ობიექტივებს, მწვანე პლასტიკის ჯამებს, ერთჯერად ჭიქებს, ფირფიტებს (სულერთი იყო, რა მუსიკა იყო მათზე ჩანერილი), სიგარეტ „კოსმოსს“, „ასტრას“ ან ოდეკოლონ „ჰიგიენას“.

და ბაბუაჩემმაც მიიღო მონაწილეობა საყოველთაო შეგნებიდან უკანონობის ცნების ამოგდებაში. სამაგიეროდ კი ნაირ-ნაირ კურორტებზე და მივლინებებში ატარებდა დროს, ცხადია, ყველგან ქალბატონების თანხლებით, არ მოჰკლებია ბანკეტები, კარგი საფერავი და ქვეშევრდომთა კეთილგანწყობა.

* * *

That long black cloud is comin' down
I feel like I'm knockin' on heaven's door.[4]
დიღანი

მე თავსხმა წვიმაში, ზუსტად რვასაათიანი ტკივილების მერე, 1973 წლის ნოემბრის მერვე დღეს, სოფლის საავადმყოფოში დავიბადე. ტკივილები დედაჩემს მამამისთან ჩხუბის დროს დასწყებია. ჩემმა დამ კი, ხომ მოგიყევი, სწორედ იმ დღეს მიიღო ტვინის შერყევა, პონიდან ჩამოვარდა.

ჩემი დაბადებისა და ჩემი დის ცხენიდან ჩამოვარდნის გარდა, იმ დღეს სხვა არაფერი მომხდარა საგულისხმო. ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ყველაფერი ნორმალურად იყო. რადგან პრინციპში ყველანი ბედნიერები ვიყავით, თუმცა ეს ბედნიერება ტუბერკულოზიან, სასიკვდილოდ განწირულთა სანატორიუმს ჰგავდა, სადაც თავდავინყებით თამაშობდნენ ნარდს, სვამდნენ იაფფასიან შამპანურს, საუბრობდნენ ხელოვნებაზე და ამაოდ ცდილობდნენ ჭირვარამის დავინყებას.

“მართლა ბოზი ხომ არ ხარ?” – უყვირია იმ ჩხუბის დროს ბაბუაჩემს, ატირებულ დედაჩემს კი ყვირილითვე უპასუხია: „თუ ასე გინდა, ბოზის შვილიც ვიქნები. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება... როგორც კი ბავშვი გაჩნდება, მაშინვე წავალ აქედან, ხიდის ქვეშ დავიძინებ, ოღონდ ამ ჯოჯოხეთს დავაღწიო თავი“. – „საქმე მონახე, წესიერად იცხოვრე და აღარ მოგინვეს არც ამ ჯოჯოხეთის ატანა და არც ხიდის ქვეშ ძილი“ – უთქვამს ბაბუაჩემს მკვახედ.

ჩხუბში ჩართულნი ყოფილან: ჩემი დესპოტი ბაბუა, ჩემი ინფანტილური ბებია და დედაჩემი, რომელიც თანდათან კარგავდა კონტროლს საკუთარ ცხოვრებაზე. სტასია სადღაც აივანზე იდგა და თავის პაპიროსს ეწეოდა. ასეთ აყალმაყალს უკვე მიჩვეული იყო, მაგრამ იმ

დღეს მოთმინების ფიალა აევსო რატომღაც. ოთახში შეიჭრა და შვილს დაუცაცხანა:

- შენ რა, სულ დაკარგე ჭკუა? სადისტი ხარ თუ რა? მეცხრე თვეშია ადამიანი, იქნებ აცალო მშობიარობა?

ნამით უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა.

- შენ ნუ ერევი, სტასია! - იყო ერთადერთი, რაც კოსტიამ წარმოთქვა.

- ესე იგი, მე არ უნდა ჩავერიო, არა? შე არანორმალურო!

ყოველთვის გვიკვირდა, ამ სიფრიფანა, უსქესო და უსასაკო არსებას როგორ შეეძლო ასე ერთ ნამში გაათრება. ნანას გულში ჩაეცინა, მაგრამ არ შეიმჩნია, ისევ ისეთი შემფოთებული, შენუხებული გამომეტყველება ჰქონდა.

- ფუ, შენი! - წამოიძახა კოსტიამ, რაც, ალბათ, თანაბრად ეხებოდა დედამისის სიტყვებსაც და მთელ სიტუაციასაც, და ოთახიდან გავიდა.

ამის მერე თავის ოქროს გოგოს ჩაჰკიდა ხელი და საჯინბოებისკენ დაეშვა, სადაც პატარა დაღესტნური ცხენების თვალიერებით დატკბა დარიასთან ერთად. ერთ-ერთზე შემოსვა კიდევ ბოლოს, მაგრამ შემოხვია წელზე ხელი, მაგრამ პონი უცებ შეხტა და ბავშვი გადმოაგდო, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ ბაბუაჩემმა დარიას დაჭერა ვერ მოასწრო.

იმ დროს, როცა კოსტია გმინვით მივარდა ბავშვს და დაიმუქრა - „მთელ ამ დაწესებულებას დაგხურავო“, დედაჩემი აკვნესებულა და თავისი მძიმეწონიანი დედის თანხლებით სოფლის საავადმყოფოში გაუქანებიათ, ჩემი და, დარიაც - უფრო დაროს, დარის ან დარიკოს რომ ეძახდნენ - ასევე სასწრაფოდ წაუყვანიათ საავადმყოფოში, ოღონდ თბილისის საუკეთესო საავადმყოფოში და არა სოფლის იმპროვიზებულ კლინიკაში. თბილისში დარიას მსუბუქი ტვინის შერყევა დაუდგინეს, მე კი, რამდენიმე საათით გვიან და ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ამქვეყნად მოსვლა მახარეს.

“ეს ბავშვი ელენეს უსირცხვილობის, გარყვნილების ნაყოფია და მისი ღირსებისთვის ბრძოლაში ჩემი საბოლოო მარცხის ნიშანი, ასე რომ, არაფერი მაქვს სასიხარულო და საზეიმო. რა მაგის ბრალია, მაგრამ ამ გოგოშია განსხეულებული ყველა უბედურება, რომლებიც დედამისმა დაგვატეხა თავს“, - ასეთი იყო კოსტიას ერთადერთი რეაქცია სასიხარულო ცნობაზე, რომ მეორედ გახდა ბაბუა.

როცა, როგორც იქნა, შინ მიმიყვანეს, მწვანე სახლში, რომელიც სულ არ შემგებებია ხელგამლილი, ჩემი დიდი ბებია კომატოზური მდგომარეობიდან გამოფხიზლებულა და შვილთაშვილი რომ დაუნახავს, უთქვამს: „ეს ბავშვი სხვანაირია. განსაკუთრებული. კარგი თავშესაფარი სჭირდება და დიდი სივრცე“. ყველამ შუბლზე იტკიცა ხელი და ამოიგმინა. ბებერი გიჟი გამოცოცხლდა და არავინ უწყოდა, კეთილის მომასწავებელი იყო ეს თუ ავის.

იმავე დღეს სტასიამ ოჯახის წევრებს გაანდო, ბოლოს და ბოლოს, თავისი ფარდულის დანიშნულება: სარეპეტიციოდ აპირებდა მის გამოყენებას. ისევ ბალეტს უნდა დავუბრუნდეთ. ყველა შეცბა, ცოტა უხერხულად გააქნიეს თავები და, ალბათ, გაიფიქრეს: ესლა გვაკლდაო!

მე კი გავიფიქრე, what a wonderful world-მეთქი და გადიმებულმა დავიძინე. იქნებ დავინახე კიდეც ყველანი, ჩემი აკვნისკენ გადმოხრილები: ბეჭდებასხმულმა იდამ მარაო მომითათუნა ლოყაზე, თევკამ დამტკნარი ყვავილებისა და პუდრის მკვეთრი სურნელი დააყენა, შოკოლადის სუნით გაჟღენთილმა ჩემმა დიდმა ბაბუამ კი ჩაფიქრებულმა გააქნია თავი, ამ გოგოსაც ჯაშის გვარი უნდა მივცეთო. მერე ჩემი და მოვიდა, დარია, რომელმაც იოლად და უმტკივნეულოდ გადაიტანა ტვინის შერყევა და ისე მიკბინა მკლავზე, რომ ჩემმა ბლავილმა ცხენებიც კი დააფრთხო საჯინიბოში, რაზეც დედაჩემი შემოვარდა, დარია ამაგლიჯა და სასონარკვეთილმა უყვირა: „აბა, რას აკეთებ? ეს ხომ შენი დაა, შენი პატარა დაიკო! უნდა გიყვარდეს!“

ერთხელ მაისში, გამთენიისას, ტელეფონმა დარეკა. კოსტია ჯერ კიდეც ბათუმში იყო მორიგ მივლინებაში. ელენე ისევ უძილოდ დაბორიანდებდა ნახევრად აშენებულ სხვენში. ნანას ღრმად ეძინა და ფშვინავდა. ასე რომ, სტასიამ ძლივს ასწია თავი, ფლოსტები მოძებნა და ტელეფონთან მიბარბაცდა.

- რა ჯანდაბაა? - ამოიხვნეშა ყურმილში.
- სტასია?
- ქრისტინე?
- კარგად ხარ?
- ვარ რა, შენკენ რა ხდება?
- შენი დახმარება მჭირდება.
- რა მოხდა?
- უნდა მიშველო.
- აღარ იტყვი?!
- მიქა. მიქა.
- ახლა რაღა დაემართა?
- აიყვანეს გუშინ.
- აიყვანეს?
- ჰო, მილიცია მოვიდა.
- ეგ არაკაცები. რა ჩაიდინა?
- ფილმი გადაიღო.
- ფილმი. ამისთანა რა გადაიღო?
- რა და... სოფიოზე.
- რაა?!

კარგა ხნით სიჩუმე ჩამონვა, გულის გასახეთქი სიჩუმე.

- ჰო, სადიპლომო ფილმი იყო. უკვე წელიწადზე მეტია მუშაობს. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო...

- ძალიან ცუდად არის საქმე?

- მე მგონი, კი.

- რა გავაკეთო?

- დაელაპარაკე. კოსტიას. საკუთარი თავი მეზიზღება, ამის თხოვნა რომ მიწევს, მაგრამ ეს ერთადერთია, რისი გაკეთებაც შემიძლია მიქასთვის.

სტასიას გორგალი გაეჩხირა ყელში, რაღაც ბუსუსებიანი, გულის ამრევი, სიტყვები პირშივე დაულპა, სანამ მათი წარმოთქმა მოასწრო. იმდენი რამის თქმა უნდოდა თავისი პატარა დისთვის, მაგრამ სადღა იყო სიტყვები ან, თუნდაც, ცრემლები, ეს შეჩვენებული ცრემლები რატომ ღალატობდნენ გამუდმებით?

- სტასია? მისმენ?

- რა კარგია, შენი ხმა რომ გავიგონე, ქრისტინე.

- უნდა მიშველო.

- დაველაპარაკები, როცა დაბრუნდება.

სტასია გრილ, ნოტიო გარიჟრაჟს შეეგება, ყველაფერს იისფერსა და ჭაობისფერს. არაფერი იყო მარადიული, არაფერი იყო ექოზე მძლავრი, ყველაფერი თითებს შორის დასხლტა, ყველაფერი დაიშრიტა. ყოველ ღამე ბალიშის ქვეშ მაღავდა თავის ოცნებებს, სასწაულს ელოდა, მაგრამ არ ეღირსა სასწაული.

უმაქნისი ცრემლების დრო დადგა. უმამო გოგოებისა და უდედო ბიჭების დრო, პარტიული სამკერდე ნიშნების დრო, თავგზააბნეული გოგოების და გისოსებს მიღმა გამომწყვდეული ბიჭების, გადამწვარი მინის დრო, ბაიადერები და პეტრუშკებიც არსებობდა ისევ, მაგრამ იქ უკვე კარგა ხანია მისთვის როლები აღარ მოიპოვებოდა.

სტასიამ საკუთარი ნეიტრალიტეტის სიმძიმეს ვერ გაუძლო. თურმე რა ძალა იყო საჭირო, რომ შორს დაგეჭირა თავი სამყაროსგან.

იდგა სტასია თავის გაცვეთილ ღამის პერანგში ჩაცმული, შიშველ ფეხზე ტალახიანი ბოტები წამოიცივა და უყურებდა, როგორ ათენდებოდა ქვეყანას თავზე. ულამაზესი დილა იყო, თვალისმომჭრელად ღამაბი. მაგრამ ადამიანებს, რომლებიც მშვენიერებით უნდა დამტკბარიყვნენ, ჭრილობებმა ამ სანახაობის აღქმის უნარი დააკარგვინეს, დამკვირვებლებად აქციეს სამუდამოდ.

ნეიტრალიტეტი ილუზია იყო.

სტასიას ახალი დღე დაატყდა თავს.

* * *

ისტორია ყველაფერს გაასამართლებს მსოფლიოში.

ჩეხოვი

ფილმს „ერთი დაუდევარი ოცნების ამბავი“ ერქვა. ცოტა პრეტენზიული სათაურია, მაგრამ ახალგაზრდა ხელოვანს, ალბათ, ეპატიება. თვეების განმავლობაში ამ ფილმით იყო შეპყრობილი. გატაცებით აღადგინა თავისი დიდების მთელი ცხოვრება. სადაც ფული არ ეყო, განათება და ფანტაზია მოიძველია, მსახიობების სახეებზე გადაიტანა ყურადღება, სიურრეალისტური კინოს ხერხებს მიმართა.

ლანა დაეხმარა თავისი დამტკბარი, მაცდუნებელი ხმით, ყოვლისმცოდნის ბნელი მზერით, დაჩაგრულის შეკრული მუშტებით და რამდენიმე სტუდენტი - რაც მთავარია, ერთი ახალგაზრდა პერსპექტიული მსახიობი გოგო დაითანხმა.

მიქამ მოახერხა ამ ფილმის საჭიროებასა და დანიშნულებაში დაერწმუნებინა ყველა. გადარეულივით სულ თავის ფილმზე ლაპარაკობდა: ყოველი კადრი, ყოველი პოზიცია მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ათას მითითებას აძლევდა ოპერატორს, ყველა მიზანსცენის ზუსტ ჩანახატს აკეთებდა ლანასთან ერთად. გაუთავებლად იმეორებდა, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ ჰქონდათ, ყველა სავარაუდო რისკი წინასწარ უნდა აფრიდებინათ.

ქრისტიანემ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ამის წინააღმდეგ გაილაშქრა. თავისივე არჩეულ კასანდრას როლს ჩაებღაუჭა, რომელიც სულ წინასწარმეტყველებდა საშინელ მომავალს, თუმცა არავის სჯეროდა მისი და დაულალავად აფრთხილებდა, სამიშია ამ ფილმის გადაღებაო. როგორც კი მიქას დაიმართხელებდა, მაშინვე ცდილობდა დაერწმუნებინა, უარი ეთქვა თავის განზრახვაზე, იმდენი ქნა, რომ მიქა უკვე თავს არიდებდა, სულ უფრო გვიან ბრუნდებოდა შინ, ბოლოს კი ყველაფერს უმაღავდა. მათი ერთობლივი სამყარო, რაც ქრისტიანეს ასე ძვირად დაუჯდა, დაინგრა. თვითონ სურნელადღა გრძნობდა თავს მიქას სამყაროში, უკვე წასული ადამიანი რომ ტოვებს ნივთებსა და ტანსაცმელზე და დღითი დღე სულ უფრო სუსტდება და შეუმჩნეველი ხდება, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ გაქრება.

მონტაჟი უკვე დაწყებული ჰქონდათ, როცა ლანამ დაადგინა, რომ ორსულად იყო.

იცოდა, როგორი წმიდათანმიდა იყო მიქასთვის ის ფილმი, როგორ მოუშლიდა ნერვებს ნებისმიერი შეფერხება, სხვა რამეზე ყურადღების გადატანა. ისეთი დაძაბული იყო ბოლო თვეები, ისეთი გაღიზიანებული, ავადმყოფური ეჭვიანობაც კი დასჩემდა თავისი გუნდის მიმართ, ყველგან შპიონები და ინფორმატორები ელანდებოდა, რომელთაც შეეძლოთ გაეცათ. ყველას დაშორდა. არავის აღარაფერს ატყობინებდა პროექტის მიმდინარეობის შესახებ. წყობიდან გამოდიოდა, ეჭვები ღრღნიდა, შიში იპყრობდა.

ლანა უნდა დახმარებოდა, მასთან ერთად უნდა გაეცლო ეს გზა ბოლომდე. თავი უნდა შეეკავებინა და ამაღელვებელი ამბავი არ გაემხილა, მთელი ყურადღება მიქაზე უნდა გადაეტანა. ლანა იყო მისი მარცხენა ხელიც და მარჯვენაც, ამ ხელებს აკანკალების უფლება არ ჰქონდათ, როცა მიქა ასეთი დამფრთხალი იყო, ასე მერყეობდა.

ლანა ამაყი იყო, რომ ასე კარგად გაართვა თავი ყველაფერს, დამაჯერებლად და მიზანდასახულად ახერხებდა გადაღებების კოორდინირებას და ორგანიზებას თვეობით. თუმცა ყოველთვის ეშინოდა იმ მომენტის, როცა გადაღება დასრულდებოდა, როცა ფილმი გამოვიდოდა, როცა თვითონ საჭირო აღარ იქნებოდა მიქასთვის აზრების დასალაგებლად, ეჭვების გასაფანტად. მაგრამ ახლა აღარაფერი იყო საშში: მიქა მასთან დარჩებოდა, ახლა უკვე მის შვილს ატარებდა გულის ქვეშ და ეს ბევრად უფრო ძლიერი იყო, უფრო გარდაუვალი, ვიდრე სხვა ყველაფერი, რაც მანამდე აკავშირებდათ.

ასე რომ, ლანამ გადაწყვიტა, ფილმის დასრულებამდე არაფერი ეთქვა.

მაგრამ მერე ყველაფერი აირია. ერთ გაუფრთხილებლობას მეორე მოჰყვა. ბიძამისს, რომელმაც სამონტაჟო დაუთმო რამდენიმე ღამით, ისეთი ამბავი დააწიეს, რომ იმან სთხოვა ლანას და მიქას, სხვა სამონტაჟო იპოვეთ, თორემ სამსახურიდან გამაგდებენო. ისევ კინოსკოლის იმედად დარჩნენ. მთელ გამამღებ ჯგუფს აკრძალული ჰქონდა პროექტის შესახებ ამბების გატანა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტის კედლებში შეუძლებელი იყო რამის დამალვა. ძალიან ბევრი სტუდენტი მიდი-მოდიოდა იქ და ძალიან სწრაფად ვრცელდებოდა ხმები, მათ შორის ისიც, რომ მიქა ერისთავი პატარა კინემატოგრაფიულ ამბოხებას ამზადებდა სამონტაჟოში. ხმები ყველა სართულს მოედო და ბოლოს რექტორატის ყურამდეც მიაღწია. პროვოკაციაო? და კომისიამ გამოძიება დაიწყო, დაიბარეს მონაწილეები, დაკითხეს, დაემუქრნენ, ინფორმაცია მოსთხოვეს.

ლანას სწრაფად უნდა ემოქმედა. მთელი თავისი უნარი გამოიყენა, გაუთავებლად ჩასჩიჩინებდა ჯგუფის წევრებს, უხსნიდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ენაზე კბილის დაჭერა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საბოლოო მონტაჟის დასრულებამდე გაჩუმება, რომ არაფერს არ გაეჟონა, არაფერს. ლამაზ ფერებში უხატავდა ფილმის დიდებულ მომავალს: როგორ მიიწვევდნენ უცხოეთში ფესტივალებზე, როგორ დააჯილდოებდნენ, ღირსებით სავსე სიტყვა მემამბოხეებიც კი ჩაუგდო.

ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია სხვა ქალი ლანას გარდა, რომელიც ამდენ ენერგიას ხარჯავდა იდეოლოგიაზე, აყვავებასა და ნგრევაზე. ეს იყო წმინდა წყლის წინააღმდეგობის იდეოლოგია. მუდამ რალაცის წინააღმდეგ. ვილაცის წინააღმდეგ. დაულალავად. დაუსრულებლად. შეურიგებლად. მგონი, ეს ფანატიზმი იყო სწორედ მისი პიროვნების

საყრდენი. ორსულობამაც ვერ შეაჩერა, ამ ინტრიგების, სიცრუის და მანიპულაციების ბღვაში გადაეშვა, მხოლოდ იმისთვის, რომ მიქას წმინდა გრაალი გადაეჩინა.

მაგრამ ყველა კი არ იყო მზად, ამხელა რისკზე წასულიყო. ყველას არ ეხატებოდა გულზე მეამბოხის როლი და ყველასთვის არ იყო ეს ფილმი ისეთი წმინდა, რომ ამის გამო ინსტიტუტიდან გაგდება, ან უფრო მეტიც: მუქარა, სასჯელი და პროფესიის დაკარგვა აეტანათ.

ოპერატორის ასისტენტს სუსტი ნებისყოფა აღმოაჩნდა და როცა მეორედ გამოიძახეს თავისი პირველი ჩვენების დასადასტურებლად (რალაც უწყინარ კადრთან დაკავშირებით), ნერვებმა უმტყუნა და დარცხვენილმა აღიარა, დარწმუნებული არ ვარ, რომ ეს ფილმი ინსტიტუტს შეეფერება, როგორც ამას მთელი ჯგუფი ირწმუნებოდა. მეორე დღესვე დაიბარეს მთელი ჯგუფი და ამომწურავი დაკითხვა მოუწვევს.

რექტორატმა მოსთხოვა მიქას, გადაღებული მასალა სასწრაფოდ გადაეცა საგამოცდო კომისიისთვის.

ატყდა პანიკა: მსახიობმა გოგოებმა ტირილი დაიწყეს, მსახიობმა ბიჭებმა გინება, ოპერატორმა სისტემის ლანძღვა, ხმის ოპერატორმა თავი მოიფხანა, გამნათებელმა, იმედს ნუ დაგვარგავთო – მაგრამ ყველა ერთ ამრზე იყო: მიქას კომისიისთვის უნდა გადაეცა გადაღებული მასალა. ისეთი რა უნდა მომხდარიყო? უარეს შემთხვევაში, ფილმს აკრძალავდნენ და მასალას გაანადგურებდნენ, მათ კი სხვა, კონფორმისტული სადიპლომო ფილმის გადაღება მოუწევდათ, ცოტა სინანულს თუ გამოხატავდნენ, ყველანი გადარჩებოდნენ. მეგობრებს მომავალს ხომ არ გაუფუჭებო?

როცა მიქას ხმამ უმტყუნა, ისევ ლანა ჩაერთო და ყველა გამოლანძღა, სულ ლაჩრები და მხდალი ფუნქციონერები ეძახა, იდეისთვის ბრძოლის უნარი არ გაქვთო, რისკზე არ გინდათ წასვლა, არადა, ხელოვნებაში რისკი გარდაუვალიაო. ლამის აბუჩად აიგდო, სად თქვენ და სად ხელოვნებაო. და სანამ ვინმე რამეს უპასუხებდა ან შეეწინააღმდეგებოდა, მიქა სკოლის მოსწავლესავით გაათრია ოპერატორის ბინიდან, სადაც იმისთვის შეიკრიბნენ, რომ კრიზისიდან გამოსავალი მოეძებნათ.

მიქა აღშფოთებული იყო და როცა სადარბაზოდან ქუჩაში გავიდნენ, ხმამაღლა უსაყვედურა ლანას, სხვისი დასაცინი გავხდი, თითქოს თვითონ არ შემეძლო არაფრის თქმაო.

– მაპატიე, მაგრამ შენ ხმას არ იღებდი, ცოტაც და დაგარწმუნებდნენ, რომ ხვალ მასალა ჩაგებარებინა და ბოდიშიც მოგეხადა. ასე არ არის, მიქა? მე ხომ გიცნობ. წინასწარ ვიცი, რას გაიფიქრებ და რა დაგაეჭვებს.

– ვერ ვიტან, როცა მკარნახობენ!

– რას ამბობ, მართლა? – ლანამ უბრალოდ დატოვა გაჩერებული მიქა და გზა განაგრძო.

- ლანა, შენ გელაპარაკები!

- არც არაფერია სალაპარაკო. შენ ხელოვანი ხარ - ისინი კი - არა.

- არ მესმის, რას ამბობ?

გაეკიდა მიქა.

- შენ ყველაფერი ამ ფილმში ჩადე. ჩვენ ჩავდეთ ყველაფერი და არ დავუშვებ, რომ იმ ლაჩრებმა ყველაფერი წყალში ჩაგვიყარონ. მშვენივრად იცოდი, რომ ტაშს არავინ დაგიკრავდა, ხომ გითხარი, რომ დაბრკოლებები შეგვექმნებოდა.

- დაბრკოლებები? ამას დაბრკოლება არ ჰქვია. ყველას დაგვსჯიან, აგვიკრძალავენ პროფესიულ საქმიანობას, მე კი...

- რა განსხვავებაა, იმ ფილმებს არ გადაგაღებინებენ, რისი გადაღებაც გინდა, თუ საერთოდ არ გადაგაღებინებენ ფილმს, შეგიძლია, ამიხსნა?

- ასე ვერ გავწირავ ამათ. ეს ადამიანები მენდნენ და ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. ახლა ჩემი ჯერია, მე უნდა დავიცვა ისინი.

- მართლა? ჩემსა და შენს შვილზე რაღას იტყვი?

- შვილზე?

- დიახ, არ ვაპირებდი ახლა თქმას, მინდოდა მონტაჟი მშვიდად...

- ორსულად ხარ?

- ჰო, მიქა, ორსულად ვარ. შვილი გვეყოლება. ჩემი გამოთვლით...

- და მართო იმიტომ არ მითხარი, რომ მშვიდად დამემთავრებინა ფილმი? სწორად გაგიგე? მოიცა, გაჩერდი, ბოლოს და ბოლოს, სად გარბიხარ.

- არც გაჩერება მინდა და არც არაფერი. შენთან ერთად გავივლი ხვალ, რაც გველის. შინ წავალ. დავიღალე. ყელში ამომივიდა გამუდმებით იმ ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, თავისი შანსის გამოყენება რომ არ შეუძლიათ. ყველაფერი რომ აქვთ და არ აფასებენ. ცოდო ვარ, სულ ამ იდიოტებთან რომ ვიხარტები. ცოტა პროფესიონალიზმს ვითხოვ, მეტს ხომ არაფერს?

- ეი, ლანა, ლანა... მოიცადე! რა გეტაკა? მოდი აქ, შეგხედო მაინც.

- ავტობუსი მოვა ახლა, წამო, მიქა, რა.

მიქა დაენია და იდაყვი წაავლო ხელი, მაგრამ ლანა დაუსხლტა და გზა განაგრძო.

- ლანა, ასე როგორ შეიძლება, სხვათა შორის რომ მეუბნები, ორსულად ვარო და გარბიხარ, რა გჭირს?

უცებ ლანა მოუტრიალდა, ზიზღის, სიძულვილისა და ტკივილისგან სახემონგრეული და შეუტია:

- არ მჭირდება იდიოტი ქმარი! და ჩემი შვილიც ნამდვილად არ იმსახურებს ლაჩარ მამას! იმისთვის კი არ დავაყენე ყირაზე ჩემი ცხოვრება, საკუთარ ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე იმისთვის კი არ ვთქვი უარი, იმისთვის კი არ გადავეშვი თავით ამ სიგიჟეში და ამ უნიჭო

და უტვინო ადამიანების გვერდით ყოფნა იმისთვის კი არ ავიტანე, რომ ახლა ასე უბრალოდ დანებდე! გესმის ჩემი, მიქა?

ლანა დუღდა ბრაზისგან. მიქა პირველად ხედავდა ასეთ მდგომარეობაში. ყოველთვის თავშეკავების და თვითღიჯობის მაგალითი იყო, მასზე უკეთ ვერავინ აკონტროლებდა საკუთარ თავს, წინდახედული იყო, მიზანდასახული, მოთმინების უნარი ჰქონდა, ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. მიქა ვერ მიხვდა, საიდან გაჩნდა ეს საშინელი აგრესია, როგორ დაუბნელა სიბრაზემ თვალები, გამჭრიახობა დაუქვეითა, სიტუაციის საღად აღქმის უნარი წაართვა.

- ეახლები ხვალ იმათ, მეგობრულად გაუღიმიე, ვითომც არაფერი, ვითომ ვერც ხვდები, რატომ ატყდა ასეთი ისტერიკა შენი პატარა სადიპლომო ფილმის გამო, ბოლოს მხრებს აიჩეჩავ და დაარწმუნებ ყველას, რომ გადაღებული მასალა სადღაც გაქრა. რა უნდა ამის გაკეთებას. ფირი ჯერჯერობით ბიძაჩემს მივეცი, ერთი-ორი კვირა შეინახავს, სანამ ყველაფერი ჩაწყნარდება, მერე ვიპოვით გამოსავალს. ასე უნდა მოიქცე, მიქა, ასე უნდა მოვიქცეთ.

თავს მოერია. ბოლო სიტყვები კმაყოფილი ღიმილითაც კი წარმოთქვა.

- კარგი ერთი, ხომ არ დაგიჭერენ იმ ფილმის გამო, რომელიც არავის უნახავს. ნუ მიყურებ ასე, მიქა. ამდენი შევძელით და ბოლომდეც მივიყვანთ როგორმე. დანარჩენებსაც აღარაფერი დაემუქრებათ. მთელი პასუხისმგებლობა ჩვენზე იქნება.

- ჩვენზე არა, ლანა. ჩემზე.

- ძალიან ცდები, ასე თუ ფიქრობ.

უცებ ისეთი უსუსური გახდა, თავი ჩაქინდრა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, თითქოს მთელი გამბედაობა და ძალა გამოეცალა, თითქოს შველას ითხოვდა.

- სულ არ გიხარია? - წაილულულა ძლივს გასაგონად.

- რას გულისხმობ?

ჯიბეში ჩაწყობილი ხელებით მუცელი გამობერა.

- რას ელი ჩემგან?

- არაფერს. არაფერს არ ველი. უბრალოდ, შენი თანხმობა მინდა.

- რაზე? შენზე? თუ ბავშვზე? თუ შენს გეგმაზე?

ამაზე ლანამ ახედა. თითქოს ერთი ხელის მოსმით ჩამოშორდა უსუსურობა სხეულიდან, გამომეტყველება ისევ მკაცრი გაუხდა. მიქას შერცხვა, ერჩივნა, უკეთესი პასუხი გაეცა, მაგრამ ჯერ კიდევ დათრგუნვილი იყო მისი კილოთი, მისი მოთხოვნებით, მისი კატეგორიულობით, მისი ლანძღვა-გინებით, გადამღებ ჯგუფს რომ შეუტია. ლანა კი ისევ ის ლანა იყო, შეუდრეკელი ციხესიმაგრესავით, მიწაზე მყარად მდგომი, ყოველგვარ იღუმალეებას მოკლებული. მიქას

მწარე სიტყვებით გამონვეული წყენა ჩაყლაპა და ავტობუსის გაჩერებისკენ გაემართა.

- ალბათ, უნდა დავქორწინდე, არა? - ჰკითხა მიქამ ავტობუსში, მისი ხელი ხელში მოიქცია და ჩაფიქრებულმა მტვრიან შუშას მიაყრდნო შუბლი.

- ერთადერთი, რაც შენ უნდა გააკეთო, ეს ფილმის გადარჩენაა! მე ამბზე უარესიც გადამიტანია, ვიდრე ორსულ მდგომარეობაში კაცისგან მითოვება, - უპასუხა ლანამ სარკასტულად და ხელი განია.

ოფიციალური ბანკეტიდან გამთენიისას დაბრუნდა, დაქანცული, მაგრამ კმაყოფილი. ღვინის სუნი უდიოდა და ქალების უხილავი კვალი აჩნდა, ქეიფში თავს რომ ევლებოდნენ. აივანზე მჯდომ სტასიას ჩაუარა და ვერც შეამჩნევდა, იმას რომ არ დაეძახა.

დაბნეული გაჩერდა.

- რას ზიხარ აქ ამ დილაადრიან?

- მოდი, მომიჯეჟი, შენც გაგიკეთებ ყავას.

- ვვვდები, ისეთი დაღლილი ვარ. იქნებ გადავდოთ?

- არა.

კოსტია კვენსით დანებდა, საქანაო სავარძელში ჩაჯდა, რომლის მზესუმზირისყვავილებიანი გადასაკრავის მოსასპობად მე და ჩემს დას წლები დაგვჭირდა. სტასიამ შეპირებული ყავა მიართვა შვილს და გვერდით მიუჯდა.

- მიქამ ფილმი გადაიღო. სადიპლომო ფილმი. თავის ბებიებზე. ახლა კი დაკითხვებს უწყობენ. გაარკვიე, რა ხდება.

ეს არ იყო თხოვნა. კოსტიამ ყავა მონრუპა და პასუხი დაუგვიანა.

- გავარკვიო? მე? - ისე ჩაეკითხა, თითქოს დაბუსტება უნდოდა, რომ სწორად გაუგო.

- დიახ. სწორედ ასე უნდა მოიქცე.

კოსტიამ ხმამაღლა გადაიხარხარა, თითქოს დედამისმა უშნოდ იხუმრა.

- თქვენ რა, გგონიათ, ყოვლისშემძლე ვარ? ყველა ჩემთან მორბის, ვინც ასი კილომეტრის რადიუსში რამეს ჩაიდენს!

- ის ყველა არ არის.

- სწორედაც. მართალი ხარ! მაგის კისერზეა ჩემი შვილის უბედურება. ბედნიერი უნდა იყოს, რომ სიცოცხლე შევუნარჩუნე! მგონი, საკმაოდ დიდსულოვანი ვიყავი.

მკვეთრად წამოდგა და შინ შესვლა დააპირა: - ჰო, მართლა: ქრისტინეს გადაეცი, რადგან, ვიცი, იმის თხოვნა იქნებოდა, რომ მან თავისი არჩევანი გააკეთა, ისევე როგორც მე - ჩემი.

- მოიცა, კოსტია...

კოსტიამ ხელი აუქნია და კარი გააღო. სააბაზანოში შევიდა, სარკის წინ დადგა. ნითლად შეღებილი კოხტა ტუჩების ანაბეჭდი დაინახა თავის ლოყაზე. გაპარსვას შეუდგა. თავის გაპრიალებულ სახეს შეხედა სარკეში. ფრთხილად ჩაიყარა მუჭში საპარსი ფხვნილი, წყალი გაურია, ლოყებზე აიქაფა, საპარსი დაუსვა. ოღნავი ჩხვლეტა და ბრონეულისფერი სითხე მარცხენა ლოყაზე ჩამოეწვეთა.

დარიას ტიტინი გაიგონა. ახალი გაღვიძებული იქნებოდა. ამის გაფიქრებამ ღიმილი დასტყუა, თეთრ ქაფსა და მუქ ნითელ სისხლში ჩამალული პირი გააღო.

საიდანღაც ძაღლის ყეფა მოესმა. მსუბუქმა ნიავმა დაუარა დერეფნებსა და ოთახებს... გაბაფხულის მათრობელა სუნი ტრიალებდა ჰაერში.

ვიდაცამ ტელევიზორი ჩართო. ვრემიას გადმოსცემდნენ. მსოფლიოში ახალი ამბები ვრცელდებოდა. ყველას თავისი ერგებოდა. შაბათი იყო. ნანა სამსახურში არ იყო წასასვლელი. მალე მისი პერანგების, დარიას კაბების, მისი უმამო შვილიშვილის კომბინეზონების და ელენეს შარვლების (სულ ეს საშინელი შარვლები, არც ერთი ლამაზი, ქალური კაბა!) დაუთოებას შეუდგებოდა. ელენეც მალე წამოიზღაბნებოდა ლოგინიდან, ჩვილი ბავშვით ხელში, და სახეზე აწებებული უკმაყოფილო გამომეტყველებით მიუჯდებოდა საუბმეს. მერე სულელივით დაიწყებდა ბორიალს მთელ ნაკვეთში, ნაღვლიანად მიაჩერდებოდა საჭინბოს, სადაც თავისი იოანე ნათლისმცემელი აღარ ეგულდებოდა. მოივლიდა იქაურობას, აფორიაქებული, თავგზააბნეული, თავისი ცხოვრების საუკეთესო წლებით ჯიბეგავსებული – გადაგებული წლებით.

პატარა ჭრილობა აენვა სახეზე. პეშვით წყალი შეისხა გასისხლიანებულ ლოყაზე.

სტასიას ნაბიჯების ხმა გაიგონა. სამზარეულოში მიდი-მოდიოდა. მურაბას ხარშავდა ამ დილაადრიანად? ატმის სუნი ეცა სამზარეულოდან. შემოვიდა უკვე ატამი? თუ ქლიავია? კოსტიამ ზუსტად იცოდა, რომ მთელი დღე მისი საყვედურით სავსე თვალების ატანა მოუწევდა. ხმას არ გასცემდა სტასია.

ჩვილი კი არ ჩუმდებოდა, ღნაოდა. კოსტია ჩემი სახელის ხსენებას ერიდებოდა. იდიოტური ეჩვენებოდა ჩემი სახელი, ისევე როგორც დარიასი თავის დროზე. ეს სახელი რამ მოაფიქრაო? შვილების სახელების არჩევაშიც ყველასგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო. თანაც ხაზგასმით. რატომ არ შეიძლებოდა ნორმალური სახელები დაერქმია თავისი შვილებისთვის? იმდენი ლამაზი სახელი შეიძლება გოგოს მოუფიქრო. მაგრამ არა, ელენემ ეს მის ჯიბრზე გააკეთა, თავისმა საკუთარმა შვილმა, რომელიც სრულიად უცხო გახდა მისთვის.

პირსახოცის წვერი მიიჭირა გაჭრილზე. ქსოვილმა სისხლი შეინოვა. პატარა ნაკანრი იყო, კიდევ ერთი პატარა ნაკანრი.

როდის დაკარგა ყოველმა მათგანმა ეს უნარი? ბედნიერების უნარი, – ევითხებოდა კოსტია საკუთარ თავს და გასისხლიანებულ პირსახოცს მისჩერებოდა.

ჩვილი კი, ანუ მე, ისევ ტიროდა. რატომ ვერავინ მიხედა? თავი სტკიოდა კოსტიას. ზედმეტი დალია ღამით. კარგად იქეიფა მოსკოვის MBD-ს თანამშრომლებთან ერთად.

არა, მეტი აღარ შეეძლო. არაფრის გამოსწორებას აღარ აპირებდა. ყველამ თვითონ აგოს საკუთარ ცხოვრებაზე პასუხიო. უცებ გიორგი ალანია გაახსენდა რატომდაც. ნეტავ რით იყო დაკავებული? თავისი ერთადერთი მეგობარი მამაკაცი, რომელთანაც შეეძლო ისეთი ყოფილიყო, როგორიც იყო. ძალდაუტანებელი მეგობრობა. ერთადერთი კავშირი მის ცხოვრებაში, რომელიც ლოგინით არ დასრულებულა. საბედნიეროდ. შესაშური კარიერა გაიკეთა ალანიამ. რა სიმამაცე გამოიჩინა. როგორი დახმარება გაუნია. იმსახურებდა კი ამას კოსტია? ისე დაიღალა. სიამოვნებით ჩაწვებოდა ცარიელ აბაზანაში და დაიძინებდა. მაგრამ ფიქრები არ ასვენებდა. ნამდვილად ელენეს ბრალი იყო. მისგან გადაედო ეს შფოთვა. ყოველთვის გრძნობდა მის განწყობას.

ის დამშეული სახეები, როცა ბინდიან იანვარში შეტევა დაიწყო. აღარ შეეძლო. აღარ უნდოდა ლენინგრადზე ფიქრი. ცოტაც უნდა გაეძლო და ყველაფერი მოგვარდებოდა, ყველაფერი. ოღნავ ნაბარბაცდა, აბაზანის კიდებზე ჩამოჯდა.

– ყველაფერი რიგზეა?

კარზე მიუკაკუნა ნანამ. თავისმა ცოლმა. ბოლოს როდის შეეხო? საერთოდ რატომ იყვნენ ერთად?

– იქნებ ერთხელ მაინც დამაცადოთ წყნარად გაპარსვა?

– არ ვიცოდი, მაჰატიე.

ეს მორჩილი კილო, ეს ფარული საყვედური ყოველ სიტყვაში. რატომ გადაწყვიტა კოსტიასთან დარჩენა? ეს უფრო მარტივი იყო მისთვის?

ელენემ სააბაზანოს ჩაუარა. კოსტიამ გაიგონა მისი სწრაფი ნაბიჯები, მუდამ სადღაც ეჩქარებოდა, სადღაც მირბოდა, თვითონაც არ იცოდა, სად. რა შესაძლებლობები, რა პერსპექტივები გადაყარა წყალში საკუთარი ხელით, სულ არაფრის გამო. ამდენი წელი ირჯებოდა მოსკოვში, ამდენი იომა ნანასთან. და რისთვის? მხოლოდ ამ დამცირებისთვის.

არა, სისუსტის უფლება არ ჰქონდა. რა ატირებდა? რა აზრი ჰქონდა ახლა ამ ყველაფერს? ნამდვილად დაღლილობის ბრალი იყო. ცალკე ეს სამსახური, ცალკე ამ ბოლო თვეების მძიმე მოვლენები, ამ უმამო ბავშვის გაჩენა. ისე მოიკუნტა, თითქოს მუცელი ასტკივდა, ხელები მოიჭირა მუცელზე, თავი მხრებში ჩარგო.

როგორ უნდა გამოესწორებინა ეს ყველაფერი? როგორ გამოესყიდა, ან რა გამოესყიდა? მან დააბარალა ეს ადამიანები, მან განირა? მართლა ასე იყო? არა, კოსტია არ იყო დამნაშავე. ყელში ამოუვიდა. დროა, ყველამ თავის ბედს მიხედოს. სახე პირსახოცით მოიწმინდა.

მართო ერთი რამ დარჩა მოსაგვარებელი კოსტიას, ერთადერთი, და მერე ყველაფრის დავიწყებას შეეცდებოდა, ფეხს ფეხზე გადაიდებდა და ხელს აღარ გაანძრევდა. ჰო, წერტილი უნდა დაესვა. ოჯახი უნდა დაეცვა. საკუთარი თავისგან. იქნებ ეს იყო მისი შანსი! ბოლო უნდა მოელო ელენეს ტანჯვისთვის. დარიასთვის, თავისი პატარა მარგალიტისთვის უნდა გაეკეთებინა ეს. მისი მომავლისთვის, რომ მშვიდად ეცხოვრა მშვიდობიან ოჯახში, რომ აფორიაქებული, გაგიჟებული დედის თვალები აღარ დაენახა.

კარი გამოაღო, ჩუმად შევიდა კაბინეტში, ჩაიკეტა, თავისი ბლოკნოტი გადაფურცლა, ნომერი აკრიფა.

- გამარჯობა, კოსტია ვარ. კი, კი, ძალიან კარგად, თავად? ერთი თხოვნა მაქვს შენთან. იმედია, შეძლებ დახმარებას. ერთი სტუდენტია თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, ჰო, ჰო, ჩვენთან. სრული არარაობა. მამამისი დემერტირი იყო, თავის დროზე ფამისტების მხარეს გადავიდა. ეტყობა, ესეც მამის კვალს გაჰყვა. არა, კრიმინალი არ არის. ერთი შეუმჩნეველი ბიჭია, მაგრამ როგორც ამბობენ, ვ ტიხომ ომუტე ჩერტი ვოლიატსა... ჰო, ასეა. რაღაც ფილმი გადაუღია, მგონი, სადიპლომო. რამდენადაც ვიცი, რაღაც უსიამოვნებაში გაეხვა. ჰოდა, არ მინდა, რომ ამ უსიამოვნებებმა ძალიან სწრაფად ჩაიაროს. ხომ გესმის. როგორ და... კაცო, შენ ხარ მილიციელი თუ მე? რა თქმა უნდა, შეგიძლიათ შეიაროთ. ვალდებულებიც ხართ. კი, კი, რა თქმა უნდა. არა, ეს განათლების სისტემას არ ეხება. ეს თქვენ გეხებათ, ჩემო ძმაო. არა, შენ ხელს არავინ გახლებს. კარგად მოგეხსენება, სიტყვის კაცი ვარ. ისიც კარგად იცი, რომ კარგი საქმისთვის კარგ საზღაურს მიიღებ. შესანიშნავია. ყოველთვის მიხარია ამის გაგონება, ძმაო. არაფერი გამომაპარო, ძალიან გთხოვ.

* * *

კომუნიზმის საქმის გეიმში ჩვენ ვხედავთ
ქვეყნის მომავალს და მას ვუსწორებთ თვალს,
და სამშობლოს წმინდა, ალისფერი დროშის
უსაზღვროდ და მარად ჩვენ ერთგულნი ვართ!
საბჭოთა კავშირის ჰიმნი

მეორე დილას ორი მილიციელი მიადგა კინოფაკულტეტის დეკანატს და პასუხი მოითხოვა, ეს როგორ დაუშვით, ვიღაც ლაწირაკმა ასეთი რამ როგორ გაბედა, რა უფლება ჰქონდაო.

- კი მაგრამ, ამხანაგებო, რა ფილმი, რის ფილმი? არავითარი ფილმი არ არსებობს, - სცადა დეკანმა მძიმე სიტუაციის განმუხტვა, - სტუდენტი ერისთავი დავიბარეთ გუშინ და მან დაგვარწმუნა, რომ მასალა აღარ არსებობს...

- და თქვენ დაუჭერეთ, ჩემო ბატონო? - სიტყვა გააწყვეტინა ერთ-ერთმა, უფრო ჩასკვნილმა მილიციელმა.

- არა, ცხადია, არა. მაგრამ ამ ფილმს ვერასდროს დაამონტაჟებს და ვერც მისი ჩვენების უფლებას მიიღებს, ამას ნყალი არ გაუვა, იმიტომ რომ მასალაც არ გვინახავს, ისე ავკრძალეთ. სტუდენტი ერისთავი რეაქციონერი კი არ არის, უბრალოდ გულჩვილია, მის გამო თავს არ ავითკივბდი თქვენს ადგილას.

დეკანი ცდილობდა თავიდან მოეშორებინა მილიცია, რომ ისევ შიდა გამოძიება გაეგრძელებინა, სხვების ჩარევა სულ არ უნდოდა.

- ამხანაგი ერისთავი სისულელეს არ ჩაიდენს. გარწმუნებთ, არ ღირს ამ საქმეზე დროის კარგვა, უთუოდ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გაქვთ, ამ გულუბრყვილო შემთხვევას ნუ მიაქცევთ ყურადღებას.

- ეს შემთხვევა ჩვენს ყურადღებას იმსახურებს თუ არ იმსახურებს, ამის გადაწყვეტა ჩვენ მოგვანდეთ, უფროსო! არც ისეთი გულუბრყვილოები ჩანან თქვენი სტუდენტები, ცოტა ყური მივუგდეთ და ყველას ეს ფილმი აკერია პირზე.

- კი მაგრამ, ფილმი არ არსებობს. თვალითაც არ უნახავს არავის, ეს ხომ სასაცილოა, ბატონებო!

- სასაცილოო? სასაცილოო? თქვენთვის ეს სასაცილოა? ეს ანარქისტები, არაფერი წმინდა რომ არ გააჩნიათ, ჩვენს ფასეულობებს ფეხქვეშ რომ თელავენ, სახეში რომ გვაფურთხებენ და დაგვცინიან, ამას ეძახით სასაცილოს? ასეთ ხალხს უზრდით ჩვენი ქვეყნის სახელოვნებო მომავალს?

- რაკი არავითარი ფილმი არ არსებობს, იმ ბიჭს ბრალსაც ვერაფერში დავდებთ. სულ არაფრის გამო ატყდა ამხელა ხმაური. დღევანდელ ახალგაზრდობას უყვარს გადაჭარბება. ამ თვალთ შეხედეთ მათ მემამბოხეობას, ბატონებო, თქვენც ხომ გამოვლილი გაქვთ, ყველანი ვიყავით ოდესღაც ოცი წლის...

- მაშინ თქვენს უმანკო სტუდენტს გადაეცით, თუ შეიძლება, რომ ოთხშაბათამდე ველოდებით გადაღებულ მასალას. თუ ისევ გააგრძელებს მტკიცებას, რომ მასალა გაქრა, განყოფილებაში უნდა გამოცხადდეს.

- გაშინებენ, როგორ ვერ ხვდები? გაშინებენ, მიქა! უბრალოდ ნერვებმა არ უნდა გიმტყუნოს. არ გადათქვა. შენ არ იცი, სად გაქრა გადაღებული მასალა, ერთი მხრივ, ასეცაა. შენ ხომ მართლა არ იცი, სად წავიღე ფირი. ასე რომ, ნუ გეშინია. მე წამოგყვები. შენ გვერდით ვიქნები.

ეტყობა, ლანას ნამდვილ ექსტაზში აგდებდა არარსებული ფილმის ირგვლივ მოვლენების სულ უფრო სახიფათო განვითარება.

- გმირად გაღიარებენ, გეფიცები. გეუბნები, ინსტიტუტი დულს და გადადულს ჭორებით. შურით გასკდებიან, გაგაღმერთებენ: აი, როგორი უნდა იყოს რეჟისორიო, იფიქრებენ, ჩვენც ასეთები უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ცხვირმოუხოსავი ლაჩრები აღმოვჩნდით, დედიკოს შვილები და მამიკოს ბიჭები. ასეა, მიქა, დაინახავენ, ბოლოს და ბოლოს, როგორი ხარ სინამდვილეში. წარმოიდგინე, როგორ მოვუყვებით ამ ამბავს ჩვენს პატარას, დარწმუნებული ვარ, ბიჭი გვეყოლება, შენ დაგემსგავსება, მიქა. წარმოიდგინე, როგორ იამაყებს ჩვენით. ჩვენს ფილმს რომ ნახავს და მერე მთელ ამ ამბავს რომ ვუამბობთ. ალტაცებული იქნება შენით, თავისი მამაცი მამიკოთი.

- შეწყვიტე! - მიქამ მუშტი დაარტყა მაგიდას, - რატომ არ გინდა თვალი გაუსწორო სინამდვილეს! როგორ ვერ ამჩნევ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ? ახლა მილიციაც დაინტერესდა ჩემი ფილმით, ხვალინდელ დაკითხვას რომც გავუძლო, მაინც გამრიცხავენ.

- მიქა, მიქა, ჩემო პატარა, მოდი აქ... ძალიან ბევრს ფიქრობ!

ლანა წამოდგა და მიქასთან მივიდა, აეტმასნა, მუხლებში ჩაუხტა, თავზე მოეხვია.

- ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგე. მაშინ არაფერი მოგივა. როდისმე მიმითვებებიარ გასაჭირში? ერთხელ მაინც მომიცია ჩემს სიტყვებში დაეჭვების საბაბი? გეხვებები, მიქა. ერთად მივიდეთ. ყველაფერს გავარკვევთ. სხვებს ნუ ჩარევ ამაში, ძალიან გთხოვ. მით უმეტეს, ქრისტინეს. მაგან თუ გაიგო, ერთ ამბავს ატეხს, არ მოგეშვება, სანამ დათმობაზე არ წახვალ და მასალის ჩაბარებას არ დათანხმდები. მომეცი ხელი. ნახე, როგორ დამისივდა მკერდი, ლამისაა დამისკდეს.

ლანამ მიქას ხელი ძუძუზე დაიდო და ტუჩებში აკოცა.

დიდხანს არ გაგრძელებულა დაკითხვა მილიციაში. სასაცილოდ არ ეყოთ, მიქა ისევ გატაცებული მასალის ვერსიას რომ მიაწვა; ერთი კვირა მისცეს გადაღებული მასალის ჩასაბარებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე პროკურატურას გადაეცემაო, ამცნეს ცბიერი ღიმილით.

გაოფლილი, აქოშინებული, ბარბაცით გავიდა ქუჩაში. მილიციის მოტიტვლებულ ოთახში შეკავებულმა შიშმა მთელი ძალით იფეთქა. თვალებე დამცირებისა და სირცხვილის ცრემლი მოადგა. შუა ქუჩაში აბობოქრდა, როცა კარგა მანძილით გასცდა მილიციის განყოფილებას ლანასთან ერთად, პირზე დუჟმომდგარი, გადარეულივით იქნევდა ხელებს, ფეხებს აბაკუნებდა, წინადადებას იწყებდა, არ ამთავრებდა, მერე ისევ აგრძელებდა, ბოლოს ქანცგამოლუეული გაჩერდა და რაკი აღარ იცოდა, რა ექნა, იქვე ჩაიკეცა.

ლანამაც ჩაიმუხლა მის გვერდით, მხარზე მოჰხვია ხელი და ჩაგონება დაუნყო თავისი ანგელოზის ხმით, ჩვეული სიმტკიცით და სიმშვიდით

დაიხსნა მისი სხეული სასონარკვეთისგან, ისევ და ისევ უსვამდა ხაზს, როგორ იამაყებდა მათი შვილი, უდიდეს ხელოვანს უწოდებდა, გამბედაობას და სიმამაცეს უწონებდა; არწმუნებდა, რომ არაფერი იყო საშიში, რადგან არავითარი საშიხილი არ მოეპოვებოდათ მის წინააღმდეგ.

- ეს ფილმი არავის უნახავს, არავის. არაფრის გამო ხომ არ წაგიყენებენ ბრალს, მიქა, მხოლოდ ჭორებზე დაყრდნობით. რაც არ არსებობს, იმაში ვერ დაგადანაშაულებენ. ვერავინ ვერაფერს გაიძულებს. გამინებენ, უნდათ, რომ გამბედაობა დაგაკარგვინონ.

მიქა ცდილობდა, არ შეეხედა მისთვის, არ ჩაეხედა სქელი მინების უკან დამალულ მის ზეთოვან თვალებში. არ უნდოდა მისი ურყევი რწმენა გადასდებოდა, რადგან იმ დღეს, იმ უსახურ და ცივ დასაკითხ ოთახში პირველად შეიგნო, რომ თამაში მწარე რეალობად გადაიქცა. ლანას კი, რომელმაც ამაში ჩაითრია, სულ სხვა ინტერესი ამოძრავებდა, მისგან განსხვავებით. მისთვის რომ შეეხედა, სახეში მიახლიდა, შენი ბრალიაო, შენ მაგივრად მე მომიწია ამ დამამცირებელი პროცედურის გამოვლა, მართო მე კი არ დამაყენე ამ დამცირების, უსამართლობის, საფრთხის წინაშე, არამედ ყველა ის ადამიანი, რომლებიც მენდნენ მე და გამომყვნენ.

დაკითხვის დაწყებისთანავე, როცა შეატყო, რომ მოხელეები სულ არ ხუმრობდნენ, კინალამ აღიარა, რომ ზედმეტი მოუვიდა, კინალამ პირობა მისცა, რომ მეორე დილასვე დააბრუნებდა ფირს. მაგრამ მერე სხვა აზრმა გაუელვა, სრულიად ირაციონალურმა, დაუჭერებელმა, მაგრამ ლოგიკას არცთუ მოკლებულმა: იქნებ ამის უკან კოსტია ჯაში იდგა? იქნებ ახლიდან დაუნყო ბრძოლა? როგორც კი ეს გაიფიქრა და გაიაზრა, ყველაფერი ნათელი გახდა, ყველაფერი თავის ადგილას დადგა და იგრძნო, რომ ეყოფოდა გამბედაობა, სიმართლის თავისი ვერსიის დასაცავად. კოსტია ჯაში თუ ამაზე წამსვლელია, მეც არ ჩამოვრჩები; მამაჩემივით არ დავაჩავგრინებ თავსო.

და საერთოდ, რა იყო ამისთანა: რა იყო ამ ფილმში ასეთი აკრძალული? მართლა ასეთი ფეთქებადსაშიში იყო, ასეთი დამანგრეველი, ასეთი თამაში, როგორც ლანა არწმუნებდა? ეს ხომ უბრალოდ სადიპლომო ნამუშევარი იყო. ცოტა პროვოკაციულად, ცოტა თამამად, ცოტა გამომწვევად ასახული ერთი ადამიანის ბიოგრაფია. მოკრძალებული საშუალებებით და სხვა ფილმებიდან ნასესხები ხერხებით აღბეჭდილი ფირზე. ლანამ იმდენი ქნა, რომ უკვე მითი შეიქმნა, მართალია, მხოლოდ ინსტიტუტის ფარგლებში, მაგრამ მაინც. იქნებ ამით მიქას სულ სხვა შანსი ეძლეოდა: ფილმი, რომელიც არავის ჰქონდა ნანახი და რომელსაც პროკურატურაც კი დაეძებდა, იმდენი ხანი ეგონებოდათ გენიალური, სანამ ვინმე არ იპოვიდა და არ ნახავდა. იქნებ სხვა გამოსავალი მართლა არ არსებობდა და ბოლომდე უნდა დაემალა ეს ფილმი. შეიძლება დიპლომი ველარ ღირსებოდა, სამაგიეროდ, სწორი

სტრატეგიის შემთხვევაში, სახელს მოიხვეჭდა. ეს კი მას შესაძლებლობას მისცემდა, მომავალში ისეთი ფილმები გადაედო, როგორც უნდოდა, თანაც ლანას დახმარებისა და მძიმე შედეგების მომტანი მხარდაჭერის გარეშე.

ასე რომ, ლანას გეგმას უნდა მიჰყოლოდა, მისთვის მიენდო ფილმის საგულდაგულოდ გადამალვა და მომავალი უზრუნველყოფილი ექნებოდა. მართალია, შემოვლითი და მიხვეულ-მოხვეული გზებით მოუნევდა სიარული, მაგრამ პერსპექტივა მაინც განუმეორებელი იყო. ბუნებრივია, ბევრად უფრო ასატანი, ბევრად უფრო ღირებული იქნებოდა, თუ დაიჯერებდა, რომ იდეალებისთვის ბრძოლას გააგრძელებდა, ქრისტიანთა ბრძოლას, რომ ხელიდან გამოგლეჯდა სამყაროს იმას, რასაც ის მისთვის არ იმეტებდა და ამ ბრძოლაში უშიშრად გაართმევდა თავს ყველა სირთულესა და დაბრკოლებას. ამ ბრძოლაში კეთილთა და ბოროტთა, მართალთა და მტყუანთა როლები უკვე დანაწილებული იყო: ერთ მხარეს იდგა მიქა ერისთავი, შურისმაძიებელი, მარადიული მიჭნური, მეორე მხარეს კი – კოსტია ჯაში.

ჰო, ეს გზა უნდა აერჩია, ლანას მიერ შემოთავაზებული გზა. დაე, ეგონოს, რომ ერთი მიზანი გვამოძრავებსო. სინამდვილეში ასე არ იყო. ესეც ცხადი გახდა იმ დღეს მიქასთვის.

დროთა განმავლობაში მიქა, ალბათ, დაფიქრდებოდა, თავისმა და ქრისტიანს უიღბლო ისტორიამ ხომ არ მიიყვანა აქამდე? ქრისტიანს ასაკი ხომ არ გახდა მიზეზი, რამაც ამ ქალის მკვლავებისკენ უბიძგა? იმ დამეს, როცა ქრისტიანმა პირბადე აიხსნა მის წინაშე, შუქი რომ დაეტოვებინა ანთებული, სხვაგვარად ხომ არ განვითარდებოდა მოვლენები? მაშინ საბოლოოდ განიკურნებოდა მისგან? მაგრამ ჯერ შუა ქუჩაში იდგა მიქა, უცხო ქალის პირისპირ, რომელიც რატომღაც მის შვილს ატარებდა მუცლით. რაც ამ ქალს უთხრა, ამან უმძიმესი შედეგები მოუტანა:

- თანახმა ვარ, გაიტანე ფირები ქალაქიდან, გადამალე. სოფელში აიტანე. მამაჩემს წაუღე. ოღონდ ისე ქენი, რომ არ დაინახოს, თორემ არ დაუშვებს, რომ... იმასაც გეტყვი, სად უნდა დამალო. როგორმე გამოვძვრები მართო. ბოლომდე დავდგები.

- ვიცოდი, რომ არ შევძვდარვარ შენში.

და გახარებულმა ლანამ თმა აუჩეჩა.

- უარზეა, სტასია. ამბობს, რომ ფილმი მას არ აქვს. დღეს ერთ ადვოკატ ქალს შევხვდი. მას მიაჩნია, რომ ამ ბუნდოვან ამბავს შეიძლება სულ სხვა მიზეზი ჰქონდეს. მე საერთოდ არ მესმის, რატომ ატყდა ამხელა ხმაური ასეთი სისულელის გამო. ადვოკატმა როგორც მითხრა, ამ დაკითხვების უკან, სავარაუდოდ, ვიღაც დგას. ხომ გესმის, გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ...

- კარგი ერთი, ქრისტიანე! რას ლაპარაკობ?

სტასიას წელი ხელით ეჭირა, მთელი დღე ხელოსნებს ხელმძღვანელობდა, რომლებიც მის ფარდულში სარკეებს ამაგრებდნენ. ერთი-ორი დღეც და საცეკვაო დარბაზი მზად იქნებოდა, მერე კი პეტრე ვასილიევის მემკვიდრეობის გადასაცემად მოიძებნებოდნენ სოფელში გოგოები, რომელთაც თავის საყვარელ პირუეტებს და Pas de chat, Pas de basque და Pas de deux შეასწავლიდა.

სამზარეულოს კედელს მიეყრდნო და სხეული გაჭიმა.

- იქნებ მთელი ეს ცირკი კოსტიას...

- ასეთი საშინელი აზრები როგორ მოგდის, ქრისტინე? თავის თავს დააბრალოს მიქამ, მისცეს უბრალოდ ფილმი და მორჩება ამით. რა შუაშია კოსტია? ეს როგორ იფიქრე!

- ისევ დაიბარეს დაკითხვაზე, სტასია, ეს შეუძლებელია: გვევდრები, გაარკვიე.

- გეუბნები, მორჩი ამ სისულელეებს და აიძულე, რომ ფილმი მისცეს.

- წამით მაინც დაუშვი ეს შესაძლებლობა, იქნებ მაინც...

- კოსტია ჯერ კიდევ შენი დისშვილია. დღემდე გაღმერთებს, შენი გაზრდილია, შენი სისხლი და ხორცია. კი ბატონო, თუ გინდა, კიდევ ერთხელ დაველაპარაკები. ვერაფერს დაუშავებენ ბიჭს. კაცი ხომ არ მოუკლავს. ახლა სხვა დროა... და მიქა ანდრო არ არის.

- მისი შეყვარებული ორსულადაა. მალე მამა უნდა გახდეს. სადაცაა ბავშვი გაუჩნდებათ, სტასია.

ელენემ გამბედაობა მოიკრიბა, მიუჯდა თავისი ჟიგულის საჭეს - ჩემი გაჩენის მერე პირველად, - და ქალაქში გაემგზავრა. მანამდე ქრისტინეს პატარა ბინაში ნამყოფიც არ იყო, სულ ემინოდა შეხვედრის.

ახლა კი უნდა დაეძლია შიში. თუ არაფერს მოიმოქმედებდა, გულზე გასკდებოდა ერთ მშვენიერ დღეს, საკუთარი უსუსურობა გასრესდა.

რაღაც ხდებოდა. მაშინვე იგრძნო. იდუმალი სატელეფონო ზარები და სტასიას ჩურჩული ქრისტინესთან. კოსტიას გადამეტებული საქმიანობა. მისი შემოფოთებული გამომეტყველება. მიქას თავს ხდებოდა რაღაც. ამაში ელენე დარწმუნებული იყო. ყურები დაცქვითა და სულ მალე ბებიაამისისა და მამამისის ნალაპარაკების ნაკუნებიდან სრულიად თანმიმდევრული სურათი შეადგინა.

უნდა ჩარეულიყო.

ქრისტინეს არც უკითხავს, ვინ არისო, ისე გამოაღო კარი. როგორც ჩანს, სხვას ელოდებოდა. გაშეშდა. როგორც ყოველთვის, იდეალურად მომდგარი შავი კაბა ჩამოიქაჩა და ელენე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

- აქ რა გინდა?

ცხადია, არ აპატია. ბუნებრივია. მიამიტობა იყო ელენეს მხრიდან, ამის იმედი რომ ჰქონდა.

- მიქას ამბავი გავიგე... და დახმარება მინდა. ვიფიქრე, თუ ზუსტად მომიყვები, რა ხდება, მამას დაველაპარაკები და დავიყოლებ-მეთქი. მარტო სტასია ვერ მოახერხებს.

- შენ და დახმარება? შენ უკვე საკმარისად დაეხმარე. კარგი, რას ვიზამთ, შემობრძანდი ჩემს მოკრძალებულ საცხოვრებელში. ვიცი, რომ სხვანაირს ხარ მიჩვეული, მაგრამ ჩაის მაინც შემოგთავაზებ.

ქრისტიანემ განუმარტა მთელი სიტუაცია, და მეტიც, თავისი ეჭვებიც გაანდო იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ორგანოების ამ ზღვარგადასული ინტერესის მიღმა კოსტია უნდა მდგარიყო. ელენე სახით მუშტზე დაყრდნობილი იჭდა, გაოგნებული ჩასცქეროდა შავ ჩაის და დაძაბული ფიქრობდა, მაგრამ სანამ რამის თქმას მოასწრებდა, კარი გაიღო და ოთახში მძიმე, ნელი ნაბიჯით მიქა შემოვიდა. ელენეს დანახვაზე წამით გაჩერდა კარში, გაკვირვებულმა გახედა ქრისტიანეს, თითქოს შეყოყმანდა, უკანვე ხომ არ გავბრუნდევ, ხოლო როცა ქრისტიანემ ანიშნა, მაგიდას მიუახლოვდა, თუმცა არც უფიქრია, მისალმებოდა ელენეს ან გადაეკოცნა.

- შენ რა, ჯამებს დაურეკე? - მიაძახა ქრისტიანეს, რომელიც სამზარეულოსკენ წავიდა სადილის გასაცხელებლად.

- არა, მე თვითონ მოვედი, - თქვა ელენემ.

- ა, იფიქრე, საწყალი მიქა, ჩემი თვალით უნდა ვნახო, როგორ ბის ყელამდე ნეხვშიო?

- უნდა დააბრუნო ფილმი, - არ აჰყვა ელენე.

- შენ ვინ გეკითხება?

- მიქა! - სამზარეულოდან მუქარა გაისმა.

- რა იყო? მაინცდამაინც ამის რჩევას რატომ უნდა დავუჭერო?

- იმიტომ რომ ეს მისი რჩევა არ არის, ყველა ასე ვფიქრობთ.

ელენეს უბრალოდ უნდა ეთქვა: „კოსტიამ, სავარაუდოდ, ჩემი უახლოესი მეგობრებიც დააპატიმრებინა. კოსტიას უნდა, შური იძიოს შენზე, რადგან მე იმდენად მხდალი ვიყავი, რომ უკან არ დავიხიე, უარი არ ვთქვი ჩემს ცრუ სიმართლეზე. სიმართლეზე, რომელიც არ არსებობს, მიქა, ან მე არ ვიცი სიმართლე!“ სხვა რისთვის მივიდა იქ? სწორედ ამისთვის! რომ მიქა გაეფრთხილებინა, დაეცვა მამამისისგან. იქნებ ყოველთვის მარტო ეს იყო საქმე? როცა ჩუმად უსმენდა და უთვალთვალედა, ხვდებოდა, რა საშინელების ჩადენა შეეძლო, რა უკიდურესობამდე შეეძლო მისვლა. ისიც იცოდა, რომ თვითონვე აძლევდა ამის საშუალებას. რომ თვითონ მისცა მამამისს საბაბი, რომ მიქაელი, ბექა და, უირველეს ყოვლისა, მიქა მოემორებინა, რომელიც ისედაც ეკალივით ერჭობოდა თვალში, რადგან სჯეროდა, რომ ამით ელენეს საფრთხეს ააშორებდა?

ელენეს უნდოდა მოეკვთა მამა, კბილებით გადაედრღნა ჭიპლარი, რომლითაც დედასთან კი არა, მასთან იყო მიბმული ადრეც და კვლავაც.

რატომ არ ადგა და არ დაიღრიალა მთელი ქვეყნის გასაგონად, რასაც ფიქრობდა: „ჰო, ეს მე ვარ ტყვია კოსტიას იარაღში. მე ვარ მისი მარჯვენა ხელი. მე ვარ დახვრეტის ბრძანება. მე ვარ თავი და თავი. მე, მე, მე ვარ მისი ომი, რომელსაც დაუღალავად აწარმოებს, არადა, მტერი ვერ ამოუცნია. ეს მე ვარ. ჰოდა, დავისჯები კიდევ, კარგა ხანს მეგონა, რომ სასჯელი ამცდებოდა, მაგრამ არა, დავისჯები, ისე მკაცრად, როგორც ვიმსახურებ, მართლაც რომ, ვიმსახურებ. რადგან, რაც უნდა გავაკეთო, ყველაფერი ტყვიად იქცევა, ტყვიად, რომლითაც თავისი იარაღის დატენვა შეუძლია. კოსტია უკიდურესობამდე მიგიყვანს. იმიტომ კი არა, რომ რამე დამიშავე, არამედ იმიტომ, რომ მინდოდა, დაგეშავებინა. ადრე მთელი ჩემი ოჯახის დასჯა მინდოდა, რაკი ჩემ ნაცვლად შენ მოგცეს მათთან ცხოვრების შესაძლებლობა. მაგრამ ეს მართალი არ არის, ნამდვილად არ არის, მივხვდი ამას, მიქა, ამასობაში გავიგე უკვე. რომ ეს არ იყო საქმე. მე შენი დასჯა მინდოდა, იმიტომ რომ შენ მე გამაძევე. რადგან მე უფრო მჭირდებოდი, ვიდრე შენ.

რადგან, არდადეგებიდან დაბრუნებულს, არასდროს გიძებნია მაძებარი ძალღივით ჩემი კვალი იმ სახლში, რომელსაც შენი ჩამოსვლისთანავე ვტოვებდი. რადგან არაფრად მაგდებდი. როგორ მძულდა შენი ამპარტავნობა, პოეტურობა, შენი ნაღვლიანი თვითკმაცოფილება! როგორ მძულდა შენი მეღანქოლიური გატაცებები, რომელთაც არაფერი ჰქონდათ ჩემთან საერთო, მე არასდროს მეხებოდა!

არა, იმაზე კი არ ვეჭვიანობდი, რომ უფროსების ყურადღებაში შემეცილე, იმაზე ვეჭვიანობდი, რომ იმათ ჰყავდი შენ – მე კი არ მყავდი. რადგან ისინი იყვნენ შენთან და არა მე. რადგან შენ აქ იყავი, მე კი – იქ.

მე შენ არ გიცნობ, ჰო, არც კი ვიცი, როგორი ადამიანი ხარ. არ ვიცი, რატომ დაუშვი, რომ ასე იოლად გაესრისათ შენი რწმენა სამყაროს მიმართ. არ ვიცი, უოლოს ჯემი გირჩევნია თუ მარწყვის, მიქა, მაგრამ მინდა ვიცოდე, ესეც და კიდევ სხვა ბევრი რამ. შენ კი ყოველთვის მაგძნობინებდი, რომ შენი ოცნებებისა და სურვილების ღირსი არ ვარ, რომ შენს სიყვარულს არ ვიმსახურებ. არადა, მე ხომ ყველაფერს შევურიგდი, ყველაფერი გადმოგეცი, მთელი ჩემი სამყარო შენ დაგიტოვე და გზიდან გაგეცალე. რატომ არ გეყო? მოგეტყუებინე მაინც იმ ავბედით საღამოს, მოგეჩვენებინა თავი, ვითომ მოგწონდი, ცოტათი მაინც, სულ ცოტათი! რა საჭირო იყო მთელი შენი სიძულვილის, მთელი შენი ზიზღის ასე დაუნდობლად გამჟღავნება? რა საჭირო იყო ასე ამკარად ჩვენება, რომ ბრტყვიალა ქალაქში შეფუთულ საჩუქრადაც კი არ გიღირდი? მითხარი, დამიდასტურე, ბოლოს და ბოლოს, მიყვირე, როგორ გძულვარ მთელი შენი ცხოვრება. რომ ჩემი სიკვდილი გინდოდა, სრული განადგურება!

როგორ ცდილობდი მთელი ცხოვრება ამ სიძულვილის მოთოკვას. გამგონ, წესიერ, სამაგალითო ბიჭს განასახიერებდი, მსხვერპლს! გეხვეწებდი, ამისრულე ეს თხოვნა, გამათავისუფლე, გულახდილად მითხარი, მიდი, მიქა”.

– მე მინდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა შვილმა იამაყოს ჩემით! მიქა ქრისტინეს ეჩხუბებოდა. ელენე უცებ გამოერკვა ფიქრებიდან.

– შენმა შვილმა?

– დიახ, ჩემმა შვილმა! – უპასუხა მიქამ ნიშნის მოგებით.

– არ ვიცოდი... მაპატიე! – წაილულულა ელენემ.

– საიდან უნდა გცოდნოდა?

– მცხეთაში რომ იყო, ის ქალია?

რატომ იგრძნო თავი ასე უსუსურად, სულელად, რატომ გადაავიწყდა ყველა განზრახვა?

– მცხეთაში რომ იყო? ჰო, ეგ არის. სხვათა შორის, ლანა ჰქვია!

– მიქა, დაწყნარდი, ძალიან გთხოვ. ვერ ვიტან, ასე რომ ლაპარაკობ!

ქრისტინე თავზე წამოადგა. მიქას მაშინვე შეეცვალა გამომეტყველება. უცებ ისევ დამჯერი ბიჭი გახდა, სევდიანი, თვინიერი მიქა, როგორც ბავშვობაში იყო. ქრისტინემ მხარზე მოჰხვია ხელი, თითქოს უნდოდა შეეხსენებინა, ვინ იყო და რა ხდებოდა. რა... ჰო, სწორედ ეს იყო მნიშვნელოვანი. ეს მრგვალი მაგიდა, რომელსაც მიქა ისევ მიუჯდა, რადგან ქრისტინეს უნდოდა ასე, მის კექსებსა და ლიმონიან შავ ჩაიში, რომელიც არც ცხელი უნდა ყოფილიყო და არც ცივი. მასთან ერთად ცხოვრება იყო მიზეზი. ამ ხანდაზმულ, პირბადიან ქალთან განმარტოება, ასე მედგრად რომ ეწინააღმდეგებოდა წლებს თავისი შავი, წელში გამოყვანილი ვაბებით. ჰო, ყველაფერი აქეთ მიდიოდა, მაგრამ რაღაც ვერ აეწყო.

ელენემ ისევ დაინახა ორი შეხმატკბილებული ადამიანი, როგორც მაშინ, ქრისტინეს ძველ სახლში ზემო ვერაზე, ხის ტოტზე აცოცებულმა რომ შეიჭყიტა მის ოთახში, და თუმცა იქ დანახულის ახსნის უნარი არ გააჩნდა ჯერ, მაინც ცრემლები მოადგა. როგორ უვარცხნიდა მიქა თმას, როგორ შესცივინებდა. განა უკვე ბებერი არ იყო ქრისტინე ასეთი მზერისთვის? ისეთი დაუჯერებელი, ისეთი გამომწვევი ეჩვენა მაშინ ეს სანახაობა. სწორედ ამ ინტიმურობამ მოჰგვარა ისევ ცრემლი, ამ თავდაჯერებულმა მოძრაობამ, მხარზე ხელის მოხვევამ, თითქოს ისეთი რამ იცოდნენ, რასაც სახელს ვერ დაარქმევდი.

– გილოცავთ.

ძლივს გასაგონად წარმოთქვა ელენემ. უცებ წასვლა მოუნდა იქიდან, გაქცევა, ვეღარ გაუძლო მოზღვავებულ გრძნობებს, ყელში ბურთივით რომ გაეჩხირა. აღარ აინტერესებდა არაფერი, აღარ უნდოდა პასუხების ძებნა. რამდენად უფრო იოლი იქნებოდა, ყველაფერი ისე რომ მიეღო, როგორც იყო, და უბრალოდ გაეგრძელებინა ცხოვრება.

კი, უნდა ეთქვა მიქასთვის: „გაიქეცი, დაყარე ყველაფერი და გაუჩინარდი, ახლოს აღარ გაგვეკარო, არც მე, არც ქრისტინეს, საერთოდ არაფერს, რაც ჩვენს ოჯახს მოგაგონებს, თავიდან დაიწყე, შენი საკუთარი ისტორია შექმენი, მიდი, ჩქარა გაიქეცი, დაივიწყე ფილმიც და წარსულიც და ის საღამოც, დაივიწყე, და შენს შვილზე იფიქრე – შვილზე, რომელსაც ის ქალი გაგიჩენს, რომელიც შენს დასაცავად მუშტებს არ შეუშინდა, ჩემ გამო რომ დაგატყდა თავს, უკან აღარ მოიხედო!“ მაგრამ შეეძლო კი ამის თქმა?

არა, ერჩია მიეშვა, ჩასაძირად გაენირა, გადასაჩეხად. რადგან კვლავინდებურად ტკბებოდა სეირის ყურებით, როცა მიქა საკუთარ თავს ეჭიდავებოდა, როცა ცდილობდა და ვერ ახერხებდა გამხდარიყო ის, ვინც უნდოდა, რომ გამხდარიყო. ჰო, ჩემო ძვირფასო, ერთად გავივლით ამ გზას მე და შენ, ჩემო მიქა, ბოლომდე ერთად! რადგან სიამოვნებდა, რომ ვერც მიქამ მიაღწია, რის მიღწევასაც ცდილობდა, როცა მისი ტკივილი უგულვებელყო და საკუთარი ჟინი დაიკმაყოფილა და თავისი სხეულით გათელა, თან ყოველ წამს აგრძნობინებდა, რომ მისი სიყვარულის ღირსიც კი არ იყო.

* * *

თუ მერყევ ადამიანს გინდა დაეხმარო, ჯერ თავად უნდა შეწყვიტო მერყეობა, სხვა გზა არ არსებობს.
ლენინი

1974 წელს, როცა გერმანია მსოფლიო ჩემპიონი გახდა ფეხბურთში, როცა მუჰამედ ალიმ ფორმენთან ორთაბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა დღევანდელ კონგოში, როცა იომ-ქიპურის ომში უკვე ერთი წლის მიღწეული იყო ზავი, როცა აბბას ვატერლოომ მსოფლიო დაიპყრო, – სწორედ იმ წლის ივლისში დააპატიმრეს მიქა. სამი დღით ადრე კი თბილისური ივლისისთვის აშკარად მეტისმეტად თბილ, მუქ ყავისფერ კოსტიუმში გამოწყობილი, კრემისფრად კოხტად შემოსილი, თეთრი ვარდით თმადამშვენებულ ლანასთან და ორ ინსტიტუტულ მეგობართან ერთად, რომლებმაც მათი მეჭვარეობა გაბედეს, თბილისის მმჩის ბიუროს ეწვია და თავისი შვილის დედა ცოლად შეირთო.

მიქასთვის წაყენებული ბრალი ასე უდერდა: „სახელმწიფო ქონების მიტაცება“, იმავე დროს „ანტისაბჭოთა აგიტაციასა და პროპაგანდამიც“ დაადანაშაულებს. სანამ გამოძიება მიმდინარეობდა, ორთაჭალის ციხეში მოათავსეს. პროცესი შემოდგომის ბოლოს დაინიშნა და საძიებო კომისია შეიქმნა გადაღებული მასალის საპოვნელად. გაჩხრიკეს ქრისტინეს ბინაც და ანდროს სახლიც. რაკი ფირი თითქოს მიწამ ჩაყლაპა, ადვოკატი ქრისტინესა და ლანას ვერ აძლევდა მიქას სწრაფი გამოშვების იმედს.

სანამ ფირი მხოლოდ სახიფათო ჭორების წყარო რჩებოდა, პროკურატურაში ვარაუდობდნენ, რომ მასზე მართლა აღმაშფოთებელი რამ იყო აღბეჭდილი, თანაც ბრალდებულს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმაშიც ადანაშაულებდნენ, რაც მის სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებდა.

ერთ-ერთი პერედაჩის დროს, როგორც მოხელეების მოქრთამვის შედეგად პატიმრებისთვის გადასაცემ ამანათებს უწოდებდნენ, ქრისტინეს მოძებნილმა შუამავალმა მიქას შემაშფოთებელი მდგომარეობა შეამჩნია. სამინლად გამოიყურებაო, ეტყობა, ციხის ყოფას ვერ უძლებს, პატიმართა უმრავლესობა მძიმე კრიმინალია, ძალიან ჩაგრავენ, იტანჯება ციხის აუტანელ პირობებში; მოკლედ, ეს ბიჭი პატიმრობის ამტანი არ არის, სასწრაფოდ გამოსათრევია იქიდან, თორემ ვერც ფიზიკურად გაუძლებს და ვერც სულიერადო.

- მგონი, შევცდი! - ლანა თვალს ვერ უსწორებდა მიქას. მცველი ქშენდა და კედელს მიბეჭნილი ვითომ ყურადღებას არ აქცევდა მნახველთა ოთახში დაფხაჭნილ მაგიდასთან მიქასკენ გადახრილ ლანას:

- რას გულისხმობ?

ხმაც კი შეცვლილი ჰქონდა. თითქოს ყოველგვარი კავშირი განწყვიტა გარე სამყაროსთან.

- უნდა გამოხვიდე აქედან! სასწრაფოდ, მიქა. ქრისტინე მართალია. შენ აქ ვერ გაძლებ.

სანამ კიდევ რამეს იტყოდა, მიქა სკამზე გაიმართა, კიდევ უფრო ახლოს მიიწია მისკენ და უჩურჩულა:

- არავითარ შემთხვევაში. რაც უნდა მოხდეს, არაფრის გაკეთება არ გაბედო. გამიგე? ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

- ბოლომდე? მალე შვილი გვეყოლება!

- ეს ხომ მაშინაც იცოდი!

- არ მინდა, ეს ცოდვა ავიკიდო.

- გააკეთე, რასაც გეუბნები. შენგან მეტი არაფერი მინდა. ჯობს მიაბზო, რას ფიქრობენ ჩემზე. ვინმეს ელაპარაკე? პედაგოგები რას ამბობენ?

ერთი წამით თვალებიც კი გაუნათდა. თითქოს ეს იყო მთავარი. თითქოს მისი მდგომარეობა, მისი გასაჭირი, მისი შიში სათვალავში არ შედიოდა. თითქოს მნიშვნელოვანი მხოლოდ ის იყო, რას ფიქრობდნენ მასზე სხვები.

- ისინი... ისინი გმირად მიგიჩნევენ. ხელმოწერების შეგროვებაც კი დაიწყეს. მთელი ინსტიტუტი აფორიაქებულია. შენი ფოტოები გამოფინეს, ყველგან, მთელ ინსტიტუტში. ღია წერილის გაგზავნას აპირებენ პროკურატურაში. ზოგიერთი პედაგოგიც უჭერს სტუდენტებს მხარს,

ამბობენ, რომ უაზრობა იყო შენი დაპატიმრება არარსებული ფილმის გამო.

თვითონაც არ იცოდა, რატომ ეუბნებოდა ამას. ალბათ, იმიტომ, რომ სწორედ ამის გაგონება უნდოდა მიქას, ეს მისცემდა ძალას, რომ ამ ყველაფრისთვის გაეძლო.

ლანამ გააზვიადა: არავითარი ფოტოები არ არსებობდა, ხელმოწერების აქცია ჩაიშალა და იმ რამდენიმე პედაგოგმა, რომლებიც თავიდან მის მხარეზე იყვნენ, მისი დაპატიმრებისთანავე მოკეტეს.

ლანას უნდა შეენარჩუნებინა მიქასთვის იმედი, თუმცა რაც უფრო ებერებოდა მუცელი, მით უფრო მეტად ყოყმანობდა, მით უფრო უაზრო ეჩვენებოდა მთელი ეს განზრახვა. მით უფრო ნაკლებად ესმოდა საკუთარი თავის. გადამღებ ჯგუფთან სცადა ურთიერთობის გაბმა ერთგვარი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მაგრამ მასთან ლაპარაკი არავინ მოინდომა. ახლოსაც არ გაიკარეს, ვისაც მეორედ დაურეკა, ყველამ ყურმილი დაუკიდა. რამ აფიქრებინა, რომ მიქას არყოფნა უფრო იოლი გადასატანი იქნებოდა მისთვის, ვიდრე მისი დათრგუნვილობა, მისი უიმედობა? რატომ არჩია, რომ რეჟისორი ჰყოლოდა გვერდით და არა ბავშვის მამა?

სტასიას სუფრა ჰქონდა გაშლილი და ფრიად აღელვებული ელოდა სტუმრებს.

- დავარწმუნე. ჩვეთან ერთად ისაძილებს. მოგისმენთ, - ჩურჩულით უთხრა სტასიამ, თავის დას და ანდროს რომ ჩაუარა. მოგისმენთ! ამის გაგონებაზე ქრისტინემ ძლივს შეიკავა თავი ღვარძლიანი კომენტარისგან. მოგისმენთ! თითქოს მაგის ყმები ვართ და ეგ ჩვენი ბატონ-პატრონიო.

საზეიმო სუფრას მიუსხდნენ. ნანას ვაკის პარკში წაეყვანა ბავშვები, ელენე კი სადღაც ქვემოთ დაბოდიშალობდა, სოფელში.

ნახევარი საათის შემდეგ გამოეცხადათ კოსტია, აბაზანისხალათიანი და ყელზე თბილმარფმოხვეული. თავი დაუკრა ორივეს გულგრილად. არც ხელი ჩამოართვა, არც გადაეხვია. მით უკეთესიო, გაიფიქრა ქრისტინემ და მაგიდის ქვეშ ხელზე მიუტყაპუნა ანდროს. ანდროს ქრისტინეს გამოძახებით საგანგებოდ ჩამოსულიყო ქალაქში სოფლიდან ამ შეხვედრისთვის. მის დანახვაზე ქრისტინეს ვინაღამ გული გაუსკდა: სრულიად გამელოტებულიყო, მხოლოდ მისი ხშირი წვერი ანათებდა თეთრად, ლოყებზე არყის სმისგან ლაქები დასტყობოდა, ხელები დამუწუვებული, მარქსის, ენგელსისა და ლენინის თავების მორჩილად კეთების საფასური.

- ბოდიშს ვიხდი, ასე რომ გამოვიყურები. საშინელი გრიპი მაქვს, ვერა და ვერ მოვრჩი.

მაგიდას მიუჯდა. თითქოს მისი ჩაცმულობა იყო მთავარი ამ შეხვედრაზე.

მძიმე სიჩუმე ჩამონვა. სტასიას მცდელობამ, უდარდელი, შინაურული საუბარი წამოეწყო, ამაოდ ჩაიარა. ანდრო ჩანგალს ანკაპუნებდა თავის თევზზე, ქრისტინეც თავს იკავებდა, საჭმელს არ ეკარებოდა, სტასია კი რაღაცას ტლიკინებდა ოთხ სოფლელ გოგოზე, ცოტა ხნის წინ რომ დაიწყეს მასთან ბაღებზე სიარული. კოსტია გაქვავებული იჯდა სუფრის ბოლოში, სკამის ზურგს მიყრდნობილი, ისე ადევნებდა თვალს მოვლენებს, თითქოს თვითონ აკრძალული ჰქონდა მონაწილეობის მიღება ან ჩარევა. ბოლოს ისევ ქრისტინემ ამოიღო ხმა და თავისი აზრები და ვარაუდები გამოთქვა იმის თაობაზე, თუ რა შეემთხვა მიქას.

ცივილიზებული ურთიერთობის თხელი ნაჭუჭი მალე ჩატყდა, წამლევავმა ენერგიებმა ამოხეთქა, ნგრევისა და თვითგანადგურების წარმოუდგენელმა ჟინმა იფეთქა.

სიტყვები მუშტებად იქცა, წინადადებები – ტყვიებად, მხილებები – ჭრილობებად. და მალე უკვე შეუძლებელი გახდა აკრძალული სახელის გვერდის ავლა, ასე რომ, კიტიც ახსენეს, სამახსოვრო კოცონი ააგზგზგეს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მის სიყვარულში, მოგონებების ნაფლეთები ერთ ქვაბში ჩაყარეს და ერთმანეთში აურიეს. კიდევ დიდხანს არ ჩაცხრებოდა მოგონების ეს შემზარავი ზეიმი, კოსტიას ვარაუდებისთვის თავი რომ არ მიენებებინა, მუქარით სავსე ხმით გამანადგურებელი არგუმენტი არ მოეყვანა და ანდროს დარდი შვილის გამო ორი შვილის ტრაგედიად არ ექცია.

– ისე ლაპარაკობ კიტიზე, თითქოს თავისთავად ცხადი იყო, რომ უნდა წასულიყო, რომ აქ ცხოვრება არ შეეძლო! თითქოს თავისი ნებით მიგვატოვა ჩვენც და სამშობლოც! როდისმე მაინც თუ დაფიქრებულხარ, როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება, სამშობლოსთვის რომ არ გელაღატა და ჩემს დას შენი ნაშიერი რომ არ ეტარებინა მუცლით?

ანდრომ ვერაფერი გაიგო. უკვე სხეულს ვეღარ იმორჩილებდა, რადგან სუფრაზე სასმელი არ შეუთავაზებიათ, ვანკა-სტანკასავით გააქიციან თავი, წვერი მოიფხანა, სასონარკვეთილმა გახედა სტასიას. სიტყვები ვერ მოძებნა, ენა დაება. საცოდაობა იყო მისი არცოდნის ყურება. კოსტიაც კი, რომელსაც ხველა აუტყდა, გაკვირვებული მიუბრუნდა. ქრისტინემ გაიფიქრა, მართლა არ იცის, რომ ანდრო ამდენი წლის მერეც არაფრის აზრზე არ არის, თუ ეს შურისძიების ხერხია მისი მხრიდანო. იქნებ დაამუხრუჭოს და გადასაჩეხად განწირული ეს მატარებელი მაინც შეაჩეროს? მაგრამ კოსტია წამში გამოერკვა და დაჟინებით განაგრძო:

– ანდრო, შენც გიფიქრია, ალბათ, ამაზე, ასე არ არის? – აშკარად ძალიან ცდილობდა თავის შეკავებას, რადგან იმ სადამოს ერთხელაც არ დასცდენია სიტყვები „პარაზიტი“, „მოღალატე“, „ნაბიჭვარი“ ან „ღებერტირი“. უფრო სასტიკი იარაღი აირჩია: უღავო ფაქტები.

- იმის გამო, რომ შენ გულუბრყვილოდ დაიჯერე, ნაციზმია ჩვენი მომავალიო, შენი შეყვარებული წაათრიეს და ბავშვი...

- კოსტია, ძალიან გთხოვ!

ქრისტინეს ისეთი გაუბედავი ხმა ჰქონდა, თითქოს დარწმუნებული არ იყო, უნდა გაეჩუმებინა დისშვილი თუ ლაპარაკი ეცლია. თუმცა, სანამ ქრისტინე ყოყმანობდა, კოსტიას დიდი ხნის მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. თავისი დასუსტებული, მაგრამ მოუდრეკელი მტრის საბოლოოდ გატეხა უნდოდა:

- ბავშვი ამოჰკვეთეს მუცლიდან, შენ რომ ჩაუსახე ისე, რომ არც კი დაფიქრებულხარ, რა არის კაცობა, რას ნიშნავს ცოლსა და შვილზე პასუხისმგებლობის აღება, მათი დაცვა, ზოგჯერ საკუთარი თავისგანაც კი. ამის მაგივრად ისე საცოდავად გადაეშვი დაჩაგრული მსხვერპლის როლში, რომ დანარჩენებს სხვა რაღა დარჩენოდათ, საკუთარი ზურგები შეუშვირეს შენს სატარებელ ტვირთს!

მაინც რა ოსტატურად სვამდა კოსტია ყოველ მახვილს, როგორ დროულად აკეთებდა პაუზას. თითქოს მთელი ცხოვრება ამ საუბრის წარმართვაში ვარჯიშობდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ საათის წიკნიკი არღვევდა ამ სიჩუმეს; ლამის ბალახის სუნთქვა ისმოდა გარედან.

ანდრო იმ იმედით გაჰყვა ქრისტინეს მწვანე სახლში, რომ კოსტია გამოიხსნიდა მის შვილს იქიდან, სადაც თვითონვე უკრა თავი. თვითონ, ალბათ, ისეთივე მოწყვეტილი დარჩებოდა ცხოვრებიდან, როგორიც წლების განმავლობაში იყო, ისეთივე უტყვი და გულჩათხრობილი, ისეთივე შეუმჩნეველი, ისევ წაშლიდა გულდასმით თავის ყველა ნაკვალევს, სრულიად დარწმუნებული, რომ არაფერი აქვს ცხოვრებაში დასაკარგი. შეიძლება ვერც ვერაფერი აემორებინა თავიდან, ვერავინ დაეცვა თავისი გახევებული ხელისგულებით, ვერც შვილი დაერწმუნებინა, რომ მისი ცხოვრება მაინც იყო ფასეული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მზად იყო ეცადა, უკანასკნელი ძალა მოეკრიბა და ეცადა - დიდი ხნის წინ რომელიღაც სკოლის ეზოში ჩამარხულ სისასტიკეს თანაგრძნობისა და არსებობისთვის ყოველდღიური ბრძოლის ატანის უნარი საბოლოოდ რომ არ წაერთმია მისთვის.

მიწამ პირი დააღო. დრო უკუღმა დატრიალდა, თანმიმდევრობა აირია, უბედურება შავი ფრინველივით დაეშვა მათკენ და მოქნეული ფრთა წამით შეახო.

ქრისტინემ დაუჩოქა, შევედრა, ხელებში სწვდა, მაგრამ ანდროს არ უნდოდა დარჩენა, აღარც არაფრის გადარჩენა უნდოდა და აღარც არაფრის შენარჩუნება. უკან დაბრუნდა, თავის არაყთან და ლენინის ბიუსტებთან. სიამოვნებით ჩაანაცვლა ანწყო წარსულით. რატომ არაფერი უთხრა კიტიმ?

რატომ არ მისწერა? როგორ ვერ გაიგო, რომ ორსულად იყო?

სვამდა და მტკივან მუშტებს უშენდა კედლებს.

ღამეებმა სისხლიანი სურათები დააკანრეს მკერდზე.

ჰაერი არ ჰყოფნიდა.

თავის ჩაქუჩს სტაცა ხელი. დალენა ლენინის დიდი თავი, რომელიც სამი წლის წინ თავდაცვის შენობაში არ დადგეს იმ მიზეზით, რომ საკმარისად დახვეწილი ცხვირი არ ჰქონდა ლენინს.

სვამდა და სვამდა.

მეზობლები მოცვივდნენ, უბრახუნეს კარზე, ეძახეს. ანდრომ კარი ჩარაბა. ჩაიკვება და ცხოვრება უკან გადაახვია.

* * *

მიღწევა გვინდოდა რისიც,

უკვე გვაქვს...

სიმშვიდე გვეღირსა...

შენ სტირი – არა ვარ ღირსი

მე შენი ცრემლისა.

ახმატოვა

სულ სხვა სამყაროში, სულ სხვა ქვეყანაში, სულ სხვა ცხოვრებაში ქალი შფოთიანი ძილიდან გამოერკვა და ლოგინში წამოჯდა. რაკი აღარ ეძინებოდა, ფეხშიშველი გავიდა საძინებლიდან, ბარიდან ყველაზე ძვირფასი ვისკი გამოიღო და დაისხა. შუქი არ აანთო. მარტო იყო. იდგა და ქუჩის განათებით დახვრეტილ სიბნელეს მისჩერებოდა.

გული შეეკუმშა, თითქოს ვიღაცამ ხელი მოუჭირა და აღარ უშვებდა. ხედავდა, როგორ ათამაშებდნენ გამვლელი მანქანები შუქჩრდილს მის მიშველ, ფერმკრთალ კანზე.

უცებ საშინელი დაღლილობა იგრძნო. და მაშინვე გაახსენდა ის სიზმარი, რამაც გააღვიძა. ქერა კულულებიანი ბიჭი ესიზმრებოდა. ანდროს სახეს ხედავდა, იმ ანდროს, რომლისთვისაც ჯერ დაღი არ დაესვა ომს და რომელიც საოცარ ანგელოზების ფიგურებს თლიდა ხისგან. იმ ანდროს, რომელიც ხელის გულებს უკოცნიდა და წამწამებს უთვლიდა, სახეზე ჩამოყრილ თმას რომ უსწორებდა და ჰპირდებოდა, არასდროს შევიცვლებიო.

მუქი, გეთოვანი სითხე გადაყლურნა. ზუსტად შვიდი ღამე იყო უკვე, რაც თავში ერთადერთი აზრი უტრიალებდა: სახლში მინდა. მარტო ეს სურვილი ამოძრავებდა. ეს სურვილია შერჩენოდა. სახლში მინდა, ღია ჭრილობასავით ფეთქავდა მის კანზე, სახლში მინდა, უგუგუნებდა ყურებში, ბრჭყალებივით ესობოდა გულ-ღვიძლში, ყვირილი უნდოდა, თავისი სურვილის ასრულება უნდოდა.

ძალიან გაუმართლა. უსირცხვილოდ უმართლებდა, სანამ უბედურება არ დაატყდა თავს და ნაკუნებად არ აქცია. შეძლო კი ამ ნაკუნების შეგროვება? ისევ ირეკლებოდა სარკეში მისი სახე?

რამდენი აღფრთოვანება და აპლოდისმენტები და სიმღერები დაუგროვდა, რამდენმა ადამიანმა ირწმუნა მისი, რამდენი დაეხმარა. უსაზღვროდ მადლობელი იყო – და ჯერაც ვერ იჯერებდა, აღიარების ამდენი წლის შემდეგ. ვერ იჯერებდა, რომ ასეთი შანსი მიეცა, მას მერე, რაც სამყარო უკიდევანო შავ ხვრელად მოევლინა.

ნუთუ ეს მისი ცხოვრება იყო? მართლა დაწერა ის სიმღერები? იქნებ ახალ სამყაროში გამგზავრებისას მოიშორა თავისი ცხოვრება? ქურდივით შეიპარა სხვის ცხოვრებაში – იმ ლუქსემბურგელი ქალის, თუნდაც. სახლში მინდა!

თუ სხვა ფიქრიც არ ასვენებდა? იყო კიდევ რაღაც? ჰო, ის ხუთასოიანი სახელი, ყოველი „სახლში მინდას“ უკან რომ იმალებოდა. ფრედი.

ფრედი, რომელმაც სიცოცხლე ჩაჰბერა, სხეული დაუკოცნა, თეძოები აუცეკვა, მკლავებში მოიქცია. ფრედი, რომელიც ძველი ვენის მოძებნას შეჰპირდა – „მართალია, იმ ნაცისტების ბუდეში დაბრუნება სრულ უაზრობად მიმაჩნია, მაგრამ თუ ასე ძალიან გინდა, კი ბატონო, წავიდეთ“.

როგორ უხაროდა ახალი ცხოვრების დაგეგმვა, როგორ ეგონა, რომ ჯოჯოხეთს გადაურჩა ფრედთან ერთად.

როგორ ირჩევდნენ სახლს. ლამაზ, ახალ ბინას დიდი სახელოსნოთი ფრედისთვის. როგორ უყვებოდა ფრედი ვენის ულამაზესი უბნების შესახებ და როგორ შეაყვარა ისინი. როგორ ბუნებრივად ეჩვენებოდა მაშინ მომავალში დაბრუნება.

მერე კი ის ტურნე ამერიკაში! ღმერთო, რა კარგი იყო! კიტის გაეღიმა, ვისკი დაიმატა. როგორ უსიტყვოდ და მოხდენილად დაბრუნდა იმ დროს ემი მის ცხოვრებაში. როგორი მიღება მოუწყვეს ნიუ-იორკში! როგორი თავბრუდამხვევი იყო პირველი კონცერტი ბრუკლინში, ყოფილი ფაბრიკის შენობის მოდურ სხვენში. თუ, ბრუკლინი არ იყო? თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? როგორ იცეკვა ემისთან საგრიმიოროში. როგორ დასთანხმდა მერე ემი – ცოტა ნაწყენი, – რომ ფრედიც შეერთებოდა მათ ტურნეს. როგორ იცინოდა ფრედი, კენედის აეროპორტში რომ დახვდნენ. რა მომხიბვლელად გამოიყურებოდა იმდენ ხალხში ის გიჟი, ის თავნება ეგოისტი. გემრიელი ლუდი გრინვიჩ ვილიჯში, ცენტრალ პარკში სეირნობა, ცათამბჯენები.

მის კონცერტებს მსმენელი არ მოჰკლებია, ფერადი შუქებით დასერილ სიბნელეში ხან ჩუმად ღიღინებდნენ მასთან ერთად, მელანქოლიურად, გრძნობებაშლილები, ხან კი ხმამაღლა, მრისხანედ აპროტესტებდნენ ყველაფერს, რისთვისაც მათ ცხოვრებაში სიმღერები ვერ მოიძებნა. ემი ჰყიდდა უფლებებს მის სიმღერებზე, რადიოები და ტელევიზიები რიგში იდგნენ მისი სევდიანი აღმოსავლური ამბის

გასაშუქებლად: მემარცხენე ვარსკვლავი ვენზელის მოედნის მემამბოხეო, - წამოიძახებდა ხოლმე ემი და თავგადაგდებული, თმაში ხელოვნურყვავილგაჩრილი ხარხარებდა.

როცა მეორე ჭიქაც გამოცალა, ის სასტუმროები გაახსენდა, სადაც ბარბაცით ბრუნდებოდნენ ხოლმე, ქანცგანყვეტილები, კონცერტების შემდეგ, ბოსტონი, ბალტიმორი, დეტროიტი, მაიამი, სან-ფრანცისკო, ლას-ვეგასშიც კი იმღერა, პატარა კლუბში, რომელიც სულ არ შეეფერებოდა იმ გაბრდღვიალებულ და აღვირახსნილ ქალაქს. ატლანტა, მიჩიგანი, ზოგი ქალაქის სახელიც კი აღარ ახსოვდა (იმდენად დასავლურად ჟღერდა მისი აღმოსავლური ყურისთვის), და ნიუ-იორკი, ისევ და ისევ ნიუ-იორკი.

თავის ვენაში მიიწევდა და ამერიკაში აღმოჩნდა. ეს იყო მისი დასავლური ბედნიერება. ეს ბედნიერებაც მოპარული იყო? სასტუმროები. კიტიმ თავი გააქნია. თვალწინ დაუდგა იმ უთვალავი სასტუმროს უთვალავი საწოლი. რამდენი ლოგინი გამოიარა თავის წითელთმიან ბაგირზე მოცეკვავესთან ერთად. ალბათ, მეტისმეტად გამომწვევი აღმოჩნდა მათი ბედნიერება სამყაროსთვის, ძალიან დიდხანს შესცინოდნენ სახეში! რატომ ვერ ივინყებდა მის სხეულს იმ მაღალ ბალიშებსა და ფუმფულა საბნებში. თითქოს გუშინ იყო. იმ ჰაეროვან, თარს სხეულს, წითელ ბუსუსებს მის იდლიებში, წვეტიან მუხლებს, მის ჯადოსნურ ხელებს. ალბათ, ეს მონატრება იყო ყველაზე მწარე. სხეულმა თითქოს სრულიად უღმობლად დაივიწყა მისი ყოველი შეხება, გონება კი ჯერაც სასონარკვეთილი ებღაუჭებოდა მოგონებებს.

გათენდა, მზის სხივმა დაშნასავით ჩახია ზეცა.

ასე ერთი ხელის მოსმით როგორ შეცვალა ის დაუჯერებელი ბედნიერება ამ აუტანელმა ტკივილმა? როგორ შეეძლო იმ ბედნიერებაზე ასე მშვიდად ფიქრი, როცა უკვე ყველაფერი დასრულებული იყო და თავში ერთადერთი ამრილა უტრიალებდა: სახლში მინდა. იმ ქალის გარეშე დარჩენილს, რომელიც მტკიცედ უცხადებდა თითქოს ყველას: მე შევძელი. მე სიკვდილი დავამარცხე. მე დავბრუნდიო. კიტის გულზე მოეშვა. მცენარეებით გადავსებულ აივანზე გაიხედა. რამდენჯერ უთქვამს ემის, რომ უკეთესი ბინა შეეძინა, ან კერძო სახლი, მაგრამ კიტის იქაურობაც სავსებით აკმაყოფილებდა. მეტი ადგილი რომ ჰქონოდა, მეტი ოთახი, კიდევ უფრო მკაფიოდ იგრძნობდა, რომ სტუმარი, ქურდბაცაცა, რომელიც სხვის ცხოვრებაში შეიპარა.

ცოტა შესცივდა, მაგრამ დაეზარა ადგომა, საბნის მოტანა. უნდა ესუნთქა. უბრალოდ, მშვიდად უნდა ესუნთქა. ფრედი არასდროს ყოფილა მისი ერთგული, მხოლოდ ლოიალური იყო, თავისებურად, ეს ხომ იცოდა კიტიმ, ყოველთვის იცოდა. აბა, რატომ ვერ აიტანა, როცა ფაქტის წინაშე დააყენეს? ფრედისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო, აცვენილი,

დაბნეული, თავსაც კი არ იმართლებდა, არც განკურნება უნდოდა და არც გადარჩენა, გაბრუება სჭირდებოდა, ეს იყო მისი წამალი.

როგორ ვერ ამოუშალეს მეხსიერებიდან მის თავში ჩაბეჭდილმა ბედნიერების კადრებმა ის ბინა კამდენში? ბინა ახალაშენებულ სახლში, რომელსაც ოთხი საათი ეძებდა, რადგან ზუსტი მისამართი არ იყო, როცა ვენაში, ზედ მარიაჰილფერის ქუჩაზე მდებარე ბინის შესყიდვის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი კვირა რჩებოდა. ჰო, ასეა, უნინი შეიძლება აღარ წვავდა მისი სხეულის უჯრედებს, სამაგიეროდ ტვინის უჯრედებს ყოველი წამი ახსოვდათ იმ უცხო ბინაში გატარებული მეორე თუ მესამე წუთიდან.

უავეჯო, ამკარად ჯერ შეუსახლებელი ბინა, რომელშიც წვეულება გაემართათ. სად აღარ დარეკა ფრედის ძიებაში და ბოლოს იმ ბინაში მიაგნო. ზუსტად ახსოვდა ყოველი სტრიქონი „როლინგ სტონზის“ სიმღერიდან Hide your love, ფონად რომ ისმოდა. ახსოვდა იატაკზე ჩამომსხდარი ადამიანები, ახალწასმული საღებავის სუნი და კიდევ კვამლის და რაღაცის, რაც თითქოს ეცნო და თან ძალიან ეუცხოვა. ჰიპურად ჩაცმული მოცინარი ადამიანები, სხვა დროში ჩარჩენილები, უმაქნისთა თავყრილობა, ასე რომ იზიდავდა ყოველთვის ფრედს, უდარდელობა.

ჰო, სამუდამოდ ჩაებეჭდა ტვინში: როგორ შემოიარა სხეულებით გაქცეული ოთახები თავისი მოღალატე, დაუდევარი, ხიფათიანი ფრედის ძებნაში, როგორ ეკითხებოდა იმ თვითკმაყოფილ ადამიანებს ფრედ ლიბლიხის შესახებ და როგორ იპოვა მერე თავისი მარლენ დიტრიხი „ლურჯი ანგელოზიდან“, მის მუხლებში კი ერთი იმ გოგოთაგანი, სხვის მუხლებში რომ ეძებენ თავშესაფარს. გოგოს ინდური სამკაული ჰქონდა ასხმული, დაუვარცხნელი თმა წელამდე სწვდებოდა, დახეული ჯინსი ეცვა, პატარა მკერდს ათამაშებდა ფრედის სახესთან. კიტის ახსოვდა, როგორ დაიხია უკან, როგორ გაარღვია ადამიანების კედელი და ხმამაღალი, მისთვის უკვე ტანჯვად ქცეული მუსიკა, და როგორ დაინახა ირგვლივ მყოფთა სახეებში რაღაც ისეთი, რაც ბევრად უარესი იყო, ვიდრე იმ უცხო გოგოს იქ ყოფნა, ვიდრე მის წელზე შემოხვეული ფრედის ხელი, შუშის თვალები. შენელებული მოძრაობა. სულ რაღაც წამებში დარწმუნდა, რომ მისი ანგელოზისა და იმ ინდურ-ჰიპური პატარძლის ვენებშიც მოყვითალო-მოყავისფრო სითხე მიედინებოდა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაც ასე სასტიკად ჰქონდა წაგებული.

მეორე დღეს ემის დახმარებით ჩაალაგა ფრედის ნივთები, ოთახი უქირავა Lea Bridge-ის მახლობლად, გასაღები კონვერტში ჩადო და საცხოვრებელი სახლის საქმეთა მმართველთან დატოვა. მერე თავისი სახლის კარის საკეტი გამოცვალა.

ფრედი რომ ურეკავდა, ტელეფონს აღარ პასუხობდა. საფოსტო ყუთში ჩაგდებულ, ფრედის გაურკვეველი ხელით ხელსახოცებზე

დანერილ ბარათებს ნაუკითხავად ყრიდა ნაგავში, და როცა ერთხელ ფრედი ჩაუსაფრდა ქუჩაში და აედევნა, ტაქსი გააჩერა და გაექცა.

მას მერე ნახევარი წელიწადი იყო უკვე გასული. ფრედი გაქრა მისი ცხოვრებიდან და ყოველთვის ინფორმირებულმა ემიმაც კი არაფერი იცოდა მის შესახებ.

ცხადია, ვენაში ბინის ყიდვის ხელშეკრულება გააუქმა. დანიშნულ კონცერტებსა და რადიოგამოსვლებზე უარი თქვა; მას მერე ერთი სიმღერაც არ დაუწერია.

ემის რჩევით, კიტიმ პატარა სახლი იყიდა ისტორნსა და შვიდი დის მომაჯადოებელ კლდეებს შორის და ყოველდღე გეგმავდა იქ გადასვლას. მაგრამ არც ამის თავი ჰქონდა. ერთადერთი, რაც არ ასვენებდა, იყო: სახლში მინდა.

* * *

ენვიე საბჭოთა კავშირს, სანამ თავად გწვევია.
საბჭოური გამოთქმა

ქრისტინეს ყოველ ნახვამე სულ უფრო სიტყვაძუნნი, სულ უფრო გათიშული მიქა ხვდებოდა, თითქოს საკუთარი ბედ-იღბალი ფეხებზე ეკიდა. ოქტომბერში, როცა მე უკვე შვიდი სიტყვის თქმა შემეძლო, ხოლო მირიან ერისთავი, თავიდან უბრალოდ მირო, სამი კილო და ცხრაასი, სრულიად ჯანმრთელი, ამ ქვეყანას მოევლინა, სხვადასხვა ფერის თვალებიანი, თითქოს ფერზე ვერ შეთანხმდნენო, ქრისტინემ მიქას სხეულზე ძალადობის პირველი ნიშნები აღმოაჩინა: აშკარად ჩალურჯებული მარჯვენა თვალი და ფეხი, რომელსაც თითქოს მიათრევდა. პატარა სულელური ჩხუბი მომივიდა საკანში მეზობლებთან, მეტი არაფერი, ნუ გეშინიაო, – უთხრა. და ხაზგასმით ხალისიანად მოიკითხა თავისი შვილი, ჰკითხა, სად იცხოვრებდნენ ლანა და ბავშვი.

– მგონი, ლანას დედის ბინაში ძალიან უბერავს, აბაზანაშიც ობი ყოფილა მოდებული, რა თქმა უნდა, ჯერ ჩემთან დარჩებიან, სანამ შენ გამოხვალ. წელს დიპლომი უნდა დაიცვას, გითხრა, ალბათ. მე და დედამისი მივხმარებით. დედამისს დიაბეტი ჰქონია, იცოდი?

ქრისტინე უაზროდ ქაქანებდა, ოღონდ სიჩუმე არ ჩამოწოლილიყო. მიქა თავს უქნევდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ სხვა რამეზე ფიქრობდა.

– გადასარევი ბიჭია, ნახავ მალე! შენ გგავს, მაგრამ შეიძლება მერე შეიცვალოს, ვინ იცის, გეუბნები, ბავშვები ყოველ საათში იცვლებიან. სამწუხაროდ, ღამდამობით მუცელი აწუხებს სანყალს და ხშირად ტირის, მაგრამ მე...

– ნეტა შენთან ვყოფილიყავი და შვილი არ მყოლოდა, – თქვა უცებ მიქამ, თან გაზეთში თავჩარგულ მცველს გახედა. მას მერე, რაც ქრისტინემ რაღაც ფული ჩაუკუჭა, ისე ბუსტად აღარ უთვლიდა

შეხვედრების დროს. ქრისტიანებმა ნერწყვი ჩაყლაპა, ღრმად ჩაისუნთქა, კისერი დაიზილა ნერვიულად.

- სიგიჟეა, რასაც ამბობ, არც მინდა ამაზე ლაპარაკი.

- შევცდი, ქრისტიანე. ჩიხში აღმოვჩნდი. მაგრამ გპირდები, ყველაფერს გამოვასწორებ.

ხმაზე უკვე ამჟღავნად დაეტყო, როგორ ღრღნიდა დარდი, რასაც მანამდე ოსტატურად მალავდა.

- მითხარი, სად მოვძებნო! მითხარი და გამოგიყვანთ აქედან! - უჩურჩულა ქრისტიანემ, - გეფიცები!

მაგრამ მიქამ მხოლოდ თავი გააქნია.

ორი კვირის შემდეგ გაირკვა, რომ პატიმარი საკანში აღარ იმყოფებოდა, „თირკმელებმა შეაწუხა“ და დროებით ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს იქვე.

- უნდა ნახვიდეთ და ჩამოიყვანოთ. ნერილებზე არ მპასუხობს, ტელეფონთან არ მიდის, შინიდან არ გადის და კარს არავის უღებს. მე მიქას უნდა მივხედო, სხვაგან გადავაყვანინო, ადვოკატს უნდა მოველაპარაკო. ვიღაც ბანდიტებთან არის იქ ჩაკეტილი, მაგას იქ რა უნდა, იმათაც იციან და თავიანთ ბოლმას მაგაზე ანთხევენ! წადით და თბილისში ჩამოიყვანეთ. თორემ გადაყვა ლოთობას. მე ყველაფერს ვერ გავწვდები.

ლანა უკმაყოფილო სახით მისჩერებოდა კედელს, ელენე ფეხსაცმლის წვერით პარკეტის გახვრეტას ლამობდა.

- მე მარტოც შემიძლია წასვლა, ქრისტიანე... - სცადა ლანამ შეპასუხება.

- ელენეს მანქანა ჰყავს, მარტო მაინც ვერ მოახერხებ იმის წამოყვანას! - ქრისტიანე წყობიდან გამოვიდა, - მიროს მე მივხედავ როგორმე.

ელენე დიდად მოხიბლული არ იყო ამ ქალთან ერთად ექვსსაათიანი მდუმარე მგზავრობის პერსპექტივით, მაგრამ ქრისტიანეს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, ასე რომ, მეორე დღეს, მზის ამოსვლისთანავე მიადგა თავისი მანქანით ქრისტიანეს სახლს და კარი გაუღო ლანას, რომელიც გაყინულსახიანი მიუჯდა გვერდით.

შემოდგომა უკვე მოჰფენოდა ბორცვებს თბილისის ირგვლივ, და მათ ნისლში ჩაფლული ქალაქი დატოვეს. ელენემ რომელიღაც რადიოტალდა ჩართო, ლანამ კი შესაფერისი მუსიკის ძებნა დაიწყო. ელენემ იმდენ ხანს იზუზღუნა მუსიკის გამო, სანამ ლანა იძულებული არ გახდა, თავისი მუსიკალური გემოვნების შესახებ ეთქვა რამდენიმე სიტყვა. საყვარელი ბუნდებიდან საყვარელ ფილმებზე გადავიდნენ, ფილმებიდან სახადებზე, მერე აცრებზე, მერე თავ-თავიანთ შვილებზე ილაპარაკეს და გამოწვევებზე, რომლებიც ახალგაზრდა დედების ბედნიერებას ახლდა. როცა რაჭაში ჩავიდნენ, ყინული გამლღვარი იყო,

და როცა შესვენება გადანყვიტეს და რაღაც მივარდნილ გზისპირა სასადილოში ცოტა წაიხემსეს, ელენე უკვე უსაფრთხოდ მაინც გრძნობდა თავს.

მაღლა და მაღლა მიიწვედნენ ქარიანი, ციცაბო, უმეტესად მოუასფალტებელი გზებით. მთის სოფელს რომ მიაღწიეს, ჩამობნელდა. ელენესთვის ეს მხარე უცნობი იყო, ლანა იქ ნამყოფი ჩანდა. მალევე მიაგნეს პატარა ქვის სახლს, მიქას გარდაცვლილი დედის მზითევს, ერთსართულიანი სახლი იყო, ჭრიალა ჭიშკრით. დაუძახეს ანდროს, დააკაკუნეს, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. რაკი ჭიშკარი ჩაკეტილი დახვდათ, გადანყვიტეს, დუქანში შესულიყვნენ, გზად რომ გამოიარეს, და იქ დაეცადათ.

როცა მოგვიანებით ისევ დაბრუნდნენ სახლთან, უკვე უკუნი სიბნელე იყო. მარტო მთის მწვერვალები ელავდა თეთრად, ვარსკვლავებით. პასუხი ისევ არავინ გასცა. მეზობელი სახლიდან მოხუცმა ქალმა გამოიხედა, იკითხა, რა გინდათო. ელენემ ლანაზე უთხრა, ეს ანდროს რძალიაო.

ქალმა ურჩია უკანა კარიდან შესულიყვნენ, სამზარეულოდან, სახლის პატრონი მთვრალი იქნება და სძინავს, ალბათო.

გაურეცხავი ჭურჭლის, საჭმლის ნარჩენებისა და ალკოჰოლის მკვეთრი სუნი ეცათ ცხვირში, როგორც კი სამზარეულოში შეადგეს ფეხი. ცოტა ხანს სიბნელეში იფათურეს, სანამ ისეთი შუქის ჩამრთველი იპოვეს, რომელიც მუშაობდა. ყველგან ჭუჭყი, დიდი ხნის დაგროვილი ნაგავი, ყველა კუთხეში ცარიელი ბოთლები, რომელთაც მტვერი ხელუხლებელი პუდრივით ედო. დერეფანში დიდი ქვები ენყო ერთმანეთზე, იატაკზე ქვის ცხვირები და ყურები იყო მობნეული, მარქსის შეუდარებელი წვერი და ლენინის პირი ეცნოთ.

ტანსაცმლის გროვა, ისევ და ისევ ცარიელი ბოთლები, ეტიკეტების გარეშე, წიგნების დასტა, ტომრები თაბაშირით და ლითონი. უცებ ელენე შედგა, ხელში პატარა, ჩარჩოში ჩასმული სურათი ეჭირა.

- რა მოგივიდა? - ჰკითხა ლანამ. ელენე მოჭადლოებულებით დასცქეროდა სურათს, გაზეთიდან ამოჭრილს, შავ-თეთრს.

- ეს ვინ არის?

ლანა გვერდით მიუდგა.

- მამიდაჩემია.

- მამიდაშენი? არ ვიცოდი, მამიდა თუ გყავდა.

- მყავს. დასავლეთში ცხოვრობს. ცნობილი მომღერალია.

ანდრო სადაც იწვა, ოდესღაც საძინებელი ოთახი უნდა ყოფილიყო, ხვრინავდა.

- ჯობია, გამოიძინოს, ელენე, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ მშვიდად სძინავს, ხვალ ადრიაანად ჩავსვათ მანქანაში. მოდი, მომეხმარე! დავალაგოთ აქაურობა!

ლანა ენერგიულად შეუდგა საქმეს: საძინებლის კარი გამოიხურა, ელენე სამზარეულოში შეაგდო, ყველგან შუქი აანთო, იპოვა ცოცხი, რაღაც ჩვრები, ტაშტი და საპნის ნატეხი. ცოტა ხანში გამოუსადეგარი და ბინძური ნივთების მთელი გროვა გაჩნდა ებოში. მერე ბნელ ებოში დადგნენ. ლანამ ხელები შემოიხვია მკლავებზე და ცას ახედა: მილიონობით ვარსკვლავი აკიაფებულებო იქ, მაღლა, ისე ახლოს ჩანდნენ, თითქოს გვირგვინებს ადგამდნენ ორივეს. თითქოს ღამეს უნდოდა დედამინისკენ გადმოხრილებო და ყური მიეგდო.

- აქ არ არის, - თქვა ლანამ მშრალად.

- რა არ არის? - იკითხა ელენემ.

- მთელი სახლი გადავატრიალე. უნდა ვიპოვო. უნდა ვიპოვო!

ელენე ჯერ დაეჭვებული უყურებდა, მერე კი აზრზე მოვიდა:

- არ მითხრა ახლა, რომ ფირი მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ იყო! არ მითხრა, რომ შენ მთელი ამ ხნის განმავლობაში იცოდი, სადაც არის!

- იყო, - შეუსწორა ლანამ, - შავ ყუთში იდო, რომელსაც „მიქას სათამაშოები“ ეწერა. ხის ყუთია, შავი! ეძებ!

იატაკზე იხობეს, ავეჯის ქვეშ შეიხედეს, თაროები გამოინიეს, უჯრები გადაქექეს. შუაღამეს გადაცილებული იყო, როცა ელენემ გვერდითა ოთახიდან შეძახლი გაიგონა და იქით გავარდა. ლანა შუა ოთახში იდგა მისკენ ზურგით და პატარა შავი ყუთი ეჭირა ორივე ხელით მაგრად, ერთიანად ცახცახებდა. თავიდან ელენე ვერც მიხვდა, სიხარულისგან თუ იმედგაცრუებისგან. როცა ლანა მისკენ მოტრიალდა, ცრემლები მოსდიოდა ღვარად.

თავისდა უნებურად ელენეს ძალიან ახლობელი ეჩვენა ეს ქალი, რომლის მიმართაც კეთილგანწყობილი არასდროს ყოფილა. უეცრად ყოველი მისი ეჭვი, მისი დანაშაული, მისი სიძულვილი და უკანდახევაც კი გასაგები გახდა მისთვის. კარგად გაუგო ამ უხემ, უკმეხ ქალს, რომელიც იმავე მამაკაცისგან დაორსულდა, რომლისგანაც თვითონ. ნახევრად ბნელ ოთახში აკანკალებული, ატირებული ლანა რომ დაინახა ფილმით ხელში, მოულოდნელად შვება იგრძნო. ელენე სახიფათო გამოაშკარავების მონმე გახდა, და ნებისმიერი სხვა, ოდნავ მაინც საღად მოაზროვნე ადამიანი, ალბათ, უსაყვედურებდა ლანას, ეტყოდა, ეგოისტურად მოიქეციო, ქმრის გადარჩენა არც გიფიქრიაო, ცხოვრება დაუნგრეო, მაგრამ ელენემ ვერაფერი უთხრა.

ლანამ კი ელენეს დანახვისთანავე გააცნობიერა თავისი არასახარბიელო მდგომარეობა, მაშინვე მოეგო გონს და ყუთი იატაკზე დადო, ორივე იქვე ჩაჭდა.

- ველარაფერს შეცვლი. კიდევ უფრო გააფუჭებ საქმეს. მიქას არ მოეწონება. და თუ გაგიგეს, რომ იცოდი, სადაც იყო ფილმი, მოღალატედ შეგრააცხავენ. არ ვიცი, რა მიზეზით გადამალე ეს ყუთი აქ, მაგრამ ის კი

ვიცი, რომ ახლა ფილმის დაბრუნება არაფერს შეცვლის, – თქვა ელენემ ნელა და დაფიქრებით, ყოველი სიტყვა აწონ-დაწონა.

– რას ლაპარაკობ? მიქა ვერ გაუძლებს. იმ ძალადობას. იტანჯება იქ. მას... თავიდან უბრალოდ ფილმზე ვფიქრობდი, რატომღაც მეგონა, რომ ეს ფილმი რამეს შეცვლიდა. მერე დავორსულდი, ვიფიქრე, ჩვენს შვილს განსაკუთრებული მშობლები უნდა ჰყავდეს-მეთქი. მერე უკვე მიქამ თვითონ მითხრა, არ დანებდეთ. შეპყრობილია ამ აბსურდული იდეით. რა სულელი ვიყავი, ნამდვილი სულელი.

ლანამ ხელი მოიქნია და სახეში გაილანუნა. მაგრამ ეს რაღას უშველიდა, რაღას გამოასწორებდა.

– შენ აზრზე არ ხარ... – სლუკუნებდა და ისევ ხელებს სახეში ირტყამდა. ელენეს არც უცდია მისი გაჩერება. ერთ ბედქვეშ იყო ორივე და თუ ეს შვებას მოუტანდა ლანას, ამაში მაინც არ შეუშლიდა ხელს.

სიმართლის უთვალავი ვერსია არსებობდა, და ყოველი მათგანი სახეს იცვლიდა ხსენებისას, ძველი პურივით იფშვნებოდა და მხოლოდ უსიამოვნო გემოს ტოვებდა პირში. ბოლოს ელენემ, ალბათ, ყველაზე სარწმუნო ვერსია აირჩია, როცა ლანას უთხრა: „მიქას შენ არ უყვარხარ. და არც შეგიყვარებს, რაც უნდა გააკეთო“.

მეორე დილას ჯერ კიდევ გაბრუებული ანდრო ძალით ჩატენეს მანქანაში და ქალაქისკენ დაიძრნენ. შავი ყუთიც მანქანაში იყო. მაგრამ იმ ღამის მერე ელენე დარწმუნებული აღარ იყო, რას უპირებდა ლანა ამ ყუთს.

თუმცა ამის გამოსაცნობად დრო აღარ დარჩა. ქრისტიენეს ბინაში ელენესთვის დატოვებული ბარათი აღმოაჩინეს: მიქა ისევ ციხის საავადმყოფოში მოხვდა, სასწრაფოდ უნდა გადავაყვანიოთ უფრო უსაფრთხო განყოფილებაში, შინ წადი და მამაშენს დაელაპარაკე. სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია.

* * *

საბჭოთა კავშირი – თავბრუდამხვევი წარმატება!
“პრავდა”

– ჰო, მე ვარ. მგონი, ცოტა ზედმეტი მოგივიდა. რას ჰქვია, ვეღარ აკონტროლებ? მილიციაში შენ ხარ და აბა, ვინ აკონტროლებს. რას ჰქვია უგონოდ? ხომ უნდა მიგეყცია ყურადღება, ვისთან ერთად სვამდი საკანში. მე მინდოდა ასე? მე გთხოვე, ცემაში ამოხადეთ-მეთქი სული? შენგან ამას არ ველოდი. ესე იგი, პირადად მომიწევს ყველაფრის მოგვარება. არა, გმადლობ. არა, საკმარისად გამოასწორე უკვე. ყველას მაგივრად მე რატომ უნდა ვიფიქრო? სად შეიკრიბეთ ამისთანები, ორჯერ ორი რომ არ იცით? ბუნებრივია, არ შეუძლია თავის დაცვა, არასრულწლოვანთა კოლონიიდან კი არ არის! ცხვირწინ არ გედო მაგის საქმე? კარგი, მაშინ

გადაეცი შენს თანამშრომლებს, რომ შეწყვიტონ. დაივიწყონ ყველაფერი. სულ არ მინდა, ფეხები გაფშვიკოს იქ. როდის არის პროცესი დანიშნული? კარგი, მაშინ ეს სამი კვირაც მოვიცადოთ და მერე... გაუშვებენ.

ელენე ამ სატელეფონო საუბრის ყოველი სიტყვის ნაკუნს ისრუტავდა, თუმცა მამამისის ვაბინეტის კარზე აკრულს ტირილიც კი არ შეეძლო, არადა ცრემლები ახრჩობდა.

კოსტიამ დაცვას ჩაუარა, საშვი აჩვენა და რუხ, გისოსებში ჩასმულ ციხის საავადმყოფოს შენობაში შეაბიჯა. აყლაყუდა მცველი გულგრილად იყურებოდა სადღაც, ორნი კარტს თამაშობდნენ, იაფფასიან „ასტრას“ ეწეოდნენ. როცა ბოლოს გამოვიდა, სიბნელე უფარავდა სახეს, ძნელი იყო რამის ამოკითხვა. ქრისტინესთან მივიდა.

- კომაშია, - უთხრა დაუფარავად, - ჩხუბი მომხდარა.

- ისე სცემეს, რომ კომაშია?

ქრისტინეს დაჯერება არ უნდოდა.

- არა... ახრჩობდნენ.

ქრისტინემ ხელები აიფარა სახეზე.

- მითხრეს, არ ვიცით, რამდენი ხანი ჰქონდა ჟანგბადი გადაკეტილი.

- უნდა ვნახო.

- არა მგონია, რომ...

- ახლავე შემიყვანე.

- ცოტა დრო დამჭირდება. ჯერ უნდა დავრეკო. პატიმარია, რაც უნდა იყოს.

- პატიმარი, რომელსაც ახრჩობდნენ და არც ერთი მოხელე არ დაეხმარა!

ხუთი დღე იყო მიქა კომაში, სანამ ჟანგბადის ბალონი არ გამოაერთეს. მძინარეს ჰგავდა. სისხლჩაქცევები თითქმის აღარ ეტყობოდა. ანდროს გული წაუვიდა საავადმყოფოს დერეფანში. სტასია არწევდა, როგორც ადრე, პატარაობისას, დედამისიც ასე არწევდა, სანამ ცოცხალი იყო. ქრისტინე მიქას უსიცოცხლო სხეულს ჩაეხუტა და გაქვავდა, ბევრჯერ გააფრთხილა პერსონალმა, მაგრამ ძალით წამოყენება ვერავინ გაუბედა.

მხოლოდ ლანა მოსთქვამდა გაუჩერებლად და ხელებს მუხლებზე იცემდა.

და როგორც კი სტასიამ თავი აწია, საავადმყოფოს დერეფნის მოლურჯო შუქში სოფიო ერისთავი დაინახა. ისე იდგა, თითქოს ცოტა ხნით შემოიარა, უბრალოდ, გამარჯობის სათქმელად, და არავითარი საბაბი არ ჰქონდა. ფეხის კანკალით გაემართა სტასია თავისი მარად ახალგაზრდა მეგობრისკენ.

“ახლა ისე ნუ მიყურებ, თითქოს არ მელოდი” - უთხრა სოფიომ.

“ყველაფერი ნაცარტუტად მექცა. რაც შენ აღარ მყავხარ, ყველაფერი წყალში მეყრება...” - სტასია უხმოდ ამოძრავებდა ტუჩებს.

“ოცდაერთი წლის იყო, ღმერთო ჩემო, სულ რაღაც ოცდაერთი წლის. ვერაფერს გავხდი, ყველაფერი ხელიდან გამისხლტა, გაქრა, როგორც დიდ საცერში”.

“ეჰ, ტასიკო, გამოუსწორებელი ფატალისტი ხარ”.

“რა უნდა მექნა? რა?”

“რა და გეცეკვა, ტასო, უნდა გეცეკვა”.

– ვის ელაპარაკები, დედა?

კოსტიას ხმამ დაიქუხა დერეფანში და მოჩვენებითი საუბარი გააწყვეტინა. სტასიამ მიმოიხედა. დერეფანი ცარიელი იყო. სამაგიეროდ შვილმა ისევ დედა დაუძახა.

* * *

Hearts of fire creates love desire

High and higher

To your place on the throne.[5]

Earth, Wind and Fire

კიტი გაირინდა. თვითონაც არ სჯეროდა, რომ მოახერხა. ხმას სახე მიეცემოდა, ბოლოს და ბოლოს. უკვე ესმოდა ნაბიჯების ხმა. მაგრამ ჯერ არ იყო მზად, რომ მიეხედა. ისუნთქეო, არიგებდა საკუთარ თავს, მშვიდად ისუნთქეო, არ შეხედოო. ნაბიჯები თანდათან უახლოვდებოდა „ჰაიდ პარკში“ მჯდომ კიტის, სადაც პირველად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს – მართლა დაუჯერებელი იყო, პირველად ამდენი წლის განმავლობაში!

დილიდან სუნთქვა ეკვროდა. მას მერე, რაც ამ კაცის კვალს მიაგნო, სხვა ვერაფერზე ფიქრობდა. იმ ხმისთვის სახის მიცემის შეუძლებლობამ ძილი წაართვა და აზრები აუნუნა, მშვიდად სუნთქვის უნარიც კი დააკარგვინა, უბრალოდ მშვიდად სუნთქვის.

მაშინაც კი არ გახედა კიტიმ, როცა, როგორც ყოველთვის პუნქტუალური, ალანია გვერდით მიუჯდა, მხოლოდ თვალი მოჰკრა, რომ ჩია აღნაგობის იყო. არადა, ყოველთვის დიდი წარმოედგინა, ყოველ შემთხვევაში, მასზე მაღალი მაინც. რუხი ზოლიანი კოსტიუმი – ტანსაცმელზე კი რაღაც მსგავსს ფიქრობდა – სათვალე – იფიქრებდა, რომ სათვალისანი იყო? – მელოტი თავი – მელოტი თუ იქნებოდა, აზრადაც არ მოსვლია.

– კიტი?

ჰო, მისი ხმა იყო. ოღონდ ამჯერად სულ ახლოს. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. თავი ძლივს შეიკავა. ნელა მიაბრუნა მისკენ სახე, ფრთხილად. თითქმის შეუმჩნევლად, დაკვირვებით, უხმაუროდ.

– გამარჯობა, გიორგი.

ხმამ უმტყუნა. შეხედა, მღელვარებას მოერია და გაუღიმა. მისი სახე, მისი მრგვალი, უბრალო სახე ეცნო. ნეტა რატომ? მისმა ხმამ იქონია გავლენა მისი გარეგნობის აღქმაზე? მისმა განსხეულებულმა ხმამ? გამორიცხული იყო! ნამდვილად პირველად ხედავდა.

- ახლა რა ვქნათ?

თბილად, ალერსიანად გაუღიმა. მისი ღიმილი ისე უხდებოდა მათ უთვალავ სატელეფონო საუბარს, წლების განმავლობაში რომ აკავშირებდათ. ხავერდოვანი ბარიტონი, რბილი, დაბალი ხმა, არავითარი ბზარი, არავითარი იარა. და ისეთი ახლობელი, რომ კიტის გააჟრუოლა კიდევ. მისი ოდეკოლონის სუნი იგრძნო, ციტრუსის სურნელი. დრო სჭირდებოდა, სანამ მისი ნამდვილი სახე წარმოსახვით სურათებს ჩაანაცვლებდა. კარგად უნდა დაემახსოვრებინა. მისი ყოველი ნაკვთი. პასუხი რომ ვერ მიიღო, კიდევ დაუსვა შეკითხვა, უკვე სერიოზულად:

- როგორ მიპოვეთ?

- ვერძო დეტექტივი დავიქირავე. დიახ, აი, ასე მარტივად, როგორც Film-noir-ში. ზუსტად ასეთი ტიპი. მართალია, სანვიმარი არ ეცვა, სამაგიეროდ, ქუდი ეხურა. მან დამარწმუნა, რომ ნებისმიერი ადამიანის პოვნა შეიძლება. თუ საერთოდ არსებობს და მკვდარი არ არის. მე დავარწმუნე, რომ თქვენ არსებობთ. რომ იმავე ქალაქშიც კი ცხოვრობთ, სადაც მე. ჰო, მე ვიცოდი ეს, გიორგი. თავიდანვე ვიცოდი. თუმცა ბევრი დრო დაეხარჯა. ასე მითხრა თქვენზე, პროფესიონალიაო.

ახლა უკვე გაეცინა კიტის, როგორც იქნა, გულზე მოეშვა.

- გახსოვთ, გიორგი, ღმერთო, ჯერ ამ სახელს უნდა მივეჩვიო. აზრადაც არ მომივიდოდა ეს სახელი. იმდენ რამეს უნდა მივეჩვიო. ჰო, იმას ვამბობდი, წერილის გამოგზავნა რომ გთხოვეთ, როგორც ძველ დროში აკეთებდნენ. ასე მითხრა, ყოველთვის სხვადასხვა ავტომატიდან რეკავსო. ამიტომაც გთხოვეთ წერილის გამოგზავნა. თქვენ კი უარი არ მითხარით ამ თხოვნაზე. საბედნიეროდ. ჩვენი კინოგამირი კი წერილის კვალს გაჰყვა. და მოგძებნათ. წვრილმანები არც მაინტერესებდა. ერთადერთი რამ იყო ჩემთვის მნიშვნელოვანი: თქვენი სახელი. ორი დღის წინ დამირეკა: ვაპოვე თქვენი კაციო. ზუსტად ასე თქვა: თქვენი კაცი. თავიდან ვიფიქრე, ცდება-მეთქი. მაგრამ მერე მითხრა: გიორგი ალანია ჰქვია. საბჭოთა კავშირის საელჩოში მუშაობს ლონდონში, კულტურის განყოფილებაშიო. და უცებ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. პრალაში გამგზავრება და... მიხვდი, რომ ეს თქვენ იყავით. დანარჩენი უკვე იცით, მერე უბრალოდ საელჩოში დავრეკე. სხვათა შორის, ავტომატიდან დავრეკე, ვერ გავრისკე ჩემი ბინიდან თქვენი ნომრის აკრეფა. აღმოჩნდა, რომ მართლაც არსებობს ვინმე ალანია კულტურის განყოფილებაში. და სანამ ყურმილს აიღებდით, უკვე ვიცოდი, რომ გიპოვეთ. მე თქვენ გიპოვეთ.

- რაც თქვენ მოიმოქმედეთ, მეტისმეტად სახიფათოა, კიტი.

- უნდა გამიგოთ! ჩემი ცხოვრება... უნდა მომეძებნეთ. და შინ უნდა დავბრუნდე.

მაშინღა შეამჩნია, რომ გიორგის ხელები უკანკალებდა. თვალსაც არიდებდა. ჩუმად შეავლო თვალი. მის სათვალეს განსაკუთრებული ჩარჩო ჰქონდა, სპილოსძვლისფერი ორნამენტით. როგორი სევდიანი ჩანდა მისი თვალები შუშების მიღმა. უნდოდა, ხელი შეეხო მისთვის. ჩავარდნილი ნიკაპი. გაფითრებული კანი. წამით თითქოს კონტროლი დაკარგა სიტუაციაზე, ასეთი რამ წლების განმავლობაში არ მოსვლია, თითქოს უსუსური გახდა, თითქოს ისიც შეხებას ნატრობდა, რასაც ვერ გაუძლებდა, რაც თავისი სამყაროდან მოჰკვეთდა.

- არავინ არ უნდა იცოდეს, რომ ერთმანეთს შევხვდით. თორემ ბევრ ადამიანს შეექმნება საფრთხე. მათ შორის იმათაც, ვინც ძვირფასია თქვენთვის.

მფარველის როლში დაბრუნების ამ მცდელობამ კიტი უფრო დაანაღვლიანა.

- მესტუმრეთ როგორმე. გამომიარეთ. თქვენი ნახვა მინდა. თქვენი გაცნობა მინდა!

სუნთქვამკვრული წამოხტა, ვეღარ აიტანა მისი ფიზიკური არსებობა, მისი ხორცშესხმული ხმა, ზურგი აქცია და წავიდა. რამდენი სათქმელი დაუგროვდა წლების განმავლობაში და სიტყვაც ვერ უთხრა.

მაგრამ ახლა ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ გიორგი ალანია, რაკი ერთხელ გაბედა სამალავიდან გამოსვლა, ასე უბრალოდ ვეღარ გაუჩინარდებოდა ანონიმურობის ბინდში და მივიდოდა მასთან! აუცილებლად მივიდოდა!

კიტის ერთადერთი თხოვნა ჰქონდა გიორგისთან. დარწმუნებული იყო, რომ დაიყოლიებდა. როგორმე დაიყოლიებდა. ყველა ღონეს იხმარდა (რას იზამდა, ჯერ თვითონაც არ იცოდა). ამ სურვილის ასრულებაზე უარს ვერ ეტყოდა.

და ხუთი დღის შემდეგ, გვიან ღამით, როცა გარეთ უკვე ბნელოდა, მის კარზე ზარი გაისმა, კიტიმ ზუსტად იცოდა, რომ გიორგი ალანია იყო. ჰაიდ პარკში შეხვედრის დღიდან თავისი ბინიდან ფეხი აღარ გაუდგამს. მისი წამიერი უსუსურობა, როცა კიტი წამოხტა, მან კი ვერც შეაჩერა, იმის მანიშნებელი იყო, რომ უკან აღარ დაიხევდა. შეხვედრაზე რომ დასთანხმდა, უკვე ამით დაარღვია ყველა თავისი წესი. ახალი წესების დრო მოვიდა.

კიტიმ პალტო ჩამოართვა. გიორგიმ ნერვიულად განმინდა ცხვირსახოციტ სათვალე. კიტი ბანალურ ფორიაქში გადაეშვა, მისაღები ოთახის დაბალ მაგიდას სუფრა გადააფარა, გააწყო, სასმელი მოიტანა, რაღაც დაავიწყდა, სამზარეულოში გავიდა, მობრუნდა, დაჯდა, ისევ წამოხტა. მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგიმ კონცერტების

ფოტოები დაათვალიერა, ემის მიერ ჩარჩოებში ჩასმული და კედლებზე გამოფენილი. თითები მიუკაკუნა შუშას, შარვალზე გადაისვა ხელი.

კარგ ვისკიზე უარი თქვა და რამე უაღვლო ითხოვა. კიტიმ ანწლის ლიმონათი მოუტანა და გაუხარდა.

- არც კი ვიცი, რით დავინჯო, - თქვა კიტიმ და როგორც იქნა, მის პირდაპირ ჩამოჭდა პატარა პუფზე.

- არც მე, - თქვა გიორგიმ და გაღიმება სცადა. მისმა კარგად ნაცნობმა ხმამ დაამშვიდა და იმავე დროს დააფრთხო, რადგან კიტი გრძნობდა, რომ მის წინაშე სრულიად უცნობი ადამიანი იჯდა. ტუჩი შეახო ვისკის ჭიქას და თვალი გაუსწორა გიორგი ალანისას.

აქ ისევ წარსულში უნდა გადავხტე, როგორც უკვე გაგაფრთხილე, ბრილვა, როცა 1942 წელს გერმანული ვერმახტი საბჭოთა კავშირში შემოვიდა და გიორგი ალანია, ფრუნზეს სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული, პროფესიით გემთმშენებელი და ინჟინერი, ამურსკის გემთსაშენზე გააგზავნეს, იაპონიის ზღვასთან, რუსეთის უკიდურეს აღმოსავლეთში. ამგვარად, გაუმართლა და ომს გადაურჩა; გატიალებულ, გამყინვარებულ ინდუსტრიულ ქალაქში დარჩა, გატანჯული, უტყვი, დაღვრემილი ადამიანების გარემოცვაში, რომლებიც თავისუფალ საღამოებს თავ-თავიანთ ბარაკებში, შინნახადი არყის სმაში ატარებდნენ.

თანამშრომლებთან საერთო ენა ვერ გამონახა. ზოგი მასზე ბევრად უფროსი იყო, ზოგს მასთან შეუთავსებელი ხასიათი ჰქონდა, ზოგს კი სხვა სურვილები და ცხოვრების სხვა გზა. ალანია თავისუფალ დროს გულდასმით ადევნებდა თვალყურს ომის ახალ ამბებს, დიდხანს სეირნობდა აბობოქრებული ზღვის სანაპიროზე და - ყოველ შემთხვევაში პირველ წლებში მაინც - ვრცელ და ემოციურ წერილებს სწერდა თავის საუკეთესო მეგობარ კოსტია ჯაშს, საღამოობით კი სანთლის შექმნა შეუღალ ვერნს ან მაინც რიდს კითხულობდა თავის ბარაკში.

მუშაობა არ უჭირდა. სხარტად და ეფექტურად ამროვნებდა. ყველა პრობლემის გადაჭრა შეეძლო, რამაც დროთა განმავლობაში სახელიც მოუხვეჭა. მაინცდამაინც არ უყვარდათ, მაგრამ პატივს სცემდნენ. მიუხედავად იმისა, რომ, ყოველდღიური სამუშაოს გარდა, ახალ ტექნიკურ გამოწვევებისაც ეცნობოდა ყოველთვის, ვარჯიშობდა კიდევ, კითხულობდა და სხვადასხვა კერძსაც ამზადებდა, მაინც ყველასგან მონყვეტილად და უცხოდ გრძნობდა თავს იმ გადაკარგულში. ეს გრძნობა ბავშვობიდანვე ჰქონდა გამოცდილი, მაგრამ ლენინგრადში კოსტიასთან გატარებული წლების წყალობით გადაავიწყდა: ახლა კი ამ უსიამოვნო მდგომარეობასთან შეგუება უნევდა ისევ და მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა ამას.

ისედაც ყოველთვის გულჩათხრობილი იყო, გემთსაშენზე მუშაობისას გარე სამყაროსთან მინიმუმამდე დაყვანილმა ურთიერთობამ და

თანამოაზრეების ნაკლებობამ კი მეტისმეტად ფიცხ და ეჭვიან ადამიანად აქცია. თვითონაც გრძნობდა, როგორ იცვლებოდა თანდათან, ლენინგრაღში ხომ სულ სხვანაირი იყო, ეგონა კიდევ, რომ გათავისუფლდა მთელი თავისი ეჭვებისა და კომპლექსებისგან. ლენინგრაღში მასზე კოსტიას ენერგია, თავდაჯერებულობა და უდარდელობა ახდენდა გავლენას, მის გვერდით უფრო გაბედული, ხალისიანი, იმედიანი ხდებოდა. მართლა ძალიან აკლდა თავისი მეგობარი, რომელიც, ალბათ, ერთადერთი იყო მის ცხოვრებაში, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე რომ შეიძინა.

ამურსკში კი მისი არასრულფასოვნების განცდა უზომოდ გაძლიერდა: ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი შეყვარება სრულიად შეუძლებელი იყო და ამ ვარაუდმა საშინელი მარცხი განაცდევინა ქალებთან.

ისინი თითქოს ვერც ამჩნევდნენ. არადა, საუკეთესო მანერები ჰქონდა, შესანიშნავი კომპლიმენტების თქმა შეეძლო, საუცხოო საჩუქრების მიძღვნა – მაინც არაფერი გამოსდიოდა. ქალები მხოლოდ კეკლუცი ღიმილით უხდიდნენ მადლობას და გზას განაგრძობდნენ. ერთადერთ კინოთეატრში დანიშნული მისი ერთადერთი პაემანიც მარცხით დასრულდა. იმ სკოლის მასწავლებელს პირველად სანაპიროზე სეირნობისას გამოელაპარაკა, ხოლო როცა კინოდარბაზში ფილმის კულმინაციურ მომენტში მხარზე მოჭხვია ხელი, ქალმა ისე უხეშად, ისე დამამცირებლად მოიშორა, რომ გიორგის საკუთარი თავი შეეგზბა.

ამ უარის შემდეგ აღარც უცდია ქალის გულის მონადირება. მაგრამ არც მეძავებთან უმართლებდა. ერთხელ ქალაქის ცნობილი მეძავი მიიყვანა შინ, ქერად შეღებილი, საშუალო ხნის, გაფუჭებულკბილებიანი, დაკემსილწინდებიანი, ციმბირული აქცენტით ლაპარაკობდა და საუკეთესო შამპანურის ბოთლი გახსნა, რომელსაც საახალწლოდ ინახავდა. ქალი გამოთვრა და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გაიხადა ტანზე, მერე სრულიად გათიშულმა ისე გულგრილად წაავლო ფეხებს შორის ხელი და ისე ატკინა, რომ იძულებული გახდა, გაეგდო. მას მერე სირცხვილისა და დამცირების მეტს ვედარაფერს გრძნობდა, როცა თანამშრომლები თავიანთი სასიყვარულო თავგადასავლებით ტრაბახობდნენ. დროთა განმავლობაში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მისი ვნების აღსაძვრელად იმის ილუზია მაინც უნდა გასჩენოდა, რომ თვითონაც სასურველი იყო. რომ ქალის სხეული კი არ აღელვებდა, არამედ იმ სხეულის ლტოლვა მისი სხეულისადმი. უმამოდ იზრდებოდა და სოფელში ხშირად დასცინოდნენ და ამცირებდნენ. ოჯახურ ზეიმებზე ბებია და ბაბუა ზედაც არ უყურებდნენ – როგორც უნდა გამოეჩინა თავი, რისთვისაც უნდა მიეღწია, ყველაფერს არარაობის, არასრულფასოვნების გემო დაჰკრავდა, როგორც მყრალი სუნი პირიდან, და ვერაფრით იშორებდა.

და ხვდებოდა, რომ ამ უბედურების სათავე მისი შეურაცხმყოფელი ჩასახვა იყო.

ეს აზრი ლამის მანიად ექცა.

იქნებ მართლა მახინჯი იყო, იქნებ მართლა უბედური შემთხვევის შედეგად გაჩნდა, იქნებ დედამისი მართლა უსირცხვილოდ მოიქცა? აბა, რატომ დუმდა ასე ჯიუტად, რატომ არ ახსენებდა მამამისს? რატომ უმაღავდა იმას, რისი ცოდნაც სრულიად ბუნებრივი იყო?

დედას წერილი მისწერა, პირდაპირ დაუსვა შეკითხვა. უფლება მაქვს ვიცოდე, ვერ მეტყვი უარსო. უკვე დიდი ვარ და დროა, სიმართლე გავიგო ჩემი ჩასახვის შესახებ. აღარ მინდა ასე, ამ დალით ცხოვრება: მამა უცნობია. არ მინდა, ყველას დასანახად შუბლზე მეწეროსო.

თვეების მერე მიიღო პასუხი: როგორც კი ერთმანეთს შევხვდებით, ყველაფერს გეტყვიო, შეჰპირდა დედა, პირისპირ, ოღონდ წერილობით არა, ამის უფლება არ მაქვსო.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ჩვენი ამბავიც – ან უფრო სწორად: ალანიას ამბავი სულ სხვაგვარად განვითარდა. ბერლინის აღებადღე ცოტა ხნით ადრე ალანიას კარგად ჩაცმული ბატონი ეწვია, რომელიც ჩიბუხს ეწეოდა, მკერდს კი ოქროს ნამგალი და ურო უმშვევებდა. შენობას უზარმაზარი ავტომობილით მიადგა – რაც იმ მხარეში იშვიათობა იყო – და გიორგი ალანია იკითხა. დირექტორის კაბინეტში ერთმანეთის პირდაპირ მდგარ სავარძლებში ჩასხდნენ. წარმოსადეგი კაცი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი აღმოჩნდა. ცოტა ხანს ისაუბრა ქვეყნისთვის უმძიმეს დროში ერთიანი შიდა პოლიტიკური მოღვაწეობის აუცილებლობაზე, კონტრრევოლუციურ ფრონტებზე ბრძოლის გააქტიურებაზე, კაპიტალისტური სამყაროდან მოსალოდნელ საფრთხეებსა, და იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო – ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ოდესმე – სოციალისტური ბრძოლის გაგრძელება. რამდენად საჭირო იყო – და ალანიას გახედა – ყოველმხრივ სიფრთხილის გამოჩენა.

დანვრილებით გამოჰკითხა: პირადი ცხოვრებიდან სამშობლოს წინაშე ვალის შესახებ მის აზრებამდე – ყველაფერი აინტერესებდა.

– ჩინებული რეკომენდაციები გაქვთ მიღებული ფრუნზეს აკადემიიდან და გემთსაშენის დირექტორისგან. აგრეთვე, რამდენადაც ვიცი, ახალგაზრდობაში სოხუმის კომკავშირის აქტივისტიც იყავით. სამაგალითო ბიოგრაფიაა, მართლაც რომ სამაგალითო, ამხანაგო ალანია.

ჩიბუხიანმა კაცმა მოწონების ნიშნად დააქნია ხარივით თავი.

– ბოდიშს ვიხდი, კარგად ვერ გაგიგეთ. რით შემძლია გემსახუროთ? ცოტა არ იყოს, დაეჭვდა ალანია.

– პარტიას უნდა ემსახუროთ, ამხანაგო, პარტიას. მუსტად ახლა სჭირდება ქვეყანას კარგი, ერთგული ხალხი, მთავარი ახლა იწყება,

როცა ომი უკვე მოგებულია. ფატალური შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ომთან ერთად ყველაფერი დამთავრდება. მართალია, თქვენ პროფკავშირის წევრი არ ბრძანდებით, რაც ზოგიერთს შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ იქნებ მაინც ღირდეს თქვენი კანდიდატურის მხარდაჭერა.

გიორგი გაოგნდა. რალა მე მომადგნენო? დაიბნა. ბოლო ოთხი წელი დინებას მიჰყვებოდა, ბედს მინდობილი. საკუთარ თავს ყოველგვარი გეგმების დანყოფანს უკრძალავდა. ერთადერთი, რაც აინტერესებდა, სანამ სამყარო საბოლოოდ დაემხოებოდა თავზე, თავისი ვინაობის გარკვევა იყო. სად ეცალა მსოფლიოსთვის, საკუთარი თავი ჰყოფნიდა გამოცანად. მაინცდამაინც მას რატომ მიადგნენ?

გავლენიანი მეგობრები მას არ ჰყავდა. ერთადერთი ვალი, რომელსაც სამშობლოს წინაშე იხდიდა, მისი სამსახური იყო გემთსაშენზე.

სწავლაში კი იყო წარჩინებული და ზოგ თანაკურსელზე უფრო საბრიანი, მაგრამ მასზე ვერავინ იტყოდა, თავბრუდამხვევი თავგადასავლები და გმირული საიდუმლო ოპერაციები იზიდავსო. თუმცა იმ კაცს რომც სცოდნოდა რამე, მაინც არ ეტყოდა. სავარაუდოდ, ვიღაცის ბრძანებას ასრულებდა და იმ ვიღაცისთვის უნდა შეეფასებინა ალანია.

იმ ნახევარი საათის განმავლობაში, რომელიც მან იდუმალებით მოცულ კაცთან ერთად გაატარა დირექტორის ოთახში, ალანია ბევრ რამეზე დაფიქრდა. ეს ვიზიტი ჭაობიდან თავის დაღწევის შანსს ხომ არ აძლევდა? სულერთი იყო, რა ელოდა, სულერთი იყო, რა მოჰყვებოდა ამ შეხვედრას, ერთი რამ იცოდა ზუსტად: იქიდან უნდა წასულიყო, ისევ ის გიორგი გამხდარიყო, როგორიც უნდოდა ყოფილიყო, როცა გამოსაშვებ აღლუმზე კოსტიას გვერდით იდგა და სამხედრო სალამს იძლეოდა.

- მზად ვარ, ვემსახურო! - წარმოთქვა ალანიამ ყოყმანით, მაგრამ მაინც შვება იგრძნო, და მბმ-ს თანამშრომელს სთხოვა, უფრო ზუსტად აეხსნა თავისი შემოთავაზება.

1945 წლის მაისში ალანია მოსკოვში ჩაიყვანეს და შინაგან საქმეთა სამინისტროს საიდუმლო სხდომაზე ახლად შექმნილ „სარეპატრიაციო“ ჯგუფს მიამაგრეს. იმ დროს ხუთი მილიონი საბჭოთა მოქალაქე იმყოფებოდა ევროპის და, რაც მთავარია, დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. საჭირო იყო მათი სამშობლოში ჩაყვანა და მტრული პროპაგანდისგან დაცვა. უმრავლესობა ტყვეები და პატიმრები იყვნენ, რომელთა სასწრაფოდ დაბრუნება პირადად გენერალისიმუსმა მოითხოვა. ბრიტანელებმა და ამერიკელებმა ბანაკებიდან დაახლოებით 60 000 საბჭოთა მოქალაქე გამოუშვეს. მაგრამ კიდევ ბევრი რჩებოდნენ დასავლეთში, აუცილებელი იყო მათი პოვნა, დაპირებებით შემოტყუება და უკიდურეს შემთხვევაში ძალით დაბრუნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დახურულ სხდომებზეც, ლუბიანკაზეც, სულ იმ საფრთხეზე საუბრობდნენ, რომ ევროპაში მცხოვრებ ემიგრირებულ საბჭოთა მოქალაქეებს საფრთხე ემუქრებოდათ, რომ მათ მოსყიდვას ვაპიტალისტები და მენშევიკები ცდილობდნენ, მათი „დემოკრატიზაციის კამპანიებს“ კი ამერიკელები აფინანსებდნენ. გაუთავებლად ლანძღავდნენ გავლენიან და მართლა ამერიკელების მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციას „რუსი სოლიდარისტების ნაციონალურ კავშირს“, შემოკლებით HTC, რომელიც რევოლუციის შემდეგ ემიგრირებულ მენშევიკებთან თანამშრომლობდა.

ამ „მავნებლების“ დამარცხება და „საფრთხეში ჩავარდნილ“ საბჭოთა მოქალაქეთა, დასავლური პროპაგანდის მსხვერპლთა, რეპატრიირება უმთავრეს ამოცანად იყო დასახული ომის შემდგომ წლებში.

ეს ამოცანები უნდა შეესრულებინა გიორგი ალანიასაც. თავისი თანდაყოლილი – ვისგანაც უნდა მიეღო მემკვიდრეობით – თვისებების და უნარების გარდა, სპეციალური მომზადებაც ესაჭიროებოდა ამისთვის, რაც მოსკოვში უნდა გაეწყო ზუსტად სამ წელიწადში.

სოციალიზმის დედაქალაქში ჩაასახლეს, ნომენკლატურისთვის განკუთვნილი ბინა გამოუყვეს ზედ ტვერსკაიაზე. დაიწყო სპეციალიზებული გასაიდუმლოებული წვრთნა, რომლის ფარგლებშიც, სანაქებო საბჭოთა სახელმწიფოში ადამიანების შემოტყუების თუ ძალით შემოთრევის მეთოდებთან ერთად, რომლებიც ჩემთვის, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სრულიად უცნობია, ინგლისური ენაც შეასწავლეს.

მოსკოვში მისთვის ყველაფერი შეიცვალა. მართალია, თანამშრომლებს არც იქ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ ბევრად უფრო დიდ საქმეს ემსახურებოდა, რჩეულთა რიცხვს განეკუთვნებოდა, აღიარებდნენ და აფასებდნენ მას, უნინარეს ყოვლისა კი მის შთამბეჭდავ მონაცემებს, მაინც დედაქალაქში ცხოვრობდა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჯერ არ მოშუშებულიყო გამანადგურებელი ომის შედეგები, და იქ ისეთი ქალების პოვნაც შეიძლებოდა, რომლებიც ფულადი ან სხვა სახის გასამრჯელოს სანაცვლოდ მზად იყვნენ, სასურველი ვნება და ლტოლვა გაეთამაშებინათ მის წინაშე. დამთრგუნველი აზრებისთვის ალანიას აღარ ეცალა. საუკეთესოთა შორის საუკეთესო უნდა გამხდარიყო. თავისი მზარდი ძალაუფლების წყალობით, ადრე რომ არც დაესიზმრებოდა და ასე მოულოდნელად და უეცრად ჩაუვარდა ხელში, ბოლოს და ბოლოს, ბევრი კარგის გაკეთებასაც შეძლებდა. მოძებნიდა საუკეთესო მეგობარს, რომელიც, საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა, თავისთან წაიყვანდა, ჭრილობებისგან განკურნავდა და იმის მიღწევაში დაეხმარებოდა, რასაც აუცილებლად მიაღწევდა, ომი რომ არ დაწყებულიყო.

1946 წელს, სანამ ალანია შინ ჩავიდოდა, რასაც მრავალმხრივი განათლების მისაღები მეცადინეობის გამო ვერა და ვერ ახერხებდა,

დედამისი ინსულტით გარდაიცვალა. ამ ამბავმა ალანია შოკში ჩააგდო. დედამისის დანაპირების შესრულება ჩაიშალა. ისევ შეუჩნდა მწველი ცნობისმოყვარეობა თავისი წარმოშობის გამო, წარმოუდგენელ გამაგებამდე მიიყვანა. შვებულება ითხოვა და მეგრულ-აფხაზურ პროვინციაში დაბრუნდა.

დაკრძალვის შემდეგ აქტიური ძიება გააჩაღა. გამოკითხა მეზობლები, რამდენიმე მოძულეებული ნათესავი, დედის თანამშრომლები, სრულიად გახსნილად, ლამის გამომწვევად, რადგან დედამისს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, თვითონ კი, თვითონ იქ ჩასვლას მაინც აღარ აპირებდა.

მათგან ვერაფერი შეიტყო, ან ეშინოდათ, ან მართლა არაფერი იცოდნენ. ზოგი იფიცებოდა, დედაშენმა უკანონო შვილის გაჩენის ამბავი სიცოცხლის ბოლომდე საიდუმლოდ შეინახაო. მაგრამ ალანიას მოთმინება არ დაუკარგავს, ბოლომდე ჩაეძია, ადამიანის ბუნებაც ზედმინუნებით იცოდა და გამჭრიახი გონების პატრონიც იყო. თავისი მბრძანებლის საშვიტო უნივერსიტეტის არქივში შეაღწია, უზარმაზარ კარტოთეკაში იმ ქალის სახელი მოძებნა, რომელსაც სულ სხვა მომავალი ელოდა, რადგან პირველი, და კარგა ხნის განმავლობაში, ერთადერთი ქალი იყო იმ ფაკულტეტზე, ნამდვილი პატარა სენსაცია; მაგრამ მისი ცხოვრების ერთადერთმა თავგადასავალმა წლების წინ ქუთაისში ამ მომავალს წინასწარ გადაუსვა ხაზი.

ალანიას გათვლებით, სწორედ იმ ქალაქში უნდა ჩასახულიყო, ამიტომ არ მოეშვა, კიდევ ერთხელ გადაავლო ყველაფერს გონების თვალი. გამოთვალა. და უეცრად მთლად ლოგიკური აღარ ეჩვენა ეს ამბავი. სულ არ შეეფერებოდა გულოს, მის საყვარელ გულოს, მის „გულიკოს“, რომელსაც გული მოუკლეს და კეთროვანივით გარიყეს, ასე ნანატრი სტუდენტობის პირველივე დღეებში რომ დაორსულებულიყო. უაზრობა იყო თან უმაღლესი მათემატიკა აერჩია ცხოვრების მიზნად და თან შვილის გაჩენა მოენდომებინა. მთელი ცხოვრება აბუჩად იგდებდა საპირისპირო სქესს და თუ სწორად ახსოვდა ალანიას, ერთადერთი გამონაკლისი თვითონ იყო, მისი უსაყვარლესი შვილი.

საშინელი ეჭვი გაუჩნდა უეცრად, მთელი სიმძაფრით გამოიკვეთა მის გონებაში, სრულიად ლოგიკური, თითქმის ურყევი, მთელი ეს ხანი ზედაპირზე რომ იდო და სწორედ ამიტომ ვერ დაინახა: გულო კი არ იყო დამნაშავე, როგორც ამას მთელი სოფელი ამტკიცებდა, ქარაფშუტობამ და ეგრეთ წოდებულმა კაპიტალისტურმა ფუქსავატობამ კი არ დაუნგრია დედამისს ცხოვრება და ალანია ნაბიჭვრად აქცია. არც დაუდევრობა, არც სიამოვნება, არც შეცდომა არაფერ შუაში იყო, ბევრად უფრო მარტივი და შემზარავი უნდა ყოფილიყო, რაც მას უქნეს.

ნამდვილად გააუპატიურეს! თავიდან ამ აზრმა შვებაც კი მოუტანა ალანიას, სანამ მრისხანება შეიპყრობდა. ეს საზიზღარი ქმედება,

რომლის ნაყოფიც თავად იყო, იმ ქალაქში გადასვლამდე ცოტა ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. დედამისი ქუთაისში აპირებდა სწავლის გაგრძელებას, ახალი ცხოვრების დაწყებას და არაფრით არ გაემგზავრებოდა იქ და ასე შეუპოვრად არ იბრძოლებდა სტუდენტობისთვის, თუ ეცოდინებოდა, რომ ფეხმძიმედ იყო. რადგან გულო, უწინარეს ყოვლისა, პრაგმატული ქალი იყო და, ალბათ, ესმოდა, რომ უკანონო შვილის დედას არანაირი შანსი არ ექნებოდა. უკვე დაორსულებული იქნებოდა, როცა ქუთაისში ჩავიდა და იქ შეიტყო ამის შესახებ. მაგრამ თუ მას ასე მხეცურად მოეჩვენა, რატომ იყო გაჩუმებული? რატომ არ დაიცვა თავისი ღირსება? მაშინ აღარც ალანის შეხედავდნენ, როგორც შეცდომას, რომელიც ქარაფშუტა დედიკომ ჩაიდინა.

მშობლიურ სოფელში დაბრუნდა, იმ სკოლაში მივიდა, სადაც დედამისი სწავლობდა. მისმა საშვმა სკოლის დირექტორზეც მოახდინა შთაბეჭდილება და, როგორც იქნა, მოიპოვა საჭირო ინფორმაცია. გულოს ყოფილი მასწავლებელი მეზობელ სოფელში ცხოვრობდა თურმე. ალანიამ ვიღაც კოლმეურნეს გადაუხადა რამდენიმე რუბლი და იმან ნაიყვანა „დროჟკით“. იპოვა მოხუცი მასწავლებელი, უკვე ნახევრად დაბრმავებული, თუმცა ჯერ კიდევ სრულ ჭკუაზე. ბევრი ახსნა არ დასჭირვებია, ვისი შვილი იყო. გულო კარგად ახსოვდა. რა გოგო იყო, რა ნიჭიერიო. ქალაქში უნდა წასულიყო, სოფელში რა ესაქმებოდაო, რა ცოდო, რა ცოდოო. ალანიამ ფაქტები მოსთხოვა.

- ფაქტები? რა ფაქტები, ყმანვილო?

ქალმა ეს სიტყვა ისე ჩაილულღულა, თითქოს სანამლავი ჩაუდეს პირში. მაგრამ მაშინვე გამოერკვა და სკამზე აწრიალდა.

- ვისთან მეგობრობდა, სანამ უმაღლესში ჩააბარებდა, მაგალითად, ვისთან იყო ახლოს...

- იცი, რას გეტყვი, მე ჩემი მოსწავლეების მასწავლებელი ვიყავი და არა მეგობარი, ასეთი რამეები საიდან უნდა მცოდნოდა, შვილო.

ალანიამ არ დაიჯერა მოხუცებული ქალის ნათქვამი. НКВД-ში მუშაობამ ბევრი რამ ასწავლა, მისი გონება ანტენასავით იჭერდა ყველაფერს, უთქმელსაც კი.

ქალს თავისი მონშობა აჩვენა, იმან დახედა, თვალები მოჭუტა, ეტყობა, შრიფტი ვერ გაარჩია.

- ეს რა არის, ყმანვილო?

- მშვენისვრად იცით, რაც არის.

- ჩემგან რაღა გინდა?

ამჯერად „ყმანვილო“ გამოტოვა. სუსტ ხმაში შიში შეეპარა.

- თქვენ რაღაც იცით, რაც მეც უნდა ვიცოდე. თქვენ გახსოვთ რაღაც, რაც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, და არ მეუბნებით, ნამდვილად არ მინდა, მაგრამ არჩევანს არ მიტოვებთ....

- კარგი, კარგი, კარგი. არ მინდა უსიამოვნებები, ჩემი შვილი წესიერი სოციალისტია, ჩაის პლანტაციამი მუშაობს...

- მე არ გემუქრებით. უბრალოდ, ფაქტები მჭირდება.

- კარგი, ბატონო. დედათქვენი თავიდანვე გამორჩეული გოგო იყო. არც ყბედობდა, არც სოფლის გომბიობთან დაყიალობდა, იცოდა, რაც უნდოდა, ძალიან მიზანდასახული იყო, თავიდანვე შევატყვე, მერწმუნეთ. მაგრამ უცნაურია და ლეჟავების გოგოსთან რატომღაც საერთო ენა იპოვა. არადა, ის ნამდვილი ქერათმიანი თოჯინა იყო, სრულიად განსხვავდებოდა გულოსგან. ლამაზი კაბების, დიდი დეკოლტეების და სოფლის ბიჭებთან საღამოობით ყირაზე გადასვლის მეტი არაფერი აინტერესებდა. მაგრამ ამხანაგი ლეჟავას ქალიშვილი იყო, მილიციის კომისრის. ძალიან დაახლოვდნენ, ლეჟავა მშვენივრად კითხულობდა ლექსებს, ჰოდა, ბაქოში დამეგობრდნენ.

- ბაქოში? რა უნდოდა დედაჩემს ბაქოში?

- კომკავშირელების ექსკურსია იყო, მშვენივრად მახსოვს, შესანიშნავი ექსკურსია, მხოლოდ საუკეთესო მოსწავლეებისთვის, ლეჟავა მართლ იმიტომ წავიყვანეთ, რომ, მოკლედ, როგორც იყო... ოთხი თუ ხუთი დღით ვიყავით. ჰოდა... - ქალი გაჩუმდა, თითქოს სიტყვებს ეძებდა, მოგონებების დალაგებას ცდილობდა, წარსულში დაბრუნებას.

- როდის, როდის იყო ეს? როდის შედგა ის ექსკურსია?

- სკოლის დასრულების შემდეგ, ბათხულში. ასეთი განსაკუთრებული მოგზაურობები მხოლოდ ოქროს მედალოსნებისთვის იყო განკუთვნილი, ესე იგი, გამოშვების მერე უნდა ყოფილიყო.

- რა მოხდა ბაქოში?

- ღმერთო ჩემო, მე რა ვიცი, ბებერი ქალი ვარ, კუდში კი არ დავდევდი გოგოებს...

ქალს უცებ ისე მოენგრა სახე, თითქოს უსიამოვნო მოგონებებს ებრძოდა. გიორგიმ იგრძნო, რომ უკვე ახლოს იყო სიმართლესთან.

- უამრავი ადამიანი გავიცანით, მიღებაც კი მოგვიწყვეს უმაღლესმა პირებმა.

წამით სახე გაუნათა სიამაყის მსგავსმა გრძობამ.

- ვინ მოგიწყობთ მიღება?

- უმაღლესმა კომისრებმა, პარტიულმა მუშაკებმა, ძალიან დიდმა ხალხმა, მეგობრული მიღება გაგვიმართეს.

- აზერბაიჯანელებმა?

- კი, მაგრამ ქართველებიც ესწრებოდნენ.

- სასმელიც იყო?

- დალევის უფლება არ მიმიცია.

- მერე?

- მერე? მე რა ვიცი. იქ არაფერი მომხდარა, თქვენ რა გგონიათ? მე მიყვარდა ჩემი გოგოები, ვპატრონობდი მათ, თანაც, ხომ გეუბნებით, პატივსაცემი ხალხი იყო, კომუნისტები, პარტიის წევრები!

სუნთქვა დაუმძიმდა, წნევამ ამიწიაო, დაიჩვილა. შვილს გასძახა, წამალი მომიტანეო. ალანია წამოდგა. ცხადია, ქალმა მეტი იცოდა, ცხადია, შეეძლო ეიძულებინა, ეთქვა, რაც იცოდა, მაგრამ უცებ ისე დაითრგუნა, გარეთ მოუნდა გასვლა, სუფთა ჰაერზე, შორს იმ ნესტიანი, წამლების სუნით აქოთებული ოთახიდან.

- მეტს აღარ შეგანუხებთ, მაგრამ იმ ლეჟავას გოგოს ასავალ-დასავალი ხომ არ იცით? სახელი გახსოვთ მისი?

- მოიცა, რა ერქვა, არა, ვეღარ ვიხსენებ, სოფელში გაიკითხე, მისი ოჯახი დიდი ხნის წინ გადაიხიზნა, მაგრამ გოგო ყველას ახსოვს, განსაკუთრებით კაცებს ახსოვთ კარგად, ამის თქმა დანამდვილებით შემიძლია. რამდენადაც ვიცი, ბათუმში გადავიდა საცხოვრებლად.

გიორგი ალანია ცოტა ხანს სოფლის მტვრიან გზაზე გაჩერდა, ხელისგულები სველი ჰქონდა - ხშირად ემართებოდა ასე, როცა ნერვიულობდა - და თავი სტკიოდა. გულის ჯიბეში თავისი მოწმობა ედო და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ტყვიაგაუმტარი ჟილეტი ეცვა, კარგი გრძნობა იყო, იმ მოწმობის წყალობით არავისთან აღარაფერი ჰქონდა სახვეწარი.

ბათუმში გაემგზავრა, რაიონულ კომისარიატში მივიდა, უსიტყვოდ წარუდგინა თავისი მოწმობა და დაელოდა, სანამ ამხანაგ ლეჟავაზე ინფორმაციას მიანოდებდნენ. იმ დღეებში ბევრჯერ მიეცა შესაძლებლობა, დარწმუნებულიყო, რომ ზემოქმედება, რომელსაც მისი მოწმობა ახდენდა ადამიანებზე, ბევრ დროსა და ენერგიას უზოგავდა.

- ჩვენი ნელი?

- ჩვენი ნელი? - დაიბნა გიორგი. კაცმა ცალყბად ჩაიცინა და მრავალმნიშვნელოვნად აქაჩა წარბები, თითქოს უნდოდა მიენიშნებინა ალანიასთვის, რომ ფრიად მიმზიდველ პიროვნებაზე ელაპარაკებოდა, რომლის ახლო გაცნობასაც სიამოვნებით შესთავაზებდა.

- კოლორიტული პიროვნებაა, ასე ვთქვათ. ცნობილი ქალბატონი. დიდ თეთრ სახლში ცხოვრობს, პირველივე გადასახვევთან, არქეოლოგიური მუზეუმის უკან. მომავალსაც ხედავს, ოღონდ ყურადღებით იყავით, გაფრთხილდით...

ამჯერად მოხელემ ეშმაკურად ჩაიცინა.

- მომავალს ხედავს?

- კი, კი, ყავაზე მკითხაობს. და თანაც როგორ!

ალანიამ აღარ გააგრძელა უსიამოვნო საუბარი, მადლობა გადაუხადა და ავტობუსით გაემგზავრა მწვანე კონცხისკენ. გზა მუქ, მოლაპლაპე ზღვას მიუყვებოდა, რომელმაც გრძნობები აუშალა, ბავშვობა მოაგონა და მთელი სხეულით აგრძნობინა, რა საშინლად ენატრებოდა დედა.

თვალში საცემი სახლი იყო. ჯერ კიდევ იმედთან დროს იყო აშენებული, როცა როტმილდები და ნობელები ეარშიყებოდნენ კავკასიას, როცა გრანდ ოტელების მშენებლობა იგეგმებოდა და თეთრ გემებს ევროპიდან ყოველგვარი დაბრკოლებისა და საბაჟოების გარეშე შეეძლოთ ღუმის ჩაშვება იქაურ პორტში.

შენობის ძველებური პომპეზურობა ბოლშევიკურ გემოვნებას გადაურჩა, მაგრამ დრომ მძიმედ დააზიანა. ტანწერწეტა ბამბუკის ხეები იფარავდა სახლს უცხო თვალისგან. ალანიამ ფრთხილად შეაბიჯა მაღალ, დაჟანგულ ჭიშკარში. ბაღში პატარა ბავშვები ბურთს აგორებდნენ. ყველაზე უფროსი გააჩერა და ჰკითხა, ამხანაგი ლეჟავა სად ვნახო. თამაშისგან მოცდენით გაბრაზებულმა ბიჭმა უბრალოდ თითი აიშვირა ზევით.

ალანია ღია ხის კარში შევიდა და მარმარილოთი მოპირკეთებულ სადარბაზოში აღმოჩნდა, კიბეს აუყვა. სადარბაზო გაურემონტებელი იყო, ჯერიდან წვიმა წვეთავდა და კუთხეებში გროვდებოდა მუქ გუბებდად. ბოლო სართულზე რომ ავიდა, საღებავშემოფეხვნილი მწვანე კარი დაინახა და გაჩერდა. იქნებ ჯობდა გაბრუნებულიყო? თუ აენია ხელი და დაეკაკუნებინა? ეცოდინებოდა ნელის სიმართლე? თუ ვერაფერს ეტყოდა ახალს? დააკაკუნა.

ცოტა ხანში ქალის დაბალი ხმა გაიგონა: „რა ჯანდაბა გინდათ კიდევ? არ მაქვს ფქვილი! არ ვამზადებ საჭმელს, ხახვიც არ მაქვს და, საერთოდ, მე აქ არ ვცხოვრობ, რით ვერ გაიგეთ?“ ალანიამ ისევ დააკაკუნა, სწრაფი ნაბიჯები გაიგონა შიგნიდან და ბოლოს გაიღო კარი, წყველა-კრულვის თანხლებით.

შეიძლება ითქვას, რომ მას ერთგვარი მზანება გამოეცხადა. მაღალი, ფერხორციანი ქალი, შთამბეჭდავბიუსტიანი, მშვენიერი, ხშირი, ლამაზად შეკრული, ქერა თმა ჰქონდა, სალათისფერ პერანგში ჩაცმული და ფეხშიშველი იყო.

სახეზე ეტყობოდა, რომ ინტენსიური ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი, მენამულისფრად შეღებილი ტუჩებით და ჩაშავებულ თვალებზე უხვად მიყრილი პუდრით თოჯინას დამსგავსებოდა.

გაკვირვებული ჩანდა, ალბათ, ყველაზე ნაკლებად უცნობ ახალგაზრდა კაცს ელოდა.

და უცებ, პირველად ალანიას ცხოვრებაში, მოხდა სასწაული: ქალის შეწუხებულ-გაღიზიანებული გამომეტყველება მომხიბვლელმა ღიმილმა შეცვალა. თავის დეკოლტეს წაავლო ხელი, თეძოებზე პერანგი გაისწორა და კატასავით ნელვით წაიკრუტუნა: „რით შემიძლია გემსახუროთ?“

- მითხრეს, რომ თქვენ ყავაზე... - ჩაიდუდუნა გიორგი ალანიამ, რომელიც ამ სიტუაციამ სრულიად გააოგნა, ოფლმაც კი დაასხა. ქალმა ცოტა მეტად გააღო კარი, სადარბაზოს თვალი მოავლო, ბოლოს ალანიას ჟაკეტის სახელოზე მოჰქაჩა და ბინაში შეიყვანა.

ბინაც ისეთივე ცუდ დღეში იყო, როგორც მთელი სახლი: შპალერი ეკიდა კედლებზე, კი არ ეკრა, ონკანი, რომელიც, რატომღაც, შუა ოთახში იყო გამოჩხერილი, შეუჩერებლად წვეთავდა, სამაგიეროდ, ჭერს უზარმაზარი ჭალი ამშვენებდა, რომელიც თეატრის დარბაზს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე იმ ბნელ, ნესტიან საცხოვრებელს, უამრავი დამტვერილი სუვენირით და ქუდების მოკაზმული კოლოფებით გამოტენილს.

- ვინ გამოგიშვა ჩემთან? - ჰკითხა და მრგვალ, გადავსებულ მაგიდასთან მიიპატიჟა, რომელსაც სუფრა არ ეფარა.

- ერთმა ნაცნობმა ქალმა.

- ესე იგი, ნაცნობმა ქალმა. წესით, ასეთი სულელური პასუხისთვის ახლავე უნდა გაგაგდო აქედან. მაგრამ შენ იმათიანს არ ჰგავხარ. მშვენივრად ვიცი, ვის უნდა ვენდო და ვის არა. სახეებზეც ისევე შემიძლია მკითხაობა, როგორც ყავის ნალექზე. იმედია, გესმის, რა საფრთხე გველის ორივეს, ვინმესთან რამე თუ წამოგცდება ჩემი მონაცემების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ შინაპატიმრობაში ვარ, სულ თვალი უჭირავთ ჩემზე, თავს არ მანებებენ. რას ვუშავებ? ვის გავეჩხირე თვალში ეკალივით?

მთელი სხეულით ეკვკლუცებოდა, თვალებით, ტუჩებით, თავს აწონებდა, არ დააფრთხო მისმა აშკარა დაბნეულობამ, მისმა შებოჭილობამ, პირიქით, ინვევდა, აგულიანებდა, მიყურე, მეთაყვანეო. ალანიას მანამდე უცნობი თვითკმაყოფილება ჩაედვარა მუცელში. როგორ ძლებდა მთელი ცხოვრება ასეთი ყურადღების, ასეთი საოცარი კეთილგანწყობის, ამ შეგრძნების გარეშე.

ქალი შირმით გადატიხრულ სამზარეულო ნიშაში გავიდა და ყავის მოდუღებას შეუდგა. სურნელი მთელ ბინაში დატრიალდა, თითქოს იმის ნიშნად, რომ ალანიას ბედმა გაუღიმა. როცა ქალმა ყავა შემოიტანა, ფეხზე ყვავილებით მოქარგული ქოშები ეცვა, ამან რატომღაც აღტაცებაში მოიყვანა ალანია.

(ქალმა ხომ მისთვის ჩაიცვა ეს ქოშები, მის გამო დამალა შიშველი ფეხები!).

- აბა, რის გაგება გინდა? - ჰკითხა და უფილტრო სიგარეტი მუნდშტუკში ჩადო.

“ვინ გააუპატიურა და დააფეხმძიმა დედაჩემი!” - კინაღამ წამოსცდა დაბნეულს, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და წაილუღლუდა:

- თანამდებობრივი წინსვლის ამბავი მაინტერესებს და...

- აბა, ვნახოთ ერთი. რა გქვია?

- გიორგი.

- კეთილი, გენაცვალე. დალიე ყავა, გიორგი, მერე ჭიქა გადააბრუნე და ლამბაქზე დადგი, მერე საათის საწინააღმდეგო მიმართულებით

ამოუსვი თითი და შევითხვა დასვი, ოღონდ კი არ თქვა, იფიქრე იმაზე, რის გარკვევაც გინდა. მე ვერაფერს გავხდები, თუ არაფერზე იფიქრებ.

- კარგი, მგონი, გავიგე.

ალანიამ პირველკლასელივით დაუქნია თავი, რომელსაც საშინაო დავალებას აძლევენ. სცადა, თავი მოეყარა ფიქრებისთვის, მაგრამ ერთადერთი, რაზეც ფიქრი შეეძლო, იმ ქალის მიერ გამოჩენილი ყურადღება იყო, მისი მოტკბო, ცოტა გამაბრუნებელი სურნელი, ცხვირში რომ უღიტინებდა. ნალექს თითი ამოუსვა და ჭიქა დადგა.

- შინაპატიმრობაში რა იგულისხმეთ? - ჰკითხა, ნალექის გაშრობის მოლოდინში ჩამონოლილი უსიამოვნო სიჩუმე რომ დაერღვია როგორმე.

- რას უნდა ნიშნავდეს? ალბათ, იმას, რომ ცუდი გოგო ვარ და რამდენიმე კაცი გაბრაზებულია ჩემზე. მემდურთან, როგორც ჩემს ახალგაზრდობაში იტყოდნენ. სადაური ხარ, გიორგი? - ჰკითხა და როგორც იქნა, ამოატრიალა ჭიქა.

- ქუთაისელი, - იცრუა ალანიამ.

- მერე, იქაური კილო სად დაკარგე?

ალანიამ იგრძნო მისი უნდობლობა.

- რუსეთში ვცხოვრობ. ლენინგრადში დავამთავრე უმაღლესი და ახლა მოსკოვში ვმუშაობ.

- დედა, რა გადასარეცია. ესე იგი, დიდი კაცი ხარ. რამ ჩამოგიყვანა ყოფილ სამშობლოში?

- დედა გარდამეცვალა, - წამოსცდა გიორგის.

- რა საშინელებაა. ვიზიარებ შენს მწუხარებას. მძიმეა, როცა მშობელი დედა... მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი მთელი ცხოვრება მებუტებოდა.

გათხაპნილ ჭიქას ისე ჩააცქერდა, თითქოს რუკას ხედავდა იქ, საიდუმლო რუკას.

- უყურე შენ! ქება-დიდებასა და აღიარებას ვხედავ აქ. საუკეთესო გზას ადგახარ, გიორგი, გენაცვალე, კი, კი, სულ ზევით მიიწევ, მაგრამ რაღაც სიმძიმე განეევს გულზე, არა? გამოფიტული ხარ და ნაღვლიანი. რატომ, გიორგი? რა მიზეზია? ასეთ ახალგაზრდას სიცოცხლე უნდა გიხაროდეს. ამ დროს ველარ დაიბრუნებ, ხელიდან თუ გაუშვი, სხვა შესაძლებლობა აღარ მოგეცემა. შენ კი დარდი განეევს. კიდევ შორ გზას ვხედავ. შორეული მგზავრობა გელის, მაგრამ ძალზე ნაყოფიერი. მიაღწევ, კი, რისი მიღწევაც გსურს, კი, მიაღწევ. მაგრამ გული უნდა გაითბო, გიორგი, თორემ ვერ გაგიძლებს, რა მომავალიც უნდა გელოდეს წინ, რა სიტყვებიც უნდა გითხრან და რა ორდენიც უნდა ჩამოგკიდონ მკერდზე.

- და დედაჩემი?..

- ღმერთმა გაანათლოს მისი სული, მაგრამ მართო დედაშენის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების ბრალი არ არის ეს სიცარიელე, ხომ ასეა, გიორგი?

როგორ წარმოთქვამდა მის სახელს, თითქოს თავლი ეღვრებოდა ხმაში, ალანია ნატრობდა, ნეტა არასდროს გაჩერდესო, უსასრულოდ მელაპარაკოსო. და ისიც ჰყვებოდა ყველაფერს, რაც მას, სავარაუდოდ, აღარდებდა, რაც აკლდა და ენატრებოდა, ბუნდოვნად უხსნიდა, მინიშნებებში იხლართებოდა, გიორგის კი მაინც ისეთი განცდა ჰქონდა, რომ ის ქალი კარგად იცნობდა, მეტიც, იმ ქალს ესმოდა მისი, ისე, როგორც არავის მანამდე. თავი ვეღარ შეიკავა, რაღაც დაეტაკა, მასზე ბევრად დიდი, მის მარადიულ შეკითხვაზე უფრო დიდიც კი, და ატირდა, თან შერცხვა თავისი ცრემლების, ასე მოულოდნელად რომ წამოსცვივდა თვალებიდან. ქალმა მხარზე მოჭხვია ხელი, თავზე მოეფერა და თავისი ჯადოსნური ხმით დამშვიდება დაუწყო.

- კარგი, გიორგი, საწყალი, საწყალი გიორგი, დაცარიელებულია გული, ჩვენ ეს სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ, უნდა გამოასწორო, ასე მართო, ასე მიუსაფარი, ჩვენ ამას რამე უნდა ვუშველოთ, გიორგი, გენაცვალე.

ჩვენ! შელოცვასავით ჩაესმა ეს უბრალო სიტყვა. შეხედა ბოლოს, მისმა ნუგეშმა შეაგულიანა, გაბედა და მხარზე მოხვეულ ხელზე აკოცა, იმან თავზე გადაუსვა ხელი, გიორგი წამოდგა, ოდნავ დაბალი იყო ქალზე, მაგრამ იმას არც ეს ეხამუშა, როგორც ჩანს. უკან დაიხევდა, რომ გაეგრძელებინა? თავისი თავისთვის რომ გადაეხიზებინა და წითლად შეღებილ ტუჩებში რომ ეკოცნა? გააგდებდა, გამოლანძღავდა? ქალი შეეხო, გიორგიმ მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა, სხვაგვარად არ შეეძლო, ბოლომდე უნდა დამტკბარიყო ამ ბედნიერებით. თავი ყელთან დაადო, ქალი არ გაიწია, გიორგი ფაფუკ წელზე შემოეხვია, იმან გაუღიმა, არ ითაკილა. გიორგიმ აკოცა და ისიც დაჰყვა.

ცოტა ხანში უკვე ფართო, მძიმე წიგნებშედგმულ, ჩაზნექილმატრასიან საწოლზე იწვნენ. ხელის ერთი მოძრაობით გახადა პერანგი, ისე ბუნებრივად, თითქოს ათასჯერ ჰქონდა ეს გაკეთებული. არავითარი ბრძოლა, არავითარი დამამცირებელი ტანჯვა ქალის სხეულის გამოშვლებისას, მასთან სიახლოვისას. ასე ეწია გიორგი ალანია ბედნიერებას იმ საღამოს, მშვიდად, გამოზომილად, ყოველგვარი მორცხვობის გარეშე, თავდაჯერებულად, და პირველად იგრძნო, რომ სასურველი იყო ქალისთვის. იგრძნო მისი ლტოლვა და ვნება. იქნებ მელოდა კიდევცო, თუმცა თვითონვე ხვდებოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. სიამოვნებით შეაფარა თავი. ისეთი თავისუფლება იგრძნო, თითქოს დაცურავდა, გრავიტაციის კანონსაც კი აღარ ემორჩილებოდა, თითქოს ფრენა შეეძლო.

როცა გვიან საღამოს იმ ლოგინიდან წამოდგა, სულ სხვა ადამიანი იყო, ეგონა, რომ თავიდან დაიბადა, საკუთარ თავში დარწმუნებული და გაბრწყინებული, მთელი თავით გამაღლებული. ისევ თავის პერანგში გამონწყობილი ნელი უკვე მაგიდასთან იჯდა და კარტს შლიდა. გიორგიმ ფრთხილად ჩაიკვა, ისე, რომ თვალი არ მოუშორებია თავისი ახალი შეყვარებულისთვის, ჯერ კიდევ არ სჯეროდა თავისი ბედნიერების.

- მინდა, იცოდე, რომ მე აქ მკაცრად მადევნებენ თვალყურს. იძულებული ვიყავი მთელი სართული, ამ ერთი ოთახის გარდა, იმ ვირთხების ბანდისთვის გადამეცა. თუ შეიტყობენ, რომ ვაყი მესტუმრა, ამ სოროსაც დავკარგავ. ამიტომ, ვფიქრობ, აჯობებს ნახვიდე ახლა, გიორგი, გენაცვალე.

ისე უთხრა, თავი არ აუნწვია.

- კი, რა თქმა უნდა. მაგრამ სიამოვნებით გნახავდით კიდევ.

- ამას როგორმე მოვახერხებთ. უბრალოდ ცოტა უნდა გავფრთხილდე, ხომ გესმის.

- კი, მესმის. მაგრამ, იქნებ კომისარიატში სიტყვა შეგანოთ...

- შეგიძლია ამის გაკეთება?

- შევძლებ, თუ კიდევ მოსვლის ნებას დამრთავთ.

- მოუყვები, რა კარგად ვაკეთებ ჩემს საქმეს, არა?

უცებ სიმწარე გაერია ხმაში. თაფლის სიტკბო სადღაც გაქრა.

გიორგი აღარ მიუახლოვდა, ხელი აღარ შეუშალა, თუმცა სიამოვნებით აკოცებდა, კართან შეყოყმანდა, ჩაცმულ-დახურული, ეგონა, გამაცვილებსო.

- როდის შემიძლია მოვიდე?

- იქნებ შემდეგ კვირას, - აიჩეჩა მხრები ნელიმ, - ოღონდ, გიორგი, უზრდელობაში არ ჩამომართვა, მაგრამ ყავაზე მკითხაობა... რაღაცით ხომ უნდა ვიცხოვრო, ხომ გესმის. გულით მომწონხარ და არავითარ შემთხვევაში არ მოგთხოვდი, ცოტა სხვა დრო რომ ყოფილიყო, მაგრამ...

გიორგი ადგილს მიეყინა. ყველაფერს მისცემდა, ყველაფერს გააკეთებდა მისთვის, მოსკოვში წაიყვანდა, ჰო, ამაზეც კი იფიქრა, როცა მკლავებში ჰყავდა მოქცეული, ოღონდ ეს არა! არ უნდა ეთხოვა მისთვის ფული.

- კი, კი, აბა რა, სულ დამავიწყდა.

და მთელი ფული, რაც საფულეში ჰქონდა, კამოდზე დადო გასასვლელთან.

რა იცოდა ალანამ, რამდენი მამაკაცი ჰყავდა ასე გაბედნიერებული ნელის, ერთ დროს თეატრალურ კარიერაზე მეოცნებე ქალს, რომელსაც თავისი ახალგაზრდობისა და ერთ დროს გამორჩეული სილამაზის წყალობით არასდროს უვლია სამსახურში, რა მშვენიერი ბრილიანტები, ქუდები და კაბები ჰქონდა ადრე, ამასთან კიდევ აბონემენტი თეატრის ლოჟაში და მანქანა, სამაგიეროდ კი, მთელი ცხოვრება ელოდა, როდის

დატოვებდნენ მამაკაცები ერთი-ორი საათით თავიანთ ოჯახებს და მას ეწვეოდნენ. რა იცოდა ალანამ, რომ ნელიმ საკუთარ ოჯახზე უარი თქვა, მარტოობა აირჩია ცხოვრების თანამგზავრად და თანახმა იყო ნაგავივით გადაეგდოთ, როგორც კი გულს იჭერებდნენ, რამდენი ლანძღვა, რამდენი სიძულვილი, რამდენი დამცირება ჰქონდა გადატანილი; რა იცოდა, რომ მას მერე, რაც მისი ყველაზე ხანგრძლივი და გავლენიანი მფარველი, სახელმწიფო პროკურორი გარდაიცვალა, ყავაზე მკითხაობით, ქარგვით და არალეგალური მევახშეობით გაჰქონდა თავი. რა იცოდა, რომ სიამოვნებით დაივინებდა ყველაფერს, რამაც მის თავზე გადაიარა, სხვა მოგონებებით ჩაანაცვლებდა. არც ის იცოდა, რომ სწორედ ნელის სიმთვრალე, დაუდევრობა და ხელიდან წასვლა გახდა იმ ღამით, დედამისის ნების საწინააღმდეგოდ, მისი ჩასახვის მიზეზი. ეს ყველაფერი რომ სცოდნოდა, მაინც დაიჭერებდა ნელის კეთილგანწყობას, მის ვნებას, მის მოჩვენებით თანაგრძნობას და მაინც დარჩებოდა სითბოსა და იქნებ სიყვარულის იმედი თავც გაბრუებული?

ამ შეკითხვას, ალბათ, ვერასდროს ვუპასუხებ, ბრილვა.

* * *

უფლება შეუმდგარ ცხოვრებაზე ხელშეუხებელია.
გენერალისიმუსი

ღამდებოდა, გარეთ ცრიდა. ცა ცხოველების მსგავსი ღრუბლებით დაიფარა. კიტიმ ბევრი ილაპარაკა საკუთარ თავზე, ამომწურავად, თავის შეგრძნებებზე, რომ უჭიპლარო არსებად იქცა, აღარც კავშირები შერჩა და აღარც სურვილები, ეული ბუშტივით ჰაერში გამოკიდებული, რომელიც დაბადების დღეზე შემთხვევით ხელიდან გაუსხლტათ ბავშვებს.

მანამდე გიორგიმაც ბევრი ილაპარაკა, თვითონვე გაუკვირდა. საუკუნეა, ამდენი არ მილაპარაკიაო.

შვებას გრძნობდა. არაფრის ეშინოდა.

უნდოდა, დრო გაჩერებულიყო, როგორც მაშინ იმ პატარა ბინაში, სხვენზე, ნელისთან, რომელსაც შეეძლო გათავისუფლების შეგნებით დაესაჩუქრებინა გიორგი, ამის ნაცვლად კი უკურნებელი იმედგაცრუება გაატანა ცხოვრების გზაზე.

ისეთი სასიამოვნო იყო საკუთარი თავის დანახვა კიტის თვალებით, ცოტა ხნით მაინც. იქნებ, სწორიც იყო მისი შეხედულება გიორგიზე. თუნდაც ნაწილობრივ. იქნებ იმ წლებში, კიტისთან ხანგრძლივ სატელეფონო საუბრებში რომ გაატარა, მართლა ბევრად უკეთესი გახდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. კიტის ხათრით. მისი ხმის ხათრით. ოღონდ ის ყოფილიყო თავისუფალი. იმას მოეპოვებინა სულიერი სიმშვიდე. რადგან ის ამას იმსახურებდა. ამაში გიორგის ეჭვი არასდროს ეპარებოდა. კიტის მისთვის იმედი არ გაუცრუებია. ჰოდა, ბუნებრივია, რომ მასთან დარჩენა

უნდოდა, დროის შეჩერება. ჯერ კიდევ გაკვირვებული იყო, როგორ მომაგნო. გაურკვეველობაში იყო, არ იცოდა, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ შეხვედრას. არ იცოდა, რამდენად უნდა შემოეშვა თავის ცხოვრებაში. როგორ გამწარდა და წლების განმავლობაში მწარდებოდა, რომ კიტი ფიქრობდა, თანამდებობის დაკარგვის შიშით ამაზე არ წავაო. როგორ უნდოდა, აესხნა მისთვის, რომ მხოლოდ მის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და არა თავის თავზე.

როგორ სიამოვნებდა მისი ყურება. მას მერე, რაც დაძლია მორიდება მისი სხეულის წინაშე, იმ სხეულის წინაშე, რომელსაც მისი ხმა ეკუთვნოდა. ისევ მის გვერდით იყო, როგორც ადრე, ერთადერთხელ, დიდი ხნის წინ, რაც კიტის აღარც კი ახსოვდა. ალბათ, მისმა გონებამ წაშალა ეს სურათი, ეს მოგონება. ის ბანალური შეხვედრა მიყრუებული პატარა ქალაქის ცარიელ სადგურში, როცა გიორგიმ კიტის მისი უიღბლოდ შეყვარებული ძმისგან ამანათი ჩაუტანა და სთხოვა, სანამ მატარებელი ჩამოდგება და გზას გავაგრძელებ, ჩემთან იყავიო. იქნებ სჯობდა კიდევ ასე. კიტისთვის.

თვითონ გიორგის კი ყოველთვის განსაცვიფრებელი მეხსიერება ჰქონდა, სწორედ ამიტომ გახდა ასე შეუცვლელი საიდუმლო სამსახურში. და ამ მეხსიერებაში სამუდამოდ აღებეჭდა ის სკოლისფორმიანი გოგო, როგორც იყო კიტი იმ სხვა ცხოვრებაში, სხვა ეპოქაში, სხვა სამყაროში. ეს სურათი ახსენდებოდა, ეს უდგებოდა თვალწინ, როცა მისი ხმა ესმოდა ხოლმე, სანამ პრესაში მისი ფოტოები დაიბეჭდებოდა, სანამ სხვებთან ერთად მის კონცერტსაც დაესწრებოდა ანონიმურად.

გიორგის მოსწონდა კიტის ჟესტები, მოსწონდა მისი სიცილი, მისი მიმიკა, მისი სურნელი, საბავშვო კრემის სუნი რომ დაჰკრავდა და მისი ერთგვარი დაბნეულობა, უხერხულობა, საკუთარ ოთხ კედელშიც კი სტუმარივით იქცეოდა, თითქოს ვერ გაეთავისებინა ეს მხარე, ეს ენა, ეს ნივთები, ტანსაცმელიც კი.

გიორგიმ თავის სამსახურზე ილაპარაკა, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ეს არ გაეკეთებინა. იმ ლანდებზე, თან რომ სდევდნენ, იმ სახეებზე, კანზე რომ ჰქონდა ამომწვარი უხილავი ტატუსავით. კიტი დუმდა და ვისკის სვამდა, გიორგი კი ისევ თავის ლიმონათს წრუპავდა.

მერე ლენინგრადზეც უამბო, აკადემიასა და კოსტიაზე. ხმა სხვანაირად უჟღერდა, როცა იმ ბედნიერ დროს იხსენებდა ხოლმე. ამდენი წლის მერეც, რა არ გამოიარა და მაინც ვერაფერმა დაჩრდილა ის ბედნიერება.

ალანიას ცოლი არასდროს შეურთავს, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა ამის საშუალება. იყვნენ ქალები, რომლებზეც შთაბეჭდილებას ახდენდა მისი შესაძლებლობები, მისი განათლება, მისი გავლენიანობა, მისი საბრიანობა, მისი მოწინებელი, დახვეწილი, ლამის ზრდილობიანი

ძალმომრეობა. შეეძლო თავი მოეტყუებინა, მათი გატაცებები სიყვარულად მიეჩნია და სიამოვნება მიეღო. მაგრამ მან ერთადერთ ქალს შეჰფიცა ერთგულება და სიტყვის კაცი იყო. ეს ქალი ახლა პირისპირ ეჯდა. ლონდონის ბორდელებში პოულობდა იმას, რასაც კიტის ხმა ვერ მისცემდა. ასე უფრო მარტივი იყო მისთვის. ყიდულობდა ილუზიებს, ყიდულობდა ალერსს რამდენიმე საათით და დროთა განმავლობაში სრულიად მიენდო ამ ილუზიებს. გამოცდილ მეძავებს პოულობდა, თავს ევლებოდა, ხანდახან სეირნობდა მათთან ერთად, საჩუქრებს ყიდულობდა მათთვის. ისინიც კმაყოფილნი იყვნენ და გიორგიც, რადგან მათ უფრო ეხერხებოდათ ტყუილი, ვიდრე ღირსეული ქალბატონების უმრავლესობას.

ტყუილს კი მის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. ლონდონში გატარებული წლების განმავლობაში გიორგი ალანიამ უამრავი ადამიანის კვალს მიაგნო, პირადად დააბრუნა სამშობლოში, ზოგი ძალით, ზოგიც, მისი ცრუ დაპირებებით მოტყუებულები, თავისი ნებით; ამასობაში მოსკოვში კარგი რეპუტაცია შეექმნა და გარკვეულწილად ხელშეუხებელიც გახდა. კი, პირობა შეასრულა, როგორც ყოველთვის. მაგრამ კიტის შემთხვევაში განსაკუთრებული მონდომებით, განსაკუთრებული რწმენით მოქმედებდა. უკან არ დაუხევია. როგორ ეშინოდა, რომ ყველაფერი გამოაშკარავდებოდა, რომ ვერ შეძლებდა კიტის დაცვას, რამხელა ძალისხმევა დასჭირდა ამ პირობის შესასრულებლად, და მაინც, როგორი სიამოვნებით შეასრულა. კიტის გამო. ერთადერთი წმინდანის გამო თავის ცხოვრებაში.

თავიდან კოსტიასთვის ირჯებოდა, თავისი ლალი მეგობრისთვის, მაგრამ მერე გამოუტყდა თავს, რომ კოსტია აღარ განაპირობებდა მის სურვილს, ამ უსხეულო ქალთან დარჩენილიყო, ამ ხმასთან. წლების განმავლობაში აჩრდილივით ცხოვრობდა, ახლა კი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ერთმანეთს თავ-თავიანთ ცხოვრებას უამბობდნენ, ყველაზე იდუმალ აზრებს და სურვილებს უზიარებდნენ, პირადულზე საუბრობდნენ, როგორც ძველი მეგობრები, რომელთაც ერთად უქეიფიათ ქორწილებსა და დაბადების დღეებზე, ერთად დაუტირიათ ახლობლები, ერთად გაუვლიათ ცხოვრების გზა.

ის დღე გაახსენდა, როცა გააცნობიერა, რომ კიტის მისი დაცვა აღარ სჭირდებოდა და თავისუფალი იყო, ის დღე, როცა მისი პირველი სიმღერა მოისმინა რადიოში. მოვახერხეო, ხელს ვეღარავინ ახლებსო.

და ახლა უარი თქვა ყოველგვარ წესებზე, უსაფრთხოების ზომები დაივიწყა, ყველაფერზე წავიდა, რომ არ დაეკარგა ის, რაც ამდენი წელი ასე მნიშვნელოვანი იყო მისთვის. ისიც კი დაუშვა, რომ კიტიმ მისი პოვნა მოახერხა, არადა, რა იოლად შეეძლო მისი ბანქოს სახლის ჩამონგრევა, – გიორგის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. მაგრამ არც ეს ანაღვლებდა, რაკი კიტის გვერდით ყოფნა ეღირსა. რა მნიშვნელობა ჰქონდა,

გამოიჭერდნენ თუ არა, გამოააშკარავებდნენ მის ორმაგ ცხოვრებას თუ არა, როცა ამ სახისა და ამ ხმის გაერთიანებას მოესწრო.

ღამე დღესთან მიახლოებას ლამობდა. და ის დღე, რომელიც თენდებოდა, სრულიად განსხვავებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე ყველა დანარჩენი დღე თავის ცხოვრებაში. რა კაცი გავიდოდა იმ ბინიდან? კიტიმ ღრმად ამოისუნთქა და კმაყოფილი კატასავით გაიზმორა დივანზე.

ამ დროს სულ სხვა სამყაროში მძიმე, დასიებული სხეული გვერდზე გადაბრუნდა. წვერიან კაცს, ალკოჰოლითა და შეცდომებით მონამლულს, აუნერელი დანაკლისით დანაკუნებულს, საკუთარი უსუსურობით გატანჯულს, ლაპარაკის უნარიც აღარ შერჩა და ცხოველივით ყმოდა.

ხოლო იმავე სამყაროში, იმავე ქალაქშიც კი, სიფრიფანა, წითელთმიანი ქალი ლეიბზე წამოჭდა, გვერდით ახალგაზრდა უცნობი ქალი ეწვა, რომლის სახელიც ვერ გაიხსენა და ტუჩი მოიკვნითა. შხამი, რომელიც ყველაფერს ავიწყებდა, აღარ მოქმედებდა, თავი უსკდებოდა, მთელი სხეული სტკიოდა, მაგრამ გამოფხიზლებული გონება მოსთქვამდა და მძვინვარებდა, ახსენებდა, რომ ვიღაცას უღალატა, ვიღაც დაკარგა და ამ დანაკარგს ვერ შეეგუებოდა.

- უნდა მიშველოთ. თბილისში რომ არ ჩავიდე, ჭკუიდან გადავცდები. განძრევა აღარ შემიძლია, ვგიჟდები. სხვა ვერაფერზე ვფიქრობ. უნდა დავბრუნდე. არ ვიცი, რა დამემართა, წლების განმავლობაში ვახერხებდი ამ გრძნობებისა და მოგონებების მოთოკვას, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია. უნდა წავიდე. მე ბრიტანული პასპორტი მაქვს, მაგრამ... დამეხმარეთ, - კიტიმ ეს ყველაფერი ჩუმად თქვა, მონოტონურად, თითქოს ლოცვას იმეორებდა.

- ამით რას ელით, რისი იმედი გაქვთ?

- არ ვიცი, უბრალოდ ვიცი, რომ წასვლა მინდა. მეტს აღარაფერს გთხოვთ. სიტყვას გაძლევთ, გიორგი. ღმერთო, ვერ ვეჩვენებ თქვენს სახელს.

- არ ვიცი, რამდენად მინდა, რომ აღარაფერი მთხოვოთ. მაგრამ თქვენი სურვილი ჩემს კომპეტენციას სცილდება.

ღამე ჩამოდნა და გორგალივით გაეჩხირათ ყელში. ის ორნი კი ბავრიდან ჩამოვარდნილ აკრობატებს დაემსგავსნენ, ცირკის არტისტებს, რომელთა ვარვები ქარმა ცაში აიტაცა.

აღელვებისა და შიშისგან კუჭი ისე შეეკუმშა, თითქოს ატრაქციონზე მიექანებოდა. როცა წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. ფეხები დაუბუჟდა. იცოდა პასუხი შევითხვამე, რომლის დასმასაც კი ვერ ბედავდა, მთელი ის წლები ენის წვერზე ჰქონდა მომდგარი და ვერც კი აცნობიერებდა. პასუხი შევითხვამე, თუ რატომ ზრუნავდა გიორგი მთელი ამ ხნის განმავლობაში კიტის გადარჩენაზე, მის აქ ჩამოყვანაზე. მაგრამ ჯერ ვერ ეტყოდა, რომ ის იყო მისი ცხოვრების ყველაზე

ხანგრძლივი სიყვარული – თუმცა კი სხეულს მოკლებული, მაგრამ მაინც მარადიული.

ოფლმაც კი დაასხა: კიტის თუ აღარ დასჭირდებოდა, თუ მასთან მეგობრობაზე აღარ იქნებოდა დამოკიდებული, მაშინ მის ცხოვრებას რა აზრი ექნებოდა? როგორ გადაურჩებოდა სამუდამო გამყინვარებას?

არა, გიორგის უნდოდა, რომ კიტის დახმარება ეთხოვა მისთვის, რომ კიდევ ბევრი თხოვნა ჰქონოდა.

– ცხრამეტის ვიყავი. შეიძლება თვრამეტისაც კი. ყოველ შემთხვევაში, ფრუნბეს აკადემიის პირველ კურსზე ვსწავლობდი ჯერ. მატარებლით მივემგზავრებოდი შავი ზღვის სანაპიროსკენ. კოსტიამ ამანათი გამომატანა, დედამისისთვის ან დეიდამისისთვის უნდა გადამეცა და შემოვლითი გზით წამოვედი, რადგან მითხრა, რომ მისი და...

კიტიმ უცებ თავი აწია, ყურადღებით შეხედა, გაკვირვებულმა, თითქოს უსასრულო ზამთრის ძილიდან გამოერკვაო.

– ...ბაბუასთან იყო ჩასული და იქნებ მისთვის გადამეცა, ის კი თბილისში გადაგზავნიდა. რატომღაც ძალიან ეჩქარებოდა მაშინ. კარგად მახსოვს: ისეთი სისწრაფით შეკრა ის კოლოფი. მოკლედ, მე სიამოვნებით დავთანხმდი შემოვლით გზას, ძალიან მაინტერესებდა კოსტიას ოჯახი, მისი და...

კიტი დაბნეული მისჩერებოდა. შუბლშეჭმუხნილი. გაფაციცებული ეძებდა ფაზლის დაფანტულ ნაწილებს მესსიერებაში.

– იმ დღეს, როცა სადგურში შეგხვდით, დაბადების დღე ჰქონდა. მახსოვს, მივულოცე კიდევ. ტელეგრამა გავუგზავნე.

– ღმერთო ჩემო, ეს თქვენ იყავით, – ჩურჩულით თქვა კიტიმ.

– გუშინდელი დღესავით მახსოვს. ის სადგური. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვლელავდი. კოსტიას და უნდა გამეცნო, სხვა მხრიდან დამენახა კოსტია, მეტი გამეგო მის შესახებ, არ ვიცი, რას ველოდი. მართლა არ ვიცი. მერე კი თქვენ დაგინახეთ. ის საშინელი სკოლის ფორმა გეცვათ, ოღონდ წინსაფარი არ გეკეთათ. და განუწილი თმა. თვალებში ჩამოყრილი. თითქოს მორბოდით, და ძალიან გაფანტული მეჩვენეთ, მე კი აუცილებლად მინდოდა მესაუბრა თქვენთან. ცნობისმოყვარეობა მკლავდა. იმდენი რამე მაინტერესებდა, მინდოდა გამეგო, როგორ ხდებიან ისეთები, როგორიც კოსტია იყო, და რატომ, რა ოჯახში უნდა გაიზარდო... და გული გაგიწყალეთ. თქვენ მითხარით, სამეცადინო მაქვსო, მოთმინება აღარ გეყოთ, მე კი იმედგაცრუება ძლივს დავმალე, ვიფიქრე, წარმოუდგენელია-მეთქი, ამხელა გზა გამოვიარე და რისთვის, სულ რამდენიმე წუთის გასათარებლად ამ ტუტუცურ დარბაზში, ამ სკოლის მოწაფის სანახავად, რომელიც ზედაც არ მიყურებდა და... გავბრაზდი. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა, თქვენ კი ამანათი გამომართვით და წახვედით. ისეთი დამცირებული ვიყავი, ვფიქრობდი, ასეა, ყოველთვის ასეა-მეთქი, ვერავინ მამჩნევს, მით უმეტეს, ქალები, სხვას რას ველოდი. მაგრამ მერე

თქვენ დაბრუნდით და შემოანათეთ. ისეთი ბედნიერი ვიყავი და გაცოცხლებული და აღტაცებული. არა, არ ვამეტებ. ნუ მიყურებთ ასე. თქვენ ისეთი სიცოცხლით სავსე იყავით. მახსოვს, როგორ ღელავდა ხოლმე კოსტია თქვენზე, ძალიან თავნებააო. ჩემთვის კი სწორედ ეს იყო საოცრება, რომ ასეთი იყავით.

მოგვიანებით მატარებელამდე მიმაცილეთ და ხელი დამიქნიეთ. ჰო, ხელი დამიქნიეთ. უკვე ბნელოდა და ფანჯარა ჩამოვნიე, ვიყურებოდი, ლამის მთელი ტანით გადმოვევიდე, თქვენ კი იდექით იქ, ბოლომდე იდექით, არ მიდიოდით, და წამით წარმოვიდგინე, რომ შეყვარებულს ვემშვიდობებოდი. შეყვარებული ბიჭი, რომელსაც შეყვარებული გოგო ემშვიდობება და ხელს უქნევს. ეს საკმარისი იყო ჩემთვის. დიდხანს. ძალიან დიდხანს.

ჩაფიქრებული კიტი ხმას არ იღებდა, ხან ცარიელ ჭიქას დასცქეროდა, ხან იატაკს, თვალს ვერ უსწორებდა. ბოლოს მიუბრუნდა და მხრებზე შემოეხვია, შუბლით შუბლზე მიებჯინა და ასე გაშემდა. როცა მოყოლა დაასრულა, ალანია მიხვდა, რომ ამიერიდან ბევრი რამ შეიცვლებოდა.

კი, რადიკალურად შეიცვლებოდა. ოღონდ, კარგისკენ თუ ცუდისკენ, ეს არ იცოდა, მაგრამ ყველაფერზე თანახმა იყო, თანახმა იყო, რადგან წინ ერთადერთი ქალი ეჭდა, რომელსაც ის უყვარდა.

* * *

მე დღეს საქმე მაქვს აუარება:
მინდა გრძნობები ჩავიკლა წმინდა,
მინდა დავგმანო სულის კარები,
ცხოვრების სწავლაც ხელახლა მინდა.
ახმატოვა

უღიმდამო, მოღუშული დილა იყო, როცა თვითმფრინავი მინაზე ეშვებოდა. თითქოს ავი სულები შეიყარნენ ღრუბლებზე და თავს იმით ირთობდნენ, რომ ჩამომსვლელებს ენას უყოფდნენ.

გიორგი დაჰპირდა კიტის, რომ დახვდებოდა. ხელს შეაშველებდა, თუ დაეცემოდა, ბუმბულის ბადეს დაუფენდა, რომ არაფერი სტკენოდა, ან უბრალოდ ფრთები გაეშალა და გაფრენილიყო, თუ ხაფანგში აღმოჩნდებოდა, და თუ გაიგუდებოდა, სულს ჩაჰბერავდა.

ამ ყველაფერს ჰპირდებოდა იმ უსასრულო მაფხულის განმავლობაში, ლონდონშიც და შვიდი დის კლდეზეც, სადაც კიტი ბოლოს მაინც წავიდა დახუთულ ივლისში – გიორგისთან ერთად.

ის დღეები სავსე იყო სიტყვებით, ისევ რომ დაიბრუნა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ უსაფრთხოდ იყო, ფიზიკურად კი არა, ბევრად უფრო არსებითად, თითქოს ამ შეხვედრამდე რეალობა ერთ დიდ გაბზარულ

კულისს წარმოადგენდა, რომელსაც კიტი სულ არ ენდობოდა, და მხოლოდ ახლა, როგორც იქნა, შეიხედა. სინამდვილე რეალობის მიღმა.

სიტყვები, რომელთა უკან სიტყვების ჯარი იდგა. წინადადებები, რომელთაც ბოლო არ უჩანდა, რომლებიც სიცარიელესა და უაზრობაში არ იფანტებოდა. იმ უსასრულო ღამის შემდეგ, მზის ამოსვლის მერეც რომ გაგრძელდა, უტელეფონოდ და ლიმიტირებული დროის გარეშე, გიორგის აღარასდროს უხსენებია თავისი სამსახური. სიმახინჯე იყო, რის დამალვასაც ცდილობდა, რისი ხსენებაც არ უნდოდა, რაც შიშს ჰგვრიდა, კიტისაც არ უნდოდა საფრთხე შეექმნა იმ მყიფე ნაგებობისთვის, რის ასაშენებლადაც ორივე მზად აღმოჩნდა მოულოდნელად. უბრალოდ უნდოდა, რომ გიორგი დარჩენილიყო. მის ცხოვრებაში. მის გვერდით. ზოგჯერ ფიქრობდა, შეძლებდა კი, მისი ყველა საიდუმლო გაეზიარებინა, როგორც მისი მრავალწლიანი ლოიალობის საფასური?

მაგრამ კიტის ეშინოდა ამის, არ უნდოდა სცოდნოდა, რად დაუჭდა გიორგის მისთვის ზურგის გამაგრება. თუმცა უფრო ხშირად – რაოდენ პარადოქსულიც უნდა ყოფილიყო – ის უფრო აშინებდა, მასთან დარჩენა რომ გადაწყვიტა. რატომ დაივიწყა სიფრთხილე, ინსტრუქციები, მკაცრად რეგლამენტირებული უსაფრთხოების ზომები, შეთანხმებები, რაც მის რეალობას წარმოადგენდა და ასეთ წარმოუდგენელ რისკზე წავიდა. როგორ არ ეშინოდა, რომ მისი ორმაგი ცხოვრება შეიძლებოდა ციხის საკანში დასრულებულიყო? რომ მის კარგად დადგმულ სპექტაკლს ფარდას ახდიდნენ ბალაგანივით?

ეს შეკითხვები მისთვის არ დაუსვამს. უბრალოდ, მასთან იყო. ყოველთვის, როცა გიორგი მოდიოდა, როცა მიაჩნდა, რომ მისვლა და დარჩენა შეეძლო. მხოლოდ ფორმალურად განაგრძობდნენ აუცილებელი უსაფრთხოების წესების დაცვას: დღე ღამემ ჩაანაცვლა. ერთად არასდროს გადიოდნენ ბინიდან. საჯაროდ არასდროს ხვდებოდნენ ერთმანეთს. სხვადასხვა მატარებლით მიემგზავრებოდნენ კიტის კოტეჯში. ზოგჯერ, როცა იქ უყურებდა ხოლმე გიორგის, რომელიც ომლეთს უმზადებდა, ან მის ფირფიტებში იქევებოდა, შიშისგან ქვავდებოდა. იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რომ შეიძლებოდა ისევ გამქრალიყო, ისევე როგორც ნორმალურად ერთად ყოფნაზე ფიქრი.

როცა გიორგი ზოგჯერ გამორდებოდა ხოლმე, დაიჩემებდა, მართო მინდა გასეირნებაო, ან ოსტატურად აარიდებდა თავს მის შეკითხვას, კიტი ფიქრობდა, ასე თუ გაგრძელდა, ვეღარ ავიტან, ასე ცხოვრებას ვერ შევძლებ, შემზიზღდებაო. იმის გამო, რაც ჩადენილი ჰქონდა, იმის გამო, რის განსახიერებასაც წარმოადგენდა, იმის გამო, რასაც არ უმხედა.

მაგრამ მერე ნუგემს იმ საზარელ ფიქრებში ეძებდა, მთელი ცხოვრება თან რომ სდევდა, და რის დავიწყებასაც ადრე ამაოდ ცდილობდა. მკვლელობას იხსენებდა, მარიამს და იმ დაჩრდილულ ბინას მთანმინდაზე. ასეთ წუთებში უსიტყვოდ აღიარებდა, რომ მკვლელი იყო,

და მას, მკვლელსა და მოღალატეს, არავის გაკიცხვის უფლება არ ჰქონდა, რაც უნდა მოემოქმედა და ჩაედინა იმ ადამიანს.

ერთმანეთს არასდროს შეხებიან. გიორგის ეტყობოდა, რომ ფიზიკურ სიახლოვეს არ იყო ჩვეული, კიტი დაბავდა.

კიტის ანცობდა ეს. მასაც თავიდან უნდა ესწავლა სიყვარული, სანამ როდისმე ისევ წავიდოდა ამაზე. შვიდი დის კლდეზე ზღვის ხმაურს უსმენდნენ და დიდხანს სეირნობდნენ სისველეში. სიტყვებით ტკბებოდნენ. კიტის ისევ მოუნდა გიტარის აღება და ახალი რამის შექმნა. როცა გიორგი ლონდონში მიდიოდა და მარტო ტოვებდა, ტელეფონს თიშავდა და ფანჯრის რაფაზე შემომტდარი იგონებდა ახალ მელოდიებს. ლიმონათი ყოველთვის ჰქონდა მაცივარში მისთვის შემონახული. იმ დროს უკვე უმკლავდებოდა მოგონებებს წითელთმიან ქალზე, ამის გამო ცუდ ხასიათზე აღარ დგებოდა. იმიტომ რომ ყველაფერი ვარგად იყო.

მერე კი, ერთ საღამოს, გიორგი ჩამოვიდა ლონდონიდან, სამზარეულოში შევარდა პატარა ბიჭვით გახარებული, რომელმაც საკუთარ მოლოდინსაც კი გადააჭარბა, და გაბრწყინებული სახით წამოადგა კიტის თავზე.

- მგონი, ვიპოვე გამოსავალი. ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს.

- რას გულისხმობთ? - იკითხა დაბნეულმა კიტიმ.

- მგონი, ვიცი, რა გზით შევძლებთ თქვენს ჩაყვანას თბილისში, - თავისებურად, საცოდავად გაიღიმა, რაც კიტის ყოველთვის სევდას ჰგვირიდა, - თქვენს მენეჯერს ველაპარაკე. შევატყობინე, რომ ოფიციალური თბილისი დაინტერესებულია თქვენი კონცერტის გამართვით, მაგრამ შემოთავაზება მისგან უნდა მოდიოდეს. თავიდან ძალიან გაკვირვებული ჩანდა, მაგრამ მაინც მოიწონა, კიტის ნამდვილად გაუხარდება სამშობლოში ჩასვლამ. მერე დანვრილებით ავუხსენი, ვის უნდა დაურევოს და რა უნდა უთხრას, რომ ეჭვი არავის გაუჩნდეს, ასე რომ, ბოლოს მან ჩვენს საელჩოში დარეკა და შესთავაზა თბილისში კონცერტის გამართვა. კეთილგანწყობის ნიშნად ორივე მხრიდან. ეს ხუთი დღის წინ მოხდა, მერე მე კულტურის განყოფილებას ვეთათბირე შუალამემდე. ელჩს ველაპარაკე, იმან მოსკოვში დარეკა. უნდა გითხრათ, რომ ცნობილი ხართ საბჭოთა კავშირში. განსაკუთრებით ახალგაზრდობას უყვარს თქვენი სიმღერები. Replacement-ის და პრადის ფოტოს მერე ძალიან პოპულარული გახდით. ამიტომ იქ დაფიქრდნენ და გადაწყვიტეს, რომ ამ შანსის გამოყენება არ იქნებოდა ჭკუას მოკლებული. კარგ ფოტოს გადაგიღებენ თქვენს მშობლიურ ქალაქში, რაც გარკვეულწილად შერიგების შესტი იქნება, იმის ნიშანი, რომ თქვენ არაფერი გაქვთ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო, რომ მაშინ, პრადამი, უბრალოდ სულელური გაუგებრობა მოხდა. მათ სჭირდებათ ასეთი შემრიგებლური შესტები, სწორედ ახალგაზრდებს უნდათ დაუმტკიცონ, რომ კაციჭამიები არ ვართ.

კიტი გაოცებული შესცქეროდა, ალანიას მიერ მიწოდებული ინფორმაციის გააზრებას ვერ ასწრებდა, ვერ იჯერებდა, რომ მისი ოცნება მალე რეალობად გადაიქცეოდა.

- და თქვენ? - ჰკითხა მოგვიანებით, ჭამის დროს.

- რა მე?

- თქვენ არ წამოხვალთ?

- მე ასეთი გეგმა მაქვს: ემის ვიზას არ მისცემენ, მეტისმეტად ბრიტანელია, მეტისმეტად კაპიტალისტი და ენას კბილს ვერ დააჭერს. თუ ყველაფერი კარგად წავა, ქვეყნის შიგნით ემის ფუნქციებს მე გადმომაბარებენ. და თუ ამ შეთანხმებას მიაღწევენ, მაშინ იმ ორი კვირის განმავლობაში, რასაც თქვენ გამოგიყოფენ, ოფიციალურად კურირებას მე გაგინევთ.

- რა იციან, რომ უკვე ოცი წელია, ამით ხართ დაკავებული.

წარსული აეროფლოტის თვითმფრინავით სწრაფად და სახიფათოდ მიუახლოვდა ანშყოს.

კიტის ფეხები დაუსივდა. ხელები მუშტებად ჰქონდა შეკრული. თეთრი პერანგის ილღიებში ოფლის ლაქები დაეტყო. თვალები მაგრად დახუჭა და სცადა მშვიდად ესუნთქა. უცნაურია, მაგრამ მაინცდამაინც ამ დროს გაახსენდა ფრედი.

იქ, სადაც ყველაზე შორს იყო მისგან და ყოველი ახალი კილომეტრი კიდევ უფრო აშორებდა. მაგრამ სხვანაირად არ შეეძლო, გაიფიქრა, ნეტავ როგორ აღიქვამდა, რა გრძნობა გაუჩნდებოდა, რა თვალთ შეხედავდა ფრედი ქვეყანას, რომელიც თითქმის ორი ათეული წლის განმორების შემდეგ მისთვისაც უცხო გამხდარიყო. სად იყო თვითონ? რას აკეთებდა? ზრუნავდა მასზე ვინმე, თუ ყველა მფარველი ანგელოზი ნემსში გაცვალა. კიტიმ შუბლი მიაბჯინა წინა სკამს. მოსკოვში უნდა გადამჯდარიყო და ათასგვარი კონტროლის გავლა მოუწია, თუმცა ყველაზე მძიმე გამოცდა წინ იყო. მაგრამ იქ გიორგი ელოდა.

ათი დღით ადრე გაფრინდა სამშობლოში, რომ ადგილზე მოეგვარებინა ყველაფერი. ის დახვდებოდა და ამოისუნთქავდა კიტი. ის დაიფარავდა, რომ მოგონებების სიმძიმეს არ გაესრისა. ნამდვილად დაიფარავდა.

როგორც კი თვითმფრინავის კარი გაიღო და ტრაპი მიადგეს, ხალხის შეძახილები გაისმა. დადგმულ ბალებს ჰგავდა, ისე ერთდროულად, ერთნაირად იქნევდნენ თაიგულებს, სინქრონში, არავინ გამოდიოდა მწკრივიდან, არავინ უწევდა ზედმეტად ხმას, არავინ იჩენდა ენთუზიამის ნაკლებობას.

ჟურნალისტებიც კი, მწკრივს რომ გამოეყვნენ და მისკენ გაექანნენ, თავიანთი საუკეთესო, ქარისგან დაცული მიკროფონები მიუშვირეს, ზრდილობის ფარგლებს არ სცილდებოდნენ და გულითადად უღიმოდნენ.

კიტიმ ფოტოების გადაღების შესაძლებლობა მისცა, თავაზიანად უპასუხა რედაქციის მიერ დამტკიცებულ, არაფრისმთქმელ შეკითხვებს, ხალხი კი მოწინებით გაჩუმდა. ყვავილები მიაართვეს, მადლობა გადაუხადა, ბოლოს აეროპორტის მეორე სართულზე აიყვანეს, სადაც გრძელ საკონფერენციო მაგიდასთან კოსტიუმებში გამოწყობილი კულტურის მუშაკები, სხვადასხვა რედაქტორი, KFB-ს თანამშრომლები, თავდაცვის ხალხი და ეგრეთ წოდებული პროგრამების ხელმძღვანელები შეკრებილიყვნენ. გამოვიდნენ საზეიმო სიტყვებით, ილაპარაკეს მისი კონცერტის მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვეს სამშობლოს ინტერესს მისი პიროვნების მიმართ, აღნიშნეს, რა საფრთხეს შეიცავდა დასავლეთის პროპაგანდისტული მანიპულაციები და გააცნეს მომავალი ორი კვირის პროგრამა. მხოლოდ მესამე გამომსვლელის დროს გამოჩნდა გიორგი. სანამ ოთახში შევიდოდა, კიტიმ ნაბიჯების ხმაზე იცნო. პირდაპირ კიტისკენ გაემართა და ოფიციალურად ჩამოართვა ხელი. მშვიდად შეხედა, თითქოს ანიშნა, ყველაფერი კარგად იქნებაო.

დახვედრის ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ დელეგაცია რამდენიმე მანქანით გაემართა კრწანისში, რომელიდაც ცნობილ საბანკეტო დარბაზში. იქ ბარაქიანი ქართული სუფრა და დიდი ოდენობით საფერავი დახვდათ. ოფიციალური გამოსვლები გაგრძელდა – შედარებით მსუბუქი ფორმით. კიტის ლუკმა არ გადასდიოდა, მხოლოდ ალანისა მუხლი უნარჩუნებდა წონასწორობას, რომელსაც გრძელი სუფრის ქვეშ ნამდაუნუმ ავლებდა ხელს. გული თუ ნამივა, მომასულიერებსო. სანამ მისი სამადლობელი სიტყვის ჯერი დადგებოდა მინისტრის სადღეგრძელოს შემდეგ, კარში კოსტია გამოჩნდა.

ისევ ისეთი მაღალი, შემაშფოთებლად თანამედროვე, წვერულვაშიანი, ორდენებით მოფენილი, ასეთმა შეაბიჯა ოთახში. კიტიმ ვერ გაბედა წამოხტომა და მისკენ გაქცევა (უნდოდა კი? შეეძლო კი?). არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთ სიტუაციაში. მაგრამ ირგვლივ ხალხმა უცებ ტაში შემოჰკრა და ამ პათეტიკურ-ყალბი აურზაურის თანხლებით გადაეხვია ძმა თავის მოღალატე დას, რომელიც დიდი, დიდი ხნის წინ წაართვა ბოროტმა იმპერიალისტურმა სამყარომ და რომლისთვისაც ახლა ლამის ბიბლიური უძღვები ქალიშვილის დაბრუნება გაითამაშეს. მარტო მარში აკლიათ, – გაიფიქრა კიტიმ და კოსტია მაგრად ჩაიხუტა.

კიტი ალანისა და თავის ძმას შორის იჯდა, უგემრიელეს მდინარის კალმახს შეექცეოდა ბრონეულის სანებლით და თავს იკავებდა, რომ გული არ წასვლოდა, სანამ ამაყად ატყობინებდნენ, რომ ფილარმონიაში ყველა ბილეთი გაყიდული იყო მის ორივე კონცერტზე, რომ პრესას უნდა შეხვედროდა, რომ ოფიციალურ ბანკეტს უნდა დასწრებოდა რამდენიმე სხვა საბჭოთა მუსიკოსთან ერთად. სამი საათის შემდეგ, როცა, როგორც იქნა, უფლება მისცეს, დარბაზი დაეტოვებინა ძმასთან ერთად და მის

„ჩაიკაში“ ჩამჭდარიყო – ამ დროს კიდევ ერთხელ გახედა ალანის მადლიერი თვალებით და თითქოს შველაც ითხოვა – წინა სკამის ზურგს აეკრა და თვალები დახუჭა.

– ძალიან გაგიმართლა, მის მოხერხებას უნდა უმადლოდე, მართლა ძალიან ჭკვიანია, – თქვა კოსტიამ ცოტა ხნის დუმლის შემდეგ. მაგრამ კიტის პასუხის გაცემის თავი არ ჰქონდა.

ქალაქი რომ გადაკვეთეს და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ჩრდილოეთისკენ გაემართნენ, კოსტიამ უთხრა, – ერთი-ორი ცუდი ამბავიც მოხდაო.

– სტასია? – წაილულულა კიტიმ. პირი დამშრალი ჰქონდა, ტუჩები დამსკდარი. ყოველი სიტყვა სტკიოდა.

– არა, ეგ ყველას გაგვისტუმრებს, დამიჯერე. ერისთავებს ვგულისხმობ.

– ანდრო?

– საავადმყოფოშია. სადაცაა ღვიძლი უმტყუნებს, არცაა გასაკვირი, თუ მაგის მგზნებარე სიყვარულს გავითვალისწინებთ ალკოჰოლის მიმართ. მას მერე, რაც...

– რაც?

– შვილი მოუკვდა.

– არ ვიცოდი, რომ...

– სვამს? სვამს არ ჰქვია ამას.

სტასია ატირდა და სკამზე დაეშვა. ნანას თავისი ძვირფასი ჩეხური სერვიზის ფინჯანი გაუვარდა ხელიდან. დარიამ შესცინა და რაღაც უცეკვა. მე კი – არ ვიცი, რა ვქენი, ალბათ, არაფერი განსაკუთრებული, ჩავიდუდღუნე ან წავიდუღუნე რამე. მაგრამ ყველაზე უცნაური რეაქცია კიტის ჩამოსვლაზე ელენეს ჰქონდა: მამამისის მანქანა რომ დაინახა ასახვევში, სწრაფად აირბინა აღმართი და დაიშალა.

მხოლოდ გვიან საღამოს დაბრუნდა შინ, როცა სტასიას ლოყებზე ცრემლი შეაშრა. დარცხვენილი შეიძურნა აივანზე, სადაც სუფრა იყო გაშლილი. ოჯახის ყველა წევრს თვალში მოხვდა მსგავსება, და მართლაც გამაოგნებელი იყო: ისეთივე სქელი თმა, ისეთივე თვალები, ისეთივე მაღალი ყვრიმალები, ტუჩებიც კი ისეთივე დაბერილი, მხოლოდ სხეული ჰქონდა ელენეს უფრო ზანტი და ფაფუკი, კიტისგან განსხვავებით.

კიტი წამოდგა და ნელა მიუახლოვდა ძმისშვილს.

– ყველაფერი რიგზეა, ელენე, – უთხრა ინგლისურად. იფიქრა, აშკარად შეშინებულ გოგოს უცხო ენაზე უფრო გაუადვილდება გაცნობაო, კოსტიასგან გაიგო, რომ ელენემ მისი ფირფიტებით ისწავლა ინგლისური, – სად იყავი ამდენ ხანს? გელოდებოდი ყველანი.

როგორც იქნა, ელენემ თავი ასწია, თითქოს გულზე მოეშვა. ორი უმამო შვილის დედა დაბნეულ გოგოს ჰგავდა, რასაც კიტი კოსტიას შვილზე ვერაფრით იფიქრებდა.

- შემეშინდა, - უპასუხა იმანაც ინგლისურად. უცხო ენა გულახდილობის შესაძლებლობას აძლევდა. სუფრაზე შეკრებილთაგან სხვა ვერავინ გაუგებდა.

- რისი? - ჰკითხა კიტიმ და თავისი სხეულით გადაფარა ელენეს სახე ოჯახის წევრების ცნობისმოყვარე თვალებისგან.

- რა ვიცი. იქნებ ისეთი არ ყოფილიყავი, როგორიც წარმომედგინე.

- და როგორი წარმოგედგინე?

- ყველასგან განსხვავებული.

- მერე? იმედი გაგიცრუვდა?

- არა.

- რას ჩურჩულებთ მანდ სკოლის მოსწავლეებივით? ელენე, მოეშვი კიტის, დაგვიბრუნე და დაჯექი, ბოლოს და ბოლოს, შენც სუფრასთან, რა უბრძელობაა! - წამოიძახა გაღიზიანებულმა და თან დაბნეულმა კოსტიამ.

- ანდროს შენი ფოტო უდევს თავის სახლში, - ისე განაგრძო ელენემ, თითქოს მამის ნათქვამი ვერ გაიგონა, - ერთ-ერთ კონცერტზე გადაღებული. მაგრამ ახლა ანდრო საავადმყოფოში წევს. რაც მიქა დასაფლავეს, სმის მეტს აღარაფერს აკეთებდა.

ელენე თვალს არ აშორებდა კიტის. თითქოს მარტონი იყვნენ, თითქოს რამდენიმე მეტრში არ იჯდა მთელი ოჯახი საზეიმო სუფრასთან. კიტის თვალები გაუფართოვდა. მიქა. მიქა. ასე ერქვა თურმე ანდროს შვილს. ესე იგი, ორივე შვილი მოუკვდა: გაჩენილიც და გაუჩენელიც.

- რა შესანიშნავად ლაპარაკობს ელენე ინგლისურად! - გასძახა დანარჩენებს კიტიმ ისე, რომ არც მიტრიალებულა, განწირული მზერით ისევ ელენეს მისჩერებოდა.

- უნდა მეთქვა შენთვის, სანამ ესენი ათას ტყუილს მოგიყვებოდნენ, და თან ვიცი, რომ მამაჩემი, ალბათ, არც დამტოვებს შენთან მარტო. მინდოდა გცოდნოდა. გცოდნოდა, რომ ყველანი დამნაშავენი ვართ, ჩვენი ბრალია, რომ მიქა აღარ არის. და განსაკუთრებით ჩემი. მე შენ არ გიცნობ, მაგრამ ბევრი ვიცი შენზე. ამათ არასდროს არაფერი მოუყოლიათ, მაგრამ თვითონ მოვიძიე, რაც შეუძელი. ანდროსთან უნდა მიხვიდე. ესენი თვალს არ მოგაშორებენ, მაგრამ თუ გინდა, შეგვიძლია ვცადოთ დასხლტომა. მე ყოველდღე დავდივარ საავადმყოფოში.

- გმადლობ!

კიტიმ ჩაახველა. მერე თავისი ყველაზე ხალისიანი, უდარდელი ღიმილი აიწება სახეზე და დანარჩენებს მიუბრუნდა.

ქრისტინემ ვერ აიძულა თავი, რომ კიტის სანახავად მწვანე სახლში მისულიყო. მიქას სიკვდილის შემდეგ ყოველდღე სასაფლაოზე

დადიოდა. ანდროზეც ზრუნავდა, მაგრამ დალევას აღარ უკრძალავდა. ხშირად ისე თვრებოდა, რომ ქრისტინეს სასწრაფოს გამოძახება უწევდა. ან წესრიგის დარღვევისა და გამომწვევი ქცევისთვის გამოსაფხიზლებელში მიჰყავდათ. კიტის დაბრუნებამდე ორი კვირით ადრე ქალაქის საავადმყოფოში დაანვინეს, ციროზის დიაგნოზით. მის საწოლთან მდგომმა ქრისტინემ დაასკვნა, რომ ერთიანად დასივებული და სრულიად ჭკუიდან გადამდგარი ანდრო აგონიაში უფრო მშვიდი ჩანდა. ბევრად უფრო მშვიდი, ვიდრე მანამდე, როცა სიკვდილის ნაცვლად სიცოცხლეს ებრძოდა. ლანა და პატარა მირო ხან ქრისტინეს ბინაში რჩებოდნენ, ხან ლანას დედასთან. ბიჭი სუსტი იყო, მეტისმეტად მგრძნობიარე, უხასიათო, და ლანა ვეღარ უძლებდა. უკანასკნელი კვირები ელენე თავს იკლავდა, ისე ეხმარებოდა ქრისტინეს და ლანას. ყოველდღე ჩადიოდა ქალაქში, საყიდლებზე დადიოდა, ლანას ბიჭი ბაგაში მიჰყავდა, მერე მოჰყავდა და, რაც მთავარია, საწოლთან ეჭდა ანდროს, მისი ხელი ეჭირა, უკითხავდა, ბოლო ჭორებს უყვებოდა, თუმცა იმას არაფერი ეტყობოდა, რომ უსმენდა ელენეს ან ესმოდა რამე.

ლანაზე ზრუნვა ელენეს იმ კვირებში უმნიშვნელოვანეს ამოცანად ექცა. სანამ ლანა თავის ტკივილს ეჭიდებოდა, სასოწარკვეთილი, გამწარებული – იმდენად ეშინოდა, ტკივილის მიღმა ის უპატიებელი გარემოება არ გამოემჟღავნებულყო, რომ მიქას გადარჩენას შეძლებდა, გადაღებული მასალა რომ დაებრუნებინა დროულად – ელენე დარწმუნებული იყო, რომ ლანას თვითგვემის მომსწრე არ გახდებოდა, რომელიც მისას არაფრით ჩამოუვარდებოდა. თორემ ეს საბოლოოდ გამოაცლიდა ისედაც უკვე აყანყალეულ საყრდენს, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

ელენემ მგლოვიარე ქვრივის როლი ლანას დაუთმო. გასაქანი მისცა მის ტკივილს. ამის მეშვეობით საკუთარ თავსაც გაურბოდა, თავს არიდებდა იმაზე ფიქრს, რაც წარსულში დატოვა და რაც მომავალში ელოდა. ელენემ ლანას მხარი აუბა, მასთან ერთად ჩაებლაუჭა გაყალბებულ მითს გამოუსწორებელი იდეალისტის შესახებ, რომელმაც დაშლილი, კორუმპირებული სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრა, მთელი მისი სიბინძურე გამოამზეურა, და ამ დიადი მიზნისთვის სიცოცხლე არ დაიშურა. ლანას უნდოდა, მიქას გულად თანამებრძოლად, მის მესაიდუმლედ, მისი შვილის დედად დარჩენილიყო ელენეს თვალში, ქალად, რომელსაც მიქამ თავისი გული მიანდო და ყველაზე ძვირფასი, რაც კი გააჩნდა: თავისი ფილმი, თავისი მრწამსი. ცხადია, ორივემ იცოდა, რომ თავს იტყუებდნენ, თითოეული თავისებურად. მაგრამ ამ ტყუილით ცხოვრება შეეძლოთ, სიმართლე კი საფრთხეს შეიცავდა, მარტივ პასუხებს კი არ იძლეოდა, მხოლოდ სიძულვილისა და თვითგვემისკენ უბიძგებდა. ჰო, სიმართლე ბოჭავდა, სიცრუე კი ათავისუფლებდა.

კიტის დაბრუნება ელენემ, ალბათ, ზეციურ ნიშნად მიიჩნია. როგორც ბოლო შანსი შეყვარებულთა შეერთებით რაღაცის გამოსწორების. მკვდრების გაცოცხლება არ შეეძლო, მაგრამ იქნებ პატარა სიკვთე მაინც ხელეწიფებოდა, ერთი პატარა სევდიანი სიკვთე. მომაკვდავი ანდრო და კიტის რეალობად ქცეული ფოტოსურათი.

იქნებ დასავლეთიდან მოვლენილი ეს მემამბოხე, ანარქისტი, მუსიკის ღვთაება თავისი პირველი სიყვარულის სარეცელთან ელენესაც დახმარებოდა სიმშვიდის მოპოვებაში. იქნებ შეეხედა და ესწავლა მისგან, როგორ უნდა შეეგუო, რომ არაფერი გამოგივიდა, რომ ყველაფერი გაქრა. მოვლენები, გრძნობები, იმედები... ადამიანები. „მას შენ არ უყვარხარ“ – ასე უთხრა ერთხელ ლანას – ოღონდ საკუთარი თავი იგულისხმა. და მიქას სიცოცხლე უფრო მაღლა არ დააყენა, ვიდრე ის, რომ ვერ მოახერხა ამ შეგნებით ცხოვრება. და მიქა მოკვდა. ელენე დარჩა. ზუსტად ისე უღმერთოდ, როგორც ადრე. ისევ მარტო. ისევ დაბნეული.

* * *

მშვიდობა, თავისუფლება, მამული და პური!
წარწერა პლაკატზე

კიტიმ შორიდანვე დაინახა კორიდორში ქრისტინე. ისეთი დაბერებული ეჩვენა, თან ცოტა ბავშვური. მისმა ერთ დროს ასე განთქმულმა სილამაზემ ეულ, უცნაურ, თავის თავში ჩაკეტილ არსებას დაუთმო ადგილი. დიდხანს ჰყავდა დეიდა ჩახუტებული. მისი სურნელი შეისუნთქა და გაიხსენა, როგორ შეეხო ოდესღაც ქრისტინე ჭრილობებზე, როცა გამოფატრულ მუცელზე დადებული მწველი ნაკერებით დაბრუნდა სოფლის ჯოჯოხეთიდან, გადარჩენის საკუთარი რუკა რომ შეედგინა.

პალატის ფანჯრიდან ტანწერნეტა, ნაძვისფერი კვიპაროსები ჩანდა, თითქოს ღრუბლებში ერჭობოდნენ კენწეროებით. ელენემ კიტი შეიყვანა და აუხსნა, რომ მხოლოდ დროდადრო მოდიოდა გონს, მაშინ ცოტას ჭამდა კიდევ, მაგრამ აქ ყოფნის დღიდან სიტყვა არ დაუძრავს და დიდად არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მერე სკამი შესთავაზა, თითქოს მხიარული წვეულების მასპინძელი იყო.

ოთახის მეორე კუთხეში სხვა პაციენტი იწვა, ის გონზე იყო და პრავდას კითხულობდა.

კიტი ფრთხილად მიუახლოვდა ანდროს საწოლს. ცოტა გვერდულად იწვა, თავით მზიანი ფანჯრისკენ, საბნიდან ერთი ხელი უჩანდა. კარგა ხანი დასჭირდა კიტის, რომ ცხოვრებისა და წლებისგან დამახინჯებულ მის სახეში უწინდელი ნაკვთები ამოეცნო. ადვილი არ იყო ამ გაპუნულწვერიან კაცში ანგელოზების გამომთლელი ოქროსკულულებიანი ანდროს აღმოჩენა.

როგორ ცხოვრობდა მისი წასვლის შემდეგ? ვინ იყო ის ქალი, ვინც შვილი გაუჩინა? როგორი შვილი ჰყავდა? იმ შვილს თუ ჰგავდა, რომელსაც დაბადება არ ეწერა?

ელენესგან იცოდა, რომ ერთი-ორი კვირის სიცოცხლე დარჩენოდა, – ასე უთქვამთ ექიმებს. კიტიმ ხელი გაიწოდა. გაყინული იყო, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ თბილოდა. ელენე ფანჯარასთან იდგა და საავადმყოფოს პარკს გადაჰყურებდა, მაღალი კვიპაროსები და თეთრი ბაღის სკამები რომ იდგა.

ვერც ერთმა ვერ დაინახა ის ქალი, მამაკაცურად შემოსილი რომ იდგა იქ, ქვემოთ, ყველაზე მაღალი კვიპაროსის ძირას, ანდროსნაირი თვალები რომ ჰქონდა და ზევით იყურებოდა. და ღიმილით ელოდა.

ანდროს მუქი ვენები უჩანდა კანქვეშ. გაუხეშებული და მძიმე, შეუფერებელი სამუშაოთი დაღდასმული კანის ქვეშ. ლენინისა და გენერალისიმუსის ბიუსტებით.

კიტიმ სიტყვები ძლივს მოძებნა.

– ანდრო, გესმის ჩემი? – თქვა ჩურჩულით და ტუჩები ახლოს მიუტანა ყურთან. – მე ვარ, კიტი. ისევ მოვედი. აი, ჩემი ხელი, გრძნობ? მოვედი, ანდრო. შენთან მოვედი.

ახლად დაჯდა ელენეს მოტანილ სკამზე. მერე ელენეს მოუხმო ხელით, ისიც მაშინვე მივიდა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა, კიტიმ რომ დაუთმო.

– მიაბე ანდროზე. და მის შვილზე, – უთხრა ჩუმად კიტიმ, თან ანდროს გაქვავებული სახისთვის თვალი არ მოუშორებია.

ელენემაც, თითქოს საუკუნეა ამ თხოვნას ელოდაო, მოყოლა დაიწყო. სიტყვებისა და წინადადებების ნაკადმა ისე ამოხეთქა, ისეთი გატაცებით და მონდომებით, რომ პრავდის მკითხველმა პაციენტმაც კი წამით გვერდზე გადადო თავისი გაზეთი და გამოხედა. არეულად ჰყვებოდა. თავისი საბავშვო ბაღის შესახებ. მოსკოვში გატარებული წლების შესახებ. ვასილისა და შავიზღვისპირეთის შესახებ. მერე მიქას ფილმის ამბავი, რომელიც არავის უნახავს. მერე ისევ იმ ღამეს მიუბრუნდა, როცა ლანასთან ერთად გაემგზავრა მთის რომელიღაც სოფელში, ანდროს წამოსაყვანად. მაგრამ ყველაზე მეტს მიქაზე ლაპარაკობდა. ცდილობდა, სიმართლე ეთქვა. საკუთარი მარცხი არ შეელამაზებინა. მაგრამ ვერ მოახერხა, რაც უნდა ეთქვა და რამდენი ხანიც უნდა ელაპარაკა, მისი სიტყვები ერთიან სურათს არ ასახავდნენ, ნათელს არაფერს ჰყენდნენ. მისი მონათხრობი სრულიად მოკლებული იყო ლოგიკას, ყოველგვარ აზრს, ის მკაფიო ხაზი აკლდა, რომელსაც მიქა სიკვდილამდე უნდა მიეყვანა. წამდაუნუმ კიტის უყურებდა იმედის თვალით, მაგრამ მის სახეში ვერც ნუგეშს პოულობდა, ვერც თანაგრძნობას და ვერც საყვედურს, თითქოს მისი სახე სარკე იყო, რომელშიც მხოლოდ თვითონ ელენე ირეკლებოდა.

უცებ კიტი ადგა და პალატიდან გავიდა. ელენემ დაბნეულმა გააყოლა თვალი, მისი წამოდგომა ვერაფრით დააკავშირა თავის მონაყოლთან. კიტიმ ქრისტინეს ჩაუარა აგურისფერკაფელიან, ურინის სუნით აქოთებულ ტუალეტში შევიდა და მიხურულ კარს მიეყრდნო. ასე იდგა გაუნძრევლად რამდენიმე წუთი, სუნთქვა უმძიმდა. მერე სიძველისგან გაყვითლებულ ხელსაბანთან მივიდა, ონკანი მოუშვა, საიდანაც ჯერ მოყავისფრო სითხე წამოვიდა, გაახსენდა, როგორც არიგებდა დედა, დიდხანს უნდა იდინოს, მერე სუფთა წყალი წამოვაო, და დაელოდა. წყალი მართლაც გასუფთავდა. ხელები შეუშვია. დაბზარულ სარკვეში საკუთარი თავი დაინახა. და შეჰკვივლა. სველ იატაკზე ჩაიკეცა, მუხლებზე დაეცა, ცალი ხელით ჯერ კიდევ ხელსაბანს ჩაფრენილი. სხეულმა უმტყუნა. სუნთქვამ უმტყუნა. ადამიანებმაც, ყველამ უმტყუნა.

ანდრო კვდებოდა. მისი დასატირებელი ხდებოდა. ისიც მიდიოდა.

რამდენი რამ ჰქონდა მისთვის სათქმელი. ნახევარი ცხოვრება მოსაყოლი ჰქონდა მისთვის. არა, მთელი თავისი ცხოვრება. ოღონდ სხვანაირად. თავიდან. ოღონდ სხვანაირად, ახლებურად. ის, რაც ანდრომ არ იცოდა. რასაც ვერ ხვდებოდა. სიამოვნებით ამოარწყევდა თავის დუმილს, თავის უსუსურობას იმ გაძუნძღულ ხელსაბანში. გულს აირევდა და თავის შიშს ამოანთხევდა, შიშს იმის წინაშე, რაც კიდევ ელოდა წინ. არა, მომავალი აღარ აინტერესებდა. თვალწინ წარსული ედგა, ვინ შეძლებდა ასე ცხოვრებას?

ოფიციალურ ბანკეტზე ისევ ნახა გიორგი. ოთხი დღე იყო გასული მისი ჩამოსვლიდან. მწვანე სახლში გატარებული ოთხი დღე, სადაც არარსებულ ბედნიერებას იფიცებოდნენ და ზეიმობდნენ. ქალაქის თავზე, სატელევიზიო ანძასთან მდებარე ცნობილი რესტორნის შესასვლელში იდგა გიორგი. თეთრსუფრებიან მაგიდებს შორის, თვალისმომჭრელი ფერადი განათების შუაგულში, მოფუსფუსე მიმტანებისა და თანამშრომლების გარემოცვაში, კიტის თვალში ერთიან რუხ მასად რომ ჩაღვენთილიყვნენ.

წესით, კოსტიას თანხლებით უნდა მისულიყო კიტი ამ მიღებაზე, სადაც უამრავი ხელის ჩამორთმევა, დაბეჭირებული პასუხების გაცემა მოუწევდა, სადაც სუფრაზე იმ ადამიანებთან ერთად უნდა მჯდარიყო, ეჭვით რომ შეათვალთქვამდნენ და შურიტ გასკვდებოდნენ. სადაც საქვეყნოდ აღიარებულ და დაფასებულ მუსიკოსებს, მხატვრებსა და მწერლებს გაიცნობდა და იძულებული იქნებოდა, სოციალიზმის უპირატესობებზე ესაუბრა მათთან. იქ, სადაც მის ყოველ ჟესტსა და სიტყვას საიუველირო სასწორზე დადებდნენ, გამოცდიდნენ და მისი კაპიტალისტური გარყვნილების ხარისხს შეაფასებდნენ. მაგრამ კოსტიას გრიპი შეეყარა და შინ დარჩა.

კიტიმ თავისი ძმისშვილი წაიყვანა, აღელვებული, კაშკაშა ყვითელ კაბაში გამოწყობილი ელენე, რომელიც აშკარად ვერ ეგუებოდა თავის

ცხოვრებას და კიტისთან ეძებდა რაღაც განსხვავებულს, რისი მიმცემიც ის ნამდვილად არ იყო. ეს კი იმედგაცრუებას მოასწავებდა ელენესთვის. ახალგაზრდა ქალი ისე ჰგავდა კიტის და, იმავდროულად, სულ არ ჰგავდა, იმდენად პასიური იყო, თავგზააბნეული, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი არ გააჩნდა, არადა, ზუსტად ამას ნატრობდა მუდამ.

გიორგი მიესალმა, ოსტატურად ასრულებდა ოფიციალური თანმხლები პირის როლს. ამაში განვრთნილი იყო უკვე. ისევე როგორც კიტი. ხელი ჩამოართვა კიტის. არც ძლიერად და არც სუსტად.

რომელიღაც პიანისტსა და ელენეს შორის მჭდომი კიტი ხალხთა მეგობრობის, ხელოვნების, სამშობლოს, სოციალიზმის, საქართველოს კომპარტიის და მისი უზადო ხელმძღვანელობის შესახებ სავალდებულო ყალბ საუბრებს ისმენდა მოთმინებით, დროდადრო გიორგის გახედავდა ხოლმე.

და ყოველთვის, როცა მას უყურებდა, ანდროს დახუჭულ თვალებს ხედავდა. მის დამსკდარ ტუჩებს, უღონო, გაყინულ ხელს, მოუვლელ ფრჩხილებს, გაქუცულ წვერს. და როცა მასზე დაიწყო ფიქრი, ის საკლასო ოთახი გაახსენდა და მარიამი, თვალწინ დაუდგა ქერათმიანი ქალი, სახლის ბნელ კუთხესთან მის ძმას რომ ეპოტინებოდა. მერე გასისხლიანებული დანა იმ ოთახში, მთანმინდაზე, და კითხვა გაუჩნდა, იქნებ არც არასდროს გამოვსულვარ იმ ოთახიდანო, ამას კი დაუყოვნებლივ მოჰყვა შემდეგი შეკითხვა: ამ ყველაფრის მერე როგორ დაუხლოვდა საერთოდ ვინმეს, როგორ აჩუქა იმედი იმ წითელთმიან ადამიანს, რომელსაც, მისგან განსხვავებით, ჭკუა ეყო და მიხვდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკებიდან და გვამებით სავსე ოთახებიდან არ არსებობს გასასვლელი.

მეორე დღეს რეპეტიციები დაეწყო ფილარმონიაში. ალანისა და საქართველოს შსს-ს ორი წარმომადგენლის მეთვალყურეობით აკუსტიკა შეამოწმეს და ხმა დაარეგულირეს. კარგა ხანია გამოსვლა აღარ ჰქონია კიტის, მით უმეტეს, ამდენი მაყურებლის წინაშე. ამერიკის ტურნეს შემდეგ, რომელსაც ფრედთან დაშორება მოჰყვა, დიდი კონცერტი აღარ გაუმართავს.

ოთხი სიმღერა თავისი ალბომიდან Replacement სიმებიანი კვარტეტის თანხლებით უნდა შეესრულებინა, დანარჩენი სამი კი – პიანისტის. ერთად გადიოდნენ რეპეტიციებს, და როგორც კი დაკვრას იწყებდნენ, კიტი ახერხებდა ანდროს სახის დავიწყებას, ჰარმონიის წყალობით მალე ამოიგდო თავიდან დაპირისპირება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის.

რეპეტიციების შემდეგ სამი მდუმარე მამაკაცის თანხლებით დასეირნობდა თბილისის ქუჩებში. ვერაფერს გახდა, მაინც ორი ადამიანის თვალით ხედავდა ქალაქს; წითელთმიანი ნარკომანი ფრედის და მომაკვდავი ანდროს თვალებით.

კონცერტის დღე ერთადერთი იყო, როცა კიტი საავადმყოფოში არ წასულა. ალანის პროტესტისა და უშიშროების ხალხის გაფრთხილებების მიუხედავად, რომლებიც არ ეშვებოდნენ, ყოველდღე მიდიოდა ანდროსთან პალატაში, ხელებზე ეფერებოდა და უყურებდა, როგორ უნარჩუნებდნენ სიცოცხლეს ხელოვნურად, ერთხელ თავი ვედარ შეიკავა, ჩაეხუტა და სახე დაუკოცნა. ამ დროს ელენე გარეთ იყო გასული, პრავდიან პაციენტს კი ეძინა.

იმ დღეს ფილარმონიის საგრიმიოროში იჯდა მართოდმართო და ბალტიმორის სასტუმროს ნომერს იხსენებდა. იქ მძიმე ოქროსფერი ფარდები ეკიდა, ალბათ ამპირის დროინდელი. ფრედმა აიღო და ერთი ფარდა შემოიხვია, ვიქტორიანული კაბასავით, კიტის პომადით შეიღება ტუჩები და მაიმუნობა დაიწყო, ვითომ საოპერო არიას ასრულებდა. კიტიმ ფრედის ახალი შექენილი კამერა მოიმარჯვა და ფოტო გადაუღო. ფოტო, რომელიც არასდროს დაუბეჭდავს, რადგან ის კამერაც გაქრა თავის ფირიანად და მფლობელიანად.

კიტიმ წამით ხელი აიფარა სახეზე, ღრმად შეისუნთქა, წამოდგა და გიტარით ხელში სცენაზე გავიდა. თავის ორად გახლეჩილ ცხოვრებაზე უნდა ემღერა. იქ, იმ სცენაზე, შეეძლო ისეთი ყოფილიყო, როგორიც იყო, მერე კი, ალბათ, კიდევ უფრო გაუჭირდებოდა უკან დაბრუნება, გაუსაძლისი თამაში, სადაც ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც სურდა ყოფილიყო, და სადაც ვერ იტყოდა იმას, რასაც ფიქრობდა, სადაც ვერ დაიტრებდა იმათ, ვინც დასატირებელი ჰყავდა. კიტის ეშინოდა, დაზვიანებულ სიტყვებს ვერ გაიხსენებდა, თავს ვერ მოერეოდა, ხმა უმტყუნებდა. მაგრამ, როგორც კი სცენის შუქში აღმოჩნდა, ისეთი ტაში ატყდა, რომ ამან გაამხნევა და გიტარის პირველ აკორდთან ერთად შიმშაც უკან დაიხია.

* * *

Who included me among the ranks of human race?[6]

ბროდსკი

- ზუსტად ოცი წუთი მაქვს. რაღაც სატანჯველ ღონისძიებაზე ვარ წასასვლელი, ბავშვთა ეროვნული ცეკვების ანსამბლი თუ რაღაც. ცოტა ხნით მაინც მინდოდა მენახე, გუშინ კონცერტზე არ ყოფილხარ და ვიფიქრე...

კიტი გადაქანცული იყო, თვალეზამოღამებული იჯდა ქრისტინეს მისაღებ ოთახში მრგვალ მაგიდასთან.

მის ზურგს უკან მდგომმა ქრისტინემ მკლავები მოჰხვია და წამით გაშეშდა. გუგულიანი საათის წიკნიკი ისმოდა. კიტიმ თვალები დახუჭა. ქრისტინეს მკერდს მიეყრდნო. ჩიტივით მსუბუქი იყო, ერთი ხელი ეყოფოდა შემოსახვევად.

- არ ვიცი, რა მოხდა თქვენ შორის, მაგრამ ის ფაქტი, რომ შენ და დედაჩემი აღარც კი ხვდებით ერთმანეთს, წარმოუდგენლად მეჩვენება, - უთხრა კიტიმ დაღლილი ხმით.

ქრისტინე გაეცალა, ალუბლის ლიქიორი მოიტანა გრაფინით და ორი ჭიქა. მერე პირისპირ დაუჭადა დისშვილს. სითბოთი და ნუგეშით სავსე თვალებით შეაცქერდა, თითქოს უნდოდა თბილ საბანში გაეხვია კიტი.

- ჩემს საღარბაბოში სამი კაცი დგას, ჩემს კართან, სავარაუდოდ, შენ გამო იქნებიან აქ.

ქრისტინემ წითელი სითხე ჩამოასხა.

- ჰო, ფეხდაფეხ დამსდევენ. წამით, ნუთით არ მშორდებიან. მხოლოდ მაშინ მანებებენ თავს, როცა კოსტიასთან ერთად ვარ. ალბათ, კოსტია საკმარისად სანდოა მათთვის. მაგრამ მე შენი ნახვა მინდოდა, თქვენი, ყველასი. და არა ამ ცირკის, ქრისტინე. შენ ვერ გხედავ, დედაჩემი და კოსტია სულ ჩემს გართობას ცდილობენ, ანდრო უკვე უგონოდაა, დანარჩენები კი... დანარჩენების ატანა არ შემიძლია.

ქრისტინე მაგიდაზე გადაიხარა და კიტის შუბლზე აკოცა. სიამოვნებით განვებოდა იმ მაგიდაზე და სთხოვდა დეიდამისს, მიეხედა მისთვის, თავზე ხელი გადაესვა, როგორც ადრე, მისი ცხოვრების უსამინლეს პერიოდში, სანამ ძალას მოიკრებდა და განიკურნებოდა, ქმედითუნარიანი გახდებოდა, ახალი სიმღერებით აივსებოდა; მაგრამ ისინი მალე დააკაკუნებდნენ კარზე, შეახსენებდნენ, რომ ცირკი გრძელდებოდა, რომელშიც მას, უნდოდა ეს თუ არა, მთავარი როლი ეკისრებოდა. კიტიც გავიდოდა მათთან, თავაზიანად გაუღიმებდა. ისინი ხელახლა დაარიგებდნენ ჭკუას, სიკვდილის პირას მყოფ დებერტირსა და მოღალატეს ნუ მოინახულებო.

კიტი წამოდგა და სააბაზანოში გავიდა. რაც სამშობლოში დაბრუნდა, მეტისმეტად ხშირად იმალებოდა საჯარო თუ კერძო შენობების ტუალეტებსა და სააბაზანოებში, ეგონა, იქ არავინ გაეკიდებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მაშები მოუჭირეს საფეთქლებზე.

ბინის კარზე დააკაკუნეს. კიტიმ გაიგონა, როგორ გაუღო ქრისტინემ. ალანია იყო. ნაბიჯებზე იცნო. მოესმა, რომ რაღაც თქვა, ქრისტინემ შინ შეიპატიჟა. არა, ჯერ არ შეეძლო გასვლა. წყალი მოუშვა.

- მაპატიეთ, თუ ხელი შევიშალეთ, მაგრამ გველოდებიან, ამხანაგი ჯამი უნდა მოგტაცოთ.

ერთ დროს ულამაზესი ქრისტინეს თანდასწრებით ალანიამ შებოჭილად იგრძნო თავი, მახინჯად, ერთი სული ჰქონდა, გამქრალიყო იმ ბინიდან. გაახსენდა, როგორ აღმერთებდა ამ ქალს კოსტია. ის ამანათიც უთუოდ მისთვის იყო განკუთვნილი, ნუგეშის უსუსური მცდელობა მისი ტრაგედიის გამო. იმ ამანათს უმადლოდა კიტი ჯამთან შეხვედრას, ქრისტინეს გამო დაადგა მაშინ შემოვლით გზას. თავისი ცხოვრების გზას.

ქრისტიანებმა კარი გაუღო, მერე კი უკან დაიხია შემინებულმა, თითქოს რაღაც უნდა წამოიძახოსო, პირი გააღო, ისევ დახურა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან. ხელი კედელს მოუფათურა, ჩამრთველი იპოვა და შუქი აანთო. ისე მიაჩერდა ალანიას, თითქოს რაღაც შემზარავი დაინახა.

- ყველაფერი რიგზეა?

ახლა უკვე ასწია თავი ალანიამ და შეხედა. უხერხულად კი გრძნობდა თავს, მაგრამ უნდოდა კარგად დაენახა, გონებაში ჩაებუჭდა. აღმოეჩინა დროის მიღმა დარჩენილი სილამაზე.

ქრისტიანეს თმა შავად ჰქონდა შეღებილი და კეფაზე მკაცრად, სიმეტრიულად შეკრული. მუხლამდე შავი კაბა ეცვა და ნეილონის წინდები. ნახევარ სახეს თმაზე დამაგრებული მუქი ლურჯი მაქმანი უფარავდა. რამდენი ჭორი დადიოდა მასზე, მის თვითმკვლელ ქმარზე, მის საყვარელზე? რამხელა ძალისხმევა დასჭირდა, რომ თავისი სახე გაეწირა და ღირსება შეენარჩუნებინა, სულიერად არ დაკნინებულიყო? ქრისტიანე ოდნავ მიუახლოვდა ალანიას. მარჯვენა ხელი ნელა ასწია, თითქოს უნდოდა შეჭხებოდა. მერე ისევ ჩამოაგდო ხელი და ამ არაბუნებრივ პოზაში გაშეშდა. ალანიამ ნაბიჯი გადადგა მისკენ, შეეშინდა, არ დაეცესო, მაგრამ ქრისტიანემ მაშინვე ხელები აიფარა მკერდზე, თითქოს თავს იცავდა მისგან.

- ვინ ბრძანდებით, რა ჯანდაბა გინდათ ჩემს ბინაში? - ჰკითხა ჩუმად, თითქმის სისინით.

- გიორგი ალანია, ალბათ, გსმენიათ ჩემი სახელი, თქვენი ძმისშვილის ძველი მეგობარი ვარ. კოსტიასთან ერთად დავამთავრე ფრუნხეს აკადემია, ლენინგრადში, არ გახსოვთ?

რამდენადაც შეეძლო, თავაზიანად და მშვიდად უპასუხა.

- გიორგი ალანია. ალანია, - გაიმეორა ქრისტიანემ მისი სახელი გაკვირვებულმა, თითქოს უცნაურად ეჩვენა, თითქოს ჯერ მისი სწორად გამოთქმა უნდა ესწავლა. უცებ თავი გაიქნია, ჩახლართულ ამრებს თავი დააღწია, აშკარად გააღიზიანა საკუთარმა ირაციონალობამ, - მომიტევეთ, რა სულელურად ვიქცევი. ვიდაც მომაგონეთ წამით, რომელსაც ადრე ვიცნობდი... რა უაზრობაა, ეს სრულიად შეუძლებელია, მაპატიეთ.

ამის შემდეგ ქრისტიანემ მისაღებში შეიპატიჟა ალანია.

- კიტი საბაბანოშია. ვფიქრობ, მალე გამოვა.

მაგიდას მიუსხდნენ და ქრისტიანემ, ჯერ კიდევ აშკარად აღელვებულმა, ლიქიორის ჭიქას სტაცა ხელი, ერთიანად გამოცალა და ისევ დააცქერდა ალანიას, დააკვირდა მის სახეს. თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო, ისევ და ისევ იქნევდა თავს დაეჭვებული. მერე გაიცინა და შუბლზე იტკიცა ხელი.

- რამე მჭირს სახეზე?

- არა, არა. უბრალოდ... - თითქოს გამოფხიზლდა ქრისტინე, - უბრალოდ. არც კი ვიცი, როგორ გითხრათ.

- მითხარით, რა განუხებთ. სიამოვნებით დაგეხმარებით.

- მართლა ძალიან მეცნობით.

ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ალანია დაიძაბა:

- არა მგონია, როდისმე შევხვედროდით ერთმანეთს. თქვენს სახეს ვერ დავივიწყებდი, ვერასდროს.

- თქვენ ხომ საქართველოდან ხართ? ვინ არიან თქვენი მშობლები?

ალანიას ფერი წაუვიდა, ქრისტინე კი ისევ მისი სახის ნაკვეთხს ჩაუღრმავდა.

რას აკეთებდა კიტი ამდენ ხანს? ალანიას უცებ გაქცევა მოუნდა, ამ უცნაური საუბრის შეწყვეტა.

- დიახ, მაგრამ ის სოფელი, სადაც დედაჩემმა მთელი ცხოვრება გაატარა, ნამდვილად არ გეცოდინებათ. ამაში დარწმუნებული ვარ, - ალანიამ თავაზიანი, კეთილგანწყობილი კილო შეინარჩუნა.

- და მამათქვენი?

არ მოეშვა. ეს შეკითხვა განაჩენს ჰგავდა. ალანიამ ჩაახველა. თავი ჩაქინდრა. მოეტყუებინა? გამოეგონა მამა? მშრომელი კოლმეურნე, მორიდებული მასწავლებელი, ან იქნებ მოუსვენარი გეოლოგი?

- მამა არ არსებობს.

გულახდილად უპასუხა. უცებ ქრისტინე წამოდგა, პირდაპირ მიადგა, მის პირისპირ გაჩერდა, ალანიამ ალკოჰოლის მოტკბო სუნიც კი იგრძნო, გადაიხარა და სახეზე შეეხო. ალანიას თმა ყალყზე დაუდგა.

- მამა ყველას ჰყავს, - თქვა ქრისტინემ ოდნავ გასაგონად.

- მე მას არ ვიცნობდი. დედაჩემი ისე მოკვდა, რომ ჩემი... ასე ვთქვათ, ჩასახვის გარემოებები არ გაუმხელია ჩემთვის. მისი სახელიც კი არ ვიცი, აქედან გამომდინარე, მე მამა არ მყავს.

- რა საინტერესოა, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ მას. ისეთივე კანი. ხმა უფრო ბოხი გაქვთ, ტემბრი კი იგივე.

- ვისზე ლაპარაკობთ?

ალანიასთვის სიტუაცია სულ უფრო უსიამოვნო ხდებოდა. ცხადია, ვიღაცაში ვეშლებით, თავს იმშვიდებდა.

მაგრამ ქრისტინეს ქცევა სხვა რამეს მიანიშნებდა, ალანია არ იყო ამისთვის მზად. იმედი ჰქონდა, რომ კიტი მოვიდოდა და დაიხსნიდა.

- ლამაზ ქალებზე გიჟდებოდა. უპირატესობას ქერა, ფერმკრთალ, ცისფერ ან მწვანეთვალეებიანებს ანიჭებდა, მაღლებს. დედათქვენი ქერა იყო?

ქრისტინემ ისე ჩამოთვალა ეს მახასიათებლები, თითქოს საქონელზე ლაპარაკობდა, რომელიც იშვიათად იშოვებოდა პროდუქტების მაღაზიებში. შენუხებული გამომეტყველება აღარ ჰქონდა, ეჭვი აღარ ეპარებოდა.

- დიახ, ქერა იყო, და მაღალიც, მაგრამ...

- ვინ იცის, იქნებ საშინლად ვცდები.

უნდოდა თავის სკამთან დაბრუნებულყო, მაგრამ ამ დროს ალანია იმ რეფლექსურად წაავლო ხელი და გააჩერა.

- ვისზე ლაპარაკობთ, მითხარით, გთხოვთ.

ხმა უკანკალებდა, სასონარკვეთილი შეჰყურებდა.

და მაშინ ქრისტიანემ პატარა დიდი კაცის სახელი ახსენა. რამდენადაც შიმისმომგვრელი და არარეალური ეჩვენა ეს სახელი ალანიას თავის ცხოვრებასთან კავშირში, იმდენადვე თავისი წარმოშობის ამოუხსნელი გამოცანის გასაღებად მოეფლინა. ამ გარემოების გათვალისწინებით რომ გადახედა თავის ცხოვრებას, ყველაფერი ლოგიკურად დალაგდა. თითქოს არც შეიძლებოდა, სხვა მამა ჰყოლოდა. იმდენად გასაგები იქნებოდა ყველაფერი, პატარა დიდი კაცის ჩასახული რომ ყოფილიყო.

ხელი გაუშვა ქრისტიანეს. თუმცა ის ისევ დაჰყურებდა. ხელები აუკანკალდა. ამ საშინელებას საბოლოო დადასტურება აკლდა, მაგრამ ამ აზრმა უკვე სანამლავივით გაჟონა გონებაში და სხეული გაუკავა.

რა თქმა უნდა, ეს ბაქოში მოხდებოდა. იქ სწავლობდა პატარა დიდი კაცი, იქ ცხოვრობდა, იქ დაიწყო მისი თავბრუდამხვევი კარიერა. გულო კი, პატარა, გულუბრყვილო გულო - რას გახდებოდა მის წინააღმდეგ? თითქოს თვალი აეხილა: ცხადია, დედამისი ხმას ვერ ამოიღებდა. როგორ უნდა დაეცვა თავისი ნაშიერი მისივე მამისგან?

უეცრად გამოაგნებელ დასკვნამდე მივიდა: ადრე თუ გვიან, იმას უთუოდ უნდა სცოდნოდა მისი არსებობის შესახებ. ბუნებრივია, მისი მიღება საზღვაო აკადემიაში, რომლის კარიც მხოლოდ ქვეყნის წარჩინებული ოჯახებისთვის იღებოდა, მისი გადაყვანაც იაპონიის ზღვასთან, რეკრუტირება და მოსკოვში დაბრუნებაც მისი უცნობი დიდი მამის რეკომენდაციის წყალობით მოხდა! გიორგი ალანიას ოფლმა დაასხა. კინალამ სკამიდან გადმოვარდა. ამურსკის გემთსაშენი და მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტი ომის დამთავრების წინ! რაღა თქმა უნდა. მთელი მისი ცხოვრება უძლეველი მამის მიერ იყო დაგეგმილი!

ჰო, ეს ქალი მართალი იყო: მამა ყველას ჰყავდა.

თავს ვეღარ მოერიდა და ცრემლები ღვარად წამოუვიდა ლოყებზე. ქრისტიანე არ განძრეულა. აღარც უყურებდა. უკვე იპოვა, რასაც ეძებდა. ახლა მოთმინებით ელოდა. დროს ის განკარგავდა. ის იყო მაცნე. შავი ანგელოზი.

კოსტიასთან სუფრაზე უშიშროების ხალხიც მიიწვიეს. ყველანი იქ ისხდნენ: მასხარები და მატყუარები, პარაზიტები და ოპორტუნისტები, მიტმასნილები, მსახურები და მბრძანებლები, ცოლები და საყვარლები. ისხდნენ და ქეიფობდნენ კიტის პატივსაცემად გამართულ ზეიმზე. მხოლოდ ალანია არ მისულა. ზეიმის დაწყებისთანავე მოიბოდიშა და სადღაც გაქრა. კიტი ამაოდ ელოდა, იმედი ჰქონდა, რომ დაბრუნდებოდა

და მაგიდის ქვეშ მუხლით შეეხებოდა მის მუხლს იმის ნიშნად, რომ ყველაფერი კარგად იყო. თუმცა, არაფერი არ იყო კარგად. ეს კიტიმაც ისევე კარგად იცოდა, როგორც ალანია.

ფერდობზე მიაკვლია, სიბნელეში მდგომს. შიშისმომგვრელი, ღრმა ხეობა უსასრულო სიშავეში ჩაკარგულიყო. ჭრიჭინები ერთმანეთს საიდუმლოებებს უზიარებდნენ. მოქეიფეების ჟრიაშული და ხმამაღალი, უსასრულო სადღეგრძელოები დაფლეთილ ექოდ აღწევდა ნაკვეთის განაპირამდე, იმ ზღვრამდე, სადაც ისინი გაჩერებულიყვნენ.

- რა მოხდა? რატომ წახვედით... - კიტიმ დაინახა, როგორი ჩანითლებული და შეშუპებული ჰქონდა თვალები. ციებცხელებიანივით კანკალებდა. კიტი რატომღაც მუხლებზე დაეშვა მის წინ.

- გიორგი? რა დაგემართათ?

- ეს წარმოუდგენელია, ასე არ შეიძლება, ოღონდ ახლა არა... - იმეორებდა ალანია.

კიტიმ პირველად დაინახა შეძრწუნება მის სახეზე. ახლა მისი ჯერი დადგა, მას უნდა გადაერჩინა, თავშესაფარი მიეცა, ფრთა გადაეფარებინა. გიორგი ისეთი ძალით მოეხვია, რომ კიტიმ კინაღამ წონასწორობა დაკარგა. მისი ხელი ყელთან მიიხუტა, თავი ჩარგო მის ხელში, მისი ხელით მოეფერა თავის ყელს. აკოცა.

გიორგიმ გაუბედავად გაოგნებულმა გადაისვა თითი ტუჩებზე, თითქოს შეამოწმა, კიტის გემო ხომ არ შემორჩაო.

ბოგჯერ ტუჩებიც გამოდგება ფრთებად, ბოგჯერ მხოლოდ სიტყვები, ბოგჯერ კი საგულდაგულოდ შენახული ფოტოები.

ანდრო კიტის გამგზავრებიდან სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა. გონს აღარ მოსულა, მაგრამ დედა მიყვებოდა, რომ, როცა კიტი უკანასკნელად მივიდა მასთან, თურმე ხელზე ჩასჭიდებია. მე არ ვიცი, რა იყო ეს, მომავლდავის რეფლექსი, თუ შერიგების ნიშანი, - როგორც დედაჩემმა განმარტა.

წიგნი შეექვსე. დარია

არა გვაქვს ბრალი არც მე და არც შენ, -

ასე შეუქმნია სამყარო გამჩენს.

ცხოვრება ასეა: ხდება ყველაფერი,

მაგრამ ველარავინ ველარ ცვლის მომხდარს.

პუგაჩოვა

დარიასთვის და ჩემთვის საბჭოთა კავშირი ნიშნავდა: გაუთავებელ სამგლოვიარო მარშებს და დაკრძალვის პროცესიებს, როცა კომპარტიის მეთაურებს ასაფლავებდნენ, მიხაკების ცვენას, ამამრზენ სანახაობას, ყველა ტელეარხის მიერ გადმოცემულს. ჩვენთვის საბჭოთა კავშირი ნიშნავდა: გამუდმებულ საბაფხულო ბანაკებს, პიონერულ ყელსახვევებს,

ჩაის პლანტაციებს, მეფუტკრეობასა და კოლმეურნეობას, ჩინურ თეთრ წინდებს, კედელზე გაკრულ გობელენებს, რომლებზეც ნადირობის სცენები იყო გამოსახული, შოკოლადს „ჩრდილოეთის მიშკა“ და ლალიძის ტარხუნის ლიმონათს. ბაბუაჩვენის გამ-13-ს, ბაყაყებმოხატულ ყუთში ჩაწყობილ ფერად პლასტილინს, ყვითელ საბავშვო შამპუნს „კრია-კრია“, ბაბუს საპარს კრემს „სტარტი“, ვატისთავიან პუდრს, რომელიც სააბაზანოს კარადაში იდო და ახლოს არ უნდა გავკარებოდით. ტანის ლოსიონ „ჰიგიენას“, სტასიას სუნამოს „კრასნაია მოსკვა“, რომელსაც სიბერის სუნი ასდიოდა და თავის ტკივილს იწვევდა. სრულიად უსუნო ყავისფერ საბანაო საპონს, რომელსაც ასევე ბანნოეს უწოდებდნენ.

ყველას ერთნაირად გვეცვა: ყავისფერი სკოლის ფორმები. ზოგიერთებისთვის საგანგებოდ ჩამოჰქონდათ მოსკოვიდან, რაც კეთილდღეობის ნიშანი იყო, მსგავსი, ოღონდ უფრო უხეში, საქართველოში შეკერილი, იმათ ეცვათ, ვისი მშობლებიც დირექტორები, მინისტრები ან რაიკომის მდივნები არ იყვნენ. არსებობდნენ თეთრწინსაფრიანი მსუქანი ქალები, რომლებიც ბუფეტებში, პროდუქტების მაღაზიებში, კაფეებში, სასტუმროების ვესტიბიულებსა და ბურახის ავზებთან იხდნენ. არსებობდა არომატული ბალზამი, ეგრეთ წოდებული ვიეტნამის მალამო, ყარდა და, ამის მიუხედავად, ცხვირის ნესტოებთან შეიზელდნენ ხოლმე. არსებობდა ლურჯ-თეთრი, სამკუთხა კეფირის პაკეტები, შუშის ბოთლებში მოთავსებული რძე და მანონი, მომცრო ქილებში დაფასოებული არაჟანი, ქალაქის გასტრონომებში რომ შეიძლებოდა ყიდვა. სხვა მხრივ კი ფრიად მწირი არჩევანი იყო. საბჭოთა კავშირი ნიშნავდა გემრიელ „სგუმჩონკას“, ჩუმ-ჩუმად რომ ვტლევავდით და საზიზღარ თევზის კონსერვებს. კალენდარს, რომელიც ყოველი წესიერი სოციალისტური ოჯახის სამზარეულოში ეკიდა, უკანა გვერდზე ყოველდღიური რეცეპტები – საბჭოთა დიასახლისებისთვის, ყველა მნიშვნელოვანი სოციალისტური დღესასწაული და ბიოგრაფია იყო დაბეჭდილი, აგრეთვე სამედიცინო რჩევებიც არ ავიწყდებოდათ, ვთქვათ ასეთი: „ალოე ვერა ანთების საწინააღმდეგო ქმედებით ხასიათდება, თუ მას...“

არსებობდა წითელი, ლენინისთავიანი სამსახურის, საპენსიო და კომკავშირული მოწმობები, თამაშები, რომელთაც ერქვათ „მოაზროვნე“ ან „ნორჩი მესაათე“, კიდევ „ნორჩი ქიმიკოსი“, რომელზეც დიდი მოთხოვნილება იყო და რომლის გამოც მე და დარია მუდამ ვჩხუბობდით. არსებობდნენ კაცი და ქალი, ერთს ჩაქუჩი ეკავა და მეორეს ცელი, ეს თითქმის ყველა სოციალისტური ფილმის სამარკო ნიშანი იყო (როგორც „მეტრო გოლდენ მეიერის“ ღრიალა ლომი).

არსებობდნენ ჩებურაშკა და ვინი პუ, რომელსაც ჩვენ „ვინიპუსს“ ვეძახდით, სოციალისტური ნახატი ფილმების პერსონაჟები, არსებობდა სულის შემხუთველი კომბინებონები, მამთარში რომ გვაცმევდა დედა და

მოსაფხმელად მთლიანად უნდა გაგეხადა, ასევე ჩხვლეთია შალის წინდები. არსებობდა დათვი მიშა მედალიონიანი ქაშრით, მოსკოვის 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების სიმბოლო (ამ დათვმა ოლიმპიადის შემდეგ კიდევ მრავალი წელი იცოცხლა სოციალისტურ ყოფაში სხვადასხვა სათამაშოს ფორმით, ალმებზე, თეფშებზე და ჭიქებზე გამოსახულმა).

არსებობდა ყვითელი ჟიგულები, შავი „ვოლგები“ და თეთრი ლადები. მკერდზე მისამაგრებელი წითელი პლასტიკის ვარსკვლავები, ლენინის ბავშვობის სურათით (ასაკი ძნელი გასარკვევი იყო). არსებობდა ფირფიტები მელოდია და კასეტები მაქსიმი, რომლებშიც ბლომად ფულს იხდიდნენ. ბონბონები გულივერი და ყავის გემოს მქონე საღეჭი რეზინა, მსოფლიოში არც ერთ ბავშვს რომ არ მოეწონებოდა, რადგან, როგორც ცნობილია, ბავშვებს მწარე ყავა არ უყვართ. არსებობდა ხაოიანი შალისგან დამზადებული რბილი სათამაშოები, მეტწილად ძაღლები და დათვები (ჰო, ისევ და ისევ დათვები!), ძალიან უნდა მოგენდომებინა, რომ რბილ სათამაშოდ აღგეყვა. არსებობდა მდნარი ყველი „დრუჟა“ და ქანქარა თოჯინა „ვანკა-სტანკა“, რომელიც გაუბედურებულ, დაცარიელებულ პლასტიკის მატრიოშკას ჰგავდა. არსებობდა ლენინგრადის უგემრიელესი ნაყინი, მაგარ ოთხკუთხედებად გახვეული ოქროსფერ ქაღალდში. არსებობდა წითელცხვირიანი რუსული თოვლის ბაბუა („კოკა-კოლას“ რეკლამის სანტასგან განსხვავებით – უღიპო). არსებობდა ალუმინის მასიური ჩაიდნები და ძალიან პოპულარული 8-მმ-იანი კამერები. ფერადი საცვლები, რომლებსაც ბედნიერი სპორტსმენების გამოსახულებები ან კვირის დღეები ჰქონდა. არსებობდა იაფფასიანი ბროშურები, მაგალითად, ასეთი სახელწოდებით: „სიმართლე ამერიკელი დიპლომატების შესახებ“. რუხი და უმეტესწილად მინაჩამსხვრეული ტელეფონის ჭიხურები. თეთრი და მუქფერადი მტკიცე მონწული ბადურები, მეტწილად, ბებოებისთვის (მაგრამ ამას, ალბათ, მთელი მსოფლიოს ბებოები ამჯობინებდნენ, ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა!).

არსებობდა წინიბურა და კატლეტები. ვარდისსარომათიანი მარმელადი. ინდური ხსნადი ყავა. ჯინსის იმიტაციები Mawin და Lae. ლურჯ-რუხი სასკოლო ზურგჩანთები, კბილის ფხვნილი, პლასტმასის კალმები, ლარნაკები, რომლებზეც კრემლის მოტივები იყო გამოსახული, თხელი მწვანე რვეულები, რომელთაც „სასკოლო რვეული“ ეწერათ ყდაზე, ასო M-ს გამოსახულებიანი მეტროს ჟეტონები, პინგ-პონგი და ბადმინტონი ზაფხულობით, სასაცილო ვარცხნილობები, საკასეტო მაგნიტოფონი ელექტრონიკა 302.

სივარეტები – ასტრა, რომელსაც სტასია ეწოდა, და ქართული კოსმოსი (დარიამ და მე პირველად სწორედ „კოსმოსი“ გავაბოლეთ სკოლის ტუალეტში), ელექტრონული საათები სამატრაბაზოდ,

საანგარიშოები - მაღაზიებსა და ბაზრებში, სკოლაში, სამსახურში, დომინო ვინო, ლამაზ, სადაფით მოპირკეთებულ კოლოფებში ჩანცობილი.

მოსკოვამდე თვითმფრინავის ბილეთი ღირდა 36,50 მანეთი. (ჩვენ მატარებელს ვამჯობინებდით, სიიაფის გამო. არსებობდა ტელეგადაცემა ილუზიონი, ყოველ შაბათს ვიყავით მიდარაჯებულნი. გადაიცემოდა პირველი არხით, აჩვენებდნენ უცხოურ, მეტწილად ცენზურაგამოვლილ, ნაწილობრივ შეკვეცილ ფილმებს. თუმცა, კლასიკას, როგორც იყო „რომაული არდადეგები“, რომელზეც სტასიას ეტირებოდა, და „ჯარში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, რომელზეც კოსტია ხარხარებდა გულიანად, თუმცა „ტრიუკების ოსტატიც“ აჩვენეს, პიტერ ო'ტულის და ბარბარა ჰერმის მონაწილეობით, ჩემი და დარიას საყვარელი ფილმი. აგრეთვე კინოავტობუსები გადაადგილებოდა ქალაქის სხვადასხვა უბანში, ნაყინის გამყიდველებივით აწკარუნებდნენ ზარს და ძირითადად, ახალგაზრდებს აგროვებდნენ, დაბალ საზღაურად სთავაზობდნენ მათ სასიყვარულო ფილმებს. კინო ავტობუსების ტოპ-ათეულის თავში, რალა თქმა უნდა, 60-იანების ანჟელიკას სერიები იყო. მე და დარია გამუდმებით ვკამათობდით, მეფე სჯობდა თუ „ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა“. სიაში ამათ მოჰყვებოდა „გრაფი მონტე კრისტო“ და ბოლივეუდის ფილმები.

არსებობდა კინოთეატრები „აპოლო“ და „ყაზბეგი“. პოპულარული იყო ჟურნალი ოგონიოკი, უცხოელი მსახიობების ფოტოების არალეგალურად მოპოვებაც შეიძლებოდა, ძირითადად, ბოშები ყიდდნენ მიწისქვეშა გადასასვლელებსა და მეტროს შესასვლელებში.

არსებობდა მუსიკალურ-გასართობი კლუბები და ყოველი ჭკუათმყოფელისთვის შეურაცხყოფელი ფილმები სამშობლოზე, სიყვარულსა და მშრომელებზე. პოლიესტერის სავარჯიშო ფორმები და შეგქდლოთ დაგვემოვნებინათ გლასედ წოდებული უგემრიელესი რძის შეიკები, მე მარწყვის გემოთი მომწონდა, დარიას კი - ვანილის.

მოგვიანებით გაიხსნა კაფე „ფრანცია“ და რესტორანი „ბუდაპეშტი“ და ჩაის სახლი უნივერსიტეტის პირდაპირ. ჩემ-ჩემად ვუსმენდით „ამერიკის ხმას“. არსებობდა სასმელი წყლის ავტომატები წარწერით „გაზიანი წყალი“, რომლებიც ყოველთვის გაფუჭებული იყო. არსებობდა გერმანიიდან ჩამოტანილი ჟურნალი ბურდა, რომელიც შავ ბაზარზე იშოვებოდა და ბოლო ფურცლებისაკენ ის დარგები ჩაკინძულ-ჩაკეტილი, რომლებზეც მოთხოვნილება იყო. არსებობდა ტროლეიბუსები, უკმეხი მილიციელები და დისიდენტებისა და მოღალატეების არალეგალურად დაბეჭდილი და გავრცელებული რომანები. ჩვენ რუს და ქართველ კლასიკოსებს ვკითხულობდით, ალექსანდრე დიუმას, ცხადია, ფრანგ რომანტიკოსებს, ძალიან პოპულარული იყო რომენ როლანი, რაკი კომუნიზმისადმი სიმპათიას გამოხატავდა და საბჭოთა კავშირს

სტუმრობდა. ჯოისის და ფოლკნერის თაობაზე ვერ შეთანხმდნენ, რომელი კატეგორიისთვის მიეკუთვნებინათ, თუმცა მაინც არ აუკრძალავთ. ეგზისტენციალისტები ძნელად იშოვებოდა. გორკი განუსაზღვრელი რაოდენობით იყო და კრილოვის იგავებიც. ტოლსტოი, ჰენრი ჯეიმზი, თეკერეი, მარკ ტვენი თავისთავად. ლერმონტოვი და პუშკინი – უწინარეს ყოვლისა. და, რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსანი – რუსთაველის უდიდესი ეროვნული ეპოსი იყო ყველაფრის თავიდათავი.

ძირითადად მკვდარ მწერლებს ვკითხულობდით. თუმცა ჟურნალის „ინოსტრანნაია ლიტერატურა“ წყალობით ზოგჯერ ცოცხლების შესახებაც ვიგებდით რაღაცას.

ცოტა მოგვიანებით, უკვე საბჭოთა კავშირი ჩვენთვის ნიშნავდა ფულის შეგროვებას ფირფიტების, წიგნების, ვიდეოკასეტების საყიდლად. ვყიდულობდით „როლინგ სტოუნზს“, „პინკ ფლოიდს“, „ლედ ზეპელინს“, მერე ამათ „ქუინის“ დაემატა. 80-იანებში გაჩნდა რუსული როკბენდები, კინო და დღე, რომელთაც, როგორც ჩანს, ფეხებზე ეკიდათ, სახელმწიფოს მიერ ნებადართული იყო თუ არა გრძელი თმა კაცებისთვის.

იმართებოდა რეაქტიული პოემიის საღამოები შიდა ეზოებში, სხვენებში, სარდაფებში. საკმაოდ „ანტი“ უნდა ყოფილიყავი, ასეთ განთქმულ წრეებში რომ შეგედნია. ყველაფერს ჯობდა, მილიციელებთან მოგსვლოდა შეხლა-შემოხლა აკრძალულ საღამოებზე, სამხარეულოებში, სხვენებში, სარდაფებში რომ იმართებოდა. ის გოგოები დადიოდნენ, ამოღამებული თვალები რომ ჰქონდათ და წყალბადის ბეჟანგით შეღებილი თმა. ხშირ-ხშირად იწერდნენ რაღაცას გამჭკნარი ყვავილებით მოკაზმულ რვეულებში და თითქმის მთელ ენერგიას ხარჯავდნენ ისეთი გამომეტყველების მისაღებად, თითქოს ფიქრებში დაქროდნენ და ამ ქვეყანას არ იყვნენ. დადიოდნენ ბიჭები, რომლებიც აღტყინებულები, აგრესიული პათოსით კითხულობდნენ ლექსებს, თუმცა არც ერთმა არ იცოდა, ამბოხის რა გრადუსისთვის უნდა მიეღწიათ, ასეთი ეზოების, სხვენების, სარდაფების მეფე რომ გამხდარიყვნენ. ასეთ ეზოებში, სხვენებში, სარდაფებში ორმოცს გადაცილებული წვერიანი კაცებიც დადიოდნენ, ხანდახან თავისივე ასაკის ქალების თანხლებით, რომელთა უმრავლესობას შეუღებავი თმა ჰქონდა, სპირიტუალიზმზე ლაპარაკობდნენ და ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველების სჯეროდათ, ახალგაზრდობაში ჩრდილო კავკასია რომ დაელაშქრათ ხოლმე და ჯერ კიდევ ეხალისებოდათ სვანეთში კარვებით ასვლა.

არსებობდნენ ბომა ქალები, რომლებიც დანწული კალათებით წითელ მარლბოროს ჩამოუშვებდნენ ზედა სართულიდან, თუ მანამდე იმ კალათში საჭირო თანხას ჩადებდი. უნდა გეჩაღიჩა, კინოს სახლში კერძო ჩვენებაზე რომ გემოვა ბილეთი.

ჩემთვის საბჭოთა კავშირი იყო ბავშვობა, რომელიც მე და ჩემმა დამ ერთად გავატარეთ.

იყო ბაბუაჩვენის ძალაუფლება. იყო დარიასადმი მიძღვნილი უთვალავი კომპლიმენტი, ისე როგორც როკვარსკვლავს ხვდება აღრიალებული ბრბო. იყო უმამობა. იყო საბნის ქვეშ ხითხითი ღამღამობით მწვანე სახლში. იყო სტასიას ბაღეტის გაკვეთილები ფარდულში, რაშიც რატომღაც მართო მე ვმონაწილეობდი, დარიას არავინ ავალდებულებდა. იყო ქრისტინეს ნახევრად დაფარული სახის ხიბლი, გამუდმებული ჩხუბი ელენესა და მამამისს შორის, და ცხადია, ჩემსა და დარიას შორის. იყო წინ და უკან ბოღილი მწვანე სახლიდან ახალ უბანში, დედაჩვენის ოთახ-ნახევრიან ბინაში. იყო კოსტიას უსაზღვრო სიყვარული დარიას მიმართ და სტასიას კუჭი, მაგრამ მკაფიოდ გამოხატული სიყვარული ჩემ მიმართ. იყო სტასიას ლიქორების ჩუმ-ჩუმად წრუპვა. დამალობანა ტყეში. გამოლანძღვა და შინ ჩაკეტვა, ჩემს ყოველ საქციელს რომ ახლდა. საკარნავალო ტანსაცმელი საბავშვო ბაღის ბეიმებზე, კურდღლის ყურები, მგლების კუდები, წითელქუდას წინსაფრები, კარლსონის პროპელერები, ჯადოქრის ბრჭყალები და პალმის ფოთლები რობინზონ კრუზოს პარასკევასთვის, ეს უკვე სასკოლო ბეიმებზე. მუდმივი ცემა-ტყეპა სკოლის ეზოში, რომლებშიც დარია არ მონაწილეობდა.

საბჭოთა კავშირი იყო „ვრემია“ ყოველ საღამოს და სქელშუშება სათვალეიანი დიქტორი, რომელიც ყოველ ახალ ამბავს ისე აცხადებდა, თითქოს სამყაროს დასასრული დგებოდა. საბჭოთა კავშირი იყო საახალწლოდ ნაძვისხის კენწეროზე დამაგრებული წითელი ვარსკვლავი. საბჭოთა კავშირი იყო ხალხთა მეგობრობისა და ფოლკლორული ცეკვების მხარე, სადაც ყველასთვის ღია იყო კარი, გარდა „უცხოელებისა“. რადგან ისინი კაპიტალისტები იყვნენ, ფულის მეტი არაფერი აინტერესებდათ და მშრომელი ხალხის გაღატაკებით მდიდრდებოდნენ, ამიტომაც შიმშილობდნენ მთელ მსოფლიოში ადამიანები.

საკუთრივ უცხოეთი, საზღვარგარეთ მდებარე ნებისმიერი ქვეყანა, სოლომსა და გომორს წარმოადგენდა. იქ ყველა ნარკოტიკის მომხმარებელი იყო, სახელმწიფო კი არ ზრუნავდა მოქალაქეებზე და დასაღუპად იმეტებდა. იქ ყველა ყველასთან იწვა, შედეგად ჩნდებოდნენ ბავშვები, ვისზეც არავინ ზრუნავდა, მათთვის ბაგა-ბაღებშიც კი არ იყო ადგილი. უცხოეთი ბოროტების მხარე იყო, საიდანაც არც ერთი საბჭოთა მოღალატე არ დაბრუნებულა. უცხოეთში არსებობდა შპიონაჟი და ადამიანებით ვაჭრობა. იქ ჯერ კიდევ არსებობდნენ მონები და გაგონილიც არ ჰქონდათ სიტყვები – „ხალხთა მეგობრობა და ძმობა“. იქ ფულის ცივი და დაუნდობელი კანონები მეფობდა ან კიდევ მშვიდობიანი არსებობის ილუზია, რომელსაც ცრუ რელიგია ავრცელებდა, რაც ოპიუმს

წარმოადგენდა მოსახლეობისთვის. ფხიზლად უნდა ყოფილიყავი და დახმარებოდი იმ ქვეყნებს, რომელთაც ბოროტი კაპიტალიზმისგან თავის დაღწევა სურდათ. გათავისუფლებული ქვეყნები კი ჩვენი ძმები ხდებოდნენ, ჩვენი მეგობრები; და მათთან ჩასვლაც შეგვეძლო. ჩვენ შეგვეძლო გვემოგზაურა მთელ საბჭოთა კავშირში – მონღოლეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში; ნავსულიყავით ჩრდილოეთ კორეაში, ჩინეთში, კუბაზე, გვინეაში, სამხრეთ იემენში, სომალიში, კონგოში, მადაგასკარზე, კამბოჯაში, ლაოსში, ეთიოპიაში, ანგოლაში, მოზამბიკში, ბენინში, გრენადაში, ნიკარაგუაში, ზიმბაბვეში. როცა მე სკოლაში შევედი, უკვე ვიეტნამშიც ნებადართული იყო წასვლა. მალე ავღანეთში გამგზავრების უფლებაც მოგვეცეს.

ასე რომ, მეგობრები საკმარისი გვყავდა – საზიზღარ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი ისედაც არ მოგვინევდა გული. რა გვესაქმებოდა დეკადენტურ, გარყვნილ, სულის მღაფავ დასავლეთ ევროპაში, უსაზიზღრეს ამერიკაზე რომ აღარაფერი გვეთქვა, თუნდაც რა გვინდოდა საფრანგეთში, სადაც ლოკოკინებს ჭამდნენ, ან მაფიოზებით სავსე იტალიაში, სადაც თეთრკაბიან ბებერ კაცს ეთაყვანებოდნენ? რა გვინდოდა ლათინურ ამერიკაში (კუბის გამოკლებით), სადაც ჭუნგლები იყო და მავნე მწერები? ან იაპონიაში, სადაც ქალებს მეტისმეტად მოჭერილ ფეხსაცმელს აცმევდნენ, რომ ფეხი არ გაზრდოდათ? ან სკანდინავიაში, სადაც წესიერად დათრობაც კი არ შეეძლოთ? რა გვინდოდა სახიფათო ამერიკაში, სადაც ნარკოტიკები ქუჩაში ეყარა, სადაც ადამიანები დუპრესიაში ვარდებოდნენ, თუ მდიდრები არ იყვნენ და ტყაპატყუპით ცვიოდნენ ფანჯრებიდან, სწორედ იმიტომ, რომ კეთილი და მზრუნველი სახელმწიფო არ გააჩნდათ. სადაც ამდენი შავკანიანი და ებრაელი ირეოდა?

რა თქმა უნდა, კაპიტალისტურ უცხოეთშიც იყო ზოგი სასიამოვნო რამ, მაგარი მუსიკა და ფილმები ჰქონდათ, სექსისთვის ან ერთ ბინაში საცხოვრებლად ქორწინება არ სჭირდებოდათ, ტანსაცმელიც აშკარად უკეთესი იყიდებოდა. არც ვიზის მისაღებად უწევდათ კვირაობით ინტურისტის განყოფილებასთან რიგში დგომა, არც სიაში ჩაწერა ავტომობილის მისაღებად. მერე რა? გააჩნია, რით განისაზღვრება თავისუფლება. ყოველ შემთხვევაში, ვიეტნამში მათ არ შეეძლოთ წასვლა, და მალე არც ავღანეთში. ჩვენ კი შეგვეძლო.

დარიასთვის და ჩემთვის საბჭოთა კავშირი უწინარეს ყოვლისა ოჯახი იყო. ჩვენი ოჯახი და სახელგანთქმული პაპიდა უცხოეთში, რომელიც, როგორც საკმაოდ დიდხანს გვეგონა, ბოროტმა კაპიტალისტებმა ძალით წაათრიეს დასავლეთში, აბა, რატომ უნდა გაპარულიყო სამშობლოდან? საბჭოთა კავშირი იყო: ჩვენი მეგობრები. ჩვენი ქუჩები. ჩვენი ეზოები.

ჩვენი პარკები. ჩვენი თამაშები. ჩვენი წარსული. და, ცხადია, მომავალიც (სხვა უკეთესი რა გვენატრა?).

საბჭოთა კავშირი ჩვენთვის სიამაყე იყო, რომლითაც მე და დარია საკმაოდ დიდხანს ვსარგებლობდით, რადგან ბაბუას გვარს ვატარებდით.

კიტის გამგზავრების შემდეგ ელენე მალევე ჩაენერა ინგლისურის მოსამზადებელ კურსზე და უცხო ენების ინსტიტუტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდებისთვის დაიწყო მზადება. ნანა გადაიარა სიხარულით, რომ მისმა შვილმა – სავარაუდოდ – შედაგოგობა გადაწყვიტა, რჩევებს არ იშურებდა მისთვის, თან დაჰყვებოდა და ამხნევებდა. კოსტიაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენას ეჭვის თვალით უყურებდა, გახარებული ჩანდა, რაკი თავისი ქალიშვილი, როგორც იქნა, გონს მოეგო და საქმე გაიჩინა.

ელენემ გამოცდები ჩააბარა და სტუდენტი გახდა. მწვანე სახლიდან თბილისში სიარული მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა, თავიდან ერთ მეგობართან დასახლდა სოლოლაკში. თუმცა უმეტეს დროს ლანასთან ერთად ატარებდა, რომელმაც, დიპლომის წარმატებით დაცვის შემდეგ, საინჟინრო-ინდუსტრიული დაგეგმარების ცენტრში იპოვა სამსახური, სადაც მთელი საბჭოთა კავშირის დიდი ფაბრიკების კონსტრუქციები იქმნებოდა. ელენე გაურბოდა ქრისტიანთან სტუმრობას, იმ ბინაში, სადაც ქრისტიანე თავგანწირული ზრუნავდა პატარა მიროზე.

რაკი ელენეს უმეტესწილად მდებრობითი სქესის და სისტემასთან სრულიად შერიგებული თანაკურსელები მალე მობეზრდა, სამაგიეროდ, სამხატვრო აკადემიის ან კინოსა და თეატრის ინსტიტუტის სტუდენტებთან მეგობრობდა, რომლებიც ლანას მეშვეობით გაიცნო. თან ისევ თავისი ინტერესების, უფრო სწორად, სამყაროს მიმართ უინტერესობის ერთგული დარჩა და ძირითადად ისეთ ბიჭებთან მეგობრობდა, რომლებიც როკმუსიკას უსმენდნენ, მარიხუანას ეწეოდნენ, აკრძალული პოეზიის საღამოებზე დადიოდნენ და სპირიტუალიზმზე ლაპარაკობდნენ ბევრს. მართალია, გამბედაობა არ ყოფნიდათ, კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაედინათ, როგორც მიქაელს, ბექას ან მათ ძმაკაცებს, მაგრამ უცხო ენების წესიერ სტუდენტ გოგოებთან შედარებით ნამდვილი ჩე გევარები იყვნენ.

სტუდენტობის დასაწყისში ელენემ რამდენჯერმე სცადა ოჯახისგან და, რაც მთავარია, მამისგან დამოუკიდებელი გამხდარიყო, თავისი მეგობრების მსგავსად, რომლებიც უარს აცხადებდნენ ოჯახურ პრივილეგიებზე – თუმცა ჩუმ-ჩუმად მაინც სარგებლობდნენ – მაგრამ ისეთ პრივილეგიებზე არსებას, როგორც ელენე ჯაში იყო, ვინ მიიღებდა დამლაგებლად ან დარაჯად, ასე რომ, ელენეს ისევ მამამისისთვის უწევდა ფულის გამორთმევა.

კვირის განმავლობაში ქალაქში ცხოვრობდა. შაბათ-კვირებს ჩვენთან ერთად ატარებდა. დარიას, როგორც კოსტიას სამფლობელოს

დედოფალს, თბილისში დააბრძანებდნენ საბავშვო ბაღში, მე კი საკუთარი თავისა და სტასიას ანაბარა დამტოვეს. შემდეგლო თეთრი წინდები ამომეცვა და სოფლის გოგოებთან ერთად დავსწრებოდი ბაღეტის გაკვეთილებს და მოუქნელად მეხტუნავა, დარია კი ყოველ დილას კოსტიას მძღოლს მიჰყავდა ქალაქში და საღამოს ბებიასთან და ბაბუსთან ერთად ბრუნდებოდა.

დილაობით საშინელი ფუსფუსი იყო ხოლმე (ჩემი ერთ-ერთი პირველი მოგონება ბავშვობის დროიდან), როცა კოსტია და ნანა სამსახურში წასასვლელად ემზადებოდნენ, ერთობლივი საუბმე სიჩქარეში, დარიას ტანსაცმლის ძებნა, მერე კი, როცა ისინი მანქანაში ჩასხდებოდნენ, მე და სტასია მარტო ვრჩებოდით და სიჩუმე ისადგურებდა. არაჩვეულებრივი, ჯადოსნური სიჩუმე, რომელიც უამრავ საიდუმლოს მალავდა. ოღონდ ყურადღებით ყოფნა და მოთმინებით მოსმენა შეგძლებოდა. ჭრიჭინები – ზაფხულში, მტრედები – შემოდგომაზე, ტყე – ზამთარში, ნიავი, კლდეებს რომ ეაღერებოდა – გაზაფხულზე. ეს ყველაფერი ტკბილ მელოდიასავით ჟღერდა, რომელსაც თითქოს კარგად ხმაშენწყობილი ორკესტრი ასრულებდა, მარტო ჩვენთვის, სტასიასთვის და ჩემთვის.

პირველი, რასაც მე და სტასია ვაკეთებდით, ბაღის მოვლა იყო. ტალახიანი რეზინის ჩექმებით, ინსტრუმენტებით შეიარაღებულები მივაბიჯებდით წვიმაში, მზეში, ქარში, და ვუვლიდით ყვავილებს, ხილსა და ბოსტნეულს. ხანდახან მესმოდა, როგორ ელაპარაკებოდა სტასია თავის ყვავილებს, მაგრამ ამაში ვერაფერს ვხედავდი უცნაურს, ჩემთვის ეს ძალიან თბილი, აღერსიანი რიტუალი იყო, ამის წყალობით საიმედოდ და უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს.

მერე წინა დღის საჭმლის ნარჩენებს ვაგროვებდით თუნუქის ვედროში, სოფელში გავდიოდით ხოლმე წყაროს განაპირას და უპატრონო ძაღლებს ვაჭმევდით. იყო დრო, როცა გაღეული ცხოველების ყურება, როცა საჭმელს თქვლეფდნენ, ძალიან მიყვარდა. მოგვიანებით სტასია ტელევიზორს ჩართავდა და ჩვენ ერთად ვუყურებდით გადაცემას „ფანტაზია და მარჯვე ხელები“, სადაც სახლის მოვლის რჩევებს გვთავაზობდნენ და ხალხურ სიბრძნეს შეგვახსენებდნენ, მაგალითად, როგორ უნდა დაგვევდო სიცხე ძმრიანი წინდებით ან როგორ მოგვერჩინა თავის ტკივილი ცაცხვის ნაყენით.

ნასადილევს სტასიას ოთახში შევდიოდით და შუადღის ძილს ვეძღვოდით მის საყვარელ მაგარ სანოღზე, რომელსაც სტასია ვერ თმობდა, მე კი საუკეთესო თავშესაფრად მიმაჩნდა ამქვეყნად.

თვალს გავახელდი შუადღის ძილიდან და სტასია უკვე ვახშმის სამზადისში იყო ჩაფლული. მესმოდა, როგორ არახუნებდა ქვაბებსა და ტაფებს სამზარეულოში, მისი საყვარელი სუნელების სურნელი იქით მენწოდა. ფეხშიშველი შევბრბოდი და მაშინვე დახმარებას ვთავაზობდი.

სამზარეულოში ფუსფუსისას რადიო სულ ჩართული ჰქონდა. ძველი გულისამაჩუყებელი სიმღერების მოსმენა უყვარდა, ზოგიერთს ხმასაც აყოლებდა.

სანამ საჭმელი ქვაბში თუხთუხებდა ან ტაფაზე იბრანებოდა, აივანზე გავდიოდით და ვთამაშობდით „მე ვხედავ რაღაცას, რასაც შენ ვერ ხედავ“ და ხშირად ვაგებინებდი, თავს ვისუფლებდი, თორემ ისე სულ ვუგებდი. ზოგჯერ ღრმად ჩაფიქრდებოდა, აღარც თამაშში ამყვებოდა და მაიძულებდა სიჩუმისთვის მომესმინა. ერთხელ ასეც მითხრა, მხოლოდ სულელ ბავშვებს არ შეუძლიათ რაიმე გამოსტყუონ სიჩუმესო; და რაკი მე არ მინდოდა სულელი ბავშვი ვყოფილიყავი, ვჭდებოდი მის გვერდით, რაც შეიძლება სერიოზული გამომეტყველებით, და ისე ვიქცეოდი, თითქოს სამყაროს საიდუმლოებები მესმოდა.

ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს, მოსალამოვებისთანავე იწყებოდა ხოლმე ჩემთვის არცთუ საყვარელი საქმიანობა: ბალეტის გაკვეთილები. სოფლის გოგოები დროულად იკრიბებოდნენ ფარდულთან. სტასია იფურჩქნებოდა. მეც ვინდომებდი. იძულებული ვიყავი სახელდახელოდ დაკიდებული სარკეების გასწვრივ მეთისმეტად მაღალ ძელთან ისე გავწელილიყავ, თითქოს მეოცნებებოდა, მეორე მათა პლისეცკაია გავმხდარიყავი, დიდი თეატრის პრიმა ბალერინა, სტასია ასე რომ ეთაყვანებოდა.

როგორ ხარობდა, როგორ უბრწყინავდა თვალები, როცა სხეულის ფლობას გვასწავლიდა, როცა გამოგვივიდოდა ისე როგორც მოითხოვდა. როგორი გატაცებით უსმენდა მუსიკას, როცა სასაცილო პატარა ცეკვებს გვიდგამდა. როცა განსაკუთრებით მოვინდომებდი, გულუხვად მაჭილდობდა ხოლმე გაკვეთილის შემდეგ: შინ დავბრუნდებოდი და ბრონეულს მიმარცვლავდა, ლეღვის ხურმის ჩირს შემომთავაზებდა. მაგრამ ყველაზე მეტად მისი თავგადასავლებების მოსმენა მიყვარდა. ჩემი გულმოდგინე მეცადინეობით კმაყოფილი, გარდასულ ამბებს მიყვებოდა. სხვა დროს სიტყვაძუნწი სტასია შეჭერებადედ გადაიქცეოდა ხოლმე და ზღაპრულად შეფერილ იდუმალ სამყაროში მიმიძლოდა. თავისი ხატოვანი ენით, დრამატული კულმინაციებით და დაძაბული გადახვევებით, პერსონაჟების განსახიერებით და ხმის ტემბრით აცოცხლებდა წარსულს.

ჩემ თვალწინ ააშენა სახლი, სადაც დაიბადა. აღმინერა თავისი მამა, ყოვლისმომცველი შოკოლადის სურნელი, მათ სახლში რომ ტრიალებდა და სტუმრებს იზიდავდა. მომიყვა გაუხედნავი ყაბარდოული ცხენებისა და უკიდევანო ველების შესახებ. კლდეში გამოკვეთილი ტაძრის საიდუმლო გასასვლელები დამისურათა. მისი უმცროსი დის კაბების ქსოვილსაც კი ვგრძნობდი (პატარა ქრისტიანებე სტასია ყოველთვის განსაკუთრებული ხმით ლაპარაკობდა, ჩუმად, ლამის მოწინებით, თვალანთებული),

სიმონის უნიფორმასაც ვხეებოდი ხელით, სტასიას დედინაცვლის თვალისმომჭრელ სამკაულებსაც ვხედავდი.

მიაშობდა რუსული ბალეტის და გრაციოზული ანა პავლოვას შესახებ. პეტერბურგის კათედრალების ოქროს გუმბათების შესახებ. ზაფხულის სასახლისა და თევლას საკუჭნაოს შესახებ. მიკითხავდა სოფიოს ლექსებს, როგორც ჩანს, ყველა ზეპირად იცოდა, მიხსნიდა, როგორი ხორბლისფერი კულულები ჰქონდა მის შვილს.

სტასიას სიტყვები ჩემთვის ჯადოსნური ფორმულებივით იყო, რომელთა წყალობით სხვა სამყაროში შემძლო ჩაყვინთვა, უცნობ სამყაროში, სადაც შორეულ წარსულში რომ არსებობდა, მის გასაღებს კი მხოლოდ სტასია ფლობდა.

როგორ ვერ ვიტანდი იმ დღეებს, როცა არაფერს მიყვებოდა. როგორ მკაცრად მსჯიდა, როცა ჩემი ცეკვით უკმაყოფილო იყო. როგორი სასონარკვეთილი ვიყავი, როცა მიიჩნევდა, რომ მისი ნაამბობის მოსმენას არ ვიმსახურებდი. მერჩივნა ფეხები დამსისხლიანებოდა ან ასობით შპაგატის კეთებით დავტანჯულიყავი, ოღონდ ის იდუმალი გარდასული დრო გაეცოცხლებინა ჩემ თვალწინ. მიყვარდა მისი ამბები, ის არაბესკები და რეტირეები კი უცხო იყო ჩემთვის. ჩემი ფანტაზია სტასიას ხმის გაგონებაზე იწყებდა ფეთქვას, და არა ჩაიკოვსკის მუსიკის. მინდოდა მესმინა მისთვის, იმ უცხო სამყაროს სრულყოფილი სურათი დამეხატა, გატაცებული ვიყავი იმ სამყაროთი დ მხოლოდ იმიტომ ვცეკვავავდი, იქაური ამბები მომესმინა.

თუ გამომართლებდა და ჩვენების ქალაქიდან დაბრუნებამდე სტასია რამეს მიაშობდა, მთელი საღამო ველარაფერზე ვფიქრობდი, ზღაპრის მოსმენაც კი აღარ მინდოდა, ნანა რომ გვიყვებოდა ხოლმე ძილის წინ, დარიას და მე. რადგან სტასიას მოგონებებით ვიყავი სავსე და სხვა ვერაფრისთვის ვპოულობდი ადგილს. სტასიას ნაამბობი მიპყრობდა და მავსებდა. მაშინ ჯერ ვერ ვხვდებოდი, რომ უნდა ჩამეწერა ყოველივე, ჩემს სიტყვებში მომეცხია. ჩემს აშბად გარდამექმნა.

მთელი ჩემი ბავშვობა მწვანე სახლში გავატარე ამ ამბების გარემოცვაში, სტასიას მოგონებებად რომ შეკონილიყო. მთელი ის დრო, სანამ შეკითხვების დასმას დავიწყებდი, სანამ ბრაზი და დარდი დამიგროვდებოდა, სანამ ჩვენი ოჯახის ისტორიად წოდებული ეს ლამაზი ფაზლი დაიშლებოდა, სანამ ჩემ ცხვირწინ ჩამოფარებული ფარდების მიღმა გადავიხედავდი.

ასე რომ, ჩემი ცხოვრებაც სწორედ იქ იწყება, ზუსტად 1900 წლის ყინვიან ზამთარში, როცა სტასია მოველინა ქვეყანას. მეც მაშინ დავიბადე, ისევე როგორც შენ, ბრილკა. ჩემი ბავშვობა 1973 წელს არ დაწყებულა, არა, ბევრად უფრო ადრე, უფრო შორიდან. ეს ამბებია ჩემი ბავშვობის წლები, თავისუფლად და ბედნიერად რომ ვატარებდი, რადგან სტასიას სიყვარული მიფარავდა და მეტი არც არაფერი მჭირდებოდა.

სადაც ეს ამბები იწყება, იქ არის ჩემი დასაწყისიც. ის ადგილები, ქალაქები, სახლები, ადამიანები, ჩემი ბავშვობის ნაწილია. რევოლუციაც და ომიც, მკვდრებიც და ცოცხლებიც. ის პიროვნებები, მათი ცხოვრების გზა და ადგილსამყოფელი ისე ჩამებეჭდა ტვინში, რომ მათთან ერთად დავიწყე ცხოვრება. თავიდან სტასია მჭირდებოდა დროში სამოგზაუროდ, გადასასვლელად, ჩასაყვინთად, მაგრამ მჯეროდა, რომ მალე თვითონ შევძლებდი ამ ამბების მოყოლას, სულ თავიდან მოყოლას, დახვეწას.

ნანასთვის დარია და მე გასაწვრთნელი და აღსაზრდელი ბავშვები ვიყავით. ჩვენთვის გარკვევით უნდა ეჩვენებინა, რა იყო კარგი და ცუდი. ელენესთვის – ტკბილეულის მოყვარული ბავშვები, გართობის მეტი რომ არაფერი გაეგებოდათ, მისი აზრით, ზოპარკსა და ცირკში ან თოჯინების თეატრში რომ უნდა ეტარებინა, ტირილს რომ იწყებდნენ გადაყვლეფილი მუხლის ან დამწვარი თითის გამო. კოსტიასთვის დარია ანგელოზი იყო, მე კი – ნაბიჭვარი. დარიას გაკეთებული ყველაფერი განაცვიფრებდა, აჭადოებდა, აღაფრთოვანებდა. ძირს დაენარცხებოდა, თუ ცხვირიდან წვინტილი წამოუვიდოდა ან ჩაიფსამდა, კოსტია თუ ფარ-ხმალს არ ყრიდა, გული მაინც უჩუყდებოდა.

მე უცხო სხეულად დავრჩი იმ პატარა სამოთხეში, რომელიც კოსტიამ თავის პრინცესას შეუქმნა. მე თავს მარიდებდა. ცუდად გრძნობდა თავს, როცა მასთან ერთად ვიყავი შინ – რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა – როცა გვერდით არც ნანა იყო, არც სტასია, არც ელენე, ვინც ჩემგან დაიფარავდა.

ბუნებრივია, მეც მასაჩუქრებდა ხოლმე, როგორც დარიას, მეც მკოცნიდა მის მსგავსად ლოყაზე, მეც მივყავდი სასეირნოდ ან ატრაქციონებზე დარიასთან ერთად – სხვა რა გზა ჰქონდა. უბრალოდ, ყველაფერს არ ამბობდა, სიტყვით არ გამოხატავდა. მან დარია აიფარა ჩემგან თავის დასაცავად.

მეც ის უნდა მდომებოდა, რაც დარიას უნდოდა, ის უნდა მეთქვა, რასაც დარია ამბობდა, იმას დავთანხმებოდი, რასაც დარია თანხმდებოდა, იმაზე მეთქვა უარი, რაზეც დარია ამბობდა უარს.

ის საღამოები, როცა უფროსები და დარია ბრუნდებოდნენ მწვანე სახლში, ჩემი ბავშვობის ყველაზე საძულველი მომენტები იყო. ყველაფერი მხოლოდ კოსტიასა და დარიას გარშემო იწყებდა ტრიალს. ისინი იყვნენ ჩვენი გალაქტიკის მზეები. ჩვენ კი, მომაკვდავი ვარსკვლავებივით, ყოველ საღამოს უკანასკნელად გავიეღვებდით ხოლმე სამყაროში, სანამ საბოლოოდ ჩავქრებოდით და საკუთარ თავს გავანადგურებდით, რომ მეორე დღეს, მათი წასვლისთანავე, თავიდან დავბადებულიყავით.

შაბათ-კვირას, როცა მეგონა ხოლმე, რომ ელენე ჩემთან იქნებოდა, რაკი დარია უმეტეს დროს კოსტიასთან ატარებდა, დარიას აუცილებლად წითელა ან გრიპი ემართებოდა, ეცემოდა და მუხლს იყვლეფდა, ან

უბრალოდ ჭირვეულობდა და წამითაც არ სცილდებოდა ელენეს, იმდენად, რომ მე გაცოფებული და სასონარკვეთილი გავრბოდი სტასიასთან და მის მუხლებში მობუზული ვტიროდი გულამოსკვნილი, სანამ ბოლოს დარიას მკლავებიდან გათავისუფლებული დედა ჩემკენ არ გამოეჩანებოდა, ხან რას მეტყოდა და ხან რას, მეც ორ წუთში სიცილს ვიწყებდი.

მაგრამ რამდენად უცნაურიც უნდა იყოს, რეალურად, ვალიარები დარიას ამ უფლებებსა და უპირატესობებს. თითქოს ეს ბუნებრივი იყო და თავისთავად გასაგები. თუმცა ზოგჯერ ისე ვცოფდებოდი, რომ თავს ვეღარ ვერუოდი და გადარეული დავეტაკებოდი ხოლმე დარიას, მუხლს ვკრავდი ან ძირს დავაგდებდი, მწარედ ვჩქმეტდი მუცელზე ან ფანქრით ვჩხვლეთდი საჯდომზე, და ეს გარკვეულ სიამოვნებას მანიჭებდა. მერე უკვე, სკოლის ასაკში, ერთადერთი რამე მსიამოვნებდა ამაზე მეტად: ბაბუაჩვენის წყობიდან გამოყვანა. ამქვეყნად არაფერი მიყვარდა იმაზე მეტად, ვიდრე მისი თავდაჭერილობის შერყევა, მისი გაყინული სახის მონგრევა და ანითლება, მისი ხმის აკანკალება. როცა ძალიან ცუდად იყო საქმე, ვიცოდი, რომ სტასიასთან შემეძლო გაქცევა, ის კი თავს გადაიჩქევდა, თანაგრძნობით შემომხედავდა და მკითხავდა: აბა, ამჯერად რა ჩაიდინეო?

ელენეს თავისებურად ვუყვარდით, ქაოტურად და არასტაბილურად. რაც უნდა მოენდომებოდა სიმტკიცის გამოჩენა, მაინც ძალიან უჭირდა ორი შვილის უმაჟღერ გაზრდა, თანაც უმაღლესი განათლების მიღება და თვითგვემის დამალვა.

ჩვენ სარკვესავით ვირეკლავდით მის გაორებას. ხან დედა გვენატრებოდა და ბალიშებში თავჩარგულები ვტიროდით ღამღამობით, ხან მისი დანახვაც არ გვინდოდა და თავს ვარიდებდით, ვუფრთხოდით და გავურბოდით, როცა პარასკევ საღამოს მწვანე სახლში ამოდიოდა ხოლმე.

კოსტია გამუდმებით ეჭვქვეშ აყენებდა მის ავტორიტეტს, დასცინოდა მის აღმზრდელობით მეთოდებს, უგულებელყოფდა მის სურვილებს, იმდენად, რომ ჩვენც – ცხადია, გაუცნობიერებლად – ბოლოს კოსტიას მხარეზე გადავდით და დედას აღარ ვუჭერდით, როცა ბაბუა გვეგულებოდა სადმე ახლოს.

ყველაზე მეტად მაშინ მერეოდა სევდა, როცა ელენე მოუსვენრად წრიალებდა ხოლმე შინ, თითქოს გაურბოდა ვინმეს, სხვენში ადიოდა. მე ვუთვალთვალვებდი, ფეხდაფეხ დავყვებოდი, მის სამალავს ვპოულობდი და ჩუმად ვაკვირდებოდი, სანათით, საბნით, ჭიქა ღვინით ან ლიქიორით და წიგნით აღჭურვილი როგორ იკეტებოდა თავის სამყაროში, რომელშიც ჩვენ არ შეგვესვლებოდა.

ღვადგინე, რომ ასეთ დღეებში ელენე დარიას მიმართაც ისეთივე გულგრილი იყო, როგორც ჩემ მიმართ, და ამითაც კმაყოფილი ვიყავი.

ამან გაგვაერთიანა დარია და მე დედაჩვენის ყურადღების მოპოვებისთვის ბრძოლაში. თანასწორნი ვიყავით ჩვენს ძალისხმევაში. რადგან ასეთ დროს ელენეს მოსანადირებლად ვერც ჩხავილი შველოდა დარიას და ვერც წითელა, ასეთ დღეებში ელენე ისეთივე შორეული და მიუწვდომელი რჩებოდა დარიასთვის, როგორც ჩემთვის.

* * *

იარაღი ბადებს ძალაუფლებას.
მაო

ორმა დაკრძალვამ, მამისა და შვილის, ერთმანეთის მიყოლებით, ქრისტინეს სრულმა გაუჩინარებამ მისი ცხოვრებიდან, კიტის მოულოდნელმა სტუმრობამ და ამასთან დაკავშირებულმა მღელვარებამ უფრო მეტად იმოქმედა კოსტიაზე, ვიდრე მას წარმოედგინა. დედისა და დეიდისგან განსხვავებით, რომლებიც, ხანდამულობის მიუხედავად, ჯანმრთელობას არ უჩიოდნენ, თუ არ ვიგულისხმებთ ზოგჯერ რევმატიზმის შეტევას და დაბალ წნევას, სტასიას რომ დასჩემდა; ართრიტს, კრუნჩხვას და სახსრების ტკივილს, ქრისტინეს რომ შეახსენებდნენ ხოლმე თავს, ორმოცდაათს გადაცილებულ კოსტიას ნამდვილად დაეტყო ასაკი. შესაძლოა იმიტომ, რომ ბევრად მეტს ფიქრობდა თავის მდგომარეობაზე, ვიდრე დედამისი ან დეიდამისი. უჭირდა შეგუება, რომ ზოგიერთი ნაცნობი ქალბატონი უბრალოდ მიუწვდომელი გახდა მისთვის. მაგრამ რამაც ყველაზე მეტად ამოაგდო იმ დროს კალაპოტიდან, იყო ცნობა ალანიას გადმოყვანის შესახებ.

ძველმა მეგობარმა დაურეკა და შეატყობინა, უცხოეთში ოცნლიანი სამსახურის შემდეგ ისევ ცენტრალურ განყოფილებაში დამნიშნეს და მოსკოვში ვბრუნდებო.

ალანია ძალიანაც ცდილა უდარდელი კილო შეენარჩუნებინა სატელეფონო საუბრისას, მაგრამ ბაბუაჩემს არ გამოჰპარვია დაძაბულობა და შიში მის ხმაში. ცუდად უნდა იყოს საქმეო. კიტისთან ხომ არ არის დაკავშირებული ან რამე ხომ არ გამომუღავნდა, რაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ცხადია, ტელეფონით ამას ვერ ჰკითხავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ასეთ დროს ვერ მიატოვებდა მეგობარს ბედ-იღბლის ამარა. დაჰპირდა, როგორც კი მოსკოვში გადმოიყვანდნენ, ჩააკითხავდა.

გიორგი ალანია ვერ განკურნა სიმართლემ თავისი წარმოშობის შესახებ. არ მოხდა ის, რისი იმედიც ჰქონდა მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში. ისევ ხელფეხებოთილი დარჩა. ამ თემაზე ვერავის ელაპარაკებოდა, მით უმეტეს – კიტის. აიკრძალა, მისთვის რამე გაემხილა.

ლონდონში დაბრუნების შემდეგ თავის თავში ჩაიკეტა, აღარ შეეხმიანა, აღარ სტუმრებია, თავის ნატუჯში შეიმალა. კიტი ამაოდ ცდილობდა მეგობრის დახმარებას, მისი დარდის გაზიარებას. ალანიას ასე გაუჩინარებამ კი აფიქრებინა, რომ უარყოფილი და მიტოვებული იყო. ამგვარ დაეჭვებას ისიც უმძაფრებდა, რომ წინა თვეებში ზერელე ყურადღებას იჩენდა მის მიმართ. უთხრა, რომ ჩემს კოლეგებთან მეტი სიფრთხილეა საჭირო, სააშკარაობზე გამოტანილმა მეგობრობამ შესაძლოა ორივეს გვავნოსო. ასე სულელურად და მიაშიტურად არ უნდა მოვქცეულიყავი, ჩემი თავშეუკავებლობით კინაღამ გავაფუჭე ყველაფერიო.

- კი მაგრამ, ახლა, როცა უკვე ერთად ვიყავით თბილისში, როცა, ასე ვთქვათ, ოფიციალურად გავიცანით ერთმანეთი, რაღა საჭიროა შენი თანამშრომლებისგან დამალვა, ხომ შეგვიძლია ბედმეტი გასაიდუმლოების გარეშე შევხვდეთ ერთმანეთს?!

კიტის ვერ აეხსნა მისი გარდასახვა.

- ჩემთვის შეუფერებელია ემიგრანტ მომღერალთან ურთიერთობა. რა სიმპათიითაც უნდა განვმსჭვალულიყავით ერთმანეთის მიმართ იმ ორი კვირის განმავლობაში, არსობრივად, ეს არაფერს ცვლის. ნუ დაგავინწყდებათ, რისთვის გამომგზავნეს ამ ქვეყანაში.

ალანიამ კიტის პირველად გაუცრუა იმედი, რაც მის ცხოვრებაში გაჩნდა, პირველად იგრძნო, რომ ალანიამ მიატოვა. წარმოდგენა არ ჰქონდა, ვერ ხვდებოდა, რამ გამოიწვია მისი უეცარი გულგრილობა და მოულოდნელი განაპირება. ლამის აღშფოთებული იყო, რომ მართო დატოვა, სწორედ მაშინ, როცა თვითონ დაუძლეველი და დამაბნეველი გრძნობებით აღივსო მის მიმართ.

კიტის საიდან უნდა სცოდნოდა, რომ იგი უღირსად მიიჩნევდა თავს და აწუხებდა საკუთარი ქმედება, საკუთარი მემკვიდრეობა, სხვათა სისხლი ცოდვად რომ მოეკითხებოდა. რცხვენოდა, რომ ყველაფერზე იყო წამსვლელი, ამდენი ადამიანი გააბრუნა უკან, ცრუ დაპირებით, მუქარით, ზოგჯერ ძალის გამოყენებითაც კი. მაგრამ იქნებ ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს? იქნებ იმ ასობით ფოტოს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამადიდებელი შუშით რომ აკვირდებოდა, ძველი გაზეთებიდან ამოჭრილ პენსნიანი, მელოტი, პატარა კაცის პორტრეტებს, ყველას შიშის ბარს რომ სცემდა, არაფერი ჰქონდა მასთან საერთო? იქნებ რამაზ იოსებძის ნაღვლიანი ქვრივი უბრალოდ საშინლადა შეცდა?

კიტი აბრეშუმის ძაფს ჰგავდა, იოლად რომ იშლება ხელის ერთი მოძრაობით. კიტი ერთადერთი იყო, ვისზეც ღირდა ოცნება, სანამ ოცნება ოცნებად რჩებოდა. კიტი იმდენად ნათელი იყო, იმდენად ნაზი, იმდენად სათუთი, რომ მნიშვნელობა ჰქონდა მის გამო ცხოვრებისეული ნამსხვრევების შეკონინებას. მაგრამ თუ კიტი თავის მომავალს მას დაუკავშირებდა, რას შესთავაზებდა თვითონ? თავად ხომ არ გააჩნდა

მომავალი. კიტისთან, ყოველ შემთხვევაში, – არა, და რომც ჰქონოდა, – რამდენად დაუჯერებელიც უნდა ყოფილიყო, – არ უნდოდა ასეთ რისკზე წასულიყო და კიტის უარი ეთქვა, მიეტოვებინა ან სულაც დაემცირებინა. არ უნდა გამოსულიყო იმ თავისი ნაჭუჭიდან. ასე არ უნდა მიახლოებოდა კიტის ცხოვრებას. არ უნდა წარმოესახა სანეტარო მომავალი. არ უნდა დაბრუნებულიყო მასთან ერთად წარსულში.

ჯერ ერთ შეხვედრას აარიდა თავი, უბრალოდ, არ მივიდა. მერე აღარ დაურეკა. კიტი მიხვდა, რომ ხელიდან ეცლებოდა რაღაც, რაღაც გამოუსწორებელი ხდებოდა, და თვითონ ვერ შეძლებდა ამის შეჩერებას. ელოდა და ელოდა. ამაოდ. მერე ემის დაურეკა:

– როგორც იქნა! ვიფიქრე, აღარასდროს შემეხმიანებოდი! მეგონა, სამშობლოში გათხოვდი და ცხვრების მწყემსვას აპირებდი ვავკასიაში! – წამოიძახა აღშფოთებულმა ემიმ და განაწყენებულმა ლამის ყურმილში გამოუშვა სიგარეტის ბოლი.

– თორმეტი ახალი სიმღერა მაქვს. თუ გინდა, სტუდიაში შევიდეთ მომავალი კვირიდან. მე მზად ვარ. ოღონდ ლონდონიდან უნდა წავიდე. რაც შეიძლება შორს.

– ალილუია! გავარკვევ ყველაფერს და ორშაბათს დაგირეკავ!

ემიმ დაუყოვნებლივ დაიბრუნა მენეჯერის საქმიანი კილო და ყურმილი დაკიდა.

იმ დღეს, როცა ალანიამ თავისი გადაყვანის შესახებ განცხადება დაწერა, კიტი სტუდიაში წავიდა და პირველი სიმღერა ჩაწერა ახალი ალბომისთვის სადა სახელწოდებით – შინ.

კარგად მახსოვს, როგორ ვკამათობდით ჩვენ – ორივენი – ამ ალბომის სათაურიან პირველ სიმღერაზე, როცა საბერძნეთს ვკვეთდით მანქანით. შენ მეუბნებოდი, ეს სიმღერა რომელიმე ადგილს ან ქვეყანას კი არ ეძღვნება, არამედ დაუოკებელი ადამიანის სულისკვეთებას გამოხატავსო. მიგაჩნდა, რომ ეს სიმღერა ბავშვობაზე იყო, მკითხვე კიდევ მაშინ, ნეტა სად ინახება ბავშვობაო და გიპასუხე, ნევნებს შორის იმალება-მეთქი, გულის გულში ან პატარა ხალებში, თმის ძირებში, ყურებში, ან სიცხელში...

ალბომი შინ 1976 წელს გამოვიდა, Replacement-ის ხუთი წლის თავზე, იმავე წელიწადს, როცა ვიეტნამი მთლიანად სოციალისტური რესპუბლიკა გახდა, საიგონმა არსებობა შეწყვიტა და გაჩნდა ქალაქი ჰომი-მინი, როცა მათ ძედუნი მოკვდა და ჩინეთი დამანგრეველმა მიწისძვრამ გაანადგურა, თითქოს დედამინა ნიშნისმოგებით გამოხატავდა სიხარულს დიდი დიქტატორის გარდაცვალების გამო, იმავე წელს, როცა ჰონკკერი გდრ-ის სახელმწიფო მდივნად დაინიშნა და ფერში აბორტის ლეგალიზება მოხდა, როცა ულრიკე მაინჰოფი ჩამოხრჩობილი იპოვეს თავის საკანში, როცა გარდაიცვალნენ – ფრიც ლანგი ლოს ანჯელესში და აგატა კრისტი უოლინგფორდში, სოუეტოში

აპარტიდის წინააღმდეგ დიდი აჯანყების წელს, როცა Hotel California ჰიტად იქცა - და როცა ფრედ ლიბლიხმა მესამედ და უკანასკნელად იმკურნალა, ნარკოდამოკიდებული რომ აღარ რქმეოდა.

- წამომყევით! - ჩურჩულებდა ელენე.

თვალეები მოვიფშვინტე. მთვარის შუქზე მხოლოდ მის სილუეტს ვხედავდი. დარია უკვე წამომჭდარიყო თავის სანოლში, სათამაშო ცხენებმოხატულ თეთრ პიჟამაში ჩაცმული.

- მიდი, ნიცა, გაიღვიძე. დიდი ამბები გველის!

ელენე ნასვამი იყო, ორივემ ვიგრძენით სუნი, დარიამაც და მეც, და დედას უაზრო, ქარაფშუტულ და არაპროგნოზირებად გუნება-განწყობას ავყევით.

ეს ხდებოდა შუაღამისას, შაბათს. წესით, წინა დღით მწვანე სახლში უნდა ამოსულიყო, მაგრამ არ გამოჩენილა, რასაც კოსტიას აფეთქება მოჰყვა. დაგვალა საათობით თავისი არშემდგარი შვილისა და მისი უნიათო დედის ლანძღვით. ცოლს მოსთხოვა, ეძულებინა ელენე, ისევ მწვანე სახლში გადმოხარგებულიყო, თავის შვილებთან. ნება იბოძოს და როგორც დანარჩენებმა, როგორც მე თვითონ, ნანამ და დარიამ, ყოველ დილით ჩემი მანქანით იაროს ქალაქშიო. თუ არა და ფინანსურად აღარ დავხმარებო. მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გადაეცა ეს ელენესთვის. ასე რომ, ნანას სხვა რა გზა ჰქონდა, დარეკა ელენეს მეგობარ გოგოსთან, სადაც ჯერ კიდევ ეგულებოდა, რომ მისი ქალიშვილი ცხოვრობდა; მოიკითხა. მეგობარმა შეატყობინა, ელენე უკვე კვირებია ჩემთან აღარ რჩება, ახალი მეგობარი ჰყავს და, ალბათ, იმასთან იქნებაო. ვერსად მიაგნეს. მისი მშობლები ორი დღე რომ ეძებდნენ დაუღალავად, ის ქურდივით შემოიპარა შინ და ჩვენი გატაცება დააპირა, როცა ნახევრად გვეძინა. განურჩევლად ტენიდა ჩვენს ტანსაცმელს ნაჭრის ჩანთაში და გვთხოვდა, ჩუმად ვყოფილიყავით. მე უკვე წამომხტარი ვიყავი და ჩასაცმელად გამზადებულს ხელები მქონდა ანეული. დარია ჭირვეულობდა, არ დგებოდა ლოგინიდან და სულ არ ახარებდა შეპირებული თავგადასავალი.

- ნუ ჩაგვიძხამებ ახლა! - დაუცაცხანა ელენემ უფროს შვილს და ძალით ჩააცვა.

ცოტა ხანში მძინარე სახლიდან გავიპარეთ და მისი მანქანისკენ წავედით. საჭესთან ვიღაც კაცი იჯდა. სავარძელზე მოგვათავსა თუ არა, კაცმა გაბს მიაჭირა.

- ეს ჩემი მეგობარია, ალექო. როგორც იქნა, გაიცანით ერთმანეთი. - მოტრიალდა ჩვენკენ ელენე, - იცით, რას აკეთებს? ძალიან მაგარ რამეებს წერს. მოთხრობებს და ლექსებს და ზღაპრებს, ისეთ რამეებს მოგიყვებათ, თავბრუს დაგახვევთ. თან ბამბის ნაყინი უყვარს, თქვენსავით. გთავაზობს, ხვალვე წავიდეთ მუშტაიდში და იმდენი ბამბის ნაყინი ვჭამოთ, რამდენიც მოგვინდება, აბა, რას იტყვით?

- სულაც არ მიყვარს, ნიცას უყვარს, ბაბუ ამბობს, არ ჭამოთ, კბილები გეტკინებათო. მე ნაყინი მირჩევნია, - შეანყვეტინა დარიამ დედაჩვენს, მაგრამ, ეტყობა, იმას ისე მტკიცედ ჰქონდა გადანყვეტილი, ბედნიერი ერთობლივი ცხოვრების შესაძლებლობა დაეჯერებინა, ხასიათი აღარ გაიფუჭა. ვაციც გვიღიმოდა სარკეში. უზარმაზარი მეჩვენა, ლამის მანქანის სახურავს სწვდებოდა თავით. „მეგობარი“ კი არა, მამად ეკუთვნოდა - ასე მომეჩვენა მაშინ - ბევრად უფრო ასაკოვანი ჩანდა თავისი ამოღამებული თვალებით, ვიდრე ელენე, თან წვერი ჰქონდა მოშვებული.

როცა მივვდივით ერთ მოძველებულ სახლთან, დედამ დარიას ჩასჭიდა ხელი, უზარმაზარმა წვერიანმა ვაცმა კი - მე, და ბინძური სახლის კბეც ავუყვავით. უკვე თენდებოდა, უსაშველოდ გვციოდა. ელენემ რაღაც ჩამოფხავებული კარი გააღო და ვიწრო დერეფანში აღმოვჩნდით. იმ დერეფნით პირდაპირ უშპალერო ოთახში შევედით, სადაც კედლებზე პოსტერები იყო გაკრული, იქვე, გასწვრივ, იატაკზე ეყარა ორი ტომარა, ალბათ ჩამოსაჯდომად რომ იყენებდნენ, მათ შორის ერთი პატარა გორგოლაჭებიანი მაგიდა და ორი ძალიან დიდი დინამიკი, ზედ დახვავებული მტვრიანი ფირფიტებით. იმ ოთახიდან შუშის კარით, ოღონდ შუშის ნაცვლად გაზეთაკრულით, სხვა ოთახში გავვდით, უფრო პატარაში, ეტყობა საძინებელში. იქ იატაკზე ერთი მატრასი ეგდო და მთელ ოთახში სკამებსა და კამოდებზე ტანსაცმელი უწესრიგოდ მიეფინათ, კარადა არსად ჩანდა. ლეიბზე დიდი სათამაშო დათვი იდო, ცალყურმოგლეჯილი. ელენემ შეგვამჩნევინა მისი მეგობრის კეთილგანწყობის ეს პატარა ნიშანი. მერე ტანსაცმელი გაგვხადა და ლეიბზე დაგვანვინა. არასდროს დამიძინია მანამდე დარიასთან ერთ ლოგინში. საბედნიეროდ, მეტისმეტად დაღლილი იყო, რომ ამის წინააღმდეგ გაელაშქრა. მეორე დილას კი დაიწყო:

- ეს არ არის ნამდვილი ლოგინი! მშია. დედიკო სად არის? - გაღვიძებისთანავე აღნავლდა. ოთახიდან გავიძურწე ელენეს მოსაძებნად.

იატაკზე დაყრილ ტომრებს შორის ძალიან ვიწრო დასაკვეცი საწოლი გაეშალათ და უშფოთველად იქ ეძინათ, მაგრად ჩახუტებულებს. საწოლის თავთან, გორგოლაჭებიანი მაგიდაზე ნახევრად დაცლილი არყის ბოთლი იდგა და სავსე საფერფლე. მძინარე წყვილს მივუახლოვდი და ოდნავ შევხე დედაჩემს მოშიშვლებულ მხარზე. მარტი იყო, გაზაფხული იგვიანებდა იმ წელს, ოთახში ყინავდა. ელენემ იმავე წამს გაიღვიძა და შემინებული წამოჭდა საწოლში.

- ნიცა, ჩემო სიხარულო, როდის გაიღვიძე?

- დაროს შია, - ვუთხარი დაბეჯითებით.

მოგვიანებით მართლა წავვდივით მუშტაიდში. ყველა კარუსელი შემოვიარეთ და იმდენი ბამბის ნაყინი ვჭამეთ, სანამ ცუდად არ გავხდით

(დარიამაც არ იუარა, რადგან ნამდვილი ნაყინი ჯერ არ გამოეტანათ გასაყიდად).

დედაჩემის ახალი მეგობარი ალექო კუდში დაგვყვებოდა, წარამარა მხარზე გვკიდებდა ხელს ან მორიდებულად, რალაცნაირად, უმწეოდ, გვიდიმოდა. ელენე სულ გაბრწყინებული გვიყურებდა. ბედნიერი ჩანდა იდეალური ოჯახის სურათით.

იმ უცნაურ ბინაში რომ დავბრუნდით, ალექომ სადილი მოგვიმზადა, ნება დაგვრთეს, თვითონ აგვეჩაჩა, რა დაედოთ ჩვენს თეფშებზე. თანდათან დარიაც კი გამინაურდა, უდარდელად ტლიკინებდა საჭინბობზე და თავისი მარჯვე ჯირითით ტრაბახობდა. ჩახუტებულებს ჩაგვეძინა ჩვენს ლეიბზე, დატვირთული დღის შემდეგ დაღლილებსა და გამაძღრებს. დარია აღარ აღშფოთებულა, ისევ იქ რომ მოგვინია დაძინება. ასე გაგრძელდა მომდევნო დღეებშიც. ვდგებოდით, როცა გაგვიხარდებოდა. ალექო ბლინებს გვიცხობდა. შეგვეძლო ტელევიზორისთვის გვეყურებინა, რამდენიც გვინდოდა, გვეჭამა, თუ გვინდოდა – გვეზარმაცა და გვეხმაურა. მეოთხე დღეს კი დარიამ შინ ყოფნა მოისაკლისა და იკითხა, როდის წავალთ ბაბუასთანო. ელენემ დაუნყო ახსნა, არ არის ნორმალური, დედა და შვილები ცალ-ცალკე რომ ცხოვრობენ, კვდები, ისე მენატრებით-ხოლმე, თქვენთან ერთად მინდა ყოფნა, თქვენთან და ალექოსთან ერთად, შეგვიძლია ყველანი აქ დავრჩეთ და კარგად ვიყოთო. მაგრამ ამის წარმოდგენამ დარიას უკმაყოფილება გამოიწვია.

– რატომ არ შეიძლება, რომ ბაბუც ჩვენთან იყოს? დაურეკე და მოვიდეს! – დაიჟინა.

– კი მაგრამ, დარიკო, საყვარელო, აქ ხომ ამდენი ადგილი არ გვაქვს, ეს არ გამოვა. განა კარგად არ ხარ დედიკოსთან? სულ არ მოგენატრა დედიკო?

ელენეს აშკარად უჭირდა თავის შეკავება.

– როგორ არა, მაგრამ აქ ნამდვილი ლოგინებიც კი არ არის!

ბიზლით ჩაიფრუტუნა დარიამ – დავინახე სიმწრისგან როგორ აუწითლდა სახე ელენეს. კიდევ ერთხელ ირწმუნა, რომ დარიასთვის ბრძოლა მამამისს კარგა ხანია უკვე მოეგო. დავინახე, როგორ მოიბუზა ელენე, თითქოს დაილია.

– სახლში მინდა! – ისევ წამოიწყო დარიამ, უკვე ხმამაღლა და დაბეჭითებით, თანაც დედას თავისი სხვადასხვა ფერის თვალებით შეხედა.

– აქ არის შენი სახლი! – დაუბეჭითა ხმაგამკაცრებულმა ელენემ.

ის იყო, უნდა გაგვცლოდა და თავი დაენებებინა ჩვენთვის, რომ დარიამ მთელი ხმით დაიყვირა:

– ბაბუსთან მინდა! ბაბუსთან მინდა!

და აღარ გაჩერდა. წამდაუნუმ იმეორებდა ამ სიტყვებს, სანამ წვერიანი და, როგორც ყოველთვის, ცოტა ნაწყენი ალექო არ შემოვიდა ოთახში და ელენესა და დარიას შორის არ ჩადგა.

- გაჩერდი ახლა, დარია! - გააფრთხილა ელენემ და დავინახე, როგორ გადაიქცა დედაჩემი ისევ იმ ქალად, ვოლიერში გამომწყვდეული მხეცივით რომ დაძრწოდა აქეთ-იქით დამდამობით და შფოთავდა, ადამიანების მიღმა რომ იყურებოდა, ინგლისური სიმღერები რომ უყვარდა და ვერა და ვერ ივიწყებდა იძულებით მოპოვებული სიყვარულის იმ ერთ საღამოს.

დარია თავისას მოითხოვდა, არ ჩერდებოდა, არ თმობდა, კუთვნილის მიღება სურდა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, პრივილეგიები უნდოდა და არა ის სანაგვე; არც ის უცხო მოუვლელი კაცი და არც ის სრულიად უპერსპექტივო, აწეწილი ცხოვრება არ უნდოდა. გაბებრებულმა ელენემ ხელი მოიქნია და თავის უფროს შვილს მწარე სილა გაანნა, წითლად აუფორაჯა ლოყა.

* * *

საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰფენია.

პუშკინი

- შენ სულ გაგიჟდი!

აღელვებულმა ლანამ სათვალე მოიხსნა და კაბის კალთით დაუნყო წმენდა ნერვიულად, თან თვალებს ჭუტავდა, რომ უკეთ დაენახა მოჰაქერე. დედაჩემი გაბჭურასთან იდგა და სადილს გვიმზადებდა. დარიას ეძინა, მე კუთხეში ვიჯექი და თხილის გულებს ნაჭუჭებს ვაცლიდი.

- გუშინ ნანა ქრისტინეს მიადგა. ქრისტინემ მართლა არაფერი იცის. ნანა ფიქრობს, რომ ქრისტინე ხელს გაფარებს. ბავშვების ადგილსამყოფელზე წუხან. ასეთი მიაშიტი როგორ ხარ! ასე როგორ შეიძლებოდა ბავშვების ლოგინებიდან გატაცება!

- შენ რა უთხარი? - ჰკითხა დედაჩემმა და აუღელვებლად მოურია კოვზი წვნიანს.

- შევპირდი, რომ გიპოვიდი და მშობლებთან დაგაბრუნებდი. გეუბნები, მამაშენი უკვე ინსტიტუტთან გდარაჯობს.

- შევეხმიანები.

- თვალი გაახილე, ელენე, რა გინდა ამ ბინაში! წესიერი ავეჯიც კი არ გაქვთ.

- რას აიჩემეთ ყველამ ეს ავეჯი?! თითქოს ისაა ცხოვრების აზრი, რომ რაც შეიძლება მეტი ავეჯი გქონდეს!

- მე ხომ შენთვის ვამბობ? ორი კვირაა ბავშვები აქ არიან. ინსტიტუტში არ გამოჩენილხარ. ვიღაც ტიპი გყავს დათრეული, რომელიც მამად გეკუთვნის...

- ჯერ ერთი, ალექო ვილაც ტიპი არ არის, და მეორეც, ოცდაჩვიდმეტი წლისაა მხოლოდ!

- არ დაგიმაღავ და მიმაჩნია, რომ უტვინოდ იქცევი. და ეგოისტურად. სტუდენტი ხარ, ფინანსურად გეხმარებიან, რაზეც სხვა დედები ვერც კი იოცნებებენ, შენ კი რას აკეთებ? ბავშვებს აიძულებ ამ სანაგვეს შეეგონ, ბოსტნეულის სუპს აჭმევ და ისე იქცევი, თითქოს იდეალური ოჯახი გაქვს. ანე ტრაკი და მამაშენთან გაარკვიე ყველაფერი. იმედია, ხვდები, რომ კოსტია ჯამის დიდი მეგობარი არ ვარ, მაგრამ შენმ ადგილას...

- მეგონა, ჩემი მეგობარი იყავი, - იწყინა ელენემ.

- შენ გგონია, მეგობრებმა ტაში უნდა დაგიკრან ასეთი სისულელეებისთვის?! გამაგებინე, რას ფიქრობდი? გეგონა, მამაშენი დაგირეკავდა და ახალ ოჯახს დაგილოცავდა?

- რატომ ხარ ასეთი ღვარძლიანი? მეგონა, შენ მაინც გამიგებდი. ორშაბათიდან ისევ ვივლი ლექციებზე. უბრალოდ, დრო მჭირდებოდა გოგონებისთვის. უნდა მოშინაურდნენ. სხვათა შორის, მომავალ თვეში მე და ალექო სარეგისტრაციო ბიუროში მივდივართ, ასე რომ მამაჩემი ვეღარ მიანვება თავის უფლებებს!

- შენ მართლა სულ გაგიჟდი? დაგავიწყდა, რა შეუძლია მამაშენს? კარგად უნდა გაგეცნო ამასობაში. ცოტა ტვინი გაანძრე.

ლანამ ისევ გაიკეთა სათვალე და თვალების ჭურჭვა შეწყვიტა.

- ამდენი ხნის განმავლობაში პირველად ვარ ბედნიერი, მე და ალექო მოვახერხებთ, ამჯერად მოვახერხებ. ბოლოს და ბოლოს, მე ვარ ამ ბავშვების დედა.

- დედა, რომელსაც არ შესწევს ძალა, შვილზე იზრუნოს, რომელიც შეუძღვარ მწერალს გადაეყარა, თანაც, ასეთ პირობებში აპირებს დარჩენილი ცხოვრება გაატაროს და...

- შენ მას საერთოდ არ იცნობ. შეწყვიტე მისი დამცირება! - ხმას აუწია ელენემ.

- მაპატიე, მაგრამ აქამდე მამაკაცების არჩევის უნარით დიდად არ გამოირჩეოდი. იცი, რას გეტყვი: შინ დაბრუნდი, რაც მთავარია, ბავშვები დააბრუნე. ყოველთვის ხომ ვერ შეგიფარებ.

სამი დღის შემდეგ მწვანე სახლში ხმაური ატყდა. ნაფლეთების კორიანტელი დადგა, შუშის კარი ნამსხვრევებად იქცა, ალექო კუთხეში იდგა შელახული, მივიწყებული ნაძვისხესავით. წყობიდან გამოსული კოსტია ბობოქრობდა, ელენე გაჰყვიროდა. ბავშვები ვტიროდით. ნანა და სტასია იმის მოგვარებას ცდილობდნენ, რაც უკვე შეუძლებელი იყო. ელენემ მამას შეატყობინა, რომ ცოლად მიჰყვებოდა ალექოს; ოცდაჩვიდმეტი წლის ხმის ოპერატორს (სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ ისევ ასისტენტად რომ მუშაობდა) და მომავალ მწერალს (მწერლის სახელს სინათლის წლები რომ აშორებდა, მწერალთა კავშირში რომ არც ნაუკუთხავთ, არც მოუწონებიათ და, რასაკვირველია, ნევრადაც არ

მოიაზრებდნენ). აქამდე ალევოს მხოლოდ ერთადერთი მოთხრობები კრებული ჰქონდა გამოცემული რომელიღაც ნახევრად ლეგალურ კერძო გამომცემლობაში, და მეგობრებისა და თანამოაზრეების წრეში გავრცელებული. გარდა ამისა, ამ კაცს უკვე ჰყავდა ორი ვაჟი პირველ ცოლთან, ალიმენტებს ვერ აუდიოდა თავისი მიზერული ხელფასით, რადგან საძულველ სამსახურში ენერჯის დახარჯვას, ღამღამობით, მეგობრებთან ერთად დისკუსიები ერჩივნა „სისტემაზე“ და პირატული ფილმების ყურება დახურულ კერძო ჩვენებებზე, პლანის მონევა და არყიანი ლუდის სმა.

კოსტია იგინებოდა, ალევო გამოლანძდა, სულ „სირი“, უმაქნისი, მათხოვარი და „უიგოლო“ ეძახა, ჩემი შვილის შერთვა მართო იმიტომ გინდა, რომ შემომეხიზნო, მყარი შემოსავალი და კეთილდღეობა გაინაღდო, მაგრამ მწარედ ცდებიო! მთელ სახლში ისმოდა კოსტიას ღრიალი. ეს არასდროს მოხდება, მაგრამ თუ ჩემი ბოზი შვილი ამ უთავმოყვარო ნაბიჯს მაინც გადადგამს, თავზე გადამახტება და შენნაირ პარაზიტს გაჰყვება ცოლად, ამის შედეგებსაც იწვნივს, ერთ-ერთი კი ის იქნება, რომ ბავშვებს კვირაში ერთხელაც ვეღარ ნახავსო.

იმავე ზაფხულს, აგვისტოში, ელენემ და ალევომ იქორწინეს, და კოსტიამ დანაქადები აღასრულა: დარია და მე მწვანე სახლში დავრჩით. ელენე ინსტიტუტს დაუბრუნდა და ყოველ შაბათს ჩვენთან ამოსვლის უფლება მიიღო. მაგრამ მწვანე სახლში ღამით დარჩენა აეკრძალა. მახსოვს, როგორ ულაგებდნენ ნანა და სტასია მარმელადს, ხილს, ლიქიორს და ფოლგაში გახვეულ ნამცხვრებს ჩუმად მანქანაში, როცა საღამოობით თბილისში ბრუნდებოდა.

ოთხი წლისამ ვისწავლე კითხვა და ხუთისამ – წერა. ქართულ ანბანთან ერთად კირილიცაც ავითვისე და როცა სიამაყით აღვსილმა კოსტიას ორივე ენაზე დაწერილი მისი სახელი წარვუდგინე, ასე მითხრა, დარიას უკეთესი კალიგრაფია აქვსო. როცა მრგვალი ნანა, წელში მოხრილი სტასია, ყვითელი დარია, უზარმაზარი კოსტია, წითელი ელენე, შავი ალევო და პანანინა საკუთარი თავი დავხატე, სურათს „ჩვენი ოჯახი“ დავარქვი და მაცივრის კარზე გავაკარი, კოსტიას იმდენად არ მოეწონა, რომ ჩამოხია და ნაგვის ურნაში ჩააგდო.

იმ დროს მე ცეკვას განვაგრძობდი სტასიას წარსულის გასაცოცხლებლად, დარია ლამაზ ბრინჯაოსფერ პონის დააჭენებდა. მე ვანილის ნაყინი მერჩივნა, დარიას – შოკოლადის. მე მიყვარდა სოფლის მანანნალა ძაღლები, დარიას კი ეშინოდა მათი. მე გადაჭრილი შარვლები მეცვა შორტებად, დარიას კი – ფერადი კაბები. მე თმა მოკლედ მქონდა შეკრეტილი, დარიას კი – წელამდე გაზრდილი. მე ვერ ვიტანდი ზღაპრებს, რადგან, რა საშინელებაც უნდა მომხდარიყო, მაინც ყოველთვის კარგად მთავრდებოდა (ბავშვობიდან არ ვენდობოდი

კეთილ დასასრულს), დარიას კი არ სწყინდებოდა, ზღაპრებს რომ უკითხავდნენ.

ჩვენი უვიცობა გვიცავდა ორივეს. არა მარტო ჩვენს ოჯახთან მიმართებით, ზოგადად გარემოსთან: არც ერთმა არ ვიცოდით, რომ იმ წელიწადს, როცა სკოლაში შევედი, ავღანეთში სამხედრო გადატრიალება მოხდა. აზრზე არ ვიყავით, რომ ბაბუაჩვენს წყალქვეშა ნავის ამბავზე კომშარები არ ასვენებდა, სულ ჯოჯოხეთურად მოგიზგიზე ცეცხლს ხედავდა, სადაც ბეჭდებასხმული, მაღალი ქალი ფიგურირებდა, ანგელოზების გამომთლელი კაცი და მისი კულულებიანი შვილიც მოელანდებოდა ხოლმე, კოსტიას შვილს სიყვარული რომ მოახვია თავს. ვერც იმას ვხვდებოდით, სტასია მონუსხული რომ ადევნებდა თვალს, როგორ შლიდნენ პასეანსს თევლა და სოფიო ჩვენს ბაღში. რომ გიორგი ალანისა ღრმა დეპრესია სტანჯავდა შორეულ მოსკოვში. რომ გრეისლენდში შეშუპებული და ყველასგან მივიწყებული ელვის აარონ პრესლი მოკვდა. რომ დედაჩვენს ორჯერ მოეშალა მუცელი, სანამ საბოლოოდ შეეშვა ოცნებას ნამდვილი ოჯახის შექმნაზე და სამაგიეროდ, სადიპლომოზე სამუშაოს შეუდგა (მაინცდამაინც ლედი მაკბეტს). რომ ქრისტინე არაფერს იშურებდა, ოღონდ მიქას შვილს ბედნიერება ხვდომოდა წილად, რაც მამამისს არ ეღირსა. ჩვენ არ გავვიგია, როგორ გარდაიცვალა ქუთაისში სტასიას უფროსი და, მერი, მოგვიანებით კი ლიდაც, თავის მშობლიურ ქალაქში; ლიდა, ალბათ, გულდამშვიდებული და გასხივოსნებული, რაკი ბეციურ სამყაროში იესოს პატარძლად შესვლა ეღირსა.

თუმცა, ალბათ, უკვე ვხვდებოდით, რომ სამყარო უხილავ გორგალს ჰგავდა და ეს ფაქტი ძალიან ძნელი ასახსნელი იყო, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი.

- სხვათა შორის, იცი, რომ მე და შენ სხვადასხვა მამა გვყავს? – თქვა უცებ დარიამ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია თავისი ქმნილებისთვის, რომლის ხატვითაც იყო გართული. შუა ზაფხული იდგა, ჰაერში რაღაც მწიფე, სიცოცხლით სავსე სურნელი ტრიალებდა, თითქოს სიცოცხლე ოფლში იხვითქებოდა. დარიას გრძელი ცხენის კუდი ოქროსფრად ელავდა შუადღის მზებზე. რვა წლის იყო მაშინ, პირველ გიმნაზიაში დადიოდა, ზედ რუსთაველის გამზირზე მდებარე თბილისის ყველაზე ელიტარულ სკოლაში, მისი საყვარელი საგნები იყო რუსული და ფიზკულტურა, ასე უწოდებდნენ მაშინ სპორტს, და ამას ყველა სტუმარს ატყობინებდა ხოლმე ცოტა ცხვირაბზეკილი, ბუნებრივია, უფროსების შექებაც გამონერვილი ჰქონდა. ასევე სასხვათაშორისოდ და გულგრილად შემატყობინა მეც, რომ განმასხვავებელი ბევრად მეტი გვქონდა, ვიდრე გამაერთიანებელი.

არა, მე არ ვიცოდი. წარმოდგენაც არ მქონდა. არავის უთქვამს ჩემთვის. სიტყვა „მამა“ ისეთივე იშვიათობა იყო დარიას სიტყვათა

მარაგში, როგორც ჩემსაში. უკან დავიხიე და დაბეჭითებით გავიქნიე თავი. სკოლაში ამაზე არავინ დაგვლაპარაკებია, ეტყობა მშობლებმა ჩვენი ძლევამოსილი ბაბუის გათვალისწინებით კარგად დაარიგეს შვილები და ამ თემამზე ჯაშებთან ლაპარაკი აუკრძალეს. ასევე მწვანე სახლშიც: მამის ხსენება არ იყო. ჩვენთვის მამა წარმოადგენდა ვიღაც კაცს, რომელიც ძალიან, ძალიან შორს იყო წასული, მაგრამ ვუყვარდით და ვენატრებოდით და ხშირად ფიქრობდა ჩვენზე. ჰო, ნამდვილად ასე იყო.

- ჰო. ესე იგი, მამამენი ციხეშია. მამაჩემი კი მკვდარია. გმირი იყო და დაიხრჩო, როცა დიდი ზღვის გადაცურვას აპირებდა.

ეს ისე თქვა დარიამ, როგორც მოსაწყენი რამ, თითქოს საათი შემატყობინა, თან დაძაბული გამომეტყველებით განაგრძობდა ხატვას.

- და მამაჩემი რატომ არის ციხეში?

ღრმა სასოწარკვეთილება დამეუფლა. ბუნებრივია, მინდოდა, მამაჩემიც ყოფილიყო გმირი, ზღვას რომ გადაცურავდა.

- კრიმინალია და იმიტომ, - ჩაილაპარაკა დარიამ.

- და მამამენს რატომ უნდოდა ზღვის გადაცურვა, არ იცოდა, რომ შეუძლებელია, სულელი იყო თუ რა?

- შენ თვითონ ხარ სულელი. ადამიანების უმრავლესობას ეს არ შეუძლია, გმირებს კი შეუძლიათ. ამიტომაც არიან გმირები, - განმიმარტა დარიამ თავდაჭერებით და ფარ-ხმალი დამაყრევინა.

ამის კონტრარგუმენტი არ მომაფიქრდა, იძულებული გავხდი მეღიარებინა, რომ ზღვის გადაცურვის მცდელობა ფრიად შთამბეჭდავი ფაქტი იყო.

- ასეა თუ ისე, დედა მაინც ერთი გვყავს, - თავი დავიმშვიდე.

უცებ ვიგრძენი, როგორი პატარა ვიყავი, უშნო, სულელი და უსუსური და ის იყო, სტასიასთან წასვლა დავაპირე ახსნა-განმარტებისთვის, თუ რატომ იყო მამაჩემი კრიმინალი, დარიასი კი - გმირი, რომ რალაცამ წამომიარა, ბრაზი მომერია, ენით აუნერელი, სიტყვით უთქმელი - და ჩემს დას ვეცი, ბურგიდან დავეტაკე, გრძელ თმაში ჩავაფრინდი, რომელიც იოლად მოვიქციე ხელში, იატაკზე ჩამოვათრიე, ყურადღება არ მივაქციე მის კივილს და სახეში ჩავყვირე:

- სამაგიეროდ, ჩემი მამა როდისმე მაინც დაბრუნდება, შენი მამა კი არასდროს. არასდროს!

ეს ის დღე იყო, როცა „ლიტერატურულმა საქართველომ“ კიდევ ერთხელ დაიწუნა ალექსო მოთხრობა. ერთი კვირით ადრე ელენემ თავისი სადიპლომო ნამუშევარი ჩააბარა და პასუხი ჯერ არ იცოდა. მეტისმეტი ყურადღება დაუთმო ძალაუფლების განხილვას. ბოთლში ცოტა არაყი შემორჩენილიყო წინა საღამოდან, როცა ალექსომ და მისმა რამდენიმე მეგობარმა ხმის ჩახლეჩამდე იკამათეს ვისკონტის ფილმზე „როკო და მისი ძმები“. ელენემ ბოთლი ჩაის ჭიქაში ჩაცალა და მწველი

სითხე გადაყლურნა. დაღლილი და დაცლილი იყო. ფული არ ჰყოფნიდა. მომავალი დიდად არ ხიბლავდა. შვილები ენატრებოდა, დარდი ღრღნიდა, მკლავებს იკანრავდა, საფეთქლებს ისრესდა, თვალებს ახამხამებდა, პირი უშრებოდა.

შეიტყო, წინა თვეში ბეჯა გამოეშვათ ციხიდან, თუმცა დიდად არ გაუხარებია ამ ამბავს (წლების განმავლობაში ერთი წერილიც კი არ მიუწერია არც ელენესთვის და არც ჩემით დაინტერესებულა), იმედი ჰქონდა, რომ მოინდომებდა გავეცანი, რაც იმას ნიშნავდა, მალევე და ფრთხილად გაემხილა ჩემი ჩასახვის არცთუ რომანტიკული გარემოებები ჩემთვის.

* * *

I guess you've found a better place.[7]

კიტი ჯაში

- შენს პერანგებს იდეალურად დაუთოებულს მოგიტანენ. შეგიძლია დაისვენო.

აღელვებული ემი აქეთ-იქით დარბოდა და სიგარეტის ბოლს აფრქვევდა სასტუმროს ნომერში. კიტი ფართო სანოლზე იწვა რბილ საბანში გახვეული და მაღალი ჭერის ბათქაშს მისჩერებოდა.

- გაყიდულია, მთლიანად გაყიდულია, გესმის, კიტი? ზუსტად დილის რვა საათზე უნდა დავიწყოთ საუნდჩეკი. მერე შეგიძლია, ისევ დაიძინო, თუ გინდა. მაგრამ ყველაფერზე რომ გვეყოს დრო, თუმცა დაივიწყე... ამას მართო კარნევი ჰოლი თუ დააგვირგვინებს.

თმაში ჭრელი ხელოვნური ყვავილი ჰქონდა გარჯობილი, ბოლიანი ხავერდის შარვალი ეცვა, დაძაბული ენეოდა სიგარეტს და ოთახში დაქროდა.

შინის ტურნემ მართლაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მანამდე არასდროს დარიცხვია კიტის ამდენი ფული ანგარიშზე, ასე ერთსულოვნად არასდროს შეუქიათ, არასდროს ჰყოლია ამდენი ახალგაზრდა მსმენელი და არასდროს უგრძნია ასეთი სიცარიელე.

დიდი ძალისხმევით ფასად უჯდებოდა თავის შეკავება; საათობით იკეტებოდა გაპრანჭული, დეკადენტური სასტუმროების ნომრებში და საკრიმიორო ოთახებში, ქურდივით დაიპარებოდა ევროპის ყველა ქალაქში, სადაც კი უნევდა ჩასვლა, იმ ელიტურ გარემოზე ცდილობდა ყურადღების გადატანას და სიცარიელის ამოვსებას, ისეთი რამის პოვნას ცდილობდა, რაც სიხარულის ილუზიას მაინც შეუქმნიდა. მაგრამ ყოველი მცდელობის შემდეგ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ვერაფერი იშოვა, რაც შინაგანად აავსებდა. სხვა რაღა დარჩენოდა, თავისი საჯარო თამაშის დახვეწის გარდა. იღიმოდა, როცა სულ არ ეღიმებოდა, ინტერესით უსმენდა, როცა რამეს ეკითხებოდნენ, თავს იკავებდა, როცა

გაქცევა უნდოდა. და მისი წარმატებით აღფრთოვანებულ და აღტაცებულ ემისაც კი აჯერებდა, თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

- რომელ პოპმუსიკოსს შეუძლია დაიკვებნოს, კონცერტგებაში მიმღერიაო? ჩელისტს ველაპარაკე ამ საღამოს, ნიდერლანდებში ურიცხვი ფანი გყოლია და შენი ძველი ფირფიტების, ასე ვთქვათ, ალორძინების ხანა დგას თურმე აქ.

ემი კარისკენ წავიდა, როგორც ჩანს, პერანგები მოიტანეს. როცა მობრუნდა, პლასტიკის დამცველ საფარში შეფუთული გაქათქათებული თეთრი პერანგები კიტის პირდაპირ მკერდზე მიუგდო.

- თუ შეიძლება, შეწყვიტე ეს შენი გაუთავებელი ფსევდომედიტაცია და მიწიერ ცხოვრებას დაუბრუნდი! - ჩასძახა ყურში.

- ათი წუთი მაინც მომასვენეთ, დალღილი ვარ!

კიტიმ თავზე გადაიფარა საბანი.

- რა თქვი? ვერ გავიგონე, არ გამიგონია შენი ნათქვამი, არა.

და კვლავ აფორიაქებული ნაბიჯების ხმა, ემი კიტის საწოლს მოშორდა და სადღაც გაქრა.

მეორე დილას მისი ტურნე ამსტერდამის საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტით უნდა დაგვირგვინებულიყო - ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო საკონცერტო დარბაზში, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ კლასიკურ მუსიკას ეთმობოდა. მთელი კვირა ემზადებოდა ამ კონცერტისთვის კიტი სიმებიან კვარტეტთან ერთად. ოცდაცამეტი წლის პროდუსერს, რომელიც ემიმ ღმერთმა უწყის, სად გამოძებნა და რომელზეც ამბობდა, ბრიტანული მუსიკის მომავალიაო, კონცერტი ცოცხლად უნდოდა ჩაენერა, რათა ალბომად გამოეშვა. ბოლო შეხვედრისას ამ პროდუსერმა აგრძობინა კიტის, რომ მის სიმღერებს ნამდვილი რითმი აკლდა და პურიზმის დრო, რომლის მიმდევარიც კიტი იყო ერთ დროს, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. კვირები გავიდა მღელვარებაში, ყოველი რეპეტიციით აღფრთოვანებული იყო, საოცარი ინსტრუმენტალისტები გაიცნო, რომლებიც მის სიმღერებს დაუვინყარ ჟღერადობას აძლევდნენ, მიუხედავად ამისა, მთავარი აკლდა კიტის: თითქოს აღარ იყო, ვისთვის მღეროდა, ვის მიმართავდა, ვის უძღვნიდა თავის სიმღერებს (ხომ გახსოვს, ბრილვა, მგონი, ბერლინში იყო, რომ მომიყვია, კიტის ერთ ინტერვიუში უთქვამს, ჩემი სიმღერები წერილებია, რომელთაც ყოველთვის კონკრეტულ ადამიანებს ვწერ, ადრესატის გარეშე სიმღერას ვერ შევძლებდიო).

ეს ტურნე მის გოლგოთად იქცა. ისეთი დაცლილი იყო და დაბერებული, როგორც არასდროს. ბოლომდე გამონურული. თითქოს მის სხეულს სულიერი საზრდო წაართვეს და მხოლოდ ბიოლოგიური ფუნქციების ამარა დატოვეს.

- მერე, დეკემბერში, ნიუ-იორკში მივფრინავთ, - ისმოდა კმაყოფილი ემის ხმა გვერდზე ოთახიდან, - ცხადია, თანახმა ვართ ამ კონტრაქტზე.

ამათთვის დაწერ სიმღერებს. შენ თვითონ ამბობდი, რომ ასეთ პირობებში გირჩევნია წერა, რადგან უფრო მშვიდად იგრძნობ თავს, ასე რომ, არ შემეკამათო. გარდა ამისა, ამხელა ფულს ხელიდან ვერ გავუშვებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მელანქოლიის მორიგი შემოტევა გაქვს. მათ რაც უნდათ, იმას დაწერ, მორჩა და გათავდა.

- რამე ხომ არ გაგიგია ფრედზე?

კიტი ბალიშით ხელში იდგა კართან.

- მართო ის ვიცი, რომ ბოლოს უელსში იყო, კლინიკაში. მაგნუსს ვთხოვე და გაარკვია, ერთ-ერთი საუკეთესო კლინიკა ყოფილა.

- მკურნალობის საფასური შენ გადაუხადე?

- ჰო. გადავუხადე.

კიტი მადლობელი იყო, რომ ემის არც უცდია მისი მოტყუება.

- შენ კი გაუშვი, მაგრამ ეს სულ არ ნიშნავს, რომ თვითონ დარჩებოდა.

- მე რაც შემეძლო, ის გავაკეთე. ბოლოს რომ ვნახე, ერთი ჯანმრთელი კბილი აღარ ჰქონდა პირში. მგონი, კარგად ესმოდა, რომ ეს მისი უკანასკნელი შანსია.

- თავიდან არ ამომდის, ემი, განსაკუთრებით მაშინ მემართება, როცა გამოსვლა მაქვს, სნეულებასავით შემეყარა, ინფექციასავით.

- სტობს პერანგებს გადახედო და მითხრა, რომლის ჩაცმა გსურს ხვალ. საუკეთესო მოდელები შეუძლიათ ამოატანინონ პირდაპირ ნომერშიო, ასე მითხრა პორტიემ. არ გინდა სხვანაირიც მოიზომო?

- დამანებე თავი, ძალიან გთხოვ. თეთრი პერანგი თეთრი პერანგია. ყველა ერთნაირად გამოიყურება.

- ძალიანაც ცდები! - უცებ ემი მოძრაობა შეწყვიტა და კიტის შეხედა დაკვირვებით, - მართლა არაჩვეულებრივი სიმღერები დაწერე. ეს ალბომი შენი ყველაზე სრულყოფილი ქმნილებაა, შეირგე და იამაყე. როგორ შეიძლება არ დატკბე ასეთი წარმატებით. დავრეკავ ლონდონში და გავიგებ, როგორ არის, თუ ეს დაგანწყნარებს. თუმცა მე მიმაჩნია, რომ მხოლოდ ჩვენ ორს გვეხება ის, რაც ახლა აქ ხდება, შენ და მე, და ჩვენს ერთობლივ ძალისხმევას, ხომ გესმის: ჩვენ გვეხება და არა იმას.

- შენც კარგად იცი, რომ ის ისეთივე ჩვენიანია, როგორც მე და შენ ვართ ერთმანეთისთვის, ემი.

კიტიმ დიდ რბილ ბალიშს ხელი გაუშვა. წამით ორივემ თვალები ჰკიდა იატაკზე უმიზნოდ დაგდებულ ბალიშს, თითქოს სხვა ვიღაც თუ რაღაც რომ ჩაანაცვლა. ემიმ მკლავები მხრებზე დააწყო კიტის:

- მიჭირს შენთვის ამის თქმა, მაგრამ როცა მიყურებდა, განსაკუთრებით ბოლო დროს, კარზე რომ მომადგებოდა ხოლმე სრულიად უგონოდ ან ფული სჭირდებოდა, ან დასაძინებელ კუთხეს ეძებდა, ვხვდებოდი, რომ მე კი არა, შენ გხედავდა, შენ გგულისხმობდა. ჰო, შენ გამო დარჩა ჩემს ცხოვრებაში, რა ტუტუცურადაც უნდა ჟღერდეს.

თვალისმომჭრელი სცენის შუეი. იდუმალებით მოცული სიჩუმე. შეკავებული სუნთქვა აპლოდისმენტებამდე, მალე ეს სიჩუმე ძალმომრეობაში უნდა გადაზრდილიყო. თეთრი პერანგი უღონო სხეულზე ეკვროდა, გიტარა ჯერ არ ჰქონდა გვერდზე გადადებული, რამპასთან იდგა, ჩაბნელებულ დარბაზს შესცქეროდა, დაახლოებით 2000 მსმენელს რომ იტევდა. მიკროფონი ისევ ჩაბღუჭული ეკავა. სიმებიანი კვარტეტის მუსიკოსები ფეხზე წამოდგნენ და სცენის კიდისკენ გადადგეს ნაბიჯი. ცოტაც და შეაფასებდნენ, უკეთეს შემთხვევაში, დააჩილდობდნენ ამ ორსაათ-ნახევრისთვის, ბოლომდე რომ დაიხარჯა. სიციხისგან იგუდებოდა, შუბლი მოინმინდა ესოვილის ცხვირსახოცი, პერანგის წინა ჯიბეში რომ ედო, როგორც ყოველთვის. მუსიკა ჯერ კიდევ ყურებში ედგა. თითები ჯერ კიდევ სტკიოდა ყოველი აკორდისგან და იმ საღამოს გაჟღერებულ ყოველ ნოტს ახსენებდა.

პირველივე სიმღერის შესრულებისას მიხვდა, რომ მუსიკა უსხლტებოდა, რომ უყურადღებოდ, მექანიკურად მღეროდა, დაბნეული იყო, თავს ძალა დაატანა და მისი სახე გაიხსენა: მისი წითელი თმა, ამერიკაში ერთად გადაღებული ფოტოები, ერთმანეთისთვის ნათქვამი და უთქმელი სიტყვები და მისი ხმა ისევ თავგანწირვით აჟღერდა, მონატრებით და, რაც მთავარია, სულის შემძვრელი სიმწარით. თვალდახუჭულმა მიუძღვნა თავისი სიმღერები ფრედს, ჩუმი იმედით, რომ გზას გაიკვლევდა. მისკენ ან ემისკენ კი არა, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისკენ. კიტიმ ისიც მოახერხა იმ საღამოს, რომ აჩრდილები არ გააკარა სცენას. ფრედ ლიბლიხის წყალობით დაიბრუნა, რაც სჭირდებოდა. ფრედ ლიბლიხი ცოცხლობდა და კიტის უნდოდა დაეჯერებინა იმ საღამოს, რომ კვლავაც იცოცხლებდა.

ტაშმა იფეთქა; სცენის შუეში მოლივლივ კიტიმ სიბნელეს გაუღიმა, თავი დაუკრა პუბლიკას, მიტრიალდა, კოლეგები მიიხმო და კიდევ ერთხელ დაიხარა. ტაში გამაყრუებელი იყო.

* * *

დაჰკარით დაფდაფებს, ჯერ ასე ძლიერად არავის უმღერია,
მიზანი ერთია, დიადი, ნათელი, ჩვენი მზეც ნათელია...
ჩვენი სიმღერები ვის არ იმორჩილებს,
ყველგან ხალისი და ყველგან მაისია!
პიონერული სიმღერა

შემოდგომის მზე წვივებზე მეფერებოდა, ფერდობზე ჩავრბოდი. სკოლის ყავისფერი ფორმა ავინიე და მივრბოდი, რაც ძალა და ღონე მქონდა, უბრალოდ სირბილში ვეჯიბრებოდი მსუბუქ სიოს, ტყიდან რომ ამედევნა. მიყვარდა ის ადგილები, ჩემად მეგულებოდა: ტყე, მინდორი, ციცაბო ფერდობები. ხშირად ავდიოდი იქ სკოლის მერე და ბალახში

ვწვებოდი. არ მაშინებდა არც წვიმა, არც ქარი, არც თოვლი. გაწვებოდი ხოლმე მიწაზე და ცას გავყურებდი. ეს მაგინწყებდა დღის ყველაზე საშინელ მონაკვეთს, სკოლაში გატარებულ საათებს. მონყენილობას, რომელიც იქ მეუფლებოდა, საძაგელ ბავშვებს, უხამსობებს, მტრობას, შურეაცხყოფას და, რაც მთავარია, დარიას გულგრილობას, რომელიც – ორი კლასით მისწრებდა და – საერთოდ არ მაქცევდა ყურადღებას, სკოლის ეზოშიც კი არაფერს აკეთებდა ჩემს დასაცავად, როცა ვინმე მოკბეჩილ ვაშლს მესროდა, გამოსაჯავრებლად დამიძახებდა ან ფეხს გამომიდებდა და წამაქცევდა ხოლმე.

მაგრამ იმ დღეს ერთ ადგილზე გაჩერება არ მინდოდა, არ მინდოდა წამოწოლა. გაქცევა მინდოდა. ქარისთვის მინდოდა გამეტანებინა, რაც იმ დილას გადაძხდა თავს – ნიცა დარტყმულია – ნიცა დარტყმულია! – ერთხმად ყვიროდა ყველა, მერე კი ერთი დრუნცა მესამეკლასელი მეცა და წინსაფარი ჩამომახია. ხარხარი გაისმა ყოველი მხრიდან. ამით შეგულიანებულმა მეოთხეკლასელმა აყლაყუდა ბიჭმა უცებ კაბა ამიწია, ყველა ჩაბჟირდა.

– ნიცას ლურჯი ნიფხავი აცვია, ნიცას ლურჯი ნიფხავი აცვია! – ისეთი ღრიანცელი იდგა! დავუსხლტი და ის იყო, სკოლის ეზოდან გაქცევა დავაპირე, რომ ჩემმა ლამაზმა კლასელმა ანამ გადამიღობა გზა. კაბას ჩავეჭიდე, იმიტომ რომ ის აყლაყუდა ისევ მომეპარა უკნიდან, მუხლებით მეკავა კაბის კიდე და ვიდექი ასე, ჩაფსმული ღლაპივით.

დანარჩენები შემომხევივნენ, ხელები ჩასჭიდეს ერთმანეთს და ცოცხალი კედელი აღმართეს ჩემ წინ. გამბედაობა მოვიკრიბე და ბარიერის გარღვევა ვცადე, არ გამომივიდა, ძირს დავვებერტყე. ისევ სიცილი ატეხეს. თავი გვერდზე მივაბრუნე და დავინახე, რომ ცოტა მოშორებით, სკოლის ეზოს ბოლოში, დარია იდგა უდარდელად, იდგა იქ თავის თეთრ წინდებსა და ლაქის ფეხსაცმელებში გამოწყობილ კოხტა დაქალებთან ერთად და არ იძროდა, ხმასაც კი არ იღებდა. მოჯადოებულებით მომჩერებოდა, თითქოს ვერ იჯერებდა, რომ მე ვიყავი ის, ვისაც დასცინეს, ხელი ჰკრეს, დაამცირეს და გალანძღეს. მის ხელთ იყო ჩემი კომშარის დასრულება. მაგრამ არ განძრეულა.

არც კი განძრეულა. მისი ყავისფერი თვალი ნალვლიანი მეჩვენა, დარცხვენილი, ლურჯი თვალი კი ამ დროს ნიშნის მოგებით მიყურებდა. პირი გავაღე, რაღაცის თქმა მინდოდა, დამეძახა უნდა მისთვის, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე. შემრცხვა, მის მაგივრად შემრცხვა, რადგან თვითონ არ შეეძლო აღიარება და რცხვენოდა, რცხვენოდა, რომ მე მისი და ვიყავი. ის ყოველთვის წარმატებული იყო, ყოველთვის გამარჯვებული, გამარჯვებულს კი არ შეიძლებოდა ასეთი უიღბლო და ჰყოლოდა. ასეთი თმაგანწილი, ასეთი მუხლებგადატყავებული, წინდებჩაჩაჩული. თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი. ისტერიკის პირას ვიყავი. იმდენი ვიყვირე და ისეთ ხმაზე, სანამ მასწავლებლები არ გამოცვივდნენ შენობიდან და

ჩემ გარშემო შემოსეული ბავშვები არ დაიფრინეს, ატატებული სკოლაში შემიყვანეს, იქიდან კი დედაჩემს დაურეკეს.

ამ ყველაფრის დავიწყება მინდოდა. მინდოდა გონებიდან ამომეშალა ის საშინელი სურათები, ის ხმები. არ მინდოდა იმის გახსენება, როგორ ვიჭექი სკოლის ექიმის ოთახში, სანამ დედაჩემი კლასის დამრიგებელს ეთათბირებოდა. თითქოს რამე დავაშავე, თითქოს ბოდიში ჰქონდა მოსახდელი ჩემ გამო. მინდოდა, ის უსიამოვნო გრძნობა მომეშორებინა, რითაც დედაჩემი შევანუხე. კარგა ხანი ვეღარც მოვიშორე ის გრძნობა.

ჩამობნელდა. მთელი საუკუნე იყო გასული, რაც ასე გვიანობამდე აღარ დარჩენილა ელენე მწვანე სახლში. მალე კოსტია და ნანა უნდა დაბრუნებულიყვნენ. ეტყობა, მშობლებს ელოდა. მამამისს. ალბათ, აპირებდა მისთვის ჩემი დღევანდელი შერცხვენის ამბავი მოეხსენებინა. სირბილს ვუმატე, ჰაერი არ მყოფნიდა, მაგრამ გაჩერება არ მინდოდა. ვლოცულობდი, ახლავე წავიდეს აქედან, კოსტიას არ შეხვდეს-მეთქი, არ უამბოს, როგორ ვძულვარ ყველას, როგორ დამცინიან. ქარს ვეჭიბრებოდი. თუ დავასწრებ ბაღში მირბენას, ყველაფერი დამთავრდება-მეთქი. მთელი ეს კომმარი სკოლაში, ყოველდღიური წამება, კოსტიას საყვედურები. თუ ქარი გამისწრებს, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება-მეთქი.

ბაღის შესასვლელს მივალნიე და ჩავიკეცე, აქოშინებული. გავიმარჯვე? ქარს ვეღარ ვგრძნობდი. ხელისგულები გავიშვირე, დავიცადე. ვაჯობე ქარს. ნამდვილად მე მოვიგე. თუ არა?

შინ უკვე შუქი ენთო. რაღაც ხმებიც მესმოდა. აივანზე შევიპარე და ჭრიალა საქანაო სკამზე ჩამოვჯექი. კოსტია და ნანა დაბრუნებულიყვნენ. რაღა თქმა უნდა, ელენეს მანქანაც ჯერ კიდევ იდგა გარეთ. ჩემი ლოცვა არავინ შეისმინა, ელენე ჩემზე უყვებოდა.

ღარია გარეთ გამოვიდა. უნდობლად შემომხედა. მერე ყოყმანით მომიჭდა გვერდით.

- გადიო, მითხრეს. შენზე ლაპარაკობენ.

მე ჩავიჩოჩე, ყოველი შემთხვევისთვის ოდნავ გავემიჯნე. ორივე მუხლზე ყავისფერი ლეიკოპლასტი მეღო, სკოლის ექიმმა რომ დამაკრა. შევხედე თუ არა, ისევ გამახსენდა დილის ამბები და ვიგრძენი, როგორ წამომიარა ცივმა ბრმა ზიზღმა. ჩემი დის გვერდით ჯდომა აღარ მინდოდა. წამოვდექი, სახლის შესასვლელთან მივედი და კართან დაგდებულ ფეხის საწმენდზე დავჯექი.

შიგნიდან კოსტიას მჭექარე ხმა ისმოდა. მაშინვე გავიგონე, როგორ იფეთქა ელენემ:

- რით ვერ გაიგეთ, რომ განსაკუთრებული ნიჭის პატრონია! მასწავლებელმა დღეს კიდევ ერთხელ ამიხსნა დამარცვლით. „განსაკუთრებული ნიჭისო“, ასე თქვა, სიტყვასიტყვით. მე კი არ ვიგონებ, თავს კი არ ვიტყუებ. დედა, თქვი რამე, ბოლოს და ბოლოს, - ცხადი იყო,

ნანას მიმართა, – თქვენც ხომ ამჩნევთ ამას, ხომ ხედავთ! და ამის მერე მოდიხარ და მეუბნები, მონღოლებული არ არისო? გადასარეგია პირდაპირ. შენ გარდა კაცი არ მეგულება, ამ ამბის გაგონებაზე ვინც ასეთ სიტყვებს იტყობდა! სხვა ნებისმიერი ბაბუა ბედნიერი იქნებოდა, ოღონდ შენ არა, ბუნებრივია, შენ – არა. როგორ დამავინწყდა, ის ხომ ჩემი პატარა ნაბიჯვარია, გინდ ნიჭიერი იყოს და გინდ არა!

– ჰოდა, სხვა ბაბუა მოძებნე შენი შვილებისთვის, – უპასუხა კოსტიამ ცივად, – უფრო სწორად, სხვა მამა იპოვე. დიდი ხარ უკვე. მოძებნე ვინმე, ვინც შენს შვილებზე იზრუნებს, ვინც აღზრდის, ჩააცვამს, დააპურებს, მათ მომავალს უზრუნველყოფს. ვინც კარგად აცხოვრებს!

– მე და შენზე კი არის ლაპარაკი ან მთელ ამ დავიდარაბაზე, არამედ ნიცაზე.

კოტა აკლდა ელენეს, რომ არ ატირებუდიყო, ხმაზე შევატყვე.

– და რა უნდა ვქნა? რას მოელი ჩემგან? ხომ დადის უკვე ქალაქის საუკეთესო სკოლაში.

– საუკეთესო სკოლა რა შუაშია. სხვანაირი მოპყრობა სჭირდება, გარკვეული მეთოდები და, რაც მთავარია, სწორი გარემოცვა. მარტო ამ ერთ თვეში იყო, მგონი, უკვე სამი მსგავსი შემთხვევა და სიტყვაც არ დასცდენია ჩვენთან. ფიზიკურადაც ძალადობენ მასზე და ფსიქოლოგიურადაც! მარტო იმიტომ, რომ სხვებზე ჭკვიანია.

– და ის მასწავლებელი საკმაოდ კვალიფიციურია საიმისოდ, რომ ასეთი რამ ამტკიცოს?

– სწინდება სკოლაში, იმიტომ რომ უკვე იცის ეს ყველაფერი, რა ვერ გაიგე? ამასობაში დარიას საშინაო დავალებების გაკეთებაც კი დაიწყო! არადა, მეორე კლასშია ჯერ. კარგი რა!

– დარია თვითონაც მშვენივრად ართმევს თავს საშინაო დავალებებს, – შეეპასუხა კოსტია.

– გეყოფა უკვე!

ჩაერთო უცებ ნანა.

– სხვანაირი ხელშეწყობა სჭირდება. მე არ ვიცი, მასწავლებელმა, გაიკითხეთ, რა შესაძლებლობები არსებობსო. იქნებ რამე სპეციალური სკოლა, ან...

– ეს ბავშვი იქ დარჩება, სადაც სწავლობს. ქალაქის საუკეთესო სკოლაა. განსაკუთრებული მოპყრობა კი შეიძლება მავნებელი იყოს მისი განვითარებისთვის. უნდა ისწავლოს, როგორ მოერგოს. ბოლოს და ბოლოს, ეს ცხოვრება ვუნდერკინდებზე არ არის აწყობილი. ამას უნდა შეეგუოს და ჩვენ უნდა დავეხმაროთ ამაში.

– შევადლებინოთ? რა შევადლებინოთ? ცემა-ტყეპისა და ლანძღვა-გინების ატანა?

– ჭკვიანი რომ არის, ამიტომ ჰკრეს ხელი თუ რა? ალბათ, ითავხედა ან... მე ხომ ვიცნობ!

- რა ხელი ჰკრეს? ხომ არ გაგიჟდი! დედა, ამოიღე ხმა, აუხსენი, აზრზე არ არის, რას ლაპარაკობს!

ელენე აკვნესდა. ნეტა ცრემლების გარეშე მოახერხოს-მეთქი ამ ჩხუბის ჩამთავრება. რატომღაც არ მინდოდა, რომ კოსტიას წინაშე ეტირა.

დარიამ ტუჩები მოამრგვალა, თითქოს დასტვენას აპირებდა, ასე მაშინ აკეთებდა ხოლმე, როცა უხერხულობას გრძნობდა და არ იმჩნევდა. საქანელა გააქანა და ზევით აფრინდა. წამოვდექი და მასთან მივედი.

- გინდა გაგაქანავო?

თავი დამიქნია ქალბატონივით, რომელიც თავის ყმას ხელზე კოცნის უფლებას აძლევს. ალბათ, იფიქრა ზავს ვთავაზობდი. ხშირად ვეხმარებოდი საშინაო დავალებების გაკეთებაში და, ალბათ, ახლაც სჭირდებოდა ჩემი სამსახური, ამისთვის კი შერიგება აუცილებელი პირობა იყო.

მთელი ძალით ავისროლე საქანელა, დარიამ შეჰყვირა, მაგრამ მე განვაგრძე, სულ უფრო ძლიერად ვაქანებდი, სანამ არ ჩამოსრილა და ძირს არ მოადინა ზღართანი. ტკივილისგან სახე მოექცა, მე კი კმაყოფილი ვიყავი. ამან ცოტა ხნით მაინც მანუგეშა. წამის შემდეგ ჩუმად ატირდა, საცოდავად ასლუკუნდა. ეს ჩემი გამარჯვების წამი იყო. სასიამოვნო გრძნობა მქონდა.

ღამით სტასიამ გამაღვიძა და მანიშნა, გარეთ გავყოლოდი. ფრთხილად ავედევნე ფეხშიშველი. დარიას კოსტიას ლოგინში ეძინა ტირილისგან ღონემიხდილს, ყინულის კომპრესიით გაგრილებული ტერფით. ბაღში გავედით. ალერსიანი ღამე იყო, ჯერ კიდევ დღის სითბოშენარჩუნებული. იასამნის ბუჩქების უკან სტასიას საბანი გაეშალა, იმაზე დაწნეხით გვერდიგვერდ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ავხედეთ. მის ძველ, გახუნებულ აბაზანის ხალათში გავეხვიე. კარგა ხანს ასე ვინექით, ჩუმად.

- გინდა, ერთი საიდუმლო გაგანდო? - დაარღვია მოულოდნელად სიჩუმე სტასიამ და ჩემი თავი მკერდზე მიიკრა.

- კიი! - ჩავიჩურჩულე აღელვებულმა. მის ამბებზე არანაკლებ მიყვარდა მისი საიდუმლოებანი.

- ხედავ იმ ალუბლის ხეს? იქ ზოგჯერ ჩემი მეგობარი მოდის ხოლმე. დგება ხის ძირას და მიღიმის. ზოგჯერ სხვა მეგობარიც მოდის ხოლმე, მერე ბანქოს თამაშობენ იქ, ქვემოთ. მაგრამ სინამდვილეში ვერ უნდა მოდიოდნენ. რადგან დიდი ხნის მკვდრები არიან.

ყურები ვცქვიტე. შემზარავი ამბისთვის მოვემზადე, თუმცა ის ლამაზი, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ამას ფონად არ მოუხდებოდა.

- ეს ხომ შეუძლებელია, ბებო.

ვცადე, რაღაც ლოგიკა შემეტანა ამ ამბავში.

- ზუსტად ამის თქმა მინდა.

სტასიამ მარჯვენა ხელი ხალათის ქვეშ შეაცურა, ღამისპერანგი ააშრილა და გაირინდა.

- ჩვენ, ადამიანებს, ზოგჯერ რაღაცების ახსნა არ შეგვიძლია, ზოგჯერ არც გვესმის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს რაღაცები არ არსებობს, რაკი ადამიანთა უმრავლესობა მათ ვერ ხედავს და ვერ იტყვებს.

- და რას ვერ ხედავს ადამიანთა უმრავლესობა?

- ვერც ალუბლის ხის ძირას მდგომ ჩემს მეგობრებს ხედავენ და ვერც იმას, რომ შენ განსაკუთრებული ხარ.

- როგორ, განსაკუთრებული?

- შენ ისეთი რამეები შეგიძლია, რაც სხვებს არ შეუძლიათ.

- მაინც რა?

- შენ სხვებზე უფრო სწრაფად სწავლობ, ყველაფერი სხვანაირად გესმის. შენ გრძნობ ადამიანებს.

- ადამიანს სახე რომ მობანილი აქვს და მაინც ვატყობ, რომ ნამტირალეფია, ამას გულისხმობ?

- თუნდაც. ჰო.

ხალათიდან რაღაც ამოიღო ხელში ჩაბღუჯული.

- კი მაგრამ, სხვები რატომ ვერ ხედავენ შენს მეგობრებს? ახლა აქ არის რომელიმე? მე დავინახავ?

- არა, ახლა არც ერთი არ არის აქ. ალბათ, იმათაც სძინავთ ხოლმე. არ ვიცი, შეძლებ მათ დანახვას თუ არა. უმრავლესობა იმიტომ ვერ ხედავს, რომ ან საერთოდ არ იცნობდნენ, ან საკმარისად არ უყვარდათ.

- რა ჰქვია შენს მეგობარს?

- სოფიო.

- და რატომ მოკვდა?

- იმიტომ რომ მთელი მსოფლიო ერთი დიდი ნეხვის გროვაა და ადამიანთა უმრავლესობაც ნეხვია.

- მეც? - ვიკითხე ხითხითით, მომეწონა სტასიას თამამი სიტყვები.

- შენ დაუმუშავებელი ალმასი ხარ და უნდა ისწავლო, უტიფრებს თავი როგორ აარიდო. ეს გაგიძნელებდა, ცხადია, სკოლაში, მაგრამ უნდა შეძლო საკუთარი თავი დაიცვა. უნდა ისწავლო ფონს გასვლა სხვის დაუხმარებლად, როცა სხვა გზა არ არის, შენი დის გარეშეც კი.

- მე არ მინდოდა მისი გადმოგდება საქანელადან.

არ ვიცოდი, რატომ ვიცრუე.

- რომ მოგინდა, ამას არა უშავს, მაგრამ კიდევ რომ გააკეთე, ამაში შეცდი. დარიამ გასაჭირში მიგატოვა. მაგრამ არ შეიძლება ატკინო სხვას, მარტო იმიტომ, რომ იმან თვითონ გატკინა, მერე შენი საქციელი თვითონვე შეგანუხებს. ასე არ შეგიძსუბუქდება ტანჯვა. უნდა გესმოდეს, ტკივილს იმიტომ კი არ გაყენებენ, რომ სულელი ხარ ან მახინჯი, არამედ იმიტომ, რომ შურთ შენი.

- ტყუილია.

არ მინდოდა ლაპარაკი იმ დილაზე.

- არა. ეს მართალია. მომეცი ხელი, მაჯა დამანახე, ცუდად ვხედავ, ჰო, ასე კარგია, - მუჭი გაშალა და რაღაც გამიკეთა. გრილი და მძიმე.

- ეს რა არის?

- მაჯის საათი. ისეთმა ადამიანმა მაჩუქა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ეს საათი შენზე უფროსია, დედაშენზეც, ბაბუაშენზეც და ჩემზეც კი. შენი სანოლის გვერდზე, კამოდის უჯრაში დავმალეთ, ეს ჩვენი პატარა საიდუმლო იქნება, კარგი? იქ დაგელოდება, სანამ შენი მაჯა გაიბრდება და მომაგრდება საამისოდ. მუდამ დაგიფარავს. მეც ყოველთვის მიფარავდა.

- ლამაზია.

- ჰო, ლამაზია. ჯადოსნური საათია. ჰო, რას ხვნი, გგონია, ზღაპრებს გიყვები?

- შენ ხშირად მიყვები ზღაპრებს. როგორ უნდა მოდიოდეს აქ შენი მეგობარი, თუ უკვე მკვდარია? და რაც მთავარია, რატომ?

ეს ამრი ვერაფრით შევიდა ჩემს ტვინში. მაინც საბჭოთა ეპოქის ბავშვი ვიყავი, საბჭოთა ბავშვები კი პატარობიდან ეჭვიანები არიან.

- არ ვიცი, ჩემო თვალისჩინო. მე არ ვიცი. იქნებ ბოლომდე ვერ გამანდო რაღაც, რაღაცის მოყოლა ვერ დაასრულა.

ჩაფიქრებულმა დაუუქნიე თავი და ვცადე, სტასიას გარდაცვლილი მეგობრის სული წარმომედგინა. შეკითხვა შეკითხვაზე მიჩნდებოდა.

* * *

ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში,
უდაბურებად იქცა სოფელი,
ნუ გაოცდები, რომ ასეთ დროში
მცირე ბედისაც ვარ მადლობელი.
გალაკტიონი

როცა მთელ ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს ზეიმობდნენ, ერთ დროს უზარმაზარი საბჭოთა იმპერია მხოლოდ ქაღალდზედა არსებობდა. მანქანათმშენებლობის, ელექტროფიკაციის და მსგავსი სამინისტროები უკვე აღარარსებულ წარმოებას განაგებდნენ. სამაგიეროდ, ლოთობამ, ქურდობამ და უსაქმურობამ იმატა. ყოფილი ძალაუფლების მეტ-ნაკლები სისწრაფით დაკარგვის ის წლები მაინც ოქროს ხანა აღმოჩნდა ელიტისთვის, რადგან შესაძლებლობა მიეცა, უშიშრად დაეტაცა და დაესაკუთრებინა, რაც რამ მისატაცებელი იყო. გენერალური მდივანი და სახელმწიფოს მეთაური, ავტომანქანებით რომ იყო გატაცებული, მდიდრულ ავტოპარკს ფლობდა, რომლის შემადგენლობაშიც ერთი როლს-როისი და ერთი ჯავშნიანი ლიმუზინი „ზილი“ შედიოდა. ნადირობის მოტრფიალაც იყო და თავის

იაგდმაისტერს, რომელიც ტახებით უზრუნველყოფდა, გენერლის წოდება მიანიჭა წასახალისებლად.

დიპლომატები, გენერლები, მინისტრები, დირექტორები, ყველა ეს „შრომის გმირები“ უსასრულო ზეიმს მისცემოდნენ. და თითქოს არც არავინ იყო ამის წინააღმდეგი მთელ ქვეყანაში. ბრუნვის მმართველობისას ხალხმრავალი დემონსტრაცია ერთადერთხელ გაიმართა, ზამთრის ოლიმპიური თამაშების დროს მოსკოვში, როცა ვისოცკი გარდაიცვალა, ტაგანკას თეატრის მსახიობები ქუჩაში გამოვიდნენ და მათ ათიათასობით ადამიანი შეუერთდა. ცხადია, ეს დემონსტრაცია დაარბიეს. ყველაზე ნაკლებად თავის სახლში სჭირდებოდა არეულობა ცერებრული სკლეროზით დაავადებულ პარტიის ხელმძღვანელს, რომელმაც ერთი წლით ადრე ავღანეთში ჯარების შეყვანა დაიწყო „ინტერნაციონალური, სოციალისტური ვალის მოსახდელად“. როცა 1982 წელს საბოლოოდ გათავისუფლდა თავისი მძიმე მოვალეობებისგან, მისი მემკვიდრე გახდა KGB-ს სამოცდარვა წლის მეთაური, ვინმე ანდროპოვი, საიდუმლო სამსახურის მოხელის უმნიშვნელო მსოფლმხედველობის პატრონი. ესეც მძიმედ იყო ავად, ასე რომ, პარტიის ახალმა ბელადმაც ნახევრად საავადმყოფოებში გაატარა თანამდებობაზე ყოფნის დრო, სანამ თირკმლებმა არ უმტყუნა სულ რაღაც ორ წელიწადში და კარიერა არ დაასრულა. მისი ერთადერთი დამსახურება საბჭოთა კავშირის სამხედრო ხარჯების 80 პროცენტით გაზრდა იყო. არად მიიჩნევდა და თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ ავღანეთი მის იმპერიას მილიონები უჯდებოდა და სულ უფრო მეტი საბჭოთა ჯარისკაცის ცხედარი იგზავნებოდა სამშობლოში.

ანდროპოვის მემკვიდრე სამოცდათორმეტი წლის ჩერნენკო გახდა, არაფრით გამორჩეული პარტიული ფუნქციონერი, რომელიც თანამდებობაზე მოსვლისას უკვე ფილტვებით იყო მძიმედ დაავადებული. ჩერნენკომ მოახერხა და თავის წინამორბედსაც კი აჯობა, მხოლოდ ერთი წელი გასტანა LK-ს გენერალურ მდივნად და მერე მოკვდა.

მართალია, სკოლაში ისევ არ მყავდა მეგობრები, მაგრამ სტასიას საათის წყალობით, რომელიც დავმალე და სრულიად მოულოდნელად მართლაც შეძლო ჩემი დაცვა. იქნებ საკუთარი სიმტკიცის წყალობითაც მომიხერხდა, ძალადობასა და დამცირებას თავი რომ დავაღწიე. განსაკუთრებული სტრატეგიები გამოვიმუშავე, რათა სკოლაში დარჩენილი წლები უსაფრთხოდ გამეტანა. რაც შეიძლება დაუდევრად უნდა მომეჩვენებინა თავი და დანარჩენები დამერწმუნებინა, რომ სწავლა სულ არ მაინტერესებდა.

ერთადერთი, რაშიც კოსტია დამეხმარა, მეხუთე კლასს გადავახტი. ახალ კლასში ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფრით განვსხვავდებოდი სხვებისგან, ამან თანაკლასელებთან შედარებით მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობა მომცა. როცა ხუმრობდნენ, ვიცინოდი,

დახმარებას ვითხოვდი, თუმცა სულ არ მჭირდებოდა. იყო დღეები, როცა თავს ვერეოდი და რომანებიც კი არ მიმქონდა სკოლაში, რომელთაც მალულად ვკითხულობდი ხოლმე მერხის ქვეშიდან.

ვიცოდი, რომ ყველაფერი გაივლიდა. ვიცოდი, რომ მალე შინ დავბრუნდებოდი, სტასიასთან ვიქნებოდი, მის ნაამბობს მოვუსმენდი, ტყეში ვისეირნებდი, ბაღში ვირბენდი და ვიმუშავებდი, რაც მთავარია, გვიან საღამოს სხვენის აივანზე ავიდოდი და განვმარტოვდებოდი ჩემს წიგნებთან. ყველაფერი ჩაივლიდა და შემეძლებოდა ისეთივე გამოვჩენილიყავ, როგორიც სინამდვილეში. ჰო, დალაგდებოდა ყველაფერი, ოღონდ მოთმინება უნდა მესწავლა.

ბოგჯერ ალექოს წიგნები ან ფირფიტები მომქონდა მწვანე სახლში, რაც დარიას ეჭვიანობას იწვევდა ყოველთვის. აინტერესებდა, როგორ გავატარე უქმეები, რა გავაკეთე, ახალი რა აღმოვაჩინე. არ უნდოდა, დაჩაგრულად ეგრძნო თავი და ერთხელაც, როცა უკვე თერთმეტის გახდა, განაცხადა, მეც მინდა ელენესთან და მის ქმართან შაბათ-კვირის გატარებაო.

ბავშვობის ერთ-ერთი უმშვენიერესი საჩუქარიც მიძღვნა ალექომ: დავითი, რომელიც ჩემი საკუთარი პეტრე ვასილიევი გახდა. ალექოს სკოლის მეგობარი დავითი თავისი თაობის უნიჭიერესი და უჭკვიანესი ფიზიკოსი იყო, მაგრამ აკრძალული პოლიტიკური და ფილოსოფიური თხზულებებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამო კვლევითი ინსტიტუტიდან გამოუგდიათ და ამის მერე ქალაქის გარეუბნის სკოლაში ასწავლიდა ფიზიკასა და მათემატიკას. ცოლგაშორებული ახალ უბანში ცხოვრობდა, პატარა სახელოსნოში, სადაც უკვე ატომებს კი არა, ცხოვრებას იკვლევდა.

როცა სკოლაში ვსწავლობდი, ალექო სულ საყვედურობდა დედაჩემს, რომ სათანადოდ არ მიწყობდა ხელს, და ერთ მშვენიერ დღეს დავითთან მიმიყვანა, სთხოვა, იქნებ მიხედო, შეაფასო ამის შესაძლებლობებიო.

მაშინ დავითი ორმოცდარისა იყო, თუმცა ათი წლით უფროსს მაინც ჰგავდა. საზოგადოებამ და, შესაბამისად, სამეცნიერო წრეებმა გაინაპირეს იგი, ცოლს მიაჩნდა, რომ უიღბლო იყო და გაეყარა, ორ შვილს ძალიან იშვიათად ანახებდნენ და სულ ენატრებოდა, ამ ყველაფერმა თავისი კვალი დააჩნია. ძალიან მაღალი არ იყო, თუმცა სტასიასავით მოხრილი დადიოდა, თხელკიდურებიანს დახვეწილი სახის ნაკვთები, ლამაზი, ღრმად ჩასმული მწვანე თვალები და ძველმოდური ულვაშები ჰქონდა. სამოვრით ადუღებდა ჩაის, შინ შალის ფაჩუჩები ეცვა, უჭრედებიანი, და კრემისფერი ან რუხი პერანგები, ხელები ყოველთვის ცივი ჰქონდა და ნელა ლაპარაკობდა, თითქოს მის ხმას მარადისობა სჭირდებოდა ჩვენამდე მოსაღწევად.

ალეკოს სთხოვა, მართო დაგვტოვეო და პატარა ჯამით ნუგბარი დამიდგა. მერე სავარძელში ჩაჯდა, ჩემ პირდაპირ, მწვანე თვალები მომაპყრო და მითხრა:

- გავიგე, სკოლა მოსაწყენი ყოფილა შენთვის.

დამფრთხალმა დავუქნიე თავი.

- აბა, რა გაინტერესებს?

- მართლა შეიძლება მკვდრების დანახვა?

ეს კითხვა არ მასვენებდა სტასიასთან იმ ღამის ლაპარაკის მერე. მართალია, მერე ამაზე სიტყვა აღარ დასცდენია, მაგრამ როცა ბაღში პატარა სკამზე ჩამომჯდარს და ალუბლის ხისკენ მზირალს ვხედავდი, ვცდილობდი, მისი მეგობრების სულები მეც დამენახა, მაგრამ არაფერი გამომდიოდა.

- მე ეს არ ვიცი, - მითხრა დავითმა.

ამ პასუხმა მომხიბლა. რადგან ბრდასრულთა უმრავლესობა ჩემი შეკითხვების საპასუხოდ ცდილობდა იმაზე ჭკვიანი გამოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო.

- მე ვფიქრობ, თუ ვინმეს სჯერა, რომ მკვდარს ხედავს, ალბათ, ხედავს კიდევ.

- მაგრამ როცა მკვდარი ხარ, მაშინ ხომ მკვდარი ხარ და აქ აღარ ხარ, - გავაგრძელე ტვინის ბურღვა.

- სამწუხაროდ, ჩვენ თავი მოგვაქვს, თითქოს ბევრი ვიცი, მაგრამ არაფერიც არ ვიცი, - დაამტკიცა ჩემი ვარაუდი დავითმა, - შენ იცი, რამხელაა ჩვენი სამყარო?

მე თავი გავაქნიე. მაშინ მან ქალაქი და ფანქრები მოიტანა და და მთელი სამყარო დამიხატა სასკოლო რვეულის უჯრედებიან ფურცელზე.

დავითისთვის შემეძლო მეკითხა, როგორი გემო აქვს სიყვარულს. შემეძლო მეკითხა, რატომ აქვთ ჩვილებს რბილი ადგილი თავზე, სადაც ხელის დაჭერა არ შეიძლება, რატომ არის ცრემლი მლაშე ან რატომ აქვთ ვეშაპებს შადრევნები; შემეძლო მეკითხა, რა არის სილამაზე ან რატომ ხდება, რომ ბაბუებს ზოგი შვილიშვილი უყვართ და ზოგი - არა. შემეძლო მეკითხა, რას ნიშნავს სუციდი, რატომ აქვთ პეპლებს ხანმოკლე სიცოცხლე, ყვავებს კი - ხანგრძლივი, შემეძლო მეკითხა, რატომ არ ვყირავდებით, როცა დედამინა ბრუნავს, ან „ლედ ბეჰელინი“ ჯობია თუ „პინკ ფლოიდი“. შემეძლო მეკითხა მისთვის, რამდენად სჭირდება უმამო ბავშვს მამა. როცა ვკითხე, ღმერთი თუ გნამს-მეთქი, ასე მითხრა, ვეძებ და თუ ვიპოვი, აუცილებლად გეტყვი და ვთხოვ, რომ შეგხვდესო. ამ შეპირებამ დამაკმაყოფილა.

მომწონდა, რომ თავზე არ მითათუნებდა ხელს, გულაჩუყებულს არ ეცინებოდა ჩემზე, არც თავის ქნევა და შეცხადება იცოდა. მაშინაც კი, როცა ვკითხე, მართალია, რომ ქალი და კაცი ტიტვლები ერთმანეთზე წვანან ბავშვის გასაკეთებლად-მეთქი, სამედიცინო წიგნი გამოიტანა და

ის ბიოლოგიური თვისებები ჩამომითვალა, გამრავლებისთვის რომ სჭირდება ადამიანს, რაც ბევრად უფრო დამაჯერებელი მეჩვენა, ვიდრე დედაჩემის მიკიბულ-მოკიბული განმარტებები ან სტასიას ბოღვა წეროებსა და ფუტკრებზე.

დავითმა მთელი სამყარო დამიხატა. სამყარო, რომელიც ჩემს გადაჭარბებულ ინტერესს ინვევდა, რომელიც არ ჰგავდა არც სკოლის შემზღულ სამყაროს, არც კოსტიას მკაცრად დისციპლინებულს, ან დედაჩემისა და ალექოს ყოფითი პრობლემებით დამძიმებულს, არც დარიას ვარდისფრად შეფერილს ან სტასიას მყიფე და ეფემერულ სამყაროს. ეს ჩემი სამყარო იყო. უკიდუგანო, ამოუცნობი, სადაც არ არსებობდა პასუხი ყოველ შეკითხვაზე. და, რაც მთავარია, ამ სამყაროში არაფერი იყო ჩვეულებრივი, ყოველდღიურობის მსგავსი.

კვირაში ორჯერ, სკოლის შემდეგ, შემეძლო დავითთან მისვლა; უბედნიერესი ორი დღე მთელი კვირის განმავლობაში. ფრენა-ფრენით ვბრუნდებოდი იქიდან. ცეკვა-ცეკვით ავდიოდი ტროლეიბუსში. გაბადრული ვიხედებოდი უკან. ხტუნვა-ხტუნვით ავრბოდი დედაჩემთან.

დავითის წყალობით ვისწავლე დალდასმულ გარემოცვაში ცხოვრება. ვისწავლე, როგორ ჩამეხედა სარკეში: დამეთვალაიერებინა ჩემი მუქი სახის კანი, ვინრო, უფორმო კიდურები, მოცუცქნული ტანი, შავი თვალები, იმდენად მუქი, გუგებიც რომ არ მიჩანდა, ხვეული ხშირი თმა, დავარცხნა რომ შეუძლებელი იყო, კეხიანი ცხვირი, იხვის ნისკარტივით პირი, და ეს ყველაფერი დარიასთან არ შემედარებინა.

მე ხომ დავითი მყავდა, მერე რა, რომ დარიას კოსტია ჰყავდა? ჰყავდეს რა, ვფიქრობდი მაშინ.

მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ცოცხალი იყო, დარიასი კი მკვდარი, ჩემსას მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა გავეცანი. ერთადერთხელ ვნახე ცოტა ხნით, ცხრა თუ ათი წლისამ, სანამ ისევ ციხეში არ ამოყო თავი ოთხი წლით (უნივერსიტეტის დეკანის გაძარცვისთვის). ასე რომ, საკითხავი იყო, ჩვენ შორის რომელს უფრო გაუმართლა: დარიას თუ მე.

იმ ტკბილი ლიმონათების კაფეში, სადაც მე ტარხუნის ლიმონათს ვსვამდი ხოლმე, და სადაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, ელენე, მე და ბექა, რომელიც იჯდა განადგურებული, მოუხეშავი, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, ნერვულად იყურებოდა აქეთ-იქით და სხვებზე უფრო მეტად უჭირდა ჩემთან ურთიერთობა. ვერ წარმომედგინა, რომ დედაჩემს შეეძლო ეს კაცი ჰყვარებოდა ოდესღაც. თუმცა ერთი კი თქვა, იქნებ ჩემი გვარი მივცყო. „ნაბიჭვარი ხომ არ უნდა ეძახონ“, დაამატა და აშკარად უკმაყოფილოდ შემომხედა. ალბათ, არც იმდენად ლამაზი ან მომხიბვლელი ვიყავი, რომ დანახვისთანავე შევყვარებოდი, მაგრამ მზად იყო, თავისი გვარი გაემეტებინა ჩემთვის, ერთადერთი, რისი მოცემაც შეეძლო.

ელენემ ცოტა ბორძიკით უპასუხა, რომ უკვე მქონდა გვარი და ახალი არ მჭირდებოდა. მამა უფრო მჭირდებოდა, რომელიც ყურადღებას გამოიჩინდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძებნა უნდა გაგვეგრძელებინა. „ასე არ არის?“ – თქვა ელენემ და მხარზე მომხვია ხელი. ცოტა ხანში წამოვედით კიდეც იმ კაფედან. რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ხუთი წელიწადი საბჭოთა ციხეში. თუმცა არც ის ვიცი, რამდენად ამართლებდა ეს მის ქცევას, მის უინტერესობასა და უნიათობას ჩემ მიმართ. როცა ელენე და მე რუსთაველზე გამოვედით, დავინახე, რომ ცრემლები მოსდიოდა ღვარად. მაგრად ჩამჭიდა ხელი და წამათრია. მე სულ არ ვწუხდი. მამა ისედაც არ მყავდა და არც ველოდი, რომ მეყოლებოდა, ელენესგან განსხვავებით.

მინდოდა, მენუგეშებინა. მაგრამ ისე სწრაფად მიდიოდა, ძლივს ვწვდები.

ბევრი ვიარეთ. სანამ ძველ, ბნელ სადარბაზოსთან არ მივედით შუა ვაკეში. მანამდე იქ არასდროს ვყოფილვარ.

– სად მივდივართ? – ვკითხე დედას, როცა გაცვეთილ, ალაგ-ალაგ ჩამომტვრეულ კიბის საფეხურებს ავუყვავით.

– შენი დიდი ბებოს დასთან, – მიპასუხა და თან წამიყოლა.

როცა იმ პირველ შეხვედრაზე ვფიქრობ მამაჩემთან, ჯერ ტარხუნის ლიმონათი მახსენდება, მერე კი – მირო. არც მამა მაგონდება, არც რუსთაველის გამზირი, არც კაფე, სადაც ვისხედით, მხოლოდ ქრისტინეს პატარა, მყუდრო ბინა. რადგან იმ დღეს, როცა მამაჩემი უნდა გამეცნო და ვიდაც უცხო ვაცის პირისპირ აღმოვჩნდი, მე მირო გავიცანი. სრულიად წყობიდან გამოსული შევარდა ელენე ქრისტინეს ბინაში და მეც შემათრია. ყველაფერი ჩაეშალა: მამა არ დაგვიბრუნდა. პირველი მამა, რომელთანაც შვილი არ გაუჩნდა, მკვდარი იყო, ციხის საავადმყოფოში ამოხდა სული. მეორე მამას თვითონ დაეხმარა სხვა კონტინენტზე გაქცევაში. მესამე ამასობაში ძალად რევოლუციონერიდან კრიმინალად გადაიქცა, მეოთხესთან კი, რომელიც უყვარდა და რომელსაც უყვარდა, მაგრამ უნიათო იყო და დაუნერეელ მოთხრობებსაც კი ალკოჰოლში ახრჩობდა, შვილი არ უჩნდებოდა.

ქრისტინეს ფქვილში ჰქონდა ხელები. კარი ისე გააღო, არც უკითხავს, ვინ არისო. იქნებ სულაც ვინმე სხვას ელოდებოდა. ნახევარ სახეს პირბადე უფარავდა. ფქვილიანი ხელები რომ არა, ფილმის პერსონაჟი გეგონებოდა, რაღაც ირეალური იერი ჰქონდა.

– უკვე ვიცი, – არ ვაცადე უფროსებს ხმის ამოღება, – ქრისტინე ხარ, სტასიას და. შენი ფოტოები მაქვს ნანახი!

– შენ კი ნიცა ხარ, არა?

და სახის ხილულ ნაწილს ოდნავ შესამჩნევი ნაზი ღიმილი დაეტყო. ქრისტინემ ხელის მოძრაობით შეგვიპატიჟა და ჩვენც შევედით.

მრგვალ მაგიდას ვუსხედით, რომელსაც ყაისნალით ნაქსოვი სუფრა ამშვენებდა – მსგავსი სუფრა ჰქონდა გადაფარებული სტასიასაც ჩვენი მისაღები ოთახის მაგიდაზე – და ქრისტინეს მომზადებულ ლობიოს შევექცეოდით. კედელზე ძველი გუგულიანი საათი ეკიდა, რომელიც ჯადოსავით მიზიდავდა, ერთი სული მქონდა, როდის შესრულდებოდა საათი და ჩიტი გამოხტებოდა.

თვალი სულ იმ იდუმალი ქალისკენ გამირბოდა, ჩემი უსაყვარლესი სტასიას და რომ ყოფილა, და ვერაფრით ვაკავშირებდი ერთმანეთთან. სტასია რეზინის ბოტებს იცვამდა, აგდებულად იქცეოდა, ცოტა უხამსი ლაპარაკი იყო – ვერ ვხვდებოდი, რა საერთო უნდა ჰქონოდა იმ სრულიად გამორჩეულ, დახვეწილ არსებასთან. ქრისტინე ისე რბილად მოძრაობდა, ისეთი გრაციით, ისე მანერულად საუბრობდა, მისი უცნაური პირობადე კი კოსტუმირებულ მეჯლისს მაგონებდა.

არც ელენეს დაძაბულობა და გაუბედავი მოძრაობები გამომპარვია. ალბათ, მაშინვე ვიგრძენი, რომ ამ ქალებს შორის კედელი იყო აღმართული, რომლის შერყევასაც ცდილობდა დედაჩემი.

– რა ხდება ახალი? – ჰკითხა ქრისტინემ შვილთაშვილს, როცა, ბოლოს და ბოლოს, ჩემსა და ელენეს შორის მოკალათდა პატარა მაგიდასთან.

– საშინლად რთულადაა ყველაფერი! – ამოხეთქა დედამ, თითქოს მხოლოდ ამ შეკითხვას ელოდა.

– მომიყევი, რაღას ელოდები, – შეაგულიანა ქრისტინემ. იმნუთას გამიელვა, რომ დედაჩემი ნუგეშისთვის იყო იქ მისული, მაგრამ იმ ქალს არ ემეტებოდა ნუგეში დედაჩემისთვის. რაღაც ბოჭავდა, მაგალითად, ხელი ასწია, რომ ელენეს მხარს შეხებოდა, მაგრამ გადაიფიქრა. ორივე ისე იქცეოდა, თითქოს მე უჩინმარინი ვიყავი. დავიბენი, ვერ ვხვდებოდი, როგორ უნდა მოვექცეულიყავი. გადავწყვიტე, ხმა არ ამომეღო და მშვიდად განმეგრძო ჭამა. ჩემი საქმე არ იყო, რაც მათ შორის ხდებოდა.

– აუტანელია ეს ყველაფერი.

ელენე უცებ ასლუკუნდა. ვერ ვიტანდი, ასე რომ ემართებოდა. ასე თავშეუკავებლად რომ იწყებდა ტირილს. მაშინვე ვხვდებოდი, რომ ცუდად იყო საქმე, რომ თავს ვეღარ ერეოდა, რაც ყოველდღიურად გაუხშირდა.

– სულ ვფიქრობ მასზე. დღე არ გავა, მისი სახე არ დამიდგეს თვალწინ. არ ვიცი, როგორ დავივიწყო. და ყველაფერი უკან-უკან მიდის, მას მერე... მას მერე, რაც ის...

ქრისტინეს მკვდრისფერი დაედო სახეზე. ამან სტასია გამახსენა, ბაღში რომ ჩერდებოდა ხოლმე და ალუბლის ხეს აცქერდებოდა. ეს ქალიც ხედავდა მიცვალებულებს? ეს იყო ერთადერთი, რაც დებს აკავშირებდათ? აჩრდილების დანახვის უნარი?

დედაჩემი მოსთქვამდა და წუნუნებდა, დასტიროდა თავის ცხოვრებას და მარცხს საკუთარ თავთან, მამამისთან, ქმართან. თავის უღიმღამო, უიმედო არსებობას უჩიოდა და თავისი შვილების უმამობას. თავისი გოგოებისთვის კარგი ცხოვრების უზრუნველყოფას რომ ვერ ახერხებდა. და წამდაუნუმ ახსენებდა იმ სახელს: მიქა. რომელიც მანამდე არ მსმენოდა. მერე ჩემს „ნიჭიერებაზე“ წამოიწყო ლაპარაკი (სულ ამ სიტყვას იყენებდა, მაგრამ ისე წარმოთქვამდა, თითქოს რაღაც დაავადება ყოფილიყო, საშინელი ბედისწერა, რომელიც მე მხვდა წილად). როგორ მძულდა ეს სიტყვა!

ალბათ, საათობით განაგრძობდა ასე და ქრისტინეც ყურს დაუგდებდა საათობით, მაგრამ კარზე ბარი გაისმა და ქრისტინე წამოდგა, აუჩქარებლად, ძალისძალად, თან თვალს არ აშორებდა ელენეს და კარის გასაღებად წავიდა.

ლანას სახეზე ვერ შეატყობდი, გაუხარდა დედაჩემის დანახვა, თუ არ ესიამოვნა მისი მოულოდნელი სტუმრობა. მირომ კი ღიად გამოხატა თავისი სიხარული. კარგად დამათვალეირა, სამჯერ შემოურბინა მაგიდას, თმა მომქაჩა, ხმამაღლა გაიცინა, რამდენიმე შენიშვნა მიიღო, წესიერად მოიქეციო, და მაინც არ მოიშალა თავისი აღტაცებული ფერხული. მერე ჩემ გვერდით დასვეს და გულმოდგინედ შეუდგა ლობიოს ჭამას. წარამარა იტყანებოდა, დედამისმა უყვირა კიდევ, მაგრამ ვერაფერს გახდა, პირიქით, მირო გიჟივით ახითხითდა. თუმცა ამით დაუჭერებელი რამ გამოიწვია: ელენემ გაიღიმა, როგორც იქნა.

მირო მოუსვენარი და მხიარული იყო. ეტყობოდა, რომ ჯამბაზის როლი ჰქონდა მორგებული და დიდი გატაცებით ასრულებდა კიდევ. მაშინ ჩემზე ბევრად მაღალი არ იყო (რაც მერე შემამოფოთებლად შეიცვალა), აწინილი კულულები შუბლზე ეყარა, შავ თვალებს დიდი წამწამები უჩრდილავდა, ბოჩოლასავით. მაგრამ მაშინ, ძალიან კარგად მახსოვს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე მისმა ტემპმა მოახდინა: მისი აზროვნების, მისი ლაპარაკის, მისი მოძრაობის სისწრაფემ. თითქოს სულ ეშინოდა, რამე არ გამომრჩესო, და ცდილობდა, სამი რამ მაინც ეკეთებინა ერთდროულად. როცა ჭამდა, არ შეეძლო წყნარად ჯდომა, როცა ლაპარაკობდა, არ შეეძლო წყნარად დგომა, როცა მოძრაობდა, პირს არ აჩერებდა. კბილებს შორის ღრიჭოები ჰქონდა და ამანაც მაშინვე მომხიბლა. როცა იკრიჭებოდა – ყოველთვის ყურებამდე და წამდაუნუმ – ეს ღრიჭო უჩანდა წინა კბილებს შორის და ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა, თითქოს ღრიჭოც მონადინებული იყო, ვინმე გაეცინებინა.

ჭამის მერე მკითხა, ეზოში ხომ არ ჩავიდეთ სათამაშოდო. დაბნეული დავთანხმდი. გამაკვირვა ასეთმა კეთილგანწყობამ, არ ვიყავი ამას ჩვეული, მით უმეტეს ბიჭებისგან. ეზო პატარა გასასვლელებისა და ბილიკებისგან შემდგარი დაუსრულებელი ლაბირინთი აღმოჩნდა, მირო

წინ გამიძღვა და სათამაშო მოედანზე გამიყვანა, სადაც, ჩემდა სასიხარულოდ, კაცი არ ჭაჭანებდა.

მეორე ყირაზე გადავიდა, მაჩვენა, რისი მაქნისიც იყო: რა მაღლა შეეძლო აცოცება, რა მაგრად შეეძლო ქანაობა, რა სწრაფად შეეძლო სირბილი, მიზნად დაისახა ჩემი გართობა იმ სადამოს. მე, კმაყოფილი, მის გვერდით ისევ ბავშვი ვიყავი. ისეთივე, როგორიც ნებისმიერი სხვა ბავშვი.

* * *

ლიტერატურულ პროცესებზე კონტროლს თუ დავკარგავთ, ისე გამოვა, თითქოს საბჭოთა წყობილების 70 წლის განმავლობაში ერთი ნათელი დღეც არ ყოფილა.

ჩებრიკოვი

ცირკში სულ დავდიოდით. ან სკოლიდან მივყავდით აუცილებელი კულტურული ღონისძიების სახით, ან ოჯახთან ერთად მივდიოდით გასართობად. მართალია, კოსტიას დიდად არ აინტერესებდა აკრობატიკა და განვრთნილი ცხოველები, მაგრამ რატომღაც მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ცირკის სამყაროს ვზიარებოდით ბავშვები.

მე არ ვიყავი იმ აბრღვიალებული სამყაროს დიდი მოტრფიალე. რომელიმე აკრობატს ან ცხენზე ოსტატურად მოჭირითე მარაოიან ქალს შეეძლო ჩემზე შთაბეჭდილების მოხდენა, მაგრამ კლოუნები მთრგუნავდნენ, ისევე როგორც ცეცხლმოკიდებულ რგოლებში მოხტუნავე ვეფხვები. მათი გამოსვლები არაბუნებრივად მიმაჩნდა. არ მესმოდა, რატომ ისულელებდნენ თავს ბებერი, შეღებილი კაცები წითელი ცხვირებით, და რა იყო კარგი იმაში, რომ დამამცირებელ კაბებში გამონწყობილი ველური ცხოველები ისეთ რამეებს აკეთებდნენ, რაც მათ ბუნებას ეწინააღმდეგებოდა. ყველაზე მეტად კი ძალად მხიარული პატარა ადამიანები მთრგუნავდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ თვითონაც ტანმორჩილი ვიყავი და სულ არ მინდოდა იმდენ ხალხში გამოვეჭენებინე და ყურადღებით დამკვირვებოდნენ.

დარიას ცირკი ყველაფერს ერჩია. სულმოუთქმელად არბოდა ხოლმე უსასრულო კიბეზე, წარმოდგენაზე დასასწრებად რომ გვინევდა აბობღება, და ის ყოველ წამს უკან იხედებოდა, ხომ ნამდვილად მომყვებითო. ხან მამალოს და ხან ხელნაკეთი სათამაშოს ყიდვას ითხოვდა ბოშა ქალებისგან, მთელ ტერიტორიას რომ მოსდებოდნენ მხარზე შემოსმული პატარა განვრთნილი თუთიყუშებით და თავიანთ იაფფასიან საქონელს ასაღებდნენ. დარიასთვის ეს წმინდათანწმინდა რიტუალის ნაწილი იყო.

მაგრამ იმ კვირა დღეს, მგონი, 1985 წელი იყო, განსაკუთრებული რამ მოხდა, რასაც ვერასდროს ვიფიქრებდი.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ მოსკოვის სახელგანთქმული ცირკი ჩამოვიდა გასტროლზე. დარია სხვა აღარაფერზე ლაპარაკობდა. დაუსრულებელი სადამოსთვის მოვემზადე, წიგნით შეიარაღებული წავედი, სკოლის სახელმძღვანელო რომ ჰგონებოდათ, ან კლასგარეშე საკითხავი - ყდაზე თეთრი ქალაქი გადავაკარი, რადგან სადილო წიგნების კითხვას მიკრძალავდნენ, მე კი სწორედ მათი კითხვა მიყვარდა ყველაზე მეტად, განსაკუთრებით - სკოლაში, მტანჯველი საათების გადასატანად. წლობით ბიბლიოთეკაში მუშაობის წყალობით სტასიამ ბევრი სასარგებლო რამ იცოდა არალეგალური ლიტერატურის შესახებ, ათასნაირი კონტრაბანდული ხრიკი და ეშმაკობა. წიგნის სასურველი ყდის იდეა მას ეკუთვნოდა, ძირითადად თეთრ ყდას შემოვაკრავდი ხოლმე, რასაც მერე ბავშვური ნახატებით ვამშვენებდი: მხიარული ქონდრისკაცები და ფერადი პეპლები ეჭვს არ იწვევდნენ.

როცა დანარჩენები რუს კლოუნებზე იცინოდნენ და განწრთნილ ცხოველებს ტაშით აჯილდოებდნენ, მე წიგნს ვფურცლავდი. დარბაზში ბნელოდა, ეს ვერ გავითვალისწინე (ბოლოს რომ ვიყავი კლასთან ერთად მოზარდ მაყურებელთა თეატრში წითელქუდაზე, უფრო სინათლე იყო). ცხადია, კითხვა ვერ შევძელი, მაგრამ ფურცლებს რომ ვეხებოდი, ესეც მამშვიდებდა, სანამ უეცრად ის პატარა გოგო არ გამოვიდა მანუშზე, ლურჯტრიკოიანი და თეთრწინდებიანი. დარიამ იმედგაცრუებულმა ამოიოხრა, იმდენად ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, სოფლის ფიზკულტურული წრის წევრს ჰგავდა. მერე ჰაერში აინია და თავბრუდამხვევ სიმაღლეზე გაბმულ ბაგირზე აღმოჩნდა, მაყურებელი გაიტრუნა.

წიგნი ისევ ჩანთაში ჩავდე და მოჭადოებული მივაჩერდი აკრობატს. მას ფრენა შეეძლო. თითქოს უხილავი ფრთებით, თვალუნვდენელ სიმაღლეზე. ტრიალებდა და ყირაზე ხტოდა, ძირს ეშვებოდა და ისევ იჭერდა თავის თავს, ბაგირზე ცეკვავდა, როგორც უწონო არსება. ასეთი ელეგანტურობა, გრაცია და სრულყოფილი ფორმები არასდროს მინახავს ერთ ადამიანში. მისი გრძელი ნაწნავი, მასთან ერთად რომ დაფრინავდა ჰაერში, თითქოს მესამე ხელი იყო, რომლითაც მოჭიდებდა შეეძლო.

როცა დარიას გავხედე, პირღია და თვალეგაბრწყინებული იჭდა სიბნელეში. ჩემსავით გაოგნებული იმით, რასაც ხედავდა. როგორ შეეძლო ერთ სიფრიფანა გოგოს ამდენი ადამიანი ეიძულებინა, სუნთქვა შეეკრათ? როგორ შეეძლო ასეთი უშიშარი ყოფილიყო? როგორ შეიძლებოდა ფრენის სწავლა?

დარიას ხელი სკამის სახელურს მოსცილდა და ჩემი მკლავისკენ გამოიკვლია გზა. ჩამეჭიდა და მაგრად მომიჭირა. მერე მთელი ტანით გადმოიხარა და მომეკრა. რატომ მე? თავის სათაყვანებელ ბაბუას რატომ

არ გაუზიარა თავისი აღფრთოვანება? თავი მივაბრუნე, კოსტიას გავხედე და მივხვდი: ზურგმიყრდნობილი იჯდა და მის სხეულს სულ არ ეტყობოდა, რომ დარიასავით და ჩემსავით მოჭადროებული იყო. კოსტიას აღქმა არ დაემთხვა დარიასას. პირველად. და, ალბათ, ამ აღმოჩენამ მოაძებნინა შეშინებულ დარიას ჩემი ხელი.

- დაუჭერებელია, არა? - მიჩურჩულა ჩემმა ლამამმა დამ ყურში და ხელი მაგრად ჩამჭიდა. მე დაბეჭითებით დავუქნიე თავი, დაბნეულმა და მაღლიერმა.

- მეც მინდა ასე, - გამიზიარა იმნუთიერი გადანყვეტილება.

- მაგრამ ამისთვის ძალიან ბევრი ვარჯიში დაგჭირდება.

მეგონა, ჩემი შეწინააღმდეგება გაანბილებდა, მაგრამ მან ადელვებულმა იკითხა, სად შეიძლება ამას რომ ასწავლიდნენო?

- რა ვიცი, მგონია, აკრობატიკის კურსები უნდა არსებობდეს სპორტის სასახლეში. წარმოდგენა არ მაქვს.

- ძალიან გთხოვ, გამირკვიე, რა!

შემეხვეწა. მე შემეხვეწა! ვერ ვიჭერებდი.

დარიას არასდროს ჰყოფნიდა მოთმინება, საქმე ბოლომდე მიეყვანა. რაც ელვის სისწრაფით არ გამოსდიოდა, იმის მიმართ ინტერესი ეკარგებოდა. ჯირითზეც ამიტომ თქვა უარი, არადა, როგორ უყვარდა პატარაობისას, ნებისყოფა არ ეყო ძნელად დასამორჩილებელ ცხენებზე და არჩია დაქალებზე გადაეტანა მთელი ყურადღება. მით უფრო გამიკვირდა, როცა ასეთი შრომატევადი საქმიანობით მოიხიბლა.

კოსტიას ყველა მცდელობა, დარია რომელიმე წრეზე დაეკავებინა ხანგრძლივი დროით, მარცხით დასრულდა. ქართული ხალხური ცეკვები იყო, ფორტეპიანოს გაკვეთილები თუ ძერწვა: დადიოდა რამდენიმე კვირა, მერე ერთ დღეს აცრემლებული მოვიდოდა შინ და იტყოდა, რომ იქ მართო სულელი ბავშვები დადიან, მასწავლებელი ცუდად ექცევა და - ვაიმე! - სულ არ აქცევს ყურადღებას. კოსტია მეორე დღესვე მიდიოდა, დირექტორთან ჩიოდა და გამოყავდა დარია იქიდან, ისიც კმაყოფილი და გაბრწყინებული რჩებოდა, თავისი რომ გაჰქონდა. სრულიად მოულოდნელი სიახლე იყო მისი ეს დაუინება იმ საღამოს.

- ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ მეც შევძლო ასე.

არ ცხრებოდა დარია. ახლა კოსტია გადმოიხარა ჩვენკენ და გვკითხა, რაზე ტლიკინებთ, რა მოხდაო. დარიას პასუხმა მის შეუვალ სიმტკიცებზე არანაკლებ როდი გამაკვირვა.

- არაფერი, - უთხრა კოსტიას.

ეს არაფერი პირველი საიდუმლო იყო, რომლის გაზიარებაც ჩემმა დამ მხოლოდ ჩემთან ინება.

ორი კვირაც არ იყო გასული, ელენემ უფროსი შვილი ტანვარჯიშის კურსზე შეიყვანა ფიზკულტურის ინსტიტუტში. ჩემი დის გატაცების დასაკმაყოფილებლად დავითმა გამარკვია ყველაფერში, მე კი ელენეს

მოვეყვები. თითქოს წინასწარ იცოდა დარიამ, რომ ბაბუას შეიძლება არ დაეჭირა მხარი, უმაღლავდა ახალ ამბავს და იმ დღეს, როცა პირველად უნდა მისულიყო ელენესთან ერთად ვარჯიშზე, კოსტიას უთხრა, ორი-სამი დღით დედასთან დავრჩებიო.

შვიდი დის კონცხზე ზღვა დელავდა. ტალღები ისეთი საშინელი ძალით ეხეთქებოდა სალ კლდეებს, თითქოს ერთმანეთთან მრავალწლიან ომში იყვნენ ჩაბმული. რუხი ცა მოყვითალო ელვით ისვრებოდა. სანაპირო სველი იყო, ცივი და ცარიელი. ნოტიო ქვიშაზე საკუთარ ნაფეხურებს დააკვირდა, მარილიანი ჰაერი შეისუნთქა, თვალები დახუჭა და უზარმაზარი შალი მხრებზე მოიხვია. ყოველთვის უკვირდა, როგორ სინქრონულად თხზავდნენ ზღვა და ჰაერი საკუთარ მუსიკას. კარგა ხანი დასჭირდა კიტის, რომ ამ ადგილის დასახელებას შეჰკვებოდა: „Seven Sisters“. „შვიდი და“ ყოველთვის იმ პომპეზურ, კლასიციკურ სტილში აგებულ მაღალ სახლებს ახსენებდა, ოდესღაც გენერალისიმუსის ბრძანებით რომ წამოიჭიმა და ყველა სხვა შენობა დაჩრდილა მოსკოვში.

ტურნეს შემდეგ სიმარტოვით ტკვებოდა. სიმშვიდით. გამორთული ტელეფონით. გაუხსნელი ფოსტით. იმ ადგილის ანონიმურობით ტკვებოდა. რამდენიმე დღით ადრე მუდამ საქმიანი ემიც გაემგზავრა იქიდან და კიტი საკუთარ თავსა და ფიქრებთან მარტო დატოვა. მაინც როგორ ირჭებოდა ემი, ასაკს არ ეუბებოდა. აბაზანა გამოავსო ათასნაირი კრემით, შეიძინა ფერად-ფერადი კაბები, რომელთა სიჭრელეს მისი სხეულის ნაკლოვანებები უნდა შეენიღბა. გარდაუვალთან შეჭიდების გულის ამაჩუყებელი მცდელობები: თავსაბურავები, თმის სარკები, დიეტები, საკითხავი სათვალის გაკეთებაზე უარის თქმა.

მზერა ჰორიზონტს მიაპყრო, სადაც ზღვა ზეცაში იჭრებოდა. ღრმად შეისუნთქა.

- ნახე, ნახე, ზღვა!

ოღოროღორო გზა გავიარეთ, წვეტიან ბორცვებს მოვუარეთ და ჩვენ წინაშე ფართო, უსასრულო სილურჯე დაიდვარა. კოსტია თვითონ იჭდა საჭესთან, რაც იშვიათად გვინახავს, დარია და მე უკან ვისხედით მის საუნწყებო მანქანაში. ჩვენ გამო გააჩერა, რომ ზღვის დანახვით გამოწვეული აღფრთოვანება სათანადოდ გამოგვეხატა. გადავცვივდით მანქანიდან და ხტუნვა-ხტუნვით დავუყევით მინდორს, აღტაცებულები ვწიოდით. ჩემი სიხარული იმდენად ზღვით არ იყო გამოწვეული, რამდენადაც ბედნიერების განცდით, რომ კოსტიამ ამჯერად მარტო დარია კი არ წაიყვანა თან, არამედ – მეც. აფხაზეთში, გაგრამში, მივიღოდით. ერთი კვირით. მთელი ერთი მშვენიერი კვირით, რის გამოც ნება დაგვრთეს, სკოლა გაგვეცდინა. წინა საღამოს კოსტია კარგად

შეზარებულნი დაბრუნდა მწვანე სახლში და ნანას მითითება მისცა, ჩვენი ბარგიც ჩაეღებინა, ხვალ ზღვისპირეთში მივდივარ და გოგობიც მიმყავსო. კი არ თქვა, დარია მიმყავს, ან დაროო, არამედ გოგობიო.

მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე. საათში ერთხელ დარიასკენ გავიხედავდი ხოლმე შეშინებული, ხომ არ გადაიფიქრა კოსტიამ და უჩემოდ ხომ არ წავიდნენ-მეთქი, მაგრამ ჩემს დას თავის ლოგინში მშვიდად ეძინა.

ვხვდებოდი, რომ ჩვენი თან წაყვანა უპირველესად დარიასთან შერიგების მცდელობა იყო. ერთხელაც კოსტიამ გამოიჭირა და დარიას აკრობატობაზე ოცნებამ პირველი სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ბაბუასა და საყვარელ შვილიშვილს შორის. მაგრამ როცა კოსტია დარწმუნდა, რომ დარიას განზრახვას ვერ გადააფიქრებინებდა, სცადა სიტუაცია სათავისოდ გამოეყენებინა, სასწრაფოდ გაერკვა იმ კურსებშიც და ხელშეწყობის სხვა ვარიანტებშიც, რაც დარიას აკრობატიკის უმაღლესი ლიგისკენ მიმავალ გზაზე წაადგებოდა.

სოხუმში გავჩერდით. კოსტია საქეიფოდ იყო დაპატიჟებული თავის ახლო მეგობარსა და კოლეგასთან, უნდოდა საქმეც მოეგვარებინა და თან ნასიამოვნებაც დარჩენილიყო. ხვალ დილას გავაგრძელებთ გზასო, ასე გვითხრა.

პატარა სუფთა სახლი იდგა ზედ ბულვარზე, ახლად გარემონტებული, საღებავის სუნი რომ შერჩენოდა. ვრცელი ეზოს მოზრდილ მონაკვეთზე ხეხილის ბაღი გაეშენებინათ, დიდრონი ვაშლის ხეებით. სწორედ იმ ბაღში გაეშალათ სუფრა. შევადეთ თუ არა შავად შეღებილი რკინის ჭიშკარი, უამრავი უცხო და ცნობისმოყვარე თვალი მოგვაჩერდა, მასპინძელი, ჩასკვნილი, კარგა ჩასუქებული კაცი, ნახევრად მელოტი – მისნაირები ხშირად მინახავს მწვანე სახლში გამართული ქეიფების დროს – კოსტიასკენ გამოეყანა, ხელი ჩამოართვა და რამდენჯერმე მხარზეც მოუთათუნა. დარიას და მე ლოყაზე გვაკოცა სველი ტუჩებით და სუფრასთან მიგვიპატიჟა. სამზარეულოსა და ბაღს შორის დაულაღავად აქეთ-იქით მორბენალმა დიასახლისმა ჩვენთვის მოიცალა, ხელები მოგვხვია, სუფრასთან ადგილი შეგვირჩია და თევზებით უგემრიელესი კერძები ჩაამწკრივა ჩვენ წინ. კოსტიამ, როგორც სჩვეოდა, ერთბაშად დაიპყრო მოქეიფენი, ყურადღების ცენტრში მოექცა, გალაღდა, სამსახურის კურიოზებს ჰყვებოდა ისე ხატოვნად და ენამახვილურად, მსმენელთა სიცილ-ხარხარს იწვევდა.

მერე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მასპინძელი, რომელიც იმავდროულად თამადაც იყო, და კოსტია, ლოყებაღაჟღაჟებულები, ხმაჩახლეჩილები, სულ უფრო მაღალფარდოვან სადღეგრძელოებს ამბობდნენ, რაც მაშინვე მოგვებზრდა, რადგან უმეტესობა ზეპირად ვიცოდით.

როცა საბოლოოდ დამეკარგა ამ ჭამა-სმის ორგიდან თავის დაღწევის იმედი, უცებ საიდანღაც გაჩნდა ახალგაზრდა სიფრიფანა ქალი, თითქოს საღამოს ნიავს შემოჰყვია ბაღში, და მასპინძლის გვერდით დაჯდა. წამით მკერდზე დაადო თავი, ნამდვილად შვილი უნდა ყოფილიყო. სტუმრებმა გულითადად მოიკითხეს, თვითონაც მხიარულად მიესალმა და მოეხვია ნაცნობებს, კოსტიასაც თავაზიანად დაუკრა თავი. ლამაზი, ზოლიანი ზაფხულის კაბა ეცვა, სეზონისთვის ცოტა შეუფერებელი, მხრებმოხსნილი, და სქელი თმა კეფაზე შეეკრა ცხენის კუდივით და სუფრის წევრებს რომ ეპასუხებოდა, აქეთ-იქით დაუხტოდა ზურგზე. როგორც ლაპარაკიდან შევითქვე, იურიდიულზე სწავლობდა თურმე თბილისში. მამამისმა მოსთხოვა, სტუმრები აღღეგრძელო, რაც მან ხაზგასმული ხალისით და ცოტა გადამეტებული გულითადობით შეასრულა. მის თავაზიანობას ნერვოზულობა ემჩნეოდა. თითებს ისრესდა გამუდმებით, ბეჭდებს ათამაშებდა, ქუსლიან ფეხსაცმელს აქეთ-იქით იქნევდა. ღვინის ჭიქა დაცალა თუ არა, მოულოდნელად წამოდგა, მოიბოდიშა და გაქრა, იმგვარადვე, როგორც მოგვევლინა.

ტუალეტის ძეხნაში გზა ამეზნა და შიდა ეზოში აღმოვჩნდი, დავინახე, რომ მასპინძლის ქალიშვილი პატარა მაგიდასთან იჯდა და ღვინოს წრუპავდა. ნარდის დაფაზე კამათლებს აგორებდა გაუთავებლად, თითქოს მათი ხმა ამშვიდებდა. ბნელოდა, მაგიდას ოდნავ ანათებდა ერთადერთი პატარა სანთელი, რომელიც ორპირ ქარს ებრძოდა.

- უკაცრავად! - ჩავიღუდღუნე, - ტუალეტს ვეძებდი.

მაშინვე წამოდგა, დამაჯილდოვა თავისი ნაძალადევი ღიმილით და წამიყვანა. როცა იქიდან გამოვედი, სახლის კედელზე მიყუდებული დამხვდა, თითქოს მე მელოდებოდა.

- შენ უმცროსი ხარ, არა? ესე იგი, ნიცა?

თავი დავექნიე და გამიკვირდა, რომ ჩემი სახელი იცოდა. მანამდე არასდროს შევხვედრივარ.

- მე რუსა ვარ, მეც თბილისში ვცხოვრობ, - მითხრა და ცას ახედა. ტკბილი ხმა ჰქონდა, ალერსიანი, კარამელში ამოვლებულივით.

- გინდა ყურძნის წვენი? - მკითხა. პასუხს არც დაელოდა, პატარა მაგიდასთან დაბრუნდა და ჭიქაში მუქი წითელი წვენი ჩამომისხა დოქიდან. მის პირდაპირ ჩამოვჯექი დაბალ სკამზე და დიდად არც დავფიქრებულვარ, ისე დავალაგე ნარდის ქვები საწყის პოზიციებზე.

- ნარდი იცი? მთლად საბავშვო თამაში რომ არ არის?

მერე, თითქოს გამოფხიზლდაო, ანთებული თვალებით შემომხედა უცებ.

- ვითამაშოთ, გინდა?!

გახარებულმა გულმოდგინედ მოისრისა ხელები.

- ბაბუაშენმა გასწავლა თამაში?

მკითხა ვითომ სხვათა შორის.

- არა, მამინაცვალმა, - ვუპასუხე ასევე სხვათა შორის.

დავინწყეთ. მთელი მონდომებით თამაშობდა, რაც ძალიან მომეწონა. ეტყობოდა, რომ ძალზე ყურადღებით იყო და არ ცდილობდა, დაეთმო ჩემთვის. ვაგორებდით და ვაგორებდით კამათელს, ერთმანეთს არ ვუთმობდით.

- აქ რატომ ზიხართ, რატომ არ გინდა სტუმრებთან? - არ მასვენებდა ეს შეკითხვა და ბოლოს და ბოლოს, გავუბედე. მხრები აიჩეჩა.

- ისინი ჩემი მეგობრები არ არიან. მამას მეგობრები არიან. ერთი კვირით ჩამოვედი, გამოცდებისთვის უნდა მოვემზადო, წელს ვამთავრებ, მაგრამ ამ საღამოს რაღაც ვერ ვარ, ყურადღებას ვერ ვიკრებ.

ამოიოხრა.

- ჩვენც ერთი კვირითა ვართ წამოსული. ხვალ გაგრაში მივდივართ.

- ვიცი, - თქვა და თავი დამიქნია უღონოდ, ისევ გამიკვირდა, საიდან იცის-მეთქი. არადა, თანდათანობით მომწონდა. მისი სინაზე მოჩვენებითი იყო, დატკბილული ნიღბის მიღმა უდიდესი ძალა და ენერჯია იმალებოდა, და რად სჭირდებოდა ყოველივე ეს, ვერ მივუხვდი. თანაც ისეთი ენაკვიმატი იყო, თამაშის დროს სულ მაცინებდა. ზოგიერთ სტუმარს გამოაჯავრა კიდევც, კოსტიას კოლეგებს, რომელთა უმრავლესობა მწვანე სახლშიც მინახავს და საკმაოდ კარგად დავიმახსოვრე. მართლაც რომ, ზედმინვენით ჩაევლო თითოეულის ხასიათისთვის.

- ისევ აურიეთ ყველაფერი, არ შეგიძლიათ, ერთხელ მაინც წესიერად გააკეთოთ, გეუბნებით, დაიღუპებით ყველანი უჩემოდ! - მხარი ავუბი და კოსტიას ხმით დავილაპარაკე, - აბა, ვინ ვიყავი? - წამოვიძახე გახარებულმა. უცბად რუსას ფერი წაუვიდა და კამათლებმომარჯვებული ხელი გაუშეშდა.

- კარგად ბაძავ, - თქვა ბოლოს, უფრო სევდიანად, ვიდრე მხიარულად და კამათლები მოისროლა დაფაზე. ამ დროს ნაბიჯების ხმა გავიგონეთ და ჩემს ზურგს უკან ბაბუაჩემი გაჩნდა. აშკარად მთვრალი იყო ზღვის ჰაერითა და ღვინით.

- აი, თურმე სად ყოფილხარ! ასე გაპარვა როგორ შეიძლება, უზრდელობაა, ნიკა!

- მე დავიყოლიე თამაშზე. ჩემი ბრალია, - შემემველა რუსა.

კოსტიამ ნაძალადევი კმაყოფილებით დაუქნია თავი.

- ჰო, ნარდზე გიჟდება. მეშინია კიდევ, ერთ მშვენიერ დღეს ამ თამაშის წყალობით სადარდებელი არ გავგიჩინოს, - მენწყინა, ასე რომ თქვა. და მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ეს არც მიფიქრია, იმნუთას გადავწყვიტე, პროფესიონალი ნარდის მოთამაშე გამოვსულიყავი და მისთვის მართლა გამეჩინა სადარდებელი.

- მართლა არაჩვეულებრივად თამაშობს, - დასძინა რუსამ.

კოსტიას მეგობრებისა და თანამშრომლების უმრავლესობას ვერ ვიტანდი. სულ როხროხებდნენ, ტრაბახობდნენ, სულ საქმეში იყვნენ, ქეიფი უყვარდათ და ბევრს სვამდნენ, მათი ცოლები კი, ნაძვის ხეებივით სამკაულებით გაბრწყვიალებულნი, ისე გველაპარაკებოდნენ ბავშვებს, როგორც უტვინოებს ან აღუებს. მაგრამ რუსა სხვანაირი იყო. ახალგაზრდა, ხალასი, იუმორით სავსე, ცნობისმოყვარე. სხვებივით არ მაღიზიანებდა სულელური შეკითხვებით, როგორც, მაგალითად: დედა უფრო გიყვარს თუ მამა, ან რომელი საგანი გიყვარს სკოლაში და არც რაღაც დამამცირებელი ქმედების ჩადენას მთხოვდა, მაგალითად, ლექსის თქმას ან შპაგატზე ჩაჯდომას. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მინდოდა, რომ მოვწონებოდი. კოსტიამ უეცრად შემოუარა მაგიდას, რუსას მიუახლოვდა და ხელი მოჰხვია შიშველ მხარზე. რუსა დაიძაბა, ცოტა წამოინია და თვალები დახარა.

- ესე იგი, გასართობი გიპოვიათ მომავალი კვირისთვის, - თქვა კოსტიამ და ისევ გაუჩინარდა სიბნელეში. ჩვენ უხმოდ განვაგრძეთ თამაში. მე კოსტიას სიტყვებზე ვიმტვრევდი თავს.

- შენც მოდიხარ გაგრამი? - გავბედე ბოლოს მეკითხა. თავი დამიქნია, თვალი ამარიდა, - მაშინ ხვალ მანქანამიც შევძლებთ თამაშს! - დავასკვნი აღტაცებულმა.

- სამწუხაროდ, ვერ შევძლებთ, მატარებლით მოვდივარ. თანაც ეს საიდუმლოა და სხვებმა არ უნდა გაიგონ, კარგი? - ამიხსნა ჩურჩულით.

ის ხელი მე მოვიგე. მაგრამ სულ არ გამხარებია.

კიტი გაიზმორა, კარგა ხანია, ზურგის ტკივილი აწუხებდა. წინ გადაიხარა, ხელები ჩამოუშვა და გააქნია, ისევ ასწია და უცებ გაშეშდა. უნებურად გასაღებს წაავლო ხელი ჟაკეტის ჯიბეში. თავისი კოტეჯის ჭიმკართან იდგა და ხედავდა, რომ წინკარში ვიღაც ბოლთას სცემდა.

გარე განათება ბუტავდა და ვერ შეიცნო. მხოლოდ გაარჩია, რომ მისი სტუმარი მამაკაცი იყო. შეიძლება სოფლის მკვიდრიც, მაგრამ სახლის კართან რატომ ელოდება და რა უდგას ფეხებთან, ჩემოდანი?

რომელიმე აბეზარმა ფანმა მიაგნო? იქნებ საშიში გიჟიც კი იყო? წამით იფიქრა, ისევ სიბნელეში ხომ არ გავუჩინარდე, სოფლის ერთადერთ პაბს მივადგე ან პირდაპირ პოლიციას მივმართო. ისევ გადადგა ნაბიჯი წინ. მხედველობა აღარ უვარგოდა, თანაც სათვალე ღამით ვერც შველოდა. და უცებ იგრძნო, რომ მუხლები ბამბის გაუხდა, ზურგზე ჟრუანტელმა დაუარა, ხელისგულებზე ოფლი მოადგა. იქნებ ჭკუიდან გადაცდა და მოლანდებები დაეწყო. იქნებ დრო იყო, ლონდონში დაბრუნებულიყო, იქნებ უბრალოდ ბედმეტი მოუვიდა თავის თავთან და მოგონებებთან მართლ დარჩენა.

მაგრამ ის კაცი ისევ იქ იდგა, ცხადად, ნამდვილად ხედავდა და როცა კიტი კარგად დააკვირდა, დაბნეულობა სიხარულმა შეუცვალა, ნაბიჯს აუჩქარა.

- გიორგი!

დაუძახა და ისიც შემობრუნდა. მერე მისი მკლავები იგრძნო საკუთარ სხეულზე. მისი მესაიდუმლე დაბრუნდა, თუმცა ხმა არ ამოუღია, სიტყვაც არ დასცდენია, მისი სახელის სათქმელადაც კი არ ეყო ძალა. კიტიმ ისე ჩასჭიდა ხელი, ნესიერად არც შეუხედავს, აჩქარებით გახსნა კარი და შინ შეუძღვა. ნამიც არ უნდოდა დაეკარგა. სიხარულისკენ მიიკვლევდა გზას.

- მაპატიე, გთხოვ, მაპატიე, კიტი, მაპატიე... - აჩურჩულდა გიორგი, მაგრამ კიტის სხვა არაფერი აინტერესებდა, მხოლოდ „აქ“ და „ახლა“ იყო მისთვის უმთავრესი, არც გასწრება უნდოდა და არც უკან გახედვა. პალტოს გახდაში შეეშველა და თან გულში იხუტებდა, ლოყებს უკოცნიდა, შუბლს, ტუჩებს. გარეთ კი, ღობის მიღმა, კაცმა ჩაიარა. ხუჭუტომიანმა, წამით გაჩერდა, ამოისუნთქა, ჩამქრალი მზერა შეავლო ამათ, სანამ ზღვისკენ განანგრძობდა გზას, ზღვის დასალიერიკენ. ჰორიზონტისკენ და კიდევ უფრო შორს. ვენას დაეძებდა. მაგრამ სადაც კიტი და ალანია იდგნენ, ის მათ ვეღარ ხედავდა, ცივი დერეფნის სიბნელეში, მლოცველებივით. ერთმანეთს ვერ ეშვებოდნენ. კიტიმ შუბლი მიადო შუბლზე და ასე გაიტრუნა.

- მე შენი ღირსი არ ვარ. ყველაფერი დავანგრეე. გავიპარე. საკუთარ თავს გავექეცი. შენ ხარ ერთადერთი კეთილი საქციელი ჩემს ცხოვრებაში. ჩემს ძარღვებში ჯალათის სისხლია...

სულმოუთქმელად იმეორებდა. აბნეულად ლაპარაკობდა. კიტის მისი არ ესმოდა, არც უღრმავდებოდა, რაზე ელაპარაკებოდა. ვერასდროს წარმოიდგენდა, ეს დაღლილი, სევდიანი ადამიანი თავისი მოულოდნელი გამოჩენით ამხელა სიხარულს თუ მიანიჭებდა, ცხოვრების ხალისს თუ გაუღვიძებდა. არა, ნამდვილად ვერ ეგუებოდა ხანდაზმული ქალივით მართოს ესეირნა ზღვის სანაპიროზე, სიცოცხლე სწყუროდა, თუნდაც ამის საფასურად კარის ფართოდ გაღება და ყველა აჩრდილის შემოშვება გამხდარიყო საჭირო.

- აღარსად წახვიდე. მიყვარხარ, - თქვა და თვითონვე გაუკვირდა, ასე ძალდაუტანებლად რომ წარმოთქვა ეს სიტყვები. გიორგი მკლავებიდან დაეხსნა, იდაყვები დაუჭირა და დააცქერდა სიბნელეში, თითქოს უნდოდა მის სახეზე ამოეკითხა ამ სიტყვების დასტური. თითქოს ცხოვრებაში არ გაეგონა ასეთი სიტყვები. აკოცა. კიტი ისევ იმ პატარა პარკში აღმოჩნდა, მწვანედ შეღებილი ბალის სკამზე, სამხრეთულ ქალაქში, ერთ დროს კავკასიის ნიცა რომ უნდა გამხდარიყო.

გაუკვირდა, ძლიერი რომ გამოდგა მისი მკლავები, მისი გამხდარი მკლავები, რომელთაც ასე ხშირად აკვირდებოდა, კარგად რომ დაემახსოვრებინა მთელი მისი სხეული ფიზიკურ ურთიერთობას

მოკლებულ სატელეფონო ურთიერთობაში განვლილი წლების შემდეგ. კიტი აჰყვა. გიორგიმ თავის თავს გადააბიჯა. გასცდა. კიტიმაც მოინდომა გაყოლა. იქ, სადაც თვითონაც შეძლებდა, სხვა ადამიანი გამხდარიყო. მაგრამ გიორგის შეხებამ ამერიკის სასტუმროები გაახსენა ისევ. და ფრედ ლიბლიხის ლანდმა ჩაუქროლა. ეს იგივე არ არის, ფიქრობდა კიტი და ტანსაცმლის გახდაში ეხმარებოდა. ნეტავ რამდენი წლის იქნებოდა? სამოცის? თუ მეტის? ნუთუ მართლა ასე დაბერდნენ? მართლა ამდენი წელი ამორებდა იმ პარკს, ანდროს, საკლასო ოთახს? არა, არა, არ გაბედო, შეუძახა თავს და გიორგის ჩაეჭიდა საყელოში, მის კისერში ჩარგო სახე.

იატაკი ცივი იყო, მაგრამ კიტის მოსწონდა ასეთი ახალგაზრდული დაუდევრობა, თავდავიწყება, გონიერებაზე უარის თქმა. დერეფანში უნდოდა დარჩენა, იმ ვიწრო, ბნელი დერეფნის ცივ იატაკზე. სიამოვნებით ამღერდებოდა მთელი ხმით. კარს გაუღებდა მთელ მსოფლიოს. გიორგი დამშეულ ბიჭს ჰგავდა სიყვარულში და მასაც უნდოდა, დამშეულ გოგოს დამსგავსებოდა. უნდოდა, დრო გაეცურებინა თავისი ალერსით, ერთი წელი, ორი, სამი, ათი წელი, და უფრო მეტიც გაეუქმებინა, ისევ ის კიტი გამხდარიყო, როგორიც ადრე იყო, სანამ მოჩვენებები კარზე ბრახუნს აუტეხდნენ. იმ დროში დაბრუნებულიყო, როცა სხვა დროის დაბრუნებაზე არ ფიქრობენ, იმიტომ რომ ყველაფერი წინ აქვთ. მათ შორის ის შესაძლებლობებიც, მოწყენილ ცარიელ სადგურზე შემდგარ მოკლე შეხვედრაში რომ იმალებოდა. დაივიწყა ბურგის ტკივილი, დაივიწყა მხედველობის გაუარესება, დაივიწყა მუდმივი სიმართოვე.

იმის წარმოდგენა, რომ ამ კაცთან ერთად შეეძლო ყოფნა, არა ქერაკულულებიან ბიჭთან, თანაც არა ვენაში, არამედ ლონდონში ან მოსკოვში, ერთდროულად მაცდუნებელიც ეჩვენა და შეუძლებელიც. მცირეოდენი შანსი მაინც რომ ყოფილიყო, ცოტა სხვანაირად რომ მომხდარიყო, დარჩებოდა ანდრო ცოცხალი, შერჩებოდა საშვილოსნო? გაჰყვებოდა მარიამი მის ძმას ცოლად? ეყოლებოდა შვილები? ერთი, ორი, ან სულაც სამი? ალბათ, მაშინ მხოლოდ აბაზანაში იმღერებდა ჩუმ-ჩუმად და მის სიმღერებს ათასობით ადამიანი არ ააყოლებდა ხმას, მაგრამ რა არის ამაში ცუდი? ან წარმოუდგენელი?

არასდროს ენახა ყველა ის ქალაქი, არ დაენერა ამდენი სიმღერა, არასდროს... შეხვედროდა ფრედს?

თვალები დახუჭა. ანდროს თვალები ედგა თვალწინ. თვალები დახუჭა. ფრედი უღიმოდა. თვალები დახუჭა. მზით განათებულ ფარდულში მარიამს მისი თავი ეჭირა. თვალები დახუჭა. ნათურის სხივში ქერა ქალი იდგა. თვალები დახუჭა. ამას დასასრული არ ჰქონდა. დაინახა, როგორ უკოცნიდა გიორგი ალანია მთელ სხეულს. და მთელი ძალით შემოეხვია. უნდოდა გამქრალიყო. დაპატარავებულიყო, დამდნარიყო, ჰაერად ქცეულიყო.

* * *

...ადამიანი, ხალხი – იდეალების გარეშე – ბრმაა.
გორკი

საწოლზე ისხდნენ, ჩაცმულები. რუსამ დაიკვნესა და წითლად შეღებილი ფრჩხილებით ჩაებღაუჭა კოსტიას ზურგს, იმას კი მის კისერში ჩაემალა სახე, ვერ ვხედავდი, რას გრძნობდა ამ დროს. ვერ ვხვდებოდი, ეჩურჩულებოდა რამეს, თუ ხელი რომ შეუცურა კაბის ქვეშ, ამით ააკვნესა. რუსამ პირი გააღო, თვალები გაახილა, მარჯვენა ხელი ასწია, თითქოს უნდოდა შეეკავებინა, მაგრამ მერე მაინც გადაიფიქრა და თავისკენ მიიზიდა. კედელს ავეკარი, თვალს ვერ ვწყვეტი ამ სანახაობას. სუნთქვა შემეკრა.

გვერდზე ოთახში დარიას ეძინა. კოსტიას თანამშრომლის სახლში გავჩერდით, მთელი კვირით დაუთმო მეგობრულად თავისი სახლი შვებულების გასატარებლად. მეორე სართულზე ვცხოვრობდით. ზღვის მხარეს. ზღვის ხმამ გამაღვიძა. ავდექი და გადავიხედე, მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ზღვა ისევ იქ იყო.

წამით ისიც კი ვიფიქრე, დარია ხომ არ გავაღვიძო-მეთქი, მაგრამ ძალიან დაიღალა სანაპიროზე თამაშით. წყალი ჯერ ცივი იყო, ვერ ვბანაობდით, მაგრამ ფეხებს ვატყაპუნებდით ზღვაში, კენტებსა და ნიჟარებს ვაგროვებდით და იმდენს დავრბოდით, რომ დაღლილობისგან მკვდრებივით ვეყრებოდით ლოგინში.

იმ დღეს კოსტიაც კარგ გუნებაზე იყო, შუბლზეც კი მაკოცა. მე ისეთი ბედნიერი ვიყავი, სამუდამოდ დავრჩებოდი იმ სანაპიროზე. ჩემს დასთან და ბაბუსთან, რომელიც ასეთი მხიარული და კეთილი აღმოჩნდა. და იმ თითისტოლა მომხიბვლელ რუსასთან, ჩვენსავე სახლში რომ დაბინავდა, საჭმელს გვიკეთებდა და გვართობდა, გვპატრონობდა, კოსტია თავის საქმეებზე როცა მიდიოდა, და რომელსაც ასეთი გატაცებით ვეთამაშებოდი ნარდს.

მართალია, დარია ეჭვის თვალით უყურებდა რუსას და აშკარად არ ეპიტნავებოდა, ვიდაც ქალისათვის ანგარიში ხომ უნდა გაენია კოსტიას კეთილგანწყობის გამო, მაგრამ მე ძალიან მხიბლავდა და მინდოდა, ჩემი მეგობარი გამხდარიყო.

რუსა სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახში ცხოვრობდა, სხვენზე. კოსტია ჩვენ გვერდით ოთახში. მე კი აივანზე გასვლას ვაპირებდი ზღვაზე გადასახედად, როცა ჩუმმა ამოკვნესამ გამაჩერა. რუსას ლამაზმა, ალერსიანმა ხმამ. ისევ დერეფანში გავბოდიხალდი და კოსტიას ოთახთან მივედი, რადგან რუსას ხმა ნამდვილად იქიდან გამოდიოდა. კარი ბოლომდე არ იყო მოხურული, კამოდზე, საწოლის გვერდით, მაგიდის პატარა ლამპა ენთო.

დანახულმა ადგილზე გამაშეშა. შემრცხვა. ზღვა იყო დამნაშავე. ის, რაც დავინახე, ჩემი თვალებისთვის არ იყო განკუთვნილი. აშკარად რაღაც აკრძალულს შეიცავდა ის სანახაობა, თუმცა ასეთი სცენა მანამდე თვალით არ მენახა. მაგრამ მაინც უცნაური მეჩვენა, არალოგიკური: კოსტია ხომ ძალიან ბებერი იყო ასეთი ახალგაზრდა ქალისთვის, და საერთოდ ასეთი რამისთვის? რუსა ხომ ნამდვილად ძალიან ახალგაზრდა იყო, თუ ვცდებოდი? ვიდრე იქ სარგადაყლაპულივით, იმ აკრძალული სანახაობით მონუსხული, და რუსაზე ვლელავდი. შემეშინდა იმ ძალის, რომელსაც კოსტია აშკარად ფლობდა მასზე. რუსას უსუსურობაში რაღაც საფრთხისშემცველი ვიგრძენი. როცა ლოგინზე გადაწვა, კედელს მოვშორდი და სწრაფად დავბრუნდი დარიასა და ჩემს ოთახში.

კოსტია დილაადრიაანად გამეგზავრა მანქანით სოხუმში, დარია, რუსა და მე კი ნაპიროზე გავვდიით და წყალში ჩავყავით ფეხები.

საუბმეზე რუსამ ომლექტი მოგვიმზადა და პურზე ჯემი წაგვისვა. გასაბერი ნავით ცოტა მოშორებულ პირსთან გავვდიით და კედლებზე აწებებული ლოკოკინები შევაგროვეთ. სადილზე რუსამ ტომატის სოუსში მოამზადა ლოკოკინები, მე ჭამით ვერ გავძეხი, დარიამ კი ცხვირი აიბზუა. ერთად დავხატეთ პეიზაჟები ფერადი ცარცით ასფალტზე, სახლის წინ. რუსამ „კომსომოლსკაია პრავდასგან“ სასაცილო ქუდები გაგვიკეთა. იმდენი ჩიტის რძე ვჭამეთ, კინალამ გული აგვერია. თხელი ტერფები ჰქონდა რუსას და ფაფუკი თეძოები. უფლებას მაძლევდა, თმა დამეწნა მისთვის. როცა მვარცხნიდა, ისე თბილად მიყურებდა, ისე ალერსიანად, რომ მისი თვალით დანახული ჩემი თავი მომწონდა. წიგნებზე ვლაპარაკობდით, მე ჩემი საიდუმლო გავანდე ყალბი ყდების შესახებ. გაიცინა და აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა. მზეზე ვირუჯებოდით, საღამოობით კოსტიასთან ერთად კალმახის საჭმელად დავდიოდით. გზაში მხრებზე ხელს მისვამდა ბაბუაჩემი. აღფრთოვანებისგან გონზე არ ვიყავი. როცა რუსა რაღაცას უყვებოდა, კოსტია სულ იცინოდა. არც კი მეგონა, რომ ამდენი სიცილი შეეძლო. მინდოდა, დრო გაჩერებულიყო. ვწუხდი, რომ უკან უნდა დავბრუნებულიყავით. იმის წარმოდგენაც კი მტანჯავდა, რომ ისევ სკოლაში უნდა წავსულიყავი. გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ რუსა წავიდოდა და თან გაჰყვებოდა კოსტიას კარგი განწყობა და ლმობიერება ჩემ მიმართ. ყოველ ცალკეულ წამს ვებღაუჭებოდი, და რუსაზე ვფიქრობდი, რომელსაც მიშისა და ტკვილისგან სახე მოექცა, რადგან კოსტიას გამკვება მოუწევდა მალე.

მეორე საღამოს კოსტია შვიდზე უნდა დაბრუნებულიყო. ერთად უნდა გვევახშმა. რუსამ კატლეტები გააკეთა, როგორც დარიამ ისურვა. ძალიან მონდომებული იყო, სამზარეულოში ჩამოკიდებული წინსაფარიც კი გაიკეთა. ღვინო გახსნა. ყველა წვრილმანი გაითვალისწინა, ყვავილები იყიდა და ნაირ-ნაირი ლარნაკებით დადგა სუფრაზე. მაკიაჟი გაიკეთა და თმაში ყვავილი ჩაიმაგრა. მაგრამ კოსტია არ მოვიდა. ჩვენ სამმა მართო

ვჭამეთ. სწრაფად ვჭამეთ. მერე დარია ცუდად გახდა, საჭმელმა აწყინა და რუსას მოუწია მისი მოვლა. ვალერიანი დაალევინა და დაანვინა. დაახლოებით ათ საათზე, როცა დარიას ჩაეძინა, კოსტია კი ისევ არ გამოჩნდა, რუსამ სახე მოიბანა და სასონარკვეთაც დაეტყო. აივანზე გავედით ერთად. შევთავაზე, ერთი ხელი ვითამაშოთ-მეთქი, მაგრამ არ უნდოდა. ღვინო გამოიტანა და პირდაპირ ბოთლიდან სვამდა.

- ნამდვილად საქმე ექნებოდა. სულ საქმეები აქვს. მოვა მალე, - ვთქვი და გამიხარდა, რომ ჩემი მოლოდინისა და მისი იმედგაცრუების მიუხედავად, რუსა არ ატირებულა. ხელით მიმიხმო და მაგრად ჩამეხუტა.

- როგორი არაჩვეულებრივი გოგო ხარ, ნიცა. დედიკო, ალბათ, ძალიან ამაყობს შენით, - მითხრა და კეფაზე მაკოცა.

- მე მგონია, რომ შენც არაჩვეულებრივი გოგო ხარ და კოსტიას გამო არ უნდა იდარდო, - ვუთხარი და მისი სკამის სახელურზე ჩამოვჯექი.

- სხვანაირი ვერ გახდება, - ჩაილაპარაკა რუსამ.

- მასთან ყოფნა გინდა?

- ეჰ, ნიცა.

- კი მაგრამ, ის ხომ ბევრად უფროსია, - ვუთხარი, გულწრფელად მჭეროდა, შეიძლება გადაეფიქრებინა. გულის სიღრმეში კოსტიასთვის არ მემეტებოდა.

- მეც არ მინდოდა, რომ ასე მომხდარიყო. დამიჯერე, სამი წლის წინ რომ ეთქვა ეს ვინმეს, მოვკვდებოდი სიცილით. ჩემი მშობლები... მომკლავდნენ, რომ გაევოთ....

- ისინი ვერაფერს გაიგებენ. არავის არ ვეტყვი.

გალიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. სვამდა და სვამდა ღვინოს წვენივით და თავის ცხოვრებას მიყვებოდა. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ მასზე უფროსი ვიყავი და წყალი გამოვუტანე, როგორც ამას ნანა აკეთებდა, როცა კოსტია ზედმეტს დალევდა ხოლმე.

მიამბო, როგორ შეხვდა პირველად კოსტიას მამამისის დაბადების დღის სუფრაზე. როგორი მომხიბვლელი იყო, სრულიად განსხვავებული მამის სხვა მეგობრებისგან, მგრძნობიარე, აზრიანი. როგორ გადაეყარა მერე შემთხვევით უნივერსიტეტთან. კინალამ ჩაურბინა, მაგრამ მერე გაუჩერდა, კოსტიამ კი ყავაზე დაჰატიჟა, მერე თავის მძღოლს დეიდამისთან მიაყვანინა, სადაც რუსა ცხოვრობდა სტუდენტობისას. კიდევ დიდხანს მდგარა რუსა ეზოში. დარწმუნებული, რომ ისევ მოუნდებოდა მისი ნახვა, თუმცა ხვდებოდა, რა სისულელეს ჩადიოდა. კვირები გავიდა მისი დავინწყების ამაო მცდელობაში, მერე სამსახურში დაურეკა. უკვე ერთი წელი იყო, რაც ეს გრძელდებოდა. ყველაზე მეტად ამ გასაიდუმლოებული ურთიერთობის ატანა უჭირდა, როგორც თვითონ უწოდებდა. დამალლობა. უთავმოყვარეობა. სიცრუე. და რაც მთავარია, გული უგრძნობდა, რომ ერთადერთი არ იყო, ვისაც კოსტია ჩუმ-ჩუმად ხვდებოდა. რუსა უკვე ენას ძლივს აბრუნებდა, სულ უფრო დიდ პაუზებს

აკეთებდა, თუმცა ბოლოს, შემზარავი ცინიზმით და დაუნდობელი ხმით მითხრა, მოსამართლე მინდა გავხდე, რომ უსამართლობას ვებრძოლო, არადა, საკუთარი თავის მიმართ ამხელა უსამართლობას ჩავდივარო. მე თავსატეხი გამიჩნდა, რუსასთვის გამოსავალს ვეძებდი. ისიც კი ვიფიქრე, დავითი ხომ არ გავაცნო-მეთქი, უფრო საინტერესო კაცი მაინც ეყოლებოდა - ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მიმაჩნდა - თან უფრო დავახლოვდებოდიტ ორივენი და ყველა ბედნიერი იქნებოდა...

შუალამეს გადასცდა, კოსტია კი არა და არ გამოჩნდა. რუსა თავის ოთახში ავიყვანე, უკვე ქანაობდა. ტანსაცმლის გახდაში მივეხმარე. საცვლების ამარა დარჩენილი ლოგინზე დაემხო და აღარ განძრეულა. გარეთ გამოვედი. გადავწყვიტე, გამბედაობა მომეკრიბა, კოსტიას დავლოდებოდი და ამეხსნა მისთვის, როგორ უყვარდა რუსას და რაოდენ მნიშვნელოვანი იყო, რომ აღარასდროს ეიძულებინა მას დალოდებოდა. მაგრამ ცოტა ხანში წყლის ხმა შემომესმა სააბაზანოდან. გამახსენდა, რომ დედა ყოველთვის სააბაზანოს კარზე აკაკუნებდა ხოლმე, როცა ალევო ნასვამი შედიოდა საბანაოდ, და გადავწყვიტე, მეც ასე მოვქცეულიყავი. ვგრძნობდი, რომ პასუხისმგებელი ვიყავი რუსაზე, კოსტიას დაბრუნებამდე მაინც. ფრთხილად დავაკაკუნე, მორიდებით, მაგრამ არ მიპასუხა, მერე თავი მივადე კარს, და გაიღო, არ ჩაუკეტავს. იატაკზე იჭდა, წყლით სავსე ვედრო ედგა მუხლებში, ხელები ჰქონდა შიგ ჩაყოფილი, წყალი სისხლიანი იყო. რაკი აბაზანა არ არსებობდა, იმპროვიზება მოუხდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. არ ვიცოდი, რას აკეთებენ ხოლმე, როცა ვინმე ვენებს იჭრის, არ ვიცოდი, რამდენად ცუდი იყო ჰორიზონტალური ჭრილობები და ვერტიკალური ხომ არ აჭობებდა, მაგრამ მაინც ვეცი და ამ დროს ვედროს დავეტაკე და ამოვატრიალე. სისხლიანმა წყალმა იატაკი ნითლად შეღება. ვანჯღრევდი რუსას, ვეხვეწებოდი, შემომხედე-მეთქი, მძიმედ სუნთქავდა.

არ ვიცოდი, რა ნომერზე უნდა დამერეკა, და საერთოდ ტელეფონი თუ არსებობდა იმ სახლში. იატაკზე დავანვინე, ოდნავ გასაგონად დაიკვნესა. ყურადღების მოკრება ვცადე. ბიოლოგიის გაკვეთილები, დავითთან საუბრები. გამოსადეგი ცოდნა. გამახსენდა, რომ ღრმა ჭრილობების დროს აუცილებელია სისხლდენის შეჩერება. პირსახოცები და იატაკის ჩვარიც კი ავიღე და მაგრად შევუკარი მკლავებზე. დავფიქრდი, დარია ხომ არ გამელვიძებინა, მთელი ხმით მეყვირა, სანამ არ გაიღვიძებდა, მაგრამ გადავიფიქრე. დარიას პანიკურად ეშინოდა სისხლის. მერე კიბეზე ჩავირბინე ტელეფონის მოსაძებნად - და იმწუთასვე დავინახე, როგორ გაანათა ბალი მანქანის ფარებმა.

ელდანაცემივით გავვარდი გარეთ.

- კოსტია, კოსტია! - დავიღრიალე მთელი ხმით და მისკენ გავიქეცი. კინაღამ ჩავარტყი, როცა დავინახე, როგორ შეჭმუნა შუბლი, ეტყობა, შენიშვნის მოცემას აპირებდა, ასე გვიან რატომ არ გძინავსო, მაგრამ ხმის

ამოღება არ ვაცადე, სახელოში ვტაცე ხელი და კიბეზე ავათრიე. ერთი-ორი სილა გააწნა, მერე ხელში აიყვანა, წამოდგა. კანკალებდა. დარია არ გააღვიძო, მითხრა, აქ დაგველოდეო, მითხრა, ყველაფერი კარგად იქნებაო, მაგრამ მე ვბლაოდი და ვუმეორებდი, მეც წამოვალ, მართო არ დავტოვებ-მეთქი. ჩემთან კამათის არც დრო ჰქონდა და არც ძალა, ნება მომცა, მანქანის უკანა სკამზე დავმჯდარიყავი, რუსას თავი დამეჭირა, სანამ თვითონ მანქანას მიაქანებდა აკანკალებული, გინებით.

საავადმყოფოში უამრავი ხალხი შემოგვესია. საკაცებე დაანვინეს და გააგორეს. კოსტია და მე ცივ განათებიან, ცარიელ მოსაცდელში დავრჩით. კოსტიამ ხელები შეკრა და სახესთან მიიტანა, ხმა არ ამოუღია. მე აქეთ-იქით დავდიოდი და ცრემლებს ვვლავავდი. მერე გვერდით მივუჯექი ქანცგანწყვეტილი.

- ძალიან მამაცი ყოფილხარ, ნიცა, - მითხრა ისე, რომ არც კი შემოუხედავს, - ძალიან გამბედავი. ბევრი სისხლი დაკარგა, მაგრამ ექიმები გადაარჩინენ. არ მეპატიება, მართო რომ დავტოვე. შენ ეს არ უნდა გენახა, - ისევ არ შემოუხედავს. ხელებში ჰქონდა ჩარგული სახე.

- შენთან უნდა ყოფნა, - ვუთხარი მე.

გაშრა, მომიტრიალდა.

- თვითონ გითხრა?

- ჰო.

- უბრალოდ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, ამ ასაკში... ემოციები ჭარბობს.

- მაგრამ ეს არასწორია.

- რა არის არასწორი?

- რომ ალოდინე. მართალია, რომ მის გარდა სხვა ქალებიც გყავს?

- ესეც იმან გითხრა?

- ჰო.

- მე... არა, უბრალოდ... საქმეები მქონდა.

- ასე გვიანობამდე?

ეს უკვე მეტისმეტი იყო. კოსტიას უნდოდა ვენუგეშებიანე, როგორც ბაბუას, სულ არ ელოდა, რომ სკოლის მოსწავლე დაკითხვას მოუწყობდა (კოსტია ჯაში არავის აბარებდა ანგარიშს, ასე ჰქონდა ცხოვრება აწყობილი, ალბათ, იმ დღიდან მოყოლებული, როცა წყალში შევიდა და გამოიგლოვა ქალი, რომლის სიკვდილმაც მისი ნამუსიც თან წაიყოლა).

- შენ ხშირად აყენებ ტკივილს სხვებს.

არ ვიცოდი, რატომ ვთქვი ეს, არ დავფიქრებულვარ. ადრე დაუფიქრებლად სიტყვა არ დამცდენია კოსტიასთან. ავსლუკუნდი. განადგურებული ვიყავი. მინდოდა ეცოცხლა რუსას, გამოცდები ჩაებარებინა, მოსამართლე გამხდარიყო. მინდოდა კიდევ ბევრჯერ ეთამაშა ჩემთან ნარდი. კოსტია მომეხვია. ვერ დავნებდებოდი, ძალიან დაძაბული ვიყავი. ძალიან ბევრი შეკითხვა მქონდა მასთან. და ძალიან

მეშინოდა. ვიცოდი, რომ იმ დღეების სიახლოვეს მყარი საფუძველი არ გააჩნდა.

- მართლა ასე ფიქრობ? - ფრთხილად ჩამეძია.

- ჰო. დედასაც აყენებ ტკივილს. შენ გამო ხშირად ტირის. სტასიასაც, თუმცა იმას ვერაფერს ათქმევინებ. და... მეც.

მიყურებდა და ვერ ვხვდებოდი, თავზარდაცემული იყო თუ უბრალოდ გაკვირვებული. ჩემთვის კი უკვე სულერთი იყო, ვეყვარებოდი ამის შემდეგ თუ არა. მხოლოდ ის მინდოდა, რომ რუსას ეცოცხლა.

- მე მიყვარს დედაშენი, - თქვა უცებ კოსტიამ და გაიწია. მიმღებში რამდენიმე სანიტარი და ექთანი წრიალებდა ჰატარა ტელევიზორთან, სადაც რაღაც გამაღიზიანებელს გადმოსცემდნენ. გაბრაზებულები ჩანდნენ. ერთ-ერთი ექთანი ყავას ხარშავდა უბრალო მადულარაში და თან ეკრანს მისჩერებოდა.

- ჩვენ რომ გვსურს, ისე არ ხდება ყველაფერი.

მეგონა, განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ ადგა და მიმღების დახლთან გავიდა, რომ შეეხედა, რა ხდებოდა და გაქვავდა.

როგორ შეეძლო ასეთ დროს ტელევიზორის ყურება! ქვეყანაც რომ დანგრეულიყო, მაინც არ უნდა გამშორებოდა უპასუხოდ. მჭირდებოდა მისი პასუხი. მისი გულწრფელობა მჭირდებოდა, რომ რუსას ცხოვრება გაეგრძელებინა.

ხელით მიხმო. შევყოყმანდი. ნელი ნაბიჯით დავიძარი ტელევიზორისკენ. სახელმწიფოს მეთაური ჩერნენკო მომკვდარიყო. სულ არ მაინტერესებდა, გულგრილი დავრჩი. ჩემთვის სულერთი იყო, ცოცხალი იქნებოდა ვიღაც ჩერნენკო თუ მკვდარი, მე მინდოდა მხოლოდ, რომ რუსას ეცოცხლა. თვალები დავხარე და ჩემს სანდლებს დავაშტერდი და მეტლახის ბინძურ იატაკს. ისეთი გატიალებული იყო იქაურობა. რუსასნაირი ლამაზი, ჭკვიანი ადამიანი ასეთ ადგილას არ უნდა მომკვდარიყო.

ჩერნენკო მოკვდა. რუსა გადარჩა, მაგრამ მაინც მოკვდა რაღაც მასში.

კოსტია და მე გარიჟრაჟზე წავედით სახლში. ხმა არ ამოგვიღია. აღარაფერი უთქვამს. გზა ზღვას მიუყვებოდა. თენდებოდა... ათი წელიც არ გასულა ამის მერე, რომ ის ქალაქი ტანკებით, ბომბებით, ათასობით ტყვიით დაანგრის და ცეცხლით გადაბუგეს, მაგრამ მაშინ ამას ვერავინ იფიქრებდა, საბედნიეროდ.

როცა დავბრუნდით, დარიას ისევ ღრმად ეძინა, არც კი გაუგია, თავს რაც გადაგვხვდა.

იმ ღამემ მასწავლა, რომ სახელმწიფოს მეთაური ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყველა დანარჩენი ადამიანი.

რომ აუცილებელი არ არის, მოჩვენება მაინცდამაინც მკვდარი იყოს.

რომ ზღვა არ მიგიღებს, თუ სინდისი სუფთა არ გაქვს. რომ სიყვარული, როგორი ნათელი და იმედიანიც უნდა იყოს, შეიძლება სრულიად მოულოდნელად დასრულდეს გატიალებულ საავადმყოფოში.

სამოცდაათი წლის შემდეგ საბჭოთა კავშირმა თავისი დრო მოჭამა, შიგნიდან დაღრღნა საკუთარი თავი, მთელი ენერგია და რესურსები დახარჯა; ყელში გაეჩხირა საკუთარ თავს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა ამორწყევას. ამისთვის საჭირო გახდა პარტიის ახალი მეთაური, რომელიც წარმოუდგენლად ახალგაზრდა, ორმოცდაათობითი წლისა, ნამდვილი ღლაპი იყო პარტიისთვის და რომელიც - სრულიად მოულოდნელად - 1985 წელს სახელმწიფოს სათავეში მოვიდა. ამხანაგ გორბაჩოვს მემკვიდრეობად უნდა მიეღო „სოციალისტური მშვიდობის“ სამყარო, რომელიც დედამიწის მოსახლეობის 34 პროცენტს მოიცავდა. ამ მშვიდობის გასავრცელებლად უანდერძეს თანამდებობის დაკავებისას ომები ანგოლაში, მოზამბიკში, ეთიოპიაში, ნიკარაგუაში, სალვადორსა და ავღანეთში.

1985 წელს მე უცხად გავიზარდე, იმ ერთ ღამეში, როცა ჩერნენკო მოკვდა, რუსა კი გადარჩა.

* * *

ის სასახლე იყო:

ბამთრის ალიონივით ალისფერი

სამყაროსავით თვალუწვდენელი, ძველი მასავით.

მამაჩვენი ლამის მეფე იყო

ლამის მეფის ასულები ვიყავით...

ცვეტაევა

გიორგი ალანიას ზუსტად ორი დღის გატარება შეეძლო კიტი ჯამთან, ისე, რომ სირთულეები არ შეჰქმნოდა.

ბოლო წლებში კულტურულ და სპორტულ გაცვლით პროგრამებში თანმხლები პირის მოვალეობებს ასრულებდა სამინისტროში, რისთვისაც ყოველ ორ თვეში ერთხელ საზღვარგარეთ უცხოეთში დაჰყვებოდა ანსამბლებს და საბალეტო დასებს გასტროლებზე ან ახალგაზრდა მოჭადრაკეებს თვალყურს ადევნებდა ტურნირებზე. მისი სამსახური ახლა უშუალოდ ლიუბიანკას ექვემდებარებოდა. ამჯერად მივლინებით იყო ჩასული ლონდონში; მოსკოველ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ჯგუფს ახლდა საერთაშორისო შეჯიბრებაზე.

სხვა სამსახურში გადაყვანა რომ ითხოვა, იმის შემდეგ თუ კიდევ მიავლენდნენ ლონდონში, ამას ოცნებაშიც კი ვერ წარმოიდგენდა. არადა, ბოლო წლებია მხოლოდ ამას ნატრობდა და რას არ მისცემდა, ეს რომ ახდენოდა. ვერაფრით ეპატიებინა თავისთვის, ასე სამარცხვინოდ

რომ მიატოვა ნამდვილი გულისსწორი, ერთადერთი ქალი, რომლის კოცნაშიც ფული არ გადაუხდია.

ეს გადაწყვეტილება გაუაზრებლად მიიღო, ემოციის ფონზე, იმ საშინელი განწყობის გამო, ქრისტიანთან შეხვედრის შედეგად რომ დაეუფლა. ბრმად გაიქცა. თავს ირწმუნებდა, რომ ამით კიტის იცავდა, მაგრამ როცა პირველი თვეები ჩაათავა მოსკოვურ სამსახურში, თავისი ქმედება შეაფასა, დაეჭვდა და მიხვდა, რომ მიუტევებლად შეცდა, თავის ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი წერტილი გაანადგურა.

ამას ისიც დაემატა, რომ ალანია გადაჩვეული იყო უკვე სოციალიზმში ცხოვრებას. მკაცრი ზედამხედველობა, გამუდმებული უნდობლობა, უკმაყოფილო კოლეგები, მოსაწყენი ყოველდღიურობა – ამ ყველაფერმა ძალიან მალე სულიერი სიმტკიცე შეურყია. ჩვეულ ქოლერიკობას, რასაც კიტი ჯაშმა ასე შეუმჩნევლად მოუღო ბოლო, ისევ დაუბრუნდა. თავი შეაჯავრა თანამშრომლებს. სულ გაღიზიანებული იყო, უკმაყოფილო, მოღუშული. თანამშრომლებთან, სამსახურებრივი ურთიერთობების გარდა, დაახლოების ნებისმიერ შესაძლებლობაზე სასტიკ უარს ამბობდა. ადრეც განმარტოებას ამჯობინებდა, მაგრამ ახლა უკვე აღარ მალავდა ამას, ყოველი სიტყვით, ყოველი ჟესტით უსვამდა ხაზს.

ყველაზე უარესი ის იყო, რომ მონატრება მოსვენებას უკარგავდა. უბრალოდ, კიტისთან შინ მირბენის სურვილი ისე ხშირად და ისე უცბად მოეძალებოდა ხოლმე, რეალობას ვეღარც აღიქვამდა. საღამოობით, მით უმეტეს, კიტისთან შეხვედრის ლონდონური მოლოდინი, მოსკოვში სულ უფრო ხშირად ეუფლებოდა და მტკივნეულად განიცდიდა, რომ ეს უკვე შეუძლებელი იყო. სიზმრად სულ კიტის ხედავდა და ხშირად ეღვიძებოდა ღამღამობით აფორიაქებულს. ამ ყველაფრისგან თავის დასაღწევად ალანია ისევ დაუბრუნდა იმას, რაზეც ახალგაზრდობის მერე თავს უარი უთხრა – დაღევა განაახლა. ჯერ ღვინოს სვამდა, ცოტ-ცოტას, საღამოობით, დაძაბულობის მოსახსნელად, მერე უფრო მაგარ სასმელზე გადავიდა, თანდათან ისე შეჰყვა, დილაობით ვეღარ იხსენებდა, როგორ დაიძინა; ზოგჯერ თავის ბინაში სრულიად შეუფერებელ ადგილებში ეღვიძებოდა: აბაზანაში, ხალიჩაზე, პატარა აივანზეც კი, მხოლოდ სარეცხის გასაფენად რომ გადიოდა. შესაძლოა მოეხერხებინა კიდევ და ისე გალოთებულიყო, რომ გონება დაეკარგა, წაეშალა მეხსიერებიდან კიტიც და ლონდონიც, მამაც და ყოველგვარი იმედიც, რომელსაც მხოლოდ გაცრუება შეიძლებოდა მოჰყოლოდა, მაგრამ უეცრად ხელსაყრელმა შემთხვევამ ინგლისში გამგზავრების შესაძლებლობა მისცა. და აი, გრძნობით აღვსილი კიტი, გულითადი დახვედრა, ალერსი და სანატრელი სიახლოვე, რომელიც წილად ხვდა, როცა კიტი იპოვა. ვერ დაეჭვრებინა კიტის სიტყვები, მისი გამოჩენის გამო სიხარულს რომ აფრქვევდა.

მართალია, დარჩენილი საათები ერთმანეთის მკლავებში არ გაუტარებიათ, აღარ მისცემიან ერთმანეთს თავდავიწყებით, აღარ ყოფილა არც კოცნა, არც ვნებიანი ალერსი, ის ერთი მოგონება მაინც მთელი ცხოვრება ეყოფოდა ალანიას. აღარასდროს დაიჩივლებდა, აღარაფერს მოითხოვდა, თუმცა იმედი კი შერჩა, ან იქნებ პირველად გაუჩნდა. კიტიმ მანამდე აპატიო, ვიდრე ის პატიებას სთხოვდა, გიორგი არც კი ელოდა ასეთ ბედნიერებას: კიტი არ მოითხოვდა მისგან ახსნა-განმარტებებსა და თავის მართლებას.

ხოლო როცა მეორე დღით სამზარეულოში გიორგიმ მაინც დააპირა თავისი ამბავი მოეყოლა, კიტიმ შეანყვეტინა და სთხოვა, წარსულს თავი დავანებოთო. შენ გიცნობ, გენდობი და დარწმუნებული ვარ, სერიოზული მიზეზის გარეშე ასე არ მოიქცეოდი; მაგრამ აღარ მაინტერესებს, მაინც რატომ დაბრკოლდი. ცოტა დრო დაგვრჩენია და მინდა გული ვიტერო აწმყოთი, არც მომავალში მიმეჩქარება და არც წარსულს მივტირო.

სანაპიროზე რომ გაისეირნეს, ისევ სცადა ამაზე დალაპარაკებოდა, მაგრამ კიტის არაფრის გაგონება არ უნდოდა. ლაპარაკი არ უნდოდა. სამაგიეროდ, ხელი ჩასჭიდა და თან გაიყოლა ნამიან ქვიშაზე.

სადამოს, ლონდონში დაბრუნების წინ, ალანიამ უთხრა, რომ მას უმადლოდა თავისი ცხოვრების უდიდეს, ენით აღუწერელ ბედნიერებას. რომ მოსკოვში ცხოვრება აფრთხოვდა. მიაჩნდა, რომ მხოლოდ მისი წყალობით ინარჩუნებდა წონასწორობას წლების განმავლობაში, მთელი სიცოცხლე, იმ წამიდან მოყოლებული, როცა პირველად შეხვდა ცარიელ სადგურში. მაგრამ კიტის არც ამ აღსარებისას აუბამს მხარი. ცოტა ვისკი დაუსხა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია, არ გამოუხატავს, გაახარა ამ სიტყვებმა თუ დაამწუხრა. ისე უყურებდა, თითქოს ათასჯერ ნათქვამს ისმენდა, რაღაც ყოფითზე ელაპარაკებოდნენ.

და გიორგი ვერ მიხვდა, როგორ შეიძლებოდა ერთ ღამეში სიყვარულით აღვსილიყო, მეორე დღეს კი ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგვოდა ამ გრძნობის მიმართ. თითქოს საკუთარმა ქცევამ დააფრთხო კიტი, თითქოს შეიბოჭა.

მაგრამ რას ელოდა, განა ეს იმაზე ბევრად მეტი არ იყო, რისი იმედიც ჰქონდა აქ მოსვლამდე?

უკან რომ იხედებოდა, ასე ეგონა, თითქოს მთელი არსებით ესწრაფოდა იქ მისვლას, აუცილებლად უნდა მოსულიყო, რათა კიტისთვის გული გადაეშალა, ეთქვა ყველაფერი, რაც ასერიგად აწუხებდა და ტანჯვას უმძაფრებდა. ბოლოს და ბოლოს, ეთქვათ ის დაფარული ერთმანეთისთვის ამდენხანს რომ ვერ გაემხილათ და გათავისუფლებულიყვნენ შემოჭრილი დემონებისაგან, სულს რომ უმწარებდნენ ორივეს, როგორც უნდა დაეხასიათებინათ, როგორ უნდოდა სადამოს ერთად მსხდარიყვნენ მშვიდად და ახლად დაყენებული ჩაის სურნელით გამთბარ სამზარეულოში მხოლოდ გალახდილად

ელაპარაკათ ან თუნდაც სასეირნოდ წასულიყვნენ სანაპიროზე და ნაპირს მომწყდარი ტალღები ყოფილიყვნენ მათი ემოციების გამზიარებელნი, ეგებ თავხედობა იყო მისი მხრიდან, ხელახლა დანყების იმედი რომ ჰქონდა?

გარეთ ბინდი რომ ჩამოწვა - გიორგი ნატრობდა, იქნებ შემომთავაზოს დაძინებაო, მაგრამ ასე არ მოხდა - როცა კიტიმ ფრთხილად აკოცა ტუჩებზე. გამბედაობა მოიკრიბა, ხელი წაავლო და აიძულა შემოეხედა მისთვის, რათა ერწმუნა, რომ გზას აუცილებლად გამოძებნიდა და გვერდიდან აღარ მოშორდებოდა. კიტიმ გაუღიმა, მაგრამ უნადილოდ, თითქოს ძალა დაატანა თავს, ნაზად ჩამოუსვა ხელი ლოყაზე.

- ნადი ახლა, გიორგი, დაიძინე, - წარმოთქვა მზრუნველად.

- რა მოგდის? - ჰკითხა ალანიამ, - მითხარი, რა გემართება. მე არ მეძინება. არც ერთი წუთის დაკარგვა აღარ მინდა.

დარჩი ჩემთან, დამელაპარაკე. რამდენიც საჭიროა, იმდენ ხანს მოგისმენ. შენ თუ არ გაინტერესებს ჩემი ამბავი, მე მაინც მომეცი ნება, რომ მოგისმინო. გთხოვ.

შეევედრა.

- სიტყვები ახლა ზედმეტია, გიორგი, და ძალიანაც კარგი, რომ ასეა. უბრალოდ, აღარაფერია სათქმელი.

- სათქმელი ძალიან ბევრია, იმდენია, რომ ზოგჯერ გაფიქრებაც კი თავბრუს მახვევს. დამიჯერე, ასეთი დარწმუნებული საკუთარ თავში არასდროს ვყოფილვარ.

- რაზე უნდა ვილაპარაკოთ? კი, ადრე მქონდა ილუზია, რომ სიტყვებს რაღაცის შეცვლა შეეძლოთ, და თუ ყველაფერს იტყოდი, ყველაფერს გამოთქვამდი, შვებას იგრძნობდი, მაგრამ ეს შეცდომა იყო. შენ იმიტომ კი არ გახდი ჩემთვის ერთადერთი, სიცოცხლე რომ შემინარჩუნე, არამედ იმიტომ, ზუსტად იცოდი ჩემ შესახებ ყველაფერი და მაინც დარჩი ჩემთან. რომ ყოველი დარეკვით, ყოველი მოზომილი სიტყვითა და თანადგომით ცოტ-ცოტას მპატიობდი კიდევ.

მხოლოდ შენი წყალობით გახდა ჩემთვის სიცოცხლე შესაძლებელი, ის ყველაფერი, რაც ამას მოჰყვა, ის გზა, რომელსაც დავადექი, ის სიმღერები, ადამიანები, რომელთაც შევხვდი, მოგზაურობა, ბედნიერება, ჰო, ბედნიერებაც კი. სხვა ადამიანებთან გაზიარებული ბედნიერება. მაგრამ მკვლელი ვარ და მკვლელად დავრჩები, გიორგი, რამდენიც უნდა ვიმღერო, რა სიტყვებიც უნდა წარმოვთქვა, რამდენი ბედნიერებაც უნდა მხვდეს წილად, ამის დავინწყებას ვერ შევძლებ. პირიქით, ჩემი ცხოვრების ყოველი წელიწადი კიდევ უფრო გამიმძაფრებს ამ მოგონებას. კიდევ უფრო შემიპყრობს ეჭვი, კიდევ უფრო მომერევა ბიზლი, ნელ-ნელა ვაცნობიერებ ამას, ვეგუები, და ასე უკეთ ვგრძნობ თავს, ჰო, ასეა, რა გასაკვირიც უნდა იყოს. აღარ მეშინია, უსაფრთხოდ ვგრძობ თავს,

ჩემთვის ყველაფერი ცხადია. რადგან ასე იმას მაინც შევინარჩუნებ, კარგია, რაც გადამხდენია. – არადა, ასეთი დღეებიც ხომ მრავლად მქონია. სულ რომ ვერ წარმომედგინა, იმდენი საოცრება შემემთხვა ცხოვრების გზაზე. ამ საოცრებებს ყოველთვის გავმიჯნავ იმ საშინელებებისაგან, ცხოვრებამ რომ მარგუნა ტვირთად. მე ეს ტვირთი მართომ უნდა ვზიდო. არ ვუსაყვედურებ საკუთარ თავს, რომ არ დამიმსახურებია ეს ყველაფერი, ეს ბედნიერება, ეს ადამიანები, ეს შესაძლებლობები. ამის უნარიც შემწევს.

მისი სიტყვებით გაოგნებულ ალანიას რამდენიმე წუთიც კი დასჭირდა საპასუხოდ. აზრებს თავი ვერ მოუყარა. მოეჩვენა, რომ მთელი სამყარო აყირავდა მის წინ.

– კიტი, კიტი, გაჩერდი, გაჩერდი, რაებს ლაპარაკობ? შენ ხომ... – ტუჩები ვერ დაიმორჩილა, იმ სიტყვის წარმოთქმა ვერ მოახერხა კიტისთან მიმართებით, – შენ არავინ მოგიკლავს. მე იმიტომ ვერ დაგელაპარაკე, იმიტომ გავიქეცი, რომ სწორედ თვითონ ვარ ის, ვინც...

მაგრამ კიტიმ ისევ გააწყვეტინა:

– მე ვიცი, ვინც ხარ. ვხვდები, რა შეიძლება გქონდეს გაკეთებული. წარმომიდგენია, რად დაგიჭდა ჩემთვის სიცოცხლის შენარჩუნება. ბრმა კი არ ვარ, გიორგი. და ისიც ვიცი, მკვლელის პატიება მხოლოდ მკვლელს რომ ძალუძს. ან მკვდარს. სხვა არავის. ვიცი, გიორგი.

საიდან გაუჩნდა ასეთი აზრები? საიდან ასეთი ფატალური განაჩენის ტოლფასი თვითნაალიზი? ეს როგორ იფიქრა? ყველაზე ნათელმა და კეთილმა, ათასობით ადამიანის მიერ გაღმერთებულმა, ასეთმა გულითადმა და სიცოცხლით სავსე ქალმა, რომელზეც მთელი ცხოვრება ლოცულობდა! გიორგის ცივმა ოფლმა დაასხა. უნდოდა, ისეთივე ძალით ჩაეველო მისთვის ხელი, როგორც კიტიმ მოიმწყვდია თავის მკლავებში მათი შეხვედრის პირველივე წამებში. უნდოდა დაეხსნა იმ წყვილიადისგან, იმ წნეხისგან, ასე რომ თრგუნავდა და იმორჩილებდა. იდაყვებით ეჭირა ჯერ კიდევ, მაგრამ კიტის მზერამ, მისმა შემამფოთებელმა უდრტვინველობამ, მისმა სიმშვიდემ ერთბაშად ჩაუქრო იმედი, მაგრამ მაინც, ძალა მოიკრიბა.

მის იდაყვებს ხელი უშვა და შემოეხვია. კიტის არც უცდია აერიდებინა, მხარზე დაადო თავი. მიყუჩდნენ.

– მე აუცილებლად დავბრუნდები. და თანაც სამუდამოდ, – ჩურჩულით აღმოხდა გიორგის.

– ვერ შეიძლება.

– ხომ იცი, როგორი შეუპოვარი ვარ, ჩემთვის არაფერია მოუხელთებელი, – ხუმრობა სცადა.

– ჰო, რასაკვირველია.

- არ გაქვს ასე ფიქრის უფლება, - კიტის გამხნელება მოინდომა, მაგრამ მოეჩვენა, რომ სასაცილოდ და საცოდავად წარმოთქვა სიტყვები. ახლაც ვერაფერი მოაფიქრდა.

- ჩემზე ნუ ნაღვლობ, გიორგი. ხომ გითხარი, კარგად ვარ-მეთქი. მართლა კარგად ვარ.

- რაღაც უნდა გთხოვო, კიტი.

- ოღონდ შემეძლოს და სიამოვნებით შეგისრულებ ყველაფერს.

უჩვეულოდ ხალისიანი იყო იმ დილას.

- არ დაივინყო ეს სიტყვები, რასაც ახლა გეტყვი, დაუდევრად ნუ მოეკიდები, საჩემოდ გაუფრთხილდი, შენგან შორს მყოფი, იმედიანად უნდა ვიყო. ვიცი, ბევრი ადამიანი გიყვარს, ბევრს - უყვარხარ, მე კი - შენ გარდა არავინ მყავს.

თვითონაც გაუკვირდა, ისე იოლად წარმოთქვა ეს თხოვნა, სრულიად გასაგებად და ლოგიკურად.

კიტიმ თანხმობის ნიშნად გაუღიმა და თავი დაუქნია.

უცნაურია, მაგრამ იმ დილას გული რაღაცას უგრძნობდა. თითქოს რაღაცას ელოდა იმ დღეს.

რაღაც ახალს, უჩვეულოსა და ამაღელვებელს. გაზეთების საყიდლად კიოსკში ჩავიდა. ლონდონის დაძაბულ ცხოვრებას გადაჩვეულს, თავისი აგარაკის სიმშვიდე ხიბლავდა. მართლობით ტკბებოდა და ემის სთხოვა, რამდენიმე დღე მადროვე, სანამ ისევ სტუდიებსა და პროდიუსერებზე დავინწყებ ფიქრსო. გაზეთში ამოიკითხა, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივნის თანამდებობა ვინმე გორბაჩოვმა დაიკავა. ამ ახალ ამბავს საბჭოეთიდან, გაზეთები რომ დიდი აჟიოტაჟით აშუქებდნენ, კიტი გულგრილად შეხვდა. მიჩვეული იყო, რომ ისინი მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მაგრამ არაფერი იცვლებოდა. გაზეთი გვერდზე გადადო და თავის მცენარეებთან გადაინაცვლა აივანზე.

რამდენჯერ ურჩია ემიმ, რომ უფრო დიდი ბინა ეყიდა ან სულაც სახლი, ფული კი ჰქონდა. მაგრამ რაში სჭირდებოდა სხვა გარემო. ლამაზი მოგონებებით სავსე სახლი რატომ უნდა დაეთმო და დაბინავებულიყო ახალსა და უფრო მოზრდილში, რომელიც თავიდან იქნებოდა სიცოცხლით ასავსები.

და როცა კარზე ზარი გაისმა, მიხვდა, რომ დილიდანვე შფოთვა ტყუილად არ აჰყოლია.

- ისევ მაქვს სახელოსნო. ისევ ვმუშაობ. ხატვასაც კი ვასწავლი, წარმოგიდგენია? - შესძახა ზღურბლიდანვე. აშკარად ეტყობოდა, კბილები ჩაენიკნიკებინა. ცოტა მოფერიანებულიც ჩანდა, თუმცა ისევ ავადმყოფურად გამხდარი იყო, წითელი თმა კი, აქა-იქ ჭაღარაშერეული, ისევ უბრწყინავდა.

კიტიმ სტუმარი არ შეიპატიჟა შინ. ჩანს, ფრედიც არც ელოდა ამას.

- მალე გამოფენა მექნება და მინდა ვერნისაჲზე მოხვიდე, - დასძინა. მერე ჩუმად დააყოლა: - ხომ არ გინდა, რამე იმღერო იქ ჩემთვის?

- რად მინდა? - იკითხა კიტიმ სკეპტიკურად.

- სუფთა ვარ, - უპასუხა ფრედმა, თითქოს კიტის სიმღერა წარმატებული თერაპიის ლოგიკური საფასური იყო.

- ძალიან დავბერდი ყველაფრის თავიდან დასაწყებად, - თქვა კიტიმ და თვითონაც ვერ მიხვდა, რისთვის თქვა ეს.

- თავიდან დაწყების არ მნამს, დაგავინყდა? სამაგიეროდ, შენი მნამს. და შენი ხმის.

გაიღიმა. კატის თვალები გაუნათდა. ჰო, ცოცხალი იყო. გადარჩა და ახლა მის წინ იდგა და სურდა, რომ კიტის მისთვის ემღერა. ამ გადარჩენის აღსანიშნავად. იქნებ მართლაც ასე უნდა მოქცეულიყო, სიცოცხლისთვის ემღერა. როგორიც უნდა ყოფილიყო. მკვლელებით სავსე და საკლასო ოთახებით სავსე, მოტყუებულებითა და ჭირისუფლებით სავსე, აზრს მოკლებული სიტყვებით, ჭრილობებით და შემთხვევითობებით, კოცნითა და ზიზღით სავსე. ჯანდაბას, იფიქრა კიტიმ. იქნებ მართალიც იყო ფრედი, როცა ამტკიცებდა, შეუძლებელია გულის ჩაკეტვა საკანივითო.

- მოვიფიქრებ, - უთხრა და სანამ კარს დაკეტავდა, სახეზე ღიმილი მოეფინა.

სამი დღის შემდეგ კიტი ჯაშმა ანდრო ერისთავი დაინახა. ინტერვიუმე მიდიოდა ქალაქის ცენტრში მანქანით და ფანჯრიდან ცხადად და გარკვევით დაინახა ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. ტაქსის მძღოლს უკვივლა, ახლავე გამიჩერეთო. მანქანიდან გადახტა და ქუჩა ისე გადაირბინა, რომ არც მარჯვნივ გაუხედავს და არც მარცხნივ. მაგრამ ამასობაში ანდრო გაუჩინარდა და კიტი მიხვდა, რომ მის ძებნას აზრი არ ჰქონდა. დარწმუნებული იყო, რომ თვითონ გამოჩნდებოდა, როცა დრო მოვიდოდა.

- უკაცრავად. არ მინდა თქვენი შეწუხება, უბრალოდ...

გაგვაჩერა შუა ქუჩაში ხავერდის შარვალსა და ყვავილებიან პერანგში გამოწყობილმა ხანდაზმულმა მამაკაცმა. სკოლიდან მოვდიოდით, დარია ტროლეიბუსით უნდა წასულიყო თავის აკრობატიკაზე, მე კი მეტროთი - დავითის სახელოსნოში. ასე რომ, ყველაზე ნაკლებად ხავერდის შარვლიანი, ასაკოვანი, დარიას სხვადასხვა ფერის თვალებით აღფრთოვანებული კაცები გვჭირდებოდა.

- ძალიან გვეჩქარება, ბოდიშს გიხდით... - შევანწყვეტინე.

- სულ ორი წუთით, ძალიან გთხოვთ. მე სცენარისტი ვარ. კოტე ლაცაბიძესთან ვმუშაობ. ახალ ფილმს იწყებს და ჯერ კიდევ ეძებს მსახიობს, რომელიც... მობრძანდით ხვალ სტუდიაში გასაუბრებაზე, გთხოვთ.

ნაჩქარევად დანერა მისამართი თავისი წიგნაკის ფურცელზე და ჩემს დას ჩაუკუჭა ხელში.

- ზუსტად თქვენნაირს ეძებს! - დაგვემშვიდობა და გაქრა.

ქუჩაში დარჩენილები ბარათს მივაჩერდით. კოტე ლაცაბიძეზე გვსმენოდა. ალევო და მისი მეგობრები ხშირად ახსენებდნენ. იმედისმომცემ რევისორად იყო მიჩნეული, ორი მოკლემეტრაჟიანი და ერთი მხატვრული ფილმი გადაეღო, რამდენიმე მწვავე და გახმაურებული დისკუსია რომ მოჰყვა, რადგან ლაცაბიძე რადაცნაირად დაუსხლტა ცენზურას და უცხოეთში დიდი აღიარება მოიპოვა. თუმცა მისი ფილმი არ მქონდა ნანახი.

დარიას სახე გაუბრწყინდა ცნობისმოყვარეობით, მე კი ეჭვის თვალით შევხედე ამ ამბავს. ასე პირველ შემხვედრს ვინ აჩერებს-მეთქი შუა ქუჩაში? მსახიობი ქალები შემოაკლდათ ქვეყანაში თუ რა? დარიამ მხრები აიჩეჩა და ბარათი სკოლის ჩანთაში შეინახა, ვერ შეატყობდი, ამჯერად რა გაიფიქრა. გაჩერებაზე კიდევ ერთხელ დაველაპარაკე ამაზე, მაგრამ ისევ მხრები აიჩეჩა, ასე რომ, აზრი აღარ ჰქონდა, მაინც არაფერს მეტყოდა.

მეორე დილას, როცა კოსტიას მძლოლმა მოგვაკითხა და დარია ვერ ვიპოვეთ, უცებ გუშინდელი შეხვედრა გამახსენდა. მართლა გასაუბრებაზე ხომ არ წავიდოდა დაუკითხავად-მეთქი? რა თქმა უნდა ჩვენებთან სიტყვა არ დამცდენია, პირიქით, ამბავი შევთხზე, ვითომ მოულოდნელად მოუწია თავის თანაკლასელთან წასვლა საკონტროლოს მოსამზადებლად. მერე კი თითქოს დარევა, უკვე გვიანია, ამიტომ ელენესა და ალევოსთან დავრჩები და დილით აქედან წავალ სკოლაშიო. გაბრაზებულმა კოსტიამ აიკლო სახლი. დარიას უკვე დაეწყო ციკლი, პატარა მკერდი გამოეკვეთა, ასე რომ, კოსტიამ კიდევ უფრო გააძლიერა ზედამხედველობა. ისედაც ყველამ იცოდა, რომ თანაკლასელი ბიჭების უმრავლესობა დარიას ეტრფოდა. დავურეკე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად სტუდიაში წავიდა. მეორე დილას, სკოლაში მისვლისთანავე გოგოების ტუალეტში შევათრიე და გამოვკითხე.

- მე შენ ხელი დაგაფარე, ასე რომ, ვალდებული ხარ, მითხრა, რა ხდება! - დავჩხავლე.

- მართალია, მივედი. და წარმოიდგინე, კიდევ ერთხელ დამიბარეს ამ საღამოს. ლაცაბიძეც იქ იყო და სულ მიღიმოდა. ოღონდ ამჯერად რომელიმე მშობელი უნდა მივიყვანო.

იმედით სავსე თვალებით შემომცქეროდა. ისევ ვერ მივხვდი, მართლა დაინტერესებული იყო ფილმში ეთამაშა, თუ უფრო ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, მოიწონებდნენ თუ არა. მანამდე მსახიობობის ამბიცია არ ჰქონია. თუმცა ჩემი დის სიურპრიზებს რა გამოლევდა.

- რა გაგაკეთებინეს? - ვკითხე მე.

- ტექსტი წამაკითხეს. კამერაში უნდა შემეხედა და რაღაც წარმომედგინა.

- რა უნდა წარმოგედგინა?

- რომ ჩემი მეგობარი დაიჭირეს.

- რაზეა ფილმი? - აღარ მოვეშვი.

- ერთ ტიპზე, რომელსაც ფილმის გადაღება უნდა, მაგრამ საშუალებას არ აძლევენ, მოკლედ, რაღაც პოლიტიკურია.

- ააა. და დედამ რაო?

- დედას მაინცდამაინც არ მოეწონა ეს ყველაფერი, ჯერ თვითონ აპირებს, ჩემ გარეშე მივიდეს და გაარკვიოს. მაგრამ ყველა ამბობს, რომ ის ტიპი გენიოსია, ალექსომაც ასე თქვა, განუმეორებელი შანსიაო.

- და კოსტია?

- რა კოსტია?

სკოლის ბარმა გაგვაყრუა, დარია კარისკენ გაიქცა.

- თავს ნუ ისულელებ რა კოსტია? - გამოვაჯავრე.

- კარგი რა, ნუ ჩამამხამებ ახლა, რამეს მოვეხერხებ. ხომ წარმოგიდგენია, ლამაზ რამეებს ჩამაცმევინ, მაკიაჟს გამიკეთებენ, უკეთესად გამომაჩენენ. ჩემი საგრიმიორო მექენბა და იქნებ ბიჭის კოცნაც კი გახდეს საჭირო, - გადაიკისკისა დარია, როცა წარმოიდგინა თავისი მეგობრების შურისგან ფერწასული სახეები, უცნაურად დაიმანჯა და ტუალეტიდან გავარდა.

სკოლის მერე დედასთან წავედი. ორივენი - ელენეც და ალექსოც - ადელევებულ-აფორიაქებულები დამხვდნენ.

ელენე იძახდა, მამაჩემთან კინკლაობის თავი აღარ მაქვსო, ალექსო არწმუნებდა, ვცადოთ მაინცო. ბოლოს ერთად წავიდნენ სტუდიაში. მეც უცნაურად ვღელავდი და მოუთმენლად ველოდი როდის დაბრუნდებოდნენ.

ლაცაბიძემ განუმარტა დედას, რომ ფილმში მოქმედება თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვითარდებოდა და, გარკვეულწილად, სისტემის კრიტიკას შეიცავდა, მაგრამ ისეთ შეფარულს, რომ არ აეკრძალათ. რომ მისი შთაგონების წყარო კინოფაკულტეტის ერთი ყოფილი სტუდენტი გამხდარა, რომლის მიერ გადაღებული ფილმი სადღაც გამქრალა, დამწყები რეჟისორი კი ციხიდან აღარ გამოსულა და ასე შეუწირავს თავისიდეალებს. ფილმის რეჟისორს ისიც უთქვამს, რომ ის სტუდენტი მაგალითი იყო მთელი მისი თაობისთვის. და თანაც, რომ მისი სცენარი საკმაოდ განსხვავდებოდა რეალური ამბისგან, მაგრამ ჩახედული ადამიანები მაინც იპოვიდნენ მინიმუმებს, რომ მიმხვდარიყვნენ, რაზეა ფილმი. თანაც მისი ფილმის სიუჟეტი შემოქმედებით კრიზისში მყოფ კინორეჟისორზეა. იქ დიდი როლი უნდა შეესრულებინა მის ოჯახს, მის სამეგობროს. და მის მუხას. სწორედ ამ როლში ხედავდა დარიას.

ელენე კინალამ მოკვდა.

- მიქა ერისთავს გულისხმობთ?

ლაცაბიძემ თავი დაუქნია.

- კი, მიქა ერისთავს, იცით ეს ამბავი? მაშინ მთელმა თბილისმა შეიტყო, რაც მოხდა. და ხმა არავინ ამოიღო, იმის ნაცვლად, რომ ქუჩებში გაცხვნილიყვნენ. ესა ვართ, რაცა ვართ, კომუნისტები და კონფორმისტები.

- და რატომ მაინცდამაინც ჩემი შვილი? რატომ მსახიობი არა? დარია ხომ ჯერ ძალიან პატარაა და სრულიად გაუთვითცნობიერებული, - ჰკითხა ელენემ ლაცაბიძეს, თავს ძლივს იკავებდა.

- მერწმუნეთ, ძალიან ბევრი მსახიობი ვნახე, სხვადასხვა ქალაქი შემოვიარეთ ტალანტების ძებნაში. ყველა მთავარ როლს, რაღა თქმა უნდა, პროფესიონალები შეასრულებენ, - და მან რამდენიმე ცნობილი სახელი ჩამოთვალა, - მაგრამ ანას როლზე გამოკვეთილი ტიპაჟი მჭირდება. სიზმრიდან გადმომხტარს უნდა ჰგავდეს. ერთმა კოლეგამ მიაშობო თქვენი ქალიშვილის შესახებ, ასე მითხრა, ენა ჩაგივარდება, ისეთი ლამაზიაო, კარგი-მეთქი, ისე დავთანხმდი, სხვათა შორის, მაგრამ როცა დარია შემოვიდა, ყველამ, ვინც აქ იყო, ერთბაშად აღიარა, რომ ის არის, ვისაც ვეძებდით. თანაც მასთან ორიოდ საათის მუშაობის შემდეგ, უნდა გითხრათ, რომ მართლა დავრწმუნდი, მართო ლამაზი კი არა, გამორჩეულად ნიჭიერიცაა. წარმოუდგენლად ფოტოგენურია.

ლაცაბიძე ცდილობდა ელენეს დაყოლიებას, არწმუნებდა, გადაღებები დარიას მხოლოდ ზამთრის არდადეგების დროს ექნება და ცხადია, მის გვერდით ყოველთვის იქნება ვინმე, ვინც მზრუნველობას არ მოაკლებსო.

- თქვენს შვილს კარგად მოვამზადებთ, ტექსტზე ვამუშავებ, არ გაუჭირდება, მეც მყავს შვილი და ვიცი, როგორები არიან გოგოები ამ ასაკში, ყურადღება სჭირდებათ.

ელენეს ენა ჩაუვარდა, მუხლებმა უმტყუნა, იძულებული გახდა, ალექოს დაყრდნობოდა სტუდიიდან გასვლისას. ქუჩის გასწვრივ, სკვერში, ჩამოსხდნენ სკამზე. ალექო დაბნეული შესცქეროდა, ცდილობდა ენუგეშებინა, ეკითხებოდა, რა დაგემართა, ასეთი უცნაური რეაქცია რატომ გქონდაო. მაგრამ ელენე მხოლოდ თავს იქნევდა, თითქოს ვერ იჯერებდა, და ხელებს იფარებდა პირზე, რომ არ ეყვირა. ალექოს სთხოვა, ცოტა ხნით მართო დამტოვე, მოგვიანებით დავბრუნდები შინო.

ავტობუსში ჩაჯდა. საპროექტო ინსტიტუტთან ჩამოვიდა, შემინული კარი შეაღო, ფართო ჰოლი დაუკითხავად გაიარა. და ლიფტით მეთათე სართულზე ავიდა.

ლანა სამ თანამშრომელ ქალთან ერთად დიდ ნახაზს ჩაჰკირკიტებდა და ფანქრის ბოლოს კვნიტდა. ჯაჭვზე ჩამოკიდებული დიდი

მუქარჩოიანი სათვალე მკერდზე სწვდებოდა. სახე ასწითლებოდა დაძაბულობისგან. უცებ ვერც შეამჩნია ელენე.

- ვა, რა სიურპრიზია. რას უნდა ვუმაღლოდე? - მიმართა ჩვეული ირონიით. მერე კოლეგებს უთხრა, ათი წუთი შეისვენეთო, სათვალე მოირგო, თმა გაისწორა, ფანჯარა გააღო და ყავის მოდუღებას შეუდგა.

- რა არის ახალი? რაღაც... ფერმკრთალი მეჩვენები, - დაასკვნა.

- სალაპარაკო მაქვს შენთან.

- სმენად ვარ ქცეული.

და ელენემ უამბო, რაც შეემთხვა, ჯერ კიდევ აღელვებული უყვებოდა ლაცაბიძეზე, მის ფილმსა და დარიაზე, როგორ მივიდა იქ ალექოსთან ერთად ისე, რომ არაფრის აზრზე არ იყვნენ და უკვე იქ შეიტყვეს, რომ ფილმი ეძღვნება მიქას, მის სადებიუტო ნამუშევარს და აგორებულ სკანდალს, მაშინ მთელი ქვეყანა რომ მოიცვა. და ისე გადანწყიტეს, რომ მის არასრულწლოვან შვილს მუზის როლი შეესრულებინა!

ლანა მშვიდად უსმენდა. უხმოდ განაგრძო ყავის მოდუღება.

- ახლა გამახსენდა, ლაცაბიძე მეც დამიკავშირდა ერთი-ორი თვის წინათ, ინტერვიუ უნდოდა. როგორც თვითონ თქვა, პირადი მოგონებები მიქაზე, თუ რაღაც მსგავსი. მაშინ ვიფიქრე, აქედან არაფერი გამოვიდოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, თავისი გაიტანა ბიჭმა. არ მეგონა!

ყავა ორ პატარა ფინჯანში ჩამოასხა.

- სულ ეს არის, რისი თქმაც შეგიძლია?

- ჰო, აბა, შენ რა იფიქრე? რომ წინააღმდეგი ვიქნებოდი? განა ეს რამეს შეცვლის? თუ ჩემი ქმრის გახსენება უნდათ, გაიხსენონ. იმედია, თვითონაც გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდებიან. ჩემთვის ყველაფერი სულერთია. შენ გგონია, მისი დაკრძალვით ყველაფერი დასრულდა? შენ მისი ცოლი არ ყოფილხარ, ელენე. არ გაგიჩენია მისგან შვილი. მან დაიმსახურა, რომ მასზე ილაპარაკონ, რომ გაიხსენონ...

ელენე უკვე ნანობდა, საერთოდ რომ მივიდა მასთან. რისი იმედი ჰქონდა? რისი თქმა უნდოდა ლანას ამით - მისი ცოლი არ ყოფილხარო! მაინც რა უნდოდა? შურისძიება? ერთგვარი დაკმაყოფილება? სამართლიანობის აღდგენა?

ელენე ზოგჯერ ახერხებდა და კვირების განმავლობაში არ ფიქრობდა მიქაზე. თავიანთი ბავშვობის ეპიზოდებზე, მოულოდნელად რომ წარმოუდგებოდა თვალწინ, მცხეთაში ატეხილ ცემა-ტყეპაზე, ლანასთან ერთად მთაში ასვლაზე, უბადრუკ დასასრულზე, მის დაკრძალვაზე. მაგრამ ზოგჯერ მოგონებები ისევ ბრუნდებოდნენ, ურიცხვად აწყდებოდნენ მის ტვინს საშინელი გუგუნით, რაც თითქმის ყოველთვის თავის ტკივილით მთავრდებოდა.

- დედაჩემია ძალიან ცუდად. საავადმყოფოში უნდა წავიდე, - თქვა ლანამ და ფიქრებიდან გამოაფხიზლა ელენე.

- მაპატიე, არ ვიცოდი, რატომ არ... შემძლია მიროს მივხედო, შენ თუ...

- ქრისტინე მეხმარება. უმეტესად მასთან არის მირო. აღმერთებს. მეტი ბოსტნეული უნდა ჭამო, მართლა ძალიან ფერმკრთალი ხარ, მეტი ვიტამინები და მეტი მზე გჭირდება, - მიაძახა ლანამ ლიფტში შესულ ელენეს.

დარია ევედრებოდა, ტიროდა, ყელზე ეკიდებოდა, ეხვეწებოდა, ჰპირდებოდა, უკეთ ვისწავლიო, დარიას ძალიან უნდოდა ამ ფილმში გადაღება. ალევო მხარს უჭერდა, არწმუნებდა ელენეს. ლაცაბიძე პოპულარულია, კინოს სამყაროში უამრავ ხალხს იცნობს, ყურადღებას არ მოაკლებენ დარიას; მნიშვნელოვანი პროექტია, ხელს ნუ შეუშლი და თანაც, ამას არავითარი კავშირი არ აქვს იმ ერისთავთან, თვალწინ რომ გიდგას, ეს ხელოვნებაა და არა ქრონიკაო. ორი დღე მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ. ალევო დაჰპირდა, თუ საჭიროა, კოსტიას მე დაველაპარაკები, რომ მისი რისხვა მართო შენ არ დაგატყდესო. ამასობაში მე ვიჭეჭი ჩემთვის კუთხეში, ბრინჯის ფაფას ვჭამდი, რომელიც მეზობლებოდა, და გაოცებული შევყურებდი დარიას, როგორი დარწმუნების უნარი ჰქონია-მეთქი.

ასე კიტის არასდროს უძღვრია. თითქოს საკუთარ სისხლს ეალერსებოდა ძარღვებში, დასასრულით ტკებოდა, თითქოს საზღვრების გახსნით ხარობდა.

შავ კაბაში გამოწყობილი მივიდა გალერეაში, ჩუმად იდგა ფრედის სურათებთან დიდხანს, ბოლოს საგანგებოდ მისთვის გამართულ პატარა სცენაზე ავიდა და მიკროფონი მოიმარჯვა. ტრადიციულ თეთრ პერანგსა და შავ შარვაღზე უარი რომ თქვა, ეს ექსპერტებმა მისი სიმღერების გარდასახვად მიიჩნიეს.

კიტიმ ჯერ მხატვარს მიულოცა ვერნისაჟი, აღნიშნა, როგორი მუხტი მოდიოდა მისი სურათებიდან, მერე კი სიმღერები შეასრულა ალბომიდან „შინ“.

კიტის შესრულება - და ეს შენ ჩემზე უკეთ იცი, ბრილვა, - უფრო თავშეკავებული მანერით გამოირჩეოდა, რაც ხშირად იწვევდა მის კრიტიკას, განსაკუთრებით, მუსიკოსთა ახალი თაობის მხრიდან. უჩვეულოდ მკაცრიც კი იყო სცენაზე, ექსტაზში არ ვარდებოდა, მეტისმეტად მონესრიგებული ხმა ჰქონდა, მის ტექსტებსა და მელოდიებს ენიჭებოდა უპირატესობა და არა მის არტისტიზმს, თავისი სიმღერების ჩრდილში იმალებოდა.

მაგრამ იმ საღამოს სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა (ყველაზე კარგად ეს ახსნილია 1988 წელს „როლინგ სტოუნზში“ დაბეჭდილ ემის ინტერვიუში, სწორედ იმ ნომერში, რომლის ყდაზეც იყო გამოსახული

კიტი ჯაში, შვიდგვერდიანი სტატიისათვის არ დაინანეს ადგილი). ემის თუ დავეუჯერებთ, იქ დამსწრე პუბლიკისთვის ეს ყოფილა ნამდვილი „სულის სტრიპტიზი“. ვერნისაჟის მანამდე თავშეკავებული, მერე კი გაოცებული დამთვალეიერებლები რამდენიმე წუთში თითქოს ველურ ფერხულში ჩაებნენ, თავებს და კიდურებს იქნევდნენ, ზოგიერთს კი, და ასეთები არც ისე ცოტანი ყოფილან, ღვარღვართ ჩამოსდიოდა ცრემლი სახებე.

გამიშვლებულივით იდგა კიტი მათ წინაშე და ყველას ტანსაცმლის გახდა მოუნდა, დაუცველებსა და შეუმოსავეებს მთელი არსებით რომ აღეჭვათ მისი სიმღერები.

იმ დარბაზში ყველა ხვდებოდა, რომ რაღაც განუმეორებელს შეესწრნენ. ფოტოგრაფები, რომლებიც იქ მხოლოდ კიტი ჯაშის გამო მისულიყვნენ და არა თითქმის მივიწყებული, ერთ დროს იმედის მომცემი ავსტრიელი მხატვარი ქალის გამო, მარჯვედ ცდილობდნენ სასურველი კადრები აღებეჭდათ. კიტის ხმა კი ჭექდა, მოციმციმე ფოტოაპარატებს ასკდებოდა და ლაღად განაგრძობდა თავის კერპთაყვანისმცემლურ ბეიმს, თითქოს კამერები კიდევ უფრო სძენდნენ თავნებობის ხალისს.

როცა გაჩუმდა, წუთზე მეტ ხანს დადუმებულა დარბაზი, მერე კი, თურმე, იქუხა ტაშმა.

ერთიანად გამოწურულს და ოფლით დაცვარულს, ძლივს გაუგნია გზა სცენიდან. მაყურებელთა ტაში და კივილ-წივილი მიაცილებდა და ისე გასულა გარეთ. იქ ემის მოუნდომებია უკან დაებრუნებინა, კიტის კი მხოლოდ გაუღიმა და უთქვამს, ანდრო დავინახეო, ჩემ გამო დაბრუნდა და ამ საღამოს სწორედ მისთვის და ფრედისთვის ვმღეროდით. ცხადია, ემის წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისზე ლაპარაკობდა კიტი, უბრალოდ, თავი დაანება და შამპანურების ბათქაბუთქში მისი ბოლო სიტყვებიც ველარ გაარკვია.

დარიას ტყუილის თქმა მშვენივრად გამოსდიოდა, მით უმეტეს, კოსტიასთან, ამიტომ გადანყვიტა, რამდენიმე დღე დედასთან დარჩენილიყო სტუდიაში ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ეზიზღებოდა ის პატარა ბინა და თავისი სახლის ჩვეულ კომფორტს ძლივს ელეოდა, კოსტიას უთხრა, მძიმე კვირა მენწყება აკრობატიკის კურსებზე და აქეთ-იქით სიარულში დროს თუ არ დავკარგავ, უკეთ მოვემზადებო.

ერთადერთი ბავშვი დავრჩი მწვანე სახლში, რაც ჩემთვის უჩვეულო იყო. მთელი კვირა მეჩვენებოდა, თითქოს დებმა როლები გავცვალეთ. როგორც წესი, თბილისში მე ვრჩებოდი ხოლმე და არა – პირიქით. მაგრამ როცა პირველი უხერხულობა დავძლიე, თანდათან მომეწონა კიდევ. შემეძლო გვიანობამდე ტელევიზორის ყურება კოსტიასთან ერთად, გადაცემების არჩევა, საუბრებზე კვერცხს ზუსტად სამი წუთი მიხარშავდნენ და არა ხუთი წუთი, როგორც დარიას უყვარდა.

კოსტიამ, რომელსაც დიდი ხანია ცუდს უგრძობდა გული, გამოკითხვა მომიწყო. ჯერ დედასა და ალექსოს ყოფა-ცხოვრებით დაინტერესდა, მერე სკოლის სიტუაციაზე გადავიდა, ბოლოს დარიას მეგობრებს გადასწვდა. გაგრის იმ ღამის მოვლენების მერე, იმ დილის მერე, როცა რუსა საავადმყოფოდან გამოიყვანა და მაჯებგადახვეული მიიყვანა სადგურზე, პირისპირ აღარ დავრჩენილვართ. ჩვენი ურთიერთობა ჩვეული ყოველდღიურობით იფარგლებოდა, და თუმცა კარგად მესმოდა, რატომაც აღარ უცდია ჩემთან დაახლოება, მაინც კმაყოფილი ვიყავი. მომწონდა, ყურადღებას რომ მითმობდა, მომწონდა, ზრდასრულივით რომ მექცეოდა, ისეთი გრძობა მეუფლებოდა, რომ ჩემზე იყო დამოკიდებული, უფრო სწორად, იმაზე, რაც ვიცოდი, და ესეც მომწონდა.

იმ დილას შეუძლოდ გრძობდა თავს, გაციებული იყო და შინ დარჩა. როცა თავის მძღოლს შეატყობინა, არ გამომიაროო, მერეღა გაახსენდა, რომ მე სკოლაში ვიყავი წასასვლელი, მაგრამ, სანამ მოისაზრებდა, როგორ გავეშვი თბილისში, შევთავაზე, ერთი დღე სკოლას გავაცდენ და შენთან დავრჩები, მოგივლი-მეთქი. ნანა უკვე სამსახურში იყო წასული, სტასია კი თავის ფარდულში გაუჩინარებულიყო. სულ არ ველოდი, მაგრამ შეთავაზება მიიღო და ისევ ლოგინში ჩაწვა, ოღონდ მანამდე დანვრილებით ჩამომითვალა, რა უნდა მიმეტანა მისთვის. ლიმონი გავამზადე, ცხელი ჩაი დავუსხი, თერმომეტრი გამოვიღე წამლების უჭრიდან და სანოლზე ჩამოვუჭექე. არც ამის წინააღმდეგ წასულა.

“ცხოველთა სამყაროს” ვუყურებდით ტელევიზორში. მაგარ ჩაის ვსვამდით, ის მატყლის საბანში გახვეული, მე კი – ჩემს პიჟამაში. გადაცემა ზღვის ძუძუმწოვრებზე იყო და კოსტიამ მოულოდნელად ზღვასა და დელფინებზე დაიწყო ლაპარაკი, რომლებიც თავისი მოგზაურობების დროს ენახა. დელფინების გემები მოაყოლა, მერე კი ლენინგრადი და თავისი სტუდენტობა გაიხსენა. მოჭადოებული ვუსმენდი, კიდევ დიდხანს მოვუსმენდი მის ნაამბობს და უცხო სამყაროებში გავატაცებინებდი თავს, ტელეფონს რომ არ აეტეხა რეკვა. ავდექი და აპარატი მივუტანე. რაკი არ მანიშნა, ოთახიდან გავსულიყავი, იქვე დავრჩი და ზღვის ცხოველების ყურება განვაგრძე. ბევრი არაფერი უთქვამს, ერთი-ორჯერ იკითხა რალაც, რამდენჯერმე გაიმეორა „ჰმ, ჰმ“ და „ჰო, მესმის“, მერე ყურმილი დადო. შემფოთებული ჩანდა. ცოტა ხანს იწვა ასე, მერე უცებ წამოდგა და აბაზანის ხალათი მოიგდო მხრებზე.

- ყველაფერი რიგზეა? – დავეკითხე.

- ერთი დღე არ მივედი სამსახურში და უკვე აღარ იციან, რა უნდა ქნან.

- უნდა წახვიდე? – იმედგაცრუება დამეუფლა.

- არა, მაგრამ სტუმარი მეყოლება. არ უთქვამთ, ვინ არის. უბრალოდ, მოიძორეს და გამოუშვეს, თითქოს ბორდელი იყოს აქ! - აღშფოთდა და ხველა-ხველით დაიწყო კარადაში შესაფერისი ტანისამოსის არჩევა.

- წესიერად ჩაიცვი. ოფიციალური სტუმარი მოდის და ბებიამენს უთხარი, გაიხადოს ის საშინელი რეზინის ბოტები და კიტელი.

უხალისოდ შევასრულე, რაც მოითხოვა და სკოლის ფორმა ჩავიცვი, უკეთესი ვერაფერი ვიპოვე, ოღონდ მანუეტები და გიპიურის საყელო მოვაძრე, სტასია რომ მირეცხავდა ყოველდღე, და თეთრ წინსაფართან ერთად მივკეცე. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ შავი „ვოლგა“ მოადგა ებოს. კოსტია კიბებზე ჩავიდა და ბალის შესასვლელთან გაჩერდა. მე აივნიდან გადმოვყურებდი და დაინტერესებული ვადევნებდი თვალს. ჯერ ორი მილიციელი გადმოვიდა, მერე გრძელსაწვიმრიანი კაცი, რომელიც ხშირად მოსულა კოსტიასთან, მწვანე სახლში. წამით ცალკე გაიხმო ბაბუაჩემი, რომელიც მხოლოდ თავს უქნევდა, თუმცა ისეთი განცდა მქონდა, რომ მაინცდამაინც ვერ ხვდებოდა, რას ითხოვდნენ მისგან. ბოლოს, აშკარად გაღიზიანებულმა იმით, რომ გამოჯანმრთელება არ აცალეს და რაღაცები დაავალეს, საწვიმრიანი კაცი გვერდზე გასწია და „ვოლგასთან“ მივიდა, წინა კარი გამოაღო. პირველი, რაც დავინახე, იყო მეტალის ჯოხი, მერე ქალის ხელი, რომელიც კოსტიას ხელს მოეჭიდა, მერე მაღალქუსლიანმა ფეხსაცმელმა ფრთხილად მოსინჯა მინა. მხოლოდ ამის შემდეგ გადმოვიდა თეთრთავსაბურავიანი, დახვეწილ ლურჯ ბუკლეს სამოსში გამოწყობილი ქალბატონი. რომელიღაც მსახიობს ჰგავდა ფილმ „ნუარიდან“, „კაბრიოლეტს“ რომ მიაქროლებს სადღაც, მონტე-კარლოს სანაპიროზე და საეჭვო გარეგნობის მამაკაცი რომ ასდევნებია. როცა ყოყმანით მიუბრუნდა კოსტიას და უზარმაზარი შავი სათვალე დავენახე, მიხვდი, რომ სტუმარი ბრმა იყო.

ისე იყო შენიღბული, ვერ იტყოდი, რა ასაკის იქნებოდა. კოსტიას ტოლიც შეიძლებოდა ყოფილიყო და მასზე ცოტა ახალგაზრდაც. ჩემი არ იყოს, კოსტიაც გაკვირვებული ჩანდა. აშკარად პირველად ხედავდა იმ ქალს, რადგან ახალგაცნობილებივით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, მერე კი კოსტიამ ერთი-ორი სიტყვა გადაულაპარაკა საწვიმრიანს და სახლისკენ წამოიყვანა ქალი, რომელმაც განაფულად მოიმარჯვა ხელჯოხი და კოსტიას განვდილ მკლავს არც კი დაეყრდნო. როცა აივანთან მოაღწიეს, სადაც მე ვიდექი და ვერ ვხვდებოდი, უნდა გამოვჩენილიყავი თუ არა, ქალმა იკითხა, კიდევ ვინ არის აქ ჩვენ გარდაო. დაბნეულმა ბაბუაჩემმა წარმადგინა, ის კი მომიახლოვდა, ოღნავ დახარა ჩემკენ თავი, ალერსიანად გაიღიმა და ხელი გამომიწოდა.

- ესე იგი, ნიცა გქვია, გამარჯობა, მე იდა ვარ.

იდა რუსულად ლაპარაკობდა რაღაც უცხოური აქცენტით. მისი სახელის გაგონებაზე კოსტია შეკრთა. მაგრამ ხმა არ ამოუღია, სასტუმრო

ოთახის კარისკენ გაუძღვა და ბოლოს თავის კაბინეტში შეიყვანა. დამავალეს, წყალი მიმეტანა მათთვის. ყავასა და ჩაიზე სტუმარმა უარი თქვა.

იყო მასში რაღაც მიმზიდველი. არ ვიცი, მისი სიბრმავე იყო ეს თუ სხვა რამ. ისე თავდაჯერებულად და ბუსტად იქცეოდა, თითქოს ჩვენ მიღმა რა იყო, იმასაც ხედავდა. ცნობისმოყვარეობით წაქეზებული მივიპარე კაბინეტის მოხურულ კართან, იქნებ მათი საუბრის ნაწყვეტებს მაინც მოვკრა ყური-მეთქი.

- ამხანაგმა ჟვანიამ მითხრა, რომ კერძო ვიზიტით ჩამოსულხართ საქართველოში და ჩემთან შეხვედრა გდომებიათ, - მიმართა კოსტიამ ქალს, რაკი ის ამკარად არ ჩქარობდა თავისი სტუმრობის მიზმის გამჟღავნებას.

- დიახ, ლენინგრადიდან ჩამოვედი. ამდენი წლის შემდეგ, როგორც იქნა, მომეცა ჩემს სამშობლოში კონცერტის გამართვის უფლება, - აუხსნა ქალმა თავისი უცხოური რუსულით.

ვცადე გამომეცნო, სადაური იყო, მაგრამ საიმისოდ პატარა ვიყავი, შესაბამისად, არც იმდენი უცხოელი მინახავს, ასე რომ, თავს ვერ გავართმევდი.

- მინდა გითხრათ, რომ თქვენი ვიზიტის შესახებ გაფრთხილებული არ ვიყავი, თორემ სათანადო მიღებაზე ვიზრუნებდი, კულტურა ჩემს კომპეტენციაში არ შედის...

- მართალი ბრძანდებით, ეს ჩემი კერძო ვიზიტია, - შეაწყვეტინა ქალმა, - მე აქ თქვენ გამო ვარ. თქვენს თანამშრომლებს გარკვეული ანონიმურობის შენარჩუნება ვთხოვე, ბოდიშს ვიხდი, თუ ხელი შეგიძალეთ. ეს მხოლოდ და მხოლოდ პირადული გარემოებებია. მე არ ვიცოდი, ასე ვთქვათ, ამდენად მაღალ თანამდებობას თუ იკავებდით.

ასე რთულად არ წარმომედგინა ეს ყველაფერი.

რომელი პირადი გარემოებები უნდა ყოფილიყო? რამდენადაც კოსტიას ვიცნობდი, კარგად შეჯორავდა მერე თავის თანამშრომლებს, სრულიად უცხო ქალი რომ მოუყვანეს შინ.

- არა, არა, რას ბრძანებთ, უბრალოდ, როგორ გითხრათ, ცოტა შერცხვენილად ვგრძნობ თავს, რომ სათანადოდ ვერ შევძელი თქვენი მიღება, ასე ვთქვათ.

კოსტია ისევ გაურკვეველობაში იყო. მაგრამ ქალმა ბოლო მოუღო პათეტიკური სიტყვების რახარუხს, და უკვე გულახდილად განუცხადა:

- ორმოცი წელია, ამ შესაძლებლობას ველოდები. ორმოცი წელიწადია, დაგეძებთ.

სიჩუმე ჩამოწვა. გაოგნებული კოსტია ვერ მიხვდა ეპასუხა რამე, თუ დალოდებოდა, კიდევ რას იტყოდა უცნობი ქალი.

- 1955 წლიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვცხოვრობ. არა, უნდა დავაბუსტო, თქვენს მისამართს მრავალი წლის წინათ,

მოსკოვში მივაგენი. მაგრამ იმ დროს ვერ მოვახერხე თქვენთან პირდაპირ კონტაქტზე გამოვსულიყავი, ოფიციალური ხაზი კი მიუღებელი იყო ჩემთვის. მხოლოდ პირადად მინდოდა შემეტყობინებინა ის, რაც ამჯერად უნდა გითხრათ. ასე რომ, მოცდა მომიწია.

გავიგონე, როგორ მძიმედ ამოიხვნეშა კოსტიამ, მაგრამ არაფერი უკითხავს.

- როგორც უკვე გითხარით, მე ლენინგრადიდან ვარ. თქვენც ხომ კარგად იცნობთ ამ ქალაქს, ვიცი, იქ სწავლობდით აკადემიაში, იმ ქალაქში... ცხოვრობდით.

თითქოს სიტყვებს ეძებდა, იმდენად ეძნელებოდა ეთქვა ის, რასაც აპირებდა, ნუთუ ორმოცი წელიწადი არ ეყო შესაფერისი სიტყვების მოსაძებნად?

- ისიც ვიცი, რომ გზა გაგყავდათ და მთელი ბლოკადის განმავლობაში იქ იყავით. მეც ქალაქში ვიყავი. მეც გადავიტანე ბლოკადა. დავკარგე თითქმის მთელი ოჯახი და... მხედველობა. აქ რომ ვზივარ, თქვენ წინაშე, ოცნება რომ ავისრულე და პიანისტი გავხდი, ოჯახის შექმნა და ცხოვრება რომ შევძელი, ერთადერთ ადამიანს ვუმაღლი და სწორედ ამ ადამიანის გამო გეძებდით. მგონი, უკვე მიხვდით, ვისზეც ვლაპარაკობ.

ისევ დაძაბული სიჩუმე. კოსტიამ რაღაც წაილულღულა, მაგრამ სიტყვები ვერ გავარჩიე.

- თქვენ მას ძალიან უყვარდით, - თქვა უცებ ქალმა.

რატომღაც ყველაზე ნაკლებად ამ სიტყვებს ველოდი. თითქოს ყველაფერს ვიფიქრებდი, საშინელ მოვლენას ან შემზარავ საქციელს, ყველაფერს, სიყვარულის გარდა. გამიჭირდა ამ სიტყვების კოსტიასთან დაკავშირება. წარმოუდგენელია-მეთქი, გავიფიქრე იმნუთას, ორმოცი წელი ეძებდა და ბოლოს იპოვა იმის სათქმელად, რომ კოსტია ვიღაცას ჰყვარებია?!

- მან არ იცოდა, ცოცხალი იყავით თუ არა, მაგრამ, ვფიქრობ, იმედი არ დაუკარგავს და ამიტომ გაუძლო ბლოკადის წლებს. თქვენ მის ყველაზე ლამაზ მოგონებად დარჩით და ეს დაეხმარა, იმ ჯოჯოხეთისთვის გაეძლო. ერთადერთი ადამიანი, რომლის გახსენებაც უნდოდა, თქვენ იყავით. მე ვიცი, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თქვენ ეს გცოდნოდათ. ამიტომ გეძებდით და ამიტომ ვარ აქ...

ოთხი ათეული წლის დაგვიანებით მოვიდა მწვანე სახლში და ბაბუაჩემს მივიწყებელი ძვირფასი მოგონებები გაუცოცხლა...

მამინ ვერაფერს ჩავწვდი, რა თქმა უნდა. არც ის ვიცოდი, რა იყო ბლოკადა... მაგრამ როცა დავინახე, როგორ გამოვიდა კოსტია ოთახიდან, როგორი შეცვლილი, მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ყოველივე ეს მისთვის. მართალია, იმ დროს ჯერ ვერ ვაცნობიერებდი, რა მემართებოდა, როცა სხვის ამბებს ვისმენდი მიხურულ კარს მიღმა, მაინც სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ

მომენტს ჩემზეც ექნებოდა გავლენა. შესაძლოა, ზუსტად იმ დღეს მივხვდი იმასაც, რომ ჩემს ხანმოკლე არსებობაში უკვე ბევრი სხვა ამბავიც იყო ჩანერილი; ზუსტად ისინი, რომელთაც ვაგროვებდი, რომელთა წიაღშიც ვიზრდებოდი და უკვე ადგილი დაემკვიდრებინათ ჩემი აზრებისა და მოგონებების გვერდით. და ის ამბები, საგულდაგულოდ რომ დავიმახსოვრე სტასიასგან, ზღაპრები კი არ იყო დროში სამოგზაუროდ, არამედ წიაღაგი, რომლითაც ვსაზრდოობდი. როცა კოსტიას კაბინეტთან ვიყავი ჩაცუცქელი, დაძაბულობისგან სუნთქვა- და მუშტებშეკრული, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ყველაზე მეტად სწორედ იმის გაკეთება მინდოდა ცხოვრებაში, რაც იმ ბრმა და მაინც ამდენად შორსმჭვრეტელმა ქალმა შეძლო – დარღვეული კავშირი აღადგინა. მინდოდა სხვისი მოგონებებისთვის თავი მომეყარა, რადგან მხოლოდ მრავალი ცალკეული ნაწილის გამთლიანებით ვლინდება ურთიერთკავშირები. და ჩვენ, ყველანი, ვიცით ეს თუ არ ვიცით, ამ საერთო სურათში ჩაბმულები, იდუმალ ქორეოგრაფიას ვემორჩილებით (ჰო, მართალი იყავი, ბრილვა: ვცეკვავთ ყველანი!).

საათზე მეტ ხანს დარჩა იდა ე. ბაბუაჩემის კაბინეტში და ლაპარაკობდა. იმ ერთი საათის განმავლობაში კოსტიას სიტყვა არ დასცდენია. მაგრამ, როგორც ჩანს, ის ქალი ამას არც ელოდა. სანამ სკამს გასწევდა და კარისკენ გამოემართებოდა, გავიგონე, როგორ დადო რალაც მაგიდაზე და უთხრა:

- ეს ჩემი ავტობიოგრაფიაა. რამდენიმე წლის წინათ გამოიცა გერმანიაში და სხვადასხვა ენაზეც ითარგმნა. გარდა რუსულისა, სამწუხაროდ. მაგრამ მე მაინც ვათარგმნინე პირადი საჭიროებისთვის, ხომ გესმით: თქვენთვის. ვიფიქრე, იმსახურებთ, რომ უფრო დაზუსტებით გაიგოთ ყველაფერი. ეს წიგნი იდას ეძღვნება.

გავიგონე, როგორ ჩაილულულუღა ბაბუაჩემმა ნაღვლიანი, სასონარკვეთილი მადლობა, მერე კი კარი გააღო და დაემშვიდობა: „მთელი გულით გემადლიერებით. მადლობელი ვარ“. ეს გამოთქმა – „მთელი გულით“ – კოსტიასგან არასდროს მსმენია.

იდგა და უყურებდა, როგორ გადიოდა მანქანა ჩვენი ეზოდან, კარგა ხანს შემორჩა ასე და სიცარიელეს მისჩერებოდა, მერე უცებ მოტრიალდა და გამომძახა, სარდაფიდან ერთი ბოთლი ღვინო ამომიტანეო.

როცა დავბრუნდი, საძინებელში იწვა, თავის ლოგინზე საცოდავად მოკუნტული, და პატარა ბავშვივით სლუკუნებდა. ასეთი უსასოო რომ დავინახე, უკან დავაპირე გაბრუნება, დარწმუნებული ვიყავი, ვერ აიტანდა სისუსტის მომენტში ოთახში ჩემს ყოფნას, მაგრამ დარჩიო, მანიშნა და ბოთლი გამომართვა. ხელები ისე უკანკალებდა, საცობის ამოღებას ვერ ახერხებდა. მე განძრევას ვერ ვბედავდი, დაბნეული შევცქეროდი, გული მეკუმშებოდა თანაგრძნობისგან. არც დამესიზმრებოდა, როდისმე თუ შემეცოდებოდა ჩემი ძლევა მოსილი,

დესპოტი ბაბუა, რომელიც სიცოცხლეს მიმწარებდა. მაგრამ მის შემხედვარეს ისეთი ნაღველი მომანვა, კინალამ მეც ავტირდი, ბოთლი გამოვართვი და გავიქეცი სამზარეულოში, ძლივს გავხსენი და უცხად თვალი ვკიდე საშრობზე გავკრიალებულ რძის ბოთლს, რომელსაც უფრო ფართო ყელი ჰქონდა და რომელსაც სტასია, ჩემთვის სრულიად გაუგებარი მიზეზით, ინახავდა სხვა საბჭოთა დიასახლისებივით. ღვინო რძის ბოთლში გადავასხი და საძინებელში დავბრუნდი, ცრემლით დანამულ პირთან მივუტანე კოსტიას, დაობლებულ შველს ან ხბოს რომ ასმევენ, ისე. ხარბად დაენათა წითელ სითხეს. საბანი დავახურე. მერე გვერდით მივუწევი და დაველოდე, სანამ ცრემლის ღვრას შეწყვეტდა. ადრე რას არ მივცემდი, რომ ასეთ დღეში მენახა, ასეთი დანგრეული და განადგურებული, მაგრამ როცა ვნახე, ვერ ავიტანე.

ფეხსაცმელი წავიძრე, ხის იატაკზე დაეცა და დაბაკუნდა. ფრთხილად მივინე კოსტიასთან, გაუბედავად გადავყავი ხელი და თითქმის შეუმჩნეველად შევხეე მის ხელს.

იმ წუთებში მასზე ახლობელი არავინ მყავდა მთელ მსოფლიოში. არც დედას ცრემლს უმოქმედია როდისმე ასე ჩემზე, არც ნანასას და არც დარინასას, საკუთარ ცრემლებსაც კი. არც რუსას გადაჭრილ ვენებს; ასე არაფერს გამოვუყვანივარ მდგომარეობიდან. მერე და მერე თავს უფლება მივეცი და მეც ჩამოვყარე ცრემლი. ის სიახლოვე დავიტრე, რომელიც ჩვენ შორის შეიძლებოდა ყოფილიყო.

თვალგამტერებული იწვა, მერე ხვნეშით წამოჭდა და ღვინო მოყლურნა. უკვე ჩემს დაუხმარებლად.

- გიყვარდა, ბაბუ, ის ქალი? - ძლივს ამოვთქვი, ლაპარაკიც კი მიჭირდა.

- იქვე ვიყავი თურმე, ასე ახლოს მასთან, შემეძლო... - ისე ლულულულებდა, ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

- კიდევ გიყვარს?

- მკვდარია. დიდი ხნის მკვდარია უკვე.

- სტასია ამბობს, რომ აჩრდილები არსებობენ.

- სტასია ბოდავს. ყველაფერი კი არ უნდა დაიჭერო, რასაც გეუბნება. გაკვირვებულმა შეხედა ბოთლს, ხელში რომ ეჭირა და მკითხა, ღვინოს რა უნდა რძის ბოთლშიო.

- ღვინის ბოთლი ძალიან ვინრო ყელიანია, მოუხერხებელი იქნებოდა...

- გმადლობ... ვერც წარმომედგინა, რომ ლენინგრადში დარჩებოდა, მე...

თავისთვის ლაპარაკობდა. თავის ფიქრებში წასული.

- იმ დროს, ალბათ, უკეთესი იყავი, - წამით ვცადე ბაბუაჩემი ახალგაზრდა ვაცად წარმომედგინა. დამხედა. ჩაეცინა.

- ესე იგი, შენი აზრით, მე ცუდი ვარ?

- ჰო, ხშირად.

- რატომ გინდა, რომ აუცილებლად კარგი ვიყო?

- შენ ხომ გინდა, რომ სხვები კარგად გექცეოდნენ.

სახტად დარჩა ჩემი გულახდილობით. ალბათ, სიტუაციისთვის შესაფერისი პასუხი ვერ მოძებნა და ამის ნაცვლად სიცილით გაიქნია თავი, გადმომწვდა და ლოყაზე მიჩქმიტა, რამაც ჩემი აღშფოთებული კივილი გამოიწვია.

ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ვინეჯით და ბაბუაჩემი მისმენდა, არ მანყვეტინებდა, ჭკუას არ მარიგებდა, არ მკიცხავდა, შენიშვნებს არ მაძღვედა, ლაპარაკს მაცდიდა. დაულაგებლად გამოვხატავდი სათქმელს, თუმცა ყველაფერს ვამბობდი, რაც აზრად მომდიოდა. ისე ველაპარაკებოდი, როგორც იშვიათად გამიბედავს ვინმესთან, დავითის გარდა, და უკვე აღარ ვიყავი ჯიუტი, გულჩათხრობილი, მოღუშულად მომზირალი, ავადმყოფურად ცნობისმოყვარე გოგო, სადარდებელს რომ უჩენს ყველას, არამედ უბრალოდ მე ვიყავი. ეს ისეთი შვება იყო, ძალის დატანება რომ არ მჭირდებოდა საკუთარი თავისთვის და კოსტია უბრალოდ გვერდით მყავდა, წრუპავდა თავისთვის რძის ბოთლიდან და მისმენდა, შიგადაშიგ ეღიმებოდა, თავს მიქნევდა თანხმობის ნიშნად, შუბლს შეიჭმუხნიდა, პირს ანკლაპუნებდა და საუკეთესო მსმენელი იყო ჩემთვის, ბრილკა, ყველაზე ყურადღებიანი მთელ მსოფლიოში.

ჩემთან იყო, ჩემ გვერდით, ჩემთვის. და მე მადლიერი ვიყავი იდასი იმ ადამიანთან გატარებული საღამოსთვის, სიყვარულსაც ყველაზე მეტად ვნატრობდი გაჩენის დღიდან. და წამით სისუსტე მომერია და დავარღვიე წესები, მკაცრად რომ მქონდა გამომუშავებული მასთან ურთიერთობაში, მოვლბი, ავტლიკინდი, ჯავშანი მოვიხსენი, ჩემს საიდუმლოებებს ვაზიარე და ვუამბე, როგორ ადარდებდა დედაჩემს უფულობა, რა პრობლემები ჰქონდა ალექოს, მოვუყევი დავითზე, დარიაზე, დარიას გასაუბრებაზე.

მთელი საღამო მის ოთახში გავატარე, მის სანოლზე, და გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ სიტყვები სიყვარულის ჩანაცვლებას შეძლებდნენ და წარსულის მოგონება ყველაფერს გამოასწორებდა.

ვცდებოდი. რა თქმა უნდა, ვცდებოდი.

* * *

დარწმუნებული ვარ, რომ საფრთხე მხოლოდ იმათ ელით, ვინც ცხოვრებაზე არ რეაგირებენ.

გორბაჩოვი

რეაქცია დაგვიანებული იყო, მაგრამ მით უფრო საშინელი. და პირველად შეეხო დარიას ჩემთვის ასეთი ნაცნობი და მისთვის სრულიად

უცხო, ძალადობრივი, სასტიკი, დაუნდობელი სახით, რაც გაცოფებულ კოსტიას სჩვეოდა.

იდა ე.-ს სტუმრობის შემდეგ კოსტია მთელი კვირა არ გასულა შინიდან. მართალია, ისევ ერთად ვუყურებდით ტელევიზორს მის ოთახში, შევექცეოდით ნანას ბლინებს და ათას რამეზე ვლაპარაკობდით, მაგრამ ამ ყოველდღიურ მიეთმოეთს აღარაფერი ჰქონდა საერთო იმ ერთი საღამოს გაცხოველებულ სიმძაფრესთან.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ კოსტიამ თავისი მძღოლი დაიბარა, მე სკოლასთან ჩამომსვა და სამინისტროში წავიდა. მერე შენ და დარიას გამოგივლითო, მითხრა. ვიცოდი, რომ ამით ჩემი დროებითი ძლევამოსილება მწვანე სახლში დასრულებული იყო.

სკოლაში მისვლისთანავე დაგუნყე ძებნა დარიას, მაგრამ დიდი დასვენების დროსაც კი ვერ ვნახე ებოში. ბოლოს სკოლის უკან აღმოვაჩინე, ბაღის სკამზე, დასივებული თვალებით და შენითლებული ცხვირით. მართო იჭდა, უჩვეულო სანახავი იყო. გვერდით მიუჭექე. ვცადე მოვხვეოდი, მაგრამ უხეშად მკრა ხელი და ძირს დავეცი.

- ყველაფერი გაათუჯე! მეზიზღები! - დამიყვირა და გაიქცა.

ტელეფონის ჯიხურიდან მოვახერხე, როგორც იქნა, ელენესთან დარეკვა. ალექოს მოგუდული ხმის გაგონებისთანავე მივხვდი, რა საშინელებაც ჩავიდინე. წინა საღამოს კოსტიამ დარეკა თურმე მათთან, თავის შვილსა და მის ქმარს დაემუქრა, რომ დარიას აღარ გააკარებდა და მთელ კინოსტუდიას ააფეთქებდა, ახლავე თუ არ მორჩებოდა ეს სისულელეები და კონტრაქტი სასწრაფოდ არ გაუქმდებოდა. ახლა ელენე საცოდავად გდია ლოგინშიო, მითხრა ალექომ, და, ჩვეული მორიდებულობის მიუხედავად, მის ხმაში აშკარად გაისმა საყვედური.

მოღალატე ვიყავი! საკუთარ დედასაც ვუღალატე, ალექოსაც და, რაც მთავარია, ჩემს დას კოსტიასგან ცოტა სითბოს და სიყვარულის მისაღებად. ყველაფერი წყალში ჩაიყარა და ამაში მე ვიყავი დამნაშავე.

ომმა ელენესა და კოსტიას შორის, ბოლო წლებში უფრო გამოუცხადებელ ზავს რომ დაემსგავსა, ახალი, დამანგრეველი ძალით იფეთქა და უკვე ყველა ჩაგვითრია, ამჯერად საბოლოო უნდა ყოფილიყო გამარჯვებაც და დამარცხებაც.

კოსტიას გუნება-განწყობის უკიდურესი გაუარესება სხვა მიზეზითაც იყო განპირობებული: გორბაჩოვი კომპარტიას ჩაუდგა სათავეში და 27-ე ყრილობაზე რეფორმების დაწყება გამოაცხადა. კოსტია სულ თავს აქნევდა, როცა გაზეთში მის სურათს წააწყდებოდა ხოლმე, იძახდა, დაანგრევს ქვეყანას ეს ლაჩარი ოპორტუნისტიო, რადგან გორბაჩოვი ხმამაღლა აკრიტიკებდა მთავრობასა და კორუფციას, რაც ფართო მასებში ადფრთოვანებას კი არა, უფრო დაბნეულობას იწვევდა.

მე ვცდილობდი, რაღე მაინც გამომესწორებინა, ოღონდ არ ვიცოდი, რა და, რაც მთავარია, როგორ.

კოსტიას კონტროლი აბსურდში გადაიზარდა: დარია ველარც ამხანაგებთან ერთად მიდიოდა სკოლის მერე სასეირნოდ ან ნაყინის საჭმელად და ველარც ტელეფონზე ლაპარაკობდა ორ წუთზე მეტს. წუთი წუთში მიჰყავდათ სკოლაში და ფიზკულტურის ინსტიტუტთან და მოჰყავდათ უკან. თავისუფლების ნატამალიც კი არ დაუტოვა. დარია იძულებული იყო, უარი ეთქვა, როცა დაბადების დღეებზე ეპატიუბოდნენ, და სისულელები მოემიზებებინა. მაგრამ ყველაზე მეტად მისი მორჩილება მიკლავდა გულს, ისე მიიღო ეს ყველაფერი, თითქოს უკეთესს არც იმსახურებდა, თითქოს ეს სასჯელი გარდაუვალი იყო, თითქოს სინდისი არ ასვენებდა, რაკი კოსტია მოატყუა და იმედი გაუცრუა. მაგრამ ჩემი მარცხის სიღრმე მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, როცა რამდენიმე კვირაში დავითმა ალექოს დაურეკა და კარგა ხნის ყოყმანის მერე ძველ მეგობარს გაუმხილა, რომ „დელიკატური საქმე“ ჰქონდა მასთან და სთხოვა, იქნებ ხვალ მინახულოო.

ალექო განადგურებული დაბრუნდა იქიდან, დაელოდა, სანამ ელენე კერძო გაკვეთილისთვის მოწაფესთან წავიდოდა და სამზარეულოში დამიბარა. ორი სიგარეტი მოსწია, სანამ თავი მოაბა და განმიმარტა, რამხელა კატასტროფა გამოვიწვიე ჩემი გულახდილობით, რომელშიც თურმე დავითიც ჩავითრიე. პრობლემის დასახელებაც კი ვერ მოასწრო, რომ უკვე მივხვდი, რა შეუქცევადი იყო ნგრევა, როგორც კი დავითი ახსენა, და ტირილი ძლივს შევიკავე.

- აღარ უნდა ჩემი ნახვა? - აღმომხდა და ცრემლები წამსკვდა.

- არ უნდა კი არა, აღარ შეუძლია, უფლება აღარ აქვს.

- კოსტიას გამო? - ავქვითინდი. უხმოდ დამიქნია თავი.

- დავითთან... მივიდა? კი მაგრამ... რა... რა უთხრა ასეთი ჩემზე? - ამოვისლუკუნე.

- შენზე კი არა, ნიცა, ეტყობა მის საბუთებს გაეცნო და დავითის რამდენიმე საქმე გამოჩხრიკა, რომლის დამალვაც ერჩია დავითს.

- კი მაგრამ... ასეთი... რა საიდუმლოებებია?

ვერ წარმომედგინა, რომ ჩემს გულისხმიერ მასწავლებელს დასამალი ჰქონოდა რამე.

- ეგ მე არ ვიცი. არ მითხრა, მისი ნებაა, არ უნდა ამაზე ლაპარაკი, იმიტომაც არის საიდუმლო. სამაგიეროდ, მითხრა, რომ კოსტია დაემუქრა, შენს საიდუმლოს ქვეყანას მოვდებ, თუ ნიცასთან მეცადინეობას განაგრძობო.

- კი მაგრამ, ის ხომ სულაც არ მამეცადინებს. ჩვენ... უბრალოდ, ვლაპარაკობთ!

- ვიცი, ნიცა, მაგრამ სხვებს ხომ ამეცადინებს. ამით ცხოვრობს და თუ ბაბუაშენს ისეთი რამ ჩაუვარდა ხელში, რაც მას სახელს გაუტეხს, მაშინ თავს ველარ გაიტანს და დაიღუპება, ხომ გესმის?

- დავითს არაფერი დაუშავებია, რა შუაშია, რატომ დავითი... უნდა მივიღე, უნდა ვნახო, გთხოვ, ალექო, გეხვეწები, წამიყვანე, უნდა...

- მოიცა, ჩემო კარგო, ეგ აღარ გამოვა. ასე დაგიბარა, შეგიძლია დამირეკო, თუ ძალიან გაგიჭირდება, მაგრამ მოსვლით... ამაზე არც იფიქრო. ძალიან ვნუხვარ, ნიცა, არ ვიცი, რა გამოქეჟა კოსტიამ, რამაც აიძულა, დავითისგან ჩამოეშორებინე. მე ხომ ვიცი, რამდენს ნიშნავს შენთვის.

მთელი ღამე კედლებს ვასკდებოდი, მუშტს ვურტყამდი კარადას, სკოლის ფორმა ავკუნე, გარიჟრაჟზე კი გადავწყვიტე, ომი გამომეცხადებინა კოსტიასთვის. დასაკარგი აღარაფერი მქონდა. მან მიწასთან გაასწორა ყველაფერი, რაც ჩემთვის ძვირფასი იყო. ყველაფერი მოიმოქმედა, რომ გული ამოეგლიჯა ჩემთვის. შურისძიება მწყუროდა.

მაგრამ ჯერ უნდა გამერკვია, რა მოიპოვა დავითის წინააღმდეგ. იმავე საღამოს კაბინეტში დავადექი და პასუხი მოვთხოვე. დაუკაკუნებლად რომ შევედი, აღშფოთდა, წამოდგა, საკითხავი სათვალე აიწია და წყრომით შემომხედა.

- რამდენჯერ უნდა გითხრან, რომ თუ კარი დაკეტილია, არ შეიძლება ასე უბრალოდ გაღება?

- შენ მე მომატყუე, გამომიყენე, ყველაფერი დაანგრე. უნამუსო ადამიანი ხარ და მძულხარ! - მივახალე სახეში. ისე დააფრთხო ჩემმა ყვირილმა, რომ უკან დაიხია და ისევ თავის სკამზე დაეშვა.

- კეთილი ინებეთ და სიტყვები შეარჩიეთ, ქალიშვილო! - ყოველთვის ასეთ ცოტა ქედმაღლურ-დიდაქტიკური კილოთი იწყებდა საუბარს, როცა უცებ ვერ ხვდებოდა, რა ეთქვა.

- რა უთხარი დავითს? ეს როგორ გააკეთე...

ცრემლი მომანვა ისევ, მაგრამ თავი შევიკავე, რომ მის დასანახად არ მეტირა. ხმა ამიკანკალდა, ცალი ხელით მის სანერ მაგიდას დავყვრდენი, რომ არ დავცემულიყავი. შიშისა და სასონარკვეთისგან უსუსური ვხდებოდი, იმპულსური, უკონტროლო და ვიცოდი, რომ ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა ხაფანგად ქცეულიყო ჩემთვის.

- ა, ახლა მესმის. შენს პედაგოგს გულისხმობ, არა?!

- მე ის მიყვარს, მას არაფერი დაუშავებია და ყოველთვის მეხმარება და... მინდა, რომ დამიბრუნო!

- შენს მამინაცვალს ასეთი დეგენერატი მეგობრები რომ ჰყავს, სულ არ მიკვირს, მაგრამ დედაშენს აზრადაც რომ არ მოსვლია გადაემონმებინა, ვისთან უშვებდა საკუთარ შვილს ყოველკვირა, ამის პატიება მართლა არ შეიძლება, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებითაც კი. არადა, თვითონაც ხომ ასწავლის ბავშვებს!

- რა უთხარი? ახლავე დაურეკე და ბოდიში მოუხადე, შენ მას არ იცნობ, შენ არ იცი, როგორი...

- ნიცა, დაწყნარდი, თუ შეიძლება და ჯერ მომისმინე, ასე ნუ მელაპარაკები. მე მხოლოდ ის გავაკეთე, რასაც საღად მოაზროვნე და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ნებისმიერი ადამიანი და, განსაკუთრებით, ბაბუა იზამდა თავისი შვილიშვილისთვის.

- არ ვაპირებ დაწყნარებას, მე მინდა, რომ დაურევო და...

უცებ მუშტი დაარტყა მაგიდას და ააზანზარა. უნებურად უკან გავიწიე, მაგრამ მაგიდის კიდეს ხელი მაინც არ გავუშვი.

- ახლა ყური დამიგდე და ნუ მანყვეტინებ! მე მხოლოდ მინდოდა გამერკვია, ვინ იყო შენი მასწავლებელი. შენ ჯერ პატარა ხარ, იოლად მოახდენს სხვა შენზე გავლენას, მე შენი მეურვეობა მევალება, ნიცა, და ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, როგორ ადამიანებს ვანდობ ჩემი გოგონების აღზრდას და ჩამოყალიბებას. არც მიფიქრია შენი მასწავლებლისთვის ზიანის მიყენება. უბრალოდ, ინფორმაცია მოვიძიე მის შესახებ და უცებ აღმოვაჩინე, რომ ჩემი შვილიშვილი თურმე გარყვნილი ადამიანის ჯერქვეშ ზის და მის შეგონებებს ისმენს სამყაროზე.

- სულაც არ არის ავადმყოფი, რატომ ამბობ? - არც კი ვიცოდი, რა მეთქვა. აღარაფერი მესმოდა, - ძალიან მაგარი ფიზიკოსია და ფილოსოფოსი, უმაღლესი მათემატიკაც იცის და ოთხი უცხო ენა და...

- ჰო, დარწმუნებული ვარ. მაგრამ მაინტერესებს, შენმა არაფრის მაქნისმა მამინაცვალმა რატომ არ შეინუხა თავი და არ გაარკვია, ასეთი გენიოსი თავისი პროფესიით რატომ არ მუშაობს და ამის ნაცვლად საკუთარ ბინაში რატომ ურეცხავს ტვინს ბავშვებს?

- განსხვავებული შეხედულებები აქვს...

- შეხედულებები. სწორედაც რომ განსხვავებული შეხედულებები, ნიცა, - ჩაიციინა კოსტიამ და სკამის ზურგს მიეყრდნო, - მას შეეძლო რამე ევნო შენთვის და მე ამისგან დაგიცავი. ის გავაკეთე, რაც უნდა გამეკეთებინა, რასაც ყველა ნორმალური მამა...

- მაგრამ შენ ხომ მამაჩემი არ ხარ!

ისევ ავუწიე ხმას, რაც იმდენად არ მოეწონა, რომ წამოხტა, ჩემკენ წამოვიდა, თავზე წამომადგა, დამხედა და კბილებში გამოსცრა:

- კარგად დაიმახსოვრე: შენი მასწავლებელი ავადმყოფია, ის საშიშია საზოგადოებისთვის და, განსაკუთრებით, ბავშვებისთვის, ამიტომ იქ აღარასდროს დაბრუნდები, გაიგე, რა გითხარი?! ამჯერად ეს იკმარე, ახლა კი მოშორდი ჩემი ოთახიდან და აღარასდროს შემოხვიდე დაუკავუნებლად.

ისე ახლოს მომიტანა სახე, რომ მისი სუნთქვა ვიგრძენი, ისეთი თავდაჯერებული მიყურებდა, რომ დავფრთხი. ოთახიდან გაქცევა მომინდა, მაგრამ დავითთან დაბრუნების სურვილი უფრო მომეძალა. თვალი გავუსწორე და ჩუმად, მაგრამ მტკიცედ ვუთხარი:

- დავითი ავადმყოფი არ არის. შენ ხარ ავად. შენ და არა ის!

დავინახე, როგორ მოენგრა სახე, როგორ აიყოლია რისხვამ – ეს იყო ერთადერთი, რაც იმნუთას საერთო გვქონდა, მაგრამ გადავწყვიტე, უკან არ დამეხია, რადაც უნდა დამკდომოდა.

– პედერასტია ეგ შენი მაგარი მასწავლებელი, არ არის ეს მიზეზი შენთვის საკმარისი?

– ეგ რას ნიშნავს?

– რას და, პატარა ბიჭები უყვარს და...

– მე ხომ ბიჭი არ ვარ! – ამაზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

– და ისეთ რამეებს აკეთებს მათთან, რასაც ზრდასრული ადამიანი ბავშვებთან არ უნდა აკეთებდეს.

– მაგალითად, რასაც შენ რუსასთან აკეთებდი?

ისეთი ძალით გამაწნა სილა, რომ წონასწორობა დავკარგე, კინაღამ დავენარცხე, ძლივს გავჩერდი ფეხზე და მეგონა, მარცხენა ყურით დავყრუვდი. ბაბუაჩემი შეშინებული მიაჩერდა საკუთარ ხელს, თითქოს იქ ეძებდა თავისი საქციელის გასამართლებელ საბუთს.

– არ უნდა მიგეყვანე აქამდე...

მთელი ღამე ვერ დავიძინე, ვცდილობდი წარმომედგინა ის, „რასაც ზრდასრული ადამიანი ბავშვებთან არ უნდა აკეთებდეს“, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. დავითი მხოლოდ ისეთ რამეებს აკეთებდა ჩემთან, რითაც ბედნიერი ვიყავი. მახარებდა და მიცავდა, რა იყო ამაში ავადმყოფური? არადა, ბაბუაჩემის ხმაში ისეთმა მუქარამ გაიჟღერა, როცა ის უცნაური სიტყვა წარმოთქვა ნიშნისმოგებით და ზიზღით, მისმა სილამაც ისეთი მწველი მოგონება დამიტოვა, რომ თავი შევიკავე დავითის ნომრის აკრეფისგან.

იმის წარმოდგენა, რომ ამიერიდან უარი უნდა მეთქვა ჩემს მასწავლებელზე, შიშის ბარს მცემდა. ვეღარსად დავსვამდი შეკითხვებს, ვეღარსად დავცლიდი დაგროვილ სიბრაზეს, ვეღარავის გავანდობდი ჩემს სასონარკვეთას. როგორ უნდა მეთქვა უარი მის ბიბლიოთეკაზე და, რაც მთავარია, მის თანაგრძნობაზე. რაკი ამას ვერაფრით შევურიგდი, გადავწყვიტე იმასთან მისვლიყავი, ვინც გამუდმებით არ მახსენებდა ღალატს და კიდევ ერთხელ მეთხოვა შველა. დანვრილებით მოვეყვები ალექოს კოსტიასთან ჩემი შეხლა-შემოხლის ამბავი, გავუმჟღავნე ჩემი შეკითხვები და მოსაზრებები პედერასტის ცნებასთან დაკავშირებით და ვთხოვე, დავითისთვის გადაეცა, რომ მასთან კვლავ მისვლის უფლების მოსაპოვებლად ყველაფერს ვიღონებდი. მაგრამ რეაქცია, რაც ჩემს ნაამბობს მოჰყვა, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. სანამ ალექო თავის აღმფოთებას გამოხატავდა, უკვე ვიცოდი, რომ ისევ შეცდომა მომივიდა. პირველად დაუჭირა მხარი კოსტიას და უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა დავითი, სულ „ფარისეველი“ და „გარყვნილი“ უწოდა. შეშინებული ვიდექი კუთხეში და ლანძღვა-გინებას ვისმენდი. ამისთანა რა დავძარი? რა უნდოდა იმ ბრმა ქალს, საიდან გაჩნდა, რატომ

მომალბო და გამათბო თავისი სევდიანი ნაამბობით, რატომ ავინწყვიტე და როგორ გამოვინვიე ეს ჯაჭვური რეაქცია, რომლის შეკავებასაც ველარ ვახერხებდი?!

- ახლა მესმის, რატომ არ ანახებს მისი ცოლი შვილებს და მისი ყოფილი კოლეგებიც ასე აუგად რატომ იხსენებენ. არადა, მეგობრად მივიჩნევდი. ეგ გაიძვერა, ეგ ნაბიჭვარი, მე მაგას ვაჩვენებ... მადლობელი უნდა იყო ბაბუაშენის, ნიცა!

ალეკოს თვალები ჩაუწითლდა, პირზე დუჟი მოადგა, ვერაფრით დავანყნარე. როცა ელენე დაბრუნდა, საქმეები მაქვსო, ჩაუქროლა და გაუჩინარდა. აქ უკვე ახალი უბედურების მოახლოება ვიგრძენი. უნდა გამემხილა ელენესთვის? ძალიან სარისკო მეჩვენა. ჯერ კიდევ ბრაზობდა ჩემზე, როცა მიყურებდა, ისევ წყენა და საყვედური ეწერა სახეზე; თანაც ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა პედერასტი.

კვირა ისე ჩათავდა და პარასკევი ისე მოვიდა, რომ დავითის ნახვის შესაძლებლობა არ მომეცა.

მეტის მოთმენა ველარ შევძელი, ბოლო ორი გაკვეთილიდან გავიპარე და ტროლეიბუსით გავემგზავრე დავითთან.

დიდხანს ვრეკე ბარი, სანამ კარი გამიღო. თვალები ჩალურჯებული ჰქონდა, თავი კი გადახვეული. შეშინებულმა დაიხია უკან, დერეფანში შემიშვა, როცა დარწმუნდა, რომ მართო ვიყავი, მაგრამ იქვე გაჩერდა და სახელოსნოში არ შემიპატიჟა. ნახევრად სიბნელებში გავჩერდით ერთმანეთის პირისპირ. ცრემლის შეკავება აღარ მიცდია. არც იმას უცდია ჩემი დამშვიდება.

- არ მინდოდა...

- ვიცი, ნიცა, ვიცი.

- ეს ვინ ქნა...

- ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს. სამწუხაროდ, ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით.

- მინდა, რომ ისევ ვიმეგობროთ.

ფრთხილი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

- ვიცი, მაგრამ ყოველთვის ვერ გავაკეთებთ იმას, რაც გვინდა.

- კი მაგრამ, შენ ხომ თქვი... შენ მეუბნებოდი, რომ უნდა ვიბრძოლოთ იმისთვის, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. შენ მნიშვნელოვანი ხარ ჩემთვის.

- ზოგჯერ ბრძოლის გაგრძელებას დანებება სჯობს.

ეს იყო დავითის პირველი წინადადება, რომელსაც არ დავეთანხმე. ისევ თავშეუკავებლად ავქვითინდი, სუნთქვა შემეკრა.

- ერთი-ორი წელიც და გაიზრდები, ნიცა, მერე თვითონ გადანწყვტ, ვის დაუმეგობრდე და ვის არა.

- ისედაც დიდი ვარ უკვე. შენ მართლა პედერასტი ხარ?

პალტოს სახელოთი მოვინმინდე ცხვირი.

- არა, არ ვარ.

- დავით, რა არის პედერასტი?

- როცა დიდი კაცები მამრობითი სქესის ბავშვების ან მოზარდების მიმართ გრძნობენ ლტოლვას.

- და შენ ვინ ხარ?

- მე ჰომოსექსუალი ვარ.

- ეგ რაღას ნიშნავს?

- მე ზრდასრული მამაკაცების მიმართ ვგრძნობ ლტოლვას.

- ჩემ მიმართაც გრძნობ ლტოლვას?

ისევ გაიღიმა, უკვე ნაკლებად დაძაბულად.

- კი, ნიკა, მე ვგრძნობ ლტოლვას შენ მიმართ, მაგრამ ისეთს არა, რაც მანამდე ვიგულისხმე. იმ შემთხვევაში ლტოლვა სექსუალურ კომპონენტს შეიცავს. ეს კომპონენტი ჩვენ შორის არ არსებობს, საბედნიეროდ.

- აბა, რატომ ამბობენ შენზე, პედერასტიაო, თუ სულაც არ ხარ?

- რადგან აქ ადამიანთა უმრავლესობა ამ ცნებას შეცდომით იყენებს და ყველა ჰომოსექსუალს პედერასტს უწოდებს, რადგან ეს სალანძღავი სიტყვაა და მართკმ პედერასტები კი არა, ჰომოსექსუალებიც ავადმყოფებად მიაჩნიათ.

- თუ შენ სულაც არ ხარ პედერასტი, ხომ შეგვიძლია ისევ შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს? უბრალოდ, უნდა ავეხსნათ, რომ დიდი კაცები მოგწონს და არა ბავშვები, თანაც მე ხომ არ ვარ მამაკაცი, ამას ხომ მიხვდებიან.

- არა, სამწუხაროდ, ვერ მიხვდებიან და ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, იმედი მაქვს, რომ მოვა დრო და შენ მიხვდები, რატომ არ შემიძლია ასეთ პირობებში ამ აკრძალვის უგულებელყოფა და რომ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. მუდამ მეგობრად მიგულე. მაგრამ ახლა უნდა წახვიდე, ნიკა. სამწუხაროდ, უნდა წახვიდე.

მეორე დღეს, ნოემბრის მოღრუბლულ ნაშუადღევს, სკოლის მერე პირდაპირ კინოსტუდიაში წავედი და კოტე ლაცაბიძე ვიკითხე. იქ არ დამხვდა, მაგრამ მდივან ქალს ავეხსენი, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე მქონდა და დაურეკა.

ორი საათის მერე მართლაც მოვიდა, მოვიდა სპორტულ შარვალსა და სამხედრო ქურთუკში ჩაცმული მელოტი კაცი. კრიმინალს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელოვანს, მაგრამ მერე ალექოს მეგობრები გამახსენდა, ბუსტად ასევე რომ გამოიყურებოდნენ და გადავწყვიტე, ამ გარემოებისთვის ყურადღება აღარ მიმექცია. გავეცანი და საქმის ვითარებაზე ველაპარაკე. ორჯერ ჩამეკითხა, ნამდვილად იმ კოსტია ჯამზე ველაპარაკებიო?

ბოლოს დანვრილებით ავეხსენი, რაც დავგეგმე. სანამ ველაპარაკობდი, რამდენჯერმე გააღო პირი, რაღაცის თქმა დააპირა,

მაგრამ ისევ გადაიფიქრა და მხოლოდ ჩაიცინა, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი, ჩემი განზრახვა არასაიმედოდ მიაჩნდა თუ ჭკუაში დაუჭდა, სანატრელი მსახიობისკენ რომ გადადგა ნაბიჯი.

- დარიას პატარა დაიკო, უყურე შენ, დარიას პატარა დაიკო... - თითქოს ვერაფრით მაკავშირებდა დარიასთან.

- ბაბუაშენი რომ მიგვიხვდეს და ცუდ დღეში ჩაგვაგდოს? გავლენიანი კაცია, შეუძლია მთელ ამ პროექტს საფრთხე შეუქმნას. თან ვერც გადავიღებ, სანამ კანონიერი აღმზრდელის თანხმობა არ მექნება, შენი და არასრულწლოვანია.

- როგორ? დედაჩემის თანხმობა ხომ გაქვთ? მთავარია, დრო მოვიგოთ. მთავარია, კოსტია არ გავაკაროთ გადაღებებს.

დაეჭვებულმა შემომხედა, მერე გადაიხარხარა. გავბრაზდი, მაღიზიანებდა, რომ ასე უჭირდა ჩემი სერიოზულად აღქმა.

უცებ შევკრთი, საშინელმა აზრმა გამიელვა:

- თქვენ რა, უკვე სხვა მოძებნეთ?

მან უარის ნიშნად თავი გაიქნია.

- გვყავს რამდენიმე კანდიდატი, მაგრამ ჯერ ვერ გადავწყვიტე. შენი და არის და იქნება საუკეთესო არჩევანი.

- ძალიან გთხოვთ, - შევეხვეწე, - უარს ნუ მეტყვიან რა. ყველაფერი გამოგვივა. კარგი გეგმაა. დამიჯერეთ.

- ისე, რამდენი წლის ხარ? - მკითხა და სკამიდან წამოდგა.

- თორმეტის, - ვუპასუხე თავდაჯერებულად, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გამომივიდა.

მცირე ხნით გავიდა ოთახიდან. როცა დაბრუნდა, სიგარეტი ჰქონდა პირში გარტობილი და ადგილს ვერ პოულობდა. მერე ელდანაცემივით გაშეშდა შუა ოთახში და თვალი ჩამიკრა.

- კარგი, პატარა გოგო, კარგი. ასე იყოს. ნამდვილად არ არის ურიგო, რაც მოიფიქრე. მდივანს მოვაძებნინებ ხელშეკრულებას და შენს ზარს დაველოდები, შევთანხმდით?

ბიჭივით უხაროდა. აღტაცებისგან შევხტი, მერე ხელი ჩამოვართვი, ოთახიდან გამოვიჭერი, უზარმაზარ სტუდიებს ჩავუქროლე და კმაყოფილი და ბედნიერი გავვარდი ქუჩაში.

- გაიღვიძე, უნდა დაგელაპარაკო.

დარიას სანოლთან ვიჭექე და ვანჯღრევდი. შემომიღრინა, კედლისკენ გადაბრუნდა და საბანი ნაიფარა თავზე.

- მნიშვნელოვანი საქმე მაქვს. კარგი რა, დარია, მომისმინე. გადაგიღებენ იმ შენს ფილმში. დღეს ლაცაბიძეს შევხვდი.

ჯერ ცხვირი გამოყო საბნიდან, მერე ნიკაპზე ჩამოიწია და ზურგზე გადმობრუნდა.

- როგორ გადამიღებენ, როცა უკვე სხვა იპოვეს.

- არავითარი სხვა არ არსებობს. შენი გადაღება უნდა.

ამ სიტყვებმა შედეგი გამოიღო. მაშინვე წამოჯდა.

- არ შეგიძლია, ადამიანურად ამიხსნა, რას ბოდიშობ? - დამტეუსა ჩვეულებისამებრ.

- კი ბატონო, ოღონდ ერთი პირობით, ჩვენ შორის უნდა დარჩეს. მართო შენ და მე, არ უნდა გაიგოს არც დედამ, არც კოსტიამ, სტასიამაც კი, შენს დაქალებზე აღარაფერს ვამბობ.

- კარგი, თქვი, ბოლოს და ბოლოს!

- ჩვენს სკოლაში შავ დაფაზე განცხადებაა გაკრული. კომკავშირი სამკვირიან სათხილამურო კურსებს სთავაზობს მოსწავლეებს ბაკურიანში. პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები შეფობენ ამ ყველაფერს. დაფიქრდი, სამი კვირა მშობლების გარეშე, მხოლოდ სტუდენტები იქნებიან მეთვალყურეები. ლაცაბიძემ თქვა, რომ სამ კვირაში ნამდვილად მოასწრებს შენი სცენების გადაღებას.

- შენ გგონია...

- დიახ, გუშინ შევატანიე ჩვენი სახელები სიაში.

- ეს ხომ ნამდვილი სიგიჟეა? თუ არ გამოვცხადდები, ეგრევე სახლში დარეკავენ!

- მართალია, ამიტომ ასეთი გეგმა მაქვს: კოსტიას ყურები უნდა გამოვუჭედოთ წასვლამდე, როგორი ბედნიერებაა სხვა ბავშვებთან ერთად რომ ვისწავლით თხილამურებზე დგომას. მერე სკოლასთან შევგროვდებით და ავტობუსში ჩავსხდებით. დავიძვრებით და პატიოსნად დავექნევთ ხელს ფანჯრიდან, ხოლო როცა ქალაქიდან გავალთ, შენ აკვნესდები. ვაი-ვაის ძახილს დაიწყებ. მოკლედ, რახან მსახიობობა შეგიძლია, ბრმა ნაწლავის შეტევას გაითამაშებ, გავარკვიე, რომ ეს მართლა ძალიან ცუდია და სასწრაფო ოპერაციას საჭიროებს. ასე რომ, ავტობუსს გააჩერებენ და მშობლებთან დაკავშირებას დააპირებენ. ამ დროს მე ჩავერთვები თამაშში. ასე ვეტყვი, ვაიმე, იცით, სანამ ბაბუა და დედა მოვლენ, მამა უფრო მალე მოაკითხავს, აქვე ახლოს მუშაობს და ლაცაბიძის ნომერს მივცემ.

სტუდენტები არიან, ჩვენი სკოლისა არაფერი გაეგებათ, არ გვიცნობენ, რა იციან, ვინ არის ჩვენი მამა და დედა, მით უმეტეს, ბაბუა. ლაცაბიძე მამად გაასაღებს თავს. თავისი მანქანით მოვა ავტობუსთან. როგორც კი დაინახავ, კისერზე ჩამოეკიდები, თუ რა ვიცი, რას იზამ და საქმე მოგვარებულია. გადაღებებზე წაგიყვანს. შიგადაშიგ სახლში დარეკავ ხოლმე და აღფრთოვანებას განასახიერებ კოსტიასთან, რა გადასარევად ხარ ბაკურიანში. თუ წამოუვლის და თვითონ მოუნდება ბანაკში დარეკვა, რამეს მოვიფიქრებ. თხილამურებზე დგას-მეთქი, ან სძინავს, რამეს ვეტყვი. დაბრუნებისას კი უბრალოდ არასწორ დროს ვეტყვით კოსტიას, ასე რომ, ისევ ლაცაბიძე დამხვდება შენთან ერთად, მერე დავრეკავთ კოსტიას ან დედას და ვეტყვით - უი, რატომღაც უფრო ადრე ჩამოვსულვართ, ვიდრე გვეგონა.

დარია უდიდესი ყურადღებით მისმენდა. მთელი სხეულით ცახცახებდა დაძაბულობისგან. შუქი არ აგვინთია, მართო მთვარის შუქი აღწევდა ღია ფერის ფარდებიდან ოთახში და სახეებს ლურჯად გვიფერადებდა. თანდათან ჩასწვდა ჩემს სიტყვებს. გონების თვალი გადაავლო ჩემს გეგმას. უცებ გახალისდა და ჩაიხიბითა:

- ნამდვილი გიჟი ხარ, ხო იცი. შენ არ იყავი, რომ ჩამიშვი, უცებ რატომ მოგინდა, რომ დამხმარებოდი?

- უბრალოდ, არ მეგონა, ასე თუ მოხდებოდა. მე ეს არ მინდოდა, უნდა დამიჯერო.

- მართლა გგონია, რომ ამდენს მოვახერხებთ?

- თუ გეგმას არ გადაუხვევ და, რაც მთავარია, არავისთან დაძრავ სიტყვას, მაშინ კი.

- კარგი, კარგი. ამას მოვახერხებ როგორმე. მართლა არავინ ჰყავს? არავინ აუყვანია ამ როლზე?

- არა-მეთქი, გეუბნები.

- ვერ ვიჯერებ. მაგრამ შენ ხომ გძულს სპორტი. როგორ უნდა გაძლო სამი კვირა იმ სიმაღლეზე?

- რა ვქნა, ჩემი გაფუჭებული საქმე მე უნდა გამოვასწორო. სამაგიეროდ, მერე, იმედია, შენს გულს მოვიგებ, თუ გადავურჩები სამკვირიან ბაკურიანს და მთელ ამ დავიდარაბას.

- ასე შეთხზული გეგმა არასდროს მსმენია, მაგრამ შეიძლება იმუშაოს.

და გეგმამ იმუშავა. კოსტია დავიყოლიეთ: სუფთა ჰაერი, სპორტი, კომპავშირელები - ეს ნამდვილად მისი მოსაზონი იყო. საახალწლო დღესასწაულების მერე მალევე გავემგზავრეთ ბაკურიანში ავტობუსით. ჩვენი ზედამხედველი სტუდენტები, როგორც ვივარაუდეთ, სმასა და დროსტარებაზე იყვნენ მომართული და ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვიათ, როცა მამაჩვენის როლის უნიჭოდ შემსრულებელმა რეჟისორმა პირდაპირ ავტობუსიდან წაიყვანა დარია.

სამაგიეროდ, მე დამიდგა მძიმე დრო: მართლა აუტანელი იყო ახალგაზრდული ბანაკის საშინელ პირობებში ოთხ მოლაყბე გოგოსთან ერთ ოთახში ცხოვრება, ყოველდღე საუბრეზე უგემურ ფაფას და ვახშამზე მიწწვარ კატლეტს გვაჭმევდნენ, კარიერისტი სტუდენტები შოლტის ტყლაშუნით მიგვერეკებოდნენ სიცივეში; მით უმეტეს, რომ სულ არ მესალისებოდა ძველისძველი, უზომოდ გრძელი თხილამურებით თოვლში სრიალი და სიამოვნებით დავუთმობდი მთელ ჩემს დროს ქარიშხლიან უღელტეხილს, რომელსაც სწორედ იმ დროს ვკითხულობდი. მაგრამ მოთმინებით და შეგნებულად გავწირე თავი. ორჯერ გადავარჩინე სიტუაცია, როცა კოსტიამ დარიას დაძახება მოითხოვა ტელეფონთან და მის მოსაყვანად გამაგზავნა. ორივეჯერ მოვახერხე დამაჯერებელი მიზეზის მოძებნა და მისი გაცურება. ორივეჯერ

დავეკავშირდი დარიას ლაცაბიძის პირად ნომერზე, რომელიც მან სწორედ ასეთი საგანგებო შემთხვევისთვის ჩამანერინა და დარიამ კოსტიას გადაურეკა – მოგვიანებით. კოსტიას ეჭვი არ გასჩენია.

მეორე კვირის მიწურულს მოყაყანე, უტიფარ, მუნუკებიან და უწმანურად მოლაპარაკე ბიჭებს გადავურჩი, რადგან სათხილამურო ტრასაზე უეცრად მთიანეთში შემომხვდა სპორტსმენების ჯგუფთან ერთად, ბავშვობიდან უყვარდა თხილამურები და ბაკურიანში რომელიღაც ახალგაზრდული შეჯიბრებისთვის ემზადებოდა. თავიდან ვერ მიცნო, იმასაც მუნუკებიანი და უხამსი ხუმრობების მოყვარული ბიჭები ახლდნენ. როცა, ბოლოს და ბოლოს, გამიხსენა, სახეზე ღიმილი მოეფინა, თოვლივით ნათელი.

– შენ რაღას აკეთებ აქ?

– მგონი, იმავეს, რასაც შენ, – ვუპასუხე და მისი თანმხლები ბიჭები რატომღაც ახითხითდნენ.

მთავრად თვალვით ანიშნა და მაშინვე გაჩუმდნენ. როგორც ჩანს, სიტყვა ეთქმოდა. სხვა კორპუსში ცხოვრობდა, სადაც გოგონებს არ შეესვლებოდათ, მაგრამ მთიანეთში, რამდენიმე ძმაკაცთან ერთად ყოველ საღამოს ახერხებდა ჩვენს კორპუსში შემოპარვას. ბანაკისთვის დამახასიათებელი საარდადეგო განწყობა სუფევდა. სულ არ მიმაჩნდა, რომ მისი ძმაკაცები ძალიან მხიარულები იყვნენ, მაგრამ მაინც შევეუერთდი მათ ჯგუფს, ვმონაწილეობდი ღამის გართობასა და დროსტარებაში, თავისუფლად, ხალისიანად და, რამდენადაც შემეძლო, თამამად ვიქცეოდი.

ერთხელ, ვარჯიშის დროს, დანარჩენებს გავუპარეთ და ჩვენი თხილამურებით გავაჭერით თვალისმომჭრელ თოვლში. მის გვერდით – სულ რომ ოინბაზობდა და რაღაც სულელურ ანეკდოტებს მიყვებოდა – ლაღად და უსაფრთხოდ ვვრძნობდი თავს. ცოტა ხნის მერე ერთ კოტეჯში ერთობლივი სადილი გაიმართა ორივე ბანაკისთვის და მთიანეთში გამომიჭირა, როცა ემილი ბრონტეს ვკითხულობდი ჩემ-ჩემად. კომპოტი დაითრია, გვერდით მომიჯდა და დაინტერესდა, რას ვკითხულობდი.

– მე მოთმინება არ მყოფნის და ბარემ ბოლო ნაწილს ვკითხულობ ხოლმე, – მითხრა დარცხვინით, როცა წიგნი გადავდე, – სამაგიეროდ, ძალიან მიყვარს, როცა მიკითხავენ. მოსმენა კარგად გამომდის. ქრისტიანე ხშირად მიკითხავს, მაგრამ სულ რაღაც მოსაწყენს ირჩევს ხოლმე.

– რა წიგნები გიყვარს?

– სამი მუშკეტერი მომეწონა ძალიან.

მე თავი დავუქნიე.

– გინდა, რამე წაგიკითხო?

– აუ, კი, რა.

სულ არ ველოდი ასეთ აღტაცებას, ვიფიქრე, ზრდილობის გამო დამთანხმდებოდა. იმავე საღამოზე მოვილაპარაკეთ. მე პირველ სართულზე ფანჯარა უნდა დამეტოვებინა ღია და ის უნდა შემომძვრალიყო.

ბუსტად დათქმულ დროს მოვიდა და ტელევიზორიან ოთახში შევიპარეთ, რომელიც ცარიელი იყო, – ტელევიზორმა კარგა ხანია სული განუტევა, – გამაღიზიანებელ ცივ სინათლეში დავსხედით გაცვეთილ დივანზე და რომანიდან ნაწყვეტების კითხვა დავიწყე. ყურადღებით მისმენდა, განსაკუთრებულად ემოციურ ადგილებზე ცმუკავდა, მუშტებს კრავდა და ერთხელ მიჩქმიტა კიდევ მკლავზე, იმიტომ, რომ დაძაბულობას ვეღარ გაუძლო. როცა გარიჟრაჟზე ფანჯრიდან გადაძვრა, გუნებაში მაღლობა გადავუხადე ჩემს დას, კინოში გადაღება რომ მოინდომა.

წამოსვლამდე სამი დღით ადრე რუსა შემხვდა. საბაგიროსთან იდგა წითელ სპორტულ სამოსში გამოწყობილი, ასევე ლამაზად ჩაცმულ და ილღიებში ჯოხებ- და თხილამურებამოჩრილ ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად. გავჩერდი და მისი ტანსაცმლის წითელმა ფერმა თვალი მომწყვიტა. ვიგრძენი, როგორი ბაგაბუგი ამიტეხა გულმა. მეგონა, თითქოს ცხენები დააჭენებდნენ ჩემს ვენებში. იმდენჯერ მიფიქრია, როგორ შევხვდებოდით იმ წყეული ღამის მერე ერთმანეთს. იმდენი რამ მქონდა მისთვის სათქმელი, წინადადებებიც კი დავალაგე. მაგრამ მოძრაობის უნარი წამერთვა. შორიდან ვაკვირდებოდი, მერე ერთი-ორი ნაბიჯით წავინიე და დამინახა.

რუსა! – მინდოდა, დამეძახა, მაგრამ ხმამ მიმტყუნა. იმასაც უნდოდა ჩემკენ წამოსულიყო, თუმცა შეეტყო, რომ გადაიფიქრა. ორივე შიშმა შეგვიპყრო. როცა მაინც თავს ვაჭობე და მივუახლოვდი, ვიგრძენი, როგორ შევრთა, თითქოს შეეშინდა, რომ გადავეხვეოდი. ჩამქრალი თვალებით შემომცქეროდა. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ აშკარად არ იცოდა, რისი და როგორ. ისე მაინტერესებდა, რას აკეთებდა, როგორ იყო. მაგრამ ენაჩავრდნილი და დარცხვენილი ვიდექი მის წინაშე, სირცხვილის საბაბიც მქონდა. სულ სხვანაირი იყო. ისე უდარდელად და ჭიუტად აღარ იღიმოდა მთელი ქვეყნის და ყველა უბედურების ჯიბრზე, საერთოდ უჭირდა გაღიმება.

– ბაბუაშენთან ერთად ხარ აქ?

– არა, კომკავშირელებთან ერთად, კარგად ხარ?

– კარგად უნდა ვიყო, აბა, რა? უბრალოდ, უნდა მოვახერხო და ცხოვრებას ალღო აველო, ნიცა. შენ კი არ მავიწყდები.

ვერაფერი ვიგრძენი, როცა ეს თქვა. ერთადერთი, რაც მინდოდა, მალე გავცლოდი იქაურობას. ზრდილობიანად დავუქნიე თავი და მოვტრიალდი. რამდენიმე ნაბიჯი მქონდა უკვე გადადგმული, როცა

დამიძახა, მაგრამ აღარ მივიხედე და ანითლებულ და გაბრწყინებულ მიროს შევეგებე, ჩემკენ რომ გამოქანდა.

დასრულდა ბაკურიანის დღეები და ჩემი გეგმის ბოლო ნაწილმაც იმუშავა. ლაცაბიძე ავტობუსს დახვდა, განდობილად გადამეხვია, მამაჩემი ასე გაითამაშა. შევარგე თავისი როლი. მოგვიანებით დედას დავურეკეთ და რასაკვირველია, მოვატყუეთ, ჩამოსვლის დრო რომ აგვერია და უკვე ქალაქში ვიყავით.

შინ რომ მივედი და როგორც იქნა, განვმარტოვდით, ჩემმა დამ საიდუმლოდ მითხრა, გადაღების მეტი აღარაფერი მინდაო. აკრობატიკა ისტორიას ჩაბარდა, მსახიობობას ვიწყებო. მომიყვა, როგორ დაარწმუნა ლაცაბიძემ და მთელმა ჯგუფმა, რომ ძალიან ნიჭიერია, როგორ აქებდნენ აღიარებული მსახიობები, რა გადასარევი განწყობა იყო გადასაღებ მოედანზე, რამდენი საინტერესო ადამიანი გაიცნო, რომ ყველა ერთხმად აღიარებდა მის ფოტოგენურობას, რომ ორ წელიწადში, როგორც კი სკოლას დაამთავრებს, აუცილებლად თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარებს. ბოლოს არც მაღლობის გამოხატვა დავინწყებია და მეც ღიმილით გავეცალე.

* * *

ჩვენი გაზეთები ხომ პირდაპირ ეჭიბრებიან ერთმანეთს,
ვინ უფრო მაგრად შეაფურთხებს საბჭოთა ხელისუფლებას.
ჩებრიკოვი

კიტი საქველმოქმედო კონცერტებში მონაწილეობდა, ხშირად გამოდიოდა სხვა როკ- და პოპვარსკვლავებთან ერთად, უამრავი ტელეგამოსვლა და რადიოინტერვიუ ჰქონდა. სახელგანთქმულ კოლეგებთან ერთად დადიოდა გასტროლებზე. ჰერალდ ტრიბუნმა ბრიტანელი პეტი სმიტი შეარქვა.

კიტი შეიცვალა, ასაკს არ ეპუებოდა. იძლეოდა ინტერვიუებს, იხსენებდა წარსულს, ღიად აკრიტიკებდა საბჭოთა კავშირს, თავის სამშობლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, პოლიტიკას. ალბომები ზღაპრულად იყიდებოდა, ემი გამარჯვებას ზეიმობდა. ახალგაზრდებმა თავიდან აღმოაჩინეს მისი ძველი ალბომები. მაგრამ როგორც უნდა დაეხუჭა თვალი თავის ასაკზე, სხეულზე სულ უფრო მეტი ანაბეჭდი ეტყობოდა, მასში დაღლილობამ, უღონობამ, გულგრილობამ ჩაიბუდა.

ამ ანაბეჭდების დამალვა იოლი იყო ზეიმებზე, ხმამაღალი მუსიკის, ბევრი ხალხის გარემოცვაში და ალკოჰოლით მოთენთვისას. მაღლიერებით მიიღო სიახლენი, ადრე რომ შეუძლებლად მიაჩნდა. დაუფიქრებლად აჰყვა ყველაფერს, რაც ასე უცხო იყო მისთვის წლების განმავლობაში. გამხიარულდა, ეიფორიამ მოიცვა, მღვარს გადავიდა, უფრო და უფრო, სულ უფრო დაშორდა თავის თავს.

ყოველ საღამოს პროექტორების შუქში, ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი, იერს იცვლიდა. ხდებოდა ის, რაც არასდროს ყოფილა. ერთი, ორი ან სამი, ზოგჯერ შვიდი საათიც ან მთელი ღამე თამაშობდა ნებიერ ქალს, რომელსაც მთელი სამყარო ფეხქვეშ დაეგო, რომელმაც ეს ყველაფერი გაითავისა. სიმღერებს კი აღარ წერდა. აღარაფერი ჰქონდა სათქმელი.

და როცა დამდამობით მარტო რჩებოდა, თავის ლოგინში მწოლიარეს ძილი არ ეკარებოდა, ცდილობდა, არ ეფიქრა იმ კაცზე, რომელსაც გადარჩენის რუკა დაუხატა, და არც იმ ქალზე, ამ რუკის ნაშლას რომ ლამობდა. სურდა, რომ ის კაცი კარგად ყოფილიყო, თუნდაც იმ სამყაროში, რომელიც მისთვის უცხო გახდა. სურდა, რომ ის ქალი გადარჩენილიყო და გაღერეები არ გამოლოეოდა.

ანდრო კი უკვე ძალიან ხშირად მოდიოდა მასთან, მაყურებელთა დარბაზში დაუნახავს ხოლმე. სცენიდან რომ იყურებოდა, ხედავდა, როგორ იდგა პირველ რიგში და მისი კულულები როგორ ანათებდა სიბნელეში. როცა დილაობით ქუჩას გადაჰყურებდა, თავისი ფანჯრის ქვეშ მდგომს ხედავდა. ემისთან რომ მიიჩქაროდა სტუდიაში ან ინტერვიუზე და ქუჩაზე გადადიოდა, მაშინაც ხედავდა. ხან გაბოლილ, ხმაურიან კლუბში, სადაც ნაცნობ-მეგობრებთან ერთად მჯდომი უკვე მერამდენედ ისმენდა, რომ „დიდებულია“, „მაგარია“ და „მთელი ეპოქის შემქმნელი“. როცა ამ ყოველივეს ვეღარ უძლებდა და კლუბის ტუალეტში შედიოდა, რათა წყალი შეესხა სახეზე, ანდრო სარკიდან უდიმოდა. დარჩა. არსად წასულა. აღარც აპირებდა წასვლას. მას ელოდებოდა. კიტი დარწმუნებული იყო ამაში. არ აჩქარებდა. არ ეჩქარებოდა.

ერთხელ რომელიღაც ხელოვნების მეცენატის დიდებულ სახლში იყო წვეულებაზე ვატერლოოს პარკთან და როცა ბაღში გავიდა, შამპანურის ჭიქით ხელში, სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და ცოტა ხნით მარტო დარჩენაც რომ ენადა, სწორედ მაშინ ნეკერჩხლის ხესთან დაინახა. შეკრთა, იფიქრა, ახლა გაქრებაო, მაგრამ როცა ანდრომ მსგავსი არაფერი დააპირა, კიტი მისკენ გაეშურა, მიუახლოვდა, ოღონდ შეხება არც უცდია.

“მე ხომ უბრალოდ სიცოცხლე მინდოდა, გადარჩენა, განა ეს ცუდია? ეს არის შენი აქ ყოფნის მიზეზი? ანდრო, რატომ არის, რომ ყველაფერი წრეზე ბრუნავს, კარუსელივით, ისევ და ისევ? შეიძლება სწორედ ესაა ცხოვრების დინება. მაგრამ რაკი აქ დგახარ და ხმას არ იღებ, ვფიქრობ, რაღაცის თქმა მაინც გინდა, იქნებ: სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავი. ის ახლა უკვე დიდი იქნებოდა. მუდამდღე თვალწინ მიდგას. შევპირდი, სულ ჩემთან მეყოლებოდა, აქ, და აქ, და ყველგან, ჩემში.

ვბოდავ რაღაცას და თვითონაც ვერ ვიჭერებ, რომ სინამდვილეში ველაპარაკები. მხოლოდ მინდა, რომ ვიმღერო, ჩემი ჰორტენზიები

მოვრწყა და ხანდახან კარგი ვისკი მქონდეს, მეტი არაფერი. განა ბევრს ვითხოვ? ქენი რამე, ანდრო, მიშველე, გთხოვ!”

უცრად ჩაიკეცა, ჭიქა სველ მიწაზე დაუვარდა, ხის უხეშ მერქანს მიენარცხა, ხელი გაეკანრა, შავი შარვალი გაესვარა, მუხლებზე წამოიმართა ბადის ნოტიო მიწაზე, დაჭდა, ფეხები მოკეცა, ზურგი ხეს მიაყრდნო. ანდრო გამქრალიყო, აღარსად ჩანდა. მხოლოდ მასპინძლის სახლიდან შუქი და ფერადოვანი გურგური აღწევდა კიტიმდე, თუმცა აღარაფერი ჰქონდათ იმნუთას ანდროსთვის სათქმელი, ისევე როგორც დიდებულ სახლში თავმოყრილი მოზეიმეებისთვის.

წამოდგა. შარვილიდან მიწა მოიშორა, ისევ ხეს მიეყრდნო. სიცოცხლე ჩამოცვენილი ფოთლებივით დაეფანტა და საკუთარი თავის ამარა დარჩა. აქამდე ასე ვერ ახერხებდა ცხოვრებას, მით უმეტეს, მას მერე, რაც ლტოლვილია. ანუ, ზუსტად ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში.

1986 წლის 25 თებერვალს სკკპ-ს 27-ე ყრილობაზე ახალი გენერალური მდივნის თავმჯდომარეობით რადიკალური რეფორმები გამოცხადდა მრეწველობის გამოსაცოცხლებლად, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, გლასნოსტის დანყება.

მანამდე გორბაჩოვმა ფიზიკოსი სახაროვი შეიწყალა და დააბრუნა გადასახლებიდან, რაც ბევრმა პირველ ნაბიჯად აღიქვა მომავალი რევოლუციისკენ. „სოციალ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისკენ” მოუწოდა, თუმცა გეგმა არარეალური ჩანდა. გორბაჩოვის მოსვლიდან სულ რაღაც ნახევარ წელიწადში პოლიტიბიუროს წევრთა 70 პროცენტი გამოიცვალა.

მიუხედავად ამისა, წარმოება კვლავინდებურად სტაგნაციაში იმყოფებოდა, ნეპოტიზმმა და კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. სანარმოთა პრივატიზებისა და ამით სახელმწიფო კონტროლისგან თავის დაღწევის ტალღა უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა. მოწინააღმდეგეთა შორის იყო ბაბუაჩემიც. კონსტანტინე ჯაშს მიაჩნდა, რომ ქვეყანას ახალი რევოლუცია კი არა, უფრო ძლიერი სადავეები ესაჭიროებოდა, რადგან ისედაც ყველაფერი მიშვებული იყო და სადაცაა ჩამოიშლებოდა.

მზიური საქართველო იხლიჩებოდა რეფორმების ეიფორიულ მოლოდინსა და რეფორმატორის უნიათობას შორის. პრესისა და ბეჭდვის თავისუფლების წყალობით ბევრმა მანამდე აკრძალულმა ხელნაწერმა, თარგმანმა, ესეიმ და სტატიამ იხილა დღის სინათლე. ხალხი სულ უფრო ხშირად იკრიბებოდა ჯგუფ-ჯგუფად უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტების შენობებში, ჯერ კიდევ გაუბედავად, მაგრამ მაინც კამათობდნენ მომავალზე. ლექსებიდან და სიმღერებიდან სულ უფრო მეტი კრიტიკა ისმოდა.

- ცვლილებები თუ გინდა, იმის იმედი არ უნდა გქონდეს, რომ ყველა მხარს დაგიჭერს, - წყრომით ლაპარაკობდა კოსტია, როცა სადამოობით

ახალ ამბებს უყურებდა, – ამას ნებავს რომ ყველას მოაწონოს თავი, კომუნისტებსაც და კაპიტალისტებსაც. ნამდვილად ვისერს წაიტეხს.

მაშინ მის სიტყვებს და დარღებს არად მივიჩნევდი, „ვრემია“ რას გადმოსცემდა, სულაც არ მაინტერესებდა. დიდი განხეთქილების მერე, ჩვენ შორის რომ წარმოიქმნა, ყოველგვარი ინტერესი დამეკარგა ბაბუაჩემის მიმართ, ან ასე მეგონა. მის პრობლემებთან საერთო აღარაფერი მინდოდა მქონოდა.

სამაგიეროდ, იმ ტკბილი ნაყოფით ვსაზრდოობდი, რაც ჩემმა შურისძიების გეგმამ გამოიღო: დარია უსაზღვრო ყურადღებითა და ნდობით მეპყრობოდა. სკოლის ეზოში გვერდს აღარ გამივლიდა ხოლმე, უფრო მეტიც, თავის წრეში შემეყვანა, ყველა მეგობარი გამაცნო. ირწმუნა, რომ ჩემი სიყვარული უფრო ნაღდი იყო, ვიდრე ბაბუამისის, რომელსაც ასე შესცივინებდა. დავუმტკიცე, რომ ჩემი იმედი უნდა ჰქონოდა. ეს კი ცოტას არ ნიშნავდა.

ლაცაბიძემაც კი ჩამომართვა ხელი, რომელიღაც კადრის თავიდან გადაღება რომ მოუწიათ და დარიას სტუდიაში მივყევი, მადლობა გადამიხადა დახმარებისთვის. ფილმს ერქვა „გზა“ და შემდეგ წელს უნდა გამოსულიყო ეკრანებზე. ამ ტრიუმფის ვინმესთან გასაზიარებლად ერთ საღამოს ტროლეიბუსში ჩავჯექი, ვაკისკენ გავწიე და ქრისტინეს კარზე დავრეკე ბარი. შემოიძვრა ჩაბნელებულ სამზარეულოში, სადაც ახალმოხარული ჯემის სუნი იდგა. არ უკითხავს, აქ რამ მოგიყვანაო, გემრიელი მაკარონის წვნიანი შემომთავაზა. სადილის მერე მკითხა, მიროს გამო ხომ არ მოხვედით.

– კი, რა თქმა უნდა.

– მთავარი მითხარ, რა კარგი დრო გაგიტარებიათ ბაკურიანში. სტასია ამბობს, რომ ძალიან ჭკვიანი გოგო ხარ.

ცოტა ლიქიორი დაისხა ჭიქაში. მე ამ დროს ნამცხვარი გადმოვიღე პრიალა თეფშზე და ვცდილობდი ისე მეჭამა, რომ არ დაფშვნილიყო.

– ადრე ჩვენთან ცხოვრობდი, არა?

ისევ ვერ მოვთოვე ცნობისმოყვარეობა.

– არა, ასე არ იყო. ადრე ყველანი ჩემთან ცხოვრობდნენ. მაშინ დიდი სახლი მქონდა, ლამაზი სახლი. ბაბუაშენი და კიტი იქ გაიზარდნენ. შესანიშნავი ბაღი გვქონდა შადრევნით და... რას იზამ. წავიდა ის დრო.

მერე დასძინა, მითხარ რამდენიმე მეგობართან ერთად მზიურშია კარტინგეო; მაგრამ გადავცემ, მოსანახულებლად რომ მოაკითხეო.

– გვწვინე ხოლმე, როცა მოგინდება, – მისმა სიტყვებმა გამამხნევა. დედაჩემთან დიდი ხანია საპანაშვიდე განწყობა სუფევდა. თავის ტკივილს უჩიოდა გამუდმებით, ამიტომ ალექსომ გარე-გარე დაიწყო ლოთობა, სულ ჯიჭინებდნენ, მით უმეტეს, მხოლოდ გვიან ღამით ბრუნდებოდა, ასე რომ, ვამჯობინე მზიურში წავსულიყავი, რომელიც არც ისე შორს იყო ქრისტინეს სახლიდან, და მითხარ მომენახა.

ქვემოთ, სულ ბოლოში, სადაც მზიური ზოოპარკს ესაზღვრებოდა, მართლაც აღმოვაჩინე პატარა ტრასა და ბიჭები, რომლებიც იდგნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და საჭესთან მსხდომებს გულშემატკვირობდნენ. ვიგრძენი, როგორ გამომაყოლეს თვალი, როცა ჩავუარე და მირი ვიკითხე. ბოლოს ვიპოვე, დასაკეც სკამზე იდგა და ვიდაც ბიჭთან ერთად რაღაც ფურცლებს არჩევდა. როცა თავზე დავადექი, შეშინებული და გაკვირვებული წამოფრინდა სკამიდან.

- აქ რას აკეთებ?

- ქრისტიანულად ვიყავი, მითხრა, რომ აქ გიპოვიდი. ვიფიქრე გავუვლი-მეთქი.

- მაგარია, კარგი ქენი. მაგრამ არსად წამოგცდეს, გაიგე? აქ თექვსმეტ წლამდე ნებას არ რთავენ, ჩემთვის გამონაკლისი დაუშვეს... იცი ტარება?

- აბა, რა. მაგრამ ახლა ნიძლეებს ვასრულებ.

- ნაძლეებს?

გვერდზე გამიყვანა, მრავალმნიშვნელოვნად გადამხვია მხარზე ხელი და ყურში მითხრა, აქ პრინციპში არალეგალურად ვსაქმიანობო, დიდი ამბავი, ეს ბიჭები უბრალოდ ცოტა ჯიბის ფულს შოულობენო. არავისთან წამოგცდესო, კიდევ გამიმეორა, ყოველი შემთხვევისთვის.

- კი მაგრამ, მე თუ წაგასწარი ამ ქაღალდებით, გგონია, მილიციას გაუჭირდება თქვენს კვალზე გამოსვლა? - დაბნეულობისაგან თავი მოიფხანა. ეტყობოდა, რომ ამაზე არც უფიქრია.

- ჩემი აზრით, უკეთესად უნდა მოაწყოთ ეს ყველაფერი, რამე უნდა მოვისაზროთ, - განვუცხადე.

- რას მთავაზობ, მაინც როგორ წარმოგიდგენია?

- რა ვიცი, თუ გინდა, შეგეშველებით.

არადა, კარტინგზე წარმოდგენა არ მქონდა და ბიჭებიც შიშის ბარს მცემდნენ. მაგრამ ასე მირის უფრო ხშირად ნახვის შესაძლებლობა მომეცემოდა.

- კი მაგრამ, ამის აზრზე რომ არ ხარ?

- სკოლის მერე ბევრი თავისუფალი დრო მრჩება, თანაც დედაჩემი დიდად არ მაკონტროლებს, იცის, სწრაფად რომ ვსწავლობ.

ცოტა ხანი დაფიქრდა, მერე დანარჩენებთან მივიდა და მოეთათბირა. ბოლოს აღტაცებული გამომეტყველებით წამოვიდა ჩემკენ:

- იდეა მოიწონეს. ყველაფერს აგისხნით, შენზე არავინ აიღებს ეჭვს, რახან გოგო ხარ. ხვალ ორ საათზე უნდა მოხვიდე, ზვიგენაც იქნება, შეფი ეგ არის.

- ზვიგენა?

- ჰო, ზვიგენა, ჩვენი შეფი, ცხრამეტი წლისაა, - ისეთი ამბით წარმოთქვა, თითქოს დიდ რამეს ნიშნავდა.

ბოლო გაკვეთილი, გეოგრაფია უნდა გამეცდინა მეორე დღეს, რომ დროულად მივსულიყავი პარკში. არ უნდა გამძნელებოდა.

ყველაფერი მარტივად იყო: მზის ჩასვლისთანავე, როგორც კი პარკი ცარიელდებოდა, კარტინგი მოზარდებს და მათ სრულწლოვან ლიდერებს უღებდა კარს. ზედამხედველები მოსყიდული ჰყავდათ, გარეშეთა დასანახავად ეს სანვრთნელი ჯგუფი იყო, სინამდვილეში კი აზარტული გატაცება და ჯიბის ფული გროვდებოდა მაგარი ბიჭებისთვის. რბოლა სიბნელეში იმართებოდა. მანამდე კი ვედროში იყრებოდა ბარათები ფავორიტების სახელებით, როგორც ლატარიაში. ფული ზვიგენას ბარდებოდა – ბოლოს კი ფული გამარჯვებულებს უნანილდებოდათ. ამიერიდან ფინანსები ჩემს განკარგულებაში უნდა გადმოსულიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზვიგენა – მოტმასნილ ნამდვილ „ლევისში“ გამონყობილი გამხდარი ტიპი, ცუდი კანი და ცხიმიანი თმა რომ ჰქონდა და გაუთავებლად ეწეოდა სიგარეტს, – თავიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაინც მოვახერხე მისი დარწმუნება. სწრაფად ვანგარიშობდი, განხილვებში არასდროს ვერთვებოდი და ფულს საიმედოდ ვმაღავდი კოლგოტში – ჩემთვის მთავარი იყო, დედაჩემი დამეჭერებინა, რომ მხატვრული კითხვის ჯგუფზე ჩავენერე პიონერთა სასახლეში, ამიტომ კვირაში სამჯერ გვიან დავბრუნდებოდი შინ. მაგრამ მალე მან სრული ნდობა გამომიციხადა და ზოგჯერ, სკოლის მერე, შინაც აღარ მივდიოდი, ქრისტიანესთან ვსადილობდი და მოგვიანებით მიროსთან ერთად მივდიოდი რბოლაზე. ქრისტიანე ელენე დაამშვიდა, რომ არ წუხდებოდა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ერთისთვის მოამზადებდა სადილს თუ ორისთვის, ლანა ისედაც თითქმის არასდროს სადილობდა იქ – ან სულ სამსახურში იყო და ან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში.

მართალია, თავიდან ვმორცხვობდი, მაგრამ მალე აღარ მიჭირდა კარტინგის ბიჭებთან ურთიერთობა, მათთან უფრო ვარგადაც კი ვიყავი, ვიდრე ჩემი თანაკლასელების გარემოცვაში. არც სილამაზე მომეთხოვებოდა და არც ტანსაცმელზე ყურადღების გამახვილება, ლუდს ვწრუპავდი ბოთლიდან, მერე ვაბოყინებდი ან სიგარეტს ვენეოდი – ეს საკმარისი იყო, რომ იმათიანი გავმხდარიყავი.

რბოლა ნაკლებად მაინტერესებდა, ამიტომ ამ დროს წიგნებს ვკითხულობდი. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები ზოგჯერ უმნოდ ხუმრობდნენ ჩემს სასიყვარულო რომანებზე, არც მე ვრჩებოდი ვალში და პასუხი მზად მქონდა: კიდევ კარგი, რომ თქვენს წრეში ერთმა ადამიანმა მაინც იცის წერა-კითხვა-მეთქი. ასეთი გამონათქვამებით თანდათანობით საყოველთაო პატივისცემა დავიმსახურე. ზვიგენას უწინდელმა ეჭვმა, რომ ჩემნაირი გოგო არ ივარგებდა ამ საქმისთვის, არ გაამართლა. მალე ვისწავლე სიცილი უხამს ხუმრობებზე და უწმანურ გამოთქმებს მაინცდამაინც გონებრივ განუვითარებლობას აღარ მივანერდი, ვისწავლე შორს გადაფურთხება და „აორთქლება“, როცა „ძაღლები“ გვიახლოვდებოდნენ.

მირო იმ დროს ზუსტად გამყოფ ხაზზე მოძრაობდა ქარიშხლიან უღელტეხილსა და „შენი დედას შევეცის“ შორის და ჯერ გაუგებარი იყო, რომელ მხარეს აირჩევდა საბოლოოდ. ისე ცდილობდა, ყველასთვის თავი მოეწონებინა და ყველა გაემხიარულებინა, რომ ზოგჯერ ნერვები მეშლებოდა, თუმცა ყოველთვის ახერხებდა, ჩემი უკმაყოფილება გაექარვებინა. არ მოისვენებდა, სანამ არ გამაცინებდა. მაგრამ როცა თავის კლოუნადას წყვეტდა, მშვიდად მიჭდებოდა გვერდით და რამის ნაკითხვას მთხოვდა, ვგრძნობდი, საჭირო რომ ვიყავი და ზუსტად იქ იყო ჩემი ადგილი, იმ მუდამ ხალისიანი ბიჭის გვერდით.

მივხვდი, რომ დამაგვიანდებოდა. უკვე საბაბს ვეძებდი, დედაჩემთან თავი რომ მემართლებინა. ზვიგენა და დანარჩენი ბიჭები წაკინკლავდნენ, ვერაფრით გაარკვიეს, როგორ დამთავრდა ერთ-ერთი რბოლა, შესაბამისად, ფული უნდა შემენახა. დავიღალე, უკვე ათ საათს გადაცდა და კიდევ კარგა ხანს რომ აღარ დავლოდებოდი ტროლეიბუსს, ვამჯობინე, მიროსთან ერთად ფეხით წავსულიყავი ქრისტინესთან, იმან კი დედაჩემს დაურეკა. მერე მე დამიძახა ტელეფონთან.

- მაპატიე, დედა, უბრალოდ მიროსთან შევეყვი ლაპარაკს.

- ახლა ველარ მოგაკითხავ, ალექსომ მანქანა წაიყვანა. ასე რომ, ამალამ ქრისტინესთან დარჩი. ხვალ კი, სკოლის მერე, პირდაპირ სახლში წამოდი. კოსტია მოგაკითხავთ, დარიას ტანვარჯიში რომ დაუმთავრდება. გასაგებია?

კარტი ვითამაშეთ და ბევრიც ვიცინეთ იმ დღის ამბებზე. მირო ხან რომელ ბიჭს გამოაჯავრებდა და ხან რომელს... რაკი ლანა ერთი კვირით როსტოვში იყო მივლინებით და მიროს ოთახი მთლიანად ჩვენი იყო, გასაძლელ დივანზე გავიწყვე ლოგინი, მისი საწოლის გვერდით. როცა შუქი ჩავაქრეთ, მირომ ფარანი აანთო, ჩემს საწოლზე ისკუპა და წიგნი შემაჩეჩა ხელში.

- რა არის? - შევეკითხე ჩურჩულით.

- ბელიაევის ადამიანი-ამფიბია, 119-ე გვერდზე ვარ უკვე. მაქედან წამიკითხე, რა.

არაფერი მითქვამს, ისე დავიწყე სამეცნიერო-ფანტასტიკური რომანის კითხვა.

- შენც გრძნობ სუნს? - სურნელი იმდენად მძაფრი იყო, რომ ცოტა გავოცდი კიდევ. მირო წამოჭდა და ისიც ისე ასრუტუნდა, თითქოს გემს იღებდა მშიერი ცხოველივით.

- რა არის?

- შოკოლადის სუნს ჰგავს. ალბათ, შოკოლადის ნამცხვარს აცხობს ქრისტინე. არა?

- ჰო, წამო, ვნახოთ...

წამოვცვივდით. ჩავყავი ფეხი მის ფლოსტებში, რომელიც ოთხი ზომით დიდი მაინც მექნებოდა და გვერდით ოთახში შევაჭერთ.

ქრისტიანე ტელევიზორის წინ იჯდა, ეკრანზე ფერადი ზოლები ციმციმებდა. გადაცემები დასრულებულიყო. ის მაინც იქვე იჯდა და ფინჯნიდან რაღაც შავსა და შესქელებულ სითხეს შეეცქეოდა კოვზით. თავიდან ვერ შეგვაძინია და ნება-ნება განაგრძობდა ჭამას.

ჩვენ დაბნეულები შევცქეროდით ხან ქრისტიანს და ხან – ტელევიზორს. მირო უკნიდან მიეპარა და მოეხვია. ქრისტიანე შეხტა, თითქოს სიზმრიდან გამოფხიზლდა, მერე მაჯაზე აკოცა მიროს.

– აქ რას აკეთებთ? რატომ არ გძინავთ?

– რას ჭამ ასეთ გასაგიჟებელს?

მირო დააშტერდა მის ჭიქას. ქრისტიანემ ხელი დაათარა ჭიქას.

– არაფერს. ბავშვებისთვის არ შეიძლება.

– ჩვენ ხომ ბავშვები აღარ ვართ, – თქვა მირომ თავდაჯერებით.

– დიახაც, ხართ. მოუსვით აქედან. ხვალ სკოლაა, ხომ არ დაგავიწყდათ?

– კარგი რა, ქრისტი, ჩვენც გაგვასინჯე, გემრიელი სუნი აქვს, რა არის?

– არ შეიძლება!

ლამის კვილით წამოხტა. წამით პირისპირ გავჩერდით ჩვენ ორნი და ის ველური კატასავით, საკუთარი ტერიტორია რომ აქვთ მონიშნული. მერე მირომ უცებ გვერდი აუარა, სამზარეულოში შეიჭრა და იქიდან სპილენძის პატარა მადულარა გამოიტანა, ყავისას ჰგავდა. უკვე ჩაეყო თითი და ტლიკავდა. თვალებშილულული სიამოვნებისგან აქიცინებდა თავს.

– არა, ამას ნუ იბამ! – ისევ შეჰყვირა ქრისტიანემ და მოცვლილივით ჩაეშვა სავარძელში. მირომ ამასობაში მეც ჩამიტენა პირში ბლანტი, წელვადი შოკოლადი თავისი საჩვენებელი თითით.

ვიგრძენი, როგორ დამბურძგლა მკლავებზე, შევკრთი. თითქოს ეს იყო დედამინაზე ჩამოვარდნილი ღვთიური ნუგბარი, ყველაზე საოცარი, რაც კი ოდესმე მიგემნია. ნარჩენები ერთიანად ამოვტლიკეთ. თითებს გაფაციცებით და რიგრიგობით ვუსვამდით კედლებს, ფსკერს, მერე პირში ვიდებდით, მერე ისევ შოკოლადში. ქრისტიანე უძრავად იჯდა სავარძელში, არ გვიყურებდა და აღარც უცდია შევეჩერებინეთ. – ქრისტი! – მირო სავარძლის სახელურზე დაეშვა, ცალი ხელით მოეხვია მხარზე, – აქამდე რატომ არ გამისინჯავს, უგემრიელესია.

– ჩემი და მართალი იყო. ამაში ყოველთვის მართალი იყო, – ჩაიჩურჩულა ქრისტიანემ.

განცდილ სიამოვნებასთან ერთად მოულოდნელად მივხვდი, რომ შოკოლადმა რაღაც უჩვეულოდ დამასვედიანა. თითქოს შიში ჩამიბუდა იმ გემომ...

მეორე დილას სკოლაში გავიგეთ, რომ უკრაინაში, ატომურ სადგურზე, რომელსაც ჩერნობილი ერქვა, აფეთქება მოხდა და ახლა ყველას მუტაცია გველოდა და წამებით სიკვდილი.

- კი მაგრამ, უკრაინა ხომ შორს არის, - გამოთქვა სანინა აღმდგომი აზრი ერთმა მერვეკლასელმა სკოლის ეზოში.

- არც ისე შორს. თანაც მანძილს მნიშვნელობა არა აქვს, საჭმელ-სასმელი მოინამლება და ყველას ტვინი გაგვიწყვდება, - უპასუხა რომელიღაც ჭკუის კოლოფმა.

- ხეები ვარდისფერი გახდება და მინა გალურჯდება? ნაკითხული მაქვს, ჰიროშიმაში იყო ასე.

- ეს ჰიროშიმაზე უარესია. მთელი მსოფლიო დაინამლება. ამერიკაც კი, - ირწმუნებოდა ისევ ის ჭკუის კოლოფი, ამკარად შეთქმულების თეორიის მიმდევარი უნდა ყოფილიყო.

- ამერიკელების პროვოკაცია ხომ არ არის? იქნებ სპეციალურად გააკეთეს, რომ...

- მართალია. ჩვენთან ამას არ დაუშვებდნენ, ყურადღებით არიან, - შიში გამოხატა სათვალთანავე გოგონამ.

- ყველანი ზომებდად გადავიქცევით, - ახლა მეორე გოგომ გამოიღო თავი, მე კი ვამჯობინე სასწრაფოდ გავცლოდი სკოლის ეზოს.

სალამოს, შინ რომ ვბრუნდებოდი დარიასთან ერთად, კოსტიას ვკითხე, რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი ეს ყველაფერი. კოსტიამ მანქანა გააჩერებინა მძღოლს, უკან გადმოჯდა ჩვენთან და ხელები გადაგვხვია მე და დარიას. შევკრთი, იმ სალამოს შემდეგ აღარ შევხვებოვარ ბაბუაჩემს.

- ყველაფერი კარგად იქნება. თქვენ არაფერი გემუქრებათ. მშვიდად იყავით.

კოსტია თითქმის აღარ გამოდიოდა თავისი საძინებელი ოთახიდან. აბაზანის ხალათიანი და თანაც გაუპარსავი მიუჯდებოდა ხოლმე ტელევიზორს, სულ „უსუსურებს“, „ქურდებს“ და „ქვეყნის მტრებს“ ლანძღავდა და ხმამაღლა ირწმუნებოდა, ამ ქვეყანას რკინის ხელი სჭირდება, რომ ისევ ფეხზე დადგესო. იყო დღეები, როცა ისაუბრებდა თუ არა, ღვინოს დაიდგამდა. მწვანე სახლში წარამარა ამოდიოდნენ თავიანთი „ვოლგებით“ პირქუში გავლენიანი პირები სამინისტროდან, კოსტიასთან ერთად ჩაიკეტებოდნენ მის კაბინეტში და იქიდან აღწევდა აღშფოთებული შეძახილები. ზოგჯერ კოსტიას სტუმრები ფერდაკარგულნი გამოვლიდნენ ოთახიდან და სახლს ტოვებდნენ. მაისის ბოლოს, როგორც იქნა, წავიდა ისევ სამსახურში. როცა იმ სალამოს შინ დაბრუნდა, პირველი, რაც მოიმოქმედა, ნანას ძვირფასი სერვიზი შეაღწა კედელს. ფეხებს აბაკუნებდა და ღრიალებდა, მე მაგათ ვაჩვენებ, მაგ ღორებსო, ბოლოს და ბოლოს, ხომ ჩემი დამსახურებაა, თანამდებობებზე რომ არიან, საერთოდ სამსახური რომ აქვთო, დამაცადონ, მაგათ არ იციან, ვისთან აქვთ საქმეო.

- შენ რა, გაგიჟდი?! - უყვირა ნანამ, კოსტიამ რომ მისი ერთ-ერთი უიშვიათესი შენაძენი დაამსხვრია.

დარია და მე უძრავად ვისხედით საქანელაზე, რომელიც საცაა ჩამოწყდებოდა კიდეც. რამდენიმე დღით ადრე დარიას ლაცაბიძე ენახა, ფილმის მონტაჟი დაესრულებინათ, მაგრამ პრემიერა ჩერნობილის გამო გადაიდო. ჯერ შინაურული ჩვენების გამართვას აპირებდნენ კინოს სახლში, სადაც დარია დაპატიჟა. დარიამ კი, აღელვებულმა და ანითლებულმა, მთხოვა, წამომყევით. მას მერე მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა ჩაეცვა. მე რაღაც მენიშნა, ბოლო დროს სულ ერთ სახელს რომ ახსენებდა და თან გულუბრყვილო მეოცნებე თვალებით იმბირებოდა.

- ვინ არის ეს ლაშა, სულ მაგაზე რომ ლაპარაკობ?

- ჩვენი ოპერატორი.

- მერე?

- მერე არაფერი.

- სულ მაგაზე ლაპარაკობ.

- უკვე ორჯერ მომავითხა სკოლაში.

შიგნიდან აღწევდა კოსტიას გაგიჟებული ყვირილი.

- როგორ, მოგაკითხა? თქვენ რა, ხვდებით ერთმანეთს?

- კინოში დამპატიჟა, პარასკევს.

- და რა ტიპია?

- გადასარევი ვინმეა. და ძალიან ლამაზი. ყოველთვის ისეთი მაგარი რამეები აცვია და ამერიკაშია ნამყოფი, ნიუ-იორკში და თანაც რამდენიმე ვარსკვლავსაც შეხვედრია.

- და რამდენი წლისაა?

- ოცდაცამეტის.

- ბებერი ყოფილა.

- რა სისულელეა. მე ისედაც დიდი ვაცები მომწონდა.

გამიკვირდა, იმიტომ რომ მანამდე დარიას არანაირი ვაცი არ მოსწონებია, ან უბრალოდ ვაცებისთვის არ ეცალა, საკუთარი თავით იყო დაკავებული. მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა გამოიღვიძა ზამთრის ძილიდან.

- შენი სერვიზების დედაც... გაგდებას მიპირებენ სამინისტროდან, უნდათ, რაღაც პატარა თანამდებობას დავთანხმდე შსს-ში. იმდენი თავხედობაც კი ეყოთ, რომ უტიფრად მომახალეს, ბუღალტერიაში შეუსაბამობებიო - და ეს თურმე ჩემი ხელმძღვანელობის პირობებში! ეგ უტვინოები!

კოსტიას ღრიალს ფონად მიჰყვებოდა მოცარტის ჰანგები ფარდულიდან, სადაც სტასია გამოკვეტილიყო მთელი დღის განმავლობაში.

- ბაბუას გაგდება უნდათ? - მიაყურადა დარიამ. მეც ყურები ვცქვიტე.

- ეს სალახანები, მე მაგათ ვაჩვენებ. ყველას მოვხსნი, ყველას კინწისკვრით გავყრი! ველარავის ენდობი, ვერავის, გესმის შენ? ისეთი

დრო დადგა, კაციშვილს აღარ შერჩა ადამიანობის ნატამალი, წესიერებასა და ზნეობაზე აღარაფერს ვამბობ. გამოამხეურონ თავიანთი საბუთები და მერე ვნახოთ, რამდენად უმნიკვლოები არიან თვითონ!

- კი მაგრამ, კოსტია... რას ლაპარაკობ, ეს ხომ შეუძლებელია? მართლა შეუსაბამობებია შენს ბულალტერიაში?

- რა შეუსაბამობა, რის შეუსაბამობა? მთელი ქვეყანა შეუსაბამობა არ არის? შენ რა გგონია, რითი ცხოვრობ? შენი საზაფხულო კურორტები და შენი შეხვედრები დაქალებთან. რა გგონია, როგორ გადავუხადე შენს საუკეთესო მეგობარს ურთულესი ოპერაციის საფასური? რა გგონია, საიდან გვაქვს ეს ყველაფერი? შენი და ჩემი ხელფასით? მართლა ასე ფიქრობ?

ღარიას ქვედა ტუჩი აუკანკალდა. ხელში ჩამეჭიდა.

- ყველა ქურდია და ყაჩაღი, ყველას ქრთამი უნდა, არავის ტრაკის განძრევა არ უნდა. ასეა ამ დამპალ ქვეყანაში. შენ ხომ გინდოდა, ჩამოვსულიყავი. დავბრუნებულებიყავი ამ ვირთხების სოროში. საზღვაო ფლოტში მსგავსი არაფერი მოხდებოდა. იქ იციან კაცობის ფასი. შენ არ იცი, რა ნაძირლებთან მიწევდა ურთიერთობა ამ წლების განმავლობაში. შენ გგონია, მეხალისებოდა? ეს სისტემა ჩემი მოგონილი კი არ არის. მე უბრალოდ ვირთხების სოროში ამოვყავი თავი. შენ გამო და შენი ჭკუისკოლოფი შვილის გამო. რომელიც ახლა ლოთთან ცხოვრებითაც კმაყოფილია. ბულალტერია, არ გამაცინო. ბულალტერია. მაჩვენოს ერთი ვინმემ ნებისმიერი სახელმწიფო დანესებულების ბულალტერია!

- კოსტია!.. - ნანას დამფრთხალი და დაეჭვებული ხმა ჰქონდა, - შენს ბულალტერიაში რამე აღმოაჩინეს?

- არავითარი ბულალტერია არ არსებობს, რა ვერ გაიგე? ადამიანებს აღარაფერი შერჩათ წმინდა, გაინტერესებს, რატომ არის ასე? იმიტომ რომ ეს არაფრის მაქნისი მიუშვეს ხელისუფლებაში, ეს ძალად რევოლუციონერი, რომელსაც თავის ხალხთან გამოსვლის ეშინია. და რამდენი ხანია, რაც ასე გრძელდება? და შენთან? რა ხდება შენს წმიდათაწმიდა უნივერსიტეტში? რა ღირდა იურიდიულზე მოხვედრა? რამდენი უნდა გადაგეხადა, რომ ექიმი გამოსულიყავი? როგორ ხდება თქვენთან? თუ სინტაქსმა ისე ჩაგითრია, რომ სხვა აღარაფრისთვის გრჩება დრო? ხომ გინდოდათ ასეთი ცხოვრება. ყველას გინდოდათ.

- რაებს ლაპარაკობ, კოსტია?

ღარია ფეხზე წამოდგა და გაფართოებული თვალებით შემომხედა. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა, განძრევას ვერ ვბედავდი. უცებ მოცარტიც შეწყდა.

* * *

როგორ აბუჩად აგვიგდო ამ სახელმწიფომ!

რიბაკოვი

მოსკოვში წვიმდა. კოსტიამ ტაქსი გააჩერა შერემეტიევოზე. სიამოვნებით შეატყობინებდა მეგობარს, რომ დახვედროდა, მაგრამ ვერ დაუკავშირდა. კვირაზე მეტია ურეკავს ალანისას, მაგრამ ვერ იპოვა. თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრია. ლუბიანკაზე მეგობრების მეტი რა მყავს, ვიპოვიო.

სასტუმრო „მირში“ ჰქონდა ნომერი აღებული და სანამ იქ მივიდოდა, გზაშივე იგრძნო, როგორ მოეშვა წინა კვირების მთელი დაძაბულობა, სასონარკვეთილება, მრისხანება. უკვე უსაფრთხოდ გრძნობდა თავს ამ ქალაქში. ასე ეგონა, გულში იხუტებდა ყოველთვის. ლენინგრადისგან განსხვავებით, კომშარებიც არ აკავშირებდა მასთან. აქ მიაღწია თავისი კარიერის უმაღლეს მწვერვალს. სახელი მოიხვეჭა და პატივისცემა დაიმსახურა. მაშინ სხვა დრო იყო, უკეთესი, რომელსაც სიყვარულითა და სიამოვნებით იხსენებდა.

როგორც კი ბარგი ოთახში შეიტანა, ტაქსით პირდაპირ რესტორან „სოვეტსკაიას“ მიადგა, ლეგენდარულ ადგილს, სადაც ყველას არ მიესვლებოდა. შეუკვეთა ყირიმული შამპანური, ხიზილალის ბლინები, ჭარხალში ჩაწყობილი თევზი. ცოტა ხნით დაივიწყა დარდი. იქ ისევ ძველი კოსტია გახდა, გავლენიანი, ყოვლისშემძლე კოსტია, რომელიც ყველაფერს აკონტროლებდა. ბოლოს ერთი „ვოდკაც“ შეირგო და მერე გზა განაგრძო – კუტუზოვის პროსპექტისკენ, რამდენადაც იცოდა, ბოლოს იქ ცხოვრობდა ალანია.

დაველაპარაკები, ძმაკაცია, მხარში დამიდგება, ყველაფერი მოგვარდება. მაგათ ვაჩვენებ, მაგ ნეხვის ჭიებს, მაგათ არ იციან, ვისთან აქვთ საქმეო. თუ საჭირო გახდა, სხვა თანამდებობაზე გადააყვანინებს ჩემს თავს, დაელაპარაკება, ვისაც საჭიროა. სხვას თუ ვერაფერს მოვახერხებ, ისევ მოსკოვში გადმოვალ. დარისაც წამოვიყვან. მალე სკოლას დაამთავრებს და აქ წესიერ უმაღლეს განათლებას მიიღებს. მყუდრო ბინას ავიღებ სადმე, სადოვაიას მახლობლად, ეგ უბანი ყოველთვის მომწონდაო.

ასე ეგონა, მთების გადაბრუნება შეეძლო. ეს ქალაქი აძლევდა ძალას. შეეძლო ყველაფერი თავიდან დაეწყო. ის ქართველი შარახვეტიები უკან მოეტოვებინა და ბოლოს და ბოლოს, პროფესიონალებთან, საკადრის ხალხთან დაეჭირა საქმე.

თავის წიგნაკში რამდენიმე სხვა ტელეფონის ნომერიც ეგულებოდა. რა თქმა უნდა, ზოგი მისი ძველი ნაცნობი ქალბატონი შეიძლებოდა ამასობაში უკვე გათხოვილიყო და შვილიშვილებიც ჰყოლოდა, მაგრამ რამდენიმე მათგანს ნამდვილად გაუხარდებოდა ძველი დროის გახსენება.

თუ მისმა თანამემამულემ, შევარდნაძემ, მოახერხა ჯერ საქართველოს სსრ პირველი მდივნობა და მერე საბჭოთა კავშირის

საგარეო საქმეთა მინისტრობა, კოსტია ჯამიც მოახერხებდა. უბრალოდ, საჭირო ხალხთან უნდა მისულიყო.

ტაქსის უკანა სავარძლიდან გაჰყურებდა ნაცნობ ქუჩებსა და მოედნებს, ბულვარებსა და შენობებს. აქ ბედნიერად ცხოვრობდა, მაშინ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ელენე თავისთან ჰყავდა და მისი სიყვარული განუყოფლად ეკუთვნოდა. საბურგზე გადანვა. წვიმა შეწყდა. ცა მოინმინდა. ნელ-ნელა ქუჩები ლამპიონებით ნათდებოდა.

მაღალი სახლის წინ გადმოვიდა მანქანიდან. ახალი ამენებული იყო, ვერ გაიხსენა. საერთოდ რატომ მოინდომა მისმა მეგობარმა დაბრუნება? უცებ იპოვა გვარი აბრაზე. ვიდაც მოხუცი ქალი გამოვიდა სწორედ ამ დროს სადარბაზო კარიდან და კოსტიამაც დრო იხელთა და შევიდა. ლიფტით ავიდა მეცხრე სართულზე. ბარი დარეკა. არავინ გამოეპასუხა. მერე დააკაკუნა. რატომღაც, გუმანი კარნახობდა, ალანია შინ უნდა ყოფილიყო. დააკაკუნა და გასძახა:

- კოსტია ვარ, გიორგი, ვიცი, რომ შინა ხარ. გამიღე, მოსკოვში შენს სანახავად ჩამოვედი.

უცებ ფეხის ხმა გაიგონა შიგნიდან და კარის სახელურიც ნელა ამოძრავდა. ალანიას ნაძალადევი სიხარული აღებეჭდა სახეზე. შინ შეუძღვა. გამელოტებულიყო და ძალიან მოტეხილი ჩანდა. ლოყებმაცვენილი, უწინდელზე უფრო გაჩხინკულად და უსუსურად გამოიყურებოდა. ტუჩები გამოფიტული და დამსკდარი ჰქონდა. დაუდევრად ეცვა, არადა, ადრე ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა თავის გარეგნობას.

ბინაში არეულობა დახვდა. დიდი ხანია არავის დაულაგებიაო, გაიფიქრა კოსტიამ. გაურეცხავი ჭურჭელი ერთმანეთზე დაეხვავებინა. ალკოჰოლის სუნით იყო გაჟღენთილი ისედაც ჩამყაყებული ჰაერი. ალანია აკვირდებოდა კოსტიას თავისი წვრილი თვალებით და ბოლოს და ბოლოს, გამალა გალუული მკლავები და ძველ მეგობარს გადაეხვია.

- კვირაზე მეტია, შენთან დაკავშირებას ვცდილობ. შსს-ში ვერ დამაკვალიანეს. აღარ ვიცოდი, როგორ მომეგნო შენთვის. ჩამოვედი, რომ დაგელაპარაკო. დარწმუნებული ვიყავი, რომ გიპოვიდი. მოდი, ერთი კარგად გადაგეხვიო, შე ძველო! - ალანიამ არაყი გამოიტანა და არც უკითხავს, ისე ჩამოასხა ორივესთვის გამჭვირვალე სითხე.

- შენ და არაყი?

კოსტია ცდილობდა, ხალისიანი ყოფილიყო და უწესრიგობა არ შეემჩნია.

- სამი დღეა დამრჩა. მერე მივდივარ. სამუდამოდ.

- რას ჰქვია მიდიხარ? საით აპირებ?

- ჭადრაკის ტურნირზე ჰოლანდიაში. მერე კი დავითესები. ლონდონში.

- რას ლაპარაკობ? გაპარვა გადანყვიტე?

- ყველაფერი დამთავრდა, კოსტია. მორჩა. ლონდონში ვბრუნდები, დანარჩენი აღარ მაინტერესებს.

არაფი გადაკრა და კიდევ დაისხა.

- ეე, ძმაო, არ მომწონს ეს ყველაფერი, რაებს ბოდავ?

- თუ დამიჭერენ, დამიჭირენ და ეგ იქნება.

- ეე, შემომხედე ერთი, რა გეტაკა? არა, მესმის, რომ ამნუთას ვერ არის ჩვენთვის სახეიროდ საქმე, და არც მიკვირს, შეხედე, რა ნაძირლები სხედან ცეკაში, მაგრამ ამის გამო ხომ არ უნდა...

- დამთავრებული ამბავია, ვერ ხვდები? მორჩა.

- მაშინ პენსიაზე გადი, შე დალოცვილო, რატომ ლაპარაკობ ასეთ სისულელეებს.

- არ გამოგვივიდა, კოსტია. არავის არ გამოგვივიდა. ყველაფერი ფუჭი იყო.

- ეე, გიო, არ მომწონს ეს ლაპარაკი. და რამ გაგალოთა ასე უცებ? შენ ხომ არ სვამდი!

- ხალხი უკან დავაბრუნე, კოსტია, ვაიძულე ასობით ადამიანი, გემებსა და თვითმფრინავებში ჩამსხდარიყვნენ, მოვატყუე და ცრუ დაპირებებით დავაიმედე, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, უმეტესობას სიკვდილი ელოდა, და მაინც არ მოვიშალე ეს საქმე. სამსახურია-მეთქი, თავს ვიმშვიდებდი. ზოგმა პირდაპირ ბანაკში ამოყო თავი. მე ვქენი ეს. მე გავუშვი ხალხი სიკვდილზე, არ გესმის?!

- მორჩი! ისინი უკანასკნელი დებერტირები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები იყვნენ, სხვა რა უნდა გექნა, შენს მოვალეობას ასრულებდი! შენს ქვეყანას ემსახურებოდი, გიორგი, შენ არაფერი დაგიშავებია! სამშობლოსადმი ერთგულება გამოძრავებდა! ახლა კი დამჯდარხარ ამ საღორეში და საკუთარ თავს დასტირი!

- გახსოვს, ლენინგრაღში რომ ვიყავით? როგორ გვწამდა იმის, რასაც ვაკეთებდით. იმდენი გეგმა გვქონდა, - უეცრად ალანია მხრები ჩამოყარა, ჭიქა დადგა და ჭუჭყიანი ფანჯრიდან გახედა ღამეს, - როგორ ვცდებოდით, თავს ვიტყუებდით. და ამას შევსწირეთ ჩვენი ცხოვრება?! ნუთუ ვერ ხვდები, კოსტია?

ტელეფონმა დარეკა. ალანია არ განძრეულა, თითქოს არც ესმოდა.

- არ უპასუხებ?

- ჩემს ფეხებს ვუპასუხებ, - კიდევ შეივსო ჭიქა.

- ნუ სვამ ამდენს.

- ნუ ვსვამ? ამდენს ნუ ვსვამ? თავი უნდა ჩამეხრჩო სასმელში. მეგონა, რაღაც აზრიანს ვაკეთებდი, როცა ჩემს ქვეყანას ვემსახურებოდი, მეგონა... ფურთხის ღირსიც კი არ ვარ. და შენ კი, ჩაიხედე ერთი სარკეში, რა. შე...

- აბა, ახლა დაოკდი!

- არ ვაპირებ დაოკებას. წასვლას ვაპირებ. მასთან მივდივარ.

- მასთან?

- შენს დასთან.

- არ მჯერა, არ მითხრა ახლა, რომ შენს ასაკში, შენ რა... არა, ოღონდ კიტი არა, ძალიან გთხოვ!

- ის არის ერთადერთი ადამიანი, ვინც...

- არსადაც არ წახვალ. უარს იტყვი გამგზავრებაზე. ბიულეტენზე გახვალ. მე არ დავუშვებ, რომ ყველას დასაცინი გახდე. რა გინდა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო თანამშრომელი სადღაც დასავლეთში აგიყვანონ გაპარვის მცდელობისას? ამის უფლებას ვერ მოგცემ!

- კოსტია, გაიგე, რა! მორჩა ყველაფერი, დამთავრდა. ასე იქნება თუ ისე, ჩვენნაირების საშველი აღარ არის. და მალე ეს ყველაფერი აღარც იარსებებს! გაახილე თვალი!

- გრძნობებს ხარ აყოლილი, ძმაო. თავი შეიკავე და საკუთარ ცხოვრებას მიხედე. ჩვენ ერთად მოვახერხებთ ამას, ამაზე უარესებიც გადაგვიტანია.

- და შენ რატომ ჩამოხვედი? სწორ გზაზე რომ დამაყენო? თუ ლუბიანკაზე გინდა მიგიღონ? რა იყო, შეგავინროვეს? უკვე იძრა მინა ჩვენს სამშობლოში? ამ ხავსს ტყუილად ეჭიდები, გენაცვალე.

- რამე ხდებოდა ამ წლების განმავლობაში შენსა და კიტის შორის?

კოსტიამ არაფი სულმოუთქმელად გადაკრა. გულმა რეჩხი უყო. ალანია, გიორგი ალანია, სამაგალითო კარიერის პატრონი, მის მიერ გმირად შერაცხული!

- რა ხდებოდა? რა უნდა მომხდარიყო, შენი აზრით? დამალობანას თამაში მიდიოდა. მე კი ბრმა ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, რომ ის იყო ჩემი ერთადერთი საშველი. უკანასკნელი შანსი დამრჩა და უნდა გამოვიყენო, შენც ეს უნდა იცოდე.

ნამდვილად რაღაც ლტოლვა გაუჩნდათ ერთმანეთის მიმართ, ამდენი წელი გავიდა, რაც გიორგი კიტის მალავდა, ცხადია, რაღაც იქნებოდა მათ შორის. თვითონაც უნდა მიმხვდარიყო. რა თქმა უნდა, მისმა დასავლელმა ლიბერალმა დაიკომ თავბრუ დაახვია. უცებ კოსტიას აზრი მოუვიდა: თვითონ კი არ უნდა დარჩენილიყო მოსკოვში, ალანია უნდა წაეყვანა თბილისში. მისგან განსხვავებით, ალანიას ქალაქი არასდროს გამხდარა მოსკოვი. მეტისმეტად ჩუმი, მეტისმეტად შეუმჩნეველი იყო მეგაპოლისისთვის. თავისი ქართული ხმის ტემბრითა და მგრძნობიარობით სამხრეთს უფრო შეეფერებოდა. ჰო, უნდა წაეყვანა და საკუთარი თავისგან გადაერჩინა.

- შვებულება აიღე ერთი-ორი კვირით და თბილისში გადავფრინდე. ხვალვე მიხვებავ ამ საქმეს. ეს გარემო ცუდად მოქმედებს შენზე. უკეთესი ბინა ვერ იშოვე? სულ არ მიკვირს, თავს რომ იკლავ.

- ეჰ, კოსტია, კოსტია, ისევ ისეთი ჭიუტად თავდაჯერებული ხარ, არა?

ალანია დააკვირდა არაფრისმთქმელი, ამღვრეული თვალებით. სახელმწიფო უშიშროების სამსახურში გამოიწრთო, რომ არაფერი არ უნდა გაემჟღავნებინა.

- გაიგებდი, ალბათ, ავღანეთის ამბებს: ნამდვილი კატასტროფაა. კაცმა არ იცი რამდენია დაღუპული, ოფიციალურად გამოცხადებულებს კი არა, მართლა მკვდრებს ვგულისხმობ. მომავალი ორი წლის განმავლობაში ჯარები უნდა გამოიყვანონ, იმიტომ რომ უშედეგოდ იბრძვიან. შეიარაღების წარმოებას მინიმუმამდე დაიყვანენ. შენს გადასარევე წყალქვეშა ატომურ ნავეებს გაანადგურებენ. ვერ ხვდებიან, რომ თავიანთი „კეთილი განზრახვებით“ კიდევ უფრო აფუჭებენ ყველაფერს, ერთი ხელის მოსმით ანადგურებენ, რაც კი შექმნილა. მაგათ ჰგონიათ, რომ თავიანთი რეფორმებით ქულებს დაინერგენ მოსახლეობაში, მაგრამ ცდებიან. ნეხვის გროვაზე მჯდომი, იმ ნეხვში ქექვის უფლებას არ მოგცემს. მშვიდობიანი გზა არ არსებობს. როგორც კი სადავეებს მოუშვებენ, ყველა თავის წილ ტორტის ნაჭერს დასტაცებს ხელს. ტორტისგან კი ბევრი აღარაფერი დარჩება, სამწუხაროდ, კოსტია. ჰოდა, დროზე თუ არ გაახელ თვალებს, ყველაფერი თავზე დაგემხოება. დასავლეთი განგამის ბარს შემოკრავს, რადგან ბოლოს აღმოჩნდება, რომ „ბოროტების სამეფო“ არც ისეთი ბოროტი ყოფილა თურმე. ვაშას შესძახებენ, თუ ტანკებს არ გამოიყვანენ ქუჩებში. მაგრამ ტანკები მაინც იქნება, ოღონდ ეს ყველაფერი კომუნისტური პარტიის სახელით აღარ მოხდება, ეს არის ერთადერთი, რაც დასავლეთს აღარდება. იმის განცდა, რომ მართლები იყვნენ, როცა მოთმინებით ელოდნენ, როდის გამოითხრიდა ძირს საკუთარი ხელით ჩვენი ძღვევამოსილი სამშობლო. ამიტომ, გაიხედ-გამოიხედე და რეალობა აღიქვი, თვალები გაახილე, ძმაო! დაუჯერე მეგობრის კეთილ რჩევას. სხვათა შორის: შენნაირი ადამიანები უფრო ვერ უძლებენ ასეთ რყევებს, კოსტია.

ალანია ისევ დაბეჭითებით საუბრობდა, თავშეკავებულად. კოსტია იცდა თავდახრილი, ცდილობდა თავის მიზანზე ეფიქრა და დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა ალანიას სიტყვებისთვის. უნდა გაეჩერებინა, უნდა ეხსნა, ისევე როგორც ალანიამ გადაარჩინა ოდესღაც. გრძნობდა, რომ თავს იღუპავდა და ამის ნება არ უნდა მიეცა.

როდესაც დილის შვიდ საათზე მთვრალმა ალანიამ, როგორც იქნა, ჩაიძინა, კოსტია ფეხაკრეფით გავიდა ბინიდან და ლუბიანკას მიაშურა. თავისი საშვით კი შეუშვეს, მაგრამ მოსაცდელში გაამწესეს, იქ დაბრძანდით, სანამ უფროსი არ მოვაო. კოსტიამ არ შეიმჩნია, რომ შეურაცხყოფილი იყო. ადრე ამას ვერავინ გაუბედავდა. ასე რომ, ერთ რამეში ალანია მართალი ჩანდა: ანმყო არ ჰკავდა წარსულს. სხვა სიო ქროდა.

მხოლოდ ცხრა საათისთვის გამოჩნდა ალანიას უფროსი და თავის კაბინეტში შეიყვანა. კოსტია გაეცნო და შეატყობინა, ალანია ავად არის

და სასწრაფოდ ესაჭიროება დასვენება და მკურნალობა, ამის გამო მოჭადრაკეთა გუნდს ვერ გაჰყვებო. წითელლოყება, ახალგაზრდა, ჩასუქებულმა მამაკაცმა რაღაც ჩაინიშნა თავის წიგნაკში და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. კოსტიამ სხვათა შორის თქვა, მოსკოვი მომენატრაო, იმის იმედით, ჰკითხავდნენ, საიდან ხარო. ასეც მოხდა, მაგრამ როცა კოსტია დაიქოქა და თავისი ვარიერისა და ბიოგრაფიის შესახებ დაიწყო მოყოლა, მასზე ბევრად უმცროსმა უწყების ხელმძღვანელმა მოუბოდიშა, ბევრი საქმე მაქვსო.

კოსტია დაქანცული მიეგდო სასტუმროში საწოლზე. ჰო, აშკარად შეიცვალა დრო. ოღონდ არა უკეთესობისკენო, გაიფიქრა, სანამ ღრმად ჩაეძინებოდა.

- ეს როგორ გამიკეთე?

ალანიას სასონარკვეთილი ხმა ჰქონდა.

- შენ ხომ ჩემი საუკეთესო მეგობარი იყავი, ჩემი ერთადერთი მეგობარი.

ზარმა გააღვიძა კოსტია და ძლივს მისწვდა ტელეფონს. როგორ მიპოვაო, გაუკვირდა, მისამართი ხომ არ მიუცია. თუმცა ალანიასგან არც უნდა გაჰკვირვებოდა.

- კინალამ დაანგრეე საკუთარი ცხოვრება, მადლობა უნდა მითხრა, რომ დალუპვას გადაგარჩინე.

- კი არ გადამარჩინე, ყველაფერი დამინგრიე! წელს მეტი მივლინება აღარ მაქვს საზღვარგარეთ. ის ამას... კიტი ამას არ მაპატიებს.

ოთახში ბნელოდა. რა დრო იყო? რამდენი ხანი ეძინა? უკვე მოთმინება დაეკარგა ალანიას გამო. საწოლთან შუქი აანთო.

- მომისმინე, გიორგი, მოკეტე და მომისმინე! ისე იქცევი, თითქოს თექვსმეტი წლის ხარ. გამოფხიზლდი! კინალამ წყალში გადაყარე ყველაფერი, მე კი გადაგარჩინე. მერე მადლობას მეტყვი! სიმშვიდე გჭირდება და სასიამოვნო ადამიანების გარემოცვა, ზრუნვას რომ არ მოგაკლებენ. კარგი საჭმელი და სუფთა ჰაერი გჭირდება. ზევ ერთად გავფრინდებით თბილისში და იმდენ ხანს დარჩები იქ, სანამ ისევ ძველი გიორგი არ გახდები.

ალანია აეროპორტში არ გამოჩნდა. კოსტიამაც გამოტოვა თავისი რეისი, ისევ სახლში მიაკითხა ალანიას, მაგრამ დაკეტილ კარს მიღმა არავინ გამოეპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივად რეკავდა ზარს და აკაკუნებდა.

მეორე დღეს კოსტია მარტო ავიდა თბილისის თვითმფრინავში. გამწარებული, სასონარკვეთილი, დადარდიანებული.

უკვე ორი კვირა იყო, რაც ბინიდან აღარ გასულა. საჭმელსაც კი უკვეთავდა. არც ტელეფონს პასუხობდა, მაშინაც კი, როცა ემიმ მისი ფანჯრების ქვეშ ლამის აჯანყება მოაწყო და იქ ჩასაფრებულ

პაპარაცებთან ხელჩართული ბრძოლა გამართა, კიტიმ მაინც არ გაუღო კარი.

იმ საღამოს კონცერტი ჰქონდა ერთ კერძო კლუბში, „ნოთინგ ჰილში“, აივ-ინფიცირებულთათვის შემოწირულობების შესაგროვებლად. აუცილებლად უნდა წასულიყო. როგორმე უნდა ძალა მოეკრიბა. კარადასთან იდგა, ნახევარი საათის განმავლობაში ისიც კი ვერ მოახერხა, შესაფერისი სამოსი აედო და ჩაეცვა. საცაა მძლოლიც მოაკითხავდა საგანგებო ლიმუზინით, რომ დანიშნულების ადგილზე დროულად მისულიყო. კიდევ კარგი, მანქანაში ცოტა ვისკის დაღვევას მაინც შეძლებდა. გაზეთებში წაიკითხა და დაფიქრდა იმაზე, რომ მსოფლიო სხვა მიმართულებით იწყებდა ბრუნვას. ამ საღამოს აპირებდა ბეგრანუნდის მომღერლების გაშვებას და სცენაზე მართო თავის გიტარით გამოსვლას. ასე ეწადა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში ხშირად ელაპარაკებოდა ანდროს, რომელიც სულ მასთან იყო. თუ ვერ ხედავდა, გრძნობდა მაინც. მაგრამ გუშინდელს მერე აღარ გამოჩენილა. არც მისი ფანჯრების ქვეშ და არც გონებით მოუხილავს.

შავი ბლეიზერი იპოვა და პირდაპირ შიშველ ტანზე შემოიცვა. შეეცადა ტუჩები მკრთალად მაინც შეეღება, მაგრამ ხელი უკანკალებდა და კონტური ვერ მოხაზა. ცოტაც და მანქანაში ჩაჯდებოდა, ვისკი ნამდვილად გაამხნევებდა. ერთი-ორი საათი და ეს საღამოც ჩაივილიდა. სულ სამი სიმღერა უნდა შეესრულებინა. სამად სამი, თანაც უნდა ემღერა მხოლოდ მას.

მანქანის სარკმელი ჩამოსწია და სახე ნიავს მიუშვირა, ისევ სავარძლის ბურგს მიეყრდნო. ბოლო დღეებში უჩვეულოდ გრძნობდა თავს, თითქოს გონებაც ებინდებოდა და მხოლოდ წარსულთან აბამდა კავშირს. ამას წინათ მარიამის ხმაც კი ესმოდა, რაღაცას ჩასჩურჩულებდა. თითქოს დედა უხმობდა, ღამით, მათრობელა სუნმა რომ გააღვიძა. ბაბუამისის ცხელი შოკოლადის სურნელმა.

- კინალამ მოვკვდი ნერვიულობით. რა გჭირს? შეუძლოდ ხარ? რატომ კარს არ მიღებდი ან ტელეფონზე რად არ მპასუხობდი? ეს დამპალი ფოტოგრაფები დღედაღამე შენს სახლთან რომ ყრიან. ღამისაა გავგიჟდე. კიდევ კარგი, გამოჩნდი....

ბრჭყვიალა კომბინეზონში გამონცობილი, მეტისმეტად შეღებილი ემი გამოენტო, მხრებზე მოხვია ხელი და კულისებში გაიყვანა. იქვე გამზადებული საწუნნი აბებით სავსე თასი შეამჩნია, უბადლოდ გამართულ სცენისაკენ გაიხედა და კინალამ დითირაბები უძღვნა ემის. მაგრამ ძალა არ ეყო. ნეტა იმ სამ სიმღერაზე ჰყოფნოდა ძალა. გულაჩუყებული აქვითინდა.

კიდევ კარგი, საღამოზე კამერებს რომ არ დართეს ნება, გადედოთ. დარბაზშიც კი არ შეუშვეს ჟურნალისტები. ნეტა რა თანხა იყო უკვე შეგროვილი?

ღიახ, საღამო კეთილშობილური მიზნისთვის. იცის კი ვინმემ, რა არის კეთილშობილური მიზანი?

თავის გიტარას ჩაებლაუჭა. მისი ცხოვრების ყველაზე მყარ დასაყრდენს. დარბაზში შუქი თანდათან მიიღია. მომთხოვნმა, მდიდარმა პუბლიკამ ინტერესით მიაპყრო თვალი, როცა კიტიმ სცენაზე მინათებულ სხივში შეაბიჯა. ემის დაწერილი რამდენიმე ფრაზა ჩასძახა მიკროფონში. გაიღეთ შემოწირულობა, გთხოვთ, გაიღეთ! მერე თვალები დახუჭა. იგრძნო, რომ ისიც იქ იყო. ფრედ ლიბლიხიც მოვიდა. სადღაც ქვევით იდგა და თავისი კატის თვალებით შესცქეროდა. ისევ სიცოცხლისკენ იყო მიდრეკილი, მაგრამ დაუდევარ სიცოცხლეს აღარ ეცალა, თანაც არც ერთი მათგანისთვის.

ბოლო სიმღერაზე ხმას აუწია, კიდევ და კიდევ, უფრო მაღლა, სანამ არ ჩაუწყდა და ღრმა, საოცარი სიჩუმე არ დაეუფლა. ეგონა, წაიქცეოდა, მისკენ მიმართული ამდენი თვალის წინაშე. ერთი სიმღერის განმავლობაში შესაძლებელი იყო ყველაფრის დავიწყება. აპლოდისმენტების თანხლებით დატოვა სცენა, ტრიალა სკამზე დაეშვა საგრიმიოროში და თავი მაგიდაზე დადო. ემი თავს დასტრიალებდა. შეჭხაროდა, ხოტბას ასხამდა, კიტი არ უსმენდა. აკვირდებოდა უყურებდა საკუთარ თავს. საგრიმიორო მაგიდის დაუნდობელი განათება უფრო კვეთდა ნაოჭებს, დაღლილობას, დროსთან უსარგებლო ჭიდილის უნუგეშო მზერას. კიდევ კარგი, ემი ისევ გაუჩინარდა, დაუბარა, „კონტაქტების დასამყარებლად“ გავრბივარო და მართო დატოვა.

- შენ რაღაც ვერ ხარ კარგად. მოდი, დავითესოთ აქედან.

კარში ფრედი იდგა. რა ლამაზი ადამიანია და როგორი გაფლანგულიო, გაიფიქრა კიტიმ, როცა სარკეში დაინახა მისი გამოსახულება.

- კარგად ვარ.

წამოიშართა კიტი.

- იტყუები. მანქანით ვარ, თანაც ფხიზელი, გავიპართ-მეთქი.

- სად?

- სადაც გინდა.

- ეგეთი ადგილი არ მეგულება, რომ იქ წასვლა მინდოდეს.

- ზღვა ხომ არსებობს ჯერ კიდევ.

- ძალიან შორია.

- არა უშავს. წამო, არ შეგჭამ, ნუ გეშინია. გახალისება არ განწყენს, ნულა აყოვნებ, წავიდეთ!

უკანა გასასვლელით გაძვრნენ და გარეთ გავიდნენ. ფრედს ძველი ფურგონი იქვე ეყენა ახლოს, ჩასხდნენ თუ არა, კიტის უცებ ძალა

გამოეცალა და თვალები დახუჭა საგრძობად რომ გამოეცვივდნენ, მხოლოდ გიტარასა და პატარა ხელჩანთას წამოავლო ხელი. უაკეტი კი მიავიწყდა.

- ისტბურნის მიმართულებით უნდა წახვიდე. მერე გეტყვი, სად გადაუხვიო, - ამის თქმა მოასწრო, სანამ ჩაიძინებდა. თითქმის ორი საათი ისე იქროლეს, არაფერი გაუგია. ასე კარგად, ასე მაგრად კარგა ხანია აღარ სძინებია, კოშმარების აღარ უნახავს.

- ესე იგი, ეს ბურჟუაზიული ბუდე მოიწყობ მადამ ჯამმა უბრუნველი სიბერისთვის?

კიტიმ ნელა გაახილა თვალი და გაიგონა, როგორ იცინოდა ფრედი.

- აქ მარცხნივ გაუხვიე და მერე მარჯვნივ, მეორე შესახვევი.

შუქი აანთო. რამდენი ხანი გავიდა მას მერე, ბოლოს რომ იყო აქ? სწორედ მაშინ, სევდიანი მეგობარი რომ ეწვია მოულოდნელად და დაჰპირდა, დავბრუნდებით. სახლი მძინარე მზეთუნახავს დამსგავსებოდა. ვარსკვლავიანი, თბილი ღამე იდგა. ზღვის ხმა ისმოდა. კიტიმ მაშინვე უკეთესად იგრძნო თავი. ფრედმა სიგარეტს მოუკიდა და ღია კარის ზღურბლთან დადგა.

- მოდი, სანაპიროზე ჩავიდეთ. დიდი ფარნები მაქვს და პლედებიც წავიღოთ. ატმის ჩირი და კარგი ვისკიც მაქვს გადანახული.

ფრედი აღტაცებული დაეთანხმა.

ფარნებით გაიკვლიეს გზა ზღვისკენ. კარგა ხანი დასჭირდათ, რომ კლდოვანი ვიწრო ბილიკით ჩაეღწიათ სანაპიროზე, იქ პლედი გაშალეს ნამიან ქვიშაზე და განწნენ. ირგვლივ შემოშფოთებულ სიმშვიდესა და სიჩუმეს დაესადგურებინა. ნახევარმთვარის ბასრი ნამგლისგან მოყვითალო ფერი დაჰკრავდა წყალს.

ფრედი შეეხო, ხელი ააყოლა კიტის ხერხემალს. მერე მოეხვია. აკოცა. სახე დაუკოცნა. კანზე მიეალერსა. კიტი დანებდა. კარგად გრძნობდა თავს. თითქოს შინ დაბრუნდა. ვარსკვლავები პატარა ხალებივით ამკობდნენ ზეცას. ერთად იწვნენ. ერთმანეთს თმას უწევდნენ შუბლიდან. კიტიმ ხელები შემოაჭლო ფრედს სახეზე და დააკვირდა, კარგად დაიმახსოვრა.

- ახლა ჩემი ჯერია, - თქვა ფრედ ლიბლიხმა.

კლდეებთან, ოდნავ მოშორებით, კიტიმ ანდრო დაინახა და თვალები მოიფშვნიტა, სცადა ისევ ფრედის სახეზე გადაეტანა ყურადღება, მაგრამ ანდრო დარჩა. დაბრუნდა. მთელი სხეულით გრძნობდა კიტი მის იქ ყოფნას.

- რა იყო? - ჰკითხა ფრედმა და მაჯაზე ჩაავლო ხელი, - შეგცივდა?

- არა, კარგად ვარ.

- უნდა გამომხილო, რა ხდება. მინდა შენთან ვიყო. შენთვის. ნება მომეცი, გთხოვ.

- მოდი, უბრალოდ ერთად ვიყოთ აქ, მეტი არაფერი.

- კარგი, მაგრამ, შეგვიძლია ვენაში წავიდეთ.

- ვენაში?

- ჰო, რამდენიმე ლამაზ ადგილს გაჩვენებდი, თუ კიდევ არსებობს და მსოფლიოში საუკეთესო შოკოლადს დავლევდით იქ.

- ეჭვი მეპარება.

ფრედმა მუხლზე დაადო თავი და ოცნებებში ჩაიძირა, თავისი ბავშვობისდროინდელი ვენა მოიხილა ტკბილი ფიქრებით მანამ, სანამ მოაგონდებოდა ის, როგორი ხმა ჰქონდა თოკიდან ჩამოხსნილ სხეულს. უმატა და უმატა კიტის წამოღებული შესანიშნავი ვისკის ყლუპვას... მერე ვეღარც გაიხსენა, როგორ ჩაეძინა.

კიტიმ ტანზე გაიხადა. უნდოდა, შიშველი ყოფილიყო. თავისუფალი. ერთად დაკეცა თავისი საცვლები, წესიერად, როგორც დედამ ასწავლა პატარაობისას. ანდრო მის უკან იდგა და თვალს ადევნებდა. მერე ფრთხილად შევიდა ცივ წყალში. ტალღებმა, ტანზე რომ ეხეთქებოდა, ყვირილის ჩახშობა შეაძლებინა, ჩაყვინთა. წყალმა უკან ამოაგდო. ჯერ კიდევ ხედავდა ფარნის შუქს სადღაც შორს. პლედს, ქალს, რომელიც ბედ იწვა, სანამ ყველაფერი არ დაიღია და სინათლის პატარა წერტილად არ იქცა. ანდრო უკან მისდევდა. კიტიმ წყალი ყლაპა. მაღალი ტალღები იყო, აქეთ-იქით აქანავებდნენ, წინ და უკან ისროდნენ. შიში იგრძნო, ოღონდ მხოლოდ წამით, სანამ ანდროს სახემ არ ამოყვინთა მის წინ ისევ. სიბნელე შავად ესვენა წყალზე, ვეღარაფერს ხედავდა, ორიენტაცია დაკარგა. შუქიც გაქრა სადღაც შორს. უცებ ფეხებქვეშ გამოხსლტდნენ პანანინა თევზები, მთელი გუნდი შემოეხვია. სიცილი აუტყდა.

რა ბედნიერებააო, გაიფიქრა კიტიმ, ბედნიერება. როგორც ნაშუადღევს ოფლის წვეთები ჩვენს კანზე, სიყვარულის მერე, მაშინ, პირველად. როგორც ბოლო სიმღერა ამ საღამოს და ემის მადლიერი თვალები. გიორგი ალანიას მართოსულობას წამში მოვუღე ბოლო, როცა ჩავხეხუტე. ამერიკაში ავტობუსით მოგზაურობა. ეს თევზები ჩემს ფეხქვეშ, ეს მთვარე, თავზე რომ დამყურებს, ეს კლდეები, ეს ტალღები და შიში, რომელიც ქრება.

მკლავები მოიქნია და სიცარიელეში შეცურა. აღარ არსებობდა არც ნაპირი, არც დედამინა. არაფერი. მხოლოდ თვითონ და გაცილებე თევზებისა უსასრულო წყლისკენ. კოსტიას სიცილი, ერთხელ რომ გააცინა კიტიმ. ანდროს ალერსიანი კოცნა. ალუბლები, მუცელს რომ სტკენდა ყოველთვის. დარდიანი ნაოჭი დედამისის შუბლზე, ზუსტად შუაში. სიმღერები. კონცერტი ამსტერდამში, წარმოდგენილი აღფრთოვანება, რაც გამოხატეს. ნეტავ რით დაიმსახურა ასეთი ბედნიერება? ადამიანებს რომ სცოდნოდათ, რა ჩაიძინა, მაინც შეიძენდნენ მის ფირფიტებს და აიტაცებდნენ მის სიმღერებს?

ჩაყვინთა ისევ თუ არა, ერთბაშად იგრძნო, როგორ ელეოდა ძალა. „მარიამ?“ ხელი გაიწოდა. „გეტკინა? რა იგრძენი? მტკივნეულია?“

“კედელთან მიმაყენეს. ჯერ ერთი გასროლა, მერე – მეორე. მგონი, სულ სამი იყო, რათა დარწმუნებულიყვნენ. ისე სწრაფად მოხდა. ბევრი არაფერი მიგრძნია. არ იდარდო”.

მარიამის ხმას გუგუნი გაუდიოდა მის თავში.

“არ მინდა, რომ გძულდე, მარიამ”.

“რატომ უნდა მძულდე, კიტი? აღარ გახსოვს, რა კარგად ვიყავით ერთად?”

“არ ვიყავით კარგად. ჯოჯოხეთში ვიყავით”.

“ნუ ბოდავ რაღაცას. გაიხსენე. ჩვენ ხომ ცოცხლები ვიყავით. ჩვენ ვარსებობდით”.

მაგრამ კიტიმ ვეღარ უპასუხა. ფილტვები წყლით ავესო. თევზები კი მაინც დაცურავდნენ მის ირგვლივ და ციმციმებდნენ საოცარ სიმწვანეში.

ფრედ ლიბლიხმა სანაპიროს დაცვას შეატყობინა და სამიოდე საათში კიტის სხეული იპოვეს. არც ისე შორს წაეღო წყალს. კარგი მოცურავე არასდროს ყოფილა, მხოლოდ ცოტა ხანს ეყო ძალა და სუნთქვა.

* * *

ვცვლი ჩვენს მთავრობას კილოგრამ მაკარონში!

პლაკატი ერთ-ერთ დემონსტრაციაზე

ფილმმა გამოსვლისთანავე აჟიოტაჟი გამოიწვია, მოსალოდნელიც იყო. პირველი, რაც უნდა გითხრა, ბრილვა, მართლა მომხიბლა ჩემმა დამ თავისი როლით. ვიჯექი კინოს სახლში პრემიერაზე და გაოგნებული ვადევნებდი თვალს დარიას გარდასახვას სხვა ადამიანად. ვერ წარმომედგინა მანამდე, ასე დამაჯერებლად თუ შეეძლო განესახიერებინა როლი, რომ ასეთი გარდასახვის უნარი აღმოაჩნდა და ამდენი თანაგრძნობა პერსონაჟის მიმართ, ეს მართლაც საოცრება იყო. ზოგადადაც, ფილმი მომეწონა, ძალიან იმოქმედა ჩემზე. მსახიობები ბუნებრივად თამაშობდნენ, სცენარი შეკრული იყო.

დასასრულს მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და სცენაზე მსახიობები გამოვიდნენ. მაყურებლის აპლოდისმენტები არ ცხრებოდა. ჩემი ულამაზესი და, ვერცხლისფერ ჰაეროვან კაბაში გამონწყობილი, ბრწყინავდა. უნიჭიერესი ოპერატორი ლაშა, ვისმა პროფესიონალიზმმაც უდავოდ შეიტანა წვლილი შემოქმედებითი გუნდის წარმატებაში, მის გვერდით დადგა და მხარზე გადაჰხვია ხელი.

იყო მასში რაღაც ნარცისული. დახვეწილად ეცვა და სახის ნაკვთებიც დახვეწილი ჰქონდა, მაგრამ ცივად იმზირებოდა, თითქოს სამყაროს მხოლოდ თავისი კამერის ობიექტივში აღიქვამდა, სამყაროსა და ადამიანებს. ყველა ადამიანს, ჩემი დის გარდა. მხოლოდ დარიას შესცქეროდა მონუსხულივით, თუმცა მეტისმეტად ასაკოვანი მეჩვენა, თან ცოლიც ჰყავდა, სადამოსაც, ფილმის ჩვენებისას ერთად მოვიდნენ და

სულ ქმრის მკლავს იყო ჩამოკიდებული ყველას დასანახად. უდავოდ თვალწარმტაცი ქალი, მაგრამ შესამჩნევად ქარაფშუტა. რა ნახა-მეთქი დარიამ ამ კაცში, ფიქრი არ მასვენებდა სანაპიროს რესტორანში გამართული საპრემიერო ბანკეტის დროს.

რაკი იმ დღიდან მოყოლებული, დარიას ყველა ოფიციალურ მიღებაზე მიიწვევდნენ, ჩვენი საიდუმლოც როდისმე უნდა გაგვემუღავნებინა. სულ რაღაც ოთხ კვირაში კი ფილმი კინოთეატრებში უნდა გასულიყო, რასაკვირველია, თუ მანამდე ცენზურა არ აკრძალავდა.

მაგრამ რადგან ფილმის სიუჟეტი საკმაოდ სიმბოლური იყო, თანაც მოსკოვიდან დაბერილი ახალი ქარიც ავს არ უქაღდა, იგულისხმებოდა, რომ ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც რეჟისორმა ჩაიფიქრა.

იმავე საღამოს დავარწმუნე დარია, ელენესა და ალექოს გამოსტყდომოდა. კოსტიამზე მერე ვიფიქროთ-მეთქი, ვურჩიე.

- ორიოდე კვირაში დარია ამომავალ ვარსკვლავად მოგვევლინება სამსახიობო ცის კაბადონზე. მინდა ეს იცოდეთ და მხარი დაგვიჭიროთ, უფრო სწორად, დარიას.

სამზარეულოში ვიყავით, დედაჩემი ჭურჭელს რეცხავდა, ალექო კი გაზეთს კითხულობდა და სწორედ ამ დროს წარმოვთქვი ეს პათეტიკური ფრაზა. დარია სააბაზანოში ჩაიკეტა მეხის გავარდნის შიშით.

- რაზე ლაპარაკობ? - სხვათა შორის იკითხა ელენემ, ისე რომ საქმისთვის თავი არ დაუნებებია.

მშვიდად და მიუკიბავ-მოუკიბავად მოვყევი ყველაფერს: როგორ გავემგზავრე ბაკურიანში დარიას გარეშე, როგორ დაგვეხმარა ლაცაბიძე - ერთი სიტყვით, აღარაფერი დამიმალავს - დაბადების დღეზე არ ვყოფილვართ. ფილმის წინასაპრემიერო ჩვენებაზე ვიყავით და დარია მართლა ძალიან მაგარია! - დავასრულე ჩემი მონოლოგი.

ორივე დაბნეული მომაჩერდა. ალექომ პირი დააღო. მეგონა, შემაქებდა, როგორც სჩვეოდა, როცა, დედაჩემის აზრით, „ზოგჯერ ნერვებს ვაგლეჯდი ჩემი ტვინიკოსობით“. მაგრამ, ეტყობა, ამჯერად წყობიდან გამოვიყვანე და მისი მხარდაჭერა ვეღარ მოვიპოვე.

- ეს როგორ გააკეთეთ? ნუთუ ვერ ხვდებით, რა ჩაიდინეთ?! ყველაფრის მერე, რისი გადატანაც მომიხდა ბაბუათქვენის გადამკვიდე! გესმის, რა შედეგები მოჰყვება ახლა ამას? ასე როგორ გამიმეტე! ყველა გაგვაცურე! ჩემმა საკუთარმა შვილმა!..

მართალი გითხრა, არ ველოდი და მზად არ ვიყავი, რომ მისი რისხვა ჩემზე გადატყდებოდა.

- კი მაგრამ, დედა, საოცარი ფილმია, მოგეწონებათ, ყველა აღფრთოვანებულია...

- ყოჩაღ, ნიცა! ის მაინც თუ გახსოვს, რამდენი წლის ხარ? დიდი გგონია შენი თავი?

- ეს ჩემი სურვილი იყო. ნიცა უბრალოდ ცდილობს, ვითარება განმუხტოს, - როგორც იქნა, სააბაზანოდან თავი გამოყო დარბაზს და მხარში დამიდგა.

ელენე წამით გაჩუმდა. მერე დაჯდა და ხელები სახეზე აიფარა. ცოტა ხანი მდუმარედ ვიდევით ყველანი მის გარშემო და ველოდით, სანამ არ ამოგვხვდა.

- განმუხტვა, არა? ამას როგორღა განმუხტავ, ამ დედანატირებ ტყუილს, როგორ ვერ ხვდებით! - თქვა უცებ ჩუმად.

- ელენე, გთხოვ, - სცადა ალევკომ დაემშვიდებინა.

- რა ელენე, რას მთხოვ? გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვავდო. თუ ასეთი ჭკვიანი ჰგონია თავი, სცადოს და ასეთივე გეგმა მოიფიქროს, როგორ გამოვასწოროთ ეს მიქარული, ნუთუ ვერ ხვდებით, მამაჩემი იმ სახლში მისვლას ამიკრძალავს, სადაც ჩემი შვილები ცხოვრობენ. დარწმუნებული ვარ, ისევ ჩემს კისერზე გადაივლის ეს ყველაფერი.

- არა, ცოტათი მაინც უნდა აღიარო, რომ ნიცა თავისი ასაკისთვის... მოკლედ. ასე თუ გააგრძელებ, გენაცვალე, მომავალში კომპარტიის თავმჯდომარეც გახდები, - არ დანებდა ალევკო.

მაგრამ ელენემ ამრებით გადახედა და თავის ქნევა განაგრძო:

- სულ იტყუება. გაუთავებლად იტყუება. ეს ამბავი რანაირად გამოგვრჩა. სკოლას აცდენს, სადღაც დაყიალობს ლანას უსაქმურ შვილთან ერთად, ალბათ, სწავლაზეც გული აიცრუა. არადა, თითის განძრევაც არ სჭირდება, რომ საუკეთესო მოსწავლე გახდეს. მაგრამ ამაზე თავს რატომ აიტკიებს ქალბატონი. უკეთესი რამეებით არის დაკავებული.

- სულაც არ არის მირო უსაქმური, - ჩავილაპარაკე.

ახალმა გენერალურმა მდივანმა სტატია გამოაქვეყნა პრავდაში, რომელშიც „კლასობრივ ინტერესებსა“ და „საყოველთაო ადამიანურ ფასეულობებზე“ მიუთითებდა, და რომელიც კონსერვატულად განწყობილმა მოქალაქეებმა ლენინის ანდერძისგან სამუდამო გადახვევად შერაცხეს. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანაც და რეიკიავიკში რეიგანთან შეხვედრაც, სადაც ატომური განიარაღების დოკუმენტზე უნდა მოეწერათ ხელი, საბჭოთა კავშირის დასავლეთთან დაახლოების მანიშნებელი იყო.

ლუბიანკაზეც აირია ყველაფერი. დიდი ხნის გაცდენის შემდეგ ისე დაემთხვა, რომ ალანია იმ დღეს ისევ წავიდა სამსახურში. პრესის განყოფილებაშიც მხოლოდ იმიტომ შეიარა, თანამშრომელს ეძებდა, რომელსაც შეეძლო ევროპაში შემდეგ კულტურულ ვიზიტებზე გამგზავრებაში ეშუამდგომლა. სწრაფად უნდა აეწყო ფეხი სამინისტროს მუშაობისთვის, რომ რაც შეიძლება მალე შეეტანა განაცხადი. კაცი და მოჭერის პულოვერიანი ქალი გაბეთებში თავჩარგულები ისხდნენ და

უცხოური პრესის გამოხმაურებებს აფასებდნენ. ამკარად ეზარებოდათ ამის კეთება, სადღა იყო ის მონდომება, რითაც ერთ დროს ამ სანატრელ სამუშაოს ჩაჰკირკიტებდნენ, – ყველა მნიშვნელოვან უცხოურ გაზეთს მათ ხელში უნდა გაეველო, რაც ცოტას არ ნიშნავდა სულ ახლახან, ანუ რაც პრივილეგიად მიიჩნეოდა. ალანიას ეჭვიც კი შეეპარა, საერთოდ თუ ხვდებოდა მათი უფროსების მაგიდაზე უწინდელივით, სქელ საქაღალდეში ჩანცობილი გადარჩეული მასალა, რადგან აღარავის აინტერესებდა, რას წერდნენ უცხოეთში. საფრთხემ ადგილი შეიცვალა: საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარედან კი აღარ მოდიოდა, არამედ შიგნიდანვე.

მაგიდაზე დახვავებულ გაზეთებს შორის ალანიას თვალში მოხვდა „გარდიანი“. როცა ლონდონში ცხოვრობდა, სულ ამ გაზეთს კითხულობდა, ახლაც თავი ვერ მოითოკა და გაზეთს წაავლო ხელი.

– ამხანაგო ალანია? რით დაგეხმართ?

– სად შეიძლება ვნახო ამხანაგი...

ალანის უცბად სიტყვა გაუწყდა და გაზეთი ცხვირთან მიიტანა.

– უკაცრავად, მაგრამ...

ქალი წამოდგა თავისი სკამიდან, მაგრამ ალანიას კატეგორიულმა შესტმა ადგილზე დააბრუნა.

– როდინდელია ეს გაზეთი?

– წინა თვის უნდა იყოს. სამი კვირის წინანდელი. დახედეთ, წინ გვერდზე ხომ ეწერება... აჰ, თავფურცელი აკლია. რა არის, ამხანაგო ალანია? მოხდა რამე?

გიორგი ალანიამ არაფერი უპასუხა და გაზეთით ხელში აიღო და ოთახი დატოვა, გრძელი ჰოლიდან ქუჩაში გავიდა.

“მსოფლიო მუსიკალური სამყარო გლოვობს ბრიტანელ მომღერალ კიტს ჯაშს. ქალბატონმა ჯაშმა 60-იან წლებში უსაზღვრო პოპულარობა მოიპოვა თავისი შთამბეჭდავი და გულში ჩამწვდომი სიმღერებით და პოლიტიკური აქტივობით...”

ალანია ბორდიურზე ჩამოჯდა. ფეხები აუკანკალდა. სცადა, ეს თავზარდამცემი ცნობა რამენაირად დაეკავშირებინა კიტისთან, ქალთან, რომლის გამოც ცოცხლობდა, ვისაც შეჰპირდა, დავბრუნდებიო. გამწარებულმა თარიღები გადათვალა და თავში ერთადერთმა მწველმა აზრმა გაუელვა, კოსტია ჯაშს რომ არ შეეშალა ხელი, იქნებ ჩაესწრო კიდევ...

ტელეფონის ხარი მუსტად იმ დროს გაისმა, როცა დედაჩემმა გამბედაობა მოიკრიბა და ჩვენ – ორივენი – დარია და მე მწვანე სახლში აგვათრია.

წინა დღით მამამისს დაურეკა, სალაპარაკო მაქვსო და ახლა ვისხედით მისაღებ ოთახში ოთხივენი, გვესმოდა, როგორ ღიღინებდა სტასია ბაღში და როგორ ამზადებდა ნანა ვახშამს.

ელენემ, რამდენადაც შეეძლო მშვიდად და თავშეკავებულად ,აცნობა, შენს საყვარელ შვილიშვილს მალე კინოპლაკატებზე იხილავ, სამწუხაროდ, ასეა და ამას უკვე აღარაფერი ეშველებო.

მდუმარე კოსტია თავის მაგარ შავ ჩაის შეეჭყეოდა და არაფერი დაჩნევია გარეგნულად, ელენეს სიტყვებმა თუ როგორ იმოქმედა. კედლის საათი გულის გამაწვრილებლად წიკნიკებდა, დარია მოუსვენრად წრიალებდა სკამზე და წარამარა ბაბუამისს უყურებდა. მე ფრჩხილებს ვიკვნეტდი და ველოდი გაელვებას, ჭექა-ქუხილი რომ უნდა მოჰყოლოდა.

ამ ახალ ამბავს, მაინცდამაინც ჩემთან რომ გაარკვევდა, გუმანი მკარნახობდა; უკვე ვიცოდი, სანამ წამოდგებოდა და მუქართი შემართული ხელით წამოვიდოდა ჩემკენ:

- ესე იგი, შენი მოფიქრებულია, არა, შე გველის წინილო?

ელენე სკამიდან კი არ წამოდგა, თითქოს წამოფრინდა და ჩვენ შორის ჩადგა.

დარიამაც არ დაახანა:

- ჩემი მოფიქრებულია, მე მინდოდა, ბაბუ!

ესენი რომ ჩემს დაცვას ცდილობდნენ ბაბუაჩემის რისხვისგან, სწორედ ამ დროს ნანა შემოვარდა ოთახში ბარდაცემულივით. მრგვალი ლოყები ასწითლებოდა. ხელში ქვაბის თავსახური ეკავა და ძლივს ამოთქვა:

- ტელეფონი! - მაგრამ კოსტიას მისკენ არც კი მიუხედავს, თვალებით მბურღავდა.

- არ მცალია! - ერთი კი დაუღრიალა, - გცალია! - არ შეეპუა ნანა.

- გითხარი, არ მცალია-მეთქი!

- მიდი ტელეფონთან, ნერვები დამანყდა! - ცოტა არ იყოს, ცოლის საქციელით შემცბარი კოსტია მაინც აუჩქარებლად წავიდა კარისკენ.

- ვინ რეკავს, აღარ იტყვი? - იკითხა ყოველი შემთხვევისთვის.

- ალანიაა, თვითონ გეტყვის ყველაფერს, - სიტყვები ძლივს წამოკრიფა ნანამ და ქვაბის სახურავი ხელიდან გაუვარდა.

- დედა? რა ხდება?

- უბრალოდ...

- გადით აქედან! - გვანიშნა ელენემ ჩვენ.

სანამ ოთახიდან გავიდოდით, გავიგონე, რომ ბებიჩემმა კიტი ახსენა.

* * *

და ყვირიან: მთვარე მათ მე მოვპარე.

ვისოცკი

ამტობინეს, რომ სტასიასთვის არ გაემხილათ შვილის სიკვდილი. ჩვენც გაგვაფრთხილეს, რომ არაფერი დაგვცდენოდა. ორი კვირის შემდეგ, როცა სტასიას მეთვალყურეობით სასუქს ვყრიდი ბაღში, უცებ გაჩერდა, თავისი პატარა სკამი მიმატანინა, ცოტა ამოსუნთქვა რომ უნდოდა ხოლმე, მაშინ ჩამოჯდებოდა. ახლაც ჩვეულებისამებრ მოიქცა, ოღონდ თავი რომ ჩაქინდრა, დავინახე, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი. ფეხაკრეფით მივუახლოვდი და ბურგზე მოვეხვიე, სახეში ვერ შევხედავდი. რადგან ტყულის თქმას ვერ შევძლებდი, თუ თავისი ქალიშვილის სიკვდილის შესახებ მკითხავდა.

კარგა ხნის მერე წამოდგა. ისევ აფუსფუსდა. უხმოდ ვშრომობდით. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. სადღაც მანქანამ გაიარა.

- ისევ აჩრდილები დაინახე?

შემომხედა და მრავლისმეტყველად შემომძიმა.

- ჰო, ჩემო მზის სხივო, ისევ აჩრდილები არიან.

- იქ არიან, ისევ ალუბლის ხესთან და უყურებ მათ?

გამაურიალა, როცა წარმოვიდგინე, რომ სულ რაღაც 50 მეტრის მოშორებით ჩემთვის უხილავი ორი ქალი კარტს თამაშობდა.

- კი, ვხედავ.

- ისევ კარტს თამაშობს ორივე?

- სამივე. სამნი თამაშობენ! - მითხრა, მაგრამ ვერ გავბედე მეკითხა, ვინ იყო მესამე.

კიტი ჯამი ლონდონში დაკრძალეს. პოლიციამ ზომები მიიღო ხალხმრავალი პროცესიის მსვლელობის მოსაწესრიგებლად. უხმოდ მწუხარე ემი და ფრედი კუბოს მიაცილებდნენ. ფრედი თითქმის აღარ ლაპარაკობდა იმ ღამის მერე, როცა სანაპიროს დაცვა გამოიძახა.

დაკრძალვიდან ორი თვის შემდეგ ალანიამ ფრედ ლიბლისს დაურეკა. პაბში შეხვდნენ ერთმანეთს. ალანია უძღურად გრძნობდა თავს, თანაც გაციებული იყო, აძაგაძაგებდა, სახეზეც წითლად გამოაყარა. ფრედის მზერა გამოგონებელი იყო, გამოფიტული, ყოველგვარ თანაგრძნობას მოკლებული.

სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ისე უყურებდა ალანიას, როგორც უსულო საგანს. ახლა რომ დავეცე და მოვკვდე, ალბათ, ძარღვიც არ შეუტოვდებაო, გაიფიქრა ალანიამ, თუმცა მაინც მოახერხა, ფრედისთვის ეამბნა ყველაზე დაუჭერებელი ამბავი, რაც ამ ტრაგიკული ბედის ქალს სიბმრადაც ვერ წარმოედგინა. უამბო კიტი ჯამის და გიორგი ალანიას ამბავი, თავისი რბილი, არისტოკრატიული ინგლისურით. იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირველად დაინახა საქართველოს პატარა ქალაქის ბაქანზე, ვიდრე თბილისიდან გაქცევის ჩათვლით. უამბო მარიამისა და კოსტიას შესახებ, კიტის შვილისა და ანდროს შესახებ. ფრედმა მხოლოდ ცოტა რამ იცოდა ამ ამბებიდან, მხოლოდ რამდენიმე

ადამიანის სახელი უხსენებია მასთან კიტის. ამ ავადმყოფური შესახედაობის კაცმა კი კიტის მთელი ცხოვრების პანორამა გადაუშალა, სადაც ფრედის ცხოვრებაც იყო ჩაქსოვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი დაუფარავად მოუყვა ცალკეულ წვრილმანზეც კი, ფრედს მოუნდა, კიდევ უფრო მეტი შეეტყო, რათა ყველაფერი გაეგო, აღექვა, დაეღაგებინა. მისი მონათხრობი მანტრას ჰგავდა, და მიუხედავად იმისა, რომ იმ ამბების უმეტესობა ფატალურად, განაჩენივით უღერდა, ფრედმა მაინც ნუგეში იგრძნო. რაღაც წყალობის მსგავსი, რაღაცას ჩასწვდა ყოველგვარი ამბისგან აბსოლუტურად დაცლილ მის სიკვდილში.

ალანიამ უამბო, როგორ გაიქცა კიტი პრაღიდან, როგორ ცხოვრობდა ლონდონში, როგორ დაჰკანკალებდა თვითონ მის უსაფრთხოებას. უამბო, როგორ გახდა კიტი თანდათან მისი ცხოვრების ნაწილი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, უამბო მათი სატელეფონო საუბრების შესახებ; და ფრედს გაახსენდა, როგორ გადიოდა ხოლმე კიტი ტელეფონზე სალაპარაკოდ დახურულ კარს მიღმა. ალანიას სიტყვებმა შორს გაიტაცა, მთელი მოზაიკა გადაუშალა თვალწინ, მოზაიკა, სადაც ყველაფერი ლოგიკური ეჩვენა, მკაცრად აღბეჭდილი.

და როდესაც ალანიამ შვიდი დის კონცხზე მათი უკანასკნელი მხევედრის შესახებ უამბო, იმ ღამისა და სასოწარკვეთილი სიყვარულის შესახებ დერეფნის ცივ იატაკზე, დეტალებიც კი, ფრედს უკვე ღამის ბუნებრივად ეჩვენა ის მათი ღამე, მათი ამბის ასეთი დასასრული, და მიუხედავად ნამიერი ბავშვური ეჭვიანობისა, მაინც მიხვდა, რამ მისცა ბიძგი კიტის უკანასკნელ მოგზაურობას, და ვერაფერი თქვა. ალანიას სიტყვებთან შედარებით საკუთარი სათქმელი უსუსური ეჩვენა. და ვერც კიტისთან გატარებული ბოლო საათების შესახებ მოყოლა შეძლო, მიუხედავად ალანიას თხოვნისა. თავი არ ჰქონდა სიტყვა სიტყვასთან დაეკავშირებინა. ის იქნებოდა პირველი, ვისაც ამას მოუყვებოდა ერთ მშვენიერ დღეს.

განადგურებული ალანია წამით მიაჩერდა. მერე ზრდილობიანად დაუკრა თავი, გაგებით, და ცხვირი მოიხოცა უჯრულა ნაჭრის ცხვირსახოცით, რომელიც ფრედმა სხვა დროის რელიკვიად მიიჩნია. თუმცა, იმით კი დაინტერესდა, ლონდონში როგორ ჩავიდა და რას აპირებდა.

- გამოვიპარე. ჯერ არ ვიცი, რა გზას ვენევი, ყოველ შემთხვევაში, უკან არ დავბრუნდები. ვეღარ დავბრუნდები.

- მაგრამ, თუ სწორად მესმის, ასე უბრალოდ აქ დარჩენაც გაგიჭირდებათ, ხომ ასეა, - ჰკითხა ფრედმა და ისევ სიგარეტს მოუკიდა.

- ...

- რა უნდა ქნათ?

- რამეს მოვიფიქრებ.

- რატომ არასდროს არაფერი უთქვამს ჩემთვის თქვენ შესახებ?

ალანიამ მხრები აიჩეჩა.

- ალბათ, არ უნდოდა თავისი წარსული მოეხვია თქვენთვის თავს.

- ის ჩემი ანგელოზი იყო. ჩემი შავი ანგელოზი.

თვითონაც არ იცოდა, რატომ თქვა ეს, მაგრამ გულახდილობამ ათქმევინა.

- ემი იბრუნებს მის მემკვიდრეობაზე. რა გასაკვირიც უნდა იყოს, კიტის ანდერძი არსებობს თურმე, ახალგაზრდა მუსიკოსთა ფონდის დაარსება სდომებია. სახლი შვიდი დის კონცხზე კი მე დამიტოვა. ალბათ, გავყიდი. ვერ ვიტან ამ ქალაქს, ამ ქვეყანას. უნდა წავიდე აქედან. ცოლად შემირთეთ! - თქვა მოულოდნელად.

- რას გულისხმობთ?

- ზუსტად იმას, რაც ვთქვი. შემირთეთ და აქ დარჩენას შეძლებთ. მერე მე გადავიხვეწები. სახლი თქვენი იქნება, ან წახვალთ, სადაც ისურვებთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლებას მიიღებთ. თავისუფალი კაცი გახდებით.

ალანიამ თავი დახარა. ფრედი ვერ მიხვდა, გაახარა ამ შეთავაზებამ თუ დააფრთხო.

- ოღონდ არ გეგონოთ, რომ თქვენი საუკეთესო მეგობარი გავხდები და თქვენთან ერთად ვივლი მის საფლავზე. უბრალოდ, გამიხარდება, თუ რამით დაგეხმარებით.

ალანია თავის ხელებს დააშტერდა, ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა ეს შეთავაზება.

- შეგიძლიათ კარგად აწონ-დანწონოთ ყველაფერი. ჩემი ტელეფონის ნომერი გაქვთ. მაგრამ ერთ კვირაზე მეტს ნუ გაჭიმავთ. ჯერ ერთ იმიტომ, რომ უკვე ყვავის ხნის ვარ, და მეორეც, დროზე მინდა აქედან გადავიხვეწო.

წამოდგა და ანგარიში გადაიხადა. სანამ პაბიდან გავიდოდა, ალანიამ ჰკითხა, სად განებრახა გადასვლა.

- ვენაში, - უპასუხა ფრედმა.

მაშინ ალანიამ უთხრა, რომ მაღლიერებით მიიღებდა მის შემოთავაზებას.

კოსტია მწვანე სახლიდან აღარ გადიოდა. საათობით ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის კაბინეტში, ეძალებოდა ღვინოს, გადმოყვლეფილი თვალებით მისჩერებოდა ტელევიზორს და ჩვეულებისამებრ, აგინებდა „ვრემიას“ საღამოს გამოშვებას. პენსიაზე იძულებით გაშვებამ ერთი ხელის მოსმით ჩამოაშორა გარე სამყაროს. თითქოს ფრთები მოაჭრესო, ერთ დღეში დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა.

თავიდან სტუმრობდნენ კიდევ თანამშრომლები და ქვეშევრდომები, ჯერ კიდევ რომ მუშაობდნენ შსს-ში ან საზღვრის დაცვის დეპარტამენტში,

მაგრამ თანდათან წვეულებათა სიხშირემაც იკლო, მით უმეტეს, სტასიასა და ნანას მიერ სტუმრებისთვის საგანგებოდ გაშლილი სუფრებიც მწირი გახდა.

დარია კი, პირიქით, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. სკოლა და სკოლის ეზო კი აღარ იყო მისი თავყვანისმცემლებით სავსე, უკვე მთელ ქალაქში შესტრფოდნენ, და მალე, ალბათ, მთელ ქვეყანაშიც პოპულარული გახდებოდა. ქუჩაში ცნობდნენ, ავტოგრაფს სთხოვდნენ, რეჟისორები ურეკავდნენ. მასწავლებლებიც კი თვალს ხუჭავდნენ და ისე უწერდნენ მაღალ ნიშნებს, მაგრამ არც თუ ურიგოდ ჩააბარა საატესტატო გამოცდები, მიუხედავად იმისა, რომ სამეცადინოდ სულ არ ეცალა, იმდენ ღონისძიებაზე უწევდა სიარული.

დარია კვლავაც ლიდერობას ინარჩუნებდა მწვანე სახლის ცხოვრებაში, თუმცა იქ ყველაფერი მთლად ისე აღარ იყო, როგორც ადრე, კოსტია რომ გამორჩეულად ანებივრებდა, თანაც ამ ცვლილებას ორივენი გრძნობდნენ უკვე და ერთნაირად განიცდიდნენ.

კოსტიამ ვერ შეინარჩუნა დარია. ის დაუსხლტა, წარმატება ისე მოიპოვა, კოსტიას წვლილი არ მიუძღოდა. ამის შეგნებამ ამაყ ბაბუას ფეხქვეშ მიწა გამოაცალა, ისედაც შელახული გონება დაუბნელა, თავგზა აუბნია.

მაგრამ რაც უფრო იმატა განხეთქილებამ კოსტიასთან, მით უფრო დავახლოვდით დარია და მე. თავის საიდუმლოებებს მანდობდა, მეხვეოდა და მეაღერსებოდა, სადაც დავყავდი, ყველგან აღტაცებით მხვდებოდნენ, როგორც მის დას, თავის დიდებას მაზიარა.

ჩემთვის სულ უფრო აუტანელი ხდებოდა მწვანე სახლში ყოფნა. ვერ ვუძლებდი კოსტიას ზიზღს. სულ ვფორიაქობდი, რომ თავს ვერ შეიკავებდა და დამამცირებდა, გამლანძღავდა. ღამეები არ მეძინა, საკუთარ სახლში ფეხაკრეფით სიარული მიწევდა. ვედარც სტასიას იმედად ვიქნებოდი, წლების განმავლობაში ჩემი ერთადერთი დასაყრდენი და მხარდამჭერი ხომ ის იყო. ძალიან დაბერდა, ძალიან მოტყდა, და მას მერე, რაც მისი ორი (იმქვეყნიური) სტუმარი უცებ გასამდა, მივხვდი, რომ ირეალურმა სამყარომ, რომელიც მისთვის მუდამ რეალურთან თანაარსებობდა მანამდე, უკვე გადანონა. კიტის სიკვდილის შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ მისთვის ეს ამბავი არასდროს გაუმხელიათ, ფარდულიდან აღარ ისმოდა ჩაიკოვსკისა და მოცარტის მუსიკა. აღარც მოსწავლე გოგოები დადიოდნენ. თითქოს მის სხეულს მთელი ძალა გამოეცალა მოკლე დროში. სულ თავის სნეულებებს უჩიოდა და იყო დღეები, ლოგინიდანაც კი არ დგებოდა.

ბალიც მიშვებული დარჩა, თუმცა კი ვცდილობდი, მის მცენარეულ სამყაროში წესრიგი შემენარჩუნებინა, მაგრამ მიწის ის ნაგლეჯი თითქოს დაობლდა და უცებ გავერანდა.

თვრამეტი წლის რომ გახდა, რამდენიმე დღეში, დარიას რომელიღაც უკრაინელმა რეჟისორმა შესთავაზა ფილმში მონაწილეობა, გადაღებები კიევში უნდა ყოფილიყო. თავიდან ყოყმანობდა, არ იყო დარწმუნებული, რომ ექვსი კვირა გაძლებდა უცხოეთში მარტო, მაგრამ გაიგო თუ არა, რომ „ღვთაებრივი ლაშა“ იქნებოდა ოპერატორად, მაშინვე დასთანხმდა.

თავიდანვე მაღიზიანებდა ეს ლაშა. თავისი კოვბოური ჩაცმულობით, თავისი მცდელობით – ორიგინალური ყოფილიყო და ელიტას მიკუთვნებოდა, ამერიკაშიც დაუბრკოლებლად მოგზაურობდა, ასეთი რარიტეტის ყიდვაც შეეძლო.

იმდენად თვითკმაყოფილი იერთ დადიოდა, ცხადი იყო, რომ გრძნობდა თავის უპირატესობებს და კარგი გარეგნობით იწონებდა თავს. რამდენჯერ ვცადე, დარია გამომეფხიზლებინა, რათა რეალურად აღექვა ეს ადამიანი, მაგრამ უძლეური აღმოვჩნდი, მაინც იმას შესცივინებდა.

და როცა დარიამ გამანდო, რომ სულიერი სიახლოვე აკავშირებდა მასთან, რომ ლაშა ყველანაირად ცდილობდა დღეში ერთი საათით მაინც ენახათ ერთმანეთი, მივხვდი, რომ წასული იყო საქმე. თუმცა სასიყვარულო ამბებში ვერასდროს ვერკვეოდი და დღემდე ასეთი ვარ, ბრილკა.

ვერ გავბედე ელენესთვის, ან თუნდაც ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრისთვის, ვინმე სხვისთვის გამენდო დარიას საიდუმლო, მაგრამ უნდა შემეჩერებინა, როგორმე უნდა დამეცვა იგი, რადგან ცუდი წინათგრძობა მქონდა, ძალიან ცუდი.

ერთხელ, ნაშუადღევს, კარტინგზე, მირო გვერდზე გავიყვანე და ვთხოვე, შენი რჩევა მჭირდება-მეთქი. ვითომ „დაქალზე“ ველაპარაკებოდი, დარიას სიტუაცია მოვუყევი. ვვარაუდობდი, რომ მირო ასეთ რამეებში ჩემზე უკეთ ერკვეოდა.

ამ დროისთვის მზიურის კარტინგს საკუთარი ერთგული მაყურებელი გაუჩნდა. მოხალისე ავტომობილები შემოესივნენ ტრასას ან თვითონ მონაწილეობდნენ შეჯიბრში, ან ფსონს დებდნენ.

ამასობაში მეტსახელი შემარქვეს – „აინშტაინი“ და ყველა ასე მომმართავდა. რასაკვირველია, მე სხვა სახელი მერჩივნა: მაგალითად, „ბარდო“, ხორცსავსე მაღალმკვრივიან ქერა მაყურებელს რომ შეარქვეს, ან „კლაუდია“, როგორც „ზვიგენას“ შეყვარებულს, რომელიც, სავარაუდოდ, კლაუდია კარდინალეს ჰგავდა, ან „ალა“, სასაცილო პუდელის ვარცხნილობიან გოგოს რომ ეძახდნენ რუს სახალხო მომღერალთან, ალა პუგაჩოვასთან მსგავსების გამო. აინშტაინი რახან შემარქვეს, მაღიარებდნენ კიდევ ჩემი საზრიანობის გამო და თანაც ეს მსიამოვნებდა, ნიშნავდა, რომ არავინ დამეტაკებოდა ტუჩებში საკოცნელად Take my breath away-ზე ჩახუტებული ცეკვის დროს.

- მე მგონი, პროტია ვილაც და ან უნდა დაშორდეს ცოლს, ან შენი დაქალი აღარ უნდა შეხვდეს. ეგ არის, მეტი არაფერი, - გამომიციხადა მირომ.

თან კეფა მოიფხანა და დააკვირდა ტრასას, ყველაფერი რიგზე თუ იყო. უეჭველად სიმართლეს ამბობდა, მაგრამ საქმე ის იყო, დარია გაიაზრებდა თუ არა მის ნათქვამს.

- და შენ?

- რა მე?

- შენც გყავს ვინმე? - ჩამეძია მირო.

- გააფრინე?

ეს იყო ერთადერთი პასუხი, რაც მომაფიქრდა. არაფერი მითხრა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ტუჩებზე ღიმილმა გაუელვა.

მერე ახლოს მომიჩოჩდა, ხელი გადამხვია და მაგრად ჩამეხუტა, რასაც ისედაც ხშირად აკეთებდა ხოლმე. მაგრამ ამჯერად ეს მოძრაობა უცხო, მოულოდნელი მეჩვენა, დავიძაბე. ყოველთვის მძაბავდა ფიზიკური სიახლოვე. მიროსთვის კი სხეული მთავარი იყო.

შენუხებული ჰყავდა ყველა გამუდმებული კოცნით, მტლამუნით, ხელის გადახვევით ან წარტყმით, თითქოს ეს ფიზიკური კონტაქტი თავდაჯერებულობას ჰმატებდა.

- და შენ?

- ჰო. არის ერთი გოგო.

ბუნებრივია. რა სულელი ვიყავი! წამში გავსაწყლდი.

- ვინ?

- შენ.

თქვა და მიწას მიაჩერდა. ვერ დავიჯერე. ჩავეკითხე. ისევ გაიმეორა მოკლე „შენ“. ვუყურებდი და ვხედავდი იმ ბიჭს, რომლის დანახვა მხოლოდ მაშინ შემეძლო, როცა მართო ვრჩებოდით, რომელსაც თვალეზზე ცრემლი ადგებოდა, როცა სასიყვარულო რომანებს ვუკითხავდი, ასე ძალიან რომ უყვარდა, და მაინც არასდროს აღიარებდა თავისი მეგობრების წინაშე, მისთვის, ეტყობა, არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ მასზე ერთი თავით დაბალი ვიყავი, მეტისმეტად გაჩინკული, ბრტყელმკვერდა, რომ წვეტიანი მუხლები მქონდა, გრძელი ცხვირი, ჩალურჯებული თვალები, რომ წესიერად ვერასდროს ვიკრავდი და ვინწავდი თმას და იმდენად შავი თვალები მქონდა, რომ გუგები არ მიჩანდა. ამ ბიჭმა ბარდოებს და კლაუდიებს ჩემი თავი ამჯობინა.

- როგორ ფიქრობ, მე და შენ მაგრად ვუხდებით ერთმანეთს? - ისე მომაცარა ეს სიტყვები, თითქოს ცხელი კარტოფილი ედო პირში ან უნდოდა, მალე ეთქვა ეს ყველაფერი.

ამან ისე გაიჟღერა, როგორც რომელიმე წიგნში ან ფილმში, უამრავი რომ მქონდა ნაკითხული და ნანახი. მაგრამ ასეთი სიტყვები კარგ წიგნებსა და ფილმებში იშვიათად გვხვდება. კარგ წიგნებსა და ფილმებში

ამაზე ლაპარაკობენ, განიცდიან ამას, არ უმართლებთ, ნანობენ. მხოლოდ ცუდ წიგნებსა და ფილმებში ამბობენ ასეთ რამეს, მე კი არავითარ შემთხვევაში არ მიხდოდა, რომ ჩვენ ცუდი წიგნის ან ფილმის პერსონაჟები ვყოფილიყავით. ავინურე, ფეხი ვერ მოვიცვალე და ისიც ვერ შევძელი, რამე მეპასუხა. მოულოდნელად ათრთოლებული ხელები მომხვია სახეზე და ტუჩებში მაკოცა. მე ვოცნა არ ვიცოდი, არ ვიცოდი, როგორ უნდა ვყოფილიყავი ლამაზი, არ ვიცოდი, რა იყო ლტოლვა. ვიცოდი მხოლოდ, როგორ აკეთებდნენ ამას სხვები, მაგრამ საკუთარი ენა ჯერ არ გამაჩნდა ჩემი გრძნობების გამოსახატად. ჩემმა დაბნეულობამ მას ხელი არ შეუშალა, კიდევ რამდენიმეჯერ დაენაფა თავისი ტუჩებით ჩემსას, მერე კი ზვიგენას ხმამ გამოგვაფხიზლა. მირო მომშორდა ყოყმანით, თუმცა თავდაჯერებულად.

სკოლას რომ ვამთავრებდი, იმ წელიწადს გადავედი ელენესთან საცხოვრებლად. ვერ წარმომედგინა, ასე თუ გამიჭირდებოდა მწვანე სახლიდან უკანმოუხედავად წასვლა, შეგუება იმასთან, რომ სტასიას მხოლოდ შაბათ-კვირას ვნახავდი, ნანას ბლინებზე და ტელევიზორში ჩემს საყვარელ გადაცემებზეც უარი უნდა მეთქვა. უარი უნდა მეთქვა აგრეთვე ბაღზე, თავისუფლებაზე, ტყეებზე და ცხენების ფრუტუნის ყურისგდებაზე – ჩემი ბავშვობის თანმდევ მუსიკაზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო.

იმავე წელს, როცა მე, ზუსტად თექვსმეტი წლისამ, სკოლა დავამთავრე, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრის მეოცე წლისთავზე თავიდან იფეთქა საპროტესტო მოძრაობამ. საქართველოშიც იგრძნობოდა გარკვეული მღელვარება, ახალმა ეროვნულმა მოთხოვნებმა იჩინა თავი და უამრავი სადისკუსიო წრე შეიქმნა. ქართველმა სტუდენტებმა გაბედეს და საპროტესტო წერილები გამოაქვეყნეს სხვადასხვა ქართულ გაზეთში. ახალი საინფორმაციო ორგანიზაციები დაფუძნდა, სადაც ყოფილი დისიდენტები გაერთიანდნენ. იმ წელს ადამიანები „გამოღვიძებაზე“ ალაპარაკდნენ, ლაცაბიძის „გზა“ საკულტო ფილმად იქცა – მას მერე, რაც კანში უნდა ეჩვენებინათ და საგანგებო პრემია მიენიჭებინათ, მაგრამ ჯგუფს ვიზები არ მისცეს იქ გასამგზავრებლად. იმ წელს იმღერა მადონამ Like a prayer. ფრედ ლიბლიხი იმ წელს გადასახლდა ვენაში. ისეთი ცნებები, როგორებიცაა „ეროვნული ინტერესები“ და „ტერიტორიული მთლიანობა“ იმ წელიწადს პირველად გახმაურდა. გაერთიანებები პარტიებად გარდაიქმნა. უნგრეთმა სწორედ იმ წელს გახსნა საზღვარი ავსტრიასთან, გდრ-დან კი ლტოლვილთა ნაკადი სტიქიურად დაიძრა დასავლეთისკენ. ეს იყო მასობრივი დემონსტრაციების წელი ბერლინის კედლის ორივე მხარეს. წელი, როცა აღმოსავლეთ ევროპის ექვსი კომუნისტური დიქტატურა ნაცარტუტად იქცა, ჩაუშესკუ კი თავის ელენასთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

იმ წელიწადს ჩემს სამშობლოში „საბჭოთა ოკუპაციის“ თაობაზე გაცხადა დისკუსიები. იმ წელიწადს ბერლინის კედელი დაეცა.

ეს იყო პირველი თავისუფალი პარტიული არჩევნების წელი 1919 წლის შემდეგ.

9 აპრილის წელი.

* * *

და ყვირიან: მთვარე მათ მე მოვპარე.
ვისოცკი

ამტობინეს, რომ სტასიასთვის არ გაემხილათ შვილის სიკვდილი. ჩვენც გავგაფრთხილეს, რომ არაფერი დაგვცდენოდა. ორი კვირის შემდეგ, როცა სტასიას მეთვალყურეობით სასუქს ვყრიდი ბაღში, უცებ გაჩერდა, თავისი პატარა სვამი მიმატანინა, ცოტა ამოსუნთქვა რომ უნდოდა ხოლმე, მაშინ ჩამოჯდებოდა. ახლაც ჩვეულებისამებრ მოიქცა, ოღონდ თავი რომ ჩაქინდრა, დავინახე, როგორ ჩამოუგორდა ლოყაზე ცრემლი. ფეხაკრეფით მივუახლოვდი და ბურგზე მოვხვხვიე, სახეში ვერ შევხედავდი. რადგან ტყულის თქმას ვერ შევძლებდი, თუ თავისი ქალიშვილის სიკვდილის შესახებ მკითხავდა.

კარგა ხნის მერე წამოდგა. ისევ აფუსფუსდა. უხმოდ ვშრომობდით. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. სადღაც მანქანამ გაიარა.

- ისევ აჩრდილები დაინახე?

შემომხედა და მრავლისმეტყველად შემომღიმა.

- ჰო, ჩემო მზის სხივო, ისევ აჩრდილები არიან.

- იქ არიან, ისევ ალუბლის ხესთან და უყურებ მათ?

გამაჟურიალა, როცა წარმოვიდგინე, რომ სულ რაღაც 50 მეტრის მოშორებით ჩემთვის უხილავი ორი ქალი კარტს თამაშობდა.

- კი, ვხედავ.

- ისევ კარტს თამაშობს ორივე?

- სამივე. სამნი თამაშობენ! - მითხრა, მაგრამ ვერ გავბედე მეკითხა, ვინ იყო მესამე.

კიტი ჯაში ლონდონში დაკრძალეს. პოლიციამ ზომები მიიღო ხალხმრავალი პროცესიის მსვლელობის მოსაწესრიგებლად. უზომოდ მწუხარე ემი და ფრედი კუბოს მიაცილებდნენ. ფრედი თითქმის აღარ ლაპარაკობდა იმ ღამის მერე, როცა სანაპიროს დაცვა გამოიძახა.

დაკრძალვიდან ორი თვის შემდეგ ალანამ ფრედ ლიბლის დაურეკა. პაბში შეხვდნენ ერთმანეთს. ალანია უძღურად გრძნობდა თავს, თანაც გაციებული იყო, აძაგდაგებდა, სახეზეც წითლად გამოაყარა. ფრედის მზერა გამაოგნებელი იყო, გამოფიტული, ყოველგვარ თანაგრძნობას მოკლებული.

სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ისე უყურებდა ალანიას, როგორც უსულო საგანს. ახლა რომ დავეცე და მოვკვდე, ალბათ, ძარღვიც არ შეუტოვდებაო, გაიფიქრა ალანიამ, თუმცა მაინც მოახერხა, ფრედისთვის ეამბნა ყველაზე დაუჯერებელი ამბავი, რაც ამ ტრაგიკული ბედის ქალს სიბმრადაც ვერ წარმოედგინა. უამბო კიტი ჯაშის და გიორგი ალანიას ამბავი, თავისი რბილი, არისტოკრატიული ინგლისურით. იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირველად დაინახა საქართველოს პატარა ქალაქის ბაქანზე, ვიდრე თბილისიდან გაქცევის ჩათვლით. უამბო მარიამისა და კოსტიას შესახებ, კიტის შვილისა და ანდროს შესახებ. ფრედმა მხოლოდ ცოტა რამ იცოდა ამ ამბებიდან, მხოლოდ რამდენიმე ადამიანის სახელი უხსენებია მასთან კიტის. ამ ავადმყოფური შესახედაობის კაცმა კი კიტის მთელი ცხოვრების პანორამა გადაუშალა, სადაც ფრედის ცხოვრებაც იყო ჩაქსოვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი დაუფარავად მოუყვა ცალკეულ წვრილმანზეც კი, ფრედს მოუნდა, კიდევ უფრო მეტი შეეტყო, რათა ყველაფერი გაეგო, აღექვა, დაელაგებინა. მისი მონათხრობი მანტრას ჰგავდა, და მიუხედავად იმისა, რომ იმ ამბების უმეტესობა ფატალურად, განაჩენივით უღერდა, ფრედმა მაინც ნუგეში იგრძნო. რაღაც წყალობის მსგავსი, რაღაცას ჩასწვდა ყოველგვარი ამრისგან აბსოლუტურად დაცლილ მის სიკვდილში.

ალანიამ უამბო, როგორ გაიქცა კიტი პრაღიდან, როგორ ცხოვრობდა ლონდონში, როგორ დაჰკანკალებდა თვითონ მის უსაფრთხოებას. უამბო, როგორ გახდა კიტი თანდათან მისი ცხოვრების ნაწილი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, უამბო მათი სატელეფონო საუბრების შესახებ; და ფრედს გაახსენდა, როგორ გადიოდა ხოლმე კიტი ტელეფონზე სალაპარაკოდ დახურულ კარს მიღმა. ალანიას სიტყვებმა შორს გაიტაცა, მთელი მოზაიკა გადაუშალა თვალწინ, მოზაიკა, სადაც ყველაფერი ლოგიკური ეჩვენა, მკაცრად აღბეჭდილი.

და როდესაც ალანიამ შვიდი დის კონცხზე მათი უკანასკნელი შეხვედრის შესახებ უამბო, იმ ღამისა და სასოწარკვეთილი სიყვარულის შესახებ დერეფნის ცივ იატაკზე, დეტალებიც კი, ფრედს უკვე ლამის ბუნებრივად ეჩვენა ის მათი ღამე, მათი ამბის ასეთი დასასრული, და მიუხედავად ნამიერი ბავშვური ეჭვიანობისა, მაინც მიხვდა, რამ მისცა ბიძგი კიტის უკანასკნელ მოგზაურობას, და ვერაფერი თქვა. ალანიას სიტყვებთან შედარებით საკუთარი სათქმელი უსუსური ეჩვენა. და ვერც კიტისთან გატარებული ბოლო საათების შესახებ მოყოლა შეძლო, მიუხედავად ალანიას თხოვნისა. თავი არ ჰქონდა სიტყვა სიტყვასთან დაეკავშირებინა. ის იქნებოდა პირველი, ვისაც ამას მოუყვებოდა ერთ მშვენიერ დღეს.

განადგურებული ალანია წამით მიაჩერდა. მერე ზრდილობიანად დაუკრა თავი, გაგებით, და ცხვირი მოიხოცა უჯრულა ნაჭრის

ცხვირსახოცით, რომელიც ფრედმა სხვა დროის რელიკვიად მიიჩნია. თუმცა, იმით კი დაინტერესდა, ლონდონში როგორ ჩავიდა და რას აპირებდა.

- გამოვიპარე. ჯერ არ ვიცი, რა გზას ვენევი, ყოველ შემთხვევაში, უკან არ დავბრუნდები. ველარ დავბრუნდები.

- მაგრამ, თუ სწორად მესმის, ასე უბრალოდ აქ დარჩენაც გაგიჭირდებათ, ხომ ასეა, - ჰკითხა ფრედმა და ისევ სიგარეტს მოუკიდა.

- ...

- რა უნდა ქნათ?

- რამეს მოვიფიქრებ.

- რატომ არასდროს არაფერი უთქვამს ჩემთვის თქვენ შესახებ?

ალანიამ მხრები აიჩეჩა.

- ალბათ, არ უნდოდა თავისი წარსული მოეხვია თქვენთვის თავს.

- ის ჩემი ანგელოზი იყო. ჩემი შავი ანგელოზი.

თვითონაც არ იცოდა, რატომ თქვა ეს, მაგრამ გულახდილობამ ათქმევინა.

- ემი იბრუნებს მის მემკვიდრეობაზე. რა გასაკვირიც უნდა იყოს, კიტის ანდერძი არსებობს თურმე, ახალგაზრდა მუსიკოსთა ფონდის დაარსება სდომება. სახლი შვიდი დის კონცხზე კი მე დამიტოვა. ალბათ, გავყიდი. ვერ ვიტან ამ ქალაქს, ამ ქვეყანას. უნდა წავიდე აქედან. ცოლად შემირთეთ! - თქვა მოულოდნელად.

- რას გულისხმობთ?

- ბუსტად იმას, რაც ვთქვი. შემირთეთ და აქ დარჩენას შეძლებთ. მერე მე გადავიხვეწები. სახლი თქვენი იქნება, ან წახვალთ, სადაც ისურვებთ, ყოველ შემთხვევაში, ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლებას მიიღებთ. თავისუფალი კაცი გახდებით.

ალანიამ თავი დახარა. ფრედი ვერ მიხვდა, გაახარა ამ შეთავაზებამ თუ დააფრთხო.

- ოღონდ არ გეგონოთ, რომ თქვენი საუკეთესო მეგობარი გავხდები და თქვენთან ერთად ვივლი მის საფლავზე. უბრალოდ, გამიხარდება, თუ რამით დაგეხმარებით.

ალანია თავის ხელებს დააშტერდა, ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, მიეღო თუ არა ეს შეთავაზება.

- შეგიძლიათ კარგად ანონ-დანონოთ ყველაფერი. ჩემი ტელეფონის ნომერი გაქვთ. მაგრამ ერთ კვირაზე მეტს ნუ გაჭიმავთ. ჯერ ერთ იმიტომ, რომ უკვე ყვავის ხნის ვარ, და მეორეც, დროზე მინდა აქედან გადავიხვეწო.

წამოდგა და ანგარიში გადაიხადა. სანამ ჰაბიდან გავიდოდა, ალანიამ ჰკითხა, სად განებრახა გადასვლა.

- ვენაში, - უპასუხა ფრედმა.

მაშინ ალანიაშ უთხრა, რომ მაღლიერებით მიიღებდა მის შემოთავაზებას.

კოსტია მწვანე სახლიდან აღარ გადიოდა. საათობით ჩაიკეტებოდა ხოლმე თავის კაბინეტში, ეძალებოდა ღვინოს, გადმოყვლეფილი თვალებით მისჩერებოდა ტელევიზორს და ჩვეულებისამებრ, აგინებდა „ვრემიას“ საღამოს გამოშვებას. პენსიაზე იძულებით გამშვებამ ერთი ხელის მოსმით ჩამოაშორა გარე სამყაროს. თითქოს ფრთები მოაჭრესო, ერთ დღეში დაკარგა სიცოცხლისუნარიანობა.

თავიდან სტუმრობდნენ კიდევ თანამშრომლები და ქვეშევრდომები, ჯერ კიდევ რომ მუშაობდნენ შსს-ში ან საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, მაგრამ თანდათან წვეულებათა სიხშირემაც იკლო, მით უმეტეს, სტასიასა და ნანას მიერ სტუმრებისთვის საგანგებოდ გაშლილი სუფრებიც მწირი გახდა.

დარია კი, პირიქით, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. სკოლა და სკოლის ეზო კი აღარ იყო მისი თავყვანისმცემლებით სავსე, უკვე მთელ ქალაქში შესტრფოდნენ, და მალე, ალბათ, მთელ ქვეყანაშიც პოპულარული გახდებოდა. ქუჩაში ცნობდნენ, ავტოგრაფს სთხოვდნენ, რეჟისორები ურეკავდნენ. მასწავლებლებიც კი თვალს ხუჭავდნენ და ისე უწერდნენ მაღალ ნიშნებს, მაგრამ არც თუ ურიგოდ ჩააბარა საატესტატო გამოცდები, მიუხედავად იმისა, რომ სამეცადინოდ სულ არ ეცალა, იმდენ ღონისძიებაზე უწევდა სიარული.

დარია კვლავაც ლიდერობას ინარჩუნებდა მწვანე სახლის ცხოვრებაში, თუმცა იქ ყველაფერი მთლად ისე აღარ იყო, როგორც ადრე, კოსტია რომ გამორჩეულად ანებივრებდა, თანაც ამ ცვლილებას ორივენი გრძნობდნენ უკვე და ერთნაირად განიცდიდნენ.

კოსტიამ ვერ შეინარჩუნა დარია. ის დაუსხლტა, წარმატება ისე მოიპოვა, კოსტიას წვლილი არ მიუძღოდა. ამის შეგნებამ ამაყ ბაბუას ფეხქვეშ მიწა გამოაცალა, ისედაც შელახული გონება დაუბნელა, თავგზა აუბნია.

მაგრამ რაც უფრო იმატა განხეთქილებამ კოსტიასთან, მით უფრო დავახლოვდით დარია და მე. თავის საიდუმლოებებს მანდობდა, მეხვეოდა და მეაღერსებოდა, სადაც დაყვავდი, ყველგან აღტაცებით მხვდებოდნენ, როგორც მის დას, თავის დიდებას მაზიარა.

ჩემთვის სულ უფრო აუტანელი ხდებოდა მწვანე სახლში ყოფნა. ვერ ვუძლებდი კოსტიას ზიზღს. სულ ვფორიაქობდი, რომ თავს ვერ შეიკავებდა და დამამცირებდა, გამლანძღავდა. ღამეები არ მეძინა, საკუთარ სახლში ფეხაკრეფით სიარული მიწევდა. ვედარც სტასიას იმედად ვიქნებოდი, წლების განმავლობაში ჩემი ერთადერთი დასაყრდენი და მხარდამჭერი ხომ ის იყო. ძალიან დაბერდა, ძალიან მოტყდა, და მას მერე, რაც მისი ორი (იმქვეყნიური) სტუმარი უცებ

გასამდა, მივხვდი, რომ ირეალურმა სამყარომ, რომელიც მისთვის მუდამ რეალურთან თანაარსებობდა მანამდე, უკვე გადაწონა. კიტის სიკვდილის შემდეგ, იმის მიუხედავად, რომ მისთვის ეს ამბავი არასდროს გაუმხელიათ, ფარდულიდან აღარ ისმოდა ჩაიკოვსკისა და მოცარტის მუსიკა. აღარც მოსწავლე გოგოები დადიოდნენ. თითქოს მის სხეულს მთელი ძალა გამოეცალა მოკლე დროში. სულ თავის სნეულებებს უჩიოდა და იყო დღეები, ლოგინიდანაც კი არ დგებოდა.

ბალიც მიშვებული დარჩა, თუმცა კი ვცდილობდი, მის მცენარეულ სამყაროში წესრიგი შემენარჩუნებინა, მაგრამ მიწის ის ნაგლეჯი თითქოს დაობლდა და უცებ გავერანდა.

თვრამეტი წლის რომ გახდა, რამდენიმე დღეში, დარჩას რომელიღაც უკრაინელმა რეჟისორმა შესთავაზა ფილმში მონაწილეობა, გადაღებები კიევში უნდა ყოფილიყო. თავიდან ყოყმანობდა, არ იყო დარწმუნებული, რომ ექვსი კვირა გაძლებდა უცხოეთში მართო, მაგრამ გაიგო თუ არა, რომ „ღვთაებრივი ლაშა“ იქნებოდა ოპერატორად, მაშინვე დასთანხმდა.

თავიდანვე მალიზიანებდა ეს ლაშა. თავისი კოვბოური ჩაცმულობით, თავისი მცდელობით – ორიგინალური ყოფილიყო და ელიტას მიკუთვნებოდა, ამერიკაშიც დაუბრკოლებლად მოგზაურობდა, ასეთი რარიტეტის ყიდვაც შეეძლო.

იმდენად თვითკმაყოფილი იერთ დადიოდა, ცხადი იყო, რომ გრძნობდა თავის უპირატესობებს და კარგი გარეგნობით იწონებდა თავს. რამდენჯერ ვცადე, დარია გამომეფხიზლებინა, რათა რეალურად აღექვა ეს ადამიანი, მაგრამ უძლური აღმოვჩნდი, მაინც იმას შესცივინებდა.

და როცა დარიამ გამანდო, რომ სულიერი სიახლოვე აკავშირებდა მასთან, რომ ლაშა ყველანაირად ცდილობდა დღეში ერთი საათით მაინც ენახათ ერთმანეთი, მივხვდი, რომ წასული იყო საქმე. თუმცა სასიყვარულო ამბებში ვერასდროს ვერკვეოდი და დღემდე ასეთი ვარ, ბრილკა.

ვერ გავბედე ელენესთვის, ან თუნდაც ჩვენი ოჯახის რომელიმე წევრისთვის, ვინმე სხვისთვის გამენდო დარჩას საიდუმლო, მაგრამ უნდა შემეჩერებინა, როგორმე უნდა დამეცვა იგი, რადგან ცუდი წინათგრძობა მქონდა, ძალიან ცუდი.

ერთხელ, ნაშუადღევს, კარტინგზე, მირო გვერდზე გავიყვანე და ვთხოვე, შენი რჩევა მჭირდება-მეთქი. ვითომ „დაქალზე“ ველაპარაკებოდი, დარჩას სიტუაცია მოვუყევი. ვვარაუდობდი, რომ მირო ასეთ რამეებში ჩემზე უკეთ ერკვეოდა.

ამ დროისთვის მზიურის კარტინგს საკუთარი ერთგული მაყურებელი გაუჩნდა. მოხალისე ავტომობილები შემოესივნენ ტრასას ან თვითონ მონაწილეობდნენ შეჯიბრში, ან ფსონს დებდნენ.

ამასობაში მეტსახელი შემარქვეს – „აინშტაინი“ და ყველა ასე მომმართავდა. რასაკვირველია, მე სხვა სახელი მერჩინა: მაგალითად,

„ბარდო“, ხორცსავესე მაღალმკვერდიან ქერა მაყურებელს რომ შეარქვეს, ან „კლაუდია“, როგორც „ზვიგენას“ შეყვარებულს, რომელიც, სავარაუდოდ, კლაუდია კარდინალეს ჰგავდა, ან „ალა“, სასაცილო პუდელის ვარცხნილობიან გოგოს რომ ედახდნენ რუს სახალხო მომღერალთან, ალა პუგაჩოვასთან მსგავსების გამო. აინშტაინი რახან შემარქვეს, მაღიარებდნენ კიდევ ჩემი საზრიანობის გამო და თანაც ეს მსიამოვნებდა, ნიშნავდა, რომ არავინ დამეთაკებოდა ტუჩებში საკოცნელად Take my breath away-ზე ჩახუტებული ცეკვის დროს.

- მე მგონი, პროტია ვილაც და ან უნდა დამორდეს ცოლს, ან შენი დაქალი აღარ უნდა შეხვდეს. ეგ არის, მეტი არაფერი, - გამომიციხადა მირომ.

თან კვფა მოიფხანა და დააკვირდა ტრასას, ყველაფერი რიგზე თუ იყო. უეჭველად სიმართლეს ამბობდა, მაგრამ საქმე ის იყო, დარია გაიზრებდა თუ არა მის ნათქვამს.

- და შენ?

- რა მე?

- შენც გყავს ვინმე? - ჩამეძია მირო.

- გააფრინე?

ეს იყო ერთადერთი პასუხი, რაც მომაფიქრდა. არაფერი მითხრა, მაგრამ მომეჩვენა, რომ ტუჩებზე დიმილმა გაუელვა.

მერე ახლოს მომიჩოჩდა, ხელი გადამხვია და მაგრად ჩამეხუტა, რასაც ისედაც ხშირად აკეთებდა ხოლმე. მაგრამ ამჯერად ეს მოძრაობა უცხო, მოულოდნელი მეჩვენა, დავიძაბე. ყოველთვის მძაბავდა ფიზიკური სიახლოვე. მიროსთვის კი სხეული მთავარი იყო.

შენუხებული ჰყავდა ყველა გამუდმებული კოცნით, მტლაშუნით, ხელის გადახვევით ან წარტყმით, თითქოს ეს ფიზიკური კონტაქტი თავდაჯერებულობას ჰმატებდა.

- და შენ?

- ჰო. არის ერთი გოგო.

ბუნებრივია. რა სულელი ვიყავი! წამში გავსაწყლდი.

- ვინ?

- შენ.

თქვა და მიწას მიაჩერდა. ვერ დავიჯერე. ჩავეკითხე. ისევ გაიმეორა მოკლე „შენ“. ვუყურებდი და ვხედავდი იმ ბიჭს, რომლის დანახვა მხოლოდ მაშინ შემეძლო, როცა მართო ვრჩებოდით, რომელსაც თვალეებზე ცრემლი ადგებოდა, როცა სასიყვარულო რომანებს ვუკითხავდი, ასე ძალიან რომ უყვარდა, და მაინც არასდროს აღიარებდა თავისი მეგობრების წინაშე, მისთვის, ეტყობა, არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ მასზე ერთი თავით დაბალი ვიყავი, მეტისმეტად გაჩინკული, ბრტყელმკვერდა, რომ წვეტიანი მუხლები მქონდა, გრძელი ცხვირი, ჩალურჯებული თვალები, რომ წესიერად ვერასდროს ვიკრავდი

და ვინაჲ ვიქნა და იმდენად შავი თვალები მქონდა, რომ გუგები არ მიჩანდა. ამ ბიჭმა ბარდოებს და კლაუდიებს ჩემი თავი ამტობინა.

- როგორ ფიქრობ, მე და შენ მაგრად ვუხდებით ერთმანეთს? - ისე მომეყარა ეს სიტყვები, თითქოს ცხელი კარტოფილი ელო პირში ან უნდოდა, მალე ეთქვა ეს ყველაფერი.

ამან ისე გაიჟღერა, როგორც რომელიმე წიგნში ან ფილმში, უამრავი რომ მქონდა ნაკითხული და ნანახი. მაგრამ ასეთი სიტყვები კარგ წიგნებსა და ფილმებში იშვიათად გვხვდება. კარგ წიგნებსა და ფილმებში ამაზე ლაპარაკობენ, განიცდიან ამას, არ უმართლებთ, ნანობენ. მხოლოდ ცუდ წიგნებსა და ფილმებში ამბობენ ასეთ რამეს, მე კი არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა, რომ ჩვენ ცუდი წიგნის ან ფილმის პერსონაჟები ვყოფილიყავით. ავინურე, ფეხი ვერ მოვიცვალე და ისიც ვერ შევძელი, რამე მეპასუხა. მოულოდნელად ათრთოლებული ხელები მომხვია სახეზე და ტუჩებში მაკოცა. მე კოცნა არ ვიცოდი, არ ვიცოდი, როგორ უნდა ვყოფილიყავი ლამაზი, არ ვიცოდი, რა იყო ლტოლვა. ვიცოდი მხოლოდ, როგორ აკეთებდნენ ამას სხვები, მაგრამ საკუთარი ენა ჯერ არ გამაჩნდა ჩემი გრძნობების გამოსახატად. ჩემმა დაბნეულობამ მას ხელი არ შეუშალა, კიდევ რამდენიმეჯერ დაეწაფა თავისი ტუჩებით ჩემსას, მერე კი ზვიგენას ხმამ გამოგვაფხიზლა. მითრო მომშორდა ყოყმანით, თუმცა თავდაჯერებულად.

სკოლას რომ ვამთავრებდი, იმ წელიწადს გადავედი ელენესთან საცხოვრებლად. ვერ წარმომედგინა, ასე თუ გამიჭირდებოდა მწვანე სახლიდან უკანმოუხედავად წასვლა, შეგუება იმასთან, რომ სტასიას მხოლოდ შაბათ-კვირას ვნახავდი, ნანას ბლინებზე და ტელევიზორში ჩემს საყვარელ გადაცემებზეც უარი უნდა მეთქვა. უარი უნდა მეთქვა აგრეთვე ბაღზე, თავისუფლებაზე, ტყეებზე და ცხენების ფრუტუნის ყურისგდებაზე - ჩემი ბავშვობის თანმდევ მუსიკაზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო.

იმავე წელს, როცა მე, ზუსტად თექვსმეტი წლისამ, სკოლა დავამთავრე, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრის მეოცე წლისთავზე თავიდან იფეთქა საპროტესტო მოძრაობამ. საქართველოშიც იგრძნობოდა გარკვეული მღელვარება, ახალმა ეროვნულმა მოთხოვნებმა იჩინა თავი და უამრავი სადისკუსიო წრე შეიქმნა. ქართველმა სტუდენტებმა გაბედეს და საპროტესტო წერილები გამოაქვეყნეს სხვადასხვა ქართულ გაზეთში. ახალი საინფორმაციო ორგანიზაციები დაფუძნდა, სადაც ყოფილი დისიდენტები გაერთიანდნენ. იმ წელს ადამიანები „გამოდვიძებამე“ ალაპარაკდნენ, ლაცაბიძის „გზა“ საკულტო ფილმად იქცა - მას მერე, რაც კანში უნდა ეჩვენებინათ და საგანგებო პრემია მიენიჭებინათ, მაგრამ ჯგუფს ვიზები არ მისცეს იქ გასამგზავრებლად. იმ წელს იმღერა მადონამ Like a prayer. ფრედ ლიბლიხი იმ წელს გადასახლდა ვენაში. ისეთი ცნებები, როგორებიცაა

„ეროვნული ინტერესები“ და „ტერიტორიული მთლიანობა“ იმ წელიწადს პირველად გახმაურდა. გაერთიანებები პარტიებად გარდაიქმნა. უნგრეთმა სწორედ იმ წელს გახსნა სამღვარი ავსტრიასთან, გდრ-დან კი ლტოლვილთა ნაკადი სტიქიურად დაიძრა დასავლეთისკენ. ეს იყო მასობრივი დემონსტრაციების წელი ბერლინის კედლის ორივე მხარეს. წელი, როცა აღმოსავლეთ ევროპის ექვსი კომუნისტური დიქტატურა ნაცარტუტად იქცა, ჩაუშესკუ კი თავის ელენასთან ერთად სიკვდილით დასაჯეს.

იმ წელიწადს ჩემს სამშობლოში „საბჭოთა ოკუპაციის“ თაობაზე გაცხადა დისკუსიები. იმ წელიწადს ბერლინის კედელი დაეცა.

ეს იყო პირველი თავისუფალი პარტიული არჩევნების წელი 1919 წლის შემდეგ.

9 აპრილის წელი.

* * *

და შეუძღვარი შეხვედრა
კუთხეში მწარედ ოხრავს.
ახმატოვა

საქმე ისე წარიმართა, რომ მოშიშშილენი განლაგდნენ მთავრობის სასახლის წინ. ხალხის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა იყო კონსტიტუციური ცვლილებები, რის შედეგადაც რესპუბლიკები სსრკ-ს შემადგენლობიდან გასვლის უფლებას მოიპოვებდნენ. შუა რუსთაველზე კარვები გაიშალა, რაც მანამდე გაუგონარი ამბავი იყო და არასდროს მომხდარა.

კომუნისტურ და ეროვნულ პარტიებს შორის გამწვავებული დაპირისპირებისა და დედაქალაქში გამუდმებული არეულობის გამო საატესტატო გამოცდები მარტში გადმოიტანეს.

როგორც იქნა, უკან მოვიტოვე სკოლა. გამოსაშვებ ბანკეტზე დარბაზში შესასვლელ კიბეზე ვიჭექე, სიგარეტს ვწნოდი და ვუცდიდი მიროს. ცხოვრებაში პირველად ჩავიცვი ლამაზი კაბა (მგონი, საერთოდ კაბა ჩავიცვი პირველად), დარიას კაბა, რომელიც დედამ გადამიკეთა და რომელშიც საფრთხობელასავით ვგრძნობდი თავს.

უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ვაპირებდი ჩაბარებას. მაგრამ სინამდვილეში წარმოდგენა არ მქონდა, რა მეკეთებინა მომავალში. იმდენი სხვადასხვა პროფესია მაინტერესებდა, რომ ერთი რომელიმე მიმართულების არჩევა სატანჯველად მექცა. ისევ ძველებურად ყოფნა მერჩივნა; მიროსთან და მზიურის დანარჩენ

ბიჭებთან ერთად შეჯიბრებების მოწყობა, ყიალი და უდარდელი ცხოვრება, მიზნის გარეშე, გართობა და დროსტარება.

არც მირომ იცოდა, რა უნდოდა. რაკი კარგად ხატავდა, დედამისი აძალებდა, არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩააბარეო, მაგრამ მირო სრულ გულგრილობას გამოხატავდა მისი რჩევების მიმართ. ლანამ რა აღარ სცადა, შვილი კარტინგისგან რომ ჩამოეშორებინა, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ბოლოს დანებდა.

- რა ვქნათ? - მირო დახეული ჯინსით გამომეცხადა და გვერდით, საფეხურზე დაჯდა.

დარბაზიდან ხმამაღალი მუსიკა ისმოდა, ყველა ცეკვავდა. მე მიროს მივეკარი.

- არ გინდა შესვლა?

- არა.

- მართლა არავინაა იქ, შიგნით ისეთი, ნახვა რომ გინდოდეს, აინშტაინ?

- არა. დავახვიოთ ახლა აქედან.

- რა საინტერესო ხარ კაბაში.

- მორჩი, ნუ მატყუებ, საზიზღრად გამოვიყურები. მაგრამ არა უშავს, მთავარია, მორჩა.

- და სად გინდა, სად წავიდეთ?

- უბრალოდ გავისეირნოთ.

ხელკავი გამოვდე და სამ-სამ საფეხურზე წყვილად ჩავირბინეთ, რომ რაც შეიძლება მალე გავცლოდით იქაურობას.

სანაპიროდან ლამპიონების შუქი მდინარეში ირეკლებოდა. აღმართს ავუყვავით, აჭრელებულ შუშაბანდიან სახლებს ჩავუარეთ ბორცვების გასწვრივ და გოგირდის აბანოებს, ქვაფენილით გადავჭერით სომხური და ებრაული უბნები, რომლებიც, როგორც ამბობდნენ, თანდათან ცარიელდებოდა, რადგან ბევრი მათგანი ტოვებდა ქვეყანას. ლენინის მოედანზე გავედით და ორივემ ვიგრძენით, როგორ აღმოვჩნდით უცნაურ სიჩუმეში, აფორიაქებული ქარისა და უჩვეულო სიბნელის გარემოცვაში. მიუხედავად იმისა, რომ კვირის ბოლო იყო და არცთუ გვიანი ღამე, ქუჩაში კაცი არ ჭაჭანებდა. სანაპიროზე რესტორნები თითქმის დაკეტილი იყო. ფანჯრების უმრავლესობა - დახურული. კიდევ უფრო ჩავეკარი მიროს. სულიერი არავინ შეგვხვედრია. არც ერთ მანქანას არ ჩაუვლია. ირგვლივ სუფევდა სიბნელე, მბჟუტავი განათება და მუქარით აღვსილი მდუმარება.

ბუნებრივია, იმ ღამეს მეტისმეტად პატარები ვიყავით სინამდვილისთვის. ბუნებრივია, ოცნება გვერჩივნა წარსულსა და აწმყოს. ბუნებრივია, იმედი უფრო გვხიბლავდა, ვიდრე რეალობა. ბუნებრივია, დაშტერებული ვიყავით ერთმანეთის სიყვარულით და ჩვენი წარმოდგენით სიყვარულზე, რომელსაც ვზეიმობდით. ბუნებრივია, გვეგონა, რომ პირველი და უკანასკნელი შეყვარებულები ვიყავით მთელ

პლანეტაზე. ბუნებრივია, ჩვენი გრძნობების მოზღვავებასთან შედარებით ის საფრთხის შემცველი ღამის იდუმალება არაფრად ჩავაგდეთ. ბუნებრივია, იმ ღამით ჩვენი სიხარული და ბედნიერება ცხოვრებისას აღემატებოდა.

აფხაზებმაც დაიწყეს კონსტიტუციური ცვლილებების მოთხოვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისთვის. მათ შორის 1921 წლის ვერსიის აღდგენა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში კი არ განიხილებოდა, არამედ როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აფხაზეთის ელიტა შეამფოთა ქართულ მედიაში იმ დღეებში აფეთქებულმა ეროვნულმა სულისკვეთებამ.

ქალაქში გამუდმებით გაიძახოდნენ – „ძირს რუსეთის იმპერია!“

ისე მოხდა, რომ იმ ბანკეტის საღამოს შემდგომი დღეები თითქოს დაბანგულმა გავატარე. კარტინგზე აღარ წავსულვარ, მიროს გადავადარე ჩემი „სალარო“. მწვანე სახლში ავედი და ჩემი და დარიას ყოფილ ოთახში ჩავიკეტე.

კედელზე „ქუინის“ პლაკატი ეკიდა, რომელიც დარიამ რაღაც უცხოური პოპკაზმითიდან ამოჭრა. ჩვენს ლოგინებს ახალგამზებულების თბილი სუნი ჰქონდა. ნანა კვლავინდებურად ზრუნავდა, ოჯახი მონესრიგებული ჰყოლოდა. სასტუმრო ოთახიდან გამუდმებით ტელევიზორის ხმა გამოდიოდა, დაჭმუჭნილხალათიანი და წვერგაუპარსავი კოსტია იჭდა სავარძელში და თავიც არ შემოუბრუნებია, ჩემს საღამოზე რომ ეპასუხა. სტასიას წნევები აწუხებდა და უმეტესად მწოლიარე იყო.

წვიმები მიენყო, ნესტი და სიცივე. ტირილი მინდოდა. ოთახი ისეთი ეული ჩანდა დარიას გარეშე, ჩვენი საერთო წარსულის გარეშე. დარიას დატოვებული კაბები ნანას სათუთად დაეკეცა და სკამზე დაეწყო. ყველაფერი რაც უფრო განკრიალებული და მონესრიგებული იყო, მით უფრო სევდიანი ჩანდა. თითქოს სიცოცხლისგან დაცლილიყო ოთახი, მთელი სახლი.

აფორიაქებული რას მივწყდომოდი, აღარ ვიცოდი, ტვინი მიდუღდა. გამოსავალს ვეძებდი. რამე უნდა მომეხერხებინა საკუთარი თავისთვის, ჩემი ცხოვრებისთვის. ბზარებსა და იარებს ვეხებოდი ჩემ ირგვლივ, მინდოდა რაღაც ახალი, მაგრამ არ ვიცოდი, რით დამეწყო. ჩემს ადგილს ვეძებდი. იმ სახლში აღარ იყო ჩემი ადგილი. ელენესა და ალექოსთან უცხოდ ვგრძნობდი თავს. მე და მიროს წასასვლელი არ გვქონდა, ყველგან ლანა და ქრისტინე გვმეთვალყურეობდნენ, მზიური კი, თავის ბიჭებიანად, რომელთაც მეგობრებად მივიჩნევდი, თანდათან ყელში ამომივიდა. თანაც თავში მხოლოდ უსარგებლო აზრები და გართობა მიტრიალებდა.

- სისხლს დაღვრიან ეს ღორები. ეს ნაცისტები! ხალხს გადაუვლიან! და ეს უტვინო ოპორტუნისტი კომპარტიის მეთაურიც ხელს არ გაანძრევს საიმისოდ, მიწასთან რომ არ გაგვასწორონ!

კოსტია ისევ ბობოქრობდა სასტუმრო ოთახში, მორიდებულად მივუახლოვდი, გაუბედავად ჩავახველე, იმის იმედით, რომ გამომელაპარაკებოდა, მაგრამ ამაოდ, თითქოს სტასიას მოჩვენებათაგანი ვყოფილიყავი. ევრანზე ბრბოდ ქცეულ ხალხს შევაველე თვალი, ქაქანებდნენ, ილანძღებოდნენ, ყაყანებდნენ და იფურთხებოდნენ.

- რა მოხდა? - მაინც ვკითხე გამოსალაპარაკებლად.

- ჩვენმა ცკ-მ უთუოდ შველა სთხოვა მოსკოვს, იმიტომ რომ თვითონ ვერ უმკლავდებიან დემონსტრანტებს. ნაციონალისტების ემინიათ და აცნობეს, რომ უძლურნი არიან და სიტუაციას ვერ აკონტროლებენ. ცხადია, წამოვა ახლა მოსკოვი, როგორც იქნა, მიეცათ ოფიციალური უფლება, რომ შემოიჭრნენ და ყბაში მოგვდონ. ბოლოს საქართველოს ცკ-ს კიდეც დაუმაღლებენ, რომ ხელი არ გაისვარა თავისი ხალხის სისხლით და, რასაკვირველია, რუსების მიქსევასაც უდანაშაულო ხალხზე არავინ დააბრალებთ.

- ეს რას ნიშნავს?

- დაფიქრდი, რისთვის გაქვს ეგ ვუნდერკინდის ტვინი? როდისმე ხომ უნდა გამოიყენო?

- ესე იგი...

- დიახ, თუ მთავრობა სწორად არ მოიქცევა, სისხლი დაიდვრება. ამბობენ, შეხედეთ პოლონელებს ან ჩეხოსლოვაკელებსო, თუნდაც ბალტიისპირეთსო, ის კი არ ესმით მაგ შტერებს, რომ ჩვენ არც პოლონეთი ვართ და არც ბალტიისპირეთი. ისინი თითქმის დასავლეთში არიან, გფრ ან ფინეთი ჰყავთ გვერდით, ჩვენ კი აქ ვართ, დევის ფეხებთან, ყველასგან მოშორებით და ამდენი წელი ვტკბებოდით კიდეც, საყვარელი ბავშვივით რომ გვანებივრებდა. ახლა ამ იდიოტებმა დაიჩემეს, თვითონ უნდა დავდგეთ ფეხზეო. არადა, არასდროს მდგარან ფეხზე. 200 წელია არ მდგარან. ამ დისიდენტების, გარიყულებისა და შეურაცხადების ბანდამ კი ახლა დრო იხელთა, ყველა ერთად შეიყარა, გაერთიანდა: ფანატიკოსი ნაციონალისტები, წითელი ინტელიგენცია, ებოთერისტი ფანატიკოსები, ფატალისტი მისტიკოსები, კრიმინალები და მკვლელები. მართლაც რომ, ჭრელი ნაკრებია. ყველას ოქროს ქოთნები უნდა. არადა, ისე ჯობდა, დევს რომ ეჭირა სადავები.

- კი მაგრამ, ყველა ადამიანს...

- ყველა ადამიანს, ყველა ადამიანს! ადამიანთა უმრავლესობა ხომ პარაზიტია, ტკიპებივით არიან. ხელის განძრევა ეზარებათ, მაძღრად ყოფნა უნდათ. გამდიდრება უნდათ, ოღონდ სხვის ხარჯზე. ჭერი თავზე, ძეხვი მაცივარში, ქალის თბილი ტრაკი ლოგინში ჩასახუტებლად და

შვილები, რომლებიც არაფრით არიან მათზე უკეთესები, ეს უნდა უმრავლესობას.

- და შენ რა გინდა? რა გინდოდა ელენესთვის? რა გინდა დარიასთვის?

ისევე შემომხედა, მხოლოდ და მხოლოდ საზეიმოდ ამოჩემებული მზერით. თითქოს ვეზიზღებოდი და თან ვეცოდებოდი.

- შენსას არ ეშვები, არა? ცხოვრების მიზნად დაისახე, სიცოცხლე გამიმზარო?

- სულაც არა, მხოლოდ ის მინდა, რომ გაგიგო.

- ესე იგი, გინდა გამიგო? ჩემი გაგება რომ შეგძლებოდა, შენს დას თავს არ შეარცხვენინებდი, საკუთარი ხელით არ უკრავდი თავს იმ გარყვნილ სამყაროში, ბეჭითად ისწავლიდი და წარმატებით დაამთავრებდი სკოლას (საიდან იცოდა, რომ ცუდი ნიშნები მქონდა?!). ჩემი რომ გესმოდეს, ერისთავების ნაბიჭვარს არ გადაევიდებოდი და... (როგორ გაიგო ჩემსა და მიროს შესახებ?) და... კაი, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

- შენს თვალში ყველა ადამიანი ნაბიჭვარია. ყველა უსუსურია, ყველა სულელია. ყველა, ვინც შენსავით არ ცხოვრობს.

- გაჩუმდი და თუ გინდა, ტელევიზორს უყურე და მადლობა მითხარი, რომ საერთოდ აქ გვკობ.

- იმ ადამიანებს იქ, გარეთ, სხვანაირი ცხოვრება უნდათ, უფრო ადამიანური. იმ სტუდენტებს, დემონსტრაციებს რომ აწყობენ და შიშილობენ, სწორედაც რომ აღარ აკმაყოფილებთ ძეხვი მაცივარში, თბილი ტრაკი ლოგინში, და პირმოკუმული ცხოვრება. თვითონ უნდათ გადანყვიტონ, რა ჩადონ მაცივარში, ვისი ტრაკი მიიწვინონ გვერდით და რა იფიქრონ და რა თქვან.

- ჰოდა, წადი მაშინ იმათთან, მიუჯექი და იშიმშილეთ ერთად. შენც ხომ სტუდენტი გახდები მალე, მათსავით მოიქეცი, და კალაშნიკოს რომ მოგიშვერენ, არ თქვა მერე, რომ არ გამიფრთხილებიხარ.

არ ვიცოდი, რა მეპასუხა მისთვის და მწყრალად გავედი ოთახიდან.

რუსეთი მართლა შემოვიდა, თავიდან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, გენერალ კოჩეტოვის, სახით, რომელიც ადრე კავკასიაში მსახურობდა თურმე. აეროპორტშივე დაუსვა შეკითხვა საქართველოს კომპარტიის წარმომადგენლებს, როგორ აპირებს მთავრობა მდგომარეობის ნორმალიზებასო. მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული მთავრობა უკვე იმდენად გასრესილი იყო, იმდენად დაქსაქსული, იმდენად განსხვავებული შეხედულებების მქონე, რომ უაზროდ იდგა და რაღაცას ბლუყუნებდა.

5 აპრილს დარია გადაღებებიდან დაბრუნდა. გაბრწყინებული, გალამაზებული, საჩუქრები და სუვენირები ყველას ჩამოგვიტანა. ყავისფერი ტყავის პალტო ეცვა, რომელშიც ნამდვილი

კინოვარსკვლავივით გამოიყურებოდა და რომელიც ნამდვილად არ ჰგავდა მოსკოვის უნივერსიტეტში ნაციდს. ელენე, ალექს და მე დავხვდით. გამოსასვლელში აჩერებდნენ და ავტოგრაფებს სთხოვდნენ. ამ სანახაობას შთამბეჭდავი სიმსუბუქით გაართვა თავი. ღვთაებრივ ლაშას ცოლიც უცდიდა. დაინახა თუ არა, გაეჭანა ქმრისკენ და ლამის კოცნით დაახრჩო. შევამჩნიე, როგორ აარიდა თვალი წარბანულმა დარიამ ამ შეხვედრას და უდარდელი ღიმილი აიწება სახეზე ჩვენ დასანახად.

აეროპორტიდან ყველას მწვანე სახლში გვინდოდა ასვლა, რომ კოსტია, ნანა და სტასია გაგვეხარებინა. ბაზარში ხილი და ბოსტნეული ვიყიდეთ, სამწვადეც შევარჩიეთ და გავეშურეთ ერთად.

დარიას დანახვაზე კოსტიას ქვედა ტუჩი აუკანკალდა, ძალიან მოინდომა შეუდრეკელი კაცის მკაცრი გამომეტყველება შეენარჩუნებინა, მაგრამ მაინც ჩაეხუტა გულაჩვილებული. შესამჩნევად ეტყობოდა, რომ რაღაც ხდებოდა მასში. დარია აღფრთოვანებით გვიზიარებდა თავის შთაბეჭდილებებს: საინტერესო გადაღებებზე, ფანტასტიკურ სცენარზე, კეთილგანწყობილ კოლეგებზე და ცხადია, ლაშას ხსენებისგანაც ვერ შეიკავა თავი. და სულ ქებით მოიხსენებდა, მისი სახელი ისმოდა.

- დარია, ძალიან გთხოვ, თქვი, რომ ეს ტყუილია. არ მინდა დავიჭერო, რომ იმ უმაქნის მატრახაბთან გაქვს რამე! - ვუჩურჩულე, სამზარეულოში სალათის დასაჭრელად რომ გავედით.

- კიიი! - აღმოხდა აღტაცებით, - ერთად ვართ. მე ვუყვარვარ და გადანყვეტილი აქვს ცოლს გამოვრდეს.

7 აპრილს ისევ ქალაქში წავედი მიროს სანახავად. „ეშმაკების ცეკვა“ გვინდოდა გვენახა, ზვიგენამ VHS კასეტა დაითრია, შოკის მომგვრელი ფილმიო. როცა მიროს შევხვდი ავტობუსის გაჩერებაზე, შევატყვე, უგუნებოდ იყო. რუსები ქალაქს მოადგნენ, კარგი ამბები არ იქნებო - მითხრა შეიძლება გამოსვლები აიკრძალოს და თუ ხალხი არ დაემორჩილება, უფრო მკაცრ ზომებს მიმართონო. ზვიგენა ავად გახდა და ვიდესაღამოზე უარი გვითხრა. უაზროდ დავეხეტებოდით ქუჩებში. მირომ პარკში წასვლა და კარტინგზე ერთი წრის გაკეთება შემომთავაზა. რახან ამის გუნებაზე არ ვიყავი, აღარც თვითონ გამოიდო თავი, ამიტომ მყუდრო ადგილი მოვძებნეთ და გრილ ბალახზე გავწექით. „მობი დიკი“ მედო ჩანთაში და შევთავაზე, წაგიკითხავ-მეთქი. რამდენიმე გვერდი რომ ჩავათავე, მივხვდი, გაფანტული იყო, უყურადღებოდ მისმენდა. მეც წამერთვა კითხვის ხალისი, ათას რამეზე ვფიქრობდი...

თმაზე მივუალერსე. მუცელზე დამადო ხელი. ვხვდებოდი, რომ ჩემს სხეულში რამე ნიშანს ეძებდა. მსიამოვნებდა მასთან ერთად იმ ბინდში, იმ სიჩუმეში ყოფნა. უჩვეულოდ აფორიაქებული ვიყავი, რაღაც ავი წინათგრძნობა არ მასვენებდა. ხელი გადავუსვი მეღვილის ძველ გამოცემას და თვალები დავხუჭე.

- მეც მწერალი გავხდები. წიგნებს დავწერ, - რომ ვთქვი, მეგონა, ჩამეკითხებოდა ან გაკვირვებას მაინც გამოხატავდა, მაგრამ არა, მხოლოდ თავი დამიქნია, თითქოს სულ ელოდა ჩემგან ამ სიტყვებს და მავოცა.

- ჰო, ასე უნდა მოიქცე, წიგნები უნდა წერო, - დამიდასტურა ოდნავ მოგვიანებით, როცა ელენეს ბინამდე მიმაცილა. - ხვალ აუცილებლად გამოგივილიო - ამ პირობით დამცილდა.

როცა 8 აპრილს ქრისტიანესთან დავრეკე, არავინ აიღო ყურმილი. არადა, ჩვეულებისამებრ, ქრისტიანე სულ შინ იყო ხოლმე. მირთ არ გამოჩნდა. ალექოც შინ არ იყო. დედამ მითხრა, მოწაფესთან მივდივარ და შვიდისთვის დავბრუნდებიო. შინიდან არ გავხიდე, არეულობაა მოსალოდნელიო.

მაგრამ მაინც გავედი, რუსთაველის გამზირისკენ გავეშურე და აუარება ხალხი მოგროვილიყო, მილიციის მანქანებმა ჩამიქროლეს. ჯერ არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, რომ მოსკოვიდან და ჩრდილო კავკასიიდან რამდენიმე დივიზია იყო თბილისში შემოსული. არ ვიცოდი, რომ ტანკები მოემართებოდა, არ ვიცოდი, რომ 345-ე დივიზია სადაცაა შემოიჭრებოდა საქართველოში, სწორედ ის დივიზია, რომელსაც კავკასიის მომდევნო სამოქალაქო ომებში „სამშვიდობო მისია“ უნდა შეესრულებინა.

არც ის ვიცოდი, რომ ეროვნულმა ძალებმა, რომელთაც უკვე უწყოდნენ რუსი სამხედროების შემოსვლის შესახებ, მაინც არ გააფრთხილეს ხალხი, რა საშიშროებაც ელოდათ. არ გაუშვეს ხალხი შინ. პირიქით: კიდევ უფრო იმატა ხალხის ნაკადმა, გადაავსეს ქუჩები, თითქოს მთელი ქალაქი ფეხზე დადგა.

მოვახერხე, გადაჭედილი ტროლეიბუსით მემგზავრა ვაკემდე, მაგრამ იქ არავინ დამხვდა. კარგა ხანს ვრეკე და ვაკაკუნე. უკან ფეხით გამოუყევი გზას, ტროლეიბუსი აღარ მოძრაობდა. ტელეფონის ჭიხურიდან მწვანე სახლში დავრეკე. სტასიამ მიპასუხა.

- სად ხარ, ჩემო მზის სხივო? კარგად ხარ? კოსტია ამბობს, ესკალაციიაა მოსალოდნელი, თუ ხალხის სახლებში გაშვებას ვერ მოახერხებენო. დარიაც წამოვიდა, ვემუდარეთ დარჩენილიყო, მაგრამ აუცილებლად უნდოდა დემონსტრაციაზე მეგობრებთან ერთად. შენ ხომ დედასთან ხარ, შინ?

“მეგობრებში” ღვთაებრივი ლამა უნდა მეგულისხმა, ცხადია, ვერასდროს ვიფიქრებდი, პატრიოტი თუ იყო.

- დარია შეპირებულ დროზე თუ არ დაბრუნდება, კოსტია წამოვა და მოძებნის, - დაამატა სტასიამ. გავიგონე, როგორ შეეხო სიგარეტს გამომშრალი ტუჩებით.

- თვითონვე ვიპოვი როგორმე და ერთად დავბრუნდებით ამაღამ. ტაქსის გავაჩერებთ. დედას კი შენ დაურეკე და უთხარი, რომ ამაღამ თქვენთან ამოვალთ და ჩვენზე არ იღელვოს.

- ნიცა, მოიცა, მომისმინე, სად ხარ...

ყურმილი დავკიდე.

თუ დარია იქ იყო უკვე, მით უმეტეს, მირო დემონსტრაციაზე იქნებოდა. ავჩქარდი. ხალხში გავერიე. მენინავენი ქართულ დროშას აფრიალებდნენ, მონოდებებს გაიძახოდნენ. ამასობაში ჩამობნელდა, ქუჩები განათდა. რუსთაველის მეტრო უკან მოვიტოვე გახვითქულმა, კინემატოგრაფისტთა კავშირის ჩავურბინე, ოპერისა და თეატრალური ინსტიტუტის მიმართულებით განვაგრძე გზა, ქაშვეთის ეკლესიასთან მივედი, მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავედი, თვალი შევაავლე ჩემს სკოლას და ხალხის მასაში შევაჭერი.

მოულოდნელად საქართველოს ცკ-ს მდივანი გამოჩნდა, ზურგს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი უმაგრებდა. იქ მყოფი ადამიანები როგორმე უნდა დაერწმუნებინა, შინ წასულიყვნენ. არადა, იცოდა, რომ მის სიტყვას ყურს აღარ დაუგდებდნენ. ლიდერები ხალხს სიმტკიცისკენ მოუწოდებდნენ. მე დავეძებდი და დავეძებდი. ვეძახდი დარიას, ვეძახდი მიროს. თანაკლასელი შემხვდა, ძალიან მიკვირდა, ამდენი ახალგაზრდა რომ იყო იქ.

- ჩემთან მოვიდნენ და შემატყობინეს, რომ საფრთხეა მოსალოდნელი. სულ რამდენიმე წუთი დაგვრჩა, რომ ეს საფრთხე ავირიდოთ... შევიდეთ ქაშვეთის ეკლესიაში და ვილოცოთ, - წარმოთქვა პატრიარქმა.

რატომ იმას არ ურჩევდა ხალხს, სახლებში წასულიყვნენ, თუ მართლა ასე იყო? ეკლესიას როგორ შეეფარებინა და დაეცვა ამდენი ადამიანი?

რუსი მთავარსარდალი უკვე მთავრობის სასახლისკენ მოიწვედა სპეცრაზმელებთან ერთად, მე კვლავ ჩემიანების ძებნას განვაგრძობდი. უცებ კუთხეში მიმამწყვდიეს, ადამიანები ერთმანეთს აწვებოდნენ, ძლივს ვიკვლევდი გზას იმ ჭედვაში. უცხად მოგუდული ხმაური ატყდა. შევხტი, რომ რამე დამენახა, ისეთი დაბალი ვიყავი, თავები, ზურგები და კისრები მეფარებოდა, მაგრამ ისევ გავიგონე უცნაური ყრუ ხმა, რასაც ძრავების გუგუნი მოჰყვა. ძრავებს რაც შეეხებოდა, სმენა კარგად მქონდა გავარჯობებული და დიდად არ გამჭირვებია იმის დადგენა, რომ მთავრობის სასახლესთან ორივე პარალელური ქუჩიდან სამხედრო მანქანების მთელი კოლონა მოგორავდა ჩვენკენ, ჭაობისფერი ტანკების თანხლებით. ტანკი ცხოვრებაში არ მენახა, დავიზაფრე, - ხალხმა უკვე განზე განვა სცადა და ამ დროს ისეთი პანიკა დაიწყო, თითქოს უმართავი ვირუსი გავრცელდა ჰაერით და ყველას გადაედო, ოღონდ სხვადასხვა სიმპტომით. მოძრაობის უნარი წამერთვა. ცივი ოფლის წვეთები ვიგრძენი შუბლზე. რა მინდოდა იქ? რას დავეძებდი? რის მხარდასაჭერად ან რის

წინააღმდეგ გამოვდიოდი? როგორ ქვეყანაში მინდოდა ცხოვრება? ეს შეკითხვები მანამდე არც კი გამჩენია.

დემონსტრანტების ნაწილი მთავრობის სახლის კიბეზე აცვივდა, ნაწილმა ჩემი სკოლისკენ დაიხია, მაგრამ კოლონა უკვე იქ იყო, ვეღარავინ დაუსხლტებოდა.

მიტინგისთვის აგებულ ფიცარნაგზე ავძვერი, იქიდან ფასადის მაღალ კოლონაზე გადავედი და უცებ დავინახე. სკოლის ეზოში იდგა, ეულად, თითქოს პლანეტის ყველა ადამიანი თვალის დახამხამებაში გამოეცალა. უმწეოდ იყურებოდა აქეთ-იქით.

ქრისტინე! – გავძახე მთელი ხმით, მაგრამ რას გავაგონებდი, როცა ათასობით ადამიანი ყვიროდა და ეძახდა ერთმანეთს.

ზოგი მეგაფონს ჩაჰყვიროდა. კიდეც კარგი, თვალსაწიერიდან არ დამიკარგავს. იდგა იქ ოცნებებში ჩაძირულივით და რაღაცას თუ ვილაყვას ეძებდა თვალებით. ერთი პირობა ისიც გავიფიქრე, რომ მიროს გამო იყო იქ, ამან დამაიმედა, ისიც იქვე ახლოს იქნებოდა და ვიპოვიდი, მაგრამ რაც უფრო მივუახლოვდი, მივხვდი, სულ სხვა რამისთვის ემზადებოდა, ისე იდგა, ისე დაძაბული, ეტყობოდა, რომ უკან დახევას არ აპირებდა.

ეცვა ვიწრო კაბა, ქუჩის მოლურჯო განათებაში გახუნებული რომ ჩანდა, და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. შორიდან ოცდაათი წლისას მიაგვანებდით. პირბადე არ უჩანდა, კუპრივით შავი თმა კი უჩვეულოდ გამოჰკვეთდა მის ფერმკრთალ სახეს. ტანადი იყო, მხრებში გამართული, ლამაზი, თხელი წვივები მოუჩანდა შავი, გამჭვირვალე წინდებიდან. თავზე ბუმბულიანი პატარა ქუდი ეხურა. ჩამოვძვერი. ჩემ წინ მდგომნი გვერდზე გავწიე. მივძვრებოდი სხეულებს შორის და თან მათ ვეფარებოდი. როგორმე ქრისტინე არ უნდა დამეკარგა, არ უნდა დამსხლტომოდა, უნდა მიმესწრო. რის ვაი-ვაგლახით კიბე ჩავითავე და ხალხის დერეფანი გავიარე, რომ იქიდან გამეღწია. მერე უკვე შევძელი გაქცევა.

წამში სკოლის ეზოში გავჩნდი. შედარებით ცარიელი იყო. რაკი გახსნილი სივრცე დასამალად არ გამოდგებოდა. ნაკლებად ეძებდნენ იქ თავშესაფარს. ქრისტინე შუა ეზოში იდგა. მისი თვალები თითქოს ერთ წერტილს მიჰყინვოდა. როცა სკოლამდე მივალწიე, სამხედროებმა ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა პროსპექტს. თავის დაღწევა უკვე შეუძლებელი იყო. აქა-იქ ქართველი მილიციელები შეერივნენ ხალხს, მაგრამ ვეღარაფერს ახერხებდნენ, ახლაც ჩიხში მოქცეულ ხალხს ვეღარაფერში შველოდნენ, პირიქით, უფრო აფრთხობდნენ თავიანთი შეძახილებით. ჩემ წინ ვილაც დაეცა, არ გავჩერდი, მაინც იმ ქალისკენ მივიწვედი, სხვა სინამდვილიდან მოსულს რომ ჰგავდა. ის, რაც ჩემ ირგვლივ ხდებოდა, შემზარავი იყო და შიშისმომგვრელი.

ბუსტად მაშინ ვწვდი მხარზე, როცა შებრუნდა და მოულოდნელად მთავრობის სახლისკენ დააპირა წასვლა. შეკრთა და ოდნავ უკან დაიხია,

მაგრამ როგორც კი მიცნო, შვებით ამოისუნთქა. მაგრამ მე ჩემი დამემართა, როცა მისი სახის დამახინჯებული მარცხენა მხარე მეცა თვალში. გული მომეწურა, თვალები დავხარე. ის იყო, კიდევ გადადგა ნაბიჯი, წასასვლელად რომ ვუყვირე:

- მე ვარ, ქრისტინე, ნიცა ვარ! აქ რას აკეთებ? ჩქარა გავიდეთ, გავეცალოთ აქაურობას!

ისტერიულად ვყვიროდი. ქუჩისკენ გახედვას ვეღარც ვბედავდი. იქიდან მოგუდული და თან მჭახე ხმაური მესმოდა, სიკვდილი მოინევდა მარშით. და უცებ ქრისტინემ გაიღიმა. ამ ღიმილმა თითქოს ძალა გამომაცალა. მისი სახის მარჯვენა მხარეს არ ვამორებდი თვალს, რომ არ მეკვივლა. უცებ შემომხედა არეული თვალებით, მაგრამ მშვიდად და მტკიცედ მითხრა:

- უნდა შევაჩეროთ ესენი. არ შეიძლება, რომ ბოლშევიკები კიდევ ერთხელ შემოვიდნენ აქ. წითელი არმია უნდა შევაჩეროთ. თორემ ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება და ისიც დაბრუნდება. ისევ ჩაიგდებს ძალაუფლებას და რამაზი...

- რას ლაპარაკობ ქრისტინე? ეს არ არის წითელი არმია!

გაკვირვებულმა შემომხედა, სინანულით გადაიქნია თავი, თითქოს ჩემი ეჭვების გაფანტვა ენადა და ჩაილაპარაკა:

- შენ არ გესმის, გენაცვალე...

- ახლა 1989 წელია, ქრისტინე.

- ოღონდ ესენი უნდა შევაჩეროთ. თორემ ისიც მოვა. რამაზი ამას ვეღარ გაუძლებს. შენს მეგობრებს გააგებინე, რომ ბრუნდებიან და რას ნიშნავს ეს, აუხსენი მათ, რომ ყველაფერი თავიდან დაიწყება ისევ. ხომ დამეხმარები, შეძლებ! შენ ჭკვიანი გოგო ხარ! მე უნდა შევაჩერო ესენი. ახლავე უნდა შევძლო, ხომ გესმის?

- ქრისტინე, ტვინი აგერია, სახლში უნდა წაგიყვანო. მირო სად არის?

ჩემ ზურგს უკან უკვე გამაყრუებელი ღრიალცელი იდგა. მუხლები მომეკვეთა. ვილაცამ იყვირა, ნიჩბები უჭირავთ ხელშიო. ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. ან ნიჩბები ვის სჭირდებოდა? ეს გადარეული ქალი როგორმე უნდა მომეშორებინა იქიდან, უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე. იდაყვში ხელი წავავლე და იძულებით გავიყოლე. გამზირისკენ აღარც გამიხედავს, ისე მივცვივდით სკოლის შენობას. სკოლა! ჩემი ძველი სკოლა, ასეთ სიხარულს თუ მომანიჭებდა, გადარჩენის იმედს თუ ჩამისახავდა, ამას ადრე ხომ ვერანაირად წარმოვიდგენდი. როგორმე შენობაში უნდა შემეღწია და იქიდან შიდა ეზოში, იქიდან კი მთაწმინდისკენ შევძლებდით გაქცევას. სკოლის კარი ჩაეკეტათ. ერთადერთი შესაძლებლობა მრჩებოდა, პირველი სართულის რომელიმე ფანჯარა ჩამემტვრია, შევმძვრალიყავი და შიგნიდან გამეღო კარი ქრისტინესთვის. თვითონ ვერ ამოწვდებოდა. დავინახე, როგორ შემოცვივდა ადამიანთა პატარა ჯგუფი სკოლის წინა ეზოში. ავიქარდი,

მაგრამ ქრისტინე თითქოს ჯიბრზე გაჯიუტდა, წარამარა ჩერდებოდა, რაღაცას გაჰყვიროდა. მთელი ძალით ვექაჩებოდი მკლავზე, მაგრამ მას წამდაუნუმ ფეხი უბრუნდებოდა, მისი ფეხსაცმელი გასაქცევად გამოუსადეგი იყო. რამდენჯერმე გამისხლტა, მაგრამ არ ვანებებდი თავს. ისევ შენობისკენ ვწვდი. ეზოში ხალხმა იმატა, უკან იხევდნენ, სკოლის შენობას აწყდებოდნენ. ჯარისკაცებიც გამოჩნდნენ. მორბოდნენ და ყვიროდნენ რაღაცას, იარაღმომარჯვებულები. ჩვენ გასწვრივ უცებ ყრუ აფეთქების ხმა გაისმა და ლოყაზე რაღაც შემესხა. დავინახე, როგორ ჩაიკეცა ვიღაც. ერთი ჯარისკაცი ნიჩაბს ურტყამდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ტკივილისგან იკრუნჩხებოდა.

კინალამ გული ამერია, მაგრამ შიში მიმარბენინებდა. სხვა გამოსავალი რომ აღარ დამიტოვა, თმაში ვწვდი ქრისტინეს. მივიწვედი რის ვაი-ვაგლახით. ხალხმა კინალამ გადაგვიარა უზარმაზარი ტალღასავით. სკოლის მარცხენა ფლიგელთან არავინ ჩანდა. ბნელ შესახვევში ჯერ არც დემონსტრანტებს შეეღწიათ და არც ჯარისკაცებს. დავიხარე, ქრისტინეს ფეხსაცმელი გავაძრე და ქუსლით ფანჯრის შუშა ჩავამსხვრიე.

– ფეხი არ მოიცვალო, ახლავე მოვბრუნდები, ხომ გაიგე?

რამდენჯერმე ჩავძახე ყურში და შუშის ნატეხების ამოცლა დავიწყე ფანჯრის ჩარჩოდან. ქრისტინე თან მე შემომყურებდა გაკვირვებული და თანაც პროსპექტისკენ იწვედა. ისევ ერთსა და იმავეს ვუმეორებდი: – ქრისტინე, ეს არ არის წითელი არმია, რატომ არ მიტყერებ?!

– როგორ არ არის, გენაცვალე! აბა, რა არის? ცხადია, ბოლშევიკები არიან ესენი!

სიჩქარეში შუშის დიდ ნატეხს წავავლე ხელი და ცერა თითი გავიჭერი. შევკვივლე. სისხლი რომ წამომივიდა, ქრისტინე გაბრუნებული დააშტერდა, მაგრამ ისევ თავისებურად განაგრძო:

– მიქას უკვე გავაგებინე, რომ ბარიკადების აგება მოგვიწევს. ისიც აქ იქნება, სადმე, მაგის ამბავი რომ ვიცი, ვერ მოისვენებს, სანამ მე აქ ვარ.

ფანჯრის რაფაზე ავიწიე და ცალი ფეხით გადავაბიჯე. გამომივიდა. ის ღიობი ჩემთვის დიდიც იყო, მაგრამ ჭკუიდან გადამდგარ მოხუც ქალს ასე ვერ შევაძვრენდი შენობაში. არადა, რა უნდა მექნა, თან შიგნიდან ჩაკეტილი კარი უნდა გამეღო და თან ქრისტინესთვის თვალი არ მომეშორებინა. ისევ ჩამტვრეული ფანჯრიდან გავუწოდე ხელი და მოულოდნელად, თავისი ხელი შემომაგება. ვიდევით ასე ხელჩაკიდებულნი, მე შიგნით, ის გარეთ, და ერთმანეთს შევყურებდით. თვალს ვუსწორებდი მის სახეს და მინდოდა წარმომედგინა, როგორი იყო მანამ, სანამ უბედურება გადახდებოდა. ვცადე დამერწმუნებინა, რომ ჩემთვის ხელი არ გაეშვა და არც ეფიქრა. ნაბიჯი გადაედგა მთავარი შესასვლელისკენ. უცებ სახე გაუნათდა და სიცილი დაიწყო. ბავშვივით უდარდელად იცინოდა. მე კი, პირიქით, ტირილი მომინდა. რამდენი

ვეხვეწე, ვემუდარე, დამშვიდებულებიყო, არსად წასულიყო, სიცილი შეენწყვიტა, მაგრამ რაც უფრო ჩაეჭიჩინებდი, მით უფრო ხალისობდა ამაზე და მით უფრო ხმამაღლა და თავშეუკავებლად იცინოდა. სანამ უცებ არ დაწყნარდა და ჩემკენ მოსწია თავი.

მერე კი ისეთ შემზარავ ანეკდოტს მომიყვა, რომლის მსგავსი არასდროს მსმენია. ამაზრზენი იყო თავისი შინაარსით კი არა, არამედ ვითარებასთან შესატყვისობით.

შენც გაიმბობ ამ ანეკდოტს, ბრილვა, მაგრამ ახლა არა. ჯერ არ შემიძლია. მოჩვენებები ჯერ არ გამქრალან. ჯერ კიდევ იქ ვდგავარ, სკოლის ბნელ დერეფანში და არ ვიცი, რა მოვახერხო, როგორ გავაღწიო და თან ქრისტინეც გავიყვანო.

რადგან მან უკვე დაძლია მოჩვენებები, მოატყუა დრო, უარი თქვა სამყაროს კანონზომიერებაზე, ჩემგან განსხვავებით. იმ დროს ჯერ კიდევ მოვლენებს ვებლაუჭებოდი. ჩემს მოგონებებს, მზაკვრულად რომ თავს მახსენებდნენ, გონებას მიწამლავდნენ. ჯერ ვერ მოგიყვები, მაგრამ მალე შევძლებ, მალე. გპირდები. ჯერ უნდა მოგწვდე, წარსულში დავტოვო ყველაფერი, რაც შენამდე მოღწევაში მიშლიდა ხელს.

...და მერე. როცა ანეკდოტი ჩაამთავრა და დარწმუნდა, რომ მისი მუღამი გავიგე, ხელი გამიშვა, უცბად შეტრიალდა და სანამ კაბაში ან მკლავში წავავლებდი ხელს, ადგილიდან მოწყდა.

ვეღარ დავინახე, ერთბაშად ხალხის ტალღამ შთანთქა. იმათ შეუერთდა, ჩაიძირა, მოვლენების ეპიცენტრში ეძებდა თავშესაფარს და იპოვა კიდევ.

ისეთი ველური ხმა აღმომხდა, თვითონვე მეუცხოვა. რამდენიმე წამი გაქვავებულივით ვიდექი და აღარ ვიცოდი, რა მექნა. მთელი სხეულით ვკანკალებდი, გარედან მესმოდა, როგორ ყვიროდა ხალხი, როგორ იცელებოდნენ და როგორ გამწარებით ითხოვდნენ შველას, და ისევ და ისევ; როგორი ყრუ ხმა ჰქონდა ნიჩაბს, როცა სიცოცხლეს აპობდა.

ყოველ წამს ველოდი, რომ სროლა ატყდებოდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი. იქნებ ამ განსაცდელისგან თავის დაღწევა შესაძლებელიც გამხდარიყო. ამ დროს გავიგონე მომაკვდინებელი სიტყვა „გაზი“! ცხადია, ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს. ძლივს გავიკვლიე გზა ბნელ დერეფანში. ერთი ფლიგელიდან მეორეში გავედი. წყვდიადში ჩაძირული ჩემი სკოლა წლების განმავლობაში როგორ მძულდა, ახლა კი იმისგან დამიფარა, რისი დანახვაც აუტანელი იყო ჩემთვის. კიბეზე ავირბინე. ჩემს ფეხსაცმელს უცნაური ჭრაჭუნი გაუდიოდა ხის იატაკზე. კედლებიდან ქართველი კლასიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები დამცქეროდნენ, მათ შორის კი ჯერ კიდევ მიქნევდა ხელს ძია ლენინი.

უცებ სამასწავლებლოს სართულზე ავიჭერი, იქ ტელეფონი იქნებოდა, დედასთვის უნდა დამერევა ან კოსტიასთვის მეთხოვა შველა, რომ გავეყვანე იქიდან. მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს შეუძლებელი იყო.

ვერც ერთს ჩემი ოჯახიდან ამ სასაკლაოზე ვერ გამოვიხმობდი. ნიჩბებისა ან კალაშნიკოვების, ტანკების ან გაზის მსხვერპლნი გახდებოდნენ. ბევით ავედი, ჩემს საკლასო ოთახში, კარი ღია დამხვდა და იმ მერხზე დავჯექი, უამრავი სიტყვა და ნახატი რომ მქონდა ამოფხაჭნილი. სიბნელის მიუხედავად, მაინც მოვახერხე გარჩევა და რატომღაც გამიხარდა მათი დანახვა. ვიგულისხმე, რომ ეს იყო მყარი საყრდენი იმისა, რომ ჩემთვის ნაცნობი სამყარო მართლა არსებობდა ოდესღაც და მე არ გამომიგონია. მაგრად ჩავეჭიდე ამ ყველაფერს: „ლენინი+მარქსი=ნეხვი“, „გუჯა“, „მათემატიკის მასწავლებელი შტერია“ და კიდევ: „124 დღეც და წავალ აქედან“. იმ მომენტების გახსენებას შევეცადე, როცა ეს სიტყვები ამოვჭერი მერხზე. ბევრი რამ მომაგონდა, ბევრიც გადამვიწყებოდა. დროს ვეღარ ვგრძნობდი. ჩემს გულისცემას ვუსმენდი. აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიყავი იქ და ველოდი, რომ გადამარჩენდნენ ან მომკლავდნენ. როცა გარეთ გამაყრუებელი ხმაური თანდათანობით ჩაცხრა, კვლავ დაბლა ჩავედი. გამიკვირდა, რომ არავის მოუვიდა აზრად სკოლაში დამალულიყო, თან სინდისმა შემანუხა, კარი რომ არ გავაღე და ხალხს არ ვანიშნე, შენობაში შემოსულიყვნენ. უკანა გასასვლელთან კარს დავუნყე ჯაჯგური. შიგნიდან იყო ჩაკეტილი. ტუალეტები ჩამოვიარე და მივაგენი ფანჯარას, რომელიც გაიღო. გადავიხედე. არავინ ჩანდა. მხოლოდ ზედა ქუჩიდან ისმოდა სასონარკვეთილი ხმა. ისევ გარეთ რომ გამოვედი, მაშინღა შევამჩნიე, რომ ხელში ისე მაგრად მეჭირა რაღაც მთელი ამ ხნის განმავლობაში, თითები დამკრუნჩხოდა. დავხედე, ქრისტინეს შავი ფეხსაცმელი იყო. ეს რომ მახსენდებოდა, დღესაც სისხლი მეყინება. ფეხსაცმელი გულში ჩავიკარი და მწარედ ავჭქითინდი, თან შეუსვენებლად მივიწვედი. სადღაც ღობეზე გადავძვერი, მილიციის ორ მანქანას შეუმჩნევლად ავუარე გვერდი და ბოლოს მთანმინდის ზედა, გრილ ქუჩებს შევაფარე თავი.

როცა ვერის მყუდრო შიდა ებოებს მივადნიე, მხოლოდ მაშინ შევწყვიტე სირბილი, გავჩერდი და შვებით ამოვისუნთქე. ვერაზე ხმაური და ყვირილი აღარ აღწევდა. ეს ძველი უბანი ისეთ სიმშვიდეში ჩაძირულიყო, თითქოს სულ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ხალხი ნიჩბებით არ დაეხოცათ. იქაურობა უშფოთველ ძილს მისცემოდა. სულის მოსათქმელად ჩამოვჯექი ტროტუარზე. მშობლიური ქალაქი ერთბაშად დიდი, ეული და დანაწევრებული მეჩვენა.

როდის-როდის წამოვდექი და გზა განვაგრძე. ძალაგამოცლილმა მივაკაკუნე ქრისტინეს კარზე. აღარც მახსოვს, როგორ მივედი იქამდე, ის კი ვიცი, რომ მთავარ ქუჩებს ვერიდებოდი და ვიწრო გასასვლელებიდან მივიწვედი წინ, სულ უფრო ნელა, მაგრამ არ გავჩერებულვარ, სანამ ქრისტინეს ბინას არ მივადექი. ეს იყო პირველი, რაც თავის გადასარჩენად მომაფიქრდა, რომ სწორედ იქ უნდა მიმეღწია. კარი მირომ გამიღო. გეძებდიო, მითხრა, გიჟებს ვგავართ ყველანი, ქრისტინე

უკვალოდ გაქრა. ელენე და ალექო იყვნენ მოსული. კინაღამ მოვკვდით ნერვიულობითო. სისხლი რომ შემამჩნია ტანსაცმელზე და სახეზე, ელდა ეცა, მაგრამ ვანიშნე, არაფერია-მეთქი, მეტის თავი არ მექონდა. საბედნიეროდ, უჩემოდაც მიხვდა, როგორ მოქცეულიყო. ჯერ ჩვენებთან დარეკა, აცნობა, უვნებელი რომ ვიყავი. და დარია? – შიშით მოვიკითხე ჩემი და. დამამშვიდა, მოსალამოვებულზე გაუვლია თავის ძვირფას ლაშასთან ერთად რუსთაველზე, მაგრამ იმას, ეტყობა, ალღომ უკარნახა და მწვანე სახლში აუყვანია, ასე რომ, დროულად გარიდებიან საფრთხეს. არც გამიხდია და არც დამიბანია, ისე დავვადე მიროს ლოგინზე და იმ წამსვე ჩამეძინა.

უკვე გათენებული იყო, როცა მიროს ხელი ვიგრძენი ლოყაზე. ბუტერბროდები და ჩაი მოეტანა ლანგრით. წამოვჯექი და ისე ვეცი საუბრეს დამშეულივით.

ლანა იმ დროს ბაქოში იმყოფებოდა მივლინებით და შეშინებული ხშირ-ხშირად რეკავდა. ელენემ უჩემოდ ფეხი არ მოიცვალა, გამოგივლი და წაგიყვანო – გადმომცა მირომ დედაჩემის დანაბარები. ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და კომენდანტის საათი შემოიღესო – ესეც დაამატა.

ქრისტინე რომ აღარ გამოჩნდა, მიროს წუხანდელი ჩვენი შეხვედრის ამბავი მოუყევი. ხოლო ის აღარ გავუმხილე, შეშლილივით რომ იქცეოდა და ველარ შევაჩერე. ასე იმიტომ მოვიქეცი, არ ვიცოდი, რას მოიმოქმედებდა. ვცდილობდი, ფაქტებს დავყრდნობოდი, ურყევ მოვლენებს, იმას, რაც ნორმალური იყო, კარგად ნაცნობი. საათი. მიროს სახე. მისი ლოგინის თეთრეულის სუნი. ლაქები ჩემს ტანსაცმელზე. ევკალიპტი მიროს ფანჯრის რაფაზე. სპორტული მანქანის პლაკატი კედელზე. ეს ყველაფერი სასურველი იყო ჩემთვის, ნაცნობი, არ მძაბავდა. სხვა ყველაფერი – ურიცხვი და უსაზღვრო – მეტისმეტ ძალისხმევას მოითხოვდა ჩემგან.

მირომ, შეუმჩნევლად რომ მაკვირდებოდა, რაღაც ჩაილაპარაკა, ჩემი ქცევით ცოტა არ იყოს შეშინებულმა. მაგრამ მაინც დაჟინებით განვაგრძე ტანსაცმლის გახდა და თანაც აუჩქარებლად ვანყობდი იატაკზე. დავკეცე პერანგი, შარვალი. ლიფს არ ვატარებდი, ჩემი მკერდის ზომის გათვალისწინებით, ეს მფლანგველობა იქნებოდა. ბოლოს საცვალიც გავიძრე და დედიშობილამ ჩაჰუარე, აბაზანის პანანინა საშხაპეში გავემართე, რომელიც ბუსტად შემოსასვლელი კარის გვერდით მდებარეობდა.

რამდენიმე წუთის მერე შემოვიდა და საშხაპე ფარდასთან გაჩერდა. მინდოდა, შეეხედა ჩემთვის. მინდოდა ყველაფერი დაენახა. ყველაფერი, რაც იმ ღამით აღიბეჭდა ჩემს სხეულზე და რისთვისაც სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

ხელი გავიწოდე მისკენ, ცხელი, უებარი წყლის შხეფები მესხმოდა. მირომ ხელი გამომიწოდა და წამით შეყოვნდა, უჩუმრად, თვალეზღახრილი, თითქოს ყოყმანობდა, რა ვქნაო.

მერე კი თავი შემოყო სამხაპეში და მავოცა. ყელზე მოვეხვიე... წყლის ჭავლი მასაც ესხმოდა. სველი ტანსაცმელი გაიხადა და კუთხეში მიყარა. მერე კი პირსახოცი მზრუნველად მომახურა, მხარზე გადამიკიდა დახვეული ხალიჩასავით, თავის ოთახში წამიყვანა, აულაგებელ ლოგინზე დამავდო და გვერდით მომიწვა.

პირველად გავშიშვლდით. პირველად მომიწდა, რომ წიგნივით წაეკითხა ჩემი სხეული. ჩემკენ მივიზიდე. მკლავებში მოვიქციე, თითები უთრთოდა, გაყინული ტუჩები ჰქონდა, ხორკლიანი კანი, დაძაბული კუნთები, თვალები ულაპლაპებდა. ვგრძნობდი, როგორ არ უნდოდა ასეთ დროს, ასე მოუგზადებლად ჩემთან ყოფნა. როცა ჩვენი სამყარო იმსხვრეოდა.

იქ, მის ვიწრო სანოლში, ქრისტინეს დაობლებულ ბინაში. ვებლაუჭებოდი, გული ამოვარდნაზე მქონდა. როცა ხელებით მის მუცელს, ძუძუს თავებს, ყელს ვეხებოდი, თვალწინ ნიჩაბმოქნეული ჯარისკაცი მედგა, ვხედავდი, როგორ ეცემოდა იმ ახალგაზრდა კაცის სხეული მიწაზე. როცა მირო ჩემს კანს ყნოსავდა და მკერდზე მკოცნიდა, ქრისტინეს ნაიარევს ვხედავდი, მერე წამომწია და თავის სხეულზე დამაწვინა, თან თვალს არ მაშორებდა და ჩემი გაშლილი, სველი თმის გადანევას ცდილობდა სახიდან. მე კი ამ დროს ჩემი სკოლის ბნელ ცარიელ დერეფანში მეგონა თავი და ადამიანების განუწყვეტელი ყვირილი მესმოდა გარედან, ერთმანეთს რომ თელავდნენ და შველას ითხოვდნენ. ისე ვებლაუჭებოდი მიროს, თითქოს მის სხეულს ამ სურათების, ამ ხმების ნაშლა შეეძლო. შევძლებდი მის შეფარებას, თუ მაგრად დავიჭერდი, თუ მაგრად შევიყვარებდი, მუხლებით თუ ჩავერტობოდი ლეიბში, ხელებით მის მკერდს თუ დავეყრდნობოდი, თუ შემოვუშვებდი, შევძლებდი მის დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტინე და სხვა უამრავი ადამიანი ვერ დავიფარე?

თავი გვერდზე მივაბრუნე, არ მიწოდოდა, ჩემი დანახული გადასდებოდა, იმდენად ახლოს იყო ჩემთან, ისე ახლოს, როგორც არასდროს.

იატაკზე მიკეცილი ჩემი დალაქავებული ჯინსის ქურთუკის ჯიბიდან ქრისტინეს შავი ფეხსაცმლის წვერი მოჩანდა...

* * *

70-წლიანი პოლიტიკური უღელი.

პლაკატი ერთ-ერთ დემონსტრაციაზე

დედაქალაქს სამხედროები აკონტროლებდნენ.

ქრისტიანე ყველგან ვეძებეთ, მხოლოდ შემდეგი დღის ბოლოს მოხერხდა მისი ცხედრის ამოცნობა ქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოს პროზექტურაში. სიკვდილის ოფიციალურ მიზეზად გულის შეტევა დასახელდა. ჭყლეტაში მოჰყვა, დაეცა და ვეღარ წამოდგა. სინამდვილეში კი მისთვის წარსული დაბრუნდა და შეუძლებელი გახდა შეჩერებულიყო.

სამხედროების იერიში დემონსტრანტებზე, უსასრულობად რომ მეჩვენა, თურმე მხოლოდ 30 წუთი გაგრძელდა. 30 წუთი, რომელიც სიცოცხლის ფასად დაუჯდა 21 უდანაშაულო ადამიანს, მათ შორის, ჩემს დიდ ბებიას. 30 წუთი, 21 მოკლული და ასობით დაშავებული. ჩვენს ოჯახში ეგონათ, რომ ქრისტიანებმა პირბადე იმ ჭყლეტაში დაკარგა, არც მიცდია, გადამერწმუნებინა ისინი.

საავადმყოფოს სარდაფის ცივ დერეფანში ვისხედით დამთრგუნველი მოლოდინით. იქაურობა სავსე იყო ხალხით. ზოგი ტიროდა, ზოგი ისტერიკულად გამოხატავდა შვებას, როცა მიცვალებული ის არ აღმოჩნდებოდა, ვისაც ეძებდნენ.

პირველად სტასია შევიდა, არავინ არ შეგვიყოლა. კოსტია მოშორებით იჯდა, დერეფნის მეორე ბოლოში. როცა სტასია გამოვიდა, მიგვახვედრა, ნამდვილად ქრისტიანეაო, მხოლოდ თავი გააქნია. სტასიას არაფერი ეტყობოდა სახეზე, არც შიში, არც ტკივილი, უსაზღვრო სიცარიელეში იყო გარინდული.

კოსტია, სამწუხაროდ, მართალი აღმოჩნდა: 9 აპრილის შემდეგ ბევრი არაფერი შეიცვალა. საყოველთაო დაბნეულობამ დაისადგურა, საკუთარი უსუსურობის შეგრძნებამ გახლიჩა მოსახლეობა. ნაწილს სამხედროების მიერ ძალის გადამეტებამ მეტი რადიკალიზაციისკენ უბიძგა, დანარჩენები დანებდნენ. იმედიც, რომ დასავლეთი გააპროტესტებდა გორბაჩოვის სისხლიან პოლიტიკას, ამაო აღმოჩნდა, რადგან მალე დადასტურდა, რომ დასავლეთს ხელს აძლევდა, გორბაჩოვი რეფორმატორისა და განმათავისუფლებლის სახით შეენარჩუნებინა. Le Monde-მაც კი „ქართულ პუტჩად და პროვოკაციად“ წარმოაჩინა 9 აპრილის მოვლენები.

კომპარტიის პირველი მდივანი სასწრაფოდ გადააყენეს... გორბაჩოვმა შევარდნაძე მოიყვანა სათავეში, რომელმაც ახალი ამბების ერთ-ერთი მოსკოვური რედაქციის შეკითხვას, საქართველოში ანტირუსული განწყობა თუ სუფევსო, ასე უპასუხა: „ასეთი დასკვნისთვის არავითარი მტკიცებულებები არ გავგაჩნია“. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და იმ დროს ყველაზე ძლევამოსილი ქართველი კრემლში, თბილისში ჩამოფრინდა და ისაუბრა სასწრაფოდ მოსამუშებელ ჭრილობაზე. წითელმა ინტელიგენციამ, მოსკოვთან ხუმრობა არ ღირსო და ეროვნული მოძრაობის ლიდერები უკვე ღიად გააკრიტიკა, როგორც ფანატიკოსები.

კოსტიამ ერთხელაც საყვარელი შვილიშვილის სატრფო, ღვთაებრივი ლაშა ქუჩაში გამოიჭირა და ულტიმატუმი წაუყენა: ან სასწრაფოდ გაშორდები ცოლს და დარიას შეირთავ, ან 48 საათში გაქრები, და არა მარტო ჩემი შვილიშვილის ცხოვრებიდან, არამედ საერთოდ ქალაქიდანო. როცა გავიგე, რომ ლაშას მშობლები თბილისში ცნობილი ექიმები იყვნენ, ბაბუამისი კი ადრე ცნობილი პარტიული ფუნქციონერი ყოფილა, მაშინდა მივუხვდი კოსტიას ჩანაფიქრს. ასეთ ნათესაობაზე არასდროს იტყოდა უარს თავისი ნებით.

და მართლაც, მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა: ლაშამ მომდევნო კვირაშივე შეიტანა საბუთები განქორწინებაზე. ყველაფერი მოწესრიგდა საიმისოდ, რომ სასწრაფოდ გაეფორმებინათ სამოქალაქო ქორწინება.

რაკი რჩეულთან შეუღლებას აღარაფერი ედგა წინ, დარია სრულიად ბედნიერი იყო. უკვე იმ გამოწვევებზე აღაპარაკდა, რომლებიც მომავალში ელოდა. მე და მირო კი ამასობაში გზააბნეულები დავბოდიშობდით, საყრდენ წერტილს ვეძებდით, მაკიაველის ნაშრომებს ვვნაფებოდით, ისევ პოპულარული რომ გახდა იმ დროს; კოცნით და სექსით ვათრობდით ერთმანეთს და იაფფასიან არაყს ვსვამდით, ვითვალისწინებდით გამუდმებულ კონფლიქტს ლანასა და ელენეს შორის, რომლებიც უკვე შეთანხმებულიყვნენ, რომ ჩვენ ორნი – მირო და მე – ცუდ გავლენას ვახდენდით ერთმანეთზე; თითქმის დაცარიელებულ კარტინგზე დავყიალობდით და ვცდილობდით შორს დაგვეჭირა თავი უღიმღამო ანმეოსგან. მირომ მოულოდნელად კინორეჟისორობაზე დაიწყო ოცნება, მამაჩემის დაწყებული საქმე ბოლომდე მინდა მივიყვანო.

– შენ წერ, მე გადავიღებ. მაგარი იდეაა, არა?

– კი მაგრამ, რომ არაფერს ვწერ?

– ხო დანერ, როცა იქნება.

– არ ვიცი, მირო. არა მგონია, გამომივიდეს.

– ნუ ბოლავ რაღაცას. უბრალოდ, უნდა გაბედო და დანერო. დაიწყე და ნახავ.

როცა მის გვერდით ვიყავი, არ მაშინებდა ის აგრესიული ხმები, რადიოდან და ტელევიზორიდან რომ მესმოდა. სანამ ერთად ვართ, ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს-მეთქი, ასე მჯეროდა, ასე მეჩვენებოდა. როცა პატარა ველური არსებებივით ვებლაუჭებოდით ერთმანეთს, ვახერხებდით მეხსიერებიდან წაგვეშალა უსიამოვნო ამბები. გვინდოდა ერთმანეთით თრობა, უსიხარულო ანმეოს დაჯახნა. სად არ ვეძლეოდით სიყვარულს ღამღამობით, ბნელ სადარბაზოებში, კარტინგის ტრასასთან, მანქანების უკანა სკამებსა და კაპოტებზე, მიროს ვინრო საწოლზე, როცა ლანა შინ არ იყო, ერთხელ მწვანე სახლის სხვენშიც კი. როცა მიროსთან ვინეჭი, არაფერზე ვფიქრობდი, ვთავისუფლდებოდი. ვთავისუფლდებოდი საკუთარი თავის და იმ მოთხოვნებისგან, თავს რომ

ვუყენებდი, რაც მბოჭავდა, და ჩემივე ნაკლოვანებებისგან ვთავისუფლდებოდი. მაგრამ როცა მათი მიიწურა და მიროს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეტანილი საბუთები თეატრალურ ინსტიტუტში, ვთხოვე აეხსნა, რა აბრკოლებდა. მე, ჩემი მხრივ, როგორც იქნა, დავიწყე ჩანახატებისა და ჩანაწერების გაკეთება, მინდოდა მაგალითი მიმეცა მისთვის და, როგორც უნდა გამძნელებოდა, რომანის წერა დამეწყო. ერთხელაც მირომ გაღიზიანებულმა მიპასუხა, დედაჩემის თხოვნით, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარებ საინჟინროზეო.

ამას მოჰყვა ჩვენი პირველი ჩხუბი, რადგანაც ჩემთვის ცხადი გახადა, რომ მირო მეოცნებე იყო და არა მიზანდასახული; ჩემთვის კი, პირიქით, ოცნება იქ მთავრდებოდა, სადაც იწყებოდა მისი გაურკვეველ, შორეულ მომავალში გადამისამართება. მოულოდნელად გაჭიანურებული მზადება უარვყავი, რაღაც სასიცოცხლო ძალა ვიგრძენი საიმისოდ, ყოყმანი დამეძლია და პირველი სტრიქონი – ჩემი რომანის დასაწყისი ფურცელზე გადამეტანა. თანდათანობით სტრიქონს სტრიქონი მიჰყვა, რასაც თვალი და გული შევაგუე და წერა დავიწყე... მწვანე სახლში შევიყუყუე და მთელი კვირა შეპყრობილივით ვმუშაობდი. ჩემი და ჩვენი ამბავი წიგნში უნდა ჩამეტია. წინასწარ, ცხადია, არ ვიცოდი რა გამომივიდოდა, მხოლოდ ჩამოუყალიბებელ წინადადებებსა და პერსონაჟებს მივყვებოდი. ვცდილობდი, მოგონებები გამეცოცხლებინა, ეპიზოდები და სახეები აღმედგინა. მინდოდა დამემტკიცებინა საკუთარი თავისთვის და, უპირველესად, მიროსთვის, რომ შეგვეძლო ისეთები გავმხდარიყავით, როგორებიც გვსურდა, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეუძლებელი არაფერი იქნებოდა.

სხვენი ავირჩიე, იქ ვიჯექი და ვწერდი, სანამ თითები არ დამიბუჟდებოდა. ტყავისყდიან სქელ წიგნაკში ვწერდი, დავითმა რომ მაჩუქა ოდესღაც და განსაკუთრებული შემთხვევისთვის შემოვიწინაზე.

კოსტიას ეღირსა ისეთი ქორწილი, ერთ დროს თავისი ქალიშვილისთვის რომ ნატრობდა. როგორც იქნა, ყველაფერი მისი სურვილისამებრ გადაწყდა, ოღონდ ქვეყანა აღარ მონაწილეობდა ამ ბეიმში.

დიდძალი სტუმარი მიიპატიჟა ორთაჭალის საბანკეტო დარბაზში. დარია თვალისმოძრელად ბრწყინავდა თეთრ კაბაში. ღვინის ქარხნის დირექტორი, მთავარი კარდიოქირურგი, ლენინის ორდენოსანი მომღერალი ქალბატონი, სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები, პროფკავშირების თავმჯდომარეები, კომკავშირის მუშაკები, მათთან ერთად რეჟისორები, მსახიობები და მომღერლები ამშვენებდნენ წვეულებას. კოსტიას ყველასთვის უნდოდა დაენახებინა, როგორი მოკაშკაშე ვარსკვლავი, როგორი მარგალიტი აღზარდა. მართალია, მისმა თვალისჩინმა მოღვაწეობის ფრიად საეჭვო სფერო აირჩია, სიძე კი

კარგა უფროსი ჩანდა, ასე თუ ისე, მაინც სამაგალითო ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყვნენ.

იმ საზეიმო ვითარებაში აღარავის ახსოვდა, რაც ქუჩებში ხდებოდა, როგორ ირყეოდა ქვეყანა, რომელსაც იქ წვეულებიდან უმრავლესობა ერთგულად ემსახურა მთელი ცხოვრების განმავლობაში. საუკეთესო კახური ღვინო უებარი წამალი იყო საყოვეთაო შიმის დასავინყებლად, რომ ერთ მშვენიერ დღეს სისტემა დაღეჭავდა მათ და გადმოაფურთხებდა.

ღარიას ქორწილი დღესაც ისე ცხადად მიდგას თვალწინ, ბრილვა, თითქოს ფოტოალბომი მაქვს თავში და როცა მინდა, მაშინ გადავფურცლავ. ჩემი ბედნიერი დის გაცისკროვნებული თვალები, თეთრი ვარდების პატარა თაიგული ხელში, სიძე-პატარძლის გაუბედავი კოცნა, მათი აღმატებული განცდა, მათი სილამაზე და ის სილაღე, ასეთ სილამაზეს თან რომ სდევს.

როცა ცალკეულ ეპიზოდს ვიხსენებ, ხშირად წარმომიდგება ხოლმე ის წამი, ტუალეტში რომ შევჩერებე ღარიას სარკის წინ, პომადას რომ იმკაფიოებდა, მე კი მონუსხულივით შევყურებდი. მერე უცებ მომიტრიალდა, გადამეხვია და გულში ჩამწვდომად მიჩურჩულა: „შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, შე პატარა ეშმაკუნა“, როგორ მაკოცა მერე მენამულისფერი ტუჩებით. და მერე როგორ ჩამიქროლა ქარივით, დამტოვა მარტო, უმწეო და უსუსური.

* * *

ძველი საათი დროს სწორად აჩვენებს.
ბროდსკი

უნივერსიტეტში ჩავაბარე ისტორიის ფაკულტეტზე, დამღლევი იყო დაუსრულებელი დებატები თანაკურსელებსა და ლექტორებთან, სულ ვკამათობდით, ურთულესი პერიოდი გამოდგა, ფასეულობათა გადაფასება და ეს პირდაპირ აისახებოდა სწავლების პროცესებზეც. გარეთ ტანკები დაგრუხუნებდნენ, კომენდანტის საათი გახანგრძლივდა, დემონსტრაციები მაინც არ წყდებოდა. ქალაქს უცებ მოევლინნენ იარაღსაბმული ახალგაზრდები და ჩვენც ჯერ თვალი შევაჩვიეთ და შევეგუეთ კიდევ ამ მდგომარეობას, უჩვეულოც აღარ იყო, დღისით-მზისით მხარზე ავტომატგადაკიდებულნი რომ დადიოდნენ მთელ ქალაქში.

სოციალიზმის მამების ქანდაკებები ერთმანეთის მიყოლებით გადმოყარეს კვარცხლბეკებიდან. ყველაზე დიდი, მისივე სახელობის მოედანზე შემართული ლენინი კი სულ ბოლოს დაამხეს, კვერცხებითა და პომიდვრებით შელახული.

მოქალაქეები სულ ფეხით დადიოდნენ, რადგან ქუჩები გადაკვეტილი იყო ხალხის თავშეყრისა და მიტინგების გამო და საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხან დადიოდა და ხან არა.

პარტინგი დაიკეტა, ჩვენი ზვიგენა, ძმაკაცებთან ერთად, ახალდაარსებული „მხედრონის“ წევრი გახდა, ისედაც აღარავის ეცალა უაზრო რბოლებისთვის, ყველას უნდოდა ქვეყნის აღმშენებლობაში მიეღო მონაწილეობა! იარაღასხმულებს თავი მოჰქონდათ, როგორც ხელშეუხებლებს, თუმცა ფარულად იკრიბებოდნენ იავარქმნილ ჭადრაკის სასახლეში, ახალ ეროვნულ ფასეულობებზე ბჭობდნენ, მეტწილად ღრეობდნენ.

დარია თავის ღვთაებრივ ლაშასთან ერთად ვაკის პარკთან დაბინავდა, დედამთილ-მამამთილმა ახალდაოჯახებულებს საგანგებოდ შეუძინა ბინა. დარიას ქორწილის შემდეგ თავის თავს აღარ ჰგავდა. საქმიანი იერი მოიხდინა, თავის ასაკთან შედარებით უფრო გამოცდილი და თავდაჯერებული ჩანდა. ისტორიულ სამსერიან სატელევიზიო ფილმში შესთავაზეს გადაღება, ამჯერად-ლენინგრადში. ლაშა, მართალია, არ მიუწვევიათ, მაგრამ მაინც გაჰყვა; იმ ბაფხულს თბილისში აღარც ჩამოსულან.

მწვანე სახლში კი წარმოუდგენელი რამ მოხდა: ერთ შაბათ დილით ხმაურმა გამაღვიძა, მისაღებში რომ შევედი, უნიფორმებიან მუშებს ნანას მითითებით ჩვენი რბილი ავეჯის გარნიტური გაჰქონდათ. რას სჩადიხარ, ეს ხომ კოსტიას საყვარელი სავარძელია-მეთქი, ვიკითხე, ნანამ კი სევდიანად მიპასუხა, საყვარელ ავეჯს უნდა შეველიოთ, ახლა როგორმე თავი უნდა გავიტანოთო. იმავე საღამოს სავახშმოდ რომ შევედი სამზარეულოში, 230 მანეთი დავედე ნანას მაგიდაზე, ფული, რაც კარტინგზე მუშაობისას დავაგროვე და რითაც განზრახული მქონდა იშვიათი გამოცემები შემეძინა. დაბნეულმა შემომხედა და მირჩია, ფული უკან წამეღო. ჯერ ისეთ დღეში არ ვართ, რომ ბავშვებმა გვარჩინონო, თანაც დასძინა, თუ მაინცდამაინც, ჯობია, დედაშენს მისცეო.

დედაჩემი ხომ გამუდმებით წუნუნებდა, ხალხს არსებობა უჭირს და რეპეტიტორებისთვის ფული აღარ ემეტებათო, ალექოს ისტერიულად უყვიროდა, სად რა ვიშოვო, აღარ ვიციო, ალექო კი ეხვეოდა და ჰპირდებოდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. რასაკვირველია, ჩემი შეგროვებული ფული დედაჩემს ჩავუდე ჩანთაში. მადლობის მაგიერ მკაცრად გამომკითხა, საიდან მქონდა ეს ფული, მერე კი დამტუქსა, რომ ცუდ მეგობრებთან ვფლანგავდი დროს. კარი გავიჭახუნე და გარეთ გავვარდი.

იმ ხანად დავითის მონატრება ოდნავადაც არ გამწვანებია, პირიქით: გული მეწვოდა, ყოველდღე მაგონდებოდა და ვხვდებოდი, რომ ეს წვა მანამდე გასტანდა, სანამ მისი შემცვლელი არ გამოჩნდებოდა ჩემს ცხოვრებაში, რამდენიმეჯერ მის სახელოსნოსთან მივედი, ვიტრიალე იქ,

თვალი რომ მომეკრა. ბევრჯერ მის სადარბაზოსთანაც მივსულვარ, თუმცა კარზე დარეკვას დიდხანს ვერ ვბედავდი. ერთხელაც ჩემს ლექტორთან ცხარედ რომ ვიკამათე და მაინც ვერაფერს გავხდი, ძალიან მომინდა დავითი მომენახულებინა და გული გადამეშალა. ზარი დავრეკე. ცოტა ხანში გავიგონე მისი ნაბიჯების ხმა. როცა კარი გამიღო, ხელში სახაზავი ეჭირა, ძენკვიანი სათვალე მკერდზე ჰქონდა ჩამოკონწიალებული, უფრო დაბალი მეჩვენა, ვიდრე მახსოვდა, ღრმად ჩასმული თვალებით კი ისეთივე ყურადღებით მაკვირდებოდა, როგორც მაშინ, კვირაში რამდენიმეჯერ რომ ვტკბებოდი მის გვერდით ყოფნის ბედნიერებით. თავდაპირველად ვერ შემიცნო, მერე კი სახე გაუნათდა. ნიცა! – ჩაიბუტბუტა და დავინახე, როგორ აუნელოიანდა ჭაობისფერი თვალები. გაუბედავად გადავდგი მისკენ ნაბიჯი და მთელი ძალით მოვხვხვიე. ჯერ გაშეშდა, მაგრამ მერე მოეშვა და დამყვა. იმ წამს გავაცნობიერე, რომ ერთმანეთს არასდროს შევხებივართ. ადრე ჩვენს ახლობლობას აზრები და სიტყვები განსაზღვრავდნენ.

– იმედი მქონდა, რომ დაბრუნდებოდი ერთ მშვენიერ დღეს, – მითხრა და ჩვეულებისამებრ სამოვარი მოამზადა. თითქოს წლები არ გასულიყო ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ. კარგად ნაცნობმა სივრცემ უსიამოვნო ამბები სრულებით გადამავინცა.

აბა, სალაპარაკოს რა გამოგვიღევდა, ხან რას განვიხილავდით და ხან რას, ვერ ვჩერდებოდი. თითქოს ყველაფრისგან უნდა გავთავისუფლებულიყავი. დავითი, როგორც ყოველთვის, სიტყვას არ მანყვეტინებდა, ყურადღებიანი გამომეტყველებით მისმენდა ისევ და თანაც ჩაის მთავაზობდა.

– ასე მგონია, ვიკუდები, იმდენი რამის გაკეთება მინდა და ვერ ვახერხებ. გამუდმებით იმედებს ვუცრუებ ადამიანებს. ვცდილობ, არავისთან არაფერი შემეშალოს და არც კი ვიცი, რას ნიშნავს შეუმცდარობა. არ ვიცი, რატომ ვსწავლობ იმას, რაც არ მაინტერესებს. ერთადერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ მინდა ვწერო და მიროს გვერდით ვიყო. მაგრამ ეს არ კმარა. თავს ვერაფერს ვართმევ. მიროს არაფერი შველის, ვერ ახერხებს იმის კეთებას, რაც გულით უნდა.

ნაკადივით ამოხეთქა, რასაც ამდენ ხანს ვერ ამოვთქვამდი. დავითი კარგა ხნით ჩაფიქრდა, დაკვირვებით შემომხედა:

– შენ სხვებისთვის ვერ იცხოვრებ, ნიცა, და ვერც სხვები იზამენ ამას შენთვის. ასე რომც მოხდეს, საშინელება იქნებოდა, ეცადე, ის აღასრულო, რაც გული გნადია, და მოეშვი სხვებს.

– საქმეც ისაა, რომ არ ვიცი, რა მინდა, დავით!

– აკეთე ის, რაც კარგად გამოგდის, სხვას ვერაფერს გიპასუხებ. არც არასდროს გამიცია პასუხები შენს შეკითხვებზე. მხოლოდ გისმენდი და დროს გიტოვებდი, თვითონ გეპასუხა შენთვის საინტერესო საკითხებზე.

– შეიძლება, კვლავ გესტუმრო ხოლმე?

- იმედია, აღარავინ დამემუქრება დაპატიმრებით?

- ისე მრცხვენია. მძულს ჩემი ოჯახი. მძულს ბაბუაჩემი.

- არა უშავს. ჩემთვის ახალი არაფერი იყო. უბრალოდ, გული დამწყდა ჩვენი იძულებითი განშორების გამო. ისე მოხდა, რომ კაცი შემიყვარდა, ექვსი წლით უმცროსი, ჩემი ასისტენტი. დაქორწინებული ვიყავი და ცოლი ჩვენს მეორე შვილზე იყო ორსულად. ჩვენზე აჭორავდნენ, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ინსტიტუტის ხელმძღვანელთან დამასმინა. მაგრამ ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს, შორეული წარსულია.

- სულ მანუხებს, ჩემ გამო რაც გადაგხდათ მაშინ.

- უკვე დიდი ხარ, მენჯიე, როცა მოგინდება. მით უმეტეს, მე ვერაფერს გავნებ, უკვე სიყვარულის ცეცხლი გიკივია.

შეთქმულებივით გავიცინეთ, არცთუ თამამად, მაგრამ ამ სიცილმა ყველაფერი ნაშალა, რაც მანამდე მოხდა.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს, ნელა გავუყევი გზას შინისაკენ. პროდუქტების მაღაზიების დაცარიელებულ ვიტრინებს გავცდი, სოკოებივით მომრავლებულ ლომბარდებს ჩავუარე. უცებ მომინდა, ჩემს დასთან შემეველო.

დარია სუფრას შლიდა. საბედნიეროდ, მისი მეუღლე სხვა ოთახში „დინამოს“ თამაშს უყურებდა ტელევიზორში. ბოლო ხანებში იშვიათად მივდიოდი ჩემს დასთან, „ღვთაებრივი“ ლაშა გვერდიდან არ შორდებოდა და ძალივით დარაჯობდა. ქორწილის მერე ლაშას დაუსწრებლად ერთხელაც არ დავლაპარაკებიავართ დები ერთმანეთს.

დარიას იმ დროს რეპეტიციები ჰქონდა მარჯანიშვილის თეატრში, კატარინას როლზე მუშაობდა ჭირვეულის მორჯულებაში. ასეთ ცნობილ თეატრში მთავარი როლის მიღება თითქმის წარმოუდგენელი იყო სტუდენტისთვის.

ტელეფონმა დარეკა. დარია ცოტა ხნით გაუჩინარდა სამზარეულოდან. როცა დაბრუნდა, ქმარიც შემოჰყვა, რომელსაც „ღვთაებრივ ლაშას“ ვეღარ ვეძახდი, რადგან დარიას სწყინდა.

- ვინ დარეკა?

- ასისტენტმა. ხვალინდელი რეპეტიციის გამო. ძალიან გთხოვ, არ დაიწყო ისევ თავიდან, - გადაუჩურჩულა დარიამ და ანიშნა მარტონი დავეტოვებინეთ, თუმცა, ლაშამ ყურიც არ შეიბერტყა და მაგიდასთან მოხერხებულად მოკალათდა.

- მაინტერესებს, რა უნდოდა შენგან!

- რა ენდომებოდა? ხომ გითხარი: რეპეტიციის დრო უნდოდა შეეთანხმებინა.

- მაგას რა შეთანხმება უნდა?

- ლაშა, გთხოვ. მე და ნიცას გვინდოდა ცოტა ხანი...

- შენი დეკოლტეს სიღრმეზე ხომ არ გითანხმდებოდა?

- შენ მართლა პარანოია გაქვს!

- ესე იგი, პარანოია მაქვს, არა?

- კარგი, ლაშა, განა, რა ხდება? - შევეცადე კამათი ჩამეცხრო.

- რა ხდება? იმავეს არ ვეკითხები შენს დას, მაგრამ პასუხი არ აქვს.

მაგის გამო მივატოვე ცოლი, რომელიც მალმერთებდა! მალმერთებდა! სად არის მადლიერების გრძნობა? ყველა არარაობას ეარშიყება, ტრავს აქანავებს და დებილი ვგონივარ.

უცებ მსხვრევის ხმა გავიგონე. დარიას თეფში გაუტყდა რეცხვისას. შემობრუნდა, ცრემლები ღვარად სდიოდა.

- რატომ მიკეთებ ამას? ეს ხომ ჩემი პატარა დაიკოა. რატომ მიკეთებ ახლა ამას? აღარ შემიძლია. ასე გაგრძელება არ შემიძლია. არ მესმის, რა დაგემართა. რატომ მექცევი ასე, ადრე ხომ არ იყავი ასეთი, არ იყავი, ხომ ვიცი.

- ესე იგი, მე გექცევი ასე? მე ვიქცევი გაუგებრად? მე არაფერსაც არ გიკეთებ, უბრალოდ, მინდა წესიერი ცოლი მყავდეს გვერდით. შენ მართლ იმიტომ წარმოადგენ რაღაცას, რომ მე მოგაქციე სწორ რაკურსში. ახლა კი ვარსკვლავად მოგაქვს თავი და მე აღარ გაკმაყოფილებ, არა? შენ გგონია, რამით მჭობიხარ, რაკი შემოთავაზებები გაქვს, მე კი უმუშევარი ვგდივარ? შენ იცი, რამდენი რამ გამიკეთებია, რამდენ ვინმესთან მიმუშავია, შე უმადურო ბოზო!

ეს უკვე ვეღარ მოვითმინე, წამოვხტი და ვუყვირე, მოკეტე-მეთქი.

დარიამ სცადა შუაში ჩაგვდგომოდა, აშკარად შერცხვა ჩემი, ლაშამ ჩაიფრუტუნა ზიზლით, რაღაც დამამცირებელი მომაცახა და სამზარეულოდან გავიდა.

სამი დღის შემდეგ რეპეტიციიდან გამოსულ დარიას ვითომდა უნებურად გადავეყარე, მერე კი ვთხოვე, ბარემ, გავისეირნოთ-მეთქი.

- რა ხდება თქვენ შორის?

- ახლა შენ ნუ დაიწყებ, ნიცა. თვითონ გავართმევ თავს. ამ ბოლო დროს ცოტა ეჭვიანობა დასჩემდა, - ჩაილაპარაკა სხვათა შორის და ჩანთაში რაღაცის ძებნა დაიწყო.

- ცოტა ეჭვიანობა? მაპატიე, მაგრამ უმადური ბოზი გინოდა და...

- ვაცია და უჭირს, ვერ უმკლავდება ამ სიტუაციას. თან შეკვეთებიც აღარ აქვს. ტელევიზიებში პოლიტიკის მეტი არაფერია, ფილმების დაფინანსება შეწყდა. რუსეთში ვაპირებთ წასვლას. იქ კარგი სანაცნობო ჰყავს. მიყვარს ლაშა, მიყვარს და არ მინდა, ასე წვალობდეს ჩემ გამო.

- თავს რატომ იდანაშაულებ მისი დეპრესიული მდგომარეობის გამო, კეთილი ინებოს და გზა თვითონ გაიგნოს.

- არა, ამიტომ არ მითქვამს, მაგრამ მძიმე მდგომარეობაშია. უნდა მივხედო.

- იქნებ აჯობებს, რომ საკუთარ თავს მიხედო?

- მივხედავ. მაგრამ ეს ჩვენი საქმეა, მხოლოდ მე და ლაშას გვეხება, არ ველოდები, რომ გამოიგებ, ნიცა, მაგრამ ნუ გაგვკიცხავ მაინც, კარგი? და არ მინდა, რომ დედამ ან კოსტიამ შეიტყონ რაზე. ნერვებმა უმტყუნა და...

- ნერვებმა უმტყუნა. როგორც ჩანს, ეს ხშირად ემართება.

- მე ხომ შენნაირი მაქსიმალისტი არ ვარ, ნიცა.

- მაქსიმალისტი ამ ვითარებაში რა შუაშია? რას ბოდავ? ეს ხომ სრულიად ნორმალურია, არ გსიამოვნებდეს, ბოზი გეძახოს იმან, ვისაც სულ თვალებში შესცივინებ?

- ყველაზე კარგად შენ იცი, რა არის ნორმალური.

- ახლა არ დაიწყო. არ გინდა. ეს უკვე გადაშლილი ფურცელია.

- სანამ ჭკუას დამარიგებ, საკუთარ თავს შეხედე. როგორ ცხოვრობ? როგორ ფლანგავ ნიჭს? გაუთავებლად დაყიალობ იმ უმაქნისებთან ერთად, ერთი დაქალიც კი არ გყავს, შეიძლება, რომ გოგოს დაქალები არ ჰყავდეს?!

- აქამდე მეგონა, რომ შენ იყავი ჩემი დაქალი.

ამკარად არ ელოდა ასეთ პასუხს, გამომეტყველება შეეცვალა უცებ, ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი.

- მე ხომ შენი და ვარ, ნიცა, - მითხრა წყნარად.

- ჰო, მართლაც რომ მხოლოდ და ხარ, - ვუპასუხე სხაპასუხივით, უნებურად ბურგი ვაქციე და გავიქეცი.

* * *

Words like violence / Break the silence.[8]

Depeche Mode

- ღმერთო, ეს უკვე ნაციონალური ფსიქოზია, რაც აქ ხდება! - მირომ შუბლზე იტკიცა ხელი. ტელევიზორის ეკრანს ვერ ვწყდებოდი ვერც ერთი.

რუსი კაშპიროვსკი, რომელიც განთქმული იყო მასობრივი ტელეჰიპნოზებით და კარგა ხანია თავის მრავალეროვან მაყურებელს აბრმავებდა და აშტერებდა, ჩვენს სამშობლოში ჩამოვიდა. თბილისშიც ათასობით ადამიანი დაიდრა ფილარმონიისკენ განსაკუთრებლად, სადაც მას თავისი შოუ უნდა წარმოედგინა. ფილარმონიის წინ მორწმუნეთა ერთი ციციქნა ჯგუფის დემონსტრაცია მიმდინარეობდა, მათი ტრანსპარანტები ხალხს აფრთხილებდა, „სატანისტებს“ ერიდეთ, სული არ წაიწყმიდოთ და „ერეტიკულ სანახაობას“ სასწრაფოდ გაეცალეთო. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამან არ შეუშალათ ხელი „ემშაკის მოციქულებს“, მასობრივად მისწყდომოდნენ წარმოდგენას. ბევრ მათგანს, ექსტაზში ჩავარდნილს, გული მისდიოდა, ან ჰაერი და სიტყვები არ ჰყოფნიდა და ცრემლები სდიოდა.

მე და მირო საათობით ვიკეტებოდით მის ოთახში. ლანა ისევ არ იყო ქალაქში.

- ესე იგი, ეკონომიკური კრაზის წინაშე ვდგავართ, ერთ-ორ თვეში ასი პარტია დასცხებს აქ ერთიმეორეს ძალაუფლების მოსაპოვებლად, ეროვნული მოძრაობა თითქმის ყველასთან ნაჩხუბარია და თვითონაც დაშლის პირასაა, კომუნისტები საკუთარი ტრაკის გადარჩენას ცდილობენ, მხედრიონი მოსახლეობას აბუჩად იგდებს, აფხაზები და ოსები ავტონომიას მოითხოვენ, ინფლაცია გვემუქრება და ამ დროს რას ვაკეთებთ? რუსეთიდან ვინვევთ ჰიპნოზიორს, რომ ჩვენი ერი „განკურნოს“?

სიცილისგან ჩავბუირდი, წამოვხტი სანოლიდან და სირბილი დავიწყე მიროს ოთახში, თან ისტერიკულად ვიცილობდი, თან ტანზე ვიხდიდი კაშპიროვსკის ფონზე, რომელიც დემონებს უფროთხობდა ქართველებს. ბოლოს მირომ დამიჭირა, ლოგინზე დამაგდო და თვითონაც ჩემ გვერდზე დაენარცხა. ასეთ წუთებში ფეხებზე გვეკიდა მთელი მსოფლიო თავის მკურნალებიანად, რეფორმატორებიანად, ნაციონალისტებიანად და ფანატიკოსებიანად.

1990 წლის მარტში „სახელმწიფო სუვერენიტეტის“ კანონი მიიღეს. საქართველოს მიბაძეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებმაც, მართალია, სსრკ-ს შემადგენლობიდან არ გასულან, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა. ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ მთელ მსოფლიოში შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. გორბაჩოვმა - როგორი კეთილგანწყობაც უნდა გამოეხატა დასავლეთის მიმართ - მკაცრ ზომებს მიმართა და ეკონომიკური სანქციები დაუწესა ყველა რესპუბლიკას, რომელმაც სუვერენიტეტი მოითხოვა, თუმცა ყველას ვერ მოერეოდა, კიდევ სხვებიც იდგნენ რიგში. მას არ შეეძლო ყველა ფრონტზე ერთნაირი მკაცრი ზომებით ემოქმედა, ეს რუსეთისთვისაც საშიში იქნებოდა; ამიტომ მოვლენების ასეთი განვითარება თავისი დიდი რეფორმების არასასიამოვნო, მაგრამ უცილობელ შედეგად წარმოაჩინა და მიიღო. საქართველოში 1921 წლის შემდეგ პირველად მოიგო არჩევნები სხვა პარტიამ, კომპარტიის გარდა. ეს იყო გაერთიანება „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, ყოფილი დისიდენტის, ცნობილი მწერლის შვილის, გამსახურდიას მეთაურობით.

როდესაც ალექს ვკითხე, ვინ არის ეს კაცი და რატომ ლაპარაკობს სულ ასე გადარეულივით, თითქოს ვიღაც მისდევს ან ეშინია, რომ აზრის დასრულებას ვერ მოასწრებს-მეთქი, მიპასუხა:

- ჰო, ასეა, ალბათ, მართლა ეშინია, რომ სიტყვას გააწყვეტინებენ. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს დააპატიმრეს ანტიკომუნისტური მოღვაწეობისთვის. მერე ორი წელიწადი გაატარა გადასახლებაში, როგორც „ადამიანის უფლებების დამცველი საინიციატივო ჯგუფის“

თანადამფუძნებელმა. მაგრამ მხოლოდ ახლა მიუგდეს ყური, ალბათ, პირველად, და ყველაფერი რომ თქვას, რასაც მთელი ამ წლების განმავლობაში უკრძალავდნენ, მართლა ლომივით უნდა იღრიალოს. თუმცა, მგონი, უფრო მისტიციზმისკენ არის მიდრეკილი, იმისკენ, რა ჰქვია, ვაცო, იმას, ახალი რელიგიის მსგავსს, ახლა რომ მოდაშია, ანთრო... რაღაცა. მოკლედ, ძალიან ცუდი კომბინაციაა, ებოთერიკა და პოლიტიკა. გეუბნები, ის განზე დარჩენილები, გამსახურდიას პარტიაში რომ არ მოხვდნენ, ნაციონალისტები და იმათ ფეხის ხმას აყოლილები, ვინც ამან მეგობრებად არ აირჩია, უკან მოიტოვა, ვისაც მაღალი თანამდებობები არ შესთავაზა, სულ რომ სძულდეთ ერთმანეთი, მაინც გაერთიანდებიან და ომს გამოუცხადებენ, - დაასკვნა ბედს შეგუებულმა ალექომ და თავისი გაზეთი გადაშალა, რომლის თავფურცელზე ყოველდღე ახალი დემონსტრაცია იყო აღბეჭდილი. დამეზარა მეკითხა, ამჯერად რას აპროტესტებენ-მეთქი.

მირი ყოველთვის უფრო ადვილად ახერხებდა, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა. მე კი, პირიქით, სულ უფრო მღრღნიდა ეჭვები, როცა მართო ვრჩებოდი: როგორ უნდა გამოვსულიყავით ამ ქაოსიდან? სად უნდა წავსულიყავით? და საერთოდ საიდან უნდა დაგვეწყო? და როგორი ცხოვრება გვექნებოდა? იქნებ ჯობდა, როგორც დავითმა მიჩნია, არავითარი მოლოდინი არ მქონოდა მის მიმართ და საკუთარი თავით დამეწყო? მაგრამ როგორ? როგორ შეიძლებოდა, არავითარი მოლოდინი არ მქონოდა? როცა ადამიანი გიყვარს - რაღაცას ხომ მაინც ელი? სამწუხაროდ, არ შემეძლო წიგნივით წამეკითხა საკუთარი თავი და გამეგო. მხოლოდ შეცნობის გზით, თანდათანობით თუ გავერკვეოდი ცხოვრების პროცესში, ცხოვრება კი, ასე მეგონა, მუდამ ერთი ნაბიჯით მისწრებდა და ვერასდროს დავენეოდი. ეს წინააღმდეგობრიობა ბოლოს ჩემი და მირის ურთიერთობაზეც აისახა. სულ უფრო ხშირად ღიზიანდებოდა, მალოდინებდა, სადღაც ქრებოდა ძმაკაცებთან ერთად, ისე, რომ არც მატყობინებდა, აუტანელი გახდა, სულ უკმაყოფილო იყო და, მაკონტროლებო, მსაყვედურობდა. მე არარაობად მიმაჩნდა თავი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ის მყიფე გრძნობები, ასე რომ მანევედა, იმდენად მირის კი არ უკავშირდებოდა, რამდენადაც ჩემი შეუსაბამობის ბრალი იყო. ვეჭვიანობდი მის ახალ მეგობრებზე, ინსტიტუტში რომ გაიჩინა. რაც ადრე ასე ძალიან მიყვარდა მასში, ახლა მთელი არსებით შემზიზიდა. ვერ ვიტანდი, როცა ახალი მეგობრების წინაშე მასხრობდა და ყველა ბეიმზე, წვეულებასა თუ შეკრებაზე გამართობის როლს ასრულებდა. ისიც მეუცხოვებოდა, თავის ინსტიტუტს ადვილად რომ შეეგუა. ჯერ ამბობდა, სხვა რამისთვის ვარ შექმნილი, მერე კი ისე შეეგუა, ისე მოერგო, ისე შეურიგდა ყველაფერს, შემეშინდა, არ დამემცირებინა ისიც და მერე საკუთარი თავიც, რადგან ხელოვნება ჩვენი დროის ფუფუნებად შერაცხა უცრად. ბრალი დამდო, რომ

უხასიათო, დათრგუნვილი, უკმეხი ვიყავი, მტრულად განწყობილიც კი. რაც უფრო გვანბილებდა სიტყვები, რაც უფრო მეტ უთანხმოებას იწვევდა ჩვენ შორის, მით უფრო კარგად უგებდნენ ერთმანეთს ჩვენი სხეულები ღამღამობით. თითქოს უხაროდათ, აზრები და გრძნობები დაგვეცინოდნენ. დღისით კი ვჩხუბობდით, თავიდან ცოტ-ცოტას, მერე ვუმატეთ. მე ვსაყვედურობდი, რომ ცხოვრება, რომელზეც ის ამდენს ლაპარაკობდა, ასე უბრალოდ არ ჩამოვარდებოდა ციდან. მირო მენინაალმდეგებოდა, ამბობდა, რომ არ აპირებდა ჩემი ჩახლართული ჩანაფიქრების ასრულებას. მე აზრიანი ცხოვრებისკენ მოვუნოდებდი. ამის საპასუხოდ მირო ირწმუნებოდა, რომ ჩვენზე, ჩვენს ურთიერთობაზე უფრო აზრიანი არაფერი ეგულებოდა.

ჩემთვის ის იყო მნიშვნელოვანი, რაც იმ არაამქვეყნიური, ყოვლისმომცველი სიყვარულის მიღმა არსებობდა.

იყო დღეები, როცა ყველაზე მეტად იმას ვნატრობდი, რომ ჩვეულებრივი ვყოფილიყავი, ისეთივე ოცნებები მექონოდა, რაც ჩემს თანატოლებს. რომ გაღვიძებისთანავე უყოყმანოდ, ხმამაღლა განმეცხადებინა თანხმობა, მიროსთან გავქცეულიყავი, მეტქვა, რომ მმაჩ-ის ბიუროში უნდა წავსულიყავით და ჩვენი სიყვარული, ჩვენი სარეცელი დაგვეკანონებინა. ირგვლივ ყველასთვის დამემტკიცებინა, რომ სულაც არ ვიყავი ისეთი მძიმე, როგორაც მივანდი, რომ მეც იგივე მინდოდა, რაც სხვებს. პატარა ნაქირავები ბინა, ძველი გაბჭურა, ღუმელში ვაშლის ღვეზელი, ოთახში გაბმულ თოვზე გასაშრობად გაკიდებული მიროს სარეცხი. მაგრამ მაშინ აუცილებლად შევიძულებდი, მის დასჯას დავიწყებდი იმისთვის, რომ გამბედაობა არ გვეყო, რომ ჩვენი შიშები და საზღვრები ვერ დავძლიეთ, რომ საკუთარი თავის ტყვეებად დავრჩით. მიროს დავაბრალებდი, რომ არ გავხდი ის, ვინც შეიძლებოდა გავმხდარიყავი.

როგორც კი დარიამ კარი გამიღო, უკვე ვიცოდი, რომ ლამაზე ვიძიებდი შურს. და რატომღაც გამახარა ამის შეგნებამ.

ინსტიტუტიდან დარეკეს. ერთ კვირაზე მეტი არ გამოჩენილა იქ და ტელეფონით ვერ უკავშირდებოდნენ. ელენემ მთხოვა, გამეწლო დარიასთან, შიშობდა, გრიპმა ლოგინად ხომ არ ჩააგდო. მე სულ სხვა რამეს ვვარაუდობდი, მაგრამ არ მინდოდა, დედა ამეფელავებინა.

- რა მოხდა? - შევეკითხე ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

- გავცივდი და...

- შემოსვლის უფლებაც არ მაქვს, ასე უნდა ვიდგეთ აქ?

- იცი, რა, არ მინდა, გადაგედოს ჩემგან, და თანაც ლამას სძინავს ახლა...

- აჰა, ფაშას სძინავს. რალა თქმა უნდა, სიმშვიდეს ვერ დავურღვევთ, პარღონ, კინალამ დამავინწყდა.

- ნიცა, არ დაიწყო ახლა ისევ.

ფეხი კარის ღრიტოში ჩავდგი, დარიას გვერდი ავუქციე და ბინაში შევიჭერი. როცა გაიწია, დავინახე, რომ მარცხენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, ქვედა ტუჩი კი შესიებული. ვერც კი მივხვდი, რა უნდა გამჩენოდა, ზიზღი თუ თანაგრძნობა.

- დარია! უბრალოდ ვერ ვიჭერებ...

უნდოდა შევეჩერებინე, მაგრამ მაინც შევვარდი საძინებელ ოთახში, სადაც ჩაცმულ-დახურული ლაშა ზურგზე განოლილი ხვრინავდა. მივვარდი და სანამ გაღვიძებას და თავის დაცვას შეძლებდა, მუშტები დავუშინე მუცელში; ტკივილისგან წამოიყვინა, ხელი მტაცა და ლოგინიდან მომისროლა.

დარია აკივლდა, მაგრამ ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი და მეც ისეთი გააფთრებული ვიყავი, რომ პირველივე სკამი დავითრიე, რაც ხელში მომხვდა და აქეთ-იქით დავუნყე ქნევა, ამასობაში ჩემი სიძე წამობობდდა და ღრიალით წამოვიდა ჩემკენ: მე სკამი მოვუქნიე და მუხლში ვლენე, არიდება ვერ მოასწრო. ღრიალი საცოდავმა წკმუტუნმა შეცვალა. სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, დარია ზურგში ჩამაფრინდა და დერეფანში გამათრია სკამიანად, რომელსაც არაფრის დიდებით არ ვუშვებდი ხელს.

- შენ რა, სულ დაკარგე ჭკუა?

- ახლა არ მითხრა, რომ ძალიან უყვარხარ და ეჭვიანობის გამო წაუცდა ხელი. როგორ უნდა დადგე სცენაზე ეგეთი სიფათით?

- არ არის კარგად.

- და შენ? შენ კარგად ხარ?

- ნუ ჩაერევი-მეთქი, გითხარი! არ არის შენი საქმე!

სკამი ხელიდან გავაგდე და ცოტა უკან გადავქანდი.

- დარია, დარო... რა დაგემართა?

თავით გასასვლელისკენ მანიშნა და როცა ნელა და ფეხათრევით გავედი ბინიდან, ცხვირწინ მომიჭახუნა კარი.

შემდეგი სამი დღის განმავლობაში ასჯერ მაინც დავურეკე, მაგრამ ყურმილი არავინ აიღო. ამის მერე გადავწყვიტე ზვიგენასთან მისვლა. პირდაპირ ჭადრაკის სასახლეში მივადექი, სადაც კვლავინდებურად მათი შტაბი იყო განლაგებული და ვიკითხე. შესასვლელში მდგომმა ფორმიანმა და შეიარაღებულმა მხედრიონელებმა ზემოდან შემომხედეს, ონავრულად ჩაიხითხითეს, მაგრამ ჩემი გამოგდება არც უცდიათ. ერთი მათგანი ნელა-ნელა, უკანსვლით დაიძრა შენობისკენ, თან თვალს არ მამორებდა, მეორემ კი ამ დროს საღეჭი რეზინა გაბერა და კინალამ სახეზე ამანება. ის პირველი რამდენიმე წუთში დაბრუნდა უკვე საქმიანი გამომეტყველებით და შენობაში შემიყვანა. გაბოლილ, ალკოჰოლის სუნით აქოთებულ ოთახში ზვიგენა იჯდა ვიღაც ორ ჯარისკაცთან ერთად და იარაღს წმენდდა. მანამდე იარაღი ასე ახლოს არასდროს მენახა და

თვალი გამიშტერდა. ზვიგენა წამოხტა და თავისი ტორები მომხვია, სიცილით ამიტაცა:

- ჩვენი აინშტაინა მოვიდა! ე, თქვე სალახანებო, ამ გოგოს უფრო მეტი ტვინი აქვს, ვიდრე თქვენ, ყველას ერთად აღებულს! მოდით, გაიცანით! თქვენ აზრზე არ ხართ, ისეთი მაგარია! როცა არ უნდა მოვიდეს აქ, ისე მოექცით, როგორც ქალბატონს შეეფერება, გასაგებია? - დასძახა მჭახედ და იქ მყოფებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მონინებული მზერა მომაპყრეს.

- აბა, რა ხდება, როგორ არის ჩვენი პატარა ძმა მირო?

- მირო კარგად არის. მე სხვა რამის გამო მოვედი. შენი დახმარება მჭირდება.

ყოყმანით გავხედე დანარჩენ ორ ჯარისკაცს.

- არაფერია, შეგიძლია ილაპარაკო, ესენი ჩემი ძმები არიან. აბა, რომელმა იდიოტმა გაბედა შენთან ხუმრობა? - შემომცინა ზვიგენამ და სკამი გამომიწოდა.

- ჩემთან არა. ჩემს დასთან.

- ბიჭო, რა გოგოა. რა გოგოა, სწორედ ახლახან ვნახე ტელევიზორში და... ე, ბიჭებო, იცით, ვინ არის ამის და? არ დაიჭერებთ! დარია ჯამი, აზრზე ხართ? აბა, მითხარი, აინშტაინ, რა ხდება?

რამდენიმე სიტყვით დავუხატე პრობლემა.

- მით უარესი მისთვის, ეგრე თუ შეეშალა ამ ანგელოზთან. დებილი უნდა იყო, რომ ასეთი ქალი ხელის გულზე არ ატარო.

დანარჩენებმა კვერი დაუკრეს.

- დამეხმარები?

- აბა, რა, შენ ხომ ჩემი პატარა დაიკო ხარ. რა არ გადაგვიტანია ერთად, არა?

ორი დღის შემდეგ ზვიგენამ და მისმა ძმაკაცებმა სახლის შესასვლელთან გააჩერეს ლამა და „დაელაპარაკნენ“.

შესაბამისად, ორი დამტვრეული ნეკნით და ტვინის შერყევით საავადმყოფოში მოხვდა, სადაც ექიმმა მშობლებმა მიხედეს. დარიამ პასუხი მომთხოვა. ერთ-ერთმა მეზობელმა იცნო თურმე ზვიგენა და დარიამ მაშინვე ჩემთან დააკავშირა. მის გამო რომ შური ვიძიე, ნაკლებად აინტერესებდა. ისტერიულად დამკვიოდა და ზიზღით და ლამის ნიშნისმოგებით მომახალა, რომ ლამაზე მეტად არავინ უყვარდა დედამინის ბურგზე და ამის შეცვლას ვერაფრით მოვახერხებდი. ამჯერად ჩემს საქციელს არ გაახმაურებდა, რადგან რცხვენოდა, მის პატარა დაიკოს ასეთი საშინელების ჩადენა რომ შესძლებია, მაგრამ თუ მე ან ჩემს რომელიმე კრიმინალ მეგობარს კიდევ ერთხელ მოგვივიდოდა აზრად მისი ქმრისთვის ზიანის მიყენება, ამას სათანადო შედეგი მოჰყვებაო, - დამემუქრა დარია და ისიც დააყოლა, მიხარია, რომ მალე

მოვშორდები „ამ კრიმინალურ და პროვინციულ“ ქვეყანას, როგორც კი ლაშა საავადმყოფოდან გამოვაო.

- და სად წახვალ? - ისე ჩავილაპარაკე, თვალი ვერ გავუსწორე.

- მოსკოვში. ერთ თვეში გავეცლებით ამ გატიალებულ ქვეყანას. ლაშას მეგობარი იქ თავის ბიზნესს იწყებს და...

- რას იწყებს?

- ჯობია ინგლისური ისწავლო, რა! - დაიხავლა, - თავისი საქმე ექნებათ და ბევრი ფული, მერე უკვე ლაშა აირჩევს თვითონ, რომელი ფილმი გადაიღოს და რომელი არა, და შორს ვიქნებით ამ დამპალი ქვეყნიდან. იქ, სადაც მას აღარავინ გალახავს დღისით-მზისით საკუთარი სახლის წინ!

- და შენს პროფესიას რას უპირებ?

- მოსკოვში დავასრულებ სწავლას და იქ ვითამაშებ! აქ ისედაც ჩამკვდარია ყველაფერი!

- რახან ერთხელ დაგარტყა, აღარც მოიშლის!

- შენ ღმერთი კი არ ხარ, ნიცა. რით ვერ გაიგე?

- ღმერთი რა შუაშია?

- შენ გინდა, რომ ყოველთვის შენებურად იყოს ყველაფერი, მაგრამ ასე არ ხდება. ეს ჩემი ცხოვრებაა და ისე ვცხოვრობ, როგორც მინდა და ვისთანაც მინდა.

1991 წლის ივნისში რუსეთის ისტორიაში ჩატარდა პირველი თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნები. დარია თავის ღვთაებრივ ლაშასთან ერთად მოსკოვში გადავიდა, კოსტია კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა ყოფილიყო, დასთანხმდა, რადგან კვლავაც სწამდა, რომ იქ, გადაღმა, ჯერ ყველაფერი არ იყო დაკარგული, ჩვენი ქვეყანა კი უკვე უფსკრულისკენ მიექანებოდა.

ლაშას მშობლებმა საწყისი კაპიტალი მისცეს მეგობრის ბიზნესში ჩასადებად (საბანკო თუ იპოთეკურ თუ საკრედიტო, რადაც მსგავსში, როგორც დარია მჩქარებით აგვისსა გამგზავრების წინ; თვითონ რომ თავისი მზითვიდან სამკაულები გაიმეტა, ამაზე სიტყვა არ დასცდენია).

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 1918 წლის კონსტიტუცია აღადგინა. მთავრობის სასახლის თავზე (რომელსაც ახლებურად პარლამენტი დაერქვა) ქართული დროშა აფრიალდა და ახალი სახელმწიფოს ჰიმნი შეიქმნა. ახლა უკვე თავისუფლები ვიყავით, თუმცა ზუსტად არავის ესმოდა, რას ნიშნავდა „თავისუფლება“. მშვიდობა მხოლოდ ნახევარი წელიწადი შენარჩუნდა, დაუსრულებელი დემონსტრაციები, გამოსვლები, პოლიტიკური დაძაბულობა და გახურებული საპარლამენტო დებატები საბოლოოდ გამსახურდიას წინააღმდეგ პუტჩში გადაიზარდა, რომელსაც ეროვნული გვარდია და მხედრიონი წარუძღვა: პარტიულ ორგანიზაციებზე თავდასხმები, სროლები შუა ქუჩაში, დაყაჩაღება, ცემა-ტყეპა, დაშავებულები,

დაპატიმრებები, აურზაური პარლამენტში, ღრიანცელი ყველგან, გინება, აგრესია და საბოლოოდ გაკოტრება.

იმ პერიოდში გაქრა მწვანე სახლიდან ყველაფერი, რაც კი რამე ფასეულობას წარმოადგენდა: ლამაზი ავეჯი, ფაიფურის ლარნაკები და სადაფის ბარდახშები, აგრეთვე ვერცხლის დანა-ჩანგალი, ნანას სამკაულები და მისი ჩაის სერვიზების კოლექციაც კი. ასეთი სიყვარულითა და წვალებით ნალოლიავენმა გერმანულმა, ჩეხურმა თუ ჩინურმა სერვიზებმა მისაღები ოთახის კედლის კარადიდან „მშრალი ხიდის“ შავ ბაზარზე გადაინაცვლა.

* * *

ყველა არაქართული ეთნიკური ჯგუფი კატასტროფული სისწრაფით მრავლდება ჩვენთან.

ზვიად გამსახურდია

“ეს ყველაფერი ისეთ ფორმას იღებს, რომ ძალიან მაგონებს დიქტატურას... მსურს ჩემი გადადგომა ამ დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტად იყოს აღქმული”. ასე განაცხადა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა შევარდნაძემ, ჩვენმა თანამემამულემ, და თავისი პოსტი დატოვა. გორბაჩოვმა მხარი დაუჭირა ოსი და აფხაზი სეპარატისტების პროტესტს, გამსახურდიას ხისტ ნაციონალისტურ პოლიტიკას რომ უჩიოდნენ და ამ პოლიტიკის მსხვერპლად წარმოაჩენდნენ თავს. ამით მან ცეცხლი შეუნთო ანტიქართულ განწყობილებას, იმ თვეებში ისედაც რომ სუფევდა რუსულ მედიაში.

როდესაც სამაისო პარადზე კრემლთან გორბაჩოვს სტვენა აუტეხეს, კოსტია, როგორც ყოველთვის აბაზანის ხალათსა და აჩაჩულ შიშამაში ჩაცმული, ტელევიზორის ეკრანს მიმტერებოდა შუშის თვალებით და თავს იქნევდა.

- ამან თავისი რეფორმებით ყველას დასაცინად გაიხადა თავი, ასეთი არაფერი მომხდარა საბჭოთა კავშირის მთელი ისტორიის განმავლობაში. ყოჩაღ, ძმაო!

თან ჩაის კოვზი მოურია, ამ ბოლო დროს შევნიშნე, რომ ხელები უკანკალებდა.

- და ეს იჩემებს ჰუმანური ვარო. სასაცილოა პირდაპირ! კაცი, რომელმაც ასეთი სისხლისღვრა დაუშვა თბილისსა და ბაქოში? თუმცა ამას რას ვერჩი, ჩვენ ხომ აქ საკუთარი პატარა ფაშისტი გვყავს, გამსახურდიას სახით, - ჩაიბურტყუნა თავისთვის.

რამდენიმე კვირით ისევ მწვანე სახლში გადავედი, რახან სულ უფრო ხშირად ცდებოდა ლექციები, ვამჯობინე, მეტი დრო დამეთმო წერისთვის და სტასიასთან მელაპარაკა, მისი ნაამბობიდან ზოგიერთი ფაქტი გადამემოწმებინა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან წიგნების მთელი

დასტა გამოვიტანე რევოლუციის პერიოდზე და დამუშავებას ვაპირებდი. გული მიკვდებოდა, ისეთი თვალში საცემი გახდა, რამდენ რამეს შეველიეთ ამასობაში, სახლი გამოცარიელდა. არა მარტო ავეჯი, ძვირფასი ჭურჭელი და ლარნაკები გაიზიდა, იყო რაღაც სხვაც, უფრო მნიშვნელოვანი, რაც ხელიდან გამოგვეცალა და რასაც მაშინ სიტყვებს ვერ ვუძებნიდი. როცა კოსტიამ ბოლოს თავისი უდიდესი განძიც გაყიდა, გამ-13, ჩემთვის საბოლოოდ გაცხადდა ჩვენი გადატაკების მასშტაბი. ისე ვეღარ მოვიქცევოდით, თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო. ძალიან დამადარდიანა იმ ფაქტმაც, რომ კოსტიასა და ნანას არ ეთაკილებოდათ მცირეოდენი თანხა, დარია რომ უგზავნიდათ მოსკოვიდან ორ კვირაში ერთხელ. ამის მიუხედავად, სრულ გადატაკებამდე აღარაფერი გვაკლდა, ისევე, როგორც საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტს. ამიტომ ილუზიებით უნდა გვეცხოვრა, ვითომ ყველაფერი ძველებურად იყო და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა გაგვეგრძელებინა, სხვანაირად მინა გამოგვეცლებოდა ფეხქვეშ. ისედაც მიზერული პენსიები იგვიანებდა ან სულაც ვერ გასცემდნენ. ელენეს გასამრჯელოს ხან უხდიდნენ და ხანაც ვერ აძლევდნენ. ჩვენი ბალის ხილი და ბოსტნეული ხომ ნამდვილი წყალობა იყო, სოფელში ისე არ იგრძნობოდა ყოფითი სიდუხჭირე, როგორც ქალაქში. როცა ელენე თავის მწირ გასამრჯელოს იღებდა, მეც მინილადებდა და ფულს ჯიბეში ჩუმად მიჩურთავდა, რათა აერიდებინა ხანგრძლივი კამათი და ჩემი სიამაყე არ შეებღალა. ამ ფულს ვიზოგავდი ტროლეიბუსით ან მეტროთი სამგზავროდ. ლანას საპროექტო ინსტიტუტი დაიხურა. მირო იძულებული გახდა, სამუშაო მოეძებნა, რაც იმ დროს სულ არ იყო. რაკი მანქანებში ერკვეოდა კარგად, ერთ-ერთი თანაკურსელის მამასთან დაიწყო შეგირდად მუშაობა სახელოსნოში, სადაც ავტომძრავების სიმძლავრეს არეგულირებდნენ. კლიენტები, ძირითადად, მხედრიონელები იყვნენ, უმთავრესად ისინი მოძრაობდნენ ქალაქში საკუთარი მანქანებით, ჩვეულებრივი მოქალაქეები კი ერიდებოდნენ – დაყაჩაღების შიშით. ასე რომ სახელოსნოს უკანა ოთახში თავს იყრიდნენ ხოლმე ფორმიანები, იარაღასხმული ვაცები და სანამ მათ მანქანებს შესაბამისი ოდენობის ცხენის ძალას შემატებდნენ, კარტის თამაშში გაჰყავდათ დრო.

რაკი ხშირად ვაკითხავდი ხოლმე მიროს, შესაძლებლობა მეძლეოდა თვალყური მედევნებინა მათთვის. თამაშმა მომხიბლა, უფრო და უფრო ვერკვეოდი, ვინ რა ტაქტიკას მიმართავდა და როდის ჯობდა პასის თქმა. ხელიდან ხელში გადასული ფულის ოდენობამ ხომ საერთოდ მომხიბლა. ერთ დღეს ერთმა იმათთაგანმა მკითხა, პოკერს ხომ არ თამაშობ, ერთი მოთამაშე გვაკლიაო. ალექომ და მისმა მეგობრებმა წესები კი მასწავლეს, მაგრამ გამოცდილება მაკლდა. პატარა ხის ყუთზე, რომელსაც სათამაშო მაგიდად იყენებდნენ, ფულის გროვა რომ დავინახე, უნებურად დავიბრაღე, კარგად ვთამაშობ-მეთქი. პირველი

პარტია ეგრევე მოვიგე (თუმცა დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ გამიმართლა და ჩემი ნიჭი არაფერ შუაში იყო). ყოველ შემთხვევაში, როცა იქიდან წამოვედი, ჯიბეში ფული მედო.

შინ დავბრუნდი თუ არა, ალევო დავისვი და მთელი დამე პოკერის თამაშის დახვეწას შევალე. ალევო და მისი მეგობრები უფრო მარტივ პოკერს თამაშობდნენ, მე კი დროუ პოკერი მჭირდებოდა, დახურული, ხუთკარტიანი პოკერი, ამიტომ ალევო ჯერ თვითონ უნდა გარკვეულიყო და მეგობარს დაურეკა, რომელმაც ტელეფონით აუხსნა დეტალები. მოსწავლესავით იჭდა და ძველ სასკოლო რვეულში ინერდა ყველაფერს.

- რაში გჭირდება ამის ცოდნა? - მკითხა ალევომ, რომელიც ცოტა დააეჭვა ჩემმა მოულოდნელმა ენთუზიამმა თამაშთან მიმართებით, - იმედია, ისეთს არაფერს იზამ, რაც აკრძალულია?

- უნივერსიტეტის ბიჭებს ვეთამაშები რაღაც კაპიკებზე.

- კარგად ვიცი, რა აზარტული ხარ და გირჩევ, გაფრთხილდე. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, როგორი ჩამთრევია, ასე რომ, ყურადღებით იყავი, ძალიან არ შეჰყვე და სიტყვა არ დაგცდეს დედაშენთან!

- ხმას არ ამოვიღებ, გპირდები!

და ჩხვლეთია ლოყაზე ვაკოცე.

მომდევნო კვირებში შესაძლებლობა მომეცა, მეჩვენებინა, რაც ვისწავლე. მივდიოდი სახელოსნოში, ვიკეტებოდი უკანა ოთახში მხედრიონელებთან ერთად და თავდავიწყებით ვთამაშობდი. გაჭირვებამ და გამარჯვების ჟინმა წარმოუდგენელი წინდაუხედაობისკენ მიბიძგა, ბლეფზეც კი მივდიოდი, თავზე ხელაღებული ვთამაშობდი. ვიცრუე და ყველა დავარწმუნე, რომ მამაჩემი პროფესიონალი მოთამაშე იყო (და ამის გამო გისოსებს მიღმაც აღმოჩენილა ხშირად, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა). როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, სანდო რომ ვიყავი, თავიანთ შტაბშიც მიმინვიეს, სადაც შინახადი არყის წყალობით უფრო ლაღად და გატაცებით თამაშობდნენ.

სხვა უამრავი ადგილიც შემოვიარე, გაძარცული ფაბრიკების შენობები, დაცარიელებული სკოლები და გაუქმებული სტამბები, სადაც მხედრიონელები მოწყენილობისგან სვამდნენ და პოკერს თამაშობდნენ თავდავიწყებით (რაკი ნაციონალისტებად მოჰქონდათ თავი, ასეთი ღრეობების დროს ჭაჭას სვამდნენ და არა „ვოდკას“, რომ ძირშივე აღევკეთათ ყოველგვარი სიმპათია რუსეთის მიმართ). მე თავშეკავებულად და მშვიდად ვიქცეოდი, კარტს არ ვხსნიდი, პირდაპირი მნიშვნელობით, და მალე სახელიც მოვიხვეჭე. რადგან გაგონილი მქონდა მოთამაშეთა იღბლის ცვალებადობის შესახებ, ვცდილობდი, შანსი ბოლომდე გამომეყენებინა, სანამ მიმართლებდა. საკუთარი სიხარბით ნაქეზებული არასდროს ვამბობდი უარს ფსონზე და ხშირად გავსებული ჯიბეებით ვამთავრებდი თამაშს, გზაში კი უკვე იმაზე

ვეიქრობდი, ვისთვის მიმეცა სახლში ფული, რა მეყიდა ან ვინ გამეხარებინა ცოტათი მაინც.

მირომ მალევე შეიტყო არაკანონიერად გამომუშავებული ფულის ამბავი და ერთი ამბავი ამიტეხა, სახიფათოა ამ კაციჭამიებთან საქმის დაჭერაო. მაგრამ მე დავიჟინე, არაფერია ამაში სახიფათო-მეთქი. ამ უთანხმოების გამო რამდენიმე დღე არ ველაპარაკებოდით ერთმანეთს, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ მირო მალე შეეგუებოდა ჩემს „სამუშაოს“.

მე არავინ არაფერს მერჩოდა, რადგან თავიანთი დონის მოთამაშე ვეგონე, და რაც მთავარია, ჩემგან საფრთხეს არ ელოდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში რამდენიმე მოგება დამიგროვდა და ერთ საღამოს ძველ სტამბაში მოვიდა კაცი, რომელიც მანამდე ნანახი არ მყავდა, სამი ბოთლი ჭაჭა ამოიღო ცელოფნის პარკიდან და სათამაშო მაგიდაზე დადგა. მხედრულად მიესალმა ყველას, აღტაცებით შეხვდნენ. ბოლოს ჩემთანაც მოვიდა, ხელი გამომიწოდა და ემშაკური ღიმილით მითხრა:

- ესე იგი, შენ ხარ ის ლეგენდარული აინშტაინი, ვისზეც ყველა ლაპარაკობს. აბა, ვნახოთ ერთი, რა შეგიძლია.

სიამოვნებით შევიყუყუებოდი სადმე კუთხეში, რადგან ცხადი იყო: ეს კაცი ჩემმა პარტნიორებმა მომიგზავნეს. მართალია, პატარა ტანის იყო, ჩემზე ოდნავ მაღალი, ცოტა მოუქნელიც, ფორმა თითქოს ეკიდა ტანზე, მაგრამ დიდი ტატუ ჰქონდა ყელზე (ყელზე შემოხვეული ვეფხვი), გადაპარსული თავი და კამუფლაჟის ქვეშ შემალული საკმაოდ დაკუნთული მკლავები სასტიკ იერს აძლევდა. მაგრამ ყველაზე შემზარავი მაინც მისი ნაიარავი იყო, მარჯვენა წარბი ორად რომ გაეპო. თავიდანვე არ მომეწონა ის კაცი. მოთამაშეთა უმრავლესობისგან განსხვავებით, რომლებიც მოზღვავებული ენერჯისა და უპერსპექტივობის გამო შევიდნენ, ალბათ, მხედრიონში, ეს ფანატიკოსს ჰგავდა, თითქოს მთელი ცხოვრება თავისი ურყევი რწმენით ხელმძღვანელობდა. ნერვიული იყო, სულ თითებს ატკაცუნებდა, მოტვლეპილ თავს იფხანდა ან ასანთის ღერს ღეჭავდა. თავის მაკაროვს (ამასობაში იარაღის ცნობაც ვისწავლე) არ იშორებდა, პისტოლეტი ქამარზე ეკიდა, და ეს მოსვენებას მიკარგავდა.

მოკლედ მასთან მომიწია თამაში: ჩელოსთან. მართლა კარგად თამაშობდა. შესანიშნავი მანიპულატორი იყო, და სწორედ ამან ამაფორიაქა კიდევ უფრო. ეტყობოდა, რომ წაგება არ უყვარდა და ეს შეიძლებოდა პრობლემად მქცეოდა, მაგრამ უკანდახევა გვიანი იყო. პირველი ხელი ჩელომ მოიგო, მეორე ხელში მშვენიერი კარტი მომივიდა და სტრიტით მოვიგე, მესამე ხელი სპლიტ პოტით დავასრულეთ. მეტისმეტად მაგრად ჩამომართვა ხელი, მომილოცა და დანარჩენებს გადაულაპარაკა:

- არ შემცდარხართ, ბიჭებო, მიხარია, რომ ახალი მოთამაშე არაფრით ჩამოგვივარდება!

აღფრთოვანებული აპლოდისმენტებით დაგვაჯილდოეს.

ცოტა ხნით ისევ აღვიდგინე წონასწორობა. წერის ნყალობით გაურკვევლობა დავძლიე, პოკერში მოგებული ფული შესაძლებლობას მანიჭებდა, სინდისს ნაკლებად შევეწუხებინე, რადგან ოჯახს კისერზე აღარ ვაწევი (თუმცა იმ დღის შემდეგ უფრო ხშირად ვიკავებდი თავს თამაშისგან), ლამის თვითკმაყოფილება დამეუფლა.

რაკი ინფლაცია მძვინვარებდა, ქართული კუპონები, გარდამავალი ვალუტა, გაუფასურებული იყო. მხედრიონელები დოლარებზე გადავიდნენ, ღმერთმა უწყის, სად შოულობდნენ. მე ნელ-ნელა შევაკონწინე 250 დოლარი. სოლიდური თანხა, რომლითაც ნახმარი მანქანის შეძენა მინდოდა, რომ შინ ჩამჭდარი კოსტია ადგილიდან დამეძრა.

მირო დამეხმარა მანქანის ყიდვაში და ამაყი მფლობელი გავხდი შავი ჟიგულისა, რომელიც გაბრწყინებული სახით მივიყვანე მწვანე სახლთან, ხმამაღალი პიპინით გამოვავიხიზლე კოსტია ლეთარგიიდან და გარეთ გამოვიტყუე.

- რა გინდა? - შემომიტია ჩვეულებისამებრ.

- შენი საჩუქარია! - გავძახე და მანქანაზე მივანიშნე.

- შენ ხომ არც მართვის მოწმობა გაქვს და არც ტარება იცი. როგორ მოაღწიე აქამდე? - მის უკმეხ ხმას გაკვირვებაც შეერია.

- ტარება მშვენივრად ვიცი, ალექომ მასწავლა. მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს. ეს შენი საჩუქარია. მართალია, „ჩაიკას“ ვერ შეედრება, მაგრამ ქალაქში ჩასვლა-ამოსასვლელად გამოდგება.

- სიურპრიზები ყოველთვის კარგად გამოგდიოდა, თუმცა ამას ვერ წაგართმევ. მილიციას რომ გაეჩერებინე, რას აპირებდი?

- სხვათა შორის, ახლა მილიციას უკვე პოლიცია ეწოდება, და თანაც, გზაზე რომ გადამყროდნენ, მაგათ 100 000-იან კუპონს ჩავეუკუჭავდი და ეგ იქნებოდა.

- ეგ რამდენი რუბლია?

- დღევანდელ ინფლაციას თუ გავითვალისწინებთ, დაახლოებით სამი რუბლი.

- უკვე ამდენს იღებენ საგზაო წესების დარღვევაში?

- ეს საგზაო წესების დარღვევა არ არის, კოსტია.

- აბა, რა არის, როცა მართვის უფლების გარეშე მოძრაობ ქუჩებში და საფრთხეს უქმნი საკუთარ თავსაც და სხვებსაც? მოსკოვში მსგავსი არაფერი...

- ჰკითხე, ერთი, დარიას, ტელეფონით რომ დაელაპარაკები, მოსკოველი პოლიციელები ბევრად უარეს რამეებზე ხუჭავენ თვალს

ფულის დანახვაზე. კი მაგრამ, საჩუქარს არ დაათვალიერებ ან არ გაინტერესებს?

- ფული საიდან გაქვს?

- სტიპენდიას არ ვხარჯავდი, - მოვატყუე.

კარგა ხანს იდგა შორიასლო, ხან მე მაკვირდებოდა და ხან - მანქანას, თან ყოყმანობდა და თან ცნობისმოყვარეობის დამალვას ცდილობდა, მკაცრი იერით.

- აბა, ვნახოთ, მართლა თუ იცი მანქანის მართვა.

- და როგორ დაგიმტკიცო?

- ქალაქში წამიყვანე.

- მე წაგიყვანო ქალაქში?

- ჰო.

ათიოდე ნუთი დაველოდე. სანამ ტანსაცმელი გამოიცვალა, მერე კი ჟიგულით გავემგზავრეთ ქალაქში და რადიოში მოვისმინეთ, რომ სამხრეთ ოსეთმაც გამოაცხადა ავტონომია. კოსტია სულ ფანჯარაში იყურებოდა, თითქოს პირველად ხედავდა იმ ქუჩებს.

- საით წავიდეთ?

- ვერის სასაფლაოზე.

არაფერი მიკითხავს. იქ რომ მივედით, უკვე ვიცოდი, რომ ქრისტინეს საფლავის მონახულება უნდოდა. საფლავთან ჩაიმუხლა, ხელები დაიკაპინა და სარეველების მოშორება დაიწყო, უკვე ქვასაც რომ მოსდებოდა. გადარეულივით გლეჯდა. ვცადე, შევშველებოდი, მაგრამ ისე ღრმად გაედგა ბალახს ფესვები, ვერ მოვერიე. მერე, თითქოს სიზმრიდან გამოფხიზლდაო, იქვე ჩამოჯდა, საფლავთან. გზაში ნაყიდი თეთრი ვარდების თაიგული უკეთ გამოჩნდა. ცრიატი, უჟმური დღე იყო. გვერდით მივუჭექე.

- აქ თითქმის მთელი საუკუნეა დამარხული, რომ იცოდე! - ისეთნაირად თქვა, რომ შევკრთი.

- ჩემი დის საფლავი ვერ მომინახულებია. მთელი ცხოვრება კი შევწირე ამ ქვეყანას, ვემსახურე, როგორც შემეძლო, და რა მივიღე! ჰო, ეტყობა ასეა, როცა...

აღარ დაასრულა და მეც ვერ გავბედე, ვერ ჩავვეკითხე. მინდოდა ხელი მომეკიდა მისთვის, მაგრამ ვერ გავბედე, თანაგრძნობა გამომეხატა.

- მადლობელი ვარ, მანქანის ჩუქება რომ მოგაფიქრდა, - დასძინა ცოტა ხანში, - მაგრამ რომ აღარ მჭირდება, წასასვლელი აღარსად მაქვს. ხოლო როდისმე ქალაქში თუ მომინდება ჩასვლა, აგერ არ მყავხარ?! - რაკი მანქანის მართვა კარგად გცოდნია, არც დამზარდები, ალბათ. მაგრამ მართვის უფლება მაინც აუცილებელია, - მითხრა, როცა მწვანე სახლთან დავბრუნდით და მანქანიდან გადავიდა.

იმ დროს გავიცანი სევერინი. მშრალ ხიდს მივუყვებოდი, ბუკინისტებთან წიგნებს ვეძებდი, რომლებიც სტასიას ამბების აღწერისთვის გამომადგებოდა. სევერინი ფეხმოკეცილი იჯდა მიწაზე, წინგაშლილ ძველ პლედზე წიგნები ეწყო და ერთ-ერთს ფურცლავდა გატაცებით. ვარცხნილობასა და ჩაცმულობაზე შევატყვე, ჩვენებური არ იყო. ახალგაზრდა, ალბათ, ჩემი ასაკის, ახოვანი უნდა ყოფილიყო, თანაც თვალში საცემად ჯანსაღად გამოიყურებოდა და რაღაც ისეთს ასხივებდა, რაც ქართველ მამაკაცებში იშვიათად შევინიშნავს: შინაგან სიმშვიდეს. გადავწყვიტე, გამოვლაპარაკებოდი. ცნობისმოყვარეობას ვერ ვთოკავდი უცხოელების მიმართ. გერმანულის ინტონაციით რუსულად მიპასუხა, რომ დასავლეთ გერმანიიდან იყო, რამდენიმე წლის წინათ ბერლინში გადასულა საცხოვრებლად, მამამისის ანტიკვარული ავეჯის მაღაზიისთვის რარიტეტების მოსაძიებლად და გერმანიაში წასაღებად ყოფილ თუ ამჟამინდელ საბჭოთა ქვეყნებში მოგზაურობდა. ახლა ხელსაყრელია აღმოსავლეთში საქმიანობა, ხალხი ზოგჯერ საოცარ რაღაცებს ყიდის გროშებად, მართალია, მთლად სასიამოვნო არაა, რასაც ვაკეთებ, მაგრამ სხვა რა დამრჩენიაო.

მერე ღიმილით გამანდო, ისტორიით იყო გატაცებული (განსაკუთრებით – აღმოსავლეთ ევროპის), რუსული ენა უყვარდა ძალიან და თურმე პატარაობიდან სწავლობდა, მამამისის ხათრით გამხდარა რესტავრატორი და ახლა თავისი ჰობის გამო ჩამოსულიყო ასეთ დროს, ასეთ ვითარებაში აქ მიხდოდა ვყოფილიყავი, მოვლენათა ეპიცენტრშიო, ასე თქვა. ორი წლის წინათ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდიო. რახან კედელი დაინგრა, გდრ აღარ არსებობს და მალე, ალბათ, საბჭოთა კავშირიც ჩამოიშლებაო. რუსეთის ბევრი ქალაქი შემოევლო ოქროს კოლხეთში ჩასვლაზე კი ყოველთვის ოცნებობდა შემოევლო.

– და ახლა აქ ვარ!

– ოღონდ, როგორც ხედავ, ბევრი არაფერი შემორჩა ოქროს კოლხეთიდან. არც ბრინჯაოს ხანიდან, – ისევ ჩაეცინა ეშმაკურად.

– თუ მიაგენი მაინც რამეს, განსაკუთრებულს?

– იცი, რა, ცუდად არ გამიგო, ამას მამაჩემისთვის ვაკეთებ. სიმართლე გითხრა, სულაც არაა სასიამოვნო, როცა იაფად ყიდულობ ადამიანებისგან, მით უმეტეს, მოხუცებისგან მათთვის უძვირფასეს ნივთებს...

– ესე იგი, სინდისმა შეგანუხა?

– Sorry.

გაიღიმა, ამჯერად ცოტა სევდიანად. ასე გულშიჩამწვდომად ჩვენში საერთოდ აღარ იღიმებიან-მეთქი, გავიფიქრე.

უფრო რამ დაგაინტერესა-მეთქი, – კვლავ ვკითხე.

– სახელისუფლო სტრუქტურები მაინტერესებს პოლიტიკაში. საბჭოთა კავშირის ისტორიაზე ვაგროვებ ინფორმაციას.

- რუსულ წიგნებში სახელისუფლო სტრუქტურებზე ბევრი არაფერი ეწერება. ალბათ, უფრო ძმობასა და თანასწორობაზე იპოვი მასალას, - ვარაუდი გამოვთქვი.

საერთო ინტერესები აღმოგვაჩნდა. მისი დასავლური ცხოვრების შესახებ გამოვკითხე, შესაბამისად, ჩემი ყოფითი დეტალებით დაინტერესდა. მერე კი იავარქმნილ ქუჩებში დავსეირნობდით და ვერც კი შევამჩნიეთ, როგორ მოსალამოვდა. შევთავაზე, ძველ უბანში რომელიმე კაფეში დავმსხდარიყავით, რასაკვირველია, თუ კიდევ ღიაა-მეთქი, და ლესელიძის ქუჩას დავუყევით. იაფფასიან, ნელ-თბილ ლუდს ვსვამდით (დენი არ იყო) და კიდევ რამდენიმე საათი ვსაუბრობდით სანთლის შუქზე. სევერინი ყოველი ჩამოსვლისას ერთ ქართულ ოჯახში ქირაობდა ბინას, მათ ამით გაჰქონდათ თურმე თავი. ორი კვირის წინ დაბინავებულა და კიდევ აპირებდა დარჩენას, ვიდრე საქმეს ამოწურავდა.

მოვუყევი, რომანის დანერას რომ ვაპირებდი და ისიც შევჩივლე, კარგ სამეცნიერო ლიტერატურას ვერ მივაკვლიე-მეთქი. სევერინმა მითხრა, საჭირო წიგნებით მოგამარაგებ, ოღონდ უმრავლესობა, რაც თან მაქვს, გერმანულ ენაზეაო. როცა იმედგაცრუება შემატყო, გარიგება შემომთავაზა: ქართული უნდა მესწავლებინა მისთვის, ის კი, სამაგიეროდ, შემასწავლიდა გერმანულს.

მალე დავმეგობრდით, ადვილად შევეჩვიეთ ერთმანეთს. ერთნაირი ლიტერატურული გემოვნება აღმოგვაჩნდა. თუმცა იმასაც მივხვდი, რომ უახლესი ლიტერატურის შესახებ ბევრი რამ არ ვიცოდი, რადგან ის წიგნები ჩვენთვის მიუწვდომელი იყო. თანამედროვე ხელოვნებაშიც ჩემზე ბევრად უფრო გათვითცნობიერებული იყო. ორივეს გვიყვარდა კინო, გვიყვარდა უდარდელი სეირნობა სანაპიროზე. სევერინი ვერ ისვენებდა, სულ რაღაცას ეძებდა და ამან ძალიან მალე დაგვაახლოვა. ერთადერთი, რაც მასში მაკვირვებდა და მახებვდა, ის იყო, რომ სოციალიზმს თვალეხს უუუუენებდა და გამუდმებით მარქსის ციტატებს იშველებდა, მართლაც გაუგებარი იყო, დასავლეთში მცხოვრებ ადამიანს თავისუფლად რომ შეეძლო პარიზში, რომში, ნიუ-იორკში ან ტოკიოში ემოგზაურა, რად უნდოდა საბჭოთა კავშირის ნანგრევების ხილვა ან ეს ეგზოტიკური თავგადასავალი აღმოსავლეთში, რარიტეტების ძებნა კაპიტალისტური ბაზრისთვის და თან იმ სისტემის უპირატესობებზე საუბარი, კარგა ხანია განწირული რომ იყო დასალუჰად.

სისტემატურად ვხვდებოდით ერთმანეთს. მის ნაქირავებ ბინაში ჩაის ან ლუდს ვსვამდით და თან სიტყვებს ვიზუთხავდით. სევერინი დასავლეთ ბერლინზე მიყვებოდა, ევროპაზე, სამყაროზე, რომელზეც მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა წიგნებიდან და ფილმებიდან. კითხვებს ვაყრიდი. ცოტა გზაბნეულივით იყო თავისი უდარდელობით. თითქოს სულ მოულოდნელობებს ეძებდა, საკუთარ თავს გაურბოდა, ყველაფერს,

რაც მისთვის ახლობელი და უსაფრთხო იყო. თითქოს მხოლოდ ის იყო მნიშვნელოვანი, რაც არ იცოდა. ერთხელ როდესაც ვკითხე, ასეთი შეპყრობილი თუ ხარ აღმოსავლური ქვეყნებით, უბრალოდ ისტორიას ან ფილოსოფიას რატომ არ სწავლობ-მეთქი, გამიღიმა ისევ თავისებურად, იგავურად მიაშობ, როგორ დაღალა მამამისთან ბრძოლამ წლების განმავლობაში. რამდენჯერ გაიქცა და მაინც ისევ დაუბრუნდა ოჯახს, რადგან არსად არაფერი გამოუვიდა.

- მამაჩემი ბიზნესმენია, ამას ვერ წაართმევ, იყნოსა, მალე ისტორიის ახალი ფურცელი დაიწერებოდა და იმიტომ გადაგვიყვანა მაშინ ბერლინში. არც შემცდარა. ძველი გდრ-ის ლამპებისა და შპალერის წყალობით გამდიდრდა. დასავლეთში ხალხი მზადაა, დიდი ფული გადაიხადოს ჩვეულებრივ საბჭოურ ქარხნულ ჭურჭელსა და ფარდებში.

ინგლისურ ენას ზღვის ჰაერის გემო ჰქონდა და თევზის ფარდულების სუნი დაჰკრავდა ოდნავ, კიდევ, შემოდგომის ჩამავალი მზისაც, ჩრდილოეთის სანაპიროზე, აგრეთვე, წვიმისაც. ფრანგული, რომელიც არასდროს მისწავლია, ალბათ, გარგრის ჟელესავით დამადნებოდა ენაზე და მშრალი თეთრი ღვინის გემოს დამიტოვებდა. რუსულის გემო უკიდევანო ველებში, ხორბლის ყანებში, სიმარტოვესა და ილუზიებშია. ხოლო ქართული, მტვრიანი და სავსე, ლამის ხვავიანი, ზოგჯერ ტყეში დამალობანას თამაშს მაგონებდა. გერმანული, რომელიც სევერინმა შემასწავლა, თავიდან ცივი მეჩვენა და მწარე, მერე წყალმცენარეების გემო მიეცა, მუქი მწვანე ხავსის, მერე ისევ გამკაცრდა, მაგრამ უფრო სასიამოვნოდ, მერე კი, დიდი ხნის შემდეგ, გერმანულმა ენამ ჩემთვის მნიშვე წაბლის გემო შეიძინა და სიმაღლის, თავბრუდამხვევი სიმაღლის.

სევერინმა ქართული ანბანის 33 ასო ისწავლა. ვისწავლე ისეთი სიტყვები, როგორებიცაა „დამპალი ქვეყანა“, „მჩაგვრელი“, „გენოციდი“ და „ცივი ომი“. შევაკონინე წინადადებები, მაგალითად, „როგორ ხარ?“ და „საიდან ხარ, დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან?“ ამის მერე დავიბეზირე საყოველღიურო სიტყვები: „სახლი“, „ბავშვი“, „გოგო“. დაბოლოს, მისი უაზრო და წარამარა სათქმელი „Okay“.

- რატომ არის გოგო საშუალო სქესი და არა მდედრობითი? - მოვითხოვდი აეხსნა.

- რადგან გერმანელები ზედმეტად გულჩვილები არიან, გესმის? არავის დაჩაგვრა არ უნდათ.

- და ვინ გრძნობს თავს დაჩაგრულად? სისულელე არ არის, რომ მე ვარ Das, შენ კი უეჭველად Der, - იმდენი ვიცინეთ, სანამ ცრემლები არ წამოუვიდა და არ განითლდა, რაც სევერინისწაირებს სულ არ შეეფერებოდა, მით უმეტეს, თვითონ ისე დაიარებოდა ამ ქვეყანაზე, თითქოს შუბლზე სტიკერი ჰქონდა აკრული: „მე ვერაფერი შემარყევს და ვერაფერი გამომიყვანს წყობიდან“.

- შეიძლება ისეთმა ადამიანმა იგრძნოს თავი დაჩაგრულად, რომელიც არც ერთია და არც მეორე. მაგალითად, მე.

- შენ ხომ მამრობითი სქესის ხარ. რამ უნდა დაგჩაგროს, გეხვეწები?

- იცი, მე ვაცები მიყვარს.

- ა, გასაგებია. მაგრამ მაშინ ხომ ორმაგად Der ხარ?

და სევერინი ისევ ჩაბუირდა.

- ეს ისეთი ლოგიკაა, რომელიც ჩემს სექსუალურ ორიენტაციას ჩემი მშობლებისთვისაც კი დამაჯერებელს გახდიდა, ალბათ.

- საბჭოთა კავშირში ამის გამო ციხეში ამოყოფდი თავს, - დავამატე ჩაფიქრებულმა, დავითის ამბავი ამომიტივივდა.

- გმადლობ, რომ შემატყობინე. ამან ძალიან მანუგეშა. გერმანიაში კასტრირებას ამჯობინებენ. ცხოვრება მშვენიერია, არა?

- მართლა?

- ჰო, და ცხელი რკინით ამოატვიფრავენ მკერდზე სიტყვას „მამათმავალი“.

- ღმერთო, მაშინ იქნებ მართლა ჯობია, აქ დარჩე, - ისევ სიცილი აუტყდა, თან ხელისგულს ირტყამდა ფეხზე.

- არა, ასეც არ არის საქმე! ჩვენთან ყველაფერი რიგბეა. მაგრამ მამაჩემის ნება რომ იყოს, მაშინ ნამდვილად ასე იქნებოდა.

- ასეა თუ ისე, მხოლოდ ის მინდა, რომ რაც შეიძლება გამიხანგრძლივო ხოლმე გერმანულის ვაკვეთილები და შენი წიგნებიც არ მომაკლო, - ვუთხარი და სიგარეტს მოვუკიდე.

- კაი, გასაგებია.

ამის შემდეგ უკვე თან დავყვებოდი, როცა ხალიჩების, სავარძლების, ვერცხლის დანა-ჩანგლის, ჭურჭლისა და ნაირ-ნაირი აბაჟურების სანახავად დადიოდა. სხვადასხვა ბინასა და სახლში გვეპატიუებოდნენ რაღაცების დასათვალიერებლად. მე ვთარჯიმნობდი, მაგრამ როცა დავინახე, როგორი სინანული აღებეჭდა სახეზე ომის ვეტერანს, თავისი ორდენი რომ უნდა გაემეტებინა გასაყიდად, თანაგრძნობამ გული ამიჩუყა და სევერინს ვუთხარი, ეს ყველაფერი ხასიათს მიწამლავს და უჩემოდ მიხედე მამაშენის ბიზნესს-მეთქი.

18 აგვისტოს, როცა გორბაჩოვი ყირიმში ისვენებდა, სკკპ-მ სხვა რეაქციულ და კონსერვატულ ძალებთან ერთად უკანასკნელად სცადა გარდაქმნის შეჩერება. საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს, საკავშირო ხელშეკრულებას აუშხედრდნენ, კომუნისტურ სისტემაში ნებისმიერი დათმობა ამ სისტემას ბოლოს მოუღებსო, დაასკვნეს და სუკს მხარდაჭერა სთხოვეს (მისი თავმჯდომარე იმ პუტჩის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო). პუტჩმა მარცხი განიცადა, პარტიის სამმა ფუნქციონერმა თავი მოიკლა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გორბაჩოვის დღეებიც დათვლილი იყო უკვე. ვერც იმან უშველა, რომ კგბ-ს გაუქმებას, უფრო სწორად - როგორც მერე აღმოჩნდა - რეორგანიზაციას

დასთანხმდა, ვერც იმან, რომ საკუთარი ძალაუფლების დემონსტრირებისთვის პუტჩისტები დააპატიმრა. ამასობაში ელცინმა დრო იხელთა, კომპარტია კანონგარეშედ გამოაცხადა მთელ ტერიტორიაზე და მისი საკუთრების კონფისკაცია მოახდინა. მართალია, ქაღალდზე გორბაჩოვი რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტად დარჩა, მაგრამ 24 აგვისტოს მოსკოვის მთავრობის სახლზე უკვე სამფერიანი რუსული დროშა ფრიალებდა.

საბჭოთა კავშირმა, ქვეყანამ, სადაც დავიბადე და გავიზარდე, არსებობა შეწყვიტა.

როდესაც სპარსეთის ყურეში მეორე ომი დაიწყო, მირს გვერდით ვინეცი და ვფიქრობდი, როგორ უნდა გადამეტანა მომავალი ბამთარი ისე, რომ ჭკუა არ დამეკარგა. სულ უფრო ხშირად ითიშებოდა დენი. იძულებულნი ვიყავით, ძველი ნავთის ლამპები მოგვეძიებინა... ცენტრალური გათბობის სისტემაც აღარ მუშაობდა. ასე რომ, ბამთრის დადგომისთვის სხვაგვარი მომზადება გახდა საჭირო. ხალხი შეშასა და ნავთქურებს იმარაგებდა, ცოტათი მაინც რომ გამთბარიყვნენ. ისტორიას ვინ დაეძებდა, სხვა საბრუნავი ჰქონდა ხალხს.

* * *

მარტო ღმერთებს არ ეშინიათ მსხვერპლის.
იქნებ სცადოთ და შეხვდეთ ღმერთს რომელიმეს.
ცვეტაევა

თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ქალაქი ნყვდიადში ჩაძირულიყო. ყველა ყველას უპირისპირდებოდა: ოპოზიცია, – თუმცა ვეღარ გაიგებდი, ამათ ვინ განეკუთვნებოდა – გამსახურდიას ებრძოდა, კომპარტია თავის გადასარჩენად იბრძოდა, კერძო არმია ძალაუფლებისთვის, პარტიზანები ანარქისტებისთვის, კრიმინალები სამართლიანობისთვის, ინტელიგენცია შევარდნაძის მხარდასაჭერად, დანარჩენები კი – სადღაც შუაში გაეჩხირნენ. გახშირდა სროლა, კომენდანტის საათი შემოიღეს. ბარიკადები აღიმართა ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა, მეგაფონის ხმა ყოველდღიური ცხოვრების ფონად იქცა.

ამის მიუხედავად, სევერინს მაინც არ უნდოდა გამგზავრებულიყო. შევწუხდი მოვლენების ამ ტრაგიკული განვითარების მიმართ მისი დაუოკებელი ინტერესით. ვუსაყვედურე, მარტო იმიტომ მოგწონს ამჟამინდელი მოქმედებების დამანგრეველი პოტენციალი, რომ ჯანსაღი სამყაროდან ხარ-მეთქი. სიცვივს მაინც არ ვეპუებოდი და ვწერდი. პოკერის თამაშისთვის აღარავის ეცალა, ბიჭებს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გამოუჩნდათ. ყველგან ნავთის სუნი იდგა. ყველგან ციოდა. შეწუხებული ადამიანები შიშით აქეთ-იქით იყურებოდა და ძირს თუ რამე დაეცემოდა, დამფრთხალნი შეხტებოდნენ ხოლმე.

ახალ 1991 წელს გვინდოდა მწვანე სახლში შევხვედროდით ერთად, რადგან თბილისში ისევ ისროდნენ და ჩვენს მეზობლებს ფანჯრები დაუცხრილეს. დარია ყოველკვირა რეკავდა შეწუხებული, მაგრამ ფულს აღარ უგზავნიდა კოსტიასა და ნანას. ვეჭვობდი, რომ ცუდად იყო, მაგრამ ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა, ჩემი სადარდებელიც მყოფნიდა.

სამოქალაქო ომთან ერთად სხვა რამეც დაატყდა ქვეყანას: ჰეროინი. სულ უფრო ხშირად პოულობდნენ ნახმარ შპრიცებს სადარბაზოებში. მეტროში იმატა შუშის თვალებმა, დაშტერებულმა სახეებმა.

ჩვენ ვყიდდით და ვყიდდით ყველაფერს. დედაჩემმა თავისი საქორწინო ბეჭედიც კი დააგირავა. როცა აღარაფერი დაგვრჩა გასაყიდი და ჩემი ფულიც შემოგველია, პოკერის თამაშით რომ დავაგროვე, სტასიამ განაცხადა, რომ გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობდა მხოლოდ. იმავე ღამეს უგემრიელესი სურნელი მოედო მთელ სახლს. ნახევრად მიძინარენი, ღამის პერანგებიანი და პიჟამებიანი შევბანცალდით სამზარეულოში და იქ ჩვენი ოთხმოცდათერთმეტი წლის სტასია აღმოვაჩინეთ მაგიდასთან – წინ შოკოლადის ტორტი ედო.

– ეს რა არის? – ნამოვიძახე და კინაღამ საჩვენებელი თითი ჩავტაკე დიდებულ ტორტში, მაგრამ ნანამ დროულად გამაჩერა, სტასიამ კი ამიხსნა, რომ ტორტი მამამისის ძველი რეცეპტით გამოაცხო. ჩვენ კი ქალაქში უნდა წაგვედო და რომელიმე ახალგაზსნილ, პატარა ფარდულში ჩავგვებარებინა, ნამცხვრებით რომ ვაჭრობდნენ.

თავიდან ყველამ სიგიჟედ მივიჩინეთ ეს, მაგრამ მერე ელენემ აღტაცებით წამოიძახა, ერთ კაცს ვიცნობ, ტკბილეულის მაღაზია აქვს და ხვალვე მივუტან ამ ტორტსო.

მეორე დღეს დედაჩემი თბილისში წავიყვანე ჩემი მანქანით და ერთად ჩავიტანეთ ტორტი სარდაფის პატარა მაღაზიაში, მის ნაცნობთან მსუქანმა, წვერგაუპარსავმა კაცმა უხალისოდ ჩაიბარა და, რა თქმა უნდა, ბევრად ნაკლები გადაგვიხადა, ვიდრე თავდაპირველად მოვითხოვეთ, ასე თქვა, ვნახოთ, როგორ გაიყიდებაო. ცალკეულ ნაჭრებად უკეთ წავა, მთელ ტორტს ახლა მხოლოდ მხედრიონელი თუ გასწვდებაო.

მაგრამ მეორე დღეს ტორტი უკვე გაყიდული იყო და იმ კაცმა კიდევ სამი შეუკვეთა ელენეს. ორ კვირაში ათი ტორტი გაყიდეთ. სტასიამ უარი განაცხადა ოჯახის წევრების მიერ შეთავაზებულ დახმარებაზე და დაიჟინა, სავარაუდო რეცეპტის საიდუმლო უნდა დავიცვაო. მხოლოდ მე შემარჩია ხელისშემწყობად ამ საძნელო საქმეში.

– მხოლოდ ნიცა. მეტი არავინ. ის არის ერთადერთი, ვინც წყევლას არ შეეპუება!

დედაჩემმა და ნანამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს. თავიდან სულაც არ მესიამოვნა, სტასიამ მაინცდამაინც მე რომ გამომარჩია, საერთოდ ვერ ვეგუებოდი სამზარეულოში ფუსფუსს და, რაც მთავარია, არც გამოვირჩეოდი ცხობის ნიჭით.

მაგრამ სტასიას ვინ რას გადაათქმევინებდა და მეც თავი იმით დავიმშვიდე, რომ სამზარეულოში განმარტობეულებს ხელს ვერავინ შეგვიშლიდა, სტასიას ძველი ამბები რომ მოეყოლა; ეს ყველაფერი ჩემი წიგნისთვის მჭირდებოდა. პირველ დამეს, როცა ვუყურებდი, როგორ ხარშავდა შოკოლადს, ისევ ის მაცდუნებელი სურნელი გამახსენდა, ქრისტინეს ბინაში ლოგინებიდან რომ წამოგვყარა მე და მირო და სამზარეულოში შეგვიტყუა. სანამ სტასია მუქ მასას ურევდა, შოკოლადის ფაბრიკანტის ცხელი შოკოლადისა და, როგორც თვითონ სჯეროდა, მისი თანმდევი წყველის ამბავი მომიყვა.

- არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგესინჯა, ახლა რაღას ვიზამთ, ჩემს ცხონებულ დას არასდროს სჯეროდა ჩემი. მაშინაც კი ვერ დარწმუნდა, როცა პატარა დიდი კაცი ჩადო მიწაში ამის მეშვეობით. მაგრამ შენ, შენ უნდა შემპირდე, უნდა დაიფიცო, რომ სუფთა სახით არასდროს მოუხარშავ საყვარელ ადამიანს, სიტყვა მომეცი... ტორტისთვის კი მხოლოდ ორი სუფრის კოვზი შოკოლადია საკმარისი.

გარდა შოკოლისა, მომთენთა იმ სურნელმა, შეზავებული მასა რომ აფრქვევდა. დავაკვირდი, როგორი თანმიმდევრობით შემატა ინგრედიენტები დაბერებული, მაგრამ მაინც მარჯვე ხელებით, ფრთხილად, დაკვირვებით, ყველაფერი გულმოდგინედ გასინჯა და აწონ-დანონა, თითქოს წამალს ამზადებდა, სანამლავს და არა იმ ღვთაებრივ შოკოლადს. რაღა თქმა უნდა, მისი არც ერთი სიტყვა არ დავიჯერე. ბოლოს და ბოლოს, შოკოლადი საჭმელი იყო, ავტლევკდი მთლიანად. მაგრამ სტასია თვალყურს მადევნებდა მკაცრად, თითოც რომ არ ჩამეყო ქვაბში. სტასიას ტორტებმა გადაგვატანინეს ის ზამთარიც და გაზაფხულიც, და როცა 1991 წლის ივნისში ბორის ელცინი რუსეთის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს, ჩვენი ტორტების ბიზნესი უკვე ქუხდა. ქვეყანა ინგრეოდა, ხალხი კი ტორტებით სკდებოდა.

- რაც უფრო ცუდი დროებაა, მით უკეთესია კონდიტერიის ბიზნესისთვის - ასე ამბობდა ხოლმე მამაჩემი, - სტასია მანტრასავით იმეორებდა ამ სიტყვებს, სანამ მის გვერდით ვიდექი სამზარეულოში და დროდადრო შევენაცვლებოდი ხოლმე შავი მასის მორევაში.

სანთლის შუქზე უფრო გამხდარი ჩანდა, ლოყები ჩაცვენოდა, თვალები ულაპლაპებდა, კაბა ეკიდა სხეულზე და რბილად აღარ ეტმასნებოდა თეძოებზე. ცხენის კუდად შეკრული თმა ჩაეხვია და ისე, დაუდევრად დაემაგრებინა. მიუხედავად ამისა, აეროპორტში მაინც ცნობდნენ და თუმცა ავტოგრაფს არ სთხოვდნენ - რაც დენგათიშულ და ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში მაინც შეუძლებელი იქნებოდა, თვალს აყოლებდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

დიდხანს ვიდექით ჩახუტებულები.

- შენი ქმარი სად არის? - ვკითხე დარიას.

- მოსკოვში დარჩა.

- ძალიანაც კარგი, ესე იგი, უფრო მეტ ხანს იქნები ჩვენთან. მწვანე სახლი გელოდება, საყვარელი კერძები მოგიმზადეთ.

- როგორ მიხარია, რომ ისევ შინ ვარ, - თქვა დარიამ, მანქანის უკანა კარი გამოაღო და თვალის დახამხამებაში სავარძელზე მოკალათდა.

კოსტია საგანგებოდ გამოეწყო პატივსაცემად, თეთრი პერანგი და უბადოდ დაუთოებული შარვალი ჩაიცვა. გვიან ვივახშმეთ და დარიამ მოსკოვის ამბები გვიამბო, თავის მსახიობურ წარმატებაზე ილაპარაკა, ხოლო ელენემ ლაშას საქმიანობაზე რომ ჰკითხა, დარიამ პასუხს თავი აარიდა და თემა შეცვალა.

სამი დღის შემდეგ თავის ცარიელ ბინაში წავიდა, „რაღაცები უნდა მოვაგვარო“ და რამდენიმე დღე აღარ გამოჩენილა. ტელეფონი გათიშული იყო, ასე რომ, მივაკითხე. სადარბაზოში მისი ბინიდან ხმამაღალი მუსიკა და ყაყანი გამოდიოდა. გამიკვირდა, რომ წვეულება გამართა და საჭიროდ არ მიიჩნია, მეც მივეპატიუებინე. როცა კარი გამიღო, იქაურობა სავსე იყო უცხო ხალხით. მხოლოდ რამდენიმე მისი ყოფილი თანაკურსელი ვიცანი. სტუმრები მთელ ბინაში ტრიალებდნენ, არაყს სვამდნენ, გიტარაზე უკრავდნენ, მღეროდნენ ახრჩოლებული ნავთის ლამპების შუქზე. ერთი სიტყვით, დიდი აურზაური გაეჩაღებინათ, თანაც ამდენი ხნის გამოკეტილი და დამტვერილი ოთახებისთვის დარიას ხელიც არ ეხლო. გაოგნებულს ვიღაცამ არყიანი ჭიქა მომაჩეჩა ხელში, მწარე სითხე ერთიანად გადავყლურნე, ოდნავ გათამამებულმა მივუგდე ყური იმ მთვრალი ადამიანების ლაყბობას, თან ჩემს დას არ ვაშორებდი თვალს. ასეთი არასდროს მინახავს: ზედმეტად თავისუფალი, ხმაურიანი, ცოტა ვულგარულადაც კი იქცეოდა, ხან ვის ეტმასნებოდა და ხან ვის, ბზრიალებდა და უწმანურ რუსულ ანეკდოტებს ჰყვებოდა, მოუღლელად სხმარტალებდა, ცოტა ხანში ვიღაც მთვრალი ვაცის მუხლებზე აღმოჩნდა, რომელმაც მაშინვე დაუნყო ხელების ფათური, მაგრამ დარია არც შენიშნა აღმდეგებია.

ტუალეტში შესულს, შევყვი და კარი ჩავკეტე.

- რა გჭირს?

- არ დამიწყო ახლა ჭკუის სწავლება. ამდენი ხნის განშორების შემდეგ ისე მომენატრნენ ყველანი, ჩემი მეგობრები...

- შენი მეგობრები? კარგი ერთი, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობას პირველად ხედავ. რაღაც ხდება. ძალიან გთხოვ, დარია, კი არაფერს გიკრძალავ, უბრალოდ, მინდა, კარგად იყო, ამდენი ხანია არ მინახავხარ, ისე მენატრებოდი და მეგონა...

უცებ ყელზე ჩამომეკიდა და ატირდა.

- ცუდადაა საქმე. არ ვიცი, რა გზას დავადგე. ლაშა... ლაშას სერიოზული პრობლემები აქვს.

სულმოუთქმელად მიაბზო, რომ ლაშას თავიდანვე ცუდად წასვლია საქმეები, მშობლების დახმარებაზე დამოკიდებულს, ცხოვრების დონის შენარჩუნება მოუნდომებია და მოსკოვის ორომტრიალში თავიც დაუკარგავს. კარგა ხანია ჰეროინზეა და ზოგჯერ რამდენიმე დღით გადაიკარგება ხოლმეო. თუმცა დარია მაინც ჯიუტად იმეორებდა, რომ უყვარდა ლაშა, სწყინდა, რომ მის მიტოვებას ვერჩევდა. მერე სახე მოიბანა, ღიმილი აიწება და გაბრწყინებული დაბრუნდა მისაღებ ოთახში, სადაც ჟივილ-ხივილით შეეგებნენ.

დარიამ თავიდანვე იცოდა, რა ადგილი შეეფერებოდა ამქვეყნად, რას უმზადებდა ცხოვრება, ეჭვი არაფერში შეჰპარვია, დარწმუნებული იყო საკუთარ შესაძლებლობებში. და მაინც შეცდა ცხოვრების თანამგზავრის არჩევაში, თვითონვე მისცა მას ამ სამყაროს შერყევის უფლება. პირდაპირ უცინოდა და ეუბნებოდა: „რახან გიყვარვარ, უფლებამოსილი ხარ, წარმტაცო ყველაფერი, რაც შენ ბედნიერებას მოგანიჭებს“.

ჰოდა, ისიც ასე მოიქცა.

ჩემ წინამე იდგა ლოყებჩაცვნილი და თვალეზამოღამებული დარია. ლურჯი თვალი შუშასავით გამჭვირვალე ჰქონდა, მეორე, ყავისფერი თვალი კი – ამღვრული. დარიამ წონასწორობა დაკარგა.

და როცა ვუყურებდი, როგორ ეცეკვებოდა ვიღაც იდიოტს ატმასნილი, საშინელ რამეს მივხვდი: ლაშამ იმდენი ქნა, რომ დარია თავის კომშარად აქცია. მას ჩაუსახლა თავისი შიშები, კომპლექსები და მანიები. და დარიას წინააღმდეგობა არ გაუნევია. ლაშამ მისი სიყვარული მოსპო, დაჭაობებულ ტალახად აქცია, გაუნადგურა და ჩაუკლა იმედი უკეთესი ცხოვრებისა. სხვაგვარად ვერ შეძლებდა მის მიღებას. ვუყურებდი, როგორ ცეკვავდა ჩემი ერთ დროს ამაყი დაიკო და გული მიკვდებოდა.

სადღა იყო საოცარი, ყელმოღერებული, უშფოთველი დარია, კოსტიას სამეფოს სწორუპოვარი დედოფალი, ან საერთოდ, კოსტიას სამეფო სადღა იყო? რას დაემსგავსა ჩვენი ცხოვრება?

სამი დღის მერე ნერვებდანყვეტილმა ალექომ ასეთი ამბავი შემატყობინა, დავითს ვიღაცები გადადგომიან ქუჩაში გასაქურდად. როცა უნახავთ, საფულე ცარიელი ჰქონდა, ოქროს ძენკვი მოუთხოვიათ, მაგრამ შეწინააღმდეგებია (ვცდილობდი გამეხსენებინა, ოქროს ძენკვი მის ყელზე შემომჩნევია საერთოდ? არა).

- მოკვდა? - ვკითხე ალექოს და თვითონვე გამიკვირდა, როგორ შევიკავე თავი.

- ცხრაჯერ ჩაურტყამთ დანა. რომელიმე კრიმინალური დაჯგუფებიდან იქნებოდნენ, ან მხედრიონელების ძმაკაცები.

- ერთი ძენკვის გამო?

- ერთი ძენკვის გამო.

სააბაზანოში ჩავიკეტე და რამდენიმე საათი არ გამოვსულვარ. მოგონებებში ჩავიკარგე. ჩემ თვალწინ გაირბინა წარსულის წლებმა. დრო თითქოს მუხლებზე დამემსხვრა. ათიოდე წლისა დავითთან ვიყავი. ვხედავდი ნახატებს და სურათებს კედლებზე, ვგრძნობდი ცხელი ჩაის გემოს ენაზე, მესმოდა მისი ხმა. ახლა იმასაც კარტის თამაში უნდა დაეწყო სხვა აჩრდილებთან ერთად? დავითს არ უყვარდა კარტი. თუ მაინცდამაინც, ნარდს უფრო ითამაშებდა. ტირილი ვცაადე. ვერასდროს ვახერხებდი. ცრემლი არ მქონდა. მძულდა ეს ქვეყანა, მძულდა ის ადამიანები, მძულდა ის აბაზანა, მძულდა საკუთარი თავი და ჩემი უსუსურობა. რატომ ქნა ეს? რით ვერ გაიმეტა ის ძენკვი? სიცოცხლე როგორ არ დაენახა? გამახსენდა სისხლიანი აბაზანა, მაშინ, ზღვაზე, მშვენიერი რუსა და მისი ნაძალადევი უღარდებლობა თოვლში, თვეების მერე, ბაკურიანში რომ შევხვდით ერთმანეთს მოულოდნელად.

ჩემი სამყარო აყირავდა.

...ქრისტიანეს ნახევარი სახე, ანიოკებული ხალხი 9 აპრილს, უკანასკნელი ორი ზამთრის სიცივე, სიბნელე ქუჩებში, დავითის სიტყვები, ჩვენი ბოლო შეხვედრა, ის მაგარი ჩაი, ჩემი სასონარკვეთილი დის სხივჩამქრალი თვალები, მიროს სიცილი, ჩიხში მოქცეული დრო, ჩემი ნაწერებით გადავსებული ფურცლები (ნეტა რას ვწერდი?), დედაჩემის მოღუპული სახე, ცხელი შოკოლადის სურნელი... ყველაფერი აიზილა წამით ჩემს თავში.

რამდენ ხანს უნდა ვყოფილიყავი იქ? ან რას შეცვლიდა და რა აზრი ჰქონდა გლოვას?

ლოყაზე ვიტკიცე ხელი. რამე მაინც მეგრძნო. მინდოდა მტკენოდა. დავითთან მინდოდა. მენანებოდა, წუთისოფელი რომ დატოვა, იმდენი რამე მქონდა კიდევ სათქმელი... კედლის მიღმა დედაჩემმა კიტი ჯაშის ალბომი „შინ“ აახშიანა და, ალბათ, პირველად მოხდა, რომ გულისყურით მოვუსმინე მის მუსიკას. და, ალბათ, კიტის მუსიკამ ამომიყვანა უსასრულო, გამოშიგნული საათების მერე აბაზანიდან, ბრილვა, და იმის ძალაც მომცა, გარეთ გავსულიყავი.

- იცით, რატომ მოუნდა ახლა ყველას, მის ყოფილ თანამებრძოლებსაც კი, გამსახურდიას მოშორება? იცით, რატომ დაიწყეს მისი ლანძღვა? - ისევ იფეთქა კოსტიამ ვახშმის დროს, როცა ჩვეულებისამებრ სანთლის შუქზე ვისხედით სამზარეულოს მაგიდასთან და ელემენტებზე მომუშავე რადიოს ვუსმენდით, - მიხვდნენ ნელ-ნელა, რომ დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრების წესის შეცვლა მოუწევთ. წერტილი დაესმება პირდაპირ რეისებს მოსკოვში და იქაურ რესტორნებში გრიალს რუს ქალებთან, დასრულდება კავკასიური ბაქიბუქი და პრივილეგიები, თავს ვეღარ მოიწონებენ მზიური საქართველოთი. ამას კი ვერასდიდებით შეეგუებიან.

ქვეყანაში გამოსვლები გრძელდებოდა. პურის საშოვნელად მთელი ღამე უნდა მდგარიყავი რიგში. ეროვნული გვარდია და მხედრიონი უარს ამბობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობაზე. კანონს დიდი ხანია გადააბიჯეს – ან ვინღა იცავდა კანონს საერთოდ – და საკუთარი კანონები დააწესეს. ვერც ერთი ხელისუფალი ვეღარ უბრძანებდა, რა გაეკეთებინათ და რა – არა. როცა 1991 წლის ბოლოს გამსახურდიამ ყველა რუსული ტელეარხი გაათიშინა ნეგატიური რუსული პროპაგანდის ჩასახშობად, უკმაყოფილების ახალი ტალღა აგორდა.

ამჯერად უკვე ჩვეულებრივი მოქალაქენი, სულ ცოტა ხნის წინ გულანთებულნი დემონსტრაციებზე „თავისუფლებას“ და „სუვერენიტეტს“ რომ მოითხოვდნენ, ახლა იმას ჩიოდნენ, რუსულ „კულტურას“ ჩამოგვაშორესო.

ჩვენ ტორტებს ვაცხობდით ბუდაპეშტსა და ვენაში ნასწავლი კონდიტერის რეცეპტით, ფქვილსა და რძის ფხვნილს USAID ეწერა, კაკაოს კი წითელი ვარსკვლავი ამშვენებდა. ამასობაში ეროვნულმა გვარდიამ, მხედრიონთან ერთად, ქალაქის ყველა მნიშვნელოვანი შენობა დაიკავა და თავისი გუმაგები ჩააყენა იქ. რუსთაველის გამზირი ისევ აივსო ხალხით. ისევ გახშირდა სროლა, ისევ იყვნენ დაღუპულები და დაჭრილები. ყველაზე მეტად ის მაცოცხდა, თუ როგორი გულგრილობით შეხვდნენ ქალაქში ამ საომარ მდგომარეობას. ხან რას წაევიდებოდა ქალაქში ცეცხლი და ხარ რას. ინვოდა შენობები, კალაშნიკოვები არ ჩერდებოდა, მოქალაქეები კი მაინც განაგრძობდნენ ყოველდღიურ საქმიანობას.

მეტრო ასე თუ ისე მუშაობდა, კინოთეატრები ღია იყო, გაშტერებული ხალხი იდგა ხოლმე შუა ქუჩაში და აკვირდებოდა, როგორ ტენიდნენ ჯარისკაცები იარაღს. ერთხელ გზად მიმავალ სევერინს წინ გადაუდგნენ და პირნიშნად გაქურდეს. შეშინებულმა თავისი წიგნები მომაბარა და ქვეყნიდან გაცლა ამჯობინა; დამპირდა, რომ დაბრუნდებოდა, როგორც კი თავის მონაგარს დააბინავებდა. გამგზავრების წინა დღეს მწვანე სახლში მივიპატიჟე, ვისხედით და უსიტყვოდ შევექცეოდით ღომს და ყველს. მართლა ძალიან შევეჩვიე, ვაფასებდი ჩვენს მეგობრობას, გერმანულს ხომ მთელი მონდომებით ვსწავლობდი, დავპირდი კიდევ, რომ მის ჩამოსვლამდე დამოუკიდებლად განვაგრძობდი მეცადინეობას. მგონი, იმასაც უჭირდა ქაოსიდან ისევ წესრიგში დაბრუნება.

- ევროპაში უნდა წასულიყავი, ნიცა, - მოთხრა სევერინმა გერმანულად.

- ევროპაში, ჰო, ევროპაში. აკი მეუბნებოდი, ისტორიის ეპიცენტრში ყოფნაა საჭიროო?

- მართალია, მაგრამ, ალბათ, მეც შევიცვალე ან უბრალოდ დავიღალე. შიშმა მომქანცა, ადრე არაფრის მეშინოდა, აქ რომ ჩამოვედი, მით უმეტეს. ახლა კი...

მოსაღამოებულზე სხვენში ავედით, აივანზე დავსხედით, სიგარეტს ვწნოდით და ვარსკვლავებით მოჭედებულ ცას გავყურებდით. კუთხეში, პატარა მაგიდაზე, ერთმანეთზე ეწყობო ძველი წიგნები და რამდენიმე რვეული, სახვე ჩემი ჩანანერებით. იქ იყო ჩემი სამფლობელო, ჩემი თავშესაფარი წლების განმავლობაში. ყოველდღიური ქაოსის მიუხედავად, თავისი ადგილი მივუჩინე სევერინს, რომ არ დამევიწყებინა, რას ვიფიქრებდი, თუ კიდევ შევხვდებოდი.

* * *

რუსეთის ფარგლებში იმდენი სუვერენიტეტი აიღეთ, რამდენსაც მოერევით.

ელცინი

7 იანვარს სამოქალაქო ომი დასრულდა და მხედრიონმა გამარჯვების ნიშნად შამპანურები ააშუშუნა მთავრობის სახლთან, გამსახურდია აიძულეს გაქცეულიყო, და როცა სომხეთმა არ შეიფარა, ჩეჩნეთმა მიიღო ლტოლვილი პრეზიდენტი ამალითურთ. დემონსტრაციები კვლავ გრძელდებოდა, გამსახურდიას მომხრეები ისევ დგამდნენ კარვებს თბილისის ყველა კუთხეში, მაგრამ მხედრიონმა და ეროვნულმა გვარდიამ ცეცხლი გახსნა. დასავლეთ საქართველომ და, უპირველესად, სამეგრელომ, გამსახურდიას მომხრეთა სხვა რეგიონებმაც, ბარიკადები გამართეს.

გაჩნდა ქართულ პოლიტიკაში შევარდნაძის დაბრუნების მოთხოვნა. ქვეყანა უწესრიგობა-განუკითხაობაში ჩაიძირა და თანდათან გაცხადდა ისიც, რომ მხედრიონი და ეროვნული გვარდია ძალაუფლებისთვის კვლავ ბრძოლას გააჩაღებდნენ.

1992 წლის მარტში, შევარდნაძე რომ დაბრუნდა თბილისში, ცოტა ხანში ჩემი დაც ჩამოვიდა და ბავშვობის ოთახში შეიყუჟა, განაცხადა, ლაშასთან ურთიერთობა გამირთულდა, ვალებიდან ვერ გათავისუფლდა, ამიტომ არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს თქვენთან დარჩენაო. კატეგორიულად უარი თქვა, ყველაფერი მოეყოლა, თვით კოსტიასაც კი აუკრძალა, აღარაფერი მკითხოთო. ისე, ცოტა მოფერიანებული ჩანდა შარშანდელთან შედარებით, როცა ორი კვირა ქეიფში გაატარა. თუმცა სულ ფიქრებში იყო წასული, სულ აფორიაქებული და დამფრთხალი; მისი მომხიბვლელი ღიმილიც კი ხელოვნური და ნაძალადევი გახდა. ყველაფერი, რასაც ადრე თავისუფლად გამოხატავდა, - ის ბედნიერება, ასე დიდებულად რომ ასხივებდა ყოველთვის, მისი კმაყოფილება ცხოვრების ეპიცენტრში დგომით, ურყევი რწმენა, რომ ყველაფერი მისი

იქნებოდა, რასაც კი ხელს დაადებდა, – თითქოს დაიშრიტა, სულ მთლად ამოიწურა.

ვდარდობდი, ასეთ გამოფიტულს რომ ვუყურებდი, და გადავწყვიტე, უფრო მეტ ხანს ვყოფილიყავი მის გვერდით, გამემხნეებინა, გამერკვია, რას მალავდა და ამეხსნა მისთვის, ბოლოს და ბოლოს, რომ უკვე დრო იყო, უარი ეთქვა ქმარზე. მაგრამ დარია თევზივით მისხლტებოდა, თავს არიდებდა გულის გადაშლას, ეს საქმე ყოველთვის ოსტატურად ეხერხებოდა. წარსულსა და აწმყოს შორის მისი სიყვარული – მისი ქმარი და მოსკოვი ჩადგა, კიდევ ის უთვალავი წამი და შეგრძნება, ჩემ გარეშე რომ განვლო და ცხოვრებისეულ გამოცდილებად დაიგროვა.

სულ რაღაც ორ კვირაში მოულოდნელად, ლაშაც გამოგვეცხადა კართან. გამხდარს ავადმყოფური მოყვითალო ფერი დაჰკრავდა სახეზე. მისმა გამოჩენამ დარია უცებ ისევ გამოაცოცხლა. დაიწყო მასზე ზრუნვა, სულ ლოყებზე უთათუნებდა ხელს, საყვარელ კერძებს უმზადებდა, აღარ უჩიოდა სიცივესა და უშუქობას, ეხუტებოდა, ეფერებოდა და არც იმჩნევდა, ლაშა თავს რომ არიდებდა და ყურადღებას არ აქცევდა. თითქოს ვერ ხედავდა, მის კოცნას რომ არ ჰასუხობდა და ალერსს გაურბოდა. არ შემეძლო ამის ყურება. თვალს ვარიდებდი დარიას. ვეღარ ვუძლებდი მის გასაცოდავებას. ამ კაცმა რაღაც საშინელება დამართა ჩემს დას, წაართვა რაღაც ძალიან ფასეული, დაუმძიმა ცხოვრება, რასაც ვერანაირად შევურიგდებოდი.

კიდევ ერთხელ მოვინდომე მათ ცხოვრებაში ჩარევა. მაგრამ ამ ბრძოლაში მართო ვერ გავიმარჯვებდი. იქნებ კოსტიას შევეკრა-მეთქი, ესეც გავიფიქრე. იქნებ მთელი თავისი მრისხანე ენერგია ლაშას დაანთხიოს და როგორმე აიძულოს, დარიას ჩამოშორდეს-მეთქი. ასე რომ, მადლობელიც კი ვიყავი კოსტიასი, მწვანე სახლში რომ დატოვა ცოლ-ქმარი და გამოკეტილ ბინაში არ გაუშვა. პროდუქტი ისევ ძნელად იშოვებოდა ქალაქში, თანაც, ჩვენთან უხიფათოდ იცხოვრებდნენ. საძინებელი დავუთმე დარიასა და ლაშას, სტასიასთან გადავბარგდი. ისედაც სულ ერთად ვიყავით, რადგან ნავთი და შეშა არ გვყოფნიდა ყველა ოთახის გასათბობად.

ერთად გატარებული დღეების შედეგად ვითარება უფრო დაიძაბა დარიასა და ლაშას შორის. აყვირდებოდა: რა არ გავაკეთე ამ „უმაქნისი პატარა ბოზისთვისო“, კარს აწყდებოდა ლაშას ღრიალი. არც დარია ეპუებოდა: უმადური ღორი ხარ, შე ტრაკო, რისი გამკეთებელი ხარო, უწიოდა ისტერიულად და მეც სულ უფრო ვრწმუნდებოდი მარმანდელი წვეულების დროს აკვიატებული აზრის სისწორეში: დარიას უნდოდა საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ მართლაც ისეთი იყო, როგორც ლაშა წარამარა ჩასძახოდა, თითქოს ამის გამო საკუთარი თავიც კი შეიძულა და მიაჩნდა, ღიახაც იმსახურებდა ქმრისგან

უპატივცემულობას, ცემას. რახან მოღალატეობას აბრალებდა, ბარემ ეღალატა კიდევ მისთვის. ვგრძნობდი, ჩემი და დალუპვის გზაზე იდგა.

ერთხელ, ღამით, ლოგინში კარგა ხანს ვიწრიალე და მაინც ვერ დავიძნე, დერეფანში დარიას ნაბიჯების ხმა შევიცანი. ჩემს კართან ფრთხილად აიარა და სხვენის კიბეს აუყვა. სწრაფად გადავიცვი პულოვერი და ჩუმად ავედევნე. მეც რომ მალლა ავედი, დავინახე პატარა სანთელი აენტო და ჩაცუცქულიყო ჩემი დამტვრიანებული წიგნების წყებასთან. ფეხის ხმა რომ გაიგონა, შემკრთალმა მოიხედა.

- ა, შენ ხარ... - ჩაილაპარაკა ცოტა არ იყოს იმედგაცრუებულმა, თითქოს უნდოდა, სხვა ასდევნებოდა.

- ჰო, მხოლოდ და მხოლოდ მე.

- არ გინდა მოსაწვევი?

- რატომაც არა, - გამოვეცხადე სოლიდარობა.

- რა უცნაურია, როგორ ვერ მოვახერხეთ ამდენი წლის განმავლობაში ამ აივნის მოაჯირის ამოშენება, - თქვა ჩაფიქრებულმა.

- მე მომწონს, როგორც არის.

- კარგა მაღალია, არა?

- აბა, რა. გახსოვს, როგორ გვიყვარდა ბავშვობაში აქ ამოსვლა?

- მე სიმაღლის შიში მქონდა ყოველთვის და მხოლოდ შენ გამო ვებედავდი, არ მინდოდა ლაჩარი გგონებოდი.

- სიმაღლის შიში და აკრობატიკა, მგონი, მაინცდამაინც არ შეეფერება ერთმანეთს, არა?

- მე ყოველთვის იმას ვაკეთებდი, რისიც მეშინოდა.

- რას მეუბნები? იქნება ქმრისაც გეშინია, დარია?

- ამაზე არ მინდა ლაპარაკი. შეეშვი ამ თემას, ძალიან გთხოვ.

- ყველაფერი, რასაც გაკადრებს ხოლმე, მისი გარყვნილი ფანტაზიის ნაყოფია და მეტი არაფერი.

დარიამ შიშით შემომხედა.

- როგორ, გვაყურადებდი კიდევ?

- სულ არ არის საჭირო მოყურადება, ისე ღრიალებს, ეტყობა, როგორც ვყვარხარ.

- დიახაც, ვუყვარვარ, თუმცა შენ რა გესმის.

- როდის? როცა გცემს, თუ როცა არ უდგება?

- ზედმეტის უფლებას აძლევ თავს. ამჯერადაც შეგახსენებ!

- ჩემი და ხარ, ბოლოს და ბოლოს, და ვერ შევეგუები, რომ საბოლოოდ გაგანადგუროს მაგ ნაძირალამ.

- ავად არის. რით ვერ გაიგე. მოთმინებაა საჭირო. იმდენი პრობლემა აქვს, მე კი ვერ ვშველი... შენ შენს სამყაროში გამოკეტილხარ და არც იცი, როგორია, როცა ასე საშინლად გიყვარს ვინმე.

ჩვენი სიგარეტები შეყვარებული ციციანათელებივით იწვოდა სიბნელეში.

- შენ ცდილობ მის ავადმყოფურ შეხედულებებს დაემონო, დარია, - უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე.

ამის გაგონებაზე დაკვირვებით შემომხედა. თითქოს გულში მოხვდა ეს სიტყვები.

- უბრალოდ, არ შემიძლია, - გულაჩუყებით ნაილუღლულა და მუხლებში ჩარგო სახე.

თავი ველარ შევიკავე და მაგრად მოვეხვიე. დარია ჩემი მოშორება და წამოდგომა სცადა, მე კი უფრო ჩავეჭიდე, მინდოდა შემეჩერებინა, მინდოდა გადამერჩინა.

მერჩივნა, ისევ უტიფრად და ზერელედ მომქცეოდა, ოღონდ ისეთივე ლამაზი ყოფილიყო, ყველაფერს რომ აპატიებდი... ისევ თავნებობითა და ჭირვეულობით ეტკინა ჩემთვის გული, ოღონდ ასეთი არ დამენახა: ქედმოხრილი, დათრგუნვილი და მორჩილი, დანაშაულის გრძნობით შეპყრობილი და სასონარკვეთილი. სიცილი ამიტყდა.

- გარევე? - წამოიძახა, თან ჩემი მარნუხებისგან გათავისუფლდა და ძალაგამოცლილი დაეგდო ზურგზე. მასთან მივხობდი და მუცელზე დავადე თავი. ფრთხილად გადამინია შუბლიდან თმა.

- შენს კრიმინალ მეგობრებს როგორ აცემინე მაშინ ჩემი ქმარი, ნიცა. ეგ იყო დახმარება?

- კი, მაგრამ იმან...

- ამას არ ჰქვია დახმარება!

- მეტს აღარ ვიბამ. გპირდები. რასაც მეტყვი, იმას გავაკეთებ. ოღონდ აღარ წახვიდე აქედან. მსახიობობას უნდა დაუბრუნდე.

- ვილას აინტერესებს დღეს კინო ან თეატრი?

- მუდამ ასე ხომ არ იქნება.

- ეე, ნიცა.

ჩამეხუტა და ზურგზე მომიფხაჭუნა ხელი. მერე წამოდგა და ღამის პერანგი ჩამოიბერტყა.

- უნდა ჩავიდე. უჩემოდ ვერ იძინებს.

სანამ დასავლეთ საქართველოში გამსახურდიას მომხრეებსა და დროებით მთავრობას შორის ბრძოლები გრძელდებოდა, შევარდნაძის დაბრუნებით თითქოს იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელი იყო. მან „ნარსულის ყველა უთანხმოების დავიწყების“ სურვილი გამოთქვა და აფხაზეთმაც იფიქრეს, რომ მათი სუვერენიტეტის მოთხოვნებს აღარაფერი დააბრკოლებდა. მაგრამ როცა სიტყვებს საქმე აღარ მოჰყვა, სახელმწიფო საბჭომ კი საქართველოს საზღვაო ძალების განლაგება სცადა ოჩამჩირის ნავსადგურში, ეს იმედი მალევე გაქარწყლდა. თბილისშიც აღარ სჭეროდათ, რომ შევარდნაძე მართლა შეძლებდა ახალი სისხლისღვრის თავიდან აცილებას. ამ განხეთქილების საფუძველს კვლავაც აფხაზეთის

სტატუსის განსაზღვრა წარმოადგენდა, - საქართველოს შემადგენლობაში თუ მის გარეთ. და როცა 1992 წლის ივლისში აფხაზეთის პარლამენტმა ასსრ-ის 1978 წლის კონსტიტუცია გააუქმა და ისევ 1925 წლის ვერსია დააბრუნა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა და ეროვნული გვარდიის მთავარსარდალმა ქართული ჯარების აფხაზეთში შესვლის ბრძანება გასცა. მან ეს დაასაბუთა, როგორც „ღონისძიება ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთის პარლამენტის მიზანმიმართული სეპარატისტული ქმედებების საწინააღმდეგოდ“.

ასე დაიწყო ომი.

დარია ისევ მოსკოვში გაემგზავრა ლაშასთან ერთად. სამიოდე კვირა იქნებოდა გასული მათი წასვლიდან, რომ დარიამ კვილით დარეკა მწვანე სახლში, ნანამ ძლივს დააწყნარა და მან, როგორც იქნა, ამოღერდა და გაგვაგებინა: ჩემს ქმარს ერთ-ერთმა მევალემ ესროლა და ახლა რეანიმაციაში წევს, ხერხემალი დაუბიანდაო. მხოლოდ საუბრის ბოლოს კი სრულიად ღონემიხდილმა, სხვათა შორის, დასძინა, რომ ორსულად იყო.

* * *

I guess I'll always be / A soldier of fortune.[9]

Deep Purple

დარია იმაზე უკეთ გაუმკლავდა და უფრო ყოჩაღად გაუძლო ყველაფერს, ვიდრე წარმოგვედგინა. მართლა საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. დაუჯერებელი იყო, რამხელა ძალა აღმოაჩნდა, რომ არ გაგიმეტა, სრულიად დაუცველმა, გაგაჩინა და აგარიდა ის საფრთხეები და საშინელებები, რითაც თვითონ იყო გარემოცული. შეუძლებელი შეძლო დედაშენმა, ეს უნდა იცოდე, ბრილკა. გაოგნებული ვიყავი მისი შეუვალობით, რკინის დისციპლინით, გაუტეხელი ნებისყოფითა და, რაც მთავარია, იმ კაცისადმი სიყვარულით, რომელიც მადლობის მაგიერ მხოლოდ ამცირებდა სიტყვიერად, ძალადობდა მასზე და გაუთავებლად თავს აყვედრიდა. მიკვირდა, სად პოულობდა ძალას, რომ ამ ყველაფერს გამკლავებოდა. ყველა ადამიანი გამოიფიტება-მეთქი როდისმე, თუ ყველაფერს გასცემს, ვფიქრობდი მაშინ, თუ ხელებს გაშლის და მსხვერპლად შეენიერება. ისრაელში ჩატარებული ორი მძიმე ოპერაციის შემდეგ, რისთვისაც მშობლებს ბინის გაყიდვაც კი მოუხდათ, ლაშა თბილისში გადმოიყვანეს, ისევ მწვანე სახლში დავაბინავეთ. მის ვალებს ვაკის პარკთან მდებარე მათი ბინაც შეენირა. წელქვევით მოწყვეტილი იყო, გაუსაძლისი ტკივილები ჰქონდა და ძვირად ღირებული წამლებით მკურნალობდნენ. ექიმები იმედს არ კარგავდნენ, რომ ისევ შეძლებდა სიარულს, იმ პირობით, თუ ნებისყოფას გამოიჩენდა, უახლესი

სამედიცინო მეთოდებით იმპურნალებდა და კარგი ფიზიოთერაპევტი ეყოლებოდა. მაგრამ რამდენი ფულიც უნდა ემოვა ორივე ოჯახს საზღვარგარეთ სამკურნალოდ ან საქართველოს საუკეთესო ფიზიოთერაპევტის დასაქირავებლად, ამ პაციენტის ნებისყოფაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

მეტწილად ქალაქში ვიყავი, ხან ბიბლიოთეკაში ვიჯექი და ზოგჯერ კი მიროს ვაკითხავდი შინ, ცხადია, როცა დედამისი მივლინებაში მიდიოდა და ჩვენს განმარტობას ხელს აღარაფერი უშლიდა. ერთი სიტყვით, გავუბრბოდი საკუთარ თავს, საზარელ ამბებს აფხაზეთიდან, იმ ყოველდღიურობას, რომელთაც შევურიგდით, ამიერიდან უნდა შევკვებოდით დევნილების ნაკადებს და დაღუპულთა მუდმივად მზარდ რაოდენობას. ატირებული ბავშვების თვალებს და გადამწვარ სახლებს. გაუპატიურებულ ქალებს. დაბომბილ შენობებს. მშვიდ ზღვას. კვლავინდებურად მშვიდ ზღვას. ცუდ აფხაზებს და კარგ ქართველებს. ცუდ ქართველებს და კარგ აფხაზებს, და რუსებს, ისევ და ისევ რუსებს, ვითომდა სამშვიდობო ძალებს, შუამდგომებს, სინამდვილეში კი აფხაზების ყველაზე დიდ იარაღით მომმარაგებლებს და მწვრთნელებს. თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭებს, მხედრონის და ეროვნული გვარდიის მიერ ომში განვეულებს, გმირობის ბუნდოვანი დაპირებებით, ჰამიშით – თუ ეს არ კმაროდა, ჰეროინითაც – ჩათრეულებს. უხეიროდ განვრთნილ და ცუდად ორგანიზებულ ქართულ არმიას. წინსვლას და უკან დახევას. ხანძრებს, გაუთავებელ ხანძრებს: ცეცხლმოკიდებულ მანქანებს, სახლებს, ადამიანებს. და ზღვას, ისევ იმ ზღვას, აუღელვებლად რომ გამოსცქეროდა მთელ ამ ჯოჯოხეთს.

ომს მიღმა დარჩენილები, უდრტვინველად მხოლოდ ხვალინდელ დღეზე მზრუნველნი, უმუშევარნი, უიმედონი, პასუხებგაუცემელი კითხვების გარეშე დარჩენილები, ყოველდღიურად იმაზე ვიფიქრებდით, სად გვემოვა შეშა, ნავთი, სანთლები, ფქვილი, შაქარი, კარაქი, რძის ფხვნილი და შევეჩვიეთ ამ გაუსაძლისობას, უნუგემო ანმყოს. შევეჩვიეთ შორეულ დრიანცელს, შუქის მოსვლით ერთდროულად მოზღვავებულ სიხარულსა და სიბრაზეს, იმასაც შევეჩვიეთ, რომ მერე ისევ ითიშებოდა და მთელი სახლი ამას მოგუდული და სრულიად გასაგები დრტვინვით ხვდებოდა, ქალაქში სულ უფრო გახშირებულ მთავრობის ლანძღვასაც შევეჩვიეთ. აღარც იმის იმედი გვქონდა, რომ ცისფერჩაფხუტიანები, გაერო, ნატო და დასავლეთი შემოვიდოდნენ, ჩვენს სამველად გამოენთებოდნენ და ბოროტი რუსეთისგან დაგვიცავდნენ. შევეგუეთ იმ საბედისწერო აზრს, რომ ჩვენ, ქართველები, ამ ჭაობიდან ვერ ამოვძვრებოდით სხვის დაუხმარებლად. ეს ხომ შეუძლებელი იყო.

მილიონიან ქალაქში უკვე ყველა ყველას იცნობდა, რა იცი, ვინ რას გამოვინინებს და ვინ რაში გამოგადგებაო. კორპუსების აივნებზე ნალოლიავები, ცალ ფეხზე თოკშებმული, კვერცხისმადებარი დედლები

კრიახით დასეირნობდნენ. მანანალა ძაღლები უსწრაფესად მრავლდებოდნენ, ღამღამობით ქუჩებში დაძრწოდნენ საჭმლის ძიებაში და მგლებივით ყმოდნენ.

ყველაფერს შვევჩვიეთ.

ვთამაშობდით დომინოს, კარტს, ქალაქობანას, ანეკდოტებს ვუყვებოდით ერთმანეთს, ლიტერატურულ საღამოებს ვმართავდით ჩაბნელებულ სამზარეულოებში, მისაღებ ოთახებში; ხოლო საძინებლებში, სადაც ცხელწყლიანი ბოთლებითა და მატყლის საბნებით ვთბებოდით, სამარისებურ სიჩუმეში, დაბნელებისთანავე რომ ემხოზოდა ქალაქს შუშის გუმბათივით, ძველ ამბებს ვიხსენებდით, როგორც არასდროს, ისე გვიხაროდა, ზამთარი რომ მთავრდებოდა, ბოლოს და ბოლოს, და გაბაფხული დგებოდა, თბილი, ნათელი დღეებით და ოდნავ შემსუბუქებული საზრუნავით. შეგვეძლო გამოგვეზოგა ასანთის ერთი კოლოფი, მჭადის ფქვილით დამზადებული ნამცხვარი, რომელიც თითქმის ყველა ოჯახმა აიტაცა. ისიც შეგვეძლო, ლობიოსგან რამდენიმე თავი საჭმელი მოგვემზადებინა. თან ჩვენივე იმპროვიზაციებით ხუმრობასაც ვახერხებდით. ლენინისთავიანი კომკავშირის წიგნაკით ფანჯრის ღრიჭოს ვფარავდით, ჩაიდანს მატყლის საბნით ვფუთავდით, რომ მალე არ გაციებულიყო. აღარ ვაქცევდით ყურადღებას, ახალ ამბებში ქურდობაზე, ყაჩაღობასა და მკვლელობაზე რომ მიუთითებდნენ. გვიხაროდა, დღის ბოლოს ცოცხლები რომ ვიყავით. არ გვინდოდა იმ ომზე ფიქრი, ჩვენი ქვეყნის ერთ კუთხეში რომ მძვინვარებდა, მამებს, ძმებს, ვაცებს, მეგობრებს, მეზობლებს, ნაცნობებს რომ გვართმევდა და დასახიჩრებულებს, ტრავმირებულებს, ან სულაც ხის კუბოებში ჩაწვენილებს რომ გვიბრუნებდა. ყველას ჰყავდა ვიღაც, ვისზეც დარდობდა. ყველას გამოაკლდა ოჯახის წევრი, მეგობარი. ასე ფეხაკრეფით ვუვლიდით გარს იმ ომს, თვალებს ვხუჭავდით. ხოლო როცა დენი გვეჩონდა, ტელევიზორში იუგოსლავიის ომის კადრებს ვუყურებდით. რამდენად უცნაურიც უნდა ყოფილიყო, სხვის ომზე შეგვტკიოდა გული, მაღლიერებიც კი ვიყავით, რომ შესაძლებლობა გვეძლეოდა, საკუთარი ომი დაგვევიწყებინა.

სასტიკ რეალობაში გვინევდა ცხოვრება.

დარიას დაეტყო მუცელი. ორსულობა არ უხდებოდა, მოთენთილი და დაქანცული ჩანდა, თითქოს უკანასკნელ ძალას იკრებდა მშობიარობისთვის, რომ მერე სამუდამოდ შეჰკუებოდა გარდაუვალი ჭკნობის პროცესს. ელენე ღელავდა, კოსტია სულ შფოთავდა. ნანა, სტასია, ალევო - ყველანი თვალებში შესცივინებდნენ დარიას, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, ჩუმად თათბირობდნენ. ენანებოდათ დარია ასეთი უიღბლობისთვის, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა, ეთქვა მისთვის, იქნებ დროა უკვე, განქორწინებაზე იფიქრო და ლაშას მშობლებმა მიხედონო. ერთხელ, ღამით, ისევ გამაღვიდა ცხელი შოკოლადის

მათრობელა სურნელმა და სამზარეულოში შევედი, სტასიას უკვე გამოეცხო ბისკვიტები სამი ტორტისთვის, მაგიდასთან იჯდა და ეწეოდა. დარიას საძინებლიდან ისევ ისმოდა ხმამაღალი კამათი. სტასია სადღაც იყურებოდა, არ იმჩნევდა, რომ ესმოდა, რაც ხდებოდა სხვა ოთახში. ერთი გაფიქრება ისიც კი წარმოვიდგინე, შევვარდნილიყავი მათთან, საძინებელში, და ჩემი სიძე ბალიშით დამეხრაო. მაგრამ არ შევსულვარ. არც არავის მოუნდომებია მათი დამშვიდება. თითქოს უჩინარნი იყვნენ და ვერც კი ვხედავდით.

იყო დღეები, როცა ჩემი საბეჭდი მანქანით სხვენში ვიკეტებოდი და იმდენი ხანი ვწერდი, სანამ თვალები არ ამიჭრელდებოდა. ვწერდი სულმოუთქმელად, ნაბეჭდ ფურცლებს აღარც ვკითხულობდი, მხოლოდ თანმიმდევრულად ვაწყობდი გვერდებს. იმ მომენტში ჩემთვის უმთავრესი იყო, ჭკვიდან არ გადავსულიყავი, ვწერდი, რათა წარმოსახვით დავინწყებას მივცემოდი, შორეულ წარსულში და უცხო ქვეყნებში გადავხვეწილიყავი, ოღონდ რეალობას ვაქცევოდი.

ჩემმა საკურსო თემამ, რომელიც დიდი მონდომებით დავწერე, თანაც სანთლის შექმნე ვმუშაობდი და უამრავ ლიტერატურასაც ვავეყანი, აღიარება ვერ პოვა. არასათანადოდ წარმოვაჩინე თურმე ეროვნული სულისკვეთება. ჩემმა ხელმძღვანელმა პროფესორმა მიიჩნია, რომ ჩემს თხზულებაში „გენერალისიმუსი - ქართველი“ „სამშობლოს ღალატის ტენდენციები იკითხებოდა“.

- სულ არ გქონიათ სინდისი, ჯაში! - მისაყვედურა, - ასეთ დროს ასეთი რამეები რამ დაგანერინათ, თითქოს გვაკლია რუსეთის ზეწოლა. თქვენ ხომ ისტორიას სწავლობთ, აქეთ-იქით მაინც გაიხედეთ. ნუთუ ვერ ამჩნევთ, რა მდგომარეობაშია ჩვენი ქვეყანა. და რას გვიძვრებიან რუსები და რამხელა ძალისხმევა და რწმენა მოგვეთხოვება, როგორი სიმტკიცე, ამ ზეწოლას რომ გავუძლოთ, თქვენ კი რას კადრულობთ? მოდიხართ და ლაფს ასხამთ თქვენს ქვეყანას და აუგად იხსენიებთ. თანაც ასეთ დროს, როცა ომში ჩაგვითრიეს, როცა ეს მოღალატე აფხაზები და ოსები რუსებს უძვრებიან, ამ ბინძურ ცილისწამებაზე უკეთესი ვერაფერი გაიმეტეთ სამშობლოსთვის, არა? მე ობიექტურ და ანალიტიკურად მოაზროვნე ადამიანად მინდოდა აღმეზარდეთ, თქვენ კი ამით შეურაცხყოფა მომაცენეთ არა მარტო მე, არამედ იმ ახალგაზრდებსაც, ვინც თავიანთ სიცოცხლეს სწირავს თქვენი თავისუფლებისთვის...

- ეს ომი დაუმჯობელი იყო. აქამდე მხოლოდ იმიტომ მივედით, რომ არ მოვინდომეთ გონივრულად გაგვეაზრებინა ჩვენი ერის რაობა, ჩვენი რაობა. ამ აღვირახსნილმა თვითნებობამ, უპრინციპობამ, დიპლომატიის უგულვებელყოფამ, მხოლოდ და მხოლოდ ემოციებზე დამყარებულმა აზროვნებამ და ამ ბრმა პატრიოტიზმმა ჩავვაგდო ამ მდგომარეობაში. მე ჩემს ნამუშევარში ვცადე გამერკვია, რატომ ვსხედვართ ახლა ამ ნეხვში და რატომ არავის უჩნდება კითხვები, მეტი არაფერი!

- თქვენ ბედავთ და ეჭვქვეშ აყენებთ, რომ რუსეთი...

- რუსეთი, რუსეთი. სულ ეს მესმის. ან ამერიკა, ან ევროპა, და რა ვიცი, კიდევ რა. როდის უნდა მოვრჩეთ პატრონის თვალეებით ყურებას? როდის უნდა ჩავიხედოთ სარკვეში ცარიელ მითებზე დაფუძნებული ამ გულისამრევი პატრიოტიზმის გარეშე?!

- უკვე ზედმეტი მოგლით, ჯაში!

- მე მხოლოდ გარკვეული ურთიერთკავშირების წარმოჩენას ვცდილობ. თქვენ არ ნუხდებით ამ დაუსრულებელი თავის მართლებით და მუდმივი შეთქმულების თეორიებით?

- უტიფრობა არ გახლავთ მაინცდამაინც საამაყო თვისება! წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ამგვარი საკურსო ნაშრომი მოსკოვში რომ ჩავარდნოდა ვინმეს ხელში, რას გაიხარებდნენ, როცა წაიკითხავდნენ: ასეა, ქართველები მოღალატეები ვართ, უპრინციპოები, ჩვენ...

- არასდროს გიფიქრიათ, რომ ჩვენც მიგვიძღვის წვლილი მთელ ამ არეულ-დარეულობაში?

- ეტყობა, თქვენ გიფიქრიათ და იმიტომ მისულხართ ასეთ სანაქებო დასკვნებამდე. ბრავო, ჯაში! ბრავო! რუსეთის საიდუმლო სამსახურში უნდა ჩამდგარიყავით.

- ისევ რუსეთი და ისევ კვბ. ხომ ხედავთ, სწორედ ამას ვამბობ.

- სიმართლე გაინტერესებთ? სიმართლე, არა? მაშინ რატომ არ მიდიხართ სოხუმში, რომ საკუთარი თვალთ ნახოთ, რაც იქ ხდება?! მიბრძანდით და მერე გვაუწყეთ ყველაფერი - ობიექტურად, კრიტიკულად, ამომწურავად! თუ არა და, ამ ნაშრომის მთლიანად გადაკეთებას მოვითხოვ.

ისე გამაცოფა ჩემმა ლექტორმა, რომ მაშინვე აფხაზეთში წასვლა გადავწყვიტე. მინდოდა იმ ნაციონალისტი იდიოტისთვის დამემტკიცებინა, რომ მართალი ვიყავი.

ვიცოდი, რომ არ ღირდა ჩემი განზრახვა მთავრობის გამემხილა, ამიტომ საკუთარი გზები უნდა გამომენახა აფხაზეთში ჩასაღწევად. მართალია, ვხვდებოდი, რომ ეს განზრახვა აბსურდულიც იყო და მატრახაბულიც, მაგრამ მაინც დავიჩემე. წავალ და საკუთარი თვალთ ვნახავ ჩვენი ჯარების უნიათობას, რუს „სამშვიდობოებს“, გემებით რომ შემოაქვთ ქვეყანაში ტანკები და აღჭურვილობა, აფხაზების სისასტიკეს, ქართველების სისასტიკეს, რუსების სისასტიკეს. ვნახავ, როგორ გადმოდიან ქართველი დევნილები სვანეთის მთებით, ენით აღუნერეულ პირობებში, ფეხით, ჰო, თვალს აღარ დავხუჯავ შავ ზღვასთან მიმდინარე ამ აპოკალიფსზე. წავალ-მეთქი. დავწერ ამაზე. ომები ყველგან არის. უბრალოდ, პერსპექტივას გააჩნია, თვალს გაუსწორებ თუ - აარიდებ, ასე ვფიქრობდი.

მაინც რა სულელი ვიყავი.

ჭადრაკის სასახლისკენ გავეშურე, შტაბში, სადაც ოდესღაც ზვიგენა მოვიწახულები. იქ მხედრიონელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დამხვდა. აღარც სასმელი ჰქონდათ და აღარც მათი მშენებელი იყო ძველებურად თავდაჯერებული და გამჭოლი. როცა ზვიგენა მოვიკითხე, დაცვიდან ერთ-ერთმა ჩაახველა, თავი მოიფხანა და ბოლოს მითხრა, ზვიგენა წინა თვეში დაიღუპა გაგრაშიო.

- როგორ?

არ ვიცი, რატომ ვიკითხე.

- თავში დაიჭრა. სანგრები არ ჰქონდათ.

კაცმა თვალები დახარა.

ვცადე, მკვდარი ზვიგენა წარმომედეგინა. რა იგრძნო, როცა დაჭრეს. არ გამომივიდა. ერთადერთი, რაზეც შემეძლო ფიქრი, ის ლამაზი სახლი იყო გაგრაში, დარია, ნარდის თამაში რუსასთან და მისი სისხლი სააბაზანოში. და ზღვის შხუილი, ისევ და ისევ ის მუქი ზღვა, რომელსაც არც ომი აინტერესებდა და არც მშვიდობა.

აფხაზური მიწის ნახევარი უკვე აფხაზების ხელში იყო, შესაბამისად, რუსების. რუსეთთან საზღვარი გაიხსნა. მარტო სოხუმი რჩებოდა. 1993 წლის მიწურულს, დეკემბერში, მედიაში გავრცელდა ცნობა გამსახურდიას, რომელიც თავის მიმდევრებთან ერთად სამეგრელოში იმალებოდა, სიკვდილის შესახებ, მისმა მეუღლემ დაადასტურა, რომ მან თავი მოიკლა, მაგრამ მოსახლეობის ნახევარი კიდევ მრავალი წელი ემხრობოდა მხედრიონთან ბრძოლაში გამირულად დაღუპვის ვერსიას. მერე კი ჩემამდეც მოაღწია ომმა...

გადავწყვიტე, ჩელო მომეძებნა, რადგან, როგორც მიროსგან ვიცოდი, ბოლო დროს ხშირად ჩნდებოდა ავტოსახელოსნოში, ესე იგი, თბილისში იყო და არა ბრძოლის ხაზზე. იქნებ დამხმარებოდა აფხაზეთში გადასვლაში. სტამბაში, ისევ მხედრიონს რომ ჰქონდა დასაკუთრებული, მართლაც დამიდასტურეს, ქალაქშია და ხვალ გამოივლისო. მეორე საღამოს შემორჩენილი ბენზინი ძლივს გამწვდა, რომ სტამბამდე მივსულიყავი. იქ რამდენიმე ნაცნობი პოკერის მოთამაშე შემხვდა. გაუხარდათ ჩემი ნახვა. მხოლოდ ჩელომ ჩამომართვა ხელი საქმიანად და სხვებივით არ გადამეხვია. სკამი შემომთავაზა და თვითონაც წინ დამიჭდა.

- ბიჭებმა მითხრეს, სალაპარაკო გქონია ჩემთან.

ისევ არ მესიამოვნა მისი გამომცდელი მშენებელი, თავი შევიკავე, რომ არაფერი დამტყობოდა.

- ჰო, რა ვიცი, ვიფიქრე დამეხმარებოდი, აფხაზეთში მინდა ჩასვლა.

- აფხაზეთში, შენ? - ჩამეკითხა, თითქოს ყურებს არ დაუჭერა, - იქიდან გამორბიან, თავისი ნებით იქ არავინ წავა, დამიჭერე.

- ვიცი, მაგრამ... მინდა, დავწერო ამაზე, ყველაფერზე, რაც ახლა ხდება, ჰოდა, ვიფიქრე...

- ესე იგი, უნდა დაწერო. ასე ყველაფერში ნიჭიერი როგორ ხარ, აინშტაინ?

- არ ვიცი, მინდა, ვცადო.

- არა, ბიჭები არ შემცდარან, შენ ვერაფერს დაგაცდენინებს ვაცი.

- შეგიძლია დამეხმარო? - ამჯერად თვალი გავუსწორე და კიდევ ერთხელ ვკითხე. გაჩუმდა, იმხელა პაუზა გააკეთა, მარადისობად მომეჩვენა, მელოტი თავი მოიფხანა და ენა გადაისვა არაბუნებრივად წითელ ტუჩებზე.

- ესე იგი, ჩემი დახმარება გჭირდება... არ ვიცი, აინშტაინ. შენ არ ჰგავხარ ისეთ ადამიანს, რომელსაც დახმარება სჭირდება.

- დახმარება ყველას სჭირდება.

გამიტყდა, ასე რომ მოვისანყლე თავი, მაგრამ იმწუთას უკეთესი არაფერი მომაფიქრდა.

- აღრე მინდოდა კიდევ, რომ დაგჭირვებოდა როდისმე ჩემი დახმარება. როცა აქ კარტის თამაში გვქონდა გაჩაღებული, გახსოვს?

- მახსოვს, რა თქმა უნდა. კარგი გასართობი იყო, არა?

- გასართობი. ჰო. რა ვიცი. გააჩნია ვისთვის, ასე არ არის?

ასეც ვიცოდი. გამახსენდა, რომ წაგება არ უყვარდა.

- მოკლედ?..

- მოკლედ. ახლა რომ ვუფიქრდები, შემიძლია დაგეხმარო, ნამდვილად შემიძლია, ვიცი რაღაც გზები. შემიძლია პრესის საშვი გიშოვო. 50 დოლარი და გაგიჩარხავ. მაგრამ მეც ხომ მინდა გართობა, არა? მეც ხომ მერგება რაღაც, არ მეთანხმები?

- მიდი, თქვი, რა გინდა?

- რა მინდა და ერთი პარტია ვითამაშოთ. ასდოლარიანი მაქვს. როგორ ფიქრობ, საკმარისია სტიმულისთვის? დიდი ხანია აღარ მითამაშია, ბიჭებიც არ იტყვიან უარს, ყოველ შემთხვევაში, ვინც დარჩა. აბა, ბიჭებო, დავცხოთ პოკერი?! - დაიღრიალა ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია. პასუხად აღფრთოვანებული შეძახილები გაისმა.

- მე ფული არ მაქვს.

- ამის გამო ხომ არ ჩავშლით თამაშს. ასიანი მაქვს-მეთქი, გითხარი.

- კი, მაგრამ, თუ წავაგებ?

- შენ ხომ არასდროს აგებ. ასე რომ, ამაზე არ იღარდო.

- როგორ არ ვიღარდო. რომ წავაგო, მერე?

- მაშინ ჩემი კოცნა მოგიწევს, მე კი მარცხენა ძუძუზე მოგეფერები, შიშველზე, ხომ გესმის.

არ ვიცი, რით უფრო გამაოგნა მისმა პასუხმა, ასეთი ცივისსხლიანი წარმოსახვით, თუ იმ ფაქტით, რომ საერთოდ ასეთი ფანტაზია გაუჩნდა ჩემთან მიმართებით.

- ერთი კოცნა და ერთხელ მკერდზე მოფერება? - დავაბუსტე კიდევ ერთხელ.

- ნამდვილად.
- და მერე პრესის საშვს გამიკეთებ?
- ნამდვილად.
- და მე თუ მოვიგე?
- მაშინ 100 დოლარსაც მიიღებ და საშვსაც.
- შევთანხმდით.

- ვიცოდი, რომ ჩემი შემოთავაზება არ შეგაშინებდა. იმიტომაც ხარ აინშტაინი და არა ვიღაც შემთხვევით მოთრეული გოგო!

- მიდი, კარტი მოიტანე და ბიჭებს გასძახე.

თამაში კი არა, ნერვების გლეჯა იყო. საიდანღაც მთელი ბოთლი ჭაჭა დააძრეს, ნერვიულობისგან მეც ვსვამდი. ყველამ ჯიბეები მოიფხიკა და ქაღალდის ფული და ხურდა დააღაგა იმპროვიზებულ სათამაშო მაგიდაზე. ყველამ ჩემ გარდა. უკვე თამაშის დროს შემეპარა ეჭვი ჩელოს შემოთავაზების სერიოზულობაში და თან მალევე ცხადი გახდა, რომ იმ დღეს არ მიმართლებდა. მაგრამ ჩემი სიჯიუტე და ბრძოლის ველზე მოხვედრის და თანაც 100 დოლარის მოპოვების იმედი მაგულიანებდა.

გადარეულებივით ვთამაშობდით. მთლიანად ჩართული ვიყავით, ყველაფერი ჩავდეთ ფსონად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მაგრამ ჩემი კარტი არაფრის შესაძლებლობას არ მაძლევდა. ვცდილობდი, არ დავზარალებულიყავი, მაგრამ ვერანაირმა ბლექმა ვერ მომაგებინა პარტია.

- ცხადია, წავაგე. ცხადია, ჩელომ მოიგო.

წარმოვიდგინე, როგორ მომიფათურებდა ხელს თითქმის შეუმჩნეველ მკერდზე და თან თავის ენას ჩამითხრიდა ხახაში. ამაზე უარესი რაღა უნდა მომხდარიყო. საბედნიეროდ, ისეთი ზარ-ზეიმი აღარ გაუმართავს თამაშში გამარჯვების გამო, როგორც ადრე, როცა ეშმაკობით მაჯობა. დიდად არაფერი შეეცყო, დასასრულს წამოდგა და ბიჭებს სთხოვა, მართო დაგვტოვეთ, რაღაც საქმე გვაქვსო. ეს არ მომეწონა, შეგვეძლო უბრალოდ სხვა რომელიმე ოთახში გავსულიყავით. ცოტა ხანში ყველანი დამემშვიდობნენ მხარზე ხელის დარტყმით და გადახვევით, მე და ჩელო მართო დავრჩით. იმან სმა განაგრძო. უცბად მირო გამახსენდა. რას მეტყოდა ამ აბსურდულ და დამამცირებელ განზრახვაზე? შემრცხვა. მაგრამ მოთამაშემ ყოველთვის უნდა გადაიხადოს ვალი. ასე თუ ისე. შევეცადე, მშვიდი და თავშეკავებული ვყოფილიყავი.

როცა ბოთლი დაიცალა, ჩელომ თავისებურად, გამომცდელად შემომხდა და მითხრა, შეთანხმება ხომ არ შევასრულოთო. მე წამოვდექი, პირისპირ დავუდექი, პერანგი გავიხსენი გამობოძილი, მექანიკური მოძრაობით და მკერდმოშიშვლებული გავჩერდი მის წინ. ჩემკენ გადმოიხარა და თავისი სავსე, სისხლივით წითელი ტუჩები პირზე ამაფარა. ალკოჰოლის და კიდევ რაღაცის სიმწარე ვიგრძენი, რასაც მაშინ სიტყვა ვერ მოვუძებნე და რასაც ახლა დაუნდობლობას

დავარქმევდი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი დაუჯერებელი და მიუღებელი იყო ჩემთვის, თვალწინ მიროს სახე მედგა, ხოლო კომპარის ეპიცენტრში გამგზავრების სურვილი და გადანყვეტილება სრულ სისულელედ და გულუბრყვილობად მიმაჩნდა, მეჩვენებოდა, რომ მაინც შეიძლებოდა იქ ჭეშმარიტების პოვნა რაღაც ფორმით. კი ვაგინებდი გულში ჩემს ლექტორს, კი ცხადი იყო უკვე, რომ ჩემი ნებით ვერასდროს წავიდოდი ომში, და მადლობელი ვიყავი, რომ იმ ასიათასობით ქართველთა რიცხვს არ მივეკუთვნებოდი, განწირულებს ყინვაში, კავკასიის მთებში რომ უწევდათ გაქცევა – მაინც არ მეშინოდა მაშინ ჯერ კიდევ. არც იმ უგრძობი კაცის, მექანიკურად რომ მკოცნიდა, სიტუაციით სარგებლობდა და იმ დამცირებით ცდილობდა სამაგიეროს გადახდას წარსულში ჩემთან ხშირი წაგებისთვის. იმ დროს ჯერ კიდევ მჯეროდა, რომ მალე დავტოვებდი იმ ოთახს და მიროსთან გავიქცეოდი, ჩემს აბსურდულ განზრახვაში გამოვუტყდებოდი, მოვინანიებდი ჩემს ქედმაღლობასა და ამპარტავნობას. მაგრამ მერე ჩელომ მეორე ძუძუეც ჩამავლო ხელი და ისე მაგრად მომიჭირა, რომ ტკივილისგან შევკრთი. იქნებ არც აპირებდა პირობის შესრულებას? მარტონი ვიყავით. გვიანი იყო. სტამბა ძველი, დაცარიელებული რედაქციის შენობის სარდაფში მდებარეობდა. ძალა მოვიკრიბე, არ შევიმჩნიე, რომ შემეშინდა.

– მე სიტყვა შევასრულე უკვე... – ვუთხარი და სახე ავარიდე. მაგრამ იმან წელზე მომხვია ხელი და თავისკენ მიმიზიდა.

– ხომ ვამბობდი, ყველაფერში ნიჭიერი ხარ-მეთქი...

უკვე აღგზნებული ხმა ჰქონდა. ისე თავდაჯერებულად აღარ გამოიყურებოდა. გამოვცვალე, ნაბიჯით უკან დავიხიე და პერანგი შევიკარი. მაგრამ იმავე წამს თავზე დამადგა და აწეწილ თმაში მწვდა. თავისკენ გამქაჩა და თვალელები ჩამხედა. ჯერ კიდევ, ჰო, ამ მომენტშიც კი, დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვახერხებდი თავის დაღწევას, ჩემი საშინელი სისულელის, უპატიებლად ბრიყვული იდეის დავინყებას, და აღარასდროს შევხვდებოდი ამ კაცს.

– კარგი მოთამაშე ხარ, აინშტაინ, – ჩამჩურჩულა ყურში და ყელზე ამისვა ენა.

წინააღმდეგობის განწევა ვცადე შეძლებისდაგვარად, თან გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოვიკრიბე ძალა. უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რა მელოდა.

– მორჩი, ჩელო, გაერთე და გეყოფა, და არ მითხრა ახლა, რომ შენაირ ტიპს იმაზე უფრო დიდი ძუძუები არ სჭირდება ჩასაბლუჯად, ვიდრე მე მაქვს.

არ ვიცი, რატომ ვუთხარი ეს. მაგრამ თუ ამით რამის მიღწევა მინდოდა, ზუსტად საპირისპიროს მივადინე. იმიტომ რომ ამის მერე უფრო მაგრად მომქაჩა თმაზე და შიშისა და ტკივილისგან ამაკვილა.

- შენ გგონია, დიდი ვინმე ხარ? - დაიდრიალა, - არ მკადრულობ, არა? დამაცადე, მე შენ გაჩვენებ. ამასაც ვნახავთ...

ფეხებს შორის მწვდა. ახლა უკვე მოვიხარე და ორივე ხელი ვკარი. თმაზე ხელი ვერ გავაშვებინე და თან წამითრია. გასათავისუფლებლად ფრჩხილებით ჩავაფრინდი ხელში, მაგრამ იმას რეაქციაც არ ჰქონდა.

- შენ გგონია, ჩემზე უკეთესი ხარ, არა? შე პატარა წაკლა! - მიყვირა და მისი ტუჩიდან მოწყვეტილი ნერწყვი ცხვირის წვერზე მომხვდა. როგორ მძულდა ეს სიტყვა. წაკლა! ლამას მაგონებდა. ჩემი დის უსუსურობას მაგონებდა. იმ მსხვერპლს, რომელიც დარიამ თავისი ჯალათისთვის გაიღო. მთელი ძალა მოვიკრიბე და მიუხედავად იმისა, რომ თავი მეტკინა, დავუსხლტი და მუცელში ვგლიჯე. უფრო ქვევით მიწოდდა ჩამერტყა, მიწოდდა გამეთიშა, მაგრამ აირიდა, მოიხარა, განითლდა და ისევ მეცა.

ჰო, იმ დღეს ნამდვილად არ მიმართლებდა. ბედმა საბოლოოდ მიმტყუნა.

გავიქეცი. ცარიელი ჭიქები გადმოვყარე და ორი სკამი გადავაციარავე. ვცადე გასასვლელამდე მიმეღწია, მაგრამ ჩელომ გზა გადამიღობა და ხელი მტაცა. სახელოში ჩამეჭიდა, გამქაჩა, მე დავუსხლტი, მიწოდდა, რამისთვის ხელი წამეველო, დავყრდნობოდი, მაგრამ ვერ მოვახერხე. ისევ წელზე მწვდა, ამიტაცა, ცალი ხელი ყელზე მომიჭირა, ჰაერი გადამიკეტა, იატაკზე დამანარცხა. მე გავხოხდი, ხველებით, ქოშინით. ძველ საბეჭდ მანქანასთან წამოვიმართე, მაგრამ ჩელო უკვე ბურგში მედგა, მის სუნთქვას ვგრძნობდი, უკნიდან მომანწვა და შარვლის გახსნა დამიწყო. მუცელში რალაც შემერტო და ტკივილმა ლამის გამაშეშა. ლითონის სახელური აღმოჩნდა, ვცადე, ავრიდებოდი, ტრაკი აქეთ-იქით გავაქნიე, თან ჩელოსაც გავუწიე წინააღმდეგობა, რომ ჩემი შარვლის ღილებამდე არ მიმეშვა. მაგრამ როგორც კი ერთი ღილი მოიხელთა, დანარჩენები ააგლიჯა (ღილებმაც კი მილალატეს, წინააღმდეგობაც კი არ გაუწიეს, მაშინვე დანებდნენ!) და შარვალი თავისით ჩამძვრა, თითქოს ისიც მონაწილეობდა ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაში.

ახლაც მახსოვს, როგორ მიჭერდა ჩელო ცალი ხელით ორივე ხელს ბურგს უკან. მახსოვს, კინალამ გული ამერია, როცა შემოვიდა. მახსოვს, როგორ მეჩურჩულებოდა გაუთავებლად რაღაცას ყურში. ხვნეშით, ქშენით. ოღონდ რას ამბობდა, აღარ მახსოვს. მხოლოდ „კარგია... კარგია“ მახსოვს, თან ისე გამოთქვამდა ყოველ ასოს, თითქოს პირველად ამბობდა ამ სიტყვას და ეჩვოდა მის ჟღერადობას. ისიც მახსოვს, რომ სანამ ის მთელი სიმძიმით მანვებოდა თეძოებზე, მე კი სულ უფრო წინ ვიხრებოდი, სულ ვფიქრობდი, რამე ლექსი ან ამბავი უნდა გავიხსენო და იმაზე გადავიტანო ყურადღება-მეთქი, რამე საყვარელი, რამე კარგად ნაცნობი, რაც მის მექანიკურ მოძრაობას დამავიწყებდა, მის ბუტბუტს და მის ქშენას. მაგრამ ისეთი არაფერი გამახსენდა, რაც ამ

საწყალობელ, ტკივილით სავსე რეალობას გაუმკლავდებოდა. სამაგიეროდ, ერთი სიმღერა წამომიტივტივდა უცებ. ნაცნობი მელოდია იყო და არ მოვეშვი, სანამ ცხადად და მკაფიოდ არ აღვიდგინე. ედიტ პიაფის სიმღერა იყო. La Foule. ყოველთვის მიყვარდა ეს სიმღერა და უცებ მთელი ორკესტრი ჩამესმა, მერე კი პიაფის ხმა დაიღვარა, აზნაზარდა და თუმცა ცალკეული სიტყვები არ მესმოდა, მის ხაოიან ღ-ს ჩავეჭიდე, მის მკაცრ ლ-ს, ყური მივუგდე შორეულ აკორდეონს და ვცადე, წარმომედგინა ის ჩაბნელებული სცენა, სადაც - ჩემგან წამდვილად ძალიან, ძალიან შორს, იქ, სადაც არც მე ვყოფილვარ და, რაც მთავარია, ჩელოც არ ყოფილა არასდროს - პატარა ბელურა იდგა, ერთადერთი სხივით განათებული. და მხოლოდ ჩემთვის, მარტო ჩემთვის მღეროდა. ეს ისეთი მშვენიერი იყო, რომ რამდენიმე წამით მოვწყდი იმ ადგილს, დავივიწყე ჩელოს მოუქნელი, უხეში მოძრაობა. მახსოვს, როგორ წვალობდა, წამდაუნუმ ჩერდებოდა, მოსახერხებელ მდგომარეობას ეძებდა, თან ხელებს მიტრიალებდა ზურგს უკან, მახსოვს, ერთი-ორჯერ რაღაც კვნესის მსგავსიც აღმოხდა, თითქოს უკმაყოფილო იყო თავისი ქმედებების ხარისხით, მაგრამ თავის იმედგაცრუებას ისევ ჩემზე ანთხევდა, რაღა თქმა უნდა, და კიდევ უფრო დაუნდობლად ეპყრობოდა ჩემს სხეულს. მახსოვს, როცა პიაფმა სიმღერა შეწყვიტა, თუმცა ისედაც ბევრად განწელა და შეანელა თავისი ცნობილი სიმღერა, გავიფიქრე, ეს რატომ არ ჩერდება, რით ვერ გაათავა-მეთქი. რატომ იწყებდა ისევ და ისევ თავიდან? რამდენი საათი, დღე, კვირა უნდა გაგრძელებულიყო ეს ყველაფერი? როდის და ვინ გააჩერა დრო?

მახსოვს, რომ არ მიყვირია. მდუმარედ ვიდექი და ველოდი, როდის გააგრძელებდა დრო თავის სვლას, როდის ამოძრავდებოდა საათის ისრები.

მერე მომატრიალა, საბოლოოდ წყობიდან გამოსულმა იმის გამო, რომ არაფერი გამოუვიდა, ვერ დაკმაყოფილდა, ვერ გაიმარჯვა. იატაკზე დამავლო და დამაცხრა, მუხლებით გადამინია ფეხები. ტემპს უმატა, სუნთქვა მოულოდნელად მშვიდი გაუხდა, უფრო თანაბარი, თითქოს ძალიან კარგად გრძნობდა თავს, აღარ ჩქარობდა, აღარ იძაბებოდა. სახე ავარიდევ. არ მინდოდა მისი ყურება. და ამ დროს დავინახე ჭაჭის ბოთლი, ერთად რომ გამოვცალეთ. ეგდო იქ, დაობლებული, არაფრის მაქნისი ნივთი, რომელიც მე ან ჩელომ - გაქცევის ან დაჭერის მცდელობისას - გადმოვაგდეთ, და აქეთ-იქით დაგორავდა, თითქოს მის რიტმს უნდოდა, აჰყოლოდა. ასე არაფერი გამხარებია ცხოვრებაში, როგორც იმ ცარიელი ბოთლის დანახვა. ხელი უნდა გამეთავისუფლებინა, რომ მივწვდომოდი. სწრაფად უნდა შემოქმედა. მეტი შესაძლებლობა აღარ მომეცემოდა; ისედაც აღარ მიმართლებდა.

ნელა გამოვაძვრინე მის მკერდქვეშ მომწყვდეული ხელი. ამ მოძრაობისთვის ყურადღება რომ არ მიექცია, ხელი ყელზე შემოვხვიე.

ვითომ შევეურიგდი იმ ამბავს, რომ მისთვის სიამოვნება უნდა მიმენიჭებინა. მან ეს მოკლე ამოკვეთისით აღნიშნა. მერე ფრთხილად ავნიე ხელი, იატაკზე დავდე, თითები გავვიმე და მართლაც მივწვდი ბოთლის ცივ ზედაპირს – პირველად გამიღიმა ბედმა იმ საღამოს. ისღა დამრჩენოდა, ერთი დარტყმით დამემსხვრია ბოთლი და მისთვის ჩამერტყა. ხვნემა უფრო ხმამაღალი გახდა, მე კი ბოთლი მოვიქნიე და მთელი ძალით დავაღუნე იატაკს. ამ ხმაურმა შეაკრთო, მაგრამ იმდენად ახლოს იყო საბოლოო მიზანთან, რომ ვეღარ გაჩერდა. თუმცა ამას მნიშვნელობა აღარც ჰქონდა, რადგან ბოთლი – ჩემი ერთადერთი მეგობარი იმ ოთახში მას მერე, რაც დიღებმაც კი მიღალატეს – უკვე დამსხვრეული იყო და წვეტიანი გვირგვინით შემკული. ამას ვიკმარებდი. თავის დანიშნულებას შეასრულებდა. როცა ამოფრქვევის კონველსიაში მყოფმა ჩელომ, ბოლოს და ბოლოს, თავი ასწია, ბოთლი წელზე მოხვდა და შეერტო.

დაიკმუვლა, ტკივილისგან გათავება ვეღარ მოახერხა, გვერდზე გადაგორდა. მეორედ კიდევ უფრო ძლიერად დავარტყი. შუშა მკლავში მოხვდა და მისი სისხლი ჩემს მუცელზე დაიღვარა. ახლა უკვე მოიკრუნჩხა ტკივილისგან და საერთოდ მომეშვა. მაგრამ ჯერ კიდევ გაბრუებული იყო, ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდა ჩემი სიძულვილის მასშტაბს.

ფეხზე წამოვფრინდი და მისკენ გადავიხარე, აკანკალებული ხელით სახესთან მივუტანე წვეტიანი ბოთლი. პირველად მივაჩერდი მის ნაიარევს, შუაზე რომ უყოფდა წარბს. რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ჩემს ადგილას მყოფმა ვიღაც სხვა ქალმა ასეთივე დამსხვრეული ბოთლით დაუტოვა ეს იარა თდესღაც. ამან რაღაცნაირად დამამშვიდა, თუმცა, ალბათ, ასე არ იქნებოდა. ბოთლი მივუშვირე და სახესთან დავუწყე ქნევა. იმას კი უცებ გააჟრჟოლა, თვალები გაუფართოვდა, სახეში მომაშტერდა, სისხლიანი ხელი ჩემკენ წამოიღო, კმაყოფილმა გაიღიმა, გაათავა და ლამის ხალისიანად გადაიხარხარა.

ყველაფერი მახსოვს, რაც მოხდა, თუმცა სულ არ მახსოვს, რას ვგრძნობდი მთელი იმ დროის განმავლობაში.

* * *

სადაც ვყოფილვართ რუსეთში, ყველგან ეს მაგიური სიტყვა გვესმოდა: საქართველო. ყველა საქართველოზე ლაპარაკობდა, ისინიც კი, ვინც არასდროს ყოფილან იქ, და არც არასდროს მოხვდებოდნენ... ისე ლაპარაკობდნენ საქართველოზე, როგორც სამოთხეზე.

სტაინბეკი

ყველაზე ცუდი ის კი არ იყო, რომ უნარი არ შემწევდა მეტირა ან დამეჩივლა, ან, რომ არაფერს ვამბობდი, არც ის, რომ მიროს ვეღარ ვეკარებოდი, ვერც ვერაფერს ვუხსნიდი, ამის ნაცვლად მხოლოდ ვსჯიდი

იმის გამო, რაზეც წარმოდგენაც არ ჰქონდა. და არც ის, რომ საკუთარ თავზე უფრო ვიყავი გაბრაზებული, საკუთარი თავი უფრო მძულდა, ვიდრე ის, ვინც ასე მომექცა. ყველაზე უარესი იყო ყრუ, უკიდევანო სიცარიელე, რომელმაც ჩემში დაიბუდა. თავშეკავებული ყოველდღიურობა. გრძნობებისგან დაცლილი ჩვეული საქმიანობა. ჩემად გავაგრძელე ცხოვრება, თითქოს არც არაფერი მომხდარა. არაფერი შევიმჩნიე, არაფერი გავამხილე, მთელი ჩემი ნებისყოფა მოვიკრიბე, მთელი ჩემი უნარი გამოვიყენე.

დღეები სიზმრებით ცვლიდა დამეებს. სტასიას ხმა ჩემს სანოლთან. ისევ ის კადრები მეხსიერებაში და ედიტ ჰიაფით მათი ჩანაცვლების მცდელობა. დამით, როგორც ყოველთვის, შოკოლადის სურნელი, ძლიერი, მაცდუნებელი. ლაშას ცოფები, დარიას კვნესა, ელენეს ჩურჩული, ნანას ფეხაკრეფით სიარული და კოსტიას მუქარით სავსე დუმილი. ზმანება, რომელშიც სტასია სულ უფრო მათხლოებდა წარსულთან. ამ ზმანებიდან შეუძლებელი იყო გამოფხიბლება. ჩემი უძლურება. უსუსურობა, რომელიც, მეგონა, იმ დამსხვრეული ბოთლით დავძლიე, მაგრამ თურმე როგორ შევმცდარვარ.

1993 წლის ივლისის ბოლოს უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს აფხაზეთში შანსი აღარ ჰქონდა.

სოხუმის გარდა, ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი ეკავათ აფხაზებს, რუსებს და კავკასიური რესპუბლიკებიდან „დაქირავებულ“ ჯარისკაცებს. 27-ში რუსეთის შუამდგომლობით ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვით, ქართულ ჯარს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა აფხაზეთის ტერიტორია. ამ ხელშეკრულებით ისიც დადგინდა, რომ ამიერიდან აფხაზურ საჯარისო დანაყოფებზე მონიტორინგს რუსული „სამშვიდობო ძალები“ განახორციელებდნენ.

დევნილთა ნაწილი იმ ზაფხულს თავის დანგრეულ აფხაზურ სოფლებსა და ქალაქებში დაბრუნდა. ითქვა, რომ 1 სექტემბერს აფხაზეთის ყველა სკოლა და ინსტიტუტი ისევ უნდა ამოქმედებულიყო.

დარიას მუცელი წამოეწვტა და გამძლეობამ უმტყუნა. სისუსტე დაეტყო. მხოლოდ დროის საკითხი იყო, როდის იფეთქებდა ნიაღვარი და წალეკავდა ყველაფერს. და იფეთქა კიდეც. ქართულ-აფხაზურ-რუსული შეთანხმების დარღვევასთან ერთად. იმავე დღეს, როცა სოხუმში ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

16-ში აფხაზურმა ჯარმა იერიში მიიტანა ქალაქზე. იერიშის გეგმა რუსული „სამშვიდობო დანაყოფების“ შტაბში შეიმუშავეს. ზუსტად იმ დანაყოფებს ეკრძალებოდათ საბრძოლო მოქმედებებში ჩარევა. მაგრამ მათ უმნიშვნელოვანესი სასაზღვრო პოზიციები დაიკავეს, ამგვარად, სოხუმში ჩარჩენილ ქართულ ჯარებს გარედან დახმარების იმედი გადაუწურეს.

5 000 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, ხალხი თავისი სახლებიდან გამოყარეს და პირდაპირ ქუჩაში დახვრიტეს. მოგვიანებით კიდევ 1000-ზე მეტი ძალადობის ფაქტი დარეგისტრირდა. წამების მსხვერპლთა რიცხვი არავის დაუთვლია.

ამ იერიშს ვინც გადაურჩა, იძულებული გახდნენ, ისევ მთებში გაქცეულიყვნენ იმის იმედით, რომ ცოცხლები ჩააღწევდნენ დაბლობში.

დარიას გამწარებულმა, ლამის ისტერიკულმა კვილმა გამაღვიძა.

- ჰო, არ არის შენი შვილი, ეს გინდოდა, რომ მეთქვა, არა? არ არის. ვბოზობდი, შენ მიბიძგე, შენთვის წამალი რომ მეშოვა, ყველაფერზე მივდიოდი, ჰო, ასეა, ყველაფერს ვაკეთებდი, რასაც შენი ავადმყოფური წარმოსახვა გიხატავს და კიდევ ბევრ სხვა რამეს. კმაყოფილი ხარ ახლა? რაო? დეტალებიც ხომ არ გაინტერესებს, შე ხეიბარო? - ამ სიტყვამ რაღაც შეცვალა. წყევლასავით გაისმა, არ ღირდა მისი თქმა. მუქარის შემცველი ჯადო. მაგრამ ამ სიტყვაზე უარესი ის იყო, თუ როგორ წარმოთქვა დარიამ ეს სიტყვა და ამან შემაშინა სწორედ. დაუფარავი, გამომწვევი შეურაცხყოფის მიღმა ღრმა ჭრილობას მალავდა მისი რბილი ხმა. თითქოს საკუთარ თავს მიმართავდა ამ სიტყვით. საკუთარი თავისთვის უნდოდა ზიანის მიყენება.

გავიგონე, როგორ უპასუხა ლამამ რაღაც, ოღონდ სიტყვები ვერ გავარკვიე, ყოველ შემთხვევაში, მშვიდი ხმა ჰქონდა, თითქმის მორჩილი, მერე გავიგონე, როგორ გაიღო და ისევ მაგრად მიჯახუნდა კარი. ფანჯრიდან გავიხედე და დავინახე ბაღში ფეხშიშველი დარია. დავინახე, როგორ გადაკვეთა ბოსტანი და ბორცვს აუყვა. მუცელი ფარივით ჰქონდა გამობზევილი, ოდნავ უკან გადაზნექილი მიბობლავდა. უკვე კედლებში ჩავყავი ფეხი, რომ გავკიდებოდი, მაგრამ კართან გავჩერდი.

ვიგრძენი, რომ არაფრის ძალა არ მქონდა. ველარც სიტყვებს ვიპოვიდი და ველარც გრძნობებს, სულიერ ტკივილს ვერ შევუმსუბუქებდი.

უკან დაბრუნებულმა დარიამ ოჯახს გამოუცხადა საუზმის დროს, რომ მისთვის უკვე სულერთი იყო, რა დაემართებოდა ლამას. მასთან საერთო აღარაფერი ჰქონდა და დაუყოვნებლივ დაურეკავდა მის მშობლებს, რომ წაეყვანათ თავიანთი შვილი, ან ის, რაც მისგან დარჩა. არავის გვიკითხავს, რა გახდა მისი შეხედულების შეცვლის მიზეზი, არც არაფერი გვიკითხავს, არც არავის მხარეს დავმდგარვართ. ამის შემდეგ დარია გაქრა, არავინ იცოდა, სად იყო, ტყეშიც კი ვეძებე. მაშინაც კი არ გამოჩნდა, როცა მშობლებმა მინიბუსში შეაგორეს ეტლით ლამა, ერთადერთი შვილი, რომელსაც ყველაფერი შესწირეს, რაც კი ჰქონდათ. როგორც ჩანს, დასამშვიდობებლად უკვე აღარ ეყოთ სიყვარული.

ნოემბერში, ჩემს დაბადების დღემდე სამი დღით ადრე, დარიამ წყლები დაღვარა და მე სიჩქარის ყველა შეზღუდვის დარღვევით გავაქანე თბილისში წელიწადის ამ დროისთვის მოულოდნელად დათოვლილი გზებით. საავადმყოფოს ეზოში შევიყვანე მანქანა, არემარე

ჩაბნელებული იყო. დენი ისევ გაითიშა და მე ჯიბის ფარნით ვუნათებდი აკვენესებულ დარიას სამშობიაროს კიბის საფეხურებს, შენ კი, ბრილკა, დედაშენის მუცელში მოკალათებულს, გეხვეწებოდი, რამდენიმე წუთი გეცლია ჩვენთვის, სანამ მიმღებამდე მივაღწევდი.

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ უნდა შემომეყვანე ამ ამბავში, როცა, ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანას მოევლინებოდი. ამბავში, რომელიც მართო იმისთვის იყო მოსაყოლი, რომ შენამდე მოსულიყო. შენამდე და ამგვარად დასაწყისამდე. ამბავში, რომელიც იმისთვის უნდა დაწერილიყო, რომ შენ კიდევ ერთხელ მოვლენოდი ქვეყანას და შესაძლებლობა მოგცემოდა, ყველაფერი თავიდან და სხვაგვარად დაგეწყო.

ჰოდა, იმ დასკვნამდე მივედი, ამ ადგილიდან წერას ვეღარ გავაგრძელებდი, სანამ შენ ორმაგად იარსებებდი. გადავწყვიტე, ჯერ ჩემს ბრილკად მექციე, რომ წერა გამეგრძელებინა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მოგვწოდომოდი შენ, რეალურად არსებულს, ნამდვილს, იმას, ვის აღწერასაც ისედაც ვერ შევძლებდი, რამდენი სიტყვაც უნდა მეხმარა, იმას, ვინც ერთადერთი და განუმეორებელი იქნებოდა ჩემთვის, ვისაც ვერასდროს ვაქცევდი სხვად.

მაგრამ სანამ შენვენ ვიკვლევ გბას, უნდა დავივიწყო შენზე შექმნილი წარმოდგენა და თავიდან აღმოვაჩინო. სხვანაირად, ჩემებურად. ისეთი, როგორიც დაგინახე, ისეთი, როგორიც გიპოვე და ისევ დაგკარგე. უნდა აღმოვაჩინო, ბრილკა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ისევ არ გაცოცხლდები. გოგო, რომელიც ამ ქვეყანას მოევლინა, რომელსაც დაბადების მოწმობაში ანასტასია ჯაში ჩაუწერეს და რომელმაც ბედნიერება მოგვანიჭა, რისი არსებობაც დიდი ხანია აღარ გვახსოვდა არც ერთს.

“ჯაში. მორჩა. ანასტასია იქნება ჯაში”. გათხოვილი იყო თუ განათხოვარი, დარიას ვერ გადაათქმევინებდი. „ჩვენც ხომ მშვენივრად გამოგვადგა ეს გვარი“.

ასე რომ, ჯაში. ანასტასია ჯაში. ოღონდ დარიას არ უნდოდა სტასიად შემოკლება. „მეტიხმეტად რუსულია. იქნებ ანი?“

მაგრამ მას ანი ვერ ერქმეოდა. ბრილკას თვითონ უნდა აერჩია სახელი. ისეთივე ურჩი და განუმეორებელი, როგორიც თავად იყო. მაგრამ თავიდან პანანინა იყო და ხშირი შავი თმა ჰქონდა თავზე. თვალების შავ-შავი და მოჭმუჭნილი, ნაკეცებიანი კანი, თითქოს საუკუნოვანი სიბრძნით დამძიმებული დაიბადა. არ უჩხავლია, საოცრად მშვიდად იყო და თავისი სულში ჩამწვდომი შავ-შავი თვალებით დააკვირდა სამყაროს და ადამიანებს, იქ რომ დაუხვდნენ, თითქოს უკვე კარგად იცნობდა მათ.

მინდოდა, სულ მისთვის მეცქირა, მინდოდა, კარგად გავეცანი, მინდოდა, ჩემს მუცელზე დამეწვინა, მისი სითბო მეგრძნო. დეიდა გავხდი. დეიდა. ამ პანანინა არსებამ ფუნქცია მომანიჭა. აზრი მისცა ჩემს

ცხოვრებას. მომამორა ლოგინს და ოთახს, სადაც კვირების განმავლობაში ვიყავი გამოკეტილი.

დეკემბერში სოხუმი დაეცა. ომი დასრულებულად გამოცხადდა, მაგრამ ჩვენს სხეულებსა და ტვინებში ისევ გრძელდებოდა. ბოლო წლებში დაბუდებული სიცარიელე არსად გამქრალა. მხოლოდ ზღვა დარჩა უვნებელი და ისევ ჩვეულად ეშხეფებოდა კენჭებს, მუქ ქვიმას.

- ამის ატანა აღარ შემიძლია. თევზივით ხარ დამუნჯებული. ვერ ვხვდები, რა გემართება. ზოგჯერ მგონია, საერთოდ არ გიცნობ. გირეკავ და ტელეფონს არ პასუხობ, როცა პატივს მდებ და სადმე მომყვები, მაინც შენთვის ხარ, გამტერებული იყურები სადღაც. წიგნებსაც აღარ კითხულობ. მართლა არ მესმის, რა გჭირს. არ მინდა, მხოლოდ ლოგინი გვაკავშირებდეს. ეს შენი ხანმოკლე შემოვლები. მოდიხარ, ლოგინში მიწვები, სექსის მერე ჩაის ვსვამთ, თითოს ვენევით, შენს მანქანამდე გაცილებ. და მიდიხარ. თითქოს ფარულად ვხვდებით ერთმანეთს. რა ეჭვები გდრღნის? ისევ დავითზე ფიქრობ? ოჯახში გაქვს პრობლემები? ის ტიპი ხომ წავიდა? ხომ გამორდა შენი და. ახლა ყველაფერი უკეთესობისკენ წავა. დამელაპარაკე რა. რა მგერაა ეს, რანაირად მიყურებ. გავაფრენ ნამდვილად. თითქოს სულ მამონმებ. რაღაც ფარულ გამოცდას მიწყობ, რომლის აზრზეც არ ვარ. ვერაფერს ვხვდები.

მეტი ვილაყის დაბადების დღეზე იყო დაპატიჟებული, წინასწარ შემითანხმდა, რომ მეც უნდა წავეყვანე. იმ დღეს ლანა შინ არ იყო, დილაადრიანად მივადექი და მთელი დილა ლოგინში გავატარეთ. როცა წასვლის დრო მოვიდა, როცა წამოდგა და ჩაცმა დაიწყო, გადავბრუნდი და ბებერი, დაღლილი კატასავით მოვიკუნტე. არ მინდოდა ადგომა. არსად არ მინდოდა წასვლა. მინდოდა მთელი ჩემთან დარჩენილიყო. ხმა არ ამოეღო და უბრალოდ მომხვეოდა. მეტი არაფერი. გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ ხალხში უნდა გავსულიყავი, მხიარულად მეტლიკინა და მესვა, ანეკდოტებზე მეცინა და სიმღერებს ავყოლოდი, მეცეკვა კიდეც. ფიზიკურად არ შემეძლო.

მეტი ჩემი დაყოლიება სცადა, საბანზე დამიყარა ტანსაცმელი. მეტი მოთმინება დაკარგა და ლაპარაკი დაიწყო, თანდათან ხმას აუნია, აირია, უმწეო გახდა, სანამ მისი სასონარკვეთა მრისხანებაში არ გადაიზარდა. საბანი გადამხადა, მაჯაში მწვდა, წამომავლო და ისე ამომიტრიალა ხელი, რომ ვიკვილე.

ხელი გამიშვა. მაგრამ მე ყვირილი არ შემინწყვეტია. ვბლაოდი, გადარეულივით ვიქნევი ხელებს, ვიმორებდი, ახლოს არ ვიკარებდი. უცბად ყვირილი შეწყვიტე. უხმოდ ვტიროდი, ცრემლები ღაპალუპით მომდიოდა. კედელ-კედელ მივედი სანოლთან და დავეგდე. როგორც ვიყავი, ნახევრად შიშველი, სხეულზე მკლავებშემოჭდობილი ვქანაობდი წინ და უკან. მთელი გვერდით მომიჭდა, მაგრამ არ შემხებია.

- მე მინდა იქ წასვლა და შენ თუ არ გინდა გამომყვე, შენი საქმეა.

ეტყობოდა, თანაგრძობის უნარი დაემრიტა, არც მე მქონდა ახსნის თავი. ადგა და თმის ვარცხნა დაიწყო სარკის წინ. თან მინდოდა, რომ შემშვებოდა და თან ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა ამეტანა მისი წასვლა და მარტო დარჩენა.

მივვდი. ჩავებლაუჭე. ჩახუტება ვცადე. ჩემი მკლავებიდან გათავისუფლდა და მზადება განაგრძო. როგორ მინდოდა, ყველაფერი მეთქვა მისთვის, ყველაფერი ამეხსნა, ყველაფერი მომეყოლა. მაგრამ არ ვიცოდი, როგორ. ძალიან მინდოდა გამეჩერებინა, არ გამეშვა, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად მეჩვენებოდა, რომ იმ ღამეს ერთად ვყოფილიყავით. მინდოდა, საკუთარი თავისგან გადავერჩინე. ბევრს ვითხოვდი? რა იყო ამაში შეუძლებელი?

- შენ ყოველთვის ყველაფერი ერთბაშად გინდა. და ვინც ამას არ შეგისრულებს, ბურგს აქცევ. გგონია, მე ბედნიერი ვარ? გგონია, ყველაფრით კმაყოფილი ვარ? გგონია, ნერვებს არ მიშლის ეს დამპალი ქვეყანა? ჩემი კურსელი რეზო ხომ იცი, იმან მამამისის სამშენებლო კომპანიაში შემომთავაზა მუშაობა, - ხმას დაუნია ბოლოს და შავი პიჯაკი გადაიცვა ლანას მზრუნველი ხელით გაუთოებულ თეთრ პერანგზე. ასე იდეალურად დაუთოებას მე ვერასდროს მოვახერხებდი. - ახალი დაარსებულია, მხოლოდ წელს მიიღეს ლიცენზია. მამამისმა ინვესტორები მოიზიდა, თუ საქმე კარგად წავა, რეზოს და მე გადმოგვაბარებს. ინვესტორები ამჯერად თურქები არიან, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ რამდენიმე წელიწადში ევროპულ ბაზარზე გავალთ. როცა აქ სიტუაცია დასტაბილურდება, უძრავი ქონების სფეროში ბუმი დაიწყება. როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მოხდა. თავდაპირველად მშენებლობის ნებართვას მოვიპოვებთ, მერე კი რამე უფრო კრეატიულზე...

- მშენებლობის ნებართვა?

ამ სიახლემ ფიქრებიდან გამომიყვანა. სახტად დავრჩი.

- ჰო, ასე არის საჭირო და. რაა ამაში ისეთი?

- არ ვიცი. შენ და მშენებლობის ნებართვა. უცნაურია.

- მეგონა, გაგიხარდებოდა, იმ ბინძურ სახელოსნოში რომ აღარ მომიწევს ვიღაც ჩაქცეული ფუნქციონერების მანქანების გაპრიალება. ეს ხომ ნამდვილი სამუშაოა, რასაც ხალისით გავაკეთებ, სათანადო, ჩემი პროფესიისთვის და...

- მშენებლობის ნებართვა? რა საერთო გაქვს ამასთან?

- არ გინდა ახლა ეს სარკაზმი. არ ჩაგამხამებინებ არც ამ საღამოს და არც ჩემს სამომავლო გეგმებს, დღეისთვის კმარა დავიდარაბა.

- არ ვიცოდი, რომ ჩემთან სიახლოვე შენთვის დავიდარაბას ნიშნავდა.

- ეს რა სიახლოვეა, ნიცა. ამას სიახლოვე აღარ ჰქვია. საკუთარ თავთან მაინც იყავი გულახდილი.

გვერდზე ოთახში ქრისტიანს ძველი ტელევიზორი იყო ჩართული. უნიჭო მექსიკელი მსახიობი უნიჭო მექსიკურ სერიალში მეორე უნიჭო მექსიკელ მსახიობს უნიჭო მექსიკური მუსიკის ფონზე ეფიცებოდა, ყოველთვის მეყვარები და ჩემს საყვარელ ფაზენდაზე ყოველთვის დაგელოდები, მაგრამ ხოსე გილბერტოს უნდა გავყვე ცოლად, იმიტომ რომ სხვა გზა არ მაქვსო.

- ეს რა ფილმია?

ვიცოდი, ეს შევითხვა ასეთ მომენტში კიდევ უფრო გააცოფებდა, მაგრამ მაინც დავუსვი.

- რა ფილმი, რის ფილმი? ვის რაში აინტერესებს ფილმი? თვალი გაახილე, ნიცა, გამოფხიბლდი!

- ჩვენ ხომ...

- მიდი, ჩაიცვი ფეხზე. უნდა გავიდე. მელოდებიან უკვე.

ვბრაზობდი მთლიანად. კომპრომისზე რომ აპირებდა წასვლას, ყველაფერზე თანახმა რომ იყო, უფრო მეტად კი იმიტომ, რომ ვერ შემცვალა. ნორმალურად ვერ მაქცია. ვერ გამწვრთნა. თავ-ბედს ვინყველიდი, რომ საკუთარი თავის და საკუთარი ირაციონალიზმის ერთგული ვიყავი ადრე, საკუთარი სისულელის, ყველაფერს ვუმხედრდებოდი, იმედს არ ვკარგავდი და მეგონა, რომ რამეს შევცვლიდი. ჩახდილშარვლიანმა სადისტმა კი ეს ყველაფერი რამდენიმე წუთში წამართვა, როცა ხელები ამომიტრიალა და საბეჭდ დაზგაზე მიმაჭყლიტა. როგორ შეეძლო ადამიანს, რომელიც ასე თავდავიწყებით მიყვარდა, რომელიც ჩემი აზრების, იმედებისა და ოცნებების თანამოზიარე იყო, ვერ მოეხერხებინა ის, რაც იმ საზიზღარმა უცხო კაცმა ასე იოლად შეძლო? გამტეხა. ყოველგვარი იმედი გამომაცალა. წინააღმდეგობის განევის უნარი. უკომპრომისობის ჟინი. ყველა აზრი უაზრობად აქცია. წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასე კარგად ვიქნებოდი ყველა იმედის გაცრუების შემდეგ, სრიალ-სრიალით გავუყვებოდი ცხოვრების მოყინულ გზას, ციგაზე მიბმულივით, ციგაზე, რომლის მართვის უნარიც კი არ მქონდა და რომელსაც მთლიანად ვეღარ აჩერებდა. ხელსაც კი ვერ მიწვდიდა, რომ ამოვეყვანე ჭაობიდან, რომელშიც ვიძირებოდი.

არადა, მშვენივრად მესმოდა, რა სულელი ვიყავი, მთლიანად რომ ვბრაზობდი. როგორი უსამართლო. ის იმ ღამის უხილავი შედეგების მომსწრე იყო მხოლოდ. სისხლჩაქცევები დიდი ხანია აღარ მეტყობოდა. დანარჩენი კი, რაც სტამბაში გატარებულმა ღამემ სამახსოვროდ დამიტოვა, მართო უხილავი კი არა, სიტყვით უთქმელიც იყო. რატომ მოვითხოვდი მთლიანად, რომ უხილავი დაენახა და ჩემ მაგივრად ეთქვა, რასაც მე ვერ ვამბობდი? ეს შეუძლებელი იყო. ბუნებრივია, მარცხი განიცადა ჩემთან. ისევე როგორც მე საკუთარ თავთან, ჩემს ყოფასთან, ჩემს ამბებთან, ჩემს არარსებულ მომავალთან, ჩემს

მოთხოვნილებებთან, ჩემს თანამემამულეებთან, ჩემს ქვეყანასთან, ჩემს დროსთან და უკვე მიროსთანაც.

რატომ არ შეეძლო ჩემს სულში ჩახედვა, როგორც ჩემი დის პატარა შვილს? რატომ უჭირდა ასე? თვითონ არ მასწავლიდა წლების განმავლობაში სიცილით, ფრთხილად, თამაშ-თამაშით ოცნებას, თვითონ არ იყო, ასე ძალდაუტანებლად რომ მიმიყვანა სიყვარულთან?! მიმილო და შემეფარა. ახლა კი, როცა მალე დიპლომს ჩაიდებდა ჯიბეში, მოსაწყენ მშენებლობის ნებართვებზე იზრუნებდა, იმაზე ოცნებობდა, რაც განადღებელი ექნებოდა, ახლა, როცა ქეიფი და დროსტარება მოუნდა, მე უკვე მეტისმეტად მძიმე გავხდი მისთვის, მეტისმეტად ბლანტი, ბნელი და მწარე.

რატომ არ გამანდო თავიდანვე, რომ ჩვენი სიყვარული ვერ გაუძლებდა ომებს, გასაჭირს, სიცივეს, უშუქობას, იმედგაცრუებას და, რაც მთავარია, იმ ღამეს, ერთადერთ ღამეს ცარიელ სტამბაში, სხვა რამეებისთვის რომ იყენებდნენ უკვე და არა ახალი ამბების გასაწვრცელებლად, ჰო, სულ სხვა რამეებისთვის. რატომ არ დამიცვა ასეთი სიყვარულისგან? როგორ უნდა დამერწმუნებინა, რომ ცდებოდა, როცა სულ მსაყვედურობდა, მე არ აგირჩევია. მე ხომ თავიდანვე ავირჩიე მირო, ჯერ კიდევ მაშინ, ახალგაზრდული ცენტრის ტელევიზორიან ოთახში სათავგადასავლო წიგნს რომ ვუკითხავდი და მასთან ერთად ვმოგზაურობდი სხვადასხვა დროსა და სამყაროში და ყველაფრისთვის მზად ვიყავი, რაც უნდა წარმოგვედგინა და გვეთქვა. ჰო, მე მირო ავირჩიე. საკუთარი თავის სასარგებლოდ კი არასდროს გამიკეთებია არჩევანი. საკუთარი ცხოვრებისთვის ვერ მოვიცალე, საკუთარი მეს მილიონი ვარიანტიდან ვერც ერთი ვერ ავირჩიე, ვერ გავუფრთხილდი, ვერ ავყევი. „ის უნდა იპოვო, რაც ყველაზე მოულოდნელია შენში“ – ასე მირჩია დავითმა და, ალბათ, სწორედ ასე მოვიქეცი. ალბათ, სწორედ ასეთი მე ვიყავი ყველაზე წარმოუდგენელი. ვერც მიროს ვუშვებდი იმ ოთახიდან და ვერც თვითონ მივყვებოდი. ყელზე ვეკიდებოდი, ვეხვეწებოდი დარჩენილიყო, ტანსაცმელზე ვეკონწიალებოდი. გამინაწყენდა, სულელივით იქცევიო, ვერ დაიჯერა, რომ მის დარჩენას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა იმწუთას ჩემთვის. ჯერ ალერსიანად მარწმუნებდა. როცა სიტყვით ვერაფერს გახდა, ხელის კვრაზე გადავიდა, და როცა ამითაც ვერ მომიშორა, მეცა, ამიტაცა და მომისროლა. თავით შევასკდი კედელს, ჩამოვცურდი და იატაკზე დავრჩი. თავი მეტკინა და მაგრად მოვიჭირე ხელი. წამით დამხედა დაბნეულმა, აქოშინებულმა, მერე საყვედურით გაიქნია თავი და ოთახიდან გავარდა.

ანასტასიას დაბადებიდან ერთ თვეში დარიას რძე აღარ ჰქონდა. ძილში სიარული დაიწყო, დგებოდა ღამღამობით, დაბორილობდა

მთელ სახლში, ზოგჯერ ბაღშიც კი. ფეხშიშველი მიბოდილობდა თოვლში, თხელი, გრძელი ღამის პერანგის ამარა, შთამბეჭდავი ელევანტურობით დაფარფატებდა მისი ლანდი ზამთრიან არემარეში, როგორც სნეული ოფელია თავისი ნაკადულის ძიებაში. დედობასთან ერთად ქორწინების წნეხით ჩამქრალი სილამაზე დაიბრუნა, შვილის გაჩენამ შემადრწუნებლად აღამაღლა. ისევ წელამდე გაზრდილი ხორბლისფერი თმა ზურგს უფარავდა. კანი ისევ სპილოსძვლისფერი გაუხდა. დიდი გულისყურითა და სიფრთხილით გვინევდა მისი შეტყუება შინ. დილას აღარაფერი ახსოვდა ხოლმე. ელენე და მე რიგრიგობით ვდარაჯობდით, რადგან დარია ისევ ბაგირზე მოცეკვავე გოგოდ იქცა.

ოტჯერ ჩაიყვანა ქალაქში შვილი, რომ მამისთვის ეჩვენებინა. იმას ორივეჯერ უტირია, პატარა ანასტასია რომ აუყვანია ხელში. დარია კმაყოფილი გვიყვებოდა ამას. თუმცა, როდესაც ლაშამ გაიგო, რომ დარიამ თავისი გვარი მისცა შვილს, შეხვედრებზე უარი თქვა. დარიას მისი სახელის ხსენებაც აღარ უნდოდა. სიტყვაც აღარ დაუძრავს ლაშაზე. თითქოს ეს ადამიანი არც ყოფილა მის ცხოვრებაში. ამ თამაშში ჩვენც ავეყვით და ლაშას სახსენებელი გავაქრეთ ჩვენი ოჯახიდან.

ახალი წლის წინა დღეები იყო. დილაადრიან დარია სამზარეულოში შემოვიდა, სწორედ იმ დროს, – ელენე და მე სტასიას ტორტებს რომ ვანყობდით მაყაოს ყუთებში, რათა ქალაქში ჩაგვეტანა, და გამოგვიცხადა, რომ ქალაქში უნდოდა ჩვენთან ერთად წამოსვლა. ამ ციხესიმაგრეში წამიც ვეღარ გავძლებ, ხალხში გასვლა მჭირდებაო. დედა სიხარულით დაეთანხმა. დარიას ლოყები აუვარდისფრდა, როცა მანქანის უკანა სავარძლიდან გასცქეროდა დათოვლილ არემარეს. მეც მიხაროდა, გრძნობები რომ გამოავლინა. გრიგალმა გადაიარა-მეთქი, იმედი მომეცა. სადღაც ლენინის მოედანთან ჩამოვსვით, რომელსაც უკვე თავისუფლების მოედანი ერქვა. დაჟანგულ სარეკლამო ბანერზე ცირკის აფიშა იყო აკრული, ბრიყვულად მოცინარი კლოუნი მიეხატათ ზედ. სამოქალაქო ომის დღეებში ტყვიები მოხვედროდა. შემეცოდა საწყალი კლოუნი. მის წითელ ცხვირზე იდიეს შური. ტორტები სარდაფის საკონდიტროში ჩავაბარეთ და მე უნივერსიტეტისკენ განვაგრძე გზა.

ლექციებიდან გამოსულმა, გაჩერებაზე ლაშას ყოფილ ცოლს მოვკარი თვალი. ამჟამად აღელვებული ელაპარაკებოდა ვიღაც ორ ქალს. საბედნიეროდ, ვერ მიცნო და მეც ცნობისმოყვარეობამ მძლია და საგრძნობლად მივუახლოვდი. ლაშას ახსენებდა. თავის მეგობრებს უყვებოდა, ფიზიოთერაპიის კურსს გადის, უმჯობესდება, იმედია, ერთ მშვენიერ დღეს ფეხზე დადგებაო. თავმოძნონედ განაცხადა, რომ თავისთან უპირებდა გადაყვანას, მისი მშობლების ბინაში რომ არ ერბინა მის მოსავლელად.

– მაგის ცოლი სად არის? – იკითხა ერთ-ერთმა.

- ის ბოზანდარა? საბედნიეროდ, ლაშა დროულად მიხვდა, ვისთან ჰქონდა საქმე. ის მთელი ვალები ხომ მარტო მაგის გამო აიკიდა, მისი ცხოვრების დონე რომ შეენარჩუნებინა, ქალბატონი ჯაში ხომ ყველაფერ საუკეთესოს იყო მიჩვეული, და ესეც აიყოლია. მიაშობ, როგორ არცხვენდა და ამცირებდა მოსკოვში. ფული თუ ვერ მიჰქონდა სახლში, ხმას არ სცემდა, წარმოგიდგენიათ? სანყალმა ლაშამ ყოველივე ცრემლიანი თვალებით მიაშობ. თავიდანვე ვიცოდი, რომ უბედურების მეტს არაფერს მოუტანდა. მაგან რა იცის, რა არის სიყვარული, უბრალოდ, საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ შეძლებდა ლაშას ხელში ჩაგდებას, მოახერხებდა ჩვენს დაშორებას. მაგრამ ვიცოდი, ერთ მშვენიერ დღეს გონს მოვიდოდა. ასე თუ შევხედავთ, კარგიცაა, რომ ეს ტრაგედია დაემართა...

სიამოვნებით მივუვარდებოდი, ცალ ხელზე დავიხვევდი მის თმას და ძირს დავაგდებდი, მერე მთელი ძალით გავანწავდი სილას, მაგრამ დამბლადაცემულივით ვიდექი, არც განძრევის თავი მქონდა და არც რამის თქმის. ამის ნაცვლად დარცხვენილი, გამოფიტული ვუყურებდი, როგორ ავიდნენ ქალები ტროლეიბუსში და გამშორდნენ.

ოთხი დღე ვეძებდით დარიას. ოთხი დღის განმავლობაში ყველას ჩამოვურევეთ, ვისაც კი იცნობდა. დედაჩემი ერთიანად ცახცახებდა, კოსტიას ყურმილი უვარდებოდა ხელიდან. მეოთხე დღეს, როგორც იქნა, მივაგენი, ერთ-ერთმა მისმა თანაკურსელმა მომცა მისამართი, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო. მხატვრების სახლი იყო ახალ უბანში. კარი ვიღაც ტიპმა გამიღო, რომელიც რინგიდან გადმომხტარ მოკრივეს ჰგავდა. არც კი მითქვამს, ვინ ვიყავი და რა მინდოდა, ისე ჩავუარე, პატარა ეზოში შევაჭერი, იქიდან კი მაღალბოძებიან გაბოლილ ოთახში. მოკრივე ჩქარი ნაბიჯით გამომყვა. აქა-იქ დაუმთავრებელი ქანდაკებები იდგა, დიდი დინამიკებიდან ჯენის ჯოპლინის ხმა იღვრებოდა და მარიხუანას სუნით იყო იქაურობა გაჯერებული.

დაფლეთილ დივანზე რამდენიმე მოკლევებიან გოგოს ვიღაც გრძელთმიანი მასხარა ეანგლებოდა. სახელურზე ჩამომჯდარი დარია კედელს მიყრდნობილიყო და იცინოდა. მთვრალი იყო. ხელი ვსტაცე და კარისკენ ვუბიძგე, როგორმე მანქანამდე უნდა მიმეყვანა. მანამდე მოკრივეს გამოვსტყუე ცოტა ფული, რადგან დარიას ძებნაში ბენზინის ბაკი დაცარიელდა და მეც კაპიკი აღარ მქონდა.

* * *

Can you picture what will be
So limitless and free
Desperately in need of some stranger's hand
In a desperate land.[10]
The Doors

- ვინ გგონია შენი თავი? ისევ ჩემი ზედამხედველის როლი გინდა მოირგო?! თავი დამანებე! როცა მომინდება, მაშინ დავთვრები. რასაც მინდა, იმას ვიზამ. შენს მეგობრებს მიხედუ და ჩემებზე ნუ იბზუებ ცხვირს.

- რას მოიგებ კაიფით და მხატვრებთან გადასახლებით? ვინ არიან საერთოდ? სად იპოვე? შენ ხომ ეგეთი არ ხარ.

- მართლა? აბა, როგორი ვარ? მსახიობი ვარ მაგარი?

- დიახაც, ხარ. მაგრამ ამისთვის რამის კეთება უნდა დაიწყო ისევ. მთელი ქვეყანა გაძალღებულა, მართო შენ კი არ ხარ ცუდად, დარო.

- ნუ გგონია, რომ სხვებზე უკეთ იცი ყველაფერი. შენი აზრით, მაგარი ტიპი გყავს დათრეული, რომელსაც მარად ეყვარები, ინტელექტუალურ თემებზე ისაუბრებს შენთან, მხარში დაგიდგება და ხელისგულზე გატარებს. ასე ფიქრობ, არა? მირო ეგრევე გიღალატებს, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა, ძირს დაგდებულს მიგატოვებს, გადაგაბიჯებს და გზას განაგრძობს. ეგეთები არიან ყველანი. ჰო, ჩვენს საწყალ ნიჭიერ გოგოს კი ისევ ჰგონია, რომ სამყარო უნდა გადააკეთოს.

- არავითარი საფუძველი არ გამაჩნია, რომ მირო პირველივე შესაძლებლობისთანავე მიმატოვებს. ყველა ეგეთი არ არის, დარია.

სახეში შემომცინა.

- რა ვუყოთ, არ სჯერა საწყალ პატარა ნიჭიერ გოგოს. მართო სიკეთის გზამს, არა, ადამიანებში? შენ ხომ მხოლოდ ჭეშმარიტი მეგობრები გყავს. ყოველი მათგანი ისეთივე პატარა გმირია, როგორიც შენ.

- მორჩი, დარია. ნუ ცდილობ, გესლიანი იყო. არ ხარ ასეთი.

- სულ დამავიწყდა: შენ ხომ ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგახარ. მაგრამ როგორც კი ერთი-ორჯერ იმედი გაგიცრუვდება, ბედი თუ გიმტყუნებს საგმირო საქმეებში, ცოტა თუ გაგიჭირდება და თან ღრმად ჩაიხედავ შენი კეთილშობილი მეგობრის სულში, დამთავრებული იქნება ადამიანების სიკეთე, ნიცა.

- შენ გგონია, არასდროს განმიცდია იმედგაცრუება? ეს თუ განუგეშებს, მოგიყვები, რამდენი...

- შენი განცდები შენთვის შეინახე, საკუთარიც შეყოფა.

- შენი განცდები! თითქოს შენს უიღბლო ქორწინებასთან შედარებით სხვა ყველაფერი უმნიშვნელოა! მაპატიე, მაგრამ შენი საყვარელი ქმრისნაირი ღორი არ არის ყველა.

- როგორ არა, არც შენი მიროა უკეთესი, არც ეგაა წმინდანი. გინდა დავნაძლევედეთ?

ისეთი ნიშნის მოგებით მითხრა, ისე ცბიერად შემომხედა, გამაცია. აღარაფერი ვუთხარი და ოთახიდან გავვედი.

აივანზე მესმოდა, როგორ უმღეროდა დიდი სტასია პატარა ანასტასიას იავნანას.

ისე გამაცოფა დარიამ, გადავწყვიტე, აღარასდროს მეძებნა, სადაც წავიდოდა, კვალში არ ჩავდგომოდი, არასდროს ჩამეტენა მანქანაში მთვრალი და გონებადაბინდული მოსაყვანად, მაგრამ 24 საათზე მეტი ვერ გავძელი. ვაკითხავდი ხოლმე სახელოსნოში ან სადმე სხვაგან და მომყავდა. სტასიაც კი ჩამჩიჩინებდა, მოეშვიო, ალევო ჭკუას მარიგებდა, აცადე, „დაიცალოსო“, თავისი დარდი დაძლიოსო, მაგრამ მე უბრალოდ არ შემედლო. ვკიუდებოდი, როცა წარმოვიდგენდი, როგორ იბრუებდა თავს ყველაფრის დასავინწყებლად, ყოველგვარი პასუხისმგებლობის ჩამოსახსნელად. დღეს უკვე ვხვდები, რომ დარიას პირად ცხოვრებაში ჩაღრმავება ჩემი ეგოიზმითაც იყო გამონვეული, ასე უკეთ გავუბრუნე საკუთარ პრობლემებს. დარიას ძებნაში შემოვლილმა უცხო ადგილებმა შემეპაავა იქ დაბრუნებისგან, სადაც აღარ მიხდოდა ყოფნა. ამის წყალობით აღარ ვფიქრობდი დღედაღამ სტამბაზე და თავიდან ამოვიგდე ის სურათები. დარიაზე ზრუნვა მიროსა და ჩემს პრობლემებზე ფიქრის საშუალებას არ მაძლევდა. ჩვენი ჩხუბის შემდეგ მირო ხომ ამკარად თავს მარიდებდა, სულ დაკავებულობას უჩიოდა და მიზეზი არ ელევოდა, რატომ ვერ იცლიდა ჩემთვის.

როცა კოსტიას ხვენწა-მუდარის შემდეგ დარია ბედიზედ სამი დღე მწვანე სახლში დარჩა – აივანზე წავაწყდი ერთ დილას საბანში გახვეულს, მუშის თვალებით სადღაც იყურებოდა და ცრემლები მოსდიოდა ღაპადუპით.

კარგა ხნის მერე ამოღერდა, ლაშას ყოფილ ცოლს ბინა უქირავებია, ლაშა წაუყვანია და მომვლელიც აუყვანია მისთვის, ლაშას მშობლებისგან გავიგეო. ექსკოლის მამა ენერგეტიკის სამინისტროში მუშაობს და შესაძლებლობა აქვს, ფინანსურად დაეხმაროსო. მერე ისევ თვალგამტერებულმა დაამატა, ლაშა განქორწინებას ითხოვს. ექსკოლს არ უნდა ამდენ ხანს ექსკოლობაო.

დარია იმავე ღამეს გაიპარა სახლიდან, როცა ყველას გვეძინა, და მეორე დილას უკვე აღშფოთებული ექსკოლის ხმა ჩამძახოდა ყურმილში, შენი მთვრალი ბოზანდარა და მოაშორე აქედანო. შუალამისას მივიდა თურმე დარია მათ ახალ სახლთან (სიახლის ხაზისგასმა არ დაავინწყდა ექსკოლს), მთელი ებოს გასაგონად ეძახდა ლაშას, მეზობლები გაადვიძა. მერე სადარბაზო იპოვა და უკვე ბინის კარზე დაიწყო ბრაზუნი და ლაშას ძახილი. მიყვარხარო, მოსთქვამდა, შევცდიო. პულოვერანეული გაჰკიოდა, შეხედოს ლაშამ, რას უშვებს ხელიდანო. ეს რომ გავიგონე, ხელი ავიფარე ტუჩებზე, კინაღამ გული ამერია. ამან სულ დამანგრია შინაგანად. რაღაც ჩამწყდა. არ ვიცი, დარიას უაზრო, დაუფიქრებელი საქციელით გამონვეული დამცირებისგან თუ საკუთარი უსუსურობისგან, ვერაფერს რომ გავხდი მასთან, ვერ ვუსაშველე.

მომდევნო კვირების განმავლობაშიც, თითქმის ყოველდღე მიწევდა ჩემი დის წამოყვანა სხვადასხვა ბინიდან. ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭული

შევისწავლე, გარეუბნები და შემოგარენი. თუმცა ყველაზე ხშირად მოქანდაკის სახელოსნოში ვპოულობდი, ახალ უბანში. იქ იყო მისი თანამოაზრეების ყველაზე მნიშვნელოვანი და მუდმივი ბუდე. ამასობაში უმრავლესობა გავიცანი კიდეც, ძალად ხელოვანები, ყოფილი მხედრიონელები, ჰეროინზე შემსხდრები, მშვიდობიანი სტუდენტები, ყველაფერი რომ გაყიდეს და დააგირავეს და აღარაფერი გააჩნდათ, აღარაფერი შეეძლოთ, აღარაფერი უნდოდათ, გარდა იმისა, რომ ერთბედექვემ მყოფებს ერთად მოეკლათ დარჩენილი დრო. როგორც ჩანს, ქეიფი ერთადერთი დასტური იყო მათთვის, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ.

ელენე დარდისგან დაილია, ჩამოდნა და აჩრდილივით დადიოდა. ტორტების ცხობასა და კერძო გაკვეთილებს შორის იხლიჩებოდა დარიას გამო, ექიმებთან დაჰყავდა წამდაუნუმ, ბალახებით მკურნალ ქალებთან, ერთხელ მკითხავიც კი მოიყვანა სახლში.

დარია დამჯერად ესინჯებოდა ექიმებს, ესაუბრებოდა ყველას – მერე კი დადამდებოდა თუ არა, შინიდან იპარებოდა.

ზოგჯერ შვილს ხელში აიყვანდა ხოლმე, გულში იხუტებდა და ეჩურჩულებოდა, მშვიდდებოდა და გუნებაც უუმჯობესდებოდა. ასეთ დროს იმედი მეძლეოდა, რომ უსამველო არაფერი სჭირდა, რომ მალე განიკურნებოდა. ასეთ წუთებში მჯეროდა, რომ დარიას შეეძლო, ისევ ისეთი გამხდარიყო, როგორიც ადრე იყო. ხალისიანი და მსუბუქი, აღფრთოვანებული, მიმნდობი. მაგრამ ასეთი წამები ისევე სწრაფად და მოულოდნელად ქრებოდა, როგორც ჩნდებოდა ხოლმე. ელენე და მე იძულებულნი გავხდით გვეღიარებინა, რომ დარიას ვერ ვაკავებდით და ტაქტიკის შეცვლა ვარჩიეთ.

გადავწყვიტე, მეც დამეწყო ქეიფი და დროსტარება და დამებრუნებინა დარიას ნდობა. მეგონა, ასე უკეთ მივაღვენებდი თვალს და კატასტროფებს ავარიდებდი, თუ ყველგან თან გავყვებოდი.

იმ დროს ახალი ძალით იფეთქა დედაჩვენის რწმენამ. დარიასთან მიმართებით საკუთარი მარცხისა და უსუსურობის აღიარების მერე ისეთი სასონარკვეთილი დარჩა, რომ ვერც ერთი ექიმი და ფიტოთერაპევტი ვერ უშველიდა. რაღაც უფრო ზემოქმედი სჭირდებოდა წონასწორობის აღსადგენად. ჰო, ისევ ღმერთის შეწევნით იმედი მიეცა. მარხვა დაიწყო, რაც მე წარმოუდგენელ პროვოკაციად მივიჩინე ისედაც პროდუქტების დეფიციტის პირობებში. მერე ბიბლიას ჩაუღრმავდა და ეკლესიაში მოუხშირა სიარულს. მისაღები ოთახის ერთი კედელი თანდათან ხატებით შეავსო. ადამიანები თუ ვერ გვშველიან მე და ჩემს შვილს, იქნებ ღმერთი შეგვეწიოსო.

დროც შესაფერისი აღმოჩნდა ამისთვის: ყველამ ეკლესიას მიაშურა, დიდპატარიანად სამოცდაათწლიანმა წნეხმა და დევნამ გაათმაგა მოსახლეობის რელიგიურობა: ძველ და ახალ ეკლესიებს მიანყდნენ,

სახლებს ხატებით რთავდნენ, უმუშევარ ომგამოვლილებსა და მხედრონელებს ახალი მონოდება გამოუჩნდათ, შავი ანაფორებით შეიმოსნენ და ქადაგება დაიწყეს. ვერც ცოლის ღვთისმოსაობით შეწუხებული ალეკო გახდა რამეს და ვერც თავგადაკლული ათეისტი და კომუნისტი კოსტია.

მარტი იყო თუ აპრილი, აღარ მახსოვს, სახელოსნოში მირო მოვიდა პირველად. ძველი „ჰონდა“ ეყიდა და თავი მოჰქონდა ამ ახალი შენაძენით. მისმა სამსახურმა აშკარად აღუდგინა შელახული თავმოყვარეობა. ფულს შოულობდა, პატივს სცემდნენ, გეგმებს ანყობდა და უკვე პატარა ბოსივით იქცეოდა. ჩაცმის სტილიც კი შეეცვალა. სულ უფრო იშვიათად ხვდებოდა კარტინგის დროინდელ ძველ მეგობრებს და სულ უფრო ხშირად უცნობ, კარგად ჩაცმულ, საქმიან იერაღებეჭდილ ახალგაზრდა კაცებს, დრომ რომ დააწინაურა ახალ ქართველებად.

ტელეფონით შემომთავაზა, ხალფასი ავიღე და სასტუმრო „მეტეხის“ უმაგრეს რესტორანში მინდა წაგიყვანო. ვუთხარი, ასეთი წვალებით ნაშოვნი ფულის ფლანგვა არ ღირს-მეთქი, მაგრამ სადღაც გამიხარდა კიდევ, იმიტომ რომ მხიარული და ხალისიანი ხმა ჰქონდა. საშინელი მონატრება ვიგრძენი. მოკლედ, საღამოს დავთქვით შეხვედრა. მაგრამ მოგვიანებით ელენემ დამირეკა და მთხოვა, დარია როგორმე მომეძებნა და შინ დამებრუნებინა. სახლში დილიდანვე არეული ყოფილა, ჭურჭელი მიუმსხვრევია მისთვის და ალეკოსთვის, მერე კი შინიდან გავარდნილა. თავ-ბედი ვიწყევლე. მენანებოდა დარიას ახირების გამო მიროსთან ჩამშლოდა სანატრელი საღამო. მაგრამ მაინც დავნებდი დედაჩემს.

მანქანაში ავუხსენი და ვთხოვე მიროს, ჯერ ჩემი დის დედაჩემთან მიყვანაში დამხმარებოდა, ჩვენი ჩანაფიქრი კი ამის მერე შეგვესრულებინა. თუმცა სულ არ მინდოდა იმ ავადსახსენებელ ადგილას მისი მიყვანა. მაშინვე დამთანხმდა, რასაც სულ არ ველოდი, ისიც დასძინა, კარგა ხანია მაინტერესებს, სად დაიარები ხოლმეო და სახელოსნოში მივედი. სტუმრები ხის გრძელ მაგიდასთან ისხდნენ და ჩემი დის მომზადებულ წვნიანს შეექცეოდნენ. წინსაფარიან დარიას თვალები უბრწყინავდა, მაღლა აწეული თმა ფანქრით ჰქონდა დამაგრებული. იმ საღამოს გულითადი დიასახლისის როლს ასრულებდა, მაშინვე შევატყვე, როგორი გახარებული იყო. მაგრად ჩამიკრა გულში, მიროს მოეხვია და თავის ყველა მეგობარს სათითაოდ გააცნო.

წამით შევუკურთხე ელენეს, ასეთი პანიკა რომ ატეხა. დარია არც წყობიდან გამოსულს ჰგავდა და არც აგრესიულს.

პირიქით: ისეთი არხენი, იმ საღამოს რომ იყო, კარგა ხანია არ მენახა. ეცვა ლურჯი კაბა, მის ბაც თვალს რომ ჰმატებდა ელვარებას და პომადაც კი ესვა. თავი კარგად ეჭირა, მშვენივრად იყო. შემეძლო მიროსთან ერთად გატარებული საღამოთი დავმტკბარიყავი. ხელი გავუყარე და გასასვლელისკენ წავიყვანე, სასიამოვნო საღამო ვუსურვე

ყველას. მაგრამ მირო გაჩერდა და ყურში ჩამჩურჩულა, ნახე, რა სიმყუდროვეა, რა თავაზიანი და საინტერესო ადამიანები არიანო. დარიას ეწყინება, მისი წვნიანი რომ არ გავსინჯოთო. ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარი იყო. ძლივს მომეცა აქედან წასვლის შესაძლებლობა, გამაკვირვა მისმა სურვილმა, არადა მშვიდად და გულარხინად ვაპირებდი იქიდან გაგვეღწია. ამას კი, სულ რომ მენატრებოდა, პირიქით, იქ მოუნდა დარჩენა.

- რა სისულელეა, მირო. ნავიდეთ აქედან!

- კი მაგრამ, რატომ? მე მომწონს აქაურობა. კარგი რა, ნიცა, რესტორანში ხომ სხვა დროსაც შევძლებთ წასვლას. არ იქნება ლამაზი ასე გაქცევა.

ამ დროს დარია მის გვერდით გაჩნდა, ხელი ჩაავლო და მაგიდისკენ წაიყვანა. სხვა რალა დამრჩენოდა, შევურიგდი გარემოებას. ყველაფერს წარმოვიდგენდი იმის გარდა, რომ მირო ასეთ ადგილას კარგად იგრძნობდა თავს.

მაგიდას მიუჭდა თუ არა, უცებ შევიდა ყველასთან კონტაქტში, გულდიად იცინოდა და ხუმრობდა და საერთოდ მომხიბლავად იქცეოდა, ჩემთვის ნათელი გახდა ამ ადამიანების მიმართ მისი უცაბედი სიმპათიის მიზეზი. ძველი მეგობრები მოენატრა. მოენატრა ის დღეები, მზიურში რომ ატარებდა თავისუფლად. მოენატრა მაშინდელი ანგარიშმიუცემელი თავქარიანობა, თავისი მოუხეშავი, გულიანი მეგობრები, რომლებიც მშენებლობის დაგეგმარებაზე კი ვერაფერს იტყოდნენ, სამაგიეროდ, დაწვრილებით განიხილავდნენ ლამაზ ქალებსა და სწრაფ მანქანებს. ის უდარდელობა მოაკლდა, ის დალხენილი ყოფა და მეც გადავწყვიტე, ბოლო მომეღო ჩემი უიმედობისთვის და მასთან ერთად გამეცოცხლებინა ის ძველი დრო.

მონდომებით სვამდა ყველასთან ერთად, ხალისით ჰყვებოდა ანეკდოტებს, ართობდა თავშეყრილებს და მათი უსაზღვრო ყურადღებით ტკბებოდა. მიროს ძალდაუტანებელმა სიხალისემ აშკარად დარიაზეც იმოქმედა, გვერდიდან არ შორდებოდა. ადრე დიდად არასდროს დაინტერესებულა მისით. მეტისმეტად უფერულად მიაჩნდა თავისი კაჰკაჰა სამყაროსთვის. სიმღერები და უაზრო სადღეგრძელოები ერთმანეთს ენაცვლებოდა. მე ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემ წინაშე ისევ ძველი მირო იდგა. მის ანეკდოტებზე ვიცინოდი, კისერზე ვეკიდებოდი, მის მსგავსად მეც ვსვამდი დანარჩენებთან ბრუდერშატტზე, ვხითხითებდი და ყირაზე გადავდიოდი. ისეთი კარგი იყო ყველაფრის თავდავიწყება, უბრალოდ სიცოცხლით ტკბობა. ვეცეკვებოდი დარიას, მოკრივეს, მიროს. და როცა გარიჟრაჟზე სამივენი ტაქსის უკანა სავარძელზე დავსხედით და ნახევრად ჩაბნელებული ქალაქი გადავკვეთეთ, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ გავცოცხლდი, თითქოს პირველად მთელი საუკუნის მერე. მიროს მხარზე დავადე თავი, დარიას კი ხელი ჩავჭიდე.

მომდევნო დღეებში მირომ ყურები გამომიჭედა, კიდევ წავიდეთ სახელოსნოში. ვცადე ამეხსნა მისთვის, რომ ერთ-ერთ საუკეთესო საღამოს შეესწრო, რომ მეტწილად იქ სტუმრების ქცევა ყველა ზღვარს სცილდებოდა და არც დარია იყო ხოლმე ისეთი თვინიერი და თბილი, როგორიც იმ საღამოს. მაგრამ მას არაფრის გაგონება არ უნდოდა. ათას მიზეზს ვიფიქრებდი, რომ იქ არ წავსულიყავით, ამის გამო რამდენიმე ხანს თვითონაც არ მივსულვარ სახელოსნოში. ის კი მაინც მიდიოდა. ისევ და ისევ მიდიოდა იქ. აღარც ვეკითხებოდი ხოლმე, საღამოს რას აპირებ-მეთქი, ისედაც ვიცოდი პასუხი. იყო დღეები, როცა მე არც მივყვებოდი სახელოსნოში. მწვანე სახლში ვრჩებოდი, თავს ძალას ვატანდი, რომ წერა გამეგრძელებინა. სხვენში ავდიოდი, მძინარე ანასტასიას ვაკვირდებოდი, ვკითხულობდი ან ვარსკვლავებს ვაშტერდებოდი. ვცდილობდი, ხახადადებული სიცარიელე ამომევესო – ასოებითა და სიტყვებით, წინადადებებითა და ამბებით. მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით ვახერხებდი ამას, მხოლოდ გათენებამდე.

დავითი მენატრებოდა. გონებაში ვესაუბრებოდი. შოკოლადის სურნელს სამზარეულოში მივყვებოდი და სტასიას ართრიტისგან ფორმამეცვლილ ხელებს შევეშველებოდი ხოლმე, ცხოხისას. დედაჩემს ტორტების ქალაქში ჩატანაში ვეხმარებოდი. როცა გზაში ისევ რწმენის ეკლესიისა და მარხვის განმწმენდი ძალის მნიშვნელობაზე იწყებდა ლაპარაკს, ხმას არ ვიღებდი და თავს ვიკავებდი, რომ სახეში არ მიმეხალა მისთვის, შეწყვიტე, ადამიანო, ბოლოს და ბოლოს-მეთქი.

უნივერსიტეტში რის ვაივავალახით დავდიოდი. ბოლო წელი მქონდა დარჩენილი. სულ რამდენიმე თვე. ბოიკოტი გამოვუცხადე იმ პროფესორის ლექციებს, რომელმაც აფხაზეთში გამგზავრება მირჩია და აზრზეც არ იყო, რომ გარეუბნის სტამბაში ვიპოვე ჩემი აფხაზეთი. სახელოსნოში ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერი მადარდებდა, მირო მკოცნიდა და მხრებს მიზელდა, მე იაფფასიან არაყს ვსვამდი. მთვრალმა სირტაკიც კი ვიციკვე ყველასთან ერთად.

სამყარომ ან გაორმაგებული სისწრაფით დაიწყო ტრიალი ან საერთოდ გაჩერდა. ველარ ვხვდებოდი, და ჩემთვის სულერთი იყო უკვე. ვერც ვერაფრის შეჩერებას ვახერხებდი და ვერც ვერაფრის მოპოვებას. არაფრის მართვა არ შემეძლო, საკუთარი მანქანის საჭის გარდა.

მირო შეიცვალა. ჩაეშვა. სამსახურზე გული აიცრუა. თავისი ახალი მანქანით ბოძს შეასკდა, იმიტომ რომ მუდამ მთვრალი ბრუნდებოდა შინ. ხელს წამავლებდა და ტუალეტში მიმათრევდა ხოლმე, ტანსაცმელში ფათურს მიწყებდა, ყელს მილოკავდა. მე წინააღმდეგობის განწევის ძალაც არ მქონდა, უბრალოდ, ვემორჩილებოდი. ის, რაც ადრე ასე მიყვარდა, გულგრილს მტოვებდა უკვე.

აპრილში ნამდვილი სიცხე დაატყდა ქალაქს. სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. მანქანების გამონაბოლქვი – ძირითადად დასავლეთის

მარკების, თავი ქვეყნებში ხმარებიდან რომ იყვნენ გამოსული და აღმოსავლეთში რომ გაყიდეს - კიდევ უფრო აუარესებდა მდგომარეობას. თუმცა ამ სიცხემ ვერ შეაკავა მოქეიფების აღვირახსნილი დროსტარება. მუსიკას რალაცნაირად, თითქოს გამომწვევად აგუგუნებდნენ, კარ-ფანჯრები გამოადეს. გოგონებმა კაბები გამომწვევად დაამოკლეს. ალკოჰოლისა და ნარკოტიკის მოხმარებას უმატეს. მე კი ვიგრძენი, რომ ძალა გამომელია. ივნისში სახელმწიფო გამოცდები მელოდა, მე კი თითს არ ვანძრევდი. სადიპლომოს დაწერასაც ვაჭიანურებდი. ის ადამიანები კი, რომელთაც შეეძლოთ გავემხნევიებინე, თვითონ გამიხდნენ საზრუნავი. აღარ ვცდილობდი გამემველებინა, როცა სტუმრები ერთმანეთს თმაში სწვდებოდნენ სახელოსნოში, ყურადღებას არ ვაქცევდი, თუ ტუალეტში ისევ არწყევდა ვინმე, არ ვიმჩნევდი, მოკრივე ჩემს დას კაბას რომ უწევდა. სადმე კუთხეში ვიჭექი ხოლმე და წიგნს ვფურცლავდი. ან სააბაზანოში ვიკეტებოდი, როცა ხმაური და სიცხე გაუსაძლისი ხდებოდა და ყურებზე ხელებაფარებული ველოდი, სანამ ყველაფერი არ დამთავრდებოდა.

დღეს, როცა იმ გაზაფხულის ცხელ დღეებს ვიხსენებ, როცა ვცდილობ, აღვიდგინო ის ღამე - ისევ და ისევ - ასე მგონია, რომ მე მივიყვანე საქმე აქამდე. რომ რალაცნაირად გუმანმა მიკარნახა, რაც მოხდებოდა და ხელი მაინც არ შევუშალე. იქნებ გულისგულში სწორედ ამას ვნატრობდი. იქნებ ხელჩასაჭიდ მიზეზს ვეძებდი ზედამხედველის როლიდან გამოსასვლელად. არც წასვლა შემეძლო და არც დარჩენა, მის სიცილსა და მის ტანჯვას შორის ვიყავი გამოკიდებული, ყოველთვის გარიჟრაჟზე რომ იწყებოდა. ჩემს არასა და დარიას ჰოს შორის. მე სინათლის ნაპერწკალს ვეძებდი, ის ნგრევის ჟინით იყო შეპყრობილი. დარია ბოლომდე იხარჯებოდა, მე თავის შეკავებას ვცდილობდი. იმ ღამეს რომ ვიხსენებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ მე მოვინდომე ხელი გამემშვა, რომ გამიზნულად წავედი ამაზე. ჰო, ბრილკა, ჩემი ბრალია.

მთელი საღამო გაღიზიანებული ვიყავი. სახლში მინდოდა. მეძინებოდა. ამის ნაცვლად იმ ორომტრიალში ვეგდე და ყველაფრით ვიყავი დაკავებული, საკუთარი თავისა და საკუთარი პრობლემების გარდა. საბედნიეროდ, მით არ მოსულა იმ საღამოს, ერთი საზრუნავი მომაკლდა-მეთქი, გავიფიქრე და გადავწყვიტე, რამე დამელია, რაკი ვერსად მივდიოდი. დარია დანარჩენებთან ერთად სუპერ მარიოს თამაშობდა, ვიდეოპლეიერის მერე ეს იყო ყველაზე ამაღელვებელი გამოგონება. მწარე სითხემ ყელი ჩამწვა. კარგა ხნის მერე დარიას სახელოზე მოვქაჩე და ვთხოვე, შინ წავიდეთ-მეთქი. თამაშით გართულმა ხელი ამიქნია, რახან ვერაფერი გავანწყვე, იქვე მიგდებული ბოთლი ცივი წყლით ავავსე და თავზე გადავასხი. შეშინებული წამოხტა და მიყვირა, რა გეტაკა, ხომ არ გაგიჟდი, დაახვიე აქედანო. თავი ვეღარ შევიკავე, ხელებში ვწვდი და ძირს დავავდე. მერე ზედ დავახტი და, როგორც ადრე,

საბავშვო ბაღში ვაკეთებდი ხოლმე ხშირად, მკლავები დავუჭირე და ისტერიკულად ჩავკივლე, ახლავე ნავიდეთ-მეთქი.

ახლა მოკრივე მწვდა მხრებში და ამაცილა დარიას. ამან უფრო გამამხეცა, გინება დავუწყე და ხელიც ავეუქნიე. ბოლოს იმდენი მოახერხა, მომისროლა სახელოსნოდან და ცხვირწინ მომიჭახუნა კარი. მანქანაში ჩაჯექი, დავქოქე და ისევ დავამუხრუჭე. მივხვდი, მართვას ვერ შევძლებდი. გადმოვედი და გავიქეცი. არ ვიცოდი, სად მივბოდი, ერთი ის ვიცი, რომ გაჩერება არ მინდოდა. იმ მიდამოებში ვიტრიალე. მთელი ქუჩა რომ ჩავიბრინე, ოფლად დაღვრილი სადღაც ჩამოვჯექი. უკვე გვიანი იყო. მეტრო აღარ მუშაობდა. შევძრწუნდი. გადავწყვიტე, დავბრუნებულებიყავი და მანქანით წავსულიყავი, ფეხით ვერ მივაღწევდი დედაჩემის სახლამდე. დაქანცული ვიყავი. ალბათ, ერთი საათი დამჭირდა მანქანამდე მისასვლელად. ამასობაში ისევ გამოვფხიზლდი და ვინანე ჩემი საქციელი. ჭკუას უნდა მოვუხმო და კიდევ ერთხელ უნდა ვცადო დარიას შინ წაყვანა-მეთქი, გავიფიქრე.

როცა ჩემს მანქანასთან მივედი, ცოტათი დავიბენი, იმიტომ რომ სახლის წინ მიროს მანქანა იდგა უკვე. ჭიშკარი ღია იყო და დაუბრკოლებლად შევედი. თავანუელმა ჩავუარე მოკრივეს, ყურადღება არ მივაქციე ჩემი დანახვით სახტად დარჩენილ ზოგიერთ სტუმარ ქალს და თვალებით დარიას დავუწყე ძებნა. მაგრამ ვერსად დავინახე. უკვალოდ გამქრალიყო. ისევე როგორც მირო. სამზარეულოს მაგიდასთან მჯდომმა მთვრალმა გოგომ, თავდავინწყებით რომ აკნატუნებდა მზესუმბირას, ვერ მიპასუხა, სად იყო ჩემი და. უკვე გაბრუნებას ვაპირებდი, მოულოდნელად ვინრო კარი შევნიშნე დერეფანში. გამოვალე, ვხედავ, კიბეა, სარდაფში ჩამავალი. შუქის ჩამრთველი ვერ ვიპოვე და ხელის ცეცებით კედელ-კედელ ჩავუყევი საფეხურებს. რაღაც შმამუნი გავიგონე, მერე ხითხითი. დარიას ხმა ვიცანი და თვალეხი.

კუთხეში იდგნენ. დავხუჭე, ხომ არ მეღანდება-მეთქი, მაგრამ როცა ისევ გავახილე, დავინახე, როგორ ებლაუჭებოდა თმაში, თანაც კისერზე მკლავები მოეხვია დარიას. მიროს ხელები კი ჩემი დის სხეულზე დასრიალებდა. დარია მშვიდი მეჩვენა, მირო კი აშკარად ვერ ერეოდა თავს. კარგად ვიცნობდი. ზუსტად ვიცოდი, რას გრძნობდა. ისე აკოცა, დიდი ხანია ჩემთვის რომ აღარ უკოცნია.

მუხლები მომეკვეთა, პირში საშინელი სიმწარე ვიგრძენი, თუმცა ვერ მივხვდი, რომ ეს ღალატის გემო იყო. დავისლუკუნე. მირომ მაშინვე გაუშვა ხელი ჩემს დას და მოიხედა. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა, ახლოს მივედი მათთან. დარია არ განძრეულა, იდგა და ჭიქურ შემომყურებდა ცივად, მირომ კი რაღაც წაილულლულა და შუბლში იტკიცა ხელი.

უსასრულო მეჩვენა ის სიჩუმე, სანამ დარიამ აკანკალებული, ჩახლეჩილი ხმით არ მითხრა: „ახლა? ახლა მაინც ხომ დამანებებ თავს, ბოლოს და ბოლოს?“

მირომ ისე შეხედა, ვერაფერს მიხვდა, სირცხვილით იწვოდა. თავი დახარა, მერე მთელი თავისი გამბედაობა მოიკრიბა და ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი, მაგრამ ხელით ვანიშნე, მანდ დარჩი-მეთქი. უცნაურია, მაგრამ იმწუთას შემეცოდა კიდევ. მთელი ჩემი გამშაგება დარიაზე იყო მიმართული. ნეტა არასდროს გაჩენილიყო-მეთქი, გავიფიქრე, შევბრუნდი და კიბე ავირბინე.

მეორე დილას სამზარეულოში რომ შევედი, ელენე ცხარე ცრემლით ტიროდა, ნანა ისე ამშვიდებდა, თითქოს ბავშვი ყოფილიყო. მითხრეს, რომ წინა საღამოს ლაშა მომკვდარიყო დობის გადამეტებით. დარიამ იცოდა ეს. იცოდა, როცა სუპერ მარიოს თამაშობდა, როცა ძირს მოვიქცეი და დავკოდი, როცა მიროსთან ერთად სარდაფის კიბეზე ჩადიოდა.

მომდევნო კვირებში მწვანე სახლიდან არ გავსულვარ. მირო თუ დარეკავდა, ყველა გაფრთხილებული მყავდა, რაც უნდა ეთქვათ – არ მინდოდა მისი ნახვა. როცა ამომავითხა კიდევ, კოსტიას ვთხოვე გასულიყო და განემარტა მისთვის, რომ არ დამნახვებოდა. ელენემ და ალექომ დარია ორკვირიანი გადაკარგვის მერე მწვანე სახლში მოაბრუნეს. და შინიდან არ უშვებდნენ. ელენე დარჩა ჩვენთან და შვილს დარაჯობდა. ძალით აჭმევდა, ალკოჰოლური სასმელის მთელი მარაგი გადამალა. ექიმი მოუყვანა, რომელმაც დასამშვიდებელი წამლები გამოუწერა.

ლაშას სიკვდილით დაიწყო დარიას დასასრული. რამდენს ცდილობდნენ მის შველას, ის კი მაინც მიზანმიმართულად მიეჭანებოდა უფსკრულისკენ. ვხვდებოდი ამას, ვხედავდი, მაგრამ ვერ და არ ვუშველე. თუ რამდენიმე დღე გაძლებდა სასმლის გარეშე და თავის შვილს მიხედავდა, მერე ისევ ჩავარდნები მოსდევდა ხოლმე, მონუსხულივით იყო. ფულს ამოაცლიდა ელენეს ჩანთიდან, იპარებოდა და სოფლის განაპირას, სავაჭრო ფარდულში, ყიდულობდა არაყს. როცა გამყიდველს სიტყვა ჩამოვართვით, რომ მისთვის ალკოჰოლი აღარ მიეცა, ვიღაც გლეხი გამონახა, ვისგანაც შინნახად ჭაჭას იმარაგებდა ხოლმე.

ერთხელ, ღამით, ვერაფრით რომ ვერ დავიძინე, სხვენის აივნიდან დავინახე, როგორ მიიპარებოდა დარია ჭიშკრისკენ. იქ ვიღაცის სილუეტი დავლანდე. ვაცი აღმოჩნდა, რომელიც არ მეცნო. რაღაც გაუნოდა, ქაღალდში გახვეული, სასიამოვნოდ რომ ააშრიალა დარიამ ხელში. არ გამძნელებია გამომეცნო, რა საჩუქარი შეიძლებოდა მიეღო.

ავვისტო გაუსაძლისი დადგა, სიცხისაგან სუნთქვა გაძნელდა, წამდაუნუმ სველ ტილოს ვიდებდი სახეზე, არც ერთი ვენტილატორი არ მუშაობდა, სხვენში წარმოუდგენლად ცხელოდა. თავგზააბნეული დავბორიალობდი მთელ სახლში. ვერ ვიძინებდი. სამზარეულოს

ნიჟარაში გასარეცხი ჯამები და ქვაბები იყო დახვავებული. სტასიას ცხოზა დაემთავრებინა. სიბერეში სულ უფრო დასჩემდა უყურადღებობა. მორჩენილი ცხელი შოკოლადი დაეტოვებინა პატარა ჯამით გაბქურაზე. ცდუნებამ წამძლია, ვსტაცე ხელი ჯამს და სხვენს მივაშურე.

იქ რომ ავედი, სანთელი ენთო. ჩემს საყვარელ ადგილზე დარია ჩამომჯდარიყო, ჩაკიდებულ ფეხებს იქნევდა, საზამთროს ნაჭერი ორივე ხელით ჩაებღუჭა, გამალეებული კბეჩდა და ტკბილ წვენს ისრუტავდა. გაბრუნება დავაპირე, მაგრამ დარჩიო, მთხოვა. მისგან ცოტა მომორებით დავჯექი, აივნის კიდებე.

ჯამი გვერდით მოვიდგი. უჩვეულო სურნელმა დარიას საზამთროს ჯამაზე უარი ათქმევინა, გაკვირვებული მომჩერებოდა მძინარე. ცდუნებას ვეღარ ვავეძელი და თითი ვტუცე ჯამში.

- სტასიას შოკოლადია? ჯამას რომ გვიკრძალავს? - მკითხა სათუთი ღიმილით.

აღარც კი მახსოვდა, როდის ვნახე ბოლოს სახეგაღიმებული.

- ჰო.

- შეიძლება გავსინჯო?

მხრები ავიჩეჩე და ჯამი ჩვენ შორის ჩავდგი. ჩაიხედა და მე მომბაძა, შოკოლადიანი თითი გაილოკა.

- სტასიას კი ჰგონია, რომ შოკოლადი დაწყველილია, - ვუთხარი თავის ქნევით.

- საოცრებაა! - დაიკვნესა დარიამ.

ხარბად ამოვასუფთავეთ ჯამი.

- და შენ? - მკითხა დარიამ, - შენც იმავეს ფიქრობ?

- რომ დაწყველილია? გულახდილად რომ გითხრა, მგონი, უკვე ისედაც დაწყველილი ვართ და ამ წყევლასაც გადავიტანთ როგორმე. ბევრ სხვა წყევლასთან შედარებით ამას ღვთაებრივი გემო მაინც აქვს!

დარიას გაეცინა.

- ვნატრობ, რომ ანასტასია სხვანაირი იყოს. რაც შეიძლება ნაკლებად დამემსგავსოს.

- ყველაფერი გაივლის. ყველანაირი წყევლა და ჯადო.

- ყოველთვის მაგიუბნდა ეს, ყოველთვის მაცოფებდა ეს შენში, ნიცა, რომ იცოდე, როგორ მაცოფებდა...

- რას გულისხმობ?

- სულ ასე... ყველაფრის გამოსწორებას რომ ცდილობ მუდამ. საერთოდ, რომ ზიხარ აქ ახლა ჩემთან და მელაპარაკები. ნუთუ არ გძულვარ?

- ასე გეგონოს!

- მორჩი. ვერასდროს ვხვდებოდი, როგორ გამოგდიოდა. გადაგივლიდა ვინმე და შენ კი, ვითომც არაფერი, ადგებოდი, გაიმართებოდი და ცხოვრებას განაგრძობდი. როდისმე შენც ხომ უნდა

გაცვდე, გაიხარჯო. რამდენ რამეს უძლებ. შენ ყოველ ჯერზე ძალას იკრებ, ისევ და ისევ, არ ჩერდები, თითქოს სულ მზად ხარ, მორიგ განსაცდელს გაუმკლავდე, ყველაზე უარესისთვის ხარ მზად.

- მცდარი შეხედულება გქონია ჩემზე.

- სულაც არა. დარწმუნებული ვარ, ზუსტად იცი, რატომ გავაკეთე ეს. მირო არაფერ შუაშია.

შუბლი ოფლით დამეცვარა. არ მინდოდა ამაზე ლაპარაკი წამოეწყო. არ ვიყავი მზად. მაგრამ თავი დავეუქნიე.

ასე ვისხედით გათენებამდე ჩვენს ამოჩემებულ ადგილას, რაც მონმობდა, რომ კიდევ შეგვრჩენოდა საერთო, და მხოლოდ რამდენიმე სიტყვით, სხვათა შორის, გავისხენეთ ის შემთხვევა, სულ ეს იყო. ორივემ ზუსტად ვიცოდით, რა ვერ შევძელით, სად დავმარცხდით, რამდენად დაუნდობელი ვიყავით. შემადრწუნებლად ზუსტად ვიცოდით ყველაფერი ერთმანეთზე.

ცას ენით აღუწერელი ფერი დაედო, ასეთი მხოლოდ იმ ადგილებში იცოდა. ახალი ფერის გამოგონება რომ შემძლებოდა, მისთვის სახელის დარქმევა, ჩამოშლილი სამყაროს ფერს ავირჩევდი. ჩამოშლილის და მშვენიერის.

- არა. შენ ეს არასდროს არ დაგემუქრება, - თქვა უცებ დარიამ.

- რა, რა არ დამემუქრება არასდროს?

- ფეხქვეშ მიწა არ გამოგეცლება.

ცხრა მზის ჩასვლის შემდეგ ჩემი და ცოცხალი აღარ იყო. სიკვდილის წინა ღამით მისმა იდუმალმა სტუმარმა კვლავ ერთი ბოთლით მოამარაგა და დარია სხვენში გამოთვრა. სიომ დაუბერა და გამთანგველი სიცხე განდევნა. ჩამეძინა, მაინცდამაინც იმ ღამეს არ ვიყავი მის გვერდით.

მთელი ბოთლი არაყი გამოცალა და სხვენიდან გადავარდა, საფეთქლით დაასკდა გვალვიან აგვისტოს მიწას. იმ სხვენიდან, რომელიც ვედარაფრით ამოაშენეს ბოლომდე, მოაჯირი არ იქნა და არ გაუკეთდა. იმ სხვენიდან, რომელმაც იმდენი სამალავი დავვითმო დედაჩვენს, დარიას და მე, სადაც ოცნებებში დავფრინავდით, ჭრილობებს ვილოკავდით, სადაც ბრაზისგან ვიცლებოდით და მუდამ ვტკბებოდით ზღაპრული ბეცის ხილვით. ბეცისა, იმ ჯადოსნური ადგილიდან ისე ახლოს რომ გვეჩვენებოდა, თითქოს მარტო ხელის განვდენა კმაროდა, რათა შევხებოდით.

სტასია წაანყდა დილაადრიანად, ძირს განრთხმულს, სახით მიწაში.

მკლავები ისე ჰქონდა გაშლილი, თითქოს ფრენას სწავლობდა, სანამ დაეცემოდა. თითქოს უხილავ ბაგირზე გადიოდა.

სტასიას ფანჯარაზე მოკაკუნებამ ფიცხლად წამომახტუნა. თვეების განმავლობაში არ მძინებია ასე ღრმად და მაგრად. მთქნარებით გავიზომორე მზის სხივებში, არაფრის აზრზე არ ვიყავი, მარდად გავიქეცი ბაღისკენ და სანამ დარიას სხეულს დავინახავდი, სტასიას სახეზე

ამოვიკითხე ყველაფერი. ჩემი დის უსიცოცხლო სხეულთან დაჩოქილიყო, მხრებზე ეხვეოდა და ირწეოდა აქეთ-იქით. სიტყვებს გულსაკლავი ლულულულით წარმოთქვამდა, მწუხარებას ერთიანად გაეფითრებინა. ისევ და ისევ ეამბორებოდა შუბლზე, ისევ და ისევ უკოცნიდა ხელებს, ისევ და ისევ ეფერებოდა თმაზე.

მახსოვს, სანამ საერთოდ გავიაზრებდი, რა მოხდა, პირველი რაც გავიფიქრე, კოსტია არ უნდა გამეკარებინა ამ მზით გაკაშკაშებულ ადგილთან. რომ ეს სანახაობა უნდა მომესპო. არ დამეშვა, რომ კოსტიასა და ელენეს დაენახათ ეს სურათი. სტასია უნდა ამეგლიჯა მინაზე გართბმული სხეულიდან. დარიასთვის რამე გადამეფარებინა და როგორმე ოთახში გადამეყვანა, წამომეყენებინა. ნამდვილად უგონოდაა, ზედმეტი ალკოჰოლის გამოა, რომ არ იძვრის ადგილიდან, მთვრალს ჩაეძინა და სტასია უბრალოდ ვერ მიხვდა-მეთქი, ასე ვფიქრობდი.

ჩემს დასთან ჩავიჩოქე და მუშტები დავაყარე. ადექი-მეთქი, ჩავაცივდი. ადექი, ნუ ონავრობ, ნუ გვაშინებ-მეთქი, ვსლუკუნებდი, სტასიამ გულში ჩამიკრა.

- არა, ნიცა, არა, არ ადგება, არ შეუძლია, მოემვი, ნიცა, დაანებე თავი, ჩემო მზის სხივო.

მისი სიტყვები ლოცვას ჰგავდა, თანმიმდევრულს, მშვიდს, ერთფეროვანს. მაგრამ მე არ მოვეშვი, ჩემკენ შემოვუტრიალე სახე და სისხლი დავინახე მის საფეთქელზე, უსასრულობა დავინახე მისი სახის ნაკვთებში, გალურჯებული ტუჩები, ქუთუთოები, მზე რომ დაჰნათოდა უმონწილოდ. მაინც არ ვადიარე მისი სიკვდილი. შევანჯღრიე. წამოყენება ვცადე. სანამ სტასიამ სილა არ გამანნა და შეხედვა არ მაიძულა.

- მკვდარია, ჩემო მზის სხივო, მკვდარი. ვედარაფერს ვიზამთ.

- შენ რა იცი? ექიმი ხარ? საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ, უნდა...

- მკვდრების ამოცნობა შემიძლია, ნიცა. ცხოვრებამ ამით გამანებივრა, - თქვა და გავხევი. მერე გვერდზე გადავიხარე და გული ამერია. სტასიამ მთხოვა, იქ დავრჩენილიყავი, ოღონდ არაფერი მექნა, თვითონ კი შინ შევარდა, რომ ალექოსთვის დაერევა. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა მის მოსვლამდე. ჯერ ისევ ყველას ეძინა, ჯერ ძალიან ადრე იყო მკვდრის დასატირებლად. სტასია და მე თავდახრილები ვადექით დარიას უსიცოცხლო სხეულს და ვცდილობდით მოგვერიდებინა დილის მზის მწველი სხივებისაგან. კიდევ, მახსოვს, იმდენი შევძელი, რომ როცა ალექო მანქანიდან გადმოვიდა, მივედი და პირზე ხელი ავაფარე, ჩემი სიტყვების მოსმენის მერე რომ არ ეყვირა.

- უნდა დამეხმარო, ოთახში ავიყვანოთ. სანამ დედასა და კოსტიას არ გაუღვიძიათ, ახლავე. შენ უნდა დამეხმარო!

არასდროს დამავინწყდება მისი თვალები. არასდროს. ისე შემომხედა გაოცებით, როგორ მოვახერხე ამ სიტყვების თავმოყრა ან როგორ

ვახერხებდი ფეხზე დგომას, როგორ შემეძლო ასეთ დროს ძალა მყოფნოდა და ელენეს ან კოსტიას გავფრთხილებოდი...

* * *

არახალია ქვეყნად სიკვდილი,
მაგრამ სიცოცხლეც ერთობ ძველია.
ესენინი

სიკვდილმა მტვერივით შემოაღწია ჩვენს ქუთუთოებში, ჩვენს კანში. ყველა დაგვიმორჩილა. მის სუნს ვგრძნობდი ყველგან, მის შეხებას. აღარც კი ვიცოდი, ჩვენს სახლში სიცოცხლესა და სიკვდილს შორის საერთოდ საზღვარი თუ არსებობდა კიდევ, იქნებ ყველანი, ამ სახლის ბინადარნი, დიდი ხნის მკვდრები ვიყავით უკვე და, უბრალოდ, არ ვიცოდით.

ვგრძნობდი, რომ დარიას სიკვდილმა სახადივით დაგვიარა, ყველას შეგვეყარა. ოღონდ ყოველ ჩვენგანში სხვადასხვანაირად გამოვლინდა.

დარიას გადამსკდარმა საფეთქელმა სტასიას უკანასკნელი სასიცოცხლო ენერგია დაუშრიტა, ნანა ლამის გასრისა საკუთარმა და დარიას დაღუპვის სიმძიმემ, ალექო მხოლოდ ფეხაკრეფითღა დადიოდა ოთახიდან ოთახში, პატარა ანასტასია, რომელიც მანამდე თავისი სიმშვიდით გამოირჩეოდა, განუწყვეტლად ჩხაოდა, დედაჩემი კი გაქვავდა. ანტიკური დრამის უბედურების წინასწარმეტყველს დაემსგავსა. შეუმჩნევლად და უხმაუროდ მოძრაობდა, ყველაფერს მექანიკურად ეხებოდა. სახე დაუბერდა, გაუხეშდა. შემადრწუნებელი მზერა გაუხდა. პატარა ანასტასიას ხელიდან აღარ უშვებდა. ახლოს არ გვიკარებდა, ღამით ბავშვის მიხედვას თუ ვთავაზობდით, გვიყვიროდა. თავის თავს ელაპარაკებოდა. საათობით ლოცულობდა. სანთლებს ანთებდა და ძაძვით შეიმოსა. ღმერთი არ განარისხოთო, გვაფრთხილებდა, გვაიძულებდა გველოცა დარიას სულის საცხონებლად.

დღეები მიეწყო და ჩვენ მთელი მონდომებით შევცვალდეთ, ჩაგვერაზა სიკვდილისთვის კარი და დაუძღვრებული სხეულებით შევწინააღმდეგებოდით, ბაბუაჩემი, კონსტანტინე ჯაში კი ისევ იხმობდა სიკვდილს, რაც ძალა და ღონე ჰქონდა. მთელ დღეებს დარიას საფლავის ქვასთან ატარებდა, რომელიც ქრისტინეს საფლავის გვერდით იყო აღმართული. გვიყურებდა და ვერ გვამჩნევდა, დარიას შესცქეროდა ჩვენ მიღმა. ასეთი თავდავინწყების წუთებში იღიმოდა და მე ვხვდებოდი, რომ დარიას ხედავდა, დარიას პირველ ნაბიჯებს იხსენებდა, ნაწნავს უსწორებდა, მის თბილ ხელებს გრძნობდა თავის ყელზე. მისი სიცილი ჩაესმოდა.

თითქმის შეუძლებელი გავვიხდა ამ მოგონებებიდან გამოგვეყვანა, უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღავდა, აღარ უნდოდა

ყოველდღიურობა, რომელსაც მომაკვდინებელი შხამის გემო ჰქონდა მისთვის, წარსულს კი დარიას ვარდისფერი ლოყების გემო და სუნი შეენარჩუნებინა.

ჭალარა გაპუნული წვერი ნიკაპზე უქანქარებდა, ყვრიმალეები გულაგის პატიმრების ნეკნებივით ჰქონდა ალესილი. ხელის კანკალს ვეღარ იჩერებდა და ჭიქას ვეღარ ცლიდა ისე, რომ სასმელი მუხლზე არ დაღვროდა. ვეღარ იძინებდა, ყოველი ჭამის მერე გული ერეოდა. გონის დაკარგვამდე სვამდა, ზოგჯერ უბრალოდ იატაკზეც გამხლართულა ან ჩაუსველებია. ყველაფერი, რაც იდამ დაუტოვა სიცოცხლისა და სიყვარულისთვის, დარიამ გამოაცალა. ეჭვი მქონდა, რომ პირველივე შესაძლებლობას გამოიყენებდა და დარიას გაჰყვებოდა. და ამ შესაძლებლობამაც არ დააყოვნა.

1994 წლის ოქტომბერში, დარიას დაღუპვიდან ორი თვის შემდეგ, მწვავე მიელოიდური ლეიკემია დაუდგინეს. საცდელ წყალქვეშა ნავზე დაწყებული ჯოჯობეთი, რომელიც, როგორც ეგონა, ავსტრიულ კლინიკაში დაამარცხა, ისევ დაბრუნდა მის სხეულში. ქიმიოთერაპიაზეც უარი თქვა და მედიკამენტებზეც.

ერთხელ, სადილის დროს, მშვიდად და აუღელვებლად გაგვიმუღავნა, როგორ დაავადდა, როგორ უმკურნალეს. გაახსენა ელენეს ის დრო, როცა მისი დატოვება მოუწია. ნანას ცრემლები წასკდა, სტასია კი ცახცახით წამოდგა და თეფში გაუვარდა ხელიდან, გასარეცხად რომ მიჰქონდა. კოსტიამ ილაპარაკა გარდასულ კატასტროფაზე, დახოცილ მებღვაურებზე, იმ საიდუმლო დოკუმენტზე.

ხუთი კვირის შემდეგ უკვე ლოგინად ჩავარდა. დედის, ცოლის, შვილისა და შვილიშვილის ყველა მცდელობის მიუხედავად, საავადმყოფოში დაწოლილიყო, სასტიკად იუარა.

ნოემბრის ბოლოს, ერთ ცივ დღეს, მის საძინებელში შევედი და გვერდით მივუწევი. ხელი დაუჭირე და ვიგონებდი იმ 24 საათს, მის გვერდით რომ გავატარე საწოლში, ცრემლებს რომ ღვრიდა, ღვინოს რომ ვასმევდი, ერთმანეთს საიდუმლოებებს რომ ვუზიარებდით. ის სხვა ცხოვრება იყო. იმ ცხოვრებაში დარია იყო...

ვინეციტ და ძველი კედლის საათის ნიკნიკს ვაყურადებდით. ჩავარდნილ მკერდზე დავადე თავი, თვალები დავხუჭე, რათა მის სახეზე წარმავალის ფერი არ დამენახა, ლაქები დაემჩნა კანზე.

- იცი, რაზე ვფიქრობ სულ? - გამომელაპარაკა დაქანცული ხმით თითქოს, სადღაც ძალიან შორიდან.

- რაზე?

- მთელი ამ წლების განმავლობაში მილიონობით, მილიარდობით ბიუსტები, ქანდაკებები, სურათები დაგვიგროვდა. სად არის ახლა ეს ყველაფერი?

- რა ქანდაკებები და სურათები? - ჩავეძიე.

- ლენინის, მარქსისა და ენგელსის, გენერალისიმუსის, ყველასი! ეტყობოდა, რომ მართლაც შეეწუხებინა ამაზე ფიქრს.

- გაქრა.

- ხომ არ შეიძლება, ასე უბრალოდ გამქრალიყო?

- როგორც ჩანს, შეიძლება. როდისმე ყველაფერი ქრება.

- არაფერი არ ქრება, ნიცა!

ხელზე დამადო ხელი.

- შენ გგონია, ეს ყველაფერი სადღაც ყრია და თავის დროს ელოდება?

მინდოდა, გაღიმების საბაბი მომცემოდა.

- ყველაფერი დაბრუნებას ელოდება.

ფიქრებში წასულმა უფრო მაგრად მომიჭირა ხელი.

მის სუნთქვას ვუსმენდი. მის გულისცემას. იმაზე ვფიქრობდი, რომ დაბადებიდანვე მიყვარდა და რას არ ვიზამდი და რას არ მივცემდი, რომ მისგან საპასუხო სიყვარული მღირსებოდა. მაგრამ უეცრად სულ აღარ მეჩვენა საშინელებად, რომ ეს არასდროს მაღირსა.

ვაპატიე, რადგან მისი სიყვარული სხვა ადამიანს ეკუთვნოდა - ჩემს დას. ვაპატიე, რადგან ის-ის იყო, მივხვდი, რომ სწორედ ეს იყო ჩვენი შეხების წერტილი, ის, რასაც მთელი ამ ხნის განმავლობაში დავეძებდი, ალბათ, ყველაზე ღრმა კავშირი ჩვენ შორის: იმ ქალის სიყვარული, რომელიც ჩვენთან აღარ იყო. ვაპატიე გულგრილობა და დიქტატორობა, ვაპატიე ტირანია, ვაპატიე, რომ ხშირად ვერც კი მამჩნევდა. მე მას ვაპატიე, ლოგინში ატირებულს რომ მტოვებდა ხოლმე დამდამობით მართო, ვაპატიე, ამდენი ადამიანი რომ მოატყუა და გააუბედურა, ამდენს რომ უღალატა.

ორივემ დავკარგეთ ის, ვის სიყვარულსაც ვეცილებოდით ერთმანეთს. დანარჩენი სულერთი იყო. აღარაფერი დაგვრჩა საკამათო.

მაინც გავბედე და სახეზე დავაკვირდი, მერე მივხებუტე და ასე გავიტრუნე, სანამ არ ჩაიძინა. ძალიან მომინდა ჩემი ფიქრები, სიტყვები, რომლებიც არასდროს შემიბედავს მისთვის და არც არასდროს ვეტყოდი, და მთელი ჩემი განცდები მის სიზმრებში ჩამექსოვა.

დეკემბერში კოსტია გარდაიცვალა. აბსურდული იყო თუ ლოგიკური, არ ვიცი, მაგრამ ექიმებმა სიკვდილის მიზეზად გულის გაჩერება დაასახელეს. მისმა გულმა დაასწრო სენს.

კოსტია რომ დავკრძალებთ, იმავე დამეს დავინახე, როგორ შევიდა სტასია ფარდულში პირველად, მრავალი წლის შემდეგ, უკან გავყევი. ტოსკა ჩართო. თვალდახუჭული იდგა ფანჯარასთან და პუჩინის უსმენდა. ფრთხილად მივუახლოვდი.

- რას აკეთებ აქ? - ვკითხე.

- ქრისტიანებ მოინდომა. ქრისტიანესთვის ჩავრთე, - მიპასუხა.

- როგორ თუ ქრისტიანესთვის?

- ჰო, იმან მოაკითხა. აქ იყო დღეს. კოსტიას გამო მოვიდა, - თქვა სტასიამ როგორც სრულიად ბუნებრივი რამ: უბრალოდ ერთმა მიცვალებულმა მეორეს მოაკითხა.

- ესე იგი, ქრისტიანემ გამოუარა ბაბუას?

- ჰო, ქრისტიანემ, ვიღაც უცნობ ქალთან ერთად.

- უცნობ ქალთან ერთად? ვინ უცნობ ქალთან?

- ჩემს ცხოვრებაში რომ არ მინახავს.

- სტასია, როგორ გამოიყურებოდა ის ქალი?

- მაღალი იყო, გამხდარი, მე რომ მკითხო, მეტისმეტად გამხდარიც კი, და თითებზე ბეჭდებასხმული. ლამაზი თითები ჰქონდა...

კარგა ხანია ვერ გადამეჭრა, მე ვიყავი გიჟი თუ - სტასია.

- და სად ნახე?

- სადაც ყოველთვის ვხედავ ხოლმე მათ, ბაღში. კარგა ხანს იდგნენ, ცოტა მოშორებით, მაღლა, სადაც ადრე ლეღვის ხე იდგა, რომ მოვაჩეხინეთ, გახსოვს?

- ესე იგი, შენ დაინახე, როგორ წაიყვანეს ქრისტიანემ და იმ ქალმა კოსტია?

- არა, კოსტია არ დამინახავს. ისინი კი მოვიდნენ მის წასაყვანად. მაგრამ ამას დრო სჭირდება.

- და დარია?

შემრცხვა კიდევ, ეს კითხვა რომ დავუსვი, მაგრამ თან შემშურდა მისი სიგიჟის, მისი უნარის, თუ პარანოიის. სიამოვნებით გავიზიარებდი სტასიასავით დარწმუნებას, რომ დარიასაც ვიღაცამ მოაკითხა და არა უბრალოდ გაქრა.

- კიტი... - თქვა სტასიამ და ტუჩები მოკუმბა. ტოსკამ Vissi d'arte წამოიწყო.

- კიტი რა შუაშია?

ვიგრძენი, როგორ დამიარა რაღაცამ მუცელში და გული შემეკუმბა.

- იმ დღეებში ისე ხშირად მოდიოდა ალუბლის ხესთან, სანამ დარიას ეს დაემართებოდა. სულ იქ იჯდა, თევკლასთან ერთად...

- კი მაგრამ, კიტი...

- ვიცე, რა თქმა უნდა. თქვენ გგონიათ, სიბერემ ისე დამაჩანანაკა, ჩემი შვილის სიკვდილს ვერ ვიგრძნობდი? - გამომწვევმა და ნაღვლიანმა კილომ შეაზავა მისი სიტყვები.

- გინდა თქვა, რომ ზოგჯერ კიტიც არის ხოლმე აქ?

- ჰო. ჩემი გოგო. ჩემი ლამაზი კიტი.

- და დარწმუნებული ხარ, რომ კიტიმ დარიას... ასე ვთქვათ, მოაკითხა?

- უკვე ჩემი ორივე შვილი დავმარხე და ერთი შვილთაშვილიც. იმედია, უკვე მაღე, ყველანი ერთად მოვლენ ჩემს წასაყვანად.

თავი დავხარე.

- თუ კიტიმ წაიყვანა დარია, მაშინ, ალბათ, მიხედავს კიდევ.

ამ სიტყვებს ჩავებლაუჭე, სულ არ ვიყავი დარწმუნებული იმაში, რაც ვთქვი, მაგრამ ამის გაფიქრებამ ისე მანუგეშა, ისეთი სიამის მომგვრელი იყო ამის წარმოდგენა.

- ზოგჯერ მაშინ უფრო ძლიერდები, როცა სისუსტე გჯახნის, ნიცა.

გამოერკვა უცებ ტოსკას მოთქმიდან სტასია, შემომხედა და ისევ თავის ფიქრებში ჩაიძირა. და როცა უკიდურესად სასონარკვეთილმა ტოსკამ თავის ღმერთს ჰკითხა, ასე რატომ მსჯიო, ცეკვა დავიწყე.

სტასიამ თავიდან დაბნეულმა გამომხედა, მერე სახეზე რაღაც ღიმილის მსგავსი მოეფინა. მე ყველა მოძრაობა შევასრულე, რაც კი ჩემთვის ესწავლებინა ბავშვობაში და რისი გახსენებაც შეძლო ჩემმა სხეულმა. ვზბრიალებდი და ვხტოდი, ფეხებს ვატყუებდი და ვშლიდი, დავფარფატებდი ცარიელ ფარდულში. ეს ჩემი საუკეთესო ცეკვა იყო. სიკვდილის ცეკვა სტასიასთვის და მისი აჩრდილებისთვის.

როცა ოფლში განურული გავედი ფარდულიდან, დავინახე, მირო მოემართებოდა ჩემკენ. სიტყვა არ დამცდენია, ისე მივუახლოვდი, ხელკავგაყრილნი წავედით ტყისკენ. ბნელოდა და ციოდა, მე კი მცხელოდა. მირო მადლიერი ჩანდა, რომ ისევ შევეხე. მეც მშვიდად ვიყავი, რომ არ უკითხავს, რა დაგემართაო. მშრალ ფოთლებში მივაბიჯებდით და ბოლოს განაპირას მდგარ, ერთ დიდ ნაძვთან გავჩერდით. უღრუბლო ღამე იყო, ვარსკვლავები განსაკუთრებულად ციმციმებდნენ. მირო ატირდა. მე არც კი მიცდია მისი დამშვიდება.

- უნდა წავიდე, - ვუთხარი.

- როგორ, წახვიდე? სად?

- ჯერ არ ვიცი. მაგრამ სადმე ძალიან შორს. აქ ცხოვრება აღარ შემიძლია. ყოველდღე ბრძოლა მიწევს, რომ გავუძლო. წამოხვალ ჩემთან ერთად?

- კი მაგრამ, სად? როგორ? - მკითხა და სახელოთი მოინწინდა ცრემლები.

- როგორმე შევძლებთ. უბრალოდ, ჩემთან ერთად წამოდი. მე მოვახერხებ რამეს. ევროპაში წავიდეთ. სადმე, ოღონდ შორს.

- ეს ასეთი ადვილი არ არის, ნიცა. ასე არ ხდება. უნდა...

- მე მაინც წავალ, მირო. გინდ ასე და გინდ ისე.

- მერე ჩვენ?

- არა ვარ დარწმუნებული, რომ კიდევ არსებობს ეს ჩვენ, მირო. და რომც არსებობდეს, ასეთი ჩვენ აღარ მინდა. ახალი ჩვენ მინდა.

- მე ვერ შევძლებ, მე... ამას როგორ მოვახერხებთ?

- მეც არ მეგონა, რომ ამ ყველაფერს შევძლებდი.

- არ წახვიდე, ნიცა. არა, ეს არ გამიკეთო.

- მირო, გთხოვ.

ნაძვთან მიმომწყვდია და მაკოცა, მაგრად ჩამეხუტა, თავისი მარილიანი სახე ჩემსაზე შეიმშრალა, ხელები დამიკოცნა და სიყვარული ამიხსნა ჩურჩულით. მარნმუნებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, შენთან ვარ, აღარაფერი შეგვიშლის, ყველაფერს თავიდან დავინწყებთო. ისევ და ისევ მიმეორებდა, რომ ერთმანეთს ვეკუთვნილით, რომ ვედარაფერი შეცვლიდა ამას, მემუდარებოდა, დარჩიო, და მთელ სახეს და სხეულს მიკოცნიდა, თითქოს პატარა ჭილდოებს მკიდებდა იმისთვის, რომ სიკვდილს გადავურჩი. მაგრამ მე მათი მიღება აღარ შემეძლო. უკან ვედარ დავბრუნდებოდი და თითქოს ჩემი სხეულიც ხვდებოდა ამას. ვიცოდი, რომ სამუდამოდ დარჩებოდა იქ ჩემი ნაწილი, მაგრამ სიცოცხლისუნარდამრეტილი.

კოსტიას დაკრძალვიდან ერთი კვირის შემდეგ სევერინს დავურეკე ბერლინში და ვკითხე, ცოლად ხომ არ შემირთავდა.

- რაო? - ჩამეკითხა გაკვირვებული.

- რაც გაიგე, ცოლად თუ შემირთავ-მეთქი?

- და რაში გჭირდება?

- რომ გავაღწიო, ბოლოს და ბოლოს, ამ წყეული ქვეყნიდან.

- შენ ხომ იცი, რომ მეუღლის მოვალეობების შესრულება არ შემეძლია.

- საბედნიეროდ! ამას არც მოგთხოვ!

- კარგი. შეგირთავ ცოლად.

- შესანიშნავია. მაშინ იბრუნე მონვევაზე, რომ აქ ვიზა მოვითხოვო.

და დაუჩქარე, ძალიან გთხოვ!

გამგზავრებამდე ღია წერილით მივმართე უნივერსიტეტს, ჩამოვუთვალე მიზეზები, რატომ არ მინდოდა იქ გამოცდების ჩაბარება და დიპლომის აღება. გავიხსენე დიალოგი ჩემს ლექტორთან და მომდევნო გვერდები იმის აღწერას დავუთმე, თუ როგორი შეზღუდულობა, კორუფცია, ნაციონალიზმი და - ნაწილობრივ - პროსაბჭოთა განწყობა სუფევდა უნივერსიტეტში. დღემდე არ ვიცი, ნაიკითხა თუ არა ვინმემ ეს წერილი, ან საერთოდ თუ გამოაქვეყნეს.

მერე მწვანე სახლში ავედი, შევაგროვე ჩემი რვეულები, ჩანაწერები და, რაც მთავარია, გადაბეჭდილი ამბები - ფურცლების მთები დამიგროვდა ბოლო წლებში - და თუნუქის დიდ ვედროსთან დავახვავე ბაღში. კოცონი დავანთე და ვუყურებდი, ცეცხლში როგორ იფერფლებოდა ყველა ჩემი იმედი, გეგმა და წარმოსახვა ამ ფურცლებთან ერთად, მაგრამ არ ვნანობდი. ვერაფერს ვგრძნობდი.

თეკლას ოქროს საათი გავყიდე, სტასიამ რომ მაჩუქა ოდესღაც, როგორც თილისმა, თანაკლასელების დაცინვისგან, მთელი სამყაროს ნორმალური მოსახლეობის მტრობისა და უსიყვარულობისგან, სიმარტოვისგან რომ უნდა დავეფარე, კოსტიას უგულობისგან, დარიას გულგრილობისგან, ავი თვალისგან და ღმერთმა უწყის კიდევ რისგან, და

ბერლინის თვითმფრინავის ბილეთი სწორედ იმ ფულით ვიყიდე. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ბევრად უარესი რამეები მელოდა, რისგანაც ვერც ის საათი დამიცავდა და ვერც სტასია.

გამგზავრების წინა ღამით სტასია შემოვიდა ჩემთან ოთახში და უსიტყვოდ მომაჩეჩა ხელში ძველი, ტყავისყდიანი რვეული. შიგ ჩემი დიდი დიდი ბაბუის რეცეპტები იყო ჩანერილი ფხაჭნია კალმით და ლურჯი მელნით. ბოლო გვერდზე კი ცხელი შოკოლადის ზუსტი რეცეპტი.

როცა ვკითხე, ამას რა უნდა ვუყო-მეთქი, მხრები აიჩეჩა მხოლოდ, მშვიდად მავოცა საფეთქელზე და მსუბუქად გავიდა ოთახიდან. 1995 წლის 24 იანვარს მე დავტოვე განძარცული, სიბნელესა და სიცივეში ჩადირული, ერთ დროს ასეთი მზიური საქართველო და სტამბოლში გავფრინდი, რომ იქიდან უკვე პირველად გადამეკვეთა უხილავი საზღვარი დასავლეთისკენ.

კოსტიას მერე, ორ წელიწადში, ნანაც გარდაიცვალა ინსულტით. მე არ დავბრუნებულვარ. ალექომ და ელენემ თავიანთი პატარა ბინა გაყიდეს გაჭირვების გამო. მწვანე სახლში გადავიდნენ. ელენემ მთელი ყურადღება შვილიშვილს დაუთმო, რომელსაც მკაცრად ზრდიდა. ალექო ისევ აგრძელებდა ლუდისა და არყის სმას, ნარდის თამაშს და ისევ ფილოსოფოსობდა ცხოვრებაზე თავის მეგობრებთან ერთად, რომელთაგან ცოტანიღა შემორჩნენ ცოცხლები. ას წელიწადს შიტანებულმა სტასიამ დაიძინა ერთხელ თურმე და აღარ გაიღვიძა. ცხოვრების ბოლოს, თითქმის თვალისჩინწარმეული, უმეტესად საკუთარ თავს ელაპარაკებოდა. საუკუნეზე ერთი წლით ახალგაზრდა იყო. მე არ დავბრუნებულვარ. არც ვიცი, ვინ მიაკითხა. მაგრამ წარმოვიდგინე, როგორ მივიდნენ იმ დილას ყველანი, ზუსტად ისე, როგორც მას სურდა: პენუარიანი თეკლა, მისი თეთრ-წითელი ობერლეიტენანტი, მშვენიერი ქრისტინე მეუღლითურთ, ენაკვიმატი სოფიო, კიტი, მარიამი, ანგელოზების მთლელი ანდრო და მისი კულულებიანი ბიჭი მიქა (ან იქნებ ორივე შვილი იქ იყო?), კოსტია და ნანა, შეიძლება იდაც კი, რომელიც სადმე უკან გაჩერდებოდა. და, რასაკვირველია, ჩემი ფერადთვალეობა და - დარია.

ჩემი წამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ ანასტასიამ პირველად დაირქვა „ბრი“, და როცა ნამდვილი სახელით მიმართავდნენ, აინუნში არ აგდებდა.

სამი წლის მერე ანასტასია შთანთქა ბრილკამ.

მე არ დავბრუნებულვარ.

წიგნი მეშვიდე. ნიცა

რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, დაკარგულია!

რუსთაველი

სევერინი ვედინგში ცხოვრობდა, ძველ სახლში, ბუხარი და მაღალი მოჩუქურთმებული ჭერი რომ ჰქონდა. ჯერ კიდევ მამამისთან მუშაობდა, რომელსაც მხოლოდ უმდიდრესი კლიენტებიდა ჰყავდა (ახლა), ისინი კი სევერინის მიერ ნაშოვნ ადმოსავლურ ანტიკვარიატზე ისეთი დაგეშილი აღარ იყვნენ. ახლა მოდამ აზიისკენ გადაინაცვლაო, ჩასვლისთანავე მომაგება სევერინმა.

თეთრ კედლებში ჩაცმული დადიოდა ზამთარ-ზაფხულ. ყოველ მეორე დღეს სპაგეტის ამზადებდა წყალწყალა ტომატის სოუსით და იმ დროს ერთი ბიჭით იყო გატაცებული, რომელსაც გერიტი ერქვა, მაგრამ იმას მყარი ურთიერთობების გაგონებაც კი არ უნდოდა. სევერინს შთამბეჭდავი ვიდეოკოლექცია ჰქონდა, რამაც ნამდვილად ხელი შეუწყო ჩემს ინტეგრაციას. გულისფანცვლით ელოდა ხოლმე სევერინი კვირის ბოლოს, რომ სასეირნოდ, დასალევად და საცეკვაოდ წასულიყო სუფთა სინდისით (აუცილებლად პარასკევს ან შაბათს რომ უნდა აენწყიტა, ამ ლოგიკას მაინც ვერაფრით ჩავნვდი).

მისი მეგობრები მე ისეთივე იშვიათ სუვენირად აღმიქვამდნენ, როგორც სევერინს თავისი მრავალრიცხოვანი მოგზაურობებიდან ჩამოჰქონდა. უკლებლივ ყველანი მემარცხენე ლიბერალები იყვნენ და რომელიმე ორგანიზაციას მიეკუთვნებოდნენ – ცხოველთა დაცვიდან ლტოლვილთა უფლებების დაცვამდე. სევერინმა მითხრა, თუ ნერვებს მოგიშლიან თავისი ცნობისმოყვარეობითა და შეკითხვებით, აუცილებლად უთხარიო, მაგრამ მე ვერ ვბედავდი და იძულებული ვხდებოდი, ყოველ ჯერზე რაც შეიძლება დრამატულად და ემოციურად მიმეცა ახსნა-განმარტებები ჩემი ქვეყნისა და ჩემი ცხოვრების შესახებ. როგორც წესი, ამის მერე საკუთარი თავი მეზიზღებოდა ხოლმე და სააბაზანოში ვიკეტებოდი. სევერინი გაგებით ეკიდებოდა ჩემს ჭირვეულობას და ამით რატომღაც კიდევ უფრო მაცოფებდა. ჩემს მდგომარეობას „ადმოსავლურ ბლუზს“ უწოდებდა და ირწმუნებოდა, რომ ეს მისთვის კარგად ნაცნობი იყო.

ცალკე ბინის გაგონებაც არ უნდოდა, შესანიშნავი საერთო საცხოვრებელი გვექნებაო, ამტკიცებდა გაუთავებლად. პირველ თვეებში სამუშაოდაც არ მიშვებდა, მიაჩნდა, რომ ვერ გავუძლებდი და ზედმეტად დავისტრესავდი თავს. რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვასრულებდი: სევერინმა ენის კურსებზე ჩამწერა, სადაც მერხს მივჯაჭვე უამრავ სხვა ადამიანთან ერთად, რომელთა ეროვნება მხოლოდ ჩემი ბავშვობის დროინდელი წიგნიდან ვიცოდი, „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები“ რომ ერქვა. თავაზიანად ვიღიმოდი და ვამბობდი: „გამარჯობა, ჩემი სახელია ნიცა და მე საქართველოდან ვარ. საქართველო ჰატარა ქვეყანაა, რომელიც კავკასიაში მდებარეობს და...“ ამას მოსდევდა ჩემი თანაკურსელის შეკითხვა, რუსეთის ნაწილი ხომ არ არის საქართველო. იძულებული ვხდებოდი, მეგობრულად მოკლედ მიმომეხილა საბჭოთა

კავშირის ისტორია, რაც ისე მღლიდა, რომ გაკვეთილის დარჩენილ ნაწილს ნახევრად მთვლემარე მდგომარეობაში ვატარებდი და იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორც უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება და რა მელოდა მომავალში.

სევერინი ქალაქს მათვალეირებინებდა. თავს იწონებდა მასპინძლის როლში. როგორც იქნა, მიეცა ისტორიის ცოდნის გამოვლენის საშუალება, ამომწურავ მოხსენებებს მივითხავდა ამა თუ იმ შენობის, ქუჩის თუ ყოფილი ან ამჟამინდელი მობინადრის შესახებ.

მარტში, ჩემი ვიზის ამონუწვამდე ცოტა ხნით ადრე, რეესტრს მივადევით და განცხადება შევიტანეთ ქორწინებაზე. კარგა ხანს ვიარეთ სხვადასხვა მოხელესთან ათასგვარი საბუთებით ხელში და ბოლოს დაქორწინება შევძელით.

მეორად მალაზიაში ვიყიდე კაბა – მანამდე კაბები არ მქონდა – სევერინმა კი კოსტიუმი იქირავა. და როცა ქორწინების რეგისტრატორმა მოგვიწოდა, გარემოებების მიუხედავად, საკმაოდ ვნებიანად ვაკოცეთ ერთმანეთს და მერე მთელი საღამო ამაზე ვხალისობდით. მშობლები ჩვენს ქორწილში არ დაუპატიჟებია.

– ყველაფერს ჩაგვიშლიან. არ გამოვრიცხავ, რომ მამაჩემმა რეგისტრატორს განუცხადოს, ეს ფიქტიური ქორწინებააო. არ მინდა, საფრთხე შეგიქმნა, – ეს ფაქტი ასე ახსნა სევერინმა.

მერე რაღაც ბისტროსთან დავდევით და მისი თეთრ-წითელი ქოლგის ქვეშ, რომელზეც მოცეკვავე პანდები ეხატა, ძეხვეულით გამოვსკვდით.

პირველ თვეებში ძილი დამერღვა და პანიკის შეტევები მქონდა, კოშმარები მანუხებდა. მერე მთელი ღამე ფანჯრის რაფაზე ვიჯექი ხოლმე, სიბნელეს მივჩერებოდი, ვწნეოდი და ვფიქრობდი, ამდენი დრო რაში გამომეყენებინა. არც სტიმული. არც სურვილი. არც სიხარული. თუმცა ასეთი მდგომარეობა შვების მომტანიც იყო გარკვეულწილად. ასე მეგონა, უსასრულობა გამოვიარე და ლამის მაზოხისტურ სიამოვნებას მანიჭებდა ეს შინაგანი სიცარიელე. თავს ვარიდებდი სახლზე ფიქრს, მოკლე სატელეფონო საუბრებს ვჯერდებოდი მოვლენების შელამაზებით და არარსებული გეგმების გაზიარებით.

მიროს უფრო გულწრფელ წერილებს ვწერდი, ოღონდ არ ვუგზავნიდი. და როცა მირეკავდა ხოლმე – თავიდან თითქმის სისტემატურად, მერე სულ უფრო იშვიათად, ყელში ბურთი მეჩხირებოდა და ენაზე ჟანგის გემოს მიტოვებდა.

ნელ-ნელა ისევ ავუღე ალღო ენას და სევერინის წიგნის თაროების მორიდებული თვალეირება დავიწყე, წიგნების ასარჩევად, რომლებიც მერე ლექსიკონის დახმარებით უნდა დამეძლია. ისეთი დამშეული და გამოფიტული ვიყავი, რომ ყოველი სტრიქონი, ყველაზე ბანალური წინადადებაც კი აღმაფრთოვანებდა. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა ბაფხულში პატარა არტკაუს-ვინოში სიარული. ასევე, მპრეეს ნაპირზე

სეირნობა, გემრიელი იტალიური ნაყინის დიდი არჩევანი და თურქული ფასტ ფუდი. როცა საერთოდ არ ვიცოდი, რა მეკეთებინა, ასეთ დღეებში სევერინის მეგობრებს დავყვებოდი უნივერსიტეტში ლექციებზე, ვჯდებოდი აუდიტორიაში და ყოველთვის ვცდილობდი, შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი.

თავიდან იმის წარმოდგენაც კი მაფრთხობდა, რომ რაღაც შემესწავლა, რაღაცისთვის მიმეღწია. მაგრამ უსაქმობა კიდევ უფრო მზარავდა. რაღაც სამუშაოს სულ ვშოულობდი, ვიყავი მზარეულის დამხმარე რუსულ რესტორანში, ვასეირნებდი ძაღლებს, სასმლის სადღეღამისო მაღაზიაში ღამის ცვლაში ვმუშაობდი, რომელიღაც ძვირფას ფეხსაცმლის მაღაზიაშიც კი ვიმუშავე, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა არ მეონდა ფეხსაცმელებზე. ოთხ კვირაზე მეტი არსად არ ვჩერდებოდი. როცა ყველაფერი ყელში ამომივიდა და პანიკის შეტევები ჩამიცხრა, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში ჩავაბარე უახლეს ისტორიასა და პოლიტოლოგიაზე. სევერინმა შემაგულიანა, მითხრა, თუ მოგებზრდება, ყოველთვის შეგიძლია მიატოვო სწავლაო.

საკმაოდ მალე შევეგუე ახალ და ღამის მონოტონურ საუნივერსიტეტო ცხოვრებას. მუშაობას ვაგრძელებდი. ნოიკელნში რაღაც ავტოსახელოსნო აღმოვაჩინე, „ფარდული“ ერქვა, მხოლოდ ქალები მუშაობდნენ და ერთი ლესბოსელი წყვილი მართავდა. მოლარეს ეძებდნენ. ერთ დღეში გამომცადეს და მიმიღეს კიდევ, გულმა მიგრძნო, რომ იქ ჩვეულ ოთხ კვირაზე მეტ ხანს გავჩერდებოდი. კაროს და მეგისაც, ასე ერქვათ მფლობელებს, როგორც აღმოჩნდა, მოვენონე. მოგვიანებით სახელოსნოშიც შემიშვეს, სხვა საქმეებიც გადმომაბარეს.

იქ ვიგრძენი პირველად რაღაც სიხარულის მსგავსი მას შემდეგ, რაც ბერლინში ჩავედი. ძალიან მსიამოვნებდა ფიზიკური დატვირთვის მეშვეობით ჩემი ფიქრებიდან გადართვა. თუმცა კი სევერინი სულ თავს აქნევდა, როცა თმაგასვრილი და ზეთით სამოსდალაქავებული ვბრუნდებოდი შინ.

ბერლინში გატარებული პირველი ორი წელი ახლა თითქმის აღარ მახსოვს. მხოლოდ ნაწყვეტები მიტივტივდება ცნობიერებაში და ის უცნაური მთვლემარე მდგომარეობა, რომლიდანაც ვერ გამოვდიოდი.

როცა იმ დროზე ვფიქრობ, ყოველთვის ის უარყოფის მდგომარეობა მახსენდება. ის უხალისობა, უუნარობა, უგრძნობლობა. თითქოს რაღაც უხილავ დანადგარზე ვიყავი მიერთებული, ჩემს ერთადერთ სიცოცხლის წყაროზე, რომელიც მაიძულებდა, ყოველ დილას ავმდგარიყავი, ჩემი ვალდებულებები შემესრულებინა, მეტ-ნაკლებად აზრიანად გამომეყენებინა დრო.

თუმცა ისიც მახსოვს, რომ მუდმივი ცაიტნოტის შეგრძნება მექონდა. თავისუფალი დროის შიშით, რომელიც საკუთარ თავთან უნდა გამეტარებინა, როდესაც მომიწევდა დავფიქრებულიყავი, რამე მეგრძნო,

რამე გამეხსენებინა, თითქმის დაუძლეველ გეგმას ვისახავდი, ისე ვავსებდი დღეს, რომ საღამოს აღარაფერი დამრჩენოდა იმის გარდა, ნახევრად მკვდარი დავგდებულიყავი ლოგინზე და წამებში ჩამძინებოდა. სულ გავრბოდი. სულ ვჩქარობდი. ველოსიპედით. ფეხით. არავის და არაფრის მონატრების დრო არ მქონდა, გლოვის დრო არ მქონდა, სიცილის დრო არ მქონდა, არც სინანულის, არც სინდისის ქენჯნის, არც რამის გაანალიზების. არც სასიყვარულო თავგადასავლების, არც ცხოვრების დრო. ვარსებობდი და ეს მშვენივრად გამომდიოდა.

და როცა ზოგჯერ, იშვიათად, საკუთარი თავისგან დამალვას ვერ ვახერხებდი, სურათები და მოგონებები რომ მომანვებოდა, სახეზე ავიფარებდი ხოლმე ბალიშს, წიგნს, სულაც ფეხსაცმელს ან თეფშს, ისე მაგრად, რომ თვალი ვედარაფერს აღიქვამდა ფერადი ორნამენტის გარდა, და ისევ ჩემი მოვალეობებისკენ მივიჩქაროდი.

ორი წელიწადი დამჭირდა მუნჯად, საკუთარ თავში ჩაკეტილს ყოფნა, რომ საკუთარი სიტყვები უცხო სიტყვებით ჩამენაცვლებინა. ახალი სახეები დამჭირდა ძველი სახეების დასავინწყებლად. ახალი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი დამჭირდა, ახალი პოეტები და ფილოსოფოსები, დრო დამჭირდა, რომ დროს დავწეოდი, ისევ ახალგაზრდა გავმხდარიყავი, კედლები გამემაგრებინა ჩემ გარშემო.

სევერინი, რომელიც თავიდან ძალიან ცდილობდა ჩემს ინტეგრირებას თავის სამეგობრო წრეში, საბედნიეროდ, დროთა განმავლობაში შემეშვა. სულ უფრო იშვიათად მეკითხებოდა, როგორ ხარო, და დღეები გადიოდა ისე, რომ ვერც კი ვხედავდი. ჩვენი ერთობლივი ცხოვრება მაცივარზე მიკრული პატარა ბარათებით მოაგვარა, რომლებიც არაფერს შეიცავდა საყიდელი რძისა და ტუალეტის ქაღალდის მეტს. როცა სევერინს დაბადების დღე ჰქონდა, ან ახალ წელს ზეიმობდა, როცა იძულებული ვიყავი, სადმე გავყოლოდი და ცეკვაში ავყოლოდი, საერთო დროსტარებაში მიმელო მონაწილეობა, ამ ვალდებულებასაც უსიტყვოდ ვასრულებდი, სხვა უთვალავ ვალდებულებასთან ერთად. ერთ-ერთი ჩხუბის დროს, რაც ძალიან იშვიათი იყო, რადგან მაშინ საჩხუბრადაც არ მყოფნიდა ენერგია, რობოტი მიწოდა და მისაყვედურა, მთელი მომხიბვლელობა დაკარგეო, რის შემდეგაც მე შევთავაზე, ცალკე საცხოვრებელი მომიძებნე-მეთქი, მაგრამ მან მაინც თავი შეიკავა, ასე უცბად ვერ თქვა უარი ჩვენს „ცოლქმრობაზე“. არადა, როგორ მინდოდა ზოგჯერ მის ოთახში შესვლა, მის სანოლზე ჩამოჯდომა და ყველაფრის ამონახევა, რაც დაგროვებული მქონდა: რა სამინელო მარცხი განვიცადე საკუთარ თავთან და სამყაროსთან, როგორი ხელალებით ვთქვი უარი ჩემს ოჯახზე, ჩემს ქვეყანაზე, ჩემს სამყაროზე. სიამოვნებით გადავაბრალებდი ვინმეს ჩემს გაქვავებას, სხვას დავადანაშაულებდი ჩემს განადგურებაში. მაგრამ ვიცოდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, რომ ასეთი სასონარკვეთილი

აღსარების შემდეგ ჩემი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუსაძლისი გახდებოდა. მე არ მინდოდა თანაგრძნობა. არ მინდოდა გამეგონა: „შენ ხომ არაფრის შეცვლა არ შეგეძლო...“ არ მინდოდა გადარწმუნება. საკუთარი თავის სიძულვილი რომ არაა, რალა დამრჩებოდა, მეტი რა გამაჩნდა? როგორღა შევინარჩუნებდი წარსულს? რალას ვიგრძნობდი სამყაროს მიმართ და რაც მთავარია: რა მოტივაცია შემრჩებოდა არსებობისთვის?

როცა სევერინმა ერთ მშვენიერ დღეს კატა მოიყვანა შინ და გამომიცხადა, ეს ჩვენი ახალი თანამობინადრეაო, გავცოფდი. თვითონაც ვერ გავიგე, რატომ მქონდა ასეთი რეაქცია, ვუყვიროდი, ეს არ უნდა გექნა, არ მინდა ვინმეზე პასუხისმგებელი ვიყო-მეთქი. საერთოდ არავის. არც ცხოველზე. შენუხებულმა შემომხედა, საგონებელში ჩავარდა. უსაზღვრო სევდა ჩაუდგა თვალებში, და თან, მგონი, პირველად გამიგო. გამიგო, რამდენად მძიმე იყო ჩემთვის, არ მეფიქრა იმ ამბებზე, ჩემსაზე და სხვისაზე, წლების განმავლობაში რომ შევისისხლხორცე იმ დღის იმედით, როცა მათ წერას გავაგრძელებდი.

კატა უკან დააბრუნა.

ერთხელ, კარგა ხნის მერე, მიროს ველაპარაკე ტელეფონით, მისი მხრიდან სარკასტული კომენტარებით გაუღენთილი საუბარი ჩხუბით დასრულდა, რის შემდეგაც გაცოფებულმა დავტოვე სახლი და რომელიღაც კლუბში წავედი, იქ იმდენი ვუცინე ვიღაც ტიპს, სანამ იძულებული არ გახდა, ყურადღება მოექცია ჩემთვის და ბარის დახლთან არ მომიჯდა. ზუსტად სამი წინადადების მერე უკვე ენა მქონდა შეყოფილი მის პირში. კროიცბერგში წავყევი, მის ბინაში, სადაც შეყვარებულთან ერთად ცხოვრობდა, ოღონდ ის იმ დროს ქალაქში არ იყო და მათ საერთო ლოგინში ჩავწექი. პირველად მოხდა, რომ ჩემმა სხეულმა ვიღაცის შეყვარება სცადა, მიროს გარდა. პირველად ხდებოდა, რომ ვიღაც სრულიად უცხო კაცს აღტკინებულად ვაჩვენებდი თავს.

როცა ჩაეძინა, გამოვიპარე, ტაქსი გავაჩერე და დავთვერი. სევერინმა მეორე დილას იატაკზე მძინარე მიპოვა სასტუმრო ოთახში. გვერდით დამიჯდა, მუხლებზე დაიდო ჩემი თავი, თმაზე გადამისვა ხელი და ისე დამინყო დარიგება, თითქოს ლოცვას მიკითხავდა:

- ხმა ამოიღე, ნიცა. დაელაპარაკე ვინმეს. თორემ შიგნიდან გჭამს, ხომ ვხედავ. ჩემთან თუ არ გინდა ლაპარაკი, ფსიქოთერაპევტთან მაინც წადი, შევლა გჭირდება.

მე კი არც ვუსმენდი და ამის ნაცვლად მკლავებსა და წვივებს, ლოყებსა და მუცელს ვიჩქმეტდი, სანამ სევერინი იძულებული არ გახდა, ხელები გაეკავებინა ჩემთვის და ჩვილივით არ დამარწია და არ დამაძინა. მე უბრალოდ ვცდილობდი, რამე მაინც მეგრძნო ისევ.

ჩემმა ისტორიის ლექტორმა ერთ-ერთი სემინარის მერე დამტოვა საკურსო ნაშრომის შესახებ დასალაპარაკებლად, რომელიც ის-ის იყო ჩავაბარე. თავისი დიდი სათვალეიდან მაკვირდებოდა:

- ექსპერტი არ ვარ ამ სფეროში, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ თქვენ დიდი ნიჭის პატრონი ბრძანდებით.

სუნთქვა შემეკრა. ეს კატეგორია ჩემს ძველ ცხოვრებაში მოვიტოვე უკან, ამ სიტყვას არ ჰქონდა უფლება აქ და ახლა ნამოყვო თავი, არც ახლა და არც აღარასდროს.

- არა მგონია.

თავის არიდება ვცადე.

- იცით, რომ არსებობს განსაკუთრებული ნიჭის ნახალისების შესაძლებლობები?

- მომისმინეთ, მე არანაირი განსაკუთრებული ნიჭი არ გამაჩნია!

- ყოველ შემთხვევაში თქვენ უკვე უკეთესად წერთ გერმანულად, ვიდრე თქვენი თანაკურსელები, ვისთვისაც ეს მშობლიური ენაა. დაუჯერებელ ტემპში ითვისებთ ინფორმაციებს, თუმცა აშკარად არ ვარგისართ მათ ზუსტ გამოყენებაში. დანიშნულების გარკვევაში გაქვთ პრობლემები. არადა ისეთ ცოდნას ავლენთ, როგორ ვთქვა: შესანიშნავს. უაღრესად ყურადღებიანი ხართ, როცა რამე გაინტერესებთ, და იმავე დროს წარმოუდგენლად უყურადღებო, როცა უკვე იცით რაღაც. თქვენი დაუინტერესებლობა იმაზე მეტყველებს, რომ იშვიათად ურთიერთობთ თანატოლებთან. არაკომუნიკაბელური ხართ, ჩაკეტილი და ხისტი. და მაინცდამაინც არ აფასებთ სიმართლეს...

- მერე რა? ეს რა, განსაკუთრებული ნიჭიერების ნიშნებია? არ გგონიათ, რომ ეს უკვე რაღაც კლიშეა?

- კლიშე იქნებოდა, თქვენი ნაკლოვანებები რომ დამენახა და არა მონაცემები. მეთქვა, რომ თქვენს შესაძლებლობებს ხართ ამოფარებული. კლიშე თქვენი შიშია, საკუთარი შესაძლებლობების აღიარებისა და, შესაბამისად, გამოყენების შიში. არ ვიცი, ვინ დაგარწმუნათ, რომ ეს შესაძლებლობები არ გამოგეყენებინათ. ეს აშკარად მეცდომა იყო.

- მე აქ კარგად ვგრძნობ თავს, არ მინდა არაფრის შეცვლა, გთხოვთ!

- მე თქვენი პროფესორი ვარ და არა დედა. როგორც პროფესორმა, მინდა გირჩიოთ, კვლევითი სტიპენდია მოითხოვოთ. ამის შემდეგ გთავაზობთ, ჩვენს ერთ-ერთ კვლევით ცენტრში ასისტენტის ადგილზე შეიტანოთ განაცხადი. ცოტას თუ მოინდომებთ, დაწესებულ ვადაზე ადრე დაამთავრებთ უნივერსიტეტს. თქვენ ბევრად მეტი შეგიძლიათ. დედათქვენი რომ ვიყო, გირჩევდით, სასწრაფოდ გარკვეულიყავით საკუთარ მონაცემებში და ამ მონაცემების გამოყენებისადმი აბსურდულ ზიზღში.

მას შემდეგ, რაც ბერლინში ჩავედი, პირველად ავტირდი სხვისი თანდასწრებით.

კარო დიპლომაიანი ავტომექანიკოსი იყო, უზომოდ მაღალი ფეხები ჰქონდა, მოხატული მკლავები და ხვლიკის ტატუ ყურის გარშემო. აღმერთებდა თავის შეყვარებულს, დიანას, რომელიც ქალაქის რამდენიმე კლუბში პერფორმანსებში მონაწილეობდა ფემინისტურ ჯგუფთან ერთად. სწრაფ მანქანებზე გიჟდებოდა, ყველაზე მეტად კი კარტის თამაში უყვარდა.

პირველად რომ მკითხა, ხომ არ ითამაშებო, უარი ვუთხარი. როცა ჩამაცივდა, ვერ დავიჯერებ, ისეთი ცნობისმოყვარეობით მისმენ ხოლმე, პოკერზე რომ ვლაპარაკობო, ვუპასუხე, შევეძვი თამაშს-მეთქი. ბოლოს იმდენი ქნა, რომ დამიყოლია და სათამაშოდ წავეყვი, პირველივე ხელის მერე კი აბაზანაში შევედი და გული ავირიე. კარომ ჩემი პროფესიული თვისებები აღნიშნა და სადღაც პანკოვის შიდა ებოში წამიყვანა, რომელიც ისე უცნაურად იყო განლაგებული, რომ სანყობს უფრო ჰგავდა და ძალიან სერიოზულად განწყობილ ადამიანებს ვეთამაშეთ ფულზე. იმ დღის მოგება შეგნებულად დავტოვე მეტროს ვაგონში სკამზე. შემდეგი მოგება კაროს ჩავაბარე. მხოლოდ მესამედ აღმომაჩნდა უნარი, ფულის მოხვეტისთანავე ის 100-დოლარიანი არ წარმომედგინა, რამაც სტამბაში დარჩენა, დაბოლოს, შარვალჩახდილს, იმ კაცისთვის გატეხილი ბოთლის შერჭობა მაიძულა.

ბამთრამდე იმდენი ფული დავაგროვე, რომ საშობაოდ საკმაოდ დიდი თანხის გაგზავნა, ჩემთვის ძველი „ვოლვო 760“-ის შეძენა, სევერინისთვის კი იმ განსაკუთრებული სპორტული ფეხსაცმლის ყიდვა მოვახერხე, რომელზეც თვეების განმავლობაში ოცნებობდა.

- საიდან გაქვს ფული? – მკითხა დაეჭვებულმა.

- კარტს ვთამაშობ.

სრულიად აუღელვებლად გამოვუტყედი.

- რას აკეთებ? კარტს თამაშობ? სად?

- ვერძო პირებთან.

- ხომ იცი, რომ ამის გამო შეიძლება უსიამოვნებაში გაეხვიო.

- არ დაიწყო ახლა, გაიგე? მიყვარს ეს კაპიტალიზმი და შემეძვი!

საკმაოდ დიდი ხანი ვიცხოვრე სოციალიზმში! კარგი, რა, სევერინ!

ორივეს გაგვეცინა.

ბამთრის არდადეგებზე ჩავჯექი ჩემს მუქ ლურჯ „ვოლვოში“, ავიდე დარჩენილი ფული და წავედი. არ ვიცოდი, სად მივდიოდი, უბრალოდ, დათოვლილ მიდამოს და მოყინულ გზებს მივუყვებოდი. გზაში, როცა არ ვიცოდი, საით მივდიოდი, როცა მზეს მივდევი, ძლივს რომ ბჟუტავდა, ისე შინაურულად ვგრძნობდი თავს, ისე მყუდროდ, რომ ამოვისუნთქე. სადგომებზე ვაჩერებდი მანქანას, იაფფასიან მოტელებში მეძინა, უვარგის საჭმელს ვჭამდი, და მაინც კარგად ვიყავი. მთელი გერმანია

გავიარე. პარიზამდე ჩავედი. საზღვრები გამქრალიყო და მივკვირდა, სად გაქრა-მეთქი. პარიზში კაფეში დავჯექი და ერთი ნაჭერი ნუშის ტორტი შევჭამე. გამვლელებს ვათვალიერებდი, ფიფქებს შევცქეროდი, სენას რომ ათოვდა. გამოვცოცხლდი. შევეცაღე, ქალაქის სუნი შემეგრძნო. ბედნიერი ვიყავი, რომ იქ არც არავინ მიცნობდა და არც არავის ვიცნობდი. ბავშვობა გავიხსენე და ვცდილობდი, აღმედგინა ის სურათები, რომლებიც თვალწინ მიდგებოდა, როცა ჰიუგოს ვკითხულობდი, ბალბაკს, ფლობერს, პრუსტს, კოლექტს და მილერს, ვოლტერს და დიდროს, ჟენეს, დიურასს.

ვიხსენებდი, როგორი სიამოვნებით ვუყურებდი ფრანგულ ფილმებს ალექსოტანს, დარიასთან და შემდეგ უკვე მიროსთან ერთად. როგორ ვკამათობდით მერე.

ვიჯექი და თვალს ვადევნებდი ტურისტულ რუკებს და ვფიქრობდი იმაზე, გაუცრუვებდა თუ არა ეს ქალაქი სტასიას იმედს თუ პირიქით გაუმართლებდა, გულითადად თუ მიიღებდა, რაც მთავარია, თუ დაუთმობდა საცეკვაოდ სცენას. ვხედავდი სტასიას, თვალდახუჭული, და ვუყურებდი, როგორ ცეკვავდა ჩემთვის.

გზა გავაგრძელე და პარიზიდან ლიონში წავედი, ჟენევიდან – ტურინში. გადავკვეთე შვეიცარია, გადავკვეთე იტალია, რადიოში ძველ მანსონს ავყევი და ჩემი დის ფერადი თვალეები მოვიგონე. ჩემი ენა მანქანის რადიოსიმღერებში გავცვალე. დედაენა გავცვალე ყველა იმ ენაში, რამდენიმე დღით რომ ვითხოვე, ადრე დარიასგან ნათხოვი ლამაზი თმის ბაფთებივით.

გადავკვეთე ევროპა, რომელიც ასეთი შორეული იყო ოდესღაც, ახლა კი ჩემს საბურავებს ადნებოდა. რომი დავათვალიერე და ცრემლები ძლივს შევიკავე, რომ ჩემი და ვერასდროს მიაპყრობდა თავის ფერად თვალებს ამდენ მშვენიერებას.

* * *

წარმომისახე; მე არ ვიარსებებ,
თუ შენ არ წარმომისახავ.
ნაბოკოვი

1998 წლის აპრილში მირომ დამირეკა. რამდენიმე დღეში ამსტერდამში ჩავდივარ და მინდა, გნახო. ნასვამი ჩანდა, ეტირებოდა. რაღაცას ლულულულებდა, საშინლად მენატრებო. მეც დავთანხმდი.

ყურმილი რომ დავკიდე, წამით თვალი შევავლე საკუთარ თავს ფანჯარაში. ძალიან პატარა ქალი დავინახე, რომლის ასაკს და სქესს თითქოს მნიშვნელობა არ ჰქონდა. დავინახე მოკლე, აწეწილი თმა, რომლის დამორჩილება შეუძლებელი იყო, დავინახე ბრტყელი მკერდი,

ჩამოშვებული მხრები, წვეტიანი ყვრიმალეები და კეხიანი, გრძელი ცხვირი. დავინახე დაღლილი, ამოშავებული უპეები, იხვივით ტუჩები, მუქი თვალები, ისეთი დაბურული, არაფრის მთქმელი, და დამაინტერესა, რას იტყოდა ამაზე მირო, თუ ვერც მიცნობდა, ან ამდენი ხნის მერე რა უნდა გვეთქვა ერთმანეთისთვის. მაინტერესებდა, თუ შევატყობდით ერთმანეთს, რა დაგვემართა ამასობაში, წლების მერე სულ სხვა ადამიანებს თუ ამოვიცნობდით სუნით, გემოთი, შეხებით. და თუ ჰქონდა ამას მნიშვნელობა.

ამსტერდამში მატარებლიდან პირდაპირ იმ სასტუმროში წავედი, სადაც მირო იყო გაჩერებული. სადგურზე დახვედრა ავუკრძალე. ჩემს არასტაბილურ მდგომარეობაში სენტიმენტალურ სცენებს ვერ ავიტანდი.

დავაკაკუნე. მაშინვე გამიღო. ერთმანეთს შევხედეთ, პატარა სამგზავრო ჩანთა იატაკზე დავდე. გაბრდილი იყო. უფრო გამაღლებული, უფრო თავდაჯერებული. სერიოზული სახე გაუხდა. ოფიციალურ შეხვედრებზე რომ იცვამენ, ისეთი კოსტიუმი ეცვა, ამან რატომღაც სრულიად ამომავდო კალაპოტიდან.

ხელი მტაცა და ოთახში წამიყოლა. ლოგინზე დამავდო, მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ ორივენი გახდილი ვიყავით უკვე და ერთმანეთს ვისხენებდით, ისეთებს, როგორებიც ერთ დროს ვიყავით და გვეგონა, რომ სამუდამოდ დავრჩებოდით.

სიტყვა არ დავგვცდენია. ხმის ამოუღებლად ვიბრძოდით, ვცდილობდით, გულები გადაგვეშალა და ერთმანეთი შეგვეშვა, ვცდილობდით, ჩამოგვეფხიკა ჩვენს კანზე ქერქივით აწებებული დროის შრეები. ისეთი იოლი გვეჩვენა ისევ ერთად ყოფნა. ისე ძალდაუტანებლად დავიბრუნეთ სიახლოვე. მსოფლიოში ვერავის შევიყვარებდი ისე ადვილად, როგორც მიროს.

ოთახში ბნელოდა, მუქი არ აგვინთია. ერთმანეთის სუნთქვას ვუსმენდით.

- მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ, - ვუთხარი, - მოდი, რა. თუ შენც გენდომება, გამოგვივა. მე ისე ცოტა რამ მაკავებს აქ, და თან უკანაც ცოტა რამ მექაჩება. მაგრამ თუ შენ ისევ იარსებებ, თუ შევძლებ დაგაბრუნო ჩემს ცხოვრებაში, მაშინ...

მირომ პასუხი დააყოვნა, თავი მკერდზე დამადო, განვა, ამოიხვნეშა, მართალი ხარო, არ მინდა შენი დავინყებო, მითხრა. დარწმუნებული ვარ, გამოგვივაო. ევროპაში წამოსვლაზე ვიფიქრებ. ყველაფერი წინ გვაქვს, ერთად ვიქნებითო. ბერლინში წავიდეთ, ხვალვეო.

და მეც წამიერად დავიჯერე.

ხელიხელჩაკიდებულები მივედით მეორე დილას სადგურზე. ხელიხელჩაკიდებულებმა ვიყიდეთ მატარებლის ბილეთები. ხელიხელჩაკიდებულები ავედით მატარებელში. ჩვენი ვაგონი სავსე იყო, ვთხოვე, დაეცადა, სანამ თავისუფალ ადგილებს მოვძებნიდი. დამჯდარი

დავტოვე. როცა დავბრუნდი, იქ აღარ იჯდა. მატარებელი ჯერ კიდევ იდგა. მეგონა, რომ ტუალეტში იყო გასული, მაგრამ მისი პატარა ჩემოდანიც გაქრა. არ მინდოდა, ცუდი მეფიქრა. იქნებ ქურდების ემინია ან მატარებლის ტუალეტში მოინდომა გაპარსვა-მეთქი, თავს ვიმშვიდებდი. დილას ვერ მოასწრო და წუხდა. თავს ძალა დავატანე და დავჯექი. მატარებელი უკვე უნდა დაძრულიყო. ხან საათს მივჩერებოდი, ხან ცარიელ სკამს ჩემ წინ. ვერ გავბედე სხვა მგზავრებისთვის მეკითხა მის შესახებ, იმიტომ რომ ისედაც ვიცოდი პასუხი და დაჯერება არ მინდოდა.

როცა მატარებელი ნელა დაიძრა, ადგილიდან წამოვხტი და კარს ვეცი. გასვლა მინდოდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ვეღარ ჩავედი, და რაღა დამრჩენოდა, დაძრული მატარებლის ფანჯრიდან გამოვემშვიდობე, პალტოს საყელოანუელი, თვალედახრილი, სწრაფად მიუყვებოდა ბაქანს, თითქოს რაღაცას გაურბოდა. უხმოდ, თავზარდაცემული, დასასრულის შეგნებით განადგურებული და ხელფეხგაკავებული ვუყურებდი, როგორ შეერია ხალხს და გაუჩინარდა.

ჩემი პროფესორის შეხედულების მიუხედავად, დადგენილ ვადებში დავამთავრე უნივერსიტეტი. სულ არ მეჩქარებოდა, რადგან გული არაფრისკენ მიმიწვდა. თვეების მერეც, ისევ რომ მიწყებდა იმ კვლევით ცენტრზე ლაპარაკს, უარს ვამბობდი და გავურბოდი ამ თემას. სამაგიეროდ, უკვე სისტემატურად ვთამაშობდი პოკერს და საქართველოში ვაგზავნიდი ფულს. დედაჩემი რომ მეკითხებოდა, სტუდენტს ამდენი ფული საიდან გაქვსო, მაღალი სტიპენდია დამინიშნეს-მეთქი, ვატყუებდი. არც კი ვიცო, იჯერებდა თუ არა. და საერთოდ თუ აინტერესებდა. რადგან ძირითადად ღმერთზე, იესოსა და ეკლესიაზე მელაპარაკებოდა ტელეფონით, და ამ ტრიადაზე თუ არა, მაშინ მხოლოდ ანასტასიაზე, რომელსაც უკვე ყველა ბრილკას ეძახდა და რომლის ღვთისმშობიშ, მორწმუნე ბავშვად აღზრდა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ელენეს ეგონა.

სახელოსნოში ვაგრძელებდი მუშაობას, და როცა ხანდახან ყელში ამომდიოდა ყველაფერი, ქალაქიც და ყოფაც, ჩემს მანქანაში ვჯდებოდი და გზას მიუყვებოდი, ევროპას ვეცნობოდი. ზოგჯერ სევერინთან ერთად, ზოგჯერ მის გარეშე. მარტო ვენას ვარტყამდი დიდ წრეს. ის ჩემთვის სხვისი ოცნების ქალაქი იყო.

ჩემი პროფესორი მაინც არ მომეშვა, დამთავრების შემდეგ დისერტაცია უნდა გააკეთოთ, და ერთი თავისი კოლეგა გამაცნო, აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტი, რომელსაც მიიღო დაფინანსება ცივი ომის კვლევისთვის და ნიჭიერ ასისტენტს ეძებდა, როგორც კმაყოფილი ღიმილით შემატყობინა ჩემმა ლექტორმა. აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტი ძალიან მომხიბვლელი, მჭევრმეტყველი და სხარტად მოაზროვნე ბატონი აღმოჩნდა, რომელმაც კითხვები დამაყარა,

ჩემი სადიპლომო ნაშრომი უკვე წაკითხული ჰქონდა. გასულ წლებში ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, შორს დამეჭირა თავი აღმოსავლეთ ევროპისგან. და ახლაც დიდ წინააღმდეგობასა და გაღიზიანებას ვგრძნობდი ჩემში, რომ იძულებული გავხდებოდი, ისევ ამისთვის დამეთმო დრო.

მაგრამ რაკი ალტერნატივა არ გამაჩნდა, არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა მომავალში, თანხმობა განვუცხადე. პირადი ასისტენტი გავხდი. თან შესაძლებლობაც მომეცემოდა, დისერტაცია დამეწერა, როგორც კვლევითი პროექტის შემადგენელი ნაწილი, რომლის დასრულების შემდეგ ვრცელი წიგნი უნდა გამოქვეყნებულიყო. სირბილი განვაგრძე. არ გავჩერებულვარ. სუნთქვასაც კი ვერ ვახერხებდი.

ბერლინში ჩასვლიდან ოთხი წლის შემდეგ ელენემ დამირეკა და მითხრა, სტასია გარდაიცვალაო. ჩემი ძველი ჩემოდნიდან, საწოლის ქვეშ რომ იმტვერებოდა, სტასიას ნაანდერძევი ძველი რეცეპტების რვეული ამოვიღე, გადავიკითხე და, პირველ ყოვლისა, ცხელი შოკოლადის შემადგენლობის დაბეპირება ვცადე. დილით ყველაფერი მოვიმარაგე და ჩემი დიდი დიდი ბაბუის ცხელი შოკოლადი მოვამზადე. უაზროდ ვთქვლევდი მუქ სითხეს და დავტიროდი ჩემს მეზღაპრეს, ჩემს სიზმრებში ჩაქსოვილ მოჩვენებათა მხილველ დიდ ბებიას. მასთან ერთად იმ ფაქტსაც დავტიროდი, რომ უამრავი ამბის დასასრული ვერ გავიგე, მოვლენების ურთიერთკავშირს ვერ ჩავწვდი, ბებო კი ამაში ვეღარასდროს დამეხმარებოდა.

ის სიზმარი ისე ცხადად მახსოვს, თითქოს სინამდვილეში მოხდა. ბუსტად მახსოვს მისი სახე, რომელიც ოდნავ განსხვავდებოდა ფოტოსგან, ბავშვობაში რომ წავაწყდი კარადაში სხვა ძველ ფოტოებთან ერთად. ის კაცი მესიზმრა, რომელმაც კიტი ჯაში საზღვარზე გადაიყვანა, კოსტიას მეგობარი. სიზმარში მისი სახელი არ მახსოვდა, მაგრამ ვიცოდი, რომ მწვანე სახლში მენახა მისი ფოტო, სადაც მეზღვაურის ფორმიანი ბიჭი ბაბუაჩემის გვერდით იდგა და ობიექტივში იღიმოდა. ვითომ ბერლინში მენვია, იების თაიგული მომიტანა, ლამაზი მუქი ლურჯი იები და გამიღიმა. ჩემს სიზმარში ისეთივე ახალგაზრდა იყო, როგორც სანქტ-პეტერბურგში გადაღებულ ფოტოზე. შინ შევიპატიჟე, ჩაი დავლიეთ, მერე კი რაღაც ჩემოდანი მაჩვენა, მაგრამ მე ვეღარ ვნახე, რა იყო იმ ჩემოდანში, რადგან გამეღვიძა.

სამი დღის მერე ვეღარ მოვითმინე და შინ დავრეკე. ძლივს გავაგებინე დედაჩემს, ვისზე ვლაპარაკობდი, რადგან მისი სახელი არ მახსოვდა. მარტო ის ვიცოდი, რომ კიტის ახლდა თბილისში და სწორედ მან შეატყობინა ბაბუაჩემს მისი დის გარდაცვალების ამბავი.

– გიორგი ალანიას გულისხმობ. რამ გაგახსენა?

– არ ვიცი. რატომღაც გამახსენდა. არავინ იცით, სად არის ახლა, ცოცხალია? და თუ ცოცხალია, როგორ ვიპოვო?

- რაში დაგჭირდა?

- დისერტაციისთვის. საბჭოთა პატიმრების ისტორიას ვიკვლევ და ვიფიქრე...

პირველად მოხდა, რომ დედაჩემს მთლად ტყუილი არ ვუთხარი.

- წარმოდგენა არ მაქვს, სად არის და როგორ არის. კოსტიას ძალიან ახლო მეგობარი კი იყო, მგონი.

- როგორ გგონია, ვინ შეიძლება იცოდეს?

- არიან კიდევ კოსტიას ძველი თანამშრომლები, იმათ ეხსომებათ, ალბათ.

რამდენიმე დღის შემდეგ დედაჩემმა მართლაც გამიგო კოსტიას ერთი ყოფილი თანამშრომლის ტელეფონის ნომერი.

და როცა მისი სახელი გავიგე და მერე უკვე მისი ხმაც, მაშინვე მივხვდი, ვინც იყო. რუსას მამა, რომელმაც ასეთი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა ერთხელ ბათუმში, და აზრზეც არ იყო, რა ურთიერთობა ჰქონდა თავის მეგობარს თავისსავე შვილთან.

- თურმე რა დამთრგუნველ რამეებს იკვლევთ დღეს, ბაბუაშენი ნამდვილად იამაყებდა შენით, - მითხრა, როცა ჩემი ნათქვამი მოისმინა, - იცი, ვინ რეკავს? - გასძახა უცებ ვიღაცას, - კოსტია ჯაშის შვილიშვილი, გერმანიაში რომ ცხოვრობს. ვუნდერკინდი რომ იყო, არ გახსოვს?

მერე ნაბიჯების ხმა გავიგონე შორიდან და უცებ ქალის ხმა ტელეფონში.

- ნიცა?

მაშინვე ვიცანი. ისეთივე თბილი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა.

- რუსა?

ვცადე, მისი სახე წარმომედგინა. ნატიფი სახე, ადრე რომ ჰქონდა, სანამ სააბაზანოში ვიპოვიდი. სანამ თოვლში შევხვდებოდი. უდარდელი, შეყვარებული ქალის სახე, რომელმაც უბრალოდ მეტისმეტი მონიდომა და რომელიც კარგად თამაშობდა ნარდს. ძალიან კეთილგანწყობილი იყო, ათასი რამ გამომკითხა, მომიყვა, რომ ადვოკატი გახდა, გათხოვდა და ორი ვაჟი ჰყავდა.

მე, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი ასეთი გულწრფელობითა და გულითადობით. თითქოს არაფერი ჰქონდა საერთო იმ ქალთან, ბაკურიანში რომ შემხვდა წითელ სათხილამურო ტანსაცმელში გამონწყობილი. სანამ ყურმილს ისევ მამამისს გადასცემდა, ჩუმად ჩაილაპარაკა:

- ისე დამწყდა გული კოსტიაზე. ისე შემეშინდა დაკრძალვაზე მოსვლა, უბრალოდ, ვერ შევძელი. მინდოდა, ცოცხალი მხსომებოდა.

- ჰო, მესმის.

- ნიცა!

- რა?

- გმადლობ.

მე აღარაფერი ვუთხარი.

ცხადია, შესაძლებელია ადამიანის გადარჩენა. უბრალოდ, ჩემი დის გადარჩენა ვერ მოვახერხე. ის ადამიანი ვერ გადავარჩინე, ვინც მიყვარდა. ვერც საკუთარი თავი. რუსას ხომ მაინც ვუშველე-მეთქი, გავიფიქრე იმ წამს. იმასთან მაინც გამიმართლა.

რუსას მამამ გამანდო, ალანია უკვე ათ წელიწადზე მეტია ლონდონში ცხოვრობსო. იქ გადასულა სამუშაოდ, როცა „პერესტროიკა“ დაიწყო, მას მერე მის შესახებ არაფერი სმენია და, შესაბამისად, არც მისი საკონტაქტო მონაცემები ჰქონდა. მადლობა გადავუხადე და ყურმილი დავდე, ვიფიქრე, შევეშვები ამ გულუბრყვილო იდეას და ჩემს წიგნებს მივუბრუნდები-მეთქი. მაგრამ მეორე დღეს რუსამ დამირეკა, ისე მინდოდა შენთვის მესიამოვნებინა, რომ მამაჩემს არ მოვეშვი, სანამ მოსკოვში არ დარეკა ვილაცასთან, რომელიც თურმე იცნობს ვილაცას, ვინც... და ასე შემდეგ, სანამ ბოლოს ინგლისის საფოსტო მისამართი არ გაგიგეო. მისამართი ჩავინერე და მადლობა გადავუხადე. რაღაც დასახლება ძალიან ლირიკული სახელით: შვიდი და...

ლონდონში ჩავფრინდი, ისტბურნისკენ მიმავალ მატარებელს გავყვი. ტაქსით მივედი მოცემულ მისამართზე. ლამაზი, სოფლიდან ცოტა მოშორებით მდებარე კოტეჯი იყო, ანწლის ხეებით შემოღობილი თვალწარმტაცი ვარდების ბაღნარით. კარი არავინ გამიღო. მანამდე ეჭვი არ შემპარვია ჩემს განზრახვაში. დაბნეული ჩამოვჯექი ბაღის პატარა ხის სკამზე, სიგარეტს მოვუკიდე და შორეულ ზღვის ხმაურს მივაყურადე. გადავწყვიტე, სადმე მეზობლად ოთახი მექირავებინა და მეორე დღესვე დავბრუნებულიყავი მატარებლით ლონდონში. გაბრაზებული ვიყავი საკუთარი გულუბრყვილობის გამო: რატომ მეგონა, რომ ვილაც უცხო კაცი, მატყლის საბანში გახვეული, ჩიბუხით ხელში, საქანაო სავარძელში მჭდომი მიმიღებდა და თავისი წარსულის ამბებს მომიყვებოდა? საერთოდ რამ მომიყვანა აქ? მართლა იმ კვლევასთან იყო ჩემი სტუმრობა დაკავშირებული, თუ მაინც უფრო ჩემთვის ვეძებდი პასუხებს, თუმცა კი თავს ვიტყუებდი, არ მჭირდება-მეთქი? უკვე მესამე სიგარეტს ვწნოდი და თავ-ბედს ვიწყველიდი, იმ სიბნელეში, იმ უკაცრიელ მიდამოში რომ მომიწევდა ბოდიალი, როცა ნაბიჯების ხმა შემომესმა.

კოტეჯისკენ მომავალ ვიწრო მოუასფალტებელ გზაზე ჯოხით და ჯიბის ლამპით შეიარაღებული კაცის სილუეტი დავლანდე. წამოვხტი და გაუბედავად წავედი მისკენ. გავსძახე, საბჭოთა ისტორიის კვლევით პროექტში ვიღებ მონაწილეობას და ინფორმაციები მჭირდება-მეთქი. წინადადება რომ დავასრულე, მაშინღა მივხვდი, რომ ქართულად ვლაპარაკობდი.

ლამპა ჩემკენ მოანათა. გაჩერდა, მერე ისევ წამოვიდა. სახეში რომ მომანათა, თვალები მოვჭუტე, მაგრამ თვალისმომჭრელი სინათლის

მოუხედავად, მივხვდი, რომ ვიპოვე ის, ვისაც ვეძედი, კაცი ჩემი სიზმრიდან. მოულოდნელმა ეიფორიამ ამიტაცა.

მოხრილი მოდიოდა, ეტყობოდა, რომ სიარული უჭირდა და სულ თავის ჯოხს ეყრდნობოდა. სიტყვის უთქმელად ჩამიარა, გასაღებით გააღო კარი, ცხვირწინ მომიჯახუნა და გაუჩინარდა. დავრჩი შეშინებული, ფრთხილად დავაკაკუნე, თავიდან ავუხსენი ჩემი სათხოვარი შეძლებისდაგვარად თავაზიანად. მაგრამ ჩემს კაკუნზე რეაგირება არ მოუხდენია. გაცოფებული ვიყავი, უკვე გაბრუნებას ვაპირებდი, მაგრამ მერე გაჩერდი და დავუყვირე:

– მე კოსტიას შვილიშვილი ვარ. კოსტიას გამო ვარ აქ. მის გამო და კიტის გამო. და თქვენ გამო ვარ აქ. ჩემი დიდი ბებუის და ბებიაჩემის გამო ვარ აქ, ჩემი დის გამო და...

მესმოდა, როგორ მიცემდა გული. მეშინოდა. ერთნაირად მეშინოდა მისგან უარის მიღებისაც და იმისაც, რაც შეეძლო ჩემთვის მოეყოლა. როცა კარი ფრთხილად გამოაღო, მუქი აანთო, მაშინ ვიგრძენი, როგორ ვკანკალებდი მთელი სხეულით. მის პირისპირ აღმოვჩნდი, სიბერის ლაქებით დაფარული ხელები ჩემი ლოყებისკენ წამოიღო, სახეზე ჩამებლაუჭა და დიდხანს მიყურა გაფართოებული თვალებით:

– შენ კოსტიას გოგო ხარ? – მკითხა ქართულად.

– მგონი, ჩემს დაში გეშლებით. მე უმცროსი ვარ. ჩემი და... მკვდარია. სახეზე ხელი მიშვა და ოდნავ უკან დაიხია.

– ის ლამაზი გოგო?

– ჰო, ის ლამაზი გოგო.

– ღმერთო ჩემო! როგორ, რა მოხდა?

შინ შემიპატიჟა.

მთელი ოთხი დღე დავრჩი მასთან. ის მოტეხილი მოხუცი პირველი ადამიანი იყო, რომელთანაც თბილისიდან წამოსვლის შემდეგ პირველად შევძელი დალაპარაკება წარსულზე. დამითანხმა, რომ მის სახლში გაჩერებულიყავი, რადგან ის სახლი ბაბუაჩემის დას ეკუთვნოდა თურმე ერთ დროს. დაუბარებლად პასუხობდა ჩემს შეკითხვებს. ყოველი ჩემი ამბის სანაცვლოდ თავისას მიუქნიდა. იმ ფოტოების ისტორიებს, სახლის თითქმის ყველა კედელს რომ ამშვენებდა. ჩემთვის უცნობი ქალის ფოტოების ისტორიებს, ბებიად რომ მეკუთვნოდა.

ყოველდღე ჟღალთმიანი მომვლელი მოდიოდა მასთან, სახლის საქმეში ეხმარებოდა და წამლებს ასმევდა.

– რა განუხებთ? – შევეკითხე.

– აჯობებს მკითხოთ, რა არ მანუხებს, – მიპასუხა.

კარტოფილის სუპი ვჭამეთ და ის ყურე მაჩვენა, სადაც კიტი ჯამმა თავი მოიკლა. თვითონ ზევით დარჩა კლდეზე, რადგან ფეხები სტკიოდა. მე მარტო ჩავედი ციცაბო ნაპირზე კიტის უკანასკნელი ნაკვალევის საძიებლად, მაგრამ ზღვის მეტი ვერაფერი ვიპოვე.

ისეთი რამეები მიაბმო ადამიანებზე, რომელთაც მეგონა, ვიცნობდი, რომ მივხვდი, თურმე სულაც არა.

გადაშლილი წიგნივით იყო და მისი ნაკითხვის უფლებას მაძლევდა. პუდინგი გამიკვთა ხელეზაკანკალებულმა და თვალეზდაბინდულმა.

- თქვენ თქვით, რომ ბაბუათქვენის გამო მოხვედით და კიტის გამო. თქვენი დიდი ბების და ასევე ბებიათქვენის გამო. და შეკითხვების დასასმელად. მაგრამ არ გითქვამთ, მე ჩემ გამო ვარ აქო. რატომ?

გამაოცა მისმა შეკითხვამ. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, ის კი ალერსიანად მიღიმოდა. იქნებ იქ მიეცა ყველაფერს აზრი, იქ მიუვახლოვდი კონტექსტს. მაგრამ შიში არა და არ დამიცხრა, ყოველი ამბის მერე უფრო და უფრო იზრდებოდა. აჩრდილებით მევსებოდა თავი, ალანია კი განაგრძობდა ჩემ თვალწინ ხალიჩის ქსოვას. მე თვალს ვადევნებდი, მაგრამ იმ ჩახლართულ ორნამენტში ჩემი ძაფის პოვნას ჯერ კიდევ ვერ ვახერხებდი.

პირქუმ, კლდიან სანაპიროზე ჩავედი. სველ ქვიშაზე დავჯექი. ქარს მივუშვირე სახე. ზღვასთან გავწექი. მოვეშვი.

რა თქმა უნდა, სტასია მართალი იყო: რა თქმა უნდა, ისინი ჯერ კიდევ აქ იყვნენ. და წასვლას არ აპირებდნენ. ვიკივლე. აღარ მინდოდა დროის გარღვევა და მათი მოსმენა. აღარ მინდოდა მათი დევნა. არ მინდოდა, აჩრდილებს კარტი ეთამაშათ ჩემს ბაღში, და მაინც ვიჯექი იქ ალანისთან ერთად, ყელში მქონდა ამოსული ყველა სიტყვა და ყველა მოვლენა, მისი ნაამბობი ყველა ამბავი, სტასიას ნაამბობისგან განსხვავებით, წარმოუდგენელი ძალით რომ მატყდებოდა თავს და მიწასთან მასწორებდა.

სტასია ჯადოსნურ ამბებს მიყვებოდა, იგავებსა და ზღაპრებს სხვა სამყაროდან, ალანია კი ფაქტები მიაბმო და მოვლენები, ისეთი რეალური, ისეთი სასტიკი.

მე მინდოდა მეცხოვრა. ჩემი ცხოვრებით მეცხოვრა. მინდოდა ისეთი წარსული მქონოდა, რომელიც რამეში გამომადგებოდა და რომელსაც, ჩემი ბერლინელი მეგობრებივით, საღამოობით ცოტა სენტემენტალურ ანეკდოტებად მოვყვებოდი, ან რომელიმე ფსიქოთერაპიულ კურსზე მაინც. ჰო, ასეთი ცხოვრება მინდოდა. ამისთვის არ გადმოვლახე საზღვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთში, წარსულისა და აწმყოს საზღვარი?!

სველ ქვიშაში ჩავძვერი. იმისთვის კი არ მივსულვარ ზღვასთან, რომ გაეხსენებინა ჩემთვის, რამდენი რამ დამაკლდა ცხოვრებაში. მე მინდოდა გამეგო, რა შესაძლებლობები არსებობდა კიდევ. და როცა უკიდევანო რუხ ზღვას გავხედე, იქ მივხვდი, რომ უკვე ბევრი ამბავი დამიგროვდა, თვალამღვრეული წინ ვეღარ ვიხედებოდი და ძალიან დიდი იყო ორფეოსივით სულ უკან მოხედვის ცდუნება.

ციცაბო კლდეს ავეყევი. ალანიას ვთხოვე მოყოლა გაეგრძელებინა. ოღონდ მხოლოდ იმ შეკითხვებზე გაცეა პასუხი, რაც კვლევისთვის მჭირდებოდა. აღარც ერთი სიტყვა პიროვნულზე. აღარც ერთი ნაცნობი სახელი, აღარაფერი, რაც ჩემს ნათესავებს ეხება – ძალიან ვთხოვთ!

გაოცებულმა შემომხედა, ანწლის ლიმონათი ჩამოასხა. რაღაც ფირფიტა დადო ძველ ფირსაკრავზე. თვალები დახუჭა.

– ეს ხმა, მისი ხმა. დარჩება. სამუდამოდ, – დაამატა, – დიახ, მკითხეთ. შეგიძლიათ მკითხოთ, რაც გაინტერესებთ. მაგრამ ლონდონში კი უნდა ნახვიდეთ. და რაც შეიძლება მალე. ემი მოძებნეთ. წლების განმავლობაში ცდილობდა ვინმეს პოვნას თქვენი ოჯახიდან. სანამ ძალა ჰქონდა, მაშინ ჯერ კიდევ რკინის ფარდა არსებობდა და არავის შეეძლო შეღწევა. მე კი არ ჩავერიე, წამოსვლის მერე ერთი ნაბიჯის გადადგმაც აღარ მინდოდა უკან... ინახულეთ ემი.

– არ ვიცი, რამდენად აქვს ამას აზრი.

– იცით, ეს მართლა საოცარია... – განაგრძო მან, თითქოს ვერც გაიგო ჩემი ნათქვამი, – ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვინმე მოვიდოდა, რომ ვინმე მოიძიებდა ამ ყველაფერს.

– მე მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ. მეტი არაფერი.

– ნუ განაცალკევებთ თქვენს ისტორიას სხვებისგან, ნუ მოსწყდებით საკუთარ თავს. რაშიც უნდა გამოიყენოთ ეს ყველაფერი, ასე მაინც ნუ მოიქცევით.

– ეს სამეცნიერო კვლევისთვის მჭირდება და არა სასიყვარულო რომანისთვის.

– გაემგზავრეთ ლონდონში. ან ვენაში გაემგზავრეთ. ფრედ ლიბლიხი, ფრედ ლიბლიხს გაესაუბრეთ, შემიძლია მისამართი მოგცეთ. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იქნება შესაძლებელი ამ კვალის დანახვა.

აღარაფერი ვუთხარი.

არც ლონდონში წავსულვარ და არც ვენაში.

უკანაც არ დავბრუნებულვარ.

არაფერი დამიწერია.

არც ერთი სტრიქონი.

ავუკრძალე საკუთარ თავს იმ სიტყვებზე ფიქრი, რაზეც აზრი ჰქონდა ფიქრს, აზრი, რომელიც ყოველდღიურობას სცილდებოდა, სიტყვებზე, რომლებსაც მეტის აღწერა შეეძლოთ, ვიდრე მე მზად ვიყავი გამეხსენებინა. ავუკრძალე იმაზე მეტი სიტყვის გამოყენება, ვიდრე ყოველდღიურობის დაძლევაში მჭირდებოდა. უარი ვთქვი საკუთარი წინადადებების შეთხზვაზე, საკუთარი აზრების ჩამოყალიბებაზე. პრინციპში, აზროვნება ავუკრძალე საკუთარ თავს.

დისერტაცია ბოლომდე არ მიმიყვანია. უარი ვთქვი. არ მინდოდა იმ უნარების გამოყენება, რაც ყოველდღიურ აუცილებლობას აღემატებოდა. რაც ზედმეტი იყო ჩემი კვლევის მონოტონური სამუშაოსთვის, რაც სხვა

ადამიანებს არ სჭირდებოდათ ცხოვრებაში, რაც სახელოსნოში საათების გასატარებლად და კარტის სათამაშოდ არ გამომადგებოდა. ფორმალურად ვატარებდი კვლევას და ხელმძღვანელს ვეხმარებოდი, რომელიც სულ ჩამჩიჩინებდა, გამოიყენე რამეში, ბოლოს და ბოლოს, შენი მასალაო. ერთობლივი მუშაობის დროს ვჭიუტობდი, შეუგნებლად ვიქცეოდი, მაგრამ მაინც არ გამაგდო.

დაგეგმილი პუბლიკაცია 2002 წელს გამოქვეყნდა და ცხარე დისკუსიები გამოიწვია. მე არ ჩავრეულვარ, მიუხედავად იმისა, რომ პროექტის თანამონაწილე ვიყავი, აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტს ცივი უარი განვეცხადე კონფერენციებზე მის მხარდასაჭერად წაყოლაზე. პროექტი დასრულებული იყო, და იმედი მქონდა, რომ ვალი მოვიშორე, მაგრამ მაინც არ მომეშვა და ოტო ზურის ინსტიტუტმა მიწვეული პროფესორის ადგილი შემომთავაზა პოლიტიკური მეცნიერებების დარგში, რასაც დავთანხმდი იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მანამდე ერთი რესტორნის სათავსოში პოკერის თამაშის დროს გამოგვიჭირეს და მხოლოდ დიდი ჯარიმის ფასად გადავურჩით მფლობელის საჩივარს.

მე კი მინდოდა საქართველოში ფულის გაგზავნა გამეგრძელებინა, არადა, სევერინთან განქორწინების ხარჯი გასასტუმრებელი მქონდა, და რაკი სევერინი გერიტთან ერთად აპირებდა ცხოვრებას, ცალკე ბინაც უნდა მომეძებნა ჩემთვის. თანხმობა მივეცი ცივი ომის შესახებ ლექციების წაკითხვაზე. სხვისი წინადადებები დავიზიპირე, სხვისი თეზები და სხვისი გაზიარებული გამოცდილება და ყოველდღე ამას ვიმეორებდი აუდიტორიაში. სულ ველოდი, რომ სტუდენტები მიჩივილებდნენ დეკანატში, რომ უნარი ან თუნდაც ხალისი არ გამაჩნდა, მათთვის რამე ამეხსნა. მაგრამ ისინი არ მიჩიოდნენ, მიტანდნენ, ისევე როგორც მე ვიტანდი ყველაფერს, ჩემი ცხოვრება ხომ დიდი ხანია უკვე მდორე დინებას ჰგავდა.

მოტცმტრასეზე, ძველ სახლში, გარემონტებული ბინა ვიპოვე და სევერინისა და ჩემს ყოფილ ბინაში გამოსამშვიდობებელი ქეიფის შემდეგ გადავბარგდი, იქაურობა კი სევერინის დიდი ხნის ნანატრ ბედნიერებას გადავულოცე. ვხვდებოდი მამაკაცებს, რომლებსაც ცოლი ან შეყვარებული ჰყავდათ და ამის შეცვლას არც აპირებდნენ. ისევ ვმოგზაურობდი ევროპაში, იმ იმედით, რომ სადმე ვიპოვიდი ჩემს ადგილს. არ ვკითხულობდი გაზეთებს, არ ვუყურებდი ტელევიზორს, ინტერნეტს მხოლოდ მეილის გასაგზავნად და უნივერსიტეტთან კონტაქტის შესანარჩუნებლად ვიყენებდი.

აღარ მაინტერესებდა მსოფლიო, აღარც მისი აღმოსავლეთი ნაწილი და აღარც დასავლეთი.

ტელეფონით ველაპარაკებოდი დედას და ალექსოს და ფონად მესმოდა, როგორ იზრდებოდა ბრილვა. ბრილვა იმდენად თავნება იყო

და სიტყვაძუნნი, რომ მასთან ლაპარაკს ვერ ვახერხებდი. თავიდან მიშორებდა ხოლმე და უფროსებს აჩეჩებდა ყურმილს.

ინგლისიდან ძნელად გასარჩევი ხელით დაწერილი ღია ბარათები მომდიოდა. თუ ვპასუხობდი, მხოლოდ ძალიან ზრდილობიანად და დისტანცირებულად, რომ არ ავყოლოდი მის თხოვნებსა და მოთხოვნებს, რითაც თავს მახებრებდა.

დავმშვიდდი, ვიპოვე ჩემი არსებობის ოქროს შუალედი, მართალია, უფრო ჟანგის ფერი ედო, ვიდრე ოქროსი, მაგრამ ეს არ მანუხებდა, და წინ ყურებას განვაგრძობდი, რადგან რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლები ძალისხმევა მჭირდებოდა ამისთვის.

ორჯერ ელენე და ალექო მენვივნენ ბერლინში და მეც სამაგალითო შვილივით ვიქცეოდი. ბრილვა არც ერთხელ არ ჩამოუყვანიათ, ლაშას მშობლებთან ტოვებდნენ. მიყვებოდნენ, ცეკვით არის გატაცებულიო, მე კი სტასიაზე ვფიქრობდი, კმაყოფილია-მეთქი, ალბათ – სადაც უნდა იყოს – და თან მკაცრად ადევნებს თვალს ბრილვას ყოველ ნაბიჯს.

ერთხელ, როცა სევერინი, გერიტი და მე ბარში ვისხედით და დახლს ზემოთ ჩამოკიდებულ ტელევიზორს ვუყურებდით, დავინახეთ, როგორ მოაშორა დაცვამ შევარდნაძე ტრიბუნას, ვიდაც მაღალი კაცი კი გამოენთო ვარდით ხელში, მოგუგუნე ხალხის თანხლებით, და გადატრიალება, ახალი რევოლუცია და საქართველოში ახალი ეპოქის დაწყება ამცნო ქვეყანას. პარლამენტის შენობა ვიცანი, ჩემი ყოფილი სკოლა დავინახე, რუსთაველის გამზირი. მაგრამ ისეთი უცხო მეჩვენა ეს ყველაფერი, ჩემგან იმდენად დაშორებული, რომ გამიჭირდა საკუთარ თავთან მათი დაკავშირება. სევერინი კი ამ დროს ლამის გაშმაგებული ოვაციით შეხვდა ახალ, ახალგაზრდა რევოლუციონერს და, სავარაუდოდ, მომავალ პრეზიდენტს. როგორც მთელი დასავლეთი, ისიც ხარობდა ქართველ ხალხთან ერთად, რომელსაც უკეთესი ცხოვრების, კორუფციის აღმოფხვრის, დასავლეთისკენ გზის გახსნის, დემოკრატიის შესაძლებლობის იმედი მიეცა.

ინტერესით შემომხედა, ჩემი სიხარულიც უნდოდა დაენახა, მაგრამ მე თვალი ავარიდე და ჩავიბურტყუნე, 1989 წლიდან ეს უკვე მესამე ქართველი მესიაა და აქამდე ვერც ერთმა ვერ შეძლო თავისი მისიის შესრულება-მეთქი. – პირადად მე ახალი მხსნელი არ მაინტერესებს, – დავამატე.

– ჯობია კიდევ თითო ლუდი შეუკვეთო. მაქსიმუმ ოთხ წელიწადში გავიგებთ, ვინ იყო ჩვენ შორის მართალი, – ესლა დავამატე.

გერიტიც მოხიბლული იყო მშვიდობიანი რევოლუციის კადრებით, სიმბოლური ვარდებით და ფატალისტი მიწოდა:

– ჩვენთან არავინ გამოდის და არაფერზე არ ჩივის. აქ არავის უნდა ტრაკის აწევა. აქ ხომ ყველა კარგად არის? თქვენთან ჯერ კიდევ

არსებობს რაღაცის იმედი, უნდა გიხაროდეს, რომ ადამიანებისთვის სულერთი არ არის მათი ქვეყანა და მათი მომავალი! აწუხებთ მაინც!

უცნაური მონატრება ჰქონდა თვალელებში, როცა ეკრანს უყურებდა. და კიდევ ერთხელ გავოცდი, ასე რატომ შეჰნატროდა დასავლეთი ქაოსს.

* * *

ხელგაშვერილი, შარფმოგდებული,
ვეძახი სარკმლიდან:
ეი, თქვენ, ბავშვებო, მითხარით ერთი
რომელი ათასწლეულია ახლა?
პასტერნაკი

2006

როცა ამან ბარონი, რომელსაც უბრალოდ „ბარონის“ სახელით იცნობდნენ, სიყვარულს მეფიცებოდა და მიხსნიდა, თუ როგორი გულგანგმირული იყო ამ გაუსაძლისი, უძლიერესი და უმსუბუქესი გრძნობით, როგორ გუგუნებდა და როგორ დუმიდა მისი სიყვარული ჩემდამი, ცოტა სნეული, უსუსური, ილუზიებს მოკლებული და გაქვავებული სიყვარული, – ამ დროს ჩემი თორმეტი წლის დისშვილი ბრილკა ამსტერდამის რომელიღაც სასტუმროდან გამოვიდა და სადგურისკენ წავიდა. თითქმის უფულოდ, ზურგზე ჩანთამოგდებული, თევზის სენდვიჩით ხელში. ვენაში აპირებდა გამგზავრებას და რეგიონულ მატარებელზე შაბათ-კვირის იაფფასიანი ბილეთი იყიდა.

სასტუმროს მისაღებში ხელნაწერი ბარათი დატოვა – ცეკვის ანსამბლთან ერთად სამშობლოში დაბრუნებას არ ვაპირებ და ტყუილად ნუ დამიწყებთ ძებნასო.

ზუსტად ამ დროს მოუვიკდე სიგარეტს და ხველა ამიტყდა – ნაწილობრივ იმის გამო, რისი მოსმენაც მომიხდა და კიდევ იმიტომ, რომ კვამლი გადამცდა. ამანმა, რომელსაც მე თვითონ არასდროს ვეძახდი „ბარონს“, მაშინვე ზურგზე მაგრად დამარტყა ხელი, ისე, რომ სუნთქვა შემეკრა და დაბნეული მომაჩერდა. მასზე ბევრად უფროსად ვგრძნობდი თავს, არადა სულ ოთხი წლით იყო ჩემზე უმცროსი. გარდა ამისა, ლამის ტრაგიკულ ფიგურად ჩამოვყალიბდი. თუმცა ამას დიდად ვერავინ მამჩნევდა, რადგან ამასობაში თვალში ნაცრის შეყრის დიდოსტატადაც ვიქეცი.

სახეზე ეწერა, რომ სასოწარკვეთილი იყო – თავის აღსარებაზე ჩემს ასეთ რეაქციას არ ელოდა. მით უფრო, მას მერე, რაც შემომთავაზა – ორ კვირაში ტურნეს ვინყებ და ჩემთან ერთად წამოდიო.

წამოწვიმა, ივნისი იყო, თბილი საღამო, მსუბუქი ღრუბლები პატარა ბამბის ქულებივით ამკობდნენ ცას.

როცა ბრილკამ თავისი ოდისეის პირველ მატარებელში შედგა ფეხი, მე შეტევამ გადამიარა, აივნის კარი გავაღე და დივანზე დავეგდე. კინალამ დავიხრჩვე.

უცხო ქვეყანაში ვცხოვრობდი. იმ ადამიანთა უმრავლესობასთან, რომლებიც ოდესღაც მიყვარდა და მეძვირფასებოდა, კონტაქტი განწყვეტილი მქონდა, მიწვეული პროფესორის ადგილი კი, რომელიც არსებობის საშუალებას მაძლევდა, სრულიად უცხო იყო ჩემთვის.

იმ საღამოს, როცა ამანმა მითხრა, მინდა შენთან ვიყო და ნორმალური გავხდეთ, ჩემი გარდაცვლილი დის ერთადერთი ქალიშვილი ბრილკა ვენაში გაემგზავრა, თავის არჩეულ სამშობლოში, თავის პირად უტოპიაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადგილი უკავშირდებოდა ქალს, რომელიც ცოცხალი აღარ იყო.

ის, კარგა ხნის წინათ გარდაცვლილი ქალი, ბაბუაჩემის და, ბრილკასთვის კი - დედის მამიდა, მის წარმოსახვაში გმირად ქცულიყო და ვენაში მის სიმღერებზე საავტორო უფლებების მოსაპოვებლად მიდიოდა.

მასში დაბუდებული სიცარიელისგან თავის დახსნისა და პასუხების პოვნის იმედით აედევნა იმ ლანდის კვალს. მაგრამ მაშინ ჯერ წარმოდგენაც არ მქონდა ამ ყველაფერზე.

როცა დივანზე დავჯექი და სახე ხელებში ჩავრგე, როცა თვალები მოვიფშვინიე და ცოტა ხნით ავირიდე ამანის მზერა, უკვე ვიცოდი, კიდევ მომიწევდა ტირილი. ოღონდ ჯერ არა, არა იმ დროს, როცა ბრილკა მატარებლით მიქროდა, ფანჯრიდან ძველ და ახალ ევროპას შესცქეროდა და გულგრილობის კონტინენტზე ჩამოსვლის დღიდან პირველად იღიმებოდა. არ ვიცი, რა დაინახა ისეთი, რამაც ღიმილი მოჰგვარა, როცა პანაწინა ხიდებიან ქალაქს ტოვებდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, იღიმებოდა.

სწორედ ამ დროს გავიფიქრე, ტირილი არ ამცდება-მეთქი. თავი რომ შემეკავებინა, შევბრუნდი, საძინებელში გავედი და მივწექი. ამანმაც არ დააყოვნა. რა იოლია დარდისგან განკურნება, როცა წამლად სხეულს ირჩევ, მით უფრო, თუ სწეულება ოცდაშვიდი წლის კაცს შეჰყრია.

კოცნამ მძინარე მზეთუნახავივით გამომალღვიძა.

მერე ამანმა მუცელზე დამადო თავი, ჩემმა თორმეტი წლის დისშვილმა კი ნიდერლანდები დატოვა და გერმანიის საზღვარი გადაკვეთა ლუდისა და სიმარტოვის სუნით გაჟღენთილი ვაგონით. ასობით კილომეტრით დაშორებული დეიდამისი ამ დროს არაფრის აზრზე არ იყო და სიყვარულობანას ეთამაშებოდა ოცდაშვიდი წლის აჩრდილს. იმედით სავსე ბრილკა გერმანიის გავლით მიიწევდა წინ.

ამანს ჩაეძინა, მე კი ავდექი, სააბაზანოში გავედი, აბაზანის კიდეზე ჩამოვჯექი და ავტირდი. წლების განმავლობაში ნაგროვები ცრემლით დავიტირე გაყალბებული სიყვარული და მონატრება იმ სიტყვების რწმენისა, ჩემს ცხოვრებას რომ განსაზღვრავდა ოდესღაც. მერე სამზარეულოში მოვუკიდე ახალ ღერს და ფანჯარაში გავიხედე. აღარ წვიმდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვიგრძენი, რომ რაღაც მოხდა, რაღაც დაიძრა ამ მაღალჭერიანი, მივიწყებული წიგნებით სავსე ბინის მიღმა, სადაც გულმოდგინედ დავახვავე ლამპები, ბეცა რომ ჩამენაცვლებინა, ნამდვილი სინათლის ილუზია შემექმნა. ჩემი პირადი გვირაბის განათება. თუმცა გვირაბი გვირაბად დარჩა. ის განათება კი ხანმოკლე, დროებითი ნუგეში იყო მხოლოდ.

ალბათ უნდა ითქვას, რომ ბრილკა ტანმაღალი გოგო იყო, ჩემზე თითქმის ორი თავით მაღალი, რაც, ჩემი შესახედაობიდან გამომდინარე, არც ისე ძნელი წარმოსადგენია. თმა მოკლედ, ბიჭურად ჰქონდა აჩეხილი, ლენონისებრი სათვალე ეკეთა და ძველი ჯინსი ეცვა. ლამაზად მომრგვალებული კაკაოსფერი თვალებით მუდამ ვარსკვლავებს დაეძებდა, მისი გასაოცრად მაღალი შუბლი უამრავ დარდს მალავდა. იმ დროს ამსტერდამში გასტროლზე ჩასულ თავის ანსამბლს გამოეპარა, სადაც ვაჟის პარტიებს ცეკვავდა. ჩვენი სამშობლოს ფოლკლორული ცეკვების ქალის ნარნარი პარტიებისთვის ცოტა უხეში იყო, პირქუში. დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ ნება დართეს, კაცის ტანსაცმელში გადაცმული გასულიყო სცენაზე და ველური ილეთები შეესრულებინა; ამ უფლებას შეეწირა შარშან მისი ნაწნავი. ახლა შეეძლო მუხლებზე ხტუნვა და ხანჯლების ქნევა, რაც ყოველთვის უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ქალების სიზმრისეული ლივლივი. ბრილკა ცეკვავდა და ცეკვავდა თავდავიწყებით, კარგად გამოსდიოდა და ადრე რომ აშაყირებდნენ, იმ ბიჭებსაც სჯობნიდა, ამიტომ ჰოლანდიელი მაყურებლის წინაშე სოლო პარტიით გამოსვლაც ანდეს. მან კი ამ დროს ანსამბლი მიატოვა და გზას გაუდგა პასუხების საძიებლად, იმ პასუხების, რომლებსაც ცეკვაშიც ვერ პოულობდა.

მეორე საღამოს დედაჩემმა დამირეკა, რომელიც სულ მემუქრებოდა, რომ მოკვდებოდა, თუ დროზე არ დავბრუნდებოდი სამშობლოში, საიდანაც დიდი ხნის წინათ გამოვიქეცი.

აკანკალებული ხმით შემატყობინა, „ბავშვი“ დაიკარგაო. უცებ ვერც მიხვდდი, რომელ ბავშვს გულისხმობდა და მე რა შუაში ვიყავი.

- თავიდან მომიყვვი, ზუსტად სად იმყოფებოდა?

- ამსტერდამში, რა დაგემართა? არ მისმენ? გუშინ გაპარულა და წერილი დაუტოვებია. ჯგუფის ხელმძღვანელმა დამირეკა. ყველაფერი გადაატრიალეს და...

- მოიცა, როგორ უნდა გამქრალიყო თერთმეტი წლის გოგო სასტუმროდან, მით უმეტეს, თუ...

- თორმეტი წლისაა უკვე! ნოემბერში გახდა თორმეტის. დაგავინცდა, რა თქმა უნდა. აბა, რა?!

სიგარეტი მაგრად მოვქაჩე და მოსალოდნელი უბედურებისთვის მოვემზადე. დედაჩემს ისეთი ხმა ჰქონდა, მივხვდი, რომ ვერ მოვახერხებდი სწრაფად თავის დაძვრენას და გაუჩინარებას, რასაც ბოლო წლებში უდიდესი სიამოვნებით ვაკეთებდი. თავი უნდა დამეცვა გარდაუვალი საყვედურებისგან, რომლებიც ემსახურებოდა მიზანს, რომ ჩემთვის ნათელი გამხდარიყო, როგორი ცუდი შვილი ვიყავი და როგორი შეუძღვარი ადამიანი. ეს ყველაფერი უიმისოდაც ძალიან კარგად ვიცოდი.

- შენთან წაიყვან და მერე თვითმფრინავშიც ჩასვამ, – მითხრა დედამ. იმავე ღამეს იზოვეს ავსტრიის პატარა ქალაქში, ვენასთან ახლოს. მატარებელს ელოდებოდა გადასაჯდომად, როცა ავსტრიელმა პოლიციელებმა დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს.

ამანი თვალეზღაფრით მიყურებდა, დაფეთებული რომ ვიცვამდი და ვერაფერი გაეგო. შეიძლება არც არასდროს ესმოდა.

- რომელი დისშვილი, და სადაა ეს მედლინგი?

- ექვსსაათიანი რეისით გავფრინდები. მერე აქ ჩამოვიყვან. ვენიდან 16:00 საათზე გამოვფრინდები და საღამოს უკვე აქ ვიქნები. ზეგ თბილისის თვითმფრინავში ჩავსვამ და მერე წყნარად დავილაპარაკოთ, კარგი?

- მე შემიძლია წამოგყვე, ხომ შეიძლება...

- არა. მე თვითონ უნდა გავერკვე, არ გენყინოს, დიდი არაფერი მომხდარა. უბრალოდ გარდატეხის ასაკშია და ცოტა ხნით დაითესა. ამრზე უნდა მოვიყვანო.

შუადღეზე უკვე ავსტრიის პროვინციული ქალაქის პატარა სადგურში ვიყავი. ბრილვა პოლიციელთან და რკინიგზის წარმომადგენელთან ერთად იჭდა ცარიელ დარბაზში. რაღაც საბუთს მოვანერე ხელი, დიდი ბოდიში მოვიხადე ამ ვითარების გამო და ჩემი დისშვილი გადმოვიბარე.

მისი ბოლო ფოტოები ნანახი არ მქონდა და გამიკვირდა, ისეთი გაზრდილი რომ დამხვდა. არც ერთ ჩვენგანს არ ჰგავდა. თმა მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, ლენონისნაირი სათვალე ეკეთა, უჭრედებიანი პერანგი ეცვა, რომელიც აშკარად დიდი ჰქონდა, და დახეული ჯინსი. ერთადერთი, რაც დანახვისთანავე მეცნო, იყო მისი შავ-შავი თვალები, დაბადებიდან გამოყოლილი. გრძელი, ხშირი წამწამები, ძალიან ბაცი კანი, რამაც დარია მომაგონა, და ვარდისფერი ლოყები. ისეთი დაძაბული და სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცხოვრებაში არ გაუცინიაო. მხოლოდ ჩამოშვებული მხრები, უხერხული მოძრაობა და მოუსვენრობა ამუღავნებდა მის ასაკს.

- და ახლა რა უნდა ვქნათ? – მკითხა, როცა სადგურის შენობიდან გამოვედით და მე სიგარეტს მოვუკიდე.

- რა უნდა ვქნათ? დროზე თუ არ ჩაგვხვამ თვითმფრინავში და შინ არ გაგამგზავრებ, ბებიაშენი მომკლავს.

- მე თვითმფრინავში ვერ ჩავჯდები. ფრენის შიში მაქვს.

- აბა, ამსტერდამში როგორ ჩახვედი? ცხენით? - კაი სანახავი იქნებოდა!

- მარტო იმ შემთხვევაში შემიძლია ფრენა, თუ სამი ადამიანი მაინც მახლავს ნაცნობი.

- რაებს ლაპარაკობ?

- ასეა. ამ წესს თუ დავარღვევ, თვითმფრინავი ჩამოვარდება, - ისე თქვა, თითქოს ეს უდავო ფაქტი იყო.

- შენ, რა, მასულელებ? თუ ასეა, მისამართი შეგეშალა.

- იმას ვამბობ, რაც არის. მე ყოველთვის ვიცავ წესებს.

- კარგი, მაგრამ შენი წესები ჩემზე არ ვრცელდება, და რაკი უახლოეს მომავალში შენზე პასუხისმგებელი მე უნდა ვიყო, წესებსაც მე დავანწესებ.

- არ მინდა დაბრუნება, - თქვა უცებ ჩუმად და თვალი ამარიდა.

გაოცებულმა შევხედე. ლაპარაკის ძალიან გამორჩეული მანერა ჰქონდა, ცოტა არ იყოს, წყობიდან გამოვყავდი. უკვე ყელში მყავდა ამოსული და ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა გამეტარებინა მასთან მომდევნო საათები.

- ჯერ ბერლინში ჩავფრინდეთ და მერე...

- ხომ ვთქვი, არ დავფრინავ-მეთქი. თუ სამი ადამიანი მაინც არ მახლავს, ვინც მიცნობს.

- მე კი გითხარი, ამაზე კამათს არ ვაპირებ-მეთქი.

- უფრო უარესი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე, - მომახალა და თვალი თვალში გამიყარა. ბინძური კედის წვერით უხილავ წრეებს ხაზავდა ქვის ფილებზე.

- შენ კი უზრდელი, გათამამებული პატარა გოგო ხარ, რომელიც საშინლად მიშლის ნერვებს.

მხრები აიჩეჩა და ბურგი მაქცია.

- მშია, - გამოაცხადა და თავის ბურგჩანთაში დაიწყო ქექვა.

- ყველაფერს მიიღებ, რაც გინდა, თუ ჩემთან ერთად თვითმფრინავში...

- არა.

- კი მაგრამ, მატარებლით ვერ წაგიყვან ბერლინში, დიდ დროს წავგართმევს, მე კი... საქმეები მაქვს.

- შენ გაფრინდი, მე მატარებლით გამოგყვები. აქამდე თუ მოვახერხებ მარტო ჩამოსვლა, დაბრუნებასაც მოვახერხებ. მარტო!

გადავწყვიტე, ტაქტიკა შემეცვალა და უფრო გულისხმიერად მემოქმედა. ვცადე, დამერწმუნებინა ფრენის უპირატესობებში, დავპირდი, რომ ორი ან სამი დღით ბერლინში დავტოვებდი, ქალაქს დავათვალიერებინებდი. მაგრამ ბრილვა გაჯიუტდა, ბურგი მაქცია და

თვითმფრინავზე ლაპარაკიც არ ისურვა. ალბათ, ელენესთან უნდა დამერეკა და მეკითხა, როგორი მოქცევა იყო მასთან საჭირო. ძალით ხომ ვერ შევათრევდი თვითმფრინავში, თითქმის ერთი თავით იყო ჩემზე მაღალი.

ცოტა ხნით მართო დავტოვე, გავეცალე და მობილური მოვჭექე, რომელსაც თითქმის არ ვიყენებდი და რომლის ელემენტის პერმანენტულად ციმციმებდა, რადგან მისი დატენვა არასდროს მახსენდებოდა. დედაჩემს დავურეკე.

– რა სჭირს ამ ბავშვს? – შევჩივე, – აფრენს. თვითმფრინავში ჩაჯდომაზე უარს ამბობს. მე მაგისი კაპრიზების დრო არ მაქვს. ახლა დაგალაპარაკებ და შენ გააგებინე, რომ თვითმფრინავში უნდა ამომიყვებს და ბერლინში...

– ღმერთო, რა ბედნიერებაა, რომ იპოვე, – ამოისუნთქა ელენემ, – ჰო, ძალიან თავისებური ბავშვია, ნიცა. საკუთარი მეთოდები აქვს და...

– რა მეთოდები, რის მეთოდები? არ მცალია არავითარი მეთოდებისთვის. სამუშაო მაქვს. ბერლინში უნდა დავბრუნდე, და თუ ახლავე არ დამემორჩილება, გავკოჭავ და...

– კარგი, ნიცა, საკუთარი თავი მაინც გაიხსენე, არ გახსოვს, როგორი იყავი ამ ასაკში? ჭკუიდან გადაგყავდი. ამ მხრივ ძალიან გგავს შენ.

– მე სულ არ მგავს. განებივრებულია! – შევუღრინე ელენეს, მაგრამ სანამ ის რამეს მიპასუხებდა, მობილურმა დაიწროპინა და სული განუტევა. შევიკურთხე და ბრილკასთან დავბრუნდი.

მისი გაცურება გადავწყვიტე. მატარებელში ასვლაზე ხომ არ ამბობდა უარს.

ვენაში გავემგზავრეთ.

მატარებელში ფრჩხილებს იკვნეტდა გაუთავებლად, ცმუკავდა თავის სკამზე, გასასვლელში დაბორიალობდა, მერე ისევ ჯდებოდა, ბურგჩანთიდან დიდი წიგნაკი და ძველი ვოლკმენი ამოიღო, ყურსასმენები ჩამოიცვა და რალაცის წერა დაიწყო. მე არც კი მიცდია საუბრის წამოწყება. ამის ნაცვლად გონება დავძაბე და ვცადე მომეფიქრებინა, რა ხერხით შემეტყუებინა თვითმფრინავში. ვენაში ჩასვლისთანავე სადგურის მახლობლად პირველივე რესტორანში შევიყვანე საჭმელად. იქ მორიგი სიურპრიზი მელოდა. წუწიაობა დაიწყო და ამიხსნა, საჭმელს მხოლოდ ფერების მიხედვით ვჭამ და ზოგ ფერს საკვებად არ ვიყენებო. ტუჩი მოვიკვნიტე, რომ სახეში არ მიმეხალა მისთვის, მოკეტე, ბოლოს და ბოლოს, და ჭამე, რასაც მოგიტანენ-მეთქი.

მერე, როცა ტაქსით ვატარე ცოტა, ვითომდა ქალაქის სანახავად, უცებ მიმიხვდა, რომ აეროპორტისკენ მივდიოდით, ისე გვეჩხუბა მე და ტაქსის მძღოლს, რომ იმან მანქანა გააჩერა. ბრილკა გადახტა და დიდი, გამშაგებული ნაბიჯებით გავარდა, თავისი უზარმაზარი ბურგჩანთის სიმძიმით წინ გადახრილი. იძულებული გავხდი, ტაქსის ფული

გადამეხადა და გავეკიდებოდი, რომ არ დაკარგულიყო, დამემშომინებინა და დამეფიცა, რომ მატარებლით გავემგზავრებოდი.

ვინიდან ბერლინში მიმავალი ღამის მატარებელი მხოლოდ 22:00 საათზე გადიოდა, ასე რომ, კიდევ ორი საათი უნდა მომეკლა მასთან დრო.

სადგურის კაფეში დავსხედით. სამი „ფანტა“ დალია ზედიზედ.

– ეს ხომ დებილური სასმელია, არ გინდა, რამე ნორმალური წვენი დალიო?

ჩემი შეთავაზების საპასუხოდ შემომიბღვირა. ამის შემდეგ გადავწყვიტე, საკუთარ ნერვებს გავფრთხილებოდი, თავი დამენებებინა მისთვის, და თბილისში რომ გავუშვებდი, მერე გამომელანძღა დედაჩემი, ასეთი ტუტუცი რომ გაზარდა.

რამდენიმე გაზეთი ვიყიდე და კითხვას შევყევი. თავი რომ ავწიე, მაგიდასთან აღარ იჯდა. პანიკაში ჩავვარდი. ღამის მატარებელი ნახევარ საათში უნდა გასულიყო. იმ აუარება ხალხში მისი ანონილი ფიგურის ძებნა დავიწყე, მისი მრგვალი სათვალის, მისი ჩამოშვებული მხრების. ვეძახდი და თავ-ბედს ვინყევლიდი.

ბოლოს ქალების ტუალეტში აღმოვაჩინე. წყობიდან გამოვედი, ვუღრიალე, ხომ არ გაგიჟდი, რაებს აკეთებ, ჩემთან ეგ შენი თამაშები არ გაგივა-მეთქი. გულგრილად შემომხედა და ხელის დაბანას შეუდგა, ფეხებზე დაიკიდა ჩემი გაბრაზება. გვერდით დავუდექი და სარკეში მივაჩერდი.

– რა გჭირს, ბოლოს და ბოლოს? ასე აუტანლად რატომ იქცევი? საერთოდ რა გინდოდა აქ? რას ეძებ ამ ვენაში? რა აქციებს ატარებ და რატომ მიშლი ნერვებს?

წამით შემომხედა სარკეში, სრულიად მშვიდად დაიბანა ხელები და ჩავლისას მითხრა:

– შენ მართლა პრობლემა გაქვს, ხო იცი?!

ღამის მატარებელში ზედა თაროზე შეიყუჟა თავისი ვოლკმენით. ჩამეცინა, იმიტომ რომ, ალბათ, უხსოვარი დროიდან აღარავინ მინახავს ვოლკმენით. ყოველ ორ საათში ერთხელ მეღვიძებოდა და ვამონმბედი, თავის ადგილზე იწვა თუ არა.

ბერლინში რომ ჩავდივით, ტაქსი გავაჩერეთ და ჩემთან წავედით. სადარბაზოში ორ-ორ კიბეზე აირბინა, ეტყობა, ამითაც რაღაც ირაციონალურ წესს იცავდა. ენას კბილი დავაჭირე, არ ვკითხე, რატომ აკეთებდა ამას. მგზავრობამ დამღალა და ახალი სიურპრიზების თავი აღარ მქონდა. კიდევ კარგი, რომ ამანი არ შეგვეფეთა. მორიგ ახსნა-განმარტებებს გადავურჩი. მაცივრიდან ყველაფერი გამოვიღე, რაც მქონდა და საუბრე მოვეუშადა. ისევ დაინყო საჭმლის დახარისხება. ახლა უფრო კარგად დავაკვირდი: როგორც აღმოჩნდა, ყვითელი პროდუქტები უყვარდა. „ფანტა“. კვერცხის გული. ფორთოხალი. მუქ მწვანეს სრულიად

უარყოფდა. თეთრი მისაღებად მიაჩნდა. წითელს არ ეკარებოდა, ასე რომ, შეფუთული ძეხვი მაგიდის კიდეში მისწია.

უყურებდი, როგორ ჭამდა და დაძაბული ვიხსენებდი ყველაფერს, რასაც დედაჩემი მიყვებოდა მასზე. ცეკვა სიცოცხლეს ერჩივნა. ვერ იტანდა, ანასტასიას რომ ეძახდნენ. სკოლაში არცთუ კარგად სწავლობდა. მაგრამ ბევრს კითხულობდა. ცხოველები უყვარდა. ალერგია ჰქონდა, ოღონდ ვერ გავიხსენე, რაზე. მულტფილმებს უყურებდა. ცხენებზე გიჟდებოდა. „დედამისივით!“ თავის თანატოლ გოგოებს ვერ ეწყობოდა. ჭექა-ქუხილის და ელვის ემინოდა. მეტი არაფერი ვიცოდი მის შესახებ, უნდა მეღიარებინა, რომ სულ არ ვიცნობდი. რომ ამ ფაქტებს ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებდი. რომ წარმოდგენა არ მქონდა, რაზე ფიქრობდა და რას გრძნობდა. უცხოები ვიყავით ერთმანეთისთვის და ისიც სულ ხაზს უსვამდა ამას, ჩემთვის ნათქვამი ყოველი სიტყვით, ყოველი გამოხედვით და ყოველი ჟესტით.

მაგრამ მის ათასგვარ ნევროზსა და ფობიაზე რატომ არაფერი მიაძმო ელენემ? ნერვები ზამბარებივით მქონდა დაჭიმული!

- ახლა რა ვქნათ? – ვკითხე ბრილკას, როცა მოახერხა და ნახევარი საათი ისე მეჭდა წინ, ისე ღეჭავდა და ახარისხებდა საჭმელს, რომ მორიგი სიურპრიზით არ გავუმწარებოვარ. ისევ მხრები აიჩეჩა თავისებურად გულგრილად და ისევ მომინდა მისი შენჯანჯღარება. ვცდილობდი, დედაჩემის რჩევა გამეთვალისწინებინა და საკუთარი თავი ან დარია გამეხსენებინა ამ ასაკში, მაგრამ მსგავსი არაფერი მომაგონდა. ასეთი არაფერი მინახავს!

- შენი მხრების აჩეჩვით შორს ვერ წავალთ. უნდა შევთანხმდეთ, თანაც ბებიამენი და ბაბუამენი გელოდებიან და ღელავენ.

- რატომ? შენ ხომ მათი შვილი ხარ. ხომ იციან, რომ საიმედო ხელში ვარ.

კიტრი გაჭრა და გულდასმით გათალა.

- რატომ აკეთებ ამას?

- რას?

- საჭმელს რას უშვრები?

- როგორც კი მწვანეს და წითელს შევურევ ერთმანეთს, მოვკვდები, – თქვა მშვიდად.

- საიდან მოიტანე?

- და შენ საიდან მოიტანე, რომ საერთოდ არ უნდა ჩამოხვიდე ჩვენ სანახავად?

ამ შეკითხვამ გამოაოგნა. არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

მისაღებ ოთახში გავედი და დივანი გავშალე. სუფთა პირსახოცი დავუდე სააბაზანოში და ახალი კბილის ჯაგრისი. აივნის კარი გავაღე და პატარა მაგიდასთან დავჯექი სიგარეტით ხელში. სასწრაფოდ უნდა მომეძებნა რამე გამოსავალი. ეშმაკობითა და ტყუილი დაპირებებით

ვერაფერს გავხდებოდი. მაშინვე უარს იტყოდა აეროპორტში წამოსვლაზე. ჩემი საქართველოში გაფრენა გამორიცხული იყო, საერთოდ თუ ამომყვებოდა თვითმფრინავში. ჯერ ერთი, ბერლინში სემესტრი არ იყო დასრულებული, და მეორეც, კიდევ რაღაცები მქონდა გასაკეთებელი აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტისთვის და მესამე, და მეოთხე, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. სიამოვნებით გადავიფარებდი თავზე საბანს და დაველოდებოდი, სანამ ყველაფერი თავისით მოგვარდებოდა.

უცბად ფეხშიშველი გამომეცხადა აივანზე და დაინუნუნა, ბინაში ტელევიზორიც კი არ გაქვსო.

- ტელევიზორთან დროის დაკარგვას სჯობს, სხვა რამე აკეთო, - ვუპასუხე ნერვებმოშლილმა.

- მაინც რა?

- გაისეირნე. წაიკითხე. იფიქრე - ან გადანყვიტე, როგორ აპირებ შინ დაბრუნებას.

- ხომ გითხარი, რომ არ მინდა სახლში. ყოველ შემთხვევაში, ჯერ.

- კარგი, აბა, რა გინდა?

- ვენაში უნდა წავიდე.

- ვენაში. გასაგებია. და რა უნდა ქალბატონს ვენაში?

- ვიღაცას უნდა შევხვდე.

- არ გადამრიო, ვის უნდა შევხვდე ვენაში?

- ერთ ქალს. შენ არ იცნობ.

- მომისმინე, ბრილვა... ისე, საიდან მოიტანე ეს უცნაური სახელი, ბრილვა? რატომ დაირქვი? შენი ნამდვილი სახელი ბევრად უფრო ლამაზია.

- რასაც მინდა, იმას დავირქმევ. შენ ეს ყველაზე ნაკლებად გეხება.

სამწუხაროდ, ამაში მართალი იყო. თორმეტი წელი არ დავინტერესებულვარ მისით და ახლა რა უფლება მქონდა.

- მომისმინე, ბრილვა. მე აქ ჩემი ცხოვრება მაქვს, მოვალეობები მაქვს. ბებიაშენმა მითითება მომცა, რაც შეიძლება სწრაფად დაგაბრუნო საქართველოში. როგორც, ალბათ, შეამჩნიე, მთელი ეს ამბავი ცოტა მოულოდნელი იყო ჩემთვის, და, სხვათა შორის, არც დიდად მეხატება გულზე. ასე უბრალოდ ვერ მივავდებ აქ ყველაფერს და თვითმფრინავში ვერ ამოგყვები. შენ ვენაში ვერ წახვალ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ, და ვერც მე მოგხედავ. ასე რომ, სხვა ვარიანტი უნდა აირჩიო.

- შენ რომ ამოხვიდე ჩემთან ერთად თვითმფრინავში, მაინც არ იქნება საკმარისი. სამი ადამიანი მაინც უნდა იყოს ჩემი ნაცნობი. ხომ აგისხენი.

- მორჩი ახლა ამ სისულელეების ბოღვას.

- ეს არ არის ბოღვა!

ხმას აუწია უცებ, მერე ზურგი მომაქცია და ოთახში შევარდა. აივნიდან რომ შევბრუნდი, ბინაში აღარ დამხვდა. მისი ნივთები იქ იყო, თვითონ კი

გაქრა. დაბლა ჩავედი, ვეძებე ქუჩაში, გვერდითა ქუჩები შემოვირბინე, ნოლენდორფულატცზე გავედი, სადგურთან ვეძებე.

ნერვებმა მიმტყუნა. დავბრუნდი და ისევ დავურეკე დედაჩემს. შევივლოე, ვუსაყვედურე, ცუდად ზრდით-მეთქი, და მოვთხოვე, დალაპარაკებოდა და ეიძულებინა, რომ აეროპორტში წამომყოლოდა.

- გიჟივით იქცევა. არ ვიცი, რა ვუყო.

- მაშინ ცოტა თავს ძალა დაატანე, ნიცა. სამწუხაროდ, ინსტრუქციას ვერ მოგცემ.

- კი მაგრამ, დედა, რატომ მიკეთებ ამას. დაელაპარაკე. ქენი რამე! შენი გაზრდილია, შენ უნდა იცოდე, როგორ მიუდგე.

- იქნებ ამსტერდამში დაბრუნებაზე დაიყოლიო. იქნებ დაგიჭეროს და მაშინ ანსამბლთან ერთად გამოემგზავრება.

- არ მესმის, რატომ აძლევ ამდენის უფლებას. ჩვენთან წამდვილად უფრო მკაცრი იყავი!

- თქვენ დედა მაინც გყავდათ.

შევკრთი ამ სიტყვებისგან. გადავწყვიტე, პასუხი არ გამეცა. მის იდეას ჩავვჭიდე ამსტერდამის თაობაზე, იქნებ ეს ყოფილიყო გამოსავალი. ოღონდ უკვე ბნელდებოდა, მე კი ჯერაც არ ვიცოდი, სად ჯანდაბაში იყო ბრილკა. ისევ გარეთ გასვლა დავაპირე, მაგრამ როცა ფეხზე ვიცვამდი, სადარბაზოს კარზე ზარი გაისმა, ვითომც არაფერი, ისე ამოვიდა კიბეზე, ჩამიარა და ბინაში შეაჭრა. უკვე სამზარეულოდან გამომძახა, მშიაო.

მინდოდა, პროტესტი გამომეცხადებინა, აზრზე მომეყვანა, მაგრამ მივხვდი, რომ ამის ენერგია აღარ მქონდა და სამზარეულოში შევედი. მაცივარი ცარიელი იყო, ამიტომ შევთავაზე, საყიდლებზე წავიდეთ-მეთქი. უეცრად ამ სრულიად ბანალურმა იდეამ ალტაცებაში მოიყვანა, გამიღიმა კიდევ.

- შეიძლება, მე ავირჩიო, რას ვიყიდით? – იკითხა ისეთმა აღფრთოვანებულმა, თითქოს საკვებზე კი არ იყო საუბარი, არამედ საშობაო საჩუქრებზე.

დავხებდი.

ერთი წლით ადრე 1969 წლის ფირუზისფერი სიტროენი ვიყიდე, mi 8, არაჩვეულებრივი ტყავით გაფორმებული და ორმაგი კარბიურატორით, ჩემი სიამაყე იყო ეს მანქანა და წელს რისკზეც კი წავედი და პოკერის ანონიმურ ტურნირში მივიღე მონაწილეობა, რომ კაპიტალური რემონტის ხარჯებს გავწვდომოდი, რაც არცთუ იაფი დამიჯდა. ბრილკა მანქანასთან მივიყვანე. მანქანით თუ გავისეირნებდით, უკეთ მოვკლავდით დროს, და თანაც მანქანიდან დასხლტომა გაუჭირდებოდა.

შევატყვე, რომ მოეწონა მანქანა. ყველაფერი მოსინჯა ხელით, საჭეც კი. ყველაზე მეტად ძველმა ფირსაკრავმა გაახარა. ჩემთვის არც უკითხავს, მინდოდა მისი მუსიკის მოსმენა თუ არა, ვოლკმენიდან ვასეტა ამოიღო და ჩართო. რადიოდან ცუდი ხარისხით ჩანერილი სიმღერები

იყო, ხან წყდებოდა და ხან დაცურავდა. მაგრამ თავისი ასაკისთვის საკმაოდ დახვეწილი, კარგი მუსიკალური გემოვნება ჰქონდა. როცა სუპერმარკეტის სადგომზე დავაპირე შესვლა, საცოდავად ჩაიბუტუტა, რა დასანანია, რომ უკვე მოვედითო.

- გეტყობა, გიყვარს მანქანით სეირნობა, არა?

- ჰო.

ეს მაინც გვქონდა საერთო.

- გინდა, კიდევ ვიართო?

- კი.

მე ისევ გაბს მივაჭირე. ბრილკამ ფანჯარა ჩანია და ხელი მიუშვირა თბილ ქარს. ჩუმად გავხედე. უცებ ისეთი პატარა, გულუბრყვილო გოგოს სახე გაუხდა. მისმა გამომეტყველებამ გული ამიჩუყა და შემრცხვა, რომ მასთან ურთიერთობის დამყარების უნარი არ აღმომაჩნდა.

- მართლა, ძველი ალუბლის ხე კიდევ დგას ბაღში?

არ ვიცი, რამ გამახსენა მაინცდამაინც ის ალუბლის ხე, მაგრამ უეცრად წარმოვიდგინე, როგორ დახტის ბრილკა ჩვენს ბაღში, იმ ხის ირგვლივ, სადაც სტასიას აჩრდილები კარტს თამაშობდნენ და მესიამოვნა.

- დგას. მაგრამ აღარ ყვავის. ელენე და ალექო არ ვარგიან მცენარეების მოვლაში. ადრე ხომ სტასია აკეთებდა ამ ყველაფერს.

- გახსოვს სტასია?

- აბა, რა.

- შენ ხომ ძალიან პატარა იყავი მაშინ.

- უფილტრო სიგარეტს ეწეოდა და აჩრდილებს ელაპარაკებოდა. ბოტები ეცვა და კომბინეზონი. ხელები უკანკალებდა და ცნობილი ბალერინა უნდოდა გამოსულიყო ადრე.

ქუჩებს ათვალიერებდა, გამვლელებს, მანქანებს და თავის სიმღერებს სულ ღიღინით ჰყვებოდა, თუ რომელიმე სიმღერა განსაკუთრებით მოსწონდა, კასეტას გადაახვევდა ხოლმე და თავიდან უსმენდა.

- კიდევ რა გახსოვს?

- ყველაფერი, - თქვა ბრილკამ თავდაჯერებულად და მე ვერაფერი ვუპასუხე ისევ. ისე წარმოთქვა, მივხვდი, არ ტყუოდა, თუმცა ზუსტად არ ვიცოდი, რას გულისხმობდა „ყველაფერში“. ისეთი დარწმუნებული ჩანდა, რომ ყურები ვცქვითე.

- რას გულისხმობ, მართლა ყველაფერი გახსოვს?

- ჰო, მაგრამ შენ არ მახსოვხარ, - მითხრა ისევ ცოტა არ იყოს გამომწვევად.

- არც არის გასაკვირი. უკან ხომ არ წავიდეთ? სუპერმარკეტები მალე დაიკეტება.

- არა, ჯობია, ვისეირნოთ.

უმიზნოდ დავდიოდით აქეთ-იქით მანქანით. იმ თბილ ზაფხულის ღამეში. თანდათან მომეხსნა დაძაბულობა. ისეთი გადარეული და დაფეთებული აღარ ვიყავი.

- და შენ? შენ რა გახსოვს?

ბრილკამ ფანჯარაში გაყო თავი და თვალები დახუჭა.

- არ მიყვარს მოგონებები.

- რატომ?

- ალბათ, იმიტომ რომ არ მსიამოვნებს.

- მეც ბევრი რამე არ მსიამოვნებს, მაგრამ მაინც ვაკეთებ.

ისევ გამაშტერა მისმა ასაკისთვის შეუფერებელმა გონიერებამ. წამით ვინატრე, ნეტა თვინიერი პატარა გოგო იყოს-მეთქი, თოჯინები უყვარდეს, ფუშფუშა კაბები ეცვას და პონის პოსტერებს კიდებდეს კედლებზე.

- მაგალითად, რა არ გსიამოვნებს? – დავინტერესდი.

- რა და, შენ რომ ჩამომავითხე, მაგალითად. კი ვიცოდი, რომ ელენე დაგირეკავდა და ჩამოხვიდოდი და წამომიყვანდი. უბრალოდ, მეგონა, მოვახერხებდი, მოვასწრებდი ვენაში ჩასვლას, სანამ მომაგნებდი. არ მსიამოვნებს სკოლაში სიარული, არ მსიამოვნებს ეკლესიაში სიარული ელენესთან ერთად, არ მსიამოვნებს, ყოველ წელს თანაკლასელების დაპატიჟება რომ მიწევს დაბადების დღეზე ელენეს დასამშვიდებლად. არც უაზრო მუსიკის მოსმენა მსიამოვნებს. ჩვენს ანსამბლში ქალის პარტიის ცეკვა არ მსიამოვნებს. არ მსიამოვნებს, როცა კითხვებს ვსვამ და მპასუხობენ: ეს დიდი ხნის წინ მოხდა, რაში გაინტერესებსო.

- მართლა? და რა შეკითხვებზე გპასუხობენ ასე?

- თითქმის ყველაზე.

- მაგალითად?

- მაგალითად, დედაჩემმა თავი მოიკლა თუ უბედური შემთხვევა იყო, სხვენის ტერასიდან რომ გადმოვარდა.

საბედნიეროდ, წითელზე ვიდევით ამ დროს, თორემ პანიკაში მუხრუჭს დავაჭერდი, ალბათ.

- ეს რამ გაფიქრებინა? – ვკითხე ისე, რომ მისკენ არ გამიხედავს, – რატომ უნდა მოეკლა თავი?

- მგონი, სხვენიდან ასე უბრალოდ არ ვარდებიან, არა?

- ელენემ გითხრა? სხვენიდან გადავარდაო, ასე გითხრა?

- არა, სკოლაში მითხრეს. ელენემ თქვა, უბედური შემთხვევა იყო. იცოდი, რომ დედაჩემი ყველაზე ლამაზი მსახიობი იყო მთელ საქართველოში?

სახე გაუნათდა და ხმა დაუთბა, როცა ამას ამბობდა.

- უბედური შემთხვევა იყო. არ უნდოდა თავის მოკვლა.

ვიღაცამ დაგვისიგნალა უკნიდან. შექნიშანზე მწვანე ენთო უკვია.

მოგვიანებით ღონერის საჭმელად შევედი, და მე ერთი ნახევარი საათი მაინც ველოდე, სანამ ბრილკა ჭამას შეუდგებოდა, რადგან ჯერ

ყველაფერი სუფთად დააცალკევა თეფშზე, დაახარისხა და ფერებად დაალაგა. წითელი კომბოსტო და ხორცი ცალკე თეფშზე გადადო და განზე განია.

როცა დივანზე ჩაეძინა, ბოლოს და ბოლოს, შევიპარე და მის ნაზ სახეს დავაკვირდი. ასე მშვიდად და განცხრომით მართო ჩემს დას ეძინა ხოლმე.

* * *

მზე ძაძებით შეიმოსა
გაზაფხული აელვარდა
სიფხიზლე კი სამუდამოდ თვლემად გადავაქციეთ.
პოპლავსკი

ამსტერდამში ველარავის მივანვდინე ხმა, უკვე წასული იყვნენ. როცა მეორე დილას ბრილვა აბაზანაში შევიდა, ჩუმად ჩავხედე მის პასპორტს; მის ტურისტულ ვიზას კიდევ ორი კვირის ვადა ჰქონდა.

საუბრის შემდეგ, რომელსაც საუკუნე მოანდომა, რასაც უკვე შეგუებული ვიყავი, აივანზე მოკალათდა თავისი წიგნაკით და ვოლკმენით და წერას შეუდგა.

ვენდე, მართო დავტოვე და ლექციაზე წავედი. ამანი აღარ ჩანდა და ჯერ ვერ ვხვდებოდი, კარგის ნიშანი იყო ეს თუ ცუდის. ტურნესთვის უნდა მომზადებულიყო, ისეთი მოცლილი ვეღარ იქნებოდა.

როცა მოსალამოვდა, ბრილვა ძალით წავიყვანე სასეირნოდ. ყურსასმენები არც მოუხსნია, ისე დამყვებოდა კუდში მონყენილი. მომდევნო საღამოს კინოში წავიყვანე. ინგლისური საკმაოდ კარგად იცოდა, რაღაც ჰოლივუდური ფილმი ვნახეთ ორიგინალში. ინტერნეტში ვეძებე ბრილვასთვის შინ გამგზავრების სხვა საიმედო საშუალებები. მაგრამ შორი მანძილის გამო თვითმფრინავის გარდა სხვა რამეზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. როდესაც ავუხსენი, რომ მის ვიზას მალე ვადა გაუვიდოდა და გერმანიაში დარჩენას ვეღარ შეძლებდა, ისევ აიჩეჩა მხრები და როგორც სჩვეოდა, დამცინავად მიპასუხა, შენ ისეთი ჭკვიანი ხარ, რამეს მოიფიქრებო.

ელენეს სისტემატურად ელაპარაკებოდა ტელეფონით და სიცილ-კისკისით უყვებოდა ჩემზე და ბერლინზე, თითქოს აქ ერთკვირიანი არდადეგების მხიარულად გასატარებლად იყო ჩამოსული. ისეთი გატაცებით ელაპარაკებოდა თავის დაკვირვებებზე და ჩემი წყალობით გაკეთებულ აღმოჩენებზე, რასაც ჩემთან არასდროს ავლენდა. ამის ნაცვლად, ყველაფერს, რასაც ვთავაზობდი, ვაჩვენებდი ან ვუყვებოდი, დაუდევარი გულგრილობით ხვდებოდა, თითქოს ამ ქვეყანაზე ვეღარაფრით გააკვირვებდი.

- ასე ხომ არ იწონიალებ აქ უსასრულოდ. უნდა დაბრუნდე, სკოლაში უნდა იარო ან შენს ცეკვაზე, რა ვიცი, - წამოვიწყე საუბრის დროს ახალი მცდელობა მისი ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ.

ბრილკამ ბოლოკი გაფცქვნა, მთლიანად მოაშორა წითელი კანი და შემდეგ აუღელვებლად ჩაიტენა პირში. არავითარი ყურადღება არ მიაქცია ჩემს ნათქვამს. თეფში ხელიდან გამოვტაცე და თავზე დავადექი, ვაიძულე შემოეხედა ჩემთვის.

- მომისმინე, როცა გელაპარაკები.

- არ მინდა შინ დაბრუნება. ვენაში უნდა წავიდე. ან შენ წამიყვანე მანქანით, ან მარტო გამიშვი. იქ არ დავრჩები, ნუ გეშინია.

- როგორ წარმოგიდგენია ეს ყველაფერი? ვერ გაგიშვებ მარტოს ვენაში. და ვერც წამოგყვები. და არც გაუთავებლად შენზე ზრუნვა მინდა. ალბათ, შეამჩნიე, რომ ბავშვებთან საერთო ენას ვერ ვპოულობ.

- მე ბავშვი არ ვარ.

- რა თქმა უნდა, შენ გგონია, დიდი ხარ უკვე. გარდა ამისა, ბებიამენს შევპირდი, რომ საღ-სალამათს დაგაბრუნებ.

- სულ ბებიამენიო, ამბობ, არასდროს გითქვამს: დედაჩემი.

- ეს რა შუაშია? მისმენ საერთოდ?

- სკოლა არ მაქვს. ჩვენთან ახლა არდადეგებია, ჩემი ცეკვის ანსამბლი კი ჯერ გზაშია. მოცლილი ვარ.

- სამაგიეროდ, მე ვარ მოუცლელი!

თეფში ისევ მაგიდაზე დავახეთქე და სამზარეულოდან გავედი.

იმავე საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, საღარბაბოში ამანი დამხვდა, საქსოფონი გვერდით ედო და რაღაც სარეკლამო გაზეთს კითხულობდა, რომელიც იქვე ეპოვა, გადაღლილი ჩანდა: სახეზე ეტყობოდა, რომ ბოლო რამდენიმე დამე ლოთობაში გაეტარებინა. შემეცოდა, უსუსურად ვიგრძენი თავი.

- აქ რას აკეთებ?

- ვიღაც ბავშვია შიგნით.

- ჰო, მართალი ხარ. შიგნით ჩემი დარტყმული დისშვილია, რომელსაც შინ დაბრუნება აღარ უნდა.

- მე მეგონა, შემეხშიანებოდი.

- სად გეძინა მთელი ეს ხანი? ბინა გჭირდება, ამა, მართლა.

- მე მეგონა, მქონდა უკვე.

გაბრაზებულმა ამოვიღე გასაღები და კარი გავაღე. ამანმა საქსოფონი ფრთხილად დადგა იატაკზე. ბრილკა აივანზე იჯდა გაფცქვნილი ვაშლებით სავსე თეფშით, თვალდახუჭული უსმენდა მუსიკას. ჩვენი მოსვლა არ გაუგია და ეგონა, მარტო იყო. რიტმში ამოძრავებდა ტანს წინ და უკან, შიშველ ფეხებს იატაკზე აბაკუნებდა. დახეული შორტი ეცვა და ისეთი გრძელი და წვრილი ფეხები უჩანდა,

კალიასავით. აბურძგნილი თმა ყალყზე ედგა. გულის ამაჩუყებელი იყო მისი ძალად უდარდელობა.

ამანთან ერთად სამზარეულოში გავედი, ჩაი დავუსხი და წინ დავუჭექე. დახუთული საღამო იყო, ტანსაცმელი ტანზე გვექონდა აკრული. სიამოვნებით ჩავიკრავდი გულში, რამის დაკვრას ვთხოვდი, დავტკებოდი მისი ცქერით ან მისი მუსიკით, ჩავეხუტებოდი და დავიძინებდი, ყოველგვარი დაპირებების, გვემებისა და აღიარებების გარეშე ჩემი მხრიდან.

- ცოტა არ იყოს, ყელში ამომივიდა ეს სიტუაცია, - ვუთხარი, როცა ჩემი მდგომარეობა გავაცანი, - რამენაირად უნდა დავაბრუნო სახლში, არადა, არ ვიცი, როგორ. ასე რომ, ტურნეში წამოყოლას ვერ შევძლებ.

- თან წამოიყვანე.

როგორ მძულდა მისი ეს გულუბრყვილობა. ისეთი მარტივი ეგონა ყველაფერი. ყოველთვის პოულობდა გამოსავალს.

- თორმეტი წლის არის, ამან. როგორ წამოვიყვანო ტურნეში, კარგი, რა!

- პრობლემა შენ გაქვს და არა მას, - მითხრა და ჩაი მოყლუკა.

- ძალიან ნაჩქარევი მეჩვენება ეს ყველაფერი.

- ნაჩქარევი? რა ნაჩქარევი? რამდენი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ნიცა? რამდენი ხანია ერთად ვართ?

- ეს არაფერს ნიშნავს. რამდენი ხანიც უნდა ვიცნობდეთ ერთმანეთს. ეს სულ სხვაა.

- მშიშარა ხარ. უბრალოდ მშიშარა.

სინანულით დახარა თვალები. ამ თვისებასაც ვერ ვიტანდი მისას, ასე უცებ რომ ნებდებოდა. აუტანელი იყო ეს მისი ცხოვრებისეული კრედო, თითქოს რამის შესაცვლელად კი არ მოვიდა ამქვეყნად, არამედ მასთან შესაგუებლად.

- ხომ კარგად ვიყავით ერთად. ხომ ორივეს მოგვწონდა.

- არა, მე ეს არ მომწონდა.

- კარგი, რა, ამან. შენში სწორედ იმას ვაფასებდი ყოველთვის, რომ ამ სენტიმენტალურ სისულელეებს არ მახვევდი თავს, ახლა კი მოდიხარ და შენც იმავეს აკეთებ, რასაც სხვები.

თავისი ზეთოვანი თვალებით შემომხედა. მძულდა ეს მზერა. ეს სევდიანი, ყველაფრის ამტანი მზერა.

უცებ ბრილკა წამოგვადგა. გაუბედავად შეხედა ამანს, მერე მიაჭრა და ხელი გაუნოდა დიდივით. ინგლისურად გააცნო თავი. ამანი გამხიარულდა, ხელი ჩამოართვა და თვითონაც უთხრა სახელი. ბრილკა მაცივართან მივიდა და ერთი ბოთლი „ფანტა“ გამოიღო, აურაცხელი რაოდენობით რომ მოვათრიე. ბოთლიდან მოსვა და მარცხენა ფეხით მუხლი მოიფხანა. იოგს ჰგავდა, რომელიც მედიტაციის სავარჯიშოს აკეთებდა, სახელწოდებით „ფანტა“. გამეცინა.

- შენი საქსოფონია დერეფანში? – დაინტერესდა.

- რა იცი, რომ საქსოფონია, ჩაიხედე თუ რა? – დავეცაცხანე ქართულად. მაგრამ ამანი უკვე გავიდა და საქსოფონით შემობრუნდა. გვერდზე დაიყენა ბრილკა და აჩვენა, როგორ უნდა დაეჭირა. მერე ჩაბერვის უფლებაც მისცა. მე დრო ვიხელთე და აბაზანაში დავითესე, მინდოდა, მართო დავრჩენილიყავი, წყლის ჭავლქვეშ დავმდგარიყავი. მაღლობელი ვიყავი ბრილკასი, დროულად რომ შემოვიდა სამზარეულოში და უსიამოვნო საუბარი გაგვანწყვეტინა.

როცა ნახევრად სველი გამოვედი აბაზანიდან, ორივენი კართან იდგნენ უკვე და გასვლას აპირებდნენ.

- რა ხდება? სად მიდიხართ?

- ნოლენდორფულაცზე ჩავალთ, ფულს გავაკეთებთ, – გამომიცხადა ბრილკამ ამაყად.

- რაო? რას გააკეთებთ?

წეროვით შევხედე ამანს.

- მათა ჰარივით ვცეკვავო, ასე ამბობს და ვნახოთ ერთი. მე დავეკრავ, ეს იცეკვებს და თუ კარგად გამოგვივა, ხალხი აურაცხელ ფულს მოგვაცრის. მერე შენი დისშვილი კასეტებისა და ნაყინის ყიდვას შეძლებს. ასე მოვილაპარაკეთ.

ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი, ისე გავიდნენ კარში.

წამით ვიჭვინანე კიდეც ამანზე, რომელმაც სულ რამდენიმე წუთში იპოვა მასთან საერთო, არადა, მე ბრილკა ყოველდღე ახალ გამოცდას მიწყობდა და აღარც მოთმინება მყოფნიდა და აღარც ძალა. ჩავიცვი, ჯერ ვიფიქრე, ცოტა ხანს გავიბუტები-მეთქი, მაგრამ დიდხანს ვერ გავძელი და ნოლენდორფულაცს მივაშურე. კუთხეს მოვეფარე, რომ არ დავენახე, და შორიდან დავეწყე თვალთვალი. მეტროს შესასვლელში დაეკავებინათ ადგილი. ამანი კიბის საფეხურზე იჯდა და ისეთი თავდავიწყებით უკრავდა, რომ დაუყოვნებლივ ჩამითრია, გამიტაცა, როგორც ყოველთვის, მაშინაც კი, როცა დიდი საკონცერტო დარბაზის მაგივრად, აქოთებულ ბარში ვუსმენდი. ბრილკა თავიდან ოდნავ მოშორებით იდგა და დაძაბული შესცქეროდა გამვლელებს. ნელ-ნელა გაბედა და მიუახლოვდა ამანს. ბოლოს, როცა იმან რაღაც რიტმული წამოიწყო, წინ გადაუდგა და აცეკვდა. ჯერ მორიდებულად და გაუბედავად, ცოტა შებოჭილად და მორცხვად, მაგრამ მალე დაძაბულობა მოეხსნა და თავის გატაცებას აჰყვა ამანივით.

ბუნებრივია, ბრილკას შესრულებული ცეკვა დადგმული არ იყო. ის უბრალოდ მუსიკას მიჰყვებოდა სხელით, უფრო და უფრო მსუბუქად, თითქოს ცოტაც და აფრინდებო, სულ უფრო თავისუფლად, ძალდაუტანებლად, სანამ სახეზე ბედნიერება არ აღებეჭდა. ამ უჩვეულო სანახაობით დატყვევებული, ენაჩავარდნილი ვიდექი, მოჯადოებულებით შევცქეროდი იმ თრობას და ვნატრობდი, ნეტა მეც ვფლობდე ისეთ რამეს,

რაც მთელ სამყაროს დამავინყებდა ჩემ ირგვლივ-მეთქი. ადამიანები ჩერდებოდნენ, ტაშს უკრავდნენ, ხურდას ყრიდნენ ამანის საფულეში. ისეთი სულიერი ერთობა შექმნეს ამანმა და ბრილკამ, თითქოს ათეული წლების წინ შეენყვინენ ერთმანეთს ორ სამყაროს შორის გაბმულ ბაგირზე ფარფატიში.

რა უნდოდა ბრილკას, რა უნდა დამენახა, რა უნდა მეცნო ან ამომეცნო? რისი პოვნა უნდოდა ვენაში? რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის პასუხს?

დღეს, როცა ამაზე ვფიქრობ, თვითონაც არ მესმის, როგორ ვერ დავინახე მაშინ ის უმთავრესი, რაც ასეთი გასაგები იყო და რატომ ვსვამდი არასწორ შეკითხვებს. მე, უპირველეს ყოვლისა, მაშინ ის უნდა მეკითხა მისთვის, რატომ ჩამოვიდა აქ. ჩემთან.

ბრილკას შემყურე ვცდილობდი, მთელი სხეულით შემეკავებინა მოგონებების ნაკადი. არ მინდოდა არანაირი შედარება, არანაირი პარალელის გავლება, არანაირი დამთხვევა. რაც უფრო დიდხანს ვუყურებდი, მით უფრო მიახლოვდებოდნენ ისევ დანარჩენებიც. მკვდრები და ცოცხლები. მე კი სადღაც შუაში ვიდექი და როგორც ყოველთვის, ვერ ვხვდებოდი, ვის მივეკუთვნებოდი.

მოგვიანებით ქუჩაში დავხეტილობდით სამივე, ბრილკა ნაყინს ტლევდა, ჯიბეში ხურდას აჩხრიალებდა და წარამარა ხელს ავლებდა, აშკარად ამაყობდა თავისი ნადავლით.

ცოტა მოშორებით მოგვყვებოდა, ორმოებს ახტებოდა, ამოგდებულ ქვებს ან ტროტუარის კიდეებს. გენთინერშტრასეზე დაგვწვინა, ამანს ამოუდგა გვერდით და ხელი გაუყარა. ამანმა მის ნაყინს ჩაასო კბილები. ბრილკამ მხიარულად დაიჭყიპინა და ნაყინი განზე განია. მთელი საღამო ცდილობდა ამანის დარწმუნებას, რომ მისი „შოუ“ – როგორც თვითონ შეარქვა მათ ერთობლივ წარმოდგენას – ქალაქის სხვა უბნებშიც ეჩვენებინათ, სადაც მეტი ხალხი იყო. მშვიდობიანი ატმოსფეროს დარღვევა არ მინდოდა და ამანზე ვამყარებდი იმედს, რომ გონივრულად მოიქცეოდა. მაგრამ ამანმა მეტროს სხვა სადგურები შესთავაზა, სადაც მოსახერხებელი იქნებოდა დაკვრა და ცეკვა. ერთი პატარა გამოსვლა შეიძლება ჩემს კლუბშიც ვცადოთო, იქ ძალიან გახსნილი პუბლიკაა, ჩემს ბენდს კი ნამდვილად მოეწონება ეს იდეა და რადგან დღეს მაინც პარასკევია, შეგვიძლია პირდაპირ მივიდეთო. რაღა თქმა უნდა: ბრილკა მაშინვე აენტო.

ჩემი მხრიდან ჩარევის მცდელობა თავიდანვე განწირული იყო მარცხით. შანსი არ მქონდა, ცალკეად შევეწინააღმდეგე, ავუხსენი, მოზარდთა დაცვის კანონები არსებობს-მეთქი და ძალიან გვიანია იმისთვის, რომ თორმეტი წლის გოგო იმ გაბოლილ ბარში წაათრიო: მაგრამ ბრილკა უკვე მხარზე ჩამოეკონწიალა ამანს და ერთგული ძაღლივით აედევნა. რაღა დამრჩენოდა, წამოვკრიფე ჩემი ნივთები და

მეც წავჩანჩალდი. ეს ის კლუბი იყო, სადაც ამანი გავიცანი და სადაც ის სისტემატურად უკრავდა თავის ბენდთან ერთად. ბენდის სხვა მონაწილეები აშკარად მოიხიბლნენ თამამი არსებით, რომელმაც სცენის ნახვა მოინდომა მისი ფართის შესაფასებლად და გამნათებელთან მოითხოვა შეხვედრა. მოკლედ: „ბარონები“ დასთანხმდნენ და დაიწყეს თავიანთი გამოსვლა. ჯერ Everytime we say goodbye დაუკრეს. მომეჩვენა, რომ ბრილკას სახეზე შიში დაეტყო, მაგრამ ძალიან მალე იპოვა საკუთარი რიტმი, სხეული ტაქტს ააყოლა და მელოდიით დატკბა. კარგი იმპროვიზატორი იყო. ხალხმა ტაში დაუკრა და ბრავო შესძახა. ბრილკამ კეკლუცად დაუკრა თავი და სანამ სცენას დატოვებდა, ამანს ლოყაზე აკოცა. გარეთ გავედით ჰაერის ჩასაყლაპად. შესასვლელთან გვერდიგვერდ მდგომნი კიდევ რამდენიმე წუთი ვუსმენდით ბიჭებს, პუბლიკისგან ცეცხლშენთებულებმა მაგრად რომ შეუბერეს.

- მართლა კარგად გამოგდის, – ვუთხარი ბრილკას.
- ვიცი.
- თავმდაბლობით კი დიდად არ გამოირჩევი, მგონი.
- ამანი მაგარია. შენზე მაგარია ბევრად.
- დიდი მადლობა.
- არ უნდა გაგეგდო.
- ესე იგი, ადამიანთა შორის ურთიერთობების ექსპერტიც ხარ? მოჭუტული თვალებით შემომხედა და ამოიოხრა.
- და რა არის ამაში სასაცილო? – მკითხა.
- ვილაყას მაგონებ.
- ვის?
- დედაშენს.
- მართლა?

გუგები გაუფართოვდა. ასეთ მძაფრ რეაქციას არ ველოდი.

- ჰო, მართლა ჰგავხარ, – დავეთანხმე ცოტა უფრო ალერსიანად.
- ჩემი შორტები დედას ძველი ჯინსისგან გავაკეთე. ბებია კი სულ იმეორებს, რომ შენ გგავარ.

გამომცდელად მაკვირდებოდა.

- რას ლაპარაკობ?
- ჰო, ასე ამბობს.

ამანმა მკითხა, ხომ არ „ვათხოვებდი“ ბრილკას რამდენიმე გამოსვლაზე. მართლა კარგად მიიღეს და ტურნემიც წავიყვანდი „შემამზადებელი პროგრამისთვისო“, დაამატა სიცლით. ბრილკას უკვე ეძინა, მე კი სულ არ მიმაჩნდა სასაცილოდ ეს ყველაფერი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ჩემი ცხოვრება უეცრად ყირაზე დადგა და აზრზე არ ვიყავი, როგორ უნდა შემეჩერებინა ეს ყველაფერი; მუშაობისთვისაც კი ვერ ვიცლიდი. ჯურჯლის რეცხვა დავიწყე. არ

მინდოდა, რომ ამანს ისევ მუდარით შემოეხედა ჩემთვის, ძალღივიტ. არ მინდოდა, ისევ არარაობად მეგრძნო თავი.

- ასე გიჭირს თქმა, რა გინდა?

არ მეშვებოდა ამანი.

- ხომ ხედავ, რომ ეს ბავშვი მყავს აკიდებული. ხომ ვერ მივაგდებ ყველაფერს და...

- აკიდებული? უნდა გიხაროდეს, რომ შენთან უნდა ყოფნა.

- ჩემთან ყოფნა კი არ უნდა, ვენაში უნდა წასვლა, რა ვერ გაიგე. და რატომ უნდა, ეს მართო თვითონ იცის.

- რაღაც სიმღერების გამოო, ასე თქვა. და ამ სიმღერების საავტორო უფლებების გამო, რის მოპოვებასაც აპირებს. სრულიად დამაჭერებლად უღერს, კარგად დალაგებული გეგმა აქვს.

ნიჟარას დავეყრდენი და ვერ გადავწყვიტე, ვისზე გავბრაზებულიყავი უფრო მეტად, ამანზე, ბრილკაზე, თუ საკუთარ თავზე.

- ხომ შეგიძლია დაელაპარაკო. რაც უნდა იყოს, ერთ ენაზე მეტყველებო. აგისხნის ყველაფერს, - აგრძელებდა ამანი, - ბუნებრივია, რომ შენთან უნდოდა ჩამოსვლა, ნიცა. იმედი ჰქონდა, რომ დაეხმარებოდი.

- მითხარი ერთი, შენც ხომ არ გაგიჟდი? რაში უნდა დავეხმარო?

- რა ვიცი, ალბათ, აჯობებს, იმას ჰკითხო!

იმავე წუთას გავიგონე კარის დაკეტვის ხმა და შეშინებული გავენთე გვერდით ოთახში. დივანი ცარიელი დამხვდა, ზურგიანთა გამქრალიყო, კედლებიც აღარ ენყო დერეფანში. სანდლებში ჩავყავი ფეხი და ჩემი ფართო საძილემაისურიანი გავვარდი ქუჩაში. საბედნიეროდ, ძალიან შორს არ იყო წასული და მეტროს სადგურთან დავენიე, მაგრად ჩავავლე ხელი.

- სად მიდიხარ?

და როგორც კი შემომიტრიალდა, მაშინვე გავუშვი. ცრემლები მოსდიოდა ღვარად და ნიკაპი უკანკალებდა. ვერ მივხვდი, როგორ გაიგო, რაზე ვლაპარაკობდით მე და ამანი, როცა ენა არ იცოდა.

- ბრილკა, რა დაგემართა?

ხმა ჩამინცდა.

- სადგურში მივდივარ, მატარებლით გავემგზავრები სახლში. აღარ მინდა, - ჩაილულულა.

- მატარებლით სახლში ვერ წახვალ. შეუძლებელია, თვითმფრინავი გჭირდება, ბრილკა.

- მე მეგონა...

წასვლა დააპირა, მაგრამ მე გზა გადავუღობე.

- რა გეგონა?

- იმედი მქონდა, რომ შენ... შენთან დამტოვებდი.

- როგორ, დაგტოვებდი?

- დაივინყე.

- არა, მოიცადე, გთხოვ. არ წახვიდე. მოიცადე. მე უბრალოდ... ეს უჩვეულოა ჩემთვის. ამდენს ვერ გავწვდი. სამუშაო და ამანი და...

- იქნებ სხვა სამუშაო მოძებნო, თუ ასეთი უკმაყოფილო ხარ, - ისევ დამინყო თავისებურად ჭკუის დარიგება. ცხვირი მოინმინდა პერანგის ქობით და თავი ჩაქინდრა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ დარჩენილიყო.

- რატომ დაიჩემე ეს ვენა?

- იმიტომ რომ კიტის სიმღერებზე საავტორო უფლებები მჭირდება ჩემი ქორეოგრაფიისთვის.

- კიტის? კიტი ჯაშის?

- ჰო, აბა, სხვა ვისი?

- კაი. ესე იგი, კიტის სიმღერები. კიტი რატომ მოგაფიქრდა?

- იმიტომ რომ ყველაზე დიდი ფანი ვარ მისი დედამინის ზურგზე!

თავი გააქნია, თითქოს ვერ იჯერებდა, როგორ ვერ მივხვდი ამას აქამდე. რა ვქნა, ვერ მივხვდი.

- კაი. არ ვიცოდი. ესე იგი, მისი სიმღერები. და საავტორო უფლებები გინდა მის სიმღერებზე?

- ჰო, მინდა ერთადერთი ვიყო, ვინც მის მუსიკაზე გააკეთებს ქორეოგრაფიას. ყოველი იდეა უკვე ჩანერილი მაქვს.

ოდნავ მივუახლოვდი. ბრილკამ უკან დაიწია. ჯერ არ იყო დარწმუნებული, შეიძლებოდა ჩემი ნდობა თუ არა.

- ჩაინერე?

- ჰო, გონებაში ყველაფერი დავასრულე და ჩემს რვეულშიც ჩავინერე, რომ არ დამავინყდეს.

- კი მაგრამ, რატომ ვენა?

- იქ ფრედ ლიბლიხი ცხოვრობს.

- ფრედ ლიბლიხი?

ალანია დამიდგა თვალწინ, იმან ახსენა ფრედ ლიბლიხი.

- ჰო, სწორედ ფრედ ლიბლიხი. ძალიან კარგად იცნობდა კიტის და ფონდის თავმჯდომარესაც იცნობს ლონდონში, ვილაც ემის, რომელიც სიმღერების უფლებებს განაგებს...

- საიდან იცი ეს ყველაფერი?

ემიც და ლონდონიც ახსენა მაშინ ალანიამ.

- გესმის? მისმენ საერთოდ?

თვალეები გადაატრიალა ბრილკამ.

- კაი. კაი.

- რა კაი-კაი? წამიყვან?

- შენ თქვი, ვიცოდი, რომ ჩამომაკითხავდიო, მაშინ, მედლინში. ვიცოდი, რომ ელენე დაგირეკავდაო. რას გულისხმობდი?

- რა უნდა მეგულისხმა? სწორედ ის, რომ ვიცოდი, ჩამოხვიდოდი და წამომიყვანდი და მერე აქ ვიქნებოდი...

- აქ?

- ჰო.

- ესე იგი, ბერლინში გინდოდა ჩამოსვლა?

- შენ ხომ, სავარაუდოდ, ძალიან ჭკვიანი ხარ. წესით, უნდა მოგეხერხებინა, სიმღერების უფლებებს ვგულისხმობ. შეგეძლო დამხმარებოდი, თუ მოინდომებდი.

სამი დღისა და სხვადასხვა ინსტანციაში სიარულის შემდეგ ვიბა გაუგრძელეს.

როცა ამანი და ბრილკა საღამოობით „ფულის გასაკეთებლად“ გადიოდნენ, მეგობრულად ვუღიმოდი, ვცდილობდი, თავი შემეკავებინა კომენტარისგან, რომ ქუჩაში და გაბოლილ ბარში არ არის ბავშვის ადგილი. ბრილკასთვის მე ავტორიტეტს არ წარმოვადგენდი და ამას ხაზგასმით მაჩვენებდა, ისევე როგორც ამანმა მაგრძნობინა, რომ არავითარი უფლება არ მქონდა, მისთვის რამე მეკარნახა, სანამ გადანყვეტილებას არ მივიღებდი მის სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ. მე კი არ მინდოდა გადანყვეტილების მიღება. მინდოდა ყოველდღიურობის ბანალურ დინებას გავყოლოდი, გამოზომილი, აუღელვებელი ნაბიჯით მევლო. ჩემი თანაბარი რიტმი შემენარჩუნებინა, წონასწორობა არ დამეკარგა.

ყველგან ვუშვებდი. საჭმელს ვუკვეთავდი მათთვის. „ფანტასაც“ ვყიდულობდი ისევ. შინისკენ გზას ვიგრძელებდი. შორიდან ვუვლიდი, შიგადაშიგ სადმე კაფეში ვჯდებოდი, გაზეთი რომ წამეკითხა და რაც შეიძლება დიდხანს არ შევხვედროდი მათ. მათ და მათ მოლოდინებს ჩემ მიმართ.

ბრილკას ჩემთან ყოფნის ორი კვირის თავზე ამანმა თავისი ნივთები ჩაალაგა, რაც რამ ჰქონდა. ბრილკა ყელზე ჩამოეკიდა და გაშვება აღარ უნდოდა. როცა მე საკოცნელად გავიწიე, ამანმა უკან დაიხია.

- სამი თვით მივდივარ. ჩვენი ტურნეს ზუსტი განრიგი შენი სამხარეულოს მაგიდაზე დევს. თუ არ ჩამომაკითხავ, ამას შენს პასუხად მივიჩნევ.

მაგრად ჩაიკრა გულში ბრილკა და გავიდა, კარი კი ხმაურით გაიჭახუნა.

ისევ გავბრაზდი ამანზე. რა იყო ეს რომანტიკული ულტიმატუმი, რას ნიშნავდა ეს უაზრო სენტიმენტალობა? რას ელოდა ჩემგან, ხომ იცოდა, რომ ჩვენი ურთიერთობა დამოუკიდებლობაზე დავაფუძნეთ და ეს იყო ერთადერთი გარანტია, რისი მოთხოვნის უფლებაც გვქონდა?

- ამანიც ისევე გიყვარს, როგორც მირო ერისთავი გიყვარდა? – მკითხა მოულოდნელად ბრილკამ და დერეფნის კედელზე

ჩასრიალებული იატაკზე დაეხერტყა, თან თვალს არ აშორებდა კარს, თითქოს ელოდა, რომ ამანი დაბრუნდებოდა.

მირო? ეს რაღა იყო! საიდან იცოდა? პასუხი არ გამიცია, ისე გავედი სამხარეულოში ბარბაცით. ბრილკა გამომყვა.

- მირო იყო ერთხელ ჩვენთან სტუმრად. ტკბილეულობა მომიტანა, მაშინ პატარა ვიყავი ჯერ. ელენემ თქვა, რომ გიყვარდა თურმე ოდესღაც. მაგრამ ამანი ჯობია.

ერთი ბოთლი „ფანტა“ დაითრია მაცივრიდან და თავის დივანს დაუბრუნდა.

* * *

ომი არაფრის გამო
თავზე დაგვატყდა ბევრი,
ომი - ჭაბუკთა საქმე,
ომი - ნაოჭთა მტერი.
ცოი

ჩემმა გადაღლილობამ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. ძილი დავკარგე. ასე მეგონა, თავში ადუღებული ლავა მქონდა ტვინის ნაცვლად. ლექციებზე ყურადღებას ვერ ვიკრებდი და რაღაცას ვბლუყუნებდი. ისე მაქანებდა, თითქოს მიწა იძვროდა ჩემ ფეხქვეშ. თავს ვეღარ ვერეოდი. ყველაზე მეტად სადამოების ატანა მიმძიმდა, ახლა უკვე მართო ბრილკასთან ერთად. მისი უსასოო ბურგის დანახვა, როცა მინ ვბრუნდებოდი და აივანზე მჯდომი მხვდებოდა, მისი გაუცხოება, მოაჯირზე შემონწყობილი ტიტველი ფეხები, თეფშზე ფერებად დახარისხებული საკვები, გადატენილი წიგნაკი მის მუხლებზე, მოგუდული მუსიკა მისი ყურსასმენებიდან, მისი ტანის რწევა და მისი შავ-შავი თვალების პირქუში, უძირო, მოლოდინითა და მოთხოვნით სავსე მზერა. აუტანელი იყო იმის შეგნება, რომ მისი ჟესტებისა და მიმიკის ამოცნობა ვისწავლე ნელ-ნელა, რომ ხმაზე ვატყობდი უკვე, რა ანუხებდა. რომ მის ცრემლებს ვხედავდი, სანამ თვალზე მოადგებოდა.

ვცდილობდი თავი დამეცვა სიახლოვის გრძნობისგან, თანდათან რომ მეუფლებოდა. ვიკეტებოდი, როცა მეტისმეტად ვიხსნებოდი. გაცრუებული იმედებისა და გამომწვევი აზრების ამარა ვტოვებდი. სულ უფრო პირდაპირი და მოურიდებელი კითხვების ამარა. პასუხების მოლოდინით სავსე მის თვალებს ყურადღებას არ ვაქცევდი. უმეტესწილად ის აინტერესებდა, რაც მის დაბადებამდე მოხდა. წარსული, რომელთანაც მიახლოებას უკრძალავდნენ. ყველაზე მეტად ის შეკითხვები მაფრთხობდა, დედამისს რომ ეხებოდა; როგორი იყო დარია, რა იტაცებდა, რაზე ოცნებობდა, მოვლენების ზუსტი თანმიმდევრობა მისი

დალუპვის წინა დღეებში. ამას ერთვოდა შეკითხვები მამამისზე, ჩემზე. კითხვები ბედნიერებაზე, ზოგადად და კერძოდ, დიდი ხნით რატომ ვერავინ ახერხებდა ამ ბედნიერების შენარჩუნებას ჩვენს ოჯახში. რატომ არც ერთხელ არ ჩავსულვარ შინ. მოკლე, მშრალ პასუხებს ვაძლევდი, მოჩვენებით პასუხებს, რომლებიც სინამდვილეში პასუხებიც არ იყო. და კიდევ მისი საკმაოდ უცნაური შეკითხვები სიკვდილზე. ლამის შეპყრობილი იყო ამ თემით.

მერე, ღამლამობით, როცა ცოტა წყნარდებოდა, იწყებოდა შეკითხვები აწმყოზე. რატომ წავედი, რატომ არაფერს ვუყვები დედამისზე, რატომ არ ვცხოვრობ ამანთან, ან კიდევ უარესი: რატომ არასდროს გამჩენია მისი გაცნობის სურვილი. შეკითხვებში მისი სურვილები და ოცნებები გამოსჭვიოდა, რომელთაც დაშაქრული ნუშის და თან სევდიანი წვიმიანი დღეების გემო დაჰკრავდა. უნდოდა, მომავლისკენ მიემართა მზერა და მაინც სულ უკან იყურებოდა იმის შიშით, რომ მიზანს ვერ მიაღწევდა.

ჩემთვის ნამდვილი გამოწვევა იყო ყოველდღე თავიდან განმარტება მისთვის, თუ ვინ ვიყავი, როგორი ხიდები არსებობდა ჩვენ შორის და როგორი არა. რატომ არ არსებობდა აბრები და საგზაო მაჩვენებლები ცხოვრებაში გასარკვევად. რატომ არ ჰყავდა არც დედა და არც მამა; რატომ არ უნდოდა მის ერთადერთ დეიდას, რამე საერთო ჰქონოდა მასთან.

თითქოს ერთადერთი ეს სიტყვა რატომ შეადგენდა მთელ მის ცხოვრებას. თითქოს უჭიპლაროდ დაიბადა და მისი მთავარი მიზანი სწორედ ამ ჭაპლარის პოვნა იყო, სასონარკვეთილი დაეძებდა, მე ვერაფრით ვეხმარებოდი. უფრო სწორად, არ მინდოდა დახმარება.

აბაზანაში ვწვებოდი, წყალს ვუშვებდი, რომ არაფერი გამეგო. ვცდილობდი, წიგნი წამეკითხა. იმდენ ხანს ვრჩებოდი ჩაკეტილი, სანამ დასაძინებლად არ დაწვებოდა და არ მომეშვებოდა. ჩემს საძინებელში მუსიკას ვრთავდი მაღალ ხმაზე, როცა მეჩვენებოდა, რომ ძილშიც მომდევდა. სამჯერ ბინიდან გავიპარე შუალამისას. ისე, რომ არც ბარათი, არც შეტყობინება არ დამიტოვებია. მძინარეს ვტოვებდი და ვთვრებოდი სევდრინთან ან კაროსთან ერთად. აღარ შემეძლო მისი შიშისა და განცდების ატანა. მრცხვენოდა საკუთარი ქცევის, და მაინც ვდარდობდი მასზე, მაშინაც კი, როცა არაყს ან ღვინოს ვყლურწავდი იმის ჩასახშობად, რასაც მაინც ვერ ვაჩუმებდი, რასაც ვაჩუმება აღარ უნდოდა.

როცა ღამით ჩემი გაპარვაც აღარ იყო ჩემთვის გამოსავალი, რადგან მაინც სულ ბრილკაზე ვფიქრობდი, ვეღარ ვატყუებდი, სადაც უნდა წავსულიყავი, მის შეკითხვებს მაინც ვერ გავექცეოდი, ერთ საღამოს უჩვეულოდ ადრე რომ შეიყუჟა ოთახში და დასაძინებლად დაწვა, გადავწყვიტე, მომექეცა ცხელი შოკოლადის რეცეპტი და ერთი ჭიქა მომეხარშა ჩემთვის. იმედი მქონდა, რომ ის გემო რამდენიმე საათით

მინც დამავინწყებდა ყველაფერს. ინგრედიენტები უკვე მომარაგებული მქონდა წინა დღით და საქმეს შევუდექი.

გამახსენდა 90-იანების სანთლებით განათებული სამზარეულო მწვანე სახლში, როცა სტასია ანთორიტიანი თითებით ფუსფუსებდა შავ, აბუებუყებულ სითხესთან, ახლოს არავის აკარებდა იმის შიშით, შოკოლადის წყევლამ არ უწიოსო, ზიანი არ მიაყენოსო, და იმედი ჰქონდა, რომ მე გავუძლებდი ყველა წყევლას ამ ქვეყანაზე.

რალა თქმა უნდა, შოკოლადის სურნელმა ბრილკაც გააღვიძა. როგორც წლების წინ მირო და მე გავგიტყუა ქრისტიანესთან ოთახში იმ მაცდუნებელმა სურნელმა, ზუსტად ასევე შემოვარდა ესეც სამზარეულოში და თვალებდაჭყეტილი მომაჩერდა, როგორ ხარბად ვთქვლევდი შავ მასას. მაშინვე დაინტერესდა, რას ვჭამდი. ნუგბარით გაბრუებული ვიჭექი და თავდავინწყებით ვტლევკდი შოკოლადის ნარჩენებს. მაგრამ იმწუთას რატომღაც დავიჭერე სტასიას ავბედითი წინასწარმეტყველება. პირველად დავფიქრდი იმაზე, რომ ჩემი დიდი ბებო შესაძლოა მართალი იყო. რამდენად ირაციონალურადაც უნდა მომჩვენებოდა ეს, იმწუთას მტკიცედ მჯეროდა, რომ ბრილკა შოკოლადთან არ უნდა მიმეკარებინა, თითქოს სტასია მედგა ზურგს უკან და ჩამჩიჩინებდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბრილკას დაცვა მევალებოდა იმ წყევლისგან.

ბზიკნაკბენივით წამოვფრინდი, ხელი ვტაცე შოკოლადის ნარჩენებიან ჭიქას და მაღლა ავწიე შეშინებულმა, ხელიდან არ გამომტაცოს-მეთქი. ბრილკა გაოგნებული მიყურებდა.

- რა არის ეს? – იკითხა დაბნეულმა.

- სტასიას შოკოლადია. უფრო სწორად, მამამისის. მაგრამ ეს შოკოლადი დანყველილია.

თვითონაც არ მჯეროდა, რომ სერიოზულად წარმოვთქვი ეს სიტყვები. წამით დამაკვირდა დაეჭვებული, ხომ არ მასულელებსო. მაგრამ ისეთი გამომეტყველება მქონდა, ის ღამე რომ გამახსენდა, სხვენში, ისეთი დამფრთხალი სახე გამიხდა, რომ ეტყობა დამიჯერა, რადგან მომიახლოვდა და თავისი დაყენებული გულგრილი კილოთი მითხრა:

- ყავისფერს ისედაც არაფერს ვჭამ.

გულზე მომეშვა. ხელი ჩამოვუშვი და სიცილი წამსკდა. რა თქმა უნდა, არ ჭამდა ყავისფერ საკვებს. მისი მრწამსი იცავდა მას იმ დანყველილი თავდავინწყებისგან, რასაც შოკოლადის გასინჯვა იწვევდა. რა სულელი ვარ-მეთქი, გავიფიქრე. ჭიქა ისევ მაგიდაზე დავდგი.

- გარდა ამისა, ასეც რომ იყოს: ყოველი წყევლისთვის არსებობს ჯადოსნური სიტყვები ამ წყევლის უვნებელსაყოფად, – დაამატა ბრილკამ, სრულიად დარწმუნებულმა თავის თავში, ჭიქა აიღო, ნიჟარასთან მიიტანა და შავი სითხის ნარჩენები გადალვარა.

შვება ვიგრძენი. ისეთი საღი, თითქმის ლოგიკური მეჩვენა მისი მსჯელობა. ჰო, ბრილვა მართალი იყო, მართალი უნდა ყოფილიყო. თითოეული წყევლისთვის – ყოველ შემთხვევაში ლეგენდებში ასე იყო – არსებობდა ჯადოსნური სიტყვები, რომლებიც მის მოქმედებას აჩერებდა, მას ძალას უკარგავდა. სტასიას რატომ არასდროს გაუთვალისწინებია ეს შესაძლებლობა?

ბრილვამ წყალი მოუშვა და უყურებდა, როგორ იხსნებოდა ბლანტი ყავისფერი სითხე გამჭვირვალე წყალში, სანამ მხოლოდ ვინრო, ნათელმა ზოლმა არ დაიწყო წრიულად ჩადინება მილში. მერე შემომხედა, დამშვიდებული სახე ჰქონდა, თანაგრძნობით გამიღიმა, თითქოს ნიშანს მაძლევდა, ნუ გეშინიაო, თითქოს იმისთვის მოვიდა ჩემთან, რომ ყველა წყევლისგან დამიფაროს ამქვეყნად. ითმენდა. ვგრძნობდი. ელოდა, როდის შევწყვეტდი წინააღმდეგობის განწევას, როდის გამიწყდებოდა მოთმინების ძაფი და თან წამიყოლებდა, ჩამითრევდა მოვლენათა ორომტრიალში, რომლის გაკონტროლება ჩემს ხელთ არ იყო. მელოდებოდა, როდის გამიჩნდებოდა პოზიცია, აღიარებასა და დაპირებას ელოდა ჩემგან. იმედი ჰქონდა, რომ უფრო მოხერხებულად და ეშმაკურად იმოქმედებდა, ვიდრე ამანი, რომელიც ვერ ეღირსა ჩემს აღსარებას.

ალბათ, უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ჩემი ცხოვრება აქამდე ცარიელი იყო, ეტყობოდა, რომ ელოდა, როდის გახდებოდა ჩემთვის საჭირო, როდის დამჭირდებოდა მისი სიახლოვე, მისი თავგანწირვა, მისი ნდობა. ელოდებოდა, რომ უარს ველარ ვიტყოდი ჩემს სურვილებზე. ალბათ, სჯეროდა, რომ თავისი მოთმინებით, შეუცვლელობით, თავისი ნებისყოფით შეძლებდა ჩემს გამოყვანას ამ გახევებული მდგომარეობიდან.

სახიფათოდ მოგვიახლოვდა მე და ჩემს კოშმარებს. ჯკუიდან გადამიყვანა. იქამდე მიმიყვანა, რომ ამანი შემაძულა, რომელმაც სულელური ულტიმატუმი წამომიყენა და მართო დამტოვა მასთან. იმაზე მეტი მომთხოვა, რისთვისაც იმ მომენტში ვიყავი მზად. ვერ ვიტანდი, დილაობით, შინიდან გასვლის წინ, გული რომ მიჩუყდებოდა აბაზანის კიდეზე გადაფენილი მისი ვარსკვლავებიანი ზონარის დანახვაზე, შუბლზე რომ ეკეთა ხოლმე, ვერ ვიტანდი მის ეულ კედებს დერეფანში. ვერ ვიტანდი, დილაობით ყავას რომ მიდუღებდა და ისე იქცეოდა, თითქოს გაუგებრობა იყო ამის მიზეზი, ვერ ვიტანდი, ფოსტას რომ იღებდა საფოსტო ყუთიდან და რეკლამას აცალკევებდა.

მისი მრავალფეროვანი ჩვევები შევისწავლე: მოხატული ქვებისთვის გვერდი უნდა აევლო, გუბეებში აუცილებლად უნდა ჩაებიჭებინა. როგორც კი შუქნიშანი წითლიდან ყვითელზე ირთვებოდა, სამამდე ითვლიდა და უხაროდა, რომ ბუსტად მაშინ, აუცილებლად მაშინ ინთებოდა მწვანე. წვიმა რომ წამოვიდოდა, ეს ღიღინს იწყებდა. ყურებზე იფარებდა ხელს,

როცა კარზე რეკავდა ვინმე. სამჯერ აკეთებდა აზიდვას, როცა რამის ეშინოდა და არ იმჩნევდა.

თუმცა მის ამ ვითომდა ირაციონალურ ქმედებებს მიღმა მე დიდი ხანია რაციონალური მარცვალი ამოვიცანი: ის პატარა ტრიუკები, რომელთა დახმარებითაც ყოველდღიურობას უმკლავდებოდა, მას პერმანენტული თუ წარმოსახვითი საფრთხისგან იცავდნენ – და ეს საფრთხე სხვა არაფერი იყო, თუ არა სიკვდილი. ბრილვას სჯეროდა, რომ იმ პატარ-პატარა ქმედებებით დაიცავდა მისგან თავს, ჭკუაში აჯობებდა. კარზე ხარი შეიძლებოდა რამე ცუდი ამბის მომასწავებელი ყოფილიყო. შექნიშნის ბედმეტად ნელ ან ჩქარ გადართვას შეიძლებოდა უბედური შემთხვევა მოჰყოლოდა. წითელი ფერის საჭმელს სწეულება გამოეწვია. წვიმა ჭექა-ქუხილში გადაბრდილიყო და ელვას მოეკლა ვინმე, და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. სულ არ მინდოდა, ტვინი მეჭყლიტა იმაზე, თუ რატომ ცხოვრობდა თორმეტი წლის გოგო სულ სიკვდილის შიშით. მაგრამ უკვე ვაკეთებდი ამას.

ამ ნევროზით როგორ ახერხებდა სკოლაში დღის გატარებას თავის თანატოლებთან ერთად, ჩემთვის გამოცანად რჩებოდა. არასდროს უხსენებია სხვა ბავშვები, რომელიმე მეგობარი, თანაკლასელი, მეზობელი, რომელთანაც რამე მაინც აკავშირებდა, ან ვინც ენატრებოდა. გაოცებული ვიყავი მისი გამოაგნებელი გულწრფელობით და იმავე დროს თავზარს მცემდა მისი მკვეთრი შეფასებები, ჩამოყალიბებული სტრუქტურები მის გონებაში. ზრდასრულივით მკაფიოდ აღიქვამდა მოვლენებს. მკვეთრად ჰქონდა გამიჯნული ჰო და არა. იქნებ მისთვის არ არსებობდა. არ იცოდა ყოყმანი, თავის შეკავება. ყოველთვის კარგად ესმოდა, რა უნდოდა და რა არა. თითქოს ზუსტი გეგმა ჰქონდა, სხვისთვის უხილავი, რომელსაც ბრმად მიჰყვებოდა. საკუთარი ხედვა, ცხოვრების მიზანი. მხოლოდ ცეკვის დროს, როცა მოძრაობდა, მხოლოდ მაშინ ივიწყებდა თითქოს იმ შეზღუდვებს, იმ ავის მომასწავებელ ნიშნებს, იმ რიტუალებს და გაფრთხილებებს. აღარ ანუხებდა, რომ შეიძლებოდა წვიმა წამოსულიყო და დაცემულიყო და ფეხი მოეტეხა, აღარ აინტერესებდა მოახლოებული უბედურება და ჩასაფრებული სიკვდილი. თავისუფალი და ლაღი ხდებოდა. ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში, შიშისა და შეზღუდვების გარეშე. როცა ცეკვავდა, ვრცელი, შესაძლებლობებით სავსე ასპარეზი ეშლებოდა.

ქუხდა. ვერ ვიძინებდი. ლოგინში ვწრიალებდი. ამანი მენატრებოდა და ამის აღიარება ისევე მიჭირდა, როგორც დაძინება. ავდექი, ფანჯრები გამოვადე, წვიმით გაჟღენთილი ჰაერი შემოვუშვი, ისევ დავწექი. მისი ხელები მახსენდებოდა, მისი თვალები, ისე მიყურებდა ხოლმე, თითქოს ხვალინდელი დღე აღარ არსებობდა, აღარ არსებობდა ვაცობრიობა და მარტონი ვიყავით. მახსენდებოდა ის ჩუმი, ალერსიანი თვეები, როცა ჩემთან მოვიდა და დარჩა. რა კარგად ვგრძნობდი თავს, რა ლაღად,

სანამ ტუტუცური არჩევანის წინაშე არ დამაყენა, ხომ იცოდა, რომ ამის გამკვეთებელი არ ვიყავი, რომ ეს იმედგაცრუების ტოლფასი იქნებოდა.

შემეშინდა, როცა კარში მდგომი ბრილკა დავინახე, ჩემი ძველი მაისური ეცვა, რომელზეც ორი კენგურუ იყო გამოსახული. არ გამიგონია, როგორ შემოვიდა ჩემს ოთახში, სხვა დროს ყოველთვის აკაკუნებდა, თუ რამე უნდოდა. შეშინებული ჩანდა და კარს ეკვროდა. თვალები გაფართოებული ჰქონდა, ხელები ყურებზე აფარებული, ნიკაპი უკანკალებდა – როგორც ატირების წინ ემართებოდა ხოლმე. წამოვხტი, პატარა მაგიდის ლამპა ავანთე და მივუახლოვდი.

– რა მოხდა, ბრილკა?

– ჭექა-ქუხილი... – ჩაიბუტბუტა.

პირველად დაუშვა, რომ მოვხვეოდი. ჩემს ლოგინთან მივიყვანე და გვერდით მივუწექი. ჩამეხუტა. ეტყობა ჭექა-ქუხილის დროს რიტუალები არ შველოდა.

– რისი გეშინია? რა უნდა დაგემართოს, ჩვენ ხომ უსაფრთხოდ ვართ!

– შენც ხომ გეშინია.

– მე მეშინია? ელვის?

– არა, ელვის არა. სხვა რამეების.

– ზოგჯერ, ალბათ, მეც მეშინია ხოლმე.

– რისი?

– რომ ისე არ წარიმართება ყველაფერი, როგორც მე დავგეგმე. რომ ჩემი საყვარელი ადამიანები ცუდად იქნებიან. რომ ვინმე მანყენინებს. რომ რაღაცები ჩემზე არ არის დამოკიდებული.

– მე განყენინე?

– არა, შენ არ მანყენინე.

მაგრად მომეხვია.

– დედაჩემმა განყენინა?

– ჩვენ ორივემ ვანყენინეთ ერთმანეთს. სამწუხაროდ, ერთად ცხოვრების დროს ტკივილი გარდაუვალია.

– ახლაც გრძნობ ტკივილს?

– არა.

– რატომ? შენ ხომ ცოცხალი ხარ?

– როგორც ჩანს, არც ისე.

საბანი თავზე გადაიფარა, ხელი მუცელზე შემომხვია და ჩაეძინა. მე მთელი ღამე ვდარაჯობდი.

შებინდებულზე წამოვედით შინ. ბრანდენბურგში მყავდა ბრილკა, კაროსა და მისი ახალი სიყვარულის საბაფხულო წვეულებაზე, მაგრამ იქ არ მინდოდა დასაძინებლად დარჩენა. ბრილკამ აშკარად გაილაღა, მთელი საღამო ინგლისურად ლაპარაკობდა და მანქანაში ჩასთვლიმა ჩემ გვერდით. სოფლის გზებით მივდიოდი, რადგან ავტობანზე საცობიაო,

გამოაცხადეს, და უცებ ჩემ წინ აღმოჩნდა შველი, შუა გზაზე. დავამუხრუჭე და დავასიგნალე, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია, გაუნძრევლად იდგა ჩემი ფარებით დაბრმავებული. თვალს არ გვაშორებდა, ისე მოგვჩერებოდა, თითქოს გვაფრთხილებდა. თანდათან ვუახლოვდებოდით, კინაღამ საჭე მოვატრიალე იმპულსურად, მაგრამ თავი შევიკავე და კიდევ უფრო დავანეჭი მუხრუჭს. ბრილკა გამოფხიზლებულიყო, ხმას არ იღებდა, ისიც ჩემსავით შველს მისჩერებოდა მონუსხული. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ შენელებული კადრივით მოძრაობდა ყველაფერი. შველი საოცრად ლამაზი იყო. მოქნილი და ხორბლისფერი. ალბათ, ძალიან პატარა იქნებოდა, ლამაზად ჩამოქნილი, ზედმეტად დიდი ყურები ჰქონდა. განცვიფრებული შევცქეროდი მის ყავისფერ, გრძელნაწმამებიან თვალებს.

რა სჭირს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ჩავვჭიდე საჭეს და იმედი დავიტოვე, რომ დროულად გავჩერდებოდი და არაფერს დავუშავებდი ცხოველს. იმ მომენტში მისი გადარჩენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მეჩვენებოდა. თითქოს ჩემი გადარჩენაც ამაზე იყო დამოკიდებული. ბოლო მძლავრმა ბიძგმა წინ გადაგვავადო და, როგორც იქნა, გავჩერდით, შველმა იმწამსვე ისკუპა და ჩაბნელებულ მინდორში გაუჩინარდა.

მუხლები მიკანკალებდა, მანქანიდან რომ გადმოვედი, აქეთ-იქით მაქანებდა. ბრილკა ისევ გაუნძრევლად იჯდა, ხმას არ იღებდა. იქით გავიხედე, სადაც შველი გაიქცა, მაგრამ სიბნელებში ვეღარაფერი გავარჩიე. მანქანას მივეყრდენი, სიგარეტს მოვუკიდე. და უცებ ამიტანა: ავჭვითინდი, თავი ვეღარ შევიკავე. გულისრევა მომანვა, ვერაფერს გავხედი. გავიგონე მხოლოდ, როგორ გაიღო მანქანის კარი, გავიგონე ბრილკას აჩქარებული ნაბიჯები, ვიგრძენი, როგორ მომეხვია. მივხვდი, რომ წინააღმდეგობას ვეღარ გავუწევდი. დავნებდი, მივენდე მის გაჩხინკულ მკლავებს, სასონარკვეთილი ჩავეხუტე, თავი ჩავმალე მის ყელში. სიბნელეს მივაშტერდი, ცრემლებისგან თვალეზამღვრეული წესიერად ვერაფერს ვხედავდი, სახის შემშრალეა არც მიფიქრია. მერე გზის პირას ვისხედით, ბრილკას ჩემი ხელი ეჭირა და ელოდა, როდის დამიბრუნდებოდა ამროვნების, მანქანის მართვის, სიცოცხლის უნარი.

- ვარგი, მე წაგიყვან. მე ჩაგიყვან თბილისში. ასე გაგრძელება აღარ შემიძლია. მე... ვეღარ... ჯერ ვენაში წავალთ და მერე იქიდან საქართველოში. მანქანით! რაკი ასე გინდა! მორჩა. აღარ მინდა. მეტი აღარ შემიძლია!

ამას შევპირდი, როცა ცოტა გონს მოვედი და ისევ საჭესთან დავჭექე. ტყუილად მეგონა, რომ სიხარულისგან აკვილდებოდა, ან მადლობას მაინც მეტყოდა. მთელი გზა ჩუმად იყო, იმედგაცრუებულს უფრო ჰგავდა.

მწველი და დახუთული ივლისის ერთ დღეს ჩემი მანქანა ბარგით გავტენეთ და დავიძარით.

მთელი ორი დღე მოვანდომეთ რუკების შესწავლას, ბრილკამ გადანყვითა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაემტკიცებინა, რომ კარგად შეეძლო გზის გაკვლევა. გამგზავრების წინა დღით ამანთან დარეკვის სურვილი ძლივს დავძლიე. გეგმას ჩავხედე, ბერნში უნდა ჩასულიყვნენ იმ დღეს. თუმცა რა უნდა მეთქვა მისთვის? რომ მენატრებოდა, რომ მის დახეულ მაისურში ვიძინებდი, რომ მისი ჭიქიდან ვსვამდი ჩაის, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე აბსურდულ მოგზაურობაში მივდიოდი, რომ ყველაზე მეტად შეპირებები მძულდა, რომ ბრილკასთვის სხვა, უკეთესი დასასრულის პოვნის იმედი მქონდა.

არ დამირეკავს.

ჯერ ვენაში უნდა ჩავსულიყავით. უცნაურად გახსნილი და თან ადელვებული ვიყავი. მგზავრობა მახარებდა და არა ჩასვლა. გზაში ბრილკა გამუდმებით მელაპარაკებოდა კიტი ჯაშზე, მის მუსიკაზე, მის ცხოვრებაზე. მისი ალბომები განიხილა, მისი სიმღერები მომასმენინა, ყურადღება გაამახვილა მისი კომპოზიციების ზოგიერთ ნიუანსსა და დეტალზე. ვენისკენ მიმავალი გზა იყო: კოკისპირული წვიმა და მრავალი საათი ავტობანზე. კიტი ჯაშის ალბომები და ბრილკას ეიფორიული ხმა. მომდევნო დღეების გეგმები და ვარაუდები. გაჩერებები ცხიმის სუნით აქოთებულ გზისპირა სასადილოებში, კამათი შესვენების ხანგრძლივობის თაობაზე და იმის გამო, რომ კიდევ ერთი სიგარეტი მომენია. ქალაქობანას მსგავსი სულელური თამაშები. დუმილი და შიგადაშიგ ბრილკას ჩაძინება, როცა მე ცალი თვალით ვამონებდი ხოლმე, რომ ძილის დროსაც კარგად ყოფილიყო. ვიყავით ჩვენ და წარსული, სადაც მე უნდა დავბრუნებულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ ბრილკას ეს მომავალი ეგონა.

მხოლოდ ჩვენ ორნი ვარსებობდით, სხვა ყველაფერი ქრებოდა ჩემ მიერ გავლილ ყოველ კილომეტრთან ერთად, მშორდებოდა, თითქოს არც უარსებია არასდროს. თითქოს ეს იყო ჩემი დანიშნულება, მისი მძლოლი გავმხდარიყავი და წამეყვანა იმ ცხოვრებაში, საითაც ის თავის გრძელ საჩვენებელ თითს იშვერდა.

ვენაში ჩავაღწიეთ. ამ ქალაქზე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს რაღაც საშინელების მოწმე გამხდარა, შიშისგან სუნთქვა შეუკრავს და მას მერე სუფთა ჰაერი აღარ შეუსუნთქავს.

ბრილკას ეიფორია სულ უფრო მატულობდა. ჩვენ მიერ არჩეულ პატარა სასტუმროსთან დავტოვეთ მანქანა და ტრამვაით წავედით ცენტრში. ფრენა-ფრენით და ხტუნვა-ხტუნვით მიიწევდა წინ, ხელებს ისრესდა, თავისი დიადი მიზნისთვის ემზადებოდა, ალბათ, ვერც კი იჯერებდა, რომ ამდენი მოახერხა, რომ მართლა შეძლებდა თავისი გეგმის შესრულებას. როცა ქალაქის რუკაზე ფრედ ლიბლიხის მისამართს ვეძებდით, გაკვრით ვკითხე, საიდან გაქვს-მეთქი. უბრალოდ ფონდში დავრეკეო, მიპასუხა. ლონდონში. ათასჯერ ავუხსენი, ვინ ვარ და რა

მინდა. მივწერე კიდევ, წერილებიც და მეილებიც. ბოლოს ერთ-ერთი ჩემი წერილი თუ მეილი ვენაში გადაგზავნეს და ფრედ ლიბლიხისგან პასუხი მომივიდაო. კონვერტი, რომელშიც ბარათი იდო თავისი მისამართით. „სულ ეს იყო. არაფერი მოუწერია. წარმოგიდგენია? უნდოდა, რომ ჩამოვსულიყავი!“ ამის მერე მივხვდი, რომ ვენაში უნდა წამოვსულიყავიო.

მე არ შევიმჩნიე, რამხელა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ასე დაჟინებით, მტკიცედ და მიზანდასახულად რომ უმოქმედია, რამდენად ვაფასებდი ამ თვისებებს.

ბრილკა ყოველ მეორე ქვის ფილას ახტებოდა, მისი ზურგჩანთა აქეთ-იქით ქანქარებდა, კუს ჰგავდა, რომელსაც მეტისმეტად დიდი ჯავშანი ჰქონდა. თმა გაეზარდა და ბლარბის ეკლებივით აღარ ედგა თავზე. ფეხზე ჩემი ფლიპ-ფლოპი ეცვა, გრძელი, ბალახის ღეროებივით ფეხები დაუბრკოლებლად მიიწვედნენ წინ, მის მოუსვენარ ტანთან შედარებით მყარად იყვნენ, თითქოს ყოველთვის იცოდნენ, საით უნდა წაეყვანათ თავიანთი პატრონი. ვერ ვძლებოდი მისი ცქერით. ცოტა ჩამოვრჩი, რომ კარგად მედევენებინა თვალი.

წამმარკვეტს მივადევით, ბრილკა ყოველი ქუჩის აბრას თავის რუკაზე ამოწმებდა, უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ სწორად იპოვიდა სახლს, რომ მალე მიაღწევდა დანიშნულების ადგილს. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მის მიზანს, მით უფრო მდუმარე, ჩაფიქრებული, დაძაბული ხდებოდა. მე მას მივყვებოდი, ვენდობოდი, რომ იპოვიდა, რასაც ეძებდა. ერთ სახლთან გავჩერდით, რომლის აივნები დაკუნთულმკლავებიან ტიტანებს ეჭირათ. ბრილკამ ყურადღებით წაიკითხა გვარები, სახე გაუნათდა. ბარს მიაჭირა თითი.

კარი მაშინვე გაიღო, თითქოს ჩვენს მოსვლას ელოდნენო, და მარმარილოსკიბიან სადარბაზოში შევედით. ბოლო სართულზე ფართო ხის კარი ღია დაგვხვდა. მორიდებულად შევედით, ბრილკამ წინ გამატარა.

ბინაში შესვლისთანავე საღებავის სუნი მეცა.

- არის აქ ვინმე? – დავიძახე სრულიად ცარიელი ოთახების მიმართულებით და ჩემი ხმა სხვადასხვა მხრიდან დამიბრუნდა უკან. პარკეტი ახალი გაპრიალებული იყო, კედლები ახალი შეღებილი, ბინა ახალი გარემონტებული ჩანდა. კარში შუახნის მოხდენილი ქალბატონი გამოჩნდა, მუქ ლურჯ საქმიან ტანსაცმელში ჩაცმული, მარგალიტის მძივი ეკეთა, მისი ხელოვნური ღიმილი მალე დაბნეულობამ შეცვალა.

- მე მახსოვდა, რომ ბატონი და ქალბატონი ლამბერტი იყვნენ ჩაწერილი ამ დროისთვის. ეტყობა რაღაც ამერია. ალბათ, ბინის დათვალიერება გნებავთ, არა?

მართალია, ბრილკამ გერმანული არ იცოდა და ვერ გაიგო მაკლერის ნათქვამი, სიტუაციაში მაშინვე გაერკვა და სახეზე იმედგაცრუება დაეტყო.

თითქოს დაპატარავდა, მხრებში ჩარგო თავი და ჩემ გვერდით პოლირებულ პარკეტზე გააცურ-გამოაცურა ფეხები.

- ბოდიშს ვიხდით შეწუხებისთვის, ჩვენ ქალბატონი ლიბლიხის სანახავად მოვედით. გვეგონა... - გავჩუმდი და ინტერესით მოვავლე თვალი ბინის ნათელ და ფართო ოთახებს.

- ქალბატონი ლიბლიხი ზუსტად ერთი თვის წინ გარდაიცვალა. ვწუხვარ. მე დავალებული მაქვს, დაინტერესებულ პირებს ბინა ვაჩვენო. მაკლერი გახლავართ, - და სავიზიტო ბარათი გამომიწოდა, თითქოს ჩემი ინტერესის გამომწვევა უნდოდა ბინის უკეთ დასათვალიერებლად, - იყიდება, - დააყოლა გამყიდველის ხელოვნური ღიმილით.

ბრილკამ გარდაცვალების შესახებ ნათქვამი გაიგო თუ არა, იმავე წამს მიტრიალდა და ოთახიდან გავიდა. მე ვერ მოვიფიქრე, რა მეთქვა, მაგრამ მაკლერმა დამასწრო:

- ქალბატონი ლიბლიხი ნათესავი იყო თქვენი?

- არა, ყოველ შემთხვევაში, ახლო ნათესავი არა.

- ძალიან თავნება პიროვნება გახლდათ. ოთხმოცს გადაცილებული იყო უკვე, მაგრამ ბოლო წუთამდე შეინარჩუნა ნათელი გონება და, - დიდხანს ვერ მოძებნა ზუსტი სიტყვა, - ასე ვთქვათ, მახვილი ენა, მართლაც რომ მწარე ენა ჰქონდა, რა დასამალია. მაგრამ ჩემთვის საყვარელი კლიენტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მოგახსენეთ, შეეძლო ძალიან თავნება ყოფილიყო.

- თავიდანვე ამ სახლში ცხოვრობდა?

- მას მერე, რაც ლონდონიდან გადმოსახლდა, კი. სხვათა შორის, მე ვაყიდინე მაშინ ეს ბინა. ზუსტად ჰქონდა წარმოდგენილი, რა უნდოდა, და არც გაუცრუვდა იმედი, როცა ჩამოვიდა. ნახა ბინა და დარჩა. იქ, გემოთ, კიბეს ხომ ხედავთ, იქ კიდევ ერთი სართულია, იქ იყო მისი სახელოსნო. მაგრამ უკანასკნელ წლებში თითქმის აღარ იყენებდა. ხელ-ფეხი აღარ ემორჩილებოდა.

- ახლობლები ჰყავდა? უვლიდა ვინმე?

- არა, არავინ. თუმცა ისედაც ვერ იტანდა ზედმეტ სიახლოვეს. მეზობლებთანაც იშვიათად ურთიერთობდა. მაგრამ მართოხელა კი არ იყო, ნამდვილად არა. არა, მისნაირმა ადამიანებმა ზუსტად იციან, როგორ გაატარონ დრო.

- და შემოსავალი?

წამით ეჭვით შემომხედა, მაგრამ როდესაც ნათესაობის არარსებობა აღვნიშნე, მაინც გადაწყვიტა, პასუხი გაეცა:

- ანდერძით ამ ბინის გაყიდვიდან შემოსული თანხა უნდა გადაეცეს ერთ კონკრეტულ ფონდს, კიტი ჯაშის ფონდს. ცნობილი მომღერალი იყო 60-იან და 70-იან წლებში და ქალბატონი ლიბლიხის მეგობარი. თავი მოიკლა, ოღონდ დიდი ხნის წინ, - გამიმხილა შეთქმულივით, თითქოს

თავის მოკვლის ფაქტი გადამწყვეტი იყო კიტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში.

- ესე იგი, ფონდს.

- დიახ, მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისთვის, ლონდონშია სათავო ოფისი. ძალიან სასიამოვნო თანამშრომლები ჰყავთ. მაგრამ ნება მიბოძეთ, გკითხოთ, თქვენ ვინ ბრძანდებით და...

სანამ ჩვენი ოჯახისა და ვენაში ჩამოსვლის ამბის მოყოლით უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, კარზე ხარი გაისმა და მორიგი კლიენტების მოსვლამ დამიხსნა ამ უხერხული მდგომარეობიდან.

ბრილკას დავუწყე ძებნა, მაგრამ ბინაში აღარ იყო. სანამ გავიდოდი, მაკლერს ჩავეკითხე, ზუსტად როდის გარდაიცვალა ქალბატონი ლიბლიხი-მეთქი, მერე გამოვთვალე. მედლინგში რომ ჩავედი და იძულებული გავხდი, ბრილკა ბერლინში წამომეყვანა, სამი დღის მერე. კიბეზე ჩავირბინე, კინალამ დავეტაკე ლამბერტებს და ბრილკა სახლის შესასვლელიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით აღმოვაჩინე ტროტუარზე მჯდომი, ხელებში სახეჩარგული. არ მინდოდა, ატირებულს მივჩერებოდი, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, გვერდით მივუჯექი. არც მიცდია, მოვფერებოდი ან უსარგებლო სანუგეშო სიტყვები მეთქვა ჩურჩულით. დაველოდე, სანამ თვითონ აწევდა თავს, შემომხედავდა და რამეს მკითხავდა. ღალატის ყრუ შეგრძნება დამეუფლა, საკუთარი თავით იმედგაცრუება დამეუფლა: რატომ პირდაპირ აქ არ წამოვიყვანე, ერთი თვის წინ, როცა ვენაში ვიყავით-მეთქი?

- მოკვდა, არა? – თავაუწევლად იკითხა ბრილკამ.

ჯერ დუმილით ვუპასუხე, მერე თავს მოვერიე და ვუთხარი:

- ზამთარში გარდაიცვალა. მაკლერს ვკითხე. ასე რომ, თავს ვერ ვუსაყვედურებთ. მაინც ვეღარ მოვუსწრებდით.

იშვიათად მიგრძნია ასეთი ზიზღი საკუთარი თავის მიმართ, როგორც იმწუთას, როცა ასე უნამუსოდ ვტყუოდი.

* * *

რა ამაღელვებელი გრძნობაა,
ლაღად რომ მიჰყვები დინებას.
ლერმონტოვი

იტალიის საზღვარს რომ გავცდით, მარტო მზის ფერი და ჰაერის სუნი კი არ შეიცვალა, არამედ ბრილკას სახის გამომეტყველებაც, რომელიც ვენიდან მოყოლებული აღარც მელაპარაკებოდა და აღარც მუსიკას მასმენინებდა, თავისი ყურსასმენებით განცალკევდა, თითქოს მსჯიდა ფრედ ლიბლიხთან ჩვენი დავგიანებული სტუმრობით გამონჭველი იმედგაცრუებისთვის. გაჩერებების დროს თავის საჭმელს კიდევ უფრო

მანიაკალურად ახარისხებდა და მხოლოდ მოკლედ მპასუხობდა. გადარეულივით წერდა რაღაცას თავის ბლოკნოტში, რომელიც მოკცილ მუხლზე ედო. დალაპარაკება შეუძლებელი იყო. ისეთ რამეებს აკეთებდა, რაც ბერლინში არ გაუკეთებია, მაგალითად, პირჭვარს იწერდა სამჯერ, თუ უბედური შემთხვევის ადგილს ჩავუვლიდით, ან პასტით ხუთ ვარსკვლავს იხატავდა ხელზე ყოველი საზღვრის გადალახვის დროს.

ცოტა რომ გამემხნეებინა, ფლორენციაში გავჩერდი, მშვენიერი სასტუმრო დავჯავშნე გზაში. იტალია კარგად მოქმედებდა მასზე, ალბათ, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში მიზანი არ გააჩნდა, რომელიც შეიძლებოდა მიუღწეველი დარჩენილიყო, არაფერს ელოდა იქ მზისა და სილამაზის გარდა. ქალაქი დავათვალიერეთ, ჩემი საყვარელი ადგილები ვაჩვენე, იტალიაში პირველი მოგზაურობისას რომ აღმოვაჩინე. მაგრამ ჩამქრალივით იყო, კი მპასუხობდა, როცა რაღაცას ვეკითხებოდი, თითქოს მადაზეც მოვიდა, მაგრამ თვითონ ინიციატივას აღარ იჩენდა. ვერც იტალიურმა ნაყინმა გაუღვიძა გრძნობები და ვერც ფერად შუქებში ჩაძირული ღამის ქალაქის ხედმა Piazzale Michelangelo-დან.

ერთადერთხელ გალღვა თითქოს წამით, როცა Piazza della Repubblica-ზე ქუჩის მუსიკოსი დავინახეთ, რომელიც ვიოლინოზე უკრავდა, და მის მელოდიას ააყოლა სხეული. გავჩერდი და დავაკვირდი: როგორც ადრე ამანთან, ახლაც თავის იდუმალ სამყაროში გადაინაცვლა, რომელიც მეც და სხვა მაყურებელსაც აჯადოებდა და იზიდავდა, თორმეტი წლის ბედნიერი გოგო, ორივე ხელით რომ ებღაუჭებოდა ცხოვრებას. მაგრამ ბერლინისგან განსხვავებით, სადაც ეს სანახაობა სიამაყითა და აღფრთოვანებით მავსებდა, იქ უკვე სიმწარე ვიგრძენი პირში, სინანულის გემო, რომ არ დავეხმარე, თავის მიზანთან არ მივიყვანე, მოვატყუე და იმედი გავუცრუე.

უკან რომ წამოვედით, ვეღარ მოვითმინე, იდაყვზე წავავლე ხელი და ვუყვირე, ჩემი ბრალი არ არის, მორჩი ჩემს დასჯას-მეთქი. ისევ ვიცრუე, რომ ფრედ ლიბლიხი რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო, არ გადავთქვი, თვითონაც დავიჯერე. მაგრამ ამ აფეთქებამაც ვერაფერი შეცვალა. ბრილკამ ყურადღებით მომისმინა, ერთი-ორჯერ დააფახულა თავისი ხშირი წამწამები და ხმის ამოუღებლად განაგრძო გზა სასტუმროსკენ.

როცა მეორე დილას გავიღვიძე, უკვე სასაუბმოდ იყო ჩასული, თავისი გაბერილი ბლოკნოტი კი საწოლზე დაეტოვებინა. შევყოყმანდი, მაგრამ რომ არ მელაპარაკებოდა, ამანაც მიბიძგა, ცნობისმოყვარეობამაც მძლია და ხელი ვსტაცე. შუაში გადავშალე, გადავფურცლე და ბერლინში შევსებული გვერდები ვიპოვე. ჩანაწერების უმრავლესობა მე მეხებოდა. მისი ჩამოსვლის შემდეგ თითქმის სულ მახსენებდა. არცთუ სასიამოვნო რამეები წავიკითხე საკუთარ თავზე. ზოგჯერ ისეთი გესლიანი ხდებოდა, ისეთი სარკასტული, ვერც კი ვიჯერებდი, რომ თორმეტი წლის გოგოს

ეკუთვნოდა ის სიტყვები. მაგრამ იმ მოკლე ჩანაწერებში, ნახევარ გვერდს რომ არ აღემატებოდა, სამაგიეროდ, საკმაოდ ზუსტად აღწერდა თავის ემოციურ მდგომარეობას, შემაშფოთებლად ღრმა მწუხარება გამოსჭვიოდა.

კითხვა განვავრდეთ, ვერ გავჩერდი. თითქოს ჯაღოსნური წიგნი იყო, წლების განმავლობაში რომ ვეძებდი და ვიპოვე, როგორც იქნა. გამჟღავნებულ საიდუმლოთა წიგნი. ისე ჩამითრია, რომ რვეულის დასაწყისს დავუბრუნდი. იქ სხვანაირი ჩანაწერები აღმოჩნდა, უფრო საქმიანი და ნაკლებად ემოციური. ყოველდღიურობა, ქორეოგრაფია, თუმცა ამ აღწერებმაც არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თავიანთი სიზუსტის გამო.

მერე კი წავაწყდი გვერდს, რომელიც ზამთარში იყო შევსებული და მხოლოდ ცალკეულ დაუმთავრებელ წინადადებებს შეიცავდა, ალბათ, ერთი თვის განმავლობაში ჩაწერილს. „მძულს ეს ყველაფერი. ისიც მძულს“. ორი დღის შემდეგ: „არ ვილოცებ, სანამ ბებია არ დამიმტკიცებს, რომ დედა მართლაც ღმერთთანაა“. მერე: „ალეკომ ისევ გამიშვა დღეს სკოლაში. უკვე ვედარაფერი მოვიფიქრე, რომ შინ დავრჩენილიყავი. ალექოს ვერ ვეტყვი, ვერ ვეტყვი, რა მიქნეს წინა კვირას ტუალეტში, თორემ ელენეს მოუყვება და ის კი იტირებს ან კიდევ უფრო მეტს ილოცებს“. გვერდი ასე მთავრდებოდა: „დღეს მისი წერილი მივიღე (მისი სამჯერ იყო გახაზული და ბევრი ძახილის ნიშანი ჰქონდა დასმული), ფ. ლ.-ს წერილი. ვიცი. დღეიდან ყველაფერი კარგად იქნება. ყველაფერი შეიცვლება“. რამდენიმე გვერდის შემდეგ ასეთი ჩანაწერები აღმოვაჩინე: „თუ ამ საღამოს სამჯერ ავირბენ და ჩავირბენ კიბეზე, ჭექა-ქუხილი ნამდვილად არ იქნება“. და: „თუ ელენე დღეს კატლეტებს შემინვავეს, მაშინ ხვალ ქაღალდის ნაკუნებს აღარ მომაცერიან სკოლაში“.

ალბათ, ვენაში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე გააკეთა ეს ჩანაწერი: „და როცა უკვე უფლებებს მოვიპოვებ, დავურეკავ და ვთხოვ ჩამომაკითხოს, თუ მანამდე ბებია არ შეატყობინებს. ეს იმაზეა დამოკიდებული, როდის აღმოაჩენენ სასტუმროში ჩემს გაუჩინარებას. დღეს უკვე ვიპოვე ინტერნეტში იაფი ბილეთი. მერე მასთან ჩავალთ და მერე, როცა ცოტახანს ერთად დავყოფთ, ცოტათი რომ გამიცნობს, მხოლოდ ამის მერე ვკითხავ. ჯერ ზუსტად არ ვიცი, როგორ, მაგრამ აუცილებლად ვკითხავ. იქნებ ასე: არ გინდა სიუჟეტი დამინერო ჩემი ქორეოგრაფიული წარმოდგენისთვის? თუმცა შეიძლება რამე უკეთესი მომაფიქრდეს.“

ისეთი ბედნიერი ვარ. მალე, მალე, უკვე მალე“.

უკანასკნელი ჩანაწერი, რომელიც წავიკითხე, სანამ ცრემლებმა დამაბრმავა, ასეთი იყო: „თუ ვ.-ში მოვახერხებ ჩასვლას, თუ ბებია დაურეკავს და ის ჩამომაკითხავს, თუ თან წამიყვანს – მაშინ არ მოვკვდები“.

ასე რამ დამაბრმავა? როგორ გამოძრჩა ის, რაც ზედაპირზე იდო? როგორ შემედლო ბრილკას არსებობის უგულებელყოფა მთელი ამ წლების განმავლობაში? საკუთარი უნარობით გაშემებული და გაკავებული რატომ ვიქცეოდი ისე, თითქოს ის არც არსებობდა? ბრილკა, რომელიც მტკიცედ გაუდგა გზას ახალი, უკეთესი ისტორიის საძიებლად თავისთვის და თავისი აჩრდილებისთვის?

მაშინ, მანქანაში, სოფლის ჩაბნელებულ გზაზე, როცა დროულად მოვასწარით გაჩერება და იმ ლამაზ ცხოველს არ გადავუარეთ, უნდა ამეხსნა ბრილკასთვის, რომ ჩემი ცრემლები და ცუდად გახდომა იმით კი არ იყო გამოწვეული, რომ კინაღამ ცოცხალია არსება მოვკალი და შემეშინდა. არამედ იმით, რომ მოულოდნელად გავაცნობიერე, თურმე სიყვარულის უნარი შემრჩენია. მისი სიყვარულის.

რატომ არ ვუთხარი, რომ ნეკნებს შორის სიცარიელით მერჩინვა ცხოვრება, ვიდრე დაუსრულებელი, გამანადგურებელი შიშით, რასაც ეს გრძნობა მიჩენდა. რატომ არ მეყო გამბედაობა ამეხსნა მისთვის, რომ ეს სიყვარული, რომელიც მისი სახით მემუქრებოდა, სიცოცხლის სამიშროებას მიქმნიდა. რომ ძალიან კარგად ვიცოდი, რამხელა სიძულვილს დამიტოვებდა, თუ როდისმე გაქრებოდა, და რა იოლად და სწრაფად გადაიქცეოდა დამანგრეველ ძალად, თუ აღარ იარსებებდა პიროვნება, რომელსაც ეს სიყვარული ეკუთვნოდა, ან საპასუხო გრძნობის უნარს დაკარგავდა. როგორ შეედლო მერე ამ სიცარიელეს ადამიანის მოსპობა.

თან ვერც ვხვდებოდი, როგორ უნდა გამეჩინა მისთვის წინააღმდეგობა? როგორ უნდა გამედლო მასთან ერთად მოვარდნილი ტალღისთვის? როგორ უნდა შემეჩერებინა არმია, რომელსაც ის ჩემს ცხოვრებაში შემოუძღვა? რა უნდა მექნა, რომ მასთან ერთად ჩემს კარში ჩემი ფერადთვალეა დის სახე არ შემოსულიყო და სტასია თავის კარტის მოთამაშე აჩრდილებიანად, კოსტია თავისი მოშხამული მწუხარებით, კიტი თავისი, ჩემთვის უცნობი და ცოტა არ იყოს შემადრწუნებელი სიმღერებით, მისი ძველი მეგობარი ინგლისის სანაპიროდან, ქრისტინე და მისი გაშიშვლებული სახე, როგორიც სიცოცხლის უკანასკნელ საათებში იყო. დავითი და მისი ძენკვი. დედაჩემი და მისი უსიცოცხლო თვალები, როცა საყვარელი შვილი გამოიტირა. ჩელო და ჩემს საჯდომზე აწებებული მისი ტიტველი ბარძაყები მიტოვებულ სტამბაში. მთელი არმია გადამივლიდა, რომლის წინაშეც უძლური ვიქნებოდი.

როგორ უნდა ამეხსნა ბრილკასთვის, რისი გემო ჰქონდა ცხოვრებას მას მერე, რაც სხვენიდან გადავარდნილი უმოძრაო დარია დავინახე? რისი გემო ჰქონდა ჩემს შიშს, რომ დავბრუნდებოდი და ველარაფერს ვიპოვიდი იქიდან, რასაც ოდესღაც ჩემს ნაწილად აღვიქვამდი? აღარაფერი დამხვდებოდა, რაც მიმიღებდა, შემეფარებდა, მომეხვეოდა? აღარაფერი, რაც საკუთარ თავს გამახსენებდა, ისეთს, როგორიც ვიყავი,

სანამ სამყარო, ჩემი სამყარო, ჩვენი სამყარო, რომელშიც მაშინ ვცხოვრობდით, თავზე არ დაგვეწვინა და აღარაფერი დაგვიტოვა მტკრის, საფლავებისა და მკვდარი ოცნებების მეტი? მართლა ხალხიასავით იყო ეს ცხოვრება, რომლის ორნამენტის წაკითხვაც შეიძლებოდა? მაშინ მე რატომ ვერ შევძელი?

ადრიატიკის გასწვრივ მივქროდით. დროს ვანანევრებდით. აღარ გვჭეროდა მისი, ჩვენ-ჩვენი გვქონდა. ჩვენს მოგონებებს მივსდევდით, ოღონდ ჯერ არ ვიყავით მზად, ერთმანეთისთვის გავგვზიარებინა ისინი. მანქანას ვაჩერებდით და პატარა, განმარტოებულ სანაპიროებზე ჩავდიოდით საცურაოდ. თავიდან ზღვა აფრთხობდა, მერე და მერე კი მომენდო. შორს შევდიოდით. მზეს შევცქეროდით, როგორ გვეაღერებოდა წყალქვეშ.

ერთ სანაპიროზე ბარისთან თავისი ყურსასმენები ჩამომაცვა და იმდენი ქნა, რომ ამაცეკვა. მამხნევებდა, მაჩვენებდა, როგორ დამეჭირა სხეული, თავისი საქმის ოსტატი ბრილვა და მე, მისი მორჩილი მონაფე. ფანტის სმა დავინწყე და მას მივანდე გზის ვაკვლევა. ბრინდისიდან ბორანიტ გადავედით და ვაკვირდებოდით, მაღალი ტალღები როგორ ებრძოდნენ წვიმას.

საბერძნეთში ისევ მანქანაში ჩავსხედით და მთელი ქვეყანა გადავჭვრიეთ, პატარა სასტუმროებსა და პანსიონებში გვეძინა. იქ, როგორც იქნა, დაიბრუნა თავისი სილაღე და სიხალისე. თესალონიკში ჩავედით და სამი დღე დავრჩით. შევექცეოდით ნაყინს, თეთრს ან ყვითელს. თუმცა თავს უფლება მისცა და ერთი ბურთულა ჟოლოს ნაყინიც გასინჯა – მანამდე წითელს ტაბუ ედო. სიამაყით ვადევნებდი თვალს, როგორ სძლია თავის შიშს.

თურქეთში ისევ დაინყო შევითხვების დასმა. ახლა უფრო გულწრფელად ვანვლიდი ინფორმაციას, მისი შევითხვები აღარ მაშინებდა. როდესაც შავ ზღვას მივალნიეთ, უცებ ტირილი აუვარდა და მე იძულებული გავხდი, ბენზინგასამართთან გამეჩერებინა მანქანა. ბრილვა გაიქცა, ტუალეტში ჩაიკეტა და ერთი საათი მალოდინა.

ხელი არ შევეშალე მწუხარებაში. მწუხარებაში საზღვრების გამო, რომლებიც ისევ შესამჩნევი გახდა შავი ზღვის სიმუქის გამო. არ დავუშალე მწუხარება, ჩვენი მიზანთან მიახლოებიდან გამონვეული, რომელიც, როგორც უკვე ვიცოდი, სულაც არ წარმოადგენდა მის მიზანს, როცა ამსტერდამის სასტუმროს ტოვებდა. ჩვენი ფანჯრების მიღმა ლანდშაფტი შეიცვალა. წყალი შეიცვალა. სხვანაირი ყურეები, ქუჩები, ადამიანები გამოჩნდნენ. ჩვენც სხვანაირები გავხდით, თუმცა სიტყვებით ამას ვერ გადმოვცემდით. ხოფასთან გადმოვკვეთეთ საქართველოს საზღვარი და მთა-გორიან, მიხვეულ-მოხვეულ გზას დავადექით, ხეობები გადავლახეთ, ბამბუკის ტყეები და ფიჭვნარი გავიარეთ და ბოლოს ბათუმში ჩავალნიეთ. იქ ოთახი ვიქირავეთ და მთვარის სუსტი ყვითელი

შუქით განათებულ სანაპიროზე გავედით, რომელიც სრულიად ცარიელი აღმოჩნდა. დავსხედით და წყალში კენჭების სროლა დავიწყეთ. ორივეს გვეშინოდა აღიარება, რომ ჩვენი მოგზაურობის დასასრული გვაფრთხობდა.

- აბა, როგორია? – მკითხა ცოტა ხნის მერე ბრილვამ.
- რა როგორია?
- დაბრუნება? გრძნობ რამეს?
- ჯერ ცოტა დრო მჭირდება, რომ გემო გავუგო აქაურობას.
- ხვალ რამხელა გზა გვაქვს კიდევ გასავლელი?
- დროულად თუ გავალთ, საღამოს ჩავალთ.
- და შენ რამდენი ხანი დარჩები კიდევ?
- ჯერ არ ვიცი. უნდა...

გავჩუმდი. ვიცოდი, რომ ბრილვაც კარგად ხვდებოდა – ჩემთვის უნდა აღარ არსებობდა. ყოველგვარი „უნდა“ მაშინ დამთავრდა, როცა მანქანაში ჩავჯექი მასთან ერთად. რომ ჩემმა ცხოვრებამ გადმოინაცვლა აქ და ახლა, მის გვერდით, ჩემს მანქანაში, ამ გზებზე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, მაშინაც გავჩუმდი. ვერ ვუთხარი. ჯერ კიდევ ძალიან მეშინოდა იმის, რასაც ის ჩემში აღვიძებდა.

მოსაღამოვებულზე გავედით თბილისში.

* * *

საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო, გულამოსკვნილი ვსტიროდი: სადა ხარ, ჩემო სულიკო? აკაკი წერეთელი

ორი კვირა დავრჩი მწვანე სახლში. დედაჩემი თავს მევლებოდა, ალექო ნარდს მეთამაშებოდა. ბორცვებზე ავდიოდი და ჩამოვდიოდი. ალუბლის ხესთან აჩრდილებს დავეძებდი. სხვენზე ვი, რომლის კარიც უკვე სამუდამოდ ჩაეკეტათ, არ ავსულვარ. ქალაქში ჩავდიოდი, ვიჯექი ახალგახსნილ კაფეებსა და რესტორნებში, ქუჩებში დავხეებებოდი. აღარც იმის გაგონება მინდოდა, რაც ქალაქს ჰქონდა ჩემთვის სათქმელი და ჩემი აღსარებაც ჩემთვის დავიტოვე. გავიკითხე იმ ადამიანების შესახებ, ვისაც ადრე ვიცნობდი. გაუბედავად ვიხედებოდი უკან. აღარ ვებმებოდი პოლიტიკურ საუბრებში ალექოსთან, რომელსაც მიაჩნდა, რომ ქვეყანა უკეთესობისკენ მიდიოდა, რომ ახალი პრეზიდენტი დასავლურ ფასეულობებს იცავდა, რომ მის ახალგაზრდა გუნდს უნარი შესწევდა ერთხელ და სამუდამოდ გამოეგლიჯა საქართველო რუსეთისთვის და ევროპისკენ წაეყვანა.

ის ადგილები მოვიარე, სადაც ადრე ყოველდღე დავდიოდი, მოვძებნე ქუჩები და შენობები, კარგად რომ ვიცნობდი, მაგრამ აღარ მეცნობოდა.

მხოლოდ ბრილკასთან გატარებული საათები, ის სადამოები, როცა მის ცეკვას ვუყურებდი, როცა ერთად ვჭამდით, როცა რამეს მაჩვენებდა, რაც მისთვის მნიშვნელოვანი იყო, როცა დილას მაღვიძებდა და მექაქანებოდა – მხოლოდ ეს მიქმნიდა შინ ყოფნის განცდას.

ერთხელ სადამოს ავკრიფე ნომერი, რომელიც ჯერ კიდევ ბეპირად მახსოვდა და ლანას ხმა გავიგონე. ძლივს მიხვდა, ვინ რეკავდა. მერე დამიწყო მტკიცება, რომ ძალიან ვენატრეობდი და ძალიან გაუხარდა ჩემი ხმის გაგონება. ხო, ალბათ, საფრთხეს აღარ წარმოვადგენდი მისი შვილისთვის და ის კილომეტრები და წლები, რომლებიც ჩვენ გვაშორებდა, ამის გარანტიად მიაჩნდა. როცა ბოლოს მირო მოვიკითხე, მომიყვა, ისეთი დაკავებულიაო, მაგრამ მერე მაინც ჩამაწერინა მისი მობილურის ნომერი და სადილზე დამპატიჟა, რაზეც ზრდილობიანად ვუთხარი უარი. რა თქმა უნდა, ადვილია ჩემი სიყვარული, როცა შორს ვარ. მიროს დავურეკე და მეორე დღისთვის დავთქვით შეხვედრა ძველი ქალაქის ერთ-ერთ კაფეში.

თავიდანვე დისტანციური იყო, მრავალმნიშვნელოვნად ატრიალებდა ხელში თავისი მანქანის გასაღებს და უცხო სუნამოს სურნელს აფრქვევდა. პირველივე წამიდან მხოლოდ თავის სამსახურზე ლაპარაკობდა, პატარა სამშენებლო ფირმა მაქვს, ფანტასტიკურად მიდის საქმე, რადგან ახლა მშენებლობის ბუმიო. მომიყვა თავისი მოგზაურობების და მთლიანად საქმისადმი მიძღვნილი ცხოვრების შესახებ, რომელშიც ყველაფერი თითქოს უხვად იყო, გარდა თავად ცხოვრებისა. ჩემთვის არაფერი უკითხავს, თითქოს ემინოდა, ისეთი რამე არ მეპასუხა, რაც წონასწორობას დააკარგვინებდა. რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის მიერ შექმნილი ბედნიერი, ურყევი კაცის ხატს. კარგა ხნის მერე მთელი ეს ცირკი მაინც ვეღარ ავიტანე, ფრთხილად შევეხე ხელზე და ვკითხე, როგორ ხარ-მეთქი.

- ამას არ გიყვები ახლა, როგორც ვარ?! – მიპასუხა ნერვიული ღიმილით.

- ამ სისულელეებს გულისხმობ? მე გეკითხები, როგორ ხარ-მეთქი, მირო? შეგიძლია, თავს ძალა დაატანო და უცხოდ მომაჩვენო თავი, მაგრამ მე არასდროს გამიჩინდება ასეთი გრძნობა შენ მიმართ.

- სულაც არ ვატან თავს ძალას...

- მეგონა, ათასი კითხვა მქონდა შენთან, მაგრამ, მგონი, აღარც ერთი აღარ მაქვს.

- ჰოდა, ძალიან კარგი.

- უბრალოდ, მინდოდა, მენახე, გამეგო, როგორ ხარ. აქ სასაყვედუროდ არ მოვსულვარ.

- ჩემთვის რა უნდა გესაყვედურა?

- იქნებ ის, რომ ჩემს სულიერად გაუნონასწორებელ დას აკოცე, ან მარტო რომ დამტოვე მატარებელში, რომლითაც ერთად ვაპირებდით გამგზავრებას, იქნებ ის, რომ დიდი ტკივილი მომაცენე?

- აი, ხედავ, დაიწყო ისევ საყვედურები... მოდი, არ გვინდა, რა.

- მაინც სად წახვედი, მირო, მატარებლიდან რომ ჩახვედი?

წამით შემომხედა თავისი დიდი თვალებით, წამით მომეჩვენა, რომ რაღაც ძალიან ახლობელმა გაიელვა მათში, მაგრამ მერე ისევ ნეიტრალური, არაფრისმთქმელი გამომეტყველება მიიღო, მე თვალები დავხარე.

- რა ქენი ფილმზე? – ვკითხე, სანამ წამოვდგებოდი.

- რომელ ფილმზე?

- რომელ ფილმზე? – გავიმეორე გაოგნებულმა.

- ა, ის ფილმი, ჰო. ნიცა, შენ რა, ვერ ხვდები, რა დროში ცხოვრობ?

- გამეცი პასუხი, ძალიან გთხოვ!

- აღმოჩნდა, რომ საცავში მასალა დაზიანდა. ეტყობა, ძალიან ნესტიანი ადგილი იყო. დიდი ნაწილი ისევ გაფუჭდა, რომ აღდგენა შეუძლებელი გახდა.

წამოსვლამდე ორი დღით ადრე ბრილკასთან ერთად მოვინახულე ქრისტინეს, სტასიას, კოსტიასა და დარიას საფლავეები. მუხის ჩრდილში ვისხედით და საფლავის ქვებს ვუყურებდით. მე ცივ ლუდს ვსვამდი, ბრილკა „ფანტას“ წრუპავდა. ჩვენ ირგვლივ სიცხე, სიცარიელე და სიჩუმე იყო.

- არ მინდა აქ დარჩენა, – თქვა უცებ და ბალახის ღერო მოწყვიტა.

- ვი მაგრამ, სკოლაში ხომ უნდა იარო და ცეკვაზეც და...

- შენთან წამიყვანე.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბუსტად ვიცოდი, რა პასუხი უნდა გამეცა, მაინც გავჩუმდი.

- როგორმე ვიპოვი გზას და კიტის სიმღერებზე უფლებებს მოვიპოვებ.

საკუთარ თავს ეჭიდავებოდა, საკუთარ თავმოყვარეობას, კიდევ ერთხელ იმედის გაცრუების შიშს, და მაინც სძლია თავს, იმიტომ რომ, ჩემგან განსხვავებით, მამაცი იყო.

- დამინერ ამბავს?

- რა ამბავს?

ვითომ არაფერი ვიცოდი. ხომ ვერ გამოვუტყდებოდი, რომ მისი რვეული წავიკითხე. უარეს საფრთხეში ჩავიგდებდი თავს, შემიძულებდა.

- კიტიზე და ამ ყველაფერზე. მერე მე ამისგან ქორეოგრაფიას დავდგამ.

- არ შემიძლია.

- აუ, ხანდახან მეზიზღები! – მიყვირა და წამოხტა, – მაშინ წადი. თავი დამანებეთ ყველამ!

მორთო უცებ ისტერიული კივილი.

- ბრილვა, შენ ისეთი ადამიანები უნდა გყავდეს გვერდით, ვინც მოგივლის, სტრუქტურები გჭირდება და მშვიდი ყოფა, მე ამას ვერ შევძლებ. ჩემი პრობლემებიც მეყოფა. ხომ ნახე, როგორ ვცხოვრობ. ბრილვა, გთხოვ, შემომხედე!

- თქვი, რატომ არ ამბობ! გამოტყდი! ნუ მატყუებ, როგორც ყველა დანარჩენს, ამანს და დედაშენს და ალევოს და მთელ მსოფლიოს და საკუთარ თავსაც - და, ალბათ, დედაჩემსაც ატყუებდი! - სახეში მომახალა გაცოფებულმა.

- რა უნდა ვთქვა? რაში უნდა გამოვტყდე, ბრილვა?

- რომ არ გინდივარ. არაფრით არ ხარ უკეთესი. სხვებზე უარესიც კი ხარ. ბევრად უარესი. მითხარი მაინც, რომ არ გინდივარ, რომ არც არასდროს გინდოდი!

- კი მაგრამ, ბრილვა, ეს ხომ ტყუილია... მოიცა, გაჩერდი!

საფლავებს შორის გარბოდა უკვე. გავვიკიდე.

- ისევ იტყუები! უბრალოდ შემეშვი, მოშორდი. წადი აქედან. ისედაც ყველაფერი ჩამეშალა, რაც მინდოდა!

- გაჩერდი, ბრილვა!

თავისი ცრემლების დამალვა უნდოდა ჩემგან. მის ტირილს ვერ ვიტანდი. ვერც ჩემს ტყუილებს. ისე მინდოდა, სხვა რამე მიმეცა მისთვის და არა ჩემი დამანგრეველი პასუხები. მაგრამ ძალიან მეშინოდა, რომ გამომაცოცხლებდა - ვერ ვხვდებოდი, რომ უკვე მოახერხა ამის გაკეთება.

იმ დღეს, როცა აეროპორტში მივდიოდი - მანქანა ალევოს დავეუტოვე, რომ უკანა გზაზე არ დაშლილიყო - ბრილვა ვერსად ვიპოვეთ. ვერ გამოვემშვიდობე.

* * *

მე წიგნი ვარ და არ შემიძლია საკუთარი თავის წაკითხვა.

ბარნარდი

ბერლინში ზუსტად ათი დღე ვცდილობდი ჩემს ძველ ცხოვრებაში დაბრუნებას. მერე, როცა მტკივნეული სიცხადით დავინახე ამ განზრახვის უაზრობა, მცდელობა აღარ გამიგრძელებია.

სამსახურიდან წამოვედი. ბინიდან წამოვედი. სახელოსნოს დავემშვიდობე. სარდაფი ვიქირავე და იქ გადავიტანე, რაც გამაჩნდა. სევერინს ვთხოვე, რამდენიმე კვირა შენთან დავიძინებ-მეთქი. ამანს მეილი მივწერე, პატიება ვთხოვე და შევპირდი, რომ ყველაფერს ავუხსნიდი, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემოდა. ავუხსნიდი, რატომ ვერ ვიძლეოდი დაპირებებს და ვერ ვასრულებდი მათ. დავდიოდი

ბარებში, საწყობებსა და კერძო ბინებში, სადაც პოკერს თამაშობდნენ და ფულს ვაგროვებდი. ოქტომბრის დასაწყისში იმდენი შევაკონინე, რომ ინგლისში გადასაფრენად მეყო.

- ვიცოდი, რომ ისევ მოხვიდოდით.

ამ სიტყვებით გამიღო კარი გიორგი ალანიამ.

- მომიყვით ყველაფერი, ყველაფერი, რაც გახსოვთ, ყველაფერი, რაც თქვენ გეხებათ და ჩემს ოჯახს. თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, დიქტოფონს ჩავრთავ, - ამ სიტყვებით მივესალმე.

ასეც მოიქცა. და მე ერთ კვირაზე მეტი გავატარე მასთან.

ამის შემდეგ ლონდონში გავფრინდი და ემის შევხვდი ერთ-ერთ მოხუცებულთა თავშესაფარში, ნოთინგ ჰილში. ალანიამ დამაკავშირა მასთან.

ემი ფონდში წამომყვა. მას და ფონდის თანამშრომლებს ჩემი თხოვნა გავაცანი. ალანიასა და ემის დახმარებით, და, ბუნებრივია, იმიტომაც, რომ კიტის შთამომავლებიდან ცოტანილა შემორჩნენ ცოცხლები და ბრილკა კი ერთ-ერთი მათგანი იყო, მალევე მივიღე თანხმობა. იურიდიული საკითხები გავარკვიეთ, მერე ხელშეკრულებები გადმომცეს: ბრილკა ჯაშს ექსკლუზიური უფლება ეძლეოდა კიტი ჯაშის თითოეული სიმღერის ნებისმიერ ქორეოგრაფიულ წარმოდგენაში გამოსაყენებლად.

მერე ვენაში გავფრინდი, პატარა ოთახი ვიქირავე და წერა დავიწყე. როცა ფული გამითავდა, მოვიძიე და ვიპოვე ადგილები, სადაც პოკერს თამაშობდნენ. რამდენიმე თვე დავყავი ვენაში, მერე ბარგი ჩავალაგე და სანქტ-პეტერბურგში გავფრინდი. იქაც ოთახს ვქირაობდი, ვწერდი და ვთამაშობდი.

არავინ იცოდა, სად ვიყავი. არავისთვის დამირეკავს, არავისთვის მითქვამს მისამართი, ახლო ურთიერთობას არავისთან ვაბამდი და მხოლოდ იმ ადგილების მოსახელებლად დავდიოდი, რომლებიც ჩემი მოსაყოლი ამბისთვის იყო საგულისხმო.

არც ბრილკას შევხმიანებია.

სანქტ-პეტერბურგიდან მატარებლით წავედი მოსკოვში. რომელიღაც გაპარტახებული კორპუსის მერვე სართულზე გავაგრძელე წერა. გიორგი ალანია მოსკოვურ კვლევამიც დიდად დამეხმარა. თავის ყოფილ კოლეგებსა და მეგობრებთან მიშუამდგომლა, მათ შემივსეს დანაკლისი და ჩემთან ერთად ეძებდნენ პასუხებს, თავიანთი არქივები გამიხსნეს.

მოსკოვიდან ისევ ბერლინში დავბრუნდი, სადაც აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტს შევხვდი, ჩემი პროექტის შესახებ ვუამბე და ვთხოვე, მისი პირადი არქივის ნახვის საშუალება მოეცა. დამთანხმდა.

მერე პრაღაში ვიყავი. პრაღიდან ისევ მოსკოვში წავედი. მოსკოვიდან ისევ ლონდონში.

წელიწადზე ცოტა მეტი გავგრძელდა ჩემი მოგზაურობა. ერთი წლის განმავლობაში ყოველდღე ვფიქრობდი ბრილკაზე. მთელი წელი

დაუღალავად ველაპარაკებოდი გონებაში. მთელი წელი დღე და ღამე ვწერდი, სიტყვებით ვცხოვრობდი, იმ დღეებსა და ღამეებს პოკერის თამაშსა და საწერ მაგიდებს შორის ვანაწილებდი, ერთი უცხო ოთახიდან მეორეში გადავდიოდი. თანდათან დავმშვიდდი ასე თუ ისე. წერის დროს იძულებული ვაგხდი, თავიდან აღმომეჩინა გრძნობები. როგორც მძიმე უბედური შემთხვევის შემდეგ სწავლობენ ადამიანები სიარულს ან ლაპარაკს.

წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა ბრილკასთან ერთად საქართველოს საზღვრის გადაკვეთის დღიდან, როცა ჩემი წიგნი დავასრულე. ბრილკას წიგნი. სანამ ბერლინში დავბრუნდებოდი გამზადებული თხზულებით ხელში, ალანიას გარდაცვალების ამბავი გავიგე. ემიმ მომწერა. მისი უკანასკნელი სურვილი ყოფილა, დაეწვიათ მისი ცხედარი და ფერფლი ქარისტვის გაეტანებინათ იმ ყურეში, საიდანაც კიტი ჯაშმა შეცურა წყალში და უკან აღარ დაბრუნდა. შვიდი დის კონცხზე ჩავედი. იქ, იმ სანაპიროზე, კლდეებს შორის მდგომმა წლების მერე პირველად ვიგრძენი რაღაც იმედის მსგავსი.

ბერლინში ჯაბკლებში წავედი, სადაც ისევ გამოდიოდნენ „ბარონები“. თვალდახუჭულმა ვუსმინე მათ ჯემ სეიშენს. ამანს ადრინდელივით ჩავარდნილი აღარ ჰქონდა ლოყები და აღარც უაზროდ აცეცებდა თვალებს. მისი გამოსვლის შემდეგ უკანა გასასვლელთან გამოვიჭირე, ვიცოდი მისი ჩვევები. როცა გამოვიდა და სიგარეტი ჩაიღო პირში, სანთებელა გავუწოდე.

- მალე დავბრუნდები, - ვუთხარი.

- რას ჰქვია: მალე დავბრუნდები? აქ არ დგახარ?

- სამ დღეში ისევ მივდივარ, მაგრამ მერე დავბრუნდები და უკვე აქ ვიქნები.

- კარგად გამოიყურები, ნიცა.

- კარგადაც ვარ. შენც კარგად გამოიყურები. გამოტყდი, სერიოზულია რამე?

- რას გულისხმობ?

- რას და შენს პერანგს და ოდეკოლონს... ამის მიღმა ვილაც ხომ უნდა იდგეს. რათ, სერიოზული ამბავია? რა იყო, არც მიფიქრია, რომ ჩემი ერთგული დარჩებოდი.

- შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, სერიოზულია თუ არა?

- არასდროს გიპასუხია ჩემთვის შეილზე.

- შენ კი საერთოდ არასდროს გიპასუხია ჩემთვის.

- ასეა, მართალი ხარ. არასდროს მიპასუხია შენთვის. მაგრამ მე არავისთვის მიპასუხია.

- მიხარია შენი ნახვა, - მითხრა და ხელი მომხვია.

თავი ნიკაპზე მივაღე და წამით ასე გავშეშდი.

- პასუხი ვალად მრჩება. მესტუმრე, რა, როცა დავბრუნდები.

სიგარეტის კოლოფზე ჩემი ახალი მისამართი დავუწერე ფრიდრიხსჰაინში და გავუწოდე. ყოყმანით გამომართვა. უცებ გაიცინა და თავი გაიქნია.

- ჰო, ვალები ბევრი გაქვს ჩემთან დაგროვებული.

- მე ყოველთვის ვისტუმრებ ვალებს.

გავუღიმიე და უკან-უკან წავედი.

- ეი, სად მიდიხარ?

- ხომ გითხარი, დავბრუნდები-მეთქი.

- როდის?

- მალე.

- ვიცი მე შენი მალე, ბოლოს ეგ მალე წელიწადზე მეტს გაგრძელდა. რა ვიცი, დაგხვდები კიდევ აქ თუ არა...

- რა ვქნა, მომიწევს ისევ ამ რისკზე წასვლა.

* * *

2007

7 ნოემბერს, გათენებისას, ჩავედი თბილისში. ორი დღით ადრე ბრილკა თოთხმეტი წლის გახდა. ტაქსი გავაჩერე და მწვანე სახლში ავედი. არავინ მელოდა. არავინ იცოდა, რომ ჩასვლას ვაპირებდი. სახლის საფეხურები ავიარე, აივანზე დავჯექი. ჯერ ციოდა, მაგრამ არ მადარდებდა. სახლისა და მის ბინადართა გაღვიძებას ველოდებოდი, შევცქეროდი, როგორ თენდებოდა ნოემბრის მოღუშული დღე.

რვას რომ გადასცდა, შიგნიდან ელენეს ფეხის ხმა გავიგონე და დავაკაკუნე. შეჰყვირა, მე რომ დამინახა, მერე ყელზე ჩამომეკიდა და ალექოს გასძახა. კითხვის დასმა ვერ გავბედე, მაგრამ თვითონ ელენემ მითხრა მაშინვე, ბრილკა ლამაზ მშობლებთან არის, იმიტომ რომ თოვლს ველოდებითო. მთელი კვირა დარჩება იქ, სკოლაში შორიდან რომ არ იაროსო (“ღმერთო, გადაირევა, როცა გაიგებს, რომ ჩამოხვედი. ისე ხშირად ლაპარაკობს შენზე, ნიცა. ისე გაიზარდა, ვერ წარმოიდგენ. მაგრამ ისეთივე ჯიუტი და თავნებაა, როგორიც იყო!”). სანამ მე ალექოს ვესუტებოდი, თვითონ კი ყავას მიდუღებდა, ელენემ მკითხა, სად დაიკარგე ამდენ ხანს და რატომ არ გვხვებიანებოდიო. ისევ ყურებამდე იყავი, ალბათ, სამუშაოში ჩაფლულიო.

- ჰო, მაგრამ ამჯერად სხვა სახის სამუშაოში. ახლავე წავალ ქალაქში და ბრილკას მივაკითხავ სკოლაში. ჩემი მანქანა დადის კიდევ?

- კი, უძლებს ჯერ. ჩემი ხელით მოვანესრიგე, – შემატყობინა ალექომ, რომელსაც ამასობაში თოვლივით თეთრი გახდომოდა წვერი.

- ქალაქში ფრთხილად იყავი, ნიცა, არჩევნები ახლოვდება და ყოველდღე დემონსტრაციებია, – სიტყვა გაანწყვეტინა ელენემ.

- დემონსტრაციები? რის წინააღმდეგ?

- რის და მთავრობის, პრეზიდენტის, სხვა ვის წინააღმდეგ უნდა იყოს?
- ელენემ თვალეები გადაატრიალა ჩემი აშკარად ბრევყული შეკითხვის გამო.

- მართლა? მეგონა, დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე...

- ჰო, ჩვენც ასე გვეგონა. მაგრამ ქვეყანაში ოპოზიცია აღარ არსებობს. უმუშევრობა ოდნავადაც არ დანეულა. კი, რეფორმები და რესტრუქტურისაცია გატარდა, მაგრამ ფული ისევ ცალკეულ ჯიბეებში მიედინება, საკითხავია, ვის ანყობს ეს ყველაფერი? ამ ქვეყანას დამშვიდება არ უნერია, ნიცვიკო!

- მე უბრალოდ ჩავალ ქალაქში, ბრილკას წამოვიყვან და ისევ მოვბრუნდები. დემონსტრაციაზე წასვლას არ ვაპირებ.

- პოლიციას სრული მზადყოფნა აქვს გამოცხადებული. ესკალაციისაც კი ემინათ.

- აქეთ რომ მოვდიოდი, სიმშვიდე იყო ჯერ. მშვენივრად მოვალნიე, - ჩავურთე მე.

- ხალხს სძინავს ჯერ. ხომ იცი, ამ ქვეყანაში სანამ რევილუციას მოახდენენ, ჯერ ვარგად უნდა გამოიძინონ. ძილი უნდა ეყოთ აქ, თორემ ისე არც დემონსტრაციას მოანყობენ და არც გადატრიალებას, - მითხრა ალექომ და მხარზე გადამხვია ხელი.

ელენეს მომზადებული მაგარი ყავა დავლიეთ. მოვისმინე, როგორი აღმუთოთებული იყო ალექო სახელმწიფოს, პრეზიდენტის, ავტორიტარული მმართველობის და სწორი გზის არჩევაში საქართველოს სამუხარო უუნარობის გამო, მერე კი მანქანაში ჩავჯექი, რომლითაც ბრილკამ და მე მთელი კონტინენტი გადავკვეთეთ. ქარიანი გზებით წავედი ისევ ქალაქში, ბრილკას სკოლასთან. როგორც კი მივედი, პირდაპირ შენობაში შევაჯერი და ბრილკას კლასი მოვძებნე. მასწავლებელმა შემატყობინა, დღეს გაკვეთილებზე არ მოსულაო. და ისედაც ხშირად აცდენსო.

ისევ გარეთ გავედი და ლაშას მშობლებს მივაკითხე დიდუბეში. მოხუცებული ექიმი ცოლ-ქმარი ყავითა და ნამცხვრით გამიმასპინძლდა. მათ ბინაში თითქოს დრო გაჩერებულიყო. ეტყობოდათ, რომ პენსია არაფერზე ჰყოფნიდათ. ვიწრო, წაგრძელებულ ოთახში ბრილკას კვალი აღმოვაჩინე, ყვითელი ლოგინის თეთრეული, კედლებზე მოცეკვავეების რამდენიმე პლაკატი, კიტის ძველი ფირფიტები და სამი წყვილი ყურსასმენი. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. მაგრამ თვითონ იქ არ იმყოფებოდა. თავისი სასკოლო ზურგჩანთით წასულა სკოლაში, როგორც ყოველთვის. მწვანე სახლში დავრეკე და გამოვიკითხე, ვისთან მეგობრობდა, ცეკვაზე სად დადიოდა, სად შეეძლო სახეტილოდ და დროის გასატარებლად წასვლა. მთელი დღე ვეძებე და ელენეს მოცემულ ნომრებზე ვრეკე. არავინ არაფერი იცოდა, როგორც შევატყვი, უმრავლესობას არც ისე ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან.

ალეკო მეგობლის მანქანით ჩამოვიდა ქალაქში. ტელეფონით ჩუმიად მიმახვედრა – არ უნდოდა ელენეს გაეგო – ბრილკა შეიძლება დემონსტრაციაზე წასულიყო. მაგისგან მოსალოდნელიაო, მითხრა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გავაფრთხილეო. დღეს ორი დიდი საპროტესტო მსვლელობა იმართება, ერთზე შენ წადი, მეორესთან მე მოვძებნით.

მე რუსთაველზე უნდა გავსულიყავი, იქ პარლამენტის შენობასთან იყო დაგეგმილი პირველი დემონსტრაცია. ალეკო გმირთა მოედანზე მიდიოდა, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან.

ისევ გაჩერდა დრო. ისევ წარსულში უნდა დავბრუნებულიყავი, ოღონდ ახლა წინ წასასვლელად ვაკეთებდი ამას.

ქუჩები სულ უფრო ივსებოდა. ისმოდა სირენების ხმა, პოლიციის მანქანები დაქროდნენ წამდაუნუმ.

ისევ დავინახე ხალხის ნაკადი, ტრანსპარანტებითა და დროშებით ხელში, სკანდირებდნენ, მესმოდა მათი გუგუნი. მე კი საცობში ვიდექი. ვიგინებოდი. ბრილკაზე დარდით აღარ ვიყავი. ძლივს დავაყენე მანქანა გვერდითა ხაზზე, გადმოვვდი და ფეხით განვაგრძე გზა.

რუსთაველის გამზირისკენ წავედი, პარლამენტის, და ჩემი ყოფილი სკოლის მიმართულებით. ისევ მარტო მივდიოდი. ხალხს თანდათან მეტი და მეტი პოლიციელი და უშიშროების თანამშრომელი შეერია. ვხედავდი მათ ფეხებთან მოქანავე ხელკეტებს. ვხედავდი რეზინის ჯოხებს მათ ხელში, ვხედავდი მათ ქამრებზე დამაგრებულ აირწინაღებს. განვიმდა. ვიდაცამ დაიყვირა, პოლიციელები ოპოზიციურ ტელევიზიაში შეცვივდნენ და ჟურნალისტები ხელკეტებით გამოყარესო. ადამიანები გამხეცებულები გაიქცნენ.

ნაბიჯს ავუჩქარე, ბრილკას ვეძებდი თვალებით, ვეძახდი. ხან ხალხს ვუერთდებოდი, ხან ვშორდებოდი, წინ გავრბოდი, ისევ უკან ვრჩებოდი. ბრილკა უნდა მეპოვა. სხვა ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის.

მთელი არსებით დაგეძებდი, ბრილკა. მთელი არსებით მინდოდა შენი პოვნა. იმიტომ, რომ დავბრუნდი, შენი სიმღერები ჩამოგიტანე და წიგნიც დაგინერე.

არ ვიცოდი, რამდენად მზად იქნებოდი ამ ამბებისთვის შენს ასაკში, ხშირად მიჩნდებოდა ეს კითხვა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ სხვა რა დამრჩენოდა, ისევე დაუნდობლად გულწრფელი უნდა ვყოფილიყავი შენთან, როგორც შენ იყავი ჩემთან. ვიცი, სხვაგვარად არც მაპატიებდი. შენთვის გავაკეთე ეს. ნულა გეშინია, ნურც ელვის და ჭეჭა-ჭუხილის, ნურც უბედურების, ნურც სიკვდილის. ჯადოს მოსახსნელად დავწერე ეს წიგნი. ვეცადე, ქვებისა და მახეებისგან გამესუფთავებინა შენი გზა. მართალია, შენ მაინც დაგიცდებოდა ფეხი, მაინც დაეცემი, მაგრამ მე შენ გვერდით ვიქნები, დაგეხმარები, როგორც

შევძლებ, რომ ისევ წამოდგე. სანამ ცოცხალი ვარ, შენთან ვიქნები. ეს ერთადერთია, რისი დაპირებაც შემიძლია. და მე ამას გპირდები.

შენკენ მოვიჩქაროდი, ბრილვა. არ ვიცოდი, სად იყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სადღაც ახლოს იქნებოდი, და ვერანაირი ცრემლსადენი გაბი, ვერანაირი ხელკეტი, ვერანაირი იარაღი ვერ შემიძლიდა ხელს შენს ძებნაში.

ვიცოდი, რომ გიპოვიდი, ბრილვა. იმიტომ რომ ვალში ვარ შენთან, შეკითხვა მაქვს დასასმელი, ხომ წამოხვალ ვენაში, ბერლინში, სულერთია სად, მთავარია, ჩემთან. ხომ კიდევ გჭირდება ჩემი დახმარება. ხომ აპირებ ცეკვით გალიო შენი ცხოვრება სხვათა და სხვათა ცხოვრების მოსაყოლად. აქ იმიტომ ვარ, რომ გკითხო, ხომ მაპატიებ, როცა ყველაზე მეტად გჭირდებოდა, მაშინ რომ არ და ვერ შემოგთავაზებ თავშესაფარი.

ვერ დაგტოვე ჩემთან, გიღალატე და მცდარი მიზნისკენ წაგიყვანე. ვერ ვიგრძენი შენი სიმართლვე, ვერ მოგეცი იმედი, რომ იპოვიდი, რასაც დაეძებდი. არ გაგიმხილე, რომ ყველაზე განსაკუთრებული გოგო ხარ ჩემთვის დედამიწის ზურგზე.

ჰო, ამის სათქმელად გეძებდი, ბრილვა, ამ კითხვების დასასმელად.

იმიტომ რომ ამ სტრიქონებს ვუმაღლი საუკუნეს, რომელმაც ყველა მოატყუა და გააცურა, ყველა, ვისაც იმედი ჰქონდა. მე ვუმაღლი ამ სტრიქონებს დაუსრულებელ ღალატს, რომელმაც წყევლასავით გადაუარა ჩემს ოჯახს. მე ვუმაღლი ამ სტრიქონებს ჩემს დას, რომელსაც ვერაფრით ვაპატიე, იმ ღამით უფრთოდ რომ გამიფრინდა, ბაბუაჩემს, რომელსაც ჩემმა დამ გული ამოაგლიჯა, ჩემს დიდ ბებიას, რომელიც პა-დე-დეს ცეკვავდა ოთხმოცდასამი წლისა, დედაჩემს, ღმერთს რომ დაეძებდა... ამ სტრიქონებს ვუმაღლი მიროს, სიყვარულით რომ მომწამლა. ვუმაღლი მამაჩემს, რომელსაც წესიერად არც კი ვიცნობდი, მე ვუმაღლი ამ სტრიქონებს შოკოლადის ფაბრიკანტს და თეთრ-წითელ ობერლეიტენანტს, ციხის საკანს, და საკლასო ოთახის შუაში მდგარ საოპერაციო მაგიდას, ამ წიგნს, რომელსაც არასდროს დავწერდი, შენ რომ არ შემოსულიყავი ჩემს ცხოვრებაში. მე ვუმაღლი ამ სტრიქონებს უზღვავ დაღვრილ ცრემლს, ვუმაღლი საკუთარ თავს, რომლის საპოვნელადაც მივატოვე სამშობლო და კიდევ უფრო მეტი დავკარგე; მაგრამ ყველაზე მეტად შენ გიმაღლი ამ სტრიქონებს, ბრილვა.

გიმაღლი იმიტომ, რომ შენ იმსახურებ მერვე სიცოცხლეს. ამბობენ, რომ ციფრი რვა მარადისობის ნიშანია, უწყვეტი დინების. მე შენ გჩუქნი ჩემს რვიანს.

ჩვენ ერთი საუკუნე გვაკავშირებს. წითელი საუკუნე. სამუდამოდ, რვიანივით. შენი ჯერია, ბრილვა. მე ჩემი გული შენ განაცვალე. შენი იყოს ჩემი რვიანი.

ყვირილი ატყდა. დავინახე, როგორ ეცნენ პოლიციელები აღრიალებულ დემონსტრანტს. უკვე ვიგრძენი ცრემლსადენი გაზის სუნი, ისევ ჩემს ყოფილ სკოლასთან აღმოვჩნდი. ისევ დავინახე, როგორ წასკდა სისხლი, როგორ დაეცა ახალგაზრდა კაცი, როგორ მისცვივდნენ შავებში ჩაცმული შეიარაღებული კაცები. მაგრამ თვალი მოვაშორე ამ სურათს, მხოლოდ მენ დაგეძებდი თვალებით, სხვას არავის.

უცებ გავჩერდი. ის ანეკდოტი გამახსენდა, რომელიც სულაც არ იყო სასაცილო და რომელიც ქრისტიანებში მიამბო იმ დღეს, როცა ზუსტად თვრამეტი წლის წინ უკანასკნელად ვნახე ცოცხალი. ხომ დაგპირდი, რომ მოგიყვებოდი, როცა დრო მოვიდოდა. ჰო, და მოვიდა ამის დრო:

დანტე ჯოჯოხეთის ალბომი მიიკვლევს გზას. ბოროტმოქმედნი და მოძალადეები ძლიერ ცეცხლში იწვიან და იტანჯებიან, ზოგი სისხლის ზღვაში იხრჩობა. მოშორებით შეამჩნია კაცი, რომელიც მხოლოდ მუხლამდე დგას სისხლში. მიუახლოვდა, იცნო ლავრენტი ბერია და ჰკითხა: „თქვენ რატომ არ იძირებით, ლავრენტი?“ ბერიამ ნიშნისმოგებით გაუღიმა და უპასუხა: „იოსებ სტალინის მხრებზე ვდგავარ, ჩემო ბატონო!“ და მიუხედავად იმისა, რომ სულ არ იყო სასაცილო, იმ მომენტში მაინც გამეცინა. არადა, როცა ცალი ფეხით სკოლის შენობაში ვიდექი და ვცდილობდი ქრისტიანე დამეჭირა, ნამდვილად არ გამეცინებია.

ახლა კი ვიდექი და გიჟივით ვიცინოდი, ისევე ისტერიულად, როგორც თავის დროზე ქრისტიანე იცინოდა ამ ანეკდოტზე, იმიტომ რომ ქრისტიანეს მსგავსად მეც ვიგრძენი, როგორ ჩაიხლართა ერთმანეთში ათწლეულები. დავინახე, როგორ ჩამირბინა ქრისტიანემ თავისი პირბადის გარეშე, დავინახე, როგორ დამიქნია შორიდან ხელი ვოსტიაშვილს, ზვიგენაც კი დავინახე, ამაყად წმენდდა თავის იარაღს და ომში წასასვლელად ემზადებოდა, ომში, რომელიც ვერავინ მოიგო, ვერასდროს, ვერსად. დავინახე პრალაში ვენბელის მოედანზე მდგომი კიტი და მისი სიმღერა გავიგონე. დავინახე, როგორ ცეკვავდა ჩემი დიდი ბებია. დაცარიელებულ ეზოში მდგომი მიროს გადაყვლეფილი მუხლები დავინახე. საკუთარი თავი დავინახე, მწვანე სახლთან დაღმართზე რომ ჩამოვრბოდი. ხალხის ნაკადში თეკლას აბაზანის ხალათმა გაიელვა და სოფიო ერისთავის ნაბიჯების ხმა გაისმა ჩემ უკან. აღრიალებული ხალხის შუაგულში კი, ჩემგან ცოტა მოშორებით, რამაზი იდგა ნამდვილად, გიორგი ალანიაც იქ იყო სადღაც. ალბათ, იდაც და, რაღა თქმა უნდა, მარიამიც, ცხელი შოკოლადის სურნელი ვიგრძენი თითქოს, მაგრამ ამჯერად ვიცოდი, რომ ვეღარ იქონიებდა თავის ვითომდა ასეთ სახიფათო ზემოქმედებას. იმიტომ რომ მე ვიპოვე ფორმულა მისი ჯადოს წინააღმდეგ: მენ გიპოვე, ბრილკა, და დარწმუნებული ვიყავი, რომ შენც იპოვიდი საკუთარ ფორმულას, რომელიც ყველა წყევლას დააკარგვინებდა ძალას. მომეჩვენა, რომ ანდრო ერისთავის გამოთლილ ანგელოზს შევავლე ხელი პალტოს ჯიბეში. მესმოდა, როგორ მისდევდა მიქა ერისთავი

ხალხის ნაკადს. ჰო, დარწმუნებული ვიყავი, რომ დარიაც იქ იყო. იქვე, ჩემ შორიახლოს.

რუსთაველის გამზირი გავიარე და თავისუფლების მოედანზე დავდექი, იქ, სადაც ადრე ლენინის ძეგლი იდგა, ახლა კი წმინდა გიორგი აღმართულიყო სვეტზე. მოედანი ხალხით ივსებოდა, ყოველი მხრიდან მოედინებოდა შეუჩერებელ ნაკადად. დიდხანს არ გავჩერებულვარ. შენი ძებნა განვაგრძე.

და როცა მერიას მივადექი, იქვე კუთხეში დაგინახე კიდეც, როგორც იქნა, ბრილკა. გაუნძრევლად იდექი და ხალხს აკვირდებოდი, თითქოს ფანტასტიკურ ფილმს უყურებდი. ბოლოს და ბოლოს, დაგინახე და გამოგძახე ხალხის ნაკადში, შორიდან. ჩემთვის სულერთი იყო, გაგაგონებდი თუ არა, რადგან გიპოვე უკვე და ჩემი გზის უკანასკნელ მეტრებსაც დავძლევდი, მოვალწევდი შენამდე.

თვრამეტი წლის წინ მე აკანკალებული ვიმალებოდი სკოლის შენობაში, შეშინებული და სასოწარკვეთილი, შენ კი, ბრილკა, შენი შავ-შავი თვალებით აუღელვებლად შესცქეროდი ამ ყველაფერს. იცოდი, რომ გაუძლებდი, არ დაეცემოდი, უდრეკად გააგრძელებდი გზას, რა კარტიც უნდა მოგსვლოდა, საითაც უნდა დაებერა ქარს. მეც არასდროს ვყოფილვარ ისეთი დარწმუნებული, როგორც იმ მომენტში, რომ შენ ჯადოსნური ბავშვი ხარ. ჰო, ჯადოსნური. ასე რომ გაარღვიე ბეცა და ქაოსი, გაგვცდი ყველას, გასცდი ამ სტრიქონებს, გასცდი აჩრდილთა სამყაროს და რეალურ სამყაროს, სძლიე სიყვარულისა და რწმენის ცვალებადობას, შეამცირე სანტიმეტრები, მუდამ რომ გვაშორებდა ბედნიერებას, გაჰკვეთე ბედისწერა, რომელიც არასდროს არსებობდა. გაარღვიე ეს ისტორია და უკან მოიტოვე.

გამცდი მეც და საკუთარ თავსაც.

გადაიტანე ყველა ომი. გადალახე ყველა საზღვარი. მე შენ გიძღვნი ყველა ღმერთს და ყველა ვარდის გვირგვინს, ყველა კოცონს, ყველა თავმოკვეთილ ოცნებას, ყველა ამბავს. გასცდი მათ. რადგან შენ ეს შეგიძლია, ბრილკა. რვიანი, რვიანზე იფიქრე. ამ ციფრში ჩავექსოვებით სამუდამოდ და ყურს დავუგდებთ ერთმანეთს საუკუნეების მერეც.

შენ უნდა შეძლო ეს.

უნდა გახდე ის, რანიც ვიყავით ან არ ვიყავით. ლეიტენანტი, ბაგირზე მოცეკვავე, მებღვაური, მსახიობი, რეჟისორი, პიანისტი, შეყვარებული, დედა, ექთანი, მწერალი, წითელი და თეთრი ან ლურჯი, გახდი ქაოსიც და ბეცაც და ისიც და მეც და ნურც ერთი ნუ იქნები, ოღონდ არ გაჩერდე და გააგრძელე პა-დე-დეს ცეკვა.

მე ყველა სიტყვა დაგიწერე, რაც მებადა.

და უცებ თვალი მომკარი. ჩემი სახე იცანი იმდენ ხალხში. ისე დახუჭე თვალები, თითქოს მოჩვენება დაინახე, მაგრამ მე ისევ იქ დავხვდი, როცა გაახილე. ერთი ნაბიჯი გადმოდგი შენი ჯადოსნური სამყაროდან იმ მახინჯ

რეალობაში. ჩემვენ. ჩემ გამო. ესე იგი, იმედი უნდა მქონოდა კიდევ. ზუსტად ვერ გავარჩიე, რა დაგენერა სახეზე, მაგრამ დასაწყისისთვის შენი ნაბიჯი ვიკმარე.

სულ რამდენიმე მეტრიდა გვაშორებდა, რამდენიმე წუთი, მაგრამ ისინი რაღას შეცვლიდნენ, როცა ჩვენ უკვე მთელი საუკუნე გადავკვეთეთ ერთად?

ტუჩების მოძრაობაზე შეგატყვე, რომ ჩემი სახელი წარმოთქვი და თავი დაგიქნიე: ჰო, აქ ვარ. ახლავე შენთან გავჩნდები. მერე გაიღიმე, ხელი ასწიე და შორიდან გამომიწოდე. ამის შემხედვარემ რატომღაც გავიფიქრე, რომ ეს ცხოვრება სადღაც, ოდესღაც სიბმარში მინახავს.

რამდენიმე წამიც და ჩვენ ერთმანეთს ვიპოვით.

წიგნი მერვე. ბრილკა

[1] (ინგლ.) მაღლა, თავზემთ მე ვხედავ მთვარეს / მაგრამ ვერავის – ვინც შემეყვარებს. შეყვარებულო, გამოჩნდი მაღე.

[2] სარეგისტრაციო პორტი.

[3] (ინგლ.) აი, მეც აქ ვარ შემოვუფრინე / სამყაროს ჩემი თუნუქის ქილით / უკვე მთვარეზე მაღლა ავედი / ვხედავ სილურჯეს ჩვენი პლანეტის / და აღარ ვიცი, რაღა ვქნა მეტი.

[4] (ინგლ.) ეს მოქუფრული გრძელი ნისლი რომ ჩამონვება, ასე მგონია, საიქიოს კარს ვუკაკუნებ.

[5] (ინგლ.) „ცეცხლწაკიდებულ გულის სურვილით ანთებულის ვნებას, ულევს და ულევს, აჰყავხარ მეფის ტახტზე“.

[6] (ინგლ.) ვინ გაბედა და კაცთა მოდგმას ვინ მიმაკუთვნა?

[7] (ინგლ.) ხვდები, რომ უკეთესი ადგილი იპოვე.

[8] (ინგლ.) სიტყვათა მასები / სიჩუმეს ამსხვრევვენ. „დეპემ მოუდი“

[9] (ინგლ.) ასე მგონია, მუდამ დავრჩები / ერთ ჯარისკაცად ბედისწერისა. „დიფ ფარფლი“

[10] (ინგლ.) და რა მოელის თუ ხვდები ნეტავ? / სანატრელსა და სასურველს მეტად / ასე ლაღსა და ასე უსაზღვროს / მოხვედრილს ვიღაც უცნობის ხელში / უიმედოთა ცივ სამყოფელში? „დორსი“